საერთაშორისო კონფერენცია

„არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები“

25-27 ოქტომბერი, 2017 წელი

INTERNATIONAL CONFERENCE

ARCHIVAL AND SOURCE STUDIES – TRENDS AND CHALLENGES

25-27 OCTOBER, 2017

TBILISI 2018 TBILISI

სარედაქციო ჯგუფი:
თეონა იაშვილი
ქეთევან ასათიანი
ნინო ბადაშვილი
თამთა შონვაძე
დიმიტრი სილაქაძე

კორექტორი: მარიამ ჯანიკაშვილი

დიზაინერი: ნატა ყუბანეიშვილი

კრებულში წარმოდგენილი მასალის გამოყენება და გავრცელება
დასაშვებია მხოლოდ წყაროს მითითებით.

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნით
ავტორებს და შესაძლებელია არ ასახავდეს სარედაქციო ჯგუფის შეხედულებებს.

© ყველა უფლება დაცულია
All rights reserved

ISBN 978-9941-8-0504-2

საქართველოს Ministry of
იუსტიციის Justice of
სამინისტრო Georgia
www.justice.gov.ge

საქართველოს National
ეროვნული Archives of
არქივი Georgia
www.archives.gov.ge

სარჩევი

ხათუნა გაფრინდაშვილი 8
ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული იერუსალიმური
ლექციონარის უცნობი პალიმფსესტური ფრაგმენტი
Khatuna Gaphrindashvili 18
An Unknown Palimpsest fragment of Jerusalem Lectionary Preserved in
the National Centre of Manuscripts

ირმა ხოსიტაშვილი 19
A 44 -ში დაცული „მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების" შემცველი ფრაგმენტისთავის
Irma Khositashvili 26
On the Fragments Including the Life of Maximus the Confessor Preserved in A44

ციცინო მუმლაძე 27
ქუთაისის მუზეუმში დაცული XI საუკუნის ოთხთავი (K-76)
Tsitsino Mumladze 39
The Gospel of the 11th century (K-76) preserved in Kutaisi Museum

ჯულია ბენიძე 40
საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული სამი მოხატული ოთხთავი
(1446/26, 323, 363)
Julia Benidze 52
Three Painted Gospels from Central Historical Archive (1148/26, 323, 363)

ნინო მღებრიშვილი 53
იოანე დიაკონის შრომის შედგენილობა არსენ იყალთოელის
„დოგმატიკონის" მონაცემთა გათვალისწინებით
Nino Mghebrishvili 65
About the Original Contours of John the Deacon's work
(Taking into Consideration the Data of Arsen of Iqalto's "Dogmatikion").

ნიკა ხოფერია 66
ლაზიკის ომი — ლანდშაფტი, სივრცე, რესურსები
Nika Khoperia 80
Lazic War: Landscape, Space, Resources

ეკა ჭყოიძე 81
ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი
ერთი ბიზანტიური ტექსტის მიხედვით
Eka Tchkoidze 90
Some Aspects of the Church-State Relations According to One Byzantine Text

ნინო კუხიანიძე 91
სოლომონ II-ის წყალობის სიგელი ჯრუჭის წმ. გიორგის მონასტრისადმი
Nino Kukhianidze 98
Solomon II's Grant Deed to Jruchi St. George's Monastery

ლუბოვ ლისკი 99
დოპელგანგერის ზოგიერთი სიმბოლური გამოვლენა ტრადიციულ
კომურ რწმენაში ადამიანების შესახებ
Lyubov Liski 104
Some Symbolic Manifestations of the Doppelganger in Traditional
Komi Beliefs About the Human Beings

თინათინ ჯაბადარი 105
გარე კახეთის მოსახლეობა კამერალური აღწერების მიხედვით
Tinatin Jabadari 114
Gare Kakheti Population According to Cameral Descriptions

დავით სულაბერიძე 115
აგიაშვილთა საგვარეულო ნივთები ქუთაისის მუზეუმში
David Sulaberidze 125
Agiashvili Family Belongings in Kutaisi Museum

ლევან ტყემელაშვილი 126
გელათი - ქართველ შეფე-დედოფალთა საძვალე
Levan Tkeshelashvili 133
Gelati – The Tomb of Georgian Kings and Queens

მერაბ კეზევაძე 134
ვანის მაცხოვრის ფერისცვალების მონასტრის ისტორიიდან
Merab Kezevadze 147
From the History of Vani Monastery of Transfiguration of Jesus

ეკა კაჭარავა 148
ეტიუდები ბოდბის საეპისკოპოსოს ისტორიიდან
Eka Kacharava 159
From the History of Bodbe Episcopate

მაია ქებულაძე 160
უცნობი ეპისტოლური დოკუმენტი ექვთიმე თაყაიშვილის პირადი არქივიდან
Maia Kebuladze 170
Unknown Epistolary Document from the Personal Archive of Ekvtime Takaishvili

დეა გუნია 171
ქართული და იბერიის ნახევარკუნძულის პრერომანული
სტილის სახვითი ენის თანხვედრა
Dea Gunia 180
Similarities between Georgian artistic features and Iberian
Peninsula Pre-Romanesque style

სოფიო ჩიტორელიძე 181
ქართული პროფესიული კერამიკა 1950-1960-იანელ კერამიკოსთა შემოქმედებაში
Sophio Chitorelidze 193
Preservation Georgian Professional Ceramics in creative works of ceramists
Generation of 1950-1960 years

ირინე აბესაძე 194
ეპისტოლური მემკვიდრეობა, როგორც ხელოვნის შემოქმედებითი
პერცეპციის ამსახველი დოკუმენტი
Irine Abesadze 203
Epistolary Heritage as a Document Reflecting the Creative Percussion of an Artist

მერი მაცაბერიძე 204
ახალი კონოტაციები პეტრე ოცხელის შემოქმედებაში
(ანდროგინის ცნების ზოგადი კონტექსტის გათვალისწინებით)
Meri Matsaberidze 222
New Connotations in the work of Petre Otskheli, taking into account the
general notion of Androgyn's Theory

სოფიო პაპინაშვილი 223
თანამედროვე ხელოვნების გაგებისათვის
Sopio Papinashvili 232
For the Understanding of Modern Art

გიორგი გველესიანი 233
ნიკოს კაზანძაკისის „უკანასკნელი ცდუნების" ანალიზი და მისი
მიმართება სახარებისეულ უწყებასთან
Giorgi Gvelesiani 243
Analysis of Nikos Kazantzakis's Novel "The Last Temptation"
and its connection to the narrative of Gospels

ინგა ადამია 244
ჰეროსა და ლეანდრეს მითის პარალელები კულტურთაშორისი დიალოგის ჭრილში
Inga Adamia 249
Parallels to Hero and Leander Myth in the context of Intercultural Dialogue

ია ღადუა 250
გიორგი ერისთავი – პოეტი, მთარგმნელი, დრამატურგი
(ლიტერატურის მუზეუმში დაცული ავტოგრაფების მიხედვით)
Ia Ghadua 257
Giorgi Eristavi – Poet, Translator, Playwright (According to the Autograph
Manuscripts preserved in the Museum of Georgian Literature)

შორენა გულიაშვილი 258
საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტები მეცხრამეტე
საუკუნეში ჯავახეთში მოღვაწე მღვდლის პეტრე ხმალაძის შესახებ
Shorena Guliashvili 263
Protected Documents in the Central Historical Archive about the priest
Petre the Confessor (Khmaladze), who was worked in the 19th c. in Javakheti

მაია არველაძე, ელისაბედ ზარდიაშვილი 264
აკაკი წერეთლის უცნობი საარქივო მასალები
Maia Arveladze, Elisabed Zardiashvili 273
Akaki Tsereteli's Unknown Archive Materials

ჯულიეტა გაბოძე 274
ცენზურისა და რეაქციის გავლენა აკაკი წერეთლის შემოქმედებაზე -
საარქივო მასალები და მომავლის არქივები
Julieta Gabodze 284
The impact of censordhip and reaction on Akaki Tsereteli's - Creativity
archival materials and the archives of the future

თამთა შონვაძე 285
ესტატე მირიანაშვილის მოგონებები
Tamta Shonvadze 291
Estate Mirianashvili's Memories

თეა თვალავაძე 292
ლიტერატურის მუზეუმში დაცული გამოუქვეყნებელი საარქივო მასალები
Tea Tvalavadze 299
Unpublished Archival Material, preserved in the Museum of Georgian Literature

ლევან ბებურიშვილი 300
ტექსტოლოგიური კვლევიდან ავტორის რეალურ ჩანაფიქრამდე
(გალაკტიონ ტაბიძის „ინგლისელს მწერალს...")
Levan Beburishvili 310
From Textual Research till the Real Intention of the Author
(Galaktion Tabidze's "To English Writer...")

მანანა ჯავახიშვილი, ირაკლი ფერაძე 311
მარიამ დადიანი - პოლიტიკური ქორწინება გვიან შუა საუკუნეების საქართველოში
Manana Javakhishvili, Irakli Peradze 322
Mariam Dadiani - Political marriage in Late Medieval Period Georgia

ოთარ გოგოლიშვილი 323
ბათუმი რუსეთის ინტერესების სფეროში (1800-1806)
Otar Gogolishvili 327
The main issues of migration precceses in Adjara in the period of Tanzimat
(19 c. 40-70 years)

საბა სალუაშვილი 328
ქალაქ გორის მოსახლეობა XIX საუკუნის I ნახევარში
(საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულ დოკუმენტების მიხედვით)
Saba Saluashvili 338
Demographic situation of the city of Gori in the Turn of the 19th century
(according to the documents preserved in the Central Historical Archive)

ნინო ბადაშვილი 339
ბერძნული სკოლები საქართველოში
(XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში)
Nino Badashvili 340
Greek Schools in Georgia in the Second Half of the
19th and the Turn of the 20th centuries

თამარ ღურწკაია 341
თბილისის „ოხრანკის" განყოფილება და ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა
Tamar Ghurtskaia 347
Tbilisi Okhranka Department and murder of Exarch Nikon

კამილა პაველჩიკ-დურა 348
კულტურული მემკვიდრეობის მართვის თანამედროვე მეთოდები პრაქტიკაში.
პეტროკოვსკის გუბერნიის მმართველობის საარქივო მასალის დიგიტალიზაცია
ლოძის (პოლონეთი) სახელმწიფო არქივში
Kamila Pawelczyk-Dura 356
Contemporary Methods of Management of the Cultural Heritage in Practice.
The Digitization Process of Archival Materials of Piotrkow Governorate Government
in the State Archive in Lodz (Poland)

დიმიტრი სილაქაძე 357
გენერალ გიორგი კვინიტაძის კარიერის უცნობი დეტალები რუსულ
არმიაში სამსახურის პერიოდში (1892-1917 წწ.)
Dimitri Silakadze 365
Unknown Details of Military Biography of General Giorgi Kvinitadze Before
Announcement of Independence of Georgia (1892-1917)

მიხეილ ბახტაძე 366
საქართველოს ოკუპაციის პირველი მცდელობა 1920 წელს
(სამხედრო მოქმედებათა მიმოხილვა)
Mikheil Bakhtadze 381
Attempt of Sovietization of Georgia in 1920

ლელა სარალიძე 382
კონსტანტინოპოლში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
მთავრობის წარმომადგენლობა და 1924 წლის აჯანყება
Lela Saralidze 392
Representatives of the Government of the Democratic Republic of Georgia in
Constantinople and Revolt of 1924

დესი პრატივი 393
საარქივო კვლევები ინდონეზიაში საზოგადოების განვითარების მხარდასაჭერად
Desi Pratiwi 401
Archival Studies in Supporting the Development of Information Society in Indonesia.

გვანცა ყაყიტაშვილი 402
„მუკი" ანუ საბჭოთა ხელისუფლება რელიგიის წინააღმდეგ
(მებრძოლ ულმერთოთა კავშირის მოღვაწეობა აჭარის ტერიტორიაზე)
Gvantsa Kakitashvili 408
"UGF", or Soviet Government Against Religion (The Activity of the Union
of Godless Fighters in Adjara)

დიმიტრი ფროლოვი 409
თანამშრომლობა ფინეთის ეროვნულ არქივსა და ყოფილი საბჭოთა
კავშირის ნევრ ქვეყნებს შორის
Dmitri Frolov 415
Documents relevant to the finnish History in the Archives of the Former USSR

ედიშერ ჯაფარიძე 416
მიხეილ მუსხელიშვილი ევროინტეგრაციაში შეტანილი ქართული წვლილი
Edisher Japharidze 431
Mikheil Mouskhelishvili – Contribution in European Integration of Georgia

ეკატერინე ყელაურაძე 432
ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული რუკებისა და ტექნიკური ნახაზების ფონდი
Ekaterine Kelauridze 437
Maps and Technical Skhetches fund of Kutaisi Museum

სტანისლავ კოლერი 438
პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის უსაფრთხოების სამსახურის მიდგომა ოპერაციული დოკუმენტებისადმი, საქმეების ნუსხების ანალიზზე დაყრდნობით (1956-1990)
Stanisław Koller 453
The Approach of the People's Republic of Poland's Security Services Towards Operational Files, Based on the Analysis of the Files' Inventory (1956-1990)

ანი შეროზია 454
საცავების მნიშვნელობა სამუზეუმო საქმიანობაში
Ani Sherozia 458
Importance of Funds in Museums

ირმა დოლიძე 459
კოლექციათა ატრიბუციის საკითხისათვის - ლიკანის სასახლე
Irma Dolidze 479
On the issue of Attribution of the Collections – Likani Palace

თინათინ მშვიდობაძე 480
ღია პროგრამული უზრუნველყოფა და მისი გავლენა ბიბლიოთეკასა და საინფორმაციო ცენტრებზე
Tinatin Mshvidobadze 486
Open Source Software and its impact on Library and Informational Centers

ლეილა გოცირიძე 487
ლუქების კონსერვაცია-რესტავრაცია
Lela Gotsiridze 493
Conservation and Restoration of Seals

ლელა მიქაბერიძე 494
არქეოლოგიური წარმოშობის ლითონის დაზიანებების კვლევა
Lela Mikaberidze 499
Study of Archaeological origin Metal Damages

ასმათ გვაზავა 500
ეტრატის რესტავრაციის ნიშნები შუა საუკუნეების უცხოენოვან ხელნაწერებში (შედარებითი ანალიზი)
Asmat Gvazava 506
Signs of Parchment Restoration in Foreign Manuscripts of the Middle Ages (Comparative Analysis)

შორენა თავაძე 507
ეტრატზე შესრულებული საბუთის სტრუქტურული ანალიზი და კონსერვაცია-რესტავრაცია
Shorena Tavadze 512
Manuscripts Structural Analysis and Conservation-Restoration of the Document performed on Parchment

ლია სიხარულიძე 513
სვანეთის უნიკალური ხელნაწერების რესტავრაციის შესახებ
Lia Sikharulidze 520
Restoration of the Unique Manuscripts from Svaneti Treasury

სოფიო ცერცვაძე 521
ხელნაწერის ავთენტურობის შენარჩუნების მნიშვნელობა ტყავის ყდის რესტავრაციის პროცესში
Sophio Tsertsvadze 527
Importance of Preserving the Authenticity of Manuscript in the Process of Restoration of Leather Cover

ხათუნა გაუჩინდაშვილი
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული იერუსალიმური ლექციონარის უცნობი პალიმფსესტური ფრაგმენტი

(A 1390, H 3189, Svan. 12 ხელნაწერების მიხედვით)

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა საცავში A 1390 ნომრით ინახება კრებული, რომელიც შეიცავს საგალობლებსა და წმინდანთა ცხოვრებებს. ხელნაწერი პალეოგრაფიულად XV საუკუნით თარიღდება, საკმაოდ მცირე ზომისაა (145x125 მმ), შედგება 63 ფურცლისგან, ნაწერია შავი მელნით ნუსხურად.

კრებული შეიცავს კვირიკესა და ივლიტას, კოზმასა და დამიანეს საგალობლებს, წმ. გიორგის, წმ. თევდორეს წამებებს და ევსტრატის წამების ფრაგმენტს. ხელნაწერს ახლავს ანდერძი, რომლიდანაც ვიგებთ, რომ მისი გადამწერი ყოფილა ვინმე ანტონი:

„წმიდაო გიორგი, შეივედრე სული ცოდვილისა ანტონი მწერალისა, დღესა მას განკითხვისასა, ამინ" (34 r).

სამწუხაროდ, არ ვიცით, სად და რა გარემოებაში გადაიწერა ხელნაწერი. ხელნაწერთა აღწერილობიდან ცნობილია, რომ კრებული ინახებოდა სვანეთში. სვანეთიდან კი აკაკი შანიძემ ჩამოიტანა 1921 წელს [ხელნაწერთა აღწერილობა, 1954: 488-489].

მართალია, A 1390 ხელნაწერი მოცულობით მცირეა (სულ 63 ფურცელი), მაგრამ ძალიან საინტერესოა და მთლიანად პალიმფსესტია. პალიმფსესტური ფურცლების ტექნიკური აღწერილობის შედეგად გამოიკვეთა, რომ A 1390 პალიმფსესტი შედგება ოთხი ხელნაწერისგან (იგულისხმება ქვედა ფენა).

ჩვენი ნაშრომი შეეხება ერთ-ერთ პალიმფსესტურ ხელნაწერს, რომელიც სულ 8 ფურცლით არის შემორჩენილი (ფფ. 1-8); ჩვენი მიზანია დავადგინოთ პალიმფსესტური ტექსტის რაობა და განვსაზღვროთ ქრონოლოგია.

ტექნიკური აღწერილობა: პალიმფსესტური ფურცლები გაჭრილია შუაზე, ჰორიზონტალურ ხაზზე, გაკეცილია ვერტიკალურად და ამგვარად არის გამოყენებული A 1390 ხელნაწერის ზედა ფენისთვის; ტექსტი ნაწერია ყავისფერი და წითელი მელნით ასომთავრულად, წაკითხვის ხარისხის მიხედვით, პირობითად შეიძლება I-II კატეგორიით განისაზღვროს. პალიმფსესტი დაწერილია ორ სვე-

ტად, ყოველგვარი გაფორმების გარეშე, თითოეულ სვეტში შემორჩენილია 14 სტრიქონი (სავარაუდოდ, სულ 28 სტრიქონი უნდა ყოფილიყო), სტრიქონზე მოთავსებულია 20/22 გრაფემა; არშიები: ზედა: 30 მმ; ქვედა: 60 მმ; მარჯვენა: 50 მმ; მარცხენა: 50 მმ; ტექნიკური მონაცემების გათვალისწინებით თუ აღვადგენთ პალიმფსესტური ხელნაწერის ორიგინალის ზომას, დაახლოებით იქნება 345x255 მმ; რაც შეეხება ზედა ტექსტთან მიმართებას, ფურცელთა ნაწილი ნაწერია ზედა ტექსტის მიმართულებით, ნაწილი - საწინააღმდეგო მიმართულებით. საზედაო გრაფემები გადის სვეტიდან და ორ ან ოთხ, ზოგჯერ ხუთ სტრიქონს შორის მანძილს მოიცავს. დაქარაგმებულია კავშირები, საპატიო სიტყვები; განკვეთილობის ნიშნებად გამოყენებულია ორწერტილი და სამი წერტილი თხრობის ან მუხლის დასასრულს, მუხლის დასაწყისში კი გვხვდება რომბის ფორმით განლაგებული ოთხი წერტილი; შეინიშნება სტრიქონის შემავსებელი ხაზები (4v), მსგავსი შევსების ხაზები გვხვდება „ანბანდიდ სახარებაში“ (IX ს.) (საქართველოს ეროვნული არქივი, N107) [ქართული პალიმფსესტები, 2017: 49-50].

პალიმფსესტის რაობის განსაზღვრაში დაგვეხმარა ხელნაწერის 6v-ზე შემორჩენილი ლიტურგიკული მითითებები:

„უფალო, იჴსენ სული ჩემი... იკურთხეს“, „იქმოდით ნუ საზრდელსა“, „ჰპოო ზატიკთა შაბათსა სახარებასა შინა“.

ამავე გვერდის ბოლო სტრიქონზე შემორჩენილია „უფროჲს მზისთუალი“, რომლის წინაც ტექსტი არ იკითხება, თუმცა ჩანს განკვეთილობის ნიშნები. სიტყვის დასაწყისში ცარიელი ადგილია დატოვებული. აქ, სავარაუდოდ, წითელი მელნით იქნებოდა ლიტურგიკული მითითება, რომელიც აღარ ჩანს პალიმფსესტის გადარჩეცხვის გამო. პირველადი დაკვირვებით, ჩვენი ხელნაწერი იერუსალიმური პრაქტიკის ამსახველი ლექციონარი უნდა ყოფილიყო. ეს მოსაზრება პალიმფსესტის ამოკითხვამ და შესწავლამაც დაადასტურა.

პალიმფსესტის 16 გვერდიდან ამჟამად ამოკითხულია 15 გვერდი: ფრაგმენტი შეიცავს ნაწყვეტებს პავლეს ეპისტოლეებიდან, იოანეს სახარებიდან, ესაიას წინასწარმეტყველებიდან, ასევე შემორჩენილია რამდენიმე ფსალმუნის დასაწყისი.

იერუსალიმური ლექციონარის მ. თარხნიშვილისეული გამოცემის მიხედვით, დადგინდა, რომ A 1390 ხელნაწერის პირველი რვა პალიმფსესტური ფურცელი დიდი მარხვის ყველიერის კვირის შაბათი დღის განგების ფრაგმენტია:

ყველიერის შაბათს მიცვალებულთა ხსენების დღე აღინიშნებოდა:

ამ დღეს იკითხებოდა საკითხავები ეზეკიელისა და დანიელის წინასწარმეტყველებებიდან, პავლეს ეპისტოლეებიდან, ლუკასა და იოანეს სახარებებიდან და 24, 30, 40, 85, 137, 138 ფსალმუნები.

პალიმფსესტმა ამ მასალიდან შემოგვინახა პავლეს ეპისტოლის ფრაგმენტი (პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, 15:19-22; 15:50-53; 15:58).

ყველიერის შაბათ დღეს იკითხებოდა იოანეს სახარება, 5:24-30. ამ ნაწილიდან ჩვენი ხელნაწერი შეიცავს იოანეს სახარების 5:24; 26-30 მუხლებს:

ფსალმუნებიდან ტექსტში შემორჩენილია მხოლოდ 24-ე და 30-ე ფსალმუნების დასაწყისები:

შენდ(ა)მი ო(ვფალ)ო აღვიღე სოვლი ჩ(ემ)ი:· *(Ps. 24:1)*
ს(ოვ)ლი ჩემი ჴელთა შ(ე)ნთა:· *(Ps. 30:6)*

პალიმფსესტური ხელნაწერის ფრაგმენტი შეიცავს ასევე იოანეს სახარების 5:19-23 მუხლებს. სახარების ეს ნაწილი, თარხნიშვილის გამოცემის თანახმად, იკითხება ზატიკის მეორე შაბათ დღეს (იოანე, თავი 5, 1-23) [Tarchnischvili, 1959: 154].

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული პალიმფსესტების კვლევამ წარმოაჩინა, რომ A 1390 ხელნაწერის გარდა, ჩვენი პალიმფსესტის ნაწილები წარმოდგენილია H 3189 (2 ფ.) და Svan. 12 (1 ფ.) ხელნაწერების ქვედა ფენაშიც: H 3189 (2 ფ.) პალიმფსესტი შეიცავს მათესა და მარკოზის სახარებათა ფრაგმენტებს (მათე 1:2-17; მარკოზი 10:49-52; 12:30-34). მათეს სახარების ეს ადგილი იკითხება ქრისტეშობის წინა კვრიაკჱს. Svan. 12 (1 ფ.) პალიმფსესტმა კი შემოგვინახა საკითხავები რომაელთა მიმართ ეპისტოლიდან და ლუკას სახარებიდან (რომ. 8:35-39; ლუკა 9:18-22). რომაელთა ეპისტოლის ეს ადგილი წმინდანთა ხსენების ზოგადი ლიტურგიის ნაწილია [Tarchnischvili, 1960: 80-81].

ამრიგად, A 1390, H 3189 და Svan. 12 ერთი და იმავე პალიმფსესტის ნაწილებია. ამასთან, ერთი და იგივეა H 3189 და Svan. 12 ხელნაწერების ზედა ფენაც (ხელნაწერი ღვთისმშობლის მიმოსვლის ტექსტს შეიცავს და XIII-XIV სს. თარიღდება [ხელნაწერთა აღწერილობა, 1953: 447]).

ტექსტის იდენტიფიკაციამ აჩვენა, რომ პალიმფსესტი შეიცავს მარხვის წინა მოსამზადებელ, მარხვის შემდგომ ზატიკის პერიოდის ფრაგმენტებს, ასევე წმინდანთა ზოგადი ლიტურგიის ნაწილს. ამდენად, ხელნაწერი მთელი ლექციონარი კრებულის შემცველი უნდა ყოფილიყო.

პალიმფსესტური ხელნაწერის ტექსტი გამოირჩევა შინაარსობრივი თავისებურებით. ეს თავისებურება ისაა, რომ პალიმფსესტში ამოკითხულია მარკოზისა (მარკ.10:49-52 — H 3189) და ლუკას სახარების (ლუკა 9:18-22; ლუკა 9:25-27 — Svan. 12) ფრაგმენტები, რომლებიც არ იძებნება დღეისათვის ცნობილი იერუსალიმური ლექციონარის შემცველ სრულ ხელნაწერებში.

ძირითადი საკითხავების გარდა, პალიმფსესტი შეიცავს რომაელთა მიმართ პავლეს ეპისტოლეს მეხუთე და მეექვსე თავის ფრაგმენტს (რომ. 5:12-21-6:1 — A 1390). მ. თარხნიშვილის მიერ გამოცემულ ლექციონარში პავლეს ეპისტოლის ეს ადგილი რომელიმე დღის საკითხავად მითითებული არ არის. ლექციონარს

ლიტურგიის ძირითადი ნაწილის დასრულების შემდეგ ახლავს ე.წ. სარჩევი-საძიებელი, რომელშიც მითითებულია, რომ პავლეს რომაელთა მიმართ ეპისტოლის მეხუთე თავის მე-12-21-ე მუხლები იკითხება შაბათ დღეს [Tarchnischvili, 1960: 105]. თუ რომელი შაბათი დღე იგულისხმება, კონკრეტულად აღნიშნული არ არის. შესაძლოა, ეს იყო არა ყველიერის შაბათის, არამედ ზოგადად შაბათის დღის საკითხავი. რომაელთა მიმართ პავლეს ეპისტოლის ტექსტი ოდესღაც სრულად უნდა ყოფილიყო შესული ლექციონარში. როდესაც ლექციონარი თანდათანობით შეივსო და დაიხვეწა, ზოგი ტექსტი აღარ შეჰქონდათ ძირითად ნაწილში და საძიებელში დაურთავდნენ ხოლმე შესაბამისი მითითებით. ყოველ შემთხვევაში, ჩვენამდე მოღწეული მე-10 საუკუნის ლექციონარები ძირითად ტექსტში (იერუსალიმის, პარიზის, ლატალის, კალის და სინის ლექციონარები) პავლეს ამ კონკრეტული ეპისტოლის ტექსტს არ შეიცავს. საინტერესოა ის, რომ ჩვენს პალიმფსესტში პავლეს ეპისტოლე რომაელთა მიმართ, 5:12-21-6:1 სწორედ შაბათ დღეზე გვხვდება და ტექსტი თითქმის სრულად არის შემონახული. ამით ჩვენი ფრაგმენტი განსხვავდება დღესდღეობით ცნობილი სხვა ლექციონარებისგან.

შინაარსობრივ თავისებურებასთან ერთად ხელნაწერი გამოირჩევა პალეოგრაფიული თავისებურებით: პალიმფსესტი ნაწერია მრგვლოვანი ასომთავრულით; ენობრივი ნიშნების მიხედვით, ტექსტს არ ახასიათებს ხანმეტობა ან ჰაემეტობა, სამაგიეროდ, ყარები, ბანები, შინები, ჟანები და ვიე თავშეკრულია. ამ გრაფემათა თავშეკრულობას არ აქვს სპორადული ხასიათი, გადამწერი მთელ ხელნაწერში იცავს წერის, ასე ვთქვათ, გრაფიკულ მანერას ან თავისებურებას და ზემოაღნიშნულ გრაფემებს ყველგან, უგამონაკლისოდ, თავშეკრული ფორმით წერს.

სამწუხაროდ, უთარიღო ხელნაწერების დასათარიღებლად არ მოგვეპოვება მყარი კრიტერიუმები. აკაკი შანიძეს ხანმეტი ლექციონარის შესწავლისას გადამწყვეტად მიაჩნია ენობრივი მახასიათებლები (ტექსტის ხანმეტობა) და ლექციონარს VII საუკუნით ათარიღებს. დათარიღებისას ითვალისწინებს ასევე ხელნაწერის წერის საერთო ხასიათს და არა რამდენიმე გრაფემის თავშეკრულობას. გრაფემები თავშეკრული ფორმით ხანმეტ ლექციონარშიც დასტურდება, თუმცა სპორადულად:

ბ - 10, 5; ვ — 7,2; 51,4; ყ - 5,8; 51,6; შ - 48,9.

აკ. შანიძე აქვე შენიშნავს, რომ თავშეკრული ფორმით ეს გრაფემები X საუკუნეშიც შეიძლება შეგვხვდესო [ხანმეტი ლექციონარი, 1944: 021].

ივ. ჯავახიშვილი უთარიღო ხელნაწერების დასათარიღებლად ენობრივ ნიშნებთან ერთად გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს სამი გრაფემის მოხაზულობას: ბანის, ვიესა და ყარისას. ამათგან ბანი უძველეს ძეგლებში თავშეკრული იწერებოდა, შემდეგ კი თავი გაეხსნა ჯერ ოდნავ, თანდათანობით კი

სრულიად. რაც უფრო გვიანდელია ძეგლი, ბანს მით უფრო მეტად აქვს თავი გახსნილი [ჯავახიშვილი, 1996: 277]. ბოლნისის სიონის წარწერაში (V-VI სს.) ბანს ძველი მოხაზულობა დაცული აქვს, თავშეკრულია [ლაპიდარული..., 1980: 66], მცხეთის ჯვრის წარწერაში კი ოდნავ თავგახსნილია (VII ს.) [ლაპიდარული..., 1980: 157-167]. ატენის ხეობაში მდებარე იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში, ჯვრის კვარცხლბეკზე არსებულ წარწერაში ვეჟან ატენელი მამასახლისის მოსახსენებლით (VIII ს.) გრაფემები სრულად თავგახსნილია [ლაპიდარული..., 1980: 106-107].

ივ. ჯავახიშვილმა, ტექსტებში თავშეკრული გრაფემებისა და ხანმეტი ფორმების გათვალისწინებით, ხუთი პალიმფსესტური ხელნაწერი V-VI საუკუნეებით დაათარიღა [ჯავახიშვილი, 1996: 283-284].

რადგან პალეოგრაფია გადამწყვეტი არ აღმოჩნდა ჩვენი პალიმფსესტის დათარიღებაში, ხელნაწერი ტექსტოლოგიურად შევადარეთ ოთხთავისა და პავლენის ტექსტებს. პალიმფსესტის ტექსტი მიჰყვება წინარეათონურ ჯრუჭპარხლისა [შანიძე, 1945] და პავლენის AB რედაქციებს [პავლეს ეპისტოლეთა..., 1974], რაც მისი სიძველის კიდევ ერთი დამადასტურებელია.

როგორც ვხედავთ, ერთი მხრივ, გვაქვს პალეოგრაფიული და შინაარსობრივი თავისებურება, რაც ხელნაწერის სიძველეს მოწმობს, მეორე მხრივ კი, ხანმეტობისა და ჰაემეტობის არარსებობა, ხშირად გამოყენებული ქარაგმები (კავშირებისა და საპატიო სიტყვების გარდა, სხვა სიტყვების დაქარაგმებაც გვხვდება), რაც ხელს გვიშლის ხელნაწერის ადრეული პერიოდით დათარიღებაში.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ხელნაწერში არსებული პალეოგრაფიული და ტექსტოლოგიური მონაცემების საფუძველზე პალიმფსესტს VIII-IX საუკუნეებით ვათარიღებთ.

პალიმფსესტური ტექსტი თავისებურებებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია როგორც იერუსალიმური ლექციონარის შესასწავლად, ასევე პალეოგრაფიული თვალსაზრისითაც.

პალიმფსესტის ტექსტი ქვეყნდება ლექციონარის კალენდრის მიხედვით: მარხვისა და ზატიკის პერიოდის საკითხავები, ზოგადი ლიტურგიის მასალა, ბოლოს კი დართულია ის საკითხავები, რომლებიც არ იძებნება დღეისათვის ცნობილი იერუსალიმური ლექციონარის შემცველ სრულ ხელნაწერებში.

ღ(ესა) შაბათსა სახსენებელი სუ(ლთა)ჲ:

გ საკითხავი პავლე კორინთელთაჲ (1Cor. 15:19-22)

[A 1390: 6r]: 19. {...} ოვსაწყალობელ(ს)ს ყ(ოველ)თა კაცთასა ვართ 20. ხოლო აწ ქ(რისტ)ჱ აღდგომილ არს მკუდრეთით პირველი იგი შესოვენებოვლთა 21. რ(ამეთოვ) კაცთა მიერ იყო სიკოვდილი და კაცთა მიერ აღდგომ[ა]ჲ მკოვდართაჲ: 22. ვ(ითარც)ა იგი ადამის გამო ყ(ოველ)ნი მოწყდებინ ეგრეცა ქ(რისტ)ს მიერ ყოველნი ცხოველ იქმნებიან:·

დ საკითხავი პავლე კორინთელთაჲ (1 Cor. 15: 50-53; 58)

[A 1390: 1r] 50. {...} რ(ამეთოვ) ჴორცთა და სისხლთა სასოვფეველი ღმ(რ)თ(ი) საჲ ვერ დაიმკვდრონ არცაღა ხრწნილებამან ოვხრწნელებ(ა)ჲ დაიმკვდროს 51. აჰა ესერა საიდოვმლოსა გითხრობ თქ(ოვ)ენ ყ(ოველ)თავე შევისოვენოთ ა(რამე)დ არა ყ(ოველ)ნი გ(ა)ნვახლდეთ 52. მეყსა შინა წამსა თოვ(ა)ლის(ა)სა ოვკოვანაჲსკნელითა მით საყვრისა საყვრსა დასცენ და მკოვდარნი აღდგენ ოვხრწნელნი და [ჩოვენ განვახლ]დეთ 53. რ(ამეთოვ) ჯერ არს [ხ]რწნილისა მის შემოსად ოვხრწნელებაჲ და[1] {...} [A 1390: 6v] 58. ძმანო ჩემნო ს(ა)ყ(ოვა)რელნო მტკიცე იყვენით და შეოვრყეველ ჰმატებდით საქმესა ღ(მრ)თის(ა)სა მ(ა)ს ოვწყოდეთ რ(ამეთოვ) შრომაჲ ეგე თქ(ოვე)ნი არა ცოვდად იყოს ო(ვფლ)ისა მიერ:·

ო(ვფალ)ო იჴსენ სული ჩემი მო:·
ნეტარ არს რ(ომე)ლსა ეშინის ოვ(ფლი)სა და მან იკ(ოვ)რთხ(ი)ს:·
იქმოდით ნოვ საზრდელსა [...]
ზ(ა)ტ(ი)კთა შ(ა)ბ(ა)თსა ს(ა)ხ(ა)რ(ე)ბ(ა)სა შ(ინ)ა:·
[...] : ოვფროჲს მზისთოვა:

ფსალ. / Ps. 24:1
[A 1390 6r] შენდ(ა)მი ო(ვფალ)ო აღვიღე სოვლი ჩ(ემ)ი:·
ფსალ. / Ps. 30:6
[A 1390 6r] ს(ოვ)ლი ჩემი ჴელთა შ(ე)ნთა:·

სახარება იოვანეს თავისაჲ (Jn 5: 24-30)

[A 1390: 6r] 24. [ა]მენ ა(მე)ნ გეტყჳ თქ(ოვ)ენ რ(ამეთოვ) რ(ომელმა)ნ ს(ი)ტყ(ოვა)ნი [A1390: 7v] იგი არა შევიდეს ა(რამე)დ გარდაიცვალოს სიკოვდილისაგან ცხორებად 25. ამენ ა(მე)ნ გეტყოვი თქოვენ რ(ამეთოვ) მოვალს ჟამი და აწვე არს ოდეს მკოვდართა ისმინნენ სიტყ(ოვა)ნი ძისა ღ(მრ)თ(ი)ს(ა)ნი და რ(ომე)ლთა ისმინნენ ცხონდ(ე)ნ 26. რ(ამეთოვ) ვ(ითარც)ა მამასა აქოვს ცხორ[ე]ბაჲ თავისა თვსისა თ(ა)ნა:· [A1390: 1v] ეგრეცა ძესა მოსცა რ(აჲთ)ა აქოვნდეს ცხორებაჲ თავისა თვსისა თანა 27. და ჴელმწიფებაჲ მოსცა მას სარჩელისაცა ყოფად რ(ამეთოვ) ძჱ კაცისაჲ არს 28. ნოვ გიკოვირნ ესე:· რ(ამეთოვ) მოვალს ჟამი რ(ომ)ლ(ი)სა ყ(ოველ)ნი რ(ომელ)ნი ისხნენ საფლავებსა ისმინონ ჴმისა მისისაჲ 29. და გამოვიდოდიან კეთილისა მოქმედნი ადგომასა მას ცხორებისასა: ხ(ოლო) ბოროტისა მოქმედნი ადგომასა სარჩელის(ა)სა:· 30. არა ჴელმეწიფე[ბის] {...}

[1] პალიმფსესტი მოჭრილია და ტექსტი 58-ე მუხლიდან გრძელდება.

ᲓᲦᲔᲡᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲡᲐ Ბ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲬᲛᲘᲓᲐᲡᲐ ᲐᲠᲝᲞᲐᲒᲘᲙᲡ ᲘᲧᲝ:

ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐᲐ ᲘᲝᲕᲐᲜᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲐ *(Jn 5: 19-23)*

[A 1390: 3r] 19. ᲰᲠᲥ(ᲝᲕ)Ა ᲛᲐᲗ Ა(ᲛᲔ)Ნ [ᲐᲛᲔᲜ] [ᲒᲔᲢ]ᲧᲕ ᲗᲥ(ᲝᲕᲔ)Ნ ᲐᲠᲐ ᲬᲔᲚᲔᲬᲘᲤᲔᲑᲘᲡ ᲫᲔᲡᲐ ᲙᲐᲪᲘᲡᲐᲡᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲓ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲗᲕᲡᲘᲗ ᲐᲠᲐ ᲠᲐᲐ ᲝᲕᲙ(ᲝᲕᲔ)ᲗᲝᲕ ᲐᲠᲐ ᲘᲮᲘᲚᲝᲡ ᲠᲐᲐ {...} {...} [A 1390: 2v] 20. {...} [ᲛᲐᲛ]ᲡᲐ ᲝᲕᲧᲝᲕᲐᲠᲡ ᲫᲛ:· ᲓᲐ (ᲧᲝᲕᲔ)ᲚᲡᲐᲕᲔ ᲝᲕᲭᲝᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲛᲐᲡ ᲠᲐᲕᲓᲔᲜᲡᲐ ᲘᲒᲘ ᲘᲥᲛᲡ ᲓᲐ ᲝᲕᲤᲠᲝᲠᲝᲛᲘᲗᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ ᲝᲕᲭᲝᲕᲔᲜᲝᲡ ᲛᲐᲡ ᲡᲐᲥᲛᲛ Რ(ᲐᲓᲗ)Ა ᲗᲥ(ᲝᲕ) ᲔᲜ ᲒᲘᲙᲕᲠᲓᲔᲡ 21. Რ(ᲐᲛᲔᲗᲝᲕ) Ვ(ᲘᲗᲐᲠᲪ)Ა ᲘᲒᲘ ᲛᲐᲛᲐᲛ ᲐᲦᲐᲓᲒᲘᲜᲔᲑᲡ ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲪᲮᲝᲕᲜᲔᲑᲡ ᲔᲒᲠᲔᲪᲐ ᲫᲛ Რ(ᲝᲛᲔ)ᲚᲗᲐᲛ ᲭᲜᲔᲑᲐᲕᲡ ᲐᲪᲮᲝᲕᲜᲔᲑᲡ 22. ᲐᲠᲪᲐᲦᲐ ᲛᲐᲛᲐᲛ ᲕᲘᲡ ᲡᲯᲘᲡ [A 1390: 4v] Ა(ᲠᲐᲛᲔ)Დ Ყ(ᲝᲕᲔ)ᲚᲘ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲪᲐ ᲫᲔᲡᲐ Ვ(ᲘᲗᲐᲠᲪ)Ა ᲙᲐᲪᲡᲐ 23. Რ(ᲐᲓᲗ)Ა Ყ(ᲝᲕᲔᲚ)ᲜᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲪᲔᲛᲓᲔᲜ ᲫᲔᲡᲐ Ვ(ᲘᲗᲐᲠᲪ)Ა ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲪᲔᲛᲔᲜ ᲛᲐᲛᲐᲡᲐ Რ(ᲐᲛᲔᲗᲝᲕ) Რ(ᲝᲛᲔ) ᲚᲛᲐᲜ ᲐᲠᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲪᲔᲡ ᲫᲔᲡᲐ ᲛᲐᲜ ᲐᲠᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲪᲐ ᲛᲐᲛᲐᲡᲐ Რ(ᲝᲛᲔᲚᲛᲐ)Ნ [ᲛᲝᲐᲕᲚᲘᲜᲐ ᲘᲒᲘ]

ᲛᲐᲠᲙᲝᲖᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐ[2] *(Mk 12: 30-34)*

[H 3189: 2r] 30. {...} Ყ(ᲝᲕᲚᲘ)ᲗᲐ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲗᲐ ᲨᲔᲜᲘᲗᲐ:· ᲔᲡᲔ ᲐᲠᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲪᲜᲔᲑᲐᲓ 31. ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲘᲧᲝᲕᲐᲠᲝ ᲛᲝᲧᲝᲕᲐᲡᲘ Შ(ᲔᲜ)Ი Ვ(ᲘᲗᲐᲠᲪ)Ა ᲗᲐᲕᲘ ᲗᲕᲡᲘ [ᲝᲕᲤ]ᲠᲝᲓᲡ ᲐᲛᲐᲗᲡᲐ ᲡᲮᲕᲝᲕᲓ ᲛᲪᲜᲔᲑᲐᲓ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲡ: 32. ᲓᲐ ᲰᲠᲥᲝᲕᲐ ᲛᲐᲡ Მ[ᲬᲘᲒᲜᲝᲑᲐᲠ] ᲛᲐᲜ ᲛᲐᲜ: ᲙᲔᲗᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲛᲫᲘᲝᲕᲐᲠ ᲯᲔᲨᲛ(Ა)ᲠᲘᲢ(Ა)Დ ᲡᲗᲕᲛᲝᲕ Რ(ᲐᲛᲔᲗᲝᲕ) ᲔᲠᲗ ᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲓ ᲐᲠᲡ ᲡᲮᲝᲕᲐᲓ ᲛᲘᲡᲐ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ 33. ᲓᲐ ᲨᲔᲧᲝᲕᲐᲠᲔᲑᲐᲓ ᲘᲒᲘ Ყ(ᲝᲕ)ᲚᲘᲗᲐ ᲡᲝᲕᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ Ყ(ᲝᲕ)ᲚᲘᲗᲐ ᲒᲝᲕᲚᲘᲡᲮᲛᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲧᲝᲕᲐᲠᲔᲑᲐᲓ ᲛᲝᲧᲝᲕᲐᲡᲘ Ვ(ᲘᲗᲐᲠᲪ)Ა [ᲗᲐᲕᲘ ᲗᲕᲡᲘ ᲓᲐ] ᲝᲕᲤᲠᲝᲠᲝᲓᲡ ᲐᲠᲡ ᲔᲡᲔ Ყ(ᲝᲕᲔᲚ)ᲗᲐ [ᲓᲐᲡᲐᲬ]ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ Შ(Ე)Ს(Ა)Წ(Ი)Რ(Ა)ᲕᲗᲐ:· 34. ᲓᲐ Ი(ᲔᲡᲝ)Ვ ᲘᲮᲘᲚᲐ Რ(ᲐᲛᲔᲗᲝᲕ) ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲐᲓ ᲛᲘᲝᲕᲒᲝ ᲰᲠᲥ(ᲝᲕ)Ა ᲛᲐᲡ ᲐᲠᲐ ᲨᲝᲠᲡ ᲮᲐᲠ Ს[ᲐᲡᲝᲕᲤᲔᲕᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ] {...}

ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲙᲗᲠᲘᲐᲙᲡ:

ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐᲐ ᲛᲐᲗᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲐ *(Mt 1: 2-17)*

[H 3189: 1r] 2. {...} ᲘᲡᲐᲙᲛᲐᲜ ᲨᲕᲐ ᲘᲐᲙᲝᲑᲘ ᲘᲐᲙᲝᲑᲛᲐᲜ ᲨᲕᲐ ᲘᲝᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲫᲛᲐᲜᲘ ᲛᲘᲡᲜᲘ: 3. Ხ(ᲝᲚᲝ) ᲘᲝᲕᲓᲐ ᲨᲕᲐ ᲤᲐᲠᲔᲖ ᲓᲐ ᲖᲐᲠᲐ ᲗᲐᲛᲐᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲤᲐᲠᲔᲖ ᲨᲕᲐ ᲔᲡᲠᲝᲛ ᲔᲡᲠᲝᲛ ᲨᲕᲐ ᲐᲠᲐᲛ 4. ᲐᲠᲐᲛ ᲨᲕᲐ ᲐᲛᲘᲜᲐᲓᲐᲑ ᲐᲛᲘᲜᲐᲓᲐᲑ ᲨᲕᲐ ᲜᲐᲡᲝᲜ ᲜᲐᲡᲝᲜ ᲨᲕᲐ ᲡᲐᲚᲛᲝᲜ 5. ᲡᲐᲚᲛᲝᲜ ᲨᲕᲐ ᲑᲝᲝᲖ ᲑᲝᲝᲖ ᲨᲕᲐ ᲘᲝᲑᲔᲓ ᲠᲝᲒᲝᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲘᲝᲑᲔᲓ ᲨᲕᲐ ᲘᲔᲡᲔ 6. [ᲘᲔᲡᲔ] ᲨᲕᲐ Დ(ᲐᲕᲘ)ᲗᲗ ᲛᲔᲤᲔ Დ(ᲐᲕᲘ)ᲗᲗ Მ(Ე)Ფ(ᲔᲛᲐ)Ნ ᲨᲕᲐ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ [...] 7. [ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲛᲐᲜ ᲨᲕᲐ ᲠᲝᲑᲝᲐᲛ ᲠᲝᲑᲝᲐᲛ ᲨᲕᲐ ᲐᲑᲘᲐ Ა]ᲑᲘᲐ ᲨᲕᲐ ᲐᲡᲐᲤᲘ 8. ᲐᲡᲐᲤᲛᲐᲜ ᲨᲕᲐ ᲘᲝᲡᲐᲤᲐᲢ ᲘᲝᲡᲐᲤᲐᲢᲛᲐᲜ ᲨᲕᲐ ᲘᲝᲠᲐᲛ ᲘᲝᲠᲐᲛ ᲨᲕᲐ ᲝᲖᲘᲐ 9. ᲝᲖᲘᲐ[3] {...} [H 3189: 1v] 13. {...} ᲔᲚᲘᲐᲙᲘᲛ ᲔᲚᲘᲐᲙᲘᲛ ᲨᲕᲐ ᲐᲖᲝᲠ 14. ᲐᲖᲝᲠ ᲨᲕᲐ ᲖᲐᲓᲝᲙᲙ ᲖᲐᲓᲝᲙᲙ {ᲨᲕᲐ} ᲐᲥᲘᲛ ᲐᲥᲘᲛ ᲨᲕᲐ ᲔᲚᲘᲝᲕᲓ 15. ᲔᲚᲘᲝᲕᲓ ᲨᲕᲐ ᲔᲚᲘᲐᲖᲐᲠ ᲔᲚᲘᲐᲖᲐᲠ ᲨᲕᲐ ᲛᲐᲢᲐᲗᲐᲜ ᲛᲐᲢᲐᲗᲐᲜ ᲨᲕᲐ ᲘᲐᲙᲝᲑ 16. ᲘᲐᲙᲝᲑ ᲨᲕᲐ ᲥᲛᲐᲠᲘ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘᲡᲘ ᲘᲝᲡᲔᲑ Რ(ᲝᲛ)ᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲘᲨᲕᲐ Ი(ᲔᲡᲝ)Ვ Რ(ᲝᲛᲔ)ᲚᲡᲐ ᲰᲠᲥᲕᲐᲜ ᲥᲠ(ᲘᲡᲢ)Ე 17. ᲧᲝᲕᲔᲚᲘ Ნ(Ა)ᲗᲔᲡ(Ა)

[2] ᲛᲐᲠᲙᲝᲖᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲒᲕᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲚᲐᲢᲐᲚᲘᲡ ᲚᲔᲥᲪᲘᲝᲜᲐᲠᲨᲘ, ᲘᲒᲘ ᲖᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲔᲥᲕᲡᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘᲐ (Mk 12:28-44).

[3] ᲞᲐᲚᲘᲛᲤᲡᲔᲡᲢᲘ ᲛᲝᲭᲠᲘᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲔ-13 ᲛᲣᲮᲚᲘᲓᲐᲜ.

ვი აბრაჰამისითგ(ა)ნ ვ(იდრ)ე [დ]ავითისამდე ნათესავი ათოთხმეტ და დ(ავი) თ(ი)ს(ი)თგ(ა)ნ ვ(იდრ)ე ტყ[ოვეო]ბამდე ბაბილონისა ნათესავი ათოთხმეტ და ტყოვენვითგ(ა)ნ [ბაბილონისაჲთ] {...}

წმიდათა მოწამეთათჳს:

დ საკითხავი პავლე ჰრომაელთაჲ (Rom 8: 35-39)

[Svan 12: 1r] 35. {...} ვ(ითარც)ა წერილ არს 36. რ(ამეთოვ) შ(ე)ნთვს მოვწყდებით ჩ(ოვე)ნ მარადღე და შევირაცხებით ჩოვენ ვ(ითარც)ა ცხოვარნი კლვადნი 37. ა(რამე)დ ამას ყ(ოვე)ლსა ზ(ედ)ა შეოვძლოთ ჩ(ოვე)ნ მის მიერ რ(ომელმა)ნ იგი შემიყოვარნა ჩოვენ: 38. მრწამს მე რ(ამეთოვ) არცა სიკოვდილმ(ა)ნ არცა ცხო[რებ]ამან არცა ანგ(ე)ლ(ო)ზთა არცა მთავრობათა არცა [... ... ...] არცა ამან ს(ო)ფ(ე)ლმ(ა)ნ ა[მ]ა[ნ] ს(ო)ფ(ე)ლმ(ა)ნ 39. არცა სიმაღ[ლეთ არცა სიღრმეთა] და არ[ცა] [სხოვამ(ან)] დ(ა)ბ(ა)დ(ე)ბ(ოვ)ლმ(ა)ნ შემიძ(ოვ)ლოს ჩ(ოვე)ნ [განყენ] ებად სიყოვ(ა)რ(ოვ)ლსა ღ(მრ)თის(ა)სა {...}

საკითხავნი ღიჲანიისნი:

ა საკითხავი ესაია წინასწარმეტყველისაჲ (Is 1:31)

[A 1390: 8r] 31. {...} ალნი ცეცხლისანი:· და დაიწ[ოვ]ნენ ოვშჩოვლონი და ცოდვილნი ერთად და არავ (sic!) იყოს დამშრეტელ:·

ბ საკითხავი ესაია წინასწარმეტყველისაჲ (Is 8: 8-16)

[A 1390: 8r] 8. [...] [ჩოვე]ნ თანა ღ(მერ)თი 9. ცანთ წარმ[ა]რთთა და იძლიენით: ისმ[ინ]ეთ დასასროვლამდე ქ[ო]ვეყნისა და გ(ა)ნძლიერებოვლნი ეგე იძლიენით:· ოვკ[ოვ]ეთოვ კოვ(ა)ლ(ა)დ გ(ა)ნსძლ(იე)რდ(ე)თ:· [A 1390: 8v] 14. {...} [...] ასა და არცა ბრკოლვ[...] შემთხოვევისასა და საც[თ]ოვრი შენ არაჲ შეგემთხვ[ოს] ხ(ოლო) სახლი იგი იაკობისი საფ[რ]ჴედ ღელეთა და დარანებ[ოვ]ლთა იჱ(როვსა) ლ(ემ)ს 15. ამისთ(ვ)ს მოოვძ[ლოვ]რდენ მრავალნი მათ თ[(ა)ნა] დაეცნენ და შეიმოვსრ[ნენ] და შეეახლნენ[4] და საცე[მ(ე)ლ(ა)დ] კაცი წარსაწყმედელ[ად] 16. მაშინ გამოჩინებო[ვლ იყ]ვნენ [...]

ესე განგებაჲ შაბათთაჲ:

ა საკითხავი პავლე ჰრომაელთაჲ (Rom 5:12-21 - 6:1)

[A 1390: 7r] 12. [...] კაცისათჳს ცოდვაჲ სოფლად შემოჴდა და ც(ო)დვისა ძლით სიკოვდილი[5] მოიწია რ(ომ)ლითა ყ(ოველ)თა შესცოდეს:· 13. რ(ამეთოვ) შჩოვლისა მოწევნამდე ცოდვაჲ იყო ს(ო)ფ(ე)ლსა შ(ი)ნა და ცოდვად იგი

[4] „შეეახლნენ" — ეს სიტყვა პარიზის ლექციონარში არ იკითხება. ოშკსა და იერუსალიმში კი გვხვდება „მიეახლნენ".

[5] გადამწერის შეცდომაა. გადამწერმა გამოტოვა რამდენიმე სიტყვა [„და ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკოვდილი"] ერთნაირი ლექსიკის გამო.

არად შერაცხილ იყო რ(ამეთოვ) არღა იყო შჩოვლისა 14. ა(რამე)დ სოვფევდა სიკოვდილი ადამისითგ(ა)ნ:· [A 1390: 4r] მოსჱსამდე და მათ ზედაცა რ(ომე)ლთა იგი არაჲ ეცოდა მსგავსად გარდასლვისა მის ადამისისა რ(ომე)ლ იგი არს სახჱ მერმეთაჲ მათ ჟამთაჲ 15. ა(რამე)დ არა ვითარ შეცოდებაჲ ეგრეცა მ(ა)დლი: ოვკ(ოვე)თოვ ერთისა მის შეცოდებითა მრავალნი მოწყდეს რავდენ ოვფროჲს მადლი ღ(მრთისა)ჲ და ნიჭი იგი მადლითა მით ერთისა კაცისა იესოვ ქ(რისტ)ჱსითა მრავალთა მიმართ აღემატა:· 16. და არა ვითარ ერთისა შეც[A 1390: 5v]ოდებოვლისათვსნიჭი იგი რ(ამეთოვ)სარჩელი იგი ერთისა მისგან დასასჯელად:· ხ(ოლო) მადლი იგი მრავალთა შეცოდებათა გ(ა)ნსამართლებელად 17. ოვკ(ოვე) თოვ ერთისა მის შეცოდებითა სიკოვდილი სოვფევდა [...] [A 1390: 3v] რავდენ ოვფროჲს რ(ომელ)ნი იგი მეტსა მას მადლისასა და ნიჭსა მას სიმართლისასა მიიღებენ ცხორებასა შ(ი)ნა სოვფევდენ ერთისა მისგ(ა)ნ:· 18. იესოვ ქ(რისტ)ჱსა:· ვითარცა იგი ერთისა მისგ(ა)ნ შეცოდებისა ყ(ოველ)თა ზ(ე)და დასასჯელად ეგრეთცა ერთისა მის სიმ(ა)რთლისათვს ყ(ოველ)თა კ(ა)ცთ(ა) გ(ა)ნსამ(ა) რთლებელ(ა)დ ცხ(ო)რებისა 19. ვ(ითარც)ა იგი ერთისა კ(ა)ცისა ოვრჩებითა ცოდვილნი შ[ე]მოჴდეს მრავალნი ეგრეცა ერთისა მის კაცისა მორჩი[ლებითა მ(ა)რთ(ა)ლნი შემოვიდ]ენ [A 1390: 2r] 20. {...} [გ(ა)ნმრ(ა)ვლ]დეს ცოდვაჲ:· სადა იგი განმრავლდა ცოდვაჲ მოვნ ოვფროჲსად გარდაემატა მადლი: 21. რ(აჲთ) ა ვ(ითარც)ა იგი სოვფევდა [ც]ოდვაჲ სიკოვდილსა შინა ეგრეცა მ(ა)დლი სოვფევდეს სიმ(არ)თლითა ცხონებად ს(აოვ)კ(ოვ)ნ(ო)დ ქ(რისტ)ე ი(ესოვ)ჱს მიერ ო(ვ)ფლისა ჩ(ოვე)ნისა:· 6:1. აწ და მე ვადგრეთა ც(ო)დვ(ა)სა მას ზ(ედ)ა {...}

საკითხავები, რომლებიც ღღეისთვის ცნობილ იერუსალიმურ ლექციონარებში არ იძებნება

მარკოზის სახარება *(Mk 10: 48-52)*

[H 3189: 2v] 48. და ჰრისხვიდეს მას რ(აჲთ)ამცა დააღოვმეს ხ(ოლო) იგი ოვფროჲს ღაღადებდა ძეო დ(ა)ვ(ი)თ(ის)ო შ(ე)მ(ი)წყ(ა)ლე [მე] 49. ფერჴი დაიპყრა ი(ესო)ჳ და ბრძანა მოწოდებაჲ მისი და ეტყოდეს აღდეგ ნოვგეშინინ გიწესს შ(ე)ნ: 50. ხ(ოლო) მან მეყსეოვლად დააბნია სამოსელი მისი აღდგა და მოვიდა წ(ინაშ)ე მისა 51. მიოვგო და ჰრქ(ოვ)ა მას რაჲ გნებავს რაჲ გიყო შ(ე)ნ ხ(ოლო) ბრმამან მან ჰ(რ)ქ(ოვ)ა მოძღოვარ რ(აჲთ)ა აღვიხილნე თოვალნი ჩემნი:· 52. ჰრქ(ოვ)ა მას ი(ესო)ჳ გოვალე სარწმოვნობამან [შენმან] გაცხოვნა შ(ე)ნ და მეყსეოვლად აღიხილნა თოვალნი და {...}

ლუკას სახარება *(Lk 9: 18-22)*

[Svan 12: 2v] 18. {...} და მის თანა იყვნეს მოწ(ა)ფენი ჰკითხვიდა მათ და ჰრქ(ოვ)

[e] გადამწერის შეცდომაა. 5v-ზე ტექსტი მეორდება „[მრა]ვალთა მიმართ აღემატა, და არა ვითარ შეცოდებულისათვს".

ა ვინ ვგონიე მე ერსა ამას რაჲ თქოვან ჩემთვს ყოფად 19. ხ(ოლო) მათ მიოვგეს და ჰ(რ)ქ(ოვ)ეს იოვანე ნათლის მცემელი და სხოვათა ელია და რ(ომელ)ნიმე იტყ(ვა)ნ წ(ი)ნ(ა)წ(რმე)ტყ(ოვე)ლი ვინმე პირველთაგ(ა)ნი აღდგომი (sic) 20. ხ(ოლო) ი(ესო)ვ ჰრქოვა მათ თქ(ოვ)ენ ვინ გგონიე მე მიოვგო პეტრე და ჰრქ(ოვ) ა ცხებ(ოვ)ლი ღ(მრთისა)ჲ 21. ხ(ოლო) თავადმან შეჰრისხნა და ამცნო რ(აჲთ) ა არა[ვის] ოვთ{ხრან ესე} 22. და ჰრქ(ოვ)ა მათ ვ(ითარმე)დ {ჯერ-არს ძისა} კ(ა) ც(ისა)ჲ ფ(რია)დ შეოვვა[... ...]

ლუკას სახარება *(Lk 9: 25-27)*

[Svan 12: 1v] 25. რაჲ სარგებელ არს კაცისა შეთოვ იძინოს სოფელი ყ(ოვე)ლი და თავი თვსი წარიწყმიდოს გინა იზღვიოს 26. რ(ომე)ლსა სირცხოვილ ოვჩნდეს ჩემდა მომართ და სიტყ(ოვა)თა ჩემთაჲ ამას ძემა{ნ}ცა კაცისამან არცხვნოს ოდეს მოვიდეს დიდებითა თვსითა და მამისაჲთა და წ(მიდა)თა ანგელოზთაჲთა 27. გეტყვ თქ(უე)ნ ჭ(ე)შმ(ა)რიტ(ა)დ არიან ვინმე მანდა მდგომ[არეთაგანნი] რ(ომე) ლთა არა იხილ(ო)ნ {გე}მოჲ სიკოვდილისაჲ ვ(იდრ)ემდე {იხი}ლონ ს(ა)ს(ოვ)ფ(ე) ვ(ე)ლი ღ(მრ)თის(ა)ჲ.

ლიტერატურა:

1. *ლაპიდარული წარწერები, I. 1980. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.),* შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბილისი: მეცნიერება.
2. *პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები,* 1974. გამოსაცემად მოამზადეს ქეთევან ძოწენიძემ და კორნელი დანელიამ, აკაკი შანიძის რედაქციით, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. *ქართული პალიმფსესტები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, 2017. კატალოგი, ტექსტები, ალბომი.* შეადგინეს: ლ. ქაჯაიამ, ხ. გაფრინდაშვილმა, ც. გულედანმა, ნ. მიროტაძემ, დ. ჩიტუნაშვილმა, ი. ხოსიტაშვილმა, თარგმნა თ. ჟღენტმა. თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
4. *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1953. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტომი VI.* შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ნ. კასრაძის, ე. მეტრეველის, ლ. მეფარიშვილის, ლ. ქუთათელაძისა და ქ. შარაშიძის მიერ. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
5. *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. 1954. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია),* კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით, ტომი IV. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

6. შანიძე აკაკი. 1945. *ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია: სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.)*. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
7. *ხანმეტი ლექციონარი*. 1944. ფოტოტიპიური რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
8. ჯავახიშვილი ივანე. 1996. *თხზულებანი თორმეტ ტომად: ტ. IX*. თბილისი: მეცნიერება.
9. Tarchnischvili, Michael. 1959. Le grand Lectionnaire de l'église de L'Jérusalem (Ve-VIIIe siècle): Tome I. Louvain.
10. Tarchnischvili, Michael. 1960. Le grand Lectionnaire de l'église de L'Jérusalem (Ve-VIIIe siècle): Tome II. Louvain.

KHATUNA GAPRINDASHVILI
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

AN UNKNOWN PALIMPSEST FRAGMENT OF JERUSALEM LECTIONARY PRESERVED AT THE NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

(according to the manuscripts A1390, H 3189, Svan12)

Summary

MS A1390 is preserved at the National Centre of Manuscripts. This is a collection and contains the hymns of St. Kvirike and Ivlita, St. Cosma and Damian, the fragments of the martyrdom of St. George and St. Theodore. By paleographic the manuscript is dated to the 15th century. It is a quite small (145x125) and consists of 63 pages. The manuscript is very interesting, it is completely Palimpsest. MS A1390 contains 4 different manuscripts in its undertext.

We studied one of these palimpsests, copied texts from the pages of the palimpsest in order to identify the content of the undertext and define its chronology.

MSS A1390, H 3189 and Svan 12 (preserved at the National Centre of Manuscripts) are parts of one palimpsest. The manuscript contains text of the Jerusalem Lectionary: it maintains lessons for the periods before and after Lent, a part of the Liturgy of commemorations of the Saints; therefore, it seems that the palimpsest contained a full text of the Lectionary.

The palimpsest pages are entirely unique in their form; at first, it has been revealed that all graphemes, without even occasional exceptions, are written with closed loops similar to the earliest epigraphic inscriptions. On the other hand, however, the text does not contain a single xanmet'i or haemet'i form, which goes against our standard knowledge of Georgian paleography. This makes it difficult to date the palimpsest on the basis of our current knowledge of Georgian paleography, for this reason, it was dated to the 8th-9th centuries.

ირმა ხოსიტაშვილი
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი

A 44 -ში დაცული „მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების“ შემცველი ფრაგმენტისთავის

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის კოლექცია) ფონდში (N 44) ინახება ხელნაწერი კრებული, რომლის ძირითადი ნაწილი XIII საუკუნეშია გადაწერილი. კრებული შეიცავს სახარება-სამოციქულოდან გამოკრებილ საკითხავებს (საკითხავები საუფლო დღესასწაულებზე საგალობლებითა და წმინდანთა ხსენებებით). ხელნაწერის 45-51-ე ფურცლები ამოჭრილია და დანაკლისი აღდგენილია XVII საუკუნის ქაღალდზე, ბოლოში ნაკლული ნაწილის შესავსებად კი, ეტრატის ფურცლები გამოუყენებიათ (155-181 ფფ.).

ძველი ანბანური პაგინაციით ხელნაწერი შეიცავს კბ (22) რვეულს. ამგვარი აღრიცხვა არ აქვს ბოლო ფურცლებს (155-181), სწორედ ეს ნაწილია პალიმფსესტი, რომლის ზედა ტექსტი პალეოგრაფიული ნიშნებით XV საუკუნით თარიღდება.

სამწუხაროდ, ხელნაწერს არ ახლავს ანდერძი, რის გამოც არ მოგვეპოვება ცნობები მისი გადაწერისა და შევსების ზუსტი თარიღის, ადგილისა და გადამწერ-მომგებლის შესახებ.

რაც შეეხება ქვედა ფენას, პალიმფსესტური ფურცლების რაოდენობა ოცდაშვიდია (155-181), აკინძულია 8-ფურცლიან რვეულებად. ზედა ხელნაწერის ორი ფურცლის მისაღებად ეტრატის ფურცელი ჰორიზონტალურად არის გაკეცილი და მარჯვენა გვერდი აქვს ჩამოჭრილი, ხელნაწერის თავდაპირველი ზომა 250x380[1] უნდა ყოფილიყო. დაწერილია ყავისფერი მელნით, დამწერლობა: ნუსხური. ზედა ტექსტთან მიმართება - ვერტიკალური, სვეტების რაოდენობა - 2, სტრიქონების რაოდენობა - 28. რაც შეეხება არშიებს, მხოლოდ მარჯვენა აქვს ჩამოჭრილი, დანარჩენი შენარჩუნებულია და დიდი მოცულობისაა (მარცხენა - 30/32; ქვედა - 40/50; ზედა - 20/25). პალეოგრაფიული დახასიათების მხრივ შეიძლება ითქვას, რომ გვხვდება მცირედ მომრგვალებული მარცხნივ დახრილი გრაფემები, მანძილი სიტყვებს შორის დაცულია; სათაურები შესრულებულია სინგურით, გაფორმებულია გამორჩეული საზედაო ასოებით, რომლებიც 2-4 სტრიქონის სიგრძეს მოიცავს. გვხვდება ხშირი დაქარაგმება, არის განკვეთილობის ნიშნებიც [ქართული პალიმფსესტები... 2017:19; 290-291].

[1] ზომები მოცემულია მილიმეტრებში.

პალიმფსესტში არის გვერდები, რომელთა ამოკითხვა ადვილია, მაგრამ ტექსტის ძირითადი ნაწილი ძლიერ დაზიანებულია და სპეციალური აპარატურის გარეშე თითქმის შეუძლებელია მისი გარჩევა (ამოკითხვა). პალიმფსესტის 162v-ზე სტრიქონზე შემდეგი ტექსტი იკითხება: „ამის საქმისა ქმნაჲ მოსმენაჲ ოდენ...“, კვლევამ გვიჩვენა, რომ ეს ფრაზის ნაწყვეტი (ფრაგმენტი) მაქსიმე აღმსარებელის (VI ს.) ცხოვრების ფრაგმენტია.

მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების შემცველი რამდენიმე ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში: A-636 (1728 წ.), 6r-32v; A-1197 (XIX ს.), 1r-26r (თავნაკლ.); Q-34 (1028-1031 წწ.), 1r-56v (თავნაკლ.); Q-35 (1761 წ.), 1r-27r (თავნაკლ.); Q-138 (XVIII), 1r-2v (ფრაგმენტი); S-396 (XI ს.), გვ. 1-11 (თავნაკლ.); S-367 (1781 წ.), 1-34; H-316 (1820 წ.), 2r-18v; H-1663 (XI), 1r-57r; ერთი ხელნაწერი ინახება ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში ქუთ 1 (გაბიძაშვილი 2004, 281). ტექსტი გამოსცა კორნელი კეკელიძემ [კეკელიძე 1955:289-310].

ქრისტიანობის ისტორიასა და ღვთისმეტყველებაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და განსწავლული ღირსი მამა, წმ. მაქსიმე აღმსარებელი, თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით დაკავშირებულია მონოთელიტობის წინააღმდეგ ბრძოლასთან. მონოთელიტობა – ეს არის ერესი, რომელიც კონსტანტინოპოლის ეკლესიის წიაღში წარმოიშვა და მე-7 საუკუნეში ქრისტეში ორ ბუნებასთან ერთად ერთ ადამიანურ ნებასა და მოქმედებას აღიარებდა. წმ. მაქსიმე, როგორც მონოთელიტობის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი, თავის ორ მოწაფესთან ერთად გაასამართლეს, სამივეს მარჯვენა ხელი და ენა მოკვეთეს და 662 წელს დასავლეთ საქართველოში, ლაზიკაში, გადაასახლეს. წმინდანი მალევე გარდაიცვალა და თავდაპირველად ციხესიმაგრე სხიმარში დაკრძალეს, შემდეგ კი მისი წმინდა ნაწილები გადაასვენეს მურის ციხის ძირში მდებარე წმ. არსენის მონასტერში, რომელსაც მოგვიანებით წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელი ეწოდა.

მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება და თხზულებათა დიდი ნაწილი პირველად ექვთიმე ათონელმა თარგმნა. XII საუკუნეში მაქსიმეს თხზულებათა თარგმნა გელათის სალიტერატურო სკოლაში გაგრძელდა. X-XII საუკუნეებშია ასევე თარგმნილი სამი ბიოგრაფიული დოკუმენტი მაქსიმეს შესახებ. ესენია: ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი მაქსიმეს ვრცელი „ცხოვრება“ (კეკელიძე 1918, 60-103), გიორგი ათონელის მიერ ნათარგმნი სვინაქსარული „ცხოვრება“, რომელიც დიდ სვინაქსარშია შესული (გიორგი მთაწმინდელი 2017, 154-155; 313-314) და გელათის სკოლაში ნათარგმნი მეტაფრასული მოსახსენებელი იოანე ქსიფილინოსისა [კეკელიძე, 1955:289-310].

წმ. მაქსიმეს ცხოვრება, გარდა ბერძნული წყაროებისა, შემოგვინახა ლათინურმა და სირიულმა წყაროებმა. ლათინური წყაროები ბერძნულიდან ითარგმნა IX საუკუნეში და მიუხედავად იმისა, რომ არ შეიცავს დამატებით ინფორმაციას, მეტად მნიშვნელოვანია არმოღწეულ ზოგ ბერძნულ წყაროთა

აღსადგენად თუ ცალკეული ლაკუნების შესავსებად. სირიული ბიოგრაფია კი, ბერძნულ-ლათინურ წყაროთა საპირისპირო ცნობებს შეიცავს წმინდანის ადრეული ცხოვრების შესახებ. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ცხოვრებაში ტენდენციური განწყობების მიღმა შეიძლება გამოიკვთოს ავთენტური ინფორმაცია მაქსიმეს წარმოშობასა და ბავშვობაზე [ხოფერია, 2005:53-54].

ექვთიმე ათონელის თარგმანი ბერძნული ენიდან არის შესრულებული და შესაბამისად, ბერძნულ-ლათინურ ტრადიციას მიჰყვება. თუმცა აქაც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენამდე მოღწეულია წმ. მაქსიმეს ცხოვრების ოთხი ბერძნული რედაქცია (გარდა ამისა, არსებობს კიდევ ბერძნული სვინაქსარული და შემოკლებული რედაქციები). ექვთიმე ათონელის თარგმანი სხვაობს ამ ოთხივე რედაქციისგან, რადგან მასში ჩართულია მთარგმნელისეული ინტერპოლაციები [Khoperia, 2009:41]. საქმე ისაა, რომ ექვთიმე თავის თარგმანებში სხვა წყაროებიდან ურთავდა ინტერპოლაციებს. მისთვის უცხო არ იყო სათარგმნი ტექსტის გამოკრება, კომპილაცია, რედაქციული გადამუშავება. ექვთიმეს სურდა სათარგმნი ლიტერატურა ქართველი მკითხველისთვის გასაგები და გამოსადეგი ყოფილიყო. მისი ეს „შემატებისა და კლების" სტილი, ასევე სათარგმნი დედნის მიმართ თავისუფალი დამოკიდებულება კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში და არაერთხელ გამხდარა მეცნიერთა კვლევის საგანი [კეკელიძე, 1945:265; ქურციკიძე, 1978:24-34; ქურციკიძე, 1995:42-63; ხოფერია, 1999:31-139].

რედაქციულობის დასადგენად პალიმფსესტის ტექსტი შევადარეთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების შემცველ სხვა ხელნაწერებს და დავადგინეთ, რომ პალიმფსესტში დაცული ტექსტი ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი წმ. მაქსიმეს ვრცელი „ცხოვრების" რედაქციის ერთ-ერთი ნუსხაა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ პალეოგრაფული ნიშნების მიხედვით ჩვენი ტექსტი XI საუკუნეს განეკუთვნება, სავარაუდოდ ის ექვთიმეს მიერ შესრულებული თარგმანის ახლო პერიოდშია გადაწერილი.

ამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ პალიფსესტის 155 (84), 162 (85), 169 (78), 170 (93), 173 (93), 174 (78) ფურცლები შეიცავს მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებას. პალიმფსესტურ ფურცლებზე შემორჩენილი ცხოვრების ეპიზოდები მოიცავს მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების გამოცემის [კეკელიძე, 1918:60-103)] 78-ე, 84-ე, 85-ე და 93-ე გვერდებს.

ხელნაწერში მოთავსებულია მაქსიმეს ცხოვრების ტექსტის შუა ნაწილი, ხოლო, თუ ხელნაწერის ფურცლის ზომას აღვადგენთ და ამავე თხზულების მოცულობას მივუსადაგებთ, მივიღებთ დიდი ზომის ფორმატზე დაწერილ დაახლოებით 65-ფურცლიან თხზულებას, რომელიც, საფიქრებელია, ცალკე წიგნად კი არ იქნებოდა, არამედ კრებულის გარკვეულ ნაწილად.

გარდა ამოკითხული გვერდებისა, ხელნაწერში არის პალიმფსესტური ფურ-

ცლები, რომელთა ტექსტის იდენტიფიკაციაც ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა. მაგ., 166v-ზე იკითხება მონაკვეთი, რომელზეც ფსალმუნია ციტირებული: ... შ(ე)ნნი ვ(ითარც)ა მთანი ღ(მერთ)ო და განკითხვანი შ(ე)ნი ვ(ითარც)ა უფსკრულნი მრავალნი ხ(ოლო) ჩ(უე)ნ... აქედან „შ(ე)ნნი ვ(ითარც)ა მთანი ღ(მერთ)ო და განკითხვანი შ(ე)ნი ვ(ითარც)ა უფსკრულნი მრავალნი" წარმოადგენს ფსალმუნს 37.5: რადგანაც მას მოსდევს სიტყვები „ხოლო ჩუენ"... ნათელია, რომ აქ საქმე გვაქვს არა ფსალმუნის სრულ ტექსტთან, არამედ უცნობ თხზულებასთან, რომელშიც ფსალმუნია ციტირებული.

ამავე გვერდის მეორე სვეტში იკითხება: „ძოწეულითა და პორფირითა... ბრწყინვალედ", ხოლო უფრო ქვევით „და ჭირითა". ჩვენ საგანგებოდ დავძებნეთ ეს მონაკვეთი, თუმცა, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე მისი იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა.

ხელნაწერის 160r-ზე გვხდება ციტატა ოთხთავიდან: „[ხოლო გეტყვი თქუენ:] უკუეთუ არა აღემატოს სიმართლე თქუენი უფროჲს მწიგნობართა და ფარისეველთა ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა" (მათე 5:20).

ზემოთქმულიდან გამომდინარე საფიქრებელია, რომ პალიმფსესტური ფურცლები წარმოადგენდა ჰომილეტიკურ-აგიოგრაფიულ კრებულს, რომელშიც წმ. მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების ტექსტიც შედიოდა.

სამწუხაროდ, ხელნაწერის ზედა ფენას არ აქვს მომგებლის ანდერძი. ამის გამო, გარდა იმისა, რომ არ ვიცით, ვისი დაკვეთით, ვის მიერ და როდის დაიწერა ეს ხელნაწერი, დაუდგენელია ქვედა ფენის წარმომავლობა და მისი შექმნის სავარაუდო სამწიგნობრო კერა.

ერთი რამ კი ცხადია: ეს ხელნაწერი ღირსი მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების ბერძნული ენიდან ექვთიმე მთაწმინდლის თარგმანია (XI ს.), რომელიც XV საუკუნეში გადაურეცხავთ და ლიტურგიკული („სადღესასწაულო") ტექსტის დასაწერად გამოუყენებიათ.

ქვემოთ წარმოგიდგენთ პალიმფსესტიდან ამოკითხულ წმ. მაქსიმეს ცხოვრების ფრაგმენტებს:

174v (I სვეტი):

„[ჭირნი შეემთხვეს ამას საწუთ]როსა. ამით ესე ვ(ითარ)თა განგებულებითა შეემ]თხუნეს: რათა ჭირითა მით და უძლურებითა ჴორცთათა დათრგუნონ ამპარტავანი იგი. და განდგომილი ვეშაპი რომელ არს ეშმაკი. ესე უკუე სახეჲ ვ(ითარ)ცა წმიდათა არს. ხოლო ცოდვილთა და ბრალეულთა კაცთა ზედა მოვლენ განსაცდელნი ოდესმე შესანდობელად..."

174v (II სვეტი):

„[განსაცდელთაჲ თევდოსი თქუა: მე] წამების ჯეშმარიტება ღ(მრ)თისა ყ(ოვე)ლივე კეთილად სთქუ: და დიდად სარგებელ მეყო სიტყუა შ(ე)ნი. და მინდა რათ(ა)მცა ესევ(ითარ)თა პირთ(ა)თჳს მყოვარჟამ დაგიუბნე ა(რამე)დ ვინაჲთგ(ა)

ნ სხუისა სახისათჳს: მოსრულ ვართ შ(ე)ნდა [მე და უფალ]ნი ესე [ჩემნი მთავარნი] და ესოდენსა ამას სიშორე[სა]..."

169r (I სვეტი):

„[რ(ათა) გამოჩნდეს განსაცდელთა მიერ კეთილი და ახოვანი გონება მათი ს(ო)ფ(ე)ლსა შ(ი)ნა და ცნან კაცთა დაფარული იგი სათნოება მათი. ვ(ითარ)ცა იქმნა იობის და იოსების ზ(ედ)ა: რ(ათა) განსაცდელთა მათ მიერ საცნაურ იქმნას: ერთისა] მის სიმჴნე და მოთმინება და მეორისა მის სიწმინდე და ღ(მრ)თის მოშიშება: ეგრეთვე ყ(ოვე)ლთა წმ(იდა)თა რ(ომელ)ნიცა ჭირნი შეემთხჳ..."

169r (II სვეტი):

„[ოდესმე] შესანდობელად ცოდვათა უკუეთუ მადლობით შეიწყნარონ დ[ა ოდესმე დამაყენებელად ცოდვათა:.] და კ(უა)ლ(ა)დ გ(ა)ნწირულთა ზ(ედ)ა: და წ[ი]ნა აღმდგომთა ღ(მრ)თისათა მოიწევიან გ(ა)ნსაცდელნი რ(ათა) იხილონ სხუათა და განეკრძალნე[ნ:] მრავალსახე არს უკუე და მრავალგუარი მოწევნა განსაცდელთა:"

162r (I სვეტი):

„ეგრეთ ბრძანა რ(ათ)ა გ(უ)ლსა შინა ოდენ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ ა(რამე) დ ესრეთ იტყჳს რ(ომელმა)ნ არა აღმიაროს მე წ(ინაშ)ე კაცთა არცა მე აღვიარო იგი წ(ინაშ)ე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა:" და წ(მი)დაჲ მოციქული იტყჳს. „გ(უ)ლსა გრწამსცა სიმართლედ და პირითა აღიარებდი საცხორებლად რ(ამეთუ) აღთუიარო პირითა შენითა ო(ფალ)ი ი(ესო)ვ და გრწმენეს გულითა შენითა ვ(ითარმე)დ ღმერთმან აღადგინა იგი..."

162r (II სვეტი):

„[განმა]ცხოველებელსა. არა ჯერ არს ყ(ოვ)ლადვე დადუმებაჲ ქადაგებისაჲ მის: რ(ამეთ)უ არა წ(ა)რწყმდეს ცხორებაჲ მათი. რ(ომელ)ნი დუმდენ:. ეტიფანე კ(უა)ლად რისხვით ჰ(რ)ქ(უ)ა [მას]: გუჯარსა მას ჰრომისსა დაგიწერია შ(ე)ნცა სახელი და წამებაჲ შ(ე)ნი:. წ(მიდამა)ნ მაქსიმე თქ(უ)ა: ჰე დამიწერია. ეტიფანე თქ(უ)ა: და ვ(ითა)რ იკადრე დაწერად და შეჩუენებად ჩ(უე)ნდა რ(ომე)ლთა ესე გურწამს ვ(ითარც)ა..."

162v (I სვეტი):

„ამის საქმისა ქმნაჲ. და მოსმენაჲ ოდენ პასუხისა მისისაჲ. და შესლვაჲ და უწყებაჲ [მეფისაჲ]: რ(ამეთუ) ესე საეკლესიონი წესნი სიმშვდით აღესრულებიან. ძლით უკუჱ დააწყნარა ებისკოპოსმან უწესოჲ იგი შფოთი. და კუალად დასხდეს და მრავლითა გინებითა და შეჩუენებითა შეურაცხყვეს მონაჲ იგი ღმრთისაჲ:. ჰქუა მას ეტვფანე რისხვთა და გულის..."

162v (II სვეტი):

„დებელნი: ესრეთ გურწამს ქ(რისტ)ე ვ(ითარც)ა ყ(ო)ვ(ე)ლთა ზეცისა ძალთა და ბუნებათა მისთა და ნებათა და არა უვარვჰყოფთ:. მიუგო წმიდამან მაქსიმე: უკუეთუ ეგრეთ გრწამს ვ(ითარც)ა ყ(ო)ვ(ე)ლთა ზეცისა ძალთა და ბუნებათა და

ნებათა და საქმეთა მისთა აღიარებთ ვ(ითარც)ა კათოლიკე ეკლესია. მე ვითარ მაიძულებთ ზიარებად განწესებასა მას. რ(ომელ)ი ამას სიტყუასა სრულიად წინააღუდგების:. ეტვფანე თქუა: ესე საქმე განგებულობით იქმნა. რ(აჲთ)ა არა ევნებოდის ერსა [წულილადთა მათ სიტყათაგან:.] ...“

173r (I სვეტი):

„განჩინებისა მის და ესრეთ ეწერა: ღმრთივ დაცულმან მეფემან და ყოველთა ბჭეთა და მთავართა შჯულიერად და სამართლად განჩინებაჲ ესე განვაცინეთ თქუენ ზედა. მაქსიმე მონაზონო. და ანასტასიოს და ანასტასიოს. ჯერ იყო შემსგავსებულად უკეთურებისა თქუენისა ბ(ო)რ(ო)ტად მეტყუელებისა უფიცხესითა...“

173r (II სვეტი):

„და განდგომილებისა თქუენისა უბრძანებთ დიდებულსა ეპარხოსსა. რაჲთა წარმოადგინნეს ქალაქპეტობისა მისისა სამსჯავრსა და შოლტითა ზურგი თქუენი უწყალოდ გუემოს: და მერმე ენანი სამთანივე ძირით აღმოგკუეთნეს. და მარჯუენანი ჴელნი მწერალნი გმობათანი. მაჴვილითა და გკუეთნეს და შემდგომად დაჭირსა ბოროტ[თა]...“

170r (I სვეტი):

„[ბოროტ]თა მათ ასოთა თქ(უე)ნთა განგაქიქნეს ათორმეტთა მათ უბანთა სამეუფოჲსა ამის ქალაქისათა და შემდგომად განქიქებისა მის წარგავლინნეს სამარადისოსა ექსორიობასა და პყრობილობასა კერძოთა სამეგრელოჲსათა. რ(ათ)ა ყ(ოვე)ლთა დღეთა ცხორებისა თქ(უე)ნისათა...“

155r (I სვეტი):

„[ბორო]ტთა დღეთა შინა და ძუელებულო ცუდად მჴცოვანო. მწვალებელად შეგირაცხიეთა მეფე და ჩ(უე)ნ ყოველნი. ქ(ა)ლ(ა)ქი ჩ(უე)ნი და მღდელთ მოძღუარნი. რ(ომე)ლ ესევითარი სიტყუანი სთქუენ ჭეშმარიტად უმეტჱს შენსა ქუეყანი ვართ მართლმადი...“

155r (II სვეტი):

[წმიდამანმაქსიმეთქუა].კაციწ(მიდ)აიქმნებისჭეშმარიტითამითაღსარებითა სარწმუნოებისაჲთა. არა წინააღდგომითა მართლმორწმუნეობისაჲთა:. ტროილე თქუა: გულსა შინა შენსა გაქუნდინ ვ(ითარც)ა გნებავს არავინ გაყენებს:. წ(მინდამა)ნ მაქსიმე თქ(უა): უ(ფალმა)ნ და მაცხოვარმან ჩ(უე)ნმან...“

155v (I სვეტი):

„ვინაჲთგან თავადი ო(ვფალ)ი ჩ(უჱნ)ი ი(ეს)ჳ ქ(რისტ)ე და შ (ე)ნი წ(ინას) წ(არმე)ტყ(უე)ლნი და მოციქულნი ესრეთ იტყვან. რ(აჲთ)ა სიტყვთ და გონებითა და ჴმითა მაღლითა აღვიარებდეთ საიდუმლოსა მას მართლმადიდებლობისასა. დიდსა მას და დიდებულსა და ყ(ოვ)ლისა სოფლისა განმა...“

155v (II სვეტი):

„კათოლიკე ეკლესიასა: ჭეშმარიტად მე ესე ვბჭობ რ(ჲთ)ა შეგიყვანო ქ(ა)

ლ(ა)ქად. და დადგინოთ უბანსა მას ფოროხსასა შეკრული ჯაჭვთა და მოკრბენ ყ[ოვე]ლნი ღუღანი მამანი და დედანი და ყ(ოვე)ლნი მიმოსნი მეძავნი უბანთანი და კაცად კაცადმან..."

ლიტერატურა:

1. გაბიძაშვილი ენრიკო. 2004. ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, თბილისი.
2. გიორგი მთაწმინდელი, დიდი სვნაქსარი, 2017. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და სამეცნიერო აპარატი დაურთეს: მანანა დოლაქიძემ და დალი ჩიტუნაშვილმა, თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
3. კეკელიძე კორნელი. 1918. *„ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ აღმსარებლისა მართლისა სარწმუნოებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მაქსიმესი"*, Monumenta Hagiographica Georgica, Keimena I, თბილისი.
4. კეკელიძე კორნელი. 1945, ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ნიმუში, ეტიუდები, II. თბილისი: 237-268.
5. კეკელიძე კორნელი. 1955, *„თთუესა აგვსტოსსა იგ, მოთხრობაჲ ღუაწლისა და ვნებულებათა ღირსისა და აღმსარებელისა მაქსიმესთაჲ და ანასტასი მონაფისა მისისათაჲ და ამათ თანა მრავალ-ღუაწლისა რომთა პაპისა მარტინესი"*, ეტიუდები III, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
6. ქართული პალიმფსესტები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. 2017. კატალოგი, ტექსტები, ალბომი შეადგინეს: ლამარა ქაჯაიამ, ხათუნა გაფრინდაშვილმა, ციცინო გულედანმა, ნათია მიროტაძემ, დალი ჩიტუნაშვილმა. თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
7. ქურციკიძე ციალა. 1978. ისევ ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ, მრავალთავი, VI, თბილისი.
8. ქურციკიძე ციალა. 1995. გრიგოლ ღვთისმეტყველის XLIII ჰომილიის ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის თავისებურება, ფილოლოგიური ძებანი, II, თბილისი.
9. ხოფერია ლელა. 1995. მაქსიმე აღმსარებლის „პიროსთან სიტყვისგების" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის თავისებურება, მრავალთავი, XVIII, თბილისი.
10. ხოფერია ლელა. 2005. „მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი და მისი მიმართება ბერძნულ წყაროებთან, მრავალთავი XXI, თბილისი, 52-62.
11. Khoperia, Lela. 2009. Maximus the Confessor: life and works in the Georgian tradition, *Iberica Caucasica, Maximus the Confessor and Georgia*, edited by Tamila Mgaloblishvili and Lela Khoperia, 25-48.

IRMA KHOSITASHVILI
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

ON THE FRAGMENTS INCLUDING THE LIFE OF MAXIMUS THE CONFESSOR PRESERVED IN A 44

Summary

The present paper deals with the palimpsest (A 44) preserved at Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts. The overtext of the manuscript contains lessons from Four Gospels and Acts of Apostles. It is evident that the manuscript was damaged throughout centuries, because pages 45-51 were cut and then restored with papers dated back 17th century, while last pages of the manuscript were lost and restored with parchment. These last pages are palimpsest and undertext of which contains "The Life of Maximus the Confessor". The translation of the text was made by the outstanding Georgian translator of the 10-11th centuries, Eutimius the Athonite. Based on the palaeographical characteristics the palimpsest dates back to the 11th century. Taking into account the sizes of each folio of the parchment and amount of folios we think that this palimpsest was part of a large hagiographical collection.

ციცინო მუმლაძე
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

ქუთაისის მუზეუმში დაცული XI საუკუნის ოთხთავი (K-76)

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული ოთხთავი (K-76) ანტიოქიაში, შავ მთაზე, კალიპოს ღვთისმშობლის მონასტერშია გადაწერილი 1060 წელს ბასილი თორელყოფილის მიერ. ოთხთავი გიორგი მთაწმინდელის რედაქციისაა. ბასილი თორელყოფილის ვრცელი ანდერძიდან ირკვევა, რომ ხელნაწერი უშუალოდ დედნიდანაა გადაწერილი. ამდენად, რადგან დღეისათვის გიორგი მთაწმინდელის (ხელიდან გამოსული) ორიგინალი მიკვლეული არ არის, K-76 ორიგინალის მნიშვნელობას იძენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის მუზეუმის ოთხთავს განუზომელი მნიშვნელობა აქვს ორიგინალის ტექსტის დადგენასა და საერთოდ, ყველა იმ ინფორმაციის უდავობაში, რომელთაც იგი შეიცავს.

ამ საკითხის ნამოწევა შესაძლოა საჭირო არ გამხდარიყო, რომ არა ივანე იმნაიშვილის მოსაზრება XII საუკუნის ვანის შესანიშნავ ოთხთავთან დაკავშირებით. ეს მოსაზრება ვანის ოთხთავის გადამწერის, იოვანეს, ანდერძს ეყრდნობა. აქვეყნებს რა იოვანეს ანდერძს, ივანე იმნაიშვილი წერს, რომ გიორგი მთაწმინდელის მიერ „თარგმნილი" ოთხთავი ყველასთვის როდი იყო მისაწვდომი. მისი რედაქციის ნუსხები ძირითადად დედნიდან გადაწერილის სახით (ხელნაწერით) ვრცელდებოდა. დიდმოღვაწე ბერ ზაქარიას დიდი შრომით მიუგნია მთაწმინდაზე თვით გიორგის ხელით შესრულებული ოთხთავი; გადაუწერინებია იგი შატბერდელი ხუცეს სტეფანესათვის, ხოლო ამ უკანასკნელის ხელნაწერიდან გადაუღია ვანის ოთხთავის გადამწერს - იოვანეს. „ეს გარემოება, - აღნიშნავს ივ. იმნაიშვილი, - გვავალებს, რომ დიდი ნდობით მოვეპყროთ ვანის ოთხთავს, როგორც ორიგინალთან (თვით გიორგის ხელით დაწერილთან) ყველაზე უფრო ახლო მყოფსა და დაუმახინჯებელს" [იმნაიშვილი,1979:53].

ივანე იმნაიშვილის წიგნი - „ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია" - 1979 წელს დაიბეჭდა. როგორც ჩანს, წიგნზე მუშაობის პერიოდში მკვლევარი არ იცნობდა ქუთაისის მუზეუმის N76 ხელნაწერ ოთხთავს, რომელიც 1060 წელსაა გადაწერილი, ამიტომ ორიგინალთან ყველაზე უფრო ახლო მყოფად და დაუმახინჯებლად XII საუკუნეში გადაწერილ ვანის ოთხთავს მიიჩნევდა. ივანე იმნაიშვილს რომ ქუთაისის ოთხთავის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა,

იქიდანაც ჩანს, რომ წიგნში „ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია“ გიორგი მთაწმინდელის რედაქციის ოთხთავთა მიმოხილვისას ჩამონათვალში K-76 არ ფიგურირებს. ეს ფაქტი მით უფრო საკვირველია, რომ პირველი ცნობა ქუთაისის XI საუკუნის ოთხთავზე ჯერ კიდევ 1892 წელს გამოუქვეყნებია თედო ჟორდანიას [თ. ჟორდანია, ქრონიკები, 1892 წ. გვ. 207-208]. მისთვის ვინმე ქარსელაძეს ლეჩხუმიდან დროებით ჩამოუტანია ტყავზე შესრულებული ოთხთავი. თედო ჟორდანიას გაუშიფრავს ანდერძი და ხელნაწერი 1060 წლით დაუთარიღებია. ამის შემდეგ წიგნი მკვლევართა თვალსაწიერიდან გაქრა და მხოლოდ 1925 წელს გიორგი ბოჭორიძეს ლეჩხუმიდან, თაბორის ეკლესიიდან, ჩამოუტანია ქუთაისის მუზეუმში, სადაც ოთხთავი შეცდომით XVI საუკუნით დათარიღდა. მიუხედავად ამისა, იგი არ დარჩენილა ქართველ მკვლევართა ინტერესის მიღმა, თუმცა ეს ინტერესი უფრო ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით იყო და არა ტექსტოლოგიური კვლევის ასპექტით. ამ მიმართებით ხელნაწერი მართლაც საყურადღებოა: იგი გაფორმებულია შავი მთის ხელნაწერთათვის დამახასიათებელი ფერთა გამით შეზავებული კამარებითა და თავსამკაულით; თვით მახარებელთა მინიატურები ადრეული ხანის ქართული მინიატურული მხატვრობისთვის დამახასიათებელი ფერებითაა გაჯერებული და აშკარაა მათი სიახლოვე ადიშის IX ს-ის ოთხთავის მხატვრობასთან. მაგრამ ახლა ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ K-76 ტექსტზე, როგორც გიორგი მთაწმინდელის მიერ რედაქტირებული ოთხთავის ტექსტთან ყველაზე უფრო ახლო მდგომსა და დაუმახინჯებელზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქუთაისის მუზეუმში ხელნაწერი შეცდომით XVI საუკუნით, კერძოდ 1592 წლით, დათარიღდა. წიგნის დათარიღება ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის შემდგენელს, შესანიშნავ მეცნიერსა და მკვლევარს, ბ-ნ ევსევ ნიკოლაძეს არ გაუჭირდებოდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ 353v ხელნაწერის გადამწერი მიუთითებს — „ოდეს აღიწერა წმიდაჲ სახარება ქორონიკონი იყო მაშინ სპ“, ე.ი. 280. აქ მარტივი არითმეტიკული გამოთვლა იყო საჭირო, მაგრამ ევ. ნიკოლაძემ რატომღაც თარიღის გამოსათვლელად მე-12 მოქცევის მაგიერ მე-13 მოქცევა აირჩია და მივიღეთ 1592, ნაცვლად 1060 წლისა. გაოცებას იწვევს ისიც, რომ აღმწერელმა სათანადოდ ვერ შეაფასა ოთხთავის ის ნაწილი, რომელშიც გადამწერი — ბასილი თორელყოფილი - წერს: „დაიწერა ხელითა ცოდვილისა ბასილ თორელყოფილისაჲთა სანახებსა ასურეთისასა, დიდებულსა ქალაქისა დიდისა ანტიოქიისსა, მონასტრისა წარჩინებულსა დიდისა კალიპოლისასა, სადიდებელსა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისასა, სამკვიდრებელსა და ნავთსაყუდელსა ქართველთასა, სოხასტერსა შინა მონასტრისა აღმოსავლით, სადიდებელსა წმიდათა მთავარანგელოზთასა“ [ნიკოლაძე, 1953:215-216].

ცნობილია, რომ ქართველთა სამონატრო კოლონია შავ მთაზე, სვიმონ

საკვირველმოქმედის მონასტერში, ანტიოქიის მახლობლად მე-11 საუკუნეში წინა წლებთან შედარებით უფრო განვითარდა, რასაც ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ 969-1084 წლებში იქ კვლავ ქრისტიანთა ბატონობა დამყარდა [კეკელიძე, 1951:89].

გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფიიდან ირკვევა, რომ მე-11 საუკუნეში იქ ყოფილა 60-მდე ქართველი მოღვაწე, რომელთაც, სვიმონ საკვირველმოქმედის მონასტრის გარდა, სხვა ახლომახლო პუნქტებში, საკუთარ თუ უცხოელთა მონასტრებში, უმოღვაწიათ, კერძოდ: კასტანაში, კალიპოსში, ბარლაამის, მამისა ეზრაისი, ალექსანდრიის, თუალთა მონასტერში და სხვა.

XIII საუკუნეში შავ მთაზე კიდევ არსებობდა ქართული მონასტერი, მაგრამ მას შემდეგ, რაც სირია თურქებმა დაიპყრეს და ანტიოქია პატარა მუსლიმურ ქალაქად იქცა, ხოლო ტაძარ-მონასტერი დანგრეულ-გავერანებული, ქართველებიც იძულებული შეიქნენ იქაურობა სამუდამოდ მიეტოვებინათ [ფეიქრიშვილი, 1992:80].

ეს ფაქტი ევ. ნიკოლაძისთვის ხელნაწერთა აღწერილობის შედგენის მომენტში და უფრო ადრეც უცნობი არ უნდა ყოფილიყო. ამას ისიც ემატება, რომ ოთხთავის გადამწერის ხელწერა – გრაფემათა მოხაზულობა და თვით ნუსხის ლექსიკური ერთეულები, რომ არაფერი ვთქვათ გრამატიკულ ნიუანსებზე, გამოკვეთილად მე-11-მე-12 საუკუნის ხელნაწერთათვისაა დამახასიათებელი, ვერც ამის უცოდინრობას დავწამებთ აღმწერელს, რადგან აღწერილობის შედგენისას მას არაერთხელ ექნებოდა შეხება ამ პერიოდის ხელნაწერებთან.

ამდენად, თუ ქუთაისის ოთხთავის დათარიღებას 1592 წლით უნებლიე შეცდომად არ მივიჩნევთ, მაშინ უნდა მოვიძიოთ ის მიზეზი, რამაც ევ. ნიკოლაძეს ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერის ამგვარი დათარიღებისკენ უბიძგა. ვფიქრობთ, მიზეზი ხელნაწერის მინაწერებს უნდა უკავშირდებოდეს. ამჯერად მხოლოდ იმ მინაწერებზე შევჩერდებით, რომლებიც ამ მოსაზრების არგუმენტად შეიძლება გამოგვადგეს და რომლებშიც მანაველ ქასელაძე და მისი ახლობლები არიან მოხსენიებული. ასეთი მინაწერები ოთხთავში მრავლადაა. კერძოდ: „ამა ოთხთაუნისა მადლო, შეიწყალე სული მანაველ ქასელაძისა, იხსენი ყოვლისა ცოდვისაგან“, „ამა ოთხთაუნისა მადლო, შეიწყალე სული მანაველ სული დედისა და მამისა იოანე ქასელაძისა“. „უფალო ღმერთო, შეიწყალე და აცხოვნე სული იოანეს ქასელაძისა“...

ცნობებს მანაველ ქასელაძეზე ქუთაისის მუზეუმის N248 ხელნაწერ ოთხთავში მივაკვლიეთ. იგი XV-XVI საუკუნითაა დათარიღებული. ოთხთავის ანდერძში ვკითხულობთ: „დიდებაჲ ღმერთსა, ოთხთავნო სახარებანო: მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანე, შეიწყალე სული მუხიერ ყიფიანისა და თანამეცხედრისა მისსა ელენესა, ყიფიანის ქალისა,... ესე ოთხთავი ფურცლად

დაშლილი იყო და დაოხრებული. მერმე მოვიყვანე მწერალი ქასელაძე მანაველ და შევამკვე ახლად წიგნი ესე მას ჟამსა, როდეს ქართველთა მეფე სვიმონ თათართა დაიჭირეს და წაიყვანეს, ქართლი აოხრეს საყდრითურთ (1599 წ. — ც. მ.). ვინცა ჩვენის ცოდვილის სულისთვის შენდობას ბრძანებდეთ, თქუენცა შეგინდოს ღმერთმან თქუენი ცოდვანი, რაცა ამა ჯვარ-ხატსა ხელი უნდა, მასაცა მოვაჭედინებთ, ოქრომჭედელიცა ის არის" (K-248, 189v).

ანდერძიდან ჩანს, რომ მანაველ ქასელაძე მწერალიც ყოფილა და ოქრომჭედელიც. მის მიერ N248 ოთხთავში განახლებული და შევსებული ნაკლული ტექსტები დაუდევარი ხელითა და განსაკუთრებული შავი მელნით არის შესრულებული. ასეთივე მელნით გაუკეთებია მას მინაწერები ჩვენთვის საინტერესო ოთხთავში და ზოგიერთი ადგილი, რომელიც გაცვეთილი იყო და ძნელად იკითხებოდა, გაუახლებია. ვფიქრობთ, XVI საუკუნის მეტ-ნაკლებად ცნობილი პირის — მანაველ ქასელაძის — მიერ K-76 ხელნაწერის ზოგიერთი ადგილის განახლებამ და წიგნში ქასელაძეებზე უხვად არსებულმა მინაწერებმა ევ. ნიკოლაძეს უნებლიე, შეიძლება ითქვას, მექანიკური შეცდომა დააშვებინა და წიგნი XVI საუკუნით დაათარიღა.

ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი წიგნი K-76 — ოთხთავი — 353 ფურცელს შეიცავს, მისი ზომებია 21X16 სმ; ეტრატი; აქვს ტყავდაკრული ტვიფრული ხის ყდა; დაწერილია ორ სვეტად; შესრულებულია ნუსხურით, სათაურები სინგურით; სათაურები, საზედაო ასოები, სახარებათა სახელწოდება და ზოგიერთი სიტყვა დაწერილია ასომთავრულით. ძველი პაგინაციით 45 რვეულია, ნაკლული, წყდება იოანეს სახარების შემდეგ სიტყვებზე: „ამინ, ამინ, გეტყჳ შენ: ოდეს იყავ ჭაბუკ, შეირტყი თავით"...(K-76, 309v).

ხელნაწერი შეიცავს მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებებს. წინ უძღვის: ეპისტოლე ევსები კარპიანესადმი (K-76, 1v); სახარებათა საკითხავების სიმფონიური ცხრილი (K-76, 2r—6v); თითოეულ სახარებას ნამძღვარებული აქვს მახარებლის სურათი ასომთავრული წარწერით; ოთხთავს ერთვის „განგება სახარებათა საძიებლისაჲ, წელიწადისა დღესასწაულთაჲ, ვითა მივალს სჳნაქსარი წესსა ზედა ბერძნულსა სრულებით" (K-76, 310r-350r). აქვს მინაწერები. ოთხთავში იოვანეს სახარების შემდეგ წარმოდგენილია გიორგი მთაწმინდელის ანდერძი, რომლის ტექსტი სრულად *ამოგვყავს: „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდაჲ ოთხთავი ჩუენ ძალად გვითარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერებთაჲთა და ბერძულთა სახარებათა შეგვიწამებია ფრიადითა გამოწულილვითა და ფრთჳვითნ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ გჳწერიეს დაწერაჲ, ღვთისათჳს სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა ბჭჳ სწერია, ეგრე დაწერეთ და თუ არა რაჲმე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი ხარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილ არს და კეთილად ხანმეტნიცა*

და საბაწმიდურნიცა, მუნით დაწერეთ და ღუთისათვის ერთმანეთსა ნუ განჰრევთ და გლახაკისა გიორგისთვის ლოცვა ყავთ" და იქვე: „ლოცვა ყავთ, წმიდანო ღუთისანო, უღირსისა ბასილისთჳსცა, რომელმან წმიდაჲ ესე ოთხთავი მამისა გიორგის თარგმნილისა სახარებისაგან გარდმოვწერე და შეწამებაჲ დიად მიხარკებია. ღვთისათვის სიტყუასა ნუ შესცვალებთ" (K-76, 310 r).

დიდი ქართველი მოღვაწე გიორგი მთაწმიდელი ლიტერატურულ-მთარგმნელობითი მუშაობისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სახარებას, მას არ აკმაყოფილებდა ქართული სახარების ის ტექსტი, რომელიც მის დროს იყო გავრცელებული, რადგან მასში, მისი აზრით, ბევრი ადგილი არ შეესატყვისებოდა ბერძნულ ორიგინალს და არც ქართულად იყო სათანადოდ გაწყობილი. ამიტომ მას განუზრახავს საგულდაგულოდ შეეჯერებინა ქართული ტექსტი ბერძნულისთვის, სადაც საჭიროდ დაინახავდა, შეესწორებინა და ახალი ვარიანტი მოეცა [იმნაიშვილი, 1979:153].

თარგმნიდა თუ არა გიორგი მთაწმინდელი რომელიმე წიგნს, იმწამსვე შეუდგებოდნენ მის გადაწერას საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო-საეკლესიო ცენტრებში და საქართველოს ყველა კუთხეში [კეკელიძე, 1951:196].

„...ვითარ სრულქმნა თარგმანებაჲ წიგნთა საღმრთოთაჲ და მოირწყნეს ეკლესიანი შავისა მთისანი წიგნთა მისთა მდინარითა სულთა განმანათლებელითა, რამეთუ ყოველთა მონასტერთა გარდაიწერნეს... ყოველნი ეკლესიანი განშვენდეს სამკაულითა წმიდათა წიგნთა მისთაჲთა"... წერს გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი, მისივე თანამედროვე და ნამოწაფარი გიორგი მცირე [ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, 1901 წ.].

ზემოაღნიშნული თანაბრად შეეხება გიორგი მთაწმინდელის მიერ ახლად თარგმნილ და ბერძნულ სახარებებთან „ფრიადითა გამოწულილვითა" შეჯერებულ სახარებას, უფრო მეტიც, მომდევნო საუკუნეებში მან საბოლოოდ განდევნა ყველა დანარჩენი რედაქცია და თვითონ იქცა ქართულ ვულგატად [შანიძე, 1945:8].

უნდააღინიშნოს, რომ გადამწერთა შეგნებულით თუ უცაბედი დაუდევრობით სახარების გიორგი მთაწმინდელისეულმა რედაქციამ მომდევნო საუკუნეებში გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. ამის დასამტკიცებლად სახარებათა ნუსხების შედარება არ დაგვჭირდება. საკმარისია სხვადასხვა ნუსხიდან ერთმანეთს შევუდაროთ გიორგი მთაწმინდელის ანდერძის ტექსტი. სხვაობა მათ შორის იმდენად პრინციპულია, რომ ამ ცვლილებებმა ანდერძის მიმართ მკვლევართა ძირითადად ორგვარი დამოკიდებულება განაპირობა: ერთნი გელათის, ლეჩხუმის, ლაბსყალდისა და სხვა სახარებებზე დაყრდნობით ფიქრობენ, რომ გიორგი თავის ნაშრომს სახარების ახალ თარგმანად მიიჩნევს, მეორენი კი ბრეთის, ახალციხური, მოქვის, ეჩმიაძინის, უბისისა და სხვა სახარებების მიხედვით გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ გიორგის

მიეწერება არა ახლად თარგმნა, არამედ მხოლოდ საფუძვლიანი შეჯერება-შეწამება ბერძნულ სახარებებთან [იმნაიშვილი, 1979:54-55].

ანდერძში გიორგი მთაწმინდელი აღნიშნავს, რომ მას ახლად უთარგმნია ოთხთავი, რაც უშუალოდ უცხოენიდან ნათარგმნად არ უნდა მივიჩნიოთ. იგი უფრო რედაქტირებას უნდა გულისხმობდეს, რადგან ანდერძში რომ ლაპარაკი იყოს „თარგმანის“ პირდაპირ მნიშვნელობაზე, მაშინ სრულიად გაუგებარია გიორგის მინიშნება, რომ ოთხთავი „ბერძულთა სახარებათა შეგვიწამებია ფრიადითა გამოწულილვითაო“, ე.ი. ბერძნული სახარებისათვის შეგვიდარებიაო. გიორგი მთაწმინდელი თავის მიერ ჩატარებულ საქმიანობას ორი ინტეპრეტაციით რატომ წარმოგვიდგენდა?! რა თქმა უნდა, იგი სამართლიანად მიუთითებს იმ დიდ შრომაზე, რაც დასჭირდა სახარების უცხოენოვან (ამ შემთხვევაში ბერძნულ) დედანთან დასაახლოებლად და მისი ქართული ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად, რითაც, როგორც ბასილი თორელყოფილი აღნიშნავს – „უფროჲს მზისა ბრწყინვალე“ გახადა იგი.

როგორც აღვნიშნეთ, გიორგი მთაწმინდელის ანდერძმა მომდევნო საუკუნეებში გადაწერილ ნუსხებში გარკვეული ცვლილება განიცადა, რამაც მკვლევრების აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია; ამიტომ მისი ანდერძის იმ ვარიანტს, რომელიც ქუთაისის მუზეუმის K-76 ოთხთავშია წარმოდგენილი, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ამ საკითხში სიცხადის შესატანად. ეს კი იმითაა განპირობებული, რომ ქუთაისის მუზეუმის ოთხთავი გიორგი მთაწმინდელის რედაქციის დღემდე ცნობილ ოთხთავთაგან ყველაზე ადრინდელია და ბუნებრივია, მასში დაცულ ანდერძსაც დედანთან სიახლოვის პრეტენზია აქვს. ესეც არ იყოს, მეცნიერთა დავას, თუ რაზე მიგვანიშნებდა გიორგი მთაწმინდელი თავის ანდერძში – ოთხთავის ხელახლა თარგმნაზე თუ ექვთიმეს რედაქციის ოთხთავის რედაქტირებაზე – საბოლოოდ საფუძველს აცლის (უსაფუძვლოს ხდის, ცხადყოფს) ქუთაისის ოთხთავის გადამწერის, ბასილი თორელყოფილის, ანდერძი, რომელშიც იგი აშკარად მიუთითებს: "ღირს ვიქმენ აღწერად და განსრულებად წმიდა ამას ოთხთავსა სახარებასა განწმედილსა ახლად /და არა ახლად ნათარგმნს - ც.მ./ მართალსა და უფროის მზისა ბრწყინვალესა წმიდისა მამისა ჩვენისა მიერ გიორგი მთაწმიდელისა".... ამდენად, მკვლევართა დავა გიორგი მთაწმინდელის ანდერძის ორგვარად წაკითხვასთან დაკავშირებით ქუთაისის მუზეუმის ოთხთავის გადამწერის, ბასილი თორელყოფილის, ანდერძზე დაყრდნობით აწ დასრულებულად უნდა მივიჩნიოთ.

ცნობა, თუ რომელ წლებში მოახდინა გიორგი მთაწმინდელმა ოთხთავის რედაქცია, დღემდე არ მოგვეპოვება; თუმცა ქუთაისის მუზეუმის ოთხთავის გადაწერის თარიღის /1060წ./ გათვალისწინებით, თუ მიმოვიხილავთ გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფიის იმავე პერიოდს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი ოთხთავის საკუთარ რედაქციაზე 1056-1059 წლებში მუშაობდა. გიორგი

მთაწმინდელის ბიოგრაფიიდან, რომელიც მის მოწაფეს, გიორგი მცირეს, ეკუთვნის, ვიგებთ, რომ 1056 წელს სამონასტრო ზრუნვამ გიორგი ერთიანად შთანთქა და სხვა საქმისთვის დრო აღარ რჩებოდა: „მაშინ გულისხმაყო და განიზრახა ღმრთისა მიერითა განგებითა, ვითარმედ ღმრთივ მინიჭებული იგი ტალანტი არა აღორძინდებოდა, რომელ არს ღმრთივ სულიერთა წიგნთა თარგმნაჲ, იჯმნა წინამძღურობისაგან, შენდობა ითხოვა ძმათა ყოველთაგან," დაუტოვა მათ ყველა, დეკანოზობაში თუ წინამძღვრობაში, ნათარგმნი წიგნი და წავიდა შავ მთაზე, სადაც წიგნების თარგმნას შეუდგა. 1060 წელს ბაგრატ მეფემ, როცა გაიგო, „რომ სრულ იქმნა თარგმანებაი წიგნთაჲ საღმრთოთაჲ" გიორგის მიერ, საეკლესიო საქმეების მოსაგვარებლად მოიწვია იგი საქართველოში.

ამასთან ერთად, გიორგი მცირე თავის ქმნილებაში ჩამოთვლის იმ მონასტრებსა და სავანეებს, რომლებშიც გიორგი მთაწმინდელს უხდებოდა მოღვაწეობა. ჩამონათვალში სხვებთან ერთად კალიპოს მონასტერიცაა. გიორგი მცირე წერს: „არათუ მთანმინდას და შავსა მთასა ოდენ თარგმნა, რაჲთამცა თჳთოეულად აღვრაცხენით, არამედ სამეუფოს და გზასა სულუმბრიას, ანტიოქიას, სჳმონ წმიდას და **კალიპოსს** და სხუათა ესევითართა ადგილთა"... [ძველი ქართული აგიოგრაფიული ... 1967:146].

ამდენად, თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, ოთხთავის რედაქციაზე გიორგი მთაწმინდელს შავ მთაზე ან სულაც კალიპოს მონასტერში უნდა ემუშავა. ამიტომ გახდა მისი ხელნაწერი ხელმისაწვდომი შავ მთაზე კალიპოს მონასტერში მოღვაწე ბასილი თორელყოფილისთვის, რომელმაც 1060 წელს დაასრულა კიდეც გიორგის ნუსხიდან სახარების სრული ტექსტის გადაწერა და დაურთო თავის მიერ ბერძნული წესით შედგენილი „განგებაჲ სახარებათა საძიებლისაჲ", ასევე - ვრცელი ანდერძი.

ეს ვრცელი მიმოხილვა იმისთვის დაგვჭირდა, რომ თვალნათლივ წარმოგვეჩინა არა მარტო სახარების გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციის უპირატესობა დანარჩენ რედაქციებთან, არამედ ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ამ რედაქციის ყველაზე ადრინდელ ნუსხებს ენიჭება დედანთან ტექსტობრივი სიახლოვის თვალსაზრისით. სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახარების გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციის დღემდე მეცნიერულად შესწავლილი და გამოცემული ნუსხებიდან ყველაზე ადრინდელი XII საუკუნისაა (ვანის, ეჩმიაძინის, გელათის ოთხთავები), თუმცა ამ ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქუთაისის მუზეუმის ოთხთავი K-76, რომელიც 1060 წელს არის გადაწერილი და არასწორი დათარიღების გამო გარკვეული დროის განმავლობაში ვერ მოხვდა მკვლევართა ინტერესის არეალში. მიგვაჩნია, რომ ეს ხარვეზი დროულად უნდა გასწორდეს: მით უფრო, რომ ქუთაისის ოთხთავი, მისი გადამწერის ბასილ თორელყოფილის ანდერძით, უშუალოდ გიორგი

მთანმიდელის მიერ რედაქტირებული ოთხთავიდან, ესე იგი დედნიდან უნდა იყოს გადაწერილი. ანდერძში ეს მინიშნება ორჯერ არის მოცემული:

1. „ლოცვა ყავთ, წმინდანო ღვთისანო, უღირსისა ბასილისთვისცა, რომელმან წმიდა ესე ოთხთავი მამისა გიორგის თარგმნილისა სახარებისაგან გარდმოვწერე და შეწამებაჲ დიად მიხარკებია. ღვთისათვის სიტყუასა ნუ შესცვალებთ".

2. „...ბასილი თორელ ყოფილი, ღირს ვიქმენ აღწერად და განსრულებად წმიდა ამას ოთხთავსა სახარებასა განწმენდილსა ახლად და მართალსა და უფროჲს მზისა ბრწყინვალესა წმიდისა მამისა ჩუენისა მიერ გიორგი მთანწმინდელისა, რომელსა შინა არა არს ერთიცა ასოჲ მრუდი და ნაკლული და არც მეტი და არცა თუ ნაშრომი უნდოდ აჩუენებს მწერლობისაგან უმეცრებისა ჩემისა მიერ" (K-76, 353r).

ცნობები ქუთაისის ოთხთავის გადამწერის ვინაობისა და წარმომავლობის შესახებ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ძალზე მწირია და ხშირ შემთხვევაში მხოლოდ თ. ჟორდანიას მიერ 1892 წელს ხელნაწერსა და მის გადამწერზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას ეყრდნობა [ჟორდანია,1892:207-208].

თვით ხელნაწერში პირველი ცნობა გადამწერის შესახებ მათეს სახარების ტექსტის ბოლოსაა წარმოდგენილი: „უფალო, მოიხსენე წყალობით სული ბასილისი, ამის ოთხთავისა დამწერელისაჲ და შეიწყალე გლახაკი კეთილთაგან სული მისი. ამენ" (K-76; 94r).

ამ მინაწერიდან მხოლოდ ისაა ცხადი, რომ ოთხთავის გადამწერი ბასილია. გაცილებით ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის გადამწერზე მისივე ვრცელი ანდერძი, რომელიც ხელნაწერში „განგებაჲ სახარებათა საძიებლისაჲს" შემდეგ არის წარმოდგენილი. ანდერძიდან ირკვევა, რომ ბასილი თორელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელია, ხოლო ოთხთავი კალიპოს მონასტერშია გადაწერილი: "დაიწერა ხელითა ცოდვილისა ბასილის თორელყოფილისაჲთა სანახებსა ასურეთისასა, დიდებულისა ქალაქისა დიდისა ანტიოქიისასა, მონასტერსა წარჩინებულისა დიდისა კალიპოლისასა, სადიდებელსა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისასა, სამკვიდრებელსა და ნავთსაყუდელსა ქართველთასა, სოხასტერსა შინა მონასტრისა აღმოსავალით სადიდებელსა წმიდათა მთავარ ანგელოზთასა" (K-76; 350r).

თორელთა გვარის გენეალოგია საფუძვლიანად არის შესწავლილი ქართველი მეცნიერების — ს. კაკაბაძის, ლ. მუსხელიშვილის, ნ. შოშიაშვილისა და სხვათა — მიერ. დასახელებულ მკვლევართ საინტერესო მოსაზრებები და დასკვნები აქვთ თორელთა ფეოდალური სახლის შესახებ. დღემდე აღმოჩენილი და შესწავლილი საისტორიო წყაროების მიხედვით ბასილ თორელყოფილის წინაპრები უკვე ცნობილი არიან 990 წლიდან, კერძოდ გამრეკელი — დავით კურაპალატის სარდალი; ასევე 998 წლიდან - ძმები გამრეკლები („მესხები").

თვით ბასილის თანამედროვეა ერისთავთ-ერისთავი ვარაზ-ბაკურ გამრეკელი (თორელი – 1065 წ.), რომელიც აძიკვის ბარელიეფის წარწერაში მოიხსენიება [შოშიაშვილი, ნუკრი. თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და.....; შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი; 1966 წ. გვ. 23-24]. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბასილ თორელყოფილსა და ვარაზ-ბაკურ თორელს ერთსა და იმავე დროს უხდებოდათ მოღვაწეობა: ბასილს სასულიერო, ხოლო ვარაზ-ბაკურს საერო ასპარეზზე, შეიძლება მათ შორის ნათესაური კავშირიც ვივარაუდოთ, მით უფრო, რომ თორელები ცნობილი არიან როგორც საერო პირები, ისე სამღვდელონიც. კერძოდ, ჯვრის აღაპებში მოხსენიებულია ჯავახ თორელი, რომელიც ბერად აღკვეცილა სვიმონის სახელით [მეტრეველი, 1962:11]. რაც შეეხება თვით ბასილ თორელყოფილს, მის შესახებ ნ. შოშიაშვილის დასახელებულ ნაშრომში მწირი ინფორმაციაა – გენეალოგიურ სქემაში მისი სახელის გასწვრივ ქუთაისის ოთხთავის გადაწერის თარიღია – 1060 წელი – მინიშნებული.

ბასილი თორელყოფილის შესახებ მასალების მოძიება მოგვიხდა ასევე შავი მთის ქართულ სავანეებში, უმთავრესად კი კალიპოს მონასტერში XI საუკუნეში გადაწერილ ხელნაწერებში. უპირველესად უნდა აღვნიშნოთ ალავერდის ოთხთავი, რომელიც 1054 წელს გადაიწერა კალიპოს მონასტერში. ოთხთავში, იოვანეს სახარების ბოლოს, მოცემულია ანდერძ-მინაწერი, რომელშიც სხვებთან ერთად ორჯერაა მოხსენიებული ბასილიც: „... მე ცოდვილი სვიმონ, იოვანე და ბასილი და დიმიტრი და გიორგი შეუვრდებით თქვენსა ღვთისმოყუარებასა ... ღოცვა ყავთ ... (და მოიჴსენეთ) სულიერნი მოძღუარნი ჩემნი ... და ძმანი: ბასილი, იოვანე, სულა ...“ [ჟორდანია, 1892:203]. ამ მინაწერზე დაყრდნობით, სავარაუდოა ბასილი თორელყოფილი 1054 წლისთვის თუ უფრო ადრე არა, უკვე კალიპოს მონასტერში იყო. ზოგადად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბასილი იმ სამოც ქართველ მოღვაწეთა შორის იყო, რომლებიც მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში შავ მთაზე ქართველთა სამონასტრო კოლონიაში იმყოფებოდნენ [კეკელიძე, 1951:89].

K-76 ანდერძიდან ჩანს, რომ ოთხთავის გადაწერის მომენტში – 1060 წლისთვის – ბასილ თორელყოფილი მონაზონია, მაგრამ მისი თავმდაბლობიდან გამომდინარე თუ იმის გამო, რომ თავდაპირველად მას მხოლოდ მწიგნობრული საქმიანობა ევალებოდა, იგი წერს: „ხოლო მე სულიერთა და საღვთოთა მადლთაგან გლახაკი და მრავალთა ცოდვითაგან ღელვა გუემული და უდებებით და დახსნილობით ფრიად საარებული, ამად უფსკრულთა ღვთისა მოწყალებისათა მინდობილი და არა სასოწარკვეთილი, სახელით ოდენ და არა საქმით მონაზონი, ღირს ვიქმენ აღწერად და განსრულებად წმიდა ამას ოთხთავსა სახარებასა ... “ (K-76: 352v].

ეკლესიის წინაშე მისი დამსახურება, განათლება და თავმდაბლობა გაი-

თვალისწინეს ალბათ იმ მომენტში, როცა იგი კალიპოს მონასტრის წინამძღვრად დაადგინეს. ცნობა, რომ ბასილი კალიპოს მონასტრის წინამძღვარი გამხდარა, დაცულია XI-XII საუკუნის კრებულში S-384 /ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ყოფილი კოლექცია/. S კოლექციის აღწერილობაში ვკითხულობთ: „წმიდანო მამანო, ესე წმიდისა მინაჲს წამებაჲ იყო ძუელადცა თარგმნილი კიმენისგან, რამეთუ ესრეთ ეწოდების პირუჱლ ლიტონად აღწერილსა წიგნსა მოწამეთასა, ხოლო აწ ესე ითარგმნა ახლად მეტაფრასისაგან ბრძანებითა კალიპოსელთა წინამძღურისა ბასილისითა, რამეთუ მას უჴმდა მინა წმიდისათჳს და ესე ირჩია ლოღოთეტისა სჳმეონის შეკაზმულისა მოწმეთაჲსაგან, რომელსა მეტაფრას ეწოდების. შეგჳნდევით და ლოცვა ყავთ“ [ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1959:467].

ის, რომ კიმენისგან ნათარგმნ „წმინდა მინაჲს წამებას“ ბასილმა სვიმონ ლოღოთეტისაგან „ახლადშეკაზმული“ მეტაფრასი ამჯობინა, მეტყველებს იმაზე, რომ იგი პროგრესულად აზროვნებდა და მხარს უჭერდა საეკლესიო მწერლობაში დაწყებულ პროცესს – ძველი კიმენი ხელნაწერების გადამეტაფრასებას. რაც შეეხება ბასილი თორელყოფილისა და ბასილი კალიპოსელის იგივეობას, ამ საკითხს პირველად ყურადღება მიაქცია ქართველმა მკვლევარმა ენრიკო გაბიძაშვილმა, როცა რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერაჲს“ ავტორის ვინაობის გასარკვევად არსენ იყალთოელისა და არსენ კალიპოსელის იდენტიფიკაციას ახდენდა. მანვე დაადგინა, რომ ბასილს „წმიდათა ცხოვრებანიც“ (Sin-71 მარით) გადაუწერია [გაბიძაშვილი, 1978:68-69].

რუის-ურბნისის კრების დამსწრეთა შორის არსენ იყალთოელის არსენ კალიპოსელად მოხსენიება იმაზე მიგვანიშნებს, რომ იმ პერიოდისთვის /1103 წ./ იგი კალიპოს მონასტერში მოღვაწეობდა. რომ არა არსენ იყალთოელის განსაკუთრებული დამსახურება, კალიპოს მონასტრის წარგზავნილი საეკლესიო კრებაზე მონასტრის წინამძღვარი უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ იმ დროისთვის ბასილ თორელყოფილი ან ღრმად მოხუცებული იყო და მგზავრობას მოერიდებოდა, ან შესაძლებელია უკვე გარდაცვლილიც.

ქუთაისის მუზეუმის K-76 ხელნაწერის გადამწერის ანდერძის ვრცელი ტექსტი და მასში განხილული საკითხები ბასილ თორელყოფილის განათლებასა და მჭევრმეტყველებაზე მიგვანიშნებს. ანდერძი დიდ ინტერესს იწვევს იმ მიმართებით, რომ მასში ხატოვნად და უდიდესი მოწიწებით არის გაცხადებული მისი დამოკიდებულება ქრისტიანული რელიგიის საფუძვლებისა და თვით სახარებისადმი, რომელსაც „წმიდათასა ცათა და ქუეყანისა უზეშთაესსა წიგნსა“ უწოდებს. ვ. სილოგავა ასე ახასიათებს ბასილ თორელყოფილის ანდერძს: „...ხელნაწერში მოთავსებულია ბასილ თორელყოფილის მცირე ფორმის ორიგინალური ნაწარმოები, რომელსაც პირობითად „შესხმაჲ ოთხთავისაჲ“ შეიძლება ეწოდოს. იგი სახარების ღვთისმეტყველური დახასიათებაა სხვა-

დასხვა ეპითეტით: მარგალიტი უსასყიდლო, ტაბლა ცხოვრებისა, საზრდელი უკვდავებისა, ღვინო გულისხმისყოფისა, ხე ბორობანი, სამოთხე მშვენიერებისა, საუნჯე მოუკლებელი, კიბე ცად ამყვანებელი, კარი სასუფეველისა და სხვა" [სილოგავა, 1989:153-165.].

ბასილ თორელყოფილი ანტიოქიური სკოლის მიმდევარია. მისი მსოფლმხედველობა გაცხადებულია თავის ანდერძში დასმული საკითხების ანალიზისას. იგი იზიარებს ანტიოქიური სკოლის წარმომადგენელთა შეხედულებებს ადამიანის პირად ღირსებებსა და უფლის კანონთა დაცვის თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამქვეყნიურ სიკეთესა და ხსნას მიიღებენ მხოლოდ მორწმუნენი და ისინი, ვინც ღვთაებრივი კანონებით ცხოვრობენ. ბასილ თორელყოფილი კარგად იცნობს ამ მიმართებით არსებულ წერილობით წყაროებს და წერს: „ვითარცა წერილ არს ვითარად, მართალი სარწმუნოებითა ცხოვნდეს და რასაცა სარწმუნოებით პატივ ვსცემდეთ ბრძანებათა უფლისათა, რომელმან თქუა: „სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ, ვიდოდე მშვიდობით". და ყოველთა მორწმუნეთა, მოშიშთა მისთა, მოგანიჭენ მან სახიერმან და კაცთმოყუარემან ღმერთმან სარწმუნოებისაებრ თქუენისა მოუგონებელნი ნიჭნი და კეთილნი მისნი საუკუნოდ და უკუნითი უკუნისამდე" (K-76: 352v).

ანტიოქიური სკოლის მოძღვრების ერთგულია ბასილ თორელყოფილი ყოვლადწმიდა სამების არსშიც. თეოდორიტე კვირელი, ანტიოქიური სკოლის დიდი წარმომადგენელი, თავის ეპისტოლეებში ამ საკითხთან დაკავშირებით ასე აყალიბებს თავის მრწამსს: „გვწამს ერთი მამა, ერთი ძე, ერთი სულიწმიდა და ვაღიარებთ ერთ ღვთაებრიობას, ერთ უფლებას, ერთ არსებას, სამ ჰიპოსტასს, რადგანაც მხოლოდშობილის განკაცებას არ გაუზრდია სამების რიცხვი და არ გამხდარა სამება ოთხება, არამედ განკაცების შემდეგაც სამება სამებად დარჩა" [ვიქტორია ჯუღელი – ნეტარი თეოდორიტე კვირელი, თბ., 2008 წ., გვ. 33]. იგივე აზრია ჩადებული ბასილ თორელყოფილის ანდერძის ამ მონაკვეთში: „რომელი ყოველთავე ბრძანებათა შინა თვისთა დაამტკიცებს მამისა თანა დაუსაბამოჲსა და ყოვლადწმიდისა სულისა თანასწორობასა, თანადაუსაბამოებასა და სუფევასა თჳსსა, რომელსა აღვიარებთ და ვადიდებთ თანა მამით და სულიწმიდითურთ სამგუამოვნებით და ერთ ღვთეებით, რომელი სუფევს საუკუნითგან და უკუნითი უკუნისამდე" (K-76: 350r).

ჩვენ მიერ მიმოხილული მწირი მასალის მიუხედავად, შევეცადეთ წარმოგვეჩინა XI საუკუნის ღვაწლმოსილი ქართველი საეკლესიო მოღვაწის, ბასილ თორელყოფილის პორტრეტი, მოღვაწისა, რომელმაც თავისი სამონასტრო საქმიანობითა და საეკლესიო მწერლობაში შეტანილი წვლილით წარუშლელი კვალი დატოვა შუა საუკუნეების ქართულ კულტურაში. მის უდიდეს ღვაწლად და დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ, რომ დღეს ხელთ გვაქვს გიორგი მთაწმინდელის მიერ რედაქტირებული ოთხთავიდან /დედნიდან/ მის მიერ გადაწერილი

ხელნაწერი, რომელსაც ორიგინალის მნიშვნელობა აქვს და სახარების გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ნუსხაა.

წინამდებარე სტატიის მიზანია, კიდევ ერთხელ შევახსენოთ ჩვენს ენათმეცნიერებს, ბიბლიური წიგნების მკვლევართ, რომ გიორგი მთაწმინდელის მიერ რედაქტირებული ოთხთავის კრიტიკული ტექსტის დადგენისას ამოსავალი და უმთავრესი წყარო ქუთაისის მუზეუმში დაცული ხელნაწერი ოთხთავი K-76-ია, რადგან ხელნაწერი კარგად არის შენახული, გასაგებად იკითხება და მხოლოდ იოვანეს სახარების მცირე მონაკვეთით არის ნაკლული. აი აქ შეგვიძლია გავითვალისწინოთ ივ. იმნაიშვილის რჩევა და K-76-ის ნაკლული ტექსტი ვანის ოთხთავის შესაბამისი ტექსტით შევავსოთ. ასე მოვიქეცით 2007 წელს, როცა ქუთაისის ოთხთავის მხედრული ვარიანტი გამოვეცით.

ლიტერატურა:

1. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, თბილისი, 1901 წ.
2. გაბიძაშვილი ენრიკო. 1978. *რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა*, თბილისი.
3. იმნაიშვილი ივანე. 1979. *ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია*, თბილისი.
4. კეკელიძე კორნელი. 1951. *ძველი ქართული მწერლობის ისტორია*, ტ. I, თბილისი.
5. მეტრეველი ელენე. 1962. *მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისთვის*, 1962 წ., თბილისი.
6. ჟორდანია თედო. 1892. *ქრონიკები*. თბილისი. გვ. 207-208. XI საუკუნის ქართველი მწიგნობარი ბასილ თორელყოფილი და მისიანდერძი. მრავალთავი, XV, თბილისი.
7. ფეიქრიშვილი ჟუჟუნა. 1992. ქართველოლოგიის საკითხები, თავი V, ქუთაისი.
8. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. 1959. ტ.I, S ფონდი.
9. შანიძე აკაკი. 1945. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია. თბილისი.
10. შოშიაშვილი ნუკრი. 1966. თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და..., ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი.
11. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, თბ., 1967 წ. შემდგენელები ...
12. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, შემდგენელი ევ. ნიკოლაძე, თბ., 1956.

TSITSINO MUMLADZE
Kutaisi State Historical Muzeum

XI CENTURY EVANGEL K-76 FROM KUTAISI MUSEUM

Summary

XI century Evangel K-76 is preserved in Kutaisi State Historical Museum. It was copied at Caliposus Virgin Mary's Monastery, on Black Mountain (Antioch) in 1060 by Basil Torelkopili (former resident of Tori, Georgia). Evangel is edited by Giorgi Mtatsmindeli. From the extensive colophon of Basil Torelkopili is clear that the manuscript is copied directly from the original. Thus, since today the original text made by Giorgi Mtatsmindeli is not existing, K-76 takes the importance of the original. Based on the above, the Kutaisi Museum's Gospel is of immense importance to establish the text of the original and in all the information that it contains.

It was not necessary to raise this issue, if not the Imnaishvili›s view of the splendid Gospel of Vani of XII century. This opinion is based on the colophon of scribe of Vani Gospel - Ioane. Iv. Imnaishvili notes that Vani Gospel should be trusted with great confidence as the most closer and disruptive text to the original (written by Giorgi Mtatsmindeli).

Our goal is to remind our linguists, the researchers of biblical books when defining the critical text edited by Giorgi Mtatsmindeli the key and the most important source is the manuscript - K-76, kept in the Manuscripts' fund of Kutaisi Museum, where the manuscript is well preserved and is in a good readable condition and only lacks in short section of the Gospel of John. The K-76's lack text can be filled with the corresponding text of Vani Gospel.

ჯულია ბენიძე
საქართველოს ეროვნული არქივი

საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული სამი მოხატული ოთხთავი

(1446/26, 323, 363)

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში საუკუნეების განმავლობაში შექმნილი მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალაა თავმოყრილი, მათ შორის ქართული ხელნაწერი წიგნების კოლექცია (ფონდი 1446), რომელიც IX-XIX საუკუნეებში გადაწერილ ხელნაწერებს მოიცავს. მათი ნაწილი ილუსტრირებულია და გამორჩეულია შესრულების მაღალპროფესიული დონით. მრავალფეროვან საეკლესიო თუ საერო ხელნაწერთაგან გამორჩეულია სამი მოხატული ოთხთავი, რომელთა გადაწერის ქრონოლოგიური პერიოდი IX-XIV საუკუნეებს მოიცავს.

ოთხთავი N 363

ეტრატის მინიატურული სახარება (ზომები: ყდა - 7.9x6, ეტრატი - 7.2x5.1) ნუსხურით ორ სვეტად არის ნაწერი. სტრიქონთა რაოდენობა გვერდებზე 22-ია. შეიცავს 250 ფურცელს და მოთავსებულია გვიანდელ ტყავის ყდაში. რესტავრირებული სახარება გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციაა, რომელსაც ახლავს თავისივე ანდერძი. გადაწერის ზუსტი თარიღი და ადგილი უცნობია, პალეოგრაფიული ნიშნებით კი დაახლოებით XI-XII საუკუნეებით თარიღდება [ჭუმბურიძე, 2011:14]. 205v-ზე გადამწერის მიერ ნუსხურით დაწერილი: *„ქრისტე, შეიწყალე ამის მწერალი ილარიონ“* იკითხება; საქართველოს ეროვნულ არქივში 1924 წელს საკათალიკოსო სახლიდან შემოვიდა.

XIX საუკუნეში სახარების პატრონი, ხელნაწერში დაცული მხედრული მინაწერების მიხედვით, სამეგრელოს (ოდიში) მთავრის ლევან V დადიანის მეუღლე - მართა წერეთელი - ყოფილა[1].

„ქ. სახარება ეკუთვნის თ'ი წერეთლის ასულს მართას, ღმერთმან შეუნდოს“ (1r).

„წერეთლის ასული ...“ (5r).

„ღმერთო, შეიწყალე ამისი პატრონი მართა“ (247v).

მთარგმნელის ანდერძი მოთავსებულია იოანე მახარებლის სახარების ბოლოს: „ესე საცნაური იყავ ყოველთა და რამეთუ ესე წმიდაჲ ოთხთავი ახლად

[1] ლევან V დადიანი - ოდიშის მთავარი (1804-1840 წწ.).

გვთარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაჲთა და ბერძულთა სახარებათა და შეგვწამებია ფრიადითა გამოწულვილვითა და ვინცა ვინ დასწერდეთ, აწცა აქა ჰპოოთ ეგრე დაწერეთ თუ ამისგან ჯერ გიჩნდეს დაწერაჲ, ღუთისათჳს სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ და თუ არა რაჲმე გაშუნდეს ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველიდგან წმიდად თარგმნილნიცა და კეთილად ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა მუნით დაწერეთ და ღუთისათჳს ერთმანერთსა ნუ განჰრევთ და გლახაკისა გიორგისთჳს ლოცვა ყავთ“ (205 v).

ყავისფერი მელნით გადანუსხული სახარების ტექსტი სადაა, სინგურით გამოიყოფა მუხლებისა და თავების დასაწყისები. დეკორატიული ელემენტებით გაფორმებულია კანონთა ტაბულები, თავსამკაულები და საზედაო გრაფემები.

ხელნაწერის შედგენილობა და გაფორმების სისტემის თანამიმდევრობა შემდეგნაირია:

- ხელნაწერის დასაწყისში მოცემულია *კანონთა ტაბულა* (6r-11v). „კამარების“ გარეშე მოცემული *ევსებიოსის კანონები* ფურცლის ორსავე მხარეს, მთელ გვერდზეა განთავსებული. ზედა, მარჯვენა და მარცხენა არშიებზე ცხოველთა და ფრინველთა მითოლოგიური გამოსახულებებით გაფორმებული თორმეტი კანონი განაწილებულია ექვს ფურცელზე (6.2x5.2).
- *კანონთა ტაბულას* სამ გვერდზე განთავსებული *ევსებიოსის წერილი კარპიანესადმი*, ანუ *კანონთა განჩინება* მოსდევს (12r-13r). ყავისფერი მელნითა და სინგურით შესრულებული წერილი საზეიმო გაფორმებით არ გამოირჩევა, რაც ქართული ოთხთავებისთვის დამახასიათებელია.
- *ევსებიოსის* წერილის შემდგომ ხელნაწერის ძირითადი ტექსტი, ანუ მახარებელთა ოთხი სახარებაა:
  მათე - *„წიგნი შობისა იესო ქრისტესი...“* (16 r- 75r).
  მარკოზი - „დასაბამი სახარებისაჲ იესუ ქრისტესი...“ (77 r — 110 v).
  ლუკა - „ვინაჲთგან უკუე მრავალთა ჴელ-ყვეს აღწერად...“ (113 r -165r).
  იოანე - „პირველითგან იყო სიტყუაჲ, და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა...“ (166r — 237v).
- ოთხივე სახარებას წინ უძღვის საძიებლები: *„ესე თავები არს... სახარებისაჲ“* - მათე (13v-15r), მარკოზი (75r-76r), ლუკა (111r-112v) და იოანე (165r-165v).

სახარებათა დასაწყისები გაფორმებულია თავსამკაულებითა და საზედაო გრაფემებით. ორ სვეტად ნაწერი ტექსტის ზემოთ მოცემულია π-ს ფორმის თავსართი, რომლის შუა ნაწილში წითელი მელნით ტექსტის შესაბამისი ავტორ-მახარებლის სახელია ჩაწერილი.

მათეს სახარების თავსამკაული (ზომა 2.7x4.5) - გაფორმებული გეომეტრიული ფიგურებითა და ყვავილოვანი მოტივებით. სახარების დასაწყისის ორნამენტული საზედაო გრაფემა - Ⴖ (3.1x0.8). ფურცლის მარჯვენა არშია გაფორმებულია

საცეცხლურითა და ფრინველის გამოსახულებით (5x1).

მარკოზის სახარების თავსამკაული (ზომა 2.4x4) - გაფორმებული ორნამენტებით. სახარების დასაწყისი - სტილიზებული საზედაო გრაფემა - Ⴈ (4.4x0.8). ფურცლის მარჯვენა არშიაზე გამოსახულია საცეცხლური (5x0.8).

ლუკას სახარების თავსამკაული (ზომა 2x4.5) - გაფორმებული ორნამენტებითა და გეომეტრიული ფიგურებით. სახარების დასაწყისის ორნამენტული საზედაო გრაფემა - Ⴒ (3X0,8). ფურცლის მარჯვენა არშიაზე გამოსახულია მითოლოგიური ფრინველი და საცეცხლური (4.8x1).

იოანეს სახარების თავსამკაული (ზომა 4x2.1) - გეომეტრიული ფიგურებით და ორნამენტებით გაფორმებული. მარჯვენა კიდეზე საცეცხლური თევზით და ადამიანის თავის გამოსახულებით (6x0.7). სახარების დასაწყისის საზედაო გრაფემა - Ⴓ, განთავსებული მთელ გვერდზე, მითოლოგიური ფრინველითა და ორნამენტებით შემკული (5.5x0.9).

თორჯიზის ოთხთავი (N 26)

საშუალო ზომის ხელნაწერი (ეტრატი - 21x15.1, ყდა - 23.5x15.9) შეიცავს 183 ფურცელს. სტრიქონთა რაოდენობა გვერდებზე 23-ია, რესტავრირებული ოთხთავის ძირითადი ტექსტი ნაწერია ნუსხურით, ორ სვეტად მოყვითალო ფერის ეტრატზე. მოთავსებულია ოქროსფერი ორნამენტებით გაფორმებულ გვიანდელ ტყავის ყდაში. შავი მელნითა და სინგურით დაწერილი მუხლებად და თავებად დაყოფილი ტექსტი საზედაო ასოებით გამოიყოფა. ხელნაწერი პალიმფსესტია, მოიცავს ვრცელ პერიოდს და შედგება რამდენიმე ფენისგან (პირველი ფენა - IX-X საუკუნეები, მეორე ფენა - XII-XIII საუკუნეები, მესამე ფენა - XIV საუკუნე). ტექსტის ნაწილი დალაქავებულია, მელანი გადასული, ნაწილი კი განახლებულია. საქართველოს ეროვნულ არქივში 1924 წელს გორის რაიონის სოფელ თორტიზის ღვთისმშობლის ეკლესიიდან შემოვიდა[2].

სახარებაში დაცულია სხვადასხვა პირის მოსახსენიებლები (XVIII საუკუნის ჩათვლით), დაწერილი ნუსხურითა და მხედრულით. უცნობია ოთხთავის გადაწერის დრო და ადგილი, ცნობილია მომგებელი, ბერი ესტატე და გადამწერი - გიორგი, რომლებიც ხელნაწერში რამდენჯერმე მოიხსენიებიან:

ღმერთო, შეიწყალე გიორგი (1v)

[მ]ათე, მარკოზ და ლ[უ]კა და იოანე, შეიწყალე გიორგი [...] მწერალი (183 v).

უწყით, წმინდანო მახარებელნო, მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე, რამეთუ დიდად გავისაჯე მე, ცოდვილი გიორგი, მეოხ მეყვენით აქაცა და მას საუკუნესა... ამინ (183 v).

ბერსა ესტატეს შეუნდნენ ღმერთმან, ამინ (4r)[3].

შეიკაზმა წმიდა ესე ოთხთავი ჴელითა ფრიად ცოდვილისა გავზელისა ძისა,

[2] ოთხთავის სახელწოდება პირობითია და მომდინარეობს თორტიზის ეკლესიიდან, სადაც ინახებოდა საქართველოს ეროვნულ არქივში დაცვაზე შემოსვლამდე.

[3] XIV-XV საუკუნის ასომთავრულით.

მღვდელმონაზონისა *ესტატესითა* და შეუნდვენ ღმერთმან, უფალო ღმერთოჲ (72 r) [აღწერილობა, 2016: 218-219].

„ქ. ღმერთო და სახარებავ, პირო მხთისაო. შენ შეიწყალე *ფოცხვერასშვილები*...(72 r)[4], „ღმერთო, შეიწყალე ხუცისშვილის პატარკაცის სული" (72 v) [აღწერილობა, 2016:219].

თორტიზის ოთხთავის მომგებელთან დაკავშირებით, ვფიქრობ, საყურადღებოა გერგეტის სამების მატიანეში დაცული, ნუსხური ხელით შესრულებული შემდეგი შინაარსის მოსახსენებელი - *„სულს გავაზელის ძისაჲ ესტატეს შ'ნ ღ'ნ. ამინ"* [მარსაგიშვილი, 2009:28].

ხელნაწერი დღეს სრული სახით არ არის დაცული, რის გამოც ოთხთავისთვის დამახასიათებელი შედგენილობა რამდენადმე დარღვეულია. *კანონთა განჩინება და ევსებიოსის კანონები*, რომლებიც ოთხთავის დასაწყისში უნდა ყოფილიყო, არ შემორჩენილა, შესაბამისად, ხელნაწერი მათე მახარებლის სახარებით იწყება. იოანეს სახარების ბოლოს ოთხთავს ერთვის ზანდუკი (163 v-183r).

- თითოეულ სახარებას წინ უძღვის საძიებლები: „ესე თავები არს... *სახარებისაჲ*" - მათე 1r-2v, მარკოზი 69v-71r და იოანე 118v-163r.
- შემდგომ მოცემულია სახარების შესაბამისი ავტორის - მახარებლის - გამოსახულება, რომელსაც მოსდევს სახარების ძირითადი ტექსტი:
  მათეს სახარება (4r-69v); მარკოზის სახარება (72v-110v); ლუკას სახარება (111r-116v); იოანეს სახარება (118v-163r).

ლუკა მახარებლის ტექსტი ფრაგმენტულად არის შემორჩენილი. არ ახლავს საძიებელი და მინიატიურაც დაკარგულია.

- სახარებათა დასაწყისები, ორ სვეტად ნაწერი, ტექსტის მარცხენა სვეტის თავზე თავსამკაულებითაა გაფორმებული - მათე მახარებლის სახარების თავსამკაული 4r (3.4x8); მარკოზ მახარებლის სახარებისა 72v (1.9x5.7) და იოანე მახარებლის სახარების 118 v (3x7.3).

მახარებელთა მინიატიურები სახარებათა დასაწყისში ტექსტის შესაბამისი თანმიმდევრობითაა მოთავსებული. თითოეული მათგანი ფურცლის მთლიან verso-ზე სინგურით შექმნილ ოთხკუთხა ჩარჩოშია წარმოდგენილი.

მათე მახარებელი (16.8x11) - თავის სამუშაო მაგიდასთან მჯდომი, წერის პროცესშია გამოსახული (3r). მარჯვენა ხელში სტილო უკავია, რომლითაც მარცხენა მუხლზე გადაშლილ კოდექსში წერს სახარების ტექსტს. მოსავს მწვანე ქიტონი და ოქროსფერი ჰიმატიონი. სახის ნაკვთები და ჭაღარა თმა-წვერი წერის რბილი მანერით ხასიათდება.

მარკოზ მახარებელი (17x11) - თითქმის იმეორებს მათე მახარებლის სხეულის მდგომარეობას (72v). მუშაობის პროცესში გამოსახულ მახარებელს მარჯვენა ხელში სტილო უკავია, ხოლო კოდექსი მუხლზე აქვს გადაშლილი. მოსავს მუქი

[4] XVII საუკუნის ნუსხურით.

მწვანე ქიტონი და წითელი ჰიმატიონი.

მათესა და მარკოზის იკონოგრაფიული ტიპები, ასევე მახარებლის სახარების წერის, ხელში სტილოთი გამოსახული იკონოგრაფიული ტიპი ფართოდ არის გავრცელებული შუა საუკუნეების მინიატურასა და კედლის მხატვრობაში.

იოანე მახარებელი თავის მოწაფე პროხორესთან ერთად (16.9x12.4) - გამოსახულია კუნძულზე (118 v). კომპოზიციის მარჯვენა ნაწილში ფეხზე მდგომი იოანე მახარებელია მოცემული, რომლის მზერა უფლის მაკურთხებელი ხელისკენ არის მიმართული. მარცხენა ხელი მკერდთან აქვს მიტანილი, ხოლო მარჯვენა კურთხევის ნიშნად მიუმართავს მარცხენა ნაწილში გამოსახული პროხორეს მჯდომარე ფიგურისკენ. ის იოანე მახარებლის სიტყვებს გადაშლილ კოდექსში წერს. მახარებელს მოსავს ყავისფერი ქიტონი და მწვანე ჰიმატიონი, პროხორეს კი - მწვანე ქიტონი და წითელი ჰიმატიონი.

ფეხზე მდგომი იოანე მახარებლის გამოსახულება ასევე ხშირია შუა საუკუნეების ქართულ და ბიზანტიურ ოთხთავებში.

ანჩის ოთხთავი (N 323)

რესტავრირებული ხელნაწერი შეიცავს 269 ფურცელს, საშუალო ზომის (ეტრატის - 21.5x 15.8; ყდა - 22.1x16.8). ტექსტი ნაწერია შავი მელნით, ნუსხურით, ორ სვეტად მოყვითალო ფერის ეტრატზე. სტრიქონთა რაოდენობა გვერდებზე - 24. დათარიღებულია XII-XIII საუკუნეებით. მომგებელი - *სოფრომ მწიგნობარი.*

ანჩის ოთხთავის სახელწოდება კლარჯეთში მდებარე ანჩის საეპისკოპოსო ტაძრიდან მომდინარეობს, რომლის საკუთრებაც იყო ეს სახარება. 1923 წელს პროფესორმა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ხელნაწერი წალკიდან წამოიღო და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მისი მეორე სახელწოდებაც (წალკის სახარება) აქედან მომდინარეობს. იმავე წელსვე შემოვიდა საქართველოს ეროვნულ არქივში [კაკაბაძე.. 1949: 293].

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩნდება ცნობები წალკაში დაცული ხელნაწერების, სახელდობრ, ანჩის ოთხთავის შესახებ. ასეთია გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებული მღვდელ-მონაზონ კალისტრატეს მოკლე ნარკვევი, რომელშიც საუბარია წალკაში დაცული ოთხთავის თაობაზე. საგულისხმოა ის ადგილი, სადაც სტატიის ავტორი საუბრობს მინიატიურებზე - *„...ერთი უცხო ტომის კაცის ხელში ვნახე ფრიად ძველი ქართული სახარება. ეს სახარება სქელს ტყავზეა დაწერილი უძველესის ასოების ფორმით... სათაურზე აწერია იამბიკო მაცხოვრის შობისა. ამის შემდეგ დაწერილია ცალ-ცალკე თითოეული მუხლი მათესი, თუ რა საგანს შეიცავს მისი შინაარსი! მერმედ დახატულია მახარობელი მათე ტყავის მთელ ფურცელზე იალდუზის ოქროს ვარაყით; მეორე ფურცელზედ მოყვანილია სახარების დასაწყისი თავი იმავე ოქროს ვარაყით და აქვე წამლით დახატულია სახეები. ამ ნაირად არის ნაშრომი თითოეულის მახარობლების სახარება და*

თითოეულის სახარების წინა უძღვის ტექსტს. წიგნს აქვს ბანდუკი და ბოლოს ორი ფურცელი ფრიად საყურადღებო მინაწერით..."[კალისტრატე, 1890:3].

მღვდელ-მონაზონს მოჰყავს სახარების ბოლოში დართული ანდერძი და მასში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა მიხედვით ხელნაწერს X საუკუნეში გადაწერილად მიიჩნევს[5].

კალისტრატეს შემდეგ წალკაში 1895 წელს მოგზაურობს ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც ეს ოთხთავი ბერძენი ძმების, გურჯანოვების, ოჯახში ნახა (სოფელი წინწყარო). ის უფრო დაწვრილებით აღწერს ოთხთავს, რაც, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია იმით, რომ თავის დროზე საკმაოდ დაზიანებული და დაშლილი ხელნაწერი დღეს იმ სახით არ შემორჩა, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი აღწერდა. თავის აღწერილობაში ის აღნიშნავს შემდეგს - *„изъ двухъ евангелий одно болье древнее пергаментное ин 4° ь 22,2X15,5 сантиметра, писано строчными буквами хуцури въ два столбца; въ каждомъ столбць по 24 строки. Чернила черныя; оглавления, какь всегда, писани киноварью. Счеть листовь показань по тетрадямь; вь каждой тетради по 8 листовь, кромь последней, состоящей изь 6 листовъ. Всехь тетрадей 31. Укашениями евангелия служатъ рисунки четырехь евангелистовъ, красиво раскрашенныя заставки и инициалы. листы сь рисунками евангелистовь теперь не на своихъ местахъ, сильно пострадали оть времени; композиции рисунковь хороши, но краски частью выцвели вследствие сырости. Евангелисты все представлены сидящими сь пюпитрами впереди и книгами вь рукахъ.Все они въ глубокомъ раздумии и еще не собрались писать. исключение составляеть одинь евангелистъ, Лука, который уже пишеть подь диктову Христа, стояшаго предъ нимъ сь благословляющею десницею..“ [Такаишвили, 1907: 97-98]*[6].

ამრიგად, ექვთიმე თაყაიშვილის აღწერილობის მიხედვით, XIX საუკუნის ბოლოს დაშლილ და დაზიანებულ ოთხთავში დაცული ყოფილა დღეს დაკარგული სამი მახარებლის მინიატიურა. ხელნაწერს ბოლოში ერთვის ანდერძი, რომლის ტექსტიც ექვთიმეს სრულად მოჰყავს.

ხელნაწერის თანადროული ანდერძი გამოაქვეყნებული აქვს ვალერი სილოგავასაც, რომელიც ხელნაწერის შესრულების კონკრეტულ თარიღს იძლევა. ანდერძის მიხედვით *სოფრომ* მწიგნობარმა ეს სახარება წყაროსთავით

---

[5] ანდერძში ნახსენებ დავით შეფეს აიგივებს დავით კურაპალატთან.

[6] თარგმანი: „ორი სახარებიდან ერთი უფრო ძველია, 22.2x15.5, ნაწერი ხუცურით. ორ სვეტად. თითოეულ სვეტში 24 სტრიქონი. მელანი შავია, დასაწყისები, როგორც ყოველთვის. ნაწერია სინგურით. დანომვრა რვეულებრივია, თითოეულ რვეულში 8 ფურცელია, გამონაკლისია ბოლო, რომელშიც ამჟამად 6 ფურცელია დაცული. ხელნაწერი მთლიანად 31 რვეულისგან შედგება. სახარება გაფორმებულია ოთხი მახარებლის ნახატით, ლამაზად შესრულებულია თავსამაკულებითა და ინიციალებით. მახარებელთა მინიატიურები ამჟამად თავის ადგილზე არ არის მოთავსებული. სიძველისა და დროის გამო ხელნაწერი ძლიერ დაზიანებულა. ნახატის კომპოზიცია კარგია, მაგრამ ფერი ნესტის შედეგად ნაწილობრივ ჩამოცვენილა. მახარებლები წარმოდგენილნი არიან მჯდომარენი, ხელში წიგნებით, პიუპიტრის წინ. თითოეული მათგანი ჩაფიქრებულია და წერა ჯერ არ დაუწყია. გამონაკლისია ლუკა მახარებელი, რომელიც უკვე წერს სახარებას მის წინ მდგომი, კურთხევის ნიშნად მისკენ მომართული მაცხოვრის კარნახით“.

შეისყიდა, როდესაც ათორმეტ უდაბნოს ანჩელი მთავარეპისკოპოსი თევდორე განაგებდა, ხოლო საქართველოს კი *დავით მეფეთ-მეფე, თამარ დედოფალი* და ძე მათი ლაშა, სწორედ ამ პერიოდში მოაჭედვინა მან სახარების ყდა *ოქროს მქანდაკებელსა ბექას* და შესწირა *ანჩის* საეპისკოპოსო ტაძარს. ვალერი სილოგავა ეყრდნობა ივანე ჯავახიშვილის ვერსიას დავით სოსლანის გარდაცვალების შესახებ (1207 წელი), რასაც ხელნაწერის გადაწერა/მოჭედვის ზედა თარიღად განსაზღვრავს, ხოლო ლაშა-გიორგის დაბადების თარიღისა და მისი თანამოსაყდრეობის პერიოდის განსაზღვრით ასკვნის: „წალკის სახარების გადაწერის, მისი ანდერძისა და მასში მოთხრობილი ამბების ქრონოლოგია შეიძლება 1204-1207 წწ. განისაზღვროს" [სილოგავა, 2007: 58-60].

ხელნაწერის თავდაპირველი ყდა დღეს დაკარგულია და ამჟამად ის მოთავსებულია ვერცხლის ფირფიტებით გაფორმებულ ტყავგადაკრულ მუყაოს ყდაში. ცენტრალურ ნაწილში ჯვარი და დიდი ზომის მწვანე თვალია. სამ ვერცხლის საკეტთან ერთად ხელნაწერს თან ახლავს ვერცხლის სანაწილე. ექვთიმეს აღწერილობაში დაცულია ცნობა ყდის მომჭედველის შესახებ - *ამისსა შემკზმავსა ენუქს და მისთა დე'დჲ მ'მთა ცოცხალთა და მიცვალებულთა შ'ნს ღ'ნ ან* [Такаишвили, 1907:105]. ნუსხურით შესრულებული ეს მინაწერი დღეს დაკარგული იოანე მახარებლის გამოსახულების უკან ყოფილა მოთავსებული და მას ექვთიმე XVI საუკუნით ათარიღებდა. ხელნაწერის ამჟამინდელ ყდაზე სხვადასხვა ოსტატის ხელი განირჩევა, ამიტომ რთულია იმის თქმა, თუ რომელი პერიოდის მოჭედილობის შემსრულებელი იქნებოდა მინაწერში მოხსენიებული პირი [ასათიანი ... 2012/2013:488].

ხელნაწერი სრული სახით არ არის შემორჩენილი. ამჟამად მასში არსებული 269 ფურცლის გარდა, დაცული უნდა ყოფილიყო აგრეთვე ხელნაწერის დასაწყისში ჩართული ევსებიოსის წერილი კარპიანესადმი, კანონთა ტაბულა და თითოეული სახარების წინ წარმოდგენილი მახარებელთა (მარკოზი, ლუკა, იოანე) მინიატიურები.

- ოთხ თავად დაყოფილ სახარების ტექსტებს წინ უძღვის საძიებლები - „ესე თავები არს... სახარებისაჲ" - შემდეგი თანმიმდევრობით: მათე 1v-3r, მარკოზ 73v-74v, ლუკა 119r-121v და იოანე 191v-192r.
- შემდგომ მოცემულია ძირითადი ტექსტი - მათეს სახარება 5r-73r; მარკოზის სახარება 75r-118v, ლუკას სახარება 122v-191r და იოანეს სახარება 193 r-244v.
- თითოეული სახარების დასაწყისი გაფორმებულია თავსამკაულითა და ინიციალით (5r, 75r, 122r, 193r).
- ოთხთავს ბოლოში დართული აქვს სოფრომ მწიგნობრის ანდერძი, მისივე იამბიკო და სახარებათა საძიებელი მთელი წლისთვის (245r-268).

ანჩის სახარებაში ანდერძსა და მთელი წლის საკითხავებს შორის, მოცემულია აკროსტიხით გაწყობილი «იამბიკონიმ რომელნი თავნი იტყვიან მაცხოვ-

რისა წინაშე სოფრომის მიერ ძღუნად სახარებაი« (167r). აღნიშნული იამბიკო, რომლის ავტორი სოფრომ მწიგნობარი უნდა იყოს ექვთიმე თაყაიშვილს თავის აღწერილობაში არ მოყავს [ასათიანი ... 2012/2013:491).

ორ სვეტად ნაწერი სახარებები π-ს ფორმის თავსამკაულებით და ორნამენტული საზედაო ასოებით არის გაფორმებული. კოლორიტში სჭარბობს წითელი, ოქროსფერი, მწვანე და შავი ფერების ერთმანეთთან შეხამება.

მათე მახარებლის სახარების თავსამკაული (5r. 5.2x8.1) და საზედაო გრაფემა - Ч (5.7x1.1) - გაფორმებული გეომეტრიული და ფოთლოვანი ორნამენტებით.

მარკოზ მახარებლის სახარების თავსამკაული (5.2x9.5) (75r) და საზედაო გრაფემა - Ѻ (2.5x1.6) - გაფორმებული გეომეტრიული ორნამენტებით.

ლუკა მახარებლის სახარების თავსამკაული (122r. 6x10.5) გაფორმებულია ყვავილოვანი ორნამენტებით და საზედაო გრაფემა - Ѣ (5.3x1.7).

იოანე მახარებლის სახარების თავსამკაული (193r. 6x11), გეომეტრიული ფიგურებითა და მცენარეული ორნამენტებით, საზედაო გრაფემა - Ꙋ (3.5x1.1) - შემკული ფრინველის გამოსახულებითა და ფოთლოვანი ორნამენტებით.

მინიატიურათაგან ხელნაწერში მხოლოდ ერთი, მათე მახარებლის, გამოსახულებაა დაცული სახარების დასაწყისში (4r. 18x11.4). თავის დროზე ოქრომელნით დაფერილი მინიატიურიდან ფერის უმეტესი ნაწილი ჩამოცვენილია, რის გამოც გამოსახულება მხოლოდ კონტურის დონეზე იკითხება. არ შემორჩენილა მახარებლის სახელის განმარტებითი წარწერა, თუმცა იკონოგრაფიული ნიშნებიდან და იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ის ხელნაწერის დასაწყისშია გამოსახული, უნდა იყოს წმინდა მათე მახარებელი.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული N 363, ანჩის (N 323) და თორტიზის (N 26) ოთხთავების დეკორაციული სისტემა შედგება, ერთი მხრივ, დეკორატიული ელემენტებისგან (კანონთა ტაბულების, თავსამკაულებისა და საზედაო გრაფემების გაფორმებაში), მეორე მხრივ, მინიატიურებისგან (მახარებელთა გამოსახულებანი).

ხელნაწერი N 363 XI-XII საუკუნეებშია გადაწერილი. დეკორატიული ელემენტებით გაფორმებულია კანონთა ტაბულა, თავსამკაულები და საზედაო გრაფემები.

კანონთა ტაბულის თორმეტგვერდიანი სისტემა განაწილებულია ექვს ფურცელზე. თითოეული ტაბულის თავზე მითიური არსებაა გამოსახული, ხოლო ფურცლის მარცხენა ან ორივე მხარეს, მთელ სიგრძეზე, მცენარეული მოტივი ჩაჰყვება. საწყისი შვიდი გვერდის გასაფორმებლად დამახასიათებელია შუა ნაწილში კვანძით შეკრული სვეტები (6r, 6v, 7r, 7v, 8r, 8v, 9r): *„X საუკუნეში ეს ხერხი ცნობილი იყო ბიზანტიის დედაქალაქის სკოლებში და შემდეგ ფართოდ გავრცელდა XII-XIII საუკუნეებში უმთავრესად მდიდრულად შემკულ კოდექსებში...“* [ჯიჯინაძე, 1997: 46]. ტაბულების შეკრულ ორიარუსიან კოლონებს გარკვეული

შინაარსობრივი დატვირთვა აქვს – *„ქრისტიანულ ეგზეგეტიკურ ლიტერატურაში სამყარო მოიაზრება ორიარუსიან ნაგებობად, რომელზეც ქვედა ფენა - მოკვდავთათვის, ხოლო ზედა ღვთაებრივი არსებათათვის არის გამოყოფილი"* [ქავთარია. 2011:92]. კოლონების მსგავსი სისტემა გვხვდება XI-XII საუკუნეების ალავერდის (A-484) [ქავთარია, 2011:90-92], ტბეთი I-ისა და ჯრუჭი II-ს ოთხთავებში [შმერლინგი, 1940: 48].

ევსებიოსის კანონების გაფორმების სისტემა ოთხთავებში საუკუნეთა განმავლობაში იცვლებოდა. ქართულ სახარებათა გაფორმების სისტემაში შემდეგი სურათი იკვეთება: სვეტებზე დაყრდნობილ ორმალიან ღია კამარის (m) ტიპს განეკუთვნება ადიშისა და ჯრუჭი I-ის სახარებათა კამარები, რომელთა გვერდით წყაროსთავის ოთხთავში გამოყენებულია სამმალიანი (n-m) ღია კამარის სისტემა [შმერლინგი, 1979: ტაბ. 14,15,28,29,31], ერთმალიან (n) ტიპს განეკუთვნება ბერთის სახარების კამარები [კუპრაშვილი, 1992: 200], ხოლო კამარათა სახეს, რომელთაც ხელნაწერ N 363-ში ვხვდებით, ქმნის რუისისა (A-845) და ქუთაისის ხელნაწერი K-76, რომელშიც კანონთა ტაბულა წარმოდგენილია კამარების გარეშე [შმერლინგი, 1979: ტაბ. 45-47].

სახარებათა დასაწყისების გაფორმების სისტემაში გარკვეული კანონზომიერება შეინიშნება: ერთმანეთს გადაწნული მცენარეული მოტივების ხვეულებით შექმნილი თავსამკაულები ორ სვეტად ნაწერი ტექსტის ზემოთაა განთავსებული. მსგავსად კანონთა ტაბულებისა, თავსამკაულების ზედა ნაწილიც მითიური არსებებით არის შემკული. ფურცლის მარცხენა ნაწილში საზედაო გრაფემა თითქმის მთელ სიგრძეს ჩამოჰყვება, ხოლო საპირისპიროდ, მარჯვენა ნაწილში, საცეცხლურია გამოსახული. სახარების დასაწყისი თავფურცლის გაფორმების ეს სისტემა მეორდება ოთხივე მახარებელთან მცირედი განსხვავებით, მაგალითად, მათე და ლუკა მახარებლების სახარების დასაწყისში ჩართულია ფრინველის, ხოლო იოანე მახარებლის სახარების დასაწყისში, საცეცხლურის ზედა ნაწილში, თევზის, ქვედა, ოვალურ ნაწილში კი ადამიანის სახე.

ანჩის ოთხთავი (N 323) XII-XIII საუკუნეებში გადაწერილი და შემკული ოთხთავია. გაფორმების სისტემას თავსამკაულები, საზედაო გრაფემები და მახარებელთა მინიატიურა შეადგენს.

სახარების დასაწყისში ოთხივე მახარებლის თავსამკაულთა გაფორმებაში П-ს ფორმას შემოწერს სინგურის წვრილი კონტური. თავსართის არე შევსებულია წნული და ყვავილოვან-ფოთლოვანი ორნამენტით, მის ქვედა ღია ნაწილში კი ჩაწერილია სახარების შესაბამისი ავტორის სახელი. თავსამკაულის ქვეშ გამოისახება სხვადასხვა ორნამენტული მოტივით შედგენილი საზედაო გრაფემა, რომელიც სახარების თავების მიხედვით ნაწილდება და შესაბამისად მთლიან ხელნაწერში მათი რაოდენობა ოთხია. ანჩის ოთხთავის საზედაო გრაფემები ახლოსაა ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულ მოწამეთის ოთხთავთან (XII ს, N-182).

ანჩის სახარების შედგენილობა გვიჩვენებს, რომ ხელნაწერის გაფორმების სისტემაში, სახარებათა დასაწყისში, ჩართული უნდა ყოფილიყო *ევსებიოსის კანონების ოთხგვერდიანი* ტაბულა. ქართულ ხელნაწერებში „კამარათა" რაოდენობა საუკუნეთა განმავლობაში გადაწერილ სახარებათა მიხედვით მრავალფეროვანია, რაც განასხვავებს ქართულ ხელნაწერებს ბიზანტიურისგან, სადაც X-XI საუკუნეთა მიჯნაზე უკვე მიღებული იყო კამარათა ათგვერდიანი სისტემა ხუთ ფურცელზე განაწილებული [ჯიჭინაძე, 1997:46-47]. ქართულ ხელნაწერებში კი გვხვდება კანონთა ტაბულის რვა, ცხრა, ათი, თორმეტი და თოთხმეტგვერდიანი სისტემა. ამ შემთხვევაში ანჩის სახარებაში საგულისხმო ოთხკამარიან სისტემას პარალელი XII-XIII საუკუნეებში გადაწერილ და გაფორმებულ ისეთ სახარებებთან ეძებნება, როგორებიცაა: ვანის (A-1335), ეჩმიაძინის, ლაბსყალდისა (საქართველოს ეროვნული მუზეუმი) და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ოთხთავი Geo-28 [თაყაიშვილი, 1933:61-64][7]. თითოეული ეს ხელნაწერი სამეფო კარის ან მასთან დაახლოებული პირის დაკვეთით შესრულებული ხელნაწერია. ანჩის საეპისკოპოსო ტაძრის კუთვნილი სახარებაც მინიატიურისა და გაფორმების სტილური ნიშნებით სწორედ ამ ოთხთავების შესრულების ქრონოლოგიურ (XII-XIII სს) პერიოდში ექცევა.

ანჩის ოთხთავში ტახტზე მჯდომი მათე მახარებლის ფიგურა ჩასმულია კამარაში, რომელიც აკანთის ფოთლებით გაფორმებულ ორ სვეტს ეყრდნობა. მარჯვენა ხელი მუხლზე გადაშლილ კოდექსზე უდევს, ხოლო მარცხენა ხელით ანალოგიას ეხება. კამარის არე მწვანე, ვარდისფერი და ოქროსფერი ყვავილოვან-ფოთლოვანი ელემენტებით ყოფილა დაფერილი, რასაც ფერწერის შემორჩენილი ნაწილი მოწმობს. კომპოზიციის შემავსებელი დეკორაციული ელემენტები (ტახტი, ანალოგია, საწერი მაგიდა) გაფორმების თვალსაზრისით სადაა, ზედმეტი ელემენტებით არაა გადატვირთული. მახარებლის გამოსახულება დღეს კონტურის დონეზე იკითხება, თუმცა ჩანს, რომ მინიატიურა დახელოვნებული ოსტატის მიერ იქნებოდა შესრულებული.

კამარაში გამოსახულ მახარებელთა ფიგურები ქართულ ხელნაწერებში ადრეული პერიოდიდანვე გვხვდება: მარტვილის ოთხთავში (S 391. 1050 წელი), ვანის ოთხთავში (A-1335, XII-XIII სს) [კარანაძე: 41,51], ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულ მოწამეთას ოთხთავში (N -182, XII ს) და სხვა.

თავსამკაულთა გაფორმების განსხვავებული სახე გვხვდება თორტიზის ოთხთავში (N 26). მასში გამოსახულია სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურა, რომლებზეც წნული და ყვავილოვან-ფოთლოვანი ორნამენტები სხვადასხვა ფერის ფონზე ნაწილდება.

თორტიზის ოთხთავში მახარებელთა მინიატიურები საგრძნობლადაა დაზიანებული, თუმცა სინგურის ზოლებით შექმნილ სწორკუთხა მოჩარჩოებაში კარგად

[7] დაცულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში.

იკითხება მუქ (მწვანე, ყავისფერი) ფონზე წარმოდგენილი გამოსახულებები. ლუკა და იოანე მახარებლების სახეები მთლიანად დაზიანებულია, შედარებით კარგად შემორჩა მათე მახარებლის სახე.

იკონოგრაფიული ნიშნების შესაბამისად მათე და იოანე ასაკოვანი ადამიანები არიან, ჭაღარა თმა-წვერით, ხოლო მარკოზ მახარებელი კი – შავი, ხვეული თმა-წვერით. მხოლოდ მათე მახარებლის მინიატიურაზე წრიული შარავანდის ზემოთ განირჩევა სახელის განმარტებითი ბერძნული წარწერის ფრაგმენტი [οἐ]. კომპოზიციის შემავსებელი თითოეული ატრიბუტი – სამუშაო მაგიდა, მასზე მოთავსებული წერისთვის საჭირო მოწყობილობები, ანალოგია – მაღალი სპირალურად დახვეული ფეხით, ტახტი – მასზე მოთავსებული ბალიშით, მოწმობს, რომ მხატვარი თითოეულ ელემენტს დეტალურად ამუშავებდა და ატრიბუტებზე სხვადასხვა ფერის ორნამენტის გამოყენებით დეკორატიული ელემენტები შეჰქონდა მასში.

მინიატიურებით შემკული ოთხთავები X საუკუნიდან დამკვიდრებულ ტიპს მიჰყვება: თითოეულ მათგანში მახარებლები გამოსახულნი არიან თავიანთი სახარების დასაწყისში, ტახტზე მსხდომნი, სამუშაო მაგიდის წინ, ხოლო იოანე მახარებელი, ფეხზე მდგომი, თავის მოწაფე პროხორესთან ერთად.

სამივე ოთხთავში ორნამენტის ძირითად სახეს ქმნის გეომეტრიული ფიგურები და ყვავილოვანი ორნამენტები, რომლებშიც ჩართულია ადამიანთა სახე და მითიურ ცხოველთა თუ ფრინველთა გამოსახულებები.

ლიტერატურა:

1. ასათიანი ქეთევან, 2016, *ქართული მოხატული ხელნაწერები და ისტორიული საბუთები (საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალა)*, თბილისი: „სეზანი".
2. ასათიანი ქეთევან, ვაჭარაძე ანტონ, 2012-2013, ანჩის სახარება,. კრებულში: ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, XII-XIII, თბილისი.
3. თაყაიშვილი ექვთიმე, 1933, *პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი = Les manuscrits Georgiens de la Bibliotheque Nationale de Paris et les vingt alphabets secrets georgiens.* პარიზი.
4. კაკაბაძე სარგის, 1949, *ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, წ. 1*, თბილისი: საქ. სსრ-ის შსს საარქივო სამმართვ. გამომცემლობა.
5. კაკაბაძე სარგის, 1950, *ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, წ. 2*, თბილისი: საქ. სსრ-ის შსს საარქივო სამმართვ. გამომცემლობა.
6. კალისტრატე (მღვდელ-მონაზონი), გაზეთი „ივერია" (რედაქტორი ჭავჭავაძე ილია) 1890 წელი, (2 სექტემბერი, კვირა), N 187, გვ. 3.

7. კარანაძე მაია, 2012, *ქართული ხელნაწერი წიგნი, V-XIX საუკუნეები = Georgian manuscript book, 5th-19th centures:* ალბომი, თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
8. კუპრაშვილი ნანა, ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება", 1992 წელი, № 3-4, გვ. 195-212.
9. ლანჩავა ომარ, მუმლაძე ციცინო, 2010, ქართული ხელნაწერების ფერთა ჰარმონია = *The color harmony of georgian manuscripts:* [ალბომი]. ქუთაისი.
10. მარსაგიშვილი ვაჟა, 2009, *გერგეტის სამების მატიანე „მოსახსენებელი სულთაი": დოკუმენტები ხევის ისტორიისთვის,* თბილისი.
11. სილოგავა ვალერი, 2017, ტაო-კლარჯეთი, თბილისი: კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
12. ქანთარია ნინო, 2011, *ვატიკანის ბიბლიოთეკის ქართული ოთხთავის გაფორმება (Vat. Iberico I)* და *შავი მთის მხატვრული სკოლის ტრადიციები,* უცხოეთის ქართული მემკვიდრეობა საერთაშორისო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები. თბილისი.
13. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 2016 *(საქართველოს ეროვნული არქივის ხელნაწერთა ფონდი),* ტ. 1, თბილისი.
14. შმერლინგი რენე, 1940, ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
15. ჭუმბურიძე მანანა, 2011, *საეკლესიო მოხატული ხელნაწერი წიგნები = Illuminated ecclesiastical manuscripts: ქართულ ხელნაწერთა კოლექცია (IX-XIX საუკუნეები),* თბილისი.
16. ჭიჭინაძე იზოლდა, 2004, *მოქვის ოთხთავის გაფორმების მხატვრული პრინციპები,* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
17. ჭიჭინაძე იზოლდა, 1997, *კამარების გაფორმების საკითხისთვის ქართულ ხელნაწერებში,* N 1 (40-48), (რედაქტორი ირაკლი ციციშვილი), თბილისი.
18. Лопатински Л. Г., Такаишвили Е. С. 1907. Изветия кавказского отделения императорскаго московскаго археологическаго общества, вып. 2. 1907 г. стр. 96-105.
19. Шмерлинг Р. 1979. художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI вв, Тбилиси.

JULIA BENIDZE
National Archives of Georgia

THREE PAINTED GOSPELS FROM CENTRAL HISTORICAL ARCHIVE (1446/26, 323, 363)

Summary

An important collection of Georgian manuscripts is protected in the Central Historical Archive of National Archives of Georgia. Collection of manuscripts donated from church-monasteries or private persons (fund N 1446) comprises IX-XIX centuries. Three painted Gospels are distinguished: NN 26, 323, 363. The distinguished patterns of the gospels (written in the IX-XIV centuries) are miniatures of the evangelists, Canon tables, headings and initials.

Tortiza Gospel (Manuscript N 26) – came from the Tortiza Church (Gori Municipality) to protect in the National Archives of Georgia in 1924. The manuscript is a palimpsest and involves a long period of fulfillment - IX-XIV centuries. Three miniatures of the evangelists are protected - Matthew, Mark and John together with his disciple Prochore.

Anchi Gospel (Manuscript N 323) – came from the Tsalka Church to protect in the National Archives of Georgia in 1923. The manuscript was written and designed in the XII-XIII centuries. It was the property of Anchi Church, the Episcopal Cathedral of Klarjeti. The cover of the manuscript is designed by Beka Opizari. Only the image of the Mate Evangelist is protected. The beginnings of the gospels are adorned with the headings and initials.

Manuscript N 363 – was protected in the National Archive of Georgia since 1924. It was the property of the Principality House of Odishi (Mingrelia). The Paleographical Gospel (dated XI-XII c.) is adorned with the twelve canon table, headings and initials.

N 363, Tortiza and Anchi gospel's decorative system consists of ornamental decorations (canon tables, headings, initials), and miniatures (image of the evangelists). Distribution of the elements of the ornamental decor is the same in all three manuscripts reflect the relevant common artistic-decorative tendencies of the epoch.

ნინო მღებრიშვილი
თსუ-ს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და
ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი

იოანე დიაკონის შრომის შედგენილობა არსენ იყალთოელის „დოგმატიკონში“ სხვა ავტორებთან ერთად წარმოდგენილია VIII-IX სს-ის არაბი ღვთისმეტყველის - თეოდორე აბუკურას სახელით ცნობილი - ბერძნულენოვანი თხზულებების ქართული თარგმანებიც. ამ ავტორის შესახებ საკმაოდ მწირი ბიოგრაფიული ცნობები მოგვეპოვება. ერთადერთი, რაც დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ისაა, რომ იგი VIII-IX სს-ში ცხოვრობდა და იყო ხარანის ეპისკოპოსი. დაბადებულა ანტიკურ ქალაქ ედესაში, აქვე უნდა მიეღო დაწყებითი განათლებაც. აბუკურას სახელი უკავშირდებოდა იოანე დამასკელსა და საბა განწმენდილის ლავრას, მაგრამ უახლესი გამოკვლევებით მისი კავშირი, როგორც დამასკელთან, ასევე საბა განწმენდილის ლავრასთან, ეჭვქვეშ დადგა [Lamoreaux, 2002: 25-40]. ხარანის ეპისკოპოსის - თეოდორე აბუკურას - შემოქმედებისა და მოღვაწეობის კვლევა მრავალი კუთხით არის ძალიან საინტერესო. ის VIII საუკუნის აღმოსავლურ-ქრისტიანული თეოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. სწორედ მის სახელს უკავშირდება რელიგიათაშორისი დიალოგების დაწყება ხარანში, რომელიც იმ დროს იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო მულტიკულტურული და მულტირელიგიური რეგიონი, სადაც ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ ქრისტიანები, ებრაელები, მუსლიმები და სხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლები [Lamoreaux, 2005: xi]. როგორც მისი მკვლევარი, ორიენტალისტი ჯონ ლამორო აღნიშნავს, გარდა იმისა, რომ აბუკურა იყო მაღალი იერარქიის ერთ-ერთი პირველი სასულიერო მოღვაწე, რომელმაც აიღო პასუხისმგებლობა, დაეწყო დიალოგი სხვა რელიგიების წარმომადგენლებთან, ასევე იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ქრისტიანულ აპოლოგეტურ ლიტერატურას არაბულ ენაზე ქმნიდა, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არაბულენოვანი ქრისტიანული ლიტერატურის განვითარებაში [Lamoreaux, 2005: xi].

თეოდორე აბუკურას შემოქმედებას მეცნიერები პირობითად ორ ნაწილად ყოფენ - არაბულენოვანი შემოქმედება და ბერძნულ ენაზე დაწერილი თხზულებები. გარკვეული პერიოდი მუსირებდა აზრი, რომ აბუკურა წერდა ორ ენაზე - არაბულად და ბერძნულად, მეცნიერთა ნაწილი კი ვარაუდობდა, რომ ის

ორიგინალურ შემოქმედებას ქმნიდა მხოლოდ არაბულ ენაზე, ხოლო ბერძნული შრომები არაბულენოვანი თხზულებების თარგმანები იყო. დღეს მეცნიერთა ნაწილი ბერძნულ ენაზე შექმნილ თხზულებებს აღარ მიიჩნევს აბუკურას ავთენტურ შრომებად და ფიქრობს, რომ მათი მიბმა ხარანის ეპისკოპოსის შემოქმედებასთან მოგვიანებით უნდა მომხდარიყო.

ჩვენი სტატია სწორედ თეოდორე აბუკურას სახელით ცნობილ ბერძნულენოვან შემოქმედებას ეხება, კონკრეტულად კი დიდი ხნის განმავლობაში ქართულ სამეცნიერო ტრადიციაში აბუკურასთვის მიკუთვნებულ თხზულებას, რომელიც მუსლიმებისა და ქრისტიანების პოლემიკას ასახავს.

თეოდორე აბუკურას სახელი და შემოქმედება ძალიან აქტუალური იყო ძველ საქართველოში. მისი ბერძნულენოვანი თხზულებების ქართული თარგმანები ძირითადად არსენ იყალთოელს – XI–XII საუკუნეების სასულიერო მოღვაწეს – ეკუთვნის, რომელმაც ისინი მის მიერვე შედგენილ დოგმატიკურ-ფილოსოფიური და პოლემიკური თხზულებების კრებულ „დოგმატიკონში" შეიტანა. თეოდორე აბუკურას ქართულ თარგმანებს „დოგმატიკონის" კრებულის 23 ხელნაწერი შეიცავს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი S 1463 ხელნაწერია, რომელიც XII–XIII სს-ებს განეკუთვნება. თუმცა ხელნაწერის დათარიღებასთან დაკავშირებით მეცნიერები ერთსულოვანნი არ არიან, მაგალითად ივ. ლოლაშვილი, რომელმაც ეს ხელნაწერი საფუძვლიანად შეისწავლა, მას XII ს-ის I ნახევრით ათარიღებს და მიიჩნევს, რომ S 1463 ხელნაწერი „დოგმატიკონის" ნუსხათა შორის ყველაზე სრული, ძველი და ავთენტურია, ამიტომ სწორედ ის უნდა იყოს არსენისეული რედაქციის შემცველი კრებული. იგი იმ ვარაუდსაც არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა მისი დედანი არსენისავე სიცოცხლეში ყოფილიყო გადაწერილი [ლოლაშვილი, 1978: 143-144]. ყველაზე სრულად თეოდორე აბუკურას ქართულ თარგმანებს სწორედ ეს ხელნაწერი შეიცავს; არსენს ბერძნულიდან გადმოუღია 35 ტრაქტატი და სიტყვის-გება. ამ ტრაქტატებში განხილულია სხვადასხვა ტრინიტარული და ქრისტოლოგიური საკითხი და ტერმინოლოგია. მათ შორისაა ტრაქტატები სევერიანელებისა და იაკობიტების წინააღმდეგ, სომხეთის მწვალებლების, ასევე ჰურიათა და აგარიანთა წინააღმდეგ, რომელიც დიალოგის ფორმით დაწერილ 20 პატარა ტექსტს შეიცავს, ასევე ქრისტიანებისა და მუსლიმების ჩვენ მიერ ზემოხსენებული პოლემიკის ამსახველი თხზულებაც, რომელიც სარკინოზების წინააღმდეგ დიალოგის ფორმით დაწერილ რვა პატარა ტრაქტატს შეიცავს. ეს სიტყვის-გება განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა არსენის დროინდელ საქართველოში. ეს ფაქტი კი, ვფიქრობთ, იმ ისტორიული რეალიების გათვალისწინებით აიხსნება, რომლებიც ქვეყანას არაბთა ბატონობამ მოუტანა და თუმცა ამ დროისთვის თბილისი დავითის მიერ უკვე განთავისუფლებული იყო არაბთა ემირისგან, პოლემიკა სარწმუნოებრივ საკითხებზე მაინც ინარჩუნებდა აქტუალურობას. ზოგიერთი ცნობის მიხედვით,

ქართველები ამ დიალოგებს აქტიურად მიმართავდნენ სხვადასხვა დროის ძველ საქართველოში მუსლიმებთან გამართული პოლემიკის დროს [ლოლაშვილი, 1978: 114]. ეს დიალოგები ქართულ და არა მხოლოდ ქართულ ტრადიციაში ყოველთვის თეოდორე აბუკურას სახელს უკავშირდებოდა და მის ორიგინალურ შემოქმედებად მიიჩნეოდა, მიუხედავად ავტორის მიერ დიალოგებისთვის წამძღვარებულ მცირე შესავალში დაცული ერთგვარი ორჭოფული ინფორმაციისა, რომელიც თხზულების ავთენტურობასა და ავტორობის საკითხს ეჭვქვეშ აყენებდა. კერძოდ, საუბარია, არსენ იყალთოელის „დოგმატიკონში" დაცულ წინასიტყვაობაზე, რომელიც ამ რვა დიალოგს აერთიანებს და შემდეგნაირად სათაურდება: ***„სარკინოზთა მიმართისა სიტყვს-გებისაგან ნეტარისა თეოდორე აბუკურაჲსი"***. ეს სათაური მკვლევრებს საფუძველს აძლევდა, ავტორად თეოდორე აბუკურა მიეჩნიათ, იმის მიუხედავად, რომ ქართველ მეცნიერთა წინაშე ერთგვარ გაუგებრობას ქმნიდა წინასიტყვაობაში დაცული ცნობა, რომლის თანახმადაც დიალოგების ავტორია არა თეოდორე აბუკურა, არამედ ვიღაც სხვა, რომელიც თავად ესწრებოდა თეოდორესა და მუსლიმებს შორის გამართულ პოლემიკას. მას, როგორც ჩანს, ეს რელიგიური დებატები იმდენად მნიშვნელოვნად მიუჩნევია, რომ მათი ჩაწერა გადაუწყვეტია: *„ვიტყვ უკუე ყოვლად სანატრელსა და უფროჲსად ფილოსოფოსსა თეოდორეს, ეპისკოპოსსა ხარანისასა ასურეთს, რომელმან ღირსებით განქიქებულ ყო ბოროტად მსახური სარწმუნოებაჲ აგარიანთაჲ ნამდვლვე ღმრთივ-სულიერთა აღწერილთა მისთა მიერ. და ყოვლისავე სიცილისა ღირსად წინა-დაუდვა ყოველთა, რამეთუ მრავალგზის რეცა უსიტყვერესთა მათთა მიმართ სიტყვს-მყოფელობასა ამისსა თანა დავემთხვე მე, რომლისათვსცა მცირედთა რათმე მათგანთა, რომელნი ჴსენებისა მიერ მომქონან მე, ღირს ვიჩინე აღწერაჲ, არა მცირედისა სარგებელისა მომლოდემან ამიერ მათგან, რომელნი მიემთხუეოდინ ამათ"*. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართულ წყაროებში დაცული წინასიტყვაობის ბერძნული ორიგინალი დიდი ხნის განმავლობაში დაკარგულად მიიჩნეოდა, რაც ქართული თარგმანის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდიდა. შესავალში დაცული ინფორმაციის საფუძველზე კი ქართველი მეცნიერები იმთავითვე გამოთქვამდნენ ვარაუდებს, რომ არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი „ანტიმაჰმადიანური პოლემიკის" ავტორი, შესაძლოა, თეოდორე აბუკურა არც ყოფილიყო. ივ. ლოლაშვილი სწორედ ამ წინასიტყვაობის ქართულ თარგმანზე დაყრდნობით ფიქრობდა, რომ ეს რვა დიალოგი „მეხსიერებით აღუდგენია და ჩაუწერია აბუკურას თანამედროვე მწერალს, ალბათ, არაბულ ენაზე და მერე უთარგმნია ბერძნულად" [ლოლაშვილი, 1978: 122]. გარდა ამისა, წინასიტყვაობის „ზედწარწერილიდან" გამომდინარე - სარკინოზთა მიმართისა სიტყვს-გებისაგან... - ის ვარაუდობდა, რომ თავდაპირველი ორიგინალი, არაბული თუ ბერძნული, შესაძლოა, რვაზე მეტ დიალოგსაც შეიცავდა [ლოლაშვილი,1978:

122]. თუმცა ამ ვარაუდს არასაკმარისი არგუმენტაციისა და მტკიცებულებების გამო ბოლომდე არ იზიარებდა თეოდორე აბუკურას ქართველი მკვლევარი და გამომცემელი – ლ. დათიაშვილი. კერძოდ, ის არ გამორიცხავდა, მაგრამ ეჭვქვეშ აყენებდა ივ. ლოლაშვილის იმ მოსაზრებას, რომ ეს რვა დიალოგი მეხსიერებით აღუდგენია და ჩაუწერია აბუკურას თანამედროვე მწერალს. ამ ვარაუდის გასამყარებლად ან, პირიქით, უკუსაგდებად მას აუცილებლად მიაჩნდა როგორც შესავლის ბერძნული ორიგინალის, ასევე აბუკურას სახელით მოღწეული იმ პოლემიკური თხზულებების კომპლექსური შესწავლა, რომლებიც გამოთქმულ ვარაუდებს დოკუმენტურად გაამყარებდა [დათიაშვილი, 1980: 15–16]. პოლემიკის შესავლის ბერძნული ორიგინალი კი იმ დროისთვის ქართველი მეცნიერებისთვის ხელმისაწვდომი არ იყო, რადგან დაკარგულად მიიჩნეოდა და აბუკურას თხზულებების შემცველ მათთვის ცნობილ ხელნაწერებში არ იძებნებოდა. ხოლო წინასიტყვაობის ბერძნული ორიგინალი ლ. დათიაშვილის მიერ აბუკურას ტრაქტატების ქართული თარგმანის გამოცემიდან ზუსტად 15 წლის შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც 1995 წელს ფილოლოგმა რაინოლდ გლაიმ და თეოლოგმა ადელ თეოდორ კურიმ გამოსცეს წიგნი – ***„იოანე დამასკელი და თეოდორე აბუკურა - ისლამური შრომები“***. ეს წიგნი იოანე დამასკელისა და თეოდორე აბუკურას სახელთან დაკავშირებული ბერძნულენოვანი შრომების ბერძნულ-გერმანული პარალელური ტექსტების გამოცემაა. გამოცემაში შესული შრომები სამ ნაწილად არის დაყოფილი: პირველ ნაწილში შედის მხოლოდ ერთი შრომა – „ერესების შესახებ“, იოანე დამასკელის ავტორობით [Glei/Khoury, 1995: 73-83]: „სარკინოზთა მიმართ სიტყვს-გებისაგან ნეტარისა თეოდორე ავუკურაᲂსი“, იგივე Opuscula Islamica, წარმოდგენილია მეორე ნაწილში [Glei/Khoury, 1995: 85-165]: გამოცემის მესამე ნაწილი კი ასევე სარკინოზთა და ქრისტიანთა კამათია და პირველი ნაწილის მსგავსად აქაც მხოლოდ ერთი შრომაა შესული, რომელიც, თავის მხრივ, 11 პატარა თავისგან შედგება [Glei/Khoury, 1995: 168]. ეს გამოცემა აბუკურათი დაინტერესებულ მკვლევართათვის მრავალი კუთხით არის ძალიან მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი, უმთავრესი სიახლე კი, რასაც იგი გვთავაზობს, არის სწორედ არსენ იყალთოელის „დოგმატიკონში“ დაცული წინასიტყვაობის ბერძნული ორიგინალი და მისი ვრცელი სათაური: Ἐκ τῶν πρὸς τοὺς Σαρακηνοὺς ἀντιρρήσεων τοῦ ἐπισκόπου Θεοδώρου Χαρρὰν τὸ ἐπίκλην Ἀβουκαρᾶ διὰ φωνῆς Ἰωάννου Διακόνου [Glei/Khoury, 1995:86]. ეს „დაკარგული წინასიტყვაობა“, რომლის ბერძნული ორიგინალის არარსებობა მეცნიერთა წინაშე არაერთ პასუხგაუცემელ კითხვას ბადებდა, რაინოლდ გლაიმ და ადელ თეოდორ კურიმ ერთ-ერთი ბერძნული ხელნაწერის შესწავლის დროს აღმოაჩინეს, რამაც ამ საკითხის ირგვლივ არსებულ გაუგებრობაში გარკვეული სინათლე შეიტანა. უპირველესად კი აღმოჩენილ „დოკუმენტაციაზე“ დაყრდნობით დაისვა თხზულების ავტორობის საკითხი.

როგორც აღვნიშნეთ, წინასიტყვაობის ქართული ვერსიის სათაურისგან

მნიშვნელოვნად განსხვავდება გლაისა და კურის მიერ აღმოჩენილი სათაურის ბერძნული ორიგინალი, რომელიც უფრო ვრცელია და მასში თხზულების ავტორად დასახელებულია, არა თეოდორე აბუკურა, არამედ ვინმე იოანე დიაკონი. ამ პიროვნების შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რა ინფორმაციასაც თავად გვაწვდის საკუთარ თავზე თხზულების შესავალში, რომ ის იყო თეოდორე აბუკურას თანამედროვე, შესაძლოა მისი მოძღვრების მიმდევარი ან სულაც მისი მოწაფე, რომელიც ესწრებოდა მუსლიმებსა და აბუკურას შორის გამართულ პოლემიკას და მათი მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე საჭიროდ ცნო მათი ჩაწერა [Glei/Khoury, 1995: 86-87]; ქართულ წყაროებში ეს თხზულება „დოგმატიკონის" 14 ხელნაწერშია დაცული და არც ერთი მათგანი არ შეიცავს სათაურის იმ ვარიანტს, რომელშიც ვინმე იოანე დიაკონი იქნება ნახსენები. თოთხმეტივე ხელნაწერში წარმოდგენილია სათაურის მხოლოდ ადაპტირებული მოკლე ვერსიები: **„სარკინოზთა მიმართისა სიტყჳს-გებისაგან ნეტარისა თეოდორე ავუკურაჲსი".**

აბუკურას ბერძნულენოვანი შრომების გერმანულენოვანი კრიტიკული გამოცემა 12 ბერძნულ ხელნაწერს ითვალისწინებს [Glei/Khoury, 1995: 67-76][1]. ჯონ ლამორო, რომელსაც შესწავლილი აქვს, ერთი მხრივ, აბუკურას ტექსტების შემცველი ბერძნული ხელნაწერები და, მეორე მხრივ, ქართული მასალა, მიიჩნევს, რომ ქართული თარგმანი სავარაუდოდ XI ს-ში გადაწერილ პარიზის Y ხელნაწერს უნდა მისდევდეს. Y ხელნაწერი ერთ-ერთია ზემოხსენებული 12 ხელნაწერიდან, ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ხელნაწერი მიუნხენის A ხელნაწერთან ერთად, რომელიც უფრო გვიანდელია და XVI ს-ს განეკუთვნება. თუმცა გამოცემა ძირითადად სწორედ გვიანდელ მიუნხენის A ხელნაწერს მისდევს, რადგან მისი გვიანდელი დათარიღების მიუხედავად, ის მაინც ძალიან ღირებული და მნიშვნელოვანია, ვინაიდან მასში დაცული ტექსტი ადრეულ არქეტიპს უნდა ასახავდეს. Y ხელნაწერს კი გამომცემლები მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში მიმართავენ, რადგან ფიქრობენ, რომ მასში გვიანდელი, თვითნებური ჩამატებების კვალი ჩანს [Glei/Khoury, 1995: 67-76]. ამის მიუხედავად, გლაი და კური Y ხელნაწერს განსაკუთრებით მნიშვნელოვან წყაროდ მიიჩნევენ, რადგან ის მათთვის ცნობილ ბერძნულ ხელნაწერთა შორის უძველესია, თან ერთადერთი ხელნაწერია, რომელიც იოანე დიაკონის წინასიტყვაობასა და პირველ დიალოგს (Opusculum 18)[2] შეიცავს. სწორედ ამ ფაქტის გამო ვარაუდობს ჯონ ლამორო, რომ ქართული თარგმანი ყველაზე მეტ სიახლოვეს Y ხელნაწერთან აჩვენებს, რადგან ორივე მათგანი შეიცავს თხზულების წინასიტყვაობას, ამასთან იდენტურია დიალოგების სათაურები და მათი მიმდევრობა [Lamoreaux, 2002:

[1] Monacensis, XVI (A); Parisinus, XV (B); Parisinus, XIII/XIV (E); Vaticanus, A.D. 1383 exscriptus (F); Vaticanus, A.D. 1304/305 ex. (G); Vindobonensis Theol., XIII exscriptus (H); Vaticanus A.D. 1305/06 exscriptus (J); Vaticanus, XIII/XIV (K); Vaticanus XIV (L); Vaticanus, XIV/XV (M); Monacensis, XVI (N); Parisinus, XI (Y)

[2] *[ქადაგებაჲ გამომაჩინებელი, ვითარმედ მოსე წინაასწარმეტყველი და იესუ ქრისტე არიან ღმრთის მოციქულნი]*, „დოგმატიკონი", S 1463: 298r-298v.

372]. თუმცა ლამორო ასახელებს კიდევ ერთ ვატოპედის ხელნაწერს, რომელიც ასევე სიახლოვეს აჩვენებს ქართულ თარგმანთან და ამ ხელნაწერშიც ქართული ვერსიის მსგავსად სათაური ადაპტირებულია, მასში არ არის მოხსენიებული იოანე დიაკონი: ἐκ τῶν πρὸς τοὺς σαρακηνοὺς ἀντιρρήσεων τοῦ μακαρίου Θεοδώρου τοῦ Ἀβουκαρᾶ [Lamoreaux, 2002: 372][3]. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ერთმანეთს შევუპირისპირეთ ქართული თარგმანი და გერმანულენოვანი კრიტიკული გამოცემის ტექსტი და მიუხედავად იმისა, რომ ქართული წყარო, მართლაც, აჩვენებს ახლო მიმართებებს Y ხელნაწერთან, ამ ეტაპზე გადაჭრით რაიმეს მტკიცება არ შეგვიძლია. დედნის დასაზუსტებლად, რომელსაც ქართული წყარო იყენებს, საინტერესო იქნება ქართული თარგმანის შეპირისპირება ლამოროს მიერ დასახელებულ ვატოპედის ხელნაწერთან, მაგრამ ეს ტექსტი გამოუცემელია, ხოლო უშუალოდ ხელნაწერთან წვდომის საშუალება ჩვენ, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე არ გვაქვს.

კიდევ ერთი სიახლე, რომელსაც გერმანულენოვანი გამოცემა გვთავაზობს, დიალოგების რაოდენობაა. კერძოდ, წინასიტყვაობის ქვეშ წარმოდგენილია 17 დიალოგი, ნაცვლად ქართულ წყაროში დაცული 8 დიალოგისა. რაინოლდ გლაისა და ადელ თეოდორ კურის აზრით, იოანე დიაკონის შრომების თავდაპირველი ვარიანტი სწორედ წინასიტყვაობისა და 17 დიალოგისგან შედგებოდა. ამ დიალოგებს პირობითად სამ ნაწილად ყოფენ და ყველა მათგანის ავტორად იოანე დიაკონს მოიაზრებენ. მათი აზრით, პირველი ნაწილი შეიცავდა წინასიტყვაობასა და 9 დიალოგს (Opusculum 18-25, 31). ამ დიალოგებს საკმაოდ პოლემიკური ხასიათი ჰქონდა. მეორე ნაწილი 4 დიალოგს შეიცავდა (Opusculum 3, 8, 16, 9), ხოლო მესამე – ასევე 4 დიალოგს (Opusculum 35-38). დიალოგების მეორე და მესამე ნაწილი ნაკლებად პოლემიკური იყო და ისინი უფრო აპოლოგეტური შრომებია. გარდა ამისა, ამბობენ, რომ ეს ორი ნაწილი მიმართებას აჩვენებს იოანე დამასკელის შრომებთან. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მოსაზრება და გამოცემაში წარმოდგენილი 17 დიალოგი გარკვეულწილად ეხმიანება ივ. ლოლაშვილის მიერ გამოთქმულ ვარაუდს, რომ დიაკონის შრომის თავდაპირველი ორიგინალი სავარაუდოდ რვაზე მეტ დიალოგს შეიცავდა. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ საინტერესოა, რატომ გვიჩვენებს განსხვავებულ სურათს ქართული მასალა, რომელშიც ამ 17 დიალოგიდან არსენ იყალთოელის მიერ ქართულად თარგმნილია მხოლოდ 12. თუმცა ამ 12 დიალოგისგან, როგორც ერთი მთლიანობა, „დოგმატიკონში" წარმოდგენილია მხოლოდ წინასიტყვაობა და 8 დიალოგი. დანარჩენი 4 დიალოგი გაფანტულია თეოდორე აბუკურას თხზულებათა სხვა წყებაში, კერძოდ კი თავში: „სიტყვის-გებანი მწვალებელთა, აგარიანთა და ჰურიათა მიმართ", რომელიც, თავის მხრივ, დიალოგური ფორმით დაწერილ 20 პატარა ტრაქტატს აერთიანებს [„დოგმატიკონი", S 1463: 288r-294r].

[3] შდრ. სათაურის ქართულ ვერსიასთან: *სარკინოზთა მიმართისა სიტყვს-გებისაგან ნეტარისა თეოდორე ავუკურაჲსი.*

ზოგადად, „დოგმატიკონის" S 1463 ხელნაწერში თეოდორე აბუკურას თხზულებები 2 წყებად არის წარმოდგენილი: შრომების ერთი ნაწილი განთავსებულია 226r-256r გვერდებზე, ხოლო მეორე 288r-301r გვერდებზეა წარმოდგენილი. იოანე დიაკონის შრომა კი მეორე წყების ბოლოშია მოქცეული, 298r-301r გვერდებზე. თუკი სარწმუნოდ მივიჩნევთ გერმანული გამოცემის მონაცემებს და გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ იოანე დიაკონის შრომის თავდაპირველი ვარიანტი 17 დიალოგისგან შედგებოდა, გვიჩნდება კითხვა, რატომ თარგმნა არსენმა მხოლოდ 12 დიალოგი და რა მიზეზით შეიძლება არ მომხდარიყო დანარჩენი ხუთი დიალოგის გადმოღება? ამას გარდა, რატომ არის წარმოდგენილი „დოგმატიკონში", როგორც ერთი მთლიანობა, მხოლოდ წინასიტყვაობა და 8 დიალოგი და რატომ არის მოცემული დანარჩენი 4 დიალოგი სხვა თხზულების ქვეშ? ხოლო, თუკი დავუშვებთ, რომ არსენმა რაღაც მიზეზთა გამო გადმოიღო დიაკონის შრომის მხოლოდ „პირველი ნაწილი", მაშინ სად არის ის მეცხრე დიალოგი, რომელიც ასევე ამ „პირველი ნაწილის" შემადგენელი დიალოგია და დასტურდება დიაკონის შრომის შემცველ სხვა ყველა ბერძნულენოვან წყაროში?

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ჯონ ლამოროს, რომელმაც, გლაი-კურის გამოცემაში შესული 12 ხელნაწერის გარდა, შეისწავლა აბუკურას თხზულებების შემცველი სხვა ბერძნული ხელნაწერებიც. მათგან იგი გამოყოფს ორ ხელნაწერს, როგორც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანს მათი ადრეული დათარიღებიდან გამომდინარე: მოსკოვის ისტორიული მუზეუმის თეოლოგიურ კრებულს, რომელიც ძირითადად ქრისტოლოგიურ საკითხებს ეძღვნება და გადაწერილია 932 წელს, ანუ დაახლოებით 100 წლის შემდეგ თეოდორეს სიკვდილიდან და ვენის ხელნაწერს, რომელიც ფილოსოფიური ალმანახია და გადაწერილია 925 წელს. ლამორო მიიჩნევს, რომ ამ ორი ხელნაწერის სახით საქმე გვაქვს ადრეულ წყაროებთან, რომლებიც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, თუ რა სახე ჰქონდა თეოდორეს ბერძნული შრომების კორპუსს მისი სიკვდილიდან დაახლოებით 100 წლის შემდეგ ან შეიძლება უფრო ადრეც. გარდა ამისა, ლამორო საუბრობს ქართულ წყაროზეც, არსენ იყალთოელის მიერ შესრულებულ თარგმანზე და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ S 1463 ხელნაწერი დაახლოებით იმავე პერიოდს მიეკუთვნება, რომელსაც ბერძნული Y ხელნაწერი და შესაბამისად, მასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს [Lamoreaux, 2002: 368-372]. ამ ხელნაწერებზე დაყრდნობით ლამორო აცხადებს, რომ იოანე დიაკონის შრომის ე.წ. პირველი ნაწილი (წინასიტყვაობა და 9 დიალოგი) თავდაპირველად დამოუკიდებულ შრომად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი და სავარაუდოდ, იგი არ ებმოდა თეოდორე აბუკურას დიალოგების დანარჩენ ორ ნაწილს. ის ფიქრობს, რომ მათი გაერთიანება მოგვიანებით უნდა მომხდარიყო, მაგრამ ძალიან მალევე. რაც შეეხება ამ ორ ნაწილს, იგი აცხადებს, რომ გლაი-კურის გამოცემაში შესული დიაკონის შრომის მეორე ნაწილი (opusc. 3, 8, 16, 9)

არც ერთ წყაროში, რომლებიც მან შეისწავლა, არ მიეკუთვნება იოანეს შრომას, თანაც ეს ოთხი ოპუსკულუმი არც ერთ წყაროში არ დასტურდება, როგორც ერთი მთლიანობა, თუნდაც იოანეს შრომებისგან ცალკე მდგომი, ისინი ყველა ადრეულ ხელნაწერებშია გაბნეული თეოდორეს კორპუსის სხვა თხზულებათა შორის [Lamoreaux, 2002: 373]. ლამოროს ამ ვარაუდს ამყარებს ქართული წყაროც, რადგან, როგორც თავშიც აღვნიშნეთ, გლაი-კურის გამოცემაში შესული დიაკონის შრომის მეორე ნაწილის ოთხი დიალოგი დოგმატიკონის S 1463 ხელნაწერში წარმოდგენილია სხვა თხზულების შედგენილობაში. ლამორო ფიქრობს, რომ კიდევ უფრო გვიან უნდა მომხდარიყო მესამე ნაწილის (Opusculum 35-38) მიბმა თეოდორეს შრომებთან, რადგან ისინი არ იძებნება მის მიერ შესწავლილ არც ერთ ადრეულ წყაროში, მათ შორის არც ვენის, არც მოსკოვისა და არც ქართულ ხელნაწერებში. ლამორომ იცის მხოლოდ 4 ხელნაწერი, რომლებშიც ეს დიალოგებია შესული, მათგან უადრესი ვენის XIII საუკუნის ხელნაწერია, მაგრამ ამ ხელნაწერში ეს ოთხი დიალოგი სათაურების გარეშე გვხვდება და არც ავტორის შესახებ არის რამე ნათქვამი; ისინი ანონიმურადაა წარმოდგენილი და არ მიეკუთვნება არც იოანე დიაკონს, არც – თეოდორე აბუკურას [Lamoreaux, 2002: 373]. არსებობს მხოლოდ ორი ხელნაწერი, რომლებიც ჩვიდმეტივე დიალოგს შეიცავს, მაგრამ ორივე მათგანი საკმაოდ გვიანდელია (XVI-XVII სს., მიუნხენის და ვატიკანის ხელნაწერები) და არც ერთ მათგანში ეს 17 დიალოგი არაა წარმოდგენილი, როგორც ერთი მთლიანობა, ერთი ავტორის ერთი თხზულება [Lamoreaux, 2002: 374]. ამ ყოველივედან გამომდინარე ჯონ ლამორო ასკვნის, რომ იოანე დიაკონის შრომის თავდაპირველი ვარიანტი წინასიტყვაობისა და 9 დიალოგისგან შედგებოდა და იყო დამოუკიდებელი ნაშრომი.

როგორი სახე აქვს იოანე დიაკონის შრომას არსენ იყალთოელის „დოგმატიკონის" მონაცემთა გათვალისწინებით? ჩვენ მიერ შესწავლილი მასალის საფუძველზე, ვფიქრობთ, უნდა გავიზიაროთ ჯონ ლამოროს მოსაზრება Opuscula Islamica-ს თავდაპირველი შედგენილობის შესახებ. აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ვმსჯელობთ „დოგმატიკონის" S 1463 ხელნაწერის მონაცემების გათვალისწინებით, რადგან იგი ყველაზე სრულყოფილი ხელნაწერია და დიაკონის შრომის თავდაპირველი შედგენილობის ყველაზე უფრო სრულ სურათს გვიჩვენებს. ამგვარად, ამ წყაროში ე.წ. Opuscula Islamica, როგორც ერთი მთლიანობა, წარმოდგენილია მხოლოდ რვა დიალოგი, რომელთაც წინ უძღვის იოანე დიაკონის წინასიტყვაობა სათაურის ადაპტირებული ვერსიით – „სარკინოზთა მიმართისა სიტყვს-გებისაგან ნეტარისა თეოდორე ავუკურაჲსი". გერმანულენოვანი გამოცემის მიხედვით ეს თავი იოანე დიაკონის შრომის პირველი ნაწილია. რაც შეეხება მეორე ნაწილს, „დოგმატიკონში" იგი წინ უსწრებს ე.წ. პირველ ნაწილს და წარმოდგენილია 20 დიალოგისგან შედგენილი ტრაქტატის ნაწილად, რომელიც თეოდორე აბუკურას ბერძნულენოვან შრომად მოიაზრე-

ბა; „დოგმატიკონში" ეს ორივე შრომა დამოუკიდებლად არის წარმოდგენილი, არ ებმის ერთმანეთს და არც რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ორი თხზულება ერთმანეთთან დაკავშირებულია. პირიქით, მათ შორის განთავსებულია ასევე აბუკურას კალამს მიკუთვნებული ორი სხვა ბერძნული თხზულება[4]. ვფიქრობთ, ეს ნიუანსიც იმ ფაქტზე მეტყველებს, რომ „დოგმატიკონი" არ განიხილავს ამ ორ ნაწილს, როგორც ერთ მთლიანობას, წინააღმდეგ შემთხვევაში კრებული მათ ერთ ნაწილში მოაქცევდა. რაც შეეხება მესამე ნაწილს, არც „დოგმატიკონში" და არც სხვა რომელიმე ქართულ წყაროში მათი კვალი არ იძებნება. სავარაუდოდ, ამის მიზეზი უნდა იყოს მათი გვიანდელობა. თუკი ლამოროს ცნობას გავიხსენებთ, გლაი–კურის გამოცემის მესამე ნაწილში შესული ეს ოთხი ოპუსკულა გვიანდელია და ხელნაწერებში ავტორის დასახელების გარეშე გვხვდება. ამ დიალოგებს არ შეიცავს არც ქართული თარგმანის სავარაუდო ბერძნული დედნები, ამიტომ, ვფიქრობთ, საკმაოდ ლოგიკურია, თუ რატომ ვერ თარგმნიდა არსენი მათ.

„დოგმატიკონის", გლაი-კურის გერმანულენოვანი კრიტიკული გამოცემისა და ჯონ ლამოროს მიერ შესწავლილი ბერძნული ხელნაწერების მონაცემთა გათვალისწინებით სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ „დოგმატიკონის" S 1463 ხელნაწერში დაცული ვერსია იოანე დიაკონის შრომის ორიგინალური ვარიანტია და თავდაპირველად იგი წინასიტყვაობისა და 9 დიალოგისგან უნდა ყოფილიყო შედგენილი. თუმცა ამ შემთხვევაში ერთგვარ ნონსენსს ქმნის ის ფაქტი, რომ ქართულ წყაროში წარმოდგენილია მხოლოდ წინასიტყვაობა და 8 დიალოგი მაშინ, როცა სხვა ყველა ბერძნულ წყაროში, რომლებიც დიაკონის შრომას შეიცავს, დასტურდება 9 დიალოგი.

Opusculum 23 [Glei/Khoury. 1995: 112][5] ყველაზე მოკლე დიალოგია იოანე დიაკონის დიალოგთა შორის და სარკინოზსა და ქრისტიანს შორის გამართული კამათია ქრისტეს ჭეშმარიტი ღვთაებრიობისა და მისი სრული ადამიანური ბუნების შესახებ: მუსლიმი მოკამათე სთხოვს თეოდორე აბუკურას იმ მოსაზრების დამტკიცებას, რომ ქრისტე ღვთის ძე იყო, იმ დროს, როდესაც ქრისტე თავად აცხადებს, რომ „ძეს არაფერი ხელეწიფება თავისთავად, თუ არ იხილავს მამის საქმეს" (იოანე, 5:19). ეს მცირე დიალოგი ქართულ წყაროში არ იძებნება. საინტერესოა, რატომ არ უნდა ეთარგმნა არსენს დანარჩენ რვა დიალოგთან ერთად ეს ერთი უმოკლესი ოპუსკულუმიც ამ ფაქტთან დაკავშირებით გარკვეული ვარაუდი გაგვაჩნია. ვფიქრობთ, 23-ე ოპუსკულუმს ქართულად ართარგმნის მიზეზი, შესაძლოა, ყოფილიყო დაზიანებული ხელნაწერი. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გლაი-კურის გამოცემაში ამ ოპუსკულუმის შესახებ გამომცემელთა მიერ კრიტიკულ აპარატში გაკეთებულია შენიშვნა, რომ Y ხელნაწერი ამ ტექსტს

---

[4] *მისივე. მოძღვრებაჲ შემოკლებული საღმრთოთა სახელთათჳს საზოგადოთა სამებისათა და განთჳსებულთა თითოეულისა გუამისათა [S 1463: 294v]: განრჩევაჲ და განკეშმარიტებაჲ ფილოსოფოსთა მიერ მოჴსენებულთა ჴშირთა და მხილებაჲ უთავოთა სევერიანთა, ესე იგი არს იაკობიტთა სულთაგან მხრწნელისა წვალებისა [S 1463: 294v-298r].*

[5] *Ἄλλος διάλογος πρὸς Σαρακηνὸς ἐνδειξιν ἔχων ὅτι θεὸς ἀληθής ἐστιν ὁ Χριστός. εἰ καὶ γέγονεν ἄνθρωπος.*

სრულად არ იძლევა, ამიტომ ისინი სხვა გვიანდელ ხელნაწერებს მიმართავენ [Glei/Khoury. 1995: 112][6]. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქართული თარგმანი ყველაზე მეტ სიახლოვეს Y ხელნაწერთან აჩვენებს და სავარაუდოდ, Y ხელნაწერია ქართული თარგმანის ერთ-ერთი წყარო, მაშინ ადვილი ასახსნელია ის გარემოებაც, თუ რატომ არ თარგმნა არსენმა ეს ოპუსკულუმი. ამის მიზეზი დაზიანებული და არასრული ტექსტი უნდა ყოფილიყო. ეს დიალოგი კი იმდენად მცირე ზომის არის, რომ არსენმა, ალბათ, დიალოგის არასრულ გადმოღებას არჩია, საერთოდ არ ეთარგმნა. ჩვენი აზრით, სწორედ ეს გარემოება უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ იოანე დიაკონის შრომა, როგორც ერთი მთლიანობა, ქართულ წყაროებში წარმოდგენილია წინასიტყვაობისა და რვა დიალოგის სახით, ხოლო მეცხრე დიალოგის გამოტოვება შეიძლება ავხსნათ მხოლოდ და მხოლოდ დაზიანებული დედნის ფაქტორით, რადგან დედანში ან არ იკითხებოდა ეს დიალოგი, ან იგი ოპუსკულუმის მხოლოდ უმცირეს ფრაგმენტს შეიცავდა.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია, ჩვენი მოსაზრება გამოვთქვათ ივ. ლოლაშვილის ვარაუდთან დაკავშირებით, რომ დიაკონის შრომის თავდაპირველი ვარიანტი რვაზე მეტ დიალოგს შეიცავდა. ამასთან ვაზუსტებთ, რომ ივ. ლოლაშვილი არ გულისხმობდა კონკრეტულად 23-ე ოპუსკულუმს, არამედ ის ამოდიოდა „თარგმანის ზედწარწერილიდან": სარკინოზთა მიმართისა სიტყვს-გებისაგან... თანდებული „გან" - მთელიდან ნაწილის გამოყოფა - მას საფუძველს აძლევდა ეფიქრა, რომ არსენის მიერ ქართულად გადმოღებულია „ანონიმი ავტორის" შრომის მხოლოდ ნაწილი [ლოლაშვილი,1978: 122].

როდესაც ივ. ლოლაშვილის ამ მოსაზრებაზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ იმ დროისთვის ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი წინასიტყვაობის ბერძნული ორიგინალი, შესაბამისად, ივ. ლოლაშვილი წინასიტყვაობის სათაურს „ქართული თარგმანის ზედწარწერილს" უწოდებს. სავარაუდოდ იგი ფიქრობდა, რომ ეს „ზედწარწერილი" არსენის მიერვე იყო გაკეთებული. მოგვიანებით გლაი-კურის აღმოჩენამ ყველაფერი ცხადი გახადა. სინამდვილეში ეს „ზედწარწერილი" წინასიტყვაობის სათაურია და ორიგინალშიც ქართული „გან"-ის ბერძნული ფარდი - წინდებული ἐκ არის გამოყენებული, რომელიც ასევე მთელიდან ნაწილის გამოყოფას აღნიშნავს: ἐκ τῶν... ἀντιρήσεων, ანუ „სიტყვს-გებისაგან"; მიგვაჩნია, რომ ამ წინდებულის გამოყენება მიგვანიშნებს არა თავდაპირველ ორიგინალზე, რომელიც უფრო მეტ დიალოგს შეიცავდა, არამედ სათაურთან დაკავშირებით თავად იოანე დიაკონის განცხადებაზე, რომელიც ამბობს: „მრავალგზის რეცა უსიტყვიერესთა მათთა მიმართ სიტყვს-მყოფელობასა ამისსა თანა დავემთხვე მე, რომლისათვსცა მცირედთა რათმე მათგანთა, რომელნი ჴსენებისა მიერ მომქონან მე, ღირს ვიჩინე აღწერაჲ, არამცირედისა სარგებელისა მომლოდემან ამიერ მათგან..."

[6] Codd. AEFG (Y textum integrum non praebet).

[დათიაშვილი, 1980: 95] იოანე დიაკონის განცხადებიდან გამოდის, რომ მან აბუკურასა და სარკინოზებს შორის გამართული მრავალი დებატიდან მხოლოდ „მცირედი" აღწერა, მხოლოდ რამდენიმე დებატი იმ მრავალთაგან, რომელთა დამახსოვრებაც შეძლო. ვფიქრობთ, სწორედ დიაკონის ამ ცნობით აიხსნება წინასიტყვაობის სათაურიც: „სიტყვს-გებისაგან..."

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

გარკვეული პერიოდი ქართულ სამეცნიერო ტრადიციაში იოანე დიაკონის შრომა ძირითადად VIII საუკუნის აღმოსავლურ-ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის - თეოდორე აბუკურას - კალამს მიეწერებოდა. ანტიმაჰმადიანური პოლემიკის ავტორად აბუკურას მიიჩნევდნენ ასევე უცხოელი მეცნიერები. ამ გარემოებას ბევრი ფაქტორი განაპირობებდა - დიალოგებში მოხსენიებული თეოდორე აბუკურა, რომელიც ეკამათება მუსლიმური სამყაროს წარმომადგენლებს და ისტორიულად ცნობილი იყო, როგორც მაღალი წოდების სასულიერო პირი, იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც დიალოგი დაიწყო სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებთან; იგი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც მელქიტ ქრისტიანებში, ასევე სხვა კონფესიათა მიმდევრებს შორის. გარდა ამისა, ცნობილი იყო, რომ ის წერდა ფილოსოფიურ თუ თეოლოგიურ ტრაქტატებს. არსებობდა მოსაზრება, რომ, მიუხედავად თავისი ეროვნებისა, იგი არაბულის გარდა, წერდა ბერძნულ ენაზეც. აქედან გამომდინარე, იმის ალბათობა, რომ სარკინოზთა მიმართ დაწერილ სიტყვის-გებათა ავტორი, სადაც პოლემიკას ხარანის ეპისკოპოსი თეოდორე აბუკურა აწარმოებდა, თეოდორე აბუკურა თავადვე ყოფილიყო სრულიად ბუნებრივი იყო. თუმცა გლაი-კურის აღმოჩენამ და 1995 წელს მათი წიგნის გამოცემამ ვითარება სრულიად შეცვალა და მეცნიერთა წინაშე ახალი მოცემულობა დააყენა. აღმოჩნდა, რომ ანტიმაჰმადიანური პოლემიკის ავტორი სინამდვილეში ჩვენთვის სრულიად უცნობი - ვინმე იოანე დიაკონია. გარდა იმისა, რომ მის შესახებ არანაირ ბიოგრაფიულ მონაცემებს არ ვფლობთ, ჩვენთვის უცნობია მისი სახელით მოღწეული რომელიმე სხვა შრომა. მისი საზოგადოებრივი თუ შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ ვიცით მხოლოდ ის მცირედი, რაც ანტიმაჰმადიანური პოლემიკის წინასიტყვაობაშია დაცული, ხოლო, როგორც იქ არის აღნიშნული, იგი იყო თვითმხილველი პოლემიკისა, რომელიც თეოდორესა და მუსლიმებს შორის მიმდინარეობდა. ჩვენ არ გვაქვს ამ განაცხადის საწინააღმდეგო არგუმენტაცია არც ისტორიული დოკუმენტაციის და არც ხელნაწერებში დაცული ინფორმაციის სახით, ასევე - არანაირი მყარი საფუძველი, ვიფიქროთ, რომ მისი ნათქვამი სიმართლეს არ შეესაბამება. თუმცა მეცნიერთა ნაწილი წინასიტყვაობის ცნობიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ იოანე დიაკონი აბუკურას თანამედროვე იყო და ორ ვარაუდს უშვებს: 1. იოანე დიაკონი იყო თეოდორე აბუკურას თანამედროვე. 2. იოანე დიაკონი ცხოვრობდა

სავარაუდოდ თეოდორე აბუკურას ეპოქაში, თუმცა ვერც მისი მოღვაწეობის ზუსტ პერიოდს და ვერც მისი შრომის შექმნის ზუსტ თარიღს დოკუმენტური თუ ისტორიული წყაროების არარსებობის გამო ერთმნიშვნელოვნად ვერ ასახელებენ.

რაც შეეხება იოანეს შრომის თავდაპირველ ვარიანტს, ქართული წყაროს - არსენ იყალთოელის „დოგატიკონის" - მონაცემთა გათვალისწინებით შემდეგნაირი სახე უნდა ჰქონდა: სავარაუდოდ, იგი შედგებოდა წინასიტყვაობისა და ცხრა დიალოგისგან. ქართულად კი არსენის მიერ გადმოღებულია მხოლოდ რვა დიალოგი. მეცხრე დიალოგი - Opusculum 23 - არ დასტურდება „დოგმატიკონის" არც ერთ ხელნაწერში, რაც „ტექნიკური ხარვეზით" უნდა იყოს განპირობებული. ვფიქრობთ, დედანი, რომლითაც არსენი სარგებლობდა, ერთი ვერსიით სრულად არ შეიცავდა ტექსტს, ხოლო ისედაც ძალიან მოკლე დიალოგის არასრულად გადმოღება არსენმა საჭიროდ არ მიიჩნია, ან ხელნაწერი დაზიანებული იყო და არსენმა მისი ამოკითხვა ვერ შეძლო. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ „დოგმატიკონში" იოანე დიაკონის შრომა, როგორც ერთი მთლიანობა, გადმოცემულია მხოლოდ წინასიტყვაობისა და რვა დიალოგის სახით. რაც შეეხება Opuscula Islamica-ს სხვა დიალოგებს, დიაკონის შრომის ე.წ. მეორე და მესამე ნაწილებს, ვფიქრობთ, უნდა გავიზიაროთ ის მოსაზრება, რომ მათი გაიგივება დიაკონის შრომასთან მოგვიანებით მოხდა. ისინი დამოუკიდებელი შრომებია და არ მიეკუთვნება არც იოანე დიაკონის, არც თეოდორე აბუკურას შემოქმედებას. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ეს „ორი ნაწილი" ყველა ხელნაწერში ანონიმურად არის გადმოცემული და არც ერთი მათგანი არ ადასტურებს, რომ მათი ავტორი შეიძლება იყოს ან თეოდორე აბუკურა, ან - იოანე დიაკონი.

წყაროები და ლიტერატურა:

1. არსენ იყალთოელი, „*დოგმატიკონი*", S 1463 (ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში).
2. დათიაშვილი ლეილა, 1980, თეოდორე აბუკურა, ტრაქტატები და დიალოგები, თბილისი: „მეცნიერება".
3. დათიაშვილი ლეილა (1967), „*აბუკურას" ორიგინალობის საკითხისთვის.*
4. დათიაშვილი ლეილა (1976), *ანტიმაჰმადიანური პოლემიკა თეოდორე აბუკურას ნაშრომებში.*
5. ღოღაშვილი ივანე, 1978, არსენ იყალთოელი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბილისი: „მეცნიერება".
6. Glei Reinhold / Khoury Theodor Adel. 1995. *Johannes Damaskenos und Theodor Abū Qurra: Schrifthen zum Islam.* Würzburg: Echter Verlag.
7. Lamoreaux, C. John, 2005. *Theodore Abu Qurrah.* Provo, Utah: Brigham Young University Press.

8. Lamoreaux, C. John (2003). *The Biography of Theodore Abu-Qurrah Revisited.*
9. Lamoreaux, C. John (2002). *Theodore Abu Qurrah and John the Deacon.*
10. Lamoreaux, C. John, (2007). *Theodore Abu Qurrah.*
11. Treiger Alexander (2016). *New Works by Theodore Abu Qurrah Preserved under the Name of Thadeus of Edessa.*

NINO MGEBRISHVILI
Tbilisi State University, The Institute of classical, Byzantine and Modern Greek Studies

ABOUT THE ORIGINAL CONTOURS OF JOHN THE DEACON'S WORK (TAKING INTO CONSIDERATION THE DATA OF ARSENI OF IQALTO'S "DOGMATIKON")

Summary

Theodore Abu Qurraha's Greek speaking heritage was actual in old Georgia too. The Georgian translations of Abu-Qurrah's works belong to Arseni of Iqalto (11th-12th cc.), who placed these treatises in the Dogmatikon - the selection, which represented a monument with linguistic and literary values and expressed the socio-political interests of the Georgian state and the world view of the Georgian Church.

Arsen of Ikalto translated 35 works from the Greek-speaking legacy, which were considered to be written by Theodore Abu Qurrah, including Refutations of the Saracens by Theodore Abu Qurrah, the Bishop of Haran, As Reported by John the Deacon, consisting of the introduction and eight dialogues. During long time this work was attributed to Theodore Abu Qurrah, but nowadays this work already belongs to John the Deacon.

The Greek original of the introduction preserved in Dogmatikon had been considered lost for a long time. It is significant too that in Goergian sources the "adapted version" of the title of the introduction is confirmed, where the name of John the Deacon is not mentioned, which made it even more complicated to establish the issue of the authorship.

Thus, in the article we are discussing the Georgian translations of the work by John the Deacon, which must have certain significance for ascertaining the original contours of John the Deacon's work taking into Consideration the data of Arseni of Iqalto's Dogmatikon.

ნიკა ხოფერია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლაზიკის ომი – ლანდშაფტი, სივრცე, რესურსები

VI საუკუნეში, ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს პერიოდში მომხდარ მრავალრიცხოვან ომებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და რთული, აღმოსავლეთ ფრონტზე, სამხრეთ კავკასიაში, ლაზიკის სამეფოს ტერიტორიაზე სპარსელებთან ომი იყო. ორივე მხარეს, ბიზანტიის იმპერიასაც და სასანურ სპარსეთსაც, განსაკუთრებული სტრატეგიული ინტერესები გააჩნდათ და შესაბამისად, არც ერთი მათგანი არ თმობდა პოზიციებს. ხშირად მაშინაც კი, როდესაც სხვა ფრონტებზეც იბრძოდნენ და ძალების გაგზავნა ლაზიკის მიმართულებით, უჭირდათ. ისტორიკოსი დევიდ ბრაუნდი აღნიშნავს, რომ V–VI საუკუნეებში, პირველად, პომპეუსის შემდეგ, ლაზიკაში ომს უცხოეთის დიდი არმიები აწარმოებდნენ. მანამდე აქ მხოლოდ ზღვის სანაპირო ზოლის გაყოლებით განლაგებული რომაული გარნიზონები იდგა, ამ პერიოდში კი გაცილებით უფრო დიდი ბიზანტიური ძალები სანაპიროდან ქვეყნის შიდა მხარეებისაკენ მიიწევდნენ, სადაც თავიანთი საყრდენი პუნქტების შექმნასაც კი ცდილობდნენ. ამავე დროს, საკუთრივ ლაზიკის ტერიტორიაზე პირველად გააქტიურდნენ სპარსეთის ძალები და ზღვამდეც კი წარმატებით მიაღწიეს [ბრაუნდი, 2014: 388].

ხანგრძლივი ომი სხვადასხვა თანადროულ ავტორთა თხზულებებში აღიწერა, მათ შორის ორი უმთავრესი წყაროა VI საუკუნის ავტორების პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის თხზულებები.[1] ისინი გვაძლევენ ომის საინტერესო აღწერილობას, რომელშიც მრავალი საინტერესო დეტალი ვლინდება და საშუალებას გვაძლევს სამხედრო ისტორიის თვალსაზრისით კიდევ უფრო გავაფართოვოთ ჩვენი კვლევა ლაზიკის ომის მიმართულებით და ეს ომი თავისი ეპოქის გადმოსახედიდან, უკეთ შევაფასოთ. ამ ნარკვევში შევეხები ლაზიკის ომის სამხედრო კუთხით სრულფასოვნად შესწავლისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან საკითხებს – ლანდშაფტს, სივრცესა და რესურსებს.[2] როგორც ცნობილი ბიზანტისტი, ჯონ ჰალდონი წერს, ხშირად სათანადოდ არ აფასებენ იმ გარემოებებს, რომელსაც ისტორიაში ფიზიკური

[1] უნდა აღინიშნოს რომ ამ ომიანობამ ისტორიკოსებიც მიიზიდა, კერძოდ, პროკოპი და აგათია, რომელთაც ამ საუკუნეებისათვის გაცილებით მეტი და მრავალფეროვანი ინფორმაცია მოგვაწოდეს, ვიდრე ეს წინა პერიოდებისთვისაა ხელმისაწვდომი [ბრაუნდი, 2014: 389].
[2] საომარ მოქმედებათა სარბიელის შესწავლის გარეშე შეუძლებელია სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის აღდგენა წარმოჩენა [გამყრელიძე, 2005: 5].



პარამეტრები: გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი, რესურსების რაოდენობა განსაზღვრავს [Хэлдон, 2007: 75]. სამხედრო მოქმედების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი რელიეფ-ლანდშაფტის გათვალისწინებას. ჩასაკეტად ადვილი ვიწრო ხეობების, გადასალახად რთული მაღალი მთების, გასამაგრებლად მოხერხებული გორების, ხშირი გაუვალი ტყეების, ძნელად დასაძლევი მდინარეების მოხერხებული სამხედრო-სტრატეგიული გამოყენება საომარი მოქმედების წარმატებული დაგვრიგვინების გარანტია იყო [გამყრელიძე, 1993: 27]. რა ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ეს ომი, როგორი ლანდშაფტი იყო სხვადასხვა ტიპის ბრძოლებისთვის, შეიძლებოდა თუ არა ძლიერი თავდაცვის ორგანიზება, საფარის მოწყობა მტრისთვის, თავის შეფარება მიუვალი ადგილებისთვის, საზღვაო გზების გამოყენება, რომელ სეზონებზე იყო მოსახერხებელი ბრძოლები, რა მასშტაბების სამხედრო ძალების მოქმედებისთვის იყო იდეალური ლაზიკის მიწაწყალი და როგორ შეიძლებოდა არმიის მომარაგებისა და კომუნიკაციის პრობლემების მოგვარება.

ღანდშაფტი და სივრცე

ლაზიკას სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და კარგად დაცული სივრცე ეკავა - მის სამხრეთით მცირე კავკასიონი და სამხრეთ საქართველოს მთიანეთი უდგებოდა, ჩრდილოეთით - დიდი კავკასიონი.[3] კოლხეთის დაბლობის გარ-

[3] კოლხეთი, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს. მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრებია: ჩრდილოეთით კავკასიონის მთები; სამხრეთით მცირე კავკასიონი, აჭარა-ლაზეთის მთიანეთი; აღმოსავლეთით ლიხის ქედი, დასავლეთით – შავი ზღვა [გამყრელიძე, 1993: 24].

და, რომელიც ლაზიკის სამეფოს ბირთვს წარმოადგენდა, ლაზიკაში და მის მორჩილ და მოკავშირე მხარეებში, ძირითადად მთაგორიანი რელიეფი იყო (საქართველოს ტერიტორიის 1/5 მაღალმთიანია). როგორც გელა გამყრელიძე აღნიშნავს, საქართველოს მთიანეთი როგორც დაასახლებლად არის მოსახერხებელი, ასევე, აქ დიდი რაოდენობით მოიპოვება საშენი მასალაც [გამყრელიძე, 2005: 6]. დასავლეთ საქართველოში მეტალურგიულად მდიდარი რეგიონებია – რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, აფხაზეთი, აჭარა. ეს სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფაქტორია. კოლხეთის დაბლობისთვის, რომელიც საქართველოში ყველაზე წყალჭარბი ადგილია, დამახასიათებელი იყო ჭაობები. ჰავა აქ ტენიანი და თბილია, წვიმები კი – ხშირი.[4] ყველაზე წყალუხვი მდინარე, რომელიც ლაზიკის სამეფოს ტერიტორიაზე მოედინებოდა, იყო რიონი, რომელსაც ანტიკური ხანის ავტორები უმეტესად ფასისის სახელით იხსენიებდნენ. ასევე მდინარეები ჭოროხი (აკამფსისი), ცხენისწყალი (ჰიპისი) და ა.შ. თბილი და ნოტიო ჰავის გამო, ლაზიკის სამეფოს დიდ ნაწილს ფარავდა ხშირი, კოლხური ფოთლოვანი ტყეები. თანაც, დღევანდელთან შედარებით, ანტიკურ ხანაში, ტყიანი საფარი კიდევ უფრო ფართო იყო და მისი გავლა განსაკუთრებით რთული იქნებოდა[5], რასაც ისტორიული წყაროებიც ადასტურებენ. დასავლეთით, ქვეყანას მთლიანად შავი ზღვა (ევქსინის პონტო) საზღვრავდა. მრავალფეროვანი იყო ამ მხარის ფაუნაც. ყველა ეს გეოგრაფიული თავისებურება მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ლაზიკაში მიმდინარე დიდ ომზე, თითოეულ სამხედრო მოქმედებაზე, ლაშქრობასა და ბრძოლებზე.

პროკოპი კესარიელი და აგათია სქოლასტიკოსი ხშირად ამახვილებენ ყურადღებას ბუნებრივ გარემო პირობებზე ლაზიკაში და მის როლზე ომის მიმდინარეობაში. მათი თვალთახედვის არეში ხვდება ამ მხარის მაღალმთიანი რეგიონები, დიდი ტყეები და მდინარეები, ასევე ზღვის სანაპირო.

მთები და უღელტეხილები

ლაზიკის მთაგორიან რელიეფს დიდი გავლენა ჰქონდა აქ გამართულ სამხედრო მოქმედებებზე და ხშირად განსაზღვრავდა ორივე მებრძოლი მხარის ტაქტიკასა და სტრატეგიას. როგორც პროკოპი კესარიელი აღნიშნავს, ლაზიკე ყველგან, მდინარე ფასისის როგორც აქეთ ისე იქითა მხარეზე, გაუვალია. ქვეყნის ორსავე მხარეს უზარმაზარი კლდეებია, რომლებიც იქ დიდ მანძილზე ვიწრობებს

[4] ჰიპოკრატეს (ძვ.წ. V-IV სს.) მიხედვით: „ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. მთელი წლის განმავლობაში იქ ხშირი და ძლიერი წვიმები იცის...წყლებისგან ამ ქვეყანაში დიდი ნისლი დგას" [გამყრელიძე, 2005: 7].

[5] სამხედრო მოქმედების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი რელიეფ-ლანდშაფტის გათვალისწინებას. ჩასაკეტად ადვილი ვიწრო ხეობების, გადასასახად რთული, მაღალი მთების, გასამაგრებლად მოხერხებული გორების, ხშირი, გაუვალი ტყეების, ძნელად დასაძლევი მდინარეების მოხერხებული სამხედრო-სტრატეგიული გამოყენება საომარი მოქმედების წარმატებით დაგვირგვინების გარანტია იყო. არანაკლები მნიშვნელობა სამხედრო მოქმედებებისას ენიჭება კლიმატს და წელიწადის დროის ცვლას [გამყრელიძე, 2005: 8].

ქმნიან [BP II, 29; გეორგიკა II, 1965: 102-103]. მთებში ბრძოლა, მაღლობების დაკავება, მნიშვნელოვან უპირატესობას აძლევდა მხარეს, თუ ამ ადგილებში მოახერხებდა მოწინააღმდეგის ბრძოლაში ჩათრევას. „როდესაც ბრძოლაში ერთვები მტერთან და იმყოფები ტყე-მთიან ან სწორ ადგილზე, საჭიროა დაიკავო მაღლობი და დაეყრდნო ადგილმდებარეობის სტრატეგიულ ფორმას, რომელიც საჭიროა შეტევისა და მტრის შეჩერებისთვის და საშუალებას იძლევა სწრაფად დაესხა თავს მოწინააღმდეგეს. ამ შემთხვევაში შენ მოიპოვებ გამარჯვებას ბრძოლაში" [Сойер, 2008: 171]. მთები თავშესაფარსაც წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ეს განსაკუთრებით ეხება ლაზიკის ჩრდილოეთით, თანამედროვე სვანეთის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ტომებს — მისიმიელებს. აგათია სქოლასტიკოსის მიხედვით, მისიმიელებს, იმის იმედი ჰქონდათ, რომ მათი ადგილები ძნელი გასავლელი იყო და რომაელები ვერ შეძლებდნენ აქ თავისუფლად მოქმედებას, ამიტომ აჯანყება თამამად დაიწყეს. „ერთი მთა დაჰყურებს ამ ქვეყანას, არც თუ ძალიან მაღალი, არც ძალიან დაკიდებული, მაგრამ ძალიან დაქანებული და ყოველ მხრით ციცაბო კლდეებით მოხშირებული; შუაში ვიწრო და უვალი გზა მოჩანს, რომელიც ერთი, გაბედულად მომავალი, კაცისთვისაც კი ადვილი სავალი და დასაძლევი არ არის, ისე რომ, თუ თხემზე ვინმე დგას და წინააღმდეგობას უწევს იქ ამავალთ, ვერასდროს მტერი ვერ გადალახავს მას, მაშინაც კი ვერა, ურიცხვი რომ იყოს მტერი, ან ყველანიც რომ მჩატენი და მსუბუქად შეიარაღებულნი იყვნენ, როგორნიც არიან, მაგალითად, ისავრიელები, სწორედ ასეთი ადგილმდებარეობის იმედით მოჰკიდეს ხელი მისიმიელებმა უკიდურესად უგუნურ საქმეს¨(აჯანყებას ნ.ხ.) [Agathias, IV, 16; გეორგიკა III, 1936: 162-163]. „მისიმიელებთან] მეტი წილი საცხოვრებელი სახლებისა თვით ზღუდის შიგნით კი არ იყო, არამედ ერთს, იქვე ახლოს აღმართულ კლდეზე; აქაური ნაპრალებისა და დიდ მანძილზე გადაჭიმული ციცაბო ლოდების გამო შეუძლებელი იყო უცხოელთა და შეუჩვეველთათვის ამ ადგილებზე გავლა. ადგილობრივი მცხოვრებლები კი, რომლებიც ამ ადგილებში გამოცდილნი იყვნენ, თუმცა დიდის წვალებით მაგრამ მაინც ახერხებდნენ, როდესაც დასჭირდებოდათ, ვიწრო და მიმალული გზიდან ჩამოსვლას და ისევ უკან აძრომას. ამ კლდის ძირში, დაბლობ და გაშლილ ადგილას ამოჩუხჩუხებდა წყაროები მშვენიერი სასმელი წყლით, საიდანაც წყალი მიჰქონდათ ამ მთის მცხოვრებლებს" [Agathias, IV, 17; გეორგიკა III, 1936: 166]. მიუხედავად ამგვარი სირთულეებისა, საბოლოოდ, ბიზანტიელებმა მაინც შეძლეს მისიმიელების დასჯა და აჯანყების ჩახშობა. მთავარი ამ შემთხვევაში მისიმიელთა თავდაჯერებულობაა, რომ მტერი ვერ მოახერხებს მათ დასახლებებამდე მიღწევას, რომლებიც მთაგორიან და მიუვალ ადგილებშია. თუმცა, მათ ნაკლებად ჰქონდათ სამხედრო გამოცდილება ძლიერი, პროფესიონალური არმიისაგან თავდაცვისა და ვერ შეძლეს მაქსიმალურად გამოეყენებინათ თავიანთი სტრატეგიული უპირატესობა ბიზანტიელთა წინააღმდეგ.

მთაგორიანი რელიეფის უპირატესობას თვითონ ლაზებიც იყენებდნენ. ისინი თავს აფარებდნენ მთებს მაშინ, როდესაც ბიზანტიელებს არ შეეძლოთ სათანადოდ დაეცვათ თავიანთი პოზიციები, ლაზები კი სპარსელებს ვერ გაუმკლავდებოდნენ. ამის გამო მეფე გუბაზს და ლაზების საკმაოდ დიდი ნაწილს, მთებში გამოზამთრებაც კი მოუხდა, მიუხედავად იმისა, რომ იქ გაცილებით ციოდა და სურსათით მომარაგებაც ძალიან ჭირდა. როგორც პროკოპი კესარიელი წერს, „მტრებისაგან იქ შეწუხება არაფერი განუცდიათ, რადგან თავდამსხმელთათვის ეს მთები — საზოგადოდ და კერძოდ ზამთარშიაც — მოუხერხებელი და სრულიად მიუვალია" [BG VIII, 16: გეორგიკა II, 1965: 205].

მაღალ და რთულად გასავლელ მთებად მიიჩნევს პროკოპი კესარიელი მთებს, რომლებიც მისი აღწერით, იბერიის ტერიტორიაზე, მესხების მიწაზეა - „ამ ქვეყანაში მთები მეტად მაღალია, უზარმაზარი და საშინლად მიუვალი. და ისინი გავრცელებულია ვიდრე კავკასიის მთებამდე" [BG VIII, 2; გეორგიკა II, 1965: 126-127]. თუმცა, განსხვავებით ლაზიკისა და მისიმიელთა მხარის მთიანი ადგილებისგან, „მესხეთის მთები არც მწირია და არც ნაყოფიერებას მოკლებული, არამედ სავსეა ყოველგვარი სიკეთით, რადგან მესხებიც მარჯვე მიწისმუშები არიან და იქ ვენახებიც არის" [BG VIII, 2; გეორგიკა II, 1965: 126-127]. შესაბამისად, ომიანობის დროს ან გამოზამთრებისას, რესურსების მოპოვება აქ უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე ლაზიკაში.

ლაზები, უმეტესად, მაღლობებში აშენებდნენ ციხესიმაგრეებს, რადგან ასეთი ციხეები უფრო ძნელად მისადგომი და ასაღები იყო მტრისთვის. პროკოპი კესარიელის მიხედვით, მათ მდინარე რეონის სანაპიროზე, ძველადვე აუგიათ ციხე, რომელიც შემდეგ ხანებში მათ „ძირითადად, მიწასთან გაუსწორებიათ, რადგან ის მეტად დაბალ ვაკეზე მდებარეობდა და, მათი აზრით, ადვილი მოსავლელი იყო. მაშინ ამ ციხეს კოტიაიონს უწოდებენ ელინური ენით, ამჟამად კი მას ლაზები ქუთათისს ეძახიან" [BG VIII, 14; გეორგიკა II, 1965: 195]. მსგავსი ცნობა გვაქვს კიდევ ერთი ციხის — როდოპოლისის ანუ ვარდციხის შესახებ - „დაბლობში ერთი ქალაქი იყო, სახელად როდოპოლისი, რომელიც ყველაზე უწინარეს ხვდებოდა გზაზე იბერიიდან კოლხიდაში შემოსულთ; ადვილმისადგომი იყო და იერიშის მიტანაც სრულიად არ იყო ძნელი. ამიტომ ლაზებმა ის ამას წინათ მიწასთან გაასწორეს, რადგან ეშინოდათ სპარსელთა შემოსევისა" [BG VIII, 13: გეორგიკა II, 1965: 186-187].

სპარსელებისა და ბიზანტიელებისთვის სტრატეგიული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი იყო იმ უღელტეხილების კონტროლი, რომლებითაც იბერიიდან ლაზიკაში ლაშქრის გადაყვანის შესაძლებლობა არსებობდა. ეს გადასასვლელები იყო ლიხის ქედის დასავლეთ კალთებზე. უღელტეხილების კონტროლით, ბიზანტიელებს შეეძლოთ ხელი შეეშალათ ან საერთოდ აღეკვეთათ სპარსელების ფართო მასშტაბიანი ლაშქრობები ლაზიკაში. სპარსელებს კი

უღელტეხილების ხელში ჩაგდება საშუალებას მისცემდა ლაზიკაში თავიანთი მიზნებისთვის მიეღწიათ. სპარსული მმართველობის ქვეშ მყოფ იბერიასთან მუდმივი კავშირი, სპარსელთა ზურგის დაცულობას უზრუნველყოფდა და რეგულარულ გამოსაზამთრებელ ადგილისაც წარმოადგენდა მათთვის. ვინაიდან საომარი მოქმედებები, როგორც წესი, ზამთარში უმთავრესად წყდებოდა და გაზაფხულზე განახლდებოდა ხოლმე. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მებრძოლ მხარეთათვის ჩრდილოეთით, კავკასიონის უღელტეხილების კონტროლი. ის, ვინც ფლობდა ამ უღელტეხილებს, ხშირად, გადამწყვეტი უპირატესობის მიღწევაც კი შეეძლო, მტრის ზურგში საკუთარი, მრავალრიცხოვანი მოკავშირეების — ჰუნების ან ალანების - გადმოყვანით.

ჯერ კიდევ ლაზიკის ომამდე პერიოდის აღწერისას, პროკოპი კესარიელი წერს, რომ, როდესაც იბერიის მეფე გურგენი, სპარსელებს გაურბოდა, ლაზიკის საზღვრებში მივიდა, აქ გაჩერდა და, ძნელგასავლელი ადგილებით (იგულისხმება უღელტეხილები ნ.ხ.) დაცული, ახერხებდა მტრის მოგერიებას. სპარსელები კი დაედევნნენ მას, მაგრამ მაინც ვერაფერი დააკლეს, რადგან საქმეს აფერხებდა ძნელგასავლელი ადგილები [BP I, 12; გეორგიკა II, 1965: 50-51]. თითქმის ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს შეხება ლაზიკის ომის პირველ ეტაპზე, მერმეროეს ჯარის ლაზიკაში ლაშქრობისას, როდესაც რომაელთა ასი კაცისგან შემდგარმა რაზმმა ხანგრძლივად შეძლო სპარსელების შეკავება უღელტეხილებზე და მხოლოდ მაშინ დათმო პოზიციები, როდესაც მეომრები დაიღალნენ და წინააღმდეგობის გაწევა უკვე აღარ შეეძლოთ [BP II, 30; გეორგიკა II, 1965: 110].

თუ რატომ იყო მრავალრიცხოვან სპარსელთათვის ასეთი მცირერიცხოვანი რაზმის დამარცხება რთული ამ პოზიციაზე, ჩანს შემდგომ ცნობაში - „იბერიიდან კოლხიდაში მიმავალი გზა, რომელიც ყველგან დაქანებული ნაპრალებითა და დაბუჩქული ძნელსავალი ადგილებით იყო დასერილი და ისე დაფარული უღრანი ტყეებით, რომ მსუბუქად დატვირთულ კაცსაც კი გაუჭირდებოდა წინათ აქ გავლა" [BG VIII, 13; გეორგიკა II, 1965: 182-183].[6] ვიწრობში მრავალრიცხოვნება გარკვეულწილად კარგავს მნიშვნელობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგეს ძლიერი თავდაცვითი პოზიცია უჭირავს. ამის გამო, სპარსელების ზარალი, რომელიც მათ უღელტეხილების გავლის დროს მიადგათ — 1000 კაცი — შეიძლება გაზვიადებული იყოს, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ მათ საკმაო ზარალი უნდა ენახათ. ანტიკური ხანის და ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლური სამხედრო ტრაქტატებიც მრავალრიცხოვან არმიებს ურჩევენ თავი აარიდონ ვიწრობებში ბრძოლას: „ომში, თუ შენი არმია მრავალრიცხოვანია, მოწინააღმდეგეს კი მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავს, არ ჩაება მასთან ბრძოლაში

[6] სპარსელებიდან ათასზე მეტი კაცი დაიხოცა; ხოლო რომაელები ჟლეტისაგან მოიღალნენ და, როდესაც დიდი ბრბო მოაწვა მათ, უკან დაიხიეს და თავს უშველეს იქაური მთების მწვერვალებზე გაქცევით [BP II, 30; გეორგიკა II, 1965: 110].

ვიწრობებსა და ხეობებში. უნდა აირჩიო სწორი და მოსახერხებელი, ფართო და ხალვათი ადგილი" [Сойер, 2008: 75].

მიუხედავადიმისა,რომიბერიიდანლაზიკაშიგადასასვლელიუღელტეხილები რთულად გასავლელი იყო, ლაზიკის მხრიდან მისი კონტროლისთვის და შემოჭრილი მტრისთვის გზის გადასაღობად, ლაზებს მაინც ჰქონდათ აგებული სიმაგრეები სტრატეგიულ პოზიციებზე. „იბერიის საზღვრებიდან რომ შედიხარ, იქვეა ლაზების მიწაწყალზე ორი სიმაგრე (იგულისხმება სკანდა და სარაპანისი/შორაპანი ნ.ხ.)[7], რომელთა დაცვა ძველთაგანვე ადგილობრივი მცხოვრებლების საზრუნავს შეადგენდა"[BP I, 12; გეორგიკა II, 1965: 51-52][8] აღნიშნავს პროკოპი კესარიელი. მას შემდეგ, რაც ბიზანტიელებმა დაიწყეს ფეხის მყარად მოკიდება ლაზიკაში, იუსტინიანემ საჭიროდ ჩათვალა ამ ციხესიმაგრეების კონტროლი და მათში უფრო საიმედო გარნიზონების ჩაყენება, რადგან არ ყოფილიყო ლაზების ერთგულების იმედზე - „მეფემ [ბიზანტიის იმპერატორმა ნ.ხ.] გამოიყვანა იქიდან ეს მცველები და რომაელ ჯარისკაცებს უბრძანა სიმაგრეების სადარაჯოზე დამდგარიყვნენ"[BP I, 12; გეორგიკა II, 1965: 51-52].[9] ლაზთა მეფე გუბაზი ხედავდა რომ ბიზანტიელები სათანადოდ ვერ იცავდნენ იბერია-ლაზიკის გადასასვლელებს და მათგან მოითხოვდა გაეძლიერებინათ ამ ადგილების კონტროლი, რათა სპარსელები ლაზიკაში არ შეჭრილიყვნენ [BP II, 29; გეორგიკა II, 1965: 102-103].

სურსათ-სანოვაგით მომარაგების პრობლემების გამო, ბიზანტიელებს უჭირდათ ციხეების შენარჩუნება და სკანდა და სარაპანისი სპარსელების ხელში გადავიდა, მას შემდეგ კი, რაც კვლავ დაიბრუნეს, ლაზებმა ციხეები მიწასთან გაასწორეს, რათა მოწინააღმდეგე არ გამაგრებულიყო შიგნით. თუმცა სპარსელებმა, რომელთაც ესმოდათ ამ სტრატეგიული ადგილების მნიშვნელობა, მათგან ერთი – სკანდის ციხე – კვლავ აღადგინეს [BG VIII, 13; გეორგიკა II, 1965: 186].

ვინაიდან ბიზანტიელები და ლაზები არ გეგმავდნენ მასშტაბური შეტევის განხორციელებას იბერიაში მტკიცედ ფეხმოკიდებულ სპარსელებზე, ვინაიდან ამისთვის აუცილებელი სამხედრო შესაძლებლობა არ ჰქონდათ და იცოდნენ

---

[7] სკანდა და სარაპანისი (შორაპანი) – იბერიის საზღვრებისაკენ [BP II, 29; გეორგიკა II, 1965. 100-101]. არქეოლოგი ნიკოლოზ მურღულია სკანდასა და შორაპანს, რომლებიც სამეფოს აღმოსავლეთ საზღვრებიდან არსებულ გადმოსასვლელებს კეტავდნენ, ლაზიკის სამეფოს თავდაცვით სისტემაში, აღმოსავლეთ სექტორის გამაგრების ქვესისტემაში ათავსებს [მურღულია, 2012. 5].

[8] ლაზთა ორი ციხეა ზედ იბერიის საზღვრებთან, სკანდა და სარაპანისი: ისინი მდებარეობენ მკაცრსა და მეტად ძნელსავალ ადგილებში და ძნელად თუ მიუდგება იმათ კაცი. ამ ციხეებს ლაზები ძველად დიდი გაჯირვებით იცავდნენ, რადგან იქ საზრდო სრულიად არაფერი მოდის და ადამიანებს ზურგით უხდებოდათ იქ სურსათის შიტანა [BG VIII. 13; გეორგიკა II, 1965: 185].

[9] [იუსტინიანემ] გარეკა აქედან ლაზები და რომაელ ჯარისკაცთა რაზმი ჩააყენა [BG VIII. 13; გეორგიკა II, 1965: 186]. იუსტინეს (518-527 წწ.) მიერ გაყვანა შორაპნისა და შესაძლოა, სკანდის ციხეებიდან. სადაც ისინი ათეული წლების განმავლობაში იდგნენ, შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ ლაზიკაში სპარსეთი ბიზანტიის საწინააღმდეგო ძმეტევ დიპლომატიურ საქმიანობას ეწეოდა; ლაზების ნების წინააღმდეგ მომართული ეგზომ მკაცრი ცვლილების ახსნა მხოლოდ ლაზების ერთგულებაში დაეჭვებით თუ იქნებოდა [ბრაუნდი, 2014: 418].

რომ სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან დაუცველ იბერიას ხანგრძლივად ვერც შეინარჩუნებდნენ. ამასთანავე, იუსტინიანესთვის, ლაზიკის ფრონტი არ იყო ძირითადი საომარი სარბიელი. მისთვის მთავარი გახლდათ ამ მხარის შენარჩუნება და დაცვა სპარსელთაგან[10]. ძირითადი სამხედრო კამპანიები სამხრეთში, სირია-მესოპოტამიაში და დასავლეთით, ხმელთაშუა ზღვისპირეთში რომაული გავლენის აღსადგენად მიმდინარეობდა. სასანური სპარსეთი კი ლაზიკაში, ისევე, როგორც სირია-მესოპოტამიაში, ფართო, შეტევით კამპანიას აწარმოებდა, ამიტომ იბერიიდან ლაზიკაში გადასასვლელი გზების მოწესრიგება და მრავალრიცხოვანი რაზმების გადაყვანისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, მათთვის მნიშვნელოვანი იყო. როდესაც სპარსეთის მეფის ხოსრო ანუშირვანის ჯარმა იბერიის გავლის შემდეგ ლაზიკის საზღვრებს მიაღწია, ამ დროისთვის მათი მოკავშირე ლაზების მეგზურობით, სპარსელებმა დაიწყეს ხეების მოჭრა, რომლებიც იქ, დაქანებულ ადგილებში, მეტად ხშირი, შტომრავალი და მაღალი იყო და ჯარისათვის იმ ქვეყანას სრულიად გაუვალს ხდიდა. მოჭრილი ხეებით გაუვალ ადგილებში გზებს აკეთებდნენ და ჯარი ახერხებდა მასზე ადვილად გავლას [BP II, 17; გეორგიკა II, 1965: 82]. შემდგომში, მერმეროემაც ისე მოაწესრიგა გზები, რომ „არა თუ მთელმა მათმა ცხენოსანმა ჯარმა გაიარა იქ დაუბრკოლებლად, არამედ სპილოებიც გაატარეს, რამდენიც სურდათ, და ისე ილაშქრეს იქ" [BG VIII, 13; გეორგიკა II, 1965: 182-183].

მდინარეები

წყლის რესურსები, სამხედრო თვალსაზრისით, სტრატეგიული ობიექტებია. წყალი არის განსაკუთრებულად საჭირო რესურსი არმიებისთვის, რომელთაც მუდმივად ესაჭიროებათ დიდი რაოდენობით წყალი. ამიტომ, მხარეთა საბრძოლო სტრატეგიაში, წყლის რესურსების კონტროლს, ლაშქრის წყლის რესურსებით მდიდარ მხარეებში ან ასეთი მხარეების მახლობლად მოძრაობას, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ლაზიკა წყლის რესურსებით მდიდარი მხარე იყო და როგორც ეს თანადროულ წყაროებშიც ჩანს, წყლის ნაკლებობა იშვიათად აწუხებდათ არმიებს, თვით ალყაში მოქცეულ გარნიზონებსაც კი.

პროკოპი, ლაზიკის გეოგრაფიის აღწერისას, პირველ რიგში მდინარეებს განიხილავს და შემდეგ ხსნის, როგორ იყო ამ ქვეყნის ციხე-ქალაქები და სხვა სტრატეგიული პუნქტები განაწილებული მათ ირგვლივ: „მდინარე ბოასი როცა მიაღწევს იმ ადგილს, სადაც კავკასიისა და იბერიის საზღვრებია, აქ, რადგან მას ბევრი სხვა წყალიც ემატება, ის იზრდება ძალიან და, ნაცვლად ბოასისა ამიერიდან ფასისად წოდებული, განაგრძობს მდინარეობას, ნაოსნობისათვის გამოსადეგი ვიდრე ევქსინად წოდებულ ზღვამდე. სადაც მისი შესართავია, და მის

[10] იბერიაში თავის ამბიციებზე ბიზანტიას ხელი არ აუღია: VII საუკუნეში იქ იმპერატორი ჰერაკლე ანარმოებდა ომს. და მაინც, V-VI საუკუნეებში ბიზანტიის ინტერესები ამიერკავკასიაში ლაზებზე და მათ იმპერიაზე იყო კონცენტრირებული [ბრაუნდი, 2014: 390].

ორივე მხრით ლაზიკე არის. მაგრამ მარჯვნივ მთელი ის ქვეყანა დიდ მანძილზე ვიდრე იბერიის საზღვრებამდე დასახლებულია ადგილობრივი მცხოვრებლებით. ლაზთა სოფლები ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის აქეთა ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველითგანვე აქ აუშენებიათ, მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული, სევასტოპოლიც არის აქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი — იბერიის საზღვრებისაკენ. ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი. მდინარის მარცხნივ, ისეთ მანძილზე, რომელსაც ერთ დღეში გაივლის მსუბუქად დატვირთული კაცი, ლაზიკის საზღვრებია..." [BP II, 29; გეორგიკა II, 1965: 100-101].

ლაზიკის მდინარეები არ იყო განსაკუთრებულად რთულად გადასალახი და ჯარს შეეძლო მათზე ფონის მონახვა და გადასვლა, თუმცა, ადგილმდებარეობის კარგად მცოდნე გამყოლების დახმარებით. როდესაც ხოსროს ჯარი პირველად შეიჭრა ლაზიკაში ლაზი მეგზურების დახმარებით, ლაზებმა მოიმიზეზეს რომ ფასისის გადალახვა რთული იყო და ჯარს დიდ დროს წაართმევდა, რაც, როგორც პროკოპი აღნიშნავს, ლაზების მოგონილი მიზეზი იყო, რათა სპარსელები თავიანთი ძირითადი საბინადროებისკენ არ წაეყვანათ[11], ვინაიდან იცოდნენ, რას გამოიწვევდა დიდი ლაშქრის მოძრაობა მათ ქვეყანაში [BP II, 29; გეორგიკა II, 1965: 102-103]. ერთ ეპიზოდში პროკოპი წერს: „[მეფე გუბაზმა] კარგად იცოდა, რომ... ისინი ვერას გზით ვერ გადალახავდნენ ფასისს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მათ ნავები არ ჰქონდათ. ამ მდინარეს ხომ სიღრმე აქვს სხვებზე არა ნაკლები, სიგანითაც დიდ მანძილზეა გადაჭიმული" სისწრაფეც მას ისეთი აქვს, რომ ზღვაში ჩასული ის კარგა მანძილზე ცალკე მიმდინარეობს, ისე, რომ მას არ უერთდება, ამიტომ იქ მენაოსნეთათვის მოსახერხებელია შუა ზღვაში მიიღონ სასმელი წყალი. და მდინარის აქეთ ყველგან სიმაგრეებიც გაუკეთებიათ ლაზებს, რათა ნავებით მომავალი მტრისათვის ხმელეთზე გადმოსვლა არ ყოფილიყო შესაძლებელი" [BP II, 30; გეორგიკა II, 1965: 113]. მაგრამ სხვა ეპიზოდებში აშკარად ჩანს, რომ ლაზიკის მდინარეების გადალახვა განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენდა: „მერმეროემ სადაც ფასისის გადასვლა შეიძლება ფონში, გადალახა ეს მდინარე ფეხით, გადალახა აგრეთვე მეორე მდინარეც, სახელად რეონი... [მისი ჯარიდან] ზოგიერთების გამოკლებით ყველანი ცხენოსნები იყვნენ და მათ რვა სპილო მიჰყვებოდა თან". [BG VIII, 13; გეორგიკა II, 1965: 182]. ამ ეპიზოდის მიხედვით, ისიც ირკვევა, რომ მდინარეების გადალახვა არა მხოლოდ ქვეითებისთვის იყო ადვილი, არამედ, ცხენოსანი ჯარისა და საბრძოლო სპილოებისთვისაც კი. შესაბამისად, მდინარეები, საომარ სეზონებზე, არ იყო რთული გასავლელი. აგათიას მიხედვით, სპარსელმა სარდალმა, ნახორაგანმა, საპონტონე ხიდით გადალახა მდინარე - „მაშინვე გვიან ღამით ჩაუშვა მდინარეში

[11] მდინარე ფასისის მეორე მხარეს (საითაც წაიყვანეს სპარსელები ლაზებმა) ლაზებს პეტრას გარდა სხვა არც ერთი დასახლებული ადგილი არ მოეპოვებოდათ [BG VIII, 13; გეორგიკა II, 1965: 182].

ნავები, რომლებიც თან მოჰქონდა ურმებით, ერთმანეთს გადააბა და უცბად, ისე რომ რომაელებმა ვერაფერი გაიგეს, რაღაც ხიდის მაგვარი გასდო და გადაღმა გადაიყვანა მთელი ჯარი" [Agathias, III, 20; გეორგიკა III, 1936: 98]. ეს სპარსელთა სამხედრო-საინჟინრო ცოდნაზეც მეტყველებს და იმაზეც, რომ ლაზიკის მდინარეებზე ამგვარი ხიდის გაკეთება შესაძლებელი იყო.

ზოგჯერ მებრძოლი მხარეები ხელოვნურადაც უცვლიდნენ მდინარეებს კალაპოტს თავისდა საჭიროებისთვის, მაგალითად, ბიზანტიელებმა თხრილის მეშვეობით, ფასისის (რიონის) ნაკადი დოკონოსში (ტეხურში) გადაუშვეს და შექმნეს ხელოვნური კუნძული, სადაც ბიზანტიური სამხედრო რაზმები შეიკრიბნენ [Agathias, III, 21; გეორგიკა III, 1936: 38]. ამით ბიზანტიელებმა დამატებითი წინაღობა შეუქმნეს სპარსელებს და საიმედო, დაცული პოზიცია დაიკავეს.

ლაზიკის მდინარეებიდან, ხობს, ტეხურას, ფიჩორს, სუფსასა და განსაკუთრებით, რიონ-ყვირილას სატრანსპორტო-გადასაადგილებელ გზებად იყენებდნენ [გამყრელიძე, 2005: 27]. შესაბამისად, მდინარეებს დამატებითი სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა. სამდინარო გზებით შეიძლებოდა როგორც ჯარის სწრაფად გადასხმა სხვადასხვა ადგილებზე, სადაც სანაოსნოდ გამოსადეგი მდინარე გადიოდა, ასევე, რესურსების, სურსათ-სანოვაგის გადატანაც. ყველაზე მსხვილი სანაოსნო მდინარე იყო ფასისი – რიონი: „ამ მდინარეს ხომ სიღრმე აქვს სხვებზე არა ნაკლები, სიგანითაც დიდ მანძილზეა გადაჭიმული" სისწრაფეც მას ისეთი აქვს, რომ ზღვაში ჩასული ის კარგა მანძილზე ცალკე მიმდინარეობს, ისე, რომ მას არ უერთდება, ამიტომ იქ მენაოსნეთათვის მოსახერხებელია შუა ზღვაში მიიღონ სასმელი წყალი" [BP II, 30; გეორგიკა II, 1965: 113] – წერს პროკოპი კესარიელი. მდინარე რიონში საკმაოდ დიდ ხომალდებს შეეძლოთ მოძრაობა, როგორც სავაჭროს, ისე სატვირთოსა და სამხედროს: „[ბიზანტიელებმა] ჯარით აავსეს ტრიერები და რაც კი ოცდაათნიჩბიანი ნავები იდგა მზად, და სასწრაფოდ გაჰყვნენ წყლის მდინარებას" [Agathias, III, 20; გეორგიკა III, 1936: 99]. „[ბიზანტიელებმა] დიდი სატვირთო ხომალდები ზღვის ნაპირას და ფასისის შესართავთან მიაცურეს ქალაქის მახლობლად; ამ ხომალდებს ზემოთ ნავები ჰქონდათ, თვით ანძების თოკებით მაგრად ჩამოკიდებული, რომლებიც ციხის კოშკებზე უფრო დიდი იყვნენ და უფრო მაღლაც. ზედ კი მეომრები იდგნენ და ყველაზე გაბედული და მამაცად მებრძოლი მეზღვაურები, მშვილდისრებითა და შურდულებით შეიარაღებულნი და სათანადო შორსმტყორცნელი მანქანებითაც მომარაგებულნი" [Agathias, III, 20; გეორგიკა III, 1936: 102]. „[ბიზანტიელმა სარდლებმა] განკარგულება მისცეს რაზმის უფროსს დაბრაგეზას, ეროვნებით ანტს, და ერთ ჰუნნს ელმინგირეს, მწყობრის უფროსს, ათი ორსაჭიანი ნავი აევსოთ ჯარით, რომელიც მათ ხელქვეით იყო" [Agathias, III, 20; გეორგიკა III, 1936: 103]. „რომაელთა ორი ოცდაათნიჩბიანი ნავი, ცარიელი, სპარსელებმა იგდეს ხელთ; ეს ოცდაათნიჩბიანი ნავები მიდიელი ჰოპლიტებით იყო სავსე

და მდინარეში იდგა ღუზაჩაშვებული და წვრილი თოკებით ნაპირას მიბმული" [Agathias, III, 20; გეორგიკა III, 1936: 103]. „[იოანე ლიბიელი] როდესაც ის კოლხეთში მივიდა, იგივე მოიმოქმედა; მას რაღაცნაირად შეეძინა სატვირთო ხომალდები და ადგილობრივ ნაყოფებს იძენდა..." [Agathias, IV, 22; გეორგიკა III, 1936: 179].

რესურსები

ომის დროს, მებრძოლი მხარეებისთვის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას ადგილობრივ პირობებში საჭირო რესურსების მოძიება წარმოადგენს. როგორც ანტიკურ, აღმოსავლურ სამხედრო ტრაქტატშია აღნიშნული: „თუ ჯარს მარაგი და აღჭურვილობა თან არა აქვს, ის უკვე განწირულია; თუ მას სურსათ-სანოვაგე არ მიაქვს, უკვე განწირულია და თუ არსენალი არ გააჩნია, ასევე განწირულია" [სუნ ძი, 2007: 198]. ლაზიკის ომი ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ანტიკური და შუა საუკუნოვანი ისტორიული წყაროები არც ისე მდიდარია არმიათა მოქმედებების, მათი რეალური პრობლემებისა და მდგომარეობის აღწერის ცნობებით, პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის თხზულებები მაინც გვაძლევს საშუალებას ამ საკითხებზე ზოგადად ვიმსჯელოთ.

კავკასიონი, ანტიკავკასიონი, ლიხის ქედი და შავი ზღვა ქმნის ბუნებრივად შემოზღუდულ ტერიტორიას, რომლის შუაშიც კოლხეთის ბარ-დაბლობი და მთისწინეთი ექცევა. ეს ტერიტორია კოლხეთის (ლაზიკის) მთავარი აგრარულ-სამეურნეო რეგიონი იყო. პროკოპის ცნობით, რესურსებით ყველაზე მდიდარი მხარე ლაზიკაში იყო არქეოპოლისიდან ერთი დღის სავალზე მდებარე მოხირისი, მდინარე რიონის შუაწელზე [გამყრელიძე, 1993: 35]. თუმცა, მთლიანობაში, პროკოპის და აგათიას ცნობების მიხედვით, ჩანს, რომ ჯარისთვის ლაზიკაში საკვების მოპოვება, საკმაოდ რთული იყო, თანაც ადგილობრივ პირობებთან და საჭმელ-სასმელთან შეგუება, უცხოელებისათვის ადვილი არ გახლდათ. იბერია-ლაზიკის საზღვარზე მდებარე ციხესიმაგრეების — სკანდასა და სარაპანისის მიმდებარე ტერიტორიებზე, მისი თქმით: „არ მოდის არც ხორბალი, არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე. სხვა ადგილიდან რისამე შემოზიდვა, ვიწრობების წყალობით შეიძლება მხოლოდ ისე, თუ კაცები თვითონ მოიტანენ[12]. მაინც, რადგან იქ რამდენადმე ქვრიმა მოდიოდა, ლაზები ახერხებდნენ, ჩვეულებისამებრ, თავის გამოკვებას. მეფემ გამოიყვანა იქიდან ეს მცველები და რომაელ ჯარისკაცებს უბრძანა სიმაგრეების სადარაჯოზე დამდგარიყვნენ. თავდაპირველად მათ

[12] აღსანიშნავია სტრაბონის ცნობა, რომ მდინარე ფასისი, სანაოსნოდ გამოსადეგი იყო სარაპანისამდე. „ამ სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა" [გამყრელიძე, 1993.28]. პროკოპი კესარიელის ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან (სადაც სკანდა-სარაპანისის შესახებ წერს) კი ჩანს, რომ I საუკუნის შემდეგ, სარაპანისის ციხე-ქალაქის მნიშვნელობა, მდგომარეობა გარკვეულწილად შეიცვალა. ციხე თითქმის მდინარეებს - ყვირილა-ძირულას შორისაა მოქცეული, მაგრამ, როგორც ჩანს, პროკოპი კესარიელის დროს, VI საუკუნეში, სატრანსპორტოდ და რესურსების გადასატანად ფასისის (რიონ ყვირილას) ამ მონაკვეთს შედარებით ნაკლებად იყენებდნენ, სახმელეთო გზებით კი. აქამდე სურსათ-სანოვაგის ზიდვა (ვინაიდან პროკოპის მიხედვით ეს მხარე რესურსებით საკმაოდ ღარიბი ჩანს) უფრო რთული, შრომატევადი იყო.

ლაზები აწოდებდნენ ძლივს-ძლივობით საჭირო სურსათს, მაგრამ შემდეგ მათ უარი განაცხადეს ამ სამსახურზე და რომაელებმა ეს სიმაგრეები დატოვეს" [BP I, 12; გეორგიკა II, 1965: 51-52]. ამას პროკოპი სხვაგანაც აღნიშნავს: „ამ ციხეებს ლაზები ძველად დიდი გაჭირვებით იცავდნენ, რადგან იქ საზრდო სრულიად არაფერი მოდის და ადამიანებს ზურგით უხდებოდათ იქ სურსათის მიტანა... [იუსტინიანემ] გარეკა აქედან ლაზები და რომაელ ჯარისკაცთა რაზმი ჩააყენა, მაგრამ ესენი ცოტა ხნის შემდეგ იძულებული იყვნენ, სურსათის ნაკლებობის გამო, ეს ციხეები დაეტოვებინათ, რადგან ვერ აიტანეს ქვრიმით[13] საზრდოობა დიდი ხნის განმავლობაში: კოლხები ხომ ამით იკვებებოდნენ, რომაელებისთვის კი ეს უჩვეულო იყო; ლაზებმა კი შორი გზიდან ყველა ამ სურსათის მოტანას უკვე ვეღარ გაუძლეს" [BG VIII, 13; გეორგიკა II, 1965: 186]. ლაზიკის ტერიტორიის სიღარიბე რესურსებით ჩანს იმ მონაკვეთში, როდესაც ბიზანტიის ჯარში მომსახურე ვინმე იოანე ლიბიელმა დაიწყო პროდუქტების ყიდვა ლაზიკაში და სატვირთო ხომალდებით გადაზიდვა, აქ მოქმედი ჯარები დიდ გაჭირვებაში ჩავარდნენ - „პირველ საჭიროების საგანთა ნაკლებობა შეექმნათ ჯარებს, ისე რომ ბალახიც კი საყიდელი იყო" [Agathias, IV, 22; გეორგიკა III, 1936: 179]. აგათია სქოლასტიკოსი ერთ მონაკვეთში გადმოგვცემს, როგორ ცუდად იქცეოდნენ ბიზანტიელები, როდესაც ლაშქრობის დროს, ლაზთა სახლებს ძარცვავდნენ „ქვრიმას, ასლისა და სხვა რაღაც საჭმელების" საშოვნელად [Agathias, II, 21; გეორგიკა III, 1936: 35]. თუმცა, ეს ფაქტი არ არის გასაკვირი მოშიმშილე ჯარისგან, რომელსაც სათანადო მომარაგება არ გააჩნია და იძულებული ხდება თვითონ მოიპოვოს სანოვაგე. სპარსელებისთვის, რომელთაც ასევე სურსათის დიდი გაჭირვება ჰქონდათ, დიდი საჩუქარი იყო ბიზანტიელებთან შეტაკების შემდეგ, მათი სურსათ-სანოვაგის ხელში ჩაგდება, რასაც აგათია სქოლასტიკოსი „შემოსავლიან გამარჯვებას" უწოდებს [Agathias, III, 7: გეორგიკა III, 1936: 59].

როგორც ჩანს, შიმშილობა თავად ლაზებისთვისაც უცხო არ იყო, ამიტომ აქ მოლაშქრე თუ გამოზამთრებისთვის დაბანაკებულ არმიებიც ხშირად აწყდებოდნენ ამ პრობლემას. განსაკუთრებით სპარსელები, რომელთაც მტრულ ტერიტორიაზე უხდებოდათ ბრძოლა, ბიზანტიელები და ლაზები კი მოკავშირეები იყვნენ და შესაბამისად, მომარაგების პრობლემა შედარებით ნაკლებად ჰქონდათ. როგორც პროკოპი წერს, შიმშილობა სპარსელებს დიდ ზარალს აყენებდა: „როდესაც ჯარში ჭირი გაჩნდა, მეტი წილი ჯარისა მოისრა; ბევრი მათგანი კი დაიღუპა სურსათის ნაკლებობის გამო" [Anecdota, II; გეორგიკა II, 1965: 224]. სხვა ეპიზოდში ვხედავთ რომ შიმშილობა ომიანობის ჟამს ლაზებსაც აწუხებთ: „გუბაზი მთის წვერზე ავიდა და იქ დაიზამთრა... დანარჩენმა ლაზებმა, გუბაზ მეფის პატივისცემით, ზამთარი აგრეთვე მწვერვალებზე გაატარეს; მტრებისაგან იქ შეწუხება არაფერი განუცდიათ, რადგან თავდამსხმელთათვის

[13] ქვრიმა – ღომისა და ფეტვის მაგვარი მცენარე, რომელსაც საკვებად იყენებდნენ ძველ საქართველოში.

ეს მთები – საზოგადოდ და კერძოდ ზამთარშიაც – მოუხერხებელი და სრულიად მიუვალია, ხოლო შიმშილმა, სიცივემ და სხვა უბედურებამ კი სიკვდილის პირამდე მიიყვანა ისინი" [BG VIII, 16; გეორგიკა II, 1965: 205].

რადგან სურსათის ადგილობრივ პირობებში მომარაგება საკმაოდ რთული იყო, სპარსელები ცდილობდნენ დიდი რაოდენობით შემოეტანათ ისეთი საკვები, რომელიც ხანგრძლივად გაძლებდა და მოემარაგებინათ თავიანთი ლაშქარი. რაც მათ საშუალებას აძლევდა ხანგრძლივი ალყებისთვისაც გაეძლოთ - „რადგან აქ მყოფი (პეტრაში) სპარსელები მამაცად იგერიებდნენ მტერს კედლებიდან, დიდი დრო დასჭირდა გარემოცვას, ვინაიდან სპარსელებს კარგა ბლომად მოემარაგებინათ თავიანთთვის სურსათი" [BP II, 29; გეორგიკა II, 1965: 99]. პროკოპის გადმოცემით, მერმეროემ იმდენი ტომარა სურსათი მიიტანა პეტრასთან, რომ დაცლილ ტომრებში შემდეგ ქვიშა ჩაყარეს და ჩამონგრეულ ადგილებზე დაალაგეს – სახელდახელოდ აღადგინეს კედელი, რის შემდეგაც „სამი ათასი მებრძოლიც გამოარჩია მან და იქ დასტოვა, რომელთაც სურსათი დაუტოვა" [BP II, 30; გეორგიკა II, 1965: 112]. მას შემდეგ, რაც მთელი სურსათი პეტრას გარნიზონს დაუტოვა, მერმეროე იძულებული გახდა ლაზიკა დაეტოვებინა, რადგან აქ სურსათის მოპოვება არ შეეძლო - „არაფერი საჭირო სახსარი აღარ ხვდებოდა, ყველაფერი კი, რაც ჯარმა იბერიიდან მოიტანა, პეტრაში დასტოვა" [BP II, 30; გეორგიკა II, 1965: 112].[14] ლაზიკაში სურსათის მოპოვების პრობლემები ჩანს შემდგომ მონაკვეთშიც: „მერმეროე რომ მთებში მივიდა... ის ეშურებოდა იქიდან პეტრასთვის სურსათი მიეწოდებინა. მისი აზრით, იქაურს, სამიათას კაცისაგან შემდგარ მცველ რაზმს არ ეყოფოდა სურსათი, რომელიც მას ჰქონდა მარაგად. მაგრამ, რადგან ის, რაც მათ გზა-გზა იპოვეს, ძლივს კმაროდა ამ ჯარის გამოსაკვებად, რომელიც სულ ცოტა ოცდაათი ათასი კაცისაგან შედგებოდა, და იქიდან ვერაფერს გაგზავნიდნენ პეტრაში, რომ სათქმელად ღირებოდა, მან (მერმეროემ) მიზანშეწონილად დაინახა მეტი წილი ჯარისაგან გაეყვანა კოლხიდიდან და მცირეოდენნი დაეტოვებინა იქ, რომლებიც იმ სურსათიდან რომელსაც იშოვიდნენ, მეტნაწილს პეტრას სიმაგრეში მიაწოდებდნენ, დანარჩენს კი თვითონ მოიხმარდნენ. მან გამოარჩია და დატოვა იქ ხუთი ათასი კაცი, რომელთა სათავეშიც დააყენა ფავრიზი და სამი სხვა სარდალი. მისი აზრით, საჭირო არ იყო იქ მეტის დატოვება, რადგან მტერი არსად არ ჩანდა. თვითონ კი დანარჩენი ჯარით მივიდა პერსარმენიაში და დაისვენა დვინის მახლობელ სოფლებში" [BP II, 30; გეორგიკა III, 1936: 114-115]. როგორც ვხედავთ, მრავალრიცხოვან არმიას, ფაქტობრივად, არ შეეძლო მოქმედება ლაზიკაში,

[14] „როგორც ნადავლი, თითოეულ ჯარისკაცს ხუთი კაცის საჭურველი შეხვდა, თუმცა აკროპოლისზეც ბევრი იარაღი აღმოჩნდა დამწვარი. უამრავი აღმოჩნდა ქ პური, დამარილებული ხორცი და სხვა სურსათიც: ალყამეშორტყმულთ ის ხუთი წლის განმავლობაში ეყოფოდათ. ხოლო ღვინო სპარსელებს იქ არ მოუმარაგებიათ: მხოლოდ მკაცე ღვინო და ლობიო, საკმაო რაოდენობით, მოემარაგებინათ. როდესაც რომაელებმა აქ წყალსადენიდან გამომდინარე წყალიც იპოვეს, დიდ გაკვირვებას მიეცნენ" [BG VIII. 12; გეორგიკა II, 1965: 178].

ვინაიდან, ადგილობრივ პირობებში ვერ მოიპოვებდა საკვებს, წაღებით კი, ხანგრძლივი კამპანიისთვის სამყოფ სურსათს ვერ წაიღებდნენ. ბიზანტიელებს ამ მხრივ დიდი უპირატესობა ჰქონდათ. შავ ზღვას და ლაზიკის სამხრეთ საზღვრებს ისინი აკონტროლებდნენ: „ხოსრო იმ აზრს დაადგა, რომ ის ვერ შესძლებდა კოლხიდაში ფეხის მოკიდებას რომაელების წინააღმდეგ, რომელთაც აქ ეპყრათ ზღვის სანაპირო ადგილები და აქედან შეეძლოთ დაუბრკოლებლივ მიეწოდებინათ ჯარისათვის ყველაფერი, რასაც ის საჭიროებდა, თვითონ კი იძულებული იყო შორი და უდაბური გზით ეზიდა ბანაკად გაშლილი ჯარებისათვის მცირეოდენი სურსათიც კი — ისიც დიდის გაჭირვებით — მებარგული კაცებისა და საკიდარი ცხოველების საშუალებით. ყველაფერი ეს რომ გაითვალისწინა, გადაწყვიტა ომი გადაედო, რათა ზავი მეტწილად იმ ზოგიერთი ადგილებით არ შემოფარგლულიყო და ამრიგად ის უსრული და ასე ვთქვათ, დაკოჭლებული კი არ გამოსულიყო, არამედ ყველა ადგილებზე გავრცელებულიყო" [Agathias, IV, 22; გეორგიკა III, 1936: 180].

როგორც ვხედავთ, ლაზიკის ლანდშაფტის, სივრცისა და რესურსების შეფასებასა და მასშტაბური ომის საფუძველზე განხილვას მრავალი საინტერესო დეტალი შეუძლია მოგვცეს გვიან ანტიკური სამხედრო ისტორიის; ამ პერიოდის ბიზანტიის, სასანური სპარსეთისა და კავკასიის შესწავლისათვის. მთლიანობაში, ეს მნიშვნელოვანია ისტორიული გეოგრაფიის, ეკონომიკის, ეპოქის საზოგადოებების შესასწავლადაც, ვინაიდან, სამხედრო ისტორიას მრავალმხრივი კვლევა სჭირდება. მოცემული ნაშრომი მხოლოდ საწყის ეტაპს წარმოადგენს და შემდგომში კიდევ მრავალი მასალით შეივსება, თანადროული წყაროებისა შესწავლისა და ახალი კვლევების საფუძველზე.

ლიტერატურა:

1. ბრაუნდი დევიდ. 2014. *საქართველო ანტიკურ ხანაში*. ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. გამყრელიძე გელა. 1993. *ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი*. თბილისი: მეცნიერება.
3. გამყრელიძე გელა. 2005. *ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები*. თბილისი: არტანუჯი.
4. გეორგიკა II. 1965. გეორგიკა II. ტექსტები ქართ. თარგმ. გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი: საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
5. გეორგიკა III. 1936. გეორგიკა III. ტექსტები ქართ. თარგმ. გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი: საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
6. მურღულია ნიკოლოზ. 2012. *ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI*

საუკუნეებში. სადოქტორო ნაშრომი არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. საქართველოს თბილისი: საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი.

7. სუნ ძი. 2007. *ომის ხელოვნება*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
8. Хэлдон Джон. 2007. История Византийских Войн. Москва: Вече.
9. Сойер Ральф Д. 2008. Бай чжань ци люэ. Сто неканонических стратегий. Сражения и тактика в военном деле Древнего Китая. Санкт-Петербург: Евразия.

NIKA KHOPERIA
Ilia State University

LAZIC WAR – LANDSCAPE, SPACE, RESOURCES

Summary

"The Lazic War: Landscape, Space, Resources" explores the military and socio-economic history of Caucasia, Near East and the Byzantine Empire in late antiquity and early medieval periods. This study will examine geography and environment of the Lazic Kingdom based on an in-depth and comparative analysis of contemporary and period sources. It will demonstrate how natural environment of Western Georgia has changed since the Lazic War and how conducive natural conditions could have been to large-scale military operations. This thesis will provide insights into military resources the warring sides had utilized, where they were acquired and how they were transported; what lines of communication the warring sides relied upon and how large their armies could have been considering natural constraints of Lazica; what fortresses and towns were crucial to each side and how they were defended, supplied and maintained. This study will also examine how terrain and natural environment had impacted military tactics and strategy and how they shaped military objectives that belligerent sides had set and pursued. This research will contribute greatly to the advancement of the field of military history in Georgia. It will open fresh venues of research and encourage other historians, by utilizing similar approaches and methods, to re-examine other military conflicts in the history of Georgia.

ეკა ჭყოიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი ერთი ბიზანტიური ფექსტის მიხედვით

ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულება იმ საკითხების რიცხვს განეკუთვნება, რომელთა ირგვლივ ქრისტიანობის ჩასახვიდან დღემდე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს და მწვავე კამათი მიმდინარეობს. ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა წყაროთა სიმრავლე და გეოგრაფიული არეალის სიდიდეც იყოს, რაც ამ საკითხის ამოწურვას პრაქტიკულად გამორიცხავს. ამიტომ განსახილველ პირველწყაროდ ერთი კონკრეტული ტექსტი ავირჩიეთ. ანონიმი ავტორის „პატრიარქ ექვთიმეს ცხოვრება" უნიკალურია ბევრი მიზეზის გამო [Каждан, 1959:9]. ერთ-ერთი ის არის, რომ მისი მთავარი პერსონაჟი წმინდანად არასდროს შერაცხილა. მიუხედავად იმისა, რომ ექვთიმე არც ასკეტიზმში „მოიკოჭლებდა", არც გავლენა და ავტორიტეტი აკლდა, კონსტანტინოპოლის ეკლესიამ რატომღაც წმინდანად არასდროს შერაცხა. საკითხი კიდევ უფრო უცნაური ხდება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მისთვის მიძღვნილი საკმაოდ ვრცელი „ცხოვრება" მისი გარდაცვალებიდან მალევე დაიწერა. შესაბამისად, ყველა წინაპირობა არსებობდა მის წმინდანად შესარაცხად, მაგრამ ძნელია გაირკვეს (განისაზღვროს), თუ რატომ არ/ვერ მოხდა მისი კანონიზება.

„პატრიარქ ექვთიმეს ცხოვრებაში" ბიზანტიის იმპერატორ ლეონ მეექვსე ბრძენის (886-912) მეფობის დროს მომხდარი ამბებია მოთხრობილი. ეს იმ პერიოდზე (ანუ ბიზანტიის თითქმის 30-წლიან მონაკვეთზე) საუკეთესო წყაროდ ითვლება [Αλεξάκης, 2006: 14]. შეიცავს პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის ამსახველ მასალას IX-X საუკუნეებში, რის შესახებაც სხვა წყაროთა ცნობები ერთობ მწირია. სპეციფიკური შინაარსიდან გამომდინარე, ზოგიერთი მკვლევარი ამ ტექსტს „ცხოვრებად" არ განიხილავდა და მას „პსამაფიის ქრონიკად" იხსენიებდა[1]. ფსამაფია ის მონასტერია, რომელიც ლეონ ბრძენმა ექვთიმესთვის, ანუ თავის მოძღვრისთვის ააშენა და ექვთიმემ იქ რამდენიმე წელი გაატარა. მისი მდებარეობა ცნობილია (კონსტანტინოპოლის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა, სტუდიელთა მონასტერთან ახლოს, კონსტანტინესა

[1] ცნობილმა ბიზანტინოლოგმა ა. კაჟდანმა ეს წყარო სწორედ ამ სახელწოდებით თარგმნა რუსულად და გამოსცა შენიშვნებითურთ 1959 წ. მოსკოვში (იხილე დამოწმებული ლიტერატურა).

და თეოდოსის კედლებს შორის). მისი მშენებლობა სავარაუდოდ 889 წელს დაიწყო და აღნიშნულ ტექსტში დეტალურად არის აღწერილი [Αλεξάκης, 2006: 68-69, შენ. 43].

„ექვთიმეს ცხოვრების" ავტორის ვინაობის გარკვევა (განსაზღვრა) ჭირს, მაგრამ ტექსტიდან ნათელია, რომ ის მთავარ პერსონაჟს საკმაოდ ახლოს იცნობდა და თავის მიერ აღწერილი ბევრი მოვლენის თვითმხილველი იყო [Karlin-Hayter, 1970: 57]. ტექსტი დაახლოებით 920-950 წლებშია დაწერილი [Каждан, 1959: 14], ან 920-925 წწ. [Karlin-Hayter, 1970: 10], ანუ ექვთიმეს გარდაცვალებიდან (917 წ.) მალევე. „ექვთიმეს ცხოვრებას" შეიცავს მხოლოდ ერთი ხელნაწერი, რომელიც ამ მონასტერში აღმოჩნდა. ამიტომ უწოდებენ ფსამაფიის ქრონიკასაც. ხელნაწერი საკმაოდ ნაკლულია და მთელი რიგი მონაკვეთები (ფურცლები) დაკარგულია. თვითონ ხელნაწერსაც საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს [Αλεξάκης, 2006: 13].

პატრიარქი ექვთიმე კონსტანტინეპოლის ეკლესიის საჭეთმპყრობელი სულ რაღაც ხუთი წელი იყო (907-912). ის ბიზანტიის იმპერატორის, ზემოხსენიებული ლეონის, მოძღვარი გახლდათ. აქედან გამომდინარე, მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა საიმპერატორო კართან და იმ პერიოდის მმართველ პოლიტიკურ ელიტასთან. შესაბამისად, „პატრიარქ ექვთიმეს ცხოვრება" დეტალურად ასახავს ბიზანტიის სამეფო კარზე მომხდარ ყველა ინტრიგასა თუ დაძაბულობას. ცოცხალი დიალოგები და თხრობის თანმიმდევრულობა ტექსტის უდავოდ ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა.

ექვთიმე, როგორც იმპერატორის სულიერი მამა, ფართოდ იყენებდა ამ პრივილეგიას. ის აქტიურ მიმოწერას აწარმოებდა იმ პერიოდის პოლიტიკურ ელიტასთან (ტექსტში არაერთხელ საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ის წერილებს თავისი ხელით წერდა. ამის გამოსახატავად ნახმარია სიტყვა თვით-ნაწერი, თავისით დაწერილი οἰκειογράφως [მაგალითისთვის იხ. Αλεξάκης, 2006: 44.11]. ამ წერილებით ის წარმატებით შუამდგომლობდა და არიგებდა ხალხს იმპერატორთან. აშკარაა, რომ აქ საუბარია იმპერატორსა და პოლიტიკური ელიტის ზოგიერთ წარმომადგენელზე. ექვთიმეს არაერთხელ უშუამდგომლია მათთვის. ის ამას ხალისით აკეთებდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხედავდა, რომ ადამიანები აშკარად უსამართლობის მსხვერპლნი იყვნენ. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ, როცა ვსაუბრობთ „სახელმწიფოზე", ვგულისხმობთ არა მხოლოდ იმპერატორს, არამედ მაღალჩინოსნებსაც. ცხადია, მათგან ზოგიერთი გამოირჩეოდა ეკლესიისა და მისი წარმომადგენლების მიმართ განსაკუთრებული პატივისცემით და ზოგიერთი - არა. შესაბამისად, ბუნებრივია, სახელმწიფოს დამოკიდებულება ამ კონკრეტული ინსტიტუციისადმი არაერთგვაროვანი იყო, რაც ჩვენ მიერ არჩეულ ტექსტში საკმაოდ მძაფრად შეინიშნება.

„ცხოვრებიდან" ნათელია, რომ ექვთიმეს დიდი ზეგავლენა ჰქონდა იმპერატორზე; ეს ბევრმა უწყოდა და ცდილობდა მისი ავტორიტეტის პირადი

ინტერესებისთვის გამოყენებას. ბუნებრივია, ბერის ასეთი მოძღიერება სამეფო კარზე ბევრის უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ტექსტში არაერთი ასეთი პირია მოხსენიებული, რომლებსაც იმპერიაში უმნიშვნელოვანესი თანამდებობები ეჭირათ. ავტორის მოწმობით, მათ არ სიამოვნებდათ, რომ ექვთიმეს იმპერატორი თავისი ზეგავლენის ქვეშ ჰყავდა მოქცეული. მათ დაპირისპირებაზე ტექსტში არაერთხელაა საუბარი, მაგრამ ამ თემას საგანგებოდ ეძღვნება მესამე თავი. სინამდვილეში, რა იყო მიზეზი ექვთიმესა (ანუ ღვთის კაცის, ეკლესიის წარმომადგენლის) და გავლენიანი პოლიტიკოსების დაპირისპირებისა, ამის დადგენა ტექსტიდან ჭირს. მართალია, ავტორი ძალისხმევას არ იშურებს ეს პოლიტიკოსები, რაც შეიძლება, უარყოფით პიროვნებებად წარმოაჩინოს, მაგრამ აშკარაა, რომ მათ შორის კონფლიქტი უფრო გავლენის გადანაწილებისთვის ბრძოლის შედეგია, ვიდრე – პიროვნული თვისებებით გამოწვეული უკმაყოფილებისა.

„პატრიარქ ექვთიმეს ცხოვრება" განსაკუთრებით საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის, თუ როდის არის ეკლესია-სახელმწიფოს შორის ურთიერთობა იდეალური და ჰარმონიული, და როდის და რა მიზეზებით იძაბება ის; აგრეთვე წარმოგვიდგენს ექვთიმე, როგორც იმპერატორის მოძღვარი და ამ შემთხვევაში, ეკლესიის წარმომადგენელი რატომ, როგორ და როდის ერევა სასახლის შიგნით მიმდინარე პროცესებში. ტექსტის მიხედვით ასევე იკვეთება, რომ ბიზანტიის ხელისუფლების ზოგიერთი მაღალჩინოსნის დამოკიდებულება ბერ-მონაზვნებისადმი არაერთგვაროვანია. გარდა ამისა, თვალში საცემია და გასაოცარი ექვთიმეს, როგორც ეკლესიის წარმომადგენლის, საკმაოდ ლოიალური დამოკიდებულება იმპერატორის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ლეონმა, როგორც იმპერატორმა, ბევრი რამით დაამახსოვრა თავი თანამედროვეებს. შესაშური განათლების მქონე [Ostrogorsky, 1968: 242], მჭევრმეტყველებითაც გამოირჩეოდა. ის ფრიად ნაყოფიერი მწერალიც იყო [Browning, 1992: 123]; (ლეონის ნაშრომების მიმოხილვა მოკლედ [Ostrogorsky, 1968: 242; გაბიძაშვილი, 2007: 505]). სწორედ ამ ნაწერებმა დაუმკვიდრა მას სავარაუდოდ სიცოცხლეში მეტსახელი „ბრძენი" [Ostrogorsky, 1968: 242]. ჰქონდა საკმაოდ კონტრუქციული მოსაზრებები იმპერიის ადმინისტრაციულ მმართველობასთან დაკავშირებით. იუსტინიანეს შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურად ითვლება იმპერიის ისტორიაში საკანონმდებლო სფეროში [Ostrogorsky, 1968: 242]. მაგრამ იყო აბსოლუტურად გულგრილი საგარეო პოლიტიკისა [Ostrogorsky, 1968: 255] და სამხედრო საქმეების მიმართ [Browning, 1992: 123]. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ის ნამდვილად შეგვიძლია მივიჩნიოთ როგორც იმპერიის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერ მმართველად. თუმცაღა სწორედ მისი პირადი ცხოვრება გახდა მიზეზი საუკუნის სკანდალისა და ეკლესია-სახელმწიფოს

ურთიერთობაში საკმაოდ დიდი უთანხმოების გაჩენისა. საუბარია ეგრეთ წოდებულ „მეოთხე ქორწინებაზე" (სპეციალური ტერმინიც დამკვიდრდა ისტორიაში, ტეტრაგამია/ტეტარტოგამია (τετραγαμία/τεταρτογαμία, ნიშნავს: ოთხ ქორწინებას / მეოთხედ ქორწინებას). ამის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ლეონმა სამჯერ იქორწინა, მაგრამ ვერც ერთის მეშვეობით ვერ შეძლო მემკვიდრე ჰყოლოდა. არათუ მეოთხე, მესამე ქორწინებაც ეწინააღმდეგებოდა როგორც საეკლესიო, ასევე სამოქალაქო კანონებს. ამიტომ ლეონმა სპეციალური ცვლილებები შეიტანა არსებულ კანონმდებლობაში, რომ რამენაირად მესამე ქორწინება გაემართლებინა [Browning, 1992: 128].

ლეონის პირველი მეუღლე თეოფანო ქორწინებიდან მალევე გარდაიცვალა, 897 წლის 10 ნოემბერს. ლეონს მასთან გოგონა შეეძინა, ევდოკია, რომელიც მცირეწლოვანი გარდაიცვალა 895 ან 896 წელს [Αλεξάκης, 2006: 87, შენ. 55]. განსაკუთრებული ასკეტიზმისა და მორწმუნეობის გამო თეოფანო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანადაც კი არის შერაცხილი [Ostrogorsky, 1968: 259]. მისი გარდაცვალებიდან მალევე, 898 წელს, ლეონმა იქორწინა ზოიაზე, სტილიანოს ზაუტცასის ასულზე, რომელიც მანამდე მისი ხარჭა იყო. ისიც მალევე, 899 წელს, გარდაიცვალა ისე, რომ მემკვიდრე არ დაუტოვებია. სულ რაღაც ერთ წელიწადში, ანუ 900 წელს, ლეონმა ისევ იქორწინა ფრიგიელ ევდოკიაზე. არც მეტი, არც ნაკლები მესამე მეუღლეც ლეონს სულ რაღაც ერთ წელიწადში გარდაეცვალა, 901 წლის 12 აპრილს. იმპერატორმა უმალ დაიწყო ნიადაგის მომზადება მეოთხე ქორწინებისთვის და ამჯერად მისი რჩეული ზოია კარბონოპსინა იყო [Ostrogorsky, 1968: 259-260]. ცხადია, მის განზრახვას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა არა მხოლოდ საეკლესიო წრეებში, არამედ - საეროებშიც. მაგრამ სიტუაცია კიდევ უფრო გაურკვეველი გახდა 905 წელს, როცა მისმა ხარჭა ზოიამ ლეონს, როგორც იქნა, ვაჟი, ანუ მემკვიდრე უშვა. ჩვილი 906 წლის ნათლისღებას (6 იანვარს) კონსტანტინეს სახელით[2] მონათლა თვით კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ნიკოლოზ მისტიკოსმა (901-907 წწ.) იმ პირობით, რომ ლეონი ზოიას დაშორდებოდა [Ostrogorsky, 1968: 260]. ამის ნაცვლად ლეონმა სასწრაფოდ, სულ რამდენსამე დღეში, იქორწინა მასზე, რათა თავისი ერთადერთი მემკვიდრისთვის უკანონო შვილის სტიგმა აეშორებინა. ეს მისი მეოთხე ქორწინება იყო. ამ გაუგონარ და უპრეცედენტო საქციელს ეკლესია ვერაფრით შეურიგდებოდა. პატრიარქი ნიკოლოზი მძაფრ ნაბიჯებსაც არ მოერიდა. მან იმპერატორი ლეონი რამდენჯერმე არ შეუშვა ტაძარში (იგულისხმება აია სოფია და დიდი დღესასწაულები, როგორებიცაა: აღდგომა, სულთმოფენობა და ა.შ.). სერიოზულ კონფლიქტში გადაზრდილი ეს უთანხმოება დამთავრდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის, ნიკოლოზ მისტიკოსის,

[2] შემდგომში ბიზანტიის იმპერატორი - კონსტანტინე VII პორფიროგენეტი (913-959).

ამ პოსტიდან ჩამოშორებით. ამგვარად, 907 წელს კონსტანტინეპოლს ახალი პატრიარქი ჰყავდა, ჩვენ მიერ არჩეული „ცხოვრების" მთავარი პერსონაჟი - ექვთიმე. ეს უკანასკნელი ცნობილია, რომ ლეონისა და ზოიას ურთიერთობას საკმაოდ ლოიალურად უყურებდა და „მეოთხე ქორწინების" შესახებ გამართული კამათის დროს მან ღიად და დაუფარავად დაიცვა იმპერატორი. იგივე განწყობა იგრძნობა „ექვთიმეს ცხოვრებაშიც". მისი ანონიმი ავტორი ძალიან იშვიათად კიცხავს იმპერატორს და მისი შეცოდებებისთვის პასუხისმგებლობას მის მრჩეველს, სტილიანოს ზაუტცასს, აკისრებს. ეს სტილიანოსი ლეონის ყოფილი სიმამრი იყო, მისი მეორე მეუღლის მამა. ამ უკანასკნელის მიმართ ავტორი დაუფარავ ანტიპათიას გამოხატავს. ამის მიზეზი ისაა, რომ „ცხოვრების" ავტორი ექვთიმეს უახლოესი გარემოცვის წარმომადგენელია. შესაბამისად, ბუნებრივია, ის მტრულად იქნებოდა განწყობილი თავისი მოძღვრის მტრების - ზემოაღნიშნული სტილიანოს ზაუტცისა და ყოფილ პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის - მიმართ.

სტილიანოსის მზარდი და ანგარიშგასაწევი მოძლიერება [Ostrogorsky, 1968: 250] საიმპერატორო კარზე შეიძლება სწორედ მისმა იმპერატორთან ყოფილმა სიმამრობამ განაპირობა. სტილიანოსი ბასილეოპატორის/ბასილოპატორის (βασιλεοπάτωρ/βασιλοπάτωρ) ტიტულით სარგებლობდა, რაც, ერთ-ერთი მოსაზრებით, საგანგებოდ მისთვის შეიქმნა [Ostrogorsky, 1968: 242], ან ამას არავითარი კავშირი არ ჰქონდა მის სიმამრობასთან და იყო უბრალოდ პოლიტიკური ტიტული [Karlin-Hayter, 1970: 160]. სტილიანოსისა და ექვთიმეს დაპირისპირებაზე ტექსტში არაერთხელაა საუბარი, მაგრამ ამ თემას საგანგებოდ ეძღვნება „ცხოვრების" მესამე თავი. სინამდვილეში, რა იყო ექვთიმეს (ანუ ღვთის კაცის) და სტილიანოსს (ანუ გავლენიანი თანამდებობის პირს) შორის კონფლიქტის მიზეზი, ტექსტიდან ამის დადგენა ჭირს. სტილიანოსი უდავოდ ლეონის შემდეგ ყველაზე გავლენიანი პირი ჩანდა იმპერიაში. მის ხელში იყო „სამეფოს მმართველობის ზედამხედველობა და ზრუნვა" (τῇ βασιλείᾳ διοικήσεων τὴν ἐπιστασίαν καὶ φροντίδα)[3] [Αλεξάκης, 2006: 32. 4-5]. მართალია, ავტორი ძალისხმევას არ იშურებს ზაუტცასი რაც შეიძლება უარყოფით პიროვნებად წარმოაჩინოს, მაგრამ აშკარაა, რომ მათ შორის კონფლიქტი უფრო გავლენის გადანაწილებითვის ბრძოლის შედეგია, ვიდრე — პიროვნული თვისებებით გამოწვეული უკმაყოფილებისა, თუმცაღა უამისობაც არ იყო. როგორც ჩანს, ზაუტცასის მოწინააღმდეგეებიც მოქნილად იყენებდნენ ექვთიმეს გავლენას და აქტიურად აგულიანებდნენ მის წინააღმდეგ. სიტუაცია განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, როცა ექვთიმემ საგანგებო ეპისტოლე მისწერა იმპერატორს,

[3] ანონიმი ავტორის „პატრიარქ ექვთიმეს ცხოვრებას" ყველგან დავიმოწმებთ ამ ტექსტის ბოლო გამოცემიდან (*Αλεξάκης Αλέξανδρος. 2006. Γάμοι, κηδείες και αυτοκρατορικές μεταμέλειες (Ο Βίος του Πατριάρχη Ευθυμίου υπό ανώνυμου μοναχού), Αθήνα: Εκδόσεις Κανάκη*) და გვერდთან ერთად მივუთითებთ შესაბამისი ციტატის ბჭკარედსაც.

რომელშიც სტილიანოსი უსამართლობაში ამხილა. თავის მხრივ, ცხადია, არც სტილიანოს ზაუტცასი იყო ანგელოზი; მან არაერთი ადამიანი მოიმდურა გადასახლების, ქონების კონფისკაციის და არცთუ იშვიათად ძალით ბერად აღკვეცის გამო[4] [Αλεξάκης, 2006: 42. 8-10]. ლეონმა მოიხმო თავისი ქვეშევრდომი, მას წერილი ხმამაღლა წაუკითხა და ურჩია წასულიყო და თავად ექვთიმესთან ემართლებინა თავი. ის ასეც მოიქცა. ამ ეპიზოდში საკმაოდ საინტერესოა ექვთიმესა და ზაუტცასის საუბარი. ეს საუბარი აშკარად გამოხატავს ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის იდეოლოგიურ დაპირისპირებას. არც ის არის შემთხვევითი, რომ სტილიანოსი აქ იყენებს ნაცვალსახელ „ჩვენ"-ს ხელისუფლების წარმომადგენელთა (ან უბრალოდ „საერო პირთა") სინონიმად და „თქვენ"-ს – ბერ-მონაზვნების. ამ მონაკვეთში სტილიანოსი ასეთ ზოგად ბრალდებას უყენებს ექვთიმეს: „თქვენ, ბერები, უსაქმურები ხართ და ჩვენი ცილისწამებისა და დაწყევლის მეტს სხვას არაფერს აკეთებთ" [Αλεξάκης, 2006: 46.28-32]. ფაქტია, რომ ზაუტცასის გულისწყრომა მარტო ექვთიმეს საქციელით არ არის გამოწვეული. მას აშკარად აღიზიანებენ ბერ-მონაზვნები და ის თავის განწყობას არათუ არ მალავს, მათთან ღია დაპირისპირებასაც არ უფრთხის. ზაუტცასი ექვთიმეს საყვედურობს სახელწიფოს საქმეებში ჩარევას, არ ერიდება მიანიშნოს რამდენჯერმე, რომ ბერს ამ სფეროში აკლია გამოცდილება და ცოდნა (ἐμπειρίαν καὶ γνῶσιν) [Αλεξάκης, 2006: 47.13], რის გამოც უნდა მოერიდოს ასე ღიად თავისი პოზიციის დაფიქსირებას. თავად ექვთიმე ზაუტცასს სამღვდელო პირების დევნაში ადანაშაულებს, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს: აშკარაა, რომ ზაუტცასს ეკლესიის სხვა წარმომადგენლებთანაც დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. ამ შეხვედრაზე თავის მხრივ არც ექვთიმე რჩება სტილიანოსს ვალში და მის მოგერიებას ორი მექანიზმის გამოყენებით ახერხებს: შანტაჟით (ემუქრება, რომ ის მის მთავრობისმოყვარეობას საჯაროდ ამხელს) და დაშინებით („ღმერთი შენ და შენს მოდგმას გაანადგურებს" [Αλεξάκης, 2006: 48.13-14]). ამ შეხვედრის შემდეგ სტილიანოსი აშკარად დამარცხებულად გრძნობს თავს. როცა ის იმპერატორთან თავის გულისწყრომას გამოხატავს, თუ რატომ აძლევს იგი ექვთიმეს ამდენ უფლებას, ერთი საგულისხმო მომენტია ხაზგასასმელი: ლეონი მას უხსნის, თუ რატომ მიაჩნია ბერი წმინდანად და აქ აქცენტს ორ გარემოებაზე აკეთებს: ექვთიმეს მკაცრ ასკეტიზმსა (რაზეც ავტორი ტექსტში არაერთ ინფორმაციას გვაწვდის, მაგ., თუ რა მკაცრად იკვებებოდა ის და ა.შ.) და წინასწარმეტყველების უნარზე. ლეონს ექვთიმესთან ღრმა პატივისცემა და მოწიწება აკავშირებს. ეს ტექსტში არაერთხელაა ხაზგასმული. მაგალითად, ლეონი ექვთიმეს, როგორც „შვილი მამას მადლიერებით ემორჩილებოდა" [Αλεξάκης, 2006: 40.10-11]). თუმცა „ცხოვრებაში" აქა-იქ იმპერატორის თავისი მოძღვრისადმი ერთგვარი შიშიც

[4] ძალით ბერად აღკვეცისა და მონასტერში გამოკეტვის ფაქტზე იხ. Αλεξάκης, 2006: 75, შენ. 49.

გამოკრთის: ექვთიმეს ნათქვამი ყველაფერი ამხდარა და თითქოს ამის გამოც ემორჩილება თვალდახუჭული [Αλεξάκης, 2006: 10-22].

აღსანიშნავია, რომ, როცა ექვთიმე სხვადასხვა მიზეზის გამო განაწყენებულია ხელისუფლებაზე, ის თავის პროტესტს ასე გამოხატავს: სასახლეში არ მიდის; უგულვებელყოფს ხელისუფალთა დაჟინებულ მიპატიჟებას და მხოლოდ მაშინ „ნებდება" მათ, როცა სასახლეში მორალური საკითხებია მოსაგვარებელი (მაგალითად, იმპერატორისა და მისი მეუღლის დაპირისპირება). თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ის ასეთ საკითხებში ძალიან ლოიალურია ერთი გამონაკლისის გარდა. ლეონის პირველი მეუღლის, თეოფანოს სიცოცხლეში, რომლის მიმართაც ექვთიმე და მთელი მაშინდელი სამღვდელოება დიდი სიმპათიით იყო განწყობილი, ლეონმა ფარულად ინტიმური კავშირი დაამყარა სტილიანოსის შვილთან, ზოიასთან. ამ ქალისადმი ექვთიმეს განსაკუთრებული ანტიპათია ტექსტში არაერთხელ არის ხაზგასმული. გადაჭრით ძნელი სათქმელია, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს მარტო მრუშობით არ იყო ნაკარნახევი. ექვთიმეს დამოკიდებულებას უდავოდ ამძაფრებდა ის ფაქტი, რომ იმპერატორის მრუშობის „გამომწვევი მიზეზი" მისი დაუძინებელი მტრის შვილი იყო. „ცხოვრების" მე-8 თავი საგანგებოდ არის მიძღვნილი ამ საკითხისადმი და შემდეგი სათაური აქვს: „ზაუტცას ასულის, ზოიას, შესახებ და ყველაფერ იმაზე, რაც მამამისს მისი მიზეზით შეემთხვა" [Αλεξάκης, 2006: 96. 10-11]. ზოიასადმი უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, ექვთიმემ დიდი თანაგრძნობით მოისმინა იმპერატორის წუხილი სასიყვარულო გრძნობების შესახებ. ლეონმა ხაზგასმით აღნიშნა შემდეგი: ყველამ უწყის, რომ თეოფანო მამაჩემის[5] მიმართ შიშმა შემართვევინა ცოლად ჩემი ნების საწინააღმდეგოდ. მასთან ქორწინებამ ძალიან უბედური გამხადა [Αλεξάκης, 2006: 88.10-13]. საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ექვთიმე არც ერთ შემთხვევაში მხარს არ უჭერდა იმპერატორის მრუშობას, მით უფრო, ასე საძულველი სტილიანოსის ქალიშვილთან, მაგრამ მართლა განსაცვიფრებელია, როგორი თანაგრძნობით ისმენს თავისი სულიერი შვილის გრძნობების ამბავს. როცა ლეონის პირველი ცოლი, თეოფანო, მონაზვნად წასვლას გადაწყვეტს, ექვთიმე სასახლეში მიდის: ჯერ თეოფანოს გაესაუბრება, ცდილობს აზრი შეაცვლევინოს, მერე ლეონს ესაუბრება, მერე – ისევ თეოფანოს. ჩანს, მოძღვარმა მიზანს მიაღწია და ამ მონაკვეთში განსაკუთრებით აშკარაა მისი ავტორიტეტი, მაგრამ თეოფანოს აღარ ეწერა დიდი ხნის სიცოცხლე.

ტექსტის მიხედვით იკვეთება, რომ ბიზანტიურ სინამდვილეში სახელმწიფო-ეკლესიას შორის იდეალური დამოკიდებულება სუფევდა, როცა პირველი (სახელმწიფო) ახალი მონასტრის დაარსებას უდებდა სათავეს. ასეთ შემ-

[5]ბიზანტიის იმპერატორი ბასილი პირველი (867-886) იგულისხმება. ბასილსა და ლეონს არ ჰქონდა კარგი ურთიერთობა უამრავი მიზეზის გამო.

თხვევაში აშკარად იგრძნობა, რომ ეკლესია სახელმწიფოს მორჩილია. ამის საილუსტრაციოდ „ცხოვრების" მე-5 და მე-6 თავი გამოდგება, რომლებშიც მოთხრობილია ახალი მონასტრის დაარსებისა და საზეიმოდ გახსნის დეტალები [Αλεξάκης, 2006: 66-85]. მონასტრის მდებარეობის არჩევისას ექვთიმე იმპერატორის შემოთავაზებას ანიჭებს უპირატესობას და ასეთ სიტყვებს ეუბნება მას: „მე ის უფრო მესათნოება, რაც ღმერთმა ჩაგიდო გულში" [Αλεξάκης, 2006: 68.9]. როცა ვსაუბრობთ სახელმწიფო-ეკლესიას შორის ჰარმონიულ ურთიერთობაზე, „ცხოვრების" ერთი მონაკვეთი განსაკუთრებით საგულისხმო დასკვნების შესაძლებლობას იძლევა. სტილიანოს ზაუტცასი და ექვთიმე ერთმანეთისადმი საკმაოდ მტრულად იყვნენ განწყობილნი, თუმცა რაღაც მომენტში მათ შორის უცნაური სიმშვიდემ დაისადგურა. როცა ლეონის პირველი მეუღლე გარდაიცვალა და სტილიანოსის შვილს, ზოიას, უკვე საფუძვლიანი იმედი ჰქონდა იმპერატორის თანამეცხედრის ადგილი ოფიციალურადაც დაეჭირა, სტილიანოსი მიხვდა, რომ ასეთ სიტუაციაში მას ეკლესიის მხარდაჭერა დასჭირდებოდა და აშკარა კომპრომისი უკვე გარდაუვალი აუცილებლობა იყო. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ის ფაქტი, რომ ზაუტცასმა ექვთიმეს საჯაროდ პატიება სთხოვა და ყველაფრის გამოსწორებას დაჰპირდა. „ამის შემდეგ (სტილიანოსი) იმპერატორთან ყოველთვის ქებით საუბრობდა ექვთიმეს შესახებ" [Αλεξάκης, 2006: 56].

ყველა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: 1. ექვთიმე, როგორც იმპერატორის მოძღვარი, იძულებული იყო თავის მოწინააღმდეგეებს დაჰპირისპირებოდა და სასახლის შიგნით მიმდინარე პროცესებში აქტიურად ჩაერთულიყო. აქედან გამომდინარე მას ვერ მივიჩნევთ იმ პერიოდის აბსოლუტურ ავტორიტეტად, რადგან იყვნენ ადამიანები, რომლებიც მის მიმართ დიდ სიმპათიას არ გამოხატავდნენ და ამის ღიად დაფიქსირებას არც ერიდებოდნენ. 2. ბიზანტიაში ხელისუფლების დამოკიდებულება ბერმონაზვნებისადმი იმ პერიოდში (ანუ IX–X სს.) არაერთგვაროვანი ჩანს. სასახლის ზოგიერთი წარმომადგენელი მათ მიმართ აშკარად მტრულად იყო განწყობილი (მიაჩნიათ, რომ უსაქმურები არიან). 3. ექვთიმე, როგორც ღვთისკაცი, ხელისუფალთა ზნეობრივი შეცოდებების მიმართ ძალიან ლოიალურია, თუმცა არ ერიდება იმპერატორის პირად ცხოვრებაში ჩარევას. ის თავის პოზიციას აშკარად აფიქსირებს არა მხოლოდ ლეონის თავის მეუღლეებთან და ხარჭებთან ურთიერთობასთან დაკავშირებით, არამედ იმპერატორის დაპირისპირებაშიც თავის ძმა ალექსანდრესთან. 4. ბიზანტიურ სამყაროში ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთობა იდეალურია, როცა ამ უკანასკნელს მატერიალური დახმარება **ესაჭიროება**, განსაკუთრებით ახალი მონასტრის ასაშენებლად. 5. ტექსტის მიხედვით ნათელია, რომ ეკლესია აკურთხებს იმპერატორის ძალაუფლებას და აღიარებს მის მმართველობას, როგორც ღვთისგან კურთხეულს (ანუ ინსტიტუციურად ერთმნიშვნელოვნად იმპერატორის ხელი–

სუფლებას ამყარებს). 6. კონკრეტული ტექსტიდან, მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორი ექვთიმესადმი, ანუ ეკლესიისადმი დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით არის გამსჭვალული, აშკარაა ეკლესია-სახელმწიფოს შორის დაპირისპირება; მეტიც, ეს იმდენად მძაფრია, რომ ეკლესია რელიგიურ შანტაჟსაც მიმართავს, რათა „თავნება" ხელისუფლების შეტევა მოიგერიოს. ისიც აშკარაა, რომ ამ კონფლიქტთა მთავარი მიზეზი ძალაუფლების გადანაწილებაზე შეუთანხმებლობაა. მაღალჩინოსნებს არ მოსწონთ საკლესიო იერარქიის გავლენა იმპერიის მმართველზე. ეკლესია-სახელმწიფოს შორის ჰარმონიული ურთიერთობა კი ძირითადად განპირობებულია ეკლესიის სახელმწიფოსგან მატერიალური დახმარების მოლოდინით. ასეთ შემთხვევაში ხელისუფლებაც მოგებული რჩებოდა, რადგან ეკლესია მათ ლოცვებში მოხსენიებას უზრუნველყოფდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის დაპირისპირებაც და ჰარმონიაც ორივეს პირადი ინტერესებით იყო ნაკარნახები (ს სპეციფიკით იყო განპირობებული). აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქორწინებასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად ხელისუფლება ყოველთვის ცდილობდა ეკლესიის კეთილგანწყობის მოპოვებას. ეს ჩანს იმ მონაკვეთიდანაც, როცა ლეონის პირველი ცოლი გარდაიცვალა. იმისათვის, რომ იმპერატორს სტილიანოსის შვილი, ზოია, შეერთო ცოლად, ზაუტცასმა პირადი წყენა დაივიწყა და ყველაფერი გააკეთა, ექვთიმე თავის მოკავშირედ ჰყოლოდა. მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ ჩვენ მიერ განხილული ტექსტი გასათვალისწინებელია ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის შესასწავლად, განსაკუთრებით IX-X სს-ში. ეს პროცესები უძღოდა და ერთგვარი განმაპირობებელი ფაქტორიც გახდა (განსაკუთრებით პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის გადაყენება და ლეონის მეოთხე ქორწინების ლეგიტიმაცია) შემდგომში რომისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოებს შორის დაპირისპირების გამძაფრებისა, მაგრამ ეს ცალკე კვლევის თემაა და ამაზე ამ სტატიაში ყურადღების გამახვილება მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ.

ლიტერატურა:

1. Αλεξάκης Αλέξανδρος. 2006. Γάμοι, κηδείες και αυτοκρατορικές μεταμέλειες (Ο Βίος του Πατριάρχη Ευθυμίου υπό ανώνυμου μοναχού), Αθήνα: Εκδόσεις Κανάκη.
2. Каждан Александр. 1959. Две византийские Хроники X в. (Псамафийская Хроника предисловие, перевод и комментарий и Иоанн Камениата, Взятие Фессалоники, предисловие и комментарий Р. А. Наследовой, перевод С. В. Поляковой, И. В. Феленковской), Москва: Издательство Восточной Литературы.
3. Browning Robert. 1992. Βυζαντινή Αυτοκρατορία, Αθήνα: Δημ. Ν. Παπαδήμα.
4. Karlin-Hayter Patricia. 1970. Vita Euthymii Patriarchae CP. Bruxelles: Editions de Byzantion.

5. *გაბიძაშვილი ენრიკო, 2007, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი.*
6. Ostrogorsky George. 1968. History of the Byzantine State, Oxford: Basil Blackwell.
7. Karlin-Hayter, 1970:
Ostrogorsky, 1968:
Αλεξάκης, 2006:

EKA TCHKOIDZE
Ilia State University

SOME ASPECTS OF THE CHURCH-STATE RELATIONS ACCORDING TO ONE BYZANTINE TEXT

Summary

"The Life of Patriarch Efthymios" by an anonymous author written in the first half of the 10th century is analyzed in the paper. It is regarded as a precious source for the byzantine history, especially in terms of social history, history of institutions and relationships between them (e.g. State and Church) in the 10th century. This is the only byzantine hagiographic text which protagonist, Efthymios Patriarch of Constantinople in 907-912, has been never venerated as a saint by the Church. For this reason it is regarded as a chronicle and not the Life by certain researchers, given that its title and introduction have been lost.

Patriarch Efthymios was the spiritual father of Leon VI (886-912) the emperor of Byzantium. Thus he enjoyed a close relationship with both the court and high officials. His influence on the emperor is highly underlined in the text. It was obvious that not all the officials liked and approved Efthymios' interferences in the court affairs. This conflict between Efthymios (e.g. holy man) and some officials is well-depicted in the text under consideration. All those passages are analyzed in order to present when and why are harmonic the Church-State relations, and for which reasons they become tense.

ნინო კუხიანიძე
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

სოლომონ II-ის წყალობის სიგელი ჯრუჭის წმ. გიორგის მონასტრისადმი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერი და წერილობითი წყაროების ფონდში ათასობით ისტორიული დოკუმენტია დაცული, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების ისტორიის შესასწავლად. ფონდში განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი დასავლეთ საქართველოს საბუთები. ფაქტობრივად ძნელია დაასახელო სამეცნიერო ან სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი ისტორიოგრაფიაში, ქუთაისის მუზეუმის ისტორიული საბუთით რომ არ იყოს დამოწმებული. ამ მიმართებით მათი მნიშვნელობა ფასდაუდებელია, მათ გარეშე ძნელია გვიან შუა საუკუნეების საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო, საგანმანათლებლო თუ სხვა დარგის გაცნობა და შესწავლა.

ისტორიული დოკუმენტების შეგროვება ქუთაისის მუზეუმის დაარსებისთანავე დაიწყო და დღეს მის საცავში 65 000-მდე ისტორიული დოკუმენტია დაცული. მრავლად გვხვდება: წყალობის, სასისხლო, ყმობიდან განთავისუფლების, პირობის, ხელშეკრულებისა და ნასყიდობის წიგნები, ხელწერილები, ვექსილები, ფარდისა და გაცვლილობის წიგნი, „კვიტანცია“, მოწმობა, ქორწინებისა და აღსრულების ფურცელი, საბანკო ბილეთი, შრომის ხელშეკრულება, სააპელაციო საჩივარი, გაყოფის წიგნი, განჩინების ფურცელი, სავაჭრო ქაღალდები...

თემატურად ასეთი მრავალფეროვანი ისტორიული მასალებით მკვლევარს შესაძლებლობა ექმნება მოიპოვოს უტყუარი ცნობები დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ისტორიული დოკუმენტების ამგვარი მნიშვნელობის გამო დიდია მეცნიერთა ინტერესი მათ მიმართ და ამასთან, მათთვის ამ დოკუმენტების ხელმისაწვდომობის მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათ წყაროთმცოდნეობით შესწავლასა და სრული სახით გამოქვეყნებას. ამის გამო ქუთაისის მუზეუმის ისტორიული დოკუმენტებიდან წინა წლებში ჩვენ რამდენიმე დოკუმენტი გამოვაქვეყნეთ. ამჯერად ვაქვეყნებთ ისტორიულ დოკუმენტს (ქიმ. N138), რომელიც არის მეფე სოლომონ II-ისა და მისი მეუღლის, დედოფალ მარიამის წყალობის სიგელი ჯრუჭის წმინდა გიორგის ეკლესიისადმი. საბუთის მიმოხილვამდე უნდა

აღვნიშნოთ რამდენიმე განსაკუთრებით საინტერესო მომენტი მის შინაარსში, კერძოდ: 1. საბუთში სოლომონ II-ის მიერ შეფასებულია სოლომონ I-ის ღვაწლი ქვეყნის ოსმალოთაგან განთავისუფლებისა და ქვეყანაში ტყვეთა სყიდვის აკრძალვასთან დაკავშირებით; 2. წარმოჩენილია ურთიერთობა მეფეთა და ქვეშევრდომთა, ასევე საეკლესიო პირთა შორის; 3. სოლომონ I-ისა და სოლომონ II-ის დამოკიდებულება მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ, რაც კონკრეტულ შემთხვევაში ჯრუჭის მონასტრისადმი მათ დამოკიდებულებაში გამოიხატება.

დოკუმენტი იწყება ვრცელი შესავლით, რომელიც წარმოადგენს შესხმას ყოვლადწმინდა სამებისა. შემდეგ გაცხადებულია სურვილი შემწირველებისა, სოლომონ II-ისა და დედოფალ მარიამისა, სოლომონ I-ის სულის საოხად შეესაწირავი შესწირონ ჯრუჭის წმიდა გიორგის: „შეიწირე ვითარცა ქრისტემან მწულილი, და ვითარცა მამამან საუკუნემან აბელის ძღუენი და აბრაამის შეესაწირავი, საოხად სულისა მეფისათვის სოლომონისა და სახსენებლად საუკუნოდ, და მეცა შემწე მექმენ, და მეფობა ჩემი წარმართე, რათა შენ მიერ განძლიერებულმან კვალიადცა უძლო მსახურებად შენდა“.

საბუთიდან ირკვევა, რომ იმერეთის მეფე სოლომონ I-მა დიდი ღვაწლი დასდო მაჰმადიანთაგან სამეფოს განთავისუფლებას. შექმნა მტკიცე სამეფო ხელისუფლება, მოსპო ოსმალთა ბატონობა: „... მეფემან დიდად სახელოანმან სოლომონ, და ყოველსავე ჭირსა და ბრძოლასა შინა მყოფმან და თანამბძოლმან ძმამან მისმან... ბატონიშვილმან არჩილ ოდეს ნებითა ღვთისათა, ... დახდვეს სული თვისი, ვითარცა მწყესმან კეთილმან სამწყოსთა თვისთათვის და არა რიდა თავსა თვისსა. ვიდრემდის ქუეყანით თვისით აგარის ნათესავნი არა განსდევნა...“. ამიტომაც სოლომონ II-მ გადაწყვიტა მისი სულის საოხად რაიმე შესაწირი გაეღო. „... აწ მეცა მათანადა სურვილმან საღვთომან, მეფეთა და დავითიანთა შთამონაქუსი ბაგრატიონი ძის ძე ალექსანდრესი, და ძე არჩილისი მეფე ყოვლისა იმერეთისა მეორე სოლომონ, და თანამეცხედრე ჩემი დადიანის კაციას ასული დედოფალი მარიამ, ვინებეთ ძალისაებრ ჩვენისა შეწირვად და ძღუანვად რაიმე...“. შემდეგ საბუთში მოთხრობილია ამბავი მღვდელ დავით წერეთლისა, რომელიც მეფე სოლომონ I-ის უერთგულესი იყო და ამ ერთგული სამსახურისთვის მეფისგანაც სათანადოდ დაფასებული. დავითს ერთადერთი შვილი მოუკვდა, უმემკვიდროდ დარჩა: „... უწყალოსა სიკუდილსა ეწყლა გულითა, და ერთიღა მხოლოდ ძე მიეღო, და იგი უმკვიდრო იყო...“. საბუთიდან ირკვევა, რომ მისი მამული სიკვდილის შემდეგ სამეფოს კუთვნილებაში უნდა გადასულიყო. მისავე სიცოცხლეში სოლომონ II-ის სურვილითა და დავით წერეთლის თანხმობით მამული და ყმები შესწირეს ჯრუჭის მონასტერს მეფე სოლომონ I-ის საუკუნო მოსახსენებლად: „... ნებითავე მისითა ყოველივე მისი ქონებული შევსწირეთ შენდა, დიდო მოწამეო გეორგი, ჯრუჭის უდაბნოსა შინა განსვენებულო, და განუსაკუთრეთ პატიოსანსა მას ადგილსა და მონასტერსა და

მას შინა შეკრებულთა წმიდათა მამათა“ ... ტექსტიდან ვიგებთ, რომ ტაძრისთვის შეუწირავთ ქორეთის სასახლე „მისი ზურითა, მიწითა, ადგილითა... ქორეთის სოფელსა შინა მოსახლეები...“ (ჩამოთვლილია გვარები). საბუთში მოცემულია მტკიცე განჩინება, რომ ვიდრემდის იცოცხლებდა პატიოსანი მღვდელი დავითი, ისინი მას ემსახურებოდნენ, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ კი – ჯრუჭის უდაბნოს უწმინდეს კათალიკოს მაქსიმესა და ყოვლად სამღვდელო მიტროპოლიტებს: „... ესე მტკიცე განჩინება, ესრეთ განვასაზღურეთ, ვიდრემდის ცოცხლებდეს ესე პატიოსანი მღუდელი დავით, მას მსახურონ და შემდგომად მიცუალებისა მისისა უცუალებელად განესაკუთროს უდაბნოსა ჯრუჭისასა, თანა მოწამეობითა უწმიდესისა კათოლიკოსისა მაქსიმესითა, და ყოვლათ სამღუდელოთა მიტროპოლიტთა მიერ...“.

თვით სიგელი №138 დატანილია მოყვითალო ფერის საშუალო სისქის ოდნავ დაზიანებულ ქაღალდზე; ზომით 107x51.5 სმ. ტექსტი განთავსებულია სიგრძივ 75 სანტიმეტრზე; ნაწერია r-ზე და v-ზე. შესრულებულია კალიგრაფიული, დეკორაციული მხედრულით, შავი მელნით. ტექსტი წითელი საზედაო გრაფემა „მ-თი“, რომელიც გველეშაპის თავით არის გაფორმებული. თითოეული წინადადება ასეთივე წითელი მელნით შესრულებული საზედაო გრაფემით იწყება. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე, წერტილი და ორწერტილი. საბუთი დამტკიცებულია მეფე სოლომონ II-ისა და დედოფალ მარიამის მურის ბეჭდებით. დოკუმენტი დათარიღებულია და შედგენილია ხუცეს ნიკოლაოს გაბაონის მიერ: „აღიწერა ჴელითა უღირსისა ხუცისა ნიკოლაოს იობიან გაბაონელისათა, განხორციელებითგან სიტყვისა ღვთისა, ჩ ღ ჟ ა: ნოემბრის: კ ვ.“.

დოკუმენტის r-ზე, მარცხენა არშიაზე დატანილია დედაბრული ხელითა და შავი მელნით შესრულებული ოთხი მინაწერი. მინაწერები მტკიცებულების ხასიათისაა, ანუ საბუთში გაცხადებული შინაარსის მტკიცებულებას წარმოადგენს. მტკიცებულებები ეკუთვნის: 1. ქუთათელ მიტროპოლიტ დოსითეოსს, დამტკიცებულია ოთხკუთხა მურის ბეჭდით; 2. გაენათელ მიტროპოლიტ ეფთვიმეს და მთავარეპისკოპოს ანტონის, დამტკიცებულია ორი ოთხკუთხა მურის ბეჭდით; 3. შემოქმედელ მიტროპოლიტ იოსიბს, დამოწმებულია ნუშისებური მურის ბეჭდით; 4. სამღვდელო (?) ნიკოლოზს, ბეჭდით არ არის დამოწმებული.

ქუთაისის მუზეუმის ისტორიული საბუთი N138 შოთა ბურჯანაძეს დამოწმებული აქვს სადისერტაციო ნაშრომში „სოლომონ პირველი (ისტორიული მიმოხილვა)“ — 1948 წ. [ქიმ. სმ N77].

საბუთის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო ვაქვეყნებთ დოკუმენტს სრული სახით:

r მიზეზსა მიზეზთასა ერთკეთილობასა, ყოველ კეთილთა მაკეთილებელსა ზესთა ნათელსა, ნათელთმთავარსა, ერთარსებასა შორის სამპირებასა და სამთა პირთა შორის ერთარსებასა, ერთჴელმწ/იფესა, ერთუფლებასა და

ერთღვთაებასა მამასა, ძესა და სულსა წმიდასა. დიდება, ქება და თაყვანისცემა ეღაღადებოდედ ყოველთა სიტყუიერთა ბუნებათა მიერ; ვინადგან იგი არს მიზეზი არსთა ქმნ/ულებისა თქმისაებრ მოსე ღვთიუ მზრახუალასა, დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანა, იგი არს მპყრობელი ცათა და ქუეყნისა, თქმისაებრ ღვთის მგალობელისა მეტყუელისა დავითისასა: შენი/ არიან ცანი და შენი არს ქუეყანა, ხოლო მტკიცედ დაპყრობისათვის იგივე დავით პირ ექმნების ღმერთსა და იტყვის: მე დავამტკიცენ სვეტნი მისნიო: მაშასადამე, ყოველივე კეთილობა და სიმტკიცე მისდამი აღივლინების და იგივე მოიღების/ სიმტკიცედ ყოველთა კეთილთა, და ამისთვის დამამტკიცებელად ამა პირისა და განჩინებისა მოვიღებ სახელსა ერთარსისა სამებისასა თქმისაებრ პავლესა: რომლისაგან ყოველი, რომლისა მიერ ყოველი და რომელსა შორის ყოველი, მისა დიდება/ უკუნისამდე ამინ. იტყვის უფალი პირითა ბრძნისა სოლომონისათა, მე მოყუარენი ჩემნი მიყუარან და მადიდებელნი ჩემნი ვადიდნეო, ესე სანატრელი აღთქმაჲ ცხადად ცისკროჲს წმიდათა ზედა ღვთისათა და მზისა უბრწ/ყინვალესად მიეფინების პირსა ყოვლისა ქუეყნისასა, რომელთათვის იტყვის პავლე, ღუაწლი კეთილი მომიღუაწებიეს, სრბა აღმისრულებიეს, სარწმუნოება დამიმარხავს, ამიერითგან მიმელის მე სიმართლისა იგი/ გვირგვინი, რომლითა გვირგვინოსან მყოს მართლმსაჯულმან იესო, და ამას რა იტყოდა ნეტარი პავლე, არა მხოლოდ თავისა თვის თვისისა განისაკუთრებდა სიტყვასა ამას, არამედ ზოგად ყოველთათვის. რომელთაცა ტრფიალებითა/ საღვთოთა იღუაწეს შედგომად ქრისტესა, და ვნებანი იგი მისნი ჴორცთა შინა თვისთა იტვირთნეს, რომელთა შორის საჩინოობს, ვითარცა მზე მნათობთა შორის, მოწამეთა მთავარი, მტერთა მძლეველი, მეფეთა ღვთის მოყუარეთა წი/ნამბრძოლი, ვნებათა ყოველთა დამხსნელი, ჴელმწიფეთა ტახტ-გვირგვინისა მეურნე, სნეულთა კურნებისა მიმნიჭებელი, პყრობილთა თავისუფლებისა მიმცემი, ყოველგან პოვნილი შემწედ, მომ/წოდებელთა თვისთა, ზღუასა შინა მენავთსაყუდლე, ქუეყანასა ზედა სადგურის მოღუაწე, ჭირთაგან მხსნელი, კაცთათვის, ვნებად მოსრულთა სულთა არაწმიდათა მდევნელი, მოწამეთა და მოღუაწეთა თუალი, სათნო ღვთისა/ და საყვარელი ერთგული ქრისტესი გეორგი; რომელმანცა სიბრძნითა თვისითა და სიმხნითა ფერად ფერადნი განცდანი ღვთის მბრძოლთანი თავს-ისხნა. ცეცხლსა შინა გამოიცადა, ვითარცა ოქრო, წყალსა, ყინელსა, ურმის თუ/ალსა და განჭურვებულსა რკინისა ორღანოსა, თორნესა განცეცხლებულსა და სამსალასა მაკუდინებელსა, და არა თუ მხოლოდ დაუთმო უშიშითა გონებითა, არამედ ვითა გვირგვინისა და სუფევისა მიმართ სწრაფით მირბ/იოდა და ძალითა ღვთისათა დათრგუნა იგინი, და სამართლად ითქუა მისთვის, მე მოყუარენი ჩემნი მიყუარან, ვინადგან ყოველივე დიდება მსოფლიო და შვება არა რად შერაცხა, და მხოლოდ ღმერთი შეიყვა/რა. მომძაგებელმან სოფლისა დიდებისამან და იდიდა იგი თქმისაებრ ზემოწერილისა, ვინადგან ადიდა მან ღმერთი, ღმერთმანცა ადიდა

იგი, და ამისთვის ჯერ არს ყოველთა ქრისტიანეთა მიერ პატივით მადლობა მისი თაყუანის/ცემა: აწ მეცა მათანადა სურვილმან საღვთომან, მეფეთა და დავითიანთა შთამონაქუსი ბაგრატოანი ძის ძე ალექსანდრესი, და ძე არჩილისი მეფე ყოვლისა იმერეთისა, მეორე სოლომონ და თანამეცხედრე ჩემი დადიანის/ კაციას ასული დედოფალი მარიამ, ვინებეთ ძალისაებრ ჩვენისა შეწირვად და ძღუანვად რაÀმე, და მირთმად შენდა, ჰოი მხნეო მოწამეო, რათა ძალითა მით ძლიერითა ახოვნებისა შენისათა წარგვემართოს სკიპტრა/ მეფობისა: ხოლო ამა განჩინებისა საცნობელად ყოველთა ესრეთ განვაცხადოთ: მეფემან დიდად სახელოანმან სოლომონ, და ყოველსავე ჭირსა და ბრძოლსა შინა თანა მყოფმან და თანა მბრძოლმან ძმამან მისმან/ სასურველმან ძლიერმან და ახოანმან საიმერეთოს უფლისწულმან ბატონიშვილმან არჩილ ოდეს ნებითა ღვთისათა, და წინა ძღუანვითა შენითა წარმართა მეფობა თვისი და დასდვეს სული თვისი, ვითარცა მწყ/ესმან კეთილმან სამწყსოთა თვისთათვის, და არა რიდა თავსა თვისსა. ვიდრემდის ქუეყანით თვისით აგარის ნათესავნი არა განსდევნა, ვინადგან იგინი უფლებდეს ქუეყანასა მისსა სიმაგრეთა და ციხეთა მქო/ნებელნი, ქრისტეანეთა აჭირვებდენ ტყუÀ ჰყოფდნენ, ქრისტეს სისხლით სყიდულთა ერთა, მაჰმადის შესაწირავ ჰყოფდენ და სხუათა მრავალთა უწესოთა და სიბილწეთა მიერ ქუეყანა ესე სრულიად განრყუნეს და ქუაბ/ ავაზაკთა აღმოაჩინეს, გარნა სახელოანმან მეფემან სოლომონ, და საყუარელმან ძმამან მისმან ახოანმან ბატონიშვილმან არჩილ, აღიღეს შური ვითა ფინეზმან და განგმირეს გული მათი, მრავალგზის/ ურიცხუ ლაშქართა წყობითა, და სისხლთა მათთა მიერ მორწყეს ქუეყანა თვისი, და შემდგომად ციხენიცა მიუხუნეს და სრულად იავარყვეს, და აღმოფხურეს მიზგითნი მათნი, და დაადუმეს მათ შორის ბილწისა მოჰამედ/ ისა ქადაგებანი; მისტაცნის ტყუენი ხელთაგან მათთა, ვითა ქრისტემან სულნი პყრობილთანი, დამონებისაგან მათისა გამოიხსნეს, თავისუფალ ჰყუნეს ეკკლესიანი. შემწე ექმნეს ობოლთა, ქვრივთა, გლახაკთა,/ და მიმძლავრებულთა, გარნა ვინაÀთგან განჩინებამან ზენამან არა რიდა მასცა და გარდაცუალებულ იქმნა ამიერ, სამართალ იყო ჩემ მიერ მსახურება მათი ორთა მიზეზთათვის, ესე იგი ღუწისათვის/ ამის ქუეყნისა, ვინადგან აგარიანთა მონებისაგან გამოიხსნა, და კვალიად ამისთვის რომელ მამობისა ადგილი მან აღმოავსო ჩემდა, ვითა პირმშო ძე ეგრეთ მიწადა და შემიტკბო, და შრომით პოვნილი ტახტი მეფობისა თვისისა,/ ჩემთვის განასაკუთრა, გარნა ჩვეულებამან მსოფლიოთა შფოთთამან მრავალი უწესობა შემოიღო მსახურებად მისდა დავეყენე: და ოდესცა მოხედუა ჰყო წყალობა აურაცხელმან ღმერთმან და სრულად ლიხთ/ ამერთა სამეფოი მარწმუნა მყისვე ვიწყე ზრუნვად და მსახურებად პატიოსნისა სულისათვის მისისა და გამოვირჩიე ესე საოხად მისთვის, რომელიცა შემდგომთა შინა წერილთა იხილვების: იყო მღუდელი ვინმე/ პატიოსანი დავით მისვე მეფისა სოლომონისაგან პატივცემული, რომელსა თვისნი დღენი ერთგულებით მონებასა

შინა მისსა წარევლო, და სადაცა და ოდესცა ჭირი რაÁმე წაჰკიდებოდა მას მეფესა ესეცა/ თანა ყოფილიყო, და ვნებანი მისნი ამასცა ეტვირთნეს და ოდეს ჩვენდა მოიწია, პატივით შეწყნარებულსა, ჩვენცა პატივ ვეცით და შევიტკბეთ კაცი სულშემოსილი გუარობით წერეთელი, ერთგული და ე/რთგულთა ტომთაგან შთამომავალი ღირსი ქებისა კარის დეკანოზი ჩვენი დავით, რომელიცა უწყალოსა სიკუდილსა ეწყლა გულითა, და ერთიღა მხოლოი ძე მიეღო და იგი უმკვიდრო იყო. და შემდგომად მისსა/ ქონებული მისი მამული სამეფოდ იდებოდა და მის მეფისაგან სოლომონისა, მტკიცის პირით, და მოუშლელის დავთრით დამტკიცებული წყალობაცა, და ვინაითგან ესე მღუდელიცა ფრიად ჰყუარობდა სულსა მისსა,/ ნებითავე მისითა ყოველივე მისი ქონებული შევსწირეთ შენდა, დიდო მოწამეო გეორგი, ჯრუჭის უდაბნოსა შინა განსვენებული და განუსაკუთრეთ პატიოსანსა მას ადგილსა და მონასტერსა და მას შინა/ შეკრებულთა წმიდათა მამათა: ქორეთს სასახლე, მისი ზურითა, მიწითა, ადგილითა, წყლითა, ტყითა, ველითა, და ყოვლის მისის სამართლიანითა სამზღურითა: მუნვე ქორეთს სოფელსა შინა მოსახლე გუდაძე პაატა, ბი/ძინა, გიგია და სეხნია: კაპანაძე ბასილ, და მისი ძმები დათუა და გოგიტა: დათუაშვილი დათუა და მისი ძმისწული სეხნია: ბიჭაშვილი ბეჟია: მეგრელი გიგია მეფე სოლომონისაგან სამართლით სისხლში ანაყუანი/ და ესრეთ დავთრით ბოძებული: ყარვაძე ნასყიდა, სეხნია, დათუნა, პაატა და ივანე, კვალიად ესეცა სამართლით ნაშოარი და დავთრით ბოძებული: ლილუაშვილი გიორგიტა, და ივანიკა: ქამუშაძე დათუა,ხუცესი საბა./ კვირია, ბერი, ხუცისშვილები, ივანიკა და მისი ძმები, თევდორე, ბერი და დათუა: ითხვისს მეგრელიშვილი კვირია, და პაპუჩა: მჭედლიძე მამუკა: რაზმაძე პაატა და ზაზუტა მათი ძმებით. რაჭას ფარახეთის სასახლე თავისის/ ადგილით, მამულით, მიწით, წყლით, ტყით და ყოველითურთ მისის ქონებულით. მოსახლე ჩიღუნიძე შაქარი მისი ძმითა და ძმისწულითა: კვალიად ჩიღუნიძე სვიმონა, კაციელა, სეხნიკა, და რამაზიკა: სევას ნადირაშვილი სე/ხნია და გიგიტა: ჭიბრევს შოშიკა თავისის ადგილ-მამულით: მარტუათ უბანს ქამუშაძე შიო და ბასილა; თავისის ადგილ-მამულით: ესიტაშვილი ბერი თავის ცოლშვილით: ესე ყოველივე მათის მიწა-ადგილით და ზუ/რით, სახნავ-სათესით და წყლით, ტყით საფლავ სამარხით, სახარდნით და საწისქვილოთ, და მათის ყოვლითურთ ქონებულით შენდა შემოწირავს დიდო მოწამეო გეორგი ჯრუჭისაო: შეიწირე ვითარცა ქრისტემან მწულილი, და ვითარცა/ მამამან საუკუნემან აბელის ძღუÁნი და აბრაამის შესაწირავი, საოხად სულისა მეფისათვის სოლომონისა და სახსენებელად საუკუნოდ, და მეცა შემწე მექმენ, და მეფობა ჩემი წარმართე, რათა შენ მიერ განძლიე/რებულმან კვალიადცა უძლო მსახურებად შენდა: ესე მტკიცე განჩინება, ესრეთ განვასაზღურეთ, ვიდრემდის ცოცხლებდეს ესე პატიოსანი მღუდელი დავით მას მსახურონ, და შემდგომად მიცუალებისა მისისა უცუალებელად/

v განესაკუთროს უდაბნოსა ჯრუჭისასა, თანა მოწამეობითა უწმიდესისა

კათოლიკოსისა მაქსიმესითა და ყოვლად სამღუდელოთა მიტროპოლიტთა მიერ: ყოვლად სამღუდელოსა ქუთათელ-მიტროპოლიტისა დოსითეოსისათა,/ გაენათელ-მიტროპოლიტისა ევთიმისა, და მთავარეპისკოპოსისა ანტონისათა; რომელთა თანა მოწამედ უვისთ პალატისა ჩვენისა განმგენი: წერეთელ სახლთუხუცესი ზურაბ, წულუკიძე გიორგი, წერეთელი ქაიხოსრო,/ ბოქოულთუხუცესი წერეთელი ვახუშტი, კვალიად წერეთელი გიორგი და ქველი და ზოგად ყოველნი პალატისა ჩვენისა განმგენი და მოხელენი. აწ უკეთუ იქმნას ვინმე მეორე იუდა, და ახალი საპფირა, და ესე განჩინება უარჰყოს/ და შლად ამისა ჴელყოს, უარ იქმნას იგიცა წინაშე ანგელოსთა ღვთისათა, პირისაგან მართლმსაჯულისა ქრისტესა, და მიიღოს აქაცა და მერმესაცა საუკუნესა ნაწილი იუდა განმსყიდველისა. მოვედინ მის ზედა რისხვით წარღუნა ნოეს ჟამ/ისა, დაქცევა სოდომელთა ქალაქთა, წყევით განშორება პირისაგან ღვთისა კაენებრი, სამეოცდაათშვიდგზისი შურისგება ლამექისი, და ოხერ იქმნას ყოველთაგან კეთილთა, და განსაგებელი მისი სხუამან მიიღოს - მტერმან/ მისმან, დაეუფლნეს მას მოძულენი მისნი და აჴირვებდეს მტერნი მისნი. დაიწყეოს ერთარსისა სამებისაგან და განჭორციელება ქრისტესი უხმარ იქმნას მისთვის, და ქალწული მარიამ მოსაჯულ ექმნას, ნათლისმცემ/ელი იოანე რისხუÀლ იქმნას მისთვის, და შეჩვენებულ იყავნ ათორთა მოციქულთაგან, შვიდთა კრებათაგან, ოთხთა მსოფლიოთა პატრიარხთაგან, და მათთა სამღუდელოთა მიერ. და კათოლიკოსის მაქსიმესგან/ და მისთა მიტროპოლიტთაგან, თავით, ცოლშვილით, თესლ ტომით, ნათესავ სახლის წულით, სახლ სავანით, აგარაკ ვენაჴით, და თვით ფერხის წასადგმელით ადგილითურთ, აქა, და მერმესა მას სოფელსა უხუაიშნოდ იპყ/რას სიკუდილმან, ეშმაკმან, და ჯოჯოხეთმან. ამინ! აღიწერა ჴელითა უღირსისა ხუცისა ნიკოლაოს იობიან გაბაონელისათა, განხორციელებითგან სიტყვისა ღვთისა, ჩღჟა: ნოემბრის: კვ.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

1. ბურჯანაძე შ., 1948 წ. „სოლომონ პირველი (ისტორიული მიმოხილვა)“ — [ქიმ. სმ N77].

NINO KUKHIANIDZE
Kutaisi State Historical Muzeum

SOLOMON II'S GRANT DEED TO JRUCHI ST. GEORGE MONASTERY

Summary

The Kutaisi State Historical Museum's Manuscripts' and Written Sources' Fund preserve thousands of historical documents which are of great importance for study the social-economic, political and cultural development of Georgia. In the fund documents of west Georgia are presented in a large number. It's hard to name a scientific or scientific-popular work in which the historical document of the Kutaisi Museum is not certified. Their significance is valuable in this respect, without the use of these documents, it is impossible to study Georgia's and its neighbors' not only political, economic, scientific, educational fields, but also the others.

Because of the significance of historical documents, the interest of the scientists is very important to them, and in order to get access to these documents, it is of great importance to study them as sources and publish in a full form. For this purpose, we have issued several historical documents of Kutaisi Museum in previous years. This time, we present King Solomon II's and his wife Queen Mariam's grant deed to Jruchi St. George monastery / Historical document – Kim. N138 /.

Historical document of Kutaisi Museum N138 Shota Burjanadze has certified in his dissertation work "Solomon First (Historical Review)" - 1948 [Qt. Sm. N77].

The document is published in full form for the first time. The article also provides its codicological description. I think the article will be interesting for those researchers who are interested in Solomon's reign and the history of the Jruchi Monastery.

LYUBOV LISKI
University of Helsinki, Finland

SOME SYMBOLIC MANIFESTATIONS OF THE DOUBLE IN TRADITIONAL KOMI BELIEFS ABOUT THE HUMAN BEINGS

The motive of the Double is well known in the world literature for such as "The Double" by Fyodor Dostoyevsky, "The Picture of Dorian Gray" by Oscar Wilde and others. This motive appears also in various texts of culture. The idea of doubling/gemination as a "second aspect" is often the basis of ancient religious ritual and myth. In the context of culture, the phenomenon of the double was considered primarily as one of the aspects of twinship. In particular, Aleksandr Zolotarev connected a couple "human and its double" with a pair of mythological twins (1). The mythological twins are the product of the dual organization, therefore, they play an important role in the rituals of archaic societies. Any double image (doubles or twins) is based on one of two principles of correlation: the members of a pair can be identical to each other or can be opposed to each other (2). In my paper, I will present some symbolic manifestation of the Double and Twoness in traditional Komi beliefs about the human beings.

The symbolism of the Double in traditional Komi culture is conditioned by the mythological texts. In particular, the Komi cosmogony is based on the antagonism between two twins *En* and *Omöl'*. They are opposed to each other as good and evil, light and darkness, life and death. The positive deity *En* creates the sun, the forest, flowers, good spirits. His brother *Omöl'* is conceived as a deity, representing the personification of darkness. His creations are night, cold, swamp, evil spirits (3). The antagonism of creator deities is the basis of mythological classification. Since the creators embody the two opposite natures or principles then created objects are evaluated as positive / negative, pure / impure correspondingly. For example, there is the custom of eating only the meat of pure animals, that are created by En: rooster, chicken, grouse, elk, deer and other. According to folklore materials of hungarian researcher David Fokos-Fuchs, the Komi was forbidden to kill frogs, because they were created by good deity. At the same time the lizard was considered unclean animal with supernatural powers, therefore killing the lizard was considered a virtue (4). The clear separation between pure and impure preserved among the old believers. They believe, that everything that is not related with the old believers' world is unclean. They use only their own utensils, do not allow to pray any of non-old believers and strictly follow the prohibitions on eating of certain foods. For example, old believers don't eat potatoes and don't smoke tobacco, because they were grown from the grave of a girl and dog, who sinned and were buried alive. Therefore, the potatoes are called *pon kol'k* (the dog's bollocks) and the tobacco is called *sit* (shit). The old-believers also cannot eat the meat of a bear and a swan, because, according to the mythic beliefs, they were people before (5).

Some of the objects created by one brother are re-encoded by the other brother, receiving from him the distinguishing sign. Thus, following *Omöl's* creations were transformed to the category of

En's creations: deer who got its horns; the cat who got its black hair; the hare who got its the black tips of the ears. *En* gave a solid skin to the perch, a thorns to the ruff and a cross-shaped bone in the head to the pike. Also the hazel-grouse, the blackcock, the partridge moved into the category of good twin brother's creations (6). From the *Omöl's* objects only the dog moved to *En*. It got a fell. This is why the dog is considered impure and it is not allowed in the house (7). The crafts change their code status in different way. *En* himself gives some of crafts to his brother. The positive deity made a violin, but it didn't play. Omöl' taught him (En) how to play the violin, for that En cursed it. For this reason, it is allowed to play the violin just on entertaining events. In this way En builds a forge, but *Omöl'* taught him to work in the forge. Therefore the smithcraft is cursed by En (8). So the objects are created by two brothers at the same time and hereupon they have double essence. So everything created by twins have dual/ double nature, thus the world exists as a binary system.

In general, the dualism of creators deities is a characteristic phenomenon of Finno-Ugric mythology (9). For example, the divine couple *Inmar – Keremet (also Lud, Shajtan)* in the mythology of the Udmurts; *Kugu-Yumo – Keremet* in the Mari's mythology; the divine couple of the Mansi people is *Numi-Torum – Kul'-Otyr; Sanke – Kyn'-lunh* in the mythology of Khanty.

The continuation of the cosmogonic process is the anthropogenesis, in other words the process of human's creation. This is the final process of construction of the cosmosystem. The antagonists are shaping the human beings in the image and likeness of the binary world. In the Komi mythology, the human was created by both brothers. According to one mythological version, the human was created by *En* as a perfect being, at that point without sexual characteristics. His skin was smooth and hard as a nail. The negative brother spat upon the first human and turn him inside out (10). For this reason inside of a human is filth of *Omöl'*. Therefore, the human has the second chthonic essence. In that way the human combines two creative beings: light from En and chthonic from *Omöl'*. Finally, as a result of brothers' creation work, the world acquires its final shape and begins to function, because now in the world there is an image, that reflects the macrostructure of the cosmos and becomes the center-support for this structure (11).

The human can also be represented as a binary system. The binary structure is reflected in the Komi beliefs about the existence of two forms of the soul *lov* and ort. *Lov* is the soul-breath, the inner soul of human (12). According to researcher Vasilij Nalimov, it lives inside of the human skull (13). This is some kind of life-supporting substance. It is associated with the concept of mythological top and after the death of a human the soul-breath goes to the sky (14). Another soul ort is perceived as a shadow of a human, his absolute likeness, his double. It is outside the human body and it accompanies him from birth until death. The main function of the double is prediction of the death of its "owner". It becomes visible on the eve of death of the "owner". In that way the soul-double as the predictor of the death belongs to the other world and provides the exchange between the worlds. Ort remains in this visible world for forty days to get around all the places visited by the human-double during his or her life. At the same time the dead goes to the other world (15). Thus, after the death the human is somewhat divided, his integrity is

violated. This integrity is represented by the presence of two souls, the vitality and mortality.

The death is a factor that determines the essence of human. It humanizes the human (16). Evil spirits don't have a mortality, it is immortal, and therefore non-human. This idea is confirmed also by the ethymology of the terms, that means a human. *Mort* in the komi language, *murt* in Udmurts, *mired* in the Mordovian language came from a Ur-form borrowed from Iranian languages *mertä "mortal". According to Uotila, Finnish term *marras-marta-* is also borrowed from Iranian languages and means "mortal" (17).

One of the features of the evil spirits is the lack of shadow, the lack of reflection in the mirror or in the water - that is, the lack of the actual double. According to researcher Valeri Sharapov, the presence of physical shadow *vudžör* can be seen as the marker of human world (18). Thus, the lack of shadow is the sing of non-integrity of demons. In the Komi tradition, the names of evil spirits are most often adjectives, which denote the absence of any physical features. For example, pel'töm "earless" (19), sinpöla "one-eye", kok-pöla "one-legged" (20). There is a folklore character koktöm Nazar "legless Nazar". The prototype of this hero was a real sorcerer (21). The evil in these creatures is represented by the idea of deprivation. The idea of deprivation is expressed in the accompanying epithets shushtöm "terribly, mirthlessly, fearfully, grimly" and gaztöm "mirthless". Gaz means "merriment" and in this case it is a synonym of shud "happiness". Hypothetically the word šuštöm can be linked with the word šudtöm by analogy with alternation of consonants ž/t in the words of the Udora dialect of Komi čudtys' <čužtys' "parent, begetteth", that was noted by linguist Vasilij Lytkin (22). The Komi people of the Kola Peninsula believe in the existence of soul-double šud (23). As a matter of fact, šud personifies the share of happiness, which determines the fate of human (24). There are an association of happiness-share and shadow. The komi people, living on the upper Vychegda, believe that you deprive a human of his happiness šud, if you step on someone's shadow (25).

It is interesting to list folklorist Pavel Limerov's observation about the persons deprived of their happiness šud. They are the poor, the sick, the widows, the orphans, and the elderly. At the human collective they have a particular social status (26), because they are teetering on the border between the human world and the next world. It is no coincidence that the poor and the orphans are necessary participants of the funeral rites in which they are substituents of deceaseds (27). On the Udora there was the custom to bring food to the widows and the elderlies in the feast Mikolalun (28). The researcher Vasilij Nalimov notes that the Komi people was particularly attentive to the sick (29).

The lack of twoness is a sign of the marginality of the character. This assumes that it possesses some supernatural qualities or abilities. This is confirmed by the examples from the folklore texts of the Komi. For example, the one-eyed character of the Komi legend Sin pöla mort could come into contact with the soul-shadow of other people and could get the information about someone's fast death (30). The Komi people believe that the one-eyed witches have great magic power. They are be able to see the soul ort and to anticipate the death of any human. In the Komi-Permyak epos about Kudym-Oš one-eyed and one-breasted priestess of a pagan deity Pövs'in had magical power, could manage elements and raise the dead (31).

I will be back to vudžör. In ritual practice the term has two meanings. It means a shadow, a silhouette, a reflection, and also an averter. So, averter Vudžör is two pine sticks

placed crosswise on the dishes to protect water and food from the evil eye. Vudžör is the ikon or the cross above front door to protect the house. The earless needle performs also the function of Vudžör. The girls stuck this needle in the hem or in the bodice of their sundresses (32). In these examples the averter marks the border between the protected object and the manifestations of the external world. Thus, it means that the double of the protected object or area is on the other side of the symbolic boundaries. This approval is well illustrated by the following information: the bride and groom look in the mirror before going to Church to see themselves healthy, happy and beautiful (33). In the context of the ritual it means that the newly wedded couple see own double in the mirror and fix the image, corresponding to their current state, in the next world. In this case, the mirror indicates the border between two worlds. In this regard it is interesting to consider the belief about broken mirror. The Komi believe that a broken mirror is a harbinger of death. Example: «Это точно, перед смертью моего мужа Илья разбил зеркало и вот Иван муж говорит: «Но зеркало разбил, значит скоро умру», а он уже болел тогда». (This is exactly. Before the death of my husband Ilya broke the mirror and husband Ivan says: "he broke the mirror, so soon I'll die". Then he was already sick.)(34) The destruction of the border (in this case it is the mirror) provides transition of double to human's world and its human pair to the other world. Compare: after the death of human his soul-double ort goes all the way, that he has done in life. Apparently, this is related with the custom to cover the mirrors in the house where there is deceased. The Komi believed that the deceased can leave the look in the mirror and it will cause the death of another person in this house. In that way covering of mirror fixes the border between the worlds and the location of the deceased behind the mirror, in other words in the next world. It ensures that the deceased will not return to this world. The Komi people has the custom to take a photo of the deceased before the funeral. Apparently, in this way the double of deceased is fixed in this world. It is interesting to draw a parallel between the photo of the dead in komi tradition and wall paintings in Egyptian tombs. According to the beliefs of the ancient Egyptians, the wall painting is a fixing of human double Ka (35). They believed that person's double Ka continues to exist after death in the form of wall paintings. The Egyptians brought sacrificial food for the wall paintings of Ka and therefore for the deceased (36). The Egyptian custom corresponds to the similar custom vošjödčöm in the komi tradition. Every morning the komi people put food and drink for the deceaseds to the icon corner. So the Komi feed their deceased parents. In some cases, the Komi put drink and food to the photography taken during the life of the deceased.

I return to the example about mirror. According researcher Levon Abramyan, the reflection of the bride and groom in the mirror guarantees inseparability of the future spouses, because in the mirror the doubles of couple are being inseparable (37). The integrity of the image of the newlyweds is expressed through the gender asymmetry of parthners of couple. In the context of a wedding ritual, they belong to different symbolic parties. The absence of one member of pair is regarded as incompleteness, non-integrity. It is well supported by linguistic and ethnographic data. The Komi call marriage union as gozja, that is derived from the word goz "pair". The word goz is associated with the term pöv "half, one of the pair", "side", which correlates with the Russian word pol. According to Vjacheslav Ivanov, the term pol (gender, sex) was originally connected with the idea of half of the

tribe (38). In the Central Sysolan dialect of Komi language one of the designations of widow's or widower's is pölalan-kokalan mort (39), that is also associated with the root pöl-.

The Komi call single man (unmarried after a certain age) as götyrtöm and russian bobyl'. The word götyrtöm literally means "without wife". In the explanatory dictionary of Russian language, the word bobyl' has the next meanings: the proletarian; the farmer, who doesn't own the land, because he is poor, crippled, lonely or neglectful; the homeless (40). So, this semantic series emphasizes social inferiority of this character. Albert Bayburin notes that there is widespread opinion that unmarried man is unfinished, incomplete and life without a wife is a life outside the law (41). The spinsters were also evaluated negatively. This is confirmed by linguistic data of Komi language. In Komi, the spinster is known as pörys' nyv, endöm nyv. In the Komi-Russian dictionary, one of the meanings of the term endöm is "to remain unfinished" (42). A negative attitude towards unmarried man and spinster is also expressed in the ritual. They cannot participate in certain rituals. A social inferiority of unmarried men and spinsters correlates with the idea of inferiority and incompleteness of the evil spirits. This is reflected in the beliefs about marginality of "unfinished, incomplete" persons, because they are on the border between the human world and the spirit world. Due to their marginality, "unfinished, incomplete" persons are considered dangerous for other members of the society. For example, the Komi believe that spinsters and infertile women have magical power and they are especially dangerous for pregnant women (43).

Thus, the motive of the double is one of the most important semantic mechanisms of traditional culture. In my paper, I presented only some symbolic manifestation of the Double and Twoness in traditional culture of the Komi. I hope that my presentation can make some contribution to understanding of mythological symbolism in the traditional descriptions of the person.

1. Золотарев А.М. Родовой строй и первобытная мифология. М., 1964.
2. Абрамян Л.А. Об идее двойничества по некоторым этнографическим и фольклорным данным // Историко-филологический журнал. Ереван, 1977.
3. Плесовский Ф.В. Космогонические мифы коми и удмуртов // Этнография и фольклор коми. Сыктывкар, 1972. С.40.
4. Сидоров А.С. Идеология древнего населения Коми Края // Этнография и фольклор коми. Сыктывкар, 1972. С.18.
5. Fuchs D.R. Beiträge zur Kenntnis des Volksglaubens der Syrjänen // Finnisch-ugrische Forschungen. Helsingfors, 1924. B.16. H.2-3. S.253.
6. Fuchs D.R. Beiträge zur Kenntnis des Volksglaubens der Syrjänen // Finnisch-ugrische Forschungen. Helsingfors, 1924. B.16. H.2-3. S.242-243.
7. Fuchs D.R. Beiträge zur Kenntnis des Volksglaubens der Syrjänen // Finnisch-ugrische Forschungen. Helsingfors, 1924. B.16. H.2-3. S.240.
8. Fuchs D.R. Beiträge zur Kenntnis des Volksglaubens der Syrjänen // Finnisch-ugrische Forschungen. Helsingfors, 1924. B.16. H.2-3. S.246.
9. Лимеров П.Ф. Коми несказочная проза: Учеб. пос. Сыктывкар, 1998. С.18.
10. Лимеров П.Ф. Коми несказочная проза: Учеб. пос. Сыктывкар, 1998. С.42.
11. Евзлин М. Космогония и ритуал. М., 1993. С.197.
12. Лимеров П.Ф. Лов // Мифология коми. М., 1999. С.226.
13. Налимов В.П. Загробный мир по верованиям зырян // Арт. 2000. №1. С.125-126.
14. Лимеров П.Ф. Мифология загробного мира. Сыктывкар, 1998. С.8.
15. Лимеров П.Ф. Мифология загробного

мира. Сыктывкар, 1998. С.13.
16. Лимеров П.Ф. Мифология загробного мира. Сыктывкар, 1998. С.14-15.
17. Лыткин В.И., Гуляев Е.С. Краткий этимологический словарь коми. Сыктывкар, 1970. С.174-175.
18. Шарапов В.Э. Вуджӧр I // Мифология коми. М., 1999. С.123.
19. Конаков Н.Д. Пельтӧм // Мифология коми. М., 1999. С.296.
20. Конаков Н.Д. Син пӧла // Мифология коми. М., 1999. С.340.
21. Конаков Н.Д. Коктӧм Назар // Мифология коми. М., 1999. С.199.
22. Лыткин В.И. Древнепермский язык. М., 1952. С.146.
23. Рочев Ю.Г. Национальная специфика коми преданий о чуди. Сыктывкар, 1985. С.69.
24. Лимеров П.Ф. Мифология загробного мира. Сыктывкар, 1998. С.15.
25. Аудиофонд ИЯЛИ Коми НЦ УрО РАН. №1237. Записано в д.Вольдино Усть-Куломского района, 2001 г.
26. Лимеров П.Ф. Мифология загробного мира. Сыктывкар, 1998. С.17-18.
27. Налимов В.П. Загробный мир по верованиям зырян // Этнографическое обозрение. 1907. №1, 2. С.7.
28. Лимеров П.Ф. Мифология загробного мира. Сыктывкар, 1998. С.18.
29. Налимов В.П. Загробный мир по верованиям зырян // Этнографическое обозрение. 1907. №1, 2. С.7.
30. Конаков Н.Д. Син пӧла // Мифология коми. М., 1999. С.340.
31. Конаков Н.Д. Пӧвсин // Мифология коми. М., 1999. С.314.
32. Шарапов В.Э. Вуджӧр II // Мифология коми. М., 1999. С.125-126.
33. Аудиофонд ИЯЛИ Коми НЦ УрО РАН. №1237. Записано в д.Вольдино Усть-Куломского района, 2001 г.
34. Аудиофонд ИЯЛИ Коми НЦ УрО РАН. №1237. Записано в д.Вольдино Усть-Куломского района, 2001 г.
35. Большаков А.О. Человек и его двойник. Изобразительность и мировоззрение в Египте Старого царства. Спб., 2001. С.140.
36. Большаков А.О. Человек и его двойник. Изобразительность и мировоззрение в Египте Старого царства. Спб., 2001. С.82.
37. Абрамян Л.А. Об идее двойничества по некоторым этнографическим и фольклорным данным // Историко-филологический журнал. Ереван, 1977. С.187.
38. Иванов В.В. Чет и нечет: асимметрия мозга и динамика знаковых систем // Избранные труды по семиотике и истории культуры. Т.1. М., 1999. С.508.
39. Колегова Н.А., Бараксанов Г.Г. Среднесысольский диалект коми языка. М., 1980. С.151.
40. Даль В. Толковый словарь живого великорусского языка. Т.1. М., 1989. С.101.
41. Байбурин А.К. Ритуал в традиционной культуре: структурно-семантический анализ восточнославянских обрядов. СПб., 1993. С.65.
42. Безносикова Л.М., Айбабина Е.А., Коснырева Р.И. Коми-роч кывчукӧр. Сыктывкар, 2000. С.769.
43. Oral information of Oleg Ulyashev.

თინათინ ჯაბადარი
საქართველოს ეროვნული არქივი

გარე კახეთის მოსახლეობა კამერალური აღწერების მიხედვით

მოხსენება ეხება აღმოსავლეთ საქართველოს, თბილისის მაზრის რამდენიმე სოფლის, დღევანდელი საგარეჯოსა და მის ირგვლივ მდებარე (საგარეჯო მიწებზე) დასახლებული მოსახლეობის XIX საუკუნის დასასრულს ჩატარებული კამერალური აღწერის მიმდინარეობასა და მის შედეგებს. თემაში გამოყენებულია საქართველოს საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტური მასალა.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, საქართველოში დაარსდა ახალი დაწესებულებები როგორც ადმინისტრაციული, ასევე სამეურნეო. მათ შორის იყო 4 ექსპედიცია. 1802 წელს საქართველოში ჩამოყალიბდა უმაღლესი ორგანო - სახაზინო ექსპედიცია.

აღმოსავლეთი საქართველო ხუთ მაზრად დაიყო: თბილისის (მმართველი ქალაქი - თბილისი), დუშეთის (მმართველი ქალაქი - დუშეთი), კახეთის (მმართველი ქალაქი - თელავი), სიღნაღის (მმართველი ქალაქი - სიღნაღი), გორის (მმართველი ქალაქი - გორი).

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობაზე სრული ინფორმაციის მოპოვების მიზნით თბილისის სახაზინო ექსპედიციის მიერ რამდენჯერმე ჩატარდა მოსახლეობის კამერალური აღწერა, შედგა საოჯახო სიები. ამ აღწერის ძირითადი მიზანი იყო: სამხედრო სამსახურში გასაწვევ პირთა ზუსტი აღრიცხვა, მოსახლეობის სოციალური და ეროვნული შემადგენლობის დაზუსტება და თითოეული კომლის საგადასახო შესაძლებლობების განსაზღვრა. სიებით ძირითადად ხდებოდა საეკლესიო, საბატონო და სახაზინო გლეხების გარჩევა.

საოჯახო სიების შედგენა XIX საუკუნის დასაწყისშივე დაიწყო ზემოთ ნახსენები მოთხოვნილების გათვალისწინებით, მაგრამ საუკუნის დასაწყისში ჩატარებული აღწერები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა საუკუნის მეორე ნახევარში ჩატარებული აღწერებისგან. დოკუმენტური მასალის მიხედვით ნათელი ხდება ის, რაც ზემოთ აღინიშნა: საუკუნის პირველ ნახევარში ჩატარებული აღწერებით ძირითადად მოხდა საბატონო, სახაზინო და საეკლესიო მიწებისა და მათი მფლობელების აღრიცხვა.



1823 წლის კამერალური აღწერის გარეკანი

თითოეული სია დაყოფილი იყო რამდენიმე ნაწილად, მაგალითად, 1842 წლის აღწერების წიგნის მიხედვით: „აღწერა ახალთა საეკლესიო მამულთა, რომელნიცა დღევანდლამდე არ ყოფილან, სრულებით ცნობილნი სასულიერო მთავრობისადმი და არა ყოფილან შემუსულ რიცხვთა შორისა საეკლესიო მამულთასა და რომელთაგანაცა უნდა შემოვიდეს ეკლესიითვისა საკუთარი შემოსავალი. სიები დაყოფილი იყო 6 გრაფად:

1. მამულების რიცხვი - რიგითი ნომერი; მამულების რიცხვში შედიოდა კიდევ სამი დანაყოფი: 1. საეკლესიო; 2. სახაზინო; 3. საბატონო.
2. წოდებანი მამულებთანი, ჩვენებანი მათთა ადგილის მდებარეობათანი, რომელ სოფელ შინა იგინი არიან.
3. საზღუარნი, ზომა მამულისა და რაოდენობა შემოსავლისა, რაიცა დღის მიღების.
4. რაითვის იყო აქამომდე უცნობელად დატოვებული.
5. ვინ სარგებლობდა მამულით, რომლის წლიდგან და აძლევდა რასმე ეკლესიას, ანუ არა.
6. შენიშვნანი ვითარის სახითა რაოდენისა ხნის შემდგომად და რაოდენის მაგალითებრ და დაახლოვებით შეიძლება გამორჩომა ეკლესიისთვის შემოსავლისა“ (ფ. 254, ან 1, საქ. N 2045, ფ. 32ა.33).

არის ასეთი ჩანაწერებიც: „აღწერა ეკლესიის მამულთა და მდგომარეთა სარგებლობასა შინა მართალთა სოფლებისა საბატონოთა და სახაზინო ყმათასა. აგრეთვე რიცხვთათვის კომლთა მათთან და სულთა მამათა სქესისათა.“ ეს სიებიც ექვსი დანაყოფისგან შედგებოდა:

1. რიგითი ნომერი, მამულების რიცხვითი რაოდენობა. მამულების რიცხვში შედიოდა კიდევ სამი დანაყოფი: 1. საეკლესიონი; 2. სახაზინონი; 3. საბატონონი.

2. წოდებანი მამულებთანი, ჩვენებანი მათთა ადგილის მდებარეობათანი, რომელ სოფელ შინა იგინი არიან.
3. სამზღვარნი და ზომა მამულისა, რაიცა დღის მიიღების.
4. მიზეზი, რომელსაცა მამული დევს ეკლესიისა შემოსავლისა, რაოდენიცა მოსალოდნელი იქნებოდა, ანუ უკვე სრულებით არავითარ შემოსავლისა.
5. ვინ სარგებლობს მამულით და რა გამოსაღებს აძლევს ეკლესიას, ანუ ფულსა რომელსაცა აძლევს.
6. შენიშვნანი.

აღწერა - როგორ შეიძლება გამორჩენა მამულისაგან მიხედვით ადგილმდებარეობისა, თვისებისა და სივრცისა, მიწის შემოსავალი, რაოდენ შესაძლებელი არის უმეტეს რამდენის ხნის შემდგომა და რამდენად დიდ არს იგი მაგალითებრ და დაახლოვებით" [ფ. 254, ან 1, საქ. 2045, ფ. 62.].

კამერალური სიები: „საეკლესიო მამულთა და საჯაროთა შემოსავლის მომცემთა და ეკონომიურისა განკარგულებისა შინა მდგომარეთა რომელნიცა დღევანდლამდე ყოფილან ცნობილნი სასულიერო მთავრობისადმი და რომელნიცა უნდა მისცემოდნენ ხოლმე ეკლესიისა ცალკე განსაკუთრებულსა შემოსავალსა ხარჯისაგან საზოგადოებათა მიერ ძღეულთასა". ასეთი აღწერები უფრო მრავლისმომცველია და შეიცავს 15 გრაფას:

1. რიცხვი მამულთა;
2. წოდება სოფლებთა და უეზდთა, აგრეთვე სახელნი და გვარნი გლეხთანი;
3. მესამე გრაფაში შედიოდა: 1. რიცხვნი სულთა მამრობითი სქესისა, აქვეა სამი დანაყოფი: საეკლესიო, სახაზინო და საბატონო გლეხებისა.
4. რომლისა სარწმუნოებისანი არიან;
5. გვარი სახელი მებატონისა;
6. რომელ წელსა დასახლდა საეკლესიო, საბატონო და სახაზინო ყმა;
7. რამდენი აქვს გამართული და გაშენებული ეკლესიის ზედა საკუთარი გამართულობანი, საკუთარი მიწა და სხვა კაცთაგან შემოწირულთანი;
8. გამართულობათა რაოდენობა; (დაყოფილია ორ ნაწილად: დღიური და საჟენი კვადრატულად);
9. თითოეულ კომლს რაოდენი ეკლესიის მიწა აქვს (დაყოფილია ორ ნაწილად: ურწყავი და სარწყავი);
10. სამამულო მდგომარეობა: სახელდობრ, ეკლესიისა საზოგადოსა სარგებლობისა მრევლისა სოფლისასა ადგილზე მიჯნანი იმა მამულისანი;
11. ხარჯი განსაკუთრებული საზოგადოებისაგან უკეთუ ვინმე ესრეთსა აძლევს (გრაფა დაყოფილია ორ ნაწილად: რუბლი და კაპეიკი);
12. ვინ რას მოქმედებს, ვისდამი ხარჯისა და თვისთა გაზრდისა;
13. სამღებრონი საზოგადო და ეკლესიისანი, რომელიცა შედის შინა სოფლისასა;
14. ხარჯი საერთო სოფლისა, საზოგადოება დღესა აძლევს ეკლესიასა (იყოფა ორ ნაწილად: რუბლი და კაპეიკი);

15. მოცემა იმ ხარჯზედა, რომელსაც ეკლესია თუ საზოგადოება იმის ქმნაზედა თანახმა შეიქმნება" [ფ. 254, ან 1, საქ. 2045. ფ. 34. 61.].
აღწერა შედგენილია ქართულ ენაზე.



1873 წლის სოფელ საგარეჯოს კამერალური აღწერის გარეკანი



1886 წლის სოფელ საგარეჯოს კამერალური აღწერის გარეკანი

საუკუნის ბოლოს ჩატარებულმა ორმა კამერალურმა აღწერამ მასობრივი ხასიათი მიიღო, დაიხვეწა და უფრო მეტი ინფორმაცია მოგვცა.



1886 წლის კამერალური აღწერის ფორმა

საქართველოს საისტორიო არქივში დაცულია თბილისის სახაზინო პალატის კამერალური აღწერა N 296, 1873 წლის თბილისის მაზრისა და გუბერნიის სოფელ საგარეჯოს კამერალური აღწერა - კამერალნი სია. აღწერა დაყოფილია 11 გრაფად, დანაყოფები დასათაურებულია სამ ენაზე - რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე:

1. „ნომრები კომლთა რიგზე;
2. ნომრები, რომელთა ქვეშაც ჩაწერილნი არიან უკანასკნელ აღწერაში;
3. დასახელება ქალაქისა ან სოფლისა, ან ელისა, წოდება მოხარჯე პირთა, სახელები, მამის სახელები და გვარები მოხარჯე პირთა მამრობითისა სქესისა;
4. შობითგან რამდენის წლისა არიან;
5. ახსნა (ჩვენება) მომატების უკანასკნელის აღწერის აქეთ;
6. ერთიანად რიცხვი სულთა კომლში;
7. რომლის სარწმუნოებისა არის;
8. რა ჩამომავლობისა;
9. რა ხელობას აწარმოებს;
10. ხომ არ ასრულებს რომელსამე განსაკუთრებულ სამსახურს და სხვა შემთხვევითი განმარტება.
11. ახსნა დაკლებისა, რომელიც შესაძლოა მოხდეს აღრიცხვისა და სხვა შემთხვევათა გამო შემდეგის კამერალნის აღწერის წარმოებამდე" [ფ. 254, აღ.3, საქ. 126, ფ. 450.].

კამერალური აღწერით ნათელი ხდება, რომ ცალკე აღიწერებოდა დროებით მცხოვრები კომლები (ოჯახები), ასევე - სოფელში მცხოვრები ისეთი ოჯახები, რომელთა უფროსები (იგულისხმება მამაკაცები) გარდაცვლილები იყვნენ და ოჯახს სათავეში ქალები ედგნენ. ასეთი ოჯახები მოხსენიებულია, როგორც ქვრივების ოჯახები, მაგალითად, ადამ ქურხულოვის ქვრივის, ქეთევანის, ოჯახი. სულ იმ დროისთვის სოფელ საგარეჯოში აღიწერა 18 ქვრივის ოჯახი.

კამერალურ აღწერებში მუდმივად მცხოვრებლებს შორის მოიხსენებიან ისეთი გვარის ოჯახები, რომლებიც დღეს აღარ ცხოვრობენ საგარეჯოში. ასეთები იყვნენ: კაცნახევარაშვილები, კვირიკაშვილები, ნაღებაშვილები, კარელოვები, ილურიშვილები, საბანაძეები, ფოთოლაშვილები, ზარავანდაშვილები, გურასპაშვილები, მჭედლიძეები, ფარნაოზაშვილები, ათანელაშვილები, ავთანდილოვები, ასულაშვილები, დაბგიშვილები, ილურიშვილები, ატუაშვილები, ჭურაძეები, ჯიქურიძეები, ფეიქაროვები, მექვაბიევები, როინიშვილები, ბეიტლიშვილები, გრიგორიევები, ტლაშაძეები, ზაზილაშვილები, ტოგონიძეები, სირაძეები, ზუბილაშვილები, ჭანტურიძეები, სულაძეები.

აღწერებში მოიხსენიებულია გვარები: მარიხოვები - დღევანდელი მარიხაშვილები, ნიკოლაევები - დღევანდელი ნიკოლაიშვილები, გოდერძოვები - დღევანდელი გოდერძიშვილები, ნაკრულაშვილები - დღევანდელი ნაკულაშვილები,

ქართალელაშვილები - დღევანდელი ქართლელიშვილები, ნაცვალოვები - იგივე ნაცვლიშვილები, ექვთიმოვები - იგივე ექვთიმიშვილები, ავალოვები - დღევანდელი ავალიშვილები. გვარით ურდულაშვილები სიაში არ არიან მოხსენიებულნი, სამაგიეროდ გვხვდება გვარი ურდულაძე, რაც გვაფიქრებინებს, რომ ესენი დღევანდელ საგარეჯოში მცხოვრები ურდულაშვილების წინაპრები იყვნენ. 1873 წლის აღწერით ცნობილი ხდება, რომ იმერეთიდან სოფელ საგარეჯოში ახლად გადმოსულები იყვნენ ფირან სიმონის ძე იგივე სიმონ მთვარაძე (ასაკი - 51 წლის), მისი ვაჟები: ივანე და ალექსი, მათი წლოვანება 4 და 1 წლის, მეუღლე არ უწერია [ფ. 254, აღ.3, საქ. 126, ფ. 481ა.].

საგარეჯოს მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სიაში ვხვდებით ისეთ ჩანაწერებსაც, რომლებშიც კომლი ორი გვარით მოიხსენიება: მაგალითად, გვარით ფურცელაძეს უწერია ტაფარაშვილი; გვარ ექვთიმოვს უწერია (იგივე) პოპოვი. მექვაბიევები იგივე სულთანოვები, ატუაშვილები იგივე არტინოვები, ზოგიერთი დრეიძის გასწვრივ წერია ქარელიშვილები, არუთინოვებს უწერიათ ატუაშვილები.

1873 წლის კამერალური აღწერების საბოლოო შეჯამებამდე, იმავე წლის 9 დეკემბერს, თბილისის სახაზინო პალატის სამმართველოს მდივანმა ნატიევმა კამერალური სიების შეჯერებისა და მათში უნებლიე შეცდომების გამოსწორების მიზნით საგარეჯოს მოსახლეობას გააცნო დამატებითი აღწერა, რასაც ესწრებოდა 200-ზე მეტი ადამიანი. ეს დასტურდება მათი ხელმოწერებითა და სამმართველოს სამი ბეჭდით.

კამერალური აღწერა დასტურდებოდა სოფლის მმართველის უფროსის ბეჭდითა და ხელმოწერით. 1873 წლის აღწერით სოფელ საგარეჯოში სახაზინო მიწაზე მცხოვრები 704 კომლი დაფიქსირდა.

მომდევნო კამერალური აღწერა მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა 1886 წელს, ეს აღწერა უფრო მეტად დახვეწილი და მრავალი ინფორმაციის შემცველი იყო. შესაბამისად, აღწერა იყოფოდა 19 გრაფად:

1. რიგითი ნომერი ჯალაბობისა, ანუ მოსახლეობისა;
2. ნომერი 1873 წლის აღწერის მიხედვით;
3. წოდება (გვარი), სახელი, მამის სახელი, მამრობითი სქესისა და მათი მიმართულება ან დამოკიდებულება ოჯახის უფროსის მიმართ. პიროვნებების წლოვანება გაერთიანებულია მე-4, მე-5, მე-6 და 7 გრაფაში, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას მხოლოდ კომლის მამრობითი სქესის პიროვნებებზე, ხოლო მერვე გრაფაში მოცემულია ინფორმაცია კომლის მდედრობით პიროვნებებზე;
4. გრაფა - წელიწადი, თვე და დღე მეტრიკული წერილით;
5. წლოვანება აღნიშნული კამერალის აღწერაში;
6. ვარაუდათ, ასე შეხედვით, რამდენი წლისანი არის;

7. რამდენის არის 1 იანვარს 1886 წელს;
8. წლოვანება მდედრობითი სქესისა მხოლოდ ქრისტიანთ ოჯახის უფროსის ჩვენებით;
9. რომელი თემისაა (ანუ ეროვნება);
10. სარწმუნოება;
11. შინაური ენა, რომელზედაც ლაპარაკობენ.

შემდეგი სამი დანაყოფი გაერთიანებულია გრაფაში განათლება, რომელიც შეიცავს ასეთ კითხვარებს:

12. რა ენაზე იცის წერა-კითხვა;
13. იცის თუ არა რუსული (სახელმწიფო ენა);
14. სად მიუღია სწავლა და სად სწავლობს;
15. წოდება;

შემდეგი სამი გრაფა გაერთიანებულია ერთი დასახელებით - საკომლო ცნობანი.

16. მამულის მფლობელობისა;
17. რა ხელობისაა და რა საქმეს ადგია;
18. ვაჭრობაში (იგულისხმება მისი ვაჭრობაში ჩართულობა);
19. აღნიშვნა თუ რომელიმე მოემატა ან დააკლდა სიის შედგენის შემდეგ.

1886 წლის აღწერით სოფელ საგარეჯოში სახაზინო მიწაზე 222 სხვადასხვა გვარის ოჯახი იყო დასახლებული.

წინა კამერალური აღწერებისგან განსხვავებით დამატებულია უცხო გვარები და ისეთები, რომლებიც დღემდე არ ცხოვრობენ საგარეჯოში: ოსმიაშვილები, ხეციაშვილები, ჩარჩიაშვილები, ანდრეაშვილები, დარბანელისშვილები, დათიხელაშვილები, მარინეშვილები, მიხაშვილები, საპიროვები, ტირუაშვილები (ტირილაშვილები), ტერ-გაბრიელაშვილები, ახალკაციშვილები, პეტუხოვები, ჭიჭინაშვილები, ნიკიჩაშვილები, ჭანიძეები, ტლაშაძეები, ტანილაშვილები, გვრიტალიშვილები, საბანაძეები, დოლმაკოვები.

გვხვდება ახალი გვარებიც: ყანდარელები, მუჩაიძეები, დარბანელისშვილები, დარბანისელი (შემდგომში ეს გვარი უკვე ჩამოყალიბდა დარბაისელად).

1886 წლის კამერალურ აღწერაში, სახაზინო გლეხების გარდა, აღწერილია სოფელ საგარეჯოს პრივილეგიური ოჯახები. პირველ ნომრად დასახელებულია საგარეჯოს ღთისმშობლის სახელობის ტაძრის ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი და მისი აღმშენებელი სპირიდონ ივანეს ძე ჯაბადარის ოჯახი, ეს იყო ცნობილი ივანე ჯაბადარის მამის ოჯახი. იმ დროს ივანე ჯაბადარი 33 წლის ყოფილა. აღწერისას საგარეჯოში ჯაბადარების სულ 4 კომლი ცხოვრობდა, მათ შორის მიხეილ გიორგის ძე ჯაბადარისა და მისი ძმის - ცნობილი პუბლიცისტისა და გამომცემელის - ალექსანდრე გიორგის ძე ჯაბადარის ოჯახები. აღწერის ჟამს ალექსანდრე ჯაბადარი 29 წლის ყოფილა.

სოფელ საგარეჯოს პრივილეგიურ ოჯახებად მოიხსენიებოდნენ: ქვლივიძეები - 38 ოჯახი, ქურდიანები - 8 ოჯახი, ბაკურაძეები - 3 ოჯახი, მამარდაშვილები - 3 ოჯახი, დევდარიანები - 2 ოჯახი, ბაქრაძეები - 1 ოჯახი, ციციანოვი - 1 ოჯახი (მის გასწვრივ მინაწერია - სოფელ კარალეთიდან).

1886 წლის კამერალურ აღწერათა სიებში შეყვანილია საგარეჯოში დროებით მცხოვრები მოსამსახურეები:

1. ცნობილი საზოგადო მოღვაწე, წ.კ.გ. საზოგადოების წევრი ალექსანდრე ზებედეს ძე ცხვედაძე, რომელიც იმ დროს მოღვაწეობდა საგარეჯოს სკოლაში შტატიან მასწავლებლად, ჩამოსული იყო გორის მაზრიდან. აღწერისას ალექსანდრე ცხვედაძე 45 წლის იყო, მისი მეუღლე - 35 წლის.
2. მატვეი მიხეილის ძე ელჩინოვი, ასევე საგარეჯოს სკოლის მასწავლებელი, ეროვნებით რუსი, 28 წლის.

აღწერაში ცალკე გამოყოფილნი არიან სასულიერო პირების ოჯახები და ასეთი 16 ოჯახია:

1. დიმიტრი ნიკოლოზის ძე ხურციევი, 22 წლის;
2. ნიკოლოზ დავითის ძე დავიდოვი, დეკანოზი, 56 წლის;
3. პავლე ტიმოთეს ძე ქურხული, მედავითნე, 58 წლის,
4. დავით დავითის ძე გარსიევი, მღვდელი, 50 წლის;
5. ვასილ დიმიტრის ძე კიტიევი, მღვდელი, 36 წლის;
6. დიმიტრი პავლეს ძე დოლმაზოვი, 28 წლის;
7. ივანე იაკობის ძე გულისოვი, სოფელ გიორგი წმინდის მღვდელი, 35 წლის;
8. თადეოზ გაბრიელის ძე ტერ-გაბრიელოვი, მღვდელი, 58 წლის;
9. ზაქარია დავითის ძე ყანდარელი, მედავითნე, 44 წლის;
10. დიმიტრი ზურაბის ძე ფანოზაშვილი, მედავითნე, 36 წლის;
11. ზაქარია თადეოზის ძე ფხალაძე, მედავითნე, 24 წლის;
12. დავით სვეტნიკის ძე დემუროვი, წინა აღწერის დროს 26 წლის, გარდაცვლილი;
14. პეტრე აბრამის ძე ზარანოვი, შტატგარეშე მღვდელი, 74 წლის;
15. ზაქარია გულისოვი, მღვდელი, 54 წლის;
16. სერგოს ძე ესიტოვი, მღვდელი, 48 წლის.

საარქივო დოკუმენტებიდან ცხადი ხდება, რომ მოსახლეობის აღწერა მიმდინარეობდა საგარეჯოს უბნების მიხედვით, აღწერაში შეყვანილია სახაზინო მიწაზე დასახლებული 838 გლეხის ოჯახი, ანუ კომლი. კამერალურ სიებში შეყვანილია თბილისიდან, სართიჭალიდან, სიღნაღიდან, ყანდაურიდან, თელავიდან და სხვა დასახლებული პუნქტებიდან საგარეჯოში ჩამოსული და დროებით მცხოვრები 36 ოჯახი, პრივილეგიური 49 ოჯახი, სასულიერო პირების 14 ოჯახი. 1886 წლის კამერალური აღწერის მიხედვით სოფელ საგარეჯოში დასახლებული იყო სულ 939 კომლი, 268 სხვადასხვა გვარის წარმომადგენელი.



1886 წლის ს. საგარეჯოს კამერალური აღწერის დასკვნის ფურცელი

კამერალური აღწერის საბოლოო დასკვნაში ვკითხულობთ: სულ სოფელ საგარეჯოში ცხოვრობდა 838 გლეხის ოჯახი, მათ შორის: 2111 მამაკაცი, 1769 ქალი; პრივილეგიური 49 ოჯახი, მათ შორის: 136 მამაკაცი, 111 ქალი; სასულიერო პირთა 16 ოჯახი, მათ შორის: 40 სული მამაკაცი და 33 ქალი; დროებით მცხოვრები 36 ოჯახი, მათ შორის: 82 მამაკაცი და 74 ქალი. სულ მათი დაანგარიშებით სოფელ საგარეჯოში ცხოვრობდა 948 კომლი (ოჯახი), მათ შორის: 2304 მამაკაცი და 1981 ქალი. ამ დოკუმენტის სისწორეს ადასტურებდნენ თავად-აზნაურთა საკრებულოს დეპუტატები: სპირიდონ ივანეს ძე ჯაბადარი და ზაქარია გიორგის ძე ჩერქეზოვი.

დასასრულ, მინდა ავღნიშნო, რომ საქართველოში XIX საუკუნეში ჩატარებულ მოსახლეობის კამერალურ აღწერებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი დასახლებული პუნქტის - სოფლისა თუ ქალაქის - ისტორიისთვის. ამ აღწერებით კონკრეტულ შემთხვევაში ცნობილი გახდა, რომელი გვარებით იყო დასახლებული სოფელი საგარეჯო, როდის მოხდა ამა თუ იმ გვარის ჩამოსახლება, რამდენი სკოლა, რამდენი ეკლესია არსებობდა, რა ეროვნებისა და სარწმუნეობის მოსახლეობა ცხოვრობდა, ვინ რა ქონებას ფლობდა. აღწერები უდავოდ საინტერესო წყაროა ამა თუ იმ პიროვნების (ან მთლიანად ოჯახის წევრების) ასაკის, ამა თუ იმ გვარის წარმოშობისა და მათი ისტორიის დასადგენად.

წყაროები:

საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი (სსცა):

1. ფ. 254, აღ.1, საქ. 804;
2. ფ. 254, აღ.1, საქ. 2044;
3. ფ. 254, აღ. 3, საქ.126;
4. ფ. 254, აღ. 3, საქ.1630.

TINATIN JABADARI
National Archives of Georgia

POPULATION OF GARE KAKHETI ACCORDING TO CAMERAL CENSUS

Summary

In the beginning of XIX century, after joining Georgia to Russia, there were founded new institutions in Georgia, both administrative and agricultural. In 1802 4 expeditions were established, including Tbilisi Treasury Expedition.

For the purpose of obtaining complete information about the population of Georgia by Tbilisi Treasury Expedition, the cameral census of the population was held several times. In the beginning of the century, the census of the population as well as the description of the estates were held. These lists were accounted for by the church, peasants and treasury peasants. Family lists were made, the main goals of which were: accurate registration of persons for military service, specifying the social and national composition of the population and defining the tax capabilities of each household.

In the beginning of XIX century family lists were made, the main goals of which were: accurate registration of persons for military service, specifying the social and national composition of the population and defining the tax capabilities of each household. Each list was divided into several parts, there was determined the number of church, treasury and estates.

The report covers 1873, the 1886 cameral census of the population of East Georgia, several villages of Tbilisi, namely Gare Kakheti, today's Sagarejo and the population, settled at the surrounding lands and its results. The report is based on documentary material protected in the Georgian historical archive.

Cameral census of the population, held in XIX century has a great importance for history of any named village or city. In this case, it was known by two these censuses, which surnames Sagarejo village was named by, when was settled this or that surname, how many schools and churches existed, what nationality and credibility people lived in and who and which property owned. The censuses are undoubtedly an interesting source to determine the origin of the name of this or that person (or the entire family), the age, the origin of this or that name and to determine their history.

დავით სულაბერიძე
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

აგიაშვილთა საგვარეულო ნივთები ქუთაისის მუზეუმში

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში ქართულ თავადურ საგვარეულოებთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი და დიდი კულტურულ-ისტორიული ღირებულების მქონე მასალებია დაცული. მათ ძირითად ნაწილს წერილობითი ძეგლები - ისტორიული დოკუმენტები შეადგენს. ისინი საინტერესო და უხვ ცნობებს გვაწვდის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ საეკლესიო ყოფა-ცხოვრების შესახებ. რაც შეეხება სხვა სახის მატერიალურ მასალას, ესენია: ეკლესია-მონასტრებისთვის შეწირული ჯვარ-ხატები, ნაქარგი ქსოვილები და საეკლესიო-სარიტუალო ნივთ-სამკაულები. ბევრი მათგანი არა მარტო საკულტო ნივთი და ხელოვნების ნაწარმოებია, არამედ ეპიგრაფიკული ძეგლიც. მათი წარწერები საინტერესო და ღირებულ ინფორმაციას შეიცავს, პირველ ყოვლისა, ნივთის „მომგებთა“. ასევე სხვა ისტორიულ პირთა თუ ცალკეულ მოვლენათა შესახებ. აქ ჩვენ შევხვდებით იმერეთის თითქმის ყველა თავადურ გვარს: აბაშიძეს, მხეიძეს, წერეთელს, წულუკიძეს, ჩხეტიძეს, აგიაშვილს, ღოღობერიძეს, ჩიჯავაძეს, ნიჟარაძეს, მიქელაძეს, იაშვილს, ლორთქიფანიძეს.

გაცილებით მცირე რაოდენობით მოაღწია ჩვენამდე წარჩინებულ საგვარეულოთა წარმომადგენლების პირადმა ნივთებმა; ძირითადად, ესენია: იარაღ-საჭურველი, საბეჭდავები, სამკაულები, სამოსელი და სხვა. მათგან რამდენიმე, ყველაზე რჩეული ნივთი, ამჟამად ქუთაისის მუზეუმის ექსპოზიციას ამშვენებს.

ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ აგიაშვილებზე და მათ სახელთან დაკავშირებულ სიძველეებზე.

აგიაშვილების გვარის ისტორია შეისწავლა ო. სოსელიამ. სარგის კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული საარქივო დოკუმენტების, „ქართლის ცხოვრების“ ცნობის, ასევე ზეპირგადმოცემების მოშველიებით მკვლევარმა დაადგინა, რომ აგიაშვილის ადრინდელი გვარი ყოფილა ომათმათიძე. სარგის კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტებით, მე-17 ს-ის 60-იან წლებში იმერეთის სამეფოში ციხისთავის სახელო ომათმათიძეებს ეპყრათ. ესენი იყვნენ: არმაბეგი, იოვანე, ავაგი, თეიმურაზი. ამ უკანასკნელის მემკვიდრე (ძმისშვილი), ციხისთავი ვახტანგი კი აგიაშვილად იწოდება. ო. სოსელიას განმარტებით, რადგან ომათმათიძეები იმერეთის მეფეს ერთგულად ემსახურებოდნენ, მას არ ექნებოდა მიზეზი ეს სახელო სხვა გვარისთვის გადაეცა. გარდა ამისა, ყველა ის ადგილ-მამული,

რასაც ომათმათიძეები ფლობდნენ, შემდეგ აგიაშვილების ხელში გადავიდა.

აგიაშვილების სათავადოს ტერიტორია ვაკე იმერეთში მდებარეობდა და ძირითადად მოიცავდა ტყაჩირს, უკანეთს, პატრიკეთსა და ცუცხვათს. ამას გარდა, ისინი ყმა-მამულს ფლობდნენ იმერეთის სხვადასხვა კუთხეში [სოსელია, 1973:214]. სხვა სათავადოების მსგავსად, აგიაშვილებს ჰქონდათ რეზიდენცია, სასახლე, კარის ეკლესია და ციხესიმაგრე. სათავადოს ადმინისტრაციულ ცენტრებს ცუცხვათი და ტყაჩირი წარმოადგენდა. ცუცხვათში ჰქონდათ ციხე, სასახლე და ღმრთისმშობლის ეკლესია; ტყაჩირში - სასახლე, ციხე და ორი ეკლესია [სოსელია, 1973:214].

აგიაშვილებს იმერეთის სამეფოში მაღალი სამოხელეო თანამდებობები ეჭირათ. ისინი იყვნენ ციხისთავები, სარდლები და ქეშიკთუხუცესები. ციხისთავების რიგი დაახლოებით ასე გამოიყურება: არმაბეგ ომათმათიძე - იოვანე ომათმათიძე - ავაგი -თეიმურაზი (უძეო) - ვახტანგ აგიაშვილი (ციხისთავის ძე) - ბეჟან ვახტანგის ძე. მე-17 ს-ის მიწურულიდან მე-18 ს-ის შუახანებამდე ციხისთავობა აბაშიძეებს ეპყრათ, 1743 წ-ის შემდეგ კი მეფემ ის კვლავ აგიაშვილებს დაუბრუნა. ჯერ სვიმონია ამ თანამდებობაზე. შემდეგ მისი შვილი - ქაიხოსრო და ბოლოს კი იოვანე ქაიხოსროს ძე.

აგიაშვილთა გვარი ფლობდა სარდლის თანამდებობასაც. ამ სახელოს მფლობელად 1712 წ. სვიმონ აგიაშვილი ჩანს (ქსიმ, საბ.№982). იმერეთის სამეფო 4 სადროშოდ იყოფოდა. თითოეული სადროშო ცალკეულ საგვარეულოებს მემკვიდრეობით ეპყრათ. აგიაშვილები ოკრიბა-ლეჩხუმის სადროშოს სარდლები იყვნენ. ამ სადროშოს სარდალი „მეწინავედ" იწოდებოდა და ლაშქრობის დროს მეფეც თავისი ამალით მათთან ერთად დგებოდა. „მხნეობასა და სიმარჯვეთა მათისათვის იყვნენ სრულად იმერეთის მხედრობის წინამძღოლნი სარდალნი, რომელსაც უწოდებენ მეწინავეთ" - წერდა ოდიშის მთავარი ლევან V დადიანი (ქსიმ. საბ.№1963). სარდლის სახელო აგიაშვილებმა იმერეთის სამეფოს გაუქმებამდე შეინარჩუნეს.

აგიაშვილები ფლობდნენ ქეშიკთუხუცესობასაც. ამ სახელოს მფლობელის მოვალეობა მეფის პირადი დაცვის ხელმძღვანელობა იყო. მათ გვარში ამ თანამდებობის პირველი მფლობელი ქაიხოსრო სვიმონის ძე იყო, უკანასკნელი - მისი ვაჟი იოვანე (ივანე). ქეშიკები იცავდნენ სამეფო კარს. მათგან სამი იარაღით ხელში მოუცილებლად ახლდა მეფეს. ღამე მეფის საწოლთან იდგნენ, დაჰყვებოდნენ მას ყველგან, მაშინაც კი, როცა იგი დედოფლის დასასვენებელ ოთახში მიდიოდა, კარებთან ელოდებოდნენ მეფეს გამოსვლამდე [სოსელია, 1973:226]. 1753 წ-დან ქეშიკთუხუცესობა ქაიხოსრო აგიაშვილს ჰქონდა [საისტორიო.. 1925:95], მაგრამ ერთხანს (1759-1766 წწ.) სოლომონს ამ თანამდებობაზე გიორგი მხეიძე დაუსვამს. შემდეგ, როგორც ჩანს, მეფეს ისევ უბოძებია ქეშიკთუხუცესობა ქაიხოსროსთვის. 1777 წ-დან იგი სარდლადაც იწოდება.

ამრიგად, მის ხელში მეფემ დროთა განმავლობაში სამივე თანამდებობა გააერთიანა [ქსიმ, საბ.№984; საისტორიო.. 1925:95]. ქაიხოსრო სიცოცხლის ბოლომდე ფლობდა ამ სახელოებს და ერთგულად ემსახურებოდა მეფეს. 1784 წ. აჭარაში სოლომონის წარუმატებელი ლაშქრობის დროს, სარდალი დაიჭრა, მისი ძმა კი დაიღუპა: „...მე და ჩემი ძმა ბატონს ჩაქვს ვახლდით. მის წინ ჩამოვვარდით ორივე. ჩემი ძმა მოკლეს და მე თოფები მკრეს" (ქსიმ, საბ.№1768). „...დაკოდნეს სარდალნი წულუკიძე ბერი და აგიაშვილი ქაიხოსრო, მოჰკლეს მრავალნი წარჩინებული თავადაზნაურნი", - წერს ნ. დადიანი [დადიანი, 1962:181]. ქაიხოსრო 1793 წ. გარდაიცვალა. მეფემ მისი თანამდებობები უფროს ვაჟს, იოანეს (ივანეს), უბოძა. 1799 წ. გაცემული წყალობის წიგნით სოლომონ II სარდალ-ქეშიკთუხუცეს აგიაშვილ იოანეს, მის ძმებსა და შვილებს წინამორბედ მეფეთა მიერ ერთგული სამსახურისთვის ნაბოძებ ქონებას უმტკიცებს (ქსიმ, საბ.№89). აღსანიშნავია, რომ 1802-1817 წწ.-ის საბუთებში სარდალ-ქეშიკთუხუცესის და ციხისთავის წოდებით, იოვანეს გარდა, მისი ძმებიც: სვიმონი, დავითი და გიორგიც არიან დაფიქსირებული (ქსიმ, საბ.№15, 846, 872, 986, 1703, 1709, 1730, 1763, 1766). აგიაშვილები ბოლომდე მხარში ედგნენ სოლომონ მეფეს რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში. სოლომონი აგიაშვილთა რეზიდენციაში - ტყაჩირში -იმყოფებოდა და იქ კრებდა ლაშქარს. 1810 წ. რუსებმა დამარცხებული მეფის მომხრე თავადების და მათ შორის აგიაშვილების სასახლე და ადგილ-მამული სასტიკად დაარბიეს (ქსიმ, საბ.№1695). მოგვიანებით აგიაშვილები რუსეთის ხელისუფლებას შეურიგდნენ და მათ სამსახურში ჩადგნენ. 1823 წ. საბუთის მიხედვით იოვანე აგიაშვილი „პარუჩიკის" წოდებას ატარებს (ქსიმ, საბ.№1706). იგი 1835 წ. ახლო ხანებში გარდაიცვალა.

ქუთაისის მუზეუმში დაცული სიძველეები დაკავშირებულია ქაიხოსრო, ივანე, დავით და თეიმურაზ აგიაშვილების სახელებთან. ქაიხოსროს პაპა ავაგმა XVII ს-ში ს. ჭალისთავში ააგო ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია. აქვე, ს. ცუცხვათის წმ. გიორგის ეკლესიაში, XX ს-ის 30-იან წლებამდე, გიორგი ბოჭორიძის ინფორმაციით, შემორჩენილი იყო ავაგისა და მისი მეუღლის დაკვეთით დამზადებული წმ. გიორგის ვერცხლის ხატი [ბოჭორიძე, 1995:80]. თურქების მიერ იმერეთის დაპყრობისას ს. ჭალისთავის ეკლესია დაუნგრევიათ და გაუძარცვავთ. ავაგის შვილიშვილს, იმერეთის სარდალ-ქეშიკთუხუცეს ქაიხოსროს, ეს ეკლესია აღუდგენია, ჯვარ-ხატებითა და სარიტუალო ნივთებით შეუმკია და მისთვის ყმა-მამული შეუწირავს. შეწირულობის წიგნი ქუთაისის მუზეუმშია დაცული (ქსიმ, საბ.№996). საქიტიტორო წარწერა ეკლესიის დასავლეთის კარის თავზე გვაუწყებს: „ეჰა, შენ მნათობთა ყოველთა უბრწყინვალესო, თიებო დაუალისა, ნათლისაო დედაო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესო, ავაშენე ტაძარი ჩვენ დიდებულისა და ძლიერისა ხელმწიფის მეფის სოლომონის ქეშიკთ უხუცესმან ციხის თავმან ქაიხოსრომ სულისა ჩვენისა სახსრად" [ბოჭორიძე, 1995:79].

ტყაჩირის წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესიაში ინახებოდა ვერცხლის ბარძიმი წარწერით: „ქ. ღმერთო, შეიწყალე სული ციხისთავის აგიაშვილის ქაიხოსროსი" [ბოჭორიძე, 1995:33]. ამ ქაიხოსრო აგიაშვილს ეკუთვნის ქუთაისის მუზეუმში დაცული ცხენის აკაზმულობა. 1923 წ. მუზეუმის დავთარში აღნიშნულია: „№58ა. რახტი ვერცხლით მოჭედილი. 1. საშუბლე; 2. ავშარი; 3. სამკერდე; 4. საფაფრე". 1954 წ. კატალოგში ამ ჩამონათვალს დამატებული აქვს ფრჩხილებში ჩასმული განმარტება: ქ. აგიაშვილისა. ცხენის აკაზმულობის ამ 4 ნაწილის გარდა, მუზეუმში დაცულია მხატვრულად გაფორმებული და წარწერიანი უზანგები, რომლებიც, უეჭველია, ზემოჩამოთვლილი აღკაზმულობის ნაწილია, რადგან მათზე სარდალ-ქეშიკთუხუცეს ქაიხოსროს სახელია დატანილი.

შუა საუკუნეებში მებრძოლები, იარაღ-საჭურვლის გარდა, ცხენის სათანადოდ მორთვა-მოკაზმვაზეც ზრუნავდნენ. ამისთვის იყენებდნენ ძვირფას ლითონებს, მარგალიტებს, სადაფსა და სპილოს ძვალს. 1611 წ. აფხაზეთის კათოლიკოსმა ეფთვიმე საყვარელიძემ გიორგი ლიპარტიანს მისცა: „ერთი ოქროს მოჭედილი უნაგირი, მურასა ვერცხლის ლაგამითა, ვერცხლის სადევითა, ვერცხლისა სამკედლითა, ვერცხლის მათრახითა, ოქროქსოვილის ასალითა..." [ქსძ, III, 1970:394]. მდიდრულად რთავდნენ არა მარტო სამამაცო, არამედ სადიაცო ცხენის აკაზმულობას. ქუთაისის მუზეუმში დაცულია „სედლო-უნაგირი" (საინვ. №9317/1823), რომლის ასალი შემკულია 948 ვერცხლის სხვადასხვა ზომის, სევადით მხატვრულად გაფორმებული ფირფიტებითა და ღილებით. ერთ ოვალურ ფირფიტაზე ქართული წარწერაა: „გოგუცა ასათიანის ასული". 1820 წ. შედგენილ საკათალიკოსო ნივთების ნუსხაში, რომელიც დოსითეოზ ქუთათელს ებარა, შეტანილია მდიდრულად მორთული ცხენის აკაზმულობა: „ის ცხენის იარაღი წითელს ტყავზე ვერცხლის მოოქვრილის რახტით სამკერდეზე ორმოცდა თექვსმეტის ბალთით. სათაურით ეგრეთვე ამ გვარისავე ვერცხლისა მოოვოქვრილით. ზევით ორის ცისფერის ქვით, რომელსაცა აქვს სადავე შავის ტყავისა" [Гордеев, 1924:122-123]. ცხენის აკაზმულობაზე ზრუნვა რომ ფართოდ გავრცელებული წესი იყო, ამას ქართული იკონოგრაფიის მდიდარი მასალაც აჩვენებს. ჭედურ და ფერწერულ ხატებზე, ფრესკებზე წმინდა მხედრები საგანგებოდ მორთულ ცხენებზე სხედან. რა თქმა უნდა, ცხენის მდიდრულად მორთვა მფლობელის ეკონომიკურ შესაძლებლობაზე იყო დამოკიდებული და ეს ძირითადად ხელეწიფებოდათ თავად-აზნაურებს, მაღალ საერო და სასულიერო წოდების წარმომადგენლებს.

ქ. აგიაშვილის ცხენის აკაზმულობის კომპონენტები: საშუბლე, ავშარა, სამკერდე (2ც.), საფაფრე მთლიანად ვერცხლისგანაა დამზადებული და აცმულია ტყავის ღვედებზე. ვერცხლის დეტალები საგულდაგულოდაა დამუშავებული: გაფორმებულია მხატვრულად და დაფერილია ოქროთი. უზანგებიც უნაკლო ნახელავია: ოქრომჭედელ ოსტატს რკინის უზანგებზე ვერცხლის ზარნიშით

მცენარეულ-ყვავილოვანი ორნამენტები და ცხოველები აქვს გამოსახული. ეს უზანგები ფორმითა და მხატვრული დამუშავებით ძალზე ახლოსაა სოლომონ მეფის უზანგებთან, რომლებიც ამჟამად ერმიტაჟის მუზეუმშია დაცული. ისინი ვერცხლითაა მოზარნიშებული და ზედ დატანილია ყვავილებისა და ფრინველის ორნამენტი. ორივეზე მხედრულად აწერია: „მეფე სოლომონ" [წურწუმია, 2016:580].

წარწერიანია ქ. აგიაშვილის ცხენის უზანგებიც. ორივე უზანგის ძირზე გარედან იკითხება: „ქ. დიდებულის ხელმწიფის მეფის სოლომ(ო)ნის სარდალ ქეშიკთუხუცესი ციხისთავი ქაიხოსრო".

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიძველე, რომელიც აგიაშვილებს უკავშირდება და ქუთაისის მუზეუმის ექსპოზიციაშია წარმოდგენილი, არის დროშის ტარი შუბის წვერით და მასრაზე წარწერით. 1954-1961 წწ-ში შედგენილ სამუზეუმო ნივთების კატალოგში იგი ასეა აღწერილი: „№2853. მახვილი, რომელსაც თითბრის ბურთი აქვს. წარწერები ქართულ ენაზე". მუზეუმის ძირითად შემოსულობათა №2 საინვენტარო წიგნში 1926 წ. №1825 გატარებულია: „დროშის ტარი, შემკული ზარნიშითა და მხედრული წარწერით. შემოწირული ს. ტყაჩირში მცხოვრები ნატალია აგიაშვილისაგან". პირველი მკვლევარი, ვინც ამ ნივთის რაობითა და წარწერით დაინტერესდა, იყო ც. ზვიადაძე, რომელმაც იგი შუბად მიიჩნია [ქუთაისის.. 2010:130-133]. სტატიაში მკვლევარი აღნიშნავდა, რომ „საინვენტარო დავთრებში არ ჩანს ნივთის სათავგადასავლო ან მუზეუმში შემოსულობასთან დაკავშირებული ისტორია" [იქვე, გვ. 130]. როგორც ვთქვით, ეს სიძველე 1926 და 1954 წწ-ის მუზეუმის საინვენტარო წიგნებში გატარებულია როგორც მახვილი და დროშის ტარი. ორივე ჩანაწერი რომ ერთსა და იმავე ნივთზეა, ახლა ეჭვგარეშეა, რადგან სხვა ასეთი აღწერილობის ექსპონატი (არც შუბი, არც მახვილი, არც დროშის ტარი) მუზეუმში არ ინახება. რაც შეეხება შემოსულობას, იგი მუზეუმში წარმოადგინა გიორგი ბოჭორიძემ 1926 წელს ს. ტყაჩირში შეგროვებულ სხვადასხვა სიძველესთან ერთად. ნივთი ინახებოდა ნატალია აგიაშვილის სახლში [ბოჭორიძე, 1995:34, 275].

შევეცდებით გავარკვიოთ, რასთან გვაქვს რეალურად საქმე. ნივთის მონაცემები ასეთია: 108 სმ-ის ტყავგადაკრულ ხის ტარზე წამოცმულია 18 სმ. გარშემოწერილობის ლითონის სფერო (ე. წ. ვაშლი), შემდეგ კი - მასრიანი შუბისპირი. მასრის სიმაღლეა 14 სმ; შუბისპირის - 15 სმ. ეს უკანასკნელი სამწახნაგოვანია. მასრის ზედაპირი დაფარულია ოქროს ზარნიშით შესრულებული სამფურცლოვანი ყვავილის ორნამენტითა და მხედრული ქარაგმიანი წარწერით.

წარწერა ორი ნაწილისგან შედგება: პირველში მოცემულია წმ. გიორგის ტროპარი, მეორეში - კონდაკი-სადიდებელი, რომელიც ეკლესიაში სრულდება წირვის დროს [ქუთაისის..,2010:132]. წარწერას არა აქვს თარიღი, მხოლოდ ბოლოში მამაკაცის სახელია აღნიშნული. ც. ზვიადაძის ვარაუდით, ვახუშტი ბაგრატიონი

თავის ნაშრომში წმ. გიორგის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემით არის გამსჭვალული და არ არის გამორიცხული, შუბის ასეთი სახით შექმნის იდეის ავტორი სწორედ ვახუშტი იყოსო [ქუთაისის.., 2010:132]. ჩვენი აზრით, წარწერაში დასახელებული „ვახუშტი" ვახუშტი ბატონიშვილს კი არ გულისხმობს, არამედ ამ ნივთის მფლობელს. ამ შემთხვევაში ჩვენ პარალელი შეიძლება გავავლოთ სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში დაცულ ერთ ექსპონატთან, რომელიც მიჩნეულია შუბის წვერად და მასაც ოქროსზარნიშიანი წარწერა აქვს, ოღონდ ჩვენი ნივთისგან განსხვავებით არა მასრაზე, არამედ წახნაგებზე. ამ შუბის წვერს ერთი წახნაგით მეტი აქვს (ოთხწახნაგაა), ამას გარდა, არ აქვს ტარი და უცნობია, ჰქონდა თუ არა სფერო. ზომით ორივე ნივთი თითქმის ერთნაირია, ახალციხურს აქვს სამანჭვალე ნახვრეტი. წარწერა აქაც ქარაგმიანია და ასე იკითხება: „ქ. მომეც ჩვენ უ(ფალ)ო შეწევნა ჯირხ(ს)ა რ(ომე)ლ ღ(მრთ)ისა მიერ ვყოთ ძალი და მან შეურაცხყოს მტერნი ჩვ(ე)ნ(ნი)" [წურწუმია, 2016:422]. მ. წურწუმია ამ ნივთს საბრძოლო იარაღად თვლის და აღნიშნავს, რომ წარწერა ნივთის მფლობელის მითითებით არის დამზადებული.

საკითხის გასარკვევად მოკლედ უნდა შევეხოთ დროშების თემას. შუა საუკუნეების ქართული დროშა შედგებოდა ქსოვილის, ხის ტარისა და დროშის თავისგან. ქსოვილი იყო ოთხკუთხა ან სამკუთხა ფორმის, ორ და სამკუდიანი [ბარნაველი, 1953:14]. დროშა ბოლოვდებოდა ჯვრით ან შუბის პირით. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ კარგად ცნობილი სვანური „ლემი", ზოომორფული დროშა, რომელიც ბოლოვდება მოოქრული ვერცხლის შუბის თავით, ზედ წმინდანთა გამოსახულებით და ასომთავრული წარწერით ასევე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული გელათური ოთხთავის ყდის ჭედური გამოსახულება - ქრისტე წმ. გიორგის დროშით, რაზეც ჯვარია დამაგრებული. კიდევ ქუთაისის მუზეუმში დაცული სოლომონ მეფის დროშა, რომლის თავსაც ვერცხლის მასიური ჯვარი წარმოადგენს. თეიმურაზ ბაგრატიონი დროშას ასე აღწერს: „დროშა ბაირახის ხე არის, რომელსაც თავზე შუბი ექმნება დაგებული და ალამი მასზედ აბმული, რომელსა ზედაცა ნიშანიცა იქმნებიან ანუ ქვეყანასა, ანუ სპათა გამოხატულნი ღერბნი, ანუ ხატნი ვითა ვიეთთა ანუ ვითარად" [ბაგრატიონი, 1979:49-50].

შუბით დაბოლოებული დროშებია: „ამილახვრიანთ საომარი დროშა", სვანური „ლემი", პაპუა მოურავის, იულონ ბატონიშვილის დროშები, სოფ. გერის ეკლესიის საბრძოლო დროშა [ბარნაველი, 1953:21, 27, 59, 64, 67]. ჯვრის თავით დაბოლოებული დროშებიდან შემორჩა წმ. კვირიკეს ეკლესიის დროშა, ქიზიყის დროშა (როსტომ-ხანის დაკვეთით დამზადებული), მჭადიჯვრის დროშები, კონსტანტინე მუხრან-ბატონის დროშა [ბარნაველი, 1953:20, 52, 69-71].

მოხმობილ მასალაზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, ნატალია აგიაშვილის მიერ შემოწირული ნივთის რაობას სწორად განსაზღვრავს მკვლევარი გიორგი

ბოჯორიძე, როცა მას დროშის ტარად მიიჩნევს. თუ გავითვალისწინებთ დროშის თავის წარწერას, აგიაშვილთა დროშაზე წმინდა გიორგი უნდა ყოფილიყო გამოსახული. რაც შეეხება წარწერაში აღნიშნულ ვახუშტის პიროვნებას, იგი სასარდლო დროშის მცველად შეიძლება მოვიაზროთ და არაა გამორიცხული, ის აგიაშვილთა გვარიდან ყოფილიყო.

ქუთაისის მუზეუმში დაცულია იმერეთის სამეფოს უკანასკნელი სარდალ-ქეშიკთუხუცესის იოვანე (ივანე) აგიაშვილის პირადი ნივთიც. იოვანე, როგორც აღვნიშნეთ, უფროსი ვაჟი იყო ქაიხოსროსი. ამის გარდა, ქაიხოსროსთვის ბოძებულ წყალობის წიგნებში მის შვილებად იხსენებიან: დავითი, სვიმონი, გიორგი და ანტონი (ქსიმ, საბ.№984, 966, 991). ძმებიდან ანტონი იყო სასულიერო პირი [სოსელია, 1973:241]. 1810 წელს, როცა სოლომონი რუსებთან საბრძოლველად ახალციხიდან დაბრუნდა, „აბაშიძის ქრონიკის" ცნობით, „მივიდა მეფე ტყაჩირს აგიაშვილის სასახლეშიდ. და შეკრბა იმერეთი და აღიძრა შფოთი რუსსა და მეფეს შუა. და იყო ჩხუბი" [ჟორდანია, III, 1967:473]. ივანეს ძმა სვიმონი თავისი რაზმით ქუთაისისკენ მომავალ რუსის ჯარს ჭიშურასთან შეებრძოლა, მაგრამ დამარცხდა და უკან დაიხია [დადიანი, 1962:202]. ქაიხოსრო და დავით აგიაშვილები დამარცხებულ სოლომონთან ტრაპიზონში ჩავიდნენ, ხოლო აქ დარჩენილმა მათმა მოგვარეებმა, მეფის დამარცხების მიუხედავად, რუსის ხელმწიფის ერთგულებაზე არ დაიფიცეს. ამ დაუმორჩილებლობისათვის, როგორც ვთქვით, რუსებმა აგიაშვილების ადგილ-მამული სასტიკად დაარბიეს. მოგვიანებით აგიაშვილები იძულებული გახდნენ შექმნილ მდგომარეობას შეგუებოდნენ და რუსეთის ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარიყვნენ. ქუთაისის მუზეუმში დაცული ერთი საბუთის მიხედვით, იმერეთის სამეფოს უკანასკნელი სარდალ-ქეშიკთუხუცესი იოვანე „პარუჩიკის" ჩინს ატარებდა (ქსიმ, საბ.№1706).

იოვანეს ს. ტყაჩირში თავისი საგვარეულო სალოცავის წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესიისთვის საცეცხლური შეუწირავს. ეს ნივთი 1926 წ. გიორგი ბოჯორიძემ ამ ეკლესიაში ნახა. მანვე ამოიკითხა წარწერა: „წმიდაო მოწამეო, კვირიკე მარადის მსასოებელი მსახურებისა შენისა შემოგწირავ სირმის საცეცხლურსა ამას, სულისა ჩემისა საოხად. თ-ად სარდალ ქეშიკთუხუცესი ციხისთავი აგიაშვილი იოვანე" [ბოჯორიძე, 1995:33]. მეორე ნივთი ფეშხუმია, მასაც წარწერა ჰქონია: „ქ. ღმერთო, შეიწყალე სული ციხის თავის აგიაშვილის იოვანესი შეწირული წმინდის კვირიკის ამინ" [ბოჯორიძე, 1995:33]. როგორც ჩანს, საცეცხლური იოვანეს სიცოცხლეშია შეწირული, ფეშხუმი კი - მისი გარდაცვალების შემდეგ (1835 წ. შემდეგ).

ქუთაისის მუზეუმში დაცული იოვანეს პირადი ნივთი ვერცხლის გულსაკიდი-სანაწილეა (საინვ. №3345/127). იგი ნატალია აგიაშვილისგან შეიძინა მუზეუმმა [E-192/113717]. სანაწილე საკმაოდ დიდი ზომისაა - 9.5x9x1.5 სმ. წინაპირზე ორნამენტირებული ჯვარია, მის გარეთ, ოთხივე კუთხეებში, ყვავილებია გა-

მოსახული. კოლორისტული ეფექტისთვის გამოყენებულია სევადი. მეორე მხარეც ორნამენტირებულია: მასზე ერთმანეთთან დაკავშირებული ხუთი ყვავილის გვირგვინია. ზედა ნაწილში, სადაც დეკორატიული ხაზები რომბს ქმნის, ქართულად ამოკვეთილია წარწერა: „აგიაშვილი ივანე". სანაწილეს აქვს საკიდი ჯაჭვისთვის. სანაწილეში, აღწერილობის მიხედვით, მოთავსებული ყოფილა წმინდა ნაწილები და ორი მინიატურული ხატი. ამჟამად მასში ინახება: წმ. გიორგის, წმ. ნიკოლოზის, წმ. პანტელეიმონის, წმ. ხარლამპის ნაწილები, ვერცხლის არშიები დანაწევრებული სახით. რაც შეეხება „ორ მინიატურულ ხატს", ისინი სინამდვილეში ოსმალური მონეტებია. დამუშავების ტექნიკისა და ორნამენტული გაფორმების სტილიდან გამომდინარე, სანაწილე კოლოფი XIX ს-ში უნდა იყოს დამზადებული, ივანე აგიაშვილის სიცოცხლეში, 1835 წ-მდე.

ქუთაისის მუზეუმში დაცულია წმ. კვირიკესა და ივლიტას ხატი (საინვ.№3187). იგი ს. ტყაჩირის ამავე წმინდანთა სახელობის ეკლესიიდან არის შემოსული 1924 წ. ხატი ფერწერული და ჭედური ტექნიკითაა დამზადებული (ხატზეა 40 თვალ-მარგალიტი). ფერწერული ფენა ჭედურობაზე ძველი ჩანს. ამ ხატის განახლება თეიმურაზ აგიაშვილის სახელთანაა დაკავშირებული. თეიმურაზი იოვანეს ძმის, სვიმონის შვილი იყო (ქსიმ, საბ.№1702, 1710). სვიმონს ცოლად ჰყავდა „დიდი" ნიკოს და, ეკატერინე დადიანი. თეიმურაზის გარდა, მათ 5 ვაჟი ჰყავდათ. თეიმურაზს ზუგდიდის მაზრაში მდივან-ბეგის თანამდებობა ეჭირა და „პრაპორშჩიკის" ჩინს ატარებდა [ქსიმ, საბ.№1139; მეუნარგია, 1939: 113-114]. იგი ზემოხსენებული ხატის წარწერაში საკუთარ თავს „სრულიად იმერთა სარდალს და ტახტის პრაპორშჩიკს" უწოდებს [ქუთაისის.. 2001:63]. წარწერაში საუბარია ხატის მოჭედვასა და შემკობაზე, ანუ წმ. კვირიკესა და ივლიტას ფერწერული ხატი თეიმურაზს განუახლებია და თვალ-სამკაულით გაუმშვენებია: „მოვაჭედინე ხატი ესე თქვენი სრულიად ვერცხლითა და ოქროთა, შეგამკევ თვალთა და მარგალიტთა" - აღნიშნულია წარწერაში. ეს მომხდარა 1841 წ. [ქუთაისის.. .2001:63]. აქვე იხსენიება თ. აგიაშვილის მეუღლე - ეკატერინე გელოვანი. თეიმურაზი ბიბლიოფილიც ყოფილა. №196 კარაბადინის მინაწერში (დაცულია ქუთაისის მუზეუმში) იგი აცხადებს: „სურვილი ჩემი არს რათა ქართულსა ხმასა თარგმნილი წიგნი ყოველივე შევკრიბო და დავსდვა წიგნის საცავსა ჩემსა და შევსძინო ამით ოჯახს, ვინათგან მე ერის დიდებად ვრაცხ და ესეცა დაუკლებლობისათვის დავსდევ სხვათა ჩემთა წიგნებთანა" [E-2387]. თეიმურაზს, როგორც ქუთაისის მუზეუმში დაცული ხელნაწერების მინაწერები გვამცნობს, წიგნების გადაწერაც ეხერხებოდა. №342 ხელნაწერის მინაწერში იგი აცხადებს: „საკუთარის ხელითა ჩემითა გადმოვნუსხეო" [ხელნაწერთა.. 1964:65]. ასეთივე მინაწერი აქვს №346 და №588 ხელნაწერ წიგნებს, ხოლო №345 ხელნაწერი მწერალ გრიგოლ მიქელაძეს თეიმურაზის დაკვეთით გადაუწერია [ხელნაწერთა.. 1964:66-68; 204-214]. თეიმურაზ აგიაშვილი XIX ს-ის შუახანებში, 1850 წლის შემდეგ,

გარდაცვლილა [სოსელია, 1973:241].

იოვანეს ერთ-ერთ ძმას, როგორც აღვნიშნეთ, დავითი ერქვა. მას ცოლად ჰყავდა იმერეთის მეფის დავით II-ის ასული ანასტასია. დავითიც საბუთებში „პარუჩიკის" ჩინით გვხვდება (ქსიმ,საბ. №1706). №228 კარაბადინის მინაწერში კი იგი საკუთარ თავს ისევ „სარდალ ციხისთავ ქეშიკთუხუცესს" უწოდებს [E-228]. მისი შვილებიდან ცნობილია მხოლოდ სვიმონი. რაც შეეხება დავითს, რომლის ასულიც არის ნატალია აგიაშვილი (ვისგანაც მუზეუმმა შემოწირულობის სახით მიიღო რამდენიმე საგვარეულო ნივთი), უნდა იყოს იოანეს ძმისშვილი, სვიმონის ვაჟი. მის საფლავს ს. ტყაჩირში მიაკვლია ქუთაისის მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიციამ პროფ. პ. ვაჭრიძის ხელმძღვანელობით. საფლავზე იდგა ობელისკი წარწერით: „თავადი დავით სვიმონის ძე აგიაშვილი, დაიბადა 7 მაისს 1841 წელს, გარდაიცვალა 28 იანვარს 1899 წ." [E-851].

კიდევ ერთ წარმომადგენელს აგიაშვილთა გვარიდან თეიმურაზ გიორგის ძეს ქუთაისის მუზეუმისთვის შეუწირავს ხელნაწერი საბუთები XVIII-XIX სს-სა, 18 ხელნაწერი (მათ შორისაა: №342(1838 წ.), 345(1836 წ.), 346(1839 წ.) წიგნები)4 და 7 სტამბური წიგნი, ხმალი, ქაიხოსრო აგიაშვილისეული წარწერიანი უზანგები, დეზი და სხვ. ეს პირი უნდა იყოს წმ. კვირიკესა და ივლიტას ხატის გამაახლებლის, თეიმურაზ აგიაშვილის, შვილიშვილი ვაჟის - გიორგის - მხრიდან. გიორგი დასთან, კეკელასთან, ერთად 1856 წ. საბუთში ჩანს [სოსელია, 1973:242].

მუზეუმის №2 საინვენტარო წიგნის 1924 წ. ჩანაწერი გვაუწყებს, რომ მოქ. კონსტანტინე გუბელაძეს ტყაჩირში მდებარე აგიაშვილების სახლიდან გამოტანილი ერთი კაჟის თოფი და ორი ხმალი „ლეკური" მუზეუმისთვის გადაუცია.

ამ ნივთებიდან ამჟამად მუზეუმში დაცულია თოფი და ერთი ხმალი. თოფს (საინვ. №2804/4) კაჟიანი ჩახმახი აქვს. ჩახმახის სახელური, რასაც კაჟი უჭირავს, მოხსნილია. ჩახმახს აქვს არაბულწარწერიანი დამღა - „ხელობა ალის 55", ასევე ზედ დამაგრებულია ერთი მარჯნის თვალი. ლულის სიგრძეა 72 სმ: კონდახის - 29 სმ, სულ თოფის ხის საფუძველი 84,5 სმ-ია. მასზე ლულა 4 სალტეთია დამაგრებული. მთლიანობაში თოფი მდიდრულადაა გაფორმებული: კონდახი მთლიანად ვერცხლის მხატვრულად დამუშავებული დეტალებითაა მორთული (ორნამენტზეც არაბულწარწერიანი დამღაა -„ომან რიზე 50", რაც თოფის უცხოურ (სავარაუდოდ თურქულ) წარმომავლობაზე მიუთითებს. ლულა წვერთან და ძირთან ოქროთია მოვარაყებული. ეს ნივთი წარჩინებული პირის საკუთრებას წარმოადგენდა და უთუოდ აგიაშვილების სათავადო სახლის ერთ-ერთი წევრის მფლობელობაში იყო.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ აგიაშვილების უძრავი ქონება ს. ტყაჩირში სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. მათ სასახლეში სკოლა გახსნეს და იგი სასწავლო დაწესებულების საჭიროებისამებრ გადააკეთეს.

„ამჟამად ყოფილი თავადის სასახლეში არასრული საშუალო სკოლაა. სკოლას ძველი სასახლის სულ მცირედი თუ ეტყობა. იგი ახლებურად არის გადაკეთებული. სასახლე ძველად ქვის ბოძებზე მდგარა, ამჟამად იგი ქვედა სართულად არის ამოშენებული. ზედა სართულშიც ბევრი ცვლილებებია“ - აღნიშნულია ქუთაისის მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიციის მასალებში[E-853]. ზემოხსენებული საბრძოლო იარაღები მოქ. კ. გუბელაძის ხელში აგიაშვილების სასახლის საბჭოთა ხელისუფლების მიერ მითვისების დროს უნდა მოხვედრილიყო.

როგორც აღვნიშნეთ, აგიაშვილთა სალოცავი ს. ტყაჩირში იყო წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესია. გასაბჭოების შემდეგ ეკლესია დახურეს, მისი ქონებიდან 7 ნივთი ქუთაისის მუზეუმს გადაეცა. 1950-იან წლებში ეკლესიას ადგილობრივი კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“ საწყობად იყენებდა [E-851].

ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი თეიმურაზ. 1979. წიგნნი ლექსიკონნი, თბილისი.
2. ბარნაველი სარა. 1953. ქართული დროშები, თბილისი.
3. ბოჭორიძე გიორგი. 1995. იმერეთი, თბილისი.
4. დადიანი ნიკო. 1962. ქართველთ ცხოვრება, თბილისი.
5. კაკაბაძე სარგის. 1925. იმერეთის ციხისთავთა შესახებ მე-17 საუკუნეში, საისტორიო მოამბე, I, თბილისი.
6. მეუნარგია იონა. 1939. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბილისი.
7. ნიკოლეიშვილი მ. 2001. ქუთაისის მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლები, ქსიმ შრომების კრებული, XIII, ქუთაისი.
8. ჟორდანია თედო. 1967. ქრონიკები, III, თბილისი.
9. სოსელია ო. 1973. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, I, თბილისი.
10. ქართული სამართლის ძეგლები, 1970. III, თბილისი.
11. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საბ.№№15, 89, 846, 872, 966, 982, 984, 986, 991, 996, 1693, 1694, 1695, 1702, 1703, 1706, 1709, 1710, 1730, 1763, 1766, 1768, 1963, E-85, E-228, E-369, E-192/1137, E-2387.
12. ევგენი ნიკოლაძე, ხელნაწერთა აღწერილობა, 1964. II, თბილისი.
13. Гнилосаров П. 1859. О царе Соломоне II и бывшем при нем управлении, Кавказский календарь.
14. Гордеев Д. 1924. Материалы к обследованию Кутаисских древностей, საისტორიო მოამბე, II, თბილისი.

DAVIT SULABERIDZE
Kutaisi State Historical Musem

AGIASHVILI'S FAMILY ITEMS IN KUTAISI MUSEUM

Summary

The article contains the history of the noble family of Aagiashvili based on historical documents, written sources and material material. Mainly, attention is paid to items stored in the Kutaisi Museum, which are related to well-known persons of this family.

First of all, let's name the horse's equipment. As far as it is made of silver, it is important to determine the origin and the owner. On the base of museum's inventory books we found out that the horse equipment belonged to "Q. Agiashvili". Earlier, during the visual inspection of one part of the ethnographical collection, our attention was drawn to the horseback, the inscriptions and ornaments of which seemed vague due to corrosion. As a result of the processing of the items in the restoration section, they completely got rid of rust, resulting the easy read of the inscription and ornament. According to the inscription, the owner of these horsebacks turned out to be the king Solomon's Qeshiktukhutsesi (The head of the watchmen) Qaikhosro. Thus, it was revealed that Agiashvili, to whom belonged the horse harness, was Qaikhosro Aagiashvili, who had great positions during the reign of Imeretian king Solomon I.

The second item whose origin has not been established yet and we consider it as a disputation in inventory books is the handle of the flag and the gold gilt spear head. We found out that this item has been brought in museum from N. Agiashvili family living in village Tkachiri. We specifically studied this item data and unlike the researcher Ts. Zviadadze, who considered this thing as a fighting spear, we considered it as the flag handle.

In addition, in the inventory book we have found out about the other materials brought by T. Agiashvili. This is a weapon equipment, historical documents, manuscript and printed books. According to their data, we discovered that T. Agiashvili is the grandson of Qaikhosro's second son Svimon's son - Teimuraz, N. Agiashvili is the daughter of the same Svimon's son David (1841-1899). Besides, we have found out from these books the origin of some of them.

Based on the materials of G. Bochoridze, we have collected various types of data: Lapidary inscriptions, churches with the inscriptions on them of the Aagiashvili family, which gives some conclusions to the role of the representatives of this noble family before the church.

from the inscription made on a silver reliquary preserved in the treasure fund, we found out that the church relics were also kept in the family of Aagiashvili. Ioane Agiashvili, the last commander of the Imereti Kingdom, has prepared a special part of them. After importing the item into the museum, they removed the relics from the box and placed it in another box. We opened this paper, carefully observed them and found out that there were placed the relics of: St. George, St. Nicholas, St. Panteleimon and St. Charlampos. After their identification, they are returned back into their own box.

We studied the Kutaisi Museum scientific expedition materials in 1957, which are noteworthy, due to the information about Agiashvili noble family: these are vill. Tkachiri residents' habits, descriptions of material monuments and materials, St. Epitaphs of the Church of Kvirike and Ivlita and others. A large part of this material are published first time, and in some ways fills the history of Agiashvili family.

ლევან ჯუღელაშვილი
გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია

გელათი - ქართველ მეფე-დედოფალთა საძვალე

ქართველი მეფე-დედოფლები მრავალსაუკუნოვანი მოღვაწეობის განმავლობაში ცდილობდნენ, თავიანთი უკანასკნელი განსასვენებლები გამორჩეულად მოეწყოთ. მეფე-დედოფალთა საძვალეები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში (ქართლი, კახეთი, აფხაზეთი, იმერეთი, კლარჯეთი) არსებობს, თუმცა ამ მხრივ გამორჩეულია მცხეთის სვეტიცხოვლის საკათალიკოსო და გელათის ღვთისმშობლის შობისა და წმინდა გიორგის სახელობის ტაძრები. სვეტიცხოვლის საკათალიკოსო ტაძარში ქართველ მეფეებს V-XIX საუკუნის განმავლობაში კრძალავდნენ, რაც შეეხება გელათს, იგი თავიდანვე მეფეთა საძვალედ იყო გათვალისწინებული და მასში ორ ათეულზე მეტი მეფეა დაკრძალული. ქართველ მეფეთა განსასვენებლების შესახებ ცნობებს გვაწვდის ძველი ქართული წყაროები, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ დღემდე არ ვიცით მრავალი ქართველი მეფის საფლავის ზუსტი ადგილსამყოფელი. სვეტიცხოველსა და გელათში სულ რამდენიმე მეფის საფლავია იდენტიფიცირებული. ამ თვალსაზრისით, მომავალში ჩასატარებელია არქეოლოგიური კვლევა-ძიება, რომელიც მრავალ მნიშვნელოვან ფაქტს ახდის ფარდას. ამავე მიმართულებით ჩასატარებელია ღონისძიებები საზღვარგარეთ, სადაც ათზე მეტი მეფეა დაკრძალული და შესაძლებლობის ფარგლებში მოსაძიებელია იმ მეფეთა საფლავები, რომლებიც დაკარგულია.

1125-1784 წლამდე გელათში 20-ზე მეტი მონარქი დაიკრძალა. გელათის სამონასტრო კომპლექსი საქართველოში ალბათ ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისია, რომელშიც შენარჩუნდა მეფე-დედოფალთა, უფლისწულთა და ბატონიშვილთა ფრესკები და საფლავები. ამ თვალსაზრისით, გელათში ფუნდამენტური კვლევა-ძიება დღემდე არ ჩატარებულა. შესაბამისი უახლესი მეთოდებით შესასწავლია გვიანი პერიოდის და მასზე ადრე (მათ ქვემოთ) არსებული უძველესი ფრესკების ნიმუშები. ცალკე შესწავლის ობიექტია მეფეთა საფლავების მოძიება და შესწავლა, რადგან დღესდღეობით მხოლოდ რამდენიმე მათგანის დაფიქსირება შეიძლება ვიზუალურად. ბევრ საფლავს კი გვიანი პერიოდის ქვის იატაკი ფარავს, სავარაუდოდ იატაკის აღება სერიოზულ შედეგს მოგვცემს; ასევე შესასწავლია გელათში არსებული ფრესკები, რადგან მათი რაოდენობა თითქმის ორი ათეულია. გარდა ისტორიული ღირებულებისა, მათ

ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს. მრავალფეროვანი ფრესკული მხატვრობა საშუალებას გვაძლევს თვალი გადავავლოთ, რა გზა განვლო XII-XVII საუკუნეებში ხელოვნების ამ მიმართულებამ. ფრესკებზე დაყრდნობით, შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ ძველი ქართული სამეფო ოჯახის სამოსელზე, გვირგვინებზე, ფეხსაცმელსა და სამკაულზე. ასეთი შესაძლებლობა საქართველოში სხვაგან არსადაა და ამ მიმართულებითაც არაერთი კვლევაა ჩასატარებელი. ქართველ მეფე-დედოფალთა საძვალის - გელათის - შესწავლა ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა, რადგან ამ მონასტერში განისვენებენ ჩვენი ქვეყნის ყველაზე გამორჩეული მონარქები: წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე (თამარის ორივე მემატიანის ცნობით: „ისტორიანი და აზმანი" და „ბასილი ეზოს მოძღვარი, ლაშა-გიორგის მემატიანე").

გელათში ჩასატარებელი სამუშაოები გულისხმობს არსებული წყაროების შესწავლასა და ახალი წყაროების გამოვლენას, რომელთა საფუძველზე და მეფეთა ფრესკული მხატვრობის ანალიზის შედეგად გამოკვლეულ უნდა იქნეს სამეფო საძვალე. თითქმის ყველა ეკვდერში ვხვდებით მეფეთა საფლავებს, რაც ადასტურებს წყაროთა რეალურობას. მაგრამ უნდა ვთქვათ ისიც, რომ ერთი საფლავის ქვის არსებობა არ ნიშნავს საძვალეში ერთ მიცვალებულს. ექვთიმე თაყაიშვილის 1920 წლის არქეოლოგიურმა გათხრებმა ეს ფაქტი დაადასტურა [ტყეშელაშვილი, 2007:56]. ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია ისიც, რომ გელათში სავარაუდოა სამეფო აკლდამის არსებობა, რომელშიც სამეფო ოჯახთა საძვალეები უნდა იყოს; ასევე საყურადღებოა მთავარ ტაძარსა და წმინდა გიორგის ტაძარში ახალი იატაკი, რომელმაც გადაფარა ძველი საფლავები. კვლევის პროცესში უნდა გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც არაერთ საკითხს მოჰფენს ნათელს.

ჩვენს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით ორი ეკვდერი იმსახურებს ყურადღებას, ესენია: მაცხოვრის სახელობისა და წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკვდრები, რომლებშიც მოიაზრება ერთიანი საქართველოს მეფეთა საფლავებს. ეკვდერზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ იგი თითქმის მთლიანად ყოფილა მოხატული ძველად, რადგან ძველი ბათქაშისა და მასზე გამოსახული ფრესკების გამოსახულებები კარგად ჩანს საკურთხეველშიც, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებზეც. აქედან გამომდინარე, უნდა განვაცხადოთ, რომ წმინდა ანდრიას სახელობის ეკვდერი მთლიანად ყოფილა მოხატული დავით ნარინის მოღვაწეობამდე. დღეს რთულია თქმა, ვინ იყო გამოსახული ეკვდერში მანამდე, მაგრამ აშკარაა, რომ ეს ეკვდერი მრავალ საიდუმლოებას ფარავს. ისმის კითხვა: მაინც როდის უნდა მოხატულიყო ეკვდერი? იგი მოიხატა თავდაპირველად მისი აშენებისთანავე, რადგან ის საძვალედ მოიაზრებოდა. შესაძლოა, ეკვდერში სამი სხვადასხვა პერიოდის მხატვრობაც იყოს: პირველი, XIII საუკუნის დამდეგის, მეორე, XIII საუკუნის 20-40-

იანი წლებისა და მესამე, 1280-იანი წლების ბოლოს, დავით ნარინის მეფობის პერიოდში. შევეცდებით აღვადგინოთ დაახლოებითი სურათი, თუ ვინ იყვნენ გამოსახული ეკვდერში. დავით ნარინის, ერთადერთი მეფის, დაუზიანებელი ფრესკა (ახალგაზრდობის დროინდელი) და მისი მეუღლე გამოსახეს დასავლეთის კედელზე. კარის ორივე მხარეს, ჩრდილოეთ კედელზე - მეფე გიორგი მესამე და მისი სახელოვანი ქალიშვილი თამარი, სამხრეთის კედელზე ორი სარკმელია, ამიტომ იქ ნაკლებსავარაუდოა ისტორიულ პირთა ფრესკების არსებობა.

როგორც ჩანს, ერთი საუკუნის განმავლობაში, 1184 წლიდან 1290 წლამდე, ეკვდერში სამეფოს ოთხი ოჯახი, მეფეები და დედოფლები დაიკრძალნენ, ამას დავამატოთ მათი დანარჩენი შვილები, ანუ ბატონიშვილები და გამოვა, რომ, სულ მცირე, 16 ადამიანი დაკრძალეს ამ მცირე ეკვდერში. ამდენი ადამიანის დაკრძალვა ამ ეკვდერში უნდა გამოვრიცხოთ, რადგან იმ დროისთვის გელათი ჯერ ახალი მონასტერია და ამის აუცილებლობა არ იყო. ამასთანავე, 1920 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ წმინდა ანდრიას სახელობის ეკვდერში არსებული ორი საფლავიდან ერთის (ჩრდილოეთით არსებული) გახსნის შემდეგ ცნობილია, რომ საფლავში სულ აღმოჩნდა ოთხი მიცვალებულის ნაწილები, აქედან ერთი, ყველაზე ზემოთ არსებული ცხედარი, იმერეთის მეფე ალექსანდრე მეხუთის მეუღლე მარიამ დადიანი ყოფილა. შესაბამისად, გამოდის, გელათის დაარსებიდან 1730 წლამდე ეკვდერში არსებული ორი საფლავიდან ერთში სამი მიცვალებული დამარხეს. აქედან ნათელია, რომ თამარის ოჯახის წევრები სხვა ეკვდრებში იყვნენ დამარხული. როგორც აღვნიშნეთ, 1730 წელს ყველასგან მივიწყებული ეკვდერი იმერეთის მეფე ალექსანდრე გიორგის ძემ (1720-1752) საკუთარ სასაფლაოდ მოაწყო [ლომინაძე,2014:55]. რაც შეეხება მეორე საფლავს, რომლის კიდეც ჩამოტეხილია, მასში ყველა შემთხვევაში დაკრძალული უნდა იყოს მეფე დავით ნარინი, მის ზემოთ კი - იმერეთის მეფე ალექსანდრე მეხუთე, რომელიც გარდაიცვალა 1752 წელს. არის თუ არა საფლავში სხვა ბაგრატიონის ნეშტი, უცნობია. სავარაუდოდ, ამავე საფლავში სხვა მეფის საფლავიც უნდა იყოს. შესაძლოა, კიდევ ერთი ვარიანტი განვიხილოთ: ამ საფლავების გარდა, სავარაუდოა, მათ გვერდით კიდევ იყოს აკლდამები, რომლებშიც კრძალავდნენ სამეფოს ოჯახის წევრებს, რადგან გელათში არსებულ ოთხ ეკვდერში წარმოუდგენელია რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ამდენი ადამიანი დაეკრძალათ. ამავე ეკვდერს უკავშირდება საქართველოს სათაყვანებელი მეფე (-დედოფლის) თამარის სახელი, რადგან გელათის შესახებ არსებული ტრადიციის საფუძველზე დაიწყო გათხრები ექვთიმე თაყაიშვილმა. ადრე გამოქვეყნებულ სტატიაში ჩვენ ვიმსჯელეთ ამ საკითხზე და დავასკვენით, რომ 1920 წელს გახსნილ საფლავში აღმოჩენილ სხეულებს არ ჩატარებია სამედიცინო ექსპერტიზა, რათა დადგენილიყო, მათ შორის რომელი იყო ყველაზე ადრე დაკრძალული, ამასთანავე, ექსპერტიზით შეიძლება დადგენილიყო ორი ახალგაზრდის დაკრძალვის

სავარაუდო დრო. თუკი დავუშვებთ ალბათობას, რომ საფლავში ყველაზე ადრე, XIII საუკუნის ბოლოს, დაკრძალეს ვახტანგ დავითის ძე, მაშინ ამ საფლავში თამარ მეფის დაკრძალვა გამორიცხულია, რადგან დავით ნარინი თამარის შვილიშვილი იყო და იგი თავისი სახელოვანი ბებიის საფლავში არავის დაკრძალავდა [ტყეშელაშვილი, 2016:210]. ვახტანგის დაკრძალვიდან გარკვეული დროის შემდეგ ამ საფლავში სხვადასხვა დროს დაკრძალეს კიდევ ორი მიცვალებული, რომელთა ვინაობა არ ვიცით, მაგრამ, ფაქტია, მათი დაკრძალვის დროს, XIII–XVI საუკუნეებში, არავინ იცოდა, რომ საფლავი თამარ მეფეს ეკუთვნოდა, თორემ მათ ამ საფლავში არავინ დაკრძალავდა. ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი ჰქონდა ისტორიკოს გივი ტყეშელაშვილს. იგი მიიჩნევდა, რომ თამარი ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკვდერში უნდა ყოფილიყო დაკრძალული, ოღონდ სამხრეთის მეორე სარკმელთან არსებულ საფლავში, ამ საფლავის ქვას კიდე აქვს ჩამოტეხილი [ტყეშელაშვილი, 2006:188]. თამარ მეფის საფლავის ზუსტი ადგილსამყოფლის დასადგენად აუცილებელია ვიცოდეთ, როდის მოხდა თამარის წმინდანად შერაცხვა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი წყაროა დავით ნარინის მეუღლის, თამარ დედოფლის სიგელი, რომელშიც შესაძლოა მოხსენიებულია თამარ მეფე: „პატრონთა გამზრდელისა, თამარის მწირველისათა ილარიონ ფავნელისათა" [ქ.ს.ძ.II. 1965:76]. ისტორიკოსი ჯაბა სამუშია თავის ნაშრომში გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ამ დროს შესაძლოა თამარი უკვე წმინდანად იყო შერაცხილი: სიგელი ამ მიმართულებით არანაირი მტკიცების საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ასე განსაკუთრებით ამ ორი მეფის გამოყოფა სხვა მონარქებისგან თითქოს ამ ვარაუდის დაშვების საშუალებას იძლევა [სამუშია, 2010:35]. სიგელში ასევე მოხსენიებულია დავით მეფე. ჩვენი აზრით, ეს სიგელი შემდგომ შესწავლას საჭიროებს, მაგრამ, თუკი 1260 წელს გელათში დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს მწირველი მღვდელი ჰყავდათ, გამოდის, ისინი ამ დროს წმინდანებად არ იყვნენ შერაცხილნი.

გელათში ქართველ მეფეთა დაკრძალვის ორი ეტაპი უნდა გამოვყოთ: პირველი, 1125- 1393 წლები, როდესაც მთავარ ტაძარში ერთიანი საქართველოს მეფეები იკრძალებოდნენ; მეორე, 1478-1184 წლები. იმ პერიოდში გელათში იმერეთის სამეფოს მეფე-დედოფლებს კრძალავდნენ. მართალია, იმერეთის მეფენი კვლავ აგრძელებდნენ გელათზე ზრუნვას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მათი მოღვაწეობის პერიოდში გელათის მონასტერში ბევრი რამ შეიცვალა. ერთიანი საქართველოს მეფეთა ძველი ფრესკები გადაფარა იმერეთის მეფეთა და მათი ოჯახის წევრთა ფრესკებმა. ამასთანავე, შეიცვალა გელათის მთავარ ტაძარში არსებული ძველი საფლავის ქვების განლაგება, ან ისინი საერთოდ დაფარა გვიანი პერიოდის ქვის იატაკმა. ჩვენი აზრით, 1130 წლიდან დღემდე გელათის მონასტერში ორჯერ ან სამჯერ უნდა განეახლებინათ იატაკი. პირველად გელათის მთავარ ტაძარში იატაკი 1510 წლის ოსმალთა თავდასხმის შემდეგ დაზიანდა და

იგი უნდა აღედგინა იმერეთის სახელოვან მეფე ბაგრატ მესამეს (1510-1565), რომელმაც გელათში სერიოზული აღდგენითი სამუშაოები აწარმოა. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ მთავარი ტაძრის ეკვდრებში ბაგრატ მესამის პერიოდში ალბათ ცვლილებები არ განხორციელებულა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ბაგრატ მეფემ არ ინება მთავარ ტაძარში დაკრძალვა და საკუთარი ოჯახის საძვალე გელათის წმინდა გიორგის ეკლესიაში მოაწყო; იგი არ შეხებია ძველ მეფეთა საფლავებს, რომლებიც მთავარი ტაძრის ეკვდრებში არსებობდა. მაგრამ მის პერიოდში შესრულებულმა კედლის მხატვრობამ მთავარ ტაძარში არსებული ძველი ფრესკები გადაფარა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გელათის მთავარი ტაძრის მაცხოვრის სახელობის ეკვდერი, რადგან მასში არაერთი ქართველი მეფეა დაკრძალული. სწორედ ამ ეკვდერში 1605 წელს დაკრძალეს იმერეთის მეფე როსტომი, მისი მეუღლე და ძმა სიმონი. 1639 წელს კი ამავე ეკვდერში დაკრძალეს როსტომის ძმა და იმერეთის მეფე გიორგი III. დასახელებულ პირთა ფრესკებმა კი გადაფარა ერთიანი საქართველოს მეფეთა ძველი ფრესკები; ხოლო როსტომისა და გიორგის ოჯახის წევრები ძველ მეფეთა საფლავების ზემოთ დაკრძალეს. ჩვენი ვარაუდით, არ არის გამორიცხული მაცხოვრის სახელობის ეკვდერში სამეფო აკლდამა არსებობდეს, რადგან ერთ-ერთი საფლავის ქვის გვერდით არსებული მცირე ღიობიდან აშკარად ჩანს ქვის სარკოფაგი, რომელშიც ალბათ როსტომ მეფე და მისი მეუღლე არიან დასაფლავებული. სარკოფაგის ქვემოთ ან მიმდებარედ აუცილებლად იქნება შემორჩენილი ძველ მეფე-დედოფალთა ნეშტის ნაწილები. მაცხოვრის სახელობის ეკვდერში ამჟამად სამი საფლავის ქვაა. აქედან ერთი არის წარწერით და აშკარად ძველია, ორი საფლავის ქვა კი გვიანდელია და წარწერის გარეშეა. ეს ორი საფლავი უნდა ეკუთვნოდეს იმერეთის მეფე გიორგი მესამესა და მის მეუღლეს. გიორგი მეფე 1639 წელს დაკრძალეს ამ ადგილზე, რასაც ერთ-ერთი სიგელი გვაუწყებს. ორივე საფლავის ქვას ეტყობა, რომ ისინი ერთდროულადაა დამზადებული. რთული სათქმელია, ვის უნდა ეკუთვნოდეს მესამე საფლავის ქვა, რომელზეც შემორჩენილია დაზიანებული წარწერა; სავარაუდოდ საფლავის ქვა ერთიანი საქართველოს რომელიმე მეფისაა, თუკი მისი სიძველის მიხედვით ვიმსჯელებთ. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ძველსა და ახალ საფლავებს შორის არის მცირე ზომის ღიობი. განათების შედეგად გამოიკვეთა, რომ ახალი საფლავის ქვეშ არის ქვის სარკოფაგი, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს გიორგი იმერთა მეფეს, თუმცა შესაძლოა, როსტომ იმერთა მეფის საძვალეც იყოს. ძველი საფლავის ქვის ქვემოთ კი სიცარიელეა 30-40 სმ-ის შუალედში. სივრცის ქვემოთ შევნიშნეთ მცირე ზომის ქვის ნატეხები. შესაძლოა, აქაც სამეფო აკლდამა იყოს, რომელშიც ძველ მეფეთა ნაწილები უნდა განისვენებდნენ.

არ არის გამორიცხული მეფეთა საფლავების არსებობა მაცხოვრის ეკვდერის

დასავლეთით მდებარე ჩრდილოეთ კარიბჭეში, რომლის აღმოსავლეთ კედელზე, მაცხოვრის სახელობის ეკვდერში შესასვლელი კარის მარჯვნივ და მარცხნივ არსებობს ახალგაზრდა მეფე-დედოფლის ფრესკა, რომელიც აღმოჩნდა 1952 წელს. ფრესკას ათარიღებენ XV-XVI საუკუნეთა მიჯნით. გადაჭრით ძალიან რთულია იმის თქმა, თუ ვინ უნდა იყოს გამოსახული ამ ფრესკებზე. უცნობია ასევე, ვინაა გამოსახული კარიბჭის კარს გვერდით აღებულ (მარჯვნივ თუ მარცხნივ) ორ ფრესკაზე, ისინი აშკარად მეფე-დედოფალს ეკუთვნის და სავარაუდოდ XVII საუკუნით უნდა დათარიღდეს. ცალკე ყურადღებას იმსახურებს გელათში არსებული ქართველი დედოფლების საფლავები, თუმცა მათ შესახებ დეტალური ცნობები არ გვაქვს რამდენიმე გამონაკლისის გარდა. ჩვენთვის დაზუსტებით ცნობილია, რომ მთავარი ტაძრის სამხრეთით არსებულ ორ ეკვდერში იმერეთის ორი დედოფალია დაკრძალული. ანდრიას სახელობის ეკვდერში, როგორც ვთქვით, 1730 წელს მარიამ დედოფალი დაასაფლავეს. უფრო ადრე დასავლეთის მინაშენში არსებულ იოვაკიმესა და ანას სახელობის ეკვდერში დაკრძალეს იმერეთის დედოფალი ნესტან-დარეჯანი, რომლის ფრესკაც არსებობს იმ ეკვდერში. წმინდა მარინეს სახელობის ეკვდერში კი დაკრძალულია სოლომონ პირველის მეუღლე, მარიამ დადიანი, რომელიც 1778 წელს გარდაიცვალა [კეზევაძე, 2006:91]. გელათის მთავარ ტაძარშია დასაფლავებული მეფე სოლომონ პირველის მესამე მეუღლე გულქან წულუკიძე.

გელათში დაკრძალული საქართველოს მეფე-დედოფლები:

ერთიანი საქართველოს მეფეები გელათის მთავარ ტაძარში:

1. წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი. თავდაპირველად იგი დაკრძალეს მონასტრის სამხრეთ კარიბჭეში, რასაც ადასტურებს მისი საფლავის ქვა, რომელიც დღემდეა შემორჩენილი. გვიანდელი ცნობების მიხედვით კი, დავითის ნაწილები წმინდანად შერაცხვის შემდეგ საკურთხეველში გადაასვენეს.
2. დემეტრე პირველი (ღირსი დამიანე). უცნობია წმინდანის დაკრძალვის ზუსტი ადგილი.
3. დავით V დემეტრეს ძე და მისი მამა სავარაუდოდ ერთ ეკვდერში უნდა იყვნენ დაკრძალული.
4. გიორგი III დემეტრეს ძე. უცნობია მისი განსასვენებელი.
5. წმინდა კეთილმსახური მეფე თამარი. მისი ორივე ისტორიკოსი - „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" და „ბასილი ეზოსმოძღვარი" - ადასტურებს თამარის გელათში დაკრძალვის ფაქტს. ამასვე ადასტურებენ ლაშა-გიორგისა და გვიანი პერიოდის მემატიანეები.
6. გიორგი IV ლაშა. ჩვენი ვარაუდით, ის ანდრია პირველწოდებულის ეკვდერში უნდა იყოს დაკრძალული.
7. რუსუდან დედოფალი. ისიც ანდრიას სახელობის ეკვდერში უნდა იყოს დაკრძალული.

8. დავით VI ნარინი. 1293 წ. დაკრძალულია ანდრიას სახელობის ეკვდერში.
9. ვახტანგ II დავით ნარინის ძე დაკრძალულია ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკვდერში.
10. გიორგი V ბრწყინვალე. გელათური ტრადიციით, გიორგი ბრწყინვალე მაცხოვრის სახელობის ეკვდერშია დასაფლავებული. სხვა ცნობით, გიორგი მეფე სვეტიცხოველშია დაკრძალული.
11. დავით IX 1360 წ. დაკრძალეს მაცხოვრის სახელობის ეკვდერში.
12. ბაგრატ VI 1478 წ. იმერეთში ბაგრატ II (აქ რაღაც აკლია!)

დასახელებულ მეფეთა გარდა, გელათში შესაძლოა დაკრძალული იყვნენ მეფე კონსტანტინე I და მეფე მიქაელი.

იმერეთის მეფეთა საფლავები:

1. ალექსანდრე II 1510 წ. წმინდა მარინეს სახელობის ეკვდერში (სამხრეთ-დასავლეთ მხარეს).
2. ბაგრატ III. 1565 წ. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, ჩრდილოეთის კედელთან.
3. გიორგი II. 1586 წ. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში.
4. როსტომ I. 1605 წ. მაცხოვრის სახელობის ეკვდერში.
5. გიორგი III. 1639 წ. მაცხოვრის სახელობის ეკვდერში.
6. ბაგრატ IV. 1681 წ. წმინდა მარინეს სახელობის ეკვდერში, სადაც არსებობს ფრესკა წარწერის გარეშე. ი. ბიჭიკაშვილის აზრით, ფრესკა ბაგრატ IV-ს ეკუთვნის.
7. ალექსანდრე IV. 1695 წ. უცნობია დაკრძალვის ზუსტი ადგილი.
8. გიორგი VI. 1720 წ. მაცხოვრის სახელობის ეკვდერში.
9. ალექსანდრე V. 1752 წ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკვდერში.
10. თეიმურაზ მამუკას ძე ბატონიშვილი. 1772 წ. ჩვენი აზრით, იგი დასაფლავებული უნდა იყოს გელათის მონასტრის ეზოში.
11. სოლომონ I. 1784 წ. მთავარ ტაძარში.
12. სოლომონ II. 1815 წ. მთავარ ტაძარში.

ჩვენი აზრით, ჩამოთვლილი მეფეების გარდა, გელათში სხვა ქართველი მეფე-დედოფლებიც უნდა იყვნენ დაკრძალული, რაც დადასტურდება შემდგომი კვლევა-ძიების შემდეგ.

ლიტერატურა:

1. მ. კეზევაძე, გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს, ქუთაისი, 2006.
2. ბ. ლომინაძე, გელათი, თბილისი, 2014.
3. ჯ. სამუშია, თამარ მეფის საფლავის საიდუმლოება, 2010.
4. გ. ტყეშელაშვილი, გელათის სიწმინდეები, ქუთაისი, 2006.
5. ლ. ტყეშელაშვილი, გელათი, „მეორე იერუსალიმი სხუა ათინა", ქუთაისი, 2007.
6. ლ. ტყეშელაშვილი, წმინდა თამარ მეფის საფლავის საკითხისათვის, კრ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, XXVI.

LEVAN TKESHELASHVILI
GELATI THEOLOGICAL ACADEMY AND SEMINARY

GELATI THE BURIAL-VAULT OF GEORGIAN KINGS AND QUEENS

Summary

Gelati Monastery Complex is one of the very rare exception, in which there are maintained frescos and tombs of kins, queens, princes and Batonishvilis. Until the 1125-1784 years, more than 20 monarchs were buried in Gelati. Regarding this issue, the fundamental research still hasn't done, therefore it is necessary to conduct modern methodological searching process about last period and ancient frescos from that time.Another research objects would be Georgian Kings toms, because nowdays just some of them could be fixed visually. Many tombs are covered with stone floor of last period. Even take over of them, would be very effective and interesting for us.Another research working is neseccary regarding fresco theme in Gelati as there are mosly 20 frescos. (ათეული არ ვიცი ოროგორაა ამიტომ თითქმის 20 დავწერე). Beside their historical importance, also they have great value for artstudy. King's and Queen'stombs are maintained in saint virgin church Gelati. Under these tombs which we have got nowdays, would be old (akldamebi) where are buried kings of United Georgia. This fact, partly was confirmed in 1920 year archaeological excavations which was carried out by Eqvtime Takaishvili.

მერაბ კეზევაძე
ქუთაისის ცენტრალური არქივი

ვანის მაცხოვრის ფერისცვალების მონასტრის ისტორიიდან

ვანის მაცხოვრის ფერისცვალების მონასტერი ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე თითქმის შეუსწავლელია, რაც, ჩემი ვარაუდით, მისი გაუქმებიდან დიდი დროის გასვლითა და წყაროთა სიმცირით უნდა აიხსნას. მიუხედავად ამისა, მონასტრის შესახებ არსებული საარქივო დოკუმენტები საშუალებას იძლევა აღვადგინოთ მისი ისტორია.

ვანის მაცხოვრის ფერისცვალების მონასტერი მდებარეობს დღევანდელი ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვანის ტერიტორიაზე. სოფელს „ჩრდილოეთით ესაზღვრება რაჭის ქედის საწალიკის მთის სამხრეთი ფერდობები და ვანის სატყეო მეურნეობის ტყის ზოლი, საზღვარი გადის მდ. სატოპელას სათავეზე, სამხრეთით ესაზღვრება ხვაშითი, აგრეთვე საზღვარი გადის მდ. სატოპელას ხეობაზე, დასავლეთით ესაზღვრება რაჭის ქედის ფერდობები ტყის ზოლით, აღმოსავლეთით ესაზღვრება მდ. მოხვურასა და ხერთულას წყალგამყოფი სერი, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი მოხვა და ქვემო ხევი... სოფელი ვანი განსაკუთრებული მდებარეობით გამოირჩევა, ის მყუდრო ადგილას მდებარეობს, რაჭის ქედის სამხრეთ პერიფერიაზე და ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველაზე მაღალი სოფელია. ამგვარი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამო ეს ადგილი რამდენიმე საუკუნის წინათ ბერების საცხოვრებელ-დასავანებელ ადგილად იყო მიჩნეული, სოფლის სახელწოდება „ვანი“ სწორედ აქედან წარმოდგება. განმარტოებით მ(ა)ცხოვრებელი ბერების მიერ აქ XVIII საუკუნეში აგებულ(ი) იქნა მონასტერი“ [დვალაშვილი, 2013:266,267,268].

ვანის მონასტერი არ მოიხსენიება ჩვენამდე მოღწეულ XIX საუკუნემდელ ისტორიკოსთა და მოგზაურთა ნაშრომებსა და ისტორიულ წყაროებში. მონასტერმა ვერც 1826 წელს მოსკოვში რუსულ ენაზე დაბეჭდილ წიგნში „ქართული იერარქიის ისტორია“ პოვა ასახვა; წიგნში, რომელშიც საქართველოში ქრისტიანობის ისტორია და ეკლესიის მდგომარეობაა განხილული, იმერეთის ეპარქიაში არსებული ეკლესია-მონასტრების შესახებაცაა მოტანილი სტატისტიკური მონაცემები. ეს მონაცემები იმერეთის არქიეპისკოპოს სოფრონიოსის რუსეთის უწმინდეს სინოდში 1821 წელს წარდგენილ ცნობებს ეყრდნობა; კერძოდ, აღნიშნულია, რომ ეპარქიაში 15 მონასტერია, რომელთაგან ათი განხილულია.

დანარჩენ 5 მონასტერზე: ვანის, ჯრუჭის, ტაბაკინის, მღვიმევისა და კვერეთის შესახებ შენიშვნაა, რომ საქართველოს საეგზარქოსოს კანცელარიაში მათ შესახებ ცნობები არ არის დაცული [იერარქია... 1826,:49-61].

ეს შეცდომა მოგვიანებით, 1840 წელს, თავად იმერეთის არქიეპისკოპოს სოფრონიოსის მიერ იქნა გამოსწორებული, როცა საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიას გადაუგზავნა აღწერილობა ზემოთ ჩამოთვლილი მონასტრების შესახებ [ქ.ც.ა., ფ.21, ან.1 ს.1837]. აღწერილობაში ვკითხულობთ: „უდაბნო (ვანის მონასტერი არსებობის ბოლო წლებში უდაბნოს სახელითაც მოიხსენიება წყაროებში - მ.კ.) ესე მდებარეობს მთასა შ~ა ყოვლის მხრით მოზღუდვილ არს ძლიერ მაღლითა მთებითა და საშუალ მათსა მცირე მდებარე ვაკე მინდორსა ზ~ა აღშენებულ არს, თვით უდაბნოს ეკკლესია არს მცირე თაღშეკრული და უგულბანდო თლილის ქვით აღშენებული, არა კარგის ხელოვნებითა, რომელსა მარჯვენეს და მარცხენეს მხრით ამა მონასტრისა გამომდინარეობენ ორნი მცირენი ხეობანი, ესე იგი მარჯვენეს მხრით უწოდებენ საკირის წყლად და მარცხენეს მხრით მუხნარის წყლად, რომლისა მარჯვენეს მდინარიდგან აღრიცხულ არს ვიდრე მონასტრამდინ ას საჟენად, ხოლო მარცხენედგან ოცდათს საჟენად.

არს ერთი ესე ეკკლესია მაცხოვრისა დახურვილი ყავრითა, პირველად ვისგან აღშენებულ არს არა ცნობილ არს და მერმე განახლებულ არს მღვიმის მონასტრის წინამძღვრის დიონოსისაგან ჩღპ-ს წელსი, გალავანი აქვს ხით შემოზღუდვილი, გალავნის შესავალი კარი აქვს ეგრეთვ ხისა, მონასტერზე მოშორებით არს შვიდს საჟენზე ხუთი, ძმათა სენაკები ფიცრით აღშენებული კრებულისა და ერთი ამათგანი თითონ წინამძღვრისა.

აქვს სახნავი მიწა ორმოცის ქცევისა, ტყიანი მთები ხუთასის ქცევისა, ვენახები ორის ქცევისა, მუშაობენ ამა უდაბნოს ყმანი მონასტრის ხარჯითა, ამა მონასტერსა ჰყავს საკუთარი ყმანი, თორმეტი კომლი სხუათა და სხუათა შორაპნის და რაჭის მაზრებთა შინა, ეკკლესიის სამკაულნი და შესამოსელნი არა საკმაოდ აქვს, ძვირფასნი ნივთნი მას შინა არა-რაჲ იპოებიან, კანკელი აქვს ძველი და მდაბალი არა კარგისა ხელოვნებისა, სამრეკლო აქვს აღშენებული ხისა სიმაღლით სამი საჟენი, ზარა აქვს ორი და ძლიერ პატარა“ [ქ.ც.ა., ფ. 21 ან. 1 ს. 1837 ფ 9].

დოკუმენტი მონასტრის განმაახლებლად მღვიმის მონასტრის წინამძღვარ დიონოსის ასახელებს, განახლების თარიღად კი - 1780 წელს. მონასტრის დაარსების თუ განახლების თარიღი სხვადასხვა დოკუმენტში სხვადასხვანაირადაა აღნიშნული. 1844 წლის დოკუმენტში მონასტრის დამაარსებლად მითითებულია იმერეთის მეფე დავით II გიორგის ძე და ნაჩვენებია 1788 წელი [ქ.ც.ა., ფ. 21 ან. 1 ს. 2106 ფ. 4]. 1827 წლის დოკუმენტი კი, რომელიც მონასტრის ერთგვარი აღწერაცაა, მონასტრის დამაარსებლად - იმავე მეფეს, ხოლო დროდ 1793 წელს უთითებს: „შორაპნის მაზრასა შ~ა მდებარე ვანის მონასტერი სახელსა ზ~ა მაცხოვრისასა აღშენებულ არს მეფის დავითისაგან - ჩყჟგ წელსა სპონტიკის ქვითა და კირით

შელესილი ცა და იატაკი ფიცრისა, საზომი მისი სიგრძე ხუთი საჟენი, განი ოთხნახევარი საჟენი, სიმაღლე სამი საჟენი, მდებარეობს მახლობელ რაჭის მთისა სამონასტროსა მიწასა ზ~ა მდაბალსა და ვაკესა აქვს მამული იმავ ადგილსა ზ~ა ორასი ჩაფის ღვინოს გამომავალი – მთა კარგი მიწა სახნავი სათესი და სათევზე მეფის დავითისაგან მონასტრისადმი შეწირული და ყვანან ყმანი – იგ კომლნი გლეხნი" [ქ.ც.ა., ფ.21 ან.1 ს. 389 ფ. 7,8]. თარიღში, რა თქმა უნდა, შეცდომაა – იმ დროს იმერეთის მეფე სოლომონ II იყო, ხოლო დავით II გიორგის ძე ახალციხეში იმყოფებოდა. 1793 წელია აღნიშნული მონასტრის განახლების თარიღად 1835 წელს შედგენილ დოკუმენტში, რომელშიც მონასტრის ყოფილი წინამძღვრის, არქიმანდრიტ სიმეონის, მოღვაწეობაზეა საუბარი. საბუთში აღნიშნულია, რომ მონასტერი 1793 წელს უნახავს იმერეთის მეფე დავითს „მთის ავაზაკებთაგან" აოხრებული და გავერანებული. მოუნდომებია რა მონასტრის განახლება, მღვიმის მონასტრის იღუმენ დიონოსისთვის უბრძანებია შესდგომოდა მონასტრის განახლებას და დაჰპირებია დახმარებას; პირველად შეუწირავს სოფელ მოხვში მიწა და ტყე მონასტრიდან ორი საათის სავალზე და ორი კომლი ყმა. იღუმენი დიონოსი მეფის გარდაცვალების შემდეგაც განაგრძობდა მონასტრის აღდგენას, 1811 წელს კი მოხუცებულობის გამო წინამძღვრობიდან გადადგა და მონასტრის წინამძღვარი გახდა არქიმანდრიტი სიმეონი (ბაქრაძე). სიმეონი ენერგიულად შეუდგა მონასტრის გამშვენებას: მონასტრის ეკლესიას გაუკეთა ახალი თაღი, ააგო ბერთა სენაკები, მონასტერს თავისი ფულით უყიდა 13 კომლი გლეხი, შეიძინა ახალი ნივთ-სამკაული [ქ.ც.ა., ფ.21 ს.1241 ფ.2,3].

1854 წლის აღწერით მონასტერს აქვს „ეკკლესია ქვიტკირის უგუმბათო ცა გარდაქმნილი ფიცრით დახურული ფიცრითვე და დაჭედილი რკინით. აქვს ოთხისავე მხრით ფანჯარა მინებისა, აქვს რვა საჟენი სიგრძე და ოთხი განი. ტრაპეზი ქვისა სიგრძით ორი და სიგანით ერთ ნახევარი ალაბი" [ქ.ც.ა., ფ.21 ს.5631 ფ.6].

უნდა აღვნიშნოთ, რომ მძლავრი სამონასტრო ცხოვრება ვანის მონასტერში არასოდეს დასტურდება, ამიტომაც არაერთხელ დაისვა მისი გაუქმების საკითხი. 1835 წელს შედგენილ იმერეთის ეპარქიაში არსებული მონასტრებისა და უდაბნოების სტატისტიკურ აღწერას, რომელშიც განხილულია 9 მონასტერი და 6 უდაბნო, მათ შორის ვანის ფერისცვალებისა, სადაც, 1835 წლის აგვისტოს მონაცემებით, 2 ბერი მსახურებდა, ერთვის იმერეთის არქიეპისკოპოს სოფრონიოსის მოსაზრება ვანის უდაბნოს დამოუკიდებლად არსებობის მიზანშეუწონლობაზე, რომ ვანისა და კვერეთის უდაბნოები „უნდა დაშთნენ სიკვდილამდე ძმებთა მათთა აწმყოსა მდგომარეობასა შინა, ხოლო შემდგომ შესაძლო არიან მიწერად კაცხის მონასტრისადმი" [ქ.ც.ა., ფ. 21 ან. 1 ს. 1139 ფ. 5,6.].

ვანის უდაბნო 1867 წელს გაუქმდა. 1866 წლის 31 ოქტომბერს იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარ არქიმანდრიტ სერაპიონს სწერდა: „რადგანაც ვანის უდაბნოში ახლა ერთი ბერის მეტი არავინ არიან და ისიც მოხუცი და თითქმის ბრმაა, ამისთვის მოგიწერ თქვენ, მიიღოთ ის უდაბნო

თქვენს მხედველობაში, ბერი იგი ნეოფიტე წაიყვანოთ ჯრუჭს და იქ დააყენოთ და ყოველი უდაბნოს ქონება საეკლესიო და საუდაბნო, აგრეთვე ხორაგი წაიღოთ ჯრუჭს და სიით ჩაიბაროთ და მომახსენოთ ახლავე" [ქ.ც.ა., ფ. 21 ან. 1 ს. 10147 ფ. 1]. ეს დავალება არქიმანდრიტ სერაპიონს 1867 წლის ივნისშიც არ აქვს შესრულებული. ამის დასტურია გაბრიელ ეპისკოპოსის 1867 წლის 14 ივნისის წერილი არქიმანდრიტ სერაპიონისადმი, რომელშიც აღნიშნულია: „მოგიწერ თქმული მღვდელმონაზონი (ნეოფიტე) დაუყონებლივ გადაიყვანოთ თქვენს მონასტერშიდ" [ქ.ც.ა., ფ. 21 ან. 1 ს. 10147 ფ. 4]. მღვდელ-მონაზონ ნეოფიტეს გადაუყვანლობის მიზეზი მისი ურჩობა გახლდათ.

1872 წლის დეკემბერში გაბრიელ ეპისკოპოსის ბრძანებით ვანის უდაბნო მიაწერეს ზეკვეცის ღვთისმშობლის ეკლესიას.

ვანის მაცხოვრის ფერისცვალების მონასტერი ტრადიციულად თავად წერეთლების საკუთრებად ითვლებოდა. 1822 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში ჩანს, რომ მონასტრის შენახვაც ევალებოდათ [ქ.ც.ა., ფ. 21 ან. 1 ს. 52 ფ. 2]. ეს ვალდებულება მათ მონასტერში არსებული მდგომარეობის გაცნობის საშუალებას აძლევდათ. 1860 წელს თავადი დავით სიმონის ძე წერეთელი უკმაყოფილო იყო შექმნილი მდგომარეობით, რასაც იმერეთის ეპარქიის ხელმძღვანელობიდან მონასტრის წინამძღვრის შეცვლა მოჰყვა [ქ.ც.ა., ფ. 21 ან. 1 ს. 7382 ფ. 1].

საარქივო დოკუმენტები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ვანის მონასტრის წინამძღვართა სრული ნუსხა და შეძლებისდაგვარად გადმოვცეთ მათი მოღვაწეობა. დაარსებიდან გაუქმებამდე (1788-1867 წ.წ) მონასტრის წინამძღვრები იყვნენ:

იღუმენი დიონოსი - 1788-1811წწ.

არქიმანდრიტი სიმეონი (ბაქრაძე) - 1811-1841წწ.

იღუმენი მაკარი (იაშვილი)- 1841-1854წწ.

მღვდელ-მონაზონი სერაპიონი - 1854-1855წწ. (მ/შ)

მღვდელ-მონაზონი თომა (ელიავა) — 1855/05-1856/03 წწ. (მ/შ)

მღვდელ-მონაზონი თომა (ელიავა) - 1856/03-1860 წწ.

მღვდელ-მონაზონი ნეოფიტე - 1860-1867 წწ.

იღუმენ დიონოსის ვანში მოღვაწეობის ფაქტები ჩვენთვის უცნობია, გარდა ერთისა: როგორც მონასტრის 1840 წლის აღწერილობიდან ჩანს, სწორედ მას განუახლებია აქ 1780 წელს სამონასტრო ცხოვრება, მანამდე კი მღვიმის მონასტრის წინამძღვარი ყოფილა [ქ.ც.ა., ფ.21 ან.1 ს. 1837 ფ.9]. მართალია, სხვა დოკუმენტი მონასტრის განახლებას იმერეთის მეფე დავით II გიორგის ძეს უკავშირებს 1788 წელს, თუმცა აქაც აღნიშნულია მეფის მიერ მონასტრის წინამძღვრად დიონოსის დადგინება. მას აქ მონასტრის განახლებიდან 1811 წლამდე უმსახურია [ქ.ც.ა., ფ.21 ან.1 ს. 2106 ფ.13].

ვანის მონასტერში განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო არქიმანდრიტ სიმეონის (ბაქრაძე) მოღვაწეობა. იგი დაბადებული იყო 1775 წელს, წარმოშობით იმერელი სათავადო აზნაური. სასულიერო განათლება მიღებული ჰქონდა სხვავის

მონასტერში. სადაც მორჩილად ყოფილა და უსწავლია საღმრთო წერილი, წერა-კითხვა და სხვათათვისაც უსწავლებია. აქვე იქნა მონაზვნად აღკვეცილი ამავე მონასტრის იღუმენ ანტონის მიერ 1798 წლის 24 ივნისს. ბერ-დიაკვნად ხელდასხმული არის 1803 წლის 15 აგვისტოს ჯუმათელი მიტროპოლიტის მაქსიმეს მიერ, მღვდელ-მონაზვნად ნაკურთხია 1806 წლის 30 იანვარს ქუთაელი მიტროპოლიტის დოსითეოსის მიერ, არქიმანდრიტად ხელდასხმულია 1811 წლის 20 ნოემბერს ნიქოზელი ეპისკოპოს ათანასეს მიერ, ამავე წელს დაინიშნა ქუთაელი მიტროპოლიტ დოსითეოსის მიერ ვანის მონასტრის წინამძღვრად (სხვა ცნობით, ის 1809 წელს აუყვანიათ იღუმენის პატივში და მიუბარებიათ ვანის მონასტერი [ქ.ც.ა., ფ.21 ან.1 ს. 389 ფ. 7-8]), რომელშიც გარდაცვალებამდე მსახურებდა; ამასთანავე 1829-1833 წლებში ჯრუჭის მონასტრის წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო 1833 წლიდან საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის წევრი იყო [ქ.ც.ა., ფ. 21 ან. 1 ს. 389 ფ. 7-8] [ს. 965 ფ. 124-125]. გარდაიცვალა 1841 წლის 8 თებერვალს თბილისში, დარიის მონასტერში [ქ.ც.ა..ფ.21 ან. 1 ს. 3389 ფ.11].

მონასტრის კრებული, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ყოველთვის მცირერიცხოვანი იყო. არქიმანდრიტ სვიმეონის 1827 წლის 7 სექტემბრის წერილიდან იმერეთის არქიეპისკოპოს სოფრონიოსისადმი ირკვევა, რომ 1825 წლის 4 თებერვალს, როცა გარდაიცვალა მღვდელ-მონაზონი სვიმონი (ჭარბაძე), მონასტერში მღვდელ-მონაზონი აღარ დარჩენილა, ამიტომაც ითხოვდა მონასტრის კრებულში მყოფი 2 მხცოვანი მწირი ბერისა და ერთი ბერდიაკონისგან რომელიმე ეკურთხებინათ მღვდელ-მონაზვნად [ქ.ც.ა., ფ.21 ან.1 ს.389 ფ. 1]. მოგვიანებით საქართველოს ეგზარხოსმა, მიტროპოლიტმა იოანემ, ნება მისცა არქიეპისკოპოს სოფრონიოსს ბერდიაკონი იესე (ჯაფარიძე) მღვდელ-მონაზვნად ეკურთხებინა. ის იმ დროს კრებულის ყველა წევრზე ახალგაზრდა - 31 წლის - იყო. როგორც აღვნიშნეთ, მონასტერში მსახურებდა 2 მწირი ბერი. ამათგან ერთი, ბესარიონი (ბაქრაძე), 1827 წლის დასასრულს 90 წლის იყო [ქ.ც.ა., ფ. 21 ან. 1 ს. 389 ფ. 7-8].

1828 წლის მონასტრის კრებულის ნამსახურების სიაში ჩანან მღვდელ-მონაზვნები: სიმეონი და იოაკიმი. მღვდელ-მონაზონი სიმეონი (აბულაძე) დაბადებული იყო 1767 წელს. წარმოშობით იმერელი გლეხი. სასულიერო განათლება მიუღია საირმის მონასტერში, სადაც უსწავლია საღვთო წერილი და სხვებისთვისაც უსწავლებია. აღკვეცამდე მორჩილად ყოფილა საირმის მონასტერში. მონაზვნად აღკვეცა ცაგერის ეპისკოპოსმა 1790 წელს. მის მიერვე იქნა ხელდასხმული იმავე წელს ბერდიაკვნად. მღვდელ-მონაზვნად აკურთხა 1792 წელს ნიკორწმინდელმა არქიეპისკოპოსმა გერმანემ [ქ.ც.ა., ფ. 21 ან. 2 ს. 144 ფ. 26-27]. გარდაიცვალა 1853 წლის 27 დეკემბერს [ქ.ც.ა., ფ. 21 ან. 1 ს. 5637 ფ. 15-20].

ამავე მონასტრის მღვდელ-მონაზონი იოაკიმი დაიბადა 1793 წელს, წარმოშობით იმერელი აზნაური იყო. სასულიერო განათლება მიუღია ჭელიშის მონასტერში, სადაც უსწავლია საღვთო წერილი და სხვებისთვისაც უსწავლებია. აღკვეცამდე მორჩილად ყოფილა ჭელიშის მონასტერში. მონაზვნად აღკვეცა

1814 წელს არქიეპისკოპოსმა სოფრონმა, იმავდროულად ხელდასმულ იქნა ბერდიაკვნად. 1828 წელს მის მიერვე იქნა მღვდელ-მონაზვნად ნაკურთხი [ქ.ც.ა., ფ. 21 ან. 2 ს. 144 ფ. 26-27]. ეს მღვდელმონაზვნები ჩანან მონასტრის კრებულის წევრთა 1838 წლის აღწერაშიც [ქცა ფ.21 ან.1 ს.965 ფ. 124-125].

1841 წლიდან ვანის მონასტრის წინამძღვარია იღუმენი მაკარი (იაშვილი), დაბადებული 1785 წელს. განათლება მიღებული ჰქონდა ნიკორწმინდის საკათედრო ტაძარში, სადაც შეუსწავლია საღვთო წერილი და წერა-კითხვა, იმერეთის საერო წოდების წარმომადგენელი, აღკვეცამდე მორჩილად ყოფილა ჯრუჭის მონასტერში, სადაც მონაზვნად აღკვეცეს 1806 წლის 16 ნოემბერს, ბერდიაკვნად აკურთხეს 1810 წლის 17 აპრილს, მღვდელ-მონაზვნად ხელდასხმულ იქნა 1810 წლის 8 ნოემბერს. 1841 წლის 15 აგვისტოს აიყვანეს იღუმენის ხარისხში და დაინიშნა ვანის ფერისცვალების მონასტრის წინამძღვრად [ქ.ც.ა., ფ.21 ან.1 ს.5673 ფ.75], გარდაცვალებამდე, 1854 წლის 16 დეკემბრამდე, იქ იმსახურა [ქ.ც.ა., ფ. 21 ან. 1 ს. 5631 ფ. 1,14]. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 1853 წლის 3 ივნისს, იღუმენმა მაკარმა ანდერძი შეადგინა, რომლითაც თითქმის მთელი თავისი ქონება - ფული (560 მანეთი) და ნივთები მონასტერს დაუტოვა [ქ.ც.ა., ფ. 21 ან. 1 ს. 5631 ფ. 8-15].

იღუმენ მაკარის გარდაცვალებისას მონასტრის კრებული ფაქტობრივად აღარ არსებობდა, ამიტომ მონასტერში მსახურება დროებით დაევალა ჯრუჭის მონასტრის მღვდელ-მონაზონ სერაპიონს, რომელმაც იქ იმსახურა 1855 წლის 15 მაისამდე მონასტრის დროებით მმართველად მღვდელ-მონაზონ თომას (ელიავა) დანიშვნამდე [ქ.ც.ა., ფ. 21 ან.1 ს. 5631 ფ. 12, 24,41].

მღვდელ-მონაზონი თომა მონასტრის წინამძღვრად ჩანს 1860 წლის შემოდგომამდე [ქ.ც.ა., ფ. 21 ან. 1 ს. 7382 ფ. 3]. 1859 წლის აპრილში იმერეთის ეპისკოპოსმა გერმანემ მისწერა ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ ნიკოლოზს, რათა ჯრუჭის მონასტრიდან მღვდელ-მონაზონი ნეოფიტე გადაეყვანა ვანის მონასტერში მმართველად, თომა კი დაეტოვებინა როგორც ზედამხედველი, რამდენადაც მას მხედველობის დაქვეითების გამო აღარ შეეძლო მონასტრის მართვა. ეპისკოპოსის გადაწყვეტილებას მღვდელ-მონაზონი თომა არ დაემორჩილა და რამდენიმე თვე კიდევ მართავდა მონასტერს [ქ.ც.ა., ფ. 21 ან. 2 ს. 735 ფ. 1-3].

1860 წლის 18 სექტემბერს მონასტერი ჩააბარეს წინამძღვრად დანიშნულ მღვდელ-მონაზონ ნეოფიტეს, რომელიც აქ 1867 წლამდე მოღვაწეობდა [ქ.ც.ა., ფ. 21 ან. 1 ს. 7382 ფ. 3-4].

საარქივო დოკუმენტებმა შემოგვინახა ვანის მონასტრის საეკლესიო ნივთსამკაულის და ქონების 1827, 1854, 1860 და 1866 წლების აღწერა.

მონასტრის ქონების აღწერილობებიდან ყველაზე დეტალური და სრულყოფილია 1860 წლის აღწერა, რომელიც შედგენილია 1860 წლის 18 სექტემბერს წინამძღვარ ნეოფიტესთვის მონასტრის ჩაბარებისას. დოკუმენტი მთლიანად მოგვაქვს:

რიცხვი ქონებათა	სახელდობ, რა ნივთი ანუ ქონება შთაბარდა
	ქვიტკირის ეკკლესია ფიცრით გარდაჭედილი და მცა ფიცრით შეკრული კანკელი ტილოსი ზედა დახატული
1.	მობა
2.	მირქმა
3.	ნათლის ღება
4.	სერობა
5.	იესოს შეპყრობა
6.	ჯვარცმა
7.	ამაღლება
8.	ფერისცვალება
9.	ლაზარეს აღდგინება
10.	სამება
11.	და კიდევ ჯვარცმა
12.	მაცხოვარი
13.	ღ(მრ)თისშობელი
14.	აღსავლის კარზედ ხარება
15.	ჩრდილოეთის და სამხრეთის კარებზედ მოხატულია ფიცარსა ზედა - მიხაილ და გაბრიელ მთავარ ანგელოზნი ფიცარსა ზედა დახატულნი
16.	ხუთი მაცხოვრის ხატნი, ერთი ვეცხლით მოჭედილი არშიით
17.	ორი რუსული რკინით მოჭედილი და ორი მოუჭედელი
18.	ერთი ნათლის მცემლის ხატი, მორჩილი ვეცხლით მოჭედილი
19.	ერთი დიდი ღ˜თის მშობლის ხატი მოუჭედელი საკურთხეველსა შინა
20.	ფიცარსა ზედა დახატული ერთი ჯვარცმის ხატი
21.	ერთი ღ˜თის მშობლის ხატი
22.	ერთი წ˜ის ნიკოლაოზის ხატი
23.	ერთი წ˜ის სამების ხატი
25.	ერთი წლის წმინდანების სურათები არის ჩარჩოშიდ ჩაწყობილი
26.	ერთი დავითნი არის თორმეტი საუფლო და წლის წმინდანების სურათი კონდაკისა ოდნად შეკრული
27.	შვიდი რუსული რკინის კანდელი კიდია ტრაბეზსა ზედა
28.	სამი სახარება· ერთი ქართული, მეორე ვახტანგისა და მესამე ქართული
29.	ერთი პეტერა სახარება მოჭედილი ორმოც მანეთად მღვდელ ... (ფ. 4)
30.	ერთი ჯვარი რუსული რკინით მოჭედილი მინანქრებით
31.	ერთი ბერძული ჯვარი ხისა არშიით და თვლებით მოჭედილი
32.	ერთი ხელი ბარძიმ ფეშხუმი ვეცხლისა კოვზით კამარათი და განსაზავებელითა
33.	ერთი კამარა რკალისა
34.	ერთი საცეცხური ვეცხლისა და მეორე თითბრისა შესამოსელი
35.	ერთი სტოფის ფილონი თეთრ ფურცლიანი
36.	ერთი ხავედის ფილონი შავისა სირმის არშიით გაწყობილი
37.	ერთი ცისფერი ჩიჩაგრის ხარის ფილონი
38.	ერთი მწვანე სტიხარა ჩიჩაგარის ხარისა
39.	მეორე ცისფერი გრიზეთის სტიხარი
40.	მეცამე წითლის დარაიისა

41.	სამი ენქერი: ორი ნაკერი და ერთი ფარჩისა თვისის შესაფერის სარტყელით, ოლრით და სამკლავებით საეკლესიონი წიგნები
42.	ერთი ახალი კონდაკი
43.	მეორე კონდაკი ვახტანგ მეფისა
44.	ერთი ქართული ბარაკლიტონი
45.	ერთი ახალი ქართული მარხვანი
46.	ერთი ქართული ზადიკი
47.	ერთი ახალი დიდი სადღესასწაულო
48.	ერთი სამი თვის სადღესასწაულო
49.	ერთი ახალი სამოციქულო
50.	ერთი ახალი ჟამნი, ერთი დავითნი, მეორე ვახტანგ მეფის დავითნი
51.	ერთი ხელთ ნაწერი ჟამნი
52.	ერთი კურთხევანი
53.	ერთი წიგნი ოქროს წყარო იოანე ოქროპირისა სპილენძთაგანი
54.	ერთი დიდი ქვაბი ძრო იწრო, მეორე მაზედ უნცროსი
55.	მესამე მორჩილი ძრო ბრტყელი და კიდევ მეოთხე მორჩილი
56.	ერთი დიდი თუნგი, ერთი ტაფა და მეორე მორჩილი ტაფა
57.	ერთი დიდი საოტკე ქვაბი ზალ ფუშით და მილით
58.	ერთი ტაშტი და თუნგი მორჩილნი რკინის იარაღი
59.	ორი აფთი, სამი ჩალდი, ოთხი ნამგალი, ორი სახნისი
60.	ორი ეჩო, ერთი შალაშინი, ერთი ხერხი, ერთი ჭობოშანი
61.	ერთი გაზ კვერი ნაშენობა ხისა
62.	ერთი დიდი საკრებულო სახლი ფიცრისა ზედ მოდგმული წინ ოთახით, ბუხრიანი და სალაროთი გაკეთებული თომა ელიავასაგან
63.	ერთი საჯინიბო სახლი ქვემ ბოსლითა ხისა
64.	ოთხი ოთახი ფიცრისა ყველანი ბუხრებიანი (ფ. 5)
65.	ორი ბეღელი ფიცრისა
66.	ერთი სახაბაზო სახლი ფიცრისა
67.	კიდევ სახლი ფიცრისა
68.	ერთი მარანი ძელისა გაკეთებული თომასაგან
69.	ერთი საყდარზედ მიდგმული ოთახი ფიცრისა
70.	საყდრის პოლი, საყდრის კარების გადიდება და აკოშკების გადიდება
71.	სამრეკლო რვა სვეტზედ გაკეთებული. ესენი თომა ელიავასაგან არის შეძენილი და მონასტერს კიდია ორი ზარა მორჩილი ახლად შეძენილი იღუმნის მაკარისაგან
72.	ერთი ქართული ბარაკლიტონი
73.	ერთი ხელთ ნაწერი ნეტაპრასი
74.	მეორე მარიობის და ფერის ცვალების ნეტაპრასი
75.	ერთი დავითნი ახლისა რუსული
76.	ერთი კონდაკი ქართულის სტამბისა
77.	ერთი ლავსაკონი ერთი ლოცვანი ქუთაის დაბეჭდილი შესამოსელი
78.	ერთი ფილონი აბრეშუმისა ხავედისა. იასფერი არშიით გაწყობილი ოლარი სარტყელი სამკლავე და ბედნი ამავე ხავერდისა

79.	სტიხარი მწვანე ჩიჩაგისა არშიით გაწყობილი
80.	მეორე ფილონი წითელი ფარჩა სირმიანი და აგრევე
81.	სამკლავეები სხვადასხვა ნაჭრებისა სირმიანი
82.	სარტყელი შავს მაუდზედ სირმით ნაკერი
83.	სტიხარი იას ფერი ხარისა
84.	ერთი ალის ფერის ჩითის სტიხარი
85.	ერთი ხელი დაფარნეები დაბისა სირმით გაწყობილი დანაშთი მღვდელ მონაზვნის სვიმონ მაჩაჩიძისა
86.	ერთი კურთხევანი
87.	ერთი დავითნი
88.	ერთი სახარება ესენი ქართული სტამბისა მღვდელ მონაზვნის სვიმონ აბულაძისა
89.	ერთი დიდი სადღესასწაულო
90.	ერთი მოძღვარ მოწაფის წიგნი მხედრული დაბეჭდილი
91.	ერთი ფილონი წითლის ტერნოსი შალი გარეშემო ჩითისა არშიით
92.	ერთი ალაბი მაუდი ანალოღიაზედ დასაფენი მღვდელ მონაზვნის თომა ელიავასაგან შეწირულნი
93.	ერთი უღელი ხარები (და ექვსი ძროხა დიდი და პეტერა)
94.	ერთიანი შეკრული სახარება და სამოციქულო
95.	ერთი ჟამნი და ერთი დავითნი ახლის სტამბისა
96.	ერთი პეტერა სადღესასწაულო
97.	ერთი ენქერი ნაკერი მაცხოვრის თავი მიხაილ და გაბრიელ მთავარანგელოზის
98.	თავები წვრილის მარგალიტით მოკერებული
99.	ერთი რწყვილი სამკლავე წითლის ხავედზედ ნაკერი
100.	ერთი ოლარი ძველი ფარჩისა
101.	ნაბედენიკი ერთი ხავედისა და მეორე ფარჩისა (ფ. 6) მონასტრის ეკლესიისა
102.	სამი ცალი ზარი - ექვსი ძროხა დიდი და პეტერა
103.	ათი ღორი დიდი და პეტერა ამა სიასა შინა აღწერილნი ნივთნი და ქონებანი ვანის მონასტრისა მომბარდა მე განმგეს მღვდელ მონაზონი ნეოფიტე ბლაღოჩინი მღვდელი გრიგოლ მესხი (ფ. 7)

[ქ.ც.ა., ფ. 21, ან. 1, ს. 7382, ფ. 4 – 7]

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, მონასტერი საეკლესიო ნივთ-სამკაულითაც და სამეურნეო ქონებითაც ღარიბი იყო; მცირე იყო მონასტრის შემოსავალიც, რომელიც ძირითადად კუთვნილი ყმებისა და მამულებისგან შემოდიოდა. 1859 წლის მონაცემებით, მონასტერს ყმები ჰყავდა (სულ 15 კომლი) შორაპნის მაზრის, საჩხერის უბნის, სოფელ მოხორეთუბანში 4 კომლი გაბრიჭიძე, წყალშუაში 1 კომლი ჯაჯანიძე და თვითონ ვანში 1 კომლი მიქაუტაძე. ონის მაზრაში სოფელ შხივანაში 4 კომლი სირაძე, ცხმორში 4 კომლი კობერიძე და აბარში 1 კომლი ლობჟანიძე [ქ.ც.ა., ფ. 21 ან. 2 ს. 568 ფ. 5]. ყმებისგან და მამულებისგან მონასტერს შემოუდიოდა შემდეგი შემოსავალი: 304 ჩაფი ღვინო, 259 ბათმანი პური, 90 ბათმანი ქერი, 620 ბათმანი სიმინდი, 4 ცხვარი, 16 ქათამი და 26 მანეთი და 80 კაპიკი ფული [ქ.ც.ა., ფ.21 ან.2 ს.735 ფ.5].

მცირე შემოსავლის შესაბამისი გახლდათ მონასტრის ხარჯები, ვანის მაცხოვრის ფერისცვალების მონასტრის ყოველწლიურ ხარჯზე ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის 1858 წელს გაწეული ხარჯების ნუსხა. ეს ნუსხაც მთლიანად მოგვაქვს (დოკუმენტის დაზიანების გამო ცხრილის მეხუთე უჯრა, სადაც სავარაუდოდ ფულის ერთეული „კაპიკი" უნდა წერებულიყო, ნაწილობრივ იკითხება – მ.კ.). ფაქტობრივად ეს არის მონასტრის წინამძღვრის გაწეული ხარჯები როგორც მონასტრის, ასევე პირადი საჭიროებისთვის:

დახარჯუ -ლისა სია	ჩყნ წელსა დახარჯული ვანის მონასტრისა თუ რასათვის დაიხარჯა ანუ რამოდენი	მანეთი	აბაზი	
ა	რკინა ვიყიდე მონასტრისათვის			
ბ	ფოლადი ვიყიდე მივეცი	ვ		
გ	მჭედელი მოვიყვანე მონასტერში და დავაჭედიე მონასტრის საჭირო ავეჯები: სამი ახალი ცული და ცხრა ნაჯახი, ერთი აფთი, ორი თოხი, ერთი ჩალდი, ერთი სამფეხი, ორი სატეხე, ერთი გაზი, ერთი ფარგალი. ესენი ახალი გავაკეთებიე, სხვა ძველთაგან. სამი ცული, სამი ნაჯახი, ექვსი ჩალდი, თორმეტი თოხი. ესენი ყველა ძველები იყვნენ. გავაკეთებინე და სულ ამათ გაკეთებაში მჭედელს მივეცი.	ბ		
დ	საყველიეროთ კრებულისათვის ყველი და თევზი ვიყიდე	ვ		
ე	ხიზილალა ვიყიდე	ზ		
ვ	მიქუნა ხაბაზს პერანგი და ფეხსაცმელი უყიდე			
ზ	ქალაბანი უყიდე	ა		
ჱ	თევდორე ხელოსანს მიქაუტაძეს ქალაბანი უყიდე		ვ	
თ	მოჯამაგირე გრიგოლა კეკენაძეს მივეცი		ვ	
ი	გრიგოლა კეკენაძეს პერანგი და ნიფხავი და ქალაბანი	ბ	ბ	
ია	შვიდი ახალი ნამგალი გავაჭედიე და მჭედელს მივეცი	ბ	ბ	
იბ	ერთი ძველი ცული, ოთხი ძველი ბარი, ოთხი სახნისი გავაკეთებიე და მჭედელს მივეცი	ბ		
იგ	ქურქის გადასაკრავი პირი ვიყიდე			
იდ	ექვსი ალაბი ნარმა ვიყიდე	ა		
იე	თანა არსის სამთლის გული ტილო ვიყიდე			
ივ	ანთე შაში ვიყიდე		გ	
იზ	მიხაკ დარიჩინი ვიყიდე			
იჱ	თანა არსის სანთლის საღებავი ვიყიდე ჩითელი და შავი			
ით	ვნების კვირაში მთავარ დიაკონი მარკოზ მაჩიტიძე მოვიყვანე და აღდგომის მესამე დღემდე ჩემთან იყო. მაწირვიებდა და იმას მივეცი საწირავი.		გ გ ა	
კ	შაქარი ვიყიდე ქუთაისს		ა	
კა	ჩაი ვიყიდე ქუთაისს	ბ	ა	
კბ	საწერი ქაღალდი ვიყიდე ქუთაისს	ბ		ი
კგ	მიხაკ დარიჩინი და ხახვი ვიყიდე		ა	
კდ	თევდორე ხელოსანს მიქაუტაძეს ჩოხა უყიდე	ბ		
კე	მიქუნა ხაბაზს ჩოხა უყიდე			
კვ	გრიგოლა კეკენაძეს ჩოხა უყიდე	ბ		
კზ	კოკია გლახას ჩოხა უყიდე	ბ	ბ	
კჱ	საოფლე ნაბადი ვიყიდე	ბ		
კთ	ოტია დიაკონს მივეცი	ა	გ	
კი	გრიგოლა კეკენაძეს მივეცი	ბ		
ლ	გრიგოლ გამყრელიძე იასაულად მყავდა. კეკენაძისას მივეცი მას საიასაულო	ა ე		

ლბ	მუაჟე წყალზე ვიყავი და იქ პური და ღვინო ვიყიდე	ა		
ლგ	უხაგიოი ვიყიდე ონს	დ		
ლდ	ყველი და ხორცი ვიყიდე	ბ	ბ	
ლე	საცეროი და სამტკიცი ვიყიდე ონს	ბ		
ლვ	მარილი ვიყიდე ორპირში			
ლზ	თევზი ვიყიდე ორპირში	ე		
ლთ	ერთი ზუთხი ვიყიდე ორპირში	ვ		
მ	საოფლე ნაბადი ვიყიდე საბარგო უნაგირებისათვის	ზ	ა	
მა	ზუთხი ვიყიდე ორპირში და მოვიტანე მონასტერში	ა		
მბ	შაქარი და როში ვიყიდე ქუთაისს	ე		ი
მგ	აქიმს მივეცი	ზ	ბ	
მდ	თოფის წამალი ვიყიდე	ი	ზ	
მე	ახალციხეს ვიყავ აბანოზე, იქ დამეხარჯა	მ	ე	
მვ	ფერისცვალების დღესასწაულისთვის ზუთხი ვიყიდე			
მზ	დოში ვიყიდე	ი		
მთ	ფარგა ვიყიდე	დ	ა	
ნ	კართოფილის სამთელი ვიყიდე	ა		
ნა	აქიმს მივეცი	ა		
ნბ	ღვინო ვიყიდე	ლდ		
ნგ	ლაფჩანი ვიყიდე	იბ		ი
ნდ	წამალი ვიყიდე მივეცი	ბა	ა	
ნე	ქალამანი ბიჭებისათვის	გ		
ნვ	ორი კოკა ღვინო ვიყიდე მივეცი		ა	
ნზ	ოტკა ვიყიდე, ერთი ბოთლი მივეცი	ბ		
ნთ	ყავილაშვილის მემართა და მივეცი			
ო	ამისის სარგებელი	ი		
ოვ	ცხენში დაუთავე	დ		
ონ	უნაგერი ვიყიდე, მივეცი	ეე		
ი	გურიას ვიყიდე ჩითები და ნარმები ჩემი ტანისამოსისათვის	ე		
ია	მაკვიციძემ ცხენი მაჩუქა, მეყინიბეს ვაჩუქე			
იბ	მაკვიციძის ფარეში მემსახურებოდა და ვაჩუქე	იბ	ა	
იგ	საწყალი კაცი იყო გური იესე გულაძე ვაჩუქე	ბ	ა	
იდ	წამლები ვიყიდე ქუთაისს	ა		ი
იე	ორი ჯორი და ორი ცხენი დავაქედიე	ა	ბ	
ივ	ეკლესიისათვის წმინდა სამთელი ვიყიდე, მივეცი	იბ		
იზ	შობის მარხვისათვის თევზი ვიყიდე	ბ		
იც	როში და შაქარი ვიყიდე ოჩამჩირეს ქალაქში	დ		
ით	სამთლის გული ვიყიდე	ე		
ჟ	ხიზალალა ვიყიდე	იბ		
ჟა	პური ვიყიდე ქუთაისს	ა	ბ	
ჟბ	ქაღალდი ვიყიდე საწერი	ბ	ა	
ჟგ	საპონი ვიყიდე ქუთაისს		ბ	
ჟდ	წითელი ლუქი ვიყიდე		ბ	
ჟე	გიშრის კრიალოსანი ვიყიდე			
ჟვ	ოდიშს კაცი გავგზავნე და საგზლად გავატანე			
ჟზ	წელს პური არ მომსვლია და ვიყიდე	ე		
ჟს	სამ ცხენში მივეცი თვრამეტი თუმანი, სამივე მომიკვდა, ერთ ლაფშაში მივეცი	ბ იე		
ჟთ	ღვდელ მონაზონი პანტელეიმონ მოვუყვანე საწირავად,			
ჟ	ორკვირეს მყავდა და იმას მივეცი საწირავათ	ბ		
რ	ოტია დიაკონს მივეცი			
რა	ზარები ვიყიდე ჯორებისათვის შესაბმელად მივეცი	დ		
რბ	ერთი ხარი მონასტრის ნადირმან შემიჭამა			
რგ	ერთი ხარი უმუშევრობის გამო აღარ ვარგიყო და დავკალი და მონასტერში დავხარჯე	ა		
რდ	ოთხი მანეთის პური ვიყიდე, ორი კოდი	ვ		

[ქ.ც.ა., ფ. 21 ან.2 ს. 735 ფ. 9,10]

მონასტრის შესახებ ძირითადად შეწირულობებზე დიდი ინფორმაციის შემცველია 1845 წელს შედგენილი მისი კუთვნილი საბუთების ნუსხა, რომელიც ჩვენამდეა მოღწეული. ნუსხაში 13 საბუთია შეტანილი. ესენია:

„1. იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის შეწირულობის სიგელი ვანის მონასტრისადმი 1793 წლის (სავარაუდოდ აქ შეცდომაა, ალბათ უნდა ეწეროს 1783 წელი - მ.კ.). საბუთში აღნიშნულია, რომ მან განაახლა ეს მონასტერი და შესწირა მთლიანად ვანი და ზვარის წვერს გარდაღმა ვანისკენ რაც არის, სერს იქეთ დაწყებული სატოფელად, წყლიანად რაჭის მთის გადმოღმა, შიშველს აქეთ. ასევე ერთი კომლი ყმა ყავილაშვილები და მუხურეთუბანს გაბრიჭიძეები.

2. თავად ანტონ რაჭის ერისთავის შეწირულობა 1812 წლის 7 აპრილის ვანის მონასტრისადმი, რომ შესწირა აგარაში მცხოვრები ყმა დათუკა ლობჯანიძე.

3. ელენე ბაგრატიონის ქალის შეწირულობა 1812 წლის 13 მაისის ვანის მონასტრისადმი, რომ შესწირა სხვავაში მცხოვრები არჩვაძეების ერთი ოჯახი.

4. აზნაურ ოსიყმე ჩიკუაიძის და მისი შვილების - ნიკოლოზ, დავით და ტოტიკი ოსიყმეს ძეების - ნასყიდობის წერილი ვანის მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ სვიმეონისადმი 1813 წლის 2 ივნისის, რომ არქიმანდრიტს მიჰყიდეს შხივანაში მოსახლე თავიანთი გლეხები.

5. ქუთათელი მიტროპოლიტის დოსითეოსის შეწირულობა 1813 წლის 15 დეკემბრის, რომ მან მონასტერს შეწირა 20 კოდი პური.

6. სუსანა ერისთავის ქალის და მისი გერების, გიორგი და იესე მაჩაბლების 1814 წლის 1 აგვისტოს შეწირულობა ვანის მონასტრისადმი, რომ მათ მონასტერს შეწირეს რაჭაში მცხოვრები საკუთარი ყმები: ბერიკა და ხუჩულა სირაძეები.

7. აზნაურ საჩინო გამყრელიძის და მისი შვილების, ივანესა და ოქროპირის, 1812 წლის 5 თებერვლის ნასყიდობის წიგნი ვანის მონასტრის არქიმანდრიტ სვიმეონისადმი, რომ არქიმანდრიტს მიჰყიდეს საკუთარი ყმა გოგიტა ჯაჯანიძე და მისი ძმისწული ივანიკა.

8. აზნაურ ბერი ბარათაშვილის 1815 წლის 23 მარტის შეწირულობა ვანის მონასტრისადმი, რომ მან მონასტერს შეწირა თავისი უმემკვიდრეოდ გადასული ნარიძეთა 2 კომლის დანაშთი ქონება.

9. თავად გიორგი და იესე ზურაბის ძე მაჩაბლების 1814 წლის 5 ივლისის ნასყიდობის წიგნი ვანის მონასტრის არქიმანდრიტ სვიმეონისადმი, რომ მათ არქიმანდრიტს მიყიდეს შხივანას მცხოვრები საკუთარი ყმები - ქრისტესიკე და გულიკი სირაძეები.

10. აზნაურის ზაალ აბაშიძის უთარიღო შეწირულობის წიგნი ვანის მონასტრისადმი, რომ მან მონასტერს შეწირა ყოველ წელს საკუთარი მოსავლისაგან ათი თორმეტიანი ღვინო.

11. თავად დიმიტრი ერისთავისაგან 1814 წლის 9 მაისის შეწირულობის

წიგნი ვანის მონასტრისადმი, რომ მან მონასტერს შეწირა შხივანას მცხოვრები საკუთარი ყმები - გიგიტი და სვიმონა სირაძეები.

12. თავადის სვიმონ ზურაბის ძე წერეთლის 1730 წლის 28 თებერვლის შეწირულობის წიგნი ვანის მონასტრისადმი საკუთარი ყმის ივანიკა მიქაუტაძის შეწირულობაზე. (როგორც ჩანს, საბუთი შეცდომითაა დათარიღებული, სავარაუდოდ უნდა იყოს 1830 წელი - მ.კ..)

13. აზნაურ ბეჟან გამყრელიძის 1815 წლის 26 აგვისტოს შეწირულობის წიგნი ვანის მონასტრისადმი, რომ მან მთელი თავისი კუთვნილი ქონება უანდერძა მონასტერს".

[ქ.ც.ა., ფ.21 ან.1 ს.3101 ფ. 170-175]

ვანის მაცხოვრის ფერისცვალების მონასტრის ხანმოკლე არსებობამ განაპირობა მისი მოკრძალებული ადგილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამონასტრო ცხოვრებაში.

დღემდე მონასტრის ნაგებობებიდან მხოლოდ ეკლესიაა გადარჩენილი, რომელიც 2016 წელს აღადგინეს.

ბიბლიოგრაფია:

1. დვალაშვილი გიორგი, 2013, საჩხერე და ჭიათურა (ტურისტულ-გეოგრაფიული ექსკურსი), თბილისი, „თბილისი".
2. История Грузинской Иерархии. Москва. 1826.
   ქუთაისის ცენტრალური არქივი (შემდეგში ქ.ც.ა.).
3. ქ.ც.ა. ფ. 21 ან.1 ს. 52, 389, 965, 1139, 1241, 1837, 2106, 3101, 3389, 5631, 5637, 7382, 10147
4. ქ.ც.ა. ფ.21 ან.2 ს.144, 568, 735

MERAB KEZEVADZE
Kutaisi Central Archive

FROM THE HISTORY OF VANI SAVIOR TRANSFIGURATION MONASTERY

Summary

Based on the archival documents the article tells us the general history of the Monastery of the transfiguration of Savior of the village Vani, located in Chiatura municipality. Destroyed by the invasions of the enemy, it seems to be restored at the end of the 18th century. The activity of the abbots of the monastery is learnt. From the establishment to the abolishment of the monastery the abbots were in sequence:

1. The abbot Dionosi - (1788-1811 years)
2. The archimandrite Simeon (Bakradze) - (1811-1841 years)
3. The abbot Makari (Iashvili) – 1841-1854 years)
4. The monastic priest Serapioni – (1854-1855 years) (In charge of the monastery)
5. The monastic priest Toma (Eliava) – (1855/05-1856/03 years) (In Charge of the monastery)
6. The monastic priest Toma (Eliava) – (1856/03-1860 years)
7. The monastic priest Neophite – (1860-1867 years)

For the first time we are introducing in this article the description of the property including the documental lists of the monastery and the expenses (of the monastery) of the 1858 year. The condition of the lands, peasants and income is also reviewed in the article. Only the church of the Transfiguration of The Savior has survived from the complex buildings of the monastery.

ეკა კაჭარავა
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო

ეზიუდები ბოდბის საეპისკოპოსოს ისტორიიდან[1]

„ხორნაბუჯის დასავლით არს ბოდბის ჴევი, პირველწოდებული ბოდა.....
ამ ხევსა ზედა არს ბოდბეს ეკლესია გუმბათიანი, დიდშენი, შუენიერი.
აქ მიიცვალა წმიდა ნინო და დაეფლა აქავე" - ბატონიშვილი ვახუშტი.

სახელწოდება „ბოდბის" ეტიმოლოგიისათვის

სამეცნიერო ლიტერატურაში „ბოდბის" ეტიმოლოგიის თაობაზე განსხვავებული მოსაზრებანია გამოთქმული. სახელწოდება ბოდბე, თ. თოდრიას აზრით, მდინარესთან უნდა იყოს დაკავშირებული, ვინაიდან ის მსგავსია ივრის მარცხენა შენაკადის სახელწოდებისა „ლაკბე" და ამ ორი მსგავსი ტოპონიმის *(ლაკბე, ბოდბე)* ერთ რეგიონში არსებობა შესაძლოა მიუთითებდეს, რომ მათი წარმოშობა რომელიმე იბერიულ-კავკასიური ენის, უფრო სწორად ჰერულ-ალბანური ტოპონიმიკის ნაშთთანაა დაკავშირებული [თოდრია, 1982:90]. ძ. მუსხელიშვილის თანახმად, ბოდბის ეტიმოლოგიის საკითხის გარკვევისას საქმე უნდა გვქონდეს ქართული ეთნიკური ელემენტის *(კახეთ-კუხეთი, მთიანეთი)* ალვანეთის ტერიტორიაზე (ჰერეთსა და ნაწილობრივ რანში) ინფილტრაციასთან. არაგვისა და ივრის ხეობებისა და ძველი ჰერეთის ტერიტორიაზე სოფლების იდენტური სახელწოდებები იშვიათობა არაა. ჰერეთის ტერიტორიაზე დამოწმებული სახელწოდებანი სადაურობის სუფიქსითაც გვხვდება, რაც ძველი მოსახლეობის დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიგრაციის დასტურია. დ. მუსხელიშვილი ძველი ქიზიყის - ძველი კამბეჩოვანის - ტერიტორიაზეც მსგავს მდგომარეობას შენიშნავს და მსგავს ტოპონიმთა ჩამოთვლისას ასახელებს ბოდბესაც, კერძოდ ბოდისს (ბოდბე) ქიზიყში და ბოდავს არაგვის ხეობაში [მუსხელიშვილი, თბ. 1997:61-62].

ბოდბის ისტორიისთვის მეტად საყურადღებოა წმ. ნინოსა და მირიან მეფის თანამედროვე მცხეთელ ებრაელ აბიათართან დაკავშირებული ცნობა:

„მე, აბიათარ, მოგითხრობ თქუენ თხრობასა მას, რომელი მეუწყა და ყურითა ჩემითა ვისმინე მამისა და დედისა ჩემისაგან და რომელი წიგნთაგანცა

[1] საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ეპარქიის - ბოდბის - შემადგენლობაშია ქიზიყის ტერიტორია (ძველი კამბეჩოვანი, საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი სოფელ კონდოლამდე, თანამედროვე სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონები). ძველად კათედრა მდებარეობდა ბოდბეში, ამჟერად ქ. სიღნაღშია გადმოსვებული.



უწყი. რამეთუ მათცა პაპათა და მშობელთაგან თჳსთა მოთხრობით და სმენით უწყოდეს ესრეთ, ვითარმედ: ოდეს იგი ჰეროდე მეფობდა იერუსალემს, მაშინ გუესმა ესრეთ, ვითარმედ „იერუსალემი სპარსთა დაიპყრესო. რომლისათჳს-იგი იქმნა გლოვა და წუხილი ჰურიათა ზედა ქართველთა, მცხეთელთა მკჳდრთა, ბოდელთა მღდელთა, კოდისწყაროელთა მწიგნობართა და სობის კანანელთა თარგმანთა – ესე ყოველნი აღიძრნეს სივლტოლად".

ამ ცნობის თანახმად, ახ. წ.-ის I მესამედში ბოდბე მნიშვნელოვანი წარმართული ცენტრია, სადაც „*ბოდელნი მღდელნის*", ანუ წარმართი ქურუმების მოღვაწეობა ფიქსირდება. ამავდროულად I საუკუნეში „*ბოდელთა მღდელთა*", ანუ ბოდბელ ქურუმთა არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ტოპონიმი ბოდი/ბოდბე I საუკუნეშივე არსებობდა. ეს სტრაბონის ცნობის სისწორესაც მიუთითებს, კერძოდ, I საუკუნის დასაწყისისთვის არაგვის ხეობიდან (ბოდავიდან) ჰერეთში ქართველი მოსახლეობის მიგრაციას[2], რაც, პლინიუსის ცნობით, ახ. წ.-ის I საუკუნეშიაც გრძელდება[3]. ამდენად, ქართლის სამეფოს პოლიტიკურ კურსს უსწრებს ალვანეთის ტერიტორიაზე ქართული ეთნიკური ელემენტისა და კულტურის ინტენსიური მშვიდობიანი ინტეგრირების პროცესი [მუსხელიშვილი, თბ. 1997:61-63].

ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრებისას გასათვალისწინებელია მონოთეისტური რელიგიისა და პოლითეისტური წარმართული კულტის წინააღმდეგობრივი ხასიათი, რომლის მიღმაც სამეფო ხელისუფლებისა და აზნაურობის ეკონომიკური ინტერესების ქურუმობის ინტერესებთან დაპირისპირება იგული-

---

[2] „სომხეთი ნაწილობრივ წარმოადგენს ველს, ნაწილობრივ კი - მთიანი მხარეა. როგორც, მაგალითად კამბისენე, სადაც სომხები ერთდროულად ემიჯნებიან ივერიელებსაც და ალვანელებსაც" (**Страбон. География. 1964**).

[3] „მთელი ველი დაწყებული მდ. კიროსიდან (მტკვარი) დასახლებულია ალვანელების ტომით, შემდგომ – ივერიელებით, რომლებიც პირველთაგან გამოყოფილნი არიან მდ. ალაზნით" (**Плиний, Естественная история, ВДИ, №2,1949**).

სხმება. ასევე მხედველობაშია მისაღები ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკა: დასავლური ორიენტაცია, კავკასიის მთიანეთის (არაგვისა და ივრის ხეობების) დამორჩილება და ქართლის აღმოსავლეთი პერიფერიის - ჰერეთ-კამბეჩოვანის - შემომტკიცება. ახალი მონოთეისტური რელიგიის დამკვიდრებას რთული კულტურულ-პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა.

„დაადგრა (ვარსკვლავი) დაბასა ბოდს კახეთისა ქუეყანასა"

„მოქცევაჲ ქართლისაჲს" თანახმად, სვეტიცხოვლის ეკლესიის მშენებლობის დროს ჩამოსული ცეცხლის ჯვრიდან გამოსული ორი ვარკვლავიდან ერთი - თხოთის მთას, ხოლო მეორე „დაბასა ბოდს" დაადგა. თხოთის მთაზე ჯვარი მაშინვე აღუმართავთ, ხოლო ბოდბის ნაცვლად, ნინოს დავალებით, ჯვარი უჯარმაში სალომე უჯარმელს, „ჴეშმარიტსა მჴევალსა ქრისტესსა", უნდა აღემართა: *„აღიმართოს იგი უჯარმას ქალაქსა და დაბა ბოდისი არა წინა აღუდგეს ქალაქსა მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლჱ არს მუნ"*. საკუთრივ „დაბა ბოდისს" ჯვარი წმ. ნინოს მოხილვის შემდგომ აღიმართებოდა: „დაბაჲ *კულა ბოდის თჳთ ვიხილოთ სათნოჲ იგი ადგილი ღმრთისაჲ*".

ცხადია, ეს გადაწყვეტილება შემთხვევითი არ იყო. აქედან ჩანს, ჯერ ერთი, რომ დაბა ბოდს ამ დროისთვის ქრისტიანული სარწმუნოების გასავრცელებლად სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, იქ ჯვარი *„....საცოდ ყოველთა ქრისტიანეთა* და *დასამჴობელად მტერისა*" უნდა აღიმართოს და მეორე – ჯერ ამ მიზნის განხორციელება მიზანშეწონილი არ არის, ვერ მოხდება და გადაიდო.

იმ დროისთვის „ბოდელთა მღდელთა", ანუ ბოდბელ ქურუმთა არსებობა კვლავაც რეალობაა და წარმართული გავლენაც ძლიერია. ამასვე უნდა მოწმობდეს IV საუკუნის დასაწყისის ქართლში არსებული ზოგადი ფონიც, კერძოდ სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულება წარმართობის მიმართ, „შემკობა კერპთა და ბომონთა", ქურუმთა „კეთილად პყრობა" და „ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს მსახურება კერპთა".

„დაბა ბოდს" ვარსკვლავის „დადგრომა" ბოდბეში საეკლესიო ცენტრის დაარსებას უნდა ითვალისწინებდეს [მუსხელიშვილი,1997:61-62].

IV ს-ის პირველ მეოთხედში ქალაქ უჯარმის საგამგეოში შედის დაბა ბოდბე, რომელიც იმ დროის ქართლის სამეფოს აღმოსავლეთ პერიფერიაში ჩამოყალიბებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრია; უჯარმის საგამგეოში შედის: კახეთი, კუხეთი და ჰერეთის შემოერთებული ნაწილი დაბა ბოდბითურთ. დაბა ბოდბე ჰერეთში, სუჯეთის საერისთავოშია, ხოლო სუჯეთი იმ ხანებში ქართლისთვის ახლად შეძენილი წარმართული ქვეყანაა.

სუჯეთი (ივრის შუაწელი ხაშმიდან ბოდბემდე) ნინოს მისიონერული მოღვაწეობის შედეგად გაქრისტიანდა; ნინომ კაწარეთში მონათლა კუხელნი და სოჯნი. სოჯთა მეორე ნაწილი, *„სოჯი დედოფლითურთ და მის თანა მთავრებითურთ"*, მოგვიანებით ბოდბეში ნინოს მიერვე ინათლებიან. წმინდანის

მონათხრობით, *„მივიწიე ქუეყანასა კუხეთისასა და დაბასა ბოდისასა და აწცა ჴსენებულმცა არს დედოფალი ეგე სოჯი, რამეთუ აღიძრა ეგე შურთა საღმრთოითათა დალეწად კერპთა და მოქცევად ერისა მათისა საერისთავოსა“*.

ნიშანდობლივია სოჯელი დედოფლის მიმართვა მცხეთის ეკლესიის კრებულისადმი - „დაბა დიდი ბოდისი შენდა შევსწირნეო“. მიმართვიდან ირკვევა, რომ სუჯეთი აქამდე ცალკე ქვეყანა, ცალკე საერისთავოა საკუთარი დედოფლით.

მემატიანის ცნობით, მირიანმა „... განამტკიცა *ყოველი ქართლი და ჰერეთი სარწმუნოებასა ზედა სამებისა წმიდისასა, ერთარსებისა, ღმრთისა* დაუსაბამოსასა, დამბადებელისა ყოვლისასა“, რის განხორციელებაშიც უდიდესი წვლილი წმინდა ნინოს მიუძღვის.

დასნეულებული მისიონერი ბოდბეში გარდაიცვალა. მემატიანის თანახმად, „ ... *მაშინ იოვანე ებისკოპოსმან წირა ჟამი და აზიარა ჴორცსა და სისხლსა ქრისტესსა წმიდა ნინო ... „... შეიძრნეს ორნივე ესე ქალაქნი, მცხეთა და უჯარმა, და ყოველი ქართლი, მიცვალებასა ნინოსსა*“. წმინდანი მისივე ანდერძის თანახმად, დაკრძალეს „*ადგილსავე ზედა კუხეთს, დაბასა ბოდისასა*“.

ბოდბეს „...ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ქისიყისა და ვიდრე კონდოლამდე აქუს სასპასპეტო დროშაცა და არიან სადროშონი მისნი ქისიყით კონდოლამდე და მანავადმდე, და არს ბრძოლასა მეწინავე. ბოდბელი არს პირველი ეპისკოპოზი კახეთისა, პატივისათვის წმიდის ნინოსა“ - ბატონიშვილი ვახუშტი.

ასეთია ვახუშტის თანამედროვე ბოდბის საეპისკოპოსო კათედრა და ბოდბელი ეპისკოპოსის პოზიცია.

წყაროთა სიმწირის გამო შეუძლებელია ბოდბის ეპარქიის ისტორიას თანმიმდევრულად გავადევნოთ თვალი, ცალკეული პერიოდები ჩვენთვის სრულიად უცნობია. ასეთ დროს სავარაუდო რეკონსტრუქცია მხოლოდ კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური ისტორიისა და მატერიალური კულტურის ძეგლების მონაცემთა მოშველიებითაა შესაძლებელი.

კახეთის უმთავრესი კათედრის დაარსების თაობაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთიანი აზრი არ არსებობს. საეპისკოპოსო კათედრის დაარსებას მეტწილად V საუკუნეს მიაკუთვნებენ, თუმცა საამისო პირდაპირი წყარო არ გვაქვს. ძირითად არგუმენტად მოტანილია ცნობა, რომელშიც აბრაამ სომეხთა კათალიკოსის ქართლის კათალიკოს კირიონისადმი მიწერილ მესამე ეპისტოლეში 506 წლის დვინის კრებასთან დაკავშირებით ქართველ ეპისკოპოსთა ჩამონათვალში („იოვანე ეპისკოპოსი სარუსთიელი (რუსთველი), ლაზარ ეპისკოპოსი კასდრელი (კაწარელი), ფოკას ეპისკოპოსი ტსერმილი (ჭერემელი)“) „ლაზარ ეპისკოპოსი ბოლდბილი“ იხსენიება [ალექსიძე, 1968:97]. ამ სარწმუნო წყაროს თანახმად, VI საუკუნის დასაწყისისთვის რუსთავის, კაწარეთისა და ჭერემის საეპისკოპოსოებთან ერთად ბოდბე მოქმედი საეპისკოპოსო კათედრაა.

XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელთა (პლ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, ა. ხახანაშვილი, დ. ფურცელაძე) ნაშრომებში ბოდბის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციაა დაცული, თუმცა მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებანი მეტად წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. ეს ავტორები უმეტესწილად არ უთითებენ პირველწყაროებს, ჩვენთვის ხშირ შემთხვევაში უცნობია, რას ეფუძნება მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებანი[1].

ჩვენთვის საინტერესო ხუროთმოძღვრული ძეგლის — ბოდბის ტაძრის - მეცნიერულ შესწავლას გ. ჩუბინაშვილმა ჩაუყარა საფუძველი. განსვენებული მეცნიერი აღნიშნავდა, რომ ბოდბის ტაძრის სრულფასოვან შესწავლას მეტად ართულებდა სხვადასხვა დროს განხორციელებული სარესტავრაციო სამუშაოები. ბოდბის მონასტრის ჩვენამდე მოღწეული ძველი ბაზილიკა, რომელიც წმინდა ნინოს დაკრძალვის ადგილას მდებარეობს, გ. ჩუბინაშვილის აზრით, VII, VIII ან IX საუკუნეებში უნდა გაედიდებინათ და ძველი ნაწილიც მასში ჩაერთოთ. სამხრეთი ეკვდერი უნდა ყოფილიყო უძველესი ფენა (შესაძლოა VII ან VIII-IX საუკუნეებისა), რომელიც მოგვიანებით მოაქციეს სამნავიანი ბაზილიკის მოცულობაში. სამნავიანი ბაზილიკა სამი შვერილი ნახევარწრიული აფსიდით ძირითადად უძველესი ეპოქისთვისაა დამახასიათებელი (ბოდბის ეკლესია მსგავსებას ავლენს ბოლნისის სიონთან, ძველ გავაზთან და ნინოწმინდასთან)[5].

[4] პლ. იოსელიანი და დ. ბაქრაძე თავიანთ ნაშრომებში ბოდბეში პირველი ქვის ეკლესიის აგებას ბაქარ მირიანის ძეს აკუთვნებენ სავარაუდოდ ვახუშტიზე დაყრდნობით. ა. ხახანაშვილის თანახმად, მირიანის ძის, ბაქარის, აგებულია ხის ეკლესია, ხოლო ქვის პირველი ეკლესია ვახტანგ გორგასალს უნდა აეგო. პლ. იოსელიანის ცნობით, ეს უძველესი ეკლესია ადრიდანვე წმ. გიორგის, ხოლო სამხრეთი ეკვდერი, სადაც წმინდა ნინოა დაკრძალული, წმ. ნინოს სახელობისა იყო. რაც შეეხება მონასტრის დაარსებას ბოდბეში, პლ. იოსელიანის, დ. ბაქრაძისა და კირიონის (საძაგლიშვილი) აზრით, (წმ. ნინოს საფლავთან არსებული მონასტერი) თავიდან დედათა მონასტერი იყო. ასევე, პლ. იოსელიანისა და დ. ბაქრაძის აზრით, წმ. ნინოს დაკრძალვის ადგილას, ბოდბეში, მხოლოდ მონასტერი იყო, საეპისკოპოსო მისგან სამხრეთით, „ხუთა ბოდბის მონასტერში", მდებარეობდა და ნინოს განსასვენებლის ადგილას დედათა მონასტრის გაუქმების შემდგომ გადმოინაცვლა.

[5] გ. ჩუბინაშვილის ვარაუდი ტაძრის სიძველესთან დაკავშირებით დაადასტურა 1995 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაცემებმა. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის, ლოცვა-კურთხევით დაიწყო არქეოლოგიური გათხრები. გათხრების შედეგად გამოვლინდა იატაკის ოთხი დონე, ძველი ფერწერის ფრაგმენტი, ფაიანსის (ქაშანურის), სპილენძის, თიხის სხვადასხვა სახის ჯურჭელი, ბრინჯაოს ზარი, რომელიც საეკლესიო დროშის ნაწილი უნდა ყოფილიყო.

ჩვენ შევეცდებით თანმიმდევრულად განვიხილოთ ამ პრობლემასთან დაკავშირებული წყაროების პირდაპირი თუ ირიბი ცნობები. ნინოს ცხოვრების ჩვენს ხელთ არსებული უძველესი თხზულება *„მოქცევაჲ ქართლისაჲ"* აღნიშნავს, რომ ნინოს გარდაცვალების შემდგომ მირიანმა მისი დაკრძალვის ადგილას ააშენა ეკლესია „ფრიად დიდი", სათანადოდ აღჭურვა და შესწირა „მრავალნი სოფელნი და აგარაკნი" და „განადიდა ფრიად". საკუთრივ საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ ცნობა თხზულებაში არ მოიპოვება. ვფიქრობთ, განსაკუთრებით საყურადღებოა *„მოქცევაჲში"* დაცული მირიანის ნანა დედოფლისთვის დატოვებული ანდერძი: *„.... განყავ სამეფო ჩემი ორად და მიიღე ბოდს სამარხოსა წმიდისა ნინოჲსსა..."* და აქვე მირიანი: „.... მთავარეპისკოპოსსა ჰვედრებდა, რათა დადვას დიდებაჲ მისი, რომელი ღირს არს პატივის ცემისა". მირიანის ანდერძი მცირედი ცვლილებით ლეონტისთანაც არის დაცული, მასში ნათლად ჩანს, რომ სამეფოს ორად გაყოფაში სამეფო განძია ნაგულისხმევი: *„განყავ სამეფო განძი ჩვენი ორად და მიიღე სამარხავსა ნინოსა"* [ძველი...1963:162]. ხოლო [ქართლის...1955:129] რაც შეეხება საეპისკოპოსოს დაარსებას, ამ საკითხს ლეონტი მროველი საერთოდ არ ეხება.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმ წყაროთა ჩვენებები, რომლებიც ბოდბის საეპისკოპოსო კათედრას მირიან მეფის თანადროულად მიიჩნევს. ბოდბეში ნინოს გარდაცვალებისთანავე საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ ცნობას გვაწვდის არსენ ბერის *„ცხორება და მოქალაქობა ნინოისი"* (XII ს-ის I ნახევარი) და ნიკოლოზ გულაბერიძის *„საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ"* (XII ს-ის მეორე ნახევარი). არსენ ბერის ნაშრომი არსებულ ცხოვრებათა (მოქცევაჲ ქართლისაჲ და ლეონტის თხზულება) გადამეტაფრასებული ვარიანტია. არსენს ხელთ ჰქონია „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და *„ჰანბავი მეფეთა"*, ამიტომ იგი საგანგებოდ აღნიშნავს: *„რომელი ძუელსა შინა სწერია, არცა შემიმატებია, არცა დამიკლია..."*. მას იმისთვის, რაც თხზულებაში *„ძუელსა შინა ეწერა"*, მართლაც არ დაუკლია, პირიქით, ბევრი შეუმატებია, მათ შორის ფაქტობრივი მასალაც. სხვა საკითხია, რამდენად სანდოა ეს შემატებული. სწორედ ამ „შემატებულთა" შორისაა ჩვენთვის საინტერესო ცნობა ბოდბის საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ: *„აღაშენა ზედა ლუსკუმასა მისსა მეფემან ტაძარი, ფრიად შვენიერი და განაჩინა საეპისკოპოსოდ"* [ცხორება... 1978: 389]. არსენის შემდეგ ასეთივე შინაარსის ცნობას ვხვდებით კათალიკოს-პატრიარქ ნიკოლოზ I-ის (გულაბერიძე) (XII ს. 50-იანი წწ.) თხზულებაში. ნიკოლოზ გულაბერიძე ნინოს ცხოვრების ეპი-

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ძველი ტრაპეზი. ბოდბის წმ. ნინოს ეკლესიაში აღმოჩენილი ტრაპეზის მსგავსი ნიმუშები საქართველოში მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი. ისინი ადრე შუა საუკუნეებს განეკუთვნება და მოგვიანებითაც არსებობს. ბოდბის ტრაპეზის ზუსტი ანალოგი არ მოგვეპოვება. საყურადღებოა ტრაპეზის ქვედა ნაწილის - სვეტის - რვაწახნაგა მოხაზულობა. ბოდბის სატრაპეზოს გამოვლენილი ფორმა ქართულ ხუროთმოძღვრებაში IX-X საუკუნეებითაა დათარიღებული; სატრაპეზო ტაძრის თანადროული უნდა იყოს შესაბამისად ტაძარიც, იგი IX-X საუკუნეთა მიჯნით უნდა დათარიღდეს.

ზოდების გადმოცემისას წყაროდ იყენებს *„მოქცევაჲ ქართლისაჲსას“*, არსენ იყალთოელის ნინოს მეტაფრასულ ცხოვრებას და, როგორც თვითონ აღნიშნავს, ლეონტი მროველის *„ქართველთა ცხოვრებას“*: *„წიგნი იგი ჴელად მიიღენ, აღწერილი მოწერილობით მოთხრობისათჳს ქართველთა ცხოვრებისათჳს და მისგან გეეუწყოს ყოველივე“*. მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზის თხზულების უმთავრესი მიზანია სვეტიცხოვლის სასწაულთა აღწერა, მასში ბევრი ისეთი ფაქტია გადმოცემული, რომელთა შესახებაც ცნობები სხვა წყაროებში დაცული არაა. ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ გადმოცემულია, რომ წმინდა ნინო *„დაკრძალეს მასვე ადგილსავე ზედა კუხეთს, დაბასა ბუდისასა, რამეთუ მუნ ითხოვა თჳთ დაფლვა მეფისაგან შეხედვებითა ღუთისათა და სიმდაბლისათჳს ქმნა ესე წმიდამან. რამეთუ ადგილი იგი შეურაცხ იყო. და მწუხარე იყო მეფე და ყოველნი წარჩინებულნი მუნ დაფლვასა მისსა, არამედ მცნებისა და ანდერძისა მისისსა აღსრულებისათჳს დაჰფლეს მუნ და ეკკლესია აღუშენეს და ეპისკოპოზი განაჩინეს მას ზედა ესრეთ პატივით და კრძალულებით პატივსცეს წმიდასა და ნეტარსა განმანათლებელსა ქართლისასა, კახეთისა და ჰერეთისასა სამგზის სანატრელსა ღუთივ დიდებულსა ნინოს“* [საბინინი:151-152]. საეპისკოპოსოს დაარსება წმინდანის პატივისცემად განიხილება. ამას, ნიკოლოზ გულაბერიძის საკითხავის გარდა, მირიან მეფის ანდერძიც მოწმობს.

მირიანმა თავისი ანდერძით ერთგვარად განსაზღვრა ქვეყნის შემდგომი განვითარების პროგრამა, დასახა სამომავლო ამოცანები და გადაჭრის გზები. იმ მიზნით, რომ *„ჟამთა სიგრძემან და შეცვალებამან არაოდეს შეარყიოს ადგილი იგი და ეგოს შეუძრველად უკუნითი უკუნისამდე“* [მოქცევაჲ, გვ. 162]. ის დიდად ზრუნავს ბოდბის მატერიალურ უზრუნველყოფასა და გაძლიერებაზე; მეფემ, გარდა ადრე შეწირული სოფლებისა და აგარაკებისა, სამეფო განძის ნახევარი ბოდბეს არგუნა.

მირიანის მხრიდან ბოდბის ახლად აშენებულ ეკლესიაზე ასეთი ზრუნვა და *„განდიდება ფრიად“* მის საეპისკოპოსო კათედრად მზადებას უნდა ნიშნავდეს. ამასთან დაკავშირებით უნდა იყოს მირიანზე *„მოქცევაჲში“* გადმოცემულ მისივე ანდერძში ნათქვამი: *„მთავარეპისკოპოსსა ჰვედრებდა, რათა დადვას დიდებაჲ მისი, რომელი ღირს არს პატივის ცემისა“*. იოანეს, წმინდა ნინოსა და მირიანის თანამედროვე მთავარეპისკოპოსს არ უნდა დასჭირვებოდა მეფის ასეთი განსაკუთრებული თხოვნა, პატივით მოპყრობოდა ქართველთა განმანათლებლის საფლავს; მირიანის თხოვნა: *„დადვას დიდებაჲ მისი“* თუ *„ადიდონ დიდება მის ადგილისა“* - ახლო მომავალში საეპისკოპოსოს დაარსებას უნდა გულისხმობდეს. ამის საფუძველზევე უნდა გამოთქვამდეს მოსაზრებას პლ. იოსელიანი, როდესაც აღნიშნავს, რომ იოანე ეპისკოპოსმა მირიან მეფის სურვილით დააწესა ბოდბეში საეპისკოპოსო კათედრა. ზემოთქმულში მეტად ვრწმუნდებით, როდესაც მეფის ანდერძის შემდგომ ნაწილს ვეცნობით: მირიანმა *„ძესა თჳსსა რქუა: „ ... შენდა მომიცემია გვრგვნი მეფობისა ჩემისა. ღმერთმან*

დამბადებელმან ცისა და ქუეყანისამან დაგამტკიცენ შენ სრულსა სარწმუნოებასა ზედა. იწურთიდი ყოვლადვე მცნებათა ძისა ღმრთისათა, და დაადგერ სრულიად მათ ზედა: და სახელსა ზედა ქრისტესს სიკუდილი ცხოვრებად გიჩნდინ, რომლითა წარუვალი ცხოვრება მოიგო. და სადა პოვნე ვნებანი იგი ცეცხლისანი კერპნი, ცეცხლითა დაწუენ... და ესე შვილთაცა შენთა ამცენ, რამეთუ მე ვიცი იგი, რომელ კავკასიათაცა შინავე დაილევიან". როგორც ანდერძის ამ ვრცელი ეპიზოდიდან ჩანს, მირიანი მემკვიდრეს ქვეყანაში წარმართობის დამხობასა და ქრისტიანული სარწმუნოების დანერგვა-გაძლიერებას უსახავდა უმთავრეს მიზნად.

იოანე ქართლის მთავარეპისკოპოსია დაახლოებით IV საუკუნის 60-იან წლებამდე, იმავე პერიოდში მეფობს ბაქარიც (50-60-იანი წწ.). მემატიანის დახასიათებით, ბაქარ *„.... იყო მორწმუნე, ვითარცა მამა მისი..."* და *„ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი დიდსა სარწმუნოებასა შინა აღასრულნა".* ბაქარმა *„მოაქცივნა კავკასიანნი, რომელნი ვერ მოექცივნეს მამასა მისსა", „ განამრავლნა მღდელნი და დიაკონნი ყოველსა ქართლსა და რანსა ეკლესიათა მსახურებად"* [ლეონტი: 130-131].

როგორც ვხედავთ, ბაქარის მემატიანისეული დახასიათებაც და მის მიერ გატარებული ღონისძიებანიც მირიანის ანდერძთან პირდაპირ შესაბამისობაშია. ბაქარი თანმიმდევრულად ახორციელებს მამის დანაბარებს. ჩვენი აზრით, არც მირიანის იოანე მთავარეპისკოპოსისადმი თხოვნა იქნებოდა ბოდბეში საეპისკოპოსო კათედრის დაარსებასთან დაკავშირებით უგულებელყოფილი და იოანე და ბაქარი ერთობლივად შეუდგებოდნენ ამ საქმეს (განახორციელებდნენ მას). *„მღდელთა და დიაკონთა რანს ეკლესიად მსახურებად გამრავლებაც"* ამის შედეგი უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ მაშინ, როდესაც ვახუშტი ბატონიშვილი ბოდბეში ეკლესიის აგებას ბაკურს მიაწერს, ამის გამოძახილი იყოს.

ამდენად, წმიდა და ნეტარი განმანათლებელის - ქართლისა, კახეთისა და ჰერეთისა, სამგზის სანატრელი, ღუთივ დიდებული წმინდანის - საფლავზე საეპისკოპოსო კათედრის დაარსება მისი გარდაცვალებიდან მოკლე ხანში სრულიად ბუნებრივად გვესახება; მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რა მისია უნდა შეესრულებინა ამ კათედრას მომავალში და იმ გარემოებას, რომ მოგვიანებით ბოდბელი ეპისკოპოსების სამწყსოს ძირითადად ქიზიყის ტერიტორია შეადგენდა; ქიზიყი (ძველი კამბეჩოვანი - კამბისენე) იყო სამი ამიერკავკასიური სახელმწიფოს - ივერიის (ქართლის), ალვანეთისა და სომხეთის - ურთიერთსაზღვრო ტერიტორია, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებოდა მათი სტრატეგიული, ეკონომიკური და კულტურული ინტერესები [მუსხელიშვილი,1997:3]. ცხადია, ამ ტერიტორიის ფლობა იმ პერიოდის ქართული სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი იყო.

საეპისკოპოსო კათედრის დაარსებას ბოდბეში, ქართლის სამეფო ხელისუფლებისთვის სულიერის გარდა, უდიდესი კულტურულ-პოლიტიკური და ეკონო-

მიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მისი მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო ქართლის სამეფოს პოლიტიკური კურსი ამ მხარეში. ბოდბეში საეპისკოპოსო კათედრის დაარსებას მნიშვნელოვნად უნდა შეეწყო ხელი ქართული ქრისტიანული კულტურის, ქართული ენისა და ქართული დამწერლობის გავრცელებისთვის. ახლად დაარსებული ქრისტიანული კულტურის ცენტრის სამოქმედო ასპარეზი უნდა ყოფილიყო კამბეჩოვანი, რომელშიც იმ დროს განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში ქართულთან ერთად ჯერ კიდევ არსებობდა ჰერული (ალვანური) მოსახლეობა და სწორედ მათი გაქართველების მისია ეკისრებოდა ბოდბის საეკლესიო ცენტრს.

ვფიქრობთ, ამ წყაროთა მონაცემების გათვალიწინებით შესაძლებელია ბოდბის საეპისკოპოსო მირიანის მეფობიდან მოკლე ხანში, კერძოდ IV საუკუნის შუახანებისთვის (50-60-იანი წწ.), დაარსებულად მივიჩნიოთ.

ვახტანგ გორგასლის დროს კახეთ-ჰერეთში დაარსებულ თუ განახლებულ საეპისკოპოსოთა შორის ბოდბე არ ჩანს. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ის ამ დროისთვის გაუქმებულია. დ. მუსხელიშვილი ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებულ საეპისკოპოსოთა შესახებ ჯუანშერის ცნობას არ მიიჩნევს სრულად და აღნიშნავს, რომ იმ დროს (V ს.), თუ უკვე IV ს-დანვე არა, არსებობდა ბოდბის საეპისკოპოსოც. წმინდა ნინოს საფლავის აკლდამაზე აგებული ეკლესია და მოგვიანებით აქ დაარსებული დედათა მონასტერი ქართული სახელმწიფოს უდიდეს ქრისტიანულ ცენტრად იქცა, რითაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ჰერული ტომების აღმოსავლურ ქართულ სამყაროსთან პოლიტიკური, კულტურული და ეთნიკური დაახლოების პროცესს მომავალში. ეს პროცესი დასრულდა მეფე ვახტანგ გორგასლის პოლიტიკის შედეგად ციხე-ქალაქ ხორნაბუჯში საეპარქიო კათედრის დაარსებით, ამდენად V ს-ის დასასრულისთვის ქართული სახელმწიფოს ფარგლებში მოექცა მთელი კამბეჩოვანი, ერთიანი კულტურული თვალსაზრისით, თუმცა ჯერ კიდევ არაერთგვაროვანი ეთნიკური შემადგენლობით.

რაც შეეხება ბოდბელ ეპისკოპოს, *„ლაზარ ეპისკოპოს ბოლდბილს“*, ჩვენამდე მოღწეულ წყაროებში პირველად დვინის 506 წლის საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის იხსენიება.

ნიშანდობლივია, რომ VI საუკუნის მატერიალური კულტურის ძეგლების დიდი რაოდენობა კახეთ-ჰერეთზე მოდის. ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისა და დამკვიდრების არეალი მნიშვნელოვნად იზრდება. VI ს-ის შუახანებისთვის ასურელი მამები აარსებენ ზედაზნის, გარეჯის, ალავერდის, ნეკრესის, ხირსის, მარტყოფის, იყალთოს მონასტრებს. VII-VIII საუკუნეებიც კახეთის ტერიტორიაზე დიდი სამშენებლო სამუშაოებითაა აღსანიშნავი. ამას მოწმობს როგორც ჯუანშერის ცნობები არჩილის მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ასევე ხუროთმოძღვრების ისეთი ძეგლები, როგორებიცაა: ბოჭორმა, კვეტერა, ჭალეთი, სიონი ივრის ხეობასა და ყაზბეგის რ-ნში, გარბნის ეკლესია,

ხირსის, ოზაანის გუმბათოვანი ტაძრები და სხვა მრავალი. საკუთრივ ბოდბის შესახებ, ცნობათა უქონლობის მიუხედავად, უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ პერიოდში ბოდბის მონასტერიც და საეპისკოპოსოც აღმავლობას განიცდიდა.

VIII ს-ის დამლევს კახეთი დამოუკიდებელი ფეოდალური ერთეულია ადგილობრივ მთავართა დინასტიით სათავეში. კახეთის სამთავროს ბრძოლა ჰერეთისთვის ცვალებადი შედეგებით მიმდინარეობდა. ჰერეთი, რომელიც VIII ს-ის შუახანებამდე მართლმადიდებლური აღმსარებლობის იყო, X საუკუნისთვის მონოფიზიტურია: „ჰერეთს ვიდრე მეფობამდე იშხანიკისსა პირველნი ყოველნი იყუნეს მწვალებელნი", ე. ი. მონოფიზიტები. X ს-ის II ნახევარში ჰერეთში მონოფიზიტური მრწამსი კვლავ მართლმადიდებლურმა შეცვალა: „იშხანიკ დისწული იყო გურგენ ერისთავთა ერისთავისა და დედამან მისმან მოაქცივნა მართლმადიდებელად დინარ დედოფალმან". ამგვარად განხორციელდა ჰერთა მცხეთის ეკლესიისადმი დაქვემდებარების აქტი. ცხადია, ამ გაერთიანებას ღრმა ისტორიულ-კულტურული საფუძველი ჰქონდა და ბოდბის საეპისკოპოსოს როლი არსებულ ვითარებაში კვლავაც მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა. ნიშანდობლივია, რომ ბოდბის ტაძრის მშენებლობა სწორედ ამ პერიოდზე მოდის. IX-X საუკუნეებში ასეთი მასშტაბის სამშენებლო სამუშაოები მიუთითებს როგორც მის მნიშვნელობაზე, ასევე მის მატერიალურ სიძლიერესა და კეთილდღეობაზე. ჰერთა მოქცევით დასრულდა ჰერეთის ქართულ სამყაროსთან ეთნოკულტურული შერწყმის პროცესი, რასაც პოლიტიკური გაერთიანებაც მოჰყვა: 1008 წელს კახეთის მმართველმა დავითმა შემოიერთა ჰერეთი და შექმნა კახეთის სამეფო. ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის ჰერეთისთვის ბრძოლა ქართული სახელმწიფოს გამარჯვებით დასრულდა და ამ გამარჯვებაში დიდია ბოდბის საეპისკოპოსოს წვლილი.

1104-1105 წწ-ში დავით აღმაშენებელმა კახეთი შემოიერთა. კონკრეტულად ბოდბის საეპისკოპოსოს შესახებ ჩვენ ცნობები არ გაგვაჩნია, თუმცა ქვეყნის საერთო აღმავლობა მის მდგომარეობაზეც დადებითად აისახებოდა.

ამგვარად, ბოდბემ, როგორც ქართულმა ქრისტიანულმა საეკლესიო ცენტრმა, უმნიშვნელოვანესი მისია - ქართული ქრისტიანული კულტურის ქართული ენითა და დამწერლობით გავრცელება - ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად შეასრულა. წმინდა ნინოს საფლავის აკლდამაზე აგებული ეკლესია და მოგვიანებით იქ დაარსებული დედათა მონასტერი ქართული სახელმწიფოს უდიდეს ქრისტიანულ ცენტრად იქცა.

ბიბლიოგრაფია:

1. აბულაძე ილია, 1963, I, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები.
2. ალექსიძე ზაზა, 1968, ეპისტოლეთა წიგნი.
3. არსენ იყალთოელი, 1978, ცხორება და მოქალაქობა ნინოისი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები.
4. გულაბერიძე ნიკოლოზ, „საკითხავი სუჱტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა", საბინინი მ., „საქართველოს სამოთხე", პეტერბურღი, ჩყპბ წელსა.
5. თოდრია თენგიზ, 1982, ქიზიყის ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. VI.
6. იოსელიანი პლატონ, 1865, ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება.
7. მუსხელიშვილი დავით, 1997, ქიზიყის ძველი ისტორია.
8. მუსხელიშვილი დავით, 2003, საქართველო IV-VIII სს-ში.
9. პაპუაშვილი თენგიზ, 1963, ჰერეთ-ალბანეთის ისტორიიდან (ქართულ-სომხური წყაროების მიხედვით), მსკი, ტ. 35.
10. ჩუბინაშვილი გიორგი, 1959, კახეთის არქიტექტურა (რუსულ ენაზე).
11. ქართლის ცხოვრება, I, 1955, ს. ყაუხჩიშვილის მიერ დადგენილი ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. (ეს ბოლო წინ-ბა სინტაქსურად დავალაგე ყველგან)
12. ქართლის ცხოვრება, II, 1959, ს. ყაუხჩიშვილის მიერ დადგენილი ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით.
13. ქართლის ცხოვრება, IV, 1973, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოს საქართველოსა, ს. ყაუხჩიშვილის მიერ დადგენილი ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით.

EKA KACHARAVA
National Agency for Cultural Preservation of Georgia

STUDIES OF THE HISTORY OF BODBE EPISCOPATE

Summary

Work is intended to provide more precise dating of Bodbe Episcopate establishing and emphasizing its significance in political, religious and cultural contexts.

Based on the historic sources, establishment of the Bodbe Episcopate cathedra is dated by the middle period of the fourth century (50s-60s). Bodbe, as Georgian Christian ecclesial center has performed its most important mission – dissemination of Georgian Christian culture through Georgian language and literary texts has performed in compliance with the requirements of the epoch.

A church built around the tomb of St. Nino and a convent established here later have become the most significant Christian center of Georgian state.

მაია ქებულაძე
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმში

უცნობი ეპისტოლური დოკუმენტი ექვთიმე თაყაიშვილის პირადი არქივიდან

ექვთიმე თაყაიშვილის პირადი არქივი, რომელიც დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს წარსულისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლით დაინტერესებულ მკვლევართათვის. 2010 წელს ზ. სხირტლაძემ წიგნად გამოსცა წმინდანად შერაცხილი მოღვაწის მიერ 1919 წელს ზემო იმერეთში მოგზაურობისას ჩატარებული სამუშაოების შედეგად თავმოყრილი სხვადასხვა ტიპის მასალა ჯრუჭის მონასტრისა და მისი სიძველეების შესახებ [თაყაიშვილი, 2010]. ეს თემატიკა არ გულისხმობს ეპისტოლურ ჟანრს და, ალბათ, ამ მიზეზის გამო ზ. სხირტლაძეს ნაშრომში არ შეუტანია ჯრუჭის მონასტრის წინამძღვრის — პავლე ჯაფარიძის - კერძო წერილი ექვთიმე თაყაიშვილისადმი [1, ფ1]. საბუთი დათარიღებულია 1919 წლის 6 დეკემბრით, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა და დედაეკლესიის ავტოკეფალია აღდგენილია, მაგრამ არქიმანდრიტის ერთგვერდიან წერილში კონკრეტული თემის მიღმა მთელი სიცხადით იხატება იმდროინდელი ერისა და ბერის მძიმე მდგომარეობა, რუსიფიკატორულ-კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგები და ის ახლო მომავლიც, რომელმაც დიდი ხნით დაუსვა წერტილი ქვეყნის თავისუფლებას და ფაქტობრივად დანაშაულად გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრიობასთან საუკუნეების განმავლობაში შედუღაბებული რწმენისადმი ერთგულება (რა თქმა უნდა, კარგი ბედი სხვა რელიგიებსაც არ ერგო). ეს ეპისტოლური ჟანრის გამოუქვეყნებელი დოკუმენტი კონკრეტულად ეხება ჯრუჭის მონასტრის წიგნებისა და მღვიმევის მონასტრის კარების მუზეუმისთვის გადაცემის საკითხს. ჯრუჭის მონასტრის წიგნსაცავში მსოფლიო მნიშვნელობის ხელნაწერები იყო დავანებული. დღესდღეობით ეს ხელნაწერები დაცულია კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში. მათ იკვლევდა და დღესაც იკვლევს არაერთი ქართველი თუ უცხოელი მეცნიერი. რაც შეეხება მღვიმევის ეკლესიის ვაზის ორფრთიან კარს, მას, მხატვრული ანალიზისა და მარჯვენა ალათის[1] უკანა მხარეზე შემონახული წარწერის ფრაგმენტის საფუძველზე XI საუკუნით

[1] ალათი — კარის კარკასი, რომელშიც ისმება დანარჩენი ნაწილები.

ათარიღებენ [გომელაური, 1982:70; Чубинашвили, 1958:63-68; Шмерлинг, 1950:175]. ის დაახლოებით XV საუკუნეში რაჭიდან ჩამოუტანიათ და მღვიმევის მონასტრის ეკლესიისთვის შეუბამთ [Гордеев, 1927:68], XIX საუკუნეში ჩამოუხსნიათ, რადგანაც უკვე საკმაოდ დაზიანებული ყოფილა. 1920 წლის ზაფხულში სამეცნიერო მივლინებიდან დაბრუნებულმა შ. ამირანაშვილმა სპეციალისტთა წრეებს მოახსენა, რომ ნესტიან შეუფერებელ პირობებში დადებული ხეზე კვეთის ეს საუცხოო ნიმუში ლპებოდა და ჭიებისგან ნადგურდებოდა. იმავე წლის შემოდგომაზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის გადაწყვეტილებით, კარი თბილისში ჩაიტანა დიმიტრი გორდეევმა [Гордеев, 1927:196-197]. დღესდღეობით დავანებულია საქართველოს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში.

ჩვენი ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის შედევრების დიდი უმრავლესობა აღმოცენდა ეკლესია-მონასტრების წიაღში. ღვთისმსახურების, მეცნიერებისა და ხელოვნების ეს მძლავრი ცენტრები იმავდროულად იყო სამწერლობო, ჭედური, ფერწერული, ქვასა და ხეზე კვეთისა თუ ქარგვითი ხელოვნების უძვირფასესი ნიმუშების საგანძურები, რომლებიც ნათელყოფდა სასულიერო და საერო პირთა დიდ ერთობას. მუზეუმი, როგორც სახელმწიფო ან კერძო დაწესებულება, თავისი მრავალმხრივი ფუნქციით საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე არ არსებობდა. მწერლობისა და ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ძეგლები, გარდა ეკლესია-მონსტრებისა, დაცული იყო სამეფო და წარჩინებულ გვართა საოჯახო კოლექციებში. 1852 წელს თბილისში დაფუძნდა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი, 1888 წელს აკურთხეს საეკლესიო მუზეუმი – „საეკლესიო ძველნაშთთა საცავი". გარდა ამ ორი დაწესებულებისა, ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა სახის კოლექციების შეგროვება-შესწავლის საქმეში უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი წერა-კითხვის გამავრცელებელ (1879-1923 წწ.) და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებებს (დაარსდა 1907 წელს). 1919 წელს კავკასიის მუზეუმის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს ეროვნული მუზეუმი. მანამდე კი, 1912 წელს, ქუთაისში საფუძველი ჩაეყარა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს, როგორც ადგილობრივი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მთავარ განყოფილებას.

ილია ჭავჭავაძე გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე საეკლესიო მუზეუმის დაფუძნებას თბილისში ასე გამოეხმაურა: „ამ მუზეუმის დაარსებას ყველა ჩვენის ქვეყნის მოყვარე კაცი დიდის სიყვარულით უნდა მიეგებოს და დიდი მადლობა ჩაინერგოს გულში იმათ მიმართ, ვინც ეს ფრიად სასარგებლო საქმე ითავეს და შესრულებამდე მიიყვანეს. ვინ არ იცის, რამოდენა ძველი ნაშთია გაფუჭებული აქა-იქ ეკლესიებში, მონასტრებში, ტაძრებში, რა დიდძალი გუჯრები, სიგელები

და სხვა ნაწერები და სხვა წერილები უადგილო-ადგილას ყრია დღეს აქა-იქ უპატრონოდ, მოუვლელად. რამდენი ამისთანა განძი ჩვენის ქვეყნის ისტორიისა და არქეოლოგიისა გამოუქვეყნებლად არის მიმალული და დროთა მიმავლობაში იმდენი იკარგება, ჰფუჭდება და იღუპება. ეხლა-კი, რაკი მუზეუმი არის, ყოველი ეს ერთს ადგილას თავს მოიყრის, და ვინ იცის, ამ კაი ადგილას, კარგთა გამგებელთა ხელში ერთად თავმოყრილმა ძველმანაშთმა რამდენი ახალი საბუთი მისცეს ჩვენს ისტორიასა და ჩვენი ისტორიის მაძიებელთა და მკვლევართა. ყოველი ნივთი თუ ნაწერი, წესსა და რიგზედ გარიგებული და ამ გზით ყოველის მოწადინესათვის ადვილად ხელმისაწვდენი და სამეცნიეროდ თუ სასწავლებლად გამოსაყენი იქნება. ... მუზეუმი ჩაბარებულია იმისთანა კაცთათვის, რომელთა შორის უფროს-ერთნი ცნობილ არიან, ვითარცა მცოდნენი და მკვლევარნი ჩვენის ისტორიისა და არქეოლოგიისა. ამისთანა კაცნი საკმაოდ თავმდებნი არიან, რომ ამ ახლად დაწყებულ საქმეს სათავეში კარგნი გამგებელნი ეყოლება და, მაშასადამე, იმედია, თვით საქმის კეთილად დაწყებისა და განგრძობისა" [ჭავჭავაძე, 1889:2]. ამ ვრცელ ამონარიდში გაცხადებულია ერის მამისა და კულტურული მემკვიდრეობის ყველა მოამაგის (საერო თუ სასულიერო წრიდან) სულისკვეთება. საეკლესიო მუზეუმის გამგეობის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც ქართული მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლები, ისე საეკლესიო პირები. „1899 წლიდან ქართველი სამღვდელოება ეროვნული საეკლესიო მუზეუმისათვის ყოველწლიურად 1000 მანეთს იღებდა" [პავლიაშვილი, 1995:215].

ჯერ მუსლიმურმა აგრესიამ, შემდეგ რუსული სინოდური კანტორის ბნელმა პოლიტიკამ შეიწირა ჩვენი ეროვნული განძის დიდი ნაწილი. საეკლესიო მუზეუმის დაარსებამდე, კერძოდ, 1876 წელს, ეგზარხოს ევსევისა და 1884 წელს ეგზარხოს პავლეს განკარგულებით დაიწვა ძვირფასი ქართული ხელნაწერები [ბუბულაშვილი, 2003:15]. XX საუკუნის პირველ ათწლეულში მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარემ პრასკოვია უვაროვამ ქართული სიძველეების „დაცვა-გადარჩენის" მიზნით თავდაპირველად ითხოვა ქართული საგანძურის რუსეთში გატანის ნებართვა მოსკოვის მუზეუმში დასავანებლად, შემდეგ კი ნიკოლოზ II-ს მიმართა რუსეთის იმპერიის ფარგლებში არსებული ეკლესიების ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის წინადადებით [იაკობაშვილი, 2003:79-80]. საბედნიეროდ, ეს არ განხორციელებულა, მაგრამ სხვადასხვა ხერხით საქართველოდან ბევრი ეროვნული საუნჯე გაიტანეს და მათი დაბრუნება ძალიან რთული, ხშირ შემთხვევაში კი შეუძლებელიც აღმოჩნდა. რუსული მმართველობის პერიოდში სხვა ყველაფერ „სიკეთესთან" ერთად ეკონომიკური არსებობის ნიადაგი გამოეცალა ქართულ ეკლესიას, არ მოგვარდა ეკლესია-მონასტრების დაცვის საკითხი. XX საუკუნის დასაწყისიდან პოლიტიკურმა არეულობებმა, ათეისტურმა იდეებმა ხელი შეუწყო ნეგატიურ პროცესებს: კრი-

მინალს, ეკლესია-მონასტრების ძარცვას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობით ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას არ ჩამორთმევია საკუთრების უფლება, მაგრამ დედაეკლესიის მდგომარეობა ძალიან დამძიმდა. მუზეუმში საეკლესიო საგანძურის დავანების საკითხი მთელი სიცხადით დადგა დღის წესრიგში. ბევრი საერო და სასულიერო პირი სწორად აფასებდა ვითარებას. თუმცა ამ სათუთი თემის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებაც არსებობდა. სამწუხაროდ, ქვეყანა მზად არ იყო საიმისოდ, რომ შედევრთა დასაცავად ეკლესია-მონასტრებშივე მოწყობილიყო მუზეუმები. სამუზეუმო ოთახები შემინული კარადებით არსებობდა გელათში, ჯრუჭსა და სხვა ძლიერ სამონასტრო ცენტრებში, მაგრამ ამგვარი ოთახები მოკლებული იყო განძეულობის სათანადოდ მოვლისთვის საჭირო სხვადასხვა სპეციალურ (ტექნიკურ თუ კლიმატურ) პირობებს. ეკლესია-მონასტრებში არსებული სიტუაცია ხშირ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებდა ნივთის გადასარჩენად აუცილებელ ელემენტარულ მოთხოვნებს და, რაც მთავარია, არცთუ იშვიათად ხდებოდა ქურდობა. სწორედ ამ პრობლემების გადასაჭრელად და საქართველოში სამეცნიერო კვლევების გასაღრმავებლად შეიქმნა ზემოჩამოთვლილ სიძველეთა საცავები, რომლებშიც მოღვაწეობდნენ დიდი მამულიშვილები, მათ შორის იყო მადლიერი შთამომავლობის მიერ წმინდანად შერაცხილი ექვთიმე თაყაიშვილი. მას ენდობოდნენ, პატივს სცემდნენ და მხარში ედგნენ ცნობილი სასულიერო პირები. ის იღვწოდა არა მარტო როგორც მეცნიერი და სიძველეთა დამცველი, არამედ როგორც ეკლესიის ქომაგი პოლიტიკოსი. 1919–1921 წლებში ექვთიმე თაყაიშვილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მანდატით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე იყო. იგი იბრძოდა, რათა ეკლესიებს დაბრუნებოდა სახნავ-სათესი მიწები, წისქვილები, გადაჭრილიყო შეიარაღებული დაცვის საკითხი. მღვიმევის მონასტრის წინამძღვარი დედა ქრისტინე პირადს წერილში ექვთიმეს „ჩვენი დაჩაგრული და ყოვლად უმწეოთ დაშთენილი მონასტრისა და ერთობით საქართველოს ეკლესიების საიმედო ლამპარს" უწოდებს [2, ფ1]. 1919 წლის 18 მაისის დამფუძნებელი კრების საბიუჯეტო-საფინანსო სხდომის ჟურნალი იუწყება, რომ განიხილეს საეკლესიო დაწესებულებათა დაცვა-გადარჩენის საკითხი. სხდომის მონაწილე ექვთიმე თაყაიშვილმა მოითხოვა გამოეტანათ დადგენილება საეკლესიო კულტურის ძეგლების ძარცვა-ყაჩაღობისაგან დაცვის თაობაზე და ამისათვის გამოეყოთ საგანგებო ფინანსური სახსარი სახელმწიფო რეზერვიდან [პავლიაშვილი, 2000:197; 4, ფ.31]. დიდი მამულიშვილის წინადადებებს საპასუხო ნაბიჯი თითქმის არ მოჰყოლია.

ექვთიმე და სხვა მისი დარი მამულიშვილები მუზეუმში დასაცავად არჩევდნენ ძირითადად იმ ნივთებსა და წიგნებს, რომლებსაც ნაკლებად ან საერთოდ აღარ იყენებდნენ ღვთისმსახურებისას. რა თქმა უნდა, ეს პროცესი სასულიერო

პირებისთვის (აგრეთვე მრევლისთვის) უმტკივნეულო არ ყოფილა; მათ უმძაფრდებოდათ ეკლესიის დაკნინების გულის დამფლეთი შეგრძნება. ისინი წუხდნენ. რომ ეკლესია-მონასტერები კარგავდა მადლს, ხოლო მუზეუმებში გატანილი ნივთები უპირველეს ფუნქციას – საკრალურ მნიშვნელობას. თუმცა გაცილებით უარესი წინ ელოდათ. წითელი ტერორის ეპოქა არც ისე შორს იყო. მანამდე კი ექვთიმე თაყაიშვილის დიდი მონდომებითა და „საკათალიკოსო საბჭოს დაჟინებული მოთხოვნით 1919 წლის 1 ივლისს მთავრობის სხდომაზე ნოე ჟორდანიამ გააკეთა მოხსენება: „ეკლესია-მონასტრების დაცვის შესახებ". მოხსენების საფუძველზე დაადგინეს, რომ ორი პირის შემადგენლობით გაგზავნილიყო კომისია ეკლესია-მონასტრების ქონების აღსაწერად და სათანადო აქტების შესადგენად. აღნიშნული ღონისძიებისათვის ხაზინიდან გამოიყო მიზერული თანხა – 1000 მანეთი. იმავე წლის 12 ივლისს, რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით, ამ კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ექვთიმე თაყაიშვილი. 1919 წლის 22 ივლისს მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებით, მას დაევალა ეკლესია-მონასტრების ქონების აღწერა. იგივე დადგენილებით, ადგილობრივი სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების ხელმძღვანელებს დაევალათ, დაკისრებული მოვალეობის შესრულების დროს ყოველგვარი პირობა შეექმნათ ექვთიმე თაყაიშვილისთვის. დადგენილების შესაბამისად, წმიდა ექვთიმემ ფოტოგრაფთან ერთად ექსპედიციაში ორი თვე დაჰყო" [ბებულაშვილი, 2003 (№22):8-9]. სწორედ ამ პერიოდში, 1919 წლის აგვისტოში, მან ზემო იმერეთში ჩაატარა უდიდესი მნიშვნელობის სამეცნიერო-აღწერითი სამუშაოები და საქართველოს ეროვნული მუზეუმისთვის შეარჩია მასალები, მათ შორის იყო ჯრუჭის მონასტრის საგანძურის ნაწილიც. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული საბუთის [5, ფ1] მიხედვით, თბილისში მალევე დაიწერა მიღება-ჩაბარების შემდეგი ოქმი ექვთიმე თაყაიშვილსა და ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარ არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძეს შორის:

„ასლი ასლიდან

1919 წელსა აგვისოს „26" დღესა მე ქვემორე ამის ხელის მომწერმა, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარემ, მივიღე ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტის პავლესაგან ეროვნულ ქართულ მუზეუმში დასაცავად და მეცნიერთა მიერ შესასწავლად შემდეგი ხელნაწერები და ნივთები: 1) სახარება ეტრატისა მეათე საუკუნისა № 0, 2) სახარება ეტრატზედ 1748 წლისა, №85, 3) სახარება მხატრობით ეტრატისა, № 80, 4) დავითნი მხატრობით შემკული ქაღალდზედ, №92/89, 5) სვინაქსარი ეტრატისა №61, 6) მაქსიმე აღმსარებლის წიგნი, №4, ეტრატისა, 7) ხრონოღრაფი ქაღალდზედ №76, 8) სჯულის კანონი ქაღალდზედ, №31, 9) კლემაქსი ქაღალდზედ, დიდი ტანისა, №14, 10) ქართველ წმინდანთა ცხოვრება №24, 11) ღვთისმშობლის ცხოვრება, ქაღალდზედ №1, 12) სახარება ქაღალდზედ, №81, 13) კანონი მსოფლიო კრებათა

№2, ეტრატზედ, 14) სადღესასწაულო ეტრატზედ №35, 15) სამთვენი ნაკლული, ეტრატზედ, №36, 16) დაშლილი და დაფლეთილი ეტრატის ფურცლები სახარებისა, №85, 17) სწავლანი იოანე ოქროპირისი და სხვათა უთავბოლო ქაღალდზედ №9, 18) კრებული სხვადასხვა ნაწერებითა №13, ქაღალდზე, 19) ვახტანგ მეფის სამართალი 73–68, ქაღალდზედ, 20) ჟამნი პატარა ტანის №46, ქაღალდზედ, 21) ჟამნი პატარა ტანისა №44, ქაღალდზედ, 23) სახარება პატარა ტანის სპარსული და მინანქრიანი ყდით და ამ სახარების პატარა ბოღჩა მძივისაგან ნაკერი, შემკობილი მარგალიტით, ოთხი მარჯნით და ერთი იაგუნდით, №88, ქაღალდზედ, 24)პატარა ტანის სახარება ვერცხლის ყდით, რომლის პირველ გვერდზედ ხუთი რუსული ხელობის ახალი მინანქრიანი მედალონია, ქაღალდზედ №89, 25) საგალობელი ანდრია კლიტელისა – პატარა ტანისა №48, ქაღალდზედ, 26) კლემენტოს რომთა პაპის წიგნი, რვეული №30, ქაღალდზედ, 27) ცალკე ფურცლები ეტრატისა და ქაღალდებისა №78, 28) მარგალიტი №11, ქაღალდზედ, 29) ლოცვანი დაუჯდომელი №47, ქაღალდზედ, 30) სახარება №82, ქაღალდზედ, 31) მეტაფრასი ღვთისმშობლის მიცვალებისა 95, ქაღალდზედ, 32) პატარა სადღესასწაულო №49, ქაღალდზედ, 33) ჟამნი №45, ქაღალდზედ, 34) სამოთხის კარი №19, ქაღალდზედ, 35) ლოცვანი ქაღალდზედ, ნომერი არ აქვს, 36) პარაკლიტონი №58, ქაღალდზედ, 37) სვინაქსარი სხვადასხვა დღეებისა, №63, ქაღალდზედ, 38) სამი ენქერი წარწერებით და ერთი წყვილი სამხრე ოქროს სირმით ნაკერი, ერთი ენქერი ზედ ზის სამი თვალი, ორი ფირუზი და ერთი იაგუნდი, 39) მავთულზედ აცმული ექვსი ძველი ფული ვერცხლისა. ზემოაღნიშნული ნივთები და წიგნები მივიღე ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილმა. 1919 წელსა აგვისტოს 27 დღესა მე ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილმა მივიღე ჯრუჭის მონასტრის წინამძღვრის პავლესაგან სოლომონ მეფის სიგელი ჯრუჭის მონასტრისათვის მიგებული, რომელიც საჭირობის გამო დროებით დაცულ იქნება მუზეუმში. ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილი. სწორია. მდივანი №

დედანთან სწორია/საქმის მწარმოებელი ტ. სოხაძე".

ქუთაისის ცენტრალურ ეროვნულ არქივში დაცული ნამსახურებითი სიის [6, ფ.29–30] მიხედვით, ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი პავლე ჯაფარიძე დაიბადა 1880 წელს. სწავლობდა ჭიათურის საქალაქო სასწავლებელში, რომელიც თავისი სურვილით დატოვა მე-5 კლასიდან. 1909 წლის 20 მარტიდან შიომღვიმის მონასტერშია მორჩილად; 1910 წლის 10 თებერვალს აღიკვეცა მონაზვნად, 1910 წლის 19 თებერვალს ხელდასხმულია იეროდიაკვნად, 21 თებერვალს კი - მღვდელ-მონაზვნად; იმავე წლის 13 მარტიდან შიომღვიმის მონასტრის ხაზინადარია. 1912 წლის 5 მაისს გადაიყვანეს მოწამეთას მონასტერში, როგორც კრებულის შტატგარეშე წევრი. 1913 წლის 15 მაისიდან ამავე მონასტრის ხაზინადარია; 1913 წლის 26 ნოემბერს დაჯილდოვდა „ნაბერდენიკით"; 1915 წლის 13 აგვისტოს ჩარიცხეს შტატში; 1916 წლის 31 აგვისტოდან ჭელიშის მონასტრის

წინამძღვარია, იმავე წლის 2 ოქტომბრიდან კი — იღუმენი. 1917 წლის მაისში გადაიყვანეს ჯრუჭის მონასტერში წინამძღვრად [7, ფ.6]. 1918 წლის 20 ივნისით დათარიღებული საბუთის მიხედვით ის არქიმანდრიტია [8, ფ.1]. 1919 და 1920 წლებში მაღალღირსი მამა პავლე კვლავ ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარია [9, ფ.1; 10, ფ.1]. ზ. ჟვანიას მიერ გამოქვეყნებული საბუთის მიხედვით (რომელიც დაცულია კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, კ. ცინცაძის ფონდში № 170) პავლე ჯაფარიძე დაიბადა 1888 წლის 1 მაისს სოფელ ხრეითში. დაამთავრა ქუთაისის საქალაქო სასწავლებელი. 1906 წელს მორჩილადაა ათონის ქართულ მონასტერში; იქვე აღიკვეცა ბერად 1907 წლის 18 აგვისტოს; 1910 წელს შიომღვიმის მონასტრის მღვდელ-მონაზონია. 1919-1920 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1919 წლიდან არქიმანდრიტია და დანიშნულია მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის მოადგილედ. 1924 წელს ხელდადასხმულია წილკნის ეპისკოპოსად. 1925 წლის 23–26 თებერვალს ეპისკოპოს პავლეს დროებით დაევალა ურბნისის ეპარქიის გამგეობა. 1928 წლის 25 მარტიდან საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის — ქრისტეფორე III-ის — ლოცვა-კურთხევით ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსია. 1928 წელის 29 სექტემბერს დაბრუნდა წილკნის ეპისკოპოსად. 1929 წლის 3 ნოემბერს გარდაიცვალა. დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის გალავანში, სამხრეთით" [ჟვანია, 1994:გვ.86; 3, ფ.379]. ბევრი ცდომილებაა ამ ორ საბუთს შორის; ჩნდება ეჭვი, რომ მოხდა სახელისა და გვარის თანხვედრა, ანუ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეკლესიაში ორი პავლე ჯაფარიძე მოღვაწეობდა, თუმცა ეს არ დასტურდება.[2] აქ მოტანილ ბიოგრაფიულ ცნობებში შეტანილი არ არის ერთი თარიღი — 1923 წელი, როცა არქიმანდრიტი პავლე სხვა სასულიერო პირებთან ერთად დააპატიმრეს სიონისა და მცხეთის ტაძრების განძეულობის ქუთაისში, არქიელის სახლის ეზოში, მიწაში დაფვლის ბრალდებით. 1923 წლის გაზეთ „კომუნისტში" ამ ფაქტთან დაკავშირებით მოწინავე სტატიაში წერია: „განძეულობა მოათავსეს ერთი ვაგონში, რომლითაც მენშევიკურ მთავრობას მიჰქონდა საქართველოს მშრომელთა სიმდიდრე უცხოეთში. არქიმანდრიტი პავლე ჯაფარიძე და ეპისკოპოზი დავით ქოჩახიძე[3] განძს გაჰყვნენ ქუთაისში. ჯაფარიძემ განძეულობა მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლების — პროფესორ თაყაიშვილის და ბენია ჩხიკიშვილის — ნებართვით სადგურიდან ქუთაისის სობოროში გადაიტანა. მეორე დღეს, 1921 წლის 24 თებერვალს, ქუთაისში ჩამოვიდა კათალიკოსი ლეონიდე, რომელმაც სიმდიდრე ხაზინაში

[2] ჩვენი ვარაუდით. საბჭოთა პერიოდში მორიგი რეპრესიების თავიდან ასაცილებლად და იდენტიფიკაციის გასართულებლად ბიოგრაფიაში ზოგ თარიღს სპეციალურად არ უთითებდნენ, ზოგს კი ცვლიდნენ.

[3] გვარი შეცდომითაა მითითებული. უნდა ეწეროს კაჭახიძე.

კი არ შეიტანა, არამედ გადაიტანა საარქიელო სახლში, სადაც ჩაფლეს მიწაში (რაც, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა არ სცოდნოდათ თაყაიშვილსა და ჩხიკიშვილს)"[4] [საქარ. საგან. კომ., 1923:1].

როგორც ვხედავთ, ექვთიმე თაყაიშვილისა და პავლე ჯაფარიძის სახელები აქაც გადაიკვეთა და აქაც საეკლესიო საგანძურის ბედთან დაკავშირებით. ერთი საფრანგეთისაკენ მიმავალ უმძიმეს გზაზე დაედევნება თავის ნალოლიავებ ეროვნულ სიძველეებს და ოცდაოთხი წლის განმავლობაში მოწამებრივად იბრძოლებს მისი საქართველოსათვის შესანარჩუნებლად. მეორეს კი მოუწევს უღმერთოთა ზეობის პირობებში მძიმე ჯვრის ტარება და ახალგაზრდა ასაკში გარდაცვალება (ეპისკოპოს პავლეს ბიოგრაფია გამოქვეყნებული აქვს ს. ვარდოსანიძეს, თუმცა მკვლევარი პავლე ჯაფარიძის მოწამეთაში, ჭელიშსა და ჯრუჭში მოღვაწეობის შესახებ არ უთითებს [ვარდოსანიძე, 2010: 147]. ვრცლად და სიზუსტით წილკნელი მეუფის ცხოვრება აღწერილი აქვს გ. მაჩურიშვილს [მაჩურიშვილი, 2010: გვ.24]). მანამდე კი ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარი, ჩემი აზრით, წინასწარ გრძნობს ეკლესიისა და მისი საგანძურის მომავალ შავ ბედს, ამიტომაც მხარს უბამს ექვთიმე თაყაიშვილს შედევრების ეროვნულ მუზეუმში დავანების საქმეში და, როგორც ვნახეთ, დიდი მოღვაწის მიერ შერჩეულ ჯრუჭის მასალას გადასცემს მუზეუმს. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული აქამდე გამოუქვეყნებელი წერილის მიხედვით, სასულიერო მთავრობის პოზიციის გამო მას ორი თვის შემდეგ თბილისში ვეღარ ჩააქვს მღვიმევის მონასტრის ვაზის კარი.

არქიმანდრიტ პავლეს ერთგვერდიანი წერილი შავი ფერის მელნით ცალხაზიან ფურცელზე (27.8X20.8 სმ) 24 სტრიქონზეა დაწერილი. ამ მოცულობით პატარა საბუთში ნათლადაა ასახული ჩვენი ქვეყნის, დედაეკლესის, მუზეუმების, ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის, სასულიერო და საერო პირთა ბედი XX საუკუნის პირველ მეოთხედში. აი ეს წერილიც:

„1919 წ. 6 დეკემბერი
დიდათ პატივცემულო,
ბ. ევთიმე სიმონის ძევ!

პირველ ყოვლისა, გისურვებთ დღენგრძელობას თქვენი ძვირფასი მეუღლით და მონათესავებით და ვევედრები ჩემი უღირსი ორღანოითა ჩვენს პატრონს დედასა ღვთისასა, რომ დიდ ხანს არ მოშლოდეს თქვენი თავი საწყალ ჩვენ ერს და მოზარდ თაობას და ბრძანებული ყოთ ნუგეშად მათდა. ვიცი თქვენი კაცთ მოყვარების ამბავი და იკითხამთ ჩემს უღირსებას. მარიამობის თვეს აქეთ, რაც რომ ჩემ მონასტერში ბძანდებოდით და პირის პირ გავიცანი

[4]როგორც ისტორიამ ცხადყო, სასულიერო პირებს ბაგრატის ტაძრის ეზოში მდებარე ნაზარი ლეჟავას სამიტროპოლიტო სახლის აივნის ქვეშ განძეულობის დაშარხვის გადაწყვეტილება ექ. თაყაიშვილისა და ბ. ჩხიკიშვილისთვის არ გაუმხელიათ. მათ არც საზღვარგარეთ გასატანად ეშეტებოდათ ძვირფასი საეკლესიო ნივთ-სამკაული და არც – კომუნისტების ხელში ჩასაგდებად.

თქვენი დიდ ბუნებოვანება, აღიძრა ჩემი უღირსი სული სიყვარულიდ თქვენდა უფროს მშობლიური მამისა და მზათ ვიყავ და ვარ პატივისცემად თქვენდა, რითაც კი შესაძლებელ იქნება. ჩემ ენით აგრეთვე სიმდაბლით მოგახსენებთ, მე რომ უკანასკნელად გახლდით თქვენთან ტფილისში თქვენ მიერ წაღებული სამონასტრო წიგნების და ნივთების წაღების თავობაზე და შემახვედრა ჩემმა მთავრობამ ტყვილა უბრალო ძვირი და საყვედური და ხარჯი მანახვეს უბრალო თქვენთან ჩამოსვლით, მას აქეთ კიდევ დიდი საყვედური მივიღე, უფლება არა გქონდა მოჭედილი პატრონი სახარებები, რომ გაატანეთო. ვემზადებოდი თქვენი ბძანების შესასრულებლად. ვაპირებდი ღვიმის მონასტრის ვაზის კარების გამოგზავნას, მაგრამ ვეღარ ვბედამ, სანამ თქვენ და ჩემი სასულიერო მთავრობა არ შეთანხმდებით და მათგან ბრძანებას არ მივიღეფ, მინამ არაფრის გამოგზავნა არ შემიძლიან. თქვენ რომ 350 მანეთი დამიტოვეთ კარების გამოსაგზავნი, თუ ვინმე ნაცნობი წამოვიდა, გაახლებთ ან მე თვითონ მოგართმევთ. სიმდაბლით მოვიკითხამ თქვენს მეუღლეს.

დავშთები მარად თქვენი პატივის მცემელი, უღირსი არქ. პავლე".

ეს წერილი სამეცნიერო მიმოქცევაში აქამდე არ ყოფილა შესული. გარდა იმისა, რომ ამ უზომოდ საინტერესო საბუთში ორმაგი კონტურებითაა გაცხადებული იმდროინდელი სინამდვილე, ძალიან საინტერესოდ იხატება ექვთიმე თაყაიშვილისა და არქიმანდრიტ პავლეს ურთიერთდამოკიდებულება (აღსავსე პატივისცემითა და ადამიანური სითბოთი), მათი მაღალი ზნეობა. ყოველივე ეს კი, წინამძღვრის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, არ უნდა მოეშალოს „ჩვენს ერს და მოზარდ თაობას ნუგეშათ" და მაგალითად იმისა, თუ როგორი მორალით სჭირდება მსახურება სამშობლოს, დედაეკლესიასა და ეროვნულ საგანძურს.[5]

დამოწმებული მასალები:

I. წყაროები:

1. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ექვთიმე თაყაიშვილის პირადი არქივი, ფონდი №492, საბუთი №1492.
2. კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ექვთიმე თაყაიშვილის პირადი არქივი, ფონდი N491, საბუთი N1491.
3. კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე) ფონდი, N 170.
4. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1863, აღწერილობა 1, საქმე 681.
5. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, ფონდი E192, საბუთი N190.

[5] სტატია მომზადდა სსიპ შოთა რუსთაველის სამეცნიერო ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსში გამარჯვებული ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მიმდინარე პროექტის (FR/286/1-10 14) – *კრკლის მონასტრის ისტორიის ფუნდამენტური კვლევა და მისი საგანძურის სამეცნიერო კატალოგიზაცია* – ფარგლებში.

6. ქუთაისის ცენტრალური არქივი, იმერეთის საეპარქიო კანცელარიის ფონდი 21, საქმე 26184.
7. ქუთაისის ცენტრალური არქივი, იმერეთის საეპარქიო კანცელარიის ფონდი 21, საქმე 26598.
8. ქუთაისის ცენტრალური არქივი, იმერეთის საეპარქიო კანცელარიის ფონდი 21, საქმე 26197.
9. ქუთაისის ცენტრალური არქივი, იმერეთის საეპარქიო კანცელარიის ფონდი 21, საქმე 26197.
10. ქუთაისის ცენტრალური არქივი, იმერეთის საეპარქიო კანცელარიის ფონდი 21, საქმე 28441.

II. ლიტერატურა:

11. ბუბულაშვილი ელდარ (2003). *წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილი) ღვაწლი საქართველოს ეკლესიის წინაშე. გაზეთი: „საპატრიარქოს უწყებანი“*, №19 (226), №22 (229), რედ.: დეკანოზი დავით შარაშენიძე, თბილისი.
12. გომელაური ინა, 1982, *მღვიმევი: XIII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი*, თბილისი: *„მეცნიერება“*.
13. ვარდოსანიძე სერგო, 2010. *ქართველი მღვდელმთავრები (XX–XXI საუკუნეებში)*, თბილისი: *„ნათლისმცემელი“*.
14. თაყაიშვილი ექვთიმე, 2010. *ჯრუჭის მონასტერი და მისი სიძველეები*, გამოსაცემად მოამზადა ზაზა სხირტლაძემ (ნათია გელდიაშვილის მონაწილეობით), თბილისი: *„ფავორიტ პრინტი“*.
15. იაკობაშვილი ირაკლი (2003), *საეკლესიო მუზეუმი საქართველოში: დაფუძნება, მოღვაწეობა, გაუქმება. კრებულში: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის სამეცნიერო შრომების კრებული, 5. რედ.: არსენიშვილი ირინა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.*
16. მაჩურიშვილი გიორგი (2010). *ეპისკოპოსი პავლე ჯაფარძე, 1888–1929.* გაზეთი *„საპატრიარქოს უწყებანი“*, №34. რედ.: დეკანოზი დავით შარაშენიძე, თბილისი.
17. ჟვანია ზვიად, 1994. „სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან“, ქუთაისი, მოწამეთა.
18. პავლიაშვილი ქეთევან,1995, *საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში*, თბილისი, *თსუ-ის გამომცემლობა.*
19. პავლიაშვილი ქეთევან, 2000. *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში*, თბილისი: *გიორგი აფრიდონიძის გამომც.*
20. საქართველოს საგანგებო კომისია (1923.19/5), გადამალულ *საეკლესიო განძეულობათა აღმოჩენა*, გაზეთი: *„კომუნისტი“*, N112, თბილისი.
21. ჭავჭავაძე ილია (1889. 21/2), *საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო.* გაზეთი: *„ივერია“*. რედ.: ილია ჭავჭავაძე, №38, თბილისი.
22. Гордеев Дмитрий (1927), Мгвимская резная дверь. კრებულში: საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტომი III (1926), რედ: ალ. ჯანელიძე, ტფილისი: ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფ. ტრესტის მე-3 სტამბა.

23. Чубинашвили Нико 1958, *Грузинская средневековая художественная резьба по дереву (перелома X-XIвв.). Тбилиси: „Сабчота Сакартвело".*
24. Шмерлинг Рене (1950). *Алтарные преграды в Грузии.* კრებულში: *Ars Georgica, Разыскания Института истории грузинского искусства.* №3. რედ: ჩუბინაშვილი გიორგი, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება".

MAIA KEBULADZE
Kutaisi State Historical Museum

THE UNKNOWN EPISTOLARY DOCUMENT FROM THE EKVTIME TAKAISHVILI'S PERSONAL ARCHIVES

Summary

The private letter of the superior of Jruchi Monastery Pavle Japaridze to Ekvtime Takaishvili is protected in the Ekvtime Takaishvili's personal archives at the K. Kekelidze National Center of Manuscripts, which has not been published until now. The document is dated 6 December 1919, when Georgia's independence and the autocephaly of Georgian Orthodox Church have already been restored, but in the Archimandrite's one-page letter, we can read between the lines about the frustration of the people then, the results of the Russification-colonization policy, as well as about that near future, which has done great harm to both the liberty of the country and the religious life. In the early 20th century, the issue of settling jewels of the church' treasure was brought up on the agenda. Many secular and ecclesiastical persons assessed the situation correctly. However, there was also a different attitude on this very sensitive issue. The Archimandrite Pavle's one-page letter was written in black ink on a one line sheet on twenty four rows. The superior seems to predict the tragic fate of the Church and jewels of its treasure under conditions of the red terror. That is why he supports Ekvtime Takaishvili in settling the masterpieces in the National Museum. As it turns out from the letter, he has donated to the Museum the materials on Jruch Monastery selected by this big operator. Because of this, he has drawn much criticism from the spiritual government, and in two months, he will no longer be able to bring the Mgvimevi Monastery's door made of vine to Tbilisi. In this substantial small document, we can read between the lines about the fate of our country, Orthodox Church, museums, national cultural heritage and secular and ecclesiastical persons in the first quarter of the 20th century. In addition, the excellent relationships between Ekvtime Takaishvili and Archimandrite Pavle and their moral rectitude are very interestingly shaping up. This letter is a clear example of what kind of moral is required to serve the native land, the own mother church and national treasure.

ლეა გუნია
ააიპ „დრო და მემკვიდრეობა"

ქართული და იბერიის ნახევარკუნძულის პრერომანული სჯიღის სახვითი ენის თანხვედრა

ქართული ხუროთმოძღვრების საფასადო შემკულობის, ისევე როგორც სხვა მრავალი საკითხის, კვლევისას ძალიან საინტერესოა კულტურათაშორისი დიალოგით განპირობებული კავშირების გამოვლენა. მხატვრული შემკულობის ზოგადი სახე თუ კონკრეტული სტილისტური ნიშანი ხშირად ცხადად მიგვანიშნებს ისტორიულ ვითარებაზე, გამოკვეთს ადგილობრივ ეთნოგრაფიულ ხასიათს და ამავე დროს, საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ეროვნებათშორის უთიერთობებში ასახული თანაზიარი გემოვნების ნიშნები.

მართალია, სხვადასხვა ქვეყნის ხუროთმოძღვრული სკოლის საფასადო გაფორმების განხილვისას უმეტესად წინ მოდის ეროვნული თვითშეგნებით განპირობებული სხვაობები, თუმცა ამასთანავე გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთმანეთს ემთხვევა სხვადასხვა ქვეყნის გემოვნება და ძირითადი სახვითი ენის შერჩევის პრიორიტეტები.

X საუკუნის II ნახევარი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების გზაზე ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია, რადგან სრულდება წინარე გარდამავალი ეპოქის ძიებათა შედეგად მიგნებული მხატვრულ-კონსტრუქციული მონაპოვრის დახვეწა, გაანალიზება და სისტემური ხასიათის მისანიჭებლად საფუძვლის ჩაყრა. ამიტომაც სწორედ ამ პერიოდიდან დამკვიდრებული სტილისტიკა ასახავს ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების საერთო სახვითი ენის ხასიათს.

შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებასთან ესოდენ შერწყმულ რელიეფურ მქანდაკებლობაშიც ძალიან მკაფიოდ გამოვლინდა ეროვნული სახვითი ენის მახასიათებელი, რაც ხაზობრივი დინამიკით გამოირჩევა. ამასთან დაკავშირებით მეცნიერი ასმათ ოქროპირიძე ძალიან ნათლად წერს: „მიუხედავად სხვადასხვა პერიოდის კუთვნილებისა – კონსტანტურია გადმოცემის ერთი პრინციპი – გამოსახულება იგება პატარა სიბრტყე-მონაკვეთებისგან, რომლებიც თავიდან ბოლომდე მიჯრითაა დასერილი ხაზთა იმგვარი დინებით, რომ ცალკეული ხაზი თავის თავში მთელი გამოსახულების პლასტიკურ კოდს ატარებს" [ა. ოქროპირიძე, ქართული ხელოვნების სახვითი ენისათვის, აკადემია, ტომი 6-7, 2006, გვ. 5-7].

სწორედ სიბრტყობრივ-ხაზობრივმა მხატვრულმა სამეტყველო ენამ



ესპანეთი, ლილოს წმ. მიგელის ტაძრის (848) ინტერიერი, ორნამენტული შემკულობა

ესპანეთი, ლილოს წმ მიგელის ტაძრის (848) ინტერიერი, ორნამენტული შემკულობა

ზამორას პროვინცია, ესპანეთი, წმ. პეტრეს ტაძარი. IX.

გამოავლინა ძალიან მნიშვნელოვანი პარალელი იბერიის ნახევარკუნძულის პრერომანული პერიოდის ხუროთმოძღვრების შემკულობასთან.

აქ ჩვენ ვხედავთ მკაფიო მსგავსებას, როგორც მხატვრულ სტილისტური მოდელირების თვალსაზრისით, ისე კომპოზიციური აგების და ფორმათა თავშეკავებული, იდეურ-სიმბოლური საზრისით გაჯერებული, ლაკონიური გამომსახველობით დასრულებული ფორმების მხრივ.

ესპანური ადრეული რომანული სტილის არქიტექტურის საფასადო შემკულობაში ზოგად რომანულ სტილთან შედარებით ვაწყდებით სრულიად განსხვავებულ სურათს. აქ ვხედავთ დამოუკიდებელი შემამკობელი ფრიზების სახით წარმოდგენილ ორნამენტულ შემკულობას, რაც დასრულებული ფორმისეულ-გამომსახველობითი სახით წარმოაჩენს მათში (რგოლებში) ჩაწერილ ფრინველთა თუ ცხოველთა რეპრეზენტაბელურ ფიგურებს. ასევე ძალიან საინტერესოა ქართული ხუროთმოძღვრების საფასადო შემკულობის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი მოტივის - „შუბის პირისებრი" ორნამენტის ზუსტი ანალოგის არსებობა პორტუგალიისა და ესპანეთის არაერთ ტაძარზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ გამოყენებულია შუბის პირის მოტივის ამობრუნებული

გამოსახულება. ამის მაგალითია: პორტუგალიის, ბარსელოს (ბარსელუშის) მუნიციპალიტეტის მანენტეს ტაძარი - Xს., სანტა მარია დას რუნიას – IX ს., არნოზოს წმინდა სალვადორეს მონასტერი და სხვა (Igreja de Manhente, Barcelos Xc.; Santa Maria das Júnias IXc.; Mosteiro de São Salvador de Arnoso).

ვფიქრობ, ეს ძალიან საინტერესო საკითხია, რამდენადაც საკმაოდ დასაბუთებული მოსაზრებები არსებობს დასავლურ იბერიულ ტომსა და კავკასიის იბერიელების გენეტიკური კავშირის შესახებ. ამ მხრივ შესაძლოა აქ მოტანილი პარალელები ერთგვარი ფაქტობრივი მასალა აღმოჩნდეს ამ საკითხის კვლევის გასაღრმავებლად.

განსაკუთრებით საინტერესოა ერთი პატარა ტაძარი - სანტა მარია დე კუინტანილა დე ლას ვინიასი (Santa Maria de Quintanilla de las Viñas). იგი მდებარეობს ესპანეთში - ლა ტიერა დე ლარაზე (La Tierra de Lara), სანტო დომინგო დე სილოს (Santo Domingo de Silos) მონასტერთან საკმაოდ ახლოს. ეს ტაძარი სამეცნიერო წრეებისთვის აღმოჩნდა წინა საუკუნის დასაწყისში (1929 წელს აღიარეს ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობად). მის დათარიღებასთან დაკავშირებით გარკვეულ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მეცნიერთა ერთი ჯგუფი მას ესპანელი ვიზგოთების სამეფოს კუთვნილებად მიიჩნევს და გვიანი VII საუკუნით ან ადრე, VIII საუკუნით, ათარიღებს (მუსლიმანთა შემოსევებამდე); მეორე ჯგუფი კი მას გვიან, IX ან X საუკუნის დასაწყისით, ათარიღებს, როდესაც ეს ტერიტორია ხელახლა დაიკავეს ქრისტიანებმა.

ტაძარმა ამ დრომდე გადაკეთებული სახით მოაღწია. როგორც ჩანს, ეს გახლდათ სამნავიანი ნაგებობა პორტიკით. შიდა სივრცეში წარმოდგენილია პერპენდიკულარული ტრანსეპტი ორი სადგომით, ხოლო საკურთხეველი მართკუთხა გეგმით შემოიწერება. აქ ფასადების თუ შიდა სივრცის კედლების წყო-

ზამორას პროვინცია, ესპანეთი, წმ. პეტრეს ტაძრის ინტერიერის შემკულობა (დანიელ ნინასწარმეტყველი ლომების ხაროში). IX ს.

ესპანეთი, სანტა მარია კვინტანილა დე ლას ვინიას IX-X სს.

საფარის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრის „შუბის პირისებრი" ორნამენტი (x ს.)

ბა წარმოადგენს კირქვისა და ქვიშაქვის თლილი, დიდი ზომის კვადრების ჰორიზონტალურ რიგებს. სარკმლის ჭრილი ინტერიერის შედარებით ფართო თაღოვანი კონტურიდან კედლის სიღრმეში ვიწროვდება და ფასადზე ვიწრო ჭრილის სახით გამოდის.

ფასადების მთავარი შემამკობელია კედლიდან კედელზე გარდამავალი უწყვეტი ფრიზული ორნამენტული სარტყლები, ისინი ხან ვაზის ლერწის იმიტაციით შექმნილი რგოლების ხვეულებია, რომლებშიც ჩაწერილია ფანტასტიკურ ცხოველთა და ფრინველთა ფიგურები, ხან კი ერთმანეთში გარდამავალი რგოლების ჯაჭვი თითოეულ რგოლში დიდი ოსტატობით გამოკვეთილი ცალკე მდგომი ფიგურით. ეს ფიგურებია: პალმა, საოცრად რეალისტურად გამოსახული ფრინველები და პლასტიკური, ძალიან ნატიფი რბილი მოდელირებით გამოძერწილი სამოთხის აყვავებული ხეები.

X საუკუნის ხუროთმოძღვრების რელიეფური გამოსახულებებით თუ ორნამენტებით შემკულ ფასადებზე საუბრისას, როდესაც მთავარია ფრიზული შემკულობა, ძალიან საინტერესოა სომხური ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლის - აღთამარის კათედრალის (915-921წწ.) - აღნიშვნა. შეიძლება ითქვას, რომ მისი გარე მასები მთლიანად ეთმობა რელიეფურ შემკულობას. მიუხედავად ტაძრის ჯვარგუმბათოვანი კონფიგურაციისა, იქაც დეკორის მთავარ მახვილს ფრიზული სახით ფასადიდან ფასადზე უწყვეტად გარდამავალი ფიგურული გამოსახულებების ჯაჭვი ქმნის. ფასადებს ქვემოთ კიდევ ერთი სარტყელი შემოუყვება, რომელიც მთლიანად ორნამენტულ ქსოვილს

წარმოადგენს. ამ ორ ფრიზს შორის არეს კი ცალკეული რელიეფური ფიგურები ავსებს, იქნება ეს წმინდანთა ნახევარფიგურები მედალიონებში, ანგელოზთა სრული ფიგურები, სიუჟეტური სცენები ბიბლიიდან თუ გრიფონთა და სხვა მხეცთა ბრძოლისა და ნადირობის სცენები. აღსანიშნავია, რომ იქ მოცემულია ერთიანი შინაარსის მქონე ციკლი. მართალია, რეალურად, ფრიზებს შორის რჩება შეუმკობელი ქვის კვადრების საკმაოდ დიდი მოცულობის ზედაპირი, თუმცა შეხედვისთანავე წინ მოდის „ხალიჩისებურად" ორნამენტებითა და სხვადასხვა ფიგურით მოჭედილობის შთაბეჭდილება. დეკორაციულ სარტყლებში ფიგურები საკმაოდ მაღალი რელიეფით, ფონიდან გამოზიდულობითა და მრგვალი ფორმებით გამოირჩევა, მათ შორის არეზე მოფენილი გამოსახულებები კი, მართალია, მკვეთრად არის წამოწეული კედლიდან, მაგრამ ფიგურათა ზედაპირი იმდენად სიბრტყობრივია, რომ რჩება შთაბეჭდილება, თითქოს კი არ ამოიზრდება კედლიდან, არამედ მხოლოდ მიმაგრებულია მასზე. ეს ყოველივე აყალიბებს ისეთ მხატვრულ კომპოზიციას, რომ დისტანციიდან შეხედვისას, პირველ ყოვლისა, თვალს ხვდება ტაძარს შემოვლებული მაქმანისებრი სარტყელი თავისი შუქ-ჩრდილებით ათამაშებული უწყვეტი გამოსახულებებით, შემდგომ კი ყველა ის ულევი ფიგურა, რომლებიც ფარავს კარნიზებსა თუ ფასადთა სიბრტყეებს.

ამ მხრივ ჩვენ ვხედავთ ქრისტიანული არქიტექტურის საფასადო შემკულობის სისტემაში სხვადასხვა ქვეყნის ფაქტობრივად თანადროულ თანხვედრ მიდგომას, თუმცა სტილისტური სხვაობა კვლავ ადგილობრივ გემოვნებასა და ხასიათშია. სანტა მარია დე კუინტანილა დე ლას ვინიას ფრიზების შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ ორნამენტული მოტივების ძალიან ნატიფ კალიგრაფიულ შესრულებას, როცა თითოეული ფორმის მონახაზი სავსებით დასრულებული და პლასტიკურია. ორნამენტი ოდნავ არის ფონის ზედაპირიდან წამოწეული და თავშეკავებულ დახვეწილ შემამკობელ ელემენტად გვევლინება. აღსანიშნავია, რომ საფასადო სიბრტყეზე მათი აქცენტირება ხდება არა რელიეფურობის ხარჯზე, არამედ განსხვავებული ფერადოვნების ქვის მასალით.

აღსანიშნავია, რომ სანტა მარია დე კუინტანილას ტაძარმა შემოგვინახა რელიფური ფიგურული კომპოზიციების ძალიან საინტერესო ნიმუშებიც, რაც ამჟამად ადგილშეცვლილია და ინტერიერის კუთვნილ კომპოზიციებთან ერთად შიდა სივრცეშია წარმოდგენილი. რამდენადაც ჩვენამდე მოაღწია ამ ტაძრის მხოლოდ აღმოსავლეთმა ნაწილმა (საკურთხეველი და პერპენდიკულარული ტრანსეპტი), რთულია საფასადო შემკულობის საერთო სისტემაზე საუბარი, თუმცა არსებული დეტალებიც მრავლისმთქმელია.

სანტა მარიას ტაძრის ინტერიერში ყველაზე თვალისმომჭრელია საკურთხევლის ტრიუმფალური თაღი, რომელსაც მკვეთრი ნალის ფორმის მოხაზულობა აქვს. მისი შემამკობელია კედლის სიბრტყიდან მცირედ წამოწეული ფართო ორნამენტირებული სარტყელი. იქ ზედაპირი სრულად აქვს დაფარული

ესპანეთი, სანტა მარია კვინტანილა დე ლას ვინიას IX-X სს. საკურთხეველი

ესპანეთი, სანტა მარია კვინტანილა დე ლას ვინიას IX-X სს. რელიეფური კომპოზიციები

ვაზის ტალღოვან უწყვეტ ლერწს, რომელიც ფოთლების საშუალებით რგოლებს შემოწერს და შემოზღუდავს თითოეული მათგანის წიაღში ჩაწერილ გამოსახულებებს – იქნება ეს უშუალოდ ყურძნის მტევანი, პალმეტი თუ სხვადასხვა ფრინველისა და ცხოველის ცალკეული გამოსახულება. ნალის ფორმის თაღი ეყრდნობა, კონსოლებს, რომელთა ზედაპირიც დათმობილი აქვს რელიეფურ კომპოზიციებს. მარჯვნივ გამოსახულია ორი მფრინავი ანგელოზის მიერ წრეში ჩაწერილი ნახევარფიგურის „ამაღლება". აღსანიშნავია, რომ ნახევარფიგურა დამშვენებულია თავთან გადაშლილი სხივებით, ხოლო მისი თანხლები წარწერა მიუთითებს, რომ ეს გახლავთ მზის პერსონიფიკაცია (SOL). მეორე მხარეს ანალოგიური კომპოზიციაა (ნახევარი ჩამოტეხილია), მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მედალიონში ჩაწერილი ნახევარფიგურის თავზე წარმოდგენილია ნახევარმთვარე, რაც წარწერითაც (LUNA) არის გამყარებული. უშუალოდ თაღის წვერში, ცენტრში, ძლიერად შვერილ ქვის ბლოკზე გამოსახულია რელიეფური ფიგურა, რომელიც ჯვრული შარავანდედით მოსილი მაკურთხებელი ქრისტე უნდა იყოს.

ჩვენთვის ძალიან საინტერესოა აღწერილი რელიეფური გამოსახულებების მხატვრული სამეტყველო ენა, რომელიც სიბრტყობრივ-გრაფიკული სტილით ხასიათდება. იქ წარმოდგენილია კედლიდან მცირედ ამოზიდული ფიგურები, რომელთა ზედაპირიც ფონის პარალელურ სიბრტყეს ინარჩუნებს. მოცულობითობა მინიშნებულიც არ არის. დეკორატიული გამომსახველობა

ესპანეთი, სანტა მარია კვინტანილა დე ლას ვინიას IX-X სს. საფასადო შემკულობის ფრიზის ფრაგმენტი

კი ხშირი მოკლე სხვადასხვა მხარეს მიმართული ხაზებით მუშავდება. თვალშისაცემია დარღვეული პროპორციები. ცენტრალური ფიგურების შემთხვევაში თავის ზომა გაზრდილია, ანგელოზების ფიგურებში კი, პირიქით, წაგრძელებულ სხეულთან შედარებით პატარა ზომის არის, ხოლო ცენტრალური ფიგურისკენ მიპყრობილი ხელის მტევნები აქცენტირებულია გაზრდილი მასშტაბით. ასევე განსაკუთრებულ მახვილებს ქმნის ფიგურების მოხრილი ხელის იდაყვებისა და ფრთების ფალანგების ხისტი კუთხოვანი მონახაზები.

აღნიშნული მახასიათებლებით ეს რელიეფური კომპოზიციები ზუსტ პარალელს პოვებს ქართული მქანდაკებლობის განვითარების მის თანადროულ - IX-X საუკუნის -ნიმუშებთან, რაც X საუკუნის II ნახევრიდან თანდათან მომრგვალებულ-მოცულობითი ფორმებით იცვლება. რომანულ არქიტექტურაში განვითარების ეს ტენდენცია უმაღლეს წერტილამდე მივიდა და გამოსახულებებმა თითქმის სამი განზომილება შეიძინა. ჩვენმა ეროვნულმა სკოლამ კი მაინც ტრადიციებისადმი ერთგული ჩვეული თავშეკავებული ხასიათით მოცულობითი მომრგვალებული ფორმები გარკვეული ოდენობით შეითვისა, თუმცა ხაზის, როგორც მთავარი სამეტყველო ენის. მნიშვნელობა ფაქტობრივად სრულიად შეინარჩუნა.

გარდა აღნიშნული კომპოზიციებისა, სანტა მარია დე კუინტანილას ტაძარმა შემოგვინახა კიდევ ორი რელიეფური კომპოზიციით შემკული ფილა. როგორც ითქვა, დღესდღეობით მათი მდებარეობა გადანაცვლებულია (საკურთხეველში დევს). ერთ-ერთი მათგანი წარმოდგენს ჰორიზონტალურ მართკუთხა დიდი ზომის ფილაზე ცენტრში ორმაგი შარავანდით მოსილ მამაკაცის პირობითად სამ მეოთხედში მიბრუნებულ ნახევარფიგურას. პროპორციები კვლავ დარღვეულია. განსაკუთრებით გაზრდილია ცენტრალური ფიგურის თავი მოგრძო სახის ოვალით მკაცრი გაყინული გამომეტყველებით. მისი ერთი ხელი საერთოდ არ ჩანს, მეორე კი მკერდის გასწვრივ აქვს მოხრილი და განზე ტოლმკლავა (ოდნავ კიდეებგაშლილი) ჯვარი უპყრია. ეს ფიგურა ფლანკირებულია ორი ანგელოზით, რომელთაგან ერთი ზურგის მხრიდან ორივე ხელით ეხება მას (ისევე როგორც „ამაღლების" კომპოზიციებში გამოისახება ხოლმე, თუმცა აქ არ გვხვდება არც მედალიონი და არც - მანდორლა), თითქოს იგი მიაცილებს, წარუდგენს მას მეორე ანგელოზს, რომელიც ჯვრით ეგებება.

როგორც აღვნიშნეთ, ამ კომპოზიციაშიც ერთმანეთს ენაცვლება ოდნავ

მომრგვალებული ფორმები (როგორებიცაა: თავის ოვალი, ფიგურების მხრები თუ ანგელოზების ფრენის ნიშნად გადრეკილი სხეულები) და მკვეთრად წახნაგოვანი ხისტი ფორმები (ხელის იდაყვების თუ ფრთების ფალანგებისა და სამოსის კონტურის სახით). აქ ჩანს, რომ ოსტატის წინაშე მთავარ გამომსახველობით ექსპრესიულ შტრიხს წარმოადგენს არა ოდნავ მოცულობითი დეტალები, არამედ სწორედ ხისტი ხაზობრივ- კუთხოვანი მონაკვეთები.

რაც შეეხება მეორე ფილის კომპოზიციას, იგი თავისი ფორმატითა და ზოგადი სახით პირველის იდენტურია. განსხვავება ისაა, რომ ცენტრალური ფიგურა ფრონტალურად არის გამოსახული, ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ რაიმე სახის ხაზგამსმელი დეტალი მას არ ახლავს, ვფიქრობ, იგი ქალი უნდა იყოს, რადგან საკმაოდ პირობითად გადმოცემულ სახის ნაკვთებში ქალის იერი შეინიშნება ოდნავ. ყელიც უფრო ვიწრო და „ნაზია", ვიდრე წინა კომპოზიციის ცენტრალური ფიგურის მკვეთრად მამაკაცური იერი. სამოსის დრაპირების აღმნიშვნელი ღარებიც განსხვავებული მიმართულებისაა. ანგელოზების ფიგურები კი კვლავ იგივენაირია: უწონო გადრეკილი სხეულით ჰაერში შეჩერებულან და ფრონტალურ ნახევარფიგურას ორივე ხელით ეხებიან.

გარდა უშუალოდ სახვითი მანერისა, ჩვენთვის საგულისხმოა ფიგურათა ურთიერთმიმართება. აქ, ისევე როგორც IX–X საუკუნეების ქართულ მქანდაკებლობაში, კომპოზიციის მთავარი შემკვრელი, სიუჟეტის გამხსნელი თუ ექსპრესიის გადმომცემი ფიგურათა ჟესტიკულაციაა. ფრონტალურად გაყინულ სრულებით უმეტყველო სახეებსა და უწონო სიბრტყობრივ სხეულებს გამოკვეთს პლასტიკური კონტური და ხელის მტევნების რბილი მოდელირება.

ორი ანგელოზით ფლანკირებული ცენტრალური ფიგურის (მაცხოვრის, ჯვრის) „ამაღლების" კომპოზიცია თავისი ცხადი მარტივი სქემით ჩვენს მქანდაკებლობაშიც ანალოგიურია, მაგრამ განსხვავება სწორედ ფიგურათა ურთიერთმიმართებასა და გამომსახველობაშია. საინტერესოა, რომ ჩვენს მოქანდაკეებს ყოველთვის ხიბლავდათ ანგელოზთა ფრთების ხაზგასმა, რადგან მათი მოდელირება საშუალებას იძლევა პლასტიკურად აამეტყველოს კომპოზიცია (ამის მაგალითია ჯვრის მონასტრის, საფარის მიძინების ტაძრის კომპოზიციები). სანტა მარია დე კუინტანილას ტაძრის მზისა და მთვარის კომპოზიციებში ოსტატმა სცადა (მარჯვენა) ანგელოზი, ჩვეულებისამებრ, ორი ფრთით გამოესახა, მაგრამ, როგორც ჩანს, გამოცდილება არ ეყო და შედეგი იმდენად წარუმატებელი (სხეულთან არაბუნებრივად „მიბმული", ვიწრო ხისტი და ყოველგვარ პლასტიკურობას მოკლებული) აღმოჩნდა, რომ მოპირდაპირე ანგელოზი (ისევე როგორც დანარჩენ კომპოზიციებში) თითო ფრთით წარმოადგინა. ამგვარივე გადაწყვეტილება მიიღო ჩვენთან ყაჩაღანის ქვაჯვრის (VII ს.) ჯვრის ამაღლების კომპოზიციის ოსტატმა. იქ გამოსახულია ოთხი ანგელოზის ფიგურა თითო ფრთით. თუმცა მათ შემთხვევაში ერთი მიმართულებით მოძრავი ხშირი ხაზო-

ბრივი დრაპირებაა, რასაც სრულად ესადაგება ფრთის პლასტიკური მონახაზი და იქმნება მაჟორული დინამიკა.

ყოველივედან გამომდინარე, ჩვენ ვხედავთ დროსა და სივრცეში თუ რაოდენ საინტერესოდ ვითარდება საფასადო შემკულობის სისტემა. ხაზგასმით ჩანს ის თანხვედრი ამოცანები, რომლებიც ოსტატთა წინაშე დგას: აშკარაა სიბრტყობრივიდან ნელ-ნელა მოცულობით სხეულებზე გადასვლის ტენდენცია. დროთა განმავლობაში გრაფიკულ სტილს ფერწერული, შუქ-ჩრდილებით გაჯერებული ელემენტები ენაცვლება, შესაბამისად, ორნამენტისა და რელიეფური კომპოზიციების როლი საფასადო სიბრტყეზე იზრდება. თუმცა, ამასთანავე, ძალიან მკვეთრია ადგილობრივ ეროვნულ გემოვნებაზე დაქვემდებარებულ ფორმათშეგრძნებებს შორის სხვაობა, რაც სავსებით უნიკალური და თვითმყოფადია ყველა შემთხვევაში.

ბიბლიოგრაფია:

1. გუნია (მ.) დ. 2015. X საუკუნის შუახანების ქართული საფასადო პლასტიკის თავისებურებანი - კუმურდოს ტაძრის მაგალითზე. თბილისი: სადოქტორო დისერტაცია, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/187136/1/Disertacia.pdf
2. ოქროპირიძე ა., (2006) ქართული ხელოვნების სახვითი ენისათვის. კრებულში: აკადემია. ტომი 6-7. თბილისი.
3. Bizzarro T. W. 1992. Romanesque Architectural Criticism. Cambridge University Press
4. Clapham A. W. 1936. Romanesque Architecture in Western Europe. Oxford.
5. Gunia(M).D.2015.PeculiaritiesofGeorgianSculptureArtoftheChurchFacades-(Middleof the10thCentury,CaseoftheKumurdoTemple),Thesisforadoctor'sdegree.Tbilisi:http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/187136/4/Avtoreferati%20ENG.pdf
6. HourihaneC.2006.RomanesqueSculptureinNorthernEurope,MedievalArt-Romanesque and Gothic in Northern Europe. Blackwell publishing.
7. Wölfflin H. 1960. Principles of Art History, (The Problem of the Development of Style in Later Art). New York: Dover Publications.
8. Арутюнян В. 1985. Каменная летопись Армянского Народа, Ереван.
9. Чубинашвили Г. Северов Н. 1947 г. Памятники Грузинской архитектуры. Ч. I. Кумурдо и Никорцминда, М.
10. http://sdelbiombo.blogia.com/temas/prerromanico.php http://ermita-quintanilla.blogspot.com/ (24.12.17)

DEA GUNIA
NGO "Time and Heritage"

SIMILARITIES BETWEEN GEORGIAN ARTISTIC FEATURES AND IBERIAN PENINSULA PRE-ROMANESQUE STYLE

Summery

During discussion of typical features of the facade decorations in different countries sometimes we come across the cases when tastes and priorities for selection of the main artistic languages of different countries coincide.

The best parallels of Georgian artistic feature are to be found in the Pre-Romanesque Spanish and Portugal architecture. Especially interesting church is Santa Maria de Quintanilla de las Viñas, located on La Tierra de Lara.

It is very important to study its façade decoration and figurative relief compositions in the interior. Decorative expression here is shown through frequent, short, diversely directed lines. One would also immediately notice distorted proportions. Based on the characteristic features these compositions have close parallels with its contemporary counterparts from Georgia of the 9th-10th centuries (later replaced by more spacious and rounded forms). This trend of development reached its highest point in the Romanesque architecture where the figures are already almost three-dimensional. Our national school also introduced modest, traditionally shaped rounded forms, however it still preserved the line as a tool of the main communication language.

In parallel to the ways of expression, it is interesting to study the interconnection of the figures too. Here similar to the sculptures of the 9th-10th centuries, the main method of uniting the figures, transmitting the expressions or telling the story was the language of gestures.

Respectively role of the ornament and relief compositions increases on the facade surfaces despite the fact that beyond the general trends we also see compositions, forms and dynamic that are based on local tastes and determine different features of individual schools.

სოფიო ჩიგორაელიძე
გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა
და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

ქართული პროფესიული კერამიკა 1950-1960-იანელ კერამიკოსთა შემოქმედებაში

თანამედროვე ქართულ პროფესიულ კერამიკას თითქმის საუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი ჩამოყალიბებისა და განვითარების რამდენიმე ეტაპისგან შედგება და მრავალი მხატვრის შემოქმედებას აერთიანებს. ამ ქრონოლოგიაში კი მნიშვნელოვანი ადგილი 1950-1960 – იანელ მხატვართა მოღვაწეობას ეთმობა[1]. თითოეულ მათგანს განსხვავებული, ინდივიდუალური ხედვა და მხატვრული მიდგომა ახასიათებს, რაც თანამედროვე ქართული კერამიკის მრავალფეროვან, რთულ და შემოქმედებითად საინტერესო სახეს განაპირობებს.

საქართველოში უხსოვარი დროიდან დაწყებული სამეთუნეო საქმიანობა ყველა ეპოქაში განსხვავებული მაღალმხატვრული ნიშნებით ხასიათდება. ჩვენი გამოყენებითი ხელოვნების საგანძური მდიდარია ისეთი მაღალმხატვრული ნიმუშებით, როგორებიცაა: ბრინჯაოს ხანის შავკრიალა „მონუმენტური" ხასიათის კერამიკა, ანტიკური პერიოდის სიუჟეტური სცენებით დამშვენებული ნაკეთობები, შუა საუკუნეების მოჭიქულ-მოხატული ნაწარმი, სილაღითა და სისადავით სავსე ხალხური კერამიკული ჭურჭელი და სხვ. „ეს ძირძველი კულტურა კი პროფესიონალი მხატვრებისთვის ათვლის წერტილად იქცა, რამაც მათ შემოქმედებას ხაზგასმით ეროვნული ხასიათი შესძინა"[2] და თვითმყოფადი, გამორჩეული ადგილი დაუმკვიდრა არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო დეკორატიულ ხელოვნებაში. „მის გამორჩეულობაზე კი როგორც პოსტსაბჭოურ სივრცეში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც მიღებული მრავალი მედალი, დიპლომი, ჯილდო და პრესა მეტყველებს. ამ აღიარებას კერამიკოსთა არაერთი თაობა ჭედდა"[3].

ცნობილია, რომ თანამედროვე ქართული პროფესიული კერამიკის ისტორია 1925 წლიდან დაიწყო, როდესაც ახლად დაარსებულ თბილისის სამხატვრო აკადემიას (1922 წ.) მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის ინიციატივით კერამიკული სახელოსნო შეემატა, რომლის ორგანიზებაც კერამიკოს ბორის შებუევს

[1] ამ თაობის მხატვართა შემოქმედებითი მოღვაწეობა 2000-იან წლებამდე გრძელდება.
[2] კიკნაძე ნ., მედეა ჩიხლაძე (ნაბეჭდი 142 გვ.). კერამიკოს ნანა კიკნაძის პირადი არქივიდან, ხელნაწერის უფლებით, გვ. 79.
[3] კიკნაძე ნ., დასახელებული ნაშრომი, იქვე.

1. რ. იაშვილი. დოქი. თიხა. შებოლვა. აღდგენითი ჭიქური. ზ. 27X27. 1962 წ., სემ. დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

2. მ. ქსოვრელი. დოქი. თიხა, შებოლვა, ფერადი და აღდგენითი ჭიქურები. ზ. 29X23 სმ., სემ. დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

დაევალა. სახელოსნო მხატვრებს თიხის მასალით მცირე პლასტიკის ნიმუშების შექმნისა და გამოწვის საშუალებას აძლევდა, აღდგა მხატვრული ჭურჭლის წარმოებაც. 1927 წელს ქანდაკების ფაკულტეტთან კერამიკული განყოფილება ჩამოყალიბდა, ხოლო 1930 წლიდან, სამხატვრო აკადემიის რეფორმის შემდეგ, არქიტექტურულ, ფერწერულ-საქანდაკო და ლითოგრაფიის (პოლიგრაფიის) ფაკულტეტთან ერთად კერამიკის ფაკულტეტიც გაიხსნა. განყოფილებასაც და ფაკულტეტსაც ალექსანდრე ფიცხელაური ხელმძღვანელობდა. კერამიკის ფაკულტეტის სტუდენტებს ასწავლიდნენ: მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, მხატვარი ლადო გუდიაშვილი, კერამიკოსი ბორის შებუევი, ტექნოლოგი ალექსანდრე ფიცხელაური, ქიმიკოსი მიხეილ ხანანაშვილი, ოსტატები: სანდრო იორდანიშვილი, ლიუდვიგ ტომაშუკი და სხვები. 1928 წელს სამხატვრო აკადემიაში დაარსდა ქიმიური ლაბორატორია, რომელშიც საქართველოს ტერიტორიაზე არსებული თიხის ნედლეულის შესწავლა, ანგობისა და აღდგენითი ჭიქურების რეცეპტების დადგენა და სხვა ტექნოლოგიური კვლევები ტარდებოდა. ლაბორატორიას მიხეილ ხანანაშვილი ხელმძღვანელობდა. 1930-იან წლებში თბილისის სამხატვრო აკადემიამ პირველი პროფესიონალი კერამიკოსების თაობა გამოუშვა, 1941 წლამდე - ორი, ხოლო 1941 წლიდან ყოველწლიურად უშვებს [კვასხაძე, 1954:46]. 1920–30-იანი წლების კერამიკის მიმართულების სასწავლო პროგრამაში წამყვანი ტექნიკური საგნები იყო, დიდი ადგილი ქიმიურ კვლევებს და ამ ნიშნით წარმართულ ექსპერიმენტებს ეთმობოდა4.

4 Д. Цицишвили. «О состоянии учебно-методической работы по кафедре керамики». Учебно-методическая

3. რ. მეტრეველი-ჭელიძე. თასი „ცეკვა". თიხა. შებოლვა. ფერადი და აღდგენითი ჭიქურები, დიამეტრი 31 სმ., 1968 წ., სემ. დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

4. ა. ბარამიძე, დოქი. თიხა. აღდგენითი ჭიქური, ზ. 44x29 სმ., 1967 წ.. სემ. დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

1939–40 წლებში ა. ფიცხელაურმა მრავალწლიანი ხელმძღვანელობის გამოცდილებით აკადემიის დირექციას მიმართა თხოვნით, რომ კერამიკის ფაკულტეტზე მხატვრული დისციპლინების რაოდენობა გაეზარდათ. გადაწყდა კერამიკოსების სასწავლო კურსში კომპოზიციის საგნის დამატება. კურსის ხელმძღვანელობა გრაფიკოს დავით ციციშვილს დაევალა. 1942 წლიდან კერამიკის ფაკულტეტი ახალი სასწავლო პროგრამით ხელმძღვანელობდა. ტექნიკური საგნების შემცირების ხარჯზე მკვეთრად გაიზარდა მხატვრული და სპეციალური დისციპლინები. კურსი გაიყო ორ დამოუკიდებელ ნაწილად – დაპროექტება და მასალით მუშაობა. კომპოზიცია ფაკულტეტზე წამყვანი საგანი გახდა, სტუდენტების ცოდნის შემაჯამებელი. ამას ისინი ნახატის, ფერწერის, სკულპტურის, არქიტექტურული ფორმების, სტილის ისტორიის სწავლის შედეგად იღებდნენ[5]. აღსანიშნავია ისიც, რომ 1939-1942 წლებში კერამიკის ფაკულტეტის პედაგოგთა რიცხვს თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული: ზაქრო მაისურაძე, ნიკოლოზ გომელაური, სულხან სულხანიშვილი, ეკატერინე ბაბლიძე, გიორგი (გოგი) ქართველიშვილი და სხვა კერამიკოსები შეემატნენ[6]. ჯგუფის ერთობლივმა მოღვაწეობამ პროფესიონალი კადრების აღზრდის თვალსაზრისით უდავოდ დარგის წარმატებული მომავალი განაპირობა[7].

конференция, организованная Президиумом Академии Художеств СССР и Дирекцией Тбилисской Академии Художеств, 2-е заседание от 31 мая 1955 г., (ნაბეჭდი 22გვ.). მხატვარ ს. ქობულაძის პირადი არქივიდან. ხელნაწერის უფლებით. გვ. 2.

[5] Д. Цицишвили, დასახელებული ნაშრომი, გვ. 7.

[6] Д. Цицишвили, დასახელებული ნაშრომი, გვ. 4.

[7] პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად საგულისხმოა მათი მრავალწლიანი სამეცნიერო თუ ტექნოლოგიური კვლევები, მხატვრული ძიებები და მასალით განხორციელებული ექსპერიმენტები.

4. რ. ცუხიშვილი. თასი. თიხა, შებოლვა, ფერადი და აღდგენითი ჭიქურები. ზ. 8X28სმ., 1970 წ. სემ. დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

5. მ. ჩიხლაძე, ნ. კიკნაძე. ფიალა (ნაკრებიდან „დშანისი"). თიხა, აღდგენითი ჭიქურები, ზ. 5,8X14სმ., 1963 წ., სემ. დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

მხატვრული კერამიკის წარმოება რთულ ტექნოლოგიურ სქემას მოითხოვს, რისთვისაც გამართულ ტექნიკურ ბაზას საჭიროებს. 1930–1950-იან წლებში სამხატვრო აკადემიის კერამიკული ლაბორატორიის მდგომარეობაზე შთაბეჭდილებას გვიქმნის პროფესორ დ. ციციშვილის მიერ 1955 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიის სასწავლო-მეთოდოლოგიურ კონფერენციაზე წარმოდგენილი ანგარიშიდან ამონარიდი: „კერამიკის განყოფილებას დღემდე სუსტი ტექნიკური ბაზა აქვს. ამის დასტურია ჩვენი ლაბორატორიის თერმოაღჭურვილობა, რომელიც რამდენიმე ღუმელისაგან შედგება. მათ შორისაა 1–2 კუბ. დმ. ტევადობის ღუმელები, რომლებშიც შესაძლებელია ჩაის ლამბაქის გამოწვა, სადილის თეფში კი აღარ თავსდება. მართალია, აკადემიაში არის კიდევ 1–1/2 კუბ. მ. ტევადობის ორი მაზუთის ღუმელი, მაგრამ მათი გათბობა ათიოდე სტუდენტის ნამუშევრის გამოსაწვავად შეუძლებელია – ეს ეკონომიურად არამომგებიანია. მუფელის გასავსები ასობით ნამუშევარი კი ერთდროულად აკადემიაში არასდროს არაა[8].

აქედან გამომდინარე, ქართული პროფესიული კერამიკის განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა 1958 წელს სამხატვრო აკადემიის კერამიკის ფაკულტეტთან არსებული ტექნოლოგიური ლაბორატორიის სასწავლო-ექსპერიმენტულ სახელოსნოდ გადაკეთებას. სახელოსნო იმ დროისთვის ახალი ტექნიკური დანადგარებით მოეწყო, რაც აკადემიის სტუდენტებსა და იქ მოღვაწე კერამიკოსებს ახალ შემოქმედებით შესაძლებლობებს სთავაზობდა. გარდა სასწავლო-პრაქტიკული ფუნქციისა, სახელოსნოში მუდმივად მუშაობდნენ მხატვრები, რომლებიც ეწეოდნენ დამოუკიდებელ შემოქმედებით საქმიანობას, იმავდროულად ქმნიდნენ ეტალონებს სხვადასხვა საწარმოსთვის და ა. შ. სახელოსნოში თავი მოიყარა ძველი და ახალი თაობის გამორჩეულმა,

[8] Д. Цицишвили, დასაბეჭდი ნაშრომი, გვ. 13.

6. ნ. კიკნაძე. ჭინჭილა „მტრედი". თიხა. შებოლვა. აღდგენითი ჭიქური. 1960-იანი წლები

7. ა. კაკაბაძე. მარანი „ხაქართველო". შამოთი, მარილები, მძრალი ჭიქურები, სიმაღლე 80 სმ. 1977წ., სემ. დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

ინდივიდუალური ხელწერის მქონე კერამიკოსთა ჯგუფმა (გ. ქართველიშვილი, ს. სულხანიშვილი, ე. ბაბლიძე, ი. გაჩეჩილაძე, რ. იაშვილი, ა. კაკაბაძე, მ. ჩიხლაძე, ნ. კიკნაძე, მ. ჯალაღანია, რ. მეტრეველი, ქ. კარგარეთელი, რ. ეკალაძე, გ. გოგიჩაიშვილი, რ. მეტრეველი-ჭელიძე, გ. ფაჩუაშვილი და სხვ.), რომელთა შემოქმედებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანამედროვე პროფესიული ქართული კერამიკის ისტორიაში. ამასთანავე, საგულისხმოა სახელოსნოს გარეთ მოღვაწე, დასახელებული თაობის მხატვარ-კერამიკოსების (ი. ყანდაშვილი, რ. ცუხიშვილი, ლ. ნაკაშიძე, ა. ბასიშვილი, ო. მუხიგული, ნ. ბოტკოველი, გ. მირზოევი და სხვ.) შემოქმედებითი მოღვაწეობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მოვლენების პარალელურად ქვეყანაში ფუნქციონირება დაიწყო შედარებით დიდი წარმადობის კერამიკულმა საწარმოებმა[9], რომლებშიც ხანგრძლივად ან გარკვეული დროის განმავლობაში იმ თაობის არაერთი პროფესიონალი მხატვარ-კერამიკოსი მუშაობდა (ნ. ლუარსაბიშვილი, ა. ბარამიძე, მ. ბაიდაშვილი, ე. ხაჩიძე, მ. აბაშიძე, ლ. ყიფიანი, დ. კობიაშვილი და სხვ.) და ქმნიდა მხატვრულ-დიზაინური ტიპის ნამუშევრებს[10].

1950-1960-იანელ კერამიკოსთა შემოქმედების მხატვრული სახის ჩამოსაყალიბებლად მნიშვნელოვანი იყო ე.წ. ფაიფურის პერიოდში (1950-იან წლები)[11]

[9] 1949 წელს თბილისში საძირკველი ჩაეყარა ფაიფურ-ფაიანსის დიდ საწარმოს - თბილისის (ნავთლუღის) კერამიკულ კომბინატს. 1953 წელიდან კერამიკისა და ფაიფურის მხატვრული ნაწარმის გამოშვება თბილისის (ორმაღელის) კაფელების ფილების ქარხანამ დაიწყო. 1955 წ. თბილისის საბურთალოს აგურის ქარხნის ბაზაზე (საბურთალოს საშენ მასალათა კომბინატი) შეიქმნა ფაიფურის კერამიკული საამქრო და ა. შ. (იხ. ხანანაშვილი მ., ფაიფური, თბ., 1960, გვ. 86.).

[10] კიკნაძე ნ., XX საუკუნის ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება (ნაბეჭდი 82 გვ.). კერამიკოს ნ. კიკნაძის პირადი არქივიდან ხელნაწერის უფლებით, გვ. 17-29.

[11] ქართულ დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში ფაიფურის ნიმუშები 1930-იანი წლებიდან

8. ნ. ბოტკოველი. დეკორატიული ლარნაკი „შემოდგომა". თიხა, აღდგენითი ჭიქური, ზ. 30X27სმ., 1977 წ., სემ. დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

9. მ. აბაშიძე. დეკორატიული ლარნაკი „ცხენბურთი". თიხა, შებოლვა, ფერადი და აღდგენითი ჭიქურები, ზ. 57X25 სმ., სემ. 1970-იანი წლები, სემ. დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

ახალგაზრდა კერამიკოსების წითელი თიხით დაინტერესება და მისი ძირითად სამუშაო მასალად „დაბრუნება". მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე მასალა მათ თავისთავად მდიდარ ტექნოლოგიურ გამოცდილებას, ფორმისეულ თუ დეკორატიულ მემკვიდრეობას სთავაზობდა[12]. ასევე დიდი როლი შეასრულა 1930-1950-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებულმა მრავალმა არქეოლოგიურმა გათხრამ. მუზეუმების საცავები ივსებოდა სხვადასხვა პერიოდის, უხვად აღმოჩენილი კერამიკული არტეფაქტებით. ვიზუალური სურათის გარდა, რომელსაც არქეოლოგიური მასალა იძლეოდა, მნიშვნელოვანი იყო მასზე განხორციელებული სამეცნიერო კვლევები, რომლებშიც ისტორიულ და მხატვრულ-სტილისტურ ანალიზთან ერთად უაღრესად დიდი ყურადღება ცალკეულ ნიმუშთა თუ კოლექციათა დამზადების მეთოდებსა და ტექნიკური შემკობის ხერხების შესწავლას დაეთმო. კვლევის კომპლექსური მიდგომა

იწყებს დამკვიდრებას. თუმცა ქართული კერამიკული წარმოებისათვის „უცხო მასალა" – ფაიფური – სათანადოდ ვერ განვითარდა ჩვენს სინამდვილეში. ბოლომდე ვერ მოხერხდა გამართული სანარმოო ბაზის შექმნა, ადგილობრივი ნედლეულის ათვისება, მისი წარმოებაში დანერგვა და სხვა მრავალი პრობლემის დაძლევა, რაც თავისთავად უარყოფითად აისახა პროდუქციის მხატვრულ ხარისხზეც.

12 1950–1980-იან წლებში ახალგაზრდა მხატვრების გვერდით შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევიან წინა თაობის (1930–1940) კერამიკოსები: ზ. შაისურაძე, ე. ბაბლიძე, გ. ქართველიშვილი, ს. სულხანიშვილი, ი. გაჩეჩილაძე და სხვები.

10. მ. ჩიხლაძე. დეკორატიული თეფში „ზაფხული“ (კომპოზიციიდან „გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი“). თიხა, აღდგენითი ჯიქურები, დიამეტრი 27, 1975წ., სემ. დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

11. რ. ცუხიშვილი. დეკორატიული თეფში „იმერეთი“. ფაიანსი, მაიოლიკის ჯიქურები, დიამეტრი 35სმ., 1963 წ., სემ. დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

კერამიკოსებს საშუალებას აძლევდა „არსებული ქართული მხატვრული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის შედეგად განევითარებინათ და შეევსოთ ქართული მხატვრული კერამიკა იმ ახალი ტექნოლოგიური ხერხებითა და მეთოდებით, რომლებიც მანამდე მას არ გააჩნდა“[13]. ძველი ნიმუშების შესწავლის შედეგად აღდგა ნიმუშთა დეკორატიული შემკობის არაერთი ტექნიკა, დადგინდა სხვადასხვა საღებავისა და ჯიქურის რეცეპტი[14]; მათ შორის, აღადგინეს ნაკეთობათა შებოლვის ტექნიკაც[15], რომელიც, როგორც მხატვარი

[13] ნ. გომელაური. განმარტებითი ბარათი. თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკული ფაკულტეტის ასპირანტ ნ. გომელაურის მიერ საასპირანტო კურსის დამთავრების გამო (უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ფ. №39, ანაწერი №3, გვ.1).

[14] აღსანიშნავია კერამიკოს ნიკოლოზ გომელაურის ნვლილი. მან თავისი კვლევებით შეისწავლა და აღადგინა ნიმუშთა მხატვრულად შემკობის არაერთი ძველი მეთოდი, ასევე დიდია მისი დამსახურება სხვადასხვა საღებავის რეცეპტის დადგენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების ხერხების შეშუშავებაში. მაგალითად, კერამიკოსმა შეიმუშავა მანამდე ქართული კერამიკისთვის უცხო შავი და შინდისფერი ანგობის საღებავის დამზადების მეთოდი და კობალტის საღებავის ისეთი ქიმიური შემადგენლობა, რომლის გამოყენებაც გამოუნვავ ნედლ კეცზეც იყო შესაძლებელი და გამორიცხავდა საღებავის გაჟონვას. ყველა ეს მეთოდი საკუთარ ნამუშევრებზე მან პრაქტიკულად განახორციელა.

[15] ამ მიმართულებით აღსანიშნავია კერამიკოს ზაქრო მაისურაძის შრომები ძველი ქართული კერამიკის შესახებ. მათში დიდი ადგილი ეთმობა მის ტექნოლოგიას. ამ საკითხის ნათლად გაშუქების მიზნით ავტორი წლების განმავლობაში ანარმოებდა ცდებს. ამ ცდების შედეგად დადგინდა სამთავროს სამაროვნის ორმოსამარხების შავკრიალა კერამიკის ტექნოლოგიაც, რომელმაც შემდგომ ასეთი დიდი პოპულარობა მოიპოვა თანამედროვე ქართულ კერამიკაში (იხ. მაისურაძე მ., შემოქმედი და მკვლევარი, ჟურ. საბჭოთა ხელოვნება, 1987, №2, გვ. 73).

შავკრიალა კერამიკის ტექნოლოგიის დამკვიდრებაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის მხატვარ-კერამიკოს რევაზ იაშვილს. „იგი ზაქრო მაისურაძის მონაფე იყო. რ. იაშვილმა „შავ ფერს“ მანამდე კარგად ცნობილი აღდგენითი ჯიქური დაუმატა“ და ფაქტობრივად განსაზღვრა 1960-იანი წლების კერამიკის მხატვრულ-ვიზუალური სახე (იხ. ინტერვიუ მხატვარ-კერამიკოს რომუალდ ცუხიშვილთან, ელ. ჟურნალი „Georgianart.ge“, სერია B, 2017).

12. გ. გოგიჩაიშვილი. კომპოზიცია „მეშაჭვნე ბიჭი". ნითელი თიხა, ანგობის საღებავები, სიმაღლე 58,5 სმ., 1993 წ.

13. ა. კაკაბაძე. მოხუცი კახელის პორტრეტი. შამოთი, მინანქარის საღებავები, მშრალი ჭიქურები, ზ. 27X35, 1976 წ.

ეკატერინე ბაბლიძე ერთ-ერთ პირად ჩანაწერში აღნიშნავდა: „უპირველესია იმ მრავალფეროვან საფუძველთა შორის, რომელთაც თანამედროვე მხატვრული კერამიკის ეროვნული სახე ეყრდნობა" [იზორია, 2014]. 1950-1960-იანელ კერამიკოსთა შემოქმედებისთვის შებოლილი მუქი შავი, რუხი, ყავისფერი კეცი ერთ-ერთი მკვეთრად სახასიათო ნიშანია. მუქი ფერით შექმნილი „სიმკაცრე", სისადავე, მონუმენტურობა კარგად მიესადაგებოდა ქართული კერამიკისთვის ტრადიციულ ზომიერების გრძნობას. იგი იყო ეროვნულიც, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მატარებელი. შებოლილ კეცზე დატანილი ძუნწი გეომეტრიული ორნამენტი თუ ცხოველებისა და მხედრების სქემატურ-ხაზობრივი გამოსახულებები არქეოლოგიურ კერამიკასთან სიახლოვეს იჩენდა [ილ.1]. გარდა კერამიკული დეკორისა, თანამედროვე მხატვრების მიერ შექმნილი ნიმუშების შავ ფონზე მხატვრულად აჟღერდა ხევსურული ხალიჩისა და სამოსის დეკორის ფერადი ნახატები, [ილ.2] ძველი ქსოვილებიდან შთაგონებული ფიგურული თუ დეკორატიული სახეები, ქართული ტაძრის რელიეფებიდან აღებული ჩუქურთმის მოტივები, ჭედურობის ბრწყინვალე ნიმუშებს მოგვაგონებს ნაკეთობათა ზედაპირზე დაძერწილი, ფერადი ჭიქურით დაფერილი რელიეფური კოპების ელვარება და ა.შ. ყველა ეს ორნამენტი ტრანსფორმირებული, შემოქმედებითად გადამუშავებული და კერამიკის სპეციფიკურ ფორმას მორგებული უკვე კერამიკული დეკორია, რომელიც მხოლოდ ასოციაციურად გვიყვება იმ კულტურაზე,ისტორიაზე,მრავალმიმართულებიანხელოვნებაზე,რომელიცჩვენმა წინაპრებმა საუკუნეების განმავლობაში შექმნეს. გარდა ამისა, თანამედროვე

ყოფას მორგებულ ახალ, ზოგ შემთხვევაში ძველ ან ფუნქციაშეცვლილ ნიმუშთა ფორმებზე გამოჩნდა ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ტიპაჟები, [ილ.3] ყოფითი სცენები და. ა.შ. 1950–1960-იანელ კერამიკოსთა შემოქმედებაში შავკრიალა კერამიკის გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტერაკოტის მასალითა და ანგობის საღებავებით მოხატულ ნიმუშებს, აღდგენითი, ფერადი და მაიოლიკის ჭიქურებით შემკულ ნაკეთობებს, მათ შემოქმედებაში ჩითელ თიხასთან ერთად დამკვიდრდა შამოთის მასალა და ა.შ.

ქართული პროფესიული კერამიკა 1950–1960-იანელ მხატვრების შემოქმედებაში მრავალი მიმართულებით განვითარდა. წამყვანი მნიშვნელობა კვლავ მცირე ზომის საყოფაცხოვრებო და დეკორატიულ ჭურჭელს ენიჭება. მათ შორის ფორმების მრავალფეროვნებით გამოირჩევა დოქები, რომელთა მრავალი განსხვავებული ვარიანტი თითქმის ყველა მხატვრის შემოქმედებაში გვხვდება [ილ.4]: დაბალი განიერი მუცლით, მსხლისებური მოყვანილობის, ყელმაღალი, უტუჩო და გადაშლილი ტუჩით, შემკული გეომეტრიული, მცენარეული, სახვითი მოტივებით. ისინი სრულიად განსხვავებული, თითოეული მხატვრის ხელწერისთვის სახასიათო ნიშნებითაა შესრულებული. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წყლის, ლუდის, ლიქიორის ნაკრებებს, სხვადასხვა ფორმის, ზომის და დეკორით შემკულ ფიალებს, საკანფეტე და სახილე თასებს. საინტერესოა მხატვარ რომუალდ ცუხიშვილის მიერ შესრულებული ნიმუში (1970 წ.). თასი მომცრო ზომის, მრგვალი ჭურჭელია, ოდნავ შიგნით გადახრილი სწორხაზოვანი პირის პროფილით. ნაკეთობა შებოლილია შავად. პირი აქცენტირებულია დაახლოებით ერთი სანტიმეტრის ზომის სიგრძივი დაღარული ხაზებით მიღებული ხაოიანი ფაქტურის დეკორით, რომელიც ზემოდან დაფერილია ღვინისფერი ჭიქურის საღებავით. თასის შებოლილი გარეთა ზედაპირი ჩაკვეთითა და რელიეფური კოპებით შექმნილი ფრაგმენტული, გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული, ხოლო შიდა მხარეს მონაცრისფრო-თეთრ ფონზე აღდგენითი ჭიქურის საღებავებით დახატული მცენარისა და ჩიტის გამოსახულებები ამშვენებს [ილ. 5]. ფერადოვნებითა და სიფაქიზით გამორჩეულია მხატვარ მერი ჯალაღანიას ნიმუშები, ასევე გეომეტრიული დეკორით შემკული მხატვარ ქეთევან კარგარეთელის თასები და ა. შ.

არაერთმა კერამიკოსმა შექმნა განსხვავებული დანიშნულების სერვიზები - სადილის, მწვადის, დესერტის და ა.შ.: მათ შორისაა გივი ფაჩუაშვილის (დესერტის ნაკრები, 1962 წ.), ქეთევან კარგარეთელის (ნაკრები ღვინისა და ხილისათვის, 1965 წ.), შოთა ნარიმანიშვილის (ნაკრები ღვინისა და ხილისათვის, 1967 წ.) და სხვათა ნამუშევრები. ყურადღებას შევაჩერებთ 1963 წ-ს მხატვრების - მედეა ჩიხლაძისა და ნანა კიკნაძის - მიერ განხორციელებულ კერამიკულ კომპლექტზე „დმანისი". ნაკრები თანამედროვე ხედვით შესრულებული შუა საუკუნეების მრავალფრად მოჭიქული ჯამების მხატვრობის ინტერპრეტაციით შექმნილი ნაკეთობაა. ახალი ტექნიკური და მხატვრული ხერხების გამოყენებით მიღებული ფორმების შიდა პირებზე თითქმის სრული ანალოგიით გადმოტანილია

დმანისურ ჯამებზე გამოსახული ფრინველების, ცხოველების, მცენარეებისა და ჭიქურის ნაღვენთი ხაზებით შექმნილი აბსტრაქტული სახეები. ნაკეთობების გარეთა პირებს კი ვერცხლის სალტეები შემოუყვება. კერამიკისა და ლითონის მასალების სინთეზი განსხვავებულ მხატვრულ სახეს სძენს ნაკეთობებს და მის თანამედროვე იერსაც განსაზღვრავს [ილ. 6] .

აღნიშნული პერიოდის მხატვართა შემოქმედებაში ყოფითი დანიშნულების ნიმუშების ვიზუალური სახე მკვეთრად დეკორატიულია. უტილიტარულ დანიშნულებას შეთავსებული პლასტიკური ფორმები თამამად შეიძლება გამოდგეს ინტერიერის სამშვენისებად. ამ ნიშნით გამოირჩევა ზოომორფული და ანთროპომორფული ჯურჭლის ნიმუშები: რ. იაშვილის სასმისი „ირემი“, (1958 წ.), შ. ნარიმანიშვილის სასმისი „ირემი“, (1960-იანი წლები), ნ. კინაძის, მ. ჩიხლაძის ნაკრები „საქორწილო“ (1967 წ.) და ა. შ. მაგალითად გამოდგება 1960-იან წლებში შესრულებული მხატვარ ნ. კიკნაძის სასმისი „მტრედი“ [ილ. 7]. ნაკეთობა ნატურალური და სტილიზებული ფორმის ზომიერ სინთეზს წარმოადგენს. იგი ყოფითი ხასიათის ჭურჭელია და, ამავდროულად, მხატვრულად ღირებული პლასტიკა-სამშვენისიც. ეს მთლიანობა კი მინიმუმამდე დაყვანილი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებითაა მიღწეული. შებოლვის მეთოდით მიღებული შავი ფერით შეკრულ ფორმაზე ზედაპირის გაპრიალებული და უხეში ნაწილების შეპირისპირებით შექმნილია ნაკეთობის დეკორი, რომელიც ფრინველის სახასიათო ფაქტურის გამომსახველიცაა. შავ ფონზე რიტმულად შემოყოლებული მარჯნისფერი ჭიქურის ზოლები აცოცხლებს მონოქრომულ ფერადოვან გამას და აქცენტების სახით ნიმუშის მკაფიო ხაზოვან სილუეტს შემოხაზავს.

ანთროპომორფული მიდგომით გადაწყვეტილი ჭურჭელი მრავლადაა წარმოდგენილი მ. ჩიხლაძის, რ. მეტრეველის, გ. მირზოევის და სხვათა შემოქმედებაში. მათგან შეიძლება გამოვყოთ კერამიკოს ჟუჟუნა ფოჩხიძის შემოქმედება, რომელმაც სტილიზებული ეროვნული სამოსით შემოსილი ხევსური ქალის არაერთი დოქის ფორმა შემოგვთავაზა („ხევსური ქალი“ – 1965 წ., „გოგონა“ – 1969 წ., „ხევსური“ – 1978 წ. და სხვ.). ზოომორფული და ანთროპომორფული მოტივები ხშირია ქართულ ტრადიციულ სარიტუალო ჯურჭლის – „მარნის“ – ფორმებში. ბევრი მხატვრის შემოქმედებაში გააზრებული და მხატვრულად გადაწყვეტილი ეს თემა უმეტესად სიმბოლურ-დეკორატიული ხასიათის მატარებელია. ასეთია კერამიკოს ა. კაკაბაძის მარანი „საქართველო“ (1977 წ.), რომელიც თავისი ზომით უფრო დეკორატიული ქანდაკებაა და არა ყოფითი დანიშნულების ნაკეთობა [ილ. 8].

გარდა საყოფაცხოვრებო ჯურჭლისა, 1950–1960-იანელ მხატვართა შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დეკორატიული დანიშნულების ლარნაკებსა და კედლის თეფშებს. ლარნაკების მთელი სერია შექმნა კერამიკოსმა ნანა ბოტკოველმა, რომელსაც მოხდენილი ფორმა და მასთან შეხამებული მდიდარი ორნამენტული სახეები გამოარჩევს. ისინი ხან ფუნჯით, ხან კი რელიეფური დანაძერწი ხაზების დენადი რითმული მოძრაობებითაა შექმნილი („შემოდგომა“ – 1977 წ., „სამყაროს მარადიულობა“ – 1970-იანი წლები, „გაზა-

ფხულის ფრინველი" - 1980-იანი წლები, „სიკეთის სამყარო" – 1983 წ., „ქეთევანი" – 1989 წ. და სხვ.) [ილ. 9]. ამ ტიპის ნიმუშებიდან გამოვყოფ მხატვარ მურთაზ აბაშიძის ლარნაკს „ცხენბურთი". იგი წაგრძელებული ცილინდრული ფორმისაა. ლარნაკის ტანის ძირითადი ნაწილი დეკორირებულია. მასზე გამოსახულია ცხენბურთის თამაშის სცენა, რომლის სიუჟეტი წრიულად ნიმუშის ირგვლივ ვითარდება. აღდგენითი ჭიქურით შექმნილ ხაზოვან-ორნამენტული ჩარჩოთი შემოსაზღვრული არე შიგნით შემოფარგლულია წითელი საღებავით შექმნილი ფონით. საღებავი „დადებულია" დაღარულ რელიეფურად უსწორმასწორო კეცის ზედაპირზე, რაც ერთგვარად ანეიტრალებს წითელი ფერის ინტენსიურობას , მასზე გრავირებული, გრაფიკული ხაზითა და შავი ფერის კონტურით შექმნილია ცხენებისა და მხედრების ფორმა, რომელიც შევსებულია ყავისფერი, თეთრი და ღვინისფერი ჭიქურებით. მოქნილი ხაზითა და ლოკალური, მკვეთრი ფერების მონაცვლეობითი განლაგებით შექმნილია პლასტიკური ფორმები, ნახატი დინამიკური და შთამბეჭდავია [ილ. 10] .

დეკორატიული თეფშებიდან აღსანიშნავია მ. ჩიხლაძის კომპლექტი „გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი" (1975წ.) [ილ. 11]. მხატვარმა რელიეფური დაძერწილი ხაზებით შექმნილი მზის სიმბოლოდ აღებული ბორჯღალოს ფორმით, წელიწადისდროებისშესაფერისად,სხივებისტალღებისსიძლიერეგანსხვავებულ დეკორად წარმოადგინა. საინტერესო ნიმუშებია კერამიკოს რ. ცუხიშვილის დეკორატიული თეფშები: „ძველი თბილისი" (1950-იანი წლები), „იმერეთი" (1963 წ.), „თუშეთი" (1968 წ.) და სხვ. მათზე წარმოდგენილი პირობითი სქემატურ-ხაზობრივი გამოსახულებებით სრულად იკითხება შინაარსი და განწყობა [ილ. 12].ამასთანავე, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სიუჟეტურ, ანიმალისტურ, დეკორატიულ პლასტიკასა და პორტრეტულ კერამიკას. მათ შორის კახელი გლეხების ყოველდღიურ ყოფას არაერთი კომპოზიცია მიუძღვნა კერამიკოსმა გულნარა გოგიჩაიშვილმა: „კერა" (1980 წ.), „ბაზარი" (1981 წ.), „მემაწვნე" (1993 წ.), „კახელი გლეხები" (1995 წ.), „ქოთნის ამომყვანი" (2005 წ.) და ა.შ. [ილ. 13] კერამიკული მასალით ქართველი პოეტებისა და მოღვაწეების პორტრეტები შექმნა მხატვარმა ნ. ბოტკოველმა („ვაჟა-ფშაველა", „გალაკტიონ ტაბიძე", „მურმან ლებანიძე", „ეკატერინე ჭავჭავაძე", „შალვა ამირანაშვილი" - 1970-იანი წლები და სხვ.). განზოგადებული სახასიათო პორტრეტული ტიპაჟები გვხვდება კერამიკოს ა. კაკაბაძის შემოქმედებაში („ხევსური ქალის პორტრეტი" (1975 წ.) „ქართველი ქალის პორტრეტი" (1975 წ.), „მოხუცი კახელის პორტრეტი" (1976 წ.) და სხვ.) [ილ. 14] და ა.შ. საინტერესოა კერამიკული მასალით შესრულებული ლიტერატურული ნაწარმოებების ილუსტრაციები. მაგალითად გამოდგება გურამ დოლიძის „სამანიშვილის დედინაცვლისა" (1956 წ.) და „სოლომონ მორბელაძის" (1963 წ.) პერსონაჟები. დიდი ყურადღება დაეთმო მცირე და მონუმენტური ზომის დეკორატიული პანოებისა და ფუნქციური ობიექტების შექმნას. ამ მიმართულების განვითარებას ხელი შეუწყო წინა თაობის წარმომადგენელთა მრავალმა ესკიზმა, პროექტმა თუ სამხატვრო აკადემიაში განხორციელებულმა სადიპლომო ნამუშევარმა. 1960-იან წლებში კი კურსდამთავრებულთა სადიპლომო მონუ-

მენტური კერამიკის ნიმუშები რეალურად არსებული ობიექტების გასაფორმებლად შეიქმნა. ასეთია რ. ცუხიშვილის მიერ შესრულებული მონუმენტური პანო „ქვევრების მრეცხავი", რომელიც მხატვარმა 1963 წელს თბილისის №1 ღვინის ქარხნისთვის შეასრულა[16]. ამავე წელს მხატვარმა როდამ მელიქიძემ თბილისის კურორტოლოგიის ბაღისთვის, რომელიც ამ ინსტიტუტის სახურავზე იყო გაშენებული, ხელოვნური ბაღი მოაწყო; შემდეგ წყაროთი და ორი კერამიკული კედლით გააფორმა. 1967 წელს კერამიკოსებმა ლეონა ნაკაშიძემ და ანეტა ბასიშვილმა საქართველოს სახელმწიფო ეროვნული არქივის შენობის ფასადი შეამკეს, რისთვისაც მხატვრებმა შვიდი სწორკუთხოვანი პანო-სადგმელი შექმნეს და ა.შ. მონუმენტურ-დეკორატიული კერამიკით ამ პერიოდში რამდენიმე წყარო შეიქმნა. აღსანიშნავია კერამიკოს რ. იაშვილის 1960-იან წლებში ქ. წყალტუბოში, ჯვრის უღელტეხილზე და ზედაზნის მონასტერისკენ მიმავალ გზაზე გაფორმებული წყაროები. მხატვრებმა რ. მელიქიძემ, ვ. გელაშვილმა, ი. გაბაშვილმა, ო. რჩეულიშვილმა და რ. ცუხიშვილმა იმუშავეს ბორჯომის წყაროს დეკორაციაზე (1966 წ.) და ა.შ. [ცუხიშვილი, 1971:57,59, 60].

ზემოთ განხილული რამდენიმე მაგალითიდან 1950 1960 იანელთა თაობის კერამიკოსთა განსხვავებული, მრავალმიმართულებიანი ინტერესები. ისინი ქმნიან როგორც მცირე ზომის ყოფითი და დეკორატიული დანიშნულების ნიმუშებს, ისე მონუმენტური ხასიათის ფუნქციურ და მხატვრულ ობიექტებს. ნაკეთობებისთვის სახასიათოა შესრულების მაღალი პროფესიონალიზმი, რაც განპირობებულია - მასალის ღრმა ცოდნით, მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების გაზიარებითა და მუდმივი სიახლის ძიებით. ნიმუშების მხატვრული სახის შესაქმნელად მასალისა და ფორმების მრავალფეროვნებასთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ნაკეთობების დეკორირებასა და მათ ფერადოვან გამას, რომელიც სხვადასხვა ტექნოლოგიური ხერხის შერწყმითაა მიღებული და უმეტეს შემთხვევაში მდიდარი შეხამებებით გამოირჩევა; ამასთანავე, მათი კოლორიტული მახასიათებელი ტრადიციულად არ სცილდება ზომიერების ფარგლებს, რაც ნამუშევართა მხატვრულ ღირებულებასაც განსაზღვრავს. ყოველივე ამან კი, მათ კერამიკას გამორჩეული, ეროვნული ხასიათი შესძინა და ინდივიდუალური ადგილი დაუმკვიდრა, როგორც ქართულ, ისე მსოფლიო დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში.

ლიტერატურა:

1. იზორია მაია. 2014. ეკატერინე ბაბლიძე, ელ. ჟურნალი: „Georgianart.ge", სერია B. http://georgianart.ge/index.php/ka/component/content/article/172.html?ed=15
2. კვასხაძე შალვა. 1954. კერამიკული ხელოვნება აღმავლობის გზაზე, №1-2, თბილისი, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება".
3. ცუხიშვილი რომუალდი (1971), მონუმენტური კერამიკა, №11, თბილისი, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება".

[16] ნიმუში განთავსებული იყო ქარხანასთან მდებარე მარანის ეზოში. 1990-იან წლებში შენობა გაიყიდა, მარანი დაანგრიეს და პანო განადგურდა (ინტერვიუ მხატვარ-კერამიკოს რომუალდ ცუხიშვილთან. ელ. ჟურნალი „Georgianart. ge", სერია B, 2017).

SOPIO CHITORELIDZE
George Chubinashvili National Research Centre for Georgian
Art History and Heritage Preservation

GEORGIAN PROFESSIONAL CERAMICS IN CREATIVE WORKS OF CERAMISTS GENERATION OF 1950-1960 YEARS

Summary

The modern Georgian professional ceramics has almost a century history, which on its way of formation and development passed some stages and united creations of many artists. In this chronology the significant place is allocated to the activity of the ceramists of the 1950-1960 years, whose original individual vision and artistic searches contributed to the creation of diverse, complex and creatively interesting image of modern Georgian ceramic.

For the progress of modern professional ceramic art the educational-methodological measures, scientific researches in the branch, technological experiments and artistic searches carried out in 1920-1950 years at the Tbilisi Academy of Arts were most important. Transformation of technological laboratory functioning at the Faculty of Ceramics of the Academy of Arts into the educational-experimental workshop which took place in 1958 had the decisive significance for the progress of professional ceramics. The workshop was equipped with technological devices, new for that time, which offered the new creative opportunities to the students of the Academy and ceramists leading their activity there. Besides, we have to emphasize creative activity of professional artists-ceramists working outside the workshop, in other art workshops and ceramic enterprises.

Georgian ceramic was developed in many directions in the creative activity of artists of the 1950–1960 years. Besides the everyday dishware we observe specimens of decorative monuments, significant place is occupied by decorative vases and wall plates/dishes designed for interior. Great attention was devoted to the creation of small and monumental size decorative panels and functional objects and others. Artistic ceramic of the ceramists of 1950-1960 years is characterized by high professionalism and depth of reflection of national character. The works reflect multi-century experience and the driving force is the strife towards the novelty. Alongside with the diversity of the material and the forms used for creation of artistic image, great significance is attributed to decoration of articles and their color gamut, which is achieved by fusion of various technological approaches and in most cases is distinguished by rich combination. Alongside with it, their colorful characteristics don't leave the limits of moderation, which determines also the artistic value of works.

ირინე აბესაძე
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეპისტოლური მემკვიდრეობა, როგორც ხელოვნის შემოქმედებითი პერსპექტივის ამსახველი დოკუმენტი

სამეცნიერო კვლევისთვის რომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება წყარომასალას, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ ეპისტოლურ მემკვიდრეობას, როგორც ხელოვნის შემოქმედებითი პორტრეტის სრულყოფილი დახასიათების, მისი პერცეფციის ხასიათის ამოხსნის აუცილებელ წყაროდ ხელოვნებათმცოდნე მკვლევრები რატომღაც ნაკლებად იყენებენ: ეს მაშინ, როცა მხატვრის წერილების გაანალიზება განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ პირდაპირი კონტაქტის შესაძლებლობა ხელოვანთან მკვლევარს არ აქვს, უმნიშვნელოვანეს მეთოდურ საფუძველს წარმოადგენს მრავალი ისტორიული, ბიოგრაფიული თუ სხვა სახის ფაქტის დასადასტურებლად. ამავდროულად ხელოვანთა ეპისტოლური მემკვიდრეობის გამოვლენა, ხშირ შემთხვევაში, მათ მიერ სამყაროს შემოქმედებითი აღქმის თავისებურებებზე დაკვირვების საუკეთესო საშუალებას იძლევა. ქართული რეალისტური მხატვრობის ფუძემდებლის, გიგო გაბაშვილის, საარქივო მასალებზე მუშაობისას ჩემს ხელთ აღმოჩნდა ცნობილი ქართველი მხატვრის, აპოლონ ქუთათელაძის, გიგო გაბაშვილისადმი სანქტ-პეტერბურგიდან (მაშინდელი ლენინგრადი) 1928 წლის 16 ოქტომბრით დათარიღებული ვრცელი წერილი, რომელშიც შეგირდი ოსტატს უზიარებს ცნობილი მუზეუმების – ერმიტაჟისა და ე. წ. რუსული მუზეუმის – სახვითი კოლექციების ხილვით მიღებულ შთაბეჭდილებებს. აპოლონ ქუთათელაძის მიერ ხელმოწერილი ეს წერილი რუსულ ენაზეა შედგენილი და იმ პერიოდს განეკუთვნება, როდესაც მხატვარი ოფიციალური დაკვეთით მუშაობდა თავის ცნობილ ფერწერულ ტილოზე „მიტინგის დარბევა ალექსანდროვის ბაღში". დამწყებ მხატვარს, რომელსაც ახალი დამთავრებული ჰქონდა თბილისის სამხატვრო აკადემია გიგო გაბაშვილის კლასით, ამ საპასუხისმგებლო დაკვეთისთვის მოსამზადებელი ესკიზების შესასრულებლად მეტად მნიშვნელოვნად ესახებოდა გასცნობოდა ცნობილი ევროპელი და რუსი მხატვრების გამოცდილებას, აკუმულირებულს საქვეყნოდ ცნობილი მუზეუმების საექსპოზიციო დარბაზებში. აღსანიშნავია, რომ წერილის მიხედვით ახალგაზრდა ქართველი ხელოვანი მსოფლიო მნიშვნელობის მედევრების მკაცრ და პირუთვნელ შემფასებლად გვევლინება.

ორიგინალური და საოცრად თამამია აპოლონ ქუთათელაძე ისეთი ტიტანების შეფასებისას, როგორებიც არიან: ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი, ტიციანი, რემბრანდტი, რუბენსი, ველასკესი. იგი ცდილობს პროფესიული კუთხით ობიექტურად შეაფასოს არტეფაქტები. ერმიტაჟის დარბაზებში გამოფენილი დასავლეთევროპული სკოლებიდან მხატვარი განსაკუთრებით გამოარჩევს ჰოლანდიური მხატვრობის სკოლას. წერილის ავტორი „არ ინდობს" რუსული აკადემიზმის წარმომადგენლებს, არც „პერედვიჟნიკ" ოსტატებს (ზოგიერთის გამოკლებით) „წყალობს". ერთადერთი, ვინც გადაურჩა მხატვრის კრიტიკას, ილია რეპინია. ოღონდ ფერწერის თვალსაზრისით მოსწონს მხოლოდ მისი სახელგანთქმული ნამუშევარი „ზაპოროჟიელები წერენ წერილს სულთანს". ქართველი მხატვარი საკმაოდ მაღალი აზრისაა რუსულ გრაფიკულ ხელოვნებაზე, მაშინ, როცა რუსული ფერწერის მხოლოდ რამდენიმე ოსტატს აღიარებს (ვ. სეროვს, ა. კუინჯის, ი. მალიავინს). ნიშანდობლივია, რომ აპოლონ ქუთათელაძე გამოყოფს და საინტერესო შეფასებას აძლევს „Мир Искусства"-ს დაჯგუფებას და მათგან გამოარჩევს მხატვრებს: ა. ბენუას, ე. ლანსერესა და ლ. ბაქსტს. გასათვალისწინებელია, რომ ევგენი ლანსერესთან მხატვარს ჯერ კიდევ თბილისიდან საუკეთესო ურთიერთობა აკავშირებდა.

ახალგაზრდა მხატვრის აზრით, თანამედროვე რუსი ნოვატორი მხატვრების შემოქმედებითი მიღწევების შესახებ საუბარი ნაადრევია. რადგან ისინი ჯერ კიდევ ძიების პროცესში იმყოფებიან. როგორც მოსალოდნელი იყო, შეგირდი ოსტატის, წერილის ადრესატის, მიმართ საქებ ეპითეტებს არ იშურებს. უნდა ითქვას, რომ ეს არ არის პირმოთნეობა, რადგან აპოლონ ქუთათელაძეს გულწრფელად მოსწონს გიგო გაბაშვილის შემოქმედების ყველაზე ძლიერი მხარე, მისი ფერით ე. წ. ძერწვის საოცარი უნარი. თუ გაუსწრებთ მოვლენებს, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საწყისს ეტაპზე შეგირდის მიერ გიგო გაბაშვილის შემოქმედების ამ ძლიერი მხარის (მრავალფიგურიანი კომპოზიციების მარჯვე აგების და ფერთა გამის ჰარმონიულ-რიტმული გამომსახველობის) წარმატებული ადაპტირებისა, აპოლონ ქუთათელაძემ ძალიან მოკლე დროში შეძლო მეტრის ჩრდილიდან გამოსვლა და საკუთარი ხელწერის ჩამოყალიბება. ყოველივე აღნიშნულმა, საბოლოო ჯამში, მას ის განსხვავებული სამეტყველო ენა შესძინა, რომელმაც აპოლონ ქუთათელაძე ქართული ფერწერის ისტორიის ერთ-ერთ გამორჩეულ მხატვრად აქცია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ აპოლონ ქუთათელაძე ამ გამოკვეთილად ინდივიდუალური ხელწერის ერთგული საკუთარი შემოქმედებითი გზის ბოლომდე დარჩა. მიუხედავად ამისა, მხატვარს თავისი კარიერული წინსვლის გზაზე არსებული მკაცრი საბჭოური იდეოლოგიური იმპერატივების პირობებში გარკვეულ კონიუნქტურულ კომპრომისებზე წასვლა მაინც მოუხდა. მხატვრის შემოქმედებითი მემკვიდრეობის რეტროსპექტივას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ აპოლონ ქუთათელაძემ ბოლომდე

უერთგულა იმ შემოქმედებით მრწამსს, რომელიც გზის დასაწყისში დიდი ოსტატის გიგო გაბაშვილისთვის მიწერილ წერილში გააცხადა. ვინაიდან, მოხსენების მიზანია აპოლონ ქუთათელაძის დღემდე უცნობი წერილის, როგორც მხატვრის ესთეტიკური შეხედულებების ამსახველი დოკუმენტის, გამომზეურება, წარმოვადგენ რუსულ ენაზე დაწერილი დედნის სრულ ქართულ ვერსიას ჩემეული თარგმანითა და ავტორისეული სტილის შენარჩუნებით.

„გულითადი მოკითხვა ძვირფას და პატივსაცემ ჩემს პირველ და უკანასკნელ მასწავლებელს, გიორგი ივანეს ძეს!

მალე თვე შესრულდება, რაც მე ლენინგრადში ვიმყოფები, ვსწავლობ ქალაქისა და აქაური მუზეუმების ღირსშესანიშნაობებს, რომლებისგანაც აღფრთოვანებული ვარ და ამავდროულად გულნაკლულიც. გიორგი ივანეს ძევ, მინდა გულწრფელად გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილებები, რომლებიც მე დამრჩა და ახლაც მაქვს ერთგვარად მოუწესრიგებელი, დაულაგებელი სახით. ვწერ ასევე გაურკვევლად მხოლოდ იმიტომ, რომ ის, რაც ადრე მეჩვენებოდა არადამაჯერებლად, ამჯერად უფრო სარწმუნოდ მეჩვენება და უფრო დამაჯერებლადაც წარმომიდგება. პირველ რიგში, მე მოვინახულე ერმიტაჟი და დავრჩი მხოლოდ კმაყოფილი და არა განცვიფრებული უდიდესი ოსტატების ნახელავით, ოსტატებისა, რომელთაც მე წარმოვიდგენდი ღმერთების სახით, მათ ხელოვნებას კი ზებუნებრივი ძალის გამოვლინებად, რომელსაც თანამედროვე ადამიანი ოდნავადაც ვერ მიუახლოვდება, ვერც გაუტოლდება, არამცთუ მასზე აღმატებულს შექმნის რამეს. ამით იმის თქმა როდი მინდა, რომ მე თუნდაც გონებაში გამჩენოდა სურვილი, რომ შევჯიბრებოდი უდიდეს ოსტატებს. ასეთი აზრი თავშიც არ გამივლია. თუმცა საკმაო სითამამე გამაჩნია, კრიტიკულად შევაფასო ზოგიერთი მათგანი და ზოგი კი საერთოდ არაფრად ჩავაგდო, მიუხედავად მათზე არსებული საზოგადოებრივი მაღალი შეხედულებებისა. სხვა შემთხვევაში, მე დავემსგავსებოდი პროვინციელს, პირველად რომ ჩამოვიდა დიდ ქალაქში ყველაფრისმცოდნის ობივატელური პრეტენზიით. მე კი უფრო ის ადამიანი ვარ, რომელსაც სურს უფრო მეტი შეიმეცნოს, გაერკვეს ჭეშმარიტებასა და სხვადასხვა ეპოქის მიღწევათა არსში, რომელიც ხელოვნების ენით არის მოღწეული და რომლებსაც ასე იოლად და ზერელედ ვერ ჩასწვდები. მე წინასწარ ვარ დარწმუნებული, რომ თქვენ მე არ დამადანაშაულებთ ამ სითამამის გამო, ჩემი ჯერ კიდევ ნაკლები გამოცდილებისა და ფართო ერუდიციის არქონის გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, მე მაინც მინდა გაუწყოთ თქვენ, ბატონო გიორგი ივანეს ძევ, ჩემი პირადი მოსაზრებები მრავალ რამესთან დაკავშირებით, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს, თუ ისინი თქვენ, შესაძლოა, გულუბრყვილოდ მოგეჩვენოთ.

ზედაპირულად მიმოვიხილე რა ერმიტაჟის დარბაზები, შევჩერდი რემბრანტის და ლეონარდოს ნამუშევრების წინ. ვაღიარე ისინი თავისი დროის

საუკეთესო მხატვრებად, თუმცა მერე თანდათან, მრავალგზის დაკვირვების შედეგად, აღმოვაჩინე, რომ არის რაღაც, რაც მათ ღმერთებად აღიარებას ხელს უშლის. პირველთან (რემბრანტთან, მეშინია ვთქვა, იაფასიანი ეფექტური მხატვრული სვლა), ლეონარდოსთან კი ფუტურიზმი წერის, რაც ამართლებს ნახატის გრაფიკულობას და ამით უფრო უახლოვდება სიბრტყობრივ და არა სიღრმისეულ ფერწერას, რაც რემბრანტს უდავოდ აქვს. რემბრანტი ზღაპრულია თავის ტონებში, უფრო კი - ნახევარტონებში და დაჩრდილულ უბეებში, რითიც ის აღწევს მიზანს. ლეონარდო დამაჯერებლად ნოვატორულია, მანერულობის გარეშე, რაც მას საინტერესოს ხდის. რაფაელმა მე გულის სიღრმემდე აღმაშფოთა თავისი სიტკბოებით, რომელიც დილეტანტურობამდე აღწევს იმ დოზით, რომ მისი სახელი და დიდება რომ არა, ყურადღებას არც კი მივაქცევდი. ტიციანი სხვებზე უფრო ფერწერულია და ამავდროულად საუკეთესო ოსტატად გვევლინება მასალათა ფაქტურულობის მიღწევის თვალსაზრისით. ველასკესს, ვან-დეიკს, რუბენსს ან სხვას მათ მსგავსს ჩემზე არ დაუტოვებია იმგვარი შთაბეჭდილება, როგორსაც ველოდი ან წარმომედგინა თუნდაც ჩემს აზრებში.

წარმოდგენილი სამხატვრო სკოლებიდან მე ყველაზე მეტად აღვფრთოვანდი ჰოლანდიური სკოლით, სადაც ფერწერა იმდენად მომეწონა, რომ აქამდე ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ ვიმყოფები და კიდეც შევარჩიე ერთი მათგანი, რომელსაც ფერით მეტყველების თვალსაზრისით ყველაზე მაღლა ვაყენებ. ეს არის „მწუხრი (საღამო)", კონცერტია თუ ქეიფი, რომელიც მკაცრი თავშეკავებული კოლორიტით, თითქმის ჩრდილებით და ნახევარჩრდილებით არის დამუშავებული. მისი ავტორია ვუვერმანი. ეს მხოლოდ მისი ერთი ნამუშევარია, ასე წარმატებულად შესრულებული. სხვა მისი ნამუშევრები არც ჰგავს ამ „მოსაღამოვებას". მე კიდეც მინდოდა მისი ასლი გამეკეთებინა, მაგრამ, რადგან მინის ქვეშაა ერმიტაჟის ადმინისტრაცია ადვილად არ თანხმდება მის მოხსნას, რის გამოც ეს სურვილი ვერ განვახორციელე.

ამასთან, მე დავიწყე მუშაობა დიდ ტილოზე - თქვენთვის ნაცნობზე და თქვენი რჩევების გათვალისწინებით გაკეთებული ესკიზის მიხედვით („მიტინგის დარბევა ალექსანდროვის ბაღში. 1918 წელი"). არ მინდა ჩემი გულუბრყვილო კრიტიკით თავი მოგაბეზროთ, მაგრამ მინდა განვაგრძო ჩემი შთაბეჭდილებები. გადავდივარ ეხლა ალექსანდროვის მუზეუმზე[1]. სადაც წარმოდგენილია დიდი რაოდენობით რუსული ფერწერა. საშინელი შთაბეჭდილება მრჩება ბრიულოვისგან. ეს მისი დიდი ტილოები, მე მგონი უფრო დეკორაციებია ან სადარბაზოს მოხატულობა და არაფრით, იოტისოდენადაც მიმსგავსებული ზემოჩამოთვლილ დასავლეთევროპელი ნამდვილი ოსტატების შემოქმედებასთან. საკვირველია, რომ არც ერთი რუსი ეპიგონი დასავლეთევროპული მხატვრობისა, მიბაძვისას, თუნდაც იოტისოდენად ვერ აღწევს, ძველ ევროპელ მხატვართა ოსტატობას. ვერც ერთი

[1] ამჟამად პეტერბურგის „რუსული მუზეუმი".

მათგანი ვერ გრძნობს თბილ ტონებს და საერთოდ, ფერებს. რუსები, თითქმის ყველა. ცოტას გამოკლებით, რომლებზეც ქვემოთ მექნება საუბარი, ფერმწერნი და კოლორისტები არ არიან, თავისი ხასიათის ბუნებიდან გამომდინარე ან შესაძლოა, თვალის გუგების გამო, რომლებშიც ვერანაირად ვერ გარდატყდება თბილი ფერები.

ვასნეცოვი, ივანოვი, პოლენოვი, მაკოვსკი, სემირადსკი, კუსტოდიევი და მეტნაკლებად აღიარებული ასეთი კვალიფიკაციის მხატვრები თამამად ვაცხადებ, რომ უფრო მეტად საინტერესონი არიან თავიანთი ნამუშევრების ანაბეჭდებში, რეპროდუქციებში, ვიდრე ორიგინალებში, მაშინ, როდესაც პირიქით უნდა იყოს. რეპინი ნამდვილი გამომხატველია რუსული აზრისა ტილოზე. ის სულაც არ არის ისეთი ძლიერი ფერწერაში, როგორი ძლიერი გამომხატველიც არის სიუჟეტის და თემატიკის. შეიძლება ასეც ითქვას, რომ მისი სიძლიერე ამ სიბრტყეზე დიდად აღემატება მის ფერწერას. ერთადერთი მისი ნაწარმოებია „ზაპოროჟიელები"[2], სადაც ფერწერა ჩანს. სხვა კი („ბურლაკების" გამოკლებით) სულაც არ ტოვებენ შთაბეჭდილებას. გულწრფელად ვამბობ, რომ თქვენი საუკეთესო ნამუშევრები, გიორგი ივანეს ძევ, უნდა იყოს იმ მუზეუმში, რეპინის გვერდით გამოფენილი და თქვენი პორტრეტები ან სულაც „სამი მოქალაქე" რეპინს უთუოდ აჯობებდა. პორტრეტებში რეპინი აგებს თქვენთან შედარებით. მე გულწრფელად ვამბობ და გული მეთანაღრება, რომ თქვენი ნამუშევრები ჯერ კიდევ არ არის წარმოდგენილი. ამ მუზეუმში რომ ყოფილიყო, ისინი უდავოდ და ღირსეულად პირველობას არავის დაუთმობდნენ. ავიღოთ თუნდაც თქვენს სახელოსნოში, კუთხეში, რომ დევს ტილო მძინარე ქართველისა თუ ხევსურისა[3], ეს სურათი, რომ ყოფილიყო გამოფენილი ალექსანდრეს მუზეუმში, რუს თუ უცხოელ მხატვართა პორტრეტებს შორის რეკორდს მოხსნიდა. ისე, ძალიან მწყინს, რომ ჩვენში გვიან იციან საკუთარი მხატვრების აღიარება, მაგრამ მეამაყება, რომ ჩვენ გვყავს თქვენი სახით ადამიანი, რომლის ნამუშევრებიც არაერთხელ მოუხოცავს ცხვირს სხვა ქვეყნის ტიტანებს და რუს მხატვრებს ერთი-ორის გამოკლებით, თუმცა ესეც საეჭვოა.

ჩემი ეს წერილი თქვენდამი ნაწილობრივ გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ. როდესაც ვაფასებდი „რუსული მუზეუმის" ექსპოზიციას, ყოველთვის მაგონდებოდით თქვენ და თქვენი ნამუშევრები. უმთავრესად თქვენ შემოქმედებით მიღწევებს უფრო მაღლა ვაყენებ, ვიდრე რუსული მხატვრობის ზოგიერთ ძალზე ცნობილ და პოპულარულ მხატვარს. რაც უფრო მომეწონა ილია რეპინის შემდეგ, ეს არის ვალენტინ სეროვი, თავის პორტრეტულ ნამუშევრებში, ასევე კუინჯი თავისი მცირე ფორმატის ტილოებით, რომელიც ტექნიკური ოინბაზობით რაღაცით რემბრანტს ჩამოჰგავს. საინტერესოა ვრუბელი, მაგრამ მეტად უცნა-

[2] იგულისხმება ი. რეპინის ფერწერული ტილო „ზაპოროჟიელები წერენ წერილს სულთანს".
[3] იგულისხმება გ. გაბაშვილის ფერწერული ტილო „მძინარე ხევსური".

ურიც. პეტროვ-ვოდკინი კარგი ნოვატორია, მაგრამ ფერწერულობის მხრივ მოსაწყენი. თუმცა მას სულაც არ თვლიან მოსაწყენად. საინტერესოა ბენუა, ლანსერე, მაგრამ ისინი არ არიან წარმოდგენილნი თავიანთი კაპიტალური ნამუშევრებით. სომოვი და ზოგიერთი „Мир Искусства-ს" დაჯგუფებიდან ძლიერები არ არიან, არამედ უფრო ბავშვური გულუბრყვილობით გამოირჩევიან. ვფიქრობ, „Мир Искусства-ს" ორგანიზაციაში წევრებს ნიჭის მიხედვით მთლად კრიტიკულად არ აფასებდნენ. „Мир Искусства-ს" წევრებს შორის სეროვის შემდეგ საინტერესონი არიან მხოლოდ ლანსერე და ბენუა. ისინი საუკეთესო წარმომადგენლები არიან, თუმცა მათ მაინც ბაქსტი ჯობნის, მაგრამ მუზეუმში მისი ცოტა ნამუშევარია დაცული. ძალიან კარგი და ხალისიანია მალიავინის „რუსი ქალები". ის ძალიან კარგად გრძნობს ცხელ ტონებს და სულაც არ გამოიყურება მოსაბეზრებლად თავის ერთფეროვან კოლორიტულ გამაში.

კიდევ ბევრი რამის თქმა მინდა, მაგრამ მეშინია, თქვენ არ დაგღალოთ, გიორგი ივანეს ძევ! მაგრამ მაინც ერთი-ორი სიტყვით თანამედროვე მხატვრებსაც შევეხები. ფერმწერებიდან არც ერთი იქცევს ყურადღებას. იმ შემთხვევაში, თუ ისინი საკუთარ ძიებებში მიაგნებენ იმას, რაც სურთ, მხოლოდ მაშინ ვიტყვი მათ შესახებ, მანამდე კი დაველოდოთ... გრაფიკა მაგარია! ბევრი ძლიერი, ნიჭიერი ტალანტია. რუსი გრაფიკოსები ტოლს არ უდებენ უცხოელებს, თუ არ აჯობეს კიდეც, თუმცა მათ გავლენას განიცდიან. მათ შორის არიან: ლებედევი, რემნიაკი, მიტროხინი და სხვები. მათზე სხვა დროს დავწერ სკულპტურასთან და არქიტექტურასთან ერთად, რამაც ძალიან დიდი შთაბეჭდილება დატოვა.

ბოდიშს გიხდით, გიორგი ივანეს ძევ, და თუ მოსაწყენი არ იქნება, მომწერეთ ერთი-ორი სიტყვით თქვენი ჯანმრთელობის შესახებ და, კერძოდ, თქვენი ავტორიტეტული აზრი ჩემი შესაძლოა თამამი და უმწიფარი შეხედულებების შესახებ. მე აქ დავრჩები, სანამ არ დავასრულებ მუშაობას ჩემს დიდ ტილოზე და შემდეგ, დაახლოვებით 2-3 თვეში, ჩამოვალ ტიფლისში. ამჟამად, ყოველდღე, მუზეუმებში დავდივარ და ვსწავლობ მათ კოლექციებს.

გისურვებთ ყველაფერს კარგს და ენერგიას თქვენი საყვარელი ხელოვნებისთვის!

გულწრფელი მოკითხვით, აპოლონ ქუთათელაძე.

ჩემი მისამართია: ლენინგრადი, ვასილიევის კუნძულის დიდი გამზირი, სახლი №11, ბინა 28

აპოლონ ქუთათელაძე

16/ X, 1928 წელი

აპოლონ ქუთათელაძის ამ წერილის ანალიზი შემდეგი დასკვნის საფუძველს გვაძლევს: მხატვრის სითამამე ავტორიტეტების შემოქმედების შეფასებისას შეიძლება აიხსნას სწორედ ახალგაზრდობით, როდესაც დამწყები მხატვარი ეძებს საკუთარი შემოქმედების საყრდენს; ასევე გასათვალისწინებელია ორი

მნიშვნელოვანი ფაქტორი: ზოგადად, იმ დროის პარადიგმა, როდესაც ახალი თაობის ხელოვანთა მიერ კლასიკური მხატვრული მემკვიდრეობის იგნორირება ხდებოდა. ნოვატორობას გამოდევნებული შემოქმედნი აკადემიური ხელოვნების მიმართ სრულ მიუღებლობას, ნეგატიურ დამოკიდებულებას აფიქსირებდნენ და ეს დაიწყო ჯერ კიდევ იმპრესიონისტებიდან, როდესაც ისინი „ლუვრის დაწვით" იქადნებოდნენ. ეს ტენდენცია კარგად გამოვლინდა საქართველოშიც, განსაკუთრებით, ქართველ სიმბოლისტებში, რომლებიც თავიანთი ჟურნალის „ცისფერი ყანწების" წინათქმაში უარყოფენ ტრადიციას: "1. ჩვენ უარს ვამბობთ წარსულზე, რადგან იგი ბღალავს წმინდა იდეალს; 2. მშვენიერების არსი წარსულის მსხვრევაშია და ა.შ. ..." (იაშვილი,1916:3). შესაძლოა, აპოლონ ქუთათელაძის მიერ ლეონარდო და ვინჩის, რაფაელის, რემბრანდტის, ვან დეიკისა და ველასკესის შემოქმედების კრიტიკული აღქმა საზოგადოდ მიღებული აზრისადმი ნეგატიური, მხატვრის სიტყვებით, „ობივატელური გემოვნებისადმი" ეპატაჟური დამოკიდებულებითაც აიხსნას; აგრეთვე იმ შიშით, უნებლიეთ წერილში რომ წამოსცდა ავტორს: „არ მინდა ვგავდე იმ პროვინციელს, რომელსაც დიდ ქალაქში დიდი ქმნილებების ხილვისას აღტაცება-გაოცებისგან პირი დაუღია". გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ წერილი დაწერილია აპოლონ ქუთათელაძის მიერ 1928 წელს, მაშინ, როდესაც მთელ საბჭოთა სივრცეში ბოლშევიკური იდეოლოგია იყო გაბატონებული და ე. წ. რკინის ფარდა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის თანდათან ეშვებოდა. ფარდის იქით ყველაფერი დრომოჭმულ ბურჟუაზიულ გადმონაშთად აღიქმებოდა. მიუხედავად აღნიშნულისა, ჩვენ ამ წერილის პათოსს მხოლოდ პოლიტიკურ კონიუნქტურას ვერ დავაბრალებთ, რადგან დასავლეთევროპულ მხატვრობასთან შედარებით კიდევ უფრო მკაცრი და თამამია ქართველი მხატვარი რუსულ მხატვრობაზე გამოთქმულ მოსაზრებებში. დღევანდელი გადასახედიდან თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აპოლონ ქუთათელაძეს, რომელიც იმ დროისთვის ახალი გამოსული იყო დამოუკიდებელ სამოღვაწეო ასპარეზზე, ნამდვილად არ ღალატობდა მხატვრული ალღო და გემოვნება. შემდგომმა სახელოვნებათმცოდნეო კვლევებმა (Сарабьянов,1971:102) დაადასტურა მის მიერ რუსული მხატვრობის სხვადასხვა ეტაპისა და შემოქმედის მიმართ გამოთქმულ შეფასებათა ობიექტურობა. დიახ, კლასიცისტი ბრიულოვი აკადემიზმის პრინციპებით გამართულ, კომპოზიციურად რთულ ქმნილებებში ხელოვნური პათეტიკით მეტყველებს და მშრალი სქემატიზმის ჩარჩოებში რჩება, „პერედვიჟნიკების" რთული დრამატურგიით აგებულ მრავალფიგურიან სოციალურ სიუჟეტებს სწორედ ბელეტრისტიკისგან ნასესხები თხრობითობა და ხშირად შიშველ ნატურალიზმამდე დაყვანილი რეალიზმი ვნებს. თუმცა მათ რიცხვშიც არიან აღიარებული ოსტატები, რომელთა შემოქმედების კოლორიზმზე აკეთებს აქცენტს წერილის ავტორი. ესაა ილია რეპინი, ისიც, აპოლონ ქუთათელაძის აზრით, გამოკვეთილად ჩანს ნაწარმოებში

„ზაპოროჟიელები წერენ წერილს სულთანს" და ვალენტინ სეროვი, რომელმაც „პერედვიჟნიკობიდან" დროზე მოასწრო გამოსვლა და რუსულ იმპრესიონიზმს დაუდო სათავე. ილია რეპინისადმი ლმობიერი დამოკიდებულება გაპირობებული იყო, ერთი მხრივ, თავისთავად მხატვრის ოსტატობის გამო და მეორე მხრივ, წერილის ადრესატის — გიგო გაბაშვილის — პირადი დამოკიდებულებით სახელგანთქმული რუსი მხატვრის მიმართ. ცნობილია მიუხედავად გიგო გაბაშვილის მიერ გაგზავნილი წერილი ილია რეპინისადმი მილოცვის ტექსტით საერთაშორისო გამოფენაზე რეპინის ფერწერული ნამუშევრის ოქროს მედლით დაჯილდოებასთან დაკავშირებით. საფიქრებელია, გიგო გაბაშვილი თავის შეგირდებს, მათ რიცხვში აპოლონ ქუთათელაძეს, ხშირად უზიარებდა სასიამოვნო მოგონებას რუს მხატვართან გაბმული ეპისტოლური ხასიათის მეგობრობის შესახებ. დღეს უკვე ქრესტომათიულად იქცა ილია რეპინის პასუხი გიგო გაბაშვილის ამ მილოცვის ბარათზე და ზოგადად, მისი კეთილი განწყობა საქართველოდან წარგზავნილი ნიჭიერი სამხატვრო კადრებისადმი, აგრეთვე მისი მხარდამჭერი სტატია საქართველოში სამხატვრო სასწავლებლის გახსნის თაობაზე (ამირანაშვილი, 1971:324).

რაც შეეხება აპოლონ ქუთათელაძის კრიტიკულ შეფასებას „Мир Искусства-ს" დაჯგუფების მხატვრებისადმი, აქაც მხატვარი ცდილობს ობიექტური იყოს, თუმცა სუბიექტურობას ვერ ასცდა, რადგან მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ამ დაჯგუფების მხატვრებისთვის დამახასიათებელი აშკარა დეკადენტური პოზიციები; ამის მიუხედავად, მათგან გამოყო თავისი უშუალო მასწავლებელი ევგენი ლანსერე, რომელიც, როგორც ცნობილია, „Мир Искусства-ს" აქტიური წევრი იყო. ის, რომ აპოლონ ქუთათელაძის შემოქმედებით კრედოს დიდად განსაზღვრავდა კოლორიტის დომინანტური როლი კომპოზიციებში, გამოჩნდა რუსი მხატვრის მალიავინის ცნობილი ტილოს, რუსულ სარაფნებში გამოწყობილი ქალების, საოცრად ფერწერულ-ფოლკლორული ხასიათის შეფასებისას.

აპოლონ ქუთათელაძის ფერწერული და გრაფიკული მემკვიდრეობის ფონზე ოდნავ შეუსაბამოდ გვეჩვენება, რომ ადრეულ ეტაპზე მას თურმე მოსწონდა რუსული სიმბოლიზმის აღიარებული წარმომადგენლის, მიხაილ ვრუბელის, შემოქმედება მისტიციზმითა და დემონური საწყისის მიმართ მხატვრის აკვიატებული ინტერესით. ერთგვარი აღმოჩენაა ისიც, რომ აპოლონ ქუთათელაძეს, რომელიც თავის ფერწერით ამკვიდრებდა რეალიზმს — იქნებოდა ეს ბატალურ-ისტორიული ჟანრი თუ პეიზაჟები, პორტრეტული გალერეა ან თუნდაც პოლიტიკურად ანგაჟირებული მხატვრობა, მისი „სტალინიანა" თუ სხვა პოლიტიკურ მოღვაწეთა განდიდების ამსახველი ტილოები — გულის სიღრმეში თურმე სულ სხვაგვარი იდუმალებითა და მისტიციზმით გაჯერებული ხელოვნება ხიბლავდა; აკი, დასავლეთევროპული მხატვრობიდან საგანგებოდ გამოარჩია ჰოლანდიური სკოლა და მისი ერთ-ერთი წარმომადგენლის, ვუვერმანის, მცირე

ზომის ფერწერული ტილო „მწუხრი“, შებინდებისას დანახული ბუნების იდუმალება. ასევე რუსული მხატვრობიდან კუინჯის ინტიმური მთვარიანი პეიზაჟები. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალბედა მხატვრის მხატვრული კრედო, მისი შემოქმედებითი მრწამსი, სულაც არ ყოფილა საბჭოური ოპტიმიზმის დამამკვიდრებელი ხელოვნის ფოტოგრაფიული ნატურალიზმის ამსახველი, რადგან (ტილოებიდან მონაბერი; იგი) ემყარებოდა ჩრდილ-სინათლის რეჟისურაზე დაფუძნებულ ბუნების ინტიმურ განცდას, მისი პირველსაწყისადქმნილობის შეგრძნებას და ადამიანის სამყაროში ჰარმონიული თანამყოფობის უშუალო აღქმას.

კერძო კოლექციაში დაცულ საარქივო წყაროებზე მუშაობისას კიდევ ერთ საინტერესო ცნობას წავაწყდი აპოლონ ქუთათელაძის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ადრეულ წლებზე, რასაც გვიზიარებს მხატვრის უახლოესი მეგობარი, თავადაც მხატვარი სამსონ ნადარეიშვილი თავის ხელნაწერ მოგონებებში. აპოლონ ქუთათელაძეზე გამოცემულ არც ერთ სამეცნიერო წყაროში არ არის მითითებული, რომ „ნეპ“-ის წლებში თურმე აპოლონ ქუთათელაძეს, სამსონ ნადარეიშვილსა და მიხეილ ბილანიშვილს მოუხატავთ თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე, კერძო რესტორანი „შამპანი“. აპოლონ ქუთათელაძეს რესტორნის შესასვლელსა და ცენტრალურ დარბაზში შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზე მინიატიურების მსგავსი მონუმენტურ-დეკორატიული მოხატულობა შეუსრულებია[4]. სამსონ ნადარეიშვილის მოგონებებით, ისიც ირკვევა, რომ აპოლონ ქუთათელაძეს და სამსონ ნადარეიშვილს ნიკო ნიკოლაძე ეხმარებოდა საფრანგეთში სამხატვრო განათლების მისაღებად გასამგზავრებელი ვიზის მიღებაში, მაგრამ საბჭოთა მთავრობამ, როგორც ჩანს, პარიზში წასვლის უფლება ახალგაზრდებს არ მისცა.

სამაგიეროდ, ამის საკომპენსაციოდ აპოლონ ქუთათელაძე გაემგზავრა ლენინგრადში სამუზეუმო კოლექციების შესასწავლად, ხოლო ერთი წლის შემდეგ დიდი ხნით დაფუძნდა მოსკოვში, 1929-1940 წწ-ში. იგი მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მთავარი მხატვარი იყო. აპოლონ ქუთათელაძის შემდგომი პერიოდის შემოქმედება სცილდება ჩვენი საკონფერენციო თემის მიზანდასახულებას, ვაჩვენოთ აპოლონ ქუთათელაძის ერთი წერილის მაგალითზე, ხელოვნის მხატვრული აღქმის თავისებურებები და მათი როლი შემოქმედის იდეური მრწამსის ძირითადი ორიენტირების განსაზღვრისთვის.

[4] სამწუხაროდ, ეს მხატვრობა არ შემორჩენილა, ისევე როგორც არ შემორჩენილა მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში ცნობილი ქართველი მხატვრების: ლადო გუდიაშვილის, მიხეილ ბილანიშვილის, სამსონ ნადარეიშვილის და სხვათა მიერ მაღაზიების, სასტუმროების თუ სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში განთავსებული მონუმენტურ-დეკორატიული მხატვრობა.

ლიტერატურა:

1. ამირანაშვილი შალვა, 1971, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი.
2. იაშვილი პაოლო, 1916, წინათქმა, ჟურ. „ცისფერი ყანწები", № 1, ქუთაისი.
3. Сарабъянов, Дмитрий. 1971. Русская живопись кон. 1900-х – нач. 1910-х гг.: очерки. Москва. „Искусство".

IRINE ABESADZE
The Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

EPISTOLARLY HERITAGE AS A DOCUMENT REFLECTING THE CREATIVE PERCUSSION OF SN ARTIST

Resume

Epistolary Heritage as a Document Depicting Artist's Creative Perception

The importance of literary sources and references for scientific research is publicly agreed, whereas researchers from the field of Art Critics rarely apply epistolary heritage with the aim to describe artist's complete creative portrait and to study her/his character of perception.

Analyzing private correspondence of the artist, especially in the case when researcher has no personal contact with the creator, is especially important for proving different historic and biographic facts. At the same time, revealing the epistolary heritage of an artist often serves as one of the best options for observing specificity of her/his creative perception of the world.

While working on the archive materials about Gigo Gabashvili, the founder of Georgian realist art, I came across a letter sent by famous Georgian painter Apolon Kutateladze from Saint Petersburg (former Leningrad) to Gigo Gabashvili dated with October 16, 1928. In the letter, apprentice shares his impressions about famous museums: Ermitage and so called "Russian Museum" with his master. Mentioned letter signed by Apolon Kkutateladze is completed in Russian language and belongs to the period when the artist was working on his famous painting "The Raid of the Demonstration in Aleksandrov's Garden". Beginner painter, who at that time had just graduated from Tbilisi State Academy of Arts, found it important to accumulate impressions about the works of different famous European and Russian painters while working on his one of the most important orders. In accordance with the letter, young Georgian painter strictly criticizes world-wide masterpieces. Apolon Kutateladze is bold and original while evaluating titans like Leonardo Da Vinci, Rafael, Titian, Rembrandt, Rubens, and Velasquez. In his evaluation of Arte Facts, beginner painter shows objectivity and professionalism.

მეკი მაღაბერიძე
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ახალი კონოტაციები პეტრე ოცხელის შემოქმედებაში ანდროგინის ცნების ზოგადი კონტექსტის გათვალისწინებით

მოდერნიზმი XX საუკუნის კულტურის ისტორიაში ადამიანის სულიერი ყოფიერების განსაკუთრებული მოვლენაა, რომელმაც შობა მხატვრული ცნობიერების ახალი ტიპი. სამყაროში ადამიანის ადგილის ძიებისას ეპოქის მხატვრული ცნობიერება, უპირველეს ყოვლისა, მიმართავს სიმბოლურს, ინტუიტიურს, მისტიკურს, ინტელექტუალურსა და არაცნობიერს. პირველ პლანზე იწევს პიროვნული მთლიანობის რღვევის დაძლევა ყოფიერების დაკარგული მთლიანობის დაბრუნების გზით. მოდერნიზმის მხატვრულ ცნობიერებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ანდროგინის ფენომენს, რომელსაც აქვს ღრმა არქაული ფესვები. მისი სათავეები დევს როგორც მსოფლიო ხალხთა, ასევე ქართულ მითოლოგიურ წარმოდგენებში. „ანდროგინის" არქეტიპი - ეს კრებითი ხატია, რომელიც კოლექტიური ქვეცნობიერის ნაწილად იქცა. ანდროგინის პარადიგმა საუკუნეების განმავლობაში არაერთგზის გამხდარა შთაგონების წყარო პოეტებისა და მხატვრებისთვის. იგი გარკვეული კულტურული მითოლოგემაა. მას ფასეულობა ენიჭება საკრალურ-სიმბოლური მნიშვნელობით, რომელშიც განხორციელებულია მთლიანობის, ჰარმონიისა და სრულყოფილების იდეები. ანდროგინმა, როგორც შესაძლო მთლიანობის გააზრებამ, თავისებური გამოხატულება პოვა პეტრე ოცხელის შემოქმედებაშიც. ამ ფენომენს ჩვენ ვხვდებით მეოცე საუკუნის დასაწყისის სხვა ქართველ მხატვართა მემკვიდრეობაშიც, ვინაიდან თვალსაჩინოა ამ კულტურული ფენომენის განშლადობა დროში, რამაც თავის მხრივ მოიზიდა ვრცელი მხატვრული მასალა; ამდენად, ვფიქრობ, საჭიროა ანდროგინის კულტურული ფენომენის კულტურათა განსხვავებული ფაქტორების ნაკრების დისკურსში განხილვა. ადამიანის ანდროგინული ბუნების გამოკვლევა ყოველთვის იყო მსოფლიო ფილოსოფოსთა და კულტუროლოგთა ყურადღების ცენტრში. ანდროგინულობას მრავალი მოაზროვნე, ლიტერატორი და ხელოვნების მოღვაწე მიიჩნევდა ადამიანის დასაბამიერ ღვთაებრივ თვისებად, რის შესახებ ცნობილი იყო და განიხილავდნენ კიდეც მას უძველეს წარსულში მითოლოგიურ და პრიმიტიულ-ნატურალისტურ დონეზე - კოსმოგონიური მითებითა და პლატონის დიალოგებით

სურ. 1 წარმართული ნაყოფიერების ქანდაკება ძვ.წ.-ის VIII-VII საუკუნე. ქუთაისის მუზეუმი. სოფ. ფერსათი, ბაღდადი

დაწყებული თანამედროვე პოსტმოდერნისტული დისკურსებით დამთავრებული. ანდროგინი XX საუკუნის პირველი ნახევრის გამოკვლევებში მოიაზრება როგორც ადამიანის ფსიქიკის სუბიექტური განცდა და წინამარადიული არსების ფილოსოფიური, სიმბოლური ანარეკლი.

ანდროგინს ენციკლოპედიური ხასიათის ცნობარებში ასე განმარტავენ: ლათინურად andros - მამაკაცურისა და gynes - ქალურის ერთ არსებაში შერწყმა [ანდროგინია, 2003:1]. ეს სიტყვა თავის თავში ითავსებს როგორც მამაკაცურ, ასევე ქალურ საწყისს[1]. იგი, როგორც პირველქმნილი ღვთაებრივი ადამიანის ხატი, უძველესი დროიდან მოყოლებული საკმაოდ გავრცელებული პარადიგმაა მსოფლიო კულტურაში. ამ ღვთაებათა სიმბოლური გამოსახულებები, რომლებსაც ერთდროულად აქვთ როგორც მამაკაცური, ასევე ქალური ნიშნები, უძველესი დროიდანაა ცნობილი და გვხვდება მრავალი ხალხის იკონოგრაფიაში. ძირითადად ეს იყო საკულტო დანიშნულების ღვთაებათა გამოსახულებები, რომელთა სემანტიკა სათავეს იღებს „დედამიწის (ქალური) და ცის (მამაკაცური) პირველადი ქაოსიდან. ორსქესა, ღვთაებათა ფიგურები საქართველოს ტერიტორიაზეცაა აღმოჩენილი ნაყოფიერების, ითიფალური ქანდაკებების სახით. სოფელ ფერსათში[2] აღმოჩენილია ძვ.წ.-ის VIII-VII საუკუნეების [ბერძენიშვილი, 2012] წარმართული ხანის ანდროგინის მცირე ზომის ფიგურა (სურ.1), როგორც ჩასახვისა და აღორძინების ღვთაება. ქალის მკერდითა და მამაკაცის ასოთი იგი თავის თავში განასახიერებს ასევე არქაული ადამიანის კოსმოგონიურ კონცეფციას, რომელშიც ვლინდება იდეალური სამყაროს მსოფლხატი - მიკროკოსმისა და მაკროკოსმის გაერთიანების განსახიერება. ყოველივე ეს მოგვიანებით გადაიტანეს ცხოველებზეც (სურ.2). ამ მხრივ საინტერესოა კოლხურ თეთრზე ძვ. წ.-ის VI-III საუკუნეების ქართული დიდრაქმის

[1] ადრე სიტყვაში „ანდროგინი" გულისხმობდნენ „ჰერმაფროდიტს" რაც ასე არაა. ჰერმაფროდიტიზმი, როგორც ჩანს, ეხება ფიზიოლოგიურ ასპექტს, ბიოლოგიურ, ანატომიურ აღნაგობას, მაშინ როდესაც ანდროგინულობა ნიშნავს - ფილოსოფიურს, სიმბოლურს.იდეალურს[კაპილოვა].

[2] ნაპოვნია 1914 წ. მდინარის ნაპირას სოფ. ფერსათში (ბაღდადის რ.)



სურ. 2 კოლხური თეთრი - ძვ. წ.-ის VI III საუკუნეების ვერცხლის მონეტა.

ვერცხლის მონეტის შუბლზე გამოსახული მწოლიარე ლომის გამოსახულება ხვადის ფაფრითა და მდედრის სარძევე ჯირკვლებით, ხოლო მის ზურგზე მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალის ფიგურა, რომელზეც აშკარად შეინიშნება მკერდის მოხაზულობა[3]. ფაქტობრივად ეს ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მომნიჭებელ ღვთაებათა (ანდროგინული) ფიგურებია. ანდროგინიზმის მითოსი, როგორც ჩასახვისა და აღორძინების სიმბოლო, ბევრ აღმოსავლურ და არქაულ რელიგიაშია. მაგ. პროტოინდურ რელიგიაში ტანტრიზმის საბოლოო მიზანია ორი პოლარულად საწინააღმდეგო პრინციპის ღვთაებრივი წყვილის, შივასა და შაქტის[4] (სურ.3), ერთ სხეულში გაერთიანება, რასაც მირჩა ელიადემ[5] coincidentia oppositorum (Элиаде, 1998:185) ურთიერთსაწინააღმდეგოს თანხვედრა, ხოლო კარლ იუნგმა Misterium Coniuctionis [Jung,1970:173] მისტიკური კავშირი უწოდა. ცნობები ღვთაების ორსახოვნებაზე თითქმის ყველა მითოლოგიურ სისტემაში არსებობს. მაგ. ბერძნულ მითოლოგიაში წვერებიანი აფროდიტე-აფროდიტუსი (რომაულში კი Venus Barbata) (სურ. 4) ანდროგინული კულტია. ის დილით ომის ღმერთს განასახიერებდა, ხოლო ღამით - სიყვარულის ქალღმერს. ზევსი კი თავად შობს თავის ქალიშვილს ათენას (ის მისი თავიდან იშვა). ასევე ცნობილია ორსქესიანი არსება ჰერმაფროდიტოსი, ჰერმესისა და აფროდიტეს ვაჟიშვილი.

---

[3] არტეფაქტები დაცულია ქუთაისის ისტორიის მუზეუმში .

[4] შივა-არდჰანარიშვარა – სიტყვასიტყვით «ორსქესა მეუფე». ეზოთერიკაში: არაპოლარიზებული ფორმა კოსმიური ენერგიისა. კაბალისტიკაში სიმბოლიზირებულია სეფირასთან, ადამ კადმონთან და სხვებთან.

[5] ურთიერთსაწინააღმდეგოს მთლიანობა პირველად ნიკოლაი კუზანსკიმ დაარქვა. მისი აზრით ეს ფორმულა ღმერთის ყველაზე უნაკლო განსაზღვრებაა. ცნობილია, რომ მისი შთაგონების ერთერთი წყარო ფსევდო-დიონისე არეოპაგელი იყო. უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ ურთიერთსაწინააღმდეგოს მთლიანობა არის თვით ღმერთში და ეს საიდუმლებათა საიდუმლოა.

სურ. 3 შივა-არდჰანარიშვარა – «ორსქესა მეუფე».

სურ. 4 ჩვერებიანი აფროდიტე ძვ.წ.-ის VI საუკუნე.

თავად ჰერმესიც კი განიხილება როგორც ანდროგინი [Лихт, 1995: 400]. აქვე შეიძლება აღინიშნოს ციკლური დღესასწაულების დროს ინტერსექსუალური გადაცმები, რაც შეიძლება განვიხილოთ როგორც ინიციაციის რიტუალი.

ანტიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი 385-370 წლებში ჩვენს წელთღრიცხვამდე ჩამოაყალიბებს ანდროგინის იდეას თავის ცნობილ დიალოგში „ნადიმი", რომელშიც კომედიოგრაფი არისტოფანე საუბრობს: „ეროსზე, როგორც ადამიანის სწრაფვაზე დასაბამიერი მთლიანობისკენ" და ამასთან დაკავშირებით გვიამბობს უძველეს ლეგენდას „მესამე სქესის" ადამიანებზე, „ანდროგინოსებზე" (სურ. 5). .....ოდესღაც ჩვენი ბუნება სრულიადაც არ იყო ისეთი,როგორიც ახლაა, არამედ სხვაგვარი იყო იგი. დასაბამიდგან სამი სქესი არსებობდა კაცთა და არა ორი როგორც ამჟამად მამარობითი და მდედრობითი. უწინ მათ ერთვოდა კიდევ მესამე, ორივესთვის საერთო სქესი. დღემდე მხოლოდ სახელი შემორჩა მისი, თვითონ კი გადაეგო. ანდროგინონ ერქვა ფორმითაც და სახელითაც პირველ ორ სქესთან წილნაყარ აკუმს. ახლა

სურ. 5 ანდროგინის გამოსახუ-ლება. უძველეს ბერძნულ ამფორაზე. პლატონის „ნადიმის" მიხედვით.

ის უკვე გადაგებულია და მისი სახელი სათრეველად თუღა იხმარება დღეს. ამის გარდა, სფეროსებური იყო ფორმა თვითოეული კაცისა, მრგვალი ფერდები და მრგვალი ზურგი ქონდა იმ არსებას, ოთხი ხელი ამდენივე ფეხი და ორიც საოცრად მსგავსი სახე მრგვალ კისერზე, ხოლო მოპირისპირე მიმართულებით მზირალ ორივე ამ სახეს ერთი თავი აერთებდა მხოლოდ; ამას დაუმატეთ ოთხი ყური, ორი სარცხვინელი ასო და სხვა დანარჩენი როგორც ეს თვითოეულ ჩვენგანს ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს. დადიოდა იგი შვეულად, წელში გმართული, როგორც ჩვენ დავდივართ დღეს და ყოველი მიმართულებით შეეძლო გადაადგილება როგორც ჩვენ დავდივართ დღეს. ხოლო როცა გაქცევა იყო საჭირო, მყვინთავთა მსგავსად ფეხებს მაღლა რომ აპლაკავენ და თავდაყირა ეშვებიან წყალში იგი თავის რვავე ასოს ეყრდნობოდა და მიგორავდა აგრე, ბურთივით, ხოლო არსებობა და თვითმყოფობა ამ სამი სქესისა იმან განაპირობა, რომ მამარობით საწყისს მზემ მისცა დასაბამი, მდედრობითს - დედამიწამ, ხოლო მესამეს, აკუმს - მთვარემ, რომელსაც თავადაც ბევრი სხვა რამ აქვს საერთო მზისა და მიწის. და ამ სფეროსებრ არსებათა მოძრაობაც მიტომ იყო სფეროსებური, რომ ისინი თავიანთ მშობლებს წააგავდნენ დიდად". [პლატონი, 1964:35]. თითოეული მსგავსი ანდროგინული ზეადამიანი ასახიერებდა ერთგვარ იდეალს - მთლიანობის განსხეულებას, თვითკმარობას, დამოუკიდებლობას. ანდროგინები ტიტანურ ძალას ფლობდნენ. მათ გაილაშქრეს ღმერთების წინააღმდეგ. ზევსი - ცის, ელვისა და ქუხილის ღმერთი, რომელიც მთელ მსოფლიოს განაგებდა, განრისხდა და გადაწყვიტა, შუაზე გაეკვეთა ყოველი მათგანი. ამის შემდეგ ისინი ორი ფეხით გადაადგილდებოდნენ. „თვითოეული ჩვენგანი, ამრიგად, მხოლოდ ქამბალასავით შუა გაჭრილი კაცის ქსიმბოლონს (სიმბოლოს) წარმოადგენს, მთელის ნახევარს და ამიტომაც გამუდმებით დაეძებს თავისსავე ქსიმბოლონს" [პლატონი, 1964:36]. მას შემდეგ ადამიანი არ გრძნობს თავს მთლიან არსებად, რადგან დაჰკარგა ნაწილი, რომელიც მთლიანობას ანიჭებდა. „ანდროგინის" არქეტიპი თავის თავში ვარაუდობს სწორედ ამ შეგრძნებას, ანუ ინდივიდში გახლეჩილობისა და არასრულყოფილების შეგრძნების არსებობას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ანტიკური მსოფლმხედველობის „ღვთაებრივი ანდროგინულობა" კანონზომიერად ვრცელდება ადამიანის ბინარულობის გაგებაზე. ადამიანური სრულყოფილება მოიაზრება როგორც ერთიანობა, ერთში ღვთაებრივი სრულყოფილების ანარეკლი. ანდროგინიის ფილოსოფიური ინტერპრეტაცია იძენს მისტიკურ მეტაფორულ ხასიათს. ეს თემა შემდეგ აისახა და განვითარდა შუა საუკუნეების ეზოთერიკულ-ფილოსოფიურ სწავლებაში, სადაც სულის უკვდავების მისაღწევად და დასაბამიერი ანდროგინულობის აღსადგენად ნაირფეროვან ალქიმიურ ხერხებს მიმართავდნენ (სურ. 6). აღორძინების ეპოქამაც თვალი მიაპყრო ანდროგინის ფენომენს, რაც აისახა ლეონარდო და ვინჩის (სურ. 7) და სხვათა შემოქმედებაში.

სურ. 6 ალქიმიური ანდროგინები, დათარიღებულია შუა საუკუნეებით.



სურ. 7 ლეონარდო და ვინჩი, ანდროგინი. (ნახატზე გამოსახული მცენარე აკვილეგია ითვლება ანდროგინულად).

რომანტიზმის ეპოქაში ანდროგინულობა წარმოადგენდა შემოქმედებითი პროცესის განუყოფელ შემადგენელს და კორელაციაში იყო გენიალურობასთან. ანდროგინულობა რომანტიკოსებთან ეხება არა გარეგნულ ნიშან-თვისებებს, არამედ პიროვნების შინაგან მდგომარეობას და განიხილება [Копылова, 2014], „...როგორც მდგრადი ფსიქოლოგიური ტიპი, რომელიც შემოქმედებასთანაა დაკავშირებული..." [Абдуллаев, 2011:24-41].

პლატონიდან მოყოლებული ანდროგინის პარადიგმას მსოფლიო კულტურის კონტექსტში მრავალი მეცნიერი, ფილოსოფოსი და მხატვარი იკვლევდა (იაკობ ბოემე, ფრანც ბაადერი, ოტო ვეინინგერი, ზიგმუნდ ფროიდი, კარლ იუნგი, ვლადიმერ სოლოვიოვი). XX საუკუნის დასაწყისში ანდროგინიზმის იდეას მიმართავდა „ვერცხლის საუკუნის" რუსული კულტურის მრავალი გამოჩენილი მოღვაწე (ზინაიდა გიპიუსი, დიმიტრი მერეჟკოვსკი, ანდრეი ბელი, ნიკოლაი ბერდიაევი და სხვები).

XX საუკუნის მოდერნიზმის ხელოვნების ფორმირების პერიოდი ხელოვანთათვის ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა. ნიცშიანურმა მაქსიმამ „ღმერთის სიკვდილის" შესახებ შეარყია ადამიანთა ცნობიერება. ტრადიციების მსხვრე-

ვაზე დაფუძნებული ეპატაჟური კულტურა ადამიანის შინაგან „მე-ს" თითქოს ორად ხლეჩდა. გაორებული, სულიერად დანაწევრებული შემოქმედის „ეგო" კი ისწრაფოდა პირველადქმნილი უნივერსალური მთლიანობისკენ, ღვთაებრიობისკენ, უმაღლესი „მე"-ს შეცნობისკენ. „სუპერეგო" კი არქეტიპული კაცის სიმბოლოა, რომელიც შეესაბამება ქრისტიანობის პირველქმნილ ზეციურ ადამს და კაბალის ადამ კადმონს. ბიბლიური პირველად ქმნილი ზეციური, იდეალური ადამიანი ცოდვით დაცემამდელი სამოთხის ყოფის გაგებით ანდროგინის ერთიანობაა, მამაკაცური და ქალური საწყისის ჰარმონიული ნაზავი, ანუ არქეტიპული ადამიანი განყოფამდე. თავისთავად ანდროგინულობა XX საუკუნის გამოკვლევებში ჩანს, როგორც ადამიანის ფსიქიკის შინაგანი თვისება. კვლევებმა დაადასტურა მისი არსებობის რეალობა და რომ ჩვენ გარშემო ადამიანთა უმრავლესობა „ფსიქოლოგიური ანდროგინებია" და მათგან უმეტესობა გვხვდება ხელოვნების სფეროში [Bem, 1974:vo l42, no 2, pp.155-62].

სურ. 8

სურ. 9

სახვით ხელოვნებაში ანდროგინის სიმბოლო, როგორც მოდერნიზმის ეპოქალური ფენომენი, კარგად გამოჩნდა დადა-სურეალისტი მხატვრის მარსელ დიუშანის შემოქმედებაში. მისი ცხოვრება-შემოქმედების მკვლევარი ლანიერ გრემი[1] აქვეყნებს წიგნს „დიუშანი და ანდროგინი: კონცეპცია და მისი კონტექსტი", რომელშიც განიხილავს ანდროგინულ მოტივებს მხატვრის შემოქმედებაში და აქვეყნებს ინტერვიუს მარსელ დიუშანთან: „ლ.გ. შეგვიძლია თქვენს პერსპექტივას დავარქვათ ალქიმიური? მ.დ. დიახ, ჩვენ შეგვიძლია ამ პერსპექტივას დავარქვათ (როგორც იტყოდა ბრანკუზი), ან (როგორც თქვენ იტყოდით) მრავალწლოვანი ტანტრიკა. ანდროგინი არ შემოიფარგლება რომელიმე ერთი რელიგიით ან ფილოსოფიით. სიმბოლო უნივერსალურია. ანდროგინი ფილოსოფიას აღემატება. თუ ადამიანი გახდა ანდროგინი, მას ფილოსოფია აღარ სჭირდება" [Graham, 2002]. (თარგმანი ინგლისურიდან მ. მ.) 1919 წელს მარსელ დიუშანი კალამბურული სათაურით "L.H.O.O.Q." ლეონარდო და ვინჩის ცნობილი ნახატის მონა ლიზას რეპროდუქციას მიახატავს წვერ-ულვაშს (სურ.8), რითაც იგი

[1] ლანიერ გრემი - Lanier Graham, ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის კურატორი.

მიუთითებს ლეონარდოს ანდროგინულობაზე[7]. ხოლო 1921 წელს კიდევ ერთხელ ჩააგდებს შოკში საზოგადოებას. მისი მეგობარი ფოტოგრაფი მან რეი[8] ქალის სამოსში გამოწყობილ დიუშანს გადაუღებს ფოტოს ფსევდონიმით „Rrose Selavy" (სურ.9). როზ სე ლა ვი ხდება მხატვრის ალტერ ეგო და ასევე შემოქმედებითი ფსევდონიმი. ლენიერ გრემის აზრით, მხატვრის ინტერესი იყო „ეპოვნა უპირველესი - ტრანსცენდენტი, ხოლო შემდეგ, როგორც მხატვარს, შემოეთვაზებინა მეტაფიზიკური ჭეშმარიტების ტრანსცენდენტური რეალობები" [Graham Lanier, 2002][9]. ავტორი აღნიშნავს, რომ მარსელ დიუშანი არ იყო ერთადერთი მხატვარი დადა-სიურეალიზმის ეპოქაში, რომელსაც აინტერესებდა ანდროგინია არა გენდერული, არამედ მეტაფიზიკური არსით. მისი წრის მხატვრები - კონსტანტინ ბრანკუზი, პაულ კლეე, ჟან (ჰანს) არპი -საუბრობდნენ ანდროგინებზე ალქიმიაში, ეზოთერულ ინდუიზმსა და ბუდიზმში, სადაც ანდროგინი გვევლინებოდა მაღალგანვითარებული ცნობიერების სიმბოლოდ, იცოდნენ, რა არის ანდროგინი და მიაჩნდათ, რომ ეს არის ადამიანის ცნობიერების უმაღლესი იდეალური პირობა. მრავალი სურეალისტი მხატვარი ქმნიდა ანდროგინულ ხატებს და მუშაობდნენ საკუთარ თავზე, რომ მიეღწიათ შინაგანი ანდროგინულობისთვის. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ მხატვრებმა მიაღწიეს გონით საწვდომ ანდროგინულობას. ლენიერ გრემი სვამს კითხვას, რომელსაც თავადვე პასუხობს: „დიუშანი ჰომოსექსუალი იყო? - არა. იგი ბისექსუალია? - არა. არც ჰომოფობია... ხშირად იცვამდა ქალის სამოსს? არა - მხოლოდ მაშინ, როცა ქმნიდა ხელოვნების ნიმუშს" [Graham L., 2002]. აქედან გამომდინარე, დიუშანს შინაგანი გამთლიანების „ანდროგინულობის", ანუ დასაბამიერი მთლიანობის აღდგენის მისაღწევად სჭირდებოდა რიტუალური გადაცმა[10], რათა თავი ეგრძნო თავისივე ქმნილებების დემიურგად. მხატვარი მარკ შაგალი პარიზში ცხოვრების პერიოდში გიომ აპოლინერის პატივსაცემად ანდროგინულ თემაზე ქმნის „Homage to Apollinaire - პატივი აპოლინერს" (1911-

[7] ევოლა იულიუსის აზრით -„შეუძლებელია ეჭვი შევიტანოთ ლეონარდო და ვინჩის ნამუშევრების ეზოთერიზმში. მის ნახატებზე ანდროგინის თემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, პირველ რიგში ისეთ იერსახეებში, როგორებიცაა ნიმინდა იოანე, ბახუსი, („ასევე სამყაროს მხსნელი" მ.მ.). გარდა ამისა მის მრავალ ნახატზე მეორდება აკვილეგიის - მცენარის, გამოსახულება რომელიც „ანდროგინულად" ითვლებოდა". მრავლდება თავისით თესლის ჩაპნევით.

[8] მან რეი (Man Ray, ნამდვილი სახელი ემანუელ რადნიცკი: 1890 - 1976, პარიზი) - ფრანგი და ამერიკელი მხატვარი, ფოტოგრაფი და კინორეჟისორი.

[9] From an early period, his primary purpose seems to have been first to find the transcendent, and then, as an artist, to suggest the transcendent realities of metaphysical truth.

[10] ბერძნების ზოგიერთ რელიგიურ დღესასწაულებს თან ხდევდა ეგრეთ წოდებული „სამოსის ცვლა": მამაკაცები ირთვებოდნენ ქალების ტანსაცმელში და პირიქით. მ.ელიადეს აზრით: „სამოსის ცვლას", რელიგიური გამოცდილების გათვალისწინებით, გააჩნია ანდროგინულობის გარკვეული მდგომარეობის მიღწევის, პირველსაწყისთან დაბრუნების მიზანი, რომელიც ყველა ტრადიციაში სრულყოფილად ითვლებოდა. მამაკაცი, რომელიც ქალის სამოსს იცვამს, არ გადაიქცეოდა ქალად, მაგრამ მასში ხორციელდებოდა, გარკვეული დროის განმავლობაში, სქესთა ერთიანობა, მდგომარეობა, რომელიც უმსუბუქებდა მას კოსმოსის მთლიანობის გარკვეულ გააზრებას".

სურ.10

1912). წრეში ჩახატულ, მენჯებით შეერთებულ მამაკაცისა და ქალის ვერტიკალურ გამოსახულებას, რომელიც მიგვანიშნებს მათ პირველქმნილებაზე განკვეთამდე (სურ.10). ანდროგინულ კონტექსტში საინტერესოა აგრეთვე მიხეილ ვრუბელის ე.წ. „ფრთიანი ანგელოზების" - დემონების - გამოსახულებები.

არანაკლებ ინტერესს იწვევდა ანდროგინის სიმბოლო, როგორც მთლიანობის ხატი, ქართველ მხატვართა - გიგო გაბაშვილის, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, ელენე ახვლედიანისა და განსაკუთრებით პეტრე ოცხელის - შემოქმედებაში. ამ მხატვართა ქმნილებებში გამოვლენილი ანდროგინული მოტივი გაპირობებული იყო, ერთი მხრივ, მათი საზღვარგარეთ სწავლის პერიოდით და მეორე მხრივ, ინსპირირებული თვით ეპოქალური განცდით. ანდროგინული თემატიკის არსებობა ქართულ მხატვრობაში ემთხვევა ზემოაღნიშნულ მხატვართა ევროპულ-მოდერნისტულ გამოცდილებას. ერთადერთი გამონაკლისია პეტრე ოცხელი. მხატვრისთვის, რომელსაც არ უსწავლია ევროპის წამყვან სამხატვრო ცენტრებში, ანდროგინის თემა არ იყო უბრალოდ მოდური თემატიკა. ეს იყო მისი შინაგანი განცდა. ინტუიციური მისწრაფება ჰარმონიულობისკენ, სრულყოფილებისკენ. მის სათეატრო მხატვრობაში ამა თუ იმ დრამატურგის პიესის დედააზრის მიღმა არსებობს მხატვრის ცნობიერების პარალელური სამყარო, რომელშიც ანდროგინის სიმბოლო, როგორც მთლიანობის ხატი, სხვადასხვა სახითა და ფორმითაა გამოვლენილი. ამას იგი შეფარულად სცენოგრაფიული კოსტიუმებისა და დეკორაციების ესკიზებში გამოსახავდა. მკვლევარები და კრიტიკოსები ყურადღებას აქცევდნენ პიესის იდეის სცენოგრაფიულ გადაწყვეტას, რამაც განაპირობა ის, რომ დღემდე არსებულ სამეცნიერო კვლევებში ანდროგინი, როგორც სიმბოლო, პეტრე ოცხელის შემოქმედებაში არ გაშუქებულა. გარდა ამისა, ბუნებრივია, ამ გარემოებას სულაც არ უწყობდა ხელს ავტოკრატიული ბოლშევიკური იდეოლოგიის მარწუხებში მოქცეული მხატვრული კრიტიკა. საბჭოთა დიქტატორული რეჟიმი ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობდა ჩაეხშო მოდერნიზმის ყოველგვარი გამოვლენა, ბოლოს რეპრესიული მანქანის ამოქმედებით კი, როგორც ვიცით, ფიზიკურად გაანადგურა კიდეც ახალი, ყოველმხრივ სრულყოფილი ჰარმონიული ადამიანის ადეკვატურ მხატვრულ სახეზე დაფიქრებული შემოქმედის - პეტრე ოცხელის - პიროვნება.

თვალი გავადევნოთ იმ სოციალურ თუ შემოქმედებით გარემოს, რომელმაც ხელი შეუწყო პეტრე ოცხელის ცნობიერებაში ანდროგინის პარადიგმის შემოსვლას. როგორც ვიცით, პეტრე ოცხელის სცენოგრაფიული დებიუტი შედგა

1927 წელს (თუ არ ჩავთვლით შინაურ გარემოსა და სკოლაში გაფორმებულ სპექტაკლებს). იგი ჯერ კიდევ 20 წლის თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი მიიწვიეს თანამედროვე დრამის მუშათა ახალგაზრდულ თეატრში ანატოლი ლუნაჩარსკის პიესის „ცეცხლის გამჩაღებლების" გასაფორმებლად. აღსანიშნავია, რომ პირველივე სპექტაკლის სცენოგრაფიაში გამოჩნდა მხატვრის მსოფლხედველობა, მისი მიდრეკილება ფილოსოფიური აზროვნებისკენ და ინდივიდუალური ხელწერა. პიესა დაიწერა 1924 წელს იმ დროისთვის ფრიად პოპულარულ რევოლუციურ-სათავგადასავლო ჟანრში. პიესის დასაწყისში საავტორო რემარკა გვამცნობს - „მოქმედება ხდება არარსებულ, მაგრამ არსებულის მსგავს სლავური ქვეყნის, ბელოსლავიის, დედაქალაქში - სედმიგრადში ახლა ან უახლოეს მომავალში, სადაც თეთრი ემიგრაცია შეთქმულებას ამზადებდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ"[11]. მიუხედავად იმისა, რომ ა. ლუნაჩარსკი იყო ბოლშევიზმის იდეებით გამსჭვალული მწერალი, იგი მაინც განიცდიდა ეპოქის ზეგავლენას. სწორედ ამის გამო მწერალი პიესაში თავისდა უნებურად გვაძლევს დროისა და ადგილის ირეალურ უდროობის განცდას, ეს კი, თავის მხრივ, რეჟისორსა და მხატვარს გზას უხსნიდა თავისუფალი შემოქმედებისკენ. დადგმა ეკუთვნოდა ნიჭიერ ახალგაზრდა ფორმალისტ რეჟისორს, ვახტანგ აბაშიძეს (დახვრიტეს 1937 პეტრე ოცხელთან ერთად)[12]. სცენაზე იდგა მოქმედების ადგილის აღმნიშვნელი კონსტრუქტივისტული ფერადი დაზგა-დანადგარები, დეკორაციები გაცოცხლებული განათების კონტრასტებით და რაც მთავარია, მსახიობთა დინამიკური თამაშით, მთლიანად სპექტაკლის ექსპრესიული რიტმითა და ტემპით. ეს კარგად ჩანს დღემდე შემორჩენილ დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზებში[13].

განვიხილოთ პეტრე ოცხელის მიერ მამაკაცისა და ქალის ორი კოსტიუმის

---

[11] მეთქმულების სათავეში იდგა რაგინი, ხოლო საბჭოთა აგენტი რუდელიკო ეწეოდა კონტრთამაშს. ერთიც და მეორეც ცდილობდნენ თავის მხარეზე გადმოებირებინათ ფრანგი მხახიობი ქალი დიანა დე სეგონკური, რომელიც ფინალში აღმოჩნდება ხალხიდან გამოსული რუხი მრეცხავი ქალის შვილი. პიესა სავსე იყო დინამიკური მოვლენებით: თვალთვალი, დევნა, ენებიანი სიყვარული, მუსიკა, ცეკვები, სროლის ხმები, ტანსაცმლის გადაცმა და ეს ყველაფერი ვითარდებოდა პროლეტარიატის მზარდი აჯანყების ფონზე.

[12] ვახტანგ იოსების ძე აბაშიძე (დ. 1897 – გ. 1937), ქართველი რეჟისორი. დაამთავრა ვ. მჭედლიშვილის (ცნობილი როგორც მეიერხოლდის მიმდევარი) ქართული დრამატული სტუდია მოსკოვში (1926). იყო თბილისის მუშათა (1927-28), მარჯანიშვილის სახელობის (1928-30) და თელავის (1933-35) თეატრების, მოსკოვის მცირე თეატრის ფილიალის - ზემეტჩინოს, საკოლმეურნეო თეატრის (1935-37) - რეჟისორი. დამხმარე რეჟისორად მუშაობდა კ. მარჯანიშვილთან.

[13] სამწუხაროდ, იმ პერიოდში კრიტიკა არ განიხილავდა სპექტაკლის მხატვრობას. ხშირ შემთხვევაში აღნიშნავდნენ მხოლოდ მხატვრის გვარს ან იფარგლებოდნენ შეფასებით „დამაკმაყოფილებელი" ან „არადამაკმაყოფილებელი". ამდენად ოცხელის მიერ გაფორმებული სპექტაკლების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ შემორჩენილი ესკიზების მიხედვით. აქაც ცალკეული სცენების თანმიმდევრობის აღდგენა გართულებულია. ფაქტობრივად გვიწევს საკუთარ ინტუიციაზე დაყრდნობა და ვარაუდით დადგენა, რომელი ესკიზი რომელ აქტს და სცენას ან ტიპაჟს ეკუთვნის.

სურ. 11

სურ. 12

ესკიზი სპექტაკლიდან „ცეცხლის გამჩაღებლები". პიესის სიუჟეტიდან გამომდინარე ეს უნდა იყოს: ა) აგენტი რუდელიკოს და მოცეკვავე ქალის, ბ) მსახიობ მედეა ქორელის კოსტიუმის ესკიზები. ნაწარმოების სიუჟეტის მიხედვით, პერსონაჟთა მებრძოლი რევოლუციური განწყობა კარგად ჩანს კოსტიუმების ესკიზებში. მათში გათვალისწინებულია გმირების მოძრაობაც. დამახასიათებელი ჟესტიკულაციაც, მანერულობა, იერსახე, ფიგურის სკულპტურულობა და კინეტიკურობა. რუდელიკო - ათლეთური აღნაგობის ახალგაზრდა მამაკაცი მოძრაობის კულმინაციურ მომენტშია მოცემული (სურ. 11). ზეაწეული ხელით წითელი სფეროს (სავარაუდოდ ასაფეთქებელი მოწყობილობის) ტყორცნას აპირებს. შავ-წითელ ტონებში გადაწყვეტილი, ძონძებად ქცეული სამოსის ვერტიკალური ხაზებით გამოსახული კოსტიუმის ასიმეტრიული თარგი არ ფარავს მამაკაცის მანერულად გადაზნექილ შიშველ ტორსს. მკერდის შუა ხაზზე გავლებული პლასტიკური კონტური ორ ნაწილად ყოფს ფიგურას. ერთი მხარე ქალურია, მეორე - მამაკაცური. ყურადღებას იქცევს რუდელიკოს სხეულზე გამოსახული სიმბოლოები: თავსაფარზე შავი და წითელი ფერის წრეში ჩახაზული წრე და მის მკერდზე ერთმანეთზე დადებული წითელი კვადრატისა და შავი წრის კომბინაცია. იგივე შეიძლება ითქვას მოცეკვავე ქალის კოსტიუმის ესკიზზეც (სურ.12). ფეხის წვერზე შემდგარი, ტანგოს ცეკვის დროს ნახევარრკალად გაზნექილი ქალის სხეული მოძრაობის კულმინაციურ მომენტშია გამოსახული. მსუბუქი, მოკლე, ასიმეტრიული საცეკვაო კოსტიუმი ეგზოტიკურ - ყვითელ, წითელ, მწვანე - ტონებშია გადაწყვეტილი. დიანა თავისი იერით, თავზე ანტიკური მეომრის ბუმბულებიანი ჩაფხუტით, გაშიშვლებული, ცალი უმკერდო მხრით ამორძალ

ქალს მოგვაგონებს[14]. ორივე პერსონაჟს საერთო ექსპრესიულობა ახასიათებს: ყველაფერი ექვემდებარება ერთ მთლიან რიტმს. თითქოს რაღაც კოსმოსური და მისტიკურია დაფარული მათ გამოსახულებაში - კაცში ქალი და ქალში კაცი, ისინი ანდროგინულები არიან. ამ განწყობას მხატვარი სამოსის დიზაინით, კოსტიუმის ფერადოვნებითა და მათზე გამოსახული სიმბოლოებით გადმოსცემს. წრეში ჩახაზული წრე ანდროგინიზმის სიმბოლოა [Энциклопедия. Символика Геометрических Фигур, 2017], ხოლო კვადრატისა და წრის გამოსახულება ცისა და მიწის, ქალისა და კაცის ერთიანობის სიმბოლოს გამოსახავს. თუ ამ ესკიზებს შევხედავთ როგორც ავტონომიურ ნახატს და არა როგორც თეატრალურ ესკიზს, განსაკუთრებით მამაკაცის გამოსახულებას და განვიხილავთ ანთროპოსოფიული კუთხით, ჩვენ დავინახავთ ანთროპოცენტრულ ადამიანს, სამყაროს კოსმოსური მოდელით ხელში. ეს მიგვანიშნებს პლატონის ფილოსოფიური მითი „ტიმეოსის" დიალოგში დემიურგოსის მიერ მაკროკოსმისა და მიკროკოსმის ღვთაებრივი პირველნიმუშის მიხედვით შექმნილ წრიულად მბრუნავ სფეროსებრ კოსმოსზე. „თუ სამყარო მაკროკოსმოსია, ადამიანი, რომელიც თავისი კონსტიტუციით, თავისი ფსიქო-ფიზიკური წყობით იმეორებს სამყაროს მოდელს, პლატონის აზრით, მიკროკოსმოსად გვევლინება. და მართლაც, დემიურგოსი იმავე ნაწილთა ნაზავისაგან ქმნის ადამიანის სულს, რომლისგანაც შექმნა სამყაროს სული [...]: ხოლო დემიურგოსის მიბაძვით უმცროსი ღმერთები იმავე მასალისგან (ცეცხლი, ჰაერი, წყალი, მიწა) აგებენ ადამიანის სხეულს, რომლისგანაც დემიურგოსმა შექმნა სამყაროს სხეული" [პლატონი,1994:240]. ხოლო თუ ჩვენ ნახატზე გამოსახულ ოცხელისეულ ანდროგინს შევადარებთ ქუთაისის მუზუმში დაცულ წარმართული ხანის ადამიანის წარმოდგენით შექმნილ ნაყოფიერების ანდროგინულ ღვთაებას (სურ.1), დავინახავთ მათ მსგავსებას. რაც თავისებურად კოსმოგონიური აქტის განმეორებაც იყო და იმის ნიშანიც, რომ მხატვარი ნაზიარები იყო თავის საკრალურ წარსულს[15]. შესაძლოა, სწორედ ეს არქაული ქანდაკების ხატი მხატვრის შთაგონების წყაროდ იქცა, ხატი, რომელმაც მის მიერ შექმნილ პერსონაჟთა გამოსახულების ზოგადიკონოგრაფიული იერსახე მიიღო. სპექტაკლს ესწრებოდა ქართული თეატრის რეფორმატორი რეჟისორი, კოტე მარჯანიშვილი. ახალგაზრდა მხატვრის ფილოსოფიურმა აზროვნებამ მოხიბლა რეჟისორი. თავის მემუარებში კოტე მარჯანიშვილი წერს:

[14] 1920-იან წლებში საზოგადოებაში „მასკულინური ტიპის ქალის" სტერეოტიპი მკვიდრდება როგორც ევროპაში, ასევე რუსეთში. ევროპაში ეს გამოწვეული იყო პირველი მსოფლიო ომის შედეგებით. ქალებს ომის დროს მამაკაცთა ფუნქციების შეთავსება მოუწიათ, გაუჩნდათ თანასწორუფლების სურვილი, რამაც ქალთა ემანსიპაციას შეუწყო ხელი. მოდაში შემოდიან ვიწრომენჯიანი ბიჭური გოგოები - მოკლე თმის ვარცხნილობით, პატარა მკერდით. რუსეთში ეს უფრო ვულგარულ-მატერიალისტურადაა გამოვლენილი. რევოლუციურ მოძრაობაში ჩათრეული ტყავის „პიჯაკიანი" ქალები ბევრად უფრო ირგებენ ე.წ. „ქალკაცას" იმიჯს.

[15] პეტრე ოცხელი ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩა N 7-ში, ცხოვრობდა. ხოლო მუზეუმი, რომელშიც დაცულია წარმართული ხანის ნაყოფიერების ქანდაკებების კოლექცია, ამავე ქუჩის N 22-ში იყო განთავსებული. ამდენად სავსებით ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ მხატვარი კარგად იცნობდა კონკრეტული ღვთაების გამოსახულებას.

სურ. 13

„მე ვოცნებობდი მიმეღო აქტიორებისაგან არა მათი მატერიალური სხეული, არამედ თითქო მათი ასტრალური განსახიერება. ამავე ამოცანას ვუყენებდი მხატვარსაც, რათა ეს საკითხი კოსტუმშიაც გადამეჭრა" [მარჯანიშვილი, 2013:80]. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ კოტე მარჯანიშვილმა პეტრე ოცხელი მიიწვია ახლად დაარსებული ქუთაის-ბათუმის მეორე დრამატული თეატრის მთავარ მხატვრად. მარჯანიშვილისა და ოცხელის პირველი ერთობლივი სპექტაკლი - შალვა დადიანის „კაკალ გულში" - დაიდგა 1928 წელს. მუსიკალურ-კომედიური სპექტაკლის მხატვრული გაფორმება მხატვარმა მარტივი, მაგრამ მეტყველი ხერხებით გადაწყვეტა. ესკიზზე გამოსახულია ოთახის ინტერიერი (სურ.13): ჭერში უზარმაზარი სტილიზებული „აბაჟურით" (შუქფარი), ტახტი ზედ დახვავებული მრგვალი ბალიშებით. ტახტთან იქვე დგას მაღალი ტუმბო „ლამფით" (სანათური), მის მიღმა (ფონად) ჩინური თეჯირია (შირმა) და იატაკზე გაფენილი ჭრელი ხალიჩა. ეს საგნები ქმნის პიესის აზრობრივ ღერძს, რომლის გარშემოც სპექტაკლში კომედიური სიტუაციები ვითარდებოდა. ფაქტობრივად ეს არის ძველი მეპატრონის მიერ იძულებით მიტოვებული ბინის „არ ნუვოს" სტილიდან „არ დეკოში"[16] გარდამავალი საკმაოდ დახვეწილი და მდიდრული

[16] ტერმინი „არ დეკო"-Art-deco- წარმოიშვა 1925 წელს პარიზში გამართული Exsposition International des Art Decoratifs Idustriels Modernes-საგან, რომელზეც სრულად იყო წარმოდგენილი იმ დროის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მიღწევები. თავად ტერმინი დამკვიდრდა ბევრად უფრო გვიან - 1966 წელს. „არ დეკოს" სტილი მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში გახდა პოპულარული. იგი ხასიათდება მომრგვალებული კუთხეებით, მკვეთრად გამოხატული მკაფიო ვერტიკალური ხაზებითა და შეზნექილი ფორმებით, არ დეკოს ოსტატების ერთ-ერთი შთაგონების წყარო იყო კაშკაშა ფერები და ეგზოტიკური აღმოსავლური მოტივები. ჩნდება ესთეტიკური მიმართულება „ფერი ფერისთვის".

ინტერიერი. მასში განთავსდა ერთ-ერთი კომუნისტური ორგანიზაცია და მისი მოხელეები. ამ ესკიზში იკითხება ოცხელისთვის დამახასიათებელი მხატვრული გადაწყვეტის თავისებურებები: ესთეტიზმი, ოქროს კვეთის დიაგრამაზე აგებული ჰარმონიული კომპოზიცია. გემოვნებით შერჩეული ფერადოვანი გამა. დახვეწილი პლასტიკური კონტური, რომელიც ხაზს უსვამს გამოსახული საგნის ფორმას და თან ორნამენტის ელემენტიცაა, სწორკუთხა ფორმების დენად ხაზებთან ეფექტური შეხამება და ასევე ჩვენთვის ყველაზე ნიშანდობლივი გაფორმების ელემენტებში მინიშნებული ანდროგინული კონოტაციები.



სურ. 14

კომპოზიციის მარჯვენა და მარცხენა მხარეს ერთმანეთთან აკავშირებს ეგზოტიკური მცენარეული დეკორით მოჩითული ქსოვილის პლასტიკური მრუდი ხაზი, რომელიც საოცარი სიმსუბუქით ეშვება ოქროსფრად განათებული შუქფარიდან, ხალიჩასავით ეფინება იატაკს და მიემართება მარჯვნივ, გადადის ტახტზე და აღმავალი გზით იქვე მდგარ ტუმბოს უერთდება. ერთი მხრივ, ხალიჩის მრუდი ხაზი კრავს კომპოზიციის მარცხენა და მარჯვენა მხარეებს, მეორე მხრივ, აზრობრივად აკავშირებს მათ. მოძრაობის სქემა აბსოლუტურ თანხვედრაშია ოქროს კვეთის დიაგრამასთან (სურ.14). იატაკზე დაფენილი ქსოვილი ზუსტად ცენტრში იცვლის ფაქტურას: ხდება უფრო მძიმე და მატერიალური, ხოლო მოყავისფრო ტონალობითა და გეომეტრიული დეკორით ხალიჩას ემსგავსება. კომპოზიცია თითქოს ორ ნაწილად იყოფა: მარჯვენა მხარე ნათელი და ჰაეროვანია, მარცხენა - უფრო მატერიალური (მიწიერი). პლატონისეული განსაზღვრით, მამრობით საწყისს მზემ მისცა დასაბამი, მდედრობითს - მიწამ. ამდენად თვით კომპოზიციის კონცეფცია ანდროგინულია. პეტრე ოცხელის მხატვრობაში არ არის უბრალო ფორმები, თითოეულს აქვს ღრმა საზრისი, იქნება ეს ანთროპოლოგიური თუ უბრალო საგანთა გამოსახულებები. ამ მხრივ საინტერესოა ამ კომპოზიციაში ჩადებული ენიგმა. როგორც უკვე ითქვა, ნახატის მარცხენა მხარეს ჭერში გამოსახულია დიდი, ოქროსფერი, ეფექტური, სტილიზებული ლოტოსის ფორმის ყვითელი შუქფარი (აბაჟური). მის მცენარეულ წარმოშობაზე მიუთითებს შუქფარის წიაღიდან ყურძნის მტევნებივით ჩამოკიდებული კვირტების ასხმა. ლოტოსის ყვავილს მრავალი სიმბოლიკა აქვს, მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთია საინტერესო. ლოტოსი –ანდროგინის სიმბოლოა [**Энциклопедия символов, 1999**]. იგი განასახიერებს ურთიერთსაწინააღმდეგოს ერთიანობას, მამაკაცურ კვირტს ქალურ ყვავილში. ლოტოსი საკუთარ თავში ქმნის წიაღს, რომლიდანაც სიცოცხლე იბადება, საკუთარ თავს თავად ბადებს, ჩასახავს და შობს კიდეც. ეგვიპტურ კოსმოგონიაში გაშლილი ლოტოსიდან ამოდის მზე და წყვდიადში ჩაფლულ სამყაროს ანათებს. ახლა გადავინაცვლოთ ნახატის

სურ. 15

მარცხენა მხარეს მოგრძო ფორმის ტუმბოზე, რომელიც შავი და თეთრი ნაწილებისგან შედგება. ტუმბოს ცენტრში მოთავსებულ ოვალურ ჩარჩოში ჩასმულია ერთმანეთზე დადებული მამაკაცისა და ქალის შავ-თეთრი პროფილური პორტრეტები. შავისა და თეთრის მონაცვლეობის ასეთი რიტმი ჩინური ფილოსოფიის, დაოსიზმის, ინისა და იანის სიმბოლოს მოგვაგონებს (სურ.15). იგი თავისი ფორმით, კონსტრუქციითა და ფერით გამოსახავს კოსმოლოგიურ სიმბოლიკას - ნათელისა და ბნელის, ცისა და დედამიწის შერწყმას სამყაროს შექმნის აქტში. ინი და იანი მთელი ჩინური აზროვნების განმსაზღვრელი ცნებებია. ისინი განიხილება როგორც ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული პირველსაწყისის განუყოფელი მთლიანობა. სხვა მრავალ მნიშვნელობასთან ერთად იგი ქალის - ინისა და კაცის - იანის ერთ მთლიანობაზე მიგვითითებს. ნათელ მამაკაცურ საწყისში არსებობს ქალური შავი წერტილი, ხოლო ქალურ მუქ სტიქიაში - მამრობითი ნათელი წერტილი [Дугин, 2009.89]. ფაქტობრივად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის ანდროგინის სიმბოლო ტრადიციულ ჩინურ მედიცინაში. კარგი ჯანმრთელობა დამოკიდებულია ინის და იანის ბალანსზე. თუ ეს ბალანსი დაირღვა, მაშინ ჩნდება ხარვეზი, სიცარიელე ანუ მარტოობა. მარტოობის, სიცარიელის განცდა პეტრე ოცხელს 13 წლის ასაკში გაუჩნდა, როდესაც დედამ მიატოვა. მან პუბერტატულ[17] პერიოდში მიიღო ტრამვა, მაშინ, როდესაც ყველაზე ფაქიზია მოზარდის ფსიქიკა. დაირღვა მისი სულიერი მთლიანობა, დედამ ზურგი აქცია. დაკარგა დედის (ქალის) სიყვარული და თავს უარყოფილად, დაჩაგრულად მიიჩნევდა, რადგან დარჩა იმ განცდის გარეშე, რომელიც მას მთლიანობას ანიჭებდა. ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს პეტრე ოცხელის მიერ განსაკუთრებული მხატვრული ოსტატობით შესრულებული ქალის კოსტიუმის ესკიზი[18]. როგორც ჩანს, თავადაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მას, რადგან, ჩემი აზრით, ნახატის შესრულების სიძლიერის სერიოზული მიზეზი დედის მარადიული ხატია (სურ.16). მეტეორიტის შავ ქვაში ნაკვეთს ჰგავს ჩვენგან ზურგშექცევით გამოსახული, მონუმენტივით მყარად მდგარი დედა-დედოფალი, დიდი დედა, კიბელე[19]: მიწიერ არსთა მშობელი, ბუნების ამყვავებელი, გამანაყოფიერებელი და ამაღორძინებელი, შემოქმედიც და დამანგრეველიც. იგი მართლაც ზებუნებრივია, დიდებული და მიუწვდომელი. ის თავის თავში მოიცავს მთელ სამყაროს. ქალის ტანზე კოხტად მორგებული ფართოკალთიანი,

[17] პუბერტატი - გარდატეხის ასაკი ბიჭებში, 13-დან 15 წლამდეა მოსალოდნელი, გოგონებში - 9-დან 16 წლამდე.

[18] სავარაუდოდ კოსტიუმის ესკიზი შეიქმნა შალვა დადიანის ტრილოგია „ჩატეხილი ხიდის" ერთერთი გმირისთვის,. რეჟისორი ვასილ ყუშიტაშვილი, მარჯანიშვილის სახ. თეატრი, 1935.

[19] დიდი დედა - (Latina - Magna Mater) ქალღმერთ კიბელას ეპითეტია. მეტეორიტის შავი ქვა კიბელეს წმინდა ატრიბუტია.


სურ. 16

შლეიფიანი კაბა სტილიზებული ქართული ორნამენტული ჩუქურთმითაა შემკული, რომელიც დახვეწილი ფილიგრანული ოსტატობითაა შესრულებული. კაბის შლეიფი მყარად ეფინება იატაკს და სიმტკიცეს ანიჭებს ფიგურას. მის იერს ეზოთერული არქიტექტურის[20] მსგავსი მონუმენტურობისა და მარადიულობის ანაბეჭდი ადევს. ქალის უკან მოტრიალებულ ფერმკრთალ სახეზე იდუმალება და მკაცრი სიცივეა აღბეჭდილი. იგი მზერას არიდებს თავის შთამომავალს. კეფაზე როგორც ღირსების დიადემა, თმის წნულით გაკვანძული გვირგვინი ადევს (ოცხელისეული ანდროგინის წრიული სიმბოლო). ამ იერსახეში არსებობს ფარული ანდროგინულობა. მისი დახვეწილი კაბა, რომელიც სხეულის ზედა ნაწილს მჭიდროდ აკრავს, ქალისთვის შეუფერებელ ფართო მხრებსა და მკლავებს აჩენს. ნახატიდან გამომდინარე მხატვრისთვის მთლიანობის აღდგენა დედასთან დაბრუნებით უნდა მომხდარიყო. როგორც დიმიტრი მერეჟკოვსკი იტყოდა - „ის (შვილი) მასშია (დედაში) - იგი (დედა) მასშია (შვილში): მარადიული ქალურობა მარადიულ მამაკაცურში: ორი ერთში სრულყოფილი. ღვთიური ყოველთვის და ყოველ დროს ნიშნავს „ორსქესიანს", ორის ერთიანობას" [Трубчанинов, 2009:158-162]. ფროიდისეული ფსიქოანალიტიკური კუთხით თუ შევხედავთ საკითხს, ვიტყვით, პეტრე ოცხელისთვის ისეთი ძლიერი იყო დედის ხატი, რომ მან დაჩრდილა ყველა ქალი. მისი დის ქალბატონი ნინოს

[20] ეზოთერული არქიტექტურა - შენობებისა და ნაგებობების პროექტირების მეთოდიკა ოქროს კვეთის საფუძველზე. შედეგად შენობა პარმონიულია ადამიანისა და კოსმოსის მიმართ. ამ კანონებითაა აგებული მთელი სამყარო. ეზოთერულმა მეთოდიკამ ეგვიპტიდან მოყოლებული უძველესი ბერძნების, რომის, აღორძინების ეპოქის გავლით მოაღწია მეოცე საუკუნის დასაწყისამდე. გზადაგზა დაკარგული გამოცდილების აღდგენა მეოცე საუკუნეში არქიტექტორმა ლე კორბუზიემ სცადა ოქროს კვეთის „მოდულის" სახით.

ზეპირი გადმოცემით პეტრე დილიდან დაღამებამდე, სახლშიც და თეატრშიც, თავაუღებლად მუშაობდა. თეატრის სცენაზე იქმნებოდა პეტრე ოცხელის წარმოსახვაში არსებული პირობითი სამყაროს სურათი, რომელშიც სრულად ვლინდებოდა მისი მსოფლხატი - მაკროკოსმისა და მიკროკოსმის ერთიანობა. მხატვრისათვის თეატრს მსგავსად ტოპოკოსმისა[21] ორმაგი ბუნება აქვს. იგი დროის მიღმა არსებული რეალობაა, რომელშიც მონაწილეობენ როგორც სულიერი (მსახიობები, მ.მ.), ასევე უსულო საგნები (დეკორაციები, კოსტიუმები, რეკვიზიტი, მ.მ.). თეატრი, მოიცავს როგორც აქ და ახლა მყოფს, აგრეთვე გარდამავალს. თეატრი მარადიული დროის უწყვეტობაა, რომელშიც რეალური იდეალურის ფორმაში გადადის, ხოლო დროებითი – მარადიულსა და ტრანსცენდენტურში. თეატრის სული გამოხატავს ბრძოლას, სიყვარულსა და განხეთქილებას, სიკვდილ-სიცოცხლეს, ბნელსა და ნათელს [ხიდაშელი, 2002:8-9-10]. ამ გარემოში „მხატვრის ინტერესი იყო ეპოვა უპირველესი - ტრანსცენდენტი, ხოლო შემდეგ, როგორც მხატვარს, შემოეთვაზებინა მეტაფიზიკური ჭეშმარიტების ტრანსცენდენტული რეალობები".

ამრიგად, ანდროგინულობა მოდერნიზმის ეპოქაში აღიქმებოდა როგორც რაღაც განსაკუთრებული, გენიალური და როგორც წესი, უპირისპირდებოდა ბანალურს, ჩვეულებრივს. ანდროგინის ხატის სემანტიკა (მზე და მიწა), რომელიც თავის თავში იტევს ბინარული ოპოზიციების ჰარმონიულ თავსებადობას, უნივერსალურ მთლიანობაში პირველად გამოხატულებას პოვებს ანდროგინის მითში. იგი, თავის მხრივ, მიგვითითებს ჰარმონიულ ადამიანზე,რომელიც საკაცობრიო ისტორიის დასაბამიდან ისწრაფვოდა მამაკაცურისა და ქალური საწყისების დაკარგული მთლიანობის აღდგენისაკენ. ეს უნივერსალური მითოლოგემა, რომელიც საინტერესოდ აისახა დასავლურ და აღმოსავლურ კულტურებში, სრულიად ორგინალური ინტერპრეტაციით მოგვევლინა ქართველი მოდერნისტი მხატვრის, პეტრე ოცხელის, სცენოგრაფიულ შემოქმედებაში. პეტრე ოცხელს მოუწია ცვლილებებისა და გარდატეხის ეპოქაში ცხოვრება: როდესაც სოციალისტური წყობის დიქტატურა დამყარდა, რასაც შემოქმედისთვის თავისუფალი სივრცის შეზღუდვა მოჰყვა. თუ თავისუფლების შეგრძნებას განვიხილავთ როგორც ადამიანური ცხოვრების ჭეშმარიტად სულიერ ფენომენს, მაშინ დასაშვებია, რომ ანდროგინულობის გამოვლინებები ადამიანური ბუნების თავისებური პროტესტია არსებობის არაადამიანური პირობების წინააღმდეგ, რადგან ანდროგინულობა ნიშნავს შინაგან თავისუფლებას. უნარს, საკუთარ თავში მოიცვა უკიდეგანოდ მოუცველი, შეძლო ფრენა, მიაღწიო სრულ შემოქმედებით თავისუფლებას.

[21] ბერძნული სიტყვიდან „ტოპოს" ადგილი, „კოსმოს" - სამყარო, წესრიგი.

ლიტერატურა:

1. მერკვილაძე, ია. 2003. ანდროგინია, გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, Краткий словарь гендерных терминов, რედ. ნაირა პოპიაშვილი, თარგმანი ჰამლეტ ზუკაკიშვილის, თბილისი. http://www.nplg.gov.ge/glossword/index.php?a=list&d=5 უკანასკნელი ნახვა, 2017.
2. ბერძენიშვილი, დავითი. 2012. წარმართული ნაყოფიერების ქანდაკებები ქუთაისის მუზეუმიდან. http://saunje.ge/index.php?id=1480&lang=ru უკანასკნელი ნახვა, 2017.
3. ქართული კულტურის ოქროს ფონდი. 2013. კოტე მარჯანიშვილი, ტ. 1, სარედაქციო ჯგუფი: მაისურაძე თამარ და სხვები, თბილისი.
4. პლატონი. 1964. ნადიმი, ბერძნულიდან ქართულად თარგმნა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბილისი.
5. პლატონი. 1994. ტიმეოსი, ბერძნულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბილისი.
6. ხიდაშელი, შანანა. 2002. ბრძოლის კოსმოგონიური კონცეფცია საქართველოს უძველეს სულიერ კულტურაში.ჟურნ. "საქართველოს სიძველენი" N 2. სარედაქციო კოლეგია: თუმანიშვილი დიმიტრი და სხვები, თბილისი.
7. Абдуллаев Е. В. 2011. Гений и андрогин. Об одном сюжете из Платоновского «Пира» у Пушкина, т.5. Философское антиковедение и классическая традиция. ΣΧΟΛΗ.
8. Бердяев Н. 1930. Из этюдов о Якове Беме. Этюд II. Учение о Софии и андрогине. Якова Беме и русские софиологические течения, № 21, Москва.
9. Дугин, А. 2009. Время и пространство в научной картине мира. Парадигма Кузанского иинь-ян. Постфилософия; ЛитМир, Электронная библиотека. https://unotices.com/book.php?id=129255&page=89
10. Копылова, Н. 2014. Мифологема андрогинна в европейской культуре от романтизма к постмодерну. Журнал «Искусствоведение, архитектура и строительство – Теория история культуры». http://www.lyubi.ru/phil121.php უკანასკნელი ნახვა, 2017.
11. Эвола, Юлиус. 1996. Метафизика пола, [272];[273].] М.:Беловодье,—448с. http://velikoross.org/metafizika-pola/p-34-muzhskoe-i-zhenskoe-v-proyavleniyah
12. Эзотерическая архитектура - будущее материальной среды. http://tonkiimir.ru/viewtopic.php?t=3048
13. Элиаде, М. 1998. Мефистофель и андрогин, или мистерия целостности. пер.с фр. Е. В. Баевской – 376 с. СП-б: Алстейя.
14. Грифенштейн, А., Энциклопедия символики и геральдики. Режим доступа: http://wiki.simbolarium.ru/index.php/ Электронный ресурс უკანასკნელი ნახვა, 2017.
15. Багдасарян В. Э., Орлов И. Б., Телицын В.Л., 1999. Энциклопедия символов, знаков, эмблем. М., под общ. ред. В. Л. Телицына.
16. http://www.libros.am/book/read/id/359871/slug/simvoly-znaki-ehmblemy უკანასკნელი ნახვა, 2017.
17. Краткая энциклопедия символов. 2012. Круг - Александр Грефенштейн (Peter Greif) г. Екатеринбург, 26 июля г. http://www.symbolarium.ru/index.php/უკანასკნელი ნახვა, 2017.
18. Лихт, Г., Сексуальная жизнь в Древней Греции гл. 3. Андрогинизм. [Электронный ресурс]; [Пер. с англ. В. В. Федорина]. – М.: КРОН-ПРЕСС, 1995. – 400 с. Режим

доступна: http://www.gumer.info/bibliotek_Buks/History/liht/02.php. უკანასკნელი ნახვა, 2017.
19. Символика Геометрических Фигур. Эрциклопедия. http://www.symbolarium.ru უკანასკნელი ნახვა, 2017.
20. Токарев, С.А. 1991. Двуполые существа // Мифы народов мира (с.358-359).Т.1. М.
21. Трубчанинов, А.Л. (2015), Д. С. Мережковский: Идея андрогинизма как ключ к новому пониманию синергийности божественного и человеческого. Научные статьи Jun 27, - Известия Российского государственного педагогического университета имени А. И. Герцена СПб., 2009. N 92. С.158-162 www.twirpx.com უკანასკნელი ნახვა, 2017.
22. Bem S., 1974. The measurement of psychological androgyny // Journal of Consulting and Clinical Psychology, vol. 42, no. 2, (pp.155-62).
23. Gaster T.H., 1961. Thespis: Ritual, Myth and Drama in the Ancient New East. Garden City.
24. Graham Lanier. 2002. Duchamp & Androgyny: The Concept and its Context, Published: Updated: http://toutfait.com/duchamp-androgynythe-concept-and-its-context) უკანასკნელი ნახვა, 2017.
25. Jung, C. 1970. Collected Works of C. G. Jung, Volume 14: Mysterium Coniunctionis, The components of the coniunctio. 2. The coniunctio and the mediating role of Mercurius.Vol. 14. (p.6-17). 2nd ed., Princeton University Press.
26. Bevis Hillier, Stephen Escritt, (2003). Art Deco Style. Published by Phaidon Press.

MERI MATSABERIDZE
The Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

NEW CONNOTATIONS IN THE WORK OF PETRE OTSKHELI, TAKING INTO ACCOUNT THE GENERAL NOTION OF ANDROGYN 'S THEORY

Resume

The article is dedicated to the semantics and symbolic connotation of an ancient phenomenon, an image of a perfect human- Androgyne, in the works of a modernist artist Petre Otskheli. The Androgyne phenomena has archaic roots that can be found in Georgian as well as other nations' fables. The androgyne image is a certain type of the cultural construct, a mythologem, that is validated through its sacral symbolic meaning, that embodies ideas of wholeness, harmony and perfection.

The scientific novelty is the fact that for the first-time androgyne, as one of the phenomenon, became the subject of a study in the works of artist scenographer Petre Otskheli. In his works, beyond the core idea of the play, there is a parallel universe of the artists' consciousness, where the connotations of androgyne symbol, as an image of wholeness, are manifested in different forms and types, what can be found candidly displayed in the sketches of the stenographic costumes and design. Researchers and critics paid attention rather to stenographic solution of the idea of a play. This resulted in the omission of the androgyne as a symbol of Petre Otskheli's oeuvres.

სოფიო პაკინაშვილი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

თანამედროვე ხელოვნების გაგებისათვის

ყველასთვის ცნობილია, რომ თანამედროვე ხელოვანები ტრადიციისადმი ნეგატიურად იყვნენ განწყობილნი და რადიკალური ხერხებით ებრძოდნენ მას, ებრძოდნენ ახალი აზრებით, იდეებით და „ახალი ხელოვნების" დამკვიდრებას ცდლობდნენ. მეორე მხრივ, ისტორიული მემკვიდრეობა მათთვის ამოსავალი წერტილი იყო, შეიძლება ითქვას, კიდეც, რომ ხელოვნება ალბათ ერთადერთი სფეროა, რომელსაც პარადოქსულობა სჩვევია. იმის დასამტკიცებლად, რომ მათი შემოქმედება საზრდოობდა წინაპრების შემოქმედებიდან, უნდა ვახსენოთ ტომას სტერნზ ელიოტი, რომელმაც (თავის ნაშრომში „ტრადიცია და ინდივიდუალური ნიჭი" (1919 წ.) აღნიშნა, რომ ყველაზე დიდი ინდივიდუალობის გამომხატველ ნამუშევრებშიც კი ვხედავთ დასტურს თავიანთი წინაპრებისა". ბრწყინვალე მაგალითია უდიდესი ჰოლანდიელი მხატვარი ვან გოგი, რომელმაც ჟან ფრანსუა მილეს ნამუშევრების თავისებური ვერსია შემოგვთავაზა, სივრცე და მასში ჩართული ადამიანები ანალოგიურად განალაგა, თუმცა სათქმელი ახალი ფორმის საშუალებით გადმოსცა (სურ. 1).

თანამედროვე ხელოვნებაზე[1] საუბრის დაწყებამდე ორიოდე სიტყვით უნდა მოვხაზოთ წინა საუკუნეების ხელოვნების ეტაპები, რომელიც იწყება პირველყოფილი საზოგადოებიდან (პალეოლითი, ნეოლითი ენეოლითი), თანმიმდევრულად ვითარდება ქრისტიანული ხელოვნება (შუა საუკუნეები) და რენესანსი. ეს ის მნიშვნელოვანი პერიოდებია, როცა ხელოვნებამ ყველა დარგში და სფეროში განიცადა რადიკალური ცვლილება, თითოეულ შემთხვევაში ძველი

[1] იმისათვის, რომ გავიაზროთ თანამედროვე ხელოვნების არსი, პირველ რიგში უნდა განვმარტოთ თავად ტერმინი, რას გულისხმობს ის და რა მოიაზრება მასში? თანამედროვე ხელოვნების აღმნიშვნელი ორი ძირითადი ტერმინი არსებობს Modern და Conteporary art. პირველი ძირითადად მოდერნისტული ხელოვნების ტენდენციების აღმნიშვნელია. რომელიც დაიწყო რომანტიზმიდან, თუმცა ოფიციალურად მოდერნიზმი მე-19 საუკუნის ბოლოს მე-20 საუკუნის დასაწყისის მოვლენაა, რომელიც სრულდება მეორე მსოფლიო ომით. 1950-იანი წლები არის ერთგვარად გარდატეხის პერიოდი, როდესაც ევროპა კარგავს ნამყვან რიგებს თანამედროვე ხელოვნების განვითარების პროცესში და ის ამერიკაში აგრძელებს განვითარებას. შესაბამისად. მინიმალიზმ, კონცეპტუალიზმი, პოსტმოდერნი და სხვა წარმოქმნილი მიმდინარეობები, ფილოსოფიური ხედვები მოიაზრება Conteporary Art-ად. დღესდღეობით XX საუკუნის დაახლოებით ბოლო მეოთხედიდან მოყოლებული დამკვიდრებულია ტერმინი "ვიზუალური ხელოვნება. "ამ განსაზღვრებით თანამედროვე ხელოვნებაა ის, რაც ჩვენს გვერდით, ამ წუთებში იქმნება.

სურ. 1 ვინსენტ ვან გოგი. მთესავი. 1888 წ.

სურ. 2 უილიამ ტერნერი. წვიმა, ორთქლი და სისწრაფე. 1844 წ.

გადააფასა და ხელოვნებაზე ახალი შეხედულება დაამკვიდრა. XVIII საუკუნის ბოლოდან დაწყებული ახალი ტალღა გახდა თანამედროვე ხელოვნების წარმოქმნის საფუძველი და მას შემდეგ ნიადაგი მზადდებოდა „უეცარი აფეთქებისათვის"[2].

ვალტერ ბენიამინი ნაშრომში „ხელოვნების ნაწარმოები ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში" ასახელებს იმ მიზეზებს, რის გამოც შესაძლოა ახალი ხელოვნება გახდეს მასისთვის მიუღებელი. მან ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დაასახელა ტექნიკური განვითარების სისწრაფე და აქვე სძენს, რომ ამ დაჩქარებაში მნიშვნელოვანი როლი კინემატოგრაფიის შექმნამ ითამაშა[3]. იმპრესიონიზმი იყო მიმდინარეობა, რომელმაც დასაბამი დაუდო თანამედროვე ხელოვნებას, თუმცა ის ჯერ კიდევ რჩებოდა რეალისტურ მიმართულებად. ყველაზე დიდი ცვლილება, რაც მან მოიტანა იყო ცოცხალი შთაბეჭდილება, დაუსრულებლობის შეგრძნება. ისინი სურათებს პლენერზე ქმნიდნენ, სწორედ ამიტომ მათი სამუშაო ერთ დღეში[4], უფრო კონკრეტულად კი რამდენიმე საათში სრულდებოდა. ამ დრომდე ადამიანი მიჩვეული იყო სხვა ხედვას, რასაც

[2] შესაძლოა საკითხის ასე დაყენებამ ორაზროვნება გამოიწვიოს, რადგან თუ ნიადაგი მომზადდა, როგორღა იყო ის „უეცარი"? პასუხი ნათელია, რომ უეცარი და მოულოდნელია თავად შინაარსის გამოხატულება, შემოქმედთა ამბოხი და ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ხედვები.

[3] კინემატოგრაფიის ხედვა კი კავშირში იყო იმპრესიონისტებთან, რადგან სწორედ ჩამოჭრილი ხედები, კადრებივით აისახა ტილოზე. აკადემიურ მხატვრობას მიჩვეული მაყურებლისთვის კი ეს გაუგებარი აღმოჩნდა, ისევე როგორც ძმებ ლუმიერების მიერ გადაღებული ფილმი „მატარებლის შემოსვლა სადგურ ლაკიოტაზე" (1895 წ.). როდესაც ეკრანზე გამოჩნდა მაყურებლის მიმართულებით მოძრავი მატარებელი დამსწრე საზოგადოებამ ეს დიდ საშიშროებად აღიქვა, რომ შესაძლოა მატარებელი კინოთეატრში გადმოსულიყო და შეშინებულები დარბაზიდან გაიქცნენ.

[4] იმპრესიონისტებამდე არსებობდა ბარბიზონელების სკოლა, რომლებიც პლენერზე მუშაობაში იყვნენ პირველნი. მათი ინიციატივა იყო აღებეჭდათ შთაბეჭდილება, რასაც გარე სამყაროსთან უშუალო კონტაქტში ახერხებდნენ, თუმცა იმპრესიონისტებისგან განსხვავებით მართალია ბარბიზონელები მუშაობდნენ პლენერზე და ძირითად შტრიხებს ადგილზე ასრულებდნენ, რადგან დამოკიდებულნი იყვნენ განათებაზე. მაგრამ სურათს საბოლოო სახეს სახელოსნოებში თუ სალონებში სძენდნენ და ადგილზე მიღებულ შთაბეჭდილებას რეალისტურად ასრულებდნენ.

სურ. 3. კლოდ მონე. მთაბეჭდილება მზის ამოსვლა. 1872

სურ. 4. პაბლო პიკასო. სამი მუსიკოსი. 1921

აკადემიური მხატვრობა სთავაზობდა. ამის გამო იმპრესიონისტმა ხელოვანებმა უსაზღვრო კრიტიკა დაიმსახურეს ნაცვლად იმისა, რომ ხალხს მათ შემოქმედებაში დაენახათ და გაეცნობიერებინათ ის ახალი ტენდენცია, რაც ჯერ კიდევ რომანტიზმიდან დაიწყო (სურ. 3-4).

ხშირად თანამედროვე ხელოვნება მასებისთვის გაუგებარი და მიუღებელი ხდება გაანალიზების გარეშე, ანუ მისდამი პირდაპირი და დაუყოვნებლივი რეაქცია არის უარყოფითი. რატომ ხდება ასე და რა იწვევს ადამიანში ასეთი ზიზღის საბაბს? მნიშვნელობა აქვს თავად მაყურებლის სურვილს, რა უნდა რომ დაინახოს კონკრეტული ნაწარმოებიდან. როდესაც რეციპიენტი ნამუშევართან ახლოს მიდის, მიდის უკვე თავის თავში ჩამოყალიბებული ხედვით, რომ იმას დაინახავს, რასაც ნამუშევართან მისვლამდე მასზე ფიქრობდა. ე.ი. ადამიანს თავის ცნობიერებაში აქვს კონსერვირებული წარმოდგენები, საზოგადოებაში მიღებული შეხედულებები მისთვისაც მნიშვნელოვანია და თუ გავიხსენებთ თანამედროვე ხელოვნების დაწყების პროცესს, ვნახავთ, რომ ნოვატორული იდეები სახელოვნებო სალონებისთვის თუ ოფიციალური მუზეუმებისთვის, ისევე როგორც, საზოგადოების წარმომადგენელთათვის, გაუგებარი და ამიტომ მიუღებელი იყო. შესაბამისად, თუ გვსურს ხელოვნების ენის გაგება, მაშინ წინასწარგანსაზღვრული ფიქრებისგან სრულიად ცარიელი უნდა ვეზიაროთ შემოქმედებას, ხელოვანის იდეას. გერმანიაში მოწყობილი თანამედროვე ხელოვნების უდიდესი გამოფენის შემდეგ, ჰიტლერმა ის „დეგენერატულ ხელოვნებად" შეაფასა და დაიწყო კიდეც მის წინააღმდეგ ბრძოლა. ასეთი დამოკიდებულება იყო საბჭოთა კავშირშიც, რადგან დიქტატურა ვერ ეგუება განსხვავებულ აზრს იმის გამო, რომ მის სისტემაში გაზიარებულია კოლექტიური აზროვნება და უარყოფილია ინდივიდუალური. სწორედ ეს უპირატესი განსხვა-

ვებაა თანამედროვე ხელოვანებსა და კონსერვატიულ ხედვებს შორის. ეს ფაქტები გვიდასტურებს, რომ ხელოვნება ვერასდროს იარსებებს მხოლოდ ხელოვნებისთვის, არამედ მასში ჩართული იქნება პოლიტიკა, სოციალური ყოფა, რელიგია და სხვა დანარჩენი.

ხელოვნებაში ხშირად დავის საგანი ხდება ფორმა და შინაარსი. ერთნი თვლიან, რომ მთავარი შინაარსია, როგორც ეს იყო ნარატიულ მხატვრობაში (მაგალითად, რუსული პერედვიჟნიკული სკოლა), ხოლო მეორენი ფორმას ანიჭებენ უპირატესობას, ამის გამო მათ ფორმალისტობაში სდებენ ბრალს. თუმცა ფორმა შინაარსის და შინაარსი ფორმის გარეშე აბსურდი იქნებოდა. საკითხი უფრო რთულდება ახალი დროის ხელოვნების მიმართ; კრიტიკოსთა ნაწილი თვლის, რომ XX საუკუნის ხელოვნება მხოლოდ ფორმისეული თვალსაზრისით არის სიახლე და ის შინაარს ვერ იტევს. თანამედროვე ხელოვნებამ კი რევოლუციური გაგება მოიტანა, მათ შეძლეს ამ ორი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის შეჯერება და ნამუშევარს ახალი ფორმა შესძინეს. რადგან თანამედროვე ხელოვანებისთვის ტრადიციების რღვევა იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება, რისი საშუალებითაც ცდილობდნენ საზოგადოებისთვის ცნობიერების შეცვლას, მიაჩნდათ, რომ არ არსებობს საყოველთაო სინამდვილე, არამედ – ინდივიდუალური. ამიტომ „ყოველი სტილი, რომელიც რაღაც ახალს ნერგავს, გარკვეული დროის მანძილზე საერთოდ ვერ ასწრებს მისაღები გახდეს ხალხისათვის; ის არამარტო არაპოპულარულია, არამედ – არახალხურიც", როგორც აღნიშნავს ხოსე ორტეგა ი გასეტი [გასეტი, 1992:6]. იგი თანამედროვე ხელოვნების ანალიზისას გვთავაზობს 7 ტენდენციას, რომელთა ერთობლიობა ახასიათებს მას, ესენია:

ხელოვნების დეჰუმანიზაციის ტენდენცია;

ცოცხალი ფორმებისაგან თავის დაღწევის ტენდენცია;

იმისკენ სწრაფვა, რომ ხელოვნების ნაწარმოები მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოები უნდა იყოს;

ხელოვნების, როგორც მარტოოდენ თამაშის გაგებისაკენ სწრაფვა;

მისწრაფება მძაფრი ირონიისაკენ;

ყოველგვარი სიყალბის თავიდან აცილების ტენდენცია და, ამასთან დაკავშირებით, დახვეწილი საშემსრულებლო ოსტატობა;

ხელოვნებისათვის, ახალგაზრდა ხელოვანთა აზრით, აშკარად უცხოა ყოველგვარი ტრანსტენდენცია [გასეტი, 1992:25–26].

მსოფლიო კულტურის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეულად საინტერესო ეპოქაა მოდერნიზმი არამხოლოდ მხატვრული კატეგორიის კუთხით, არამედ კულტუროლოგიური და ფილოსოფიური მსჯელობის მხრივაც. ამ დრომდე ხელოვნებას გააჩნდა განსაზღვრული წაკითხვის ფორმა, როგორ უნდა ამოვიცნოთ და გავაანალიზოთ ნამუშევარი რენესანსში, რომ მთლიანი ფორმა უმეტესწილად ემორჩილება წრეს, ბაროკოში წამყვანი ხაზები დიაგონალებია, კლასიციზმს მკა-

ცრად რაციონალური განსაზღვრულობა ახასიათებს, რომანტიზმში ადამიანის შინაგანი განცდები დიდი დოზით ამოტივტივდა და ა.შ. მაგრამ მოდერნიზმში არ გვაქვს ამგვარად ჩამოყალიბებული სისტემა, არამედ მთლიანად დამოკიდებულნი ვართ მხატვართა ინდივიდუალურ მეთოდებზე და ზოგად ტენდენციებზე. მაგალითად ძალიან მარტივად იცნობა კუბიზმი თავისი ორდინალური და კუთხოვანი ფორმებით, მაგრამ რაოდენ რთულია მისი აღქმა და გააზრება?! სტილების და „იზმების" ცვლილებას ყოველთვის აქვს ნიადაგი მომზადებული თანადროული ხედვების ცვალებადობით. ბრწყინვალე შედარებაა ფანჯრის მინიდან ბაღის დანახვის შესაძლებლობის მაგალითი, რომელსაც ასაბუთებს ხოსე ო.ი. გასეტი. ჩვენ თუ ფანჯრის მინიდან მოვინდომებთ ბაღის დანახვას, ამას შევძლებთ იმ შემთხვევაში, თუ ხედვის არეს გავაგრძელებთ, თვალს მოვჭუტავთ და შევეცდებით ჩვენს წინაშე არსებული მინა დავბუროთ და ხედვა ბაღისკენ მივმართოთ [გასეტი, 1992:8-9]. თუ გამჭვირვალე მინაში ბაღს ვერ დავინახავთ, ვერ შევამჩნევთ ვერც რეალურად არსებულ სიღრმეს, მაშინ ვერც თანამედროვე ხელონების ნაწარმოების შეფასებას შევძლებთ. ამით მან ხაზი გაუსვა ადამიანის უინტერესობას, გაურჯელობას, რომ ეზარებათ ფიქრი და მხოლოდ მარტივად მიწოდებული ინფორმაცია სჭირდებათ.

თანამედროვე ეპოქაში შეუძლებელია ხელოვანს, არტისტს ჰქონდეს ჩამოყალიბებული წესები როგორ ხატოს ან როგორ იმოღვაწეოს თავის სახელოვნებო სფეროში. ხშირად დავის საგანი ხდება ხოლმე ხელოვნების ქმნადობის პროცესი. მაგალითად შუა საუკუნეების ავტორისთვის[5] ხელოვნების ქმნადობა დაკავშირებული იყო ღვთიურ გაცხადებასთან, ისინი თვლიდნენ, რომ ნამუშევარს ქმნიდნენ ღვთის კარნახით[6], ამიტომ ამ პერიოდში ნაკლებად გაიაზრებდნენ ინტუიტიურობის ან წინასწარგანსაზღვრულობის მომენტს, რადან თვლიდნენ, რომ შემოქმედები შექმნის პროცესსში ხოლოდ ღვთის სიტყვის გამტარები არიან. მაგალითად თუ მოვიყვანთ ხ. ორტეგა ი. გასეტის, ის აღნიშნავს, რომ ხელოვნება არ შეიძლება იყოს ფსიქიკურ მდგომარეობაზე დამოკიდებული, არამედ უნდა იყოს გაცნობიერებული. ამ განმარტებას პასუხობს ანტიკური ხელოვნება, რეალიზმი, კლასიციზმი. მაგრამ რადიკალურად ეწინააღმდეგება თანამედროვე ხელოვნების გარკვეული მიმდინრეობები ამ მოსაზრების, მაგალითად აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი, ის სრულიად უარყოფს ხელოვნებაში წინასწარგანსაზღვრულობას.

ხელოვნებას აუცილებლად უდევს საფუძვლად ესთეტიკა, რომელიც ანტიკური დროიდან მოყოლებული დღემდე გრძელდება, მაგრამ ესთეტიკურმა სილამაზემ უმაღლეს მწვერვალს რენესანსში, ყველაზე გამოკვეთილად კი

[5] ხელოვანს ავტორს უწოდებენ შუა საუკუნეების მოაზროვნეები.

[6] ღვთის კარნახის შესახებ არსებული მოსაზრება შესაძლოა განიმარტოს შედეგნაირად: ყველა თანხმდება იმაზე, რომ ადამიანს ნიჭი ღვთისგან ენიჭება და მისი წყალობით ეძლევა მას ქმნადობის უნარი. შესაბამისად, მხატვრული ნამუშევრის შექმნა „კარნახია", რაშიც ბოძებული ნიჭიერება იგულისხმება.

სურ. 5. ჯეკსონ პოლოკი. კონვერგენცია. 1952

ბოტიჩელის შემოქმედებაში მიაღწია და მისი მშვენიერი ქმნილება „ვენერა" დღემდე რჩება სილამაზის ეტალონად. ყოველ ეპოქას თავისი სილამაზის ფორმულა აქვს, ამიტომ სხვადასხვა დროს შექმნილი ნამუშევრების შედარება არ იქნება სწორი, თუმცა თანამედროვე ხელოვნებამ ესთეტიკა ისე განსხვავებულად გაიაზრა, როგორც არცერთ მიმდინარეობას არ აღუქვია აქამდე. მაგალითად ექსპრესიონისტებისთვის ადამიანის დამახინჯებული სახით გადმოცემაა „ესთეტიკური კრედო" და ასეთი უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

თანამედროვე ხელოვნების გაგება არ არის მარტივი. თუ ვისაუბრებთ რადიკალურ მიმართულებებზე, აუცილებლად უნდა გამოვყოთ ექსპრესიონიზმი, რომელიც მთავარ სათქმელს სხეულის დეფორმაციით და კიდურების უტრირებით, პროპორციებისა და ჰარმონიის დარღვევით გადმოგვცემს. ასევე კუბიზმი, რომელიც გადახაზავს ხატვის დაკანონებულ წესებს და გვთავაზობს დანაწევრებულ საგანს[7], რომელზეც წარმოდგენა თვითონ უნდა შევიქმნათ (ილ. 5). ამ მიმდინარეობის დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის გონების მომართვა ფიქრისკენ, რომ გაუღვიძოს ფანტაზია და დაანახოს ის, რაც ყოველი ადამიანის არაცნობიერში აუცილებლად არსებობს. კუბისტების კიდევ ერთი მთავარი მომენტია ტილოზე გამოსახონ ადამიანის ფიგურა, პორტრეტი ან პეიზაჟი გეომეტრიული ფიგურების გამოყენებით არეულ-დარეულად, განგებ დაანაწევრონ ფორმა, რაც მათ თამაშის საშუალებას აძლევს, სწორედ თამაშია თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ნიშანი. აუცილებლად

[7] დაშლილი და დანაწევრებული ფორმები, გეომეტრიული ფიგურები – ესაა მათი ამოსავალი წერტილი. მას საფუძვლად სეზანის შემოქმედება დაედო.

უნდა გავიხსენოთ „მოთამაშე კაცი" (ი. ჰაიზინგა), სადაც ავტორი იკვლევს თამაშის ფენომენს და ამტკიცებს, რომ ყველა ადამიანს აქვს თამაშისადმი მიდრეკილება და რომ ის მისი საშუალებით დიდობაში აღწევს წარმატებას. ბავშვი აბსოლუტური სერიოზულობით თამაშობს თავისი ნივთებით და ამ პროცესს ჩვენ ვუწოდებთ თამაშს. ასევეა ხელოვანი, ნაწარმოების შექმნის პროცესი მისთვის თამაშივითაა, დიდი სერიოზულობით ეკიდება მას და უკვე შექმნილი სხვის „განწმენდას"[8] ემსახურება.

მოდერნიზმი XX საუკუნის ხელოვნების სახელწოდებაა, რომელიც მეორე მსოფლიო ომამდე გრძელდება. მაგრამ ჰანს ზედლმაიერი თავის ნაშრომში „რევოლუცია თანამედროვე ხელოვნებაში" აღნიშნავს, რომ ამ დროისათვის იმ კრიტერიუმებს, რომლითაც შეიძლება თანამედროვე ხელოვნებას ეწოდოს თანამედროვე, აკმაყოფილებს მხოლოდ აბსტრაქტული ანუ უსაგნო ხელოვნება[9]. ამ სიტყვებში იგი გულისხმობს იმ ტენდენციებს, რომლებიც აბსტრაქციისგან წამოვიდა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ხელოვნება უარყოფს XX საუკუნის ავანგარდულ მიმდინარეობებს აბსტრაქციისა და დადაიზმის გარდა[10] და ამ ორი სტილის სინთეზით ამერიკაში ჩამოყალიბდა ახალი მიმდინარეობა, რომელსაც „აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი" ეწოდა (სურ. 5). ამ შემთხვევაში ასახვის ობიექტი გაქრა და ხელოვნება თავად იქცა ასახვის საგნად, ანუ თავად ობიექტად. ასეთი ისტორიული ცვლილების ფონზე წინა საუკუნეში გაჟღერებული მოსაზრება, რომ ხელოვნება უნდა დარჩეს მხოლოდ ხელოვნებისთვის და არა მასისთვის, ახდა. მაგრამ ხსენებული ავტორი სვამს კითხვას: „მოახერხა თუ არა ამ ხელოვნებამ ხელოვნება გაეხადა „წმინდა" და იგი პასუხობს, რომ ვერა [ზედლმაიერი, 2009: 50].

1970-იანი წლებიდან იწყება პოსტმოდერნიზმი, როდესაც ხელოვნებამ დაკარგა ხელოვნების გაგება. ნიცშე წინასწარმეტყველურად ამბობდა, რომ ჩვენ მომავალში აუცილებლად შევხვდებოდით რეალობას, როცა ხელოვნების და ავტორის სიკვდილი გარდაუვალი გახდებოდა და ეს ასეც მოხდა. ტერმინი ხელოვნება „არტმა" ჩაანაცვლა, დაიწყო ნამუშევართა კომერციალიზაცია,

[8] კათარზისი - ასე უწოდა არისტოტელემ „განწმენდას". კათარზისი არის პროცესი, რომელსაც ახდენს რელიგია და ხელოვნება. იგი თავის ნაშრომში „პოეტიკა" ასაბუთებს კათარზისის აუცილებლობას, რომ მან უნდა მოახდინოს ადამიანთა სულიერი განწმენდა და რომ ყოველი ხელოვნება ამისთვის უნდა იღწვოდეს.

[9] უსაგნო ხელოვნება და აბსტრაქტული ხელოვნება ერთმანეთისგან განსხვავებული მიმდინარეობებია. მაგალითად ჰანს ზედლმაიერს მოჰყავს ვლადიმერ ვეიდლეს მოსაზრება, რომ „საგნობრივი სურათი, რომლისთვისაც საგანი უმნიშვნელო ხდება, უკვე არის „აბსტრაქტული"; ამიტომ შეუძლია მას შემდგომ ძალზე კარგად ატაროს ფორმალური დასათაურება, მაგალითად „სიმფონია", „კომპოზიცია" და ა.შ.... აბსტრაქტულობა უკვე მაშინ დაიწყო, როგორც კი იმპრესიონიზმში უარი თქვეს ყველაფერზე, რაც წმინდა ოპტიკური შეგრძნება არ იყო. კუბიზმმა შემდგომ აბსტრაქტულობა თავის პრინციპად აღიარა". ზედლმაიერი, ჰ. თანამედროვე ხელოვნების რევოლუცია/; [გერმ. თარგმნა ვიქტორ რცხილაძემ; რედ. ვახტანგ როდონაია]. თბილისი, 2009, გვ. 46-47.

[10] რადგან მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ხელოვნებისთვის დადაიზმი იქცა შთაგონების წყაროდ. ის ასევე პოსტმოდერნიზმის საფუძველიც გახდა.

სურ. 6. რიჩარდ ჰამილტონი. 1956.



სურ. 7. ნამ ჯუნ პაიკი. სუპერ ელექტრონული მაგისტრალი.

ორიგინალი ნამუშევარი თავისი არსით ჩაანაცვლა ნაწარმმა, რომელიც ძალიან ბევრი იყო, პოპ-არტი ამის ყველაზე ნათელი მაგალითია (სურ. 6). კიტჩი ერთ-ერთი წამყვანი ფორმა გახდა. ხელოვნებაში ბევრი ახალი სახეობა დამკვიდრდა, თავად ტერმინი „ხელოვანი" და „შემოქმედი" კი „არტისტით" შეიცვალა.

პოსტმოდერნისტულ ხანაში ერთ-ერთი გამომხატველი ფორმა „პერფორმანსია", რომელიც სადადგმო ხელოვნების ნაწილია, ასევე ახალია ჰეფენინგი, ინსტალაცია, ვიდეო-არტი (სურ. 7), რომელიც ყველაზე მეტად გვაგრძნობინებს ნიცშესეულ „ავტორის სიკვდილს", რადგან კომპიუტერი ანაცვლებს ფუნჯს და ტილოს. თუმცა თუ შევძლებთ განვასხვავოთ ერთმანეთისგან მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი, ისე ასე გამოიყურება:

მოდერნისტი ხელოვანები თავიანთ შეხედულებას ხელოვნებაზე ყველაზე სწორ ხედვად მიიჩნევენ და ცდილობენ ჩვენც დაგვარწმუნონ ამაში, ხოლო

პოსტმოდერნისტები აღმქმელს უტოვებენ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებას. მათთვის, არ არსებობს საყოველთაო სინამდვილე, რადგან მათ მოდერნიზმზე მეტად აღიარეს პერსონალია.

ხელოვნების თეორია ეპოქათა დამახასიათებელი ტენდენციების ფილოსოფიური გააზრებაა და ხელოვნების ნაწარმოები თავისი შექმნის პერიოდის და მხატვრული მოთხოვნების მიხედვით განიხილება. რთულია თანამედროვე ხელოვნების ფილოსოფიაზე ამომწურავად ისაუბრო, მაგრამ ის ძირითადი თეორიები, რასაც დაეყრდნო მოდერნისტული მიმდინარეობები, არის ე.წ „სიცოცხლის ფილოსოფია" (ფ. ნიცშე), ზ. ფროიდის ფსიქოანალიზი, კ. გ. იუნგის კოლექტიური აზროვნების თეორია, კანდინსკის ფერთა თეორია და ა.შ. მათი შეხედულებების ფონზე ხელოვნებამ დაკარგა ძველი მნიშვნელობა და შეიძინა ახალი რეალობა.

დასასრულს, რომ შევეცადოთ იმის გარკვევას, თუ რა არის ხელოვნების საგანი და რას უნდა გამოხატავდეს ის, ძალიან შორს წავალთ, თუმცა შესაძლოა მოვხაზოთ ძირითადი ასპექტები და დავასახელოთ მათ შორის ძირითადი განსხვავებები. ძველი ხელოვნებისთვის სახასიათოა:

საგნების აკადემიური სიზუსტით გამოსახვა (საუბარია ანტიკურ და აღორძინების ეპოქაზე);

ახასიათებდა სტილური ერთიანობა და ცვლილება (ევროპულ ქვეყნებში თანდათან ვითარდებოდა და ერთიანად იცვლებოდა ჩამოყალიბებული ნორმები);

მშვენიერების ფენომენი, იგივე ესთეტიკა, რომელიც თანამედროვე ხელოვნების მიმართებით გაქრა;

პერსპექტივის კანონების, შუქ-ჩრდილოვანი ეფექტების, რიტმისა და სიმეტრიის ღერძის აუცილებელი არსებობა;

მისი შინაარსი, რომელიც აუცილებლად ეფუძნება საგანს.

თანამედროვე ხელოვნებაში ეს ყველაფერი უარყოფილია და იკვეთება უამრავი ახალი მეთოდი, მაგრამ მათგან გამოვარჩევთ რამდენიმეს:

საგნებმა დაკარგა რეალისტური გამომსახველობა;

სტილები იცვლება სწრაფად და ყველა მიმდინარეობას საკუთარი, ინდივიდუალური ხედვა ედება საფუძვლად;

წარსულში დარჩა მშვენიერების აღქმის კლასიკური სახე და ის ჩაანაცვლა უტრირებამ, ექსპრესიამ, დეფორმაციამ;

დაირღვა სიმეტრია, პერსპექტივა, სურათი დაემორჩილა სიბრტყეს და ხაზობრიობამ იჩინა თავი (რითაც დაუბრუნდა შუა საუკუნეების ხელოვნებას);

ხელოვნების საგანი თანდათანობით ქრება სასურათე სიბრტყიდან (აბსტრაქტული ხელოვნება).

ლიტერატურა:

1. ვიტგენშტაინი ლუდვიგ. 2003. ფილოსოფიური გამოკვლევები [თარგმნ. გიგა ზედანია]. თბილისი.
2. ზედლმაიერი ჰანს. 2009. თანამედროვე ხელოვნების რევოლუცია; [გერმ. თარგმნა ვიქტორ რცხილაძემ; რედ. ვახტანგ როდონაია]. თბილისი.
3. ყულიჯანაშვილი, აკაკი. 2006. ესთეტიკა. თბილისი.
4. ხოშტარია გიორგი. 2002. უახლესი დროის მხატვრობის ზოგიერთი თავისებურება. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი.
5. ხოშტარია გიორგი. უახლესი დროის — მოდერნიზმის ხელოვნების მხატვრული მსოფლხედვის სპეციფიკა - http://www.georgianart.ge, ელექტრონული ჟურნალი "ARS GEORGICA" http://www.georgianart.ge გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი.
6. ხოშტარია, გიორგი. ახალი და უახლესი დროის ქართული სახვითი ხელოვნების პერიოდიზაციის საკითხები. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი.
7. ხოსე ორტეგა ი. გასეტი. 1992. ხელოვნების დეჰუმანიზაცია [ესპანურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ]. თბილისი.
8. ჰაიდეგერი მარტინ. 1992. დასაბამი ხელოვნების ქმნილებისა [თარგმნ. გიორგი ბარამიძე]. თბილისი.

SOPIO PAPINASHVILI
Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

FOR THE UNDERSTANDING OF MODERN ART

Resume

In the history of the world culture there always appears the questions what is art and where does it begin. The issue is more difficult when it comes to modern art, because European art in the beginning of the 20th century established many new artistic movements and at the same time they (styles) were changing each other very quickly.

In every epoch's art it was determined existing esthetic views about art. Upon starting new art in 20th century it was nececity of overestimation of ideas', also it was inescapable exact analysis about developments and learning its foundation and future. The first new view in painting was Impressionism (but the modern process begin considerably early in second half of the XVIII century) in spite of this movement even it was developing in connection Realism and the photography played the big role in it's expansion. In the book "The Work of Art in the Age of Mechanical Reproduction" (Walter Benjamin, 1935) the author was given very interesting intellectual world outline and is speaking about photography meaning.

In this article were discussed modern art esthetic and were showing difference between old and Modern or contemporary art. To show this difference we exampled from honored thinkers. In addition we determined characteristic signs of modernist movements and were examined step by step the main theories of Postmodernism philosophy.

European Modernism compasses almost 30-40 years and it was finished by movement of avant-garde. Second World War art and it's following art were against the Modernism. That artistic periods were called Contemporary Art and that time artists were thinking that art will be intuitive and must root out rational predefined. Postmodernism Theories began in literature almost in 1970th years and had exspansioned in other fields of art. Here we must remind F. Nitsche, who was told, that in the future we will see the "death of author's", which really happened.

გიორგი გვეცესიანი
თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

ნიკოს კაზანძაკისის „უკანასკნელი ცდუნების" ანალიზი და მისი მიმართება სახარებისეულ უწყებასთან

დიდი შემოქმედი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ნიკოს კაზანძაკისი დაიბადა 1883 წლის 18 თებერვალს ჰერაკლიონში მაშინ, როდესაც ეს მხარე ოტომანთა იმპერიას ჰქონდა დაპყრობილი, ხოლო გარდაიცვალა 1957 წლის 26 ოქტომბერს. მშობლიური მხარეში არსებულმა ვითარებამ მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა, რაც შთამბეჭდავად აღწერა თხზულებაში „ქრისტე კვლავ ჯვარს ეცმის" (1948 წ.), რომელშიც თურქი ფაშასა და თავად ბერძენი დიდებულების უღელქვეშ მყოფი ბერძენი ხალხის მძიმე ყოფა წარმოადგინა.

ნ. კაზანძაკისი ახალგაზრდობაშივე განიცდიდა ნიცშეს გავლენას, რაც გამოიხატა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. თხზულებაში „ასკეზა" (1927 წ.) ავტორი იყენებს ტერმინს „ზეკაცი" 1, რომლითაც აღწერდა თეოლოგიურ და ფილოსოფიურ იდეას ადამიანში, რომელიც უნდა ისწრაფვოდეს სრულყოფილებისაკენ. ნიცშეს გავლენა ასევე ჩანს თხზულებაში „ალექსის ზორბასის ცხოვრება", სადაც ავტორისათვის ღმერთი არის იმის შედეგი, თუ რასაც აფასებენ და ქმნიან გმირი ადამიანები. კაზანძაკისი დაინტერესებული იყო თეოლოგიითა და ფილოსოფიით, კერძოდ ღმერთთან ზიარების იდეით, თუ როგორ იბრძვის ადამიანის შინაგან სამყაროში ღვთაებრივი და მიწიერი. აღსანიშნავია, რომ მის ყველა თხზულებას ლაიტმოტივად გასდევს დაუნდობელი დაპირისპირება სულსა და სხეულს (ღვთაებრივსა და ადამიანურს) შორის.

რთულია ნიკოს კაზანძაკისის შემოქმედება მიაკუთვნო რომელიმე ლიტერატურულ მიმდინარეობას, რადგან ის ერთგვარ დამაკავშირებელ ხიდად გვევლინება მოდერნისტულ და პოსტმოდერნისტულ ლიტერატურულ ეპოქებს შორის. მწერლის განსხვავებული ხედვა, განსაკუთრებული ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური სიღრმე საშუალებას გვაძლევს დავეყრდნოთ ლიტერატურათმცოდნე ქამუშაძის შეფასებას და მის შემოქმედებით გზას თავისუფლად ვუწოდოთ ჭეშმარიტების მაძიებლის ოდისეა [ქამუშაძე, 1998: 112].

ნიკოს კაზანძაკისის ლიტერატურულ ოდისეაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „უკანასკნელ ცდუნებას", რომელმაც უდიდესი ვნებათაღელვა გამოიწვია სასულიერო პირთა შორის. შემოქმედმა ეს ნაწარმოები 1955 წელს დაწერა და წაუმძღვარა წინათქმა, რომელშიც ავტორი ცდილობს განმარტოს

თავისი მოსაზრება და იუწყება, რომ ქრისტეს საიდუმლო მხოლოდ ერთი რელიგიის საიდუმლო არ არის, არამედ ის ზოგადსაკაცობრიოა. რა იყო წიგნის დაწერის მიზანი? ამ კითხვაზე პასუხს თავად ავტორი იძლევა. კონკრეტულად იგი აღნიშნავს, რომ თავად ყოველთვის აფიქრებდა ქრისტეს საიდუმლოება და მისი სახით სურდა აღეწერა არამარტო მისი ცხოვრება, რაც ისედაც მოცემულია ოთხთავში, არამედ აფიქრებდა (კვლავინდებურად) ადამიანის ფსიქოლოგია, მისი განცდები და ემოციები, სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირების მარადიული თემა და „უკანასკნელ ცდუნებაში" ქრისტეს პიროვნებით მოგვითხრო მებრძოლი კაცის აღსარება. ნიკოს კაზანძაკისი ხაზს უსვამს, რომ ეს ნაწარმოები თავისუფალმა ადამიანმა უნდა წაიკითხოს, რადგან სხვა (შემთხვევაში) მის არსს ვერ ჩაწვდება, მხოლოდ გაღიზიანდება და საბოლოოდ მისი ლიტერატურულ-თეოლოგიური იდეა გაუაზრებელი დარჩება [Kazantzakis, 1960: 4][1]. თხზულების განხილვის დასაწყისში ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ქრისტე მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში განიცდიდა შინაგან ბრძოლას, როგორც ადამიანი, რითაც ჩვენც მაგალითს გვაძლევს. შესავალის დასასრულს შემოქმედი გვაუწყებს: „დარწმუნებული ვარ, რომ თითოეული თავისუფალი ადამიანი, რომელიც წაიკითხავს ამ წიგნს, შეუყვარდება ქრისტე უფრო ძლიერ, ვიდრე უწინ" [Kazantzakis, 1960:7].

წიგნი 33 თავისგან შედგება და ეს რიცხვი არ არის შემთხვევითი, ამით ავტორმა სიმბოლურად მიუთითა ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების წლების რაოდენობაზე. ნაწარმოების ფაბულა აგებულია იმაზე, რომ იესოს სურს ცოდვისგან გათავისუფლება და ამ გზაზე მასში ხშირად იჩენს თავს შიში, ეჭვი, სევდა, ასევე ის ვნების სუბიექტიცაა. ასე მწერალს მის ადამიანურ სისუსტეზე გადააქვს აქცენტი.

ქრისტე, როგორც ადამიანი, ცდილობს გაიგოს, თუ რა არის თავისი ცხოვრებისეული საზრისი. მწერლისთვის ყმაწვილი იესო მაძიებელი ახალგაზრდაა, რომელსაც ესმის საღვთო მოწოდების ხმები, „ვითარცა ფრინველის ფრთების ხმა კამარაში". მისი ოჯახური მდგომარეობაც არასახარბიელოა, რადგან დედამისს, მარიამს, არ სურს მისი დაკარგვა და ურჩევს ცოლის მოყვანას. მამამისი – იოსები – დამბლადაცემული მოხუცია, რომელიც ღმერთმა დასაჯა, რადგან სურდა მარიამთან ცოლქმრული კავშირი.

პირველივე თავში ყმაწვილი სიზმარს ხედავს, რომ ჟღალწვერა კაცი (ნაგულისხმებია იუდა ისკარიოტელი) დანარჩენ 11 თანამგზავრთან ერთად ეძებს მესიას. როდესაც სიზმარში იპოვიან იესოს, თომა შეეკითხება იუდას: ნუთუ ახლაც

[1] ნიკოს კაზანძაკისი უახლესი დროისათვის დამახასიათებელი აზროვნების გამო ხშირად განკიცხვის საბაბი გამხდარა. ამ ნაწარმოების მიხედვით მარტინ სკორსეზეს ეკრანიზებული ფილმი („ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება") კი – აკრძალული. ამიტომაც აკონკრეტებს ავტორი, რომ რელიგიურად ფანატიკოსი თუ სხვა ნებისმიერი სახის აკრძალვების მქონე ადამიანისთვის ეს გაუგებარი აღმოჩნდება: ამით ჩვენც ვხვდებით, რომ ავტორმა წინასწარ იცის, მისი ეს შეხედულება აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს, თუმცა ამას არ უშინდება და ასრულებს თავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და სახასიათო ნაწარმოებს.

უნდა დაეჭვდნენ, რომ ესეც არაა მესია თავიანთი უწინდელი ძიებების მსგავსად? რაზეც იუდა მტკიცედ უპასუხებს, რომ სწორ გზას ადგანან. ეს კი ერთგვარი კონტრასტია სახარებასთან, რომ ქრისტემ კი არ გამოირჩია მოციქულები (იოან. 15:16), არამედ პირიქით.

ყმაწვილ იესოს ხელობა ნაწარმოებშიც დურგლობაა, თუმცაღა თავისი საქმეებით იგი ხალხის ზიზღს იმსახურებს, რადგან აჯანყებული ზილოტის[2] დასასჯელად ჯვარს დაამზადებს, რაზეც სხვა ოსტატებმა ამაზე უარი განაცხადეს. მწერალი ერთგვარად გვეუბნება, რომ მსგავს გარემოში ყმაწვილი დათრგუნული და მიუღებელიც კია. იესო ჯერ მიემგზავრება განდეგილებთან, სადაც თავის ბიძას, რაბინ სიმეონს[3] უმხელს თავის განცდებს, ცდუნებებს, შიშებს. ნაწარმოების კონტრასტულობაც ისაა, რომ ეს სწორედ ის სახარებისეული მართალი სიმეონია, რომელიც მესიის მოსვლას ელოდა. ნ. კაზანძაკისი ამ შემთხვევაში სახარებისგან განსხვავებით ამ კეთილ მოხუცს სამოქმედო არეალიდან არ რიყავს და ეს პერსონაჟი თითქმის ნაწარმოების ბოლომდეც კი მოქმედ გმირად რჩება. მოხუც რაბინთან საუბრისას იესოს თვალწინ წარმოუდგება მარიამ მაგდალინელი თავისი მწყობრი ნაბიჯითა და სხეულით, მაგრამ, მეორე მხრივ, ეცხადება გენესარეთის ტბა და მის გარშემო ათასობით ადამიანი მზის სხივით გაბრწყინებული ბედნიერი ზეაწეული სახეებით, თუმცა ჩვენებაში იხილვება, რომ ეს ნათება მზისგან კი არ მოდიოდა, არამედ თავად იესოსგან. კაზანძაკისისეული შეპირისპირება შემდეგშია: მისია თუ ცდუნება?

ნაწარმოების მთავარი თემაა ქრისტე, როგორც ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში ებრძვის ცდუნებებს და გამარჯვების მწვერვალს გოლგოთაზე აღწევს. აღსასრულებელი მისიის ცდუნებასთან დაპირისპირება უშუალოდ იდგა ნიკოს კაზანძაკისის წინაშე; ცნობილია, რომ იგი 1919 წელს საგანგებო მისიით ეწვია ბათუმს, რათა პონტოელი ბერძნების დაბრუნება უზრუნველეყო. მის ნაწარმოებში – „აღსარება გრეკოსთან" – ერთი მთლიანი თავიც კი ეძღვნება ბათუმში გატარებულ დღეებს და ტრფობის ამბავს ბათუმელ ქალ ბარბარესთან, ეს უკანასკნელი ერთად გაქცევას სთავაზობდა შემოქმედს, როდესაც კაზანძაკისი საგანგებო მისიით იმყოფებოდა საქართველოში. ბარბარეს შეთავაზება ნიკოსმა უარყო და უპასუხა:

„და მერე მოვალეობა, ბარბარა ნიკოლაევნა, ათასობით ადამიანი ჩემგან რომ ელის შველას?"

ნაწარმოებში «მისია თუ ცდუნება» ავტორმა ერთმანეთს შეუპირისპირა ხორციელი ტკბობა და მოვალეობა. წინ დააყენა მიზანი, იდეა და მოყვანილი ციტატიდანაც ნათლად ჩანს, რომ ავტორმა თავისი ცდუნება განაზოგადა

[2] ნაწარმოებში ზილოტთა მეთაური აუჯანყდა რომს და, როგორც დამამცირებელი სასჯელი, მას ჯვარცმა განუსაზღვრეს.

[3] სახარებიდან ცნობილია სიმეონ მართალი „მირქმის" ეპიზოდიდან (ლუკ. 2:25–35). ავტორს კი ის იესოს ბიძად ჰყავს გამოყვანილი, რასაც სახარება არ იუწყება.

იესოსთან და „უკანასკნელ ცდუნებაში“ ერთგვარი ალტერ ეგო შექმნა. იესო უკუაგდებს ცდუნებას (რომელიც ადამიანურ სიხარულშია: ცოლი, ოჯახი, შვილები). რათა მიზანი აღასრულოს, გამოიხსნას მრავალი.

ნაწარმოებში სახელოვან რაბინს ყმაწვილი (იესო) ასევე უმხელს, რომ მას დემონმა შთააგონა: „შენ არ ხარ ხუროს ძე, დავით მეფის ძე ხარ, შენ ადამიანი არ ხარ, არამედ — ძე კაცისა, ვისზეც დანიელი წინასწარმეტყველებდა, უფრო მეტიც, შენ ხარ ძე ღვთისა და თავადაც ღმერთი“ [Kazantzakis, 1960:260].

ყმაწვილი იესო რაბინ სიმეონთან საკუთარ სისუსტეებსაც აღიარებს და ამ საუბრით განიწმინდება. მართალი სიმეონი ურჩევს, რომ ღმერთს აღარ გაუწიოს წინააღმდეგობა, მიჰყვეს მის ნებას, ბაგე გახსნას და მას უფალი აამეტყველებს.

ნ. კაზანძაკისისეული იესო ებრძვის ცდუნებებს, რომლებსაც თითქოს სურთ მისი მოწოდებიდან ჩამოცილება. იესო ტოვებს სახლს, რათა უდაბნოში მარტოობაში შეიცნოს თავისი გზა, მაგრამ გზად მავალს გამომცხვარი პურის სუნი მადას აღუძრავს და მოსავლის დანახვისას ოჯახური ცხოვრება გაახსენდება და მაგდალინელთან კაცობრივ ცხოვრებაზე ფიქრი წარმოუდგება, ამიტომ მსწრაფლ გაეცლება იქაურობას და ცდუნებებს განერიდება.

ყმაწვილი იესო ნაწარმოებში გამოყვანილია ჩამოუყალიბებელ პიროვნებად, რასაც მრავალი ასპექტი ადასტურებს, მაგალითად, მასზე დიდ გავლენას ახდენს სამი ადამიანი:

1) მარიამ მაგდალინელი (მას ჩაქოლვისაგან დაიხსნის იესო და იმ დროს იქადაგებს სიყვარულს და კაცთა შორის თანასწორობას. მისი მოწოდება არ მოეწონათ მდიდრებს, ხოლო ღარიბები ჩათვლიან, რომ ძალადობით შეძლებდნენ შეძლებულთა სიმდიდრის მიტაცებას);

2) იოანე ნათლისმცემელი (რომელიც მას მახვილის გზას ურჩევს);

3) ესაია წინასწარმეტყველი (თავგანწირვის გზას ურჩევს).

გარდამოცემის თანახმად, მაცხოვარმა ნათელიღო ოცდაათი წლის ასაკში, თუმცა ეს თარიღი წმინდა წერილში არ არის დასახელებული, ასევე არ ასახელებს მას ნიკოს კაზანძაკისიც. ნათლისღების შემდგომი პერიოდის აღწერა მის თხზულებაში ემთხვევა ბიბლიურ მსვლელობას. იგულისხმება ქრისტეს გამოცდის ეტაპები და მისი გასვლა უდაბნოში. ეს გამოცდა მწერლის აზროვნებაში გადმოიცემა შემდეგნაირად: იესო დაინახავს მკვდარ განტევების ვაცს და გაიფიქრებს, რომ მისი გზაც ესაა, ღმერთმაც სწორედ ეს დაანახა. მარტო დარჩენილ ყმაწვილს აღმოხდება, რომ მოშივდა; ამ დროს დაინახავს ქვას და პური მოუნდება, მაგრამ ღმერთზე იწყებს ფიქრს და შიმშილიცა და წყურვილიც ავიწყდება.

ყმაწვილი შემოხაზავს წრეს, მასში ჩადგება და უნდა მანამდე იდგეს იქ, ვიდრე ღმერთი არ განუცხადებს თავის ნებას. პირველად იესოს ქალის სახით ეცხადება გველი და ეტყვის, რომ მისი სულია და ურჩევს დაივიწყოს სამყაროს გამოხსნა,

რადგან საკუთარი ცოდვებიც ბევრი აქვს. მაცდური სთავაზობს გადაარჩინოს მაგდალინელი. იესო მის ნათქვამზე დაფიქრდება და წარმოიდგენს ოჯახურ კერას, მაგრამ, როდესაც მაღლა აიხედავს, დაინახავს სახეებს, რომლებიც მიუთითებენ, რომ არ დასთანხმდეს მას. ყმაწვილიც განურისხდება გველს და გააგდებს. თუმცა მისი ეს წარმოსახვა იმდენად ძლიერია, რომ დიდხანს იტირებს იმ ცოლ-შვილისთვის, რომელიც არ ჰყავდა და ასეთ ტანჯვაში ჩაეძინება.

მისი მეორე გამოცდა ხდება ლომის სახით, რომელიც აჯერებს მას, თითქოს მისი გულია, მასში ღრიალებს და აუწყებს, რომ დროა, როგორც მეფემ, სადავეები ხელში აიღოს. ლომი მას თავის 4 თათზე მიუთითებს, რომ ესენია:

1) ბაბილონი;

2) იერუსალიმი;

3) ალექსანდრია;

4) რომი.

ყმაწვილი მის შემოთავაზებას სთანხმდება და ფიქრობს, დროა, უარი თქვას საკუთარ ტანჯვაზე, თავშეკავებაზე და ძალაუფლების სადავეები ხელში აიღოს. მაგრამ ანგელოზისაგან პასუხად ეუწყება, რომ ამ 4 დიდ ქალაქს განადგურება უწერია ღვთისაგან. იგი ატირდება და ისევ უდაბნოს ქვიშაში ჩაეძინება.

მესამედ გამოეცხადება ყვითელფრთებიანი ანგელოზი წარბებს შორის ვარსკვლავით. იგი აუწყებს, რომ მან დააძლევინა გველიც და ლომიც, რადგან ის უფრო დიადი საქმისთვისაა მოწოდებული. ანგელოზი გაახსენებს იესოს ბავშვობისდროინდელ ნატვრას, თუ როგორ სურდა მას, ღმერთი ყოფილიყო. ნათლისღებაზე კი ეტყვის, რომ ველურმა მტრედმა[4] კი არა, მთავარანგელოზმა გაბრიელმა წარმოთქვა უფლის სიტყვები: „შენ ხარ მხოლოდშობილი ძე ჩემი"... და ორივე ფრთით ეხება იესოს. ამის შემდეგ მას ფიქრები აღეძრება, რომ დაჯდებოდა მამის მხარმარჯვნივ ხალხის განსასჯელად, ამ დროს კი შემოესმება სიცილის ხმა და ეშმაკი ჰპირდება, რომ მომავალ წელს პასექზე ნახავს.

იესოს უდაბნოში გამოცდა სინოპტიკურ სახარებებშია აღწერილი (მათ. 4:1-14; მარკ. 1:12-13; ლუკ. 1-13). წმ. წერილში სატანა სთავაზობს: 1) პურით დანაყრებას; 2) ტაძრიდან თავის გადმოგდებას, რათა შეემოწმებინა, დაიხსნიდა თუ არა მას ანგელოზი და 3) თაყვანისცეს ეშმაკს ამქვეყნიური დიდების სანაცვლოდ. ეს სამი გამოცდა მიემართება 1) ჰედონიზმს (შიმშილი/კმაყოფილება), 2) ეგოიზმს (სანახაობრივი გადმოგდება/ ძალმოსილება), 3) მატერიალიზმს (სამეფოები/დიდება). ბერძენი ფილოსოფოსი, სოკრატე, სულს სამ ნაწილად ჰყოფდა. თხზულება „სახელმწიფოს" IV თავში პლატონი გვაუწყებს,

[4] ნათლისღების აღწერისას მწერალს ერთგვარი ინტრიგა შემოაქვს – იოანე, როდესაც მოემზადება, წარმოთქვას: „ნათელს იღებს მონა ღვთისა"... შეჩერდება, რადგან არ იცის იესოს სახელი, მაშინ გარდამოხდება ზეციდან ფრინველი („ველური მტრედი") თუ ანგელოზი და განუცხადებს იოანეს მის სახელს. იესოსთვის კი დაფარული დარჩება, რასაც ჩაიჩურჩულებს ნათლისმცემელი: „დღეს ნათლისიღებს უფლის მსახური, ძე ღვთისა, კაცობრიობის იმედი". იხ. Kazantzakis N., The last temptation of Christ [Tr. P.A. Bien], New York, 1960, p. 240.

რომ სულის პირველი ნაწილით შევიმეცნებთ, მეორით ვმრისხანებთ, მესამით კი სიამოვნებას ვეძიებთ. პროფ. ბუაძის შეფასებით: „პლატონი სულის სამნაწილიან კონცეფციას გადმოსცემს „სახელმწიფოს“ IX თავში. აქ იგი სულის უმდაბლეს, აპეტიტურ ნაწილს სიხარბეს უკავშირებს, რადგან სიმდიდრე, კერძოდ ფული, ჩვენი სურვილების დაკმაყოფილების უმთავრესი საშუალებაა. ტიმოთური ნაწილი ესწრაფვის ძალაუფლებას, გამარჯვებასა და რეპუტაციას, ამიტომ პლატონი მას პატივმოყვარული ამბიციების წყაროდ მიიჩნევს. სულის გონიერი ნაწილი ჭეშმარიტების შეცნობისკენაა ორიენტირებული და ამ მიზნით სწავლას ეტანება“... [ბუაძე, 2016: 87].

სტატიაშივე მკვლევარი გვაუწყებს, რომ ქრისტეს შემთხვევაშიც სულის სამივე ნაწილი გამოიცადა: 1. აპეტიტური (ნდომითი) ნაწილი, როცა ეშმაკი სთავაზობდა პურით დანაყრებულიყო; 2.ლოგოსური (გონიერი) - აიტაცებდა თუ არა ანგელოზი ხელში, რათა ფეხი არ წამოეკრა ქვაზე (ფს. 90:11-12); 3. თიმოტური (გულისწყრომითი) — ჰქონოდა სამეფო დიდება და ძალაუფლება.

კაზანძაკისისეულ გამოცდაშიც სწორედ ამ სამი ნაწილის გამოცდა ფიგურირებს 1) აპეტიტური, როდესაც გველი სთავაზობს არ გამოიხსნას სამყარო, არამედ მხოლოდ მაგდალინელი და ამით გაუჩინოს სიყვარულით ტკბობის განცდა: 2) თიმოტური, როდესაც ლომი სთავაზობს ხელთ იგდოს სამეფო დიდება და ძალაუფლება; 3) მაცდური ხილვაში ახსენებს ბავშვობის დროინდელ ფიქრებს, რომ ღმერთი გახდეს, რაც თითქოს პარალელს ავლებს ადამისა და ევას გამოცდასთანაც განღმრთობის შესახებ. ამ შემთხვევაში ქრისტე, როგორც ჩვენი მსგავსი სრული კაცი, როგორც მეორე ადამი, მთელი ცხოვრების განმავლობაში გადის იმ ცდუნებებს, რომლებიც უნდა დაძლიოს, რათა სულიერად ამაღლდეს. კაზანძაკისის ქრისტეს თავდადება და მსხვერპლშეწირვა ისაა, რომ მისეულ ქრისტეს სურს ცოლ-შვილი, ტიპური ადამიანური ბედნიერება, მაგრამ ამ ყველაფერზე უარს ამბობს ადამიანთა გამოხსნის, ანუ მოვალეობის გამო.

ავტორს გადაფასებული აქვს იუდას როლიც. სახარებაში აღწერილი მოღალატე პერსონაჟი მხოლოდ რამდენიმე პასაჟში ჩანს (მათ. 3:19; ლუკ. 6:16; იოან. 12:3-5; იოან. 13:29; იოან. 13:21-26; მათ. 26:14-16; მარკ. 14:10...); იუდა ისკარიოტელის როგორც გამორჩეული მოწაფის წარმოჩენა პარალელს ხანულობს აპოკრიფულ მწერლობასთან, კერძოდ, „იუდას სახარებასთან“, რომელშიც იუდა კაზანძაკისისეული ხედვითაა დანახული. შემოქმედის მიერ დახასიათებულ იუდას განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს იესოსთან და მისი დამოკიდებულებაც განსხვავებულია იუდას მიმართ — თითქოს მოვალეა, მხოლოდ მას აუხსნას ყველაფერი. ისკარიოტელი აჯანყებული ზილოტია, რომელსაც რომაელები სძულს. იესოს კი დაეჭვებით მიჰყვება, არ იცის დანამდვილებით, არის თუ არა ის აღთქმული მესია. ზილოტებს სურთ, იუდამ იესო რომთან თანამშრომლობის

გამო[5] მოკლას და სწორედ ამ მიზნითაც მიჰყვება თავიდან ისკარიოტელი მას.

არამხოლოდ იუდაა იესოს მესიობაში დაეჭვებული, არამედ სხვა მოწაფეებიც. მე-19 თავში აღწერილია, რომ მოციქულები დუქანში (რომელიც სიმონ კვირინელს ეკუთვნოდა) შეკრებილები ორჭოფობენ, არის თუ არა ის მესია და თითქმის დარწმუნებულებს სურთ მისი მიტოვება, მაშინ ახალგაზრდა იოანე ამბობს, რომ ჰგონია ის მესია. მისი გამოსვლა იმდენად დამაჯერებელია, რომ ყველა ერთხმად გადაწყვეტს, აღარ მიატოვონ მოძღვარი, თუმცა გაბრაზებული იუდა ისკარიოტელი მიუგებს მათ, რომ ერთ დღეს ყველანი მიატოვებენ მას, ხოლო თავად — არა.

იესო მხოლოდ იუდას გაანდობს, რომ მას წინასწარმეტყველი ესაია წარმოუდგა, როცა მარტო იყო გოლგოთის ქიმზე; მას ხელში ეჭირა თხის ტყავზე დაწერილი უწყება — მესიანური წინასწარმეტყველება, რომ მას კრავივით დასჯიდნენ და ის იტვირთავდა კაცთა ცოდვებს (ეს. 53). ეს სწორედ ის განტევების ვაცი იყო, იესომ უდაბნოში რომ იხილა. ამით ქრისტეს წინასწარმეტყველისგან ეუწყა თავისი მისიის არსი, რაც გულისხმობდა საბოლოო, ყველაზე რთულ ცხოვრებისეულ მესამე ეტაპს — თავგანწირვას.

იესო უკვე მზადაა იტვირთოს ნათლისმცემლის მიერ გაცხადებული მახვილის გზა, მაგრამ, როდესაც იერუსალიმის ტაძარში („კაციჭამია მხეცში")[6] დიდებით შედის, დაინახავს, რომ კაიაფა რომაელ ჯარისკაცებთან ერთად მახეში მოიმწყვდევს და ტაძრის ქიმზე უამრავი შეიარაღებული მეომარი ელოდება. მიმდევრები უცდიან მის ნიშანს და ჰგონიათ, მესია გამეფდება იერუსალიმში და მოციქულებიც დიდებას ეზიარებიან, მაგრამ ქრისტე უკან დახევას ამჯობინებს. იესო გადამწყვეტ მომენტში შეიმეცნებს თავის მისიას, რომელიც აღარ მდგომარეობს ნათლისმცემლისეულ „მახვილის გზაში". აქაც გამორჩეულ ადგილს იკავებს იუდას პერსონაჟი. იესო მოიხმობს იუდას, რომ მან გაამხნევოს:

დაიღალე, მოძღვარო?

დიახ, დავიღალე.

ღმერთი გაიხსენე და დაღლილობა გადაგივლის [Kazantzakis, 1960:410].

კაზანძაკისი სახარებაში გაჟღერებულ საშინელ სიტყვებს, რომ ფუჭად დაიკარგა კეთილსურნელება და შეიძლებოდა მისი გაყიდვა გაჭირვებულების დასაპურებლად, იუდას კი არ მიაწერს, არამედ თომას, რომელსაც მიანდო ავტორმა ყულაბა.

ქრისტე იუდას გაუმხელს, რომ ღმერთმა მას უფრო ადვილი მისია განუსაზღვრა, რომ იყოს ჯვარცმული:

ჩვენ ორმა უნდა გადავარჩინოთ სამყარო, დამეხმარე!..

---

[5] იგულისხმება აჯანყებული ზილოტის დასასჯელად ჯვრის დამზადება.

[6] ასე უწოდებს ტაძარს ავტორი იესოსა და პილატეს პირველი ფარული შეხვედრის დროს - იხ. Kazantzakis N., The last temptation of Christ [Tr. P.A. Bien]. New York, 1960. p. 382, თავად ქალაქ იერუსალიმსაც „კაციჭამიას" უწოდებს 27-ე თავში.

შენ რომ გიწევდეს მოძღვრის ღალატი, აღასრულებდი?..

არა, ვფიქრობ, ვერ შევძლებდი, ამიტომაც ღმერთმა შემიბრალა და განმისაზღვრა მე უფრო ადვილი მოვალეობა — ვიყო ჯვარცმული [Kazantzakis, 1960:420].

იუდას ამგვარად წარმოჩენა აშკარა მსგავსებას პოულობს აპოკრიფული ტექსტის „იუდას სახარების" ნარატივთან:

„შენ ყველას აჯობებ, რამეთუ გაწირავ კაცს, რომელიც მმოსავს მე" [კოუბერნი, 2013: 42-43].

ნ. კაზანძაკისის სახარებისაგან განსხვავებული შეხედულება იმაში ჩანს, რომ იუდასა და სიმონ კვირინელის ფიგურები წინ წამოსწია, მწერალი მკითხველს აჩვენებს დამფრთხალ მოციქულებს, რომლებიც ქრისტეს უკანასკნელ გზაზეც კი არ აცილებენ და მათ უპირისპირებს ქრისტეს სიტყვის ერთგულ იუდას და ტავერნის მფლობელს, სიმონ კვირინელს, რომელიც ბოლომდე იესოს გვერდით იყო[7].

იესოს საბოლოო ცდუნება ელის ჯვარზე, როდესაც ის ცდილობს წარმოთქვას: „ელი, ელი"... ტანჯვისგან დაღლილი გონებას დაკარგავს და მის ფიქრებში ხდება გამოცდა: თითქოს ანგელოზად გარდასახული მაცდური აუწყებს, რომ უფალმა შეიწყნარა მისი ვნება და, როგორც აბრაამს, არ შეაწირვინა საკუთარი ძე, ასევე მამაღმერთსაც არ სურს იესოს მოკვდინება. შემდგომ თხრობა გვამცნობს, რომ იესოს ცოლად მოჰყავს მაგდალინელი, რომელიც, მაცდურის უწყებით, უფალმა მალევე მოაკვდინა. დაცემული ანგელოზის უწყებით: „მხოლოდ ერთი ქალი არსებობს ამქვეყნად, ერთია დაუსრულებელ სახეებში. ერთი სახება ქრება, მეორე ჩნდება. მოკვდა მარიამ მაგდალინელი, მაგრამ ცოცხალია მარიამი, ლაზარეს და, ის გელოდება. ის მაგდალინელია, მაგრამ სახეცვლილი". მსგავსი დამოკიდებულება ჩანს გრიგოლ რობაქიძის ნოსტალგიურ თხზულებაში „გველის პერანგი", რომელშიც არჩიბალდ მეკეში (არჩილ მაყაშვილი), როცა დაკარგავს საცოლეს — ოლგას — ურჩევენ გველის მსგავსად მოიცილოს ძველი სამოსელი (პერანგი) და ახალი ცხოვრება დაიწყოს ახალ სატრფოსთან.

შემდეგ იესო ჩადის ბეთანიაში, წარუდგება მართასა და მარიამს. ნიკოს კაზანძაკისი იმეორებს პატრიარქ იაკობის ცხოვრებას იესოზე[8], რომელსაც მარიამი სურს ცოლად მოიყვანოს, მაგრამ მართა სთხოვს კალთა გადააფაროს, როგორც ბოყაზმა რუთს. მაცდური იესოს გარეგნობას და სახელს შეუცვლის, რათა მოსახლეობამ ვერ იცნოს, იესოც ლაზარეს დაირქმევს და დებს სთავაზობს

[7] ერთგვარი მსგავსებაა ტომ სტოპარდის პიესასთან „როზენკრანცი და გილდენსტერნი დაიხოცნენ" (1996 წ.). ავტორი წინა პლანზე აყენებს ჰამლეტის მოსაკლავად მიგზავნილ ორ პერსონაჟს: როზენკრაცსა და გილდენსტერნს, როდესაც შექსპირისეულ „ჰამლეტში" მათ სულაც არ აქვთ მთავარი მოქმედი გმირის პოზიციები. პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი სწორედ ესეცაა. რომ „გმირის" კულტი დაარღვიოს და მეორეხარისხოვანი ან თუნდაც უარყოფითად მრნეული პერსონაჟი წინ წამოსწიოს და მკითხველს სხვა თვალით დაანახოს.

[8] პატრიარქ იაკობს ცოლად ჰყავდა ორი და: ლეა და რაქელი (დაბ. 29-30).

ოჯახში ლაზარეს[9] ფუნქციის შესრულებას. სახელისა და სახის შეცვლა აშკარა მსგავსებას აჩენს ჰომეროსის უკვდავ პოემა „ოდისეასთან", როდესაც შინ დაბრუნებული ოდისევსი ჰერას მეოხებით ფიზიკურ იერსა და სახელს შეიცვლის.

„უკანასკნელ ცდუნებაში" იესოს ჯერ – სიმონ კვირინელი, შემდეგ პავლე მოციქული არწმუნებს, რომ მან საკუთარ მისიას გადაუხვია. ბოლო XXXIII თავში სასიკვდილო სარეცელზე მხცოვან იესოზე იმოქმედებს იუდა, რომელიც საშინლად გაკიცხავს, რომ არ უნდა გარიდებოდა სიკვდილს და თავისი ჯვარცმით ისრაელი უნდა გამოეხსნა. რეალურად კი იგი ქალების კალთას ამოეფარა ოჯახურ გარემოში. არცერთი მოციქული აღარ დაუდგება საბოლოოდ იესოს, როცა ის გაანალიზებს, რომ სიკვდილი ადამიანური ცხოვრებით კი არ დაამარცხა, არამედ მისგან (სიკვდილისაგან) გარიდებით შეცდა. მოწაფეებიდან მხოლოდ თომა ეტყვის: „ბედისწერის ბორბალი ბრუნავს, შენთან ვიქნები, დაველოდები, თუ როდის შემობრუნდება ბედისწერის ბორბალი შენკენ"...

იესო თვალს ახელს და საკუთარ თავს მარტოს აღმოაჩენს, აღარ შემოესმის საშინელი სიტყვები: „გამცემო, მხდალო, მოღალატე"! ის კვლავ ჯვარზეა გაკრული, არ გადაუხვევია თავისი მისიისგან და უდიდესი სიხარულით შეძრულს აღმოხდება შემაძრწუნებელი ხმა: „ლამა საბაქთანი"!.. შემდეგ კი „აღსრულდა", რაც ყოველივე ახლის დასაწყისს ნიშნავს.

ნიკოს კაზანძაკისის შემოქმედების ძირითადი თემები ჩვეული საგნების, დოგმების, წეს-ჩვეულებების ახალი რაკურსით წარმოჩენაა, მათი თავდაყირა დაყენება, ხოლო „უკანასკნელ ცდუნებაში" ერთგვარი „პეპლის ეფექტის" შემოღება და იუდას როლის გადაფასებაა.

იესო გადის 3 გზას: 1) სიყვარულის, 2) მახვილისა და 3) ჯვარცმის.

საბოლოოდ ქრისტე წარემატება რწმენაში როცა გააანალიზებს, რომ უნდა გაიმარჯვოს არა სამხედრო ძალით, არამედ ჯვარცმით. ჯვარზე კი უკანასკნელი ცდუნება მოელის.

რა სურდა ავტორს მკითხველისთვის ეთქვა? – ცდუნებაც და სიკვდილიც შეიძლება დამარცხდეს ჯვარცმით.

ქრისტიანული თეოლოგიის თანახმად, ქრისტეს თავგანწირვა ემყარება კენოტიკურ[10] ეთიკას[11], რაც გულისხმობს ღმერთის განკაცებით საკუთარი თავის დამდაბლებას. კაზანძაკისის ქრისტეს შემთხვევაში ადამიანურ ბედნიერებაზე უარის თქმა წარმოადგენს თავგანწირვას. ნაწარმოებში წარმოჩენილია ქრისტე – როგორც მაძიებელი ადამიანი და არა ღმერთკაცი, რომელსაც აქვს ერთი ჰიპოსტასი (პიროვნება), რომელმაც შეიერთა ადამიანური ბუნება და არა

[9] ნაწარმოებში ლაზარეს მკვდრეთით აღდგინების შემდეგ ბარაბას მეთაურობით ყაჩაღები იესოს სასწაულის მისაჩქმალად პასექის დღესასწაულზე ლაზარეს მოკლავენ.

[10] Κένωσις ზმნა ითარგმნება როგორც დაცარიელება, ჭუება. სიღრმე - ყაუხჩიშვილი ს.. ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი, 2005, გვ. 326.

[11] „არამედ თავი თვსი დაიმდაბლა და ხატი მონისაჲ მიიღო და მსგავს კაცთა იქმნა და ხატითა იპოვა ვითარცა კაცი" (ფილ. 2:7).

პიროვნება. ქრისტეს ორი პიროვნება რომ ჰქონოდა, მსგავსი კონფლიქტი სახარებაშიც იქნებოდა ასახული. ლიტერატურული პერსონაჟი კი სწორედ ამგვარ კონფლიქტს განიცდის: ადამიანურის ღვთიურთან.

ქრისტიანულ კონფესიათა ნაწილისთვის ნაწარმოები შეფასებულია უარყოფითად, თუმცა გამოკვეთილი პოზიცია კაზანძაკისის შესახებ არ არსებობს. დიდი შემოქმედი დაკრძალულია ჰერაკლიონში და საფლავის ქვას თავისი თხზულებიდან ცნობილი ციტატა აწერია:

„არაფერს ვიმედოვნებ, არაფრის მეშინია, თავისუფალი ვარ"![12]

ლიტერატურა:

1. ბუაძე თ. 2016, ფილოსოფიურ-რელიგიური შეხედულებები სულისა და მისი უკვდავების შესახებ (69-97), თბილისი: გული გონიერი.
2. ეკო, უ. 2011, ვარდის სახელი [მთარგმ. ცხადაძე ხ.], თბილისი: „დიოგენე".
3. კაზანძაკისი, ნ. 1997, ასკეზა [თარგმ. თ. მესხი], თბილისი: მეცნიერება.
4. კაზანძაკისი, ნ. 2015. ქრისტე კვლავ ჯვარს ეცმის, [თარგმ. მ. კაკაშვილი], თბილისი:„ლოგოსი".
5. „ლიტერატურული გაზეთი". (2015), №18 (154), 12-13.
6. ქამუშაძე, მ. 1998, ლიტერატურული მიმდინარეობები ბერძნულ მწერლობაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. თბილისი: „ლოგოსი".
7. ყაუხჩიშვილი ს. 2005, ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი.
8. Kazantzakis, N. 1960, The last temptation of Christ [Tr. P.A. Bien], New York.
9. Middleton I. N. 2005, Scandalizing Jesus?: Kazantzakis The last temptation of Christ fifty years on.
10. კოუბერნი ე. 2013, იუდას სახარება (გვ. 36-53), თბილისი: National Geographic.

[12] „ახლა ვიცი – არაფერს ვიმედოვნებ, არაფრის მეშინია, გავთავისუფლდი გონებისა და გულისაგან, ავედი უფრო მაღლა, თავისუფალი ვარ. ეს მინდოდა, სხვა არაფერი მსურს, თავისუფლებას ვეძებდი" - კაზანძაკისი ნ., „ასკეზა" [თარგმ. თ. მესხი], მეცნიერება, თბილისი, 1997, გვ. 20.

GIORGI GVELESIANI
Tbilisi Theological Academy and Seminary (TSAS)

ANALYSIS OF NIKOS KAZANTZAKIS'S NOVEL "THE LAST TEMPTATION" AND ITS CONNECTION TO THE NARRATIVE OF GOSPELS

Summary

In the history of world literature, many writers devoted a place of Christ's figure in their works and in this case Nikos Kazantzakis is not an exception also. He was a well-known Greek writer and philosopher. The most important detail in his work is the unconventional understanding of religious dogmas. In the present article, his work will be discussed "the last temptation" (published in 1955). The central thesis of the book is that Jesus, who was a sinless in the Gospels, but we find in Kazantzakis' work a different Christ, who is a subject of fear, doubt, sadness and temptation. The writer emphasizes the desire of Christ to be elevated from human to divine. The book describes his spiritual struggle, which is the defeat of the temptations that seem to try to erase his mission. There are three people who have an influence on the world outlook of Jesus: 1. When he saves Mary Magdalene from stoning, He begins to preach love among men, 2. After meeting with John the Baptist he chooses the way of the sword, 3. When the scribe introduce prophet (Isaiah) in the vision tells him about the suffering Messiah, then He says it to Judas Iscariot that this is God's burden and that He should save the mankind. The article will be topical for the Georgian readers because the author himself had been in Georgia three times and he had a friendship with Georgian writers (T. Tabidze, P. Iashvili, G. Robakidze, G. Leonidze, M. Javakhishvili) and he always mentions Georgia and Georgian people in his works.

ინგა აღამია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰეროსა და ლეანდრეს მითის პარალელები კულტურათაშორისი დიალოგის ჭრილში

კულტურის ანალიზი ხშირად კულტურათა შორის ურთიერთობის ანალიზსაც ნიშნავს. სხვადასხვა კულტურა რომ არ არსებობდეს, ადამიანები კულტურაზე არც ვიფიქრებდით. სხვაობა კულტურათა შორის კიდევ უფრო ცხადი ხდება ადამიანთა აზროვნებაში, ემოციებსა და ქცევებზე დაკვირვების შედეგად გამო. შესაბამისად, კულტურის გააზრება შეუძლებელია ერთი კულტურის ფარგლებში, კულტურის ანალიზი სხვადასხვა კულტურას უნდა მოიცავდეს. კულტურაში იგულისხმება საერთო ფასეულობები, ნორმები და ღირებულებები, რომლებიც ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფს მიეკუთვნება. კულტურათაშორისი დიალოგი თავის მხრივ ეფუძნება ლინგვოკულტურულ ცნობიერებას.

ტექსტი - ესაა ინტერტექსტი, რომელიც ერთმანეთის თანასწორუფლებიანი კულტურული ხმებისგან შედგება. ჯერ კიდევ ათვისების სტადიაში მყოფ ტექსტებს მივყავართ ლინგვოკულტურული ცნობიერების კოლექტიური მითების წარმოქმნამდე, რომლებიც ახდენს სინამდვილის თავისებურ დეფორმირებასა და მოდელირებას, ამასთან მოიცავს ცხოვრების ყველა სფეროს. თავის წერილში „მითი დღეს" რ. ბარტი მჭიდროდ უკავშირებს მითს ენასა და ინფორმაციას. ის, რაც ენაში ნიშანია, მითში აღმნიშვნელად იქცევა. მითები ლინგვოკულტურული ცნობიერების არქეტიპებია.

რ. ბარტი განსაზღვრავს ძლიერ და სუსტ მითებს. „ძლიერ მითებში პოლიტიკური მუხტი უშუალოდაა მოცემული და მისი დეპოლიტიზება დიდ ძალისხმევას მოითხოვს. სუსტ მითებში საგნის პოლიტიკური ხარისხი გაუფერულებულია, როგორც ძველი საღებავი, მაგრამ საკმარისია მცირე ძალისხმევა, რომ იგი აღდგეს" [კინწურაშვილი, 2010:194-96].

აქედან გამომდინარე, ბერძნული მითი ჰეროსა და ლეანდრეს შესახებ ძლიერ მითებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ, ხოლო სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ ქცეულა მსჯელობის საგნად მითოლოგიის (ხალხური სიტყვიერების) და ლიტერატურის ურთიერთმიმართების საკითხი, რომლის საფუძვლიანი შესწავლა უფრო ნათლად წარმოაჩენს ხალხური შემოქმედების მნიშვნელობას მსოფლიო კულტურის ისტორიაში.

დღევანდელი თვალსაწიერიდან მთელი მსოფლიოს წინაშე რეალობასავით გაცოცხლებულა უძველესი მითოლოგიური თქმულებები. ტიმ სევერინმა საბერძნეთიდან საქართველომდე (ისტორიულ კოლხეთამდე) გაცურვით ძველელადური ნიმუშის ხომალდით „არგო" გააცოცხლა არგონავტების მითი, ჰაინრიხ შლიმანმა ტროას გათხრებით -ჰომეროსის „ილიადა", ხოლო ჯ. ნ. გორდონ ბაირონმა ლეგენდარული ჰელესპონტის - დარდანელის სრუტის გადაცურვით - ლეანდრისა და ჰეროს სიყვარულის ლეგენდა.

ბერძნულ მითოლოგიაში გავრცელებული არაერთი ამბავი ანალოგიას სწორედ ქართულ და კავკასიურ ფოლკლორში პოვებს და აქვე აღვნიშნავთ, რომ, გარდა მედეას მითისა, ქართულ ხალხურ ფოლკლორში, გვხვდება ისეთივე სიყვარულის ისტორია, როგორიც ჰეროსა და ლეანდრის მითია, მაგრამ, რა თქმა უნდა განსხვავებული სიუჟეტით.

მაგრამ როგორია ამ ბერძნული მითის სიუჟეტი? ჰელესპონტი, იგივე დარდანელის სრუტე, ევროპასა და აზიას შუა მდებარეობს. მითის თანახმად, აზიის ნაპირზე, პატარა ქალაქ აბიდოსში, სიმამაცითა და სილამაზით განთქმული ჭაბუკი ცხოვრობდა. ლეანდრს გატაცებით შეუყვარდა უმშვენიერესი ჰერო, რომელიც ჰელესპონტის მეორე ნაპირზე, ევროპის ქალაქ სესტოსში, ცხოვრობდა. ყოველ ღამით ლეანდრი აპობდა ჰელესპონტის ცივ ტალღებს, რათა მიეღწია მეორე ნაპირამდე, სადაც ჰერო ელოდა. ცივი დეკემბრის ერთ ავბედით ღამეს ლეანდრი სწრაფმა დინებამ შთანთქა. დილით მისი სხეული ტალღებმა სესტოსის ნაპირზე გამორიყა. მიჯნურის დაღუპვით სასოწარკვეთილმა ჰერომ თავი მოიკლა.

ორი ახალგაზრდის სიყვარულის ამბავმა, მხოლოდ ზღვის სტიქია რომ აშორებდათ, დაატყვევა ბაირონი. სამიჯნურო პაემანი, რომელსაც წინ აღუდგა ფართო სრუტე მღელვარე ტალღებით; ლეანდრის დაღუპვა, საფრთხე რომ არად ჩააგდო და ქარიშხალში სცადა სრუტე გადაელახა; ჰეროს თვითმკვლელობა, მისი განშორება რომ ვერ აიტანა - ასეთია ამ ძველი მითის ელემენტები, სიყვარულსა და დაბრკოლების დაძლევას რომ უმღერის.

ბაირონს სურვილი გაუჩნდა ლეგენდარული ლეანდრის გმირობა საკუთარ თავზე გამოეცადა. ბაირონის შემოქმედებაში ალუზია, ანუ ქარაგმა, როგორც სტილისტური ხერხი, აბსოლუტურად უნიკალურ შინაარსს იძენს, როცა მოუხმობს მითოლოგიურ, ბიბლიურ თუ ისტორიულ გმირებს და მისტიკურ ურთიერთობაში შედის მათთან მთელი თავისი ცხოვრებით, უფრო ზუსტად, ის მუდმივ კავშირშია მათთან. მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამ ასპექტზე პირველად ყურადღება გაამახვილა ქართველმა მკვლევარმა, პროფ. ი .მერაბიშვილმა. ლორდი ბაირონი თავისი შთამბეჭდავი ცხოვრებით პრომეთეს განასახიერებს, ხოლო მითიური გმირების წარმოსახვამ იგი მიიყვანა ჰელესპონტის ნაპირებთან, სადაც ჰეროსა და ლეანდრის მითის უკვდავყოფა შეძლო. ვინ უწყის, ყოველივე მართალი იყო თუ არა, მაგრამ, როგორც ბაირონი დარწმუნდა, ერთი რამ ცხადი იყო, ეს სრუტე მოკვდავს მას შემდეგ აღარასოდეს გადაეცურა. ინგლისური ფრეგატის

მეზღვაურებს შორის მან კომპანიონიც მონახა, ლეიტენანტი ეკენჰენდი. აპრილში მათ წყალს პირი მოუსინჯეს, მაგრამ თავი შეუკავებიათ, რადგან სრუტე ყინულივით ცივი ყოფილა და დინებაც ძალიან სწრაფი. 1810 წლის 3 მაისს ეს გაბედეს და ფრიად წარმატებულადაც.

ამ გმირული ნაბიჯიდან ექვსი დღის შემდეგ ბაირონი დაწერს მხიარულ სტრიქონებს: „WTITTEN AFTER SWIMMING FROM SESTOS TO ABYDOS", „სესტოსიდან აბიდოსამდე". ბაირონი ამ ლექსით ლეანდრისა და ჰეროს მითს ეხმიანება. ბერძნული მითით დაინტერესება ჩანს ასევე ბაირონის პოემიდან „აბიდოსელი საპატარძლო" („THE BRIDE OF ABYDOS").

If, in the month of dark December,
Leander, who was nightly wont
(What maid will not the tale remember?)
To cross thy stream, broad Hellespont!

„ცივი დეკემბრის უკუნით ღამეს
ლეანდრს ნაპირზე ჰერო ელოდა,
ჭაბუკი ტალღებს აპობდა გზნებით,
და სიოც თითქოს მისთვის მღეროდა.

If, when the wintry tempest roared,
He sped to Hero, nothing loth,
And thus of old thy current poured,
Fair Venus! how I pity both!

უცებ ავარდა მძიმე გრიგალი,
ტალღა აზვირთდა, სრუტე ღელავდა,
იყო მძვინვარე თქეში და ქარი,
და ჩირაღდანიც აღარ ელავდა.

For my, degenerate modern wretch,
Though in the genial month of May,
My dripping limbs I faintly stretch,
And think I've done a feat to-day.

მე უბედური ამ ქვეყნის შვილი,
მხოლოდ უწყინარ მაისს მივენდე,
თხემით ტერფამდე ვარ გათოშილი
და ამ გმირობით თავს ვიიმედებ.

But since he crossed the rapid tide,
According to the doubtful story,
To woo, – and – Lord knows what beside,
And swam for Love, as I for Glory;

თუ ჰელესპონტი მართლა გაცურა,
ლეანდრს ეწადა ქალის ტრფიალი,
ვაგლახ, რომ უკვე სხვა დრო მოსულა,
მხოლოდ დიდების ვარ მოტრფიალე.

'Twere hard to say who fared the best:
Sad mortals! thus the Gods still plague you!
He lost his labour, I my jest:
For he was drowned, and I've the ague.
(თარგმანი ინესა მერაბიშვილისა)

არ ვიცი, ეს გზა ვისთვის რა იყო,
ღმერთი არ გწყალობს, არ გეშველება,
რადგან მიჯნური წყალში დაიხრჩო
და მე წარმიტანს ციებ-ცხელება".

ბერძნულ მითოლოგიაში გავრცელებული არაერთი ამბავი, როგორც ვთქვით, ანალოგიას პოულობს ქართულ და კავკასიურ ფოლკლორში. ესაა: პრო-

მეთე-ამირანის მსგავსება, არგონავტიკა და მედეა. ს. ყაუხჩიშვილის აზრით კი, თქმულება ჰეროსა და ლეანდრზე შეიძლება საბერძნეთში მას შემდეგ გაჩნდა, „რაც ბერძნული სამყარო მჭიდროდ დაუკავშირდა აღმოსავლეთს ალექსანდრე მაკედონელის მეშვეობით. საგულისხმოა, რომ ამგვარი თქმულება შემოგვინახა ქართულმა ფოლკლორმა „თავფარავნელი ჭაბუკის" თავგადასავლის სახით, რაც უნდა მოწმობდეს ბერძნული თქმულების აღმოსავლურ წარმომავლობას [ყაუხჩიშვილი 1973:59-60].

ამ ხალხური ლექსის ზერელე გადაკითხვითაც კი მკითხველი იგრძნობს რაღაც ზღაპრულ, ფანტასტიკურ სამყაროს, რომელიც, მართალია, დაახლოებულია სატრფიალო რომანტიკასთან, მაგრამ მაინც ავლენს ლექსში დაცული მითოსის ნაწილებს და მის ძველისძველობას. ამ კუთხით შეიძლება პარალელი გავავლოთ მსოფლიო ფოლკლორთან. ბალადაში „თავფარავნელი ჭაბუკი" უცილობლად ჩანს მის შემქმნელთა დახვეწილი პოეტური ხედვა და ტრაგიკულის შეგრძნების უნარი. ბალადის ვარიანტთა დიდი წილი აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული და ხასიათდება მოტივთა ერთგვაროვნებით. ქალ-ვაჟის სიყვარულს ხელს უშლის ავსული დედაბერი. ვ. კოტეტიშვილი ფიქრობდა, რომ „თავფარავნელი ჭაბუკი" დიონისეს ქართული სახეა; ლექსის განხილვისას მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს სამ საკითხზე: თვით სახელი „თვაფარავნელი", „დოლაბი", რომელიც ცურვის დროს „ცალ ხელით მიაქვს" და „წითელი მოვის პერანგი", მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა „დოლაბის" ტექსტობრივი მნიშვნელობის და ტოპონიმის - თავფარავნელის - დადგენა. ეს შეძლო პროფ. ინესა მერაბიშვილმა, როდესაც ლექსი „თავფარავნელი ჭაბუკის" ინგლისურად თარგმნა და დაადგინა, რომ დოლაბი-ბორბალი ჯავახეთში ხისგან დამზადებული ბორბლის უძველესი პრიმიტიული სახეა; იგი ღერძის გასაყრელად შუაში გახვრეტილი ან სულაც ცურვის დროს დამხმარე საშუალება მკლავის გასაყრელად. თარგმანშიც ეს სიტყვა წარმოდგენილია როგორც *„lifebef"* და არა როგორც *„millstone"* მანამდე არსებული კევინ ტუტისეული თარგმანისა. იმავე თარგმანში ასევე ვკითხულობთ:

A lad from Tavparavani,

Was loved by a maid of Aspindza.

ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ საჭირო გახდა ტოპონიმის დადგენა და შემდგომმა კვლევებმა ცხადყო: „რაკი ბალადის მთავარი გმირის საცხოვრისი ნაწარმოებში ზედმიწევნით არის ლოკალიზებული (იგი თავფარავნელი ჭაბუკია). ცხადია, მისი სატრფოს ადგილსამყოფელიც თავიდანვე გარკვეული იქნებოდა; ის ვერ იქნებოდა ვერც უცნობი აშკარეთი, ვერც ასპანა და მით უმეტეს. ვერც ასპინძა, რომელიც უდიდესი მანძილითაა დაშორებული თავფარავნის ტბას. ეს პუნქტი უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ ასფარა, ის მცირე სოფელი, რომელიც თავფარავნის პირდაპირ, ტბის ჩრდილო ნაპირზე, მდებარეობს და დღემდე ამ

სახელს ატარებს. ამ ფაქტზე სათანადოდ მიუთითა პროფ. ს. ქაჯაიამ, რომელმაც ჯავახეთის ტოპონიმიკური რეალობის გაცნობის შედეგად ასფარა აღიარა ლექსში მოხსენიებულ სწორ გეოგრაფიულ პუნქტად" [მაისურაძე, 1969:210].

ჩვენთვის ნიშანდობლივია „თავფარავნელი ჭაბუკის" ტექსტობრივი მსგავსება ლეანდრისა და ჰეროს მითთან და ბაირონის ლექსთან „სესტოსიდან აბიდოსამდე".

„ღამე ჩამოდგა წყვდიადი,
უკუნს რამესა ჰგვანობდა,
ტალღა ტალღაზე ნაცემი
ვაჟის ჩანთქმასა ლამობდა.
დაჰკარგა ფონი, შეშჭირდა,
მორევი ბობოქარობდა".

მსგავსი სიმძიმით აღწერს ბუნების ჭირვეულობას ბაირონი, რომელიც მიჯნურთა დაშორების მთავარი ფაქტორია:

„უცებ ავარდა მძიმე გრიგალი,
ტალღა აზვირთდა, სრუტე ღელავდა,
იყო მძვინვარე თქეში და ქარი,
და ჩირაღდანიც აღარ ელავდა".

სიყვარულის ქალღმერთს უყვარს მსხვერპლი, მოთმენა, მაგრამ უფრო მეტად უკიდურესობები და უაღრესობანი. ის ყველას ერთიანად სწყალობს, ვისაც კი მის სამსხვერპლოზე წრფელი ზვარაკი მოუტანია. და ცხადია, ჭაბუკს ფორტუნა არ სწყალობს, არ წყალობს ის ბაირონსაც.

„არ ვიცი, ეს გზა ვისთვის რა იყო,
ღმერთი არ გწყალობს, არ გეშველება,
რადგან მიჯნური წყალში დაიხრჩო
და მე წარმიტანს ციებ-ცხელება".

ბაირონმა ბერძნული მითი ჰეროსა და ლეანდრეს შესახებ თავისი ტექსტობრივი ინტერპრეტაციით, ენით საზოგადოების, ანუ კულტურის მატარებელთა ცნობიერებაში სწორედ ტექსტების მეშვეობით დაამკვიდრა. პოემა „აბიდოსელი საპატარძლო" და ლექსი „სესტოსიდან აბიდოსამდე" სწორედ ჰეროსა და ლეანდრის მითზე დაყრდნობით შეიქმნა, ხოლო ჩვენს ქართულ სინამდვილეში ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშმა იგი შემოგვინახა „თავფარავნელი ჭაბუკის" სახით, რომელიც ქართული ხალხური პოეზიის თვალ-მარგალიტია და ზემოხსენებული მითის ინტერპრეტაცია.

ლიტერატურა:

1. კინწურაშვილი, 2010: „ინტერტექსტუალობის პრეზუმფცია და სტრატეგია", საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა".
2. კოტეტიშვილი ვ. 1961. ხალხური პოეზია, მე-2 გამოცემა, თბილისი.
3. მაისურაძე ი., „თავფარავნელი ჭაბუკის" ზოგი სიტყვის განმარტებისთვის, ქართული ფოლკლორი, ტ. 3, თბილისი 1069.
4. მერაბიშვილი ი., „თარგმანი, როგორც ლექსიკოგრაფიული გამოკვლევა".
5. ყაუხჩიშვილი ს., 1973, „ბიზანტიური კულტურის ისტორია", თბილისი.
6. Byron 1970: Byron Poetical Works, Edoted by Frederick Page, A New Edition Revised by John Jump, Oxford University Press 1970

INGA ADAMIA
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

PARALLELS OF THE MYTH ABOUT HERO AND LEANDER IN THE CONTEXT OF INTERCULTURAL DIALOGUE

Summary

The issue of correlation between mythology (folklore) and literature repeatedly appears as a subject of debates in academic publications that additionally proves the necessity of its thorough studying, especially as folklore itself plays the most significant role in the history of the World culture.

Nowadays we can see that ancient myths, legends and sagas have been revived in various fields of history and literature. Tim Severin found a likely explanation for the legend of the Golden Fleece and sailed from northern Greece through the Dardanelles to Georgia, on a galley based on a detailed scale model of the "Argo". Heinrich Schliemann, making archeological excavations of ancient Troy, blew the new life into Homer's "Iliad" and George Gordon Byron, sailing across the legendary Hellespont–Dardanelles, brought to reality the legend of love between Hero and Leander. Byron alluded to this myth in "The Bride of Abydos" and the poem "From Sestos to Abydos".

The paper argues that the plot of a masterpiece of Georgian folklore "The Lad from Tavparavani" is similar with the myth of Hero and Leander. Apart from the myth about Medea there are lots of analogies of Greek mythological sagas in Georgian and Caucasian folklore.

When crossing the Dardanelles in emulation of Leander Byron did not know about its link with Georgian culture. Byron, using the language of interpretation and texting, managed to infuse the Greek myth about Hero and Leander into human perception.

Allusions as stylistic means acquire absolutely unique implications In Byron's life. Georgian scholar, Professor Innes Merabishvili was the first to emphasize this aspect of Byron's attitude towards myths. The poet not only alludes to them in poetical lines but reincarnates them with his life episodes. One of them is the myth of Hero and Leander. Fired with imagination, Byron landed on the coast of Hellespont, blew the immortal spirit to the myth, when crossing the strait and laid a symbolic bridge between Europe and Asia.

ია ღაღუა
გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი

გიორგი ერისთავი – პოეზი, მთარგმნელი, დრამატურგი (ლიტერატურის მუზეუმში დაცული ავტოგრაფების მიხედვით)

ქართული ლიტერატურის ისტორიაში გიორგი ერისთავი უმეტესად ცნობილია, როგორც ქართული დრამატურგიის ფუძემდებელი. მაგრამ ალბათ ბევრმა არ იცის, რომ ჟურნალ „ცისკრის" დამაარსებელსა და შესანიშნავი კომედიების ავტორს მრავალი ლექსი და პოემა აქვს შექმნილი, რომელთა გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის კვლევა.

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია გიორგი ერისთავის რამდენიმე ავტოგრაფ-კრებული, რომლებიც საფუძვლად დაედო მწერლის გამოცემებს – სსლმ 18012-ხ, სსლმ 18013-ხ, სსლმ 18015-ხ, სსლმ 18016-ხ, სსლმ 18017-ხ, სსლმ 18028-ხ, სსლმ 18032-ხ.

ყველაზე ვრცელია 174-გვერდიანი ავტოგრაფ-კრებული საინვენტარო ნომრით სსლმ 18032-ხ. ტექსტი შესრულებულია შავი, ყავისფერი და წითელი მელნით; ზოგი ლექსის სათაური თარგმნილია რუსულად და მიწერილია ქართული სათაურის გასწვრივ; რამდენიმე ლექსი ჩასწორებულია ავტორის მიერ.

კრებულის შექმნის ზუსტი თარიღი უცნობია. გიორგი ერისთავს ამ კრებულის შედგენა, სავარაუდოდ, XIX საუკუნის პირველ მეოთხედში დაუწყია, მაგრამ შემდეგ მასში შეუტანია 1848–1849 წლებში დაწერილი ლექსებიც. უფრო გვიანდელი ლექსები კრებულში არ გვხვდება.

კრებული შეიცავს არა მხოლოდ გიორგი ერისთავის, არამედ ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სხვათა ლექსებს, რომლებიც გიორგი ერისთავის ხელითაა ჩაწერილი. კრებულს კიდევ ერთი დანიშნულება ჰქონია – 11r-ზე დასაწყისში მინაწერია შავი ფანქრით: „ქართული ლექსი თხზულება. ცისკარი"; 11r-21r-ზე გიორგი ერისთავის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის ზოგი ლექსი შავი ფანქრითაა მონიშნული. როგორც ჩანს, ავტოგრაფ-კრებულს იყენებდნენ „ცისკრისთვის". მართლაც, ჟურნალ „ცისკრის" 1852 წლის გამოცემებში გვხვდება ეს მონიშნული ლექსები იმავე ფორმით, როგორიც ხელნაწერშია.

კრებული საინტერესოა იმითაც, რომ მასში არის ექსპრომტად შესრულებული ლექსები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში ავტორს გადახაზული აქვს და

შესაბამისად, ის არც ერთ ბეჭდურ გამოცემაში არ გვაქვს. მაგალითად, 44v-ზე, ქვედა მხარეს გადახაზულია ლექსი „კალამბური. ერთ ქალს სტოლზედ ექსპრომტად": „ხელმწიფევ, ვგონებ ბოზბაში იყო ცოტა მარილიანი/ მაშ ნება მომეცით, თქვენს სტაქანს ჩავასხა ღვინო წყლიანი/ წყურვილის მოსაკლავად ეს მიირთვით". მესამე სტრიქონის წინ გადახაზულია: „მაშ ჩემის ხელით მიირთვით", „განსაგრილებლად ეს".

22v-ზე ჩართულია ნაწყვეტი არაკიდან „Волк и ягненок" რუსულ ენაზე, რომელსაც თავსა და ბოლოს ერთნაირი მინაწერი აქვს: „Я писалъ. Николай Карангозовъ".

საინტერესოა კრებულში წარმოდგენილი გიორგი ერისთავის „შეშლილის" მონაკვეთები. ის პოემის I რედაქციის გადამუშავებული ვარიანტია, რომელიც სხვა ხელნაწერებსა და გამოცემებში უკვე გვხვდება, როგორც პოემის მეორე ნაწილი. ხელნაწერის ბოლო გვერდებზე კი ფანქრითაა ჩაწერილი ბეგლარის მონოლოგი „შეშლილიდან", სამუშაო ვარიანტი გადახაზული და ჩასწორებული სტრიქონებით. ვფიქრობთ, პოემის ტექსტოლოგიური შესწავლის თვალსაზრისით ეს ხელნაწერი საკმაოდ საინტერესო წყაროა.

როგორც აღვნიშნეთ, ეს კრებული ყველაზე ვრცელია, მასში 73 ლექსია მოთავსებული და საინტერესოა ვარიანტული თუ რედაქციული სხვაობების თვალსაზრისით საკვლევად. მაგალითად, 6v-ზე ლექსს „უფალა ბიშპინგს" გიორგი ერისთავის თხზულებათა გამოცემებში სათაურიც და დაბოლოებაც განსხვავებული აქვს: „როზალიას — ბიშპინგის ქალს": დასასრული: „მით მსუბუქ მექმნა ტვირთი გულისა / და იქმნა ჭმუნვა განქარვებული"; 12v-ზე ლექსი „ქონს" გიორგი ერისთავის თხზულებათა გამოცემებში უსათაუროა.

16r-ზე ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „ოცნება პუშკინისგან" ასეთივე სათაურითაა დაბეჭდილი ჟურნალ „ცისკარში" (1852 წ. №2), ხოლო ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა 1881 წლის გამოცემაში მას სხვა სათაური აქვს — „სიზმარი"; 16r-ზე გრიგოლ ორბელიანის ლექსი „..... მ...." ჟურნალ „ცისკარში" (1852 წ. №2) ასეა დასათაურებული: N..... გამოცემებში კი განსხვავებული სათაური აქვს: „ნ....ს".

17v-ზე გიორგი ერისთავის ლექსი „გარემისა საფლავნი ყირიმში" წყაროებში ვარიანტულ სხვაობას იძლევა. ჟურნალ „ცისკარში" (1852 წ. №3) ასეა დასათაურებული: „გარემისა საფლავნი პოლშურით", გამოცემებში კი განსხვავებული სათაური აქვს: „არამხანის საფლავნი ბახჩასარაიაში, ყირიმში (მიცკევიჩით)"; 18v-ზე ლექსი „მიბაძავ პუშკინით" გამოცემებში დასათაურებულია: „მარი (პუშკინით)". პოემის „ზარე და ყანიმათ" (31r) დასაწყისი გამოცემებში განსხვავებულია. ხელნაწერის ტექსტს გამოცემებში 1 ტაეპი უძღვის: „ქსანი მკვირცხლობით მომდინარე, გამყოფი მთათა..... ხან ჰგლეჯავს ხეთა და ველებთა, იწყებს განებას".

გიორგი ერისთავის ლექსი Къ Нл... (48v-49r) გამოცემებში დასათაურებულია

ამგვარად: „კ. ბაბ. ორბე[ლ] (პუშკინის გვარად)". 49r-ზე გიორგი ერისთავის 10-სტრიქონიანი ლექსის „გაქსუებული (მიბაძვა მიცკევიჩისა)" მე-8 და მე-9 სტრიქონები შავი ფანქრით ჩასწორებულია ისე, როგორც შემდგომში დაბეჭდილია გამოცემებში.

58v-59v-ზე გიორგი ერისთავის ლექსს „К. б. ივანე" სათაურად აწერია: „К Скобликову", „სკობლიკოვს". შემდეგ ავტორს გადაუხაზავს ეს სათაური და გვერდით მიუწერია: „К. б. ივანე". ლექსი პირველად დაიბეჭდა გიორგი ერისთავის თხზულებათა 1884 წლის გამოცემაში სათაურით „ჩემს ძმას ივანეს". ამავე სათაურით გვხვდება სხვა გამოცემებშიც (1936წ. 1966წ.). 61r-62r-ზე გიორგი ერისთავის ლექსი „სატირა. ბ. ო....ზედ" გამოცემებში დასათაურებულია სხვაგვარად — „ფიქრი ყმაწვილი ქალისა (სატირა)". 62r-ზე გიორგი ერისთავის ლექსს „თოვლი" დასასრულ ფანქრით გადაშლილი აქვს თარიღი: „15-ს დეკემბერს. ქ. რიგას. პოლშაში". ყველა გამოცემაში ლექსს სხვა თარიღი აქვს მითითებული: „15-ს სეკტენბერს. ქ. ტფილისს".

შედარებით მცირე მოცულობისაა ავტოგრაფიული კრებული საინვენტარო ნომრით სსლმ 18012-ხ. 36-გვერდიან კრებულში გიორგი ერისთავს ჩაუწერია თავისი 24 ლექსი, რომლებიც ხელმოწერილია ინიციალებით: „თ. გ. ერ...", „თ. გ. ერის...", „თ. გ. ე...", „გ. ერ...", „გ. ე...".

საინტერესოა კრებულის სტრუქტურა, მიძღვნილი და თარგმნილი ლექსები კრებულში ერთადაა თავმოყრილი და დაყოფილი ორ განყოფილებად: 1. „უსტარნი" (7r-12r) — იწყება 1833 წელს პატიმრობის ჟამს სვიმონ მაჩაბლისადმი მიძღვნილი ლექსით (7r-v), რომელსაც მოსდევს 1838 წელს დაწერილი ლექსი, ასევე სვიმონ მაჩაბლისადმი მიძღვნილი (8r). ხელნაწერში ლექსის სათაურია „მასვე" (სხვა ხელნაწერებსა და გამოცემებში ამავე ლექსის სათაურია „სვიმონ მაჩაბელს"); როზალია ბიშპინგისადმი, ანტონ მიცკევიჩისადმი... 2. „თარგმანნი და მიბაძვანი" (12v-16v).

„ყაბახი" გიორგი ერისთავის ლექსის სათაურად მხოლოდ ამ ხელნაწერში გვხვდება. სხვა ავტოგრაფულ ხელნაწერებსა და გამოცემებში მისი სათაურია „ყაბახისადმი".

ამ კრებულის ფასეულობაა ის ფაქტიც, რომ გიორგი ერისთავის უსათაურო ლექსი („სატრფოო, ჩვენცა ტრფობაი ერთხელ გვიგაზაფხულებდა ...") შემონახულია მხოლოდ ამ ავტოგრაფ-კრებულით. პირველად იგი დაიბეჭდა გიორგი ერისთავის 1867 წლის გამოცემის მეორე ნაწილში. ყველა გამოცემაში (გარდა 1966 წლის გამოცემისა) ტექსტი განსხვავებულად იკითხება: „სატრფოო, ჩვენცა სიყვარული ერთხელა გვიზაფხულებდა,/ გვატრფობდა, გვაფუფუნებდა, რა ერთგან დაგვიგულებდა...". მხოლოდ გიორგი ერისთავის თხზულებათა 1966 წლის გამოცემაში იკითხება ის ვარიანტი, რომელიც ამ ხელნაწერშია მოთავსებული.

გიორგი ერისთავის ლექსს „მტკვრისადმი" ამ ხელნაწერში მე-10 სტრიქო-

ნის შემდეგ აკლია 1 ტაეპი: „მიყვარდა შენის კიდითგან მზერა..... ხან მრისხანება და ხან ჩურჩული“, რომელიც გვხვდება როგორც ჟურნალ „ცისკარში“ (1852 წ. იანვარი), ისე ყველა გამოცემაში.

3v-ზე გიორგი ერისთავი ლექსი „N...“ ამავე სათაურით პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკრის“ 1852 წლის თებერვლის ნომერში. თუმცა რამდენიმე ავტოგრაფულ ხელნაწერსა და ყველა გამოცემაში მისი სახელწოდებაა „თეოდოსია მირეცკას“.

საინტერესოა ამ კრებულში დაცული გიორგი ერისთავის ლექსი „მაზურკა“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკრის“ 1852 წლის მარტის ნომერში სახელწოდებით: „სიმღერა მაზურკის ხმა“. ამავე სათაურით გვხვდება ის გიორგი ერისთავის სხვა ავტოგრაფიულ კრებულში - სსლმ 18032-ხ (49v). ჩვენ მოვიძიეთ ეს ლექსი გიორგი ერისთავის თხზულებათა გამოცემებში (1867, 1884, 1937, 1966) და აღმოჩნდა, რომ ეს ლექსი დაბეჭდილი არ არის. გთავაზობთ ამ ლექსს:

აგერ ცაში მზე ბრწყინვალებს,
და განჰფანტა ღამე ბნელი,
შუქი მის შენსა ფანჯრებს
ჰკოცნის ვითა საყვარელი!
აღზდეგ, ტურფავ, კმარა ძილი,
კმარა, ტკბილთ სიზმართ ზმანება,
ისმინე ფრინველთ ჟღივილი,
იხილე დღისა შვენება!
აღზდეგ ატკბე შენი ყური,
ვარდს ტურფად დამღერს ბულბული,
უცხოდ უსტვენს მოლაღური,
შორის ტყით იძახს გუგული!
მზისა სხივსა ოქროს ფერად,
დაუფერამს შენი არე.
მე მოვსულვარ შენად მზერად,
აღზდეგ, ხილვით გამახარე! აღზდეგ, მნახე თავს დაგიკრავ,
მოგიძღვნი ვარდისა კონებს,
შენსა ხელსა გულს მივიკრავ,
გარდგიკოცნი ლამაზ თვალებს!
1842 წ. მაისის 5-ს.

13r-v-ზე გიორგი ერისთავის ლექსის „ბაღჩასარაია. მიცკევიჩის სონეტით“ ამ ხელნაწერში მითითებული თარიღი და დაწერის ადგილი „1842-ს იანვრის 5-ს. კორინთას“ სადავოა იმდენად, რამდენადაც ის განსხვავდება სხვა ავტოგრაფიულ

ხელნაწერსა (სსლმ 18015-ხ) და გამოცემებში მითითებულ თარიღთან: 10 მაისი, 1838 წელი. ქ. ვოლკოვსკი.

14r-v-ზე გიორგი ერისთავის ლექსი „მოგონება. ვიკტორ ჰუგოსგან" განსხვავებული სათაურით – „ერთის მინუტის სიჭაბუკე" გვხვდება როგორც ავტოგრაფიულ ხელნაწერებში (სსლმ 18032-ხ, სსლმ 18015-ხ), ასევე ნაბეჭდ პირველწყაროში – ჟურნალი „ცისკარი", №1, 1852 წ. და გიორგი ერისთავის თხზულებათა გამოცემებში. მხოლოდ ეს ხელნაწერი იძლევა განსხვავებულ დასათაურებას.

15v-16r-ზე გიორგი ერისთავის ლექსი „მიბაძვა მიცკევიჩისა" სხვა ხელნაწერებსა და გამოცემებში განსხვავებული სათაურითაა წარმოდგენილი: „გაქსუებული".

ავტოგრაფ-კრებული საინვენტარო ნომრით სსლმ 18015-ხ საინტერესოა ფორმითაც და შინაარსითაც. ეს არის შავი ფერის ალბომი სქელი დეკორატიული ყდითა და თეთრი, ვარდისფერი, ცისფერი, ყვითელი 59 ფურცლით. კრებული გადაწერილია გიორგი ერისთავის მიერ. განსხვავებული კალიგრაფიით შესრულებულია მხოლოდ ერთი ლექსი - 56v-ზე გიორგი ერისთავის „კარებთან".

ლექსები ხელმოწერილია ინიციალებით: „თ. გ. ე...", „თ. გ. ერისთავი", „თ. გ. ერ....", „გ. ერ...".

12r-v-ზე გიორგი ერისთავის ლექსს „სატირა. ფიქრი ყმაწვილი ქალისა" ახლავს გიორგი ერისთავისვე მინაწერი: „გავიდა სამი წელი. ერთხელ კახეთს მივედი რაღაც ჩემი საქმისთვის, აკი იმ ქალსა შევხუდი, საყდრიდგან მოვიდოდა. იყო ჩადრწამოსხმული, სხუა ქალიც გვერდ მოსდევდა უმარილ პირწასმული. გულმა ვერ მომისვენა, უკან მივყე სახლამდის, მანამ სულ არ გავსინჯე, არ წამოველ მანამდის, გოსტინა დავინახე, იყო გაულესელი, ფანჯარას ფარდის წილად ეფარა სამოსელი, ჩვენი გაზდილი ქალი დაჯდა ტახტზედ ქართულად, მაგრამ მყისვე დაფიქრდა, იწყო მღერა რუსულად. წინ ქმარი მიუძღოდა პაჭიჭქოშებიანი, მაღალი ვით აქლემი, ჩემებრ დიდცხვირიანი. ტფილისს, 18 მაისს, 1839 წელი" (12v), რაც არ გვხვდება გამოცემებში.

51r-54r-ზე გიორგი ერისთავის ლექსის „თანამემგზავრი. მიბაძვა პავლოვასი" რამდენიმე სტრიქონი გადახაზულია, 53r-ს ქვედა არშიაზე, სქოლიოში, მინაწერი: „ეს სტრიქონი ლერმონტოვის ლექსიდან არის".

ამ კრებულის ლექსებიც იძლევა ვარიანტულ სხვაობებს. მაგალითად, გიორგი ერისთავის ლექსს „მტკვრისადმი" ამ ხელნაწერში, ისევე როგორც ავტოგრაფიულ კრებულში, 18012-ხ, მე-10 სტრიქონის შემდეგ აკლია 1 ტაეპი: „მიყვარდა შენის კიდითგან მზერა..... ხან მრისხანება და ხან ჩურჩული", რომელიც გვხვდება როგორც ჟურნალ „ცისკარში" (1852 წ. იანვარი), ისე ყველა გამოცემაში; ასევე მხოლოდ ამ ხელნაწერშია მე-8 სტრიქონში („მოაჯირითა და ანუ ფანჯრით") სიტყვა „ფანჯარა". ყველა სხვა ხელნაწერსა და პირველწყაროში, მათ შორის ჟურნალ „ცისკრის" 1852 წლის იანვრის ნომერში, წერია „სარკმელი".

4r-ზე გიორგი ერისთავის ლექსს „სატირა (კრასნი სარაფანის ხმაზედ). დედა და ქალი" თარიღად მითითებული აქვს 3 ივლისი, როდესაც იგივე ლექსი სხვა ავტოგრაფიულ კრებულში (სსლმ 18032-ხ) 10 ივლისითაა დათარიღებული.

5r-ზე გიორგი ერისთავის ლექსის „არამხანის საფლავნი ყირიმში, ბაღჩასარაიაში. მიცკევიჩისა (გადათარგმნილი პოლშურით)" დაწერის ადგილად და თარიღად მითითებული აქვს ვოლკოვსკი, 3 აგვისტო. ორი ავტოგრაფიული კრებულის – სსლმ 18032-ხ, სსლმ 18012-ის – მიხედვით კი დაწერის ადგილად მითითებულია ტფილისი, 30 ოქტომბერი. ეს უკანასკნელია მითითებული გამოცემებშიც.

22r-ზე გიორგი ერისთავის უსათაურო ლექსის („ერთი კაცი წვა სნეული...") ავტოგრაფი მხოლოდ ამ ხელნაწერითაა შემორჩენილი.

50v-51r-ზე გიორგი ერისთავის ლექსის „И скучно и грустно! ლერმონტოვისა". ავტოგრაფი მხოლოდ ამ ხელნაწერითაა შემორჩენილი.

საინტერესოა მცირე მოცულობის ხელნაწერი, რომელიც გიორგი ერისთავის 10 ლექსს შეიცავს (საინვენტარო ნომერი: სსლმ 18013-ხ). ფურცლები თეთრი ძაფითაა აკინძული რვეულად და გარეკანზე გიორგი ერისთავის მინაწერია: „სხუადა-სხუა ლექსთ თხზულება 1853 წ.".

ხელნაწერი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც შეიცავს 1853-1854 წლებში დაწერილ ლექსებს და მათი უმრავლესობის ერთადერთი დედანი სწორედ ეს ხელნაწერია („გულისადმი", „არაკი", „ბედისადმი", „ახალ წელიწადს", „ერთი კაცი წვა სნეულ..." „სიმღერა", „ერთს ქალს", „ო, ნუ კიცხავთ!").

ტექსტი ჩასწორებულია ყავისფერი მელნითა და შავი ფანქრით. 6r-ზე ლექსის „ქალს, ვიკტორ ღიუღოსი ფრანციცულიდგან" მეათე სტრიქონის გასწვრივ, მარცხენა არშიაზე ყავისფერი მელნით გიორგი ერისთავის ხაზგასმული მინაწერი: „დამატებულია ჩემგან".

4r-5v-ზე გიორგი ერისთავის ლექსის „კავკაზი და უცნობი" დედანი ხელნაწერია. 1936 წლის გამოცემაში ლექსი დამახინჯებული სათაურითაა დაბეჭდილი: „კავკაზი და უხანები".

ლიტერატურის მუზეუმში დაცულია გიორგი ერისთავის კომედიათა ავტოგრაფებიც. მათ შორის აღსანიშნავია 24-გვერდიანი ხელნაწერი საინვენტარო ნომრით სსლმ 18017-ხ, რომელიც გადაწერილია XIX საუკუნის მეორე ნახევარში გიორგი ერისთავის შვილის, დავითის, მიერ. მასში მხოლოდ ერთი თხზულებაა - ხუთმოქმედებიანი კომედია „წარსული დროის სურათები".

ხელნაწერის პირველ გვერდზე ყავისფერი მელნით ფართოდ მიწერილია სათაური „თევზის კანტორა". სათაურის ქვევით შემოკლებულად ჩამოწერილია გიორგი ერისთავის ნაწარმოებთა სათაურები: „1. „გაყრა". 2. „ტოჩკა..." 3. „უჩინმა..." 4. „თილის. ხანი..." 5. „ძუნწი". 6. „ყვარ." 7. „თილისმ..." 8. „თევზის კა." 9. „მოგზა".

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ხელნაწერში დაცული კომედიის სათაური: „თევზის კანტორა". ეს გახლავთ სამუშაო ვარიანტში დაცული სახელწოდება, რადგან გიორგი ერისთავმა შემდეგ შეუცვალა კომედიას სახელწოდება და იგი სხვა სათაურით გვხვდება ყველა გამოცემაში, გარდა ერთისა. როგორც ჩანს, დავით ერისთავის გადაწერილი ეს ტექსტი საფუძვლად დაედო გიორგი ერისთავის თხზულებათა 1884 წლის გამოცემას, რადგან მხოლოდ მასშია კომედია დასათაურებული როგორც „თევზის კანტორა". თავად დავით ერისთავს, ჩვენი ვარაუდით, ტექსტი გადმოწერილი უნდა ჰქონდეს გიორგი ერისთავის სამუშაო ვარიანტიდან, რომელიც ასევე ლიტერატურის მუზეუმშია დაცული (სსლმ 18016-ხ).

გარდა ლექსებისა და კომედიებისა, გიორგი ერისთავი მოგზაურობათა ჟანრის თხზულების ავტორია, რომლის ავტოგრაფი დაცულია ლიტერატურის მუზეუმში საინვენტარო ნომრით სსლმ 18028-ხ. ტექსტის სათაურია: „ჩემი მოგზაურობა ევროპაში 1862 წელსა 13 ივნისიდგან". ხელნაწერი შესრულებულია ყავისფერი მელნით, ჩასწორებული ყავისფერი მელნითა და შავი ფანქრით. მოგზაურობის აღწერა სრული არ არის, თხრობა წყდება ვენეციაში ჩასვლით, ბოლო წინადადება დაუსრულებელია: „... 13-ს 11 საათზედ საღამოზედ მოვედით ვენეციაში, ჩამოვსხედით ვაგონებიდგან, ლოტკებში ჩავსხედით და ლოტკებით შევედით ქალაქში, აქ ქუჩებში სულ წყალია და ლოტკებით დადიან. 14-ს 10 საათზედ...".

ჩვენ მიმოვიხილეთ ლიტერატურის მუზეუმში დაცული ავტოგრაფ-კრებულები, თუმცა, ამ ხელნაწერების გარდა, მუზეუმში დაცულია გიორგი ერისთავის ცალკეულ ნაწარმოებთა ავტოგრაფებიც და მისი ვაჟის, დავით ერისთავის, მიერ გადაწერილი თხზულებებიც. ამიტომ, ვფიქრობთ, ტექსტოლოგიური კვლევის თვალსაზრისით აუცილებელია თითოეული მასალის გათვალისწინება, რათა გიორგი ერისთავის შემოქმედების სრული სურათი შეიქმნას.

ლიტერატურა:

1. ერისთავი გიორგი. 1867. თხზულებანი თავად გიორგი დავითის ძე ერისთავისა: ტფილისი.
2. ერისთავი გიორგი. 1884. თ. გიორგი დავითის ძე ერისთავის თხზულება, თფილისი.
3. ერისთავი გიორგი, 1936, თხზულებანი, ტფილისი, ფედერაცია.
4. ერისთავი გიორგი,1966, თხზულებანი, თბილისი, „ლიტერატურა და ხელოვნება".

IA GHADUA
Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature

GIORGI ERISTAVI – POET, TRANSLATOR, PLAYWRIGHT (ACCORDING TO THE AUTOGRAPH MANUSCRIPTS PRESERVED IN THE MUSEUM OF LITERATURE)

Abstract

Several authentic collection of Giorgi Eristavi are preserved in the Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature. The manuscripts gave compelled our attention in respect of several standpoints: they have become the basis for the publication of the collection of Giorgi Eristavi; these collections include poems, which are not found in any other publications, as well as have never been published. At the same time, it is noteworthy that the majority of poems published in this edition represent the only originals, which are preserved in the museum. That is why we believe that separate manuscripts and authentic collections of Giorgi Eristavi represent quite an interesting source for researches from the textual point of view.

შორენა გულიაშვილი
საქართველოს ეროვნული არქივი

საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტები მეცხრამეტე საუკუნეში ჯავახეთში მოღვაწე მღვდლის პეტრე ხმალაძის შესახებ

2015 წელს საქართველოს წმ. სინოდის გადაწყვეტილებით წმინდანად შერაცხულ იქნა მეცხრამეტე საუკუნეში, სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთში მოღვაწე. სოფელ ბარალეთის ფერისცვალების ეკლესიის მღვდელი პეტრე ხმალაძე, რომელსაც ეწოდა პეტრე აღმსარებელი.

არსებობდა ხალხში გავრცელებული სხვადასხვა შინაარსის ნარატივები პეტრე ხმალაძის მოღვაწეობის შესახებ, რამაც გაზარდა ინტერესი მისი პიროვნების მიმართ. შესაბამისად დაიწყო კვლევა-ძიება მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის თაობაზე.

საისტორიო ცენტრალურ არქივის ფონდებში: საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა (ფ.489), საქართველოს ეგზარქოსის კანცელარია (ფ..488) დაცულია დოკუმენტები, რომლებშიც ასახულია პეტრე აღმსარებლის (ხმალაძე) ცხოვრება და მოღვაწეობა.

პეტრე ხმალაძე დაიბადა ახალქალაქის სანჯაყის[1] სოფ. ბარალეთში [1775][2] წელს.

კლასიკური სასულიერო განათლება არ ჰქონდა მიღებული. მღვდლად ხელდასხმულ იქნა 1801 წელს, „... в училищах не обучался, во священник рукоположен в 1801 году".[3]

პეტრე ხმალაძე 1801 წლიდან არის ბარალეთის ფერისცვალების ეკლესიის მღვდელი:

„Ахалцихской области в селении Баралети церковь во имя Всемилостивого Спаса, каменная, со сводом, ветхая, с приписными ... селениями... Ныне здес состоит: Священикъ Петр Хмаладзе, 60 лет от роду, в настоящем сане состоит с 1 июня 1801 года; дел до него не клались;..."[4]

პეტრე ხმალაძე 1845 წელს ახალციხის წმ. მარინეს ეკლესიის კეთილმოწესე მღვდლის გამრეკელოვის მიერ ჯავახეთში მოღვაწე სხვა სასულიერო პირებთან ერთად წარდგენილ იქნა ჯილდოზე:

---

[1] სანჯაყი - გურჯისტანის დიდი დავთრის მიხედვით ადმინისტრაციული ერთეული
[2] მოსაზრებას გამოვთქვამთ 1835 წ. დოკუმენტის ჩანაწერით, „Петр Хмаладзе, 60 лет от роду", ფონდი 488. აღწერა 1. საქ. 4167. ფურც.4
[3] ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი (ცსა). ფონდი 488. აღწერა 1, საქ. 14600, ფურც. 2.
[4] ცსა. ფონდი 488. აღწ. 1. საქ. 4167. ფურც. 4.

Благочинного ахалцихской Марининской церкви священника Георгия Гамрекелова

РАПОРТ

Имею честь донести вашему высокопреосвященству, что священники благочиния моего, именно: 1. Баралетской Спасской церкви Петр Хмаладзе, 2. Котелийской церкви св. мучеников Кирика и Ивлиты Николай Беридзе, 3. Кильдской Архангельской церкви Агиадзе, 4. Хизабаврской Архангельской церкви Василий Мурванов, 5. Эркотской Спасской церкви Христесий Зедгинидзе, 6. Сафарской Саввинской церкви Христесий Самадов и 7. Толошской Феодоровской церкви Соломон Гургенизе, примерным поведением и усердием продолжая возложенные на них обязанности, оказывают мне всевозможное содействие в делах пастырских, ибо они в прошлых годах в исправлении здешних церквей и устройств иконостасов оказывают примерную деятельность и собственные пожертвования в утверждении новых христиан в истинах религии, неослабно исполняют мои им поручения и всякие трудности в здешних опасных местах великодушно с семействами переносят.

Посему, по долгу справедливости донеся о заслугах вышеупомянутых священников, осмеливаюсь всепокорнейше просить ваше высокопреосвященство, благоволить в воздании за труды и усердия и для большего поощрения на дальнейшие подвиги наградить их всех набедренниками, дабы они, получив таковую архипастырскую вашу милость, с радостью продолжали со мной пастырские дела в пользу церкви и отечества.

Благочинный священник Гамрекелов

№805

25 августа 1845 года

г. Ахалцих[5]

კეთილმოწესე გიორგი გამრეკელოვის პატაკს მოჰყვა საქართველოს ეგზარქოსის ბრძანება პეტრე ხმალაძის ენქერით დაჯილდოების თაობაზე:

1846.Октябрь 2. Ахалцихского уезда Баралетской Спасской церкви священник Петр Хмаладзе, Котелийской Георгиевской церкви священник Николай Беридзе и Горийского уезда Урбнисского собора священник Иоанн Канделаков, за долговременное и полезное церкви Божией служение, награждены мною набедренниками-первые два сентября 22 дня в ахалцихской Марининской церкви, а последний октября 1 дня в Мцхетском соборе. Предписать благочинным Гамрекелову и Папитову о внесении сей награды в послужные списки.

Исидор экзарх Грузии

Предписанию благочинному Гамрекелову о внесении сей награды в послужные им списки от 3 октября N2665.[6]

---

[5] ფონდი N488. აღწ. N1. საქ. N10913. ფურც. 1, 1'. 1845წ.

[6] ცსა. ფონდი N488. აღწ. N1. საქ. N11527. ფურც. 1. 1846წ.

პეტრე ხმალაძე ღრმად მოხუცებულობამდე აღასრულებდა მღვდელმსახურებას. ის მსახურებდა აგრეთვე ტოლოშის თეოდორე ტირონის ეკლესიაში, საიდანაც 1848 წელს პირადი განცხადებით, ჯანმრთელობის გაუარესების გამო განთავისუფლდა და გადაყვანილ იქნა იმავე ეკლესიაში მედავითნედ:

Его высокопреосвященству

Святейшего Правительствующего Синода члену,
высокопреосвященнейшему Исидору , архиепископу
карталинскому и кахетинскому, экзарху Грузии и кавалеру.

Заштатнаго священника ахалцихского уезда
селения Толоши Петра Хмаладзева

Прошение

Согласно прошению моему в прошлом 1848 году, ваше высокопреосвященство соблагоизволили уволить меня за штатом и на место меня при толошской Феодоровской церкви определить
священником зятя моего Григория Агиадзева, с обязательством, чтобы означенный зять мой содержал меня с детьми и с дочерями моими. Он, Агиадзев, хотя содержит меня у себя с детьми и с дочерями моими он по возможности, но он, имея, кроме нас, и еще довольно большое семейство, крайне затрудняется доставлять нам приличное содержание, а как я еще в состоянии исправлять должность причетника, то покорнейше прошу ваше высокопреосвященство, во уважение моей долговременной усердной службы, определить меня на вакансию причетника при толошской Феодоровской церкви, ... მღვდელი პეტრე ხმალაძე.

1849 года
ноября 9 дня.[7]

პეტრე ხმალაძე მოღვაწეობდა იმ ძნელბედობის ჟამს, როდესაც ჯავახეთი ოსმალეთის იმპერიის გავლენის ქვეშ იყო. ამ დროს, არა თუ ქადაგება, რჯულის შენარჩუნებაც მძიმე იყო: „Некоторые христианки живут в семействах татар.."

პეტრე ხმალაძის მოღვაწეობის პერიოდში ჯავახეთი ოსმალეთის იმპერიის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, სამცხე-ჯავახეთში შექმნილი იყო „გურჯისტანის ვილაიეთი", ახალქალაქი (ჯავახეთი) კი შეადგენდა „გურჯისტანის ვილაიეთის" მიხედვით ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ერთეულს. მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რომლებიც არსებობდა იმ პერიოდში, პეტრე ხმალაძე, როგორც „ქ(რისტ)იანეთა ეკლესი[ი]ს ... ერთგული წინამძღვარი" მუსულმანების გაქრისტიანებასაც კი ცდილობდა. 1847 წლის დოკუმენტში ვკითხულობთ: მისი ვაჟი ვასილი, გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. შვილის სანახავად წასული პეტრე და მისი მედავითნე გაძარცვეს.

[7] ცსა. ფ.N 488 . აღწ.1 . საქ. N14600. ფურც. 1. 1849 წ.

საგამოძიებო მასალიდან ირკვევა, პეტრე ხმალაძე როგორ ცდილობდა ერთ-ერთი მუსულმანი მძარცველის გაქრისტიანებასაც:

„... что он знает Хмаладзе, потому что он предлагал ему, Бадилу, принять христианскую веру, ... однако же он не согласился".[8]

პეტრე ხმალაძეს ჰყავდა ოჯახი: მეუღლე სალომე და შვილები: პავლე, გიორგი, სიმონი, ვასილი, ელენე, ფებრონია (თებრონე) და მარია (მარიამი):

„... жена его Соломия 41-года; у нихь дети: Павел 25-и, Георгий-17-и, Симон 13-и, Василий- 4-ех, Елена-9-и, Феврония-6-и и Мария-5-и лет..."[9]

მისი შვილებიც: გიორგი და ვასილი ეკლესიის მსახურები იყვნენ. ისინი მსახურებდნენ მედავითნედ ბარალეთის ფერისცვალების ეკლესიაში.

გიორგი 1838 წელს აკურთხეს მედავითნედ, კლასიკური განათლება მასაც არ ჰქონდა მიღებული. კეთილმოწესე გამრეკელოვი საქართველოს ეგზარქოსის სახელზე გაგზავნილ პატაკში მას ახასიათებს, როგორც დადებით ადამიანს

„... Георгий, имеющий от роду 18 лет, который знает читать, петь и писать на грузинском языке порядочно и есть человек довольно хорошего поведения, при том он принадлежит к духовному званию, весьма привержен к церковной службе, которую он, как видно, с самого малолетства исправляет при отце, не отбывая никакою повиннос.[10]

1888 წელს შედგენილ გიორგი ხმალაძის ნამსხურობის ნუსხაში ხაზგასმით წერია, რომ იგი, როგორც სასულიერო პირი გამოირჩევა ძალიან კარგი ქცევით, „весьма хорошего поведения..."[11]

„Первый причетник Георгий Петрович , сын Хмаладзе, происходит из Духовного звания сын священника. Обучался чтению, пению, письму и церковному уставу у приходского священника. В 1838 году, согласно прошению его был определен причетником к Баралетской Спасской церкви где поныне и состоит. Умеет хорошо писать, читать, петь. Знает священную историю и православный катахизис..."[12]

პეტრე ხმალაძის მეორე ვაჟი, ვასილ ხმალაძე სწავლობდა ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში:

„Священник ведомства моего благочиния баралетской Спасской церкви Петр Хмаладзев, ... сыну своему Василию с обучающемуся в тамошнем Духовном уездном училищ..."[13]

შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში,

„Обучался в низшем отделении Тифлисской Духовной Православной Семинарии"[14]

---

[8] სცა. ფონდი N488, აღწ. N1, საქ. N13053. ფურც. 7', 1847 წ
[9] სცა. ფონდი 488, აღწ. 1, საქ. 4167, ფურც. 4.
[10] სცა. ფონდი 488, აღწ. 1, საქ. 5746, ფურც. 2, 5.
[11] სცა. ფონდი 489, აღწ. 1, საქ. 41677, ფურც. 51.
[12] სცა. ფონდი 489, აღწ. 1, საქ. 41677, ფურც. 51.
[13] სცა. ფონდი 488, აღწ. 1, საქ. 13053, ფურც. 1.
[14] სცა. ფონდი 489, აღწ. 1, საქ. 53067, ფურც. 36.

ვასილ ხმალაძე მედავითნედ მსახურებდა აგრეთვე ტოლოშის თეოდორე ტირონის, ქილდის მთავარანგელოზის ეკლესიებში:

„... псаломщик Василий Петрович Хмаладзе, сын священника от роду 81 г. Обучался в низшем отделении Тифлисской Духовной Православной Семинарии. Согласно его прошению 23 мая 1855г. назначен псаломщиком Толошской церкви. 4 августа 1874г., согласно его прошению уволен от должности, а 14 марта 1878г. вновь определен к Кильдской церкви. 28 марта 1884г. вновь назначен псаломщиком к Баралетской церкви. Уволен заштат по прошению 21 ноября 1909 г.

Хорошо умеет читать, писать, петь. Знает священную историю и православный катахизис. Является человеком хорошего поведения."[15]

პეტრე ხმალაძის ქალიშვილის მეუღლე იყო გრიგოლ აგიაძე, რომელიც ასევე მღვდელია,

„....священником зятя моего Григория Агиадзева."[16]

გრიგოლ აგიაძე მსახურებას აღასრულებდა ქილდის მთავარანგელოზის და ტოლოშის თეოდორე ტირონის ეკლესიებში. ის ახალციხის მაზრის სხვა სასულიერო პირებთან ერთად საქართველოს ეგზარქოსის ისიდორეს ბრძანებითი დაჯილდოებული იქნა ენქერით: „Кильдской Архангельской церкви Агиадзе..... за труды и усердия и для большего поощрения на дальнейшие подвиги наградить набедренниками..."[17]

გრიგოლ აგიაძე მღვდლად 1848 წ. განწესებულ იქნა ტოლოშის ეკლესიაში:

„....при толошской Феодоровской церкви определить священником зятя моего Григория Агиадзева."[18]

პეტრე ხმალაძის ოჯახი ერთგვარი მაგალითია, მისი როგორც დიდი სასულიერო პირის მოღვაწეობის.

პეტრე ხმალაძე გარდაიცვალა 80 წლის ასაკში, სიმსივნით, 1856 წლის 1 იანვარს. ახალციხის მაზრის სოფ. ბარალეთის საეკლესიო მეტრიკულ წიგნში ვკითხულობთ:

„ახალციხის უეზდის ახალქალაქის უჩასტკს სოფელს ბარალეთს მცხოვრებელი შტატ გარეთ მღვდელი პეტრე ხმალაძე. 80 წ.

რაჲსაგან მოკუდა - სიმსივნისაგან. ჩყვნ (1856წ.), 1 იანვარი.

განმავლობასა ა[წელსა] ამა იანვრის თვესასა გარდაცვალებული მამრობითის სქესისა ერთი 1.

რასა ვამტკიცებ ხელისმოწერითა ჩვენითა მღუდელი სოლომონ გურგენიძე."[19]

საისტორიო ცენტრალური არქივში მოძიებული დოკუმენტები იქნა წარდგენილი 2015 წ. სინოდის სხდომაზე, დადგინდა მისი ხსენების დღე 1(14) იანვარი., დაიწერა ხატი, შეიქმნა მსახურება.

---

15 სცა. ფონდი 489, აღწ. 1, საქ. 53067, ფურც. 36.
16 სცა. ფონდი 488, აღწ. 1, საქ. 14600, ფურც. 1.
17 სცა. ფონდი 489, აღწ. 1, საქ. 10913, ფურც. 1.
18 სცა. ფონდი 489, აღწ. 1, საქ. 14600, ფურც. 1.
19 ცსა. ფ. N489 აღწ. N6, საქმე N1166, ფურც. 9', 10, 1856წ.

SHORENA GULIASHVILI
National Archives of Georgia

PROTECTED DOCUMENTS IN THE CENTRAL HISTORICAL ARCHIVES ABOUT THE PRIEST, PETRE KHMALADZE, WHO WAS WORKED IN THE NINETEENTH CENTURY, IN JAVAKHETI

Summary

In 2015 By the decision of the Synod, he was inscribed as a saintIn the nineteenth century, in southern Georgia , in the village of Javakheti,Petre Khmaladze, the priest of Barateli Transfiguration Church, who was calledPeter the Confessor. There were different narratives between the people about the activity of Peter Khmaladze. that has increased interest in his personality. Accordingly Began research for his life and work. In the funds of the Historical Central Archive: Georgia-Imereti Synod The Canter (489), the Chancellery of the Exarchate of Georgia (p. 488). There is protected Documents in which Peter Confessor (Khmaladze) lives and Activity. Petre Khmaladze was born in the village of Akhalkalaki. In Barateli. In the year of 1775. He has not aducated Classical religious education. He became the PriestIn 1801, and in 1845 he was awarded with the right to carry an enroller.He worked at a time when Javakheti was under influence of Turkey's. Petre Khmaladze fulfilled the priesthood in the deeply old. Petre Khmaladze died in 1856, buried in the village of Barateli.

მაია არველაძე, ელისაბედ ზარდიაშვილი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

აკაკის წერეთლის უცნობი საარქივო მასალები

აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული აკადემიური ოცტომეულის გამოცემაზე მუშაობისას ბევრი უცნობი ტექსტი აღმოჩნდა. მათ შორის უდიდეს ადგილს სწორედ საქმიანი ქაღალდები და დოკუმენტები იკავებს, ესენია: განცხადებები, მინდობილობები, წამლის რეცეპტები, ფულის გადახდის ქვითრები, რამდენიმე ანდერძი, საშვები, ბილეთები, მოსაწვევები, პოეტის მიერ გაგზავნილი დეპეშები, ჩანაწერები ნაწარმოებთა დაწერისა თუ დახვეწის მიზნით, ხარკოვისა და საზღვარგარეთის პასპორტები; სიტყვები, წარმოთქმული როგორც სხვადასხვა საზოგადოებრივი მოვლენების დროს (მხოლოდ საქმიანი), ისე ბანკისა და ქშწკგ საზოგადოების სხდომებზე; ხელშეკრულებები (გამომცემლებთან, ქშწკგს-თან); თხოვნები „გზის", „კრებულის", „ხუმარას" გამოცემაზე, პენსიის მიღებაზე და სხვ.; იუბილეს მასალები, მათ შორის საჩუქრების სიები; უკვე საქვეყნოდ ცნობილი აკაკის სახლში 1899 წლის 25 ივნისს გამართული სადილის მენიუ; ქუთაისის სასტუმრო „გრანდ-ოტელის" ანგარიში; უბის წიგნაკები სხვადასხვა სახის ჩანაწერებით; აკაკის, მისი მშობლებისა და და-ძმათა დაბადების თარიღები; გენეალოგიები; ნიშნების ფურცლები და ა.შ. არსებული მასალა დაცულია ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, საქართველოს ეროვნულ არქივში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში, სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმში და ა.შ.

უდავოა, რომ შემოქმედის განცდები, გრძნობები, შეხედულებები, დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი კარგად ჩანს მის მხატვრულ თხზულებებში, პუბლიცისტურ თუ პირად წერილებში, მაგრამ ყველაზე მეტად (შეიძლება ითქვას, უფრო საინტერესოდ და სიღრმისეულადაც) მწერლის ცხოვრება დოკუმენტებსა და საქმიან ქაღალდებში იჩენს თავს. ასეთი მასალის დამუშავებით კი ნელ-ნელა შემოქმედის ბიოგრაფიაში ჩვენთვის უცნობი პერიოდები, მისი სოციალური მდგომარეობა, ფსიქოლოგიური განწყობა და ჯანმრთელობის სურათი იკვეთება. მსგავსი ინფორმაციის შეგროვება-შესწავლა ნათელს ჰფენს კლასიკოსის პიროვნების ხასიათს და წინა პლანზე იწევს მისი არა მარტო შემოქმედებითი ცხოვრება, არამედ ჩვეულებრივი მოკვდავის ყოველდღიური პრობლემები.

ახალი დოკუმენტების მიკვლევა და შესწავლა საფუძველს უდებს ახალი ტექსტოლოგიური დასკვნების გამოტანასაც. მაგალითად, სხვადასხვა არქივში ჩვენ მიერ მოპოვებულ ახალ მასალათა შორის ყურადღება მიიპყრო სხვიტორის ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო მუზეუმში დაცულმა საბუთმა, რომელიც ნოტარიალურად დადასტურებული რუსულენოვანი ხელნაწერი ანდერძია (№ 2899). ანდერძის საბოლოო ნოტარიალურად დადასტურებული რუსულენოვანი ტექსტი ჩართულია ქუთაისის ნოტარიუსის დავით ნიკოლოზის ძე აბდუშელიშვილის მიერ 1912 წლის ნოემბერს შესრულებულ აქტში (საქართველოს ეროვნული არქივი, ძველი ნომრით: ფ. 481, საქმე 6044). ანდერძის შავი პირი ასევე რუსულ ენაზე დაწერილი დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკის ფონდში (№ 14). თუმცა დღემდე ჩვენთვის ცნობილია ანდერძის მხოლოდ ქართული ვერსია, რომელიც პირველად 1915 წელს დაიბეჭდა გაზ. „სახალხო ფურცელში“ (№ 205). ეს ტექსტი შევიდა ა. წერეთლის თხზულებათა კრებულებში [წერეთელი, 1959: 833, 855; წერთელი, 1961: 589, 651]. ქართული ტექსტი რუსული ტექსტების მოკლედ გადმოქართულებული ვერსიაა, რომელშიც ნების აღმსრულებლად გრ. დისამიძის, ს. ბახტაძის და კ. აბდუშელიშვილთან ერთად მოხსენიებულია ივანე სპირიდონის ძე ელიაშვილი. ეს უკანასკნელი რუსულენოვან ტექსტებში მხოლოდ საარქივო ნოტარიალურ ვარიანტში გვხვდება ელიავას გვარით. ანდერძის ქართული ვერსიის დაწერის თარიღად მიჩნეულია 1912 წლის 7 ოქტომბერი. რუსულ ტექსტებში კი ნათლად იკითხება, რომ აკაკის ანდერძი 1912 წლის 20 ოქტომბერს შეუდგენია. საარქივო მასალის ნოტარიალურ ტექსტში დაწერის თარიღი არ ჩანს. ანდერძის აქტის ამონაწერის მიხედვით ვიგებთ, რომ აკაკი წერეთელი ანდერძის შესადგენად ნოტარიუს დავით აბდუშელიშვილთან 1912 წლის 7 ნოემბერს მისულა. სწორედ ამ გარემოების გამო მიიჩნია სოლომონ ხუციშვილმა ეს რიცხვი დაწერის თარიღად [წერეთელი, 1959: 855]. ტექსტოლოგიური თვალსაზრისით, ქართული ტექსტი ნაირწაკითხვად არ მიიჩნევა, რადგან ის ანდერძის შემოკლებული და გადათარგმნილი ვერსიაა. რაც შეეხება რუსულ ვარიანტებს, მათ შორისაც არის განსხვავებები. კერძოდ, ანდერძის შავი პირის (ხელნაწერათა ეროვნული ცენტრი) მიხედვით, აკაკი თავის ბიბლიოთეკას ქშწკგ საზოგადოებას უტოვებს. ეს წინადადება ნოტარიალურად დადასტურებულ ანდერძში (არც სხვიტორის მუზეუმის და არც საარქივო პირში) შეტანილი არ არის. თუმცა ნოტარიალურ ვარიანტებში შავი პირიდან აკაკის ხელით ჩამატებული ის ცნობილი სურვილი გადავიდა, რომლის მიხედვითაც მგოსანი თავის გასვენებაში გვირგვინისთვის განკუთვნილი თანხის ეთნოგრაფიის საზოგადოებისთვის გადაცემას მოითხოვს. სხვიტორის ნოტარიალურ პირში მოხსენიებულნი არიან მოწმეები: მღვდელი ევსევი იოსების ძე იაკობაშვილი, აზნაური სამსონ მირიანის ძე ბარათაშვილი და სპირიდონ ივანეს ძე ზაბახიძე. ხოლო საარქივო ვარიანტში მოწმეებად

დასახელებულები არიან ქალაქ ქუთაისში მცხოვრები პირები: „კოლეჯის რეგისტრატორი ტერენტი გიორგის ძე მაჩიტიძე, შთამომავლობით საპატიო მოქალაქე იოსებ თადეევის ძე დვალი და მოქალაქე ათანასე გაბრიელის ძე შათირიშვილი". ხელნაწერების შესწავლამ ცხადყო, რომ ანდერძის შავი პირები ავტორიზებულია, ხოლო საარქივო ნოტარიალურ ამონაწერში ჩართული ტექსტი — ძირითადი ვარიანტი.

აკაკი წერეთლის პიროვნული პორტრეტის დახატვას თუ მივუბრუნდებით, შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში მგოსანს ფინანსური პრობლემები აწუხებდა. მას გამუდმებით უწევდა სხვა ქვეყანაში მყოფი ცოლ-შვილის რჩენა, ამის გამო დაგროვილი ვალების გადახდა თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსაკეთებლად სხვადასხვა საზოგადოებისთვის თანხის გამოყოფის თხოვნა. ასეთი და სხვა სახის დავები აკაკის პიროვნებას ძლიერ აკნინებდა, რაც დიდ წუხილს იწვევდა პოეტში. გულდაწყვეტილი და შეურაცხყოფილი მგოსანი კი გამუდმებით ცდილობდა თავის მართლებას. ამის დამადასტურებელ მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ აკაკის რამდენიმე განცხადება, რომელიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკის ფონდშია დაცული:

900-იანი წლებიდან ჩვენს ქვეყანაში ეროვნული მოღვაწეების დამცირება-შეურაცხყოფა დაიწყო. ამ მდგომარეობას ვერც აკაკი ასცდა. ჟურნალ „კვალში" იბეჭდებოდა ცილიმწამებლური წერილები პოეტის შესახებ, ასევე საზოგადოებაში ავრცელებდნენ მის დამამცირებელ უამრავ ჭორს. აკაკი ყოველთვის თავს იკავებდა პასუხისგან. ამის ნათელი დადასტურებაა „განცხადება" №278. პოეტი წერს: „ბევრი რამ თქმულა ჩემზე, ბევრსაც ამბობენ, მაგრამ მე ყურადღებასაც არ ვაქცევ იმ ნათქვამებს და იმიტომ კი არა, რომ სიმართლე იყოს და ვეთანხმებოდე!.. მე მხოლოდ მეუკადრისება, რომ მათთვის მოვიცალო საპასუხოდ".

აკაკი ამ განცხადებით ცდილობს, სიმართლეს ფარდა ახადოს და გააბათილოს ჭორი, თითქოსდა ის ვალებს უკან არ აბრუნებდეს. „მთელს საქართველოში ამ ხნის განმავლობაში სულ სამი კაცია დარჩენილი, რომლებთანაც ჯერ კიდევ ვალი არ მაქვს გასწორებული: 1) ექიმი გრიგოლ ელიავა... 2) როდესაც მიხაილ ვახტანგის ძე მაჩაბელი რედაქტორად იყო, მე გამოვართვი სამი მანეთი და 3) იაკობ გოგებაშვილი...". აკაკი კატეგორიულად მოითხოვს ამ სამი პიროვნების გარდა, ყველამ გამოაცხადოს გაზეთის საშუალებით, ვისი ვალიც მას აქვს. პოეტი ეჭვობს, რომ ზოგიერთი ზურგს უკან იტყვის: „მართებს, მაგრამ ხომ ვერ ვაწყენინებო". ის აფრთხილებს ყველას, აუცილებლად გამოეხმაურონ და მოაგონონ თავისი ვალდებულება. პოეტი სხვა გაზეთებსაც სთხოვს ამ განცხადების გადაბეჭდვას.

მასზე გავრცელებული ჭორების გაბათილებას ცდილობს აკაკი აგრეთვე განცხადებაში „პასუხი მტერ-მოყვრებს" (ავტოგრაფი № 270): „ადამიანს რომ

შუბლის კანი გაუმაგრდება და სირცხვილ-ნამუსს დაჰკარგავს, მაშინ ენასაც იგრძელებს, რომ თავისი ჩირქი სხვას გადასცხოს როგორმე".

ამ განცხადებაში აკაკი ხსნის თავის დამოკიდებულებას როგორც ფედერალისტების, ისე 1912 წლის სექტემბერში მეოთხე სათათბიროს არჩევნებისადმი. ცნობილია, რომ აკაკი ამ არჩევნებში „გააშავეს". როგორც ავტოგრაფიდან (?) ირკვევა, პოლემიკა პოეტის „გაშავების" მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის დიდხანს გაგრძელდა. გამწარებულმა აკაკიმ ყველაფრის გასარკვევად სამედიატორო სამართალი მოითხოვა: „დეე, მედიატორებმა განიხილონ საქმე და რასაც ისინი გადაწყვეტენ, ვეთანხმები. მე ჩემის მხრით მედიატორებად ვნიშნავ: ვანო ელიაშვილს და იაკობ ფანცხავას, ორივეს ფედერალისტს". ასეთსავე მასალებს შეიცავს ბევრი სხვა უცნობი თუ გამოქვეყნებული განცხადება.

მიუხედავად იმისა, რომ აკაკიმ ძალიან კარგად იცის, რა საფუძველიც აქვს ამ ჭორებს, იგი იძულებული ხდება, დროდადრო უპასუხოს არაკეთლმოსურნეებს.

რამდენიმე წერილში პოეტი გულდაწყვეტილი წერდა: „ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც გადაკიდებულნი უაზროსა და უნიჭოს მეძახდენ... ვინ იცის, რას არ ავრცელებდენ ჩემზე?.. რაიღა თავისი მტრობა არ გაუვიდათ და იძულებული გახდენ, გადაეთქვათ ჩემი მწერლობაში უნიჭობა, სამაგიეროდ ჰსურთ, რომ ყოველივე ადამიანური ღირსება ამხადონ და მით გაიმართლონ თავი", „თუ რადა მყავს მტრები და მაგინებლები, ეს ადვილი დასამტკიცებელია... ამას საზოგადო სარჩული უძევს და მიტომაც ხმას ვიკმედავ... თუ მე ხმას არ ვიღებ და ფარდას არ ვხდი სიმართლეს, მაქვს ამისი მიზეზი"...

რამხელა ტკივილია ჩადებული თითქოსდა ამ უბრალო სიტყვებში. ზემოთ განხილული სულ მცირე მასალაც კი, რომელიც დღემდე მკითხველისთვის უცნობი იყო, ნათელს ჰფენს აკაკის ბიოგრაფიის სამწუხარო დეტალებს, თუნდაც იმას, რომ ხშირად დრო, რომელიც შედევრების შექმნას უნდა მოხმარებოდა, ფუჭად იხარჯებოდა ასეთ უსაგნო კამათში.

მიუხედავად მოუცლელობისა, სულ მუდამ საზოგადოებრივი საქმიანობის ცენტრში ყოფნისა, მოგზაურობებისა თუ შემოქმედებითი წვისა, აკაკის არ ავიწყდებოდა, გაეკეთებინა ხარჯთაღრიცხვა და აღენუსხა გაცემული თუ უკან დაბრუნებული თანხები. ამის უტყუარ მაგალითს წარმოადგენს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკის ფონდში დაცული უბის წიგნაკი (ავტოგრაფი № 8ა), რომელიც გამორჩეულია სხვა შემოქმედთა უბის წიგნაკებისგან. როგორც წესი, მსგავსი ტიპის დოკუმენტებში ასახულია ხოლმე ლიტერატურული პროცესები, ნაწარმოებთა დაწერის ან დახვეწის მანიშნებელი ფრაზები, მოსაზრებები, მომავალი გეგმები და ა.შ. აკაკის უბის წიგნაკში მხოლოდ დასაწყისშია რამდენიმე ლექსი („ახირებული დასტური", „ჩემ თანამეკალმეს", ნაწყვეტი „მატიანე ქართლისადან") და მისამართები. დანარჩენი სივრცე უჭირავს ანგარიშებს,

რომლებიც ადასტურებს, რომ პოეტი მხოლოდ „ცაში არ დაფრინავდა". მაგალითად, დაანგარიშებულია კვერეთისა და სხვა მამულების შემოსავალი; ბეჟანა ფრუალიძის, „მიხეილა" ივანაშვილის, ბესო დევიძის, ივანე გაბაძის, პავლია ასანიძისა და სხვათაგან შემოსული თანხები ცალ-ცალკეა დათვლილი (სამოსახლო, ტყის ფასი, სიმინდის ღალა, პური, ჩალა-ბზე, „ლობიე" და კვახი). წიგნაკის 130-ე გვერდზე ჩამოთვლილია გვარები, რომლებსაც თავზე აწერია: „მმართებს". ის სახელები და გვარები, ვისი ვალიც აკაკის უკვე გასტუმრებული ჰქონდა, გადახაზულია. 131-ე გვერდზე გვარ-სახელების გრძელ სიას ზემოდან აწერია: „მართებსთ". აქედან ორი სახელი გადახაზულია: „ლილეა 8" და „ტასოს 100", ე. ი. მათ ვალი აკაკისთვის დაუბრუნებიათ.

ყველასათვის ცნობილია აკაკი წერეთლის მოგზაურობათა სიმრავლე. ეს განპირობებული იყო სწავლის მიღების სურვილით, შემოქმედებითი საქმიანობით, იძულებითი გადაადგილებებით ჯანმრთელობის პრობლემების გამოსასწორებლად და სხვ. ერთ-ერთ ჯერჯერობით გამოუქვეყნებელ დოკუმენტურ მასალათა შორის, იკვეთება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მიკვლეული აკაკის სახელზე გამოწერილი ქუთაისის სასტუმრო „გრანდ-ოტელის" ანგარიში (აკაკის ფონდი № 28). ეს, ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო დოკუმენტი პოეტის ბიოგრაფიის რამდენიმე ცნობის შემცველია.

1914 წლის ივლისის ბოლოს სხვიტორში მყოფი აკაკი ავად ხდება. 31 ივლისს ექიმები სვიმონ ჯაფარიძე და სევერიანე ჭოღოშვილი ქშწკგ საზოგადოების გამგეობას დეპეშით ატყობინებენ აკაკის ავადმყოფობას და იმავე დღეს საზოგადოების თავმჯდომარე გიორგი ყაზბეგი დეპეშით ამხნევებს აკაკის [გურგენიძე ... 1989: 545]. პოეტის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ 1914 წლის 19 ოქტომბერს მგოსანი შვილთან, ალექსისთან, ერთად ავლაბრის თეატრში ესწრება სცენისმოყვარეთა მიერ მის პატივსაცემად გამართულ „პატარა კახის" წარმოდგენას [გურგენიძე ... 1989: 545]. 1914 წლის 31 ივლისიდან 19 ოქტომბრამდე, თითქმის სამი თვე, აკაკი არსად ჩანს. ისეთი მოღვაწისთვის, როგორიც აკაკია, ეს უზარმაზარი დროა საზოგადოებრივი არენიდან გასვლისთვის. სავარაუდო იყო, რომ ამ პერიოდში აკაკი ისევ ავადმყოფობდა ან შვილთან ერთად იყო. მაგრამ სწორედ „გრანდ-ოტელის" ანგარიში, ეს თითქოსდა უმნიშვნელო საბუთი, მთელი ოთხი დღით ავსებს პოეტის ბიოგრაფიის ამ სიცარიელეს. ანგარიშში აღნიშნულია, რომ 1914 წლის 8 სექტემბერს, 2 საათზე (დოკუმენტში წერია „утра"), დაბინავდა ქუთაისის სასტუმრო „გრანდ-ოტელის" მე-4 ნომერში. უცნობია, რას საქმიანობდა ამ დროს აკაკი ქუთაისში. შესაძლოა, ის უბრალოდ ავადმყოფობის შემდეგ ისვენებდა გონებრივი დატვირთვისგან, რადგან ავადმყოფობის დიაგნოზი სწორედ ნერვული გადაღლა იყო: „нервномозговое явления" [გურგენიძე ... 1989: 545]. სასტუმროს ანგარიში ასევე შეიცავს ინფორმაციას პოეტის კვების შესახებ. როგორც ჩანს, 8 სექტემბერს მას სასტუმროს საკვებით არ უსარგებლია,

9-ში კი აუღია „2 სანთელი (30 კ.), ყავა რძით (25 კ.) და სუხარი (15 კ.)", 10-ში - „ყავა რძით და სუხარი", ხოლო 11-ში „ყავა (ურძეო), სუხარი, სადილი", რომლის ღირებულებაც ყოფილა 90 კაპიკი და „ლიმონადი (15 კ.)". მთლიანი ჯამი 4 დღით სასტუმროში გაჩერებისთვის, კვებისა და სანთლისთვის კი 7 მანეთსა და 30 კაპიკს შეადგენს.

თუ პარალელს გავავლებთ იმ პერიოდის მოღვაწეთა მსგავს საბუთებთან, აღმოჩნდება, რომ ისინი თითქმის იდენტურია. მაგალითად, ალექსანდრე ყაზბეგის ბათუმური მენიუ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალ. ყაზბეგის ფონდი, ავტოგრაფი № 209) მსგავსია აკაკის მენიუსი: ჩაი, ყავა, რძე, „სუხარი". ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის კირილე ლორთქიფანიძის ფონდში 503 ნომრით დაცულია სასტუმრო „ფრანციას" ანგარიშის ფურცლები (1911-17 წწ), რომლებშიც აღნიშნულია, რამდენს ხარჯავდა კირილე ლორთქიფანიძე თვიურად სადილში. დაანგარიშებით ჩანს, რომ ეს ხარჯი დღეში 6 აბაზს შეადგენდა. ამ საინტერესო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ მაშინდელ მოღვაწეთა კვების მენიუ თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისგან და შემაძრწუნებლად მწირია.

ასეთი მწირი კვება მოუცლელობის ბრალი არ უნდა ყოფილიყო. თუ, რა ანაზღაურებას იღებდა აკაკი საკუთარ შემოქმედებაში, ადასტურებს მრავალი დოკუმენტი, მათ შორის ლექსი „არაბი ფაშას" კომენტარი, რომელშიც ნათქვამია, რომ ამ შედევრში რედაქციამ აკაკის 1 მანეთი გადაუხადა [წერეთელი, 2011: 440]. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკის ფონდში დაცული ავტოგრაფით (№276) ვიგებთ მიზეზს, რატომ აღარ ბეჭდავს პოეტი თავის თხზულებებს პერიოდულ გამოცემებში: „ამ ბოლო დროს ხშირად სასაყვედურო წერილები მომდის ხოლმე: ხან სიზარმაცეს მეწამებიან და ხან — ჟინიანობას, რომ აღარ სწერო!.. ერთიცა და მეორეც შემცდარი აზრია. და, აი, სიმართლე: მიმიღია რა მხედველობაში ქართული ჟურნალ-გაზეთების ხელმოკლეობა და აგრეთვე ნახევარი საუკუნის ლიტერატურული შრომის შემდეგ ჩემი მდგომარეობაც, ვაცხადებ შემდეგს: მე კიდევ შემიძლია და მზათაც ვარ, ვიშრომო ჩვენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ყველგან შემდეგის პირობით: 1) ჩემი ნაწერები საზოგადოდ ხელშეუხებელი უნდა იბეჭდებოდეს რედაქციის მხრით და რაშიც არ მეთანხმება, იმას შენიშვნა გაუკეთოს. 2) მოკლე ლექსებში სტრიქონში თითო აბაზს ვიღებ და პოემებში ორ-ოლ შაურს. 3) პროზაში საერთოდ თითო შაური, მაგრამ ეკონომიურად კი ნუ ბეჭდავენ და მაშინ მეც იძულებული აღარ ვიქნები, რომ სხვაგვარი სამუშაო ვეძიო! აი, სრული სიმართლე, რომლის გამომჟღავნებაც არ მინდოდა, რომ უსაფუძვლო წერილებს და უმართო მითქმა-მოთქმას ყბით არ ავეღე".

ამ საკითხის შესახებ ძალიან საინტერესო მასალები ინახება აგრეთვე საქართველოს ეროვნული არქივის ქშწკგ საზოგადოების ფონდში; საზოგადოების ოქმებიდან ირკვევა, რომ აკაკი თავის კუთვნილ პენსიას ხშირად წინასწარ ითხოვდა მკურნალობისთვის. მაგალითად, ამ არქივში ინახება ქვითრები ე.წ.

„კვიტანციები" №№ 415, 418 (ფ. 481, 1. საქმე 1241), №№ 116, 146, 172 (ფ. 441,1. საქმე 1241) და ა.შ. ეს „კვიტანციები" წარმოადგენს აკაკის მიერ ქშწკგ საზოგადოებისგან პენსიის ანგარიშში მიღებული თანხების დამადასტურებელ საბუთებს. მაგ.: 1910 წლის 3 დეკემბერს „ტფილისში" იანვრის პენსიის ანგარიშში აკაკის მიუღია 3 თუმანი წინასწარ. იმავე წლის 7 დეკემბერს პოეტმა წინასწარ მიიღო „შვიდმეტი თუმანი", ანუ 170 მანეთი და სხვ.

ეს საბუთები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ სამწუხარო ფაქტს, რომ აკაკის მსგავსშემოქმედსსაკუთარიჯანმრთელობისმიხედვაცარშეეძლოშემოქმედებითი შრომის ფასად. ეს ქვითრები რამდენიმე კუთხით არის საინტერესო: ჯერ ერთი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ოფიციალური სტანდარტული ფორმის საბუთებია, შევსებულია პოეტის ხელით და ახლავს მგოსნის ხელმოწერა; მეორე, ქვითრები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მატერიალურ სიდუხჭირეს, რომელსაც აკაკი მთელი ცხოვრების განმავლობაში განიცდიდა და მესამე, ქშწკგ საზოგადოება ხშირად უმართავდა ხელს მოღვაწეებს და ამართლებდა საკუთარ არსებობასა და დანიშნულებას.

დღემდე ჯერ კიდევ შეუსწავლელ დოკუმენტებს შორის არსებობს აკაკის სახელზე გამოწერილი მედიკამენტების 7 რეცეპტი. აქედან ექვსი ცალი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკის ფონდში (№ 21), ხოლო ერთი — სხვიტორის ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო მუზეუმის ფონდში (№ 7081). ამ რეცეპტებისა და პეტერბურგის ჯანმრთელობის ქაღალდის (სხვიტორის ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო მუზეუმში დაცული ცნობა № 2079, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ა. წერეთელი დაავადებულია ფილტვის ქრონიკული კატარით", რაც თანამედროვე სამედიცინო ენაზე ფილტვების ანთებას ნიშნავს) გაშიფვრითა და შესწავლით მგოსნის პიროვნების კიდევ ბევრ ბიოგრაფიულ ფაქტს ეფინება ნათელი.

სხვიტორის არქივში დაცული რეცეპტი გამოწერილია ექიმ ფიბერის მიერ 1904 წლის 28 ოქტომბერს სოლოლაკის აფთიაქის ბლანკზე: დანიშნული წამლის ბენზონაფტოლის მიხედვით ვხვდებით, რომ აკაკის კუჭ-ნაწლავის პრობლემები უნდა ჰქონოდა. ეს ფაქტი პირადი წერილებითაც დასტურდება: მე-19 და მე-20 საუკუნეთა მიჯნაზე აკაკის ხშირად აწუხებდა კუჭი. ამ პერიოდში მგოსანი თედო კიკვიძისა და ელისაბედ თარხნიშვილისადმი მიწერილ წერილებში კუჭის მწვავე ტკივილებს უჩივის, ექიმ ვახტანგ ღამბაშიძის მეთვალყურეობის ქვეშ არის და „თევზივით გაფატვრასაც კი უპირებენ" [წერეთელი, 1963:258, 263], ანუ ოპერაციისთვის ამზადებენ. წყაროებიდან ცნობილია, რომ აკაკის კუჭის ოპერაცია აღარ დასჭირვებია.

მოგვიანებით გამოწერილი რეცეპტებიდან, რომლებიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკი წერეთლის ფონდშია დაცული (№ 21), ჩანს, რომ 1913 წლის 10 დეკემბერს ექიმი ვირსალაძე აკაკის კოფეინ ნატრი ბენზოიტსა და

შაქარს უნიშნავს. აქედან პირველი წამალი ცენტრალური ნერვული სისტემის მასტიმულირებლად, შრომისუნარიანობის ასამაღლებლად და გულის კუნთის შეკუმშვის ინტენსივობის გასაძლიერებლად იყო განკუთვნილი. შაქარს კი მაშინდელი ექიმები ტვინის კვებისთვის იყენებდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ, 15 და 16 დეკემბერს, ექიმები ღამბაშიძე და ვირსალაძე პოეტს ნერვული სისტემის დამამშვიდებელ და აჩქარებული გულისცემის შემანელებელ პრეპარატებს უნიშნავენ.

ერთი წლის შემდეგ, 1914 წელს, ექიმ ღამბაშიძის მიერ გამოწერილი 5 მარტითა და 13 ნოემბრით დათარიღებული რეცეპტებიდან ჩანს, რომ აკაკი გაცივებულია და ხველა აწუხებს. 16 ოქტომბერს კი ღამბაშიძე პოეტს კვლავ საგულე საშუალებებს უნიშნავს.

აკაკის ჯანმრთელობაზე დღემდე არსებული ცნობებისა და ინფორმაციის გვერდით ჩნდება კიდევ ახალი დღეები: 1913 წლის 10, 15 და 16 დეკემბერი და 1914 წლის 5 მარტი, რომლებიც მგოსნის ანამნეზს ავსებს. რეცეპტებიდან მიღებული ინფორმაცია ასევე ამდიდრებს დამატებითი ფაქტებით 1904 წლის 22 ოქტომბრის (პირველი ინსულტის) შემდგომ პერიოდსაც. აკაკის 1914 წლის 5 მარტის ავადმყოფობის შესახებ ინფორმაცია ამ რეცეპტების გაშიფვრამდე ცნობილი არ ყოფილა. მატიანეში მხოლოდ ამ წლის 10 მარტს პოეტის ტრამვაით მგზავრობისას დაშავების ფაქტია აღნიშნული [გურგენიძე ... 1989: 539].

თუ შევაჯამებთ ჩვენ მიერ მიკვლეული ახალი მასალებიდან თუ რეცეპტებიდან მიღებულ ინფორმაციას მგოსნის ცხოვრების ბოლო პერიოდის შესახებ, ასეთი სურათი წარმოგვიდგება: 1914 წელს. ივლისის ბოლოს, აკაკი სხვიტორში ავად ხდება თავის ტვინთან დაკავშირებული ნერვული მოვლენებით [გურგენიძე ... 1989: 545]. 8-დან 11 სექტემბრის ჩათვლით ქუთაისის სასტუმრო „გრანდ-ოტელში" ჩერდება; 16 ოქტომბერს პოეტს გული აწუხებს; 19 ოქტომბერს მგოსანი თბილისში ალექსისთან ერთად თეატრში წარმოდგენას ესწრება; 13 ნოემბერს პოეტი ისევ თბილისშია და გაცივებულია; დეკემბრის დასაწყისში პეტერბურგიდან თბილისში შვილი წერილით ატყობინებს „მძიმე ნივთიერ მდგომარეობას"; აკაკი თბილისში ფულს ვერ შოულობს და 7 დეკემბერს მიემგზავრება ქუთაისში, სადაც იაფფასიან სასტუმროში ჩერდება, იქ კი ოთახი არ თბება. ნახევრად მშიერი და გაყინული პოეტი დღისით ფულის საშოვნელად დადის. ღამით კი წერს პოემა „ომს"; 19 დეკემბერს განმეორებით დეპეშას იღებს შვილისგან; 21 დეკემბერს კოტე აბდუშელიშვილს აკაკი სხვიტორში მიჰყავს; 24 დეკემბერს მგოსანი პოემის წერას ამთავრებს; 25 დეკემბერს ის უკვე მწოლიარე ავადმყოფია; 29, 30, 31 დეკემბერს ავადმყოფის მდგომარეობა თანდათან მძიმდება და ექიმები დამბლის (ინსულტი – მ. ა.) დიაგნოზს სვამენ; 25 იანვრამდე პოეტის მდგომარეობა შიგადაშიგ მეტნაკლებად უმჯობესდება, მაგრამ კვლავ მძიმეა; 25 იანვრის დილის 5 საათზე აკაკის „უმეორდება აპოპლექსიური ინსულტი, ხელმეორედ ექცევა სისხლი ტვინში" [გურგენიძე ... 1989: 556].

ზემოაღწერილიდან კარგად ჩანს, ისედაც დატვირთული გრაფიკის მქონე პოეტს სიცოცხლის ბოლო პერიოდიც როგორი დაძაბული ჰქონდა. პირველად რომ შეუძლოდ გახდა 25 დეკემბერს, მასთან გასასინჯად მისულ ექიმს სევერიანე ჭოღოშვილს აკაკი ეუბნება: „იცით, რომ მე დამბლა დამეცა!“ ჭოღოშვილი მგოსანს დამბლის ნიშნებს მხოლოდ 30 დეკემბერს შეამჩნევს (გაზ. „თემი“, 1915, № 211). აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ არავინ იცნობს აკაკის ისე კარგად და ისე ღრმად, როგორც თავად თვითონ მგოსანი და გამოდის, რომ 25 დეკემბერს მსუბუქი გაჟონვა ჰქონდა. ე. ი. აკაკის ინსულტი სამჯერ კი არა, ოთხჯერ გადაუტანია მეტ-ნაკლები სიმძიმით. ხოლო ჩვენ მიერ ახლად მიკვლეული საბუთების პირად წერილებთან და დღემდე არსებულ ინფორმაციებთან შეჯერებით კარგად ჩანს, რომ აკაკის გულისა და ცენტრალური ნერვული სისტემის პრობლემები ახალგაზრდობიდანვე აწუხებდა. სულ პირველი სამედიცინო დოკუმენტი კი ფილტვების დაავადებას ავლენს, რომელიც ცხოვრების განმავლობაში თან სდევდა პოეტს. ჩვენი ვარაუდით, ფილტვების დასუსტება პეტერბურგის მკაცრმა და ტენიანმა ჰავამ გამოიწვია, რადგან მოგვიანებით, 1907 წელს, აკაკი იაკობ გოგებაშვილს სწერდა, რომ პეტერბურგში ჰაერმა აწყინა და ავად გახდა. ექიმებმა სასწრაფოდ თბილი ქვეყნებისკენ, ნიცაში ან კავკასიაში, წასვლა ურჩიეს [წერეთელი, 1963: 120]. თანამედროვე მედიცინის გადასახედიდან გულის პრობლემები, რაც მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან უფრო ხშირად ვლინდებოდა, სწორედ ფილტვების მდგომარეობიდან, ჟანგბადის მიწოდების შეფერხებით იყო გამოწვეული, ხოლო ის გამუდმებული თავის ტკივილი, რასაც პოეტი ხშირად უსვამდა ხაზს პირად წერილებში, სისხლძარღვთა შევიწროების ან ოსტეოქონდროზის ბრალი უნდა ყოფილიყო.

აკაკის ბიოგრაფიის კიდევ უფრო კარგად და ღრმად შესწავლაში მის მხატვრულ თუ პუბლიცისტურ შემოქმედებასთან ერთად სწორედ რომ საქმიანი, სამედიცინო, იურიდიული თუ ოფიციალური დოკუმენტები დაგვეხმარება.

სხვადასხვა არქივში მოპოვებული ეს დოკუმენტები და საქმიანი ქაღალდები ახლებურად აშუქებს აკაკი წერეთლის როგორც შემოქმედების, ისე მისი საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ბევრ უცნობ დეტალს.

ბიბლიოგრაფია:

1. გურგენიძე ნოდარ, გორგაძე ილია, 1989, აკაკი წერეთელი, ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე. თბილისი: მეცნიერება.
2. ზარდიაშვილი ელისაბედ, 2005, აკაკის უცნობი ნაწერები. თბილისი: ავტოგრაფი.
3. წერეთელი აკაკი, 1959, თხზულებანი, სრული კრებული შვიდ ტომად. ტ. VII. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.
4. წერეთელი აკაკი, 1961, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. XIV. თბ.: „საბჭოთა საქართველო", 1961.
5. წერეთელი აკაკი, 1963, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. XV. თბილისი: „საბჭოთა საქართველო".

MAIA ARVELADZE, ELISABED ZARDIASHVILI
Shota Rustaveli Georgian Literature Institute

AKAKI TSERETELI'S UNKNOWN ARCHIVE MATERIALS

Resume

Documents and work papers have great place in Akaki Tsereteli's genre and thematic various creation. His words, statements, warrants, medicine recipes, checks, wills, tickets, passes, invitation cards, telegrams, passports, agreements, orders, birthday works, hotel bills, dinner menus, sheet of marks, genealogies, pocket books and so on are kept in different archives and are unknown for the readers.

Our theme discusses some important documents from above mentioned works, which show well the poet's life details. For example, the unknown orders and references reveal the unfortunate facts from poet's biography. "Grand-Hotel" bill gives information about Akaki Tsereteli's feeding, the wills show the poet's future wishes, the checks points about his poor living. Also tells about the time, which was wasted in useless arguments.

These unknown documents found in different archives show newly Akaki Tsereteli's public and private life details.

ჯულიეტა გაბოძე
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ცენზურისა და რეაქციის გავლენა აკაკი წერეთლის შემოქმედებაზე (საარქივო მასალები და მომავლის არქივები)

აკაკი წერეთლის მთელი ცხოვრება და შემოქმედება ქართველი ხალხის ეროვნული იდენტობის გაღრმავებასა და პოლიტიკური თვითშეგნების ამაღლებას ემსახურებოდა. ამის გამო შემოქმედი მუდმივად განიცდიდა ხელისუფლებისა და ცენზურის ზეწოლას. მის ზოგ ნაწარმოებს დამახინჯებით ბეჭდავდნენ, ტექსტებს ჭრიდნენ და წიგნის ტირაჟს ანადგურებდნენ; ზოგჯერ კი მათ გამოცემას საერთოდ კრძალავდნენ. ცენზურის ზეგავლენა აკაკის მთელ შემოქმედებას შეეხო. ამიტომაც სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა შემოქმედს ცენზურის შიში: „ჩემს სიცოცხლეში ცხადათ თუ სიზმრად ერთი რამ მაფრთხობდა ყველაზე მეტად და საფლავშიაც ქარცეცხლად მიმყვება. მე ვამბობ ცენზურაზე. ვინც მომსწრე არ არის და არც გამოუცდია, იმას მარტო გონებით წარმოდგენა არ შეუძლია მისი, თუ რა იყო წინათ ეს საოცარი „ცენზურა“ და იმ დროში არა თუ შლიდნენ ნაწერებს, ცენზორები თავისას ჩააწერდნენ ხოლმე სამაგიეროს და ისე იბეჭდებოდა“ (წერეთელი, 1961:335).

აკაკი წერეთლის ნაწერები საქართველოში რამდენიმე არქივისა და მუზეუმის ფონდებშია შემონახული. საბედნიეროდ, შემორჩენილია საცენზურო კომიტეტის მასალები, რომლებშიც დაცულია მწერლის ცხოვრების საინტერესო დეტალები, ცენზურის მიერ აკრძალული ან დამახინჯებული ტექსტები. დღესდღეობით აკაკი წერეთლის შემოქმედების მასალები ხელმისაწვდომია მხოლოდ საქართველოში არსებულ ფონდებში; ესენია: საქართველოს ეროვნული სახელმწიფო არქივის, ქუთაისის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმის, კ.კეკელიძის ეროვნული ცენტრის, გ. ლეონიძის ქართული ლიტერატურის მუზეუმის, ი. გრიშაშვილის სახლ-მუზეუმის ფონდებში დაცული საცენზურო კომიტეტის მასალები, რომლებიც ინახავს სხვადასხვა დროს აკრძალული ან გამოსაქვეყნებლად ნებადართული ტექსტების დასახიჩრებულ ვარიანტებს. ეს მასალები ფრიად მნიშვნელოვან და საგულისხმო ცნობებს შეიცავს, ხშირ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება ავტორის ნების გამოვლენა და, შესაბამისად, ნაწარმოების ძირითადი ტექსტის დადგენაც. არსებობს დაკარგული და განადგურებული ტექსტებიც, რომლებიც ჟამთა ვითარებას ვერ გადაურჩა. ზოგი ტექსტი შესაძლოა ჯერაც ინახებოდეს კერძო კოლექციებსა თუ სხვადასხვა პირთა არქივებში. ამის რამდენიმე პრეცედენტი

არსებობს კიდეც, მაგ: იასონ ლორთქიფანიძის კოლექციაში დაცული იყო აკაკის ლექსის „გულის პასუხი" ავტოგრაფი, საფრანგეთში, ვახტანგ ღამბაშიძის არქივში, სანატორიუმ „პატარა ცემის" შთაბეჭდილებათა წიგნაკის პირველივე გვერდი იწყება აკაკის ლექსის „პატარა ცემის" ხელნაწერით; აკაკი წერეთლის „თხზულებების" მეორე წიგნში (1893) ავტორის ხელით აღდგენილია ცენზურის მიერ აკრძალული შვიდი სტროფი ლექსში „ბოდვა" [იხ. ვრცლად „იდგნენ და ელოდნენ"..., 2001:5]. ამგვარი მაგალითები მრავლადაა, ასე რომ, ჯერაც ამოუწურავია დიდი მწერლის შემოქმედება.

როგორც აღვნიშნე, ცენზურა აკაკის შემოქმედებას ერთნაირად დაუზოგავად ებრძოდა სიცოცხლეშიც და გარდაცვალების შემდგომაც, მისგან თავის დასაღწევად, ალბათ, ამიტომაც მიმართავდა დიდი შემოქმედი შენიღბვის სხვადასხვა მეთოდს: პოეტურ ალეგორიებსა თუ მეტაფორებს (ნესტან-დარეჯანი - სატრფო-სამშობლო, მოყვარე მტერი, დედინაცვალი - რუსეთი და მრავალი სხვა); საკმარისია გავიხსენოთ მისი ალეგორიული ხასიათის ლექსები: „ნავი", „ქართლის სალამი", „ავადმყოფი", „გაზაფხული", „სულიკო", „ჯაღარა" და მრავალი სხვა. „1 მარტს რომ ხელმწიფე იმპერატორი მოკლეს, 3-ს ჩემი ლექსი გამოვიდა „დღეს მერცხალი შემოფრინდა" და სხვანი... კინაღამ ციმბირში ამომაყოფინეს თავი... სტარონსელსკი, მაშინდელი ნამესტნიკის კანცელარიის უფროსი რომ არ გამომსარჩლებოდა"... – წერდა 1881 წელს გამოქვეყნებულ ლექსზე აკაკი (წერეთელი, 1961:337).

ცენზურა ამახინჯებდა როგორც ცალკეულ ნაწერებს, ასევე მის კრებულებს და კრძალავდა მისი რედაქტორობით გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებს. ამიტომაც სიცოცხლეში ვერ გამოაქვეყნა პოემები: „ვარონცოვი", „ასის წლის ამბავი", „რაჭა-ლეჩხუმი", „უკანასკნელი პოემა „ომი", ათობით პუბლიცისტური წერილი. სამწუხაროდ, არც საბჭოთა ხელისუფლების დროს ასცდა ცენზურის წნეხი მის შემოქმედებას - ვერ გამოქვეყნდა მისი რამდენიმე ლექსი, ერთი პოემა და ათზე მეტი პუბლიცისტური წერილი.

ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ისტორიულ არქივში, კირილე ლორთქიფანიძის ფონდში, ინახება აკაკის ლექსების კრებულ „სალამურის" ავტოგრაფული ხელნაწერი (974) და ასლი (975), გადაწერილი კირილე ლორთქიფანიძის მიერ; კრებულის ხელნაწერები მეტად საინტერესოა და მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ცალკეული ნაწარმოების დათარიღების საკითხის გასარკვევად. კრებული გამოიცა 1893 წელს. ამჟამად „სალამურის" ნაბეჭდი წყარო ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა და საქართველოში მხოლოდ ორი ეგზემპლარია შემორჩენილი. „სალამურის" ხელნაწერი ასლი კირილე ლორთქიფანიძეს წარუდგენია საცენზურო კომიტეტში, რომელმაც ამგვარი ნებართვა გასცა: „ნებადართულია ორმოცდათვრამეტ გვერდზე 7, 8, 9, 13, 15, 18, 19, 45 და 53 გვერდების გამოკლებით. 12 დეკემბერი, 1892 წ. თბილისი. ცენზორი თავ. რაფ.

ერისთავი". როგორც ირკვევა, 58 გვერდიდან ცენზურამ 14 გვერდი ამოჭრა. კრებულის შემოქმედებითი ისტორიის შესწავლით დადგინდა, რომ კირილეს განზრახული ჰქონია „სალამურთან" ერთად გამოეცა აკაკის ლექსი „ხოლერა", რომელიც 1892 წელს დაიბეჭდა, მაგრამ ისეთი დამახინჯებული და დაჩეხილი იყო, რომ ლექსის მთავარი აზრი მთლიანად დაიკარგა, ამიტომაც გადაწყვიტა, ალბათ, გამომცემელმა მისი ხელახლა გამოქვეყნება კრებულ „სალამურთან" ერთად იმ იმედით, რომ ახლა მაინც აღადგენდა ამოჭრილ სტრიქონებს, მაგრამ ცენზურას არც ამჯერად გამოეპარა პოეტისა და გამომცემლის „ეშმაკობა" და საერთოდ აღარ მისცეს ლექსის დაბეჭდვის ნება. მეტიც, კრებულში შემავალი სხვა ლექსებიდანაც ამოჭრეს ცალკეული სტროფები და გვერდებიც კი, მხოლოდ ამის შემდეგ გაიცა ცენზურის ნებართვა. კრებული საკმაოდ დაგვიანებით გამოვიდა. საბედნიეროდ, კრებულ „სალამურისა" და ლექს „ხოლერას" გადარჩენილი საცენზურო ცალები საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ პოეტის შემოქმედებითი ნება (ფოტო 1).

არქივში შემორჩენილია „თორნიკე ერისთავისა" და „თამარ ცბიერის" საცენზურო ეგზემპლარები, რომლებიც ასევე შესანიშნავი წყარო გახდა ამ ტექსტების დასადგენად. საკუთარი ნაწერების გადასარჩენად აკაკი უჩვეულო მეთოდსაც მიმართავდა, საკუთარი ხელით აღადგენდა ხოლმე ცენზურის მიერ ამოჭრილ სტროფებს წიგნში, მაშინაც კი, როცა ეს წიგნი სხვისი საკუთრება იყო. ამის შესანიშნავი მაგალითია აკაკის „თხზულებანის" (1893 წლის) II ტომი, რომელშიც ლექსი „ბოდვა" დამახინჯებული სახით გამოქვეყნდა; აკაკის რამდენიმე წლის შემდეგ ჩაუმატებია შვიდი სტროფი ამ წიგნის იმ ეგზემპლარში, რომელიც ეკუთვნოდა, სავარაუდოდ, მაკო საფაროვას, რომლის სახლშიც 1905 წელს, წელიწად-ნახევარი ცხოვრობდა აკაკი წერეთელი. ამრიგად, თავად პოეტმა ამ სახით შემოგვინახა ლექსის სტროფები, რომლებიც ცენზურას ვერ გადაურჩა. (იხ. ვრცლად გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 2001; 22-29 მარტი : 5, 9 მარტი :7).

აკაკი წერეთელმა ყველაზე უკეთ იცოდა, რომ ნაწერების დიდი წილი დამახინჯებით იყო გამოქვეყნებული ან საერთოდ შერისხული იყო და ამიტომაც (და არა მხოლოდ ამიტომ) მოისურვა ჟურნალი „აკაკის კრებულის" გამოცემა, რომელშიც დაიბეჭდებოდა მისი ძველი და ახალი ნაწერები და ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ არქივში, აკაკის ფონდში, ინახება დოკუმენტები, რომლებიც შეიცავს ცნობებს ამ ჟურნალის გამოცემისა და შემდეგ მისი აკრძალვის შესახებ (ფოტო 2).

აკაკის, როგორც რედაქტორ-გამომცემელს, სხვა დროსაც ხშირად ჰქონია საქმიანი ურთიერთობა საცენზურო სამმართველოსთან. 1905 წელს მან მიმართა ამ ორგანოს თხოვნით ყოველთვიური იუმორისტული ჟურნალ „ხუმარას" გამოცემად. დასტურიც მიიღო, რის შესახებაც ცოლ-შვილს ატყობინებდა: „ნება დამრთეს გამოვცე გაზეთი, მაგრამ, სანამ თქვენ არ მოგეთათბირებით, ვერაფე-

რი გადამიწყვეტია. მალე ნახვამდის. თქვენი მოყვარული აკაკი" (წერეთელი 1966:130) (ფოტო 3).

1907 წელს აკაკის რედაქტორობით გამოიცა ნახატებიანი ჟურნალი „ხუმარა" - ეს იყო პირველი ქართული იუმორისტული ჟურნალი. თავფურცელზე დაბეჭდილი იყო თბილისის გენერალ-გუბერნატორ რაუშ ფონ ტრაუბენბერგის კარიკატურა (მხატვარი გიგო ზაზიაშვილი) აკაკის სატირული ლექსით. ხელისუფლებამ ჟურნალიდახურა,სტამბადაარბიადააკაკიდააპატიმრა.თუმცაამასისეთიამბავიმოჰყვა, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა დაუყოვნებლად გაეთავისუფლებინა პოეტი. „როცა აკაკი ციხეში მიიყვანეს, მთელი ციხე აფორიაქდა... პატიმრები, განურჩევლად მათი დანაშაულის ხასიათისა, დემონსტრაციულად გამოვიდნენ ეზოში, ჰყვიროდნენ, მთელ ციხეს აზანზარებდნენ და მოითხოვდნენ საყვარელი პოეტის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. ეს პროტესტი სამხედრო გუბერნატორის, ტიმოფეევის ყურამდეც მივიდა... ტიმოფეევმა მაშინვე გასცა განკარგულება აკაკის განთავისუფლებისა. ქაღალდი დაბინდებისას მივიდა ციხეში. აკაკიმ არ მოისურვა ღამით გამოსვლა ციხიდან: „არა ნუ მაწუხებთ, ამაღამ მე აქ დავრჩები და ხვალ დილით წავალო". - წერდა იოსებ გრიშაშვილი (გრიშაშვილი 1964:349).

ერთი წლით ადრე, 1906 წელს, აკაკიმ „პატარა გაზეთში" გამოაქვეყნა ლექსი „ინტერნაციონალი მარსელიოზის ხმაზე" (ეჟენი პოტიეს „ინტერნაციონალის" გადაკეთებული ვერსია), რის გამოც ჟურნალი დაიხურა და აკაკი წერეთელი და გაზეთის რედაქტორი სერგეი მესხი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს (ფოტო 4).

აკაკი წერეთელი სიცოცხლის ბოლომდე დაუმორჩილებელი და ხელისუფლების დამპყრობლური პოლიტიკის მოწინააღმდეგედ დარჩა. სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია კრიტიკა. მას ვერავინ გააჩუმებდა, სიმართლეს მაინც ამბობდა, თუმცა სათქმელის ხალხის ყურამდე და გულამდე მისატანად მისი პუბლიკაცია იყო საჭირო, სწორედ ამიტომ გადაწყვიტა თავად გამოეცა საკუთარი ნაწერები კრებულებად; ამ მიზნით განიზრახა კვლავ ყოველთვიური ჟურნალის გამოცემა 1910 წელს, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ შეძლო და სწორედ მაშინ გამოჩნდა მეცენატი იაკობ მანსვეტაშვილი, რომლის დახმარებითაც გამოვიდა აკაკის ნაწერების ორი პატარა ტომი, სახელწოდებით „ჩემი ნაწერები", თუმცა ვერც ეს გამოცემა გადაურჩა ცენზურის რისხვას. მეორე ტომი, რომელიც უნდა გამოცემულიყო 1912 წელს, ცენზურამ დააპატიმრა; წიგნის 1800 ეგზემპლარი კი მთლიანად გაანადგურა იმის გამო, რომ მასში დაიბეჭდა პოემა „ვორონცოვი" და მხოლოდ მას შემდეგ მისცა წიგნის გამოცემის ნებართვა, როდესაც იქიდან ამოჭრეს პოემა და ნაკლული გვერდები შეავსეს სხვა ნაწერებით. სამწუხაროდ, აკაკის სიცოცხლეში ამ პოემას დღის სინათლე არ უხილავს და მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკის არქივში დაცული იყო პოემის

ხელნაწერები და მათ შორის, მისი რუსული თარგმანიც, რომელიც ალბათ სწორედ ცენზურისთვის გაკეთდა, ვერც პოეტის სიცოცხლეში და ვერც შემდეგ, კარგა ხნის განმავლობაში, ვერც ერთმა გამომცემელმა ვერ გაბედა მისი გამოქვეყნება. როგორც აღვნიშნეთ, ნაბეჭდი ტექსტი განადგურდა, თუმცა ცენზურის მაშინდელი კომიტეტის ერთმა თანამშრომლმა დიდი რისკის ფასად გადაარჩინა წიგნის ერთი ეგზემპლარი, რომელიც შემდეგ მოხვდა იოსებ გრიშაშვილთან და სწორედ მან გამოაქვეყნა პირველად პოემა (წერეთელი 1956:248). (ფოტო 5)

ასევე მძიმე გადასატანი აღმოჩნდა აკაკი წერეთლისთვის ე. წ. რეაქციის (1906–1907) წლები. მუდამჟამ საშოვარს გადაგებული პოეტი სახლში იშვიათად იყო და შესაბამისად, საფრთხეც მეტად ემუქრებოდა. საშინელი დრო იდგა, 1906 წელს მომაკვდავი იმპერიის სადამსჯელო რაზმები ყველას და ყველაფერს ანადგურებდნენ, არავის ინდობდნენ, ამიტომაც შეწუხებული აფრთხილებდა აკაკი გიორგი ზაბახიძეს, რომ მისი ნაწერები მაინც გადაერჩინა: „მეშინია სახლი არ დამიწვან. მე კარგათ ვიცი, რომ გლეხები არ დამიწვავენ, მაგრამ ამისთანა დროს არც მეზობელი აიღებს ხელს მტრობაზე და იცოდე, ჩემო გიორგი, რომ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ჩემი ნაწერებია და ისინი კი, თავთან რომ დიდი ხის კოლოფი მიდგას, იმაში არიან და ის გადამირჩინე. თუ შეატყო, აქეთ გამომიგზავნე ის კოლოფი“ (საარქივო 2010:327).

შეწუხებული და სასოწარკვეთილი ატყობინებდა ცოლ-შვილს: „თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ კავკასიაზე და აქაურ ამბებზე. რომ დღემდე თქვენთან ვერ ჩამოვსულვარ და რომ ასეთი ტერორის დროს წერილები თქვენამდე ვერ აღწევს, გასაკვირველი არაფერია. არ არის დღე, რომ სიკვდილს არ ველოდე. ჩვენი ნაცნობებიდან ნახევარი ამოხოცილია ბარბაროსულად. ხოცავს ყველა პარტია და ამათ გარდა, პროფესიული ყაჩაღებიც — ისინი საშინლად მომრავლდნენ და დაუსჯელად მოქმედებენ. ჯერჯერობით მე ღმერთი მწყალობს და ეს სასწაულია!“ (წერეთელი 1966:126).

„ძალიან ცუდი მდგომარეობაა... თქვენ მანდ მხოლოდ სოციალისტები გაწუხებენ, აქ ჩვენ კი — ისინიც და პლიუს კაზაკებიც... ქუთაისის გუბერნია გაველანებულია... იწვის სახლები; დუქნები და მაღაზიები გაძარცულია. ადამიანებს ხოცავენ ბუზებივით, არ არჩევენ მართალს და მტყუანს. საჩხერე დარბეულია. გადარჩა მხოლოდ ჩვენი სახლი. მიკვირს, რატომ?“ (წერეთელი, 1966:120).

ამრიგად, ასეთ დევნასა და შევიწროებას განიცდიდა დიდი მგოსანი და მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. აკაკის ნაწერების სრულად გამოქვეყნება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გაუქმების შემდეგ გახდა შესაძლებელი. ამჟამად აკაკი წერეთლის შემოქმედება ოც ტომს შეადგენს; 2010-2015 წწ. შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მომზადდა და გამოიცა მისი მხატვრული ნაწერების 10 ტომი, გამოსაცემად მზადდება შემდეგი 10 ტომი.

მწერლის ნაწერების აკადემიური გამოცემის მომზადებისას მეცნიერ-ტექ-

სტოლოგთა წინაშე არაერთმა სირთულემ იჩინა თავი. საკმაოდ ძნელი იყო სხვადასხვა ქალაქში, სხვადასხვა არქივში გაბნეული მასალის მოძებნა ხშირად იმ მიზეზის გამო, რომ ფონდების უმეტესობაში ჯერაც არაა ელექტრონული კატალოგები და ხელნაწერთა აღწერილობები. კატალოგების უდიდესი ნაწილი წინა საუკუნეში ან მის დასაწყისშია გაკეთებული და ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს, არ არსებობს ერთიანი ელექტრონული კატალოგები, არქივებში დაცულ აღწერილობებს, ხშირ შემთხვევაში, არ ერთვის ანოტირებული საძიებლები (გამონაკლისია გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის მუზეუმის აკაკის ფონდი, რომლის საარქივო მასალების ორი წიგნი გამოიცა და ახლახან ხელნაწერთა აღწერილობაც გამოქვეყნდა). ინტერნეტსივრცეში განთავსებული ამ ტიპის მასალა მეცნიერს დაეხმარება დისტანციურად მოიძიოს საჭირო დოკუმენტი, ინტერნეტითვე გამოიწეროს და შემდეგ მივიდეს არქივში; წარმოიდგინეთ, მეცნიერისა და არქივის თანამშრომლის რამდენ დროსა და რესურსს დაზოგავდა ამ ტიპის მომსახურება. ასეთი ტიპის კატალოგები და ანოტირებული აღწერილობები მეტ გარანტიას იძლევა, რომ ჩვენს არქივებში დაცული მასალა უფრო სრულყოფილად იქნეს შესწავლილი და გამოვლენილი. მაგალითისთვის ისევ აკაკის საარქივო მემკვიდრეობას მოვიყვან. ხშირია შემთხვევა, როცა პოეტის ერთი და იმავე ნაწარმოების სხვადასხვა ავტოგრაფული ხელნაწერი თუ ასლი სხვადასხვა არქივშია შენახული, ზოგჯერ სხვადასხვა ადგილასაა ერთი ნაწარმოების ფრაგმენტები ან ვარიანტები, მაგალითად მაგალითად, დრამატული პოემა „თამარ ცბიერის" ავტოგრაფები ინახება ლიტერატურის მუზეუმისა (№ 17771) და ხელნაწერთა ცენტრის აკაკის ფონდებში (№242), მისი საცენზურო ცალი კი საქართველოს ცენტრალური არქივის საცენზურო ფონდშია (ფ.2. 480,№170); პოემა „ალექსის" ავტოგრაფი ქუთაისშია (2173/973), ასლი - თბილისში, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკის ფონდში; პოემა „ვარონცოვის" ავტოგრაფები ხელნაწერთა ცენტრშია, მისი ავტორიზებული ნაბეჭდი გრიშაშვილის სახელმწიფო მუზეუმში; „ჭაღარას" ორი ხელნაწერი ქუთაისშია [2173/956 და 2176/12416 (დიმიტრი ვეზირიშვილის არქივში შემორჩენილია ავტოგრაფის ფრაგმენტი)]; ხელნაწერთა ცენტრში კი ლექსის სხვა ავტოგრაფია (№81, გვ. 10-11); პოემა „ასის წლის ამბავის" ხელნაწერები ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშიც და ლიტერატურის მუზეუმის აკაკის ფონდშიც და მრავალი სხვ. ასევე, აკაკის ნაწერები ინახება პეტერბურგში. თავის დროზე ელენე ვირსალაძემ ჩამოიტანა ისინი, მაგრამ შესაძლოა სხვა მასალაც იყოს უცხოურ ფონდებში. აკაკი ხშირად მოგზაურობდა რუსეთის ქალაქებში, მათ შორის, მოსკოვში, პეტერბურგში, ხარკოვში და სხვ. ახლა, მოგეხსენებათ, გართულებულია მასალის მოსაძიებლად რუსეთის რესპუბლიკაში წასვლა. შესაბამისად, ადვილი წარმოსადგენია, რამდენ დროსა და ენერგიას ხარჯავს მეცნიერი მასალის მისაკვლევად, შემდეგ კი მათ შესაჯერებლად, ვარიანტების

შესადგენად და ძირითადი ტექსტის დასადგენად. თუკი ყველა ფონდს ექნება ელექტრონული კატალოგები და აღწერილობები, ასევე დიგიტალიზებული იქნება ხელნაწერები, მაშინ მკვლევარი უმოკლეს დროში შეძლებს ტექსტების მოძიებასაც და მათ შედარებასაც. ეს კი, დაგვეთანხმებით, დიდ ადამიანურ, ფინანსურ და დროის რესურსს დაზოგავს და საქმეც უფრო სწრაფად და ხარისხიანად გაკეთდება.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს არქივებსა და მუზეუმებში კარგა ხანია დაწყებულია ელექტრონული კატალოგიზაცია, ფონდების აღწერილობების ელექტრონული ვერსიის მომზადება და ხელნაწერი მასალის დიგიტალიზაცია, რაც თავისთავად შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია; ეს საჭიროებს დიდ ადამიანურ და ფინანსურ რესურსს, რაც, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში, არ აქვს ხოლმე ამ დაწესებულებებს. სხვადასხვა ფონდიდან მოპოვებული დაფინანსება პერმანენტულია და ხშირად არასაკმარისიც დასახული გეგმის შესასრულებლად: ამას სახელმწიფო კანონი უნდა აწესრიგებდეს, რის საფუძველზეც მუზეუმებსა და საარქივო ფონდებს რეგულარულად უნდა ეძლეოდეს ამგვარი დაფინანსება, მაგრამ, ვფიქრობთ, არანაკლებ საჭირო და საშურია იმ სამეცნიერო კადრების მომზადებაც და ზრდა, რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს არსებული მასალის აღწერა ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ ასევე ხელი უნდა შეუწყოს ამ ტიპის კადრების მომზადება-გადამზადებას, უნივერსიტეტებში შესაბამისი პროგრამების დანერგვას, რათა ისწავლებოდეს საარქივო და სამუზეუმო საქმე. ასევე უმნიშვნელოვანესია პროგრამის მომზადებაში ჩართული იყოს ის სამეცნიერო კონტინგენტი, რომელთაც ამგვარი მუშაობის გამოცდილება აქვს. ამასთანავე, მეცნიერთა თანამშრომლობა არქივების მოწესრიგებისას ერთობ საშურია, რადგან ხშირად მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევა (მწერლის, მოღვაწის ბიოგრაფიის, მათი შემოქმედების, ნაწერების ატრიბუციისა თუ დათარიღების მხრივ) აზუსტებს ამა თუ იმ დოკუმენტის წყაროსა და მონაცემს. ამდენად, ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, სრულყოფილი და თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი საარქივო მომსახურებისთვის საჭიროა:

- ფონდებში დაცული მასალების სისტემატიზაცია, აღწერა, ანოტაცია და საძიებლების შედგენა-შევსება;
- სრულყოფილი ელექტრონული კატალოგების შედგენა;
- ფონდების აღწერილობების ელექტრონული ვერსიის გავრცელება;
- მასალის დიგიტალიზაცია;
- სამეცნიერო პოტენციალის გაზრდა (ადამიანური და ტექნიკური რესურსები);
- არქივებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების, არქივის თანამშრომლებისა და მიმართულებების მეცნიერთა კოორდინაცია და თანამშრომლობა;
- საარქივო და სამუზეუმო საქმის სასწავლო პროგრამის დაბრუნება უმაღლეს სასწავლებლებში;

- მოღვაწის, მწერლის იმგვარი ვებგვერდის შექმნა, რომელზეც განთავსდება სრულად მასალა, ბიბლიოგრაფია, ანოტირებული საძიებლები. ცხადია, ამ ტიპის მომსახურება ფასიანია ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, რაც ამ ფონდების განვითარებასა და მათ მოვლას ხმარდება.

აი, ასე წარმოგვიდგენია ჩვენ მომავლის არქივები, რაშიც უდავოდ დიდია სახელმწიფოს როლი და აუცილებელია მეცნიერ-არქივარიუსთა ერთობლივი შრომა, ანუ ამ საქმეში საჭიროა „ხორციელად განწესებული ლაშქარი და სულიერად განწყობილი ლაშქარი შეეერწყათ ურთიერთას".

ლიტერატურა:

1. გაბოძე, ჯულიეტა. 2009 აკაკის თხზულბათა გამოცემები. თბილისი.
2. გაბოძე, ჯულიეტა, 2001. იდგნენ და ელოდნენ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 22-29 მარტი.
3. კვაჭანტირაძე, თამაზ, 2001. ყოფილა დღეს აღარ არის... გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 9 მარტი
4. გრიშაშვილი, იოსებ. 1964. თზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტომი მე-4 ლიტერატურული ნარკვევები. თბილისი.
5. წერეთელი, აკაკი. 1956. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. VI, თბილისი.
6. წერეთელი, აკაკი. 1961. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIV, თბილისი.
7. წერეთელი, აკაკი. 1966. წერილები ცოლ-შვილთან (ბესო ჟღენტის რედაქციითა და შესავალი წერილით). თბილისი.
8. საარქივო გამოცემა. 2010. აკაკი წერეთელი. წიგნი მეორე. თბილისი.

საარქივო დოკუმენტების ფოტოები



ფოტო1. კრებული „ხალამური“ - ქუთაისის მხარეთმცოდნეობის ისტორიული მუზეუმი



ფოტო 2 - „აკაკის თვიური კრებულის" გამოცემის ნებართვა, ინახება- საქართველოს ეროვნულ არქივში



ფოტო 3. აკაკის თხოვნა ჟურნალ „ხუმარას" გამოცემის მესახებ-საქართველოს ეროვნული არქივი

ფოტო 4. დადგენილება „პატარა გაზეთის" აკრძალვის შესახებ - საქართველოს ეროვნული არქივი





ფოტო 5.
„ჩემი ჩანაწერები" აკრძალული ეგზემპლარი

ეგზემპლარი დაცულია
გრიშაშვილის სახელმწიფო მუზეუმში

JULIETA GABODZE
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

THE IMPACT OF CENSORSHIP AND REACTION ON AKAKI TSERETELI'S CREATIVITY ARCHIVAL MATERIALS AND THE ARCHIVES OF THE FUTURE

Summary

Akaki Tsereteli's life and activity served the deepening of national identity of Georgian people and rising of political self-consciousness. This was the reason that his creative works were constantly subjected to pressure from government censorship. Some of his works were published in a distorted form – the texts were cut and the circulation of was destroyed; sometimes their publication was forbidden at all.

In 1906 Akaki published the verse "Internationale to the tune of Marseillaise" (a remake of E. Potier's anthem "Internationale") in the "Patara Gazeti" due to which the journal was closed and Akaki Tsereteli and editor of the newspaper Sergei Meskhi were charged with criminal offense.

In 1907 under Akaki's edition the illustrated journal "Khumara" was released. It was the first Georgian humorous magazine. On the cover was printed a caricature of the Tbilisi Governor-General Raush von Traubenberg (artist Gigo Zaziashvili) with Akaki's satirical verse. The authorities closed the magazine, the publishing house was crushed and Akakia was imprisoned.

In 1912, a total of 1800 copies of the second book of Akaki's "My Writings" were destroyed by the censorship because there was printed a poem "Vorontsov".

In Soviet period because of the censorship several verses, one poem and several tens of publicist letters did not come out. The publication of his complete set of works became possible only after the collapse of the soviet regime. Currently, Akaki Tsereteli's creative works made 20 volumes.

The paper deals with the obstacles that may arise during preparation of the writer's works for publication which are largely due to the absence of electron catalogues in the archives of the prominent figures and inconsistency of the fund descriptions with modern technological standards. There is an enumeration of the points necessary for the solution of this problem which can help in raising the scientific potential of the archives and involvement of the researches in the creation of the solid scientific base.

თამთა შონვაძე
საქართველოს ეროვნული არქივი

ესტატე მირიანაშვილის მოგონებები

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე სასულიერო პირის, შემდგომში იურისტის, ქართული კულტურის მკვლევარისა და პედაგოგის - ესტატე მირიანაშვილის (იგივე ესტატე შილდელის) - მოგონებები მორიგი წიგნია, რომელსაც ეროვნული არქივი სთავაზობს მკითხველს სერიიდან „მოგონებები, დღიურები, ჩანაწერები".

ესტატე მირიანაშვილის მოგონებებში ძირითადად ასახულია მეფის რუსეთის ეპოქა; ამავე დროს, იგი საკმაოდ საინტერესოდ აღწერს საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდს (1918-1921 წლები), თუმცა მცირე ადგილს უთმობს მას. საბჭოთა ხანიდან კი, როგორც გამოცდილი იურისტი, მხოლოდ ერთ უპირატესობას აღნიშნავს - სტალინის დროს შეიქმნა ძალიან კარგი კონსტიტუცია, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, უუფლებო და ღარიბი ადამიანების ინტერესები უნდა დაეცვაო. საბჭოთა დროის არც ერთ სხვა მოვლენას, სამწუხაროდ, ვრცლად აღარ ეხება, მხოლოდ საკუთარი ნამსახურობის სიას გვაცნობს.

ესტატე მირიანაშვილი დაიბადა 1866 წელს თელავის მაზრის სოფელ კურდღელაურში მღვდლის - მატათია მირიანაშვილის - ოჯახში. ბავშვობა გაატარა ენისელში, მოგვიანებით კი - სოფელ შილდაში, სადაც მამამისი მღვდლად მსახურობდა. ესტატემ 1881 წელს დაამთავრა თელავის სასულიერო სასწავლებელი და იმავე წელს სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში.

სემინარიის დასრულების შემდეგ (1887 წ.) მან სასულიერო სასწავლებელში ზედამხედველად დაიწყო მუშაობა. პარალელურად ემზადებოდა ტომსკის უნივერსიტეტში შესასვლელად, მაგრამ მამამისის კატეგორიულ მოთხოვნას წინ ვერ აღუდგა - 23 წლის ესტატე დაქორწინდა სამხედრო მღვდლის, სოლომონ იმერლიშვილის, უფროს ქალიშვილზე, 15 წლის ნინო იმერლიშვილზე და მღვდლად ეკურთხა; მათ ექვსი შვილი შეეძინათ[1].

ახალგაზრდა მღვდელი ახალციხეში ყოფნის პერიოდში (1891-1895) უსასყიდლოდ ასწავლიდა ქართულ ენას ქალთა ადგილობრივ საქველმოქმედო ორგანიზაციაში, ბევრს მუშაობდა ქართული ძეგლების, მშობლიური ენისა და

[1] ამათგან ჩვილობაშივე გარდაეცვალა თამარი. მოგვიანებით განჯაში მეორე შვილი - ირაკლი, შემდეგ კი ტრაგიკულად დაეღუპა მესამე შვილი - ილიკო.

კულტურის შენარჩუნება-აღორძინების საკითხებზე, იბრძოდა ახალციხელ ქართველ კათოლიკეთათვის წირვა-ლოცვის მშობლიურ ენაზე დაწესებისთვის, აქვეყნებდა სტატიებს ქართველ კათოლიკეებზე, ასევე ზრუნავდა სამცხე-ჯავახეთში ქართულ ძეგლებსა და ეპიგრაფიკულ წარწერებზე, რომელთაც, როგორც თვითონ შეშფოთებული აღნიშნავდა, მიზანმიმართულად ანადგურებდნენ.

1895-1898 წლებში ესტატე მირიანაშვილმა სამღვდელო მსახურება – ჯერ სალიანში, ხოლო 1898-1905 წლებში განჯის რკინიგზის რაიონში გააგრძელა. 1905 წლის მიწურულს კი რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობისთვის დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს.

ნახევარწლიანი პატიმრობის შემდეგ ესტატემ საბოლოოდ თქვა უარი მღვდლის ანაფორაზე და სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე დაიწყო. როდესაც სწავლა დაასრულა (1910 წ.), დაბრუნდა საქართველოში და სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას მსახურობდა მოსამართლედ თუ გამომძიებლად; საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მუშაობდა არბიტრაჟსა და ჟურნალ-გაზეთებში: „საბჭოთა სამართალი", „მებრძოლი ათეისტი", „რელიგიის წინააღმდეგ" და სხვა. ბევრს წერდა სამართლის, ეკონომიკის, კულტურისა და რელიგიის საკითხებზე; განიხილავდა ეპოქის მძიმე სოციალურ ფონს.

ესტატე მირიანაშვილი 1954 წლის 2 აპრილს თბილისში გარდაიცვალა.

ესტატეს მოგონებები 18 ნაწილისგან შედგება. მათგან „ჩემი სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში" ესტატეს მოგონებების ყველაზე საინტერესო მონაკვეთია, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი, რა ხდებოდა სემინარიაში მისი სწავლის დროს – პედაგოგები, მოსწავლეები, რეჟიმი, სასწავლო საგნები, ინვენტარი, საკვები, მოვლენები ... აღსანიშნავია, რომ იგი სემინარიის სამივე რექტორის დროს სწავლობდა. აი რას წერს თავად ამის შესახებ: „რექტორებად იყვნენ პირველად, როდესაც მე სემინარიაში შევედი, არქიმანდრიტი მისაილი, შემდეგ – დეკანოზი ჩუდეცკი, რომელიც მოკლეს 1886 წ., მხოლოდ ბოლოს – არქიმანდრიტი პაისი".

მოგონებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ თბილისის სასულიერო სემინარია, რომელშიც პავლე ჩუდეცკის ძალისხმევით კატორღული რეჟიმი იყო დამყარებული, რევოლუციონერთა, მეამბოხეთა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთა ერთ-ერთი სამჭედლო იყო. ამ დროს რევოლუციური იდეები ეპიდემიასავით იყო მოდებული. სასულიერო სემინარია კი იმ თითზე ჩამოსათვლელ სასწავლებელთა შორის იყო, რომლებშიც რიგით მოქალაქეს განათლების მიღების საშუალება ჰქონდა. იქ მოწაფეები იკრიბებოდნენ არალეგალურ წრეებში და აკრძალულ ლიტერატურას კითხულობდნენ, მსჯელობდნენ, ქადაგებდნენ რევოლუციურ იდეებს; ასე ჩამოყალიბდნენ სემინარიელები, რომელთაც რწმენა შერყეული ჰქონდათ (*„მეც და ზოგიერთი ჩემი ამხანაგებიც დი-*

ლით კარგათ გიახლებოდით ჩაის და ისე მივდიოდით ეკლესიაში საზიარებლად. ღრმად დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ღმერთი და ეკლესია - ეს სულ ფიქციაა და არავითარი სასჯელი ღმერთისაგან ჩვენ არ მოგველის"), ეკლესიაში სიარული და ლოცვა კი თავისუფლების შეზღუდვად მიაჩნდათ („ის სასტიკი რეჟიმი, რომელიც გამეფებული იყო სემინარიაში: მუდმივი ლოცვა, მუდმივი სიარული წირვა-ლოცვაზე ეკლესიაში კვირა-უქმე დღეებში, დიდმარხვის პირველ და უკანასკნელ კვირიაკებში ყოველდღე ორჯერ სიარული ეკლესიაში, გაკავებული დგომა ან მუდმივი პირჯვრისწერა და მეტანიები, მარხულობა და ზიარება - ყველაფერმა ამან საშინლად შემაჯავრა ეკლესია, რელიგია, მღვდელი") და ა.შ.

თბილისის სასულიერო სემინარიაში გამეფებული ვითარება ასახავდა ყველა იმ მანკიერ მხარეს, რომლებიც მაშინდელ საზოგადოებას ახასიათებდა; ამიტომ გასაკვირი არ იყო ურთიერთგამომრიცხავი, ხშირად აბსურდული მოვლენები: სემინარიის სტუდენტი ანარქისტი და ეკლესიის წინააღმდეგ მებრძოლი ხდებოდა, მღვდელს ღმერთი არ სწამდა, სასწავლებლის რექტორი ტირანს ემსგავსებოდა, ეკლესიის წინამძღოლი საკუთარ სამწყსოს წყევლიდა და ა.შ.

ესტატე მირიანაშვილის მოგონებებიდან ჩანს, რომ პავლე ჩუდეცკის რექტორობის პერიოდისთვის დამახასიათებელი იყო წრეგადასული „დისციპლინა", რომელიც საგანმანათლებლო პროცესს სრულიად არაფერს სძენდა, მხოლოდ ატარებდნენ მძლავრ რუსიფიკატორულ პოლიტიკას, სემინარიელების მიმართ იჩენდნენ უკიდურეს უნდობლობას, ცდილობდნენ, მათში რწმენა ძალით ჩაენერგათ და ა.შ.: *„ღამე ჩუდეცკის არ ეძინა: ღამის 12 და პირველ საათზე, როდესაც მოწაფეებს უკვე ეძინათ პანსიონში, ჩუდეცკი დაუვლიდა ყველა კლასებს და გულმოდგინედ სინჯავდა პარტების უჯრებს და აგრეთვე მოწაფეთა დაკეტილ ყუთებს (მოწაფეებს ჰქონდათ ერთ ოთახში თავიანთთვის ყუთები ტანისამოსის ან ხილის შესანახად), რაიმე გარეშე წიგნები ხომ არა აქვთ შენახულიო. ასევე ავიწროებდა ჩუდეცკი კერძო ბინებზე მცხოვრებ მოწაფეებსაც".*

საყურადღებოა ჩუდეცკის გარეგნობისა და ხასიათის ესტატესეული აღწერა: *„პავლე ჩუდეცკი დაახლოებით იქნებოდა 45 წლის კაცი, შავგრემანი, შავი მოგრძო თმით და შავი წვერ-ულვაშებით, ყოველთვის ფარჩის ანაფორებში გამოწყობილი. წირვა-ლოცვა იცოდა იეზუიტური: ლოცვების თვითეულ სიტყვას ის აგრძელებდა და ისე უმაღლებდა ხმას, რომ თითქოს ტირისო და უნდა ზეციდან ანგელოზები ჩამორეკოსო. თავის ჯკვაში მას უნდოდა, ამით რელიგიური გრძნობა აღეძრა მოწაფეებში და შთაბეჭდილება მოეხდინა მლოცველებზე, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, მან უფრო შეგვაზიზღა ეკლესიაც და რელიგიაც".*

ესტატე მირიანაშვილი ვრცლად მოგვითხრობს პავლე ჩუდეცკის მკვლელობის შესახებ, რასაც ამ უკანასკნელის მიერ შექმნილ გაუსაძლის რეჟიმს მიაწერს. ის ფაქტი, რომ იმ დროს ესტატე სემინარიის მოსწავლე იყო და მკვლელობის დღეს მოსწავლეები გამოცდებს აბარებდნენ, მოგონებას უფრო

შთამბეჭდავს ხდის. იგი დაწვრილებით აღწერს იმ დღისა და მომდევნო დღეების მოვლენებს. მოგონებების ის ნაწილი, რომელშიც პავლე ჩუდეცკის მკვლელობას გულდასმით გადმოგვცემს, გამოქვეყნებულიც აქვს[2], თუმცა არანაკლებად საინტერესოა მონაკვეთი ჩუდეცკის დასაფლავებაზე. თბილისის სასულიერო სემინარიის ისტორიის შესასწავლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სემინარიის სასწავლო სისტემის მისეული აღწერა.

1905 წლის რევოლუცია რუსეთის იმპერიაში

რუსეთში 1905 წელს ე.წ. სისხლიანი კვირით დაწყებული პირველი რევოლუცია ექოსავით მოედო მთელ იმპერიას. ამ რევოლუციის გამოძახილმა, რასაკვირველია, კავკასიამდეც მოაღწია და საქართველოსა თუ სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებში არეულობების საფუძველი გახდა. სწორედ ამ მოვლენებს იხსენებს ესტატე მირიანაშვილი თავისი მოგონებების ერთერთ თავში[3]: თბილისში თვითმპყრობელური პოლიტიკის დამცველების, ე.წ. პატრიოტების, სისხლიანი გამოსვლა გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) პროსპექტზე. მანიფესტაციას მსხვერპლი მოჰყვა. *„გამხეცებული კაზაკები გიმნაზიის შენობაში შეცვივდნენ და პატარა ბავშვებს ხიშტებზე აგებდნენ“*, იგონებს ესტატე. ამ ტრაგედიას შემთხვევით გადაურჩა მისი ვაჟი შალიკო, რომელიც სწორედ იმ დღეს არ იყო სასწავლებელში წასული.

ესტატე მირიანაშვილი ახალციხეში სასულიერო პირად მსახურობდა მაშინ, როცა მისი ძმა – მიხაკო მირიანაშვილი – სწავლობდა ვარშავის საბეითლო ინსტიტუტში. იმ დროს ვარშავის ქართველმა სტუდენტობამ დააარსა „საქართველოს განთავისუფლების ლიგა“, რომლის მდივანიც გახდა მიხაკო. ერთხელ ფილიპე მახარაძეს (მაშინ ისიც ვარშავის საბეითლო ინსტიტუტში სწავლობდა) საზღვარგარეთიდან მიუღია არალეგალური ლიტერატურა, რომელიც სადგურიდან პირდაპირ ესტატეს ძმის ბინაში მიუტანია. ჟანდარმერია კვალდაკვალ გაჰყვა ფილიპე მახარაძეს და სულ ცოტა ხანში მიხაკო მირიანაშვილს მოულოდნელად ჟანდარმერია თავზე დაადგა. მიხაკოს ბინიდან ამოღებულ მასალებს შორის არალეგალურ ლიტერატურასთან ერთად იყო მიმოწერა, მათ შორის ესტატესთანაც. მიხაკო დაიჭირეს; ამის გამო გაუთავებელ დაკითხვებზე იბარებდნენ იმ დროს ახალციხეში მყოფ ესტატესაც. ძმის პირად არქივში აღმოჩნდა ესტატეს კონსპექტებიც, რომლებიც ჩხრეკისას კონფისკაციას დაექვემდებარა. ახალციხეში ესტატე გადაურჩა ციხეს, თუმცა განჯაში მსახურებისას მეტეხის ციხეს თავი ვეღარ დააღწია.

---

[2] ესტატე მირიანაშვილი. „როგორ გავხდი მატერიალისტი“ (მოგონებანი თბილისის სასულიერო სემინარიის ცხოვრებიდან). ჟურნალი „მებრძოლი ათეისტი“, თბილისი, 1940 წელი, გვ. 41-46.

[3] მოგონებები სემინარიაში სწავლის შესახებ და „1905 წლის რევოლუციიდან“ ესტატე მირიანაშვილს გამოსაქვეყნებლად ჰქონია გამზადებული ერთ-ერთ ანტირელიგიურ ჟურნალში, თუმცა ამ ჟურნალის დახურვის შემდეგ მოგონებები გამოუქვეყნებელი დარჩა.

1905 წ. 23 თუ 24 დეკემბერს თბილისიდან ჩამოსულმა ჯარმა ჟანდარმერიის პოლკოვნიკის, რედროვის, მეთაურობით განჯის სადგური ალყაში მოაქცია, დააპატიმრეს უამრავი ადამიანი, მათ შორის ესტატე მირიანაშვილიც. მეტეხის ციხეში ესტატე მირიანაშვილი დაახლოებით ნახევარ წელიწადს იხდიდა სასჯელს ბრალდებით: მუშათა მასების მოწვევა შეიარაღებული აჯანყებისთვის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ /სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 და 102-ე მუხ. თანახმად/.

მიუხედავად იმისა, რომ მოგონებების ძირითადი ნაწილი დიდი საბჭოთა ტერორის დროს იყო გადაწერილი, ესტატე არ მალავდა კეთილგანწყობას სოციალ-დემოკრატების მიმართ და ზოგან საკუთარ თავსაც მოიხსენიებდა სოციალ-დემოკრატად: *„განჯაში განვითარებული იყო უფრო სოც-დემოკრატიული პარტია. თუმცა მე ფორმალურად არ ვითვლებოდი ამ პარტიის წევრად (სა-შიში იყო ანაფორიანისთვის კრებებზე სიარული), მაგრამ ყველამ იცოდა, შინაურებმა, რომ ანაფორაში გახვეულია მარქსისტი, სოცდემოკრატი“*; „მე არ თანავუგრძნობდი ბოლშევიკების ფრაქციას, მივდიოდი მენშევიკების სახით და ვიცოდი, რასა სწყვეტავდნენ და რას აკეთებდნენ ამ ფრაქციებში“; იგი სიამაყით აღნიშნავდა, რომ მასზე დიდი გავლენა მოახდინა ნოე ჟორდანიამ და ჟურნალ „კვალში“ დაბეჭდილმა მისმა წერილებმა, რომლებშიც შესანიშნავად აშუქებდა კაპიტალისა და შრომის ურთიერთობის საკითხებს. ესტატე ხაზგასმით წერდა, რომ ნოე ჟორდანია ფრიად პოპულარული იყო მაშინდელი თვითმპყრობელობის მოწინააღმდეგე საზოგადოებაში.

ესტატე მირიანაშვილი ბევრ ისეთ მოვლენასა და ფაქტს გვაწვდის, რომლებიც ძალიან საინტერესოა მისი თანამედროვე ეპოქის გარკვეული ასპექტების შესასწავლად. მაგალითად, ერთგან წერს: „იმ დროს იყო ამ პარტიის ორი ფრაქცია: ბოლშევიკებისა და მენშევიკებისა. მე არ თანავუგრძნობდი ბოლშევიკების ფრაქციას, მივდიოდი მენშევიკების სახით და ვიცოდი, რასა სწყვეტავდნენ და რას აკეთებდნენ ამ ფრაქციებში. ამ ფრაქციებს შორის ჯერ კიდევ არ იყო არავითარი განხეთქილება და პრინციპიალური განსხვავება. განსხვავება იყო მხოლოდ ტექნიკური ხასიათისა. ერთხელ გადასწყვიტეს ადგილობრივ საჟანდარმო ვახმისტრის (გვარად ბურმა) მოკვლა, ვინაიდან ღამღამობით მოსვენებას არ აძლევდა, უვლიდა სახლებს და ათვალიერებდა, ხომ არსად არის საიდუმლო კრებაო. მე უკვე ვიცოდი წინათვე, რომ ამა და ამ დღეს და ამა და ამ საათზე [16] ბურმა უნდა მოეკლათ.

წარმოიდგინეთ, რომ სწორედ იმ ქუჩაზე, იმ დღეს და იმ საათზე გავარდა უცბად რევოლვერი (ქუჩა ჩემს სახლთან ახლოს იყო) და ბურმა სასიკვდილოდ დასჭრეს. ეს იყო საღამო ხანზე, ზაფხულში, ჯერ კიდევ თვალნათლივ. მკვლელი ვერ დაიჭირეს. დაჭრილი წაიყვანეს მაშინვე ადგილობრივ საავათმყოფოში და მეც მიმიწვიეს საზიარებლად. ვაზიარე, გრძნობა ჯერ კიდევ არა ჰქონდა

დაკარგული. მაგრამ ვეღარ ლაპარაკობდა, ოხრავდა და კვნესოდა, დაჭრილი იყო მუცელში. მალე გარდაიცვალა".

შეიცვალა ხელისუფლება, საქართველო გასაბჭოვდა, დამყარდა უცხო ქვეყნის „მუშურ-გლეხური ხელისუფლება", მიიღეს, ესტატეს აზრით, მსოფლიოში საუკეთესო კონსტიტუცია, თუმცა ამ ლოზუნგური პრეამბულის შემდეგ, როგორც კი ესტატე მოგონებებში ყოველდღიურ საკითხებზე გადადის, არაა არც ერთი დადებითი ფაქტი და არც ერთი დადებითი ემოცია:

„იუსტიციაში და, საერთოდ, ყველა დაწესებულებებში სათავეში მოექცნენ პარტიულები. უპარტიოებს და განსაკუთრებით ძველ ინტელიგენციას ალმაცერად უყურებდნენ. მოხდა სასამართლოს გამუშურება ... ძველი უფროსები მოხსნეს და მოსამართლეებად ყველგან დანიშნეს მუშები..."; „1923წ. 15 სექტემბრიდან აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების მდივნად, განყოფილების უფროსად იყო ვინმე ცივცივაძე, სახელი არ მახსოვს, დაბალ-დაბალი კაცი, ყოფილი „ჩეკისტი", რომელიც ძალიან ალმაცერად მიყურებდა, თვითონ უვიცი იყო სამოსამართლო სფეროში და მე უხეშად მეპყრობოდა. ალბად არ მოსწონდა ამ „მეცნიერს" ჩემი ფიზიონომია".

მოგონებებში ბევრი ისეთი ისტორიული ფაქტი და საინტერესო მოვლენაა, რომელიც სხვადასხვა კუთხით არის საყურადღებო; მაგ. „კრივის თამაშის" ტრადიცია თელავში (XIX საუკუნის მიწურულს), 1877 წელს ჩეჩნეთსა და დაღესტანში აჯანყების გამოძახილი საქართველოში, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ის სტუმრობა თელავში, შეიარაღებული შეჯახებები სოციალურ თუ ეთნიკურ ნიადაგზე და ა.შ.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად მოგონებების დიდი მოცულობისა, არსად ერთი სიტყვითაც კი არ აღნიშნავს რაიმეს რუსეთის 1917 წლის რევოლუციის შესახებ; სამაგიეროდ კმაყოფილი წერს: „საქართველოს განთავისუფლების აზრი, რომელიც ჩაისახა ვარშავის სტუდენტობაში 1893-4 წლებში საქართველოს განთავისუფლების „ლიგის" ჩამოყალიბების სახით (იხ. ზემოთ) და რომლისთვისაც ჟანდარმერიამ მაგრად ჩაგვჭიდა ჩვენ ხელი, უკვე განხორციელდა, ფაქტად იქცა და საქართველოს დამოუკიდებელმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დაიწყო თავის შინაურ ცხოვრების მოგვარება და მოწესრიგება".

ესტატე მირიანაშვილის პირადი ფონდი საქართველოს ეროვნულმა არქივმა 1974 წლის 18 დეკემბერს შეიძინა. იგი 69 ერთეულისგან შედგება და 1888-1940 წლებში შექმნილ მასალას მოიცავს. მასში დიდი ადგილი ეთმობა ესტატეს ბიოგრაფიული, სამსახურებრივი თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველ დოკუმენტებს, მის მიერ თბილისის სასულიერო სემინარიაში ამა თუ იმ თემაზე შედგენილ კონსპექტებს, ეთნოგრაფიული ხასიათის ჩანაწერებს, რომელთაც ქმნიდა სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობისას. აქვე დაცულია გაზეთები მისი

სტატიებით და ესტატე მირიანაშვილის ფოტოსურათები.

მისი ავტორობით არაერთი სტატია გამოქვეყნდა: „ივერიაში", „მოამბესა" და „ცნობის ფურცელში"; საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი ანტირელიგიურ ჟურნალებსა და გაზეთებში ბეჭდავდა შესაბამისი შინაარსის წერილებს („საბჭოთა სამართალი", „რელიგიის წინააღმდეგ", „მებრძოლი ათეისტი", „Безбожник" და სხვა). რამდენიმე პუბლიკაცია მასზეც გამოქვეყნდა ჟურნალებში „მეგზური" და „საბჭოთა სამართალი" (1975).

მასალას ძირითადად ბეჭდავდა ფსევდონიმით „შილდელი", თუმცა იშვიათად სხვებსაც იყენებდა: „დროებით აქაური", „დროებით გადრუთელი" და „სად. განჯის დროებითი მცხოვრები".

TAMTA SHONVADZE
National Archives of Georgia

ESTATE MIRIANASHVILI'S MEMORIES

Summary

On December 18, 1974, the National Archives of Georgia acquired the memoirs of Georgian cleric and teacher - Estate Mirianashvili, a cleric who worked in the late nineteenth and early twentieth centuries. It consists of 69 units and contains material created in 1888-1940. It has a great deal of space for documenting biographical, service or public work, and the constructs and ethnographic recordings on the theme of the Tbilisi Theological Seminary.

There are mainly reflected memories in the epoch of the Russian Empire; The period of the First Republic of Georgia (1918-1921), and from the Soviet era, as an experienced lawyer, only one advantage is noted - during Stalin's period there was created a very good constitution, which primarily has to protect the interests of poor. Unfortunately, no other phenomenon of Soviet times, more regrettably, relates to the list of its own. In the memoirs, Estate Mirianashvili tells us about the murder of Rector of Tbilisi Seminar, Pavle Chudetsky, which will sign the unbearable regime created by the latter. In his narrative it is clear that the Tbilisi Theological Seminary, in which Pavle Chudetsky based catastrophic regime against revolutionaries, insurgents and self-styled warriors. Also, it placed great events of the 1905 revolution.

During the period of his stay in Akhaltsikhe (1891-1895) he taught Georgian language local charity organization for many years, working on the preservation and revival of Georgian monuments, native language and culture, fought for Georgian Catholics in Akhaltsikhe Cathedral for establishment the liturgy in their native language, published articles about Georgian Catholics, as well as Georgian monuments and epigraphic inscriptions in Samtskhe-Javakheti, which, as they were concerned, were intentionally devastated.

თეა თვალავაძე
გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის
სახელმწიფო მუზეუმი

ღიზერაჟურის მუზეუმში დაცული გამოუქვეყნებელი საარქივო მასალები

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექცია მეტად მნიშვნელოვანია მასალის მრავალფეროვნებითა და სიუხვით – ოთხთავები, ფილოსოფიურ-რელიგიური ხელნაწერი წიგნები, სიგელ-გუჯრები, ისტორიული დოკუმენტები, მხატვრული ნაწარმოებები, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ეპისტოლური მემკვიდრეობა, მემუარები. განსაკუთრებით უნიკალურია აქ დაცული XIX–XX საუკუნეების მწერალთა და მოღვაწეთა პირადი არქივები თუ ცალკეული ხელნაწერები. ეს მასალები სანდო წყაროა ქართული მწერლობის, თარგმანის ისტორიის, სხვადასხვა პერიოდის საზოგადოებრივ-ლიტერატურული თუ ქართულ-უცხოური ურთიერთობების შესასწავლად და დიდი მნიშვნელობა აქვს შემდგომი ტექსტოლოგიური და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევებისთვის. მათი დიდი ნაწილი აღნუსხული, შესწავლილი და გამოქვეყნებულია. დაწყებულია ელექტრონული კატალოგებისა და არქივების ციფრული ბაზების შექმნა, რაც საგრძნობლად აიოლებს მათ მეცნიერულ დამუშავებას.

ვინაიდან ტექსტოლოგიის ძირითადი საგანი წერილობითი ტექსტი და მასთან დაკავშირებული საკითხებია, კვლევები კი წარიმართება წყაროების აღწერის, მათი ურთიერთშესაბამისობის გარკვევის, შექმნის დროის, მოტივისა და შემოქმედებითი ისტორიის დადგენის მიმართულებით, მწერლის მემკვიდრეობის შესასწავლად და გამოსაქვეყნებლად უმნიშვნელოვანესი ეტაპია მისი არქივის დამუშავება. არქივში დაცული ნაწარმოებები, ჩანაწერები, მიმოწერა, მოგონებები, დღიურები, წიგნებსა და ფოტოებზე მინაწერები მრავალ მოვლენას ჰფენს ნათელს და მწერლის შემოქმედების ახლებურად გააზრების საშუალებას იძლევა.

ახლახან გამოიცა „ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის“ (XII-XIX საუკუნეები) ოთხი წიგნი. წიგნებში აღწერილია მუზეუმში დაცული ხელნაწერების მხოლოდ მცირე ნაწილი. მოცემულია ამა თუ იმ ნაწარმოებისა თუ (სხვა) დოკუმენტის ყველა ზუსტი ან სავარაუდო მონაცემი, რომლებიც შემდგომ შესწავლასა და დაზუსტებას მოითხოვს. ამ სახის გამოცემა მასალების შეკერებასა

და კომპლექსურ კვლევაზე, თანამედროვე პირობებში ელექტრონული ბაზებისა და საძიებო სისტემების გამოყენებაზეა დაფუძნებული; ამასთანავე, მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ მკვლევარმა თუ დაინტერესებულმა პირმა საჭირო დოკუმენტი მოიძიოს და გამოიყენოს თავისი მიზნების შესაბამისად.

არქივებსა და მუზეუმებში დაცული ხელნაწერები თავიანთი ხასიათით ძალიან მრავალფეროვანია. თითოეული მათგანი განსაკუთრებულ მიდგომასა და კვლევის სხვადასხვა მეთოდს საჭიროებს. ამიტომ არქივების აღწერილობების შედგენისას ხშირად გვიხდება ახალი მიდგომების გამოყენება, რომელთა შორის კვლევისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად არქივების ციფრული ვერსიების შექმნა გვესახება. ამის თვალსაჩინო მაგალითია გალაკტიონ ტაბიძის ვებგვერდი, რომლის საშუალებითაც მოხერხდა ავტოგრაფების სრულყოფილად ამოკითხვა, მრავალი ტექსტის დათარიღება, ვარიანტების ერთად დაჯგუფება, ჯერ კიდევ უცნობი მასალის გამოვლენა და სხვ.

პირველ წიგნში ქრონოლოგიურად წარმოდგენილია XII–XIX საუკუნეების სახარებები, სასულიერო კრებულები, „ვეფხისტყაოსნის" რედაქციები, ეპიკური თხზულებები, თარგმანები, ლექსიკონები, სამართლის წიგნები, კარაბადინები, გენეალოგიები, განჩინებები, გაყრისა და მზითვის წიგნები, წერილები; მუშაობის პროცესში გამოვლინდა, რომ ძველ ხელნაწერთა ნაწილი გამოუქვეყნებელი და, შესაბამისად, შეუსწავლელია, მათ შორის, ჩვენთვის უცნობი ავტორების წერილები და ლექსები, რომელთა ატრიბუცია საფუძვლიან კვლევას მოითხოვს.

მეორე, მესამე და მეოთხე წიგნებში თავმოყრილია XIX საუკუნის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ნაწარმოებები, პუბლიცისტიკა, თარგმანები, პირადი და ოფიციალური მიმოწერა, დოკუმენტები და თანამედროვეთა მოგონებები. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი კვლევები ჩატარდა ამ მასალების თავმოყრის, ატრიბუციის, დათარიღებისა და პირთა იდენტიფიცირების მიმართულებით, სამუშაო ჯგუფის მიზანი იყო, მკითხველისთვის წარედგინა თითოეული ხელნაწერის მხოლოდ მოკლე ანოტაცია, რომელიც სრულად არ გადმოსცემს ტექსტის შინაარსს და არ ცხადყოფს მის მნიშვნელობას შემდგომი ტექსტოლოგიური კვლევისთვის.

პირადი თუ ოფიციალური წერილები ავტორის ცხოვრებისა და ზოგ შემთხვევაში, შემოქმედების შესწავლის უტყუარი წყაროა, ამ წერილებში გამოთქმულია აზრი ლიტერატურასა და კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, პოლიტიკურ გარემოზე, ნაწარმოების შექმნის ისტორიაზე.

გამოუქვეყნებელ ხელნაწერთა შორის აღმოჩნდა თეკლე ბატონიშვილის, ალექსანდრე, ვახტანგ და დიმიტრი ორბელიანების წერილების ნაწილი. მიმოწერა მოიცავს საქართველოს ისტორიის მეტად მნიშვნელოვან პერიოდს - 1832 წლის შეთქმულებიდან მოყოლებული 1846 წლამდე; წერილების უმრავლესობა დაუთარიღებელი იყო და თარიღიანი წერილების შინაარსისა და მათში მოხსენიებული პირებისა თუ მოვლენების მიხედვით შესაძლებელი გახდა 28 წე-

რილის ზუსტად დათარიღება. დათარიღებისთვის გამოვიყენეთ კორპუსული კვლევის მეთოდი ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით, რაც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა დოკუმენტური მასალის დასათარიღებლად.

წერილებში დაწვრილებითაა აღწერილი ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების ყოფა მეტეხის ციხეში; ალექსანდრე ორბელიანის ორენბურგსა და პიატიგორსკში გადასახლების, თეკლე ბატონიშვილის, ვახტანგ და დიმიტრი ორბელიანების კალუგაში ყოფნის პერიოდები, ხელმწიფესთან და კავკასიის მთავარმართებლებთან ურთიერთობა, შეწყალების საქმის ეტაპობრივი მიმდინარეობა. ორბელიანების ეპისტოლური მემკვიდრეობა აზუსტებს ბიოგრაფიულ დეტალებს, ცხადყოფს ისეთ ფაქტებს, რომლებიც სხვა დოკუმენტებში არ დასტურდება ან სხვაგვარად არის ცნობილი. წერილები წარმოაჩენს ადრესანტების დრამატული ცხოვრების ეპიზოდებს, თავისუფლებადაკარგული არისტოკრატიის ყოფას და სარწმუნო წყაროებია იმდროინდელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხების დასაზუსტებლად.

ლიტერატურის მუზეუმში დაცული გრიგოლ ორბელიანის შვიდი წერილიდან ორი გამოუქვეყნებელია, ისინი თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემის „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის" მომდევნო ტომებში დაიბეჭდება. ერთი წერილი სოფელ კოდიდან არის გაგზავნილი 1864 წლის 8 სექტემბერს ალექსანდრე და ბაბალე ორბელიანებთან; მყარი თარიღი და წერილში მოხსენიებული პირები სხვა წერილების დათარიღების საშუალებას იძლევა; მეორე ბარათი კი დავით ჭავჭავაძის სიძის, ნიკოლაი ასტაფიევისადმია და პირობითად 1882 წლით თარიღდება.

ასევე გამოუქვეყნებელია დიმიტრი ყიფიანის ოჯახის წევრების მიმოწერა, რომელიც მრავალმხრივ საინტერესო და სანდო წყაროა ამ ოჯახის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ასევე მე-19 საუკუნის საზოგადოებრივი და კულტურული ატმოსფეროს მეცნიერულად შესასწავლად.

მთარგმნელისა და პუბლიცისტის - ნიკო ყიფიანის - წერილები მოგვითხრობს თბილისისა და ქუთაისის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის, გლეხთა განთავისუფლების, სათავადაზნაურო ბანკის დაარსების, პერიოდული პრესისა („ცისკარი", „საქართველოს მოამბე") და ქართული დრამატული დასის განვითარების, ეკატერინე ჭავჭავაძედადიანისა და მისი შვილების მემკვიდრეობის, ე.წ. „სამეგრელოს საქმის" შესახებ. გარდა ამისა, აღწერს პეტერბურგში სწავლის პროცესს, სტუდენტურ გამოსვლებში მონაწილეობასა და დაპატიმრებას, თავის მთარგმნელობით საქმიანობას და ბრიუსელში ცხოვრების პერიოდს.

არანაკლებ საინტერესოა მსახიობისა და საზოგადო მოღვაწის - კონსტანტინე ყიფიანისა და მთარგმნელისა და თეატრალური მოღვაწის - ელენე ყიფიანის - წერილები მამის, დიმიტრი ყიფიანისადმი ქართული თეატრის, ათონის ივერთა

მონასტრის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და სხვა საინტერესო მოვლენების შესახებ.

ყიფიანების წერილებში საუბარია ოჯახურ უთანხმოებებზე, მატერიალურ შეჭირვებასა და გაუსაძლის ყოფაზე. ამ ხასიათის წერილების გამოქვეყნებას შესაძლოა, აზრთა სხვადასხვაობა გამოეწვია, მაგრამ დღეს დავას აღარ იწვევს ის საკითხი, რომ, რაც ავტორს არ შეუქმნია ფართო საზოგადოებისთვის, მაინც უნდა გამოქვეყნდეს. ეპისტოლური მემკვიდრეობის მიმართ საზოგადოებისა და მკვლევრების ინტერესზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ წერილები ქვეყნდება არა მხოლოდ აკადემიურ გამოცემებში, არამედ კრებულებისა და წერილების ცალკეულ გამოცემებში. ამის თვალსაჩინო მაგალითია 2010-2017 წლებში გამოქვეყნებული XIX-XX საუკუნეების მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის 7 ტომი.

გამოუქვეყნებელია აგრეთვე მასალების ნაწილი დავით ერისთავის, იაკობ გოგებაშვილის, რაფიელ ერისთავის, გიორგი წერეთლისა და XIX საუკუნის სხვა მწერალთა არქივებიდან.

მწერლის, დრამატურგისა და მთარგმნელის დავით ერისთავის რამდენიმე წერილის ადრესატის ვინაობა უცნობია და კვლევას მოითხოვს: ერთ-ერთ წერილში ჩვენთვის უცნობ ადრესატს აცნობებს, რომ „ვეფხისტყაოსანს" პოლონურ ენაზე ლაპჩინსკისთვის თარგმნიდა გიორგი ერისთავი, რომელმაც 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო პოლონეთში გადასახლების დროს შეისწავლა პოლონური ენა. წერილებში საუბრობს როტშილდების კომპანიის ბათუმში დამკვიდრების, პარიზის საიმპერატორო სტამბაში ქართული შრიფტის მოძიების და მიმდინარე ლიტერატურული პროცესების შესახებ; ადრესატებს უზიარებს ვენაში, პრუსიაში, ნიცაში, ვისბადენში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს.

მრავალი თვალსაზრისითაა საინტერესო იაკობ გოგებაშვილის მიმოწერა ალექსანდრე ყიფშიძესთან, იონა მეუნარგიასთან, იაკობ ფანცხავასთან, ანასტასია თუმანიშვილთან, ტასო მაჩაბელთან და მისი მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტს ამუქებს, როგორებიცაა: „დედაენისა" და სხვა სახელმძღვანელოების მნიშვნელობა, ქართულ საბავშვო ლიტერატურასთან დაკავშირებული პრობლემები, სკოლებიდან ქართული ენის განდევნის მცდელობები, ივანე მაჩაბლის თარგმანთა გამოცემის საკითხები და სხვა.

მწერლის მოღვაწეობისა და შემოქმედების შესასწავლად არანაკლებ მნიშვნელოვანია თანამედროვეთა მოგონებები, რომლებშიც ცხადდება მრავალი უცნობი მოვლენა, შესაძლებელი ხდება პირთა იდენტიფიცირება, ზოგ შემთხვევაში იძლევა ნაწარმოების ატრიბუციის საშუალებას; ელენე როსტომაშვილს თავის მოგონებაში მოჰყავს ილია ჭავჭავაძის სიტყვა ნიკოლოზ ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო, რომელიც ხელმოუწერლად დაიბეჭდა „ივერიაში" და მისი ავტორობის საკითხი ამ მოგონებით დადგინდა.

მუზეუმში დაცული მემუარული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მოგონებები ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელზე.

მემუარული ლიტერატურის შესაკრებად და მწერლების ცხოვრება-შემოქმედების კვლევის ხელშესაწყობად ლიტერატურის მუზეუმმა 1931-1950 წლებში მწერლებს, ლიტერატორებს, საზოგადო მოღვაწეებს, მწერალთა ნათესავებსა და მეგობრებს მოგონებათა დაწერა შეუკვეთა, მწერალთა ბიოგრაფიების ჩასაწერად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოაწყო ათი ექსპედიცია. პარალელურად ხდებოდა ამ მასალის მეცნიერულად დამუშავება და გამოქვეყნება.

1940 წელს მუზეუმის პერიოდული გამოცემა „ლიტერატურის მატიანის" პირველ ნომერში დაიბეჭდა გიორგი ლეონიძის მიერ ყვარელსა და საგურამოში მოწყობილი ექსპედიციების დროს შეკრებილი მასალები, 1987 წელს კი ცალკე წიგნად გამოიცა „ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში" მუზეუმში დაცული გამოუქვეყნებელი მოგონებების მიხედვით.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამომცემლის – მიხეილ გედევანიშვილის – შვილმა, დიმიტრი გედევანიშვილმა, მუზეუმს დაარსებისთანავე გადასცა 1914 წლის გამოცემისთვის შეგროვებული ხელნაწერები, ფოტოები, დოკუმენტები და მოგონებები. პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო მეორე ტომი აღარ გამოცემულა. გედევანიშვილის არქივში დაცული მოგონებების ნაწილი დღემდე არ დაბეჭდილა. მათ შორის აღსანიშნავია ზაქარია ჭიჭინაძის 4 მოგონება: „ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის პირველ სათათბიროს გათავების შემდეგ თფილისში ჩამოსვლა და ქართველ ხელოსნების და მუშების შესახებ საუბარი; ილია ჭავჭავაძის გმობის ამბები; ილია ჭავჭავაძის მტრების ამბები (ნამდვილი მომხდარი ამბავი მის სიკვდილის ორი თვის წინედ)": სიტყვა ილია გრიგოლის ძის ჭავჭავაძისა – საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის იუბილეს შესახებ, მიხეილ გედევანიშვილის მინაწერით: „გადმოცემულია ზაქ. ჭიჭინაძისაგან, 11 აგვისტო, 1912 წ., რომელმაც თვითონ ჩაწერა ეს სიტყვა ილიასი". მოგონების მიხედვით, 1900 წელს ანტონ ფურცელაძესთან შეხვედრაზე ილიას სთხოვენ 1801 წელს რუსეთ-საქართველოს შეერთების 200 წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობას, რაზეც მწერალი უპასუხებს, რომ 40 წლის განმავლობაში მას საქართველოს დაკავშირება რუსეთის იმპერიასთან ქართველი ერის სიკვდილის დღედ მიაჩნდა და წინააღმდეგია იუბილეს საზეიმოდ აღნიშვნის.

აღსანიშნავია ვახტანგ ორბელიანის ქალიშვილის – მარიამ ორბელიანის – ვრცელი მემუარები მისი ოჯახისა და წინაპრების შესახებ; ეს მემუარები არაერთ მოვლენას ჰფენს ნათელს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათში მოხსენიებული მრავალი პირის ერთმანეთთან ურთიერთმიმართების (თუ ურთიერთდამოკიდებულების?) თვალსაზრისით. ეს დოკუმენტები სხვა

წყაროებში ნახსენებ პირთა იდენტიფიცირების საშუალებასაც იძლევა. აქვეა დაცული ჩანაწერები ბატონიშვილებზე, ნიკოლოზ ბარათაშვილსა და სოლომონ დოდაშვილზე, ფშაველების ლექსებსა და თავის თარგმანებზე; საყურადღებოა ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე დაწერილი მოგონებები, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის, ქალთა სკოლის დაარსების, სოციალ-დემოკრატიული პარტიის, ილია ჭავჭავაძისა და ოლღა გურამიშვილის, თამარ ჭავჭავაძე-გრუზინსკაიას შესახებ. ფრანგული მემუარების ნაწილი თედო სახოკიას უთარგმნია და ორიგინალთან ერთად ინახება მუზეუმში, ნაწილი კი არ არის ნათარგმნი და, შესაბამისად, შეუსწავლელია.

არანაკლებ საინტერესოა მარიამ ორბელიანის მიმოწერა კონსტანტინე მამაცაშვილთან, სტეფანე მირზოევთან, ელისაბედ ერისთავთან, კიტა აბაშიძესთან. წერილებიდან გამორჩეულია მარიამ ორბელიანისა და მისი მეუღლის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი წევრის, გენერალ ალექსანდრე ორბელიანის, 1917 წლის 21 სექტემბრის ბარათი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს - კირიონ II-ს, რომლითაც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას ულოცავენ: „საქართველოს ეკლესიის თვითმწყსობის დიდმნიშვნელოვან აღდგენას აღფრთოვანებით ვეგებებით. მისი აღდგენა იმითომაც გვახარებს, რომ იგი ქართველი ერის შელახულ ეროვნულ-პოლიტიკურ უფლებათა აღდგენის წინამორბედადაც მიგვაჩნია...“.

მუზეუმში დაცულ არქივთა შორის ზ მოცულობით გალაკტიონ ტაბიძის ყველაზე დიდი არქივია. 2005-2008 წლებში გამოიცა გალაკტიონ ტაბიძის საარქივო ოცდახუთტომეული, რომელშიც შეძლებისდაგვარად თავი მოვუყარეთ პოეტის ნაწარმოებებს, პოემების პროზაულ ტექსტებს, ლიტერატურულ ესკიზებს, დღიურებსა და ცალკეულ ჩანაწერებს, პირად თუ ოფიციალურ მიმოწერას და ჩანახატებს. 2013 წელს მუზეუმსა და ყველა სხვა არქივში დაცული ავტოგრაფების, ნაბეჭდი და ვიზუალური წყაროების გამოყენებით შეიქმნა გალაკტიონ ტაბიძის ვებგვერდი, რომელიც მუდმივად ივსება ახალმიკვლეული მასალით; ვებგვერდზე მუშაობამ ცხადყო, რომ პოეტის არქივში არსებობს დღემდე გამოუქვეყნებელი ლექსთა ფრაგმენტები, ვარიანტები და ჩანაწერები.

ტომეულებში არ შეგვიტანია პოეტის მიერ შედგენილი ლექსთა თუ პირთა სიები, მისი ნაწარმოებების, გამოცემების, თარგმანების, მასზე წერილებისა და გამოხმაურებების ბიბლიოგრაფიების მრავალი ვარიანტი, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანი წყაროა მწერლის მემკვიდრეობის შესასწავლად და არსებული ბიბლიოგრაფიების დასაზუსტებლად; ასევე არ დაბეჭდილა მინაწერები პირადი ბიბლიოთეკის წიგნებზე, რომელთა უმეტესობა დღემდე შეუსწავლელია. ეს მცირე მინიშნებები თუ ვრცელი მინაწერები მისი შემოქმედების მნიშვნელოვან ასპექტებს ხსნის. გალაკტიონ ტაბიძის ოცდახუთტომეულის მერვე ტომში შევიდა

და შესაბამისად, განთავსდა ვებგვერდზე წიგნებში ჩაწერილი ლექსების მხოლოდ ნაწილი; გამოუქვეყნებელია ჩანაწერები მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე, ხელოვნებაზე, „ვეფხისტყაოსანზე"; ასევე სხვა ავტორების ლექსების შინაარსითა თუ ნაწარმოების პერსონაჟებით გამოწვეული მოგონებები, შენიშვნები სხვათა ნაწარმოებებზე, რამდენიმე თარგმანი, ბიბლიოგრაფიული მინაწერები, ესა თუ ის ლექსი სად გამოქვეყნდა, როდის და ვინ წაიკითხა.

მინაწერებით ვეცნობით პოეტის შემოქმედებით ლაბორატორიას, ნაწარმოების შექმნის პროცესსა და წერის მანერას. 1940 წლით დათარიღებული უსათაურო ლექსის „მახსოვს, როცა მხატვრებს ლხინი გვქონდა გამოსათხოვარი" პირველი რედაქციის ორი სტროფი გალაკტიონს მიწერილი აქვს ალექსანდრე მიქაბერიძის მიერ პროზაულად ნათარგმნი „ოდისეის" (1937 წელი) ერთ-ერთ თავზე „მათხოვარი ირისი"; წიგნში დევს რვეულის ფურცელი, რომელზეც მიწერილია ლექსის გაგრძელება.

აღსანიშნავია მარიეტა შაგინიანის 1909 წელს გამოცემულ წიგნში „Первые Встречи" ლექსების ტაეპებზე მიწერილი გალაკტიონის სიტყვასიტყვითი თარგმანები. მინაწერების მიხედვით თვალსაჩინო ხდება, რომ მარიეტა შაგინიანის 4 ლექსის სხვადასხვა სტრიქონისა და პოეტური სახეების გამოყენებით დაიწერა ავტორის მიერ 1917 წლით დათარიღებული ლექსი „რა საჭიროა სიტყვები? მჯერა!".

ამჟამად ლიტერატურის მუზეუმში გამოსაცემად მზადდება ტერენტი გრანელის არქივი, რომელშიც დაცულია დღემდე დაუსტამბავი მრავალი ლექსი და მცირე ზომის აბსტრაქტული ნახატები; სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში შესრულებული 979 ნახატიდან, რომლებიც მუზეუმს 1949 წელს პოეტის დამ, მაშო კვირკველიამ, გადასცა, რამდენიმე წლის წინ მხოლოდ 30 გამოიფინა მუზეუმში და გამოქვეყნდა. გარდა იმისა, რომ ეს ნახატები ღირებულია მხატვრული თვალსაზრისით, ასევე საინტერესოა პოეტის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტის შესასწავლად.

უცნობი წყაროების მიკვლევა და ხელმისაწვდომობა არქივთმცოდნეობისა და ტექსტოლოგიური მეცნიერებისთვის მეტად აქტუალური საკითხია. გამოუქვეყნებელი ხელნაწერი წყაროები შემდგომი კვლევების საყრდენია ატრიბუციის, დათარიღების, პირთა იდენტიფიცირების, ავთენტური ტექსტის დადგენის თვალსაზრისით და საშუალებას იძლევა, სწორად იქნეს გააზრებული როგორც მწერლის, ასევე მისი შემოქმედების მნიშვნელობა თანადროულ ლიტერატურულ თუ საზოგადოებრივ გარემოში.

TEA TVALAVADZE
Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature

UNPUBLISHED ARCHIVAL MATERIALS PRESERVED IN THE MUSEUM OF LITERATURE

Summary

The collection of manuscripts at Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature is significant with its diversity and abundance of materials. Yet, particularly unique are the archives or manuscripts of writers of XIX-XX centuries. These manuscripts represent important sources of the study of Georgian literature and Georgian-foreign relations.

Since the main subject of textology is a written text and related issues, as well as the studies are conducted in the direction of the description of sources, identification of their interdependence and establishment of the cause, creative history and the time of creation, the most important stage of the study and publication of the creative works of the writers is to process the archive.

Four books of the „Description of Manuscripts in the Museum of Literature" have recently been published. During the working process, it was revealed that some of the manuscripts were not published and, accordingly, they were not studied. Galaktion Tabidze's archive is the most numerous archive among all preserved archives in the museum. In 2005-2008, Galaktion Tabidze's twenty-five volume edition was created. The volumes did not include the postcripts of books from personal library, most of which have not been studied yet. These small indications or extensive postcripts often explain important aspects of his work.

Tracking and availability of unknown sources is an important issue for archiving science and textology. Unpublished manuscripts are the basis for subsequent research in terms of attribution, dating, identification of persons, and establishment of authentic texts.

ლევან გეგუჩაძვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფენომენოლოგიური კვლევები ავტორის რეალურ ჩანაფიქრამდე (გალაკტიონ ტაბიძის „ინგლისელს მწერალს...“)

ტექსტოლოგიური კვლევა მხატვრული ნაწარმოების ანალიზის აუცილებელი კომპონენტია, რამდენადაც ავტორის იდეური ჩანაფიქრი ხშირად მის ავტოგრაფსა და თხზულების ვარიანტებშია შემონახული. საარქივო მონაცემების გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ისეთი რთული შემოქმედებითი ლაბორატორიის მქონე პოეტს, როგორიც გალაკტიონ ტაბიძეა.

1928 წელს ჟურნალმა „მნათობმა“ დაიწყო გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ციკლის — „ეპოქა“ — ბეჭდვა. „ეპოქა“ ახალი ეტაპი იყო გალაკტიონის შემოქმედებაში. „ჟანდარმი კრიტიკოსების“ მხრიდან ფსიქოლოგიური წნეხისა და დიდი შინაგანი ჭიდილის შემდეგ გალაკტიონ ტაბიძე იძულებული გახდა, დროებით მოერგო საბჭოთა პოეტის სტატუსი და ხარკი გადაეხადა „სოციალისტური რეალიზმისთვის“. ეს იძულებითი და შინაგანად მეტად მტკივნეული პროცესი იყო პოეტისთვის, რაც აისახა კიდეც მის მხატვრულ პროდუქციაში. შემოქმედებითი ფსიქოლოგიისა და სახეობრივი აზროვნების ევოლუციის თვალსაზრისით, „ეპოქაში“ არაერთ საინტერესო ტექსტს ვხვდებით. ერთ-ერთი ასეთი ლექსია „ინგლისელს მწერალს...“, რომელიც „მნათობის“ მე-10 ნომერში გამოქვეყნდა:

ინგლისელს მწერალს მსურს ვუთხრა: მისტერ!
თქვენ მსოფლიოში ხართ ისე თეთრი,
რომ უფლება გაქვთ არ გაირიყოთ,
როგორც პოეტი და გეომეტრი.
თქვენი გახედვა სავსეა მოკვლით,
ის ჰიპერბოლებს არ აგვიანებს:
თუ ლონდონიდან სიტის მონოკლით
მთვარეზე იკვლევს ადამიანებს.
და მერე როგორს? თვითეულს მათგანს
წარმოდგენისას აშორებს ფაზისს,
ჰიპერბოლებით დასერავთ ათგან;

თვითეულ მათგანს ეს დაღი აზის.
აი: იქ მცხოვრებს, სწავლულს უდიდესს,
შუბლი აქვს რაღაც უზარმაზარი.
მაგრამ როდესაც აიხდის რიდეს,
სხეული მჭლეა და შესაზარი.
კოლოსალური მძლავრი სპორტსმენი,
მსხვილი ძარღვები, კუნთები, მკლავი,
კოლოსალური სიდიდის ტანი
და უიმედოთ პატარა თავი.
ვარსკვლავთმრიცხველი სიბრძნეს შეება
ძველთა ფორმულათ რისხვით დამშენი,
მას თვალები აქვს დიდი, ვეება
და ფიგურა კი ძლივს შესამჩნევი.
კვლავ შედარება უფრო იზრდება,
თქვენი გენიაც უფრო მკვეთრია,
და გვევლინება ჟურნალისტებათ,
რომელთ ხელები კილომეტრია.
მისტერ! თქვენ ამბობთ მართლა ქაოსებს,
ჰიპერბოლებით ასე ჯვარცმულებს,
კიდეც გვაღელვებს, კიდეც გვაოცებს,
მაგრამ ვერასგზით ვერ დაგვარწმუნებს.
შეგისწავლიათ თქვენ მარსიც ასე
და რომანში გაქვთ სიტყვა ჩართული,
რომ გიგანტები ცხოვრობენ მარსზე
და მათი ენა არის... ქართული!
გმადლობთ! აი ეს იქნებ სწორია.
უუძველესი ქართველთა მოდგმის
გცოდნიათ ენა და ისტორია,
მისი კულტურის, მისი გამოთქმის.
იქნება გვითხრათ, რომ უფრო სრული
ამ აღმოჩენის იქნას ეფექტი:
მარსზე გამოთქმა არის ქართული,
მაგრამ ქართულის რა დიალექტი?"
[ტაბიძე, 2017:128-129].

ლექსი ყურადღებას იპყრობს რამდენიმე მიზეზის გამო: უპირველეს ყოვლისა, დასადგენია, ვინ არის გალაკტიონის მიმართვის ადრესატი: გასარკვევია ისიც, თუ რატომ ხდება ინგლისელი მწერლის ნაწარმოები გალაკტიონის ირონიის ობიექტი

და. რაც მთავარია, საინტერესოა, მართლა მოგვითხრობს თუ არა ეს ინგლისელი ავტორი თავის რომანში მარსზე ქართულად მოლაპარაკე გიგანტების შესახებ.

გალაკტიონ ტაბიძის არქივში, რომელიც დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში, მოიძებნა ლექსის ავტოგრაფი (ავტოგრაფი №8219) ასეთი მინაწერით: „დიდი უელსის განჭვრეტა მოკლედ არც ჰიპერბოლებს არ აგვიანებს". მინაწერიდან ნათელი ხდება, რომ გალაკტიონს მხედველობაში ჰყავს ცნობილი ბრიტანელი მწერალი, სამეცნიერო-ფანტასტიკური რომანების ავტორი — ჰერბერტ უელსი; ლექსში აღწერილი რეალიების მიხედვით კი აშკარაა, რომ პოეტის ირონიის ობიექტია ჰერბერტ უელსის საყოველთაოდ ცნობილი რომანი „პირველი ადამიანები მთვარეზე" [„The First Men in the Moon", 1901]. საინტერესოა, რატომ აშარჟებს გალაკტიონი სახელგანთქმული მწერლის ამ ნაწარმოებს? რა მიზანი ამოძრავებს მას?

ამ ფაქტის ასახსნელად აუცილებელია რუსული საზოგადოებრივი აზროვნების დამოკიდებულების გათვალისწინება ჰერბერტ უელსის პიროვნების მიმართ. ჰერბერტ უელსი უაღრესად პოპულარული მწერალი იყო მთელ მსოფლიოში და მათ შორის — რუსეთშიც, სადაც მის გავლენას ის ფაქტი ზრდიდა, რომ იგი სოციალისტი გახლდათ. იგი ბრიტანული სოციალისტური ორგანიზაციის „ფაბიანელთა საზოგადოების" წევრი იყო. ეს ორგანიზაცია მიზნად ისახავდა ე.წ. დემოკრატიული სოციალიზმის პრინციპების გავრცელებას თანმიმდევრული ევოლუციური და არა რევოლუციური გზით. სოციალიზმისადმი სიმპათიის გამო რუსი კომუნისტები ჰერბერტ უელსს „ევროპელ თანამგზავრად"[1] მიიჩნევდნენ და ცდილობდნენ მასთან თანამშრომლობის გზების გამონახვას. ჰერბერტ უელსმა სამჯერ იმოგზაურა რუსეთში: პირველად — 1914 წელს, მეორედ — 1920 წელს, მესამედ კი — 1934 წელს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია უელსის ვიზიტი კომუნისტურ რუსეთში 1920 წელს.

ცნობილი პარტიული მოღვაწის, ლევ კამენევის, მიწვევით ჰერბერტ უელსი 1920 წელს ესტუმრა რუსეთს, შეხვდა საბჭოთა ინტელეგენციას და პოლიტიკურ მოღვაწეებს, მათ შორის — ვლადიმირ ლენინს. თავისი შთაბეჭდილებები უელსმა აღწერა წიგნში „რუსეთი წყვდიადში", რომელიც 1920 წელს გამოიცა ინგლისში და ორი წლის შემდეგ ითარგმნა რუსულადაც.

თავის წიგნში ჰერბერტ უელსი შეეცადა მიუკერძოებლად შეეფასებინა საკუთარი თვალით ნანახი და განცდილი. მიუხედავად იმისა, რომ იგი არაერთგან აღნიშნავდა კომუნისტური ხელისუფლების პოზიტიურ ნაბიჯებს (მაგ., ერთგან იგი წერს: „ბოლშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლები რამდენიც გენებოთ ლანძღეთ და აგინეთ, იმას კი ვერ წაართმევთ, რომ მათი მეტი წილი

[1] „თანამგზავრი" (რუს. Попу́тчик) — საბჭოთა პოლიტიკური ტერმინი, რომელსაც კომუნისტები იყენებდნენ იმ საზოგადო მოღვაწისა და ხელოვნის აღსანიშნავად, რომელიც თანაუგრძნობდა რევოლუციას, მაგრამ ოფიციალურად არ იყო კომუნისტური პარტიის წევრი და არ იდგა თანმიმდევრულ პარტიულ პოზიციაზე. ტერმინის შემომტანად ანატოლი ლუნაჩარსკი მიიჩნევა.

პატიოსნად შრომობს და ნამდვილ ასკეტურ ცხოვრებას ეწევა" [უელსი, 1987:62]), ბოლშევიკურმა მთავრობამ უფრო მეტად მაინც მისი კრიტიკა დაიმსახურა. უელსის წიგნაკში აღწერილია საბჭოთა რუსეთის უმძიმესი სულიერი და ეკონომიკური ვითარება: „განადგურება - აი, რა იგრძნობა მთელ რუსეთში დღეს", - წერდა უელსი [უელსი, 1987:37]. იგი მკაცრად აკრიტიკებდა საბჭოთა ხელისუფლებას ინტელიგენციასთან დამოკიდებულების საკითხში: „საბჭოთა მთავრობა ისევე ყურადღებიანია მეცნიერთა მიმართ, როგორც საფრანგეთის სულ პირველი რევოლუცია, რომელსაც „არაფერში სჭირდებოდა ქიმიკოსები" [უელსი, 1987:27]. კომუნისტების განსაკუთრებული გაღიზიანება გამოიწვია უელსის მიერ ლენინის შეფასებამ: „ლენინი - კრემლის მეოცნებე". თავის წიგნში ინგლისელი მწერალი მსუბუქი ირონიით ხატავს ლენინის, მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციაზე მეოცნებე უტოპისტის, ფსიქოლოგიურ პორტრეტს.

საბჭოთა იდეოლოგებმა მწვავედ გააკრიტიკეს ჰერბერტ უელსის წიგნაკი. განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა ლევ ტროცკი, რომელმაც უელსი დაახასიათა, როგორც „ინგლისური სალონის სოციალისტი, ფაბიანელი ბელეტრისტი ფანტასტიური და უტოპიური თემებით... განმსჭვალული იმ რწმენით თითქოს იგი არსებითად თავის სტუმრობით უდიდეს პატივს სდებს ბარბაროსულ ქვეყანას და მის ბელადს. უელსის მთელი წერილი პირველი სტრიქონიდან უკანასკნელამდე აყროლებულია ამ უსაფუძვლო ქედმაღლობით" [ტროცკი, 1925:229].

ანატოლი ლუნაჩარსკი კი წერდა: „უელსი, ისევე როგორც სხვები, თეორიულად ძალზე სუსტია, როდესაც საქმე მიდის მეცნიერულ სოციოლოგიურ განზოგადებამდე. იგი მოკლებულია უნარს გაიგოს მარქსის აზროვნების მეთოდი... თუ როგორი უნაყოფო იყო მისი მოგზაურობა რუსეთში, როგორ არ დაინახა ის, რაც უნდა დაენახა, გამოჩნდა მისი წიგნის ყოველ მონაკვეთში. მაშინაც კი, როდესაც იგი საუბრობს უდიდესთა შორის უდიდესზე - ლენინზე - იგრძნობა დამცინავი და უხამსი ტონი „განათლებული მოგზაურისა", რომელიც მოხვდა ბარბაროსთა ქვეყანაში" [Луначарский, 1925:386-387].

როგორც ჩანს, გალაკტიონმა, რომელმაც შესანიშნავად იცოდა რუსული საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება ინგლისელ მწერალზე[2], გადაწყვიტა თავადაც, როგორც ეს საბჭოთა პოეტს მოეთხოვებოდა, მხარი აება უელსის კრიტიკოსებისთვის; ოღონდ გალაკტიონმა პოლიტიკური ანგარიშსწორების გზა კი არ აირჩია, არამედ სცადა, ესთეტიკურ სიბრტყეზე დაპირისპირებოდა ბრიტანელ პროზაიკოსს. გალაკტიონის არქივში ვხვდებით ერთ საინტერესო ჩანაწერს: „ინგლისელ რომანისტს, უელსს, აქვს რომანი „პირველი ადამიანები მთვარეზე".

[2]ლევ ტროცკის წერილის ქართული თარგმანი 1925 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში", რომელთანაც გალაკტიონ ტაბიძე აქტიურად თანამშრომლობდა, ანატოლი ლუნაჩარსკის წიგნი კი დაცულია გალაკტიონის პირად ბიბლიოთეკაში.

უელსი თვალით წინასწარმხედველია. და ქვეყნიურ ნაკლულევანებებზე არა ირონიის გარეშე ხატავს მთავარის მცხოვრებლებს. თვითეულ მათგანს პროფესიის დაღი აზის: უდიდეს მეცნიერს აქვს უუზარმაზარესი შუბლი და გამხდარი სხეული და ტანი, ღონიერს სპორტსმენს კოლოსალური სიდიდის მსხვილი ძარღვებიანი ხელები და პატარა თავი. ვარსკვლავთამრიცხველს (ასტრონომს) დიდი საოცარი ვეება თვალები და ძლივსშესამჩნევი ფიგურა. მწერალს კოლოსალური ხელები და სხვ. ეს არის პროფესიონალური გიპერბოლიზმი. ამნაირ შემთხვევებში გიპერბოლა ძალიან ხშირად გააოცებს ადამიანის წარმოდგენას, მაგრამ სრულიად ვერ დაარწმუნებს მას... აქ ხერხი გროტესკისა და კარიკატურის უადგილოა და არასწორი" (დღიური №37 - 1929 წ.) [ტაბიძე, 2006:459].

გალაკტიონის დასკვნით, ჰერბერტ უელსი გადაჭარბებით, ზოგჯერ სრულიად უადგილოდ მიმართავს ჰიპერბოლიზაციის მხატვრულ ხერხს, რაც მკითხველზე უკუეფექტს ახდენს: რამდენადაც კი არ არწმუნებს მას მწერლის მონათხრობის სინამდვილეში, არამედ პირიქით – სქემატურობის შთაბეჭდილებას უტოვებს. უელსის რომანში სელენიტები (მთვარის მცხოვრებნი) მართლაც „პროფესიის დაღით" არიან აღბეჭდილნი: ასტრონომი დახატულია, როგორც უზარმაზართვალებიანი, მეცნიერი – როგორც დიდთავა და გამხდარი, მუშა კი – როგორც კუნთმაგარი და წვრილთავა არსება. ყოველივე ეს მკითხველმა მართლაც შეიძლება აღიქვას სქემატურობის გამოვლენად. პერსონაჟს თითქოს იარლიყივით აქვს მიწებებული თავისი ხასიათი. სწორედ ეს ესთეტიკური წუნი დასდო გალაკტიონმა ჰერბერტ უელსის რომანს. მაგრამ პოეტი მხოლოდ ამით როდი დაკმაყოფილდა. ლექსის ბოლო ნაწილში კიდევ ერთი საინტერესო ფაქტია აღნიშნული:

„... შეგისწავლიათ თქვენ მარსიც ასე
და რომანში გაქვთ სიტყვა ჩართული
რომ გიგანტები ცხოვრობენ მარსზე
და მათი ენა არის... ქართული!
გმადლობთ! აი ეს იქნებ სწორია.
უუძველესი ქართველთა მოდგმის
გცოდნიათ ენა და ისტორია,
მისი კულტურის, მისი გამოთქმის.
იქნება გვითხრათ, რომ უფრო სრული
ამ აღმოჩენის იქნას ეფექტი:
მარსზე გამოთქმა არის ქართული,
მაგრამ ქართულის რა დიალექტი?"

ჰერბერტ უელსის არც ამ და არც სხვა რომელიმე რომანში მსგავსი ფაქტი არ დასტურდება. ვერ მივაკვლიეთ ამ თვალსაზრისით საყურადღებო რაიმე შენიშვნას ან მოსაზრებას ვერც მწერლის ესეისტიკაში. ბუნებრივად

ჩნდება კითხვა: რაში დასჭირდა გალაკტიონს, ასეთი აზრი მიეწერა ჰერბერტ უელსისთვის? ეს ირონიაა, უელსის ჰიპერბოლიზაციის „მეთოდის" გაშარჟებაა მხოლოდ, თუ ამ პასაჟს სხვა ქვეტექსტი და მიზანდასახულობაც აქვს?

გალაკტიონის ერთი დღიური (№29, 1928) მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორიის შესახებ. მთლიანად მოვიტანთ ჩვენი საკითხის თვალსაზრისით საყურადღებო მონაკვეთს:

„უელსის ერთი გიპერბოლის" შესახებ:

1. საერთოდ უელსის გიპერბოლები.
2. ტროცკი უელსის შესახებ (Ленин).
3. უელსის აზრი: რა ენაზე ლაპარაკობენ მარსზე?
4. მოცულობა მარსის, ტერიტორია, სიგრძე და სხვ.
5. თანამედროვე ენები და მათი ნაკლულევანებანი.
6. მომავალი ენა.
7. ჯგუფი „არიფიონი". აზრი ენის შესახებ.
8. ეს პოლიტიკური არაა, ესაა სოციალისტური და მეცნიერული.
9. მარქსიზმი მომავალი ენის შესახებ.
10. ლენინი და სტალინი.
11. პოეტები ჩემს მხარეზე იქნება.
12. პლეხანოვი.
13. თავისთავად ცხადია, სულერთია, რომელი ენის გეგემონია იქნება სოციალური.
14. ქართული ენის პრივილეგიები.
15. ეს საკითხი არ უნდა დაისვას ნაციონალისტური თვალსაზრისით.
16. სოციალიზმის ხანა, სრულებით არაა შორს...

რა თქმა უნდა, ყველას თავისი ენა მოსწონს.
აკად. პროფ. მარრი.
პოეზია იქნება ქართული. როგორ შეითვისებს ქართული ენა სხვა ენებს.
რაა ესპერანტო? ეს შესაქმნელი ენაა.
მართლა იქნება თუ არა ერთი ენა?..
როგორ ესმით ეროვნული კულტურა ეხლა? (სტალინი).

პოლიტიკური მოსაზრებითაც არ შეიძლება დიდი სახელმწიფოს ენის გამეფება მომავალ სოციალიზმში, რადგან ეს ხომ იგივე იმპერიალისტური მადაგახსნილობა იქნებოდა?" [ტაბიძე, 2006:362-363].

როგორც წარმოდგენილი ჩანაწერიდან ჩანს, ჰერბერტ უელსის „გიპერბოლებისა" და მარსზე ქართულად ლაპარაკის თემა პოეტს შეაქვს საკითხთა იმ წრეში, რომელიც ეხება კაცობრიობის მომავალ ენას. თუ გავითვალისწინებთ

ეპოქის კონტექსტს, ცხადი გახდება, რომ გალაკტიონ ტაბიძის ინტერესის სფეროში მოქცეულია საკითხი ერთიანი საერთაშორისო ენის შესახებ, რაც ერთხანს საკმაოდ აქტუალური თემა იყო საბჭოთა ლინგვისტიკაში.

XX საუკუნის 20-იან წლებში კომუნისტთა შორის ჯერ კიდევ არსებობდა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის მტკიცე რწმენა, რასაც, მარქსიზმის თეორეტიკოსთა მიხედვით, უნდა მოჰყოლოდა ერთიანი მსოფლიო პროლეტარული საზოგადოების შექმნა. ამ საზოგადოების წევრებს, ცხადია, აუცილებლად დასჭირდებოდათ ერთი საკომუნიკაციო ენა. საბჭოთა ენათმეცნიერებაში აქტიურად დაიწყო მსჯელობა, თუ რომელ ენას შეიძლებოდა შეეძინა მომავალში საერთაშორისო ენის სტატუსი. ამგვარ დისკუსიას გარკვეულწილად ბიძგი მისცა აღიარებული ენათმეცნიერის, ნიკო მარის, ლინგვისტურმა თეორიამაც. ნიკო მარი ცდილობდა თავისი კონცეფცია მარქსისტული იდეოლოგიისთვის მოერგო. XX საუკუნის 20-იან წლებში მან განავითარა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მომავალში აუცილებლად მოხდებოდა ენათა შერწყმა და ერთიანი საკომუნიკაციო ენის ჩამოყალიბება: „ადამიანური მეტყველების ისტორიული გზა მიიმართება მრავალენოვნებიდან ერთიანი ენისაკენ. დამხმარე ხელოვნური ენების გამოგონება, როგორიცაა ესპერანტო და სხვ., სუროგატია იმისა, რაც აუცილებლად, ბუნებრივად განხორციელდება მომავალში" [Марр, 1936:228]. 1924 წელს მარი წერდა: „ისევე როგორც კაცობრიობა მშრომელთა მასის ძალისხმევით კუსტარული, ერთმანეთისაგან განცალკევებული მეურნეობებისა და საზოგადოებრივი ფორმების გარდაქმნის გზით მიდის ერთიან მსოფლიო მეურნეობამდე და ერთიან საზოგადოებამდე, ასევე სამეტყველო ენა თავდაპირველი მრავალსახეობრიობიდან გიგანტური ნაბიჯებით მიემართება ერთიანი მსოფლიო ენისაკენ" [Марр, 1936:135].

მომავალი მსოფლიო ენის საკითხი იმდენად პოპულარულ თემად იქცა, რომ თავად კომუნისტური პარტიის უმაღლესი ხელისუფალნიც კი იძულებულნი გახდნენ საკუთარი შეხედულება გამოეთქვათ ამ საკითხზე. 1925 წელს ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში იოსებ სტალინი აღნიშნავდა: „ამბობენ (მაგალითად, კაუცკი), სოციალიზმის პერიოდში ერთიანი საერთო-საკაცობრიო ენა შეიქმნება, ყველა დანარჩენი ენა კი მოკვდებაო. მე ნაკლებად მჯერა ეს ერთიანი ყოვლისმომცველი ენის თეორია. ყოველ შემთხვევაში, გამოცდილება ამ თეორიის წინააღმდეგ მეტყველებს და არა მის სასარგებლოდ" [სტალინი, 1949:152-153].

დაადანაშაულეს რა ლენინური აზროვნებიდან გადახვევაში (რომლის მიხედვითაც მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია უთუოდ გამოიწვევს ერებისა და ენების შერწყმას), სტალინი თავის ნაშრომში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი" იძულებული გახდა ამგვარად ჩამოეყალიბებინა თავისი აზრი: „პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის პერიოდის მხოლოდ მეორე ეტაპზე, იმის მიხედვით, რაც ჩამოყალიბდება ერთიანი მსოფლიო სოციალისტური

მეურნეობა, ნაცვლად მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობისა... დაიწყებს ჩამოყალიბებას საერთო ენის მსგავსი რამ, ვინაიდან მხოლოდ ამ ეტაპზე იგრძნობენ ერები იმის აუცილებლობას, რომ თავიანთ ეროვნულ ენებთან ერთად ჰქონდეთ ერთი საერთაშორისო ენა... პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის შემდეგ ეტაპზე, როცა მეურნეობის მსოფლიო სოციალისტური სისტემა საკმაოდ განმტკიცდება და სოციალიზმი ხალხთა ყოფაში დამკვიდრდება, როცა ერები პრაქტიკულად დარწმუნდებიან საერთო ენის უპირატესობაში ეროვნული ენების წინაშე, დაიწყება ეროვნულ განსხვავებათა და ენათა კვდომა, ისინი ადგილს დაუთმობენ ყველასათვის საერთო მსოფლიო ენას“ [სტალინი, 1950:386].

გალაკტიონის ჩანაწერიდან აშკარაა, რომ პოეტი აქტიურად ადევნებდა თვალს ხსენებულ დისკუსიას და როგორც პატარა ერის შვილს, დიდად აღელვებდა მშობლიური ენის მომავალი. ასეთ ვითარებაში პოეტს უჩნდება, ერთი შეხედვით, წარმოუდგენელი უტოპიური აზრი, რომ საერთაშორისო ენად სავსებით შესაძლებელია იქცეს ქართული. ამ უაღრესად თამამი აზრის წამოყენება იმითაც იყო განპირობებული, რომ გალაკტიონს მშობლიური ენის სამომავლო ხვედრთან ერთად, ბუნებრივია, ადარდებდა საკუთარი პოეზიის ბედიც. ცხადია, პოეტი ენობრივ სივრცეში არსებობს, შესაბამისად, რაც უფრო მეტ ადამიანს ეცოდინებოდა ქართული ენა, მით მეტი მკითხველი ეყოლებოდა გალაკტიონის პოეზიასაც.

პოეტის ჩანაწერიდან ჩანს, რომ იგი ზრუნავდა საფუძვლიანი დასაბუთება მოეძებნა თავისი კეთილშობილური ოცნებისათვის. გალაკტიონს დღიურში პუნქტებად ჩაუწერია: „თანამედროვე ენები და მათი ნაკლულევანებანი... ქართული ენის პრივილეგიები“. ეს ორი პუნქტი მიგვანიშნებს, რომ პოეტს ჰქონდა განზრახვა, თანამედროვე ენათა ნაკლოვანებების აღწერის ფონზე წარმოეჩინა ქართული ენის ღირსებები.

აშკარაა ისიც, რომ გალაკტიონი გეგმავდა ქართული საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას ამ შეხედულების გასახმოვანებლად და დასასაბუთებლად. ამაზე მიუთითებს შემდეგი პუნქტები: „ჯგუფი „არიფიონი“. აზრი ენის შესახებ... პოეტები ჩემს მხარეზე იქნება“. გალაკტიონს ამ საკითხში ქართველი პოეტების მხარდაჭერის გულწრფელად სჯეროდა.

ჩანაწერის მიხედვით, გალაკტიონს ნაკლებად აინტერესებს, რომელ ენას დარჩება სოციალური ჰეგემონია, მას უნდა მომავალ მსოფლიოში პოეზიის ენად იქცეს ქართული ენა: „თავისთავად ცხადია, სულერთია, რომელი ენის გეგემონია იქნება სოციალური... პოეზია იქნება ქართული“.

თავისი მოსაზრების განმტკიცებას პოეტი ერთგვარად მორალური არგუმენტის მოშველიებითაც ცდილობს: „პოლიტიკური მოსაზრებითაც არ შეიძლება დიდი სახელმწიფოს ენის გამეფება მომავალ სოციალიზმში, რადგან ეს ხომ იგივე იმპერიალისტური მადაგახსნილობა იქნებოდა?“

და რაც მთავარია, გალაკტიონი შესანიშნავად აცნობიერებს, რომ დიდი სიფრთხილეა საჭირო ამ იდეის გაჟღერებისას, რათა ეს ნაციონალიზმის გამოვლენად არ იქნეს აღქმული: „ეს პოლიტიკური არაა, ესაა სოციალისტური და მეცნიერული... ეს საკითხი არ უნდა დაისვას ნაციონალისტური თვალსაზრისით".

თავისი შეხედულების გახმოვანება გალაკტიონმა ძალზე მოკრძალებულად, ოცნების ფორმით სცადა. იმავე ლექსების ციკლში „ეპოქა", რომელშიც გამოქვეყნდა მისი „ინგლისელს მწერალს...", ვხვდებით ერთ ასეთ უსათაურო ლექსს:

თქვენი წიგნია: ქართველი ქალი
მშობლიურ ენას გადაჩვეული?
თქვენ გავიწყდებათ მეორე ენა,
შრომა, მომავლის ენა გრძნეული.
როს მსოფლიოში დაისადგურებს
თანასწორობა და აღმაფრენა,
ექნება ერთი ენა მსოფლიოს,
ვინ იცის, იქნებ „ქართული ენა"?
[ტაბიძე, 2017:152].

რა თქმა უნდა, საბჭოთა „კრიტიკა-ჟანდარმს" არ გამოჰპარვია გალაკტიონ ტაბიძის ეს „ნაციონალისტური გამოხდომა". „ეპოქის" ერთ-ერთი რეცენზენტი, დიმიტრი ბენაშვილი, წერდა: „ნაციონალისტური მოტივიც საკმაო დოზით შედის ამ პოემაში. პოეტს უნდა, რომ მომავალში საერთაშორისო ენად ქართული ენა იყოს. ამ „კეთილ" სურვილს ვერ დაიტევს ის რევოლუცია, რომელსაც ტაბიძე ხოტბას ასხამს" [ბენაშვილი, 1930:4].

ასეთ ვითარებაში, როცა საბჭოთა კრიტიკოსები პირდაპირი ფორმით გამოხატულ მოკრძალებულ ნატვრასაც კი ნაციონალიზმის კვალიფიკაციას აძლევდნენ, პოეტს ერთადერთი გამოსავალიღა რჩებოდა — ირიბად გაეხმოვანებინა საკუთარი შეხედულება ქართული ენის განსაკუთრებული ბუნებისა და მასშტაბურობის შესახებ. ამ საქმეში გალაკტიონ ტაბიძემ ჰერბერტ უელსი „დაიხმარა" და სწორედ მას მიაწერა აზრი, რომლის მიხედვითაც, „უუძველესი ქართველთა მოდგმის" ენა იმდენად განთქმულია, რომ მასზე მარსის მცხოვრებლებიც კი ლაპარაკობენ. ერთი სიტყვით, გალაკტიონის ლექსში საქმე გვაქვს ე.წ. ორმაგი კოდირების მეტად საინტერესო შემთხვევასთან: ერთი მხრივ, ნაწარმოები იკითხება, როგორც ირონია ფანტასტ მწერალზე, რომელიც იმდენად ჭარბად იყენებს ჰიპერბოლიზაციის ხერხს, რომ გასაკვირი არ იქნება თავის ნაწარმოებში მარსიანელები ქართულად აამეტყველოს, მეორე მხრივ კი, ლექსის ფარული მიზანდასახულობაა ჰერბერტ უელსის მეშვეობით ქართული ენის განსაკუთრებულობისა და განთქმულობის ხაზგასმა.

ლიტერატურა:

1. ბენაშვილი დიმიტრი, 1930, „გალაკტიონ ტაბიძე, „ეპოქა“, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, № 3 (გვ. 4).
2. სტალინი იოსებ, 1949, თხზულებანი, ტ. 7, თბილისი.
3. სტალინი იოსებ, 1950, თხზულებანი, ტ. 11, თბილისი.
4. ტაბიძე გალაკტიონ, 2006, საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად, წ. XIII, თბილისი, „ლიტერატურის მატიანე“.
5. ტაბიძე გალაკტიონ, 2017, თხზულებანი თხუთმეტ ტომად, ტ. IV, თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.
6. ტროცკი ლევ, 1925, ფილისტერი რევოლუციონერის შესახებ, ჟურნ. „მნათობი“, № 1 (გვ. 228-235).
7. უელსი ჰერბერტ, 1987, „რუსეთი წყვდიადში“, ბათუმი: „საბჭოთა აჭარა“.
8. Луначарский А. В. 1925. Этюды критические, М. — Л.
9. Марр Н. Я. 1936. Избранные работы, т. II. Ленинград: ГСЭИ.
10. Уэллс Герберт. 1923. Первые люди на Луне, М. — Л.

LEVAN BEBURISHVILI
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

FROM TEXTUAL STUDIES TO REAL INSPIRATION OF THE WRITER ("ADDRESSING THE ENGLISH WRITER ..." BY GALAKTION TABIDZE)

Summary

In the process of studying a literary work it is necessary to consider the archive materials of the writer. Particularly, in the case of referring to the poet possessing the miscellaneous creative inner world, such as Galaktion Tabidze. The poem "Addressing the English writer.." by Galaktion was published in 1928. It is a humorous poem, the addressee of which is a well-known British writer Herbert Wells. The object of Galaktioni's irony is Wells' novel "The First Men in the Moon." The interesting point of the poem is the following: according to Galaktion's poem, in Herbert Wells' novel the inhabitants of the planet - Mars speak Georgian. However, this fact is not confirmed in this or any other literary writings of Herbert Wells.

While studying the archive of Galaktion's creative works the considerable attention was paid to one of the records in which the topic concerning the hegemony of a single language over the earth in the future was emerged. In the 20s of the 20th century the ideologists of communism started to consider the issue regarding the language which could have become the international language in case the world proletarian revolution had happened. Galaktion's record clearly shows that the poet was concerned about the mentioned issue. He, as a true patriot, wanted the Georgian language to assume the status of the world language and even tried to substantiate its scientific and poetic uniqueness (e.g. the poem "Your book is...") And this noble desire might have become the cause of the fact, that the idea, as if even aliens spoke Georgian, is attributed to Herbert Wells by Galaktion. The poet tries to present the magnitude and particularity of the Georgian language exactly in such an indirect way.

მანანა ჯავახიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ირაკლი ფერაძე
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

მარიამ დადიანი - პოლიტიკური ქორწინება გვიან შუა საუკუნეების საქართველოში

დიპლომატია პოლიტიკურ ერთეულებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარებასა და სადავო პრობლემების გადაწყვეტაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამ მხრივ, შუა საუკუნეებში დინასტიურ ქორწინებებს სერიოზული წვლილი შექონდა მონარქიული თუ, ზოგადად, მაღალი სოციალური წრის შიგნით არსებული პრობლემების მოგვარებაში, ურთიერთობების აღდგენასა თუ გამყარებაში[1].

დიპლომატიური ქორწინება ერთ-ერთი საშუალება იყო, რომელსაც მონარქი ან დიდებული, მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელი, საკუთარი მამულის პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე მიმართავდა. შესაბამისად, შუა საუკუნეებში ქორწინება, ყოველ შემთხვევაში, მაღალ საზოგადოებაში მეტწილად სიყვარულზე კი არ იყო დაფუძნებული, არამედ დიდ გარიგებას წარმოადგენდა ორ დაინტერესებულ მხარეს შორის. პოლიტიკურ-დიპლომატიური ხასიათის გარდა, გარიგება შეიძლება სოციალურ-ეკონომიკური ან საზოგადოებრივ-კულტურული ხასიათისა ყოფილიყო [Amt, 2010: 1-7].

გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია - ესაა ფეოდალურად დაშლილი სამეფო-სამთავროების ისტორია. თითოეული პოლიტიკური ერთეული[2] თავისი პროტექტორატის ქვეშ ცდილობდა მთელი ქვეყნის გაერთიანებას, ეს ქმედება კი ეწინააღმდეგებოდა მეზობელი სახელმწიფოების - ირანისა და ოს-

[1] საქართველოს ისტორიის მაგალითზე პოლიტიკური ქორწინების კლასიფიკაცია (თანასწორუფლებიანი, ვასალურ-ქვეშევრდომული. სიუზერენულ-ვასალური, კუთხურ-პროვინციული...) განხილული აქვს დ. შველიძეს. მისი აზრით, საქართველოს გვიანი შუა საუკუნეების რთული პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად აისახა დიპლომატიური ქორწინებების ხასიათზეც. ამ პერიოდში თანასწორუფლებიანი პოლიტიკურ-დიპლომატიური კავშირები მხოლოდ ცალკეულ „საქართველოებად›› დაშლილ სამეფო-სამთავროებს შორის მყარდება. მარიამ დადიანის ქორწინებები დ. შველიძეს კუთხურ-პროვინციულ ტიპში აქვს განხილული [შველიძე, 2001: 15-17].

[2] ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოები, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იყოფოდა სამეგრელოს, გურიის, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროებად. რაც შეეხება სამცხე-საათაბაგოს, იქ პოლიტიკური ვითარებაა XVII ს-ის 20-30-იანი წლებიდან კიდევ უფრო მძიმდება, როდესაც ოსმალეთი მის სრულ ინკორპორაციას მოახდენს.

მალეთის - პოლიტიკურ ინტერესებს. გვიანი შუა საუკუნეების მძიმე პოლიტიკური სიტუაცია მკვეთრად აისახა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე, რასაც ადასტურებენ როგორც ქართველი (ფარსადან გორგიჯანიძე, ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი და სხვ.), ისე უცხოელი ავტორები (არქანჯელო ლამბერტი, დონ პიეტრო ავიტაბილე, კრისტეფორო დე კასტელი, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, დიონიჯო კარლი, ჟან შარდენი, ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორი, ჟან ბატისტ ტავერნიე და სხვ.).

განსაკუთრებით რთულ ვითარებაში იყო განათლებისა და კულტურის მდგომარეობა, რის შესახებაც კორნელი კეკელიძე წერდა: „ამ საშინელ ქაოსში დროდადრო ჩნდებოდნენ ხოლმე შეგნებული, პატრიოტული ცეცხლით აღგზნებული და ჰუმანისტური იდეებით აღჭურვილი პირები, რომლებიც ახერხებდნენ სიტყვიერად თუ ლიტერატურული გზით შებრძოლებოდნენ ეპოქის სიდუხჭირეს. ამ პირებმა საფუძველი ჩაუყარეს იმ კულტურულ აღმავლობას, რომელსაც ჩვენ „აღორძინებას“ ვუწოდებთ. ასეთები იყვნენ განსაკუთრებით მარიამ დედოფალი, არჩილი, გიორგი XI, მათი ძმა ლევანი, ვახტანგ VI და სხვანი“ [კეკელიძე, 1962: 298].

სწორედ მარიამ დადიანია ჩვენი კვლევის ობიექტი, კერძოდ, მისი პოლიტიკური ქორწინებების ისტორია. იგი[3] XVII საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული ისტორიული პიროვნებაა, მის სახელთან დაკავშირებულია უამრავი კულტურულ-საგანმანათლებლო და პოლიტიკურ-დიპლომატიური საქმიანობა [ჟღენტი, 1985:101-107]. მარიამ დედოფლის დამსახურებაა ბოლნისის სიონის, რუისის სამონასტრო კომპლექსის, თბილისის კარის ეკლესიის, სვეტიცხოვლის და სხვა უამრავი ეკლესია-მონასტრის აღდგენა-შეკეთება. რაც მთავარია, „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ნუსხა სწორედ მისი თაოსნობით გადაწერეს, ამიტომ მას სწორედ მარიამისეული ნუსხის სახელით ვიცნობთ [ქართლის ცხოვრება, 1955:015].

მარიამ დადიანი, კასტელის ნახატი

ჩვენთვის საინტერესო ასპექტით მარიამ დედოფლის პიროვნების წარმოსაჩენად ბერ ეგნატაშვილის სიტყვებიც კმარა: „დედოფალმან მარიამ შეამკო ეკლესიანი შესამოსლითა ხატითა, ჯუარითა და წირვის იარაღითა, ნაკერითა მარგალიტითა და თუალითა. და ედვა ამა დედოფალსა პატივი დიდი ყაენისაგან და ყოველთა საქართველოსა კაც-

[3] მარიამი იყო მანუჩარ დადიანისა და მისი მეორე ცოლის, თამარ ჯაყელის (ათაბაგის ქალი) შვილი, ანუ ლევან დადიანის ნახევარდა [ქართლის ცხოვრება, 1959: 532].

თაგან და ქალთაგან, მთავარღა და დიდებულთაგან, იყო ყოვლითურთ შემკული კეთილითა, რომლისა მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად არღარავინ..." [ქართლის ცხოვრება, 1959: 441].

მარიამ დადიანი ეკუთვნოდა მაღალ არისტოკრატიულ წრეს. იგი საკმაოდ განათლებული და დიდძალი ქონების პატრონი გახლდათ, რაც კარგად ჩანს მისი მეორე ქორწინების მზითვის წიგნიდან [ბარნაველი, 1962:207-202; იაშვილი, 1974:8-14]. მარიამი საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, მისი სამოღვაწეო ასპარეზი საკმაოდ ფართო იყო. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ იგი შუა საუკუნეების საქართველოს პატრიარქალური საზოგადოების წესებისა და კანონების მსხვერპლია. პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, მას სამჯერ ათხოვებენ, რაც მისი ნების საწინააღმდეგოდ ხორციელდება, მარიამი იარაღია მისი ნათესავი მამაკაცი-პოლიტიკოსების ხელში.

ქორწინების თავისებურებანი გვიან შუა საუკუნეების საქართველოში

გვიან შუა საუკუნეების საქართველო ქორწინება-განქორწინებით „გამორჩეული" პერიოდია. როგორც ჯუდიჩე მილანელი წერს: „ცუდს არაფერს ხედავენ ერთ ცოლთან გაყრასა და მეორეს მოყვანაში" [მილანელი, 1964:34-35]. თითოეული მხარე ქორწინებას პოლიტიკური ან სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისთვის იყენებდა, რაც კიდევ უფრო ამყარებდა მოსაზრებას, რომ ქალი მამაკაცის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. როდესაც შუა საუკუნეების ქართველ ქალზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მასში იგულისხმება მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელი: ამიტომ მართებული არ იქნება, თუ დიდგვაროვანი ქართველი ქალის ისტორიას განვაზოგადებთ ნებისმიერი ქართველი ქალის შემთხვევაზე, რამდენადაც ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების საშუალო და დაბალი სოციალური ფენის ქართველი ქალის შესახებ წყაროები ფაქტობრივად არაფერს გვეუბნება. რაც შეეხება გვიან შუა საუკუნეებს, აქ უკვე ჩნდება ცნობები (ძირითადად უცხოელ მოგზაურთა), რომლებშიც ნათლად ჩანს ქალის დაქვემდებარებული მდგომარეობა პატრიარქალურ საზოგადოებაში, პოლიტიკური ქორწინებების ხასიათი, როგორც იმდროინდელი ქართული მენტალობის მახასიათებელი[1].

გაყრის, ახალი ქორწინების, ინიციატორებად, ძირითადად, მამაკაცები გვევლინებიან. შარდენის მითითებით, გაყრა ჩვეულებრივი ამბავია მდაბიო

[1] თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სფეროში ქართული სამართალი ქალს ანიჭებდა გარკვეულ, მაგალითად, მზითვის ქონების უფლებას. აქ ჩანს ევოლუციის კვალი, კერძოდ, ვახტანგ VI-ის სამართალი მეტად იცავს ქალის უფლებას მზითვზე (აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან სამართლებრივ ასპექტზე. მაგალითად, განქორწინებაზე), ვიდრე ბექა-აღბუღას სამართალი. მზითვი ახალ ოჯახში იყო ქალის (წარჩინებული ქალების მზითვის წიგნების საფუძველზე) ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარანტი, რადგან ქალის ქონება (მზითვი, სათავნო) საერთო ოჯახური ქონებიდან გამოყოფილი იყო და ქალი მას თავისი სურვილისამებრ მოიხმარდა [ნადარეიშვილი, 1974: 32-51].

ხალხშიც: „არიან ისეთებიც, რომელთაც სამი, ოთხი, ცოლი ჰყავთ ერთ ჭერქვეშ. ზოგს კი ცოლები სხვადასხვა ადგილას ჰყავთ, რათა, სადაც არ წავლენ, ცოლი იქ დახვდეთ" [შარდენი, 1975: 178], ხოლო ლამბერტის აღნიშვნით, რამდენიმე ცოლის ყოლის უფლება აქვს სამღვდელოებასაც: „ეპისკოპოსის ღირსებას ის უპირატესობა აქვს, რომ შეუძლიათ აშკარად იყოლიონ სამი თუ ოთხი ცოლი" [ლამბერტი, 1938: 121].

შარდენი წერს: „ცოლქმრულ ერთგულებას... იცავენ მანამ, სანამ ეს მათ სურთ, რასაც იმერეთის მეფის[5] მაგალითზე ვხედავთ; იგი გაეყარა თავის პირველ ცოლს, თამარს[6], რათა კახეთის მთავრის თეიმურაზ-ხანის ასული შეერთო (ნესტან-დარეჯანი), თამარი კი მალე სხვა დიდებულს მისთხოვდა" [შარდენი, 1975:177]. შესაბამისად, ქალის ბედი (გაყრა-შეყრა) მამაკაცის გადაწყვეტილებზე იყო დამოკიდებული.

პირველი ქორწინება სვიმონ გურიელთან

ქართლის დედოფალი მარიამ დადიანი და მისი ძე ოტია გურიელი

სანამ უშუალოდ მარიამისა და სვიმონ გურიელის ქორწილის შესახებ ვისაუბრებთ, სასურველია XVII საუკუნის 20-იანი წლების დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური სურათის მოკლე მიმოხილვა. იმ პერიოდში იმერეთის მეფე არის გიორგი III (1604-1639), გურიის მთავარი - მამია გურიელი (1600-1625), ხოლო სამეგრელოს მთავარი - ლევან დადიანი[7](1611-1657). პოლიტიკური სიტუაცია იმ დროს შედარებით სტაბილური იყო, ვითარება რადიკალურად იცვლება მას შემდეგ, რაც გიორგი III-ის ვაჟი ალექსანდრე 1620 წელს ღალატის გამო მამია გურიელის ქალიშვილს გაშორდა. ამის საპასუხოდ, მამია გურიელი პოლიტიკურ კავშირს ამყარებს ლევან დადიანთან. ეს უკანასკნელი იმ იმედით, რომ იმერეთის სამეფოსგან მეტ დამოუკიდებლობას მოიპოვებდა (თანაც იმ დროს იგი უკვე ერთპიროვნული მმართველია), თავის ნახევარდას, მარიამს, მამია გურიელის ვაჟზე, სვიმონზე, ათხოვებს [ქართლის ცხოვრება, 1973: 826].

[5] ავტორი გულისხმობს იმერეთის მეფე ალექსანდრეს (1639-1660).

[6] მამია გურიელის ქალიშვილი. სწორედ ამ განქორწინების შემდეგ შედგება მარიამ დადიანისა და სვიმონ გურიელის ქორწინება (დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

[7] დაახლოებით 1620 წლამდე სამთავროს ფაქტობრივი გამგებელი, რეგენტი, მისი ბიძა გიორგი ლიპარტიანია [ჯამბურია, 1973: 301-302].

მარიამისა და სვიმონის ქორწილი, ვახუშტის ცნობით, 1621 წელს მომხდარა [ქართლის ცხოვრება, 826], მარიამი იმ დროს დაახლოებით 16 წლის[8] უნდა ყოფილიყო. ამ ქორწინების შესახებ ვრცელი ცნობაა დაცული ბერ ეგნატაშვილთან: „დადიანს ჰყვანდა დაჲ, სახელით მარიამ, ესე ესუა ცოლად სვმონს გურიელს. ესე მარიამ იყო ნაშობი ათაბაგის ქალისა[9]. მაშინ სვმონ გურიელმან გმო ღმერთი, შურითა ეშმაკისათა აღბორგებულმან, მოკლა მამა თვსი მამია გურიელი: სარეცელსა ზედა მწოლარეს უღალატა[10]. და ვითარცა სცნა ლევან დადიანმან, მიზეზ-ყო საქმე ესე, შეუთვალა სვმონ გურიელსა: „ვინათგან ჰყავ საქმე ეგე ბოროტი, მე ჩემს დას შენ აღარ მოგცემო". ბრძოლა მომხდარა ლანჩხუთთან, ლევანმა გაიმარჯვა, შეიპყრა გურიელი „დასწვა თუალები და გამოართუა დაჲ თვსი მარიამ. და დასუა გურიელად ქაიხოსრო" [ქართლის ცხოვრება, 1959:419], რომელიც მარიამ დადიანის დედის ძმა იყო. როგორც ცნობილია, მარიამ დადიანი პირველად სვიმონ გურიელის მეუღლე იყო. სვიმონმა 1625 წელს საკუთარი მამა, გურიელი, მოკლა, რის გამოც ლევანსა და სვიმონს შორის ურთიერთობა გაფუჭდა. ლევანმა მამის მკვლელს შეუთვალა, მარიამი უკან დაებრუნებინა. სვიმონმა უარით უპასუხა, მაშინ ლევანმა გაილაშქრა მის წინააღმდეგ, დაამარცხა იგი და მარიამი მის შვილ ოტიასთან[11] თან წამოიყვანა. პირველი ქორწინება მარიამ დადიანისთვის უიღბლოდ სრულდება, მამის მკვლელ მეუღლესთან ცხოვრება მიუღებელი აღმოჩნდა მისი ნათესაობისთვის (აქაც, ცხადია, მისი ძმა იღებს გადაწყვეტილებას).

---

[8] წყაროთა სიმწირის გამო, მარიამის დაბადების ზუსტი თარიღი არ არსებობს. მაგრამ დაახლოებითი თარიღის დადგენა მაინც ხერხდება. ილია ანთელავა ქართულ ეცხოური წყაროების შეკერების შედეგად ლევან დადიანის დაბადების თარიღად 1597 წელს მიიჩნევს (იმავე წელს გარდაიცვალა ლევანის დედა ნესტან-დარეჯანიც, რომელიც კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის ქალიშვილი იყო). ხოლო მანუჩარ დადიანის მიერ მეორე ცოლის („ათაბაგის ქალი" - თამარი) მოყვანის თარიღად - 1598 წელს [ანთელავა, 1990: 36-37]. მანუჩარსა და მის მეორე მეუღლეს ოთხი შვილი (იესე, ერეკლე, მარიამი და უცნობი ქალიშვილი) გაუჩნდათ, სამწუხაროდ ცნობილი არ არის რომელი იყო უფროსი [ტუღუში, 1992: 6]. მაგრამ ჩვენ გაგვაჩნია ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, რომ მარიამი პირველად 1621 წელს სვიმონ გურიელზე გაათხოვეს. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ქართული საეკლესიო თუ საერო კანონით, 12 წლამდე გოგონას გათხოვება აკრძალული იყო. შესაბამისი ცნობა დაცულია როგორც რუის-ურბნისის (1105) კრების დადგენილების („ძეგლისწერა»») მე-10-ე მუხლში („ქალი ათორმეტისა ნლისასა უმცროსი ნუმცა შეყოფილ არს ქორწინებით მეუღლისადა" [ჯაფარიძე, 2010: 170], თბილისში გამართულ საეკლესიო კრებაზე (1748) მიღებული კანონის 22-ე მუხლში. სადაც წერია: „ხოლო უკუეთუ ენებოს ვისმე (აქცენტი კეთდება დიაკვანზე) ქორწინება... მიიყვანოს ცოლად ქალწული, ვითარ ათორმეტისა წლისა, გინდა ათსამეტისა»» [ძეგლები... 1970: 802]. შესაბამისად, მარიამის დაბადების თარიღის მინიმალურ ზღვრად 1598-1599 წლები უნდა ვივარაუდოთ, ხოლო მაქსიმალურ 1608-1609 წლები. მეცნიერთა დიდ ნაწილს (გიორგი წერეთელი, დავით ქორიძე, ლიანა კეკელიძე, აბესალომ ტუღუში) შორის გაზიარებულია 1605 წელი. ჩვენც ამ თარიღს ვიზიარებთ.

[9] თამარი იყო მანუჩარ დადიანის მეორე ცოლი და გურიის მთავრის ვახტანგ I-ის (1583-1587) ქვრივი.

[10] ვახუშტი ბატონიშვილიც იგივეს აღნიშნავს, ოღონდ 1625 წელს ურთავს [ქართლის ცხოვრება, 1973: 826].

[11] შესაბამისად, ოტია გურიელის დაბადება 1622-1624 წლებში უნდა ვივარაუდოთ. მისი გარდაცვალების შესახებ ცნობა კი XVII საუკუნის სხვადასხვა ხელნაწერის (ჯამ-გულანი, ყანჩაეთის ჯამ-გულანი) არშიების მინაწერებზეა დაცული, რომლებზეც თარიღად 1645 წელია აღნიშნული [ქრონიკები... 1968: 34, 42].

მეორე ქორწინება როსტომ ხანთან[12]

უკვე XVII ს-ის 30-იან წლებში ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის ორი სხვა ურთიერთდაპირისპირებული ბანაკი შეიქმნა: ერთ მხარეს აღმოჩნდნენ სამეგრელოს[13] მთავარი ლევან II დადიანი (1611-1657) და ქართლის მეფე როსტომ-ხანი (1632-1658) [ქართლის ცხოვრება, 1973: 439], ხოლო მეორე მხარეს - იმერეთის მეფე გიორგი III (1604-1639), კახეთის მეფე თეიმურაზ I (1606-1648), აფხაზეთის მთავარი სეტემან შერვაშიძე[14] (1620-1635) [ლამბერტი, 1938:16]. ეს პოლიტიკური ალიანსი კი განმტკიცდა დიპლომატიური ქორწინებით: „ამა ჟამსა შინა ინება როსტომ მეფემან და დადიანმან ერთმანეთის მოყურობა" [ქართლის ცხოვრება, 1959: 419]. ქორწინებას კი წინ უძღოდა დიდი დისკუსია, ვინ გამხდარიყო ქართლის დედოფალი, „შექმნეს ვაზირობა, დაიწყეს რჩევა, ეძებეს სამყვაროთ ლევან დადიანი და გაუგზავნეს მოციქულები და საქართველოს სადედოფლოთ და მისი მარიამ, დედათა შიგან ნაქები. სათხოვნელად მოციქულები წავიდეს და იმათაც იამა და მოსცეს" [გორგიჯანიძე, 1925: 241]. ქორწილის ზუსტი თარიღი უცნობია წყაროებში დაცული განსხვავებული ინფორმაციის გამო. ივ. ჯავახიშვილი როსტომისა და მარიამის ქორწინებას 1634 წლით ათარიღებდა [ჯავახიშვილი, 1967: 376], გ. ჯამბურიას აზრით, ქორწილი 1633 წლის გვიან შემოდგომაზე უნდა მომხდარიყო [ჯამბურია, 1973: 318], გ. ჟორჟოლიანი მარიამის ქართლში გადედოფლებას 1633 წლის 25 დეკემბრით ან 1634 წლის დასაწყისით ათარიღებს [ჟორჟოლიანი 1987: 144], ა. ტუღუში კი - 1634 წლის გაზაფხულით [ტუღუში, 1992: 15]. მოცემულ შემთხვევაში ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ქორწილის თარიღის სიზუსტეს, ჩვენი მიზანია ქორწინების თავისებურების ჩვენება.

შექმნილი დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია გარკვეული ალიანსების შექმნის აუცილებლობას წარმოშობდა, რითაც უფრო მარტივი გახდებოდა მტერთან დაპირისპირება. ამის შესახებ ბერი ეგნატაშვილი წერდა: „მაშინ დადიანი ლევან და იმერეთის მპყრობელი ერთმანეთს უჭდებოდენ და იყო შური დიდი ერთმანეთშია. და ამისათვს მოინდომა დადიანმან როსტომ მეფის მოყურობა და როსტომ მეფემანცა მისათვს მოინდომა დადიანის მოყურობა,

---

[12] როსტომ ხანი (ხოსრო მირზა) XVII საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო პოლიტიკური ფიგურაა, მისი მოღვაწეობა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართლის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაში, აგრეთვე დაწინაურებული პირი იყო სეფიანთა ირანის კარზე [ჟორჟოლიანი, 1987: 19]. როსტომი იყო ქართლის მეფე დავით XI-ის (დაუდ-ხანი, 1569-1578) უკანონო შვილი, „ხარჭისაგან ნაშობი" [ქართლის ცხოვრება, 1959: 404]. იგი დაახლოებით 1565 წელს დაიბადა ირანში [საქართველოს... 2000: 190]. შესაბამისად, მარიამ დადიანზე დაქორწინებისას იგი დაახლოებით 40 წლით მაინც იყო უფროსი.

[13] გურიის სამთავროში ლევან დადიანის მიერ დანიშნული კათალიკოსი მალაქია მთავრობს. ამდენად გურია სამეგრელო-ქართლის ალიანსში მოიაზრება.

[14] სეტემან შერვაშიძის ამ ალიანსში ჩარიცხვის მიზეზი ის იყო, რომ ლევან II დადიანმა თავის პირველ ცოლს, დარეჯან შერვაშიძეს (სეტემანის ქალიშვილი), ღალატი დასწამა და „ბერძნების სჯულისამებრ შესარცხვენად ცხვირი მოსჭრა" და მამის კარზე, აფხაზეთში, გააბრუნა [ლამბერტი, 1938: 16].

რომე ბატონი თეიმურაზ (თეიმურაზ I) ამისი მტერი იყო და იმერეთში მაგრობდა და დადიანს იმისთვს ემტერებინა" [ქართლის ცხოვრება, 1959:419]. იმავე ცნობას ადასტურებდა „ცხოვრება საქართველოჲსას" ქრონიკის უცნობი ავტორი, რომელიც წერდა: „ამავ წელიწადს (აქ: 1632) ლევან დადიანს დაემოყვრა: და ქართლის სადედოფლოთ სთხოვეს. და მანც მოსცა მარიამ დედოფალი" [ცხოვრება... 1980:94]. მსგავს ცნობებს ადასტურებენ სხვა ავტორებიც (ავიტაბილე, კასტელი, მილანელი, ვახუშტი და სხვ.). მაგალითად, საინტერესო ცნობაა დაცული ავიტაბილესთან: „ახალი მეფე როსტომი ჯერ ქართლში არ იყო ჩასული, რომ უკვე დადიანის ანუ ოდიშის დაზე დაქორწინებას ცდილობდა" [ავიტაბილე, 1977: 27]. როგორც ჩანს, პოლიტიკური ქორწინების მსურველი მხოლოდ ლევან დადიანი არ ყოფილა.

მარიამი უარყოფითად შეხვდა მაჰმადიან როსტომზე დაქორწინებას[15] და არც აპირებდა მის ცოლობას [მილანელი, 1964:35; კასტელი, 1977:55]. საინტერესოა ჟან შარდენის მოგზაურობის წიგნის ერთ-ერთი შენიშვნა, რომელიც მზია მგალობლიშვილს ეკუთვნის. იგი წერდა, რომ ლევან დადიანმა იძულებით, „გუემით" მისცა ცოლად მარიამი როსტომს, თუმცა რა წყაროს ეყრდნობა, მითითებული არ არის [შარდენი, 1975: 389]. რელიგიური განსხვავებულობის პრობლემაც მალე გადაწყდა, როდესაც როსტომის მონათვლის ინსცენირება მოაწყვეს: „მღვდელმა მოსაჩვენებლად როსტომ მეფეს თავი დაბანა იმ მიზნით, რომ მარიამი მასთან შეუღლებულიყო, ასეთი თვალთმაქცობა გამოიყენა მღვდელმა. ამის შემდეგ როსტომი ბევრს ეცადა გადაეყვანა ქალის თავის სექტაზე, მაგრამ ამაოდ დაშვრა, ვერ შესძლო მისი პირის მობრუნება" [კასტელი, 1977: 55]. ამ დინასტიური ქორწილის ორგანიზებაში ჩართული იყო თვით ირანის შაჰი სეფი I-ც კი, რადგან სწორედ მისი თანხმობით მოხდა ქორწინება; როსტომმა ელჩები გაგზავნა შაჰის კარზე და აცნობა მარიამთან დაქორწინების პოლიტიკური მნიშვნელობა [გორგიჯანიძე, 1925: 241]. ამ ქორწინებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა არა მხოლოდ სამეგრელოს სამთავროსა და ქართლის სამეფოს შორის პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობის განმტკიცებაში, არამედ ამ შეუღლებას მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა ირანისა და სამეგრელოს შორის დიპლომატიურ ურთიერთობაში. როგორც ცნობილია, ამ დროს ირანი ჩართულია ოსმალეთის წინააღმდეგ ომში[16], ამიტომაც აქტიურად ცდილობს ოსმალეთის ვასალი პოლიტიკური ერთეულების თავის მხარეზე

[15] გასათვალისწინებელია როსტომის ასაკიც, იგი დაახლოებით 67 წლის იყო. მარიამსა და როსტომს შორის ასაკობრივი სხვაობა კი 40 წლამდე მაინც უნდა ყოფილიყო.

[16] 1623-1639 წლებში ირანსა და ოსმალეთს შორის მიმდინარეობს კიდევ ერთი ომი, ამიტომ ირანი მაქსიმალურად ცდილობს ოსმალეთის ვასალი პოლიტიკური ერთეულები, ამ შემთხვევაში სამეგრელოს სამთავრო თავის მხარეს გადაიბიროს, სწორედ ამ მცდელობის შემადგენელ ნაწილად უნდა მივიჩნიოთ ქართლსა და სამეგრელოს შორის დინასტიური ქორწინებაის განხორციელება. „ეს ომი დასრულდა 1639 წლის ზოჰაბის ზავით, რომელმაც აღადგინა 1555 წლის ამასიის ზავის პირობები (მთელი სამცხე ოსმალეთს დარჩა). აღნიშნული საზღვარი უცვლელი დარჩა I მსოფლიო ომამდე" [Encyclopedia... 2008: 280].

გადმობირებას. ირან-სამეგრელოს ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადასვლას უნდა მოწმობდეს შაჰ-სეფის ყოველწლიური ჯამაგირის დანიშვნა („ათასი თუმანი ჯამაგირი გაეჩინა დადიანისთვის") ლევანისთვის [გორგიჯანიძე, 1925: 241]. „მეფე როსტომ მიიცვალა[17] (1659) ტფილისს ქალაქსა. ტირილი აღარც დედოფალს (მარიამ დადიანი) დასცალდა, აღარც – ქართველთა. საშვებად ერთი-ორი დღე იტირეს. როსტომ მეფე თათრებმა ციხეში შეიტანეს, იქიდამ ყუმს გაგზავნეს დასამარხავათ. ჯამალ-ხან უწინვე აქ მოსულიყო და დედოფალს ყაენის რაყამი შემოუგზავნა: „ჯემწიფის ბრძანება არისო". ციხეში შეიყვანა და ყაენთან უნდოდათ წაეყვანათ. დედოფალმან თეთრი თმა გაგზავნა ყაენს, შეუთვალა: „მე ციხეში თქვენი ბრძანება გავათავეო, შემოველო ჩემის მხლებლებითაო. ერთი ბერი დედაკაცი ვარო, ჩემს ქმარსო და ძმასაო მაგათ ოჯახზე ბევრი უმსახურებიაო. აქედან ნუ დამძრავსო". თმაცა და წიგნიც ციციშვილს პაპუნა სარდალს მისცეს, ჩაფრად გაისტუმრეს" [პარიზის... 1980: 109]. როგორც ჩანს, ირანის შაჰ აბას II-ს „ბევრი რამ სმენია მისი (მარიამი) წარმტაცი სილამაზის შესახებ" [შარდენი, 1975: 313], მაგრამ მტკიცე უარის მიღების შემდეგ გადაწყვიტა მისი ვახტანგ V შაჰნავაზზე დაქორწინება. როდესაც მარიამ დადიანი მესამედ გაათხოვეს, ლევანი ცოცხალი აღარ იყო (გარდაიცვალა 1657 წელს). ამიტომ მარიამის „პატრონი" არის ირანის შაჰი, ამიერიდან მარიამის ბედ-იღბალი მის ხელშია.



მარიამ დადიანი (ნაქარგი გამოსახულება შესრულებული მისი დაკვეთით დამზადებულ გარდამოხსნაზე. XVII ს.)

მესამე ქორწინება ვახტანგ V შაჰნავაზთან[18]

„ორმოც დღეს იქით ქორწილი უყვეს შაჰნავაზ მეფესა და მარიამ დედოფალსა. შეიქმნა სიხარული, მეფობა და დედოფლობა მიულოცეს" [პარიზის... 1980: 109]. შემდეგ, შაჰ აბას II-ის (1642-1666) ბრძანებით, მარიამს

[17] ქართულ ისტორიოგრაფიაში როსტომ ხანის გარდაცვალების თარიღად გაზიარებულია 1658 წელი [საქართველოს... 2000: 190-192].

[18] როგორც ცნობილია, როსტომს მემკვიდრე არ ჰყავდა, ამიტომაც მან 1642 წელს მემკვიდრედ ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის (1606-1614) შვილიშვილის შვილი ლუარსაბი გამოაცხადა. იგი მაჰმადიანი იყო და ირანში გაზრდილი, რის გამოც ქართლის თავადებმა ფარულად მოკლეს [გორგიჯანიძე, 1925: 262-263]. ამის შერე აირჩიეს ბაგრატიონების გვერდითი შტოს, მუხრანბატონების, წარმომადგენელი ვახტანგი.

ვახტანგ V შაჰნავაზი ირთავს: „ხოლო ამა შანავაზ მეფესა ესუა ცოლად ასული ყაფლანისა, სახელით როდამ (გვარად ბარათაშვილი), ქალი ფრიად პატიოსანი და შემკული ყოველივე საქმითა კეთილითა, სრული სწავლითა სამხთოთა და საეროა, შუენიერი და პირის-წყალი დედათა. ხოლო ოდეს უბოძა ყაენმან ქართლი მეფეს შანავაზს, მაშინ მოსწერა შერთვა მარიამ დედოფლისა და ვერღარა ექმნა ყაენსა და არრარა ღონე ჰქონდა, შეირთო მარიამ დედოფალი. და ქმნეს ქორწილი სახელოვანი და ესუა ორივე ცოლად. რამეთუ ესხნეს როდამთანა ძენი და ასულნი" [ქართლის ცხოვრება, 1959: 435]. როგორც ჩანს, ეს ქორწინება არ იყო ვახტანგის სურვილით, შაჰმა ძალით შერთო მეორე ცოლი: „ხოლო ვახტანგს შეუძნდა შერთვა მარიამ დედოფლისა, ვინაითგან ესუა ცოლი" [ქართლის ცხოვრება, 1973: 447]. მზია მგალობლიშვილი შარდენის „მოგზაურობანი" ერთ-ერთ შენიშვნაში წერს: „ირანის შაჰის მიერ საქართველოში მრავალცოლიანობის იძულებითი შემოღების ცდები ერთ-ერთი საშუალება იყო ჩვენში უცხო ადათ-წესების დანერგვისა და საქართველოს გამაჰმადიანების" [შარდენი, 1975: 389]. ქორწინებას იცავენ მანამ, სანამ ამას საჭიროება მოითხოვს, პოლიტიკური (ან სოციალურ-ეკონომიკური მიზეზით) ორიენტაციის შეცვლის შემდეგ ქორწინებაც მალევე გაყრით მთავრდება. ერთი საინტერესო ცნობაა დამოწმებული ავიტაბილესთან: „ერთი კაცი სპარსეთის ხელმწიფესთან ელჩად უნდა წასულიყო... იფიქრა: სპარსეთის მეფეს ხელცარიელი როგორ წარვუდგე, უხერხული იქნებაო და საჩუქრად თავისი ქალიშვილი მიჰგვარა". ამ ყველაფერს „გულის მტანჯველი" პათოსით გადმოგვცემს ავტორი, თან დასძენს, რომ ასეთი უამრავი შემთხვევა უნახავს, მაგრამ ყველაფერს ვერ აღწერს [ავიტაბილე, 1977: 34]. ავიტაბილეს მოწმობა ნამდვილად ადასტურებს საქართველოში ქალის მდგომარეობის ზოგად სურათს, ანუ მის უუფლებობასა და მეორეხარისხოვნებას საზოგადოებაში. ამ ცნობიდან (როგორც ავტორი აღნიშნავს, არაერთი სხვა ფაქტიც არსებობდა) ირკვევა, რომ ქალი წარმოადგენს „სასაჩუქრე საგანს".

გვიან შუა საუკუნეების, კონკრეტულად კი XVII საუკუნის, საქართველოში, ცხადია, რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებაა, რამაც ასახვა პოვა საზოგადოების მორალურ კატეგორიებსა თუ ეთიკურ ნორმებზე. სწორედ ამ პერიოდის „სენია" ქალებისა და ბავშვების ტყვედ გაყიდვაც[19]. ამ ფონზე გასაკვირი არც ქალებზე ძალადობის გამოვლინებები. მსგავსი კანონები მოქმედებს მაღალ არისტოკრატულ წრეებშიც, სადაც ქალზე ძალადობის იარაღად ხშირად მამაკაცი, როგორც გადაწყვეტილების მიმღები, პოლიტიკურ ქორწინებას იყენებს. ქალი მარიონეტი უუფლებო არსებაა თავისი „პატრონის" ხელში. მარიამ დადიანის სამი პოლიტიკური ქორწინება სწორედ ასეთი ძალადობის, პოლიტიკური თამაშის მაგალითად და გვიან შუა საუკუნეების ქარ-

[19] „ტყვეთა სყიდვა" გვიანი შუა საუკუნეების ყველაზე მძიმე სოციალური მოვლენაა. რომელმაც დიდი საფრთხე შეუქმნა ქართველი ხალხის გენოფონდს, სამწუხაროდ ამ პროცესში ჩართული იყო ყველა სოციალური ფენა (თავადი, აზნაური, გლეხი) და სამღვდელოებაც კი.

თული კულტურული დამოკიდებულებების მახასიათებლად წარმოგვიდგება.

ლიტერატურა:

1. ავიტაბილე დონ პიეტრო. 1977. ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე), შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბ. გიორგაძისა, თბილისი.
2. ანთელავა ილია. 1990. ლევან II დადიანი, თბილისი.
3. ბარნაველი სარა. 1962. დადიანის ასულის მარიამის მზითვის წიგნი, კრებულში: აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXIII-B, თბილისი.
4. გორგიჯანიძე ფარსადან. 1925. ისტორია, სარგის კაკაბაძის გამოცემა, „საისტორიო მოამბე", II.
5. იაშვილი მზია. 1974. მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითვის წიგნი), თბილისი.
6. კასტელი დონ კრისტეფორო. 1977. ცნობები და ალბომები საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბილისი.
7. კეკელიძე კორნელი. 1962. ეტიუდები, ტ. VIII, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. ლამბერტი არქანჯელო. 1938. სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ა. ჭყონიასი, მეორე გამოცემა, ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი.
9. მეფეები... (2000), საქართველოს მეფეები, რედაქტორები: მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, თბილისი.
10. მილანელი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე. 1964. წერილები საქართველოზე, XVII საუკუნე, იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბილისი.
11. ნადარეიშვილი გიორგი. 1974. ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბილისი.
12. ჟორჟოლიანი გულქან. 1987. საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში (ქართლ-კახეთი), თბილისი.
13. ჟღენტი დავით. 1985. ქართლის დედოფალ მარიამის როლი სახელმწიფო განმგებლობაში, კრებულში: „საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია, №1, თბილისი.
14. ტუღუში აბესალომ. 1992. ცხოვრება და ღვაწლი დედოფალ მარიამ დადიანისა, თბილისი.
15. ქართლის ცხოვრება. 1959. ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ დადგენილი ტექსტი, ტ. II, თბილისი.
16. ქართლის ცხოვრება. 1973. ბატონიშვილი ვახუშტი „აღწერა სამეფო სასაქართველოსა", ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ

დადგენილი ტექსტი, ტ. IV, თბილისი.

17. ძეგლები... 1970. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი.
18. ქრონიკები... 1968. მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბილისი.
19. შარდენი ჟან. 1975. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი.
20. შველიძე, დიმიტრი. 2001. პოლიტიკური შეუღლებანი ძველ საქართველოში, თბილისი.
21. პარიზის... 1980. ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბილისი.
22. ჯამბურია გივი. 1973. საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII ს.-ის 30-90-იან წლებში, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი.
23. ჯავახიშვილი ივანე. 1967. ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბილისი.
24. ჯაფარიძე ანანია. 2010. საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, თბილისი.
25. Amt, Emilie. 2010. Women's lives in Medieval Europe: A sourcebook, second edition, New York, Routledge.
26. Encyclopedia... 2008. Encyclopedia of the Ottoman Empire, Gabor Agoston, Bruce Masters, New York, Facts on File.

MANANA JAVAKHISHVILI
Ilia State University

IRAKLI PERADZE
Georgian National Museum

MARIAM DADIANI - POLITICAL MARRIAGE IN LATE MEDIEVAL PERIOD GEORGIA

Resume

The political marriage of Princess Mariam Dadiani is an object of our research. In the middle Ages dynastical marriages were very important factor in the resolution of many political or social problems as well as the enforcement the relationships into the monarchical or, generally, high social society. Georgia of the late middle ages period, namely of XVII century, was in a very difficult social-economic and political situation. This factor influenced on moral or ethical image of Georgian society. In Georgia of this period, there was a practice of the captives (especially women and children) trafficking. There were many facts of the violence against women. The same lows passed in the high society when a man, the decision maker, very often used the political marriage as an arm of violence, against women. Women were marionettes, deprived of rights in the hands of her "owner/senior". The three political marriages of Mariam Dadiani were the example of such violence, political games and represent as a characterizing point of the late Middle Ages Georgian cultural attitudes.

ოთარ გოგოლიშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი რუსეთის ინტერესების სფეროში (1800-1806)

ბათუმის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში XIX საუკუნის დასაწყისში, ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდებისთანავე, დაისვა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-თურქეთს შორის მიმდინარე ომებისას ბათუმი წარმოადგენდა საომარი ასპარეზის გასაღებს ოსმალეთის აზიურ ნაწილში. ბათუმი საერთო კავკასიური ინტერესების კვანძი იყო. ნიკო მარი აღნიშნავდა: „Тот кто владеет этим местом, тот хозяин гораздо большей площади на Востоке, даже не переступая государственные границы" (Н. Марр. Батум, Ардаган, Карс. Исторический узел международных отношений Кавказа. (Петрогра., 1922:10) (თუ შეიძლება, სქოლიოში ქართული თარგმანი მოიტანეთ).

რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებში ბათუმის მოქცევას მრავალი მიზეზი განაპირობებდა. უპირველესი ის იყო, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე რუსეთს რამდენიმე მოხერხებული ნავსადგური XIX საუკუნის დასაწყისში არ ჰქონია: „ბათუმის სახით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ჩვენ შევიძენთ ისეთ უსაფრთხო ნავსადგურს, რომელიც რუსეთს ამ ხნის განმავლობაში არ ჰქონია" (Акты, Т. VII,С.758.).

ეკონომიკური თვალსაზრისით, ბათუმი საყურადღებო პუნქტი ჩანდა. იქ გადიოდა ის სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც დასავლეთიდან ირანისკენ მიემართებოდა. ამ გზით ინგლისი მცირე აზიაში გაბატონებას ესწრაფოდა, რაც ცარიზმის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ბათუმის დაპყრობით კი რუსეთი ინგლისს ირანთან ვაჭრობის გზას ჩაუკეტავდა. რუსი პოლიტიკოსები არც მალავდნენ თავიანთ მისწრაფებას: „მანამ, სანამ ბათუმი ჩვენს ხელთ არ არის, ინგლისს აქვს შესაძლებლობა ირანთან თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობის დასამყარებლად" (Акты, Т. VII,с.122).

რუსეთს ბათუმი აინტერესებდა სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისითაც. ბათუმი აკონტროლებდა ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანეს გზებს: ბათუმი-ახალციხე, ბათუმი-ყარსი-ერევანი, ბათუმი-თბილისი. მისი დაუფლებით ოსმალთა თითქმის ყველა სავაჭრო-სატრანზიტო გზა რუსეთის კონტროლქვეშ მოექცეოდა. იმავდროულად ბათუმის დაუფლებით რუსეთი საბოლოოდ გადაჭრიდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზღვრების უსაფრთხოების საკითხს.

რუსეთი რეგიონში თავის ამოცანას აყალიბებდა: „ბათუმი ღია ნავსადგურია და გააჩნია ძალიან კარგი გემთსადგომი. წარმატების შემთხვევაში ჩვენ გავხდებით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მმართველნი ბათუმიდან ანაპამდე, რაც საშუალებას მოგვცემს სიმშვიდე შევინარჩუნოთ გურიასა და სამეგრელოში" (Акты,Т.IV,С.,773).

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ერთი პატარა ნავსადგური გააჩნდა - რედუტ კალე, მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებდა რუსეთის გაზრდილ მოთხოვნებს. საჭირო გახდა ბათუმის, სოხუმისა და ფოთისთვის ინტენსიური ბრძოლა. სოხუმს კარგი მდებარეობა ჰქონდა, მაგრამ იგი ნაკლებად იყო დაკავშირებული ქვეყნის შიგა ეკონომიკურ რაიონებთან. რაც შეეხება ფოთს, იგი ქმნიდა მდინარე რიონზე ნაოსნობის პერსპექტივას, მაგრამ ბუნებრივად დაუცველი და ღია ტიპის ნავსადგური იყო, რის გამოც ამიერკავკასიის სწრაფად მზარდ ექსპორტ-იმპორტის მოთხოვნებს მხოლოდ მინიმალურად დააკმაყოფილებდა. ამიტომ ბათუმი განსაკუთრებით მოექცა რუსეთის საგარეო პოლიტიკის დაინტერესების სფეროში.

ბათუმისა და, საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსადმი რუსეთის ინტერესები ჯერ კიდევ მაშინ გამოიკვეთა, როცა აღმოსავლეთის საკითხით დაინტერესებული რუსეთი სამხრეთ კავკასიაში საიმედო დასაყრდენის გაჩენის და „სამხრეთის ფანჯრის" გაჭრის მიზნით საქართველოსთან ახალ დიპლომატიურ ურთიერთობაში ჩაება. 1783 წელს გაფორმებული გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ ერეკლე II იწოდებოდა „მეფედ ქართლისა, კახეთისა და შთამომავლობით მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი". 1788 წლის 22 მაისს ერეკლე II ოფიციალურად სთხოვდა ეკატერინე II-ს, რომ საქართველოს შემოერთებოდა ახალციხე და აჭარა, მაგრამ ეს საკითხი იმ პერიოდში გადაუჭრელი დარჩა (მეგრელიძე,1963:18).

რუსეთის საგარეო პოლიტიკაში აქტიურად დაისვა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების შემოერთების საკითხი. ამის თაობაზე უკვე 1803 წლის თებერვალში საქართველოს მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა იმპერატორ ალექსანდრე I-სგან მიიღო საიდუმლო მითითება (Акты,Т., II.С.341-342).

რუსეთს თავისი გეგმის განხორციელება შესაძლებლად მიაჩნდა შემდეგი გარემოებების გამო: ჯერ ერთი, დასუსტების გზაზე მდგომი ოსმალეთის პოზიციები დასავლეთ საქართველოში შერყეული იყო და მეორეც, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის არსებული გაუთავებელი უთანხმოება, რომელიც არაიშვიათად შინაომებშიც გადაიზრდებოდა ხოლმე, ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა იმ რეგიონში რუსეთის პოზიციების განსამტკიცებლად. ამის მიუხედავად, რუსეთის მთავრობა ერიდებოდა დასავლეთ საქართველოში აქტიური მოქმედებებით დროზე ადრე არ გაეღიზიანებინა ოსმალეთი, რომელიც, ქუჩუკ-კაინარჯის საზავო პირობების თანახმად, ამ მხარეს თავისი გავლენის სფეროდ

მიიჩნევდა. ამიტომ 1803 წლის 29 თებერვალს პ. ციციანოვი სტამბოლში მყოფ ა. იტალინსკის მიმართავდა დიპლომატიური გზით მიეღო ოსმალეთის მთავრობისგან თანხმობა რუსეთთან დასავლეთ საქართველოს შეერთებასთან დაკავშირებით. რუსეთი ასევე სინჯავდა ნიადაგს ახალციხის საფაშოს - ისტორიული ქართული ტერიტორიის - დასაკავებლად.

1803 წლის 4 დეკემბერს რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო სამეგრელოს სამთავრომ, 1804 წლის აპრილში - იმერეთმა და გურიამ. ამის შემდეგ რუსეთის მთავრობა გეგმაზომიერად იწყებს ოპერაციებს აღმოსავლეთ შავიზღვისპირა ნავსადგურების დასაკავებლად. 1804 წლის 26 აპრილს პ. ციციანოვმა წერილობით მიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. ჩარტორიცკს და სტამბოლში რუსეთის ელჩ ა. იტალინსკის. მიმართვებში მან დააყენა ბათუმის, ფოთისა და ანაკლიის საკითხი: „ეს ნავსადგურები აუცილებლად უნდა გვეკუთვნოდეს, რადგან ბათუმი ისტორიულად გურიასთან ერთად იმერეთის სამეფოს ეკუთვნოდა, ხოლო ფოთი და ანაკლია - სამეგრელოს", - წერდა პ. ციციანოვი. უკიდურეს შემთხვევაში ციციანოვს შესაძლებლად მიაჩნდა ფოთის დაკავება, ხოლო ბათუმსა და ანაკლიაში კონსულების დანიშვნა, რომლებიც საქართველოს მთავარმართებელს დაექვემდებარებოდნენ. დასასრულ, პ. ციციანოვი დასძენდა: „ცნობილია, რომ ოსმალეთში ძლიერ მოქმედებს ფულისა და საჩუქრების ხერხი, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზემოთ დასახელებული პუნქტების ხელში ჩასაგდებად" (Акты,Т.,II.С.343).

მანამ, სანამ რუსეთ-ოსმალეთს შორის ფაქტობრივად „მშვიდობა" სუფევდა, ბათუმისთვის რუსეთი აშკარა ბრძოლისგან თავს იკავებდა. ამ ეტაპზე გენერალ პ. ციციანოვს ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებლად მიაჩნდა ორი საშუალებით: სულთნის მოხელეების მოქრთამვით და ბათუმის რუსეთისთვის მოლაპარაკების გზით გადაცემით ან ბათუმში სანდო პირების გაგზავნით, იქ არსებული მდგომარეობის შესწავლით და საჭიროების შემთხვევაში მისი ძალით დაკავებით" (Акты Т., II, С 212.) .

1804 წლიდან მოყოლებული კავკასიის მთავარსარდალი ცდილობდა, რაც შეიძლება, მეტი ცნობის შეგროვებას ბათუმის შესახებ, თუ როგორ დამოკიდებულებაში იყო ოსმალეთთან და შეიძლებოდა თუ არა მოსახლეობაზე დაყრდობით მისი ხელში ჩაგდება (Акты Т.II,С.218).

მარკიზ დე ტრავერსის პ. ციციანოვისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, რომ, როდესაც სამეგრელოში შევიდა რუსეთის ჯარები, მათ ფოთიდან ბათუმისკენ გაჭრა უცდიათ, მაგრამ: „ჩვენი ჯარისკაცების გასროლის ხმაზე უკან დავბრუნით, რითაც ავიცილეთ მოსალოდნელი შეტაკება ოსმალეთთან" (Акты Т,II.С.213).

აქედან ვიგებთ, რომ სამეგრელოში შესვლისას რუსეთს ბათუმის დაკავებაც უცდია, მაგრამ უშედეგოდ.

კავკასიის მთავარსარდლის დავალებით, გენერალი ლიტვინოვი სამეგრე-

ლოს მთავრების დახმარებით იწყებს ცნობების შეგროვებას ბათუმის შესახებ. კერძოდ, მას აინტერესებდა, რა დამოკიდებულებაში იყო ეს ნავსადგური პორტასთან, როდის დაიპყრეს ოსმალებმა ბათუმი და ჰქონდა თუ არა რაიმე გავლენა გურიისა და ოდიშის მთავრებს ამ ქალაქ-ნავსადგურზე. მაგრამ ლიტვინოვს ბევრი ვერაფერი გაუგია. საპასუხო წერილში იგი პ. ციციანოვს ატყობინებდა: „სამეგრელოს მთავრები ძირითადად ბიბლიის კითხვით არიან გართულნი და პოლიტიკის ბევრი არაფერი გაეგებათ" (Акты Т.II.С.207).

ა. იტალინსკის მოლაპარაკებებს ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენლობასთან შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ბათუმის დათმობაზე სიტყვიერმა განცხადებამაც ურთიერთობის გამწვავება გამოიწვია. რუსეთმა ამჯერად არ ისურვა მდგომარეობის გართულება და შეწყვიტა მოლაპარაკება, მაგრამ ბათუმის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, ცხადია, არ მოხსნილა. მისი გადაჭრა რუსეთმა ოსმალეთთან მომავალი ომის დროს დაისახა. ომის მიზეზები კი ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის უკვე შემზადებული იყო.

ამდენად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბათუმის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში XIX საუკუნის დასაწყისშივე დაისვა. ამას განაპირობებდა ბათუმის სოციალ-ეკონომიკური, სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა. ბათუმის სახით რუსეთი შეიძენდა ნავსადგურს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. ბუნებრივად დაცული და ღრმა ყურე ბათუმს უქმნიდა პირველხარისხოვან საზღვაო-სავაჭრო და სატრანზიტო ნავსადგურად გადაქცევის პერსპექტივას. ბათუმის დაუფლებით რუსეთის ხელში აღმოჩნდებოდა ოსმალთა თითქმის ყველა სამიმოსვლო გზა, დაბოლოს, ბათუმის დაკავებით რუსეთი გადაჭრიდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უსაფრთხოების საკითხსაც.

ლიტერატურა:

1. ლომოური ნ. 1969. კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბილისი.
2. მეგრელიძე შ. 1963. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბილისი.
3. სვანიძე ა. 2003. შავ ზღვაზე ვაჭრობის ისტორიიდან. კრებული: ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. ტ. 3. თბილისი.
4. „შავ ზღვაზე ვაჭრობის ისტორიიდან ოსმალთა ბატონობის დროს". ავტორი???? კრებული: ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. 2003. ტ. 3, თბილისი.
5. ჩხეიძე ჯ. 1959. ბათუმი, ბათუმი.
6. Абашидзе А. 1998. Аджария. Москва.
7. Акты. т. II. 1868. Тифлис.
8. Акты, Т. VII. 1874. Тифлис.
9. Марр Н. 1922. Батум, Ардаган, Карс. Исторический узел международных отношений Кавказа. Петроград.

OTAR GOGOLISHVILI
Batumi Shota Rustaveli State University.

THE MAIN ISSUES OF MIGRATION PROCCESES IN ADJARA IN THE PERIOF OF TANZIMAT(XIX. 40-70 YEARS)

Summary

From 1877 to 1878 the Georgian administration-teritory borders had been changing,it doesnot match to the modern teritorian arragment.and just becauase we we have choosed the teritories of Adjara to give some information about it.

The migration of the po0ulation was provoled by establishing demographic proccess.

In the 19 century, from 40 to 70 years inOsmal,sempire,alsoinsouthwestGeorgia was happened changes, Tanzimati.

Tanzimati started for two stages, the firststageingludeafrom1839to1853,(before the finishing of the war of Khirimi) and the second one (after finishing of Khirimi war) from 1856

To 1877, (before the war of Russia and Osmalshadstarted).Onnovember3,im1839 The Reskript of Sultan was given, he gave people the garanty of libe ans safe.also there would take place miliyTary, law, and financial changes, the changes started but it was quite unnecessary, in 1956 repeated the same Reskript,tjey thiough that it was significant to started everything more actively, also they wanted to develop strong cononomic. Tanzimat was one of the most important event,which took a big part in developing the Osmal's empire. This progress would cause to lose Georgians their religion, because the process of studyng was goinig in Osmal language.Peopleusedtobringupgeneration in the opinion of as if the inhabitants who live in south- west of Georgia, were Turkish. The cases were proceeced in Turkish too. Georgian wasnot considered as a necessary language, everything those lead to develop Osmal's empire More efficiently.

საბა საღუაშვილი
საქართველოს ეროვნული არქივი

ქალაქ გორის მოსახლეობა XIX საუკუნის I ნახევარში
(საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულ დოკუმენტების მიხედვით)

ქართულ ისტორიოგრაფიაში ისტორიული დემოგრაფია შედარებით ნაკლებად შესწავლილი საკითხია. ამის მიზეზი კი სათანადო წყაროთა სიმწირეა. წერილობითი წყაროებიდან ვიგებთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის აღწერა სისტემატიურად მიმდინარეობდა. თუმცა ამ დოკუმენტების დიდ (სრულ) უმრავლესობას ჩვენამდე არ მოუღწევია.

გამონაკლისს წარმოადგენს XVIII საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული წერილობითი წყაროები, რომლებშიც აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ცალკეულ რეგიონში მცხოვრებთა რაოდენობაზეა საუბარი.

როგორც ცნობილია, მოსახლეობის შესახებ ზუსტ მონაცემებს, მხოლოდ დემოგრაფიულ აღწერებში ვხვდებით. თავის მხრივ, ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებთა ზუსტი რაოდენობის, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის, მათი რელიგიური თუ ეთნიკური შემადგენლობისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხთა დეტალური ცოდნა ნებისმიერი ხელისუფლებისთვის უმნიშვნელოვანესია. ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე რუსეთის ხელისუფლებამ, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და შეერთების შემდეგ, მიზანმიმართულად და სისტემატიურად დაიწყო მოსახლეობის აღწერები, რომლებმაც ჩვენამდე ე. წ. კამერალური აღწერის სახით მოაღწია[1].

გარდა ე. წ. კამერალური აღწერებისა, ჩვენამდე მოაღწია XIX საუკუნეში შედგენილმა ე. წ. მეტრიკულ წიგნებში არსებულმა ჩანაწერებმაც, რომლებშიც მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის (დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება) ინფორმაციაა დაცული.

ჩვენი წინამდებარე თემის მიზანს საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულ კამერალური აღწერებისა და მეტრიკულ წიგნებში არსებულ ცნობათა შეჯერება-გაანალიზების გზით ქალაქ გორის მოსახლეობის რაოდენობისა და მასთან დაკავშირებული საკითხების დადგენა-განსაზღვრა წარმოადგენს.

სანამ უშუალოდ კვლევის შედეგებზე ვისაუბრებდეთ, აღსანიშნავია, რომ, დღევანდელი მდგომარეობით, ჩვენამდე, XIX საუკუნის პირველ ნახევარის ქალაქ

[1] სოლო მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა 1897 წელს ჩატარდა;

გორის ე. წ. კამერალური აღწერების ორმა წიგნმა მოაღწია, რომლებიც 1842 და 1848 წლებით თარიღდება[2].

რაც შეეხება 489 ფონდის 6 ანაწერში დაცულ ე. წ. მეტრიკულ ჩანაწერებს, ქალაქ გორის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ამსახველი ინფორმაცია 31 საქმეშია გაბნეული, რომლებიც 1818-1850 წლებით თარიღდება[3].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, მართალია, დასახელებულ დოკუმენტებში არსებული მონაცემები 100%-ის სიზუსტით ვერ ასახავს იმდროინდელ ვითარებას (რასაც თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს, მაგრამ სათანადო დასკვნების გამოტანის საშუალებას მაინც იძლევა.

ჩვენი მსჯელობა კამერალურ აღწერათა მონაცემების შეჯერება-გაანალიზებით გვინდა დავიწყოთ.

როგორც აღვნიშნეთ, XIX საუკუნის პირველ ნახევრის კამერალური აღწერებიდან პირველი 1842 წლით თარიღდება[4].

კამერალური აღწერიდან ირკვევა, რომ მოსახლეობის ეროვნული კუთვნილება მოქალაქეთა რელიგიური კუთვნილების მიხედვითაა გატარებული. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მოსახლეობა დაყოფილია ქართველებად, სომხებად და კათოლიკეებად. ამასთან, მოსახლეობა გადანაწილებულია შემდეგ პირობით ჯგუფში: სახაზინო გლეხობა, საეკლესიო გლეხობა, საბატონო გლეხობა, სასულიერო პირები და ქალაქ გორის კუთვნილი თავადები და გლეხები.

როგორც ცნობილია, იმ დროისათვის მოსახლეობის აღწერების მთავარი მიზანი იყო გადასახადის გადამხდელთა და ჯარში წამსვლელთა აღრიცხვა. შესაბამისად ხშირად გვხვდება ისეთი აღწერები, სადაც მხოლოდ მამაკაცები არიან აღწერილნი. ამ შემთხვევაში სწორედ ამდაგვარ აღწერასთან გვაქვს საქმე.

მოცემული კამერალური წიგნიდან ვიგებთ, რომ 1842 წელს ქალაქ გორში 683 კომლი და 1992 მამაკაცი ცხოვრობდა, რომელთა შორისაც მართლმადიდებელი აღმსარებლობის ყოფილა: 263 კომლი და 712 მამაკაცი; მონოფიზიტი: 388 კომლი და 1177 მამაკაცი და კათოლიკე: 32 კომლი და 103 მამაკაცი.

რაც შეეხება მსგავს მონაცემებს სხვადასხვა ჯგუფებთან დაკავშირებით, ის ასეთ სახეს იღებს:

ა) სახაზინო გლეხობამ: 466 კომლი და 1347 მამაკაცი შეადგინა. მათგან: მართლმადიდებელი აღმსარებლობის ყოფილა 181 კომლი და 480 მამაკაცი, მონოფიზიტური აღმსარებლობის: 270 კომლი და 811 მამაკაცი და კათოლიკე ყოფილა 15 კომლი და 56 მამაკაცი;

ბ) საეკლესიო გლეხობა: 85 კომლი და 273 მამაკაცი. მათგან: მართლმა-

[2] საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1940 და 1939;
[3] სცა. ფონდი 489, ანაწერი 6, საქმე: 2, 6, 11, 15, 19, 24, 28, 33, 47, 61, 83, 105, 131, 160, 184ა, 220, 241, 266, 295, 318, 346, 376, 411, 450, 488, 526, 554, 603, 654, 714, 821;
[4] სცა. ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1940;

დიდებელი: 28 კომლი და 96 მამაკაცი, მონოფიზიტი: 54 კომლი და 169 მამაკაცი, კათოლიკე 3 კომლი და 8 მამაკაცი;

გ) საბატონო გლეხობა: 76 კომლი და 233 მამაკაცი. მათგან: მართლმადიდებელი: 40 კომლი და 105 მამაკაცი, მონოფიზიტი: 33 კომლი და 119 მამაკაცი, კათოლიკე: 3 კომლი და 9 მამაკაცი;

დ) სასულიერო პირები: 23 კომლი და 65 მამაკაცი. მათგან: მართლმადიდებელი: 7 კომლი და 16 მამაკაცი, მონოფიზიტი: 15 კომლი და 47 მამაკაცი და კათოლიკე: 1 კომლი და 2 მამაკაცი;

ე) ქალაქ გორის კუთვნილი თავადები და გლეხები: 33 კომლი და 74 მამაკაცი. მათგან: მართლმადიდებელი: 7 კომლი და 15 მამაკაცი, მონოფიზიტი: 16 კომლი და 31 მამაკაცი და კათოლიკე: 10 კომლი და 28 მამაკაცი (იხ. ცხრილი N1).

ცხრილი N 1
ქალაქ გორის მოსახლეობა 1842 წელს. (ეროვნებები განსაზღვრულია რელიგიის მიხედვით)

ჯგუფი	ქართველი [მართლმადიდებელი]		სომეხი [მონოფიზიტები]		კათოლიკე		ჯამი	
	კომლი	მამაკ.	კომლი	მამაკ.	კომლი	მამაკ.	კომლი	მამაკ.
სახაზინო გლეხობა	181	480	270	811	15	56	466	1 347
საეკლესიო გლეხობა	28	96	54	169	3	8	85	273
საბატონო გლეხობა	40	105	33	119	3	9	76	273
სასულიერო პირები	7	16	15	47	1	2	23	65
ქ. გორის კუთვნილი თავადები და გლეხები	7	15	16	31	10	28	33	74
ჯამი	263	712	388	1177	32	103	683	1 992

ქალაქ გორის მოსახლეობის რაოდენობისა და მათი რელიგიური კუთვნილებისა, კამერალური აღწერებში არსებული მონაცემები, ქალაქში მცხოვრებთა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის განსაზღვრის საშუალებასაც იძლევა.

როგორც ინფორმაციის შეჯერების შემდეგ იკვეთება, ქალაქ გორში მცხოვრებ მამაკაცთა შორის ბავშვთა (0-14 წელი) წილია - 35,7 %, შრომისუნარიანი (15-59 წელი) მოქალაქის - 60 % და შრომისუუნაროსი - 4,3 %.

მსგავსი მონაცემები, ცალ-ცალკე, თითოეული რელიგიური ჯგუფებში გაერთიანებული მოსახლეობისა, ასეთია:

ა) მართლმადიდებელი მოსახლეობას შორის: ბავშვთა წილია - 12,6 %, შრომისუნარიანი - 21,8 % და შრომისუუნარო - 1,4 %;

ბ) მონოფიზიტებს შორის: ბავშვთა წილია - 21,4 %, შრომისუნარიანი - 34,9 % და შრომისუუნარო - 2,8 %;

გ) კათოლიკეებს შორის: ბავშვთა წილია - 1,8 %, შრომისუნარიანი - 3,2 % და შრომისუუნარო - 0,2 %;

როგორც ვხედავთ, ქალაქ გორში მცხოვრებ მოსახლეობაში მართლმადიდებელთა წილი 35,7 %, მონოფიზიტთა - 59,1 %, ხოლო კათოლიკეთა - 5,2 % (იხ. ცხრილი N 2).

ცხრილი N 2
ქ. გორში მცხოვრებ მამაკაცთა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა 1842 წელს

ასაკ. ჯგუფ.	სულ		მათ შორის					
	აბს. მაჩვ.	%	მართლმადიდებელი		მონოფიზიტი		კათოლიკე	
			აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
0-4	260	13.1	95	4.8	157	7.9	8	0.4
5-9	251	12.6	90	4.5	146	7.3	15	0.7
10-14	201	10.1	66	3.3	123	6.2	12	0.6
15-19	252	12.7	87	4.4	147	7.4	18	0.9
20-24	208	10.4	79	4	119	5.9	10	0.5
25-29	164	8.2	59	3	98	4.9	7	0.3
30-34	148	7.4	55	2.8	85	4.3	9	0.4
35-39	96	4.8	34	1.7	60	3	2	0.1
40-44	127	6.4	52	2.6	69	3.5	6	0.3
45-49	70	3.5	22	1.1	43	2.2	5	0.3
50-54	86	4.3	34	1.7	48	2.4	4	0.2
55-59	44	2.2	12	0.6	27	1.4	4	0.2
60-64	48	2.4	18	0.9	29	1.5	1	0.1
65-69	12	0.6	6	0.3	5	0.3	1	0.1
70-74	12	0.6	-	-	11	0.6	1	0.1
75-79	6	0.3	1	0.1	5	0.3	-	-
80-84	6	0.3	2	0.1	4	0.2	-	-
85-89	-	-	-	-	-	-	-	-
90-94	1	0.1	-	-	1	0.1	-	-
0-14 წელი	712	35.7	251	12.6	426	21.4	35	1.8
15-59 წელი	1195	60	434	21.8	696	34.9	65	3.2
60 წლისა და უფროსი ასაკის	85	4.3	27	1.4	55	2.8	3	0.2
ჯამი	1992	100	712	35.7	1177	59.1	103	5.2

შემდეგი კამერალური აღწერა, რომელშიც ქალაქ გორის მოსახლეობის შესახებ ინფორმაციებია თავმოყრილი, 1848 წლით თარიღდება[5].

[5] სცა, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1939;

აქაც, როგორც წინა კამერალურ აღწერაში, მოსახლეობის ეროვნული კუთვნილება რელიგიის მიხედვითაა განსაზღვრული. თუმცა 1842 წლისგან ჯანსხვავებით ხელისუფლებას ქალთა რაოდენობაც აღუწერია. სამწუხაროდ, ქალთა აღწერისას მხოლოდ მათი რაოდენობის განსაზღვრით დაკმაყოფილებულან, რის გამოც მათი ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ რაიმეს თქმა შეუძლებელია.

როგორც კამერალური აღწერიდან ირკვევა, ქალაქ გორში 1848 წლისათვის 725 კომლი და 3 240 კაცი: მათგან: 1 835 მამაკაცი და 1 405 ქალი ცხოვრობდა. ეს კი ნიშნავს, რომ მოსახლეობაში მამაკაცთა წილი ყოფილა 56,6 %, ხოლო ქალთა - 43,4 %.

რაც შეეხება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში გადანაწილებას, ის ასეთი სახისაა:

ა) სახაზინო გლეხობა: 556 კომლი და 2 477 კაცი, მათგან: 1 413 მამაკაცი და 1 064 ქალი. რელიგიური კუთვნილების მიხედვით: მართლმადიდებელი: 212 კომლი და 846 კაცი, მათგან: 485 მამაკაცი და 361 ქალი; მონოფიზიტი: 328 კომლი და 1510 კაცი. მათგან: 854 მამაკაცი და 656 ქალი: კათოლიკე: 26 კომლი და 121 კაცი. მათგან: მამაკაცი 74 და ქალი 47;

ბ) საეკლესიო გლეხობა: 93 კომლი და 454 კაცი. მათგან: მამაკაცი - 251 და ქალი 203.

აქედან, მართლმადიდებელი: 33 კომლი და 130 კაცი. მათგან: მამაკაცია 79 და ქალი - 51; მონოფიზიტი: 57 კომლი და 312 კაცი. მათგან: მამაკაცი - 165 და ქალი - 147; კათოლიკე - 3 კომლი და 12 კაცი. მათგან: 7 მამაკაცი და 5 ქალი;

გ) საბატონო გლეხობა: 66 კომლი და 309 კაცი. მათგან: მამაკაცი - 171 და ქალი 138, საიდანაც მართლმადიდებელია 35 კომლი და 151 კაცი. აქედან: მამაკაცი - 87 და ქალი - 64; მონოფიზიტი: 31 კომლი და 158 კაცი. მათგან: მამაკაცი - 84, ქალი - 74 (იხ. ცხრილი N 3).

ცხრილი N 3
ქ. გორის მოსახლეობა 1848 წელს. (ეროვნება ნაჩვენებია რელიგიური კუთვნილების მიხედვით)

ჯგუფები	ქართველი [მართლმადიდებელი]			სომეხი [მონოფიზიტი]			კათოლიკე			ჯამი		
	კომ.	მამ.	ქა.	კომ.	მამ.	ქა.	კომ.	მამ.	ქა.	კომ.	მამ.	ქა.
სახაზინო გლეხობა	212	485	361	328	854	656	26	74	47	566	1413	1064
საეკლესიო გლეხობა	33	79	51	57	165	147	3	7	5	93	251	203
საბატონო გლეხობა	35	87	64	31	84	74	-	-	-	66	171	138
ჯამი	280	651	476	416	1103	877	29	81	52	725	1835	1405

ახლა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზეც უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

მართალია, ქალთა შესახებ ინფორმაცია დაცული არ არის, მაგრამ მამაკაცთა ასაკობრივი სტრუქტურა დეტალურადაა წარმოდგენილი.

როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, მამაკაცთა შორის ბავშვთა (0-14 წელი) ხვედრითმა წილმა - 19,5 % შეადგინა, შრომისუნარიანთა (15-59 წელი) – 33,7 % და შრომისუუნაროთა (+60 წელი) - 3,4 %.

ანალოგიური მაჩვენებელი რელიგიური კუთვნილების მიხედვით ასე გამოიყურება:

ა) მართლმადიდებელთა შორის: ბავშვები - 6,9 %, შრომისუნარიანი - 12,3 % და შრომისუუნარო - 0,9 %;

ბ) მონოფიზიტთა შორის: ბავშვები - 11,9 %, შრომისუნარიანი - 19,9 % და შრომისუუნარო - 2,2 %;

გ) კათოლიკეთა შორის: ბავშვები - 0,9 %, შრომისუნარიანი - 1,4 % და შრომისუუნარო - 0,2 %;

ეს კი გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ 1848 წელს ქალაქ გორში მოსახლეობის 34,8 % (1127 კაცი) მართლმადიდებელი აღმსარებლობისაა, 61,1 % (1980 კაცი) მონოფიზიტია და 4,1 % - (133 კაცი) კათოლიკე (იხ. ცხრილი N 4).

ცხრილი N 4
ქ. გორში მცხოვრებ მამაკაცთა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა 1848 წელს

ასაკ. ჯგუფ.	სულ		მათ შორის					
	აბს. მაჩვ.	%	მართლმადიდებელი		მონოფიზიტი		კათოლიკე	
			აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
0-4	176	5.4	59	1.8	112	3,5	5	0,2
5-9	247	7.6	86	2.7	153	4,7	8	0,2
10-14	212	6.5	78	2.4	119	3,7	15	0,5
15-19	186	5.7	60	1.8	115	3,5	11	0,3
20-24	187	5.8	60	1.8	122	3,8	5	0,2
25-29	185	5.7	74	2.3	104	3,2	7	0,2
30-34	168	5.2	57	1.8	102	3,1	9	0,3
35-39	95	3	42	1.3	49	1,5	4	0,1
40-44	95	3	36	1.1	56	1,7	3	0,1
45-49	76	2.3	31	0.9	42	1,3	3	0,1
50-54	61	2	23	0.7	37	1,2	1	0,03
55-59	38	1.2	16	0.5	20	0,6	2	0,06
60-64	54	1.6	15	0.5	35	1,1	4	0,1
65-69	13	0.4	4	0.1	8	0,2	1	0,03
70-74	23	0.7	6	0.2	16	0,5	1	0,03

75-79	4	0.1	1	0.03	3	0,1	-	-
80-84	7	0.2	1	0.03	4	0,1	2	0,06
85-89	4	0.1	2	0.1	2	0,1	-	-
90-94	4	0.1	-	-	4	0,1	-	-
0-14 წელი	635	19.5	223	6.9	384	11,9	28	0,9
15-59 წელი	1091	33.7	399	12.3	647	19.9	45	1,4
60 წლისა და უფროსი ასაკის	109	3.4	29	0.9	72	2,2	8	0,2
ჯამი	1 835	56.6	651	20.1	1 103	34	81	2.5

სანამ საუბარს გავაგრძელებდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ, მართალია, 1842 წლით დათარიღებულ კამერალურ აღწერაში ქალთა რაოდენობის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ თუ ვივარაუდებთ, რომ 1842 წელს ქალთა და მამაკაცთა ხვედრითი წილი ისეთივე იქნებოდა, როგორიც იყო 1848 წელს, მაშინ გამოვა, რომ 1842 წლისათვის ქალაქ გორში დაახლოებით 936 ქალი იცხოვრებდა. ეს კი თავის მხრივ ნიშნავს, რომ 1842 წელს ქალაქ გორის მოსახლეობა, სავარაუდოდ, 2 128 კაცს გაუტოლდებოდა.

ჩვენს თემაზე საუბარს ე. წ. მეტრიკულ წიგნებში არსებულ ინფორმაციათა შეჯერება-გაანალიზებით გავაგრძელებთ.

როგორც აღვნიშნეთ, მეტრიკულ წიგნებში მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაზეა საუბარი.

დოკუმენტებში არსებული ინფორმაციის შეჯერების შემდეგ ნათელი ხდება, რომ ქალაქ გორში 1818-1850 წლებში დაბადების 1 399 (მათგან: მამაკაცი - 732, ქალი - 667), გარდაცვალების 1 119 (მათგან: მამაკაცი - 593, ქალი - 526) და ქორწინების 276 ფაქტია აღრიცხული. შესაბამისად, ქალაქ გორის მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ 280 კაცი შეადგინა. ეს ნიშნავს, რომ 1818-1850 წლებში ქალაქ გორის მოსახლეობა 280 კაცით გაზრდილა (იხ. ცხრილი N 5).

ცხრილი N 5
ქალაქ გორის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა 1818-1850 წლებში

NN	ქალაქი	წელი	დაბადება		ქორწინება	გარდაცვალება	
			მამაკაცი	ქალი		მამაკაცი	ქალი
1	გორი	1818	8	2	4	3	5
2		1819	1	4	6	4	4
3		1820	11	10	11	10	8
4		1821	7	13	1	10	9
5		1822	7	10	5	8	7
6		1823	19	7	3	6	4
7		1824	17	13	2	8	6
8		1825	19	18	10	8	5
9		1826	7	11	2	9	4
10		1827	19	11	2	8	7
11		1828	11	12	3	11	9
12		1829	3	3	1	6	
13		1830	10	8	7	21	22
14		1831	17	10	10	16	7
15		1832	24	11	10	8	13
16		1833	23	22	11	14	13
17		1834	24	22	6	9	21
18		1835	23	32	12	12	8
19		1836	40	23	8	17	12
20		1837	18	27	7	25	23
21		1838	43	24	8	26	20
22		1839	31	34	11	43	27
23		1840	38	36	10	53	51
24		1841	36	35	17	17	18
25		1842	23	22	17	19	20
26		1843	42	32	14	33	16
27		1844	33	35	12	21	25
28		1845	25	31	11	20	17
29		1846	29	38	9	43	40
30		1847	32	32	15	50	57
31		1848	40	38	16	31	24
32		1850	52	41	15	24	24
ჯამი			732	667		593	526
სულ			1399		276	1119	

მეტრიკულ ჩანაწერებზე დაყრდნობით შეგვიძლია გარდაცვლილთა სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

როგორც მასალების შეჯერების შემდეგ ირკვევა, გარდაცვლილთა შორის

ბავშვთა (0-14 წელი) ხვედრითმა წილმა - 46 %, შრომისუნარიანთა (15-59 წელი) — 41.2 %, ხოლო შრომისუუნაროთა - 12,5 % შეადგინა.

რაც შეეხება ანალოგიურ მაჩვენებელს ცალ-ცალკე აღებულ მამაკაცთა და ქალთა შორის, ასეთია:

ა) მამაკაცთა შორის: ბავშვთა (0-14 წელი) ხვედრითმა წილმა - 22,3 %, შრომისუნარიანთა (15-59 წელი) — 24,5 %, ხოლო შრომისუუნაროთა - 6,2 %

ბ) ქალთა შორის: ბავშვთა (0-14 წელი) ხვედრითმა წილმა - 23,7 %, შრომისუნარიანთა (15-59 წელი) — 16,7 %, ხოლო შრომისუუნაროთა - 6,6 %. (იხ. ცხრილი N 6).

ცხრილი N 6
ქალაქ გორში გარდაცვლილთა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა 1818-1850 წლებში

ასაკობრივი ჯგუფები	სულ		მათ შორის			
	აბსოლუტური მაჩვენებელი	%	მამაკაცი		ქალი	
			აბს. მაჩვ.	%	აბს. მაჩვ.	%
0-4	371	33.2	177	15,8	194	17,3
5-9	82	7.3	43	3,8	39	3,5
10-14	62	5.5	30	2,7	32	2,9
15-19	30	2.7	12	1,1	18	1,6
20-24	55	4.9	32	2,9	23	2,1
25-29	59	5.3	31	2,8	28	2,5
30-34	69	6.2	44	3,9	25	2,2
35-39	49	4.4	24	2,1	25	2,2
40-44	60	5.4	40	3,6	20	1,8
45-49	46	4.1	29	2,6	17	1,5
50-54	59	5.3	41	3,7	18	1,6
55 59	34	3	21	1,9	13	1,2
60 64	64	5.7	37	3,3	27	2,4
65-69	28	2.5	13	1,2	15	1,3
70-74	21	1.9	8	0,7	13	1,2
75-79	5	0.4	3	0,3	2	0,2
80-84	13	1.2	3	0,3	10	0,9
85-89	4	0.4	1	0,1	3	0,3
90-94	3	0.3	2	0,2	1	0,1
95-99	-	-	-	-	-	-
100+	2	0.2	1	0,1	1	0,1
ასაკი უცნობია	3	0.3	1	0.1	2	0,2
0-14 წელი	515	46	250	22,3	265	23,7
15-59 წელი	461	41,2	274	24,5	187	16,7
60 წლისა და უფროსი ასაკის	140	12,5	69	6,2	74	6,6
ჯამი	1119	100	593	53	526	47

ერთი მხრივ, კამერალური აღწერებისა და მეორე მხრივ, მეტრიკულ წიგნებში არსებულ მონაცემთა შეჯერებით შესაძლებელია ბუნებრივი მატების კოეფიციენტის განსაზღვრა. კერძოდ:

როგორც ვნახეთ, ქალაქ გორის მოსახლეობა 1842 და 1848 წლებში, შესაბამისად, დაახლოებით 2 128 და 3 240 კაცს უტოლდებოდა. ამასთან, შობადობისა და გარდაცვალების მაჩვენებელი 1842 წლისათვის - 45 დაბადებულითა და 39 გარდაცვლილით, ხოლო 1848 წლისათვის 78 დაბადებულითა და 55 გარდაცვლილით განისაზღვრებოდა. ამ ორი მონაცემის შეჯერებით ნათელია, რომ 1842 წელს შობადობის კოეფიციენტია 21‰, ხოლო მოკვდაობის კოეფიციენტი 18‰ გაუტოლდებოდა. ეს კი ნიშნავს, რომ ბუნებრივი მატების კოეფიციენტმა 3‰ შეადგინა. ანუ ეს ნიშნავს, რომ ქალაქ გორის მოსახლეობა განიცდიდა გაფართოებულ აღწარმოებას.

რაც შეეხება 1848 წელს: მცხოვრებთა რაოდენობა განისაზღვრა 3 240 კაცით. დაიბადა 78 და გარდაიცვალა 55 ადამიანი. ეს კი გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ განსახილველი წლისათვის შობადობის კოეფიციენტი - 24‰, ხოლო მოკვდაობის კოეფიციენტი 17‰ იქნებოდა, რითაც დგინდება, რომ ბუნებრივი მატების კოეფიციენტი, სავარაუდოდ, 7‰ უნდა ყოფილიყო. ანუ აქაც, ისევე როგორც 1842 წელს, ქალაქის მოსახლეობა განიცდიდა გაფართოებულ აღწარმოებას.

მიუხედავად შობადობის მაღალი კოეფიციენტისა, ბუნებრივი მატების კოეფიციენტი მაინც დაბალია. ეს კი მოკვდაობის მაღალი კოეფიციენტით აიხსნება. ხოლო ის, თუ რითაა გამოწვეული მოკვდაობის ასეთი მაღალი კოეფიციენტი, ეს ჩვენს შემდგომ მსჯელობაში გამოჩნდება.

ე. წ. მეტრიკულ წიგნებში, გარდა გარდაცვლილთა რაოდენობისა და მათი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურისა, შემონახულია გარდაცვალების მიზეზთა ამსახველი ინფორმაციაც.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1818-1850 წლებში გარდაცვალებულთა საერთო რაოდენობამ 1 119 კაცი შეადგინა.

გარდაცვალების მიზეზთა შეჯამება-გაანალიზების შემდეგ ნათელი ხდება, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ინფექციური დაავადებების შედეგადაა გარდაცვლილი. კერძოდ, 1 119 გარდაცვლილიდან ინფექციურმა დაავადებებმა იმსხვერპლა 882 კაცი, ანუ გარდაცვლილთა 78,82 %. ბუნებრივი სიკვდილით გარდაცვლილა 31 კაცი, ანუ 2,77 %, უბედური შემთხვევის შედეგად - 11 კაცი, ანუ 1 %, სხვადასხვა მიზეზით (აქ იგულისხმება გარდაცვალების ისეთი მიზეზები, როგორებიც არის: თიაქარი, ბუასილი, ტვინის შერყევა, ჭვალი, ლოთობა, თავის ტკივილი და სხვა) — 191 კაცი, ანუ გარდაცვლილთა - 17,06 % და 4 კაცის გარდაცვალების მიზეზი მითითებული არ არის, ანუ გარდაცვალების მიზეზი უცნობია - 0,35 % შემთხვევაში.

SABA SALUASHVILI
National Archives of Georgia

DEMOGRAPHIC SITUATION OF THE CITY OF GORI IN THE FIRST HALF OF THE XIX CENTURY (ACCORDING TO DOCUMENTS PROTECTED IN THE CENTRAL HISTORICAL ARCHIVE)

This research is about the issue from the history of our country which is less likely to be studied -Historical demography. In particular, we discussed the demographic situation of the city of Gori in the first half of the XIX century.

As a result of the survey, there was a substantiated assumption about the number of residents living in Gori in 1842 and 1848. The gender and age structure of the inhabitants was established, which allowed us to find out, that the capable citizens (15-59 year) were always high, compared to the children (0-14 years) and the disabled population (aged 60 and older) of the city.

Analyzing the metrics records enabled us to reconstruct the natural movement of the inhabitants of the city. In particular, it became clear the number of births, deaths and marriages in the 1818-1850. 1399 births, 1119 deaths and 276 cases of marriages were registered in 1818-1850.

After analyze of metric records the birth and mortality coefficients have been identified, which enabled us to determine the natural increase coefficient.

The study revealed that in 1842 and 1848 years the natural increase coefficient of population (of Gori) was 3 ‰ and 7 ‰, that means the population was experiencing extended reproduction.

In parallel to the number of deaths we studied the main reasons of death. We conclude that the deaths of various infectious diseases amounted 78.82%, natural death – 2.77%, accident - 1%, for various reasons – 17.06%, and the cause of death is unknown – 0.35%.

ნინო ბაღაშვილი
საქართველოს ეროვნული არქივი

ბერძნული სკოლები საქართველოში

(XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში)

(რეზიუმე)

ბერძნულ დიასპორას საქართველოში ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული საკმაოდ დიდი ისტორია აქვს და განსაკუთრებით არის საინტერესო ამ დიასპორის წარმომადგენლებთან დაკავშირებული ყველა საკითხი: სოციალური, უფლებრივი, რელიგიური თუ სხვა. ამ შემთხვევაში ჩემი მოხსენების მთავარი საგანი ბერძნული სკოლებია. როგორ იღებდა ამ უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის მქონე ერი განათლებას ჩვენში, რა პირობებში და, შესაბამისად, როგორ ხდებოდა მათი ადაპტაცია ქართულ გარემოსთან. ცნობილია და ამასვე ადასტურებს ეროვნულ არქივში დაცული არაერთი დოკუმენტური წყარო, რომ სამხრეთ კავკასიის ბერძნული მოსახლეობა განსაკუთრებულად იყო მიდრეკილი განათლებისკენ, კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში ბერძნები აშენებდნენ სასწავლებლებს, ხსნიდნენ საზოგადო და საეკლესიო სამრევლო სკოლებს, რისთვისაც თანხებს არ ზოგავდნენ, აგებდნენ ბერძნულ ეკლესიებსა და თეატრებს, ბეჭდავდნენ გაზეთებს ბერძნულ ენაზე.

XX საუკუნეში, საქართველოში მცხოვრები ბერძნებისთვის, მკვეთრად იდგა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და ცოდნისადმი გაძლიერებული ინტერესის დაკმაყოფილების საკითხი.

მოხსენებაში განხილული იყო საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული ცნობები თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, ბეშთაშენში, ხაშურსა და სურამში გახსნილი ბერძნული სკოლების შესახებ, იქ მოღვაწე პედაგოგებსა და მოსწავლეებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ეთნიკური უმცირესობების საკითხს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს. საბუთების დიდი ნაწილი, რომლებიც ბერძნების ყოფასა და მათ განათლებას ასახავს გამოუკვლეველი და გამოუქვეყნებელია.

NINO BADASHVILI
National Archives of Georgia

GREEK SCHOOLS IN GEORGIA (THE SECOND HALF OF THE 19TH CENTURY AND THE START OF THE 20TH CENTURY)

Summary

The Greek diaspora in Georgia has a long history that starts in Antiquity, and all of the aspects of their life – social, titulary, religious, etc. - are of particular interest. This paper will focus on Greek schools: how Greeks, a nation of ancient civilization and culture, received education in Georgia, what the conditions were and how they adapted themselves to the Georgian environment. It is commonly known that the Greek population of South Caucasus had a special zeal for education, which is also confirmed by a number of documents preserved in the National Archives of Georgia. They did not spare funds to open public and parish schools, build Greek churches and theatres, and print newspapers in Greek.

The goal of eradicating illiteracy and satisfying people's quest for knowledge was at the top of the agenda for Greeks living in Georgia in the 20th century.

The paper discussed the material available in the Central Historical Archive about Greek schools opened in Tbilisi, Batumi, Kutaisi, Sokhumi, Beshtasheni, Khashuri and Surami, as well as their teachers and students. Special attention was paid to minority issues in the Democratic Republic of Georgia. Most of the documents reflecting the Greek's life and education remain not only unpublished but also largely unstudied.

თამაზ ღურწკაია
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისის „ოხრანკის“ განყოფილება და ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა

1908 წლის 28 მაისს თბილისში სინოდური კანტორის შენობასთან ოთხი გასროლით ეგზარქოსი ნიკონი (სოფიისკი) მოკლეს. მკვლელობასთან დაკავშირებით იმთავითვე რამდენიმე ვერსია გავრცელდა. ერთი ვერსიით, იგი სოციალ-დემოკრატების, მეორით - სოციალ-ფედერალისტების, მესამე ვერსიით კი, „ავტოკეფალისტების“ მიერ იყო ორგანიზებული. როგორც ირკვევა, გამოძიება სწორედ ამ უკანასკნელთა ბრალეულობის დასადგენად მუშაობდა. საბოლოოდ მეფის ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა მოახერხა კიდეც ავტოკეფალიური მოძრაობის ლიდერების დასჯა და, შეიძლება ითქვას, მათი გარკვეული დროით განეიტრალებაც კი.

ჩემ მიერ ახლად მოძიებული საარქივო მასალებიდან კარგად ჩანს, რომ თბილისის „ოხრანკის“ განყოფილებას ეგზარქოს ნიკონის მკვლელობამდე ერთი თვით ადრე ჰქონდა მიღებული ინფორმაცია ეგზარქოსის შესაძლო ხელყოფის შესახებ. თუმცა მეფის რუსეთის ადგილობრივი საიდუმლო (პოლიტიკური) პოლიციის „ოხრანკის“ განყოფილების მესვეურებს არავითარი ზომები არ მიუღიათ ამ მკვლელობის თავიდან ასაცილებლად. მეტიც, მათ ეს მკვლელობა, ერთი მხრივ, ავტოკეფალიური მოძრაობის და მეორე მხრივ, მათთან მჭიდროდ დაკავშირებული, ეროვნული სულით გაჟღენთილი „სოციალისტ-ფედერალისტური“ პარტიის წარმომადგენლების წინააღმდეგ გამოიყენეს.

რუსეთის იმპერიის მასშტაბით არსებული საიდუმლო პოლიციის ადგილობრივ ე.წ. „ოხრანკის“ განყოფილებათა მთავარი მიზანი იყო პოლიტიკური დანაშაულის ძებნა, აღმოჩენა და პრევენცია. ისინი თავის საქმიანობას ძირითადად საიდუმლო აგენტების მეშვეობით ახორციელებდნენ. აგენტებს „თანამშრომლებად“ მოიხსენიებდნენ, რადგან აძლევდნენ ხელფასს. აგენტებად „მუშაობდნენ“ რევოლუციური თუ ანტისახელმწიფოებრივი მოძრაობის ის წევრები, რომლებიც საკუთარი ნებით თანამშრომლობდნენ „ოხრანკასთან“, ანდა ის პირები, ვისაც „ოხრანკის“ განყოფილების ოფიცრები ხშირად ამ უკანასკნელთა ნების წინააღმდეგ, სხვადასხვა ხერხის გამოყენებით „ააგენტებდნენ“. ამ სახით „შეძენილ“ თითოეულ აგენტს ჰყავდა ხელმძღვანელი ოფიცერი, რომელიც მას

ჰეტსახელს არქმევდა. შესაბამისად, აგენტის შესახებ „ოხრანკის" მასალებში დაცულ ინფორმაციას ანდა აგენტისგან მიწოდებულ ცნობებს ამ მეტსახელის გამოყენებით იხსენიებდნენ [სიმაშვილი, 2003:69].

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1909-1911 წლებში თბილისის „ოხრანკის" განყოფილებას სოციალ-ფედერალისტურ პარტიაზე ინფორმაციის შესაგროვებლად, ძირითადად, ორი აგენტი ჰყავდა: მეტსახელებით „სლუჩაინი" და „დვარიანინი" (სცია, ფ. 95, აღ.1, ს. 66). სწორედ ამ უკანასკნელს ახსენებს თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს ყოფილი უფროსი პოლკოვნიკი პასტრულინი 1917 წლის დაკითხვის ოქმში (სცია, ფ.1854, აღ.1, საქ.95, გვ.1).

1917 წლის თებერვლის რევოლუციას რუსეთის იმპერიაში ხელისუფლების ცვლილება მოჰყვა. შესაბამისად, თებერვალ-მარტის მოვლენების შემდეგ რუსეთის დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის მართვა-გამგეობა ოზაკომს ჩააბარა. ოზაკომი, იგივე ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, დაკომპლექტდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს კავკასიელი დეპუტატებით. კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ვ. ხარლამოვი. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მოახერხეს კომიტეტის წევრად თავიანთი წარმომადგენლის დანიშვნა.

ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა ხალხის მიერ არჩეული აღმასრულებელი კომიტეტის დელეგატებთან ერთად ჩამოაყალიბა საგამოძიებო კომისია, რომლის მთავარ საქმიანობას ყოფილი მაღალჩინოსნების დაკითხვა წარმოადგენდა. სწორედ თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის საგამოძიებო კომისიამ დაჰკითხა პოლკოვნიკი პასტრულინი 1917 წლის 29 მარტს. კომისიის წევრები იყვნენ: ნოე რამიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე და სილიბისტრო ჯიბლაძე.

ზემოხსენებული კომისიის მიერ დაკითხული პოლკოვნიკი პასტრულინი განყოფილების ერთ-ერთ აგენტად, ანუ „თანამშრომლად" ივანე კარბელაშვილს, მეტსახელად „დვარიანინს" ასახელებს. პასტრულინის ჩვენებით, სწორედ ივანე კარბელაშვილმა აცნობა „ოხრანკის" განყოფილებას ეგზარქოს ნიკონის მკვლელობამდე ერთი თვით ადრე, რომ ვიღაც დიაკვნის მონაწილეობით მზადდებოდა ეგზარქოსის ხელყოფა. პასტრულინი შეტყობინების ადრესატად თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს როტმისტრ ზაზულიევსკის ასახელებს.

დავინტერესდი რა ივანე კარბელაშვილის აგენტურული საქმიანობითა და ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან დაკავშირებული პასუხგაუცემელი კითხვებით, კვლევა სწორედ ამ მიმართულებით განვაგრძე. მოვიძიე ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის საქმე. მასში სხვა დოკუმენტებთან ერთად რუსულად შესრულებული სამი ანონიმური წერილი იყო ჩაკერებული.

პირველ წერილში ანონიმი ავტორი საუბრობს იერომონაზონ გაბრიელის მკვლელობაზე და ამბობს, რომ იგი თბილისის „დიაკონთა და მეფსალმუნეთა კომიტეტის" განკარგულებით მოხდა. კომიტეტის ხელმძღვანელებად დიაკვნებს: ბაკურაძეს, ჩიკვაიძეს, დავიდოვს და ანჩისხატის ყოფილ მედავითნე სიმონ გოგიაშვილს ასახელებს. წერილში ნათქვამია, რომ ზემოხსენებული კომიტეტი თბილისის სოციალ-დემოკრატულ პარტიას ექვემდებარებოდა. ასევე საუბარია კომიტეტის წევრების მიერ ანჩისხატის ტაძრის მღვდელმსახურ პოლიევქტოს კარბელაშვილის მკვლელობის მცდელობაზე.

წერილის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იერომონაზონი გაბრიელი დიაკონ ტიმოთე ბაკურაძის მითითებით ვიღაც ტერორისტებმა დათამ და ლადომ მოკლეს და მათ გეგმებში კიდევ რამდენიმე პირის - ანჩისხატის მღვდელმსახურ კარბელაშვილის, ტურიევის, ეგზარქოს ნიკონისა და გამდლიშვილის - მკვლელობაც შედიოდა (სცია ფ.94, აღ.1, ს.85, გვ.1-3).

მეორე წერილი ეგზარქოსის მკვლელობიდან ორი დღის შემდეგაა გაგზავნილი და ასე იწყება: „როგორც მე თქვენ უკვე გაცნობეთ, ეგზარქოსის მკვლელობა დაიგეგმა და განხორციელდა დიაკონთა და მეფსალმუნეთა კომიტეტის მიერ" (სცია ფ.94, აღ.1, დოკ.85, გვ.17). წერილში გადმოცემულია, თუ როგორ და ვის მიერ დაიგეგმა ეგზარქოსის მკვლელობა, საუბარია კახეთიდან „ტერორისტ ვასოს" ჩამოყვანაზე და უშუალოდ მკვლელობის (განხორციელების) დეტალებზე. ამ წერილის შინაარსს ზედმიწევნით იმეორებს ნიკონის მკვლელობის საქმეშივე არსებული დოკუმენტი. როტმისტრ ზაზულიევსკის მოხსენებითი ბარათი შედგენილი თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს ყოფილი უფროსისთვის. როტმისტრი ზაზულიევსკი ინფორმაციის წყაროდ საიდუმლო შეტყობინებას ასახელებს. აშკარაა, რომ ანონიმური წერილების ავტორისთვის ადრესატი სწორედ ზაზულიევსკი იყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველი წერილის გაგზავნის თარიღიც, 1908 წლის აპრილი, ე.ი. ერთი თვით ადრე ეგზარქოსის მკვლელობამდე. ემთხვევა პოლკოვნიკ პასტრულინის მიერ ნათქვამს, რომ ნიკონის მკვლელობამდე ერთი თვით ადრე სწორედ კარბელაშვილმა აცნობა „ოხრანკას" ეგზარქოსის მკვლელობის დაგეგმვის შესახებ, შეგვიძლია ვივარაუდოთ: ზემოდასახელებული წერილების ავტორი ივანე კარბელაშვილი იყო.

ამ მოსაზრების დასადასტურებლად მოვიძიე მღვდელ პოლიევქტოს კარბელაშვილის პირად ფონდში დაცული წერილები, გაგზავნილი ივანე კარბელაშვილის მიერ საკუთარ ოჯახის წევრებთან. წერილებს შორის ერთი ივანე კარბელაშვილის მიერ რუსულ ენაზე დაწერილიც აღმოჩნდა. ამ წერილით ფაქტობრივად დასტურდება ხელწერის იგივეობა. ანონიმი ავტორის მიერ 1908 წლის აპრილ-მაისში გაგზავნილი წერილები და ივანე კარბელაშვილის მიერ რუსულ ენაზე დაწერილი წერილი საკუთარი ძმის დათასადმი ერთი და იმავე

ხელწერითაა შესრულებული.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1910 წლის სახელფასო უწყისში, რომელიც „ოხრანკის" განყოფილების უფროს კარაულოვის მიერაა შედგენილი, აგენტ „დვარიანინის" გრაფაში „მსახურების" დაწყების თარიღად 1909 წლის ივნისია მითითებული. გამოდის, რომ ეგზარქოსის მკვლელობის შესახებ ინფორმაციას ივანე კარბელაშვილი აგზავნის არა როგორც განყოფილების აგენტ-თანამშრომელი, არამედ, როგორც კერძო პირი. თუ რატომ 1909 წელი, ამაზე პასუხს ცოტა ქვემოთ გავცემ.

რა დაინტერესება ჰქონდა 17 წლის ყმაწვილს ზემოდასახელებული ანონიმური წერილების გასაგზავნად და ხომ არ გამოიყენა ეს შეტყობინება „ოხრანკის" განყოფილებამ მის დასააგენტებლად ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად უშუალოდ ამ ანონიმური წერილების ანალიზია საჭირო. პირველ წერილში, როგორც აღვნიშნეთ, საუბარია ანჩისხატის მღვდელმსახურ პოლიევქტოს კარბელაშვილის მკვლელობის მცდელობაზე, ავტორი მოითხოვდა მითითებული პირების საჩქაროდ აყვანას. როგორც ჩანს, ივანე კარბელაშვილი საკუთარი მამის, პოლიევქტოსის, დაცვას ცდილობდა თბილისის „დიაკონთა და მეფსალმუნეთა კომიტეტის" განზრახვისგან, რადგან მათ გეგმებში მამამისის მოკვლაც შედიოდა. ჩემი აზრით, წერილის შინაარსი მეტყველებს, რომ მიზეზი, რის გამოც ივანე ეგზარქოსის მკვლელობამდე წინასწარ შეტყობინებას აგზავნის, კვლავ იმ დაჯგუფების წევრების დასჯაა, რომელიც მამამისის ხელყოფას აპირებდა.

მნიშვნელოვანი ინფორმაციაა გადმოცემული კარბელაშვილის მიერ განყოფილებაში გაგზავნილ მესამე წერილში. ავტორი ეგზარქოსის მკვლელობაში კიდევ ერთი სასულიერო პირის მონაწილეობაზე საუბრობს. ამბობს, რომ მთავარანგელოზთა ტაძრის მღვდელმსახური აბრაზცევი მკვლელობის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. საუბრობს ასევე მის საქმიანობასა და კავშირზე იონა ბრიხნიჩევთან. ამავე წერილში კარბელაშვილი კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს დიაკვნების, ბაკურაძისა და ჩიკვაიძის, სოციალ-დემოკრატობას.

მიუხედავად იმისა, რომ განყოფილებამ წინასწარ იცოდა, რა დაჯგუფება აპირებდა ეგზარქოსის მოკვლას, მათ ამ მიმართულებით გამოძიება არც შემდგომ უწარმოებიათ. ეგზარქოს ნიკონის მკვლელობისთვის მეფის რუსეთის ხელისუფლების ინტერესების წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი სასულიერო პირები დაისაჯნენ; ამ სასულიერო პირებს „ავტოკეფალისტებად" მოვიხსენიებთ, თუმცა მათ არა მარტო ავტოკეფალია მოუპოვეს ჩვენს ეკლესიას, არამედ გააღვივეს მოსახლეობაში ეროვნული ცნობიერება და დაკარგვას გადაარჩინეს ჩვენი საუკუნოვანი კულტურის მატერიალური თუ არამატერიალური საგანძური.

ეგზარქოსის მკვლელობის ორგანიზებაში მონაწილეობა დასწამეს სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრებსაც. ანუ თბილისის „ოხრანკის" განყოფილებამ ეს დანაშაული თავისი საქმიანობისთვის გამოიყენა. მან „გაანეიტრალა" არა

„დიაკონთა და მეფსალმუნეთა კომიტეტი" და მასთან კავშირში მყოფი სოციალ-დემოკრატული პარტია, არამედ ის დაჯგუფებები, რომლებიც იმხანად მეტ საფრთხეს წარმოადგენდნენ მეფის რუსეთის ხელისუფლებისთვის.

რაც შეეხება ივანე კარბელაშვილის აგენტურული საქმიანობის დასაწყისს, იგი პირდაპირ კავშირშია ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან. ცნობილია, რომ ეგზარქოსი ნიკონი ადგილზე თბილისის „ოხრანკის" განყოფილების უფროსმა კარაულოვმა მოკლა. 1908 წლის 28 მაისს, როდესაც იგი ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ადგილიდან სახლში ბრუნდებოდა, ორმა ბოროტმოქმედმა მას ეტლში მჯდომს ესროლა და სახის არეში მძიმედ დაჭრა. კარაულოვი დროებით ჩამოშორდა თავის საქმიანობას და მხოლოდ 1909 წლის მარტში დაუბრუნდა თბილისის „ოხრანკის" განყოფილების ხელმძღვანელობას [სიმაშვილი, 2011:80]. სავარაუდოა, რომ კარაულოვმა ივანე კარბელაშვილი სწორედ ამ დროს დააააგენტურა, მიზეზი კი რამდენიმე შეიძლება იყოს: პირველ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ კარაულოვის პირადი ინტერესი, ანგარიშწორება მასზე თავდასხმის მომწყობ ბოროტმოქმედებზე; მეორე მიზეზი ივანე კარბელაშვილის სანაცნობო წრეა. ის, როგორც ავტოკეფალიური მოძრაობის ერთ-ერთი მესვეურის პოლიევქტოს კარბელაშვილის შვილი, დაახლოებული იყო საქართველოს ეკლესიის სამღვდელოებასთან, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრებთან და სოციალ-ფედერალისტებთან. „ოხრანკაში" კი „აგენტები საკვლევი გარემოდან" [სიმაშვილი, 2003:70] ძალიან სჭირდებოდათ; მესამე მიზეზი: ივანე კარბელაშვილის ნიჭი და ალღო. მაშინ, როდესაც მეფის ხელისუფლების საიდუმლო პოლიციის ოფიცრები აგენტებს საგანგებოდ ამზადებდნენ აგენტურული საქმიანობისთვის, 17 წლის ივანე კარბელაშვილმა საკუთარი ინიციატივით მოახერხა სერიოზული ტერორისტული აქტის შესახებ წინასწარ ინფორმაციის მოძიება და განყოფილებისთვის გადაცემა. ჩანს, ეს გარემოება გაითვალისწინა კარაულოვმა, როდესაც 1909 წლის გაზაფხულზე, გამოჯანმრთელების შემდეგ, თბილისის „ოხრანკის" განყოფილების უფროსად დაბრუნებულმა ივანე კარბელაშვილი „დაააგენტურა" და მეტსახელი „დვარიანინი" უბოძა.

რა საქმიანობას ეწეოდა ივანე კარბელაშვილი და რა სახის ინფორმაციას აგროვებდა „ოხრანკისთვის", ამაზე შეგვიძლია ვისაუბროთ იმ დოკუმენტების ანალიზით, რომლებიც არქივშია დაცული. ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ კარბელაშვილი „დააგენტურების" შემდეგ თბილისის „ოხრანკის" განყოფილებისთვის სოციალ-ფედერალისტურ პარტიაზე ერთ-ერთი მთავარი ინფორმატორი იყო. აღვნიშნავ იმასაც, რომ, გარდა ამ პარტიისა, „დვარიანინი" „ავტოკეფალისტებზე" და სოციალ-დემოკრატებზე აგროვებდა ცნობებს, თუმცა მათზე სოციალ-ფედერალისტური პარტიისგან განსხვავებით ნაკლებად მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდა.

1910 წლის ივლისის ბოლოს ივანეს ხელმძღვანელი ოფიცერი ა. კარაულოვი დააწინაურეს - იგი რუსეთის იმპერიაში ახლად ჩამოყალიბებული „სამხრეთის რაიონული ოხრანკის" უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა. ამ ორგანოს გამგებლობაში შედიოდა ქალაქ ოდესის ტერიტორიაც. ალბათ შემთხვევითი არ იყო, რომ ივანე კარბელაშვილმაც ოდესის უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა. მაშინ კარბელაშვილი ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის არსებული რევოლუციური განწყობის შესახებ აგროვებდა ცნობებს და კვლავ აგრძელებდა „თანამშრომლობას" ახლა უკვე „სამხრეთის რაიონული ოხრანკის" უფროს კარაულოვთან.

პოლკოვნიკ პასტრულინის ჩვენებიდან და ივანე კარბელაშვილის პირადი წერილებიდან ვიგებთ, რომ 1912 წელს იგი დაუპატიმრებიათ „პროვოკატორობისთვის". „ოხრანკის" განყოფილების მესვეურები - პროვოკატორობაში ხელოვნურად შექმნილ დანაშაულზე ინფორმაციის მიწოდებას გულისხმობდნენ. ამ ხერხს აგენტები ხშირად მიმართავდნენ ჯილდოს მისაღებად. მასალებიდან კარგად ჩანს, რომ ივანე ქართველ სტუდენტებში ანტიცარისტული განწყობის გაღრმავებას უწყობდა ხელს. ირკვევა, რომ ის ორგანიზებას უწევდა რევოლუციური სულისკვეთებით აღსავსე ქართველი სტუდენტების მიერ კონფერენციის მოწყობის საქმეს და პარალელურად განყოფილებას აწვდიდა ცნობებს. 1913 წელს ივანე კარბელაშვილი, როგორც პოლიტიკური დანაშაულის „ხელოვნურად შემქმნელი", სამი თვე პატიმრობაში იმყოფებოდა. სავარაუდოდ, აგენტურულ საქმიანობას სწორედ იმ დროიდან ჩამოშორდა. ივანეს მიერ თავისი ძმის, დათასადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც 1918 წლის 19 სექტემბრითაა დათარიღებული, ძმისგან დახმარებას ითხოვდა: „ამ დღეებში გავიგე, რომ სიღნაღის სამაზრო კომისიის თანაშემწეს, აპოლონ ბაღაშვილს, აქაურ გუბერნატორისთვის ცნობა მიუწვდია ჩემი წარსულის შესახებ. გუბერნატორს ეს ცნობა მთავრობისთვის მიუწვდია ბაქოში და ეხლა დაინტერესებული არიან ჩემი წარსულით" (სცია ფ.1461, აღ.1, ს.381, გვ.13). როგორც ირკვევა, იგი იმ დროს ზაქათალაში გამომძიებლად მუშაობდა. ივანე ახლობლების ჩარევას სთხოვს ძმას და წერს: „ნოე რამიშვილიდან აქ რომ ცუდი ცნობა მოვიდეს - მორჩა საქმე. ნუთუ ვერ დაივიწყებენ წარსულს?". თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ოზაკომის ზემოდასახელებული საგამოძიებო კომისიის ერთ-ერთი წევრი ნოე რამიშვილი იყო, გასაგები ხდება რატომაც ახსენებს იგი სწორედ ნოე რამიშვილს.

ივანე კარბელაშვილი 1920 წლის 16 აპრილს წნორში ადგილობრივმა გვარდიელმა გიგლა ბერიაშვილმა მოკლა. ამის შესახებ პოლიევქტოს კარბელაშვილი მოხსენებით მიმართავს საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი გეგეჭკორს. ივანე კარბელაშვილის საქმიანობამ 1915-1920 წლებში და მისმა ტრაგიკულმა აღსასრულმა გააჩინა კითხვები, რომლებსაც პასუხები შემდეგმა კვლევებმა უნდა გასცეს.

TAMAR GHURTSKAIA
Iakob Gogebashvili Telavi State University

TBILISI "OKHRANKA" DEPARTMENT AND MURDER OF EXARCH NIKON

The materials kept in the archive's Funds of the Central Historical Archive of Georgia are crucially important to restore the historical picture of a certain period. Especially interesting are the documents kept in the department of Tbilisi "Okhranka" and "Department of the Gendarmerie Tbilisi Province". Researching about them allows us to see the real face of the Tsars government's usage of force structures, to present their hidden sides, to examine what methods they used against anti-government forces and on the other hand it is possible to study the work of revolutionary or nationalist parties and organizations.

There is information about the agent – nickname "Dvarianin"- the same as Ivane Karbelashvili in the department of "Okhranka". Especially important material, that he had handed in, is the information about the murder of Exarch Nikon. As it turns out, Ivane Karbelashvili had informed the department of "Okhranka" about the preparations of the murder until he became an agent. As it seems, the suspected assassins of the Exarchs were intending to infringe his father, Polytectos Karbelashvili. It is clear from the above mentioned information, that the management of Tbilisi "Okhranka" knew that the murder of Exarchs had not been organized by "Autocephalists", but the disagreement which existed between the exarchs and the members of the autocephalous movement was used by the government quite well and as a result, they blamed the latter and Social-Federalists party members. But according to archival materials, participation of social-democratic party in this murder, is somehow evident. I think these materials will give us the opportunity to conclude that by continuing further research in archive it will be possible to find out new and crucially important details about the Autocephalous movement.

KAMILA PAWELCZYK-DURA
The State Archive in Lodz (Poland)

CONTEMPORARY METHODS OF MANAGEMENT THE CULTURAL HERITAGE IN PRACTICE. THE DIGITIZATION PROCESS OF ARCHIVAL MATERIALS OF PIOTRKOW GOVERNORATE GOVERNMENT IN THE STATE ARCHIVE IN LODZ (POLAND)

Rejection of the passive model of administering cultural monuments in favour of active management of the cultural heritage is one of the priorities of the Polish Ministry of Culture and National Heritage over the last decade. The modern concept of managing cultural property in Polish cultural institutions, in comparison to their world counterparts, appeared relatively late. However, requirements to get results of the effective management – identification, protection and preservation of the heritage's exceptional value and its transfer to future generations – have accompanied it from the very beginning. Over the years achieving these goals by Polish cultural institutions has become more complex due to the growing expectations of the modern world and the emergence of new technologies.

The active management of cultural heritage is a part of tasks performed by state archives. In recent years, their activity has been concentrated on conducting a wide range of digitization works as an element of preserving rich sources of information on Polish history in socio-cultural, political, and economic aspects, as well as international, national, regional, and local dimensions. In 2017, it has been exactly 20 years since the first protecting scans were made in Polish state archives[1].

Since that slowly but steadily change in the process of administering cultural property has been taking place. It gained momentum in 2011, what was connected with the Multiannual Government Program „Culture +" coordinated in 2011-2015 by the Minister of Culture and National Heritage[2]. Then, twenty Polish archives participated in the project. Thanks to raised funds they increased own archival holdings by millions of digital copies and created 15 new digitalization laboratories. At present, the digitization constitutes one of essential priorities of the General Director of the State Archives[3].

[1] The first attempt to digitize collections was made in 1995, but the planned scanning of materials was first started in the Archive of Audiovisual Records. The Archive of Audiovisual Records was transformed into the National Digital Archive on 8 March 2008 on the basis of the Regulation of the Minister of Culture and National Heritage, issued at the request of the General Director of the State Archives. It was a response to the evolution in the area of the technology of recording, storing and providing access to archive materials.

[2] R. Wojtkowski, P. Zawiski, *Korzystanie z zasobów archiwalnych w Internecie – doświadczenia polskich archiwów*, "Archeion", 2015, vol. CXVI, p. 93. Governmental program, with a budget of 516 mln PLN, was created to improve access to culture and digitization collections of Polish museums, libraries and archives. The funds from this multiannual program were distributed, among others, for the development of digitization laboratories and for buying the equipment, servers, computers and dedicated software. In 2012, eighteen Polish archives filed applications. Ten of them received financial support. Two years later subsidies received thirteen state archives.

[3] See also: *Strategia Archiwów Państwowych na lata 2010-2020* (Załącznik do Komunikatu Nr 1/2010 Naczelnego Dyrektora Archiwów Państwowych z dnia 23 grudnia 2010 r.), *Strategia digitalizacji zasobu archiwów państwowych na lata 2018-2023* (Załącznik do Zarządzenia nr 79 Naczelnego Dyrektora Archiwów Państwowych z dnia 25 października 2017 r.).

Digitization is a conversion of analogue information in any form to digital form with electronic devices so that the information can be processed, stored, and transmitted through digital circuits, equipment and networks. A well-designed digitization program includes not just digital capture but also appropriate care and repair of original materials and long-term management of the digital files it produces. Digitization of archival materials should be understood, according to definition, not only as a reproduction of a single document. It is a multi-stage process consisting in making digital copies - from the selection and preparation of relevant archival materials, through managing the mechanism of planned scanning with using the appropriate hardware (scanners, computers and software installed on them), administration of digital copies, and finally preparing them for publication on the Internet. In other words, digitization cannot be considered without the important issues of preservation of archival materials, their records and arrangement with applying specialized IT tools[4].

The State Archive in Lodz is one of the thirty Polish regional archives subordinated to The Head Office of State Archives in Warsaw, which actively participate in process of mass digitization of the most valuable historical holdings. They consists of 1 300 000 files and 15 500 linear meters of documents. Most of archival collections of the State Archive in Lodz date from the 19-th and 20-th centuries. The substantial amount are the records of the local authorities and state institutions. The characteristic features of the Lodz archive are the records of industrial enterprises (old factories) and economic institutions. There are numerous archival materials of judiciary organs, political parties, educational, religious and social institutions and organizations, as well as various archives of families and land estates and the papers of individuals. The State Archive in Lodz have rich collections of ephemera, cartography, and iconography[5].

The priority of the State Archive in Lodz for digitization is transferring the most valuable, damaged or deteriorated archival materials to the digital form. Good selection decisions come through carefully assessing the physical nature, content of the original materials, connected with them the intellectual property rights, and the requirements for a technically well-described product that serves both users' need for access to the content[6].

The fond Piotrkow Governorate Government takes an important place in archival holdings of the State Archives in Lodz. Governorate governments were established on 31 December 1866 as general administrative units of the second instance in the territory of the Polish Kingdom. Tsar Alexander II introduced a new administrative division of the state and changed the organization of the local authority, adapting it to the model developed in the Russian Empire of XIX century[7]. By virtue of tsar's ukase there were established, among others, Piotrkow province, position of the Piotrkow

[4] W. Woźniak, *Misja Narodowego Archiwum Cyfrowego – spojrzenie w przyszłość*, „Archeion" 2012, vol. CXIII, p. 88.

[5] *Archiwum Państwowe w Łodzi. Informator o zasobie*, ed. M. Janik, M. Wilmański, Łódź 1996, p. 12-16; B. Pelka, *Kształtowanie się zasobu Archiwum Państwowego w Łodzi*, „Rocznik Łódzki", 1987, vol. 37, p. 59-72; *Archiwum Państwowe w Łodzi. Przewodnik po zasobie archiwalnym*, ed. M. Bandurka, Warszawa 1998, p. 11-20; J. Baranowski, *Materiały źródłowe do zagłady Żydów z getta łódzkiego w Archiwum Państwowym w Łodzi*, [in:] *Judaica łódzkie w zbiorach muzealnych i zasobach archiwalnych*, ed. M. Budziarek, Łódź 1994, p. 142-153; A. Tomczak, *Zasób kartograficzny Wojewódzkiego Archiwum Państwowego w Łodzi*, „Kwartalnik Historii Kultury Materialnej", 1958, nr 3, p. 404-413.

[6] National Film Archive – Audiovisual Institute create *Best Practices Catalogue of Digitization Archival Materials*. This document is available on Internet: http://www.nina.gov.pl/media/43762/katalog-praktyk-i-standard%C3%B3w-digitalizacji-materia%C5%82%C3%B3w-archiwalnych.pdf [access: 29.11.2017]

[7] Dziennik Praw Królestwa Polskiego, p. 123, art. 14.

governor and a new office – Piotrkow Governorate Government. It functioned in the Polish Kingdom continuously until 1914. The outbreak of World War I forced the evacuation of the governorate authorities into the interior of the Empire. Structures of the Piotrkow Governorate Government worked in Russia until 1918[8].

The fond Piotrkow Governorate Government is unique in the scale of entire country in terms of size as well as condition status of archival materials. Particular value have documents created by one of the organizational unit subordinate to the Governorate Government – Building Department.

The Building Department records consists of 19 193 files or 55 linear meters of the typical administrative correspondence and projects of implemented building investments. The documents show an architectural development of the largest Polish cities located in the area of Piotrkow province, which currently are divided into separate regions, situated even about 200km from Lodz[9]. They also visualize the appearance of thousands of different buildings – private houses, factories, utility buildings, schools, military barracks, hospitals, churches of different denominations and many other. This material contains information about property owners and investors.



high frequency of using, mainly by historians and researchers, monument conservation officers and architecture students. These archival materials served for scientific, economic, revitalization, genealogical, private and judicial purposes to almost 10% of all users of archival holdings of the State Archive in Lodz. Due to frequent use, archival materials of the Building Department were threatened with physical degradation. They required conservation works.

Conservation laboratory of the State Archive in Lodz conducted precise review of materials. To conservations works were singled out documents, which were yellowed, soiled, damaged by insects and water. The study also included an examination revealed whether the sizing materials have given way, are broken in pieces or breaks when touched alike whether parts are missing and are folded and don't open flat without breaking at the folds.

After general assessment were started preliminary and proper conservations works. Documents which had accumulated a lot of dust, has pencil marks or is otherwise soiled, spotted or stained, and were folded, required cleaning, washing and flattening. Visible, particularly on the chronologically oldest records, material marks caused by dampness, creases of edges of files and covers, discoloration of buildings projects and tears were subjected to specialized treatments. As

[8] *Archiwum Państwowe w Łodzi. Przewodnik po zasobie archiwalnym*, ed. M. Bandurka, Warszawa 1998, p. 132.

[9] Territorial boundaries of records refer to territory of the Piotrkov province, which composed of eight district with capital towns: Bedzin district with capital town in Bendzin, Brzeziny district with capital town in Brzeziny, Czestochowa district with capital town in Czestochowa, Lask district with capital town in Lask, Lodz district with capital town in Lodz, Noworadomsko district with capital town in Noworadomsko (now Radomsko), Piotrkow Trybunalski district with capital town in Piotrkow (now Piotrkow Trybunalski), Rawa district with capital town in Rawa (now Rawa Mazowiecka).

[10] All pictures used in paper refer to fond Piotrkow Gouvernate Government, series of Building Department, reference number of unit 5933 (Rząd Gubernialny Piotrkowski, Wydział Budowlany, sygn. 5933).

the procedure of the fumigation was applied few years ago, it was not repeated. All archival materials, in the form of volumes, were sewn to make the scanning easier and safer. Restorers preserved as far as possible the original condition and appearance of archival materials of Building Department, repairing them only when it became necessary to prevent the paper and other document materials from decaying or tearing further.

The basic condition of mass digitization and publication of digital copies on the Internet is creating the appropriate descriptions of archival materials stored in the ICT system. Currently, a main tool for arranging archival holdings in Polish state archives is the Integrated Archives Information System (ZoSIA).

This system was implemented as a pilot project in 2008 in two Polish state archives[11]. Currently it is used in all Polish state archives[12]. The ZoSIA system is based on open source components. The programmers employed in the National Digital Archive are working on developing and refining the application, what allows the restructuration of the system without limitation associated with the licences, because all copyrights are involved in the National Digital Archive. This institution, which operates the Central Digital Repository of State Archives, automatically accesses, stores and retrievals data entered into the ZoSIA database[13].

The system is equipped with separate modules for arrangement of different types of records. Descriptions of archival materials of the Building Department of Piotrkow Governorate Government in the ZoSIA, based on International Standard Archival Description ISAD (G), create an accurate representation of an unit of description and its component part by recording information that serves to identity archival materials, context and records system which produces it[14]. Archival description consists of several elements: Number of fond (Zespół), Name of creator (Nazwa), Archival series (Seria), Reference number (Sygnatura), Title original or supplied by the archivist for a unit of description which has no formal title (Tytuł), Translated title (Tytuł tłumaczony)[15],

[11] *Decyzja nr 38 Naczelnego Dyrektora Archiwów Państwowych z dnia 22 grudnia 2008 r. w sprawie wprowadzenia Zintegrowanego Systemu Informacji Archiwalnej ZoSIA do testowego stosowania w Archiwum Państwowym w Poznaniu.*

[12] The Integrated Archives Information System (ZoSIA) is implemented in: The Central Archive of Modern Records, Central Archive of Historical Records, National Digital Archive, National Archive in Krakow with Bochnia Branch, Nowy Sacz Branch and Tarnow Branch, The State Archive in Bialystok, The State Archive in Czestochowa, The State Archive in Elblag, The State Archive in Gorzow Wielkopolski, The State Archive in Kalisz, The State Archive in Katowice, The State Archive in Kielce, The State Archive in Koszalin, The State Archive in Leszno, The State Archive in Lublinie with Krasnik Branch, Radzyn Podlaski Branch and Chelm Branch, The State Archive in Lodz with Sieradz Branch, The State Archive in Opole, The State Archive in Olsztyn, The State Archive in Piotrkow Trybunalski with Tomaszow Mazowiecki Branch, The State Archive in Plock, The State Archive in Poznan with Konin Branch, Pila Branch, Gniezno Branch, The State Archive in Przemysl, The State Archive in Radom, The State Archive in Siedlce, The State Archive in Suwalki, The State Archive in Szczecin, The State Archive in Torun, The State Archive in Warszawa, The State Archive in Wrocław, The State Archive in Zamosc, The State Archive in Zielona Gora.

[13] M. Zdunek, *Administrowanie systemem ZoSIA na przykładzie Archiwum Państwowego w Poznaniu*, „Archiwista Polski", nr 3 (67) 2012, p. 75-82; W. Woźniak, *Zintegrowany System Informacji Archiwalnej (ZoSIA) jako przyszłość systemów informatycznych w archiwach państwowych*, [in:] *Wkład archiwistów warszawskich w rozwój archiwistyki polskiej*, ed. A. Kulecka, Warszawa 2012, p. 479-483.

[14] *ISAD(G) Międzynarodowy Standard Opisu Archiwalnego.* Część ogólna. Wersja 2. *Norma przyjęta* przez *Komitet ds. standaryzacji opisu.* Sztokholm, Szwecja, 19-22 września 1999 r., Naczelna Dyrekcja Archiwów Państwowych, Warszawa 2005.

[15] Translation is made according to the ISO international standard for the transliteration into Latin characters of Cyrillic characters: *ISO 9:1995: Information and documentation – Transliteration of Cyrillic characters into Latin characters - Slavic and non-Slavic languages.* International Organization for Standardization. Retrieved 13 Apr 2012; ГОСТ 7.79-2000: *Система стандартов по информации, библиотечному и издательскому делу. Правила транслитерации кирилловского*



Pic. 2. The Integrated Archives Information System – archival description

Classification scheme code (Znak teczki), Former reference code (Sygnatura dawna), Inclusive dates (Daty), External physical form (Forma zewnętrzna), Internal physical form (Forma wewnętrzna), Language (Język), Physical condition (Stan fizyczny), Number of pages (Liczba stron), Numbers of sheets (Liczba kart), Dimension (Format), Available (Udostępnianie), Microfilming (Mikrofilmy), Additional information (Uwagi).

The level of description is lower when the archival records are items. The smallest intellectually indivisible archival units are, in this case, the building projects. Description of technical includes order number, original and translated titles, content, inclusive dates, dimensions and scales of project elements. All descriptions of Building Department the Piotrkow Governorate Gouvement records are supplemented by access points – a name, term or phrase that may be used to search, identity and locate an archival description.

Professional digitalization process requires specialist equipment. Documentation of the Building Department was scanned with three book scanners. Additionally, the State Archive in Lodz bought a large-format scanner, which is being used to scan big and huge documents, such as technical drawings. The purchase was made thanks to a grant received from the Ministry of Culture and National Heritage within the framework of the governmental program "Culture +".

The digital copies of archival materials of the Piotrkow Governorate Government were made at an optimal resolution of 300 dpi. Each scan was recorded in a digital file. The digital file name contains reference code of archive, number of fond, reference number and page number. To every copy is attached the certificate in the format tiff or jpg with main information about digitization's laboratory, dates, persons who made the copies and controlled their quality is attached to every copy and a layout. It based on the color saturation of the scanned object, which is identifying colours and changes caused by the passage of time.

First copies of the digital archive materials of the Piotrkow Governorate Government were produced in 2012. It was only 4 981 scans. Mass digitization of the Building Department started in 2013. In the most productive period 2016-2017 digitization laboratory of the State Archive in Lodz made over 153000 scans[16]. At the end of year 2017, last year of the project it is planned to receive, according to estimations, 250000 scans.

The Search in Archives service is another project implemented by the National Digital Archive. It was initiated in 2009 as the website for making available archival descriptions of the ZoSIA application, as well as for publication scans of digitized records. The service also contains data from the Programme for the Registration of Records from Parish and Civil Registration Offices, which collects information on genealogical materials kept in the state archives. Scans of archive materials are derived from the collections of the Polish state archives and other cultural institutions. The information of interest may be easily found thanks to the user-friendly search engine offering many useful filters and options[17].

The website may be used by geneologists, students, teachers, academics, and any other person interested in using the resources of the Polish archives. It renders it possible to use archive materials kept in

письма латинским алфавитом [GOST 7.79-2000. System of standards on information, librarianship and publishing. Rules of transliteration of Cyrillic script by Latin alphabet] (in Russian). Retrieved 13 Apr 2012. - authentic Russian version of ISO 9.

[16] Data per day 11.12.2017.

[17] A. Żeglińska, *Wyszukiwanie w bazach danych NDAP: szukajwarchiwach.pl*, [in:] *Symposia Archivistiva*, vol. 3: *Standaryzacja opisu archiwalnego*, ed. J. Bednarek, P. Perzyna, Warszawa 2016, p. 71-72.



Pic. 3 Digital file of archival materials of the Piotrkow Governorate Government

the archives in the various parts of Poland from home. The Search in Archives is fully accessible to any user who has a computer, any web browser and access to the network. It does not require installation of any dedicated software, account setup and login. Copies of archive materials presented in the service may be used in any manner, including downloading, copying and other distributing using any technology unless otherwise stated in the descriptions of the materials or on the digital copies[16].

[16] The Homepage Search in Archives allows to search the whole content of the website regardless of the level of description and location of archival materials. It is possible to narrow searching by selecting the "Files" tab and typing wanted phrase. Their details is the icon "Vital records and civil registers", which was separated due to the great interest of Internet users. To search precise information about the archival holdings of one institution it is possible to choose the button "Archives" and find the custodian from the alphabetically ordered list or select the option "Advanced searching" and apply filters such as archive, fond, number of fond, file, reference number and others.

The subpage of the State Archive in Lodz presents all archival holdings with information about creators and content. At the present, there are 19 193 descriptions of archive materials of the Building Department, created in database ZoSIA.

Many of descriptions are accompanied by parallel scans. The website Search in Archives offers 62 107 scans[17] of materials of Building Department the Piotrkow Governorate Government in the jpg format, in small, medium and high resolution. The highest resolution allows to freely read the content of materials. Thanks to parallel graphics editing tools it is possible to change the brightness, contrast and size of the shown image. All scans can be downloaded for free.

The process of publishing data on Search in Archives is proceeded according to model allowing the publication of descriptions and scans by the National Digital Archive. It is connected with a long

[17] Data per day 11.12.2017.



Pic. 4. Website "Search in Archive" – archival description of record

time waiting for publishing scans of archival materials on the Internet. In the case of archival materials of the Building Department it is even two years delay. According to the expectations the National Digital Archive should post in the near future in the Search in Archive 180 000 scans. Their publication will complete the process of digitalization of this series of document created by the Piotrkow Governorate Government and will become probably the best summary of the activity of the State Archives in Lodz in terms of active management of cultural heritage in practice.

Abstract:

Rejection of the passive model of administering cultural monuments in favour of active management of the cultural heritage contemporary stimulates the systematic digitization of archival materials. In this process, which has been gaining momentum in recent years, Polish state archives are participating actively. The basis of the presentation are the experiences of the State Archive in Lodz concerning the digitization of records of the fond Piotrkow Governorate Gouverment which is unique in the scale of entire country – in terms of sizes as well as condition status of archival materials, especially the documents of the highest historical value created by the Building Department dated 1867-1914 which are also frequently used by archival clients. Preparations to the digitization covered the wide range of activities, including conservation works, arrangement of



Pic. 5. Website "Search in Archive" - scans od archival materials

archival materials using the Integrated Archive Information System 'ZoSIA', creating the digital reproductions and popularization the digitally reconstructed documents on the website "Search in Archive". These stages, detailed in the appropriate version of the proper presentation, will be analysed in terms of good practice of dynamic co-creation of the strategy of protection the Polish cultural material resources and illustration of active management of national heritage on the concrete examples of the State Archive in Lodz.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲡᲘᲠᲐᲥᲐᲫᲔ
საქართველოს ეროვნული არქივი

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲕᲘᲜᲘᲢᲐᲫᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲐᲠᲛᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ (1892-1917 ᲬᲬ.)

კვინიტაძე. 1916 წელი. კავკასიის ფრონტი

გენერალი გიორგი კვინიტაძე (1874-1970) საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის უკანასკნელი მთავარსარდალი და ერთ-ერთი გამორჩეული გენერალი იყო. მისი სამხედრო კარიერა პირველი რესპუბლიკის ოკუპაციასთან ერთად დასრულდა. ხოლო დაწყებით კი რუსეთის საიმპერიო არმიაში დაიწყო. საიმპერიო არმიაში ჩამოყალიბდა ის ჯერ უმცროს, ხოლო შემდეგ კი უფროს ოფიცრად. მისი კარიერის ეს პერიოდი მეუსწავლელია და ამავდროულად საინტერესო იმის გასაგებად თუ რა გამოცდილება, წარსული უმაგრებდა ზურგს მას პირველი რესპუბლიკის არმიაში სამსახურისას. რა თავგადასვლები გადახდა რუსულ არმიაში სამსახურისას, რა და როგორ ისწავლა, რომელ ომებში მიიღო მონაწილეობა და რით გამოიჩინა თავი. ყველაფერი რაც მას თავს გადახდა საიმპერიო არმიაში, აყალიბებდა მის ხასიათს. აყალიბებდა მას როგორც ოფიცერს, რომელსაც შემდეგ ცხოვრებამ საკმაოდ მნიშვნელოვანი მისია დააკისრა, ყოფილიყო დამოუკიდებელი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი საფუძვლის ჩამყრელი და მთავარსარდალი. ჩვენი კვლევის ქრონოლოგიურ ჩარჩოდ 1892-1917 წლები განვსაზღვრეთ. 1892 წელი როდესაც, მომავალმა გენერალმა დაამთავრა თბილისის კადეტთა სამხედრო სასწავლებელი და ჩაირიცხა პეტერბურგში კონსტანტინეს სახელობის სამხედრო სასწავლებელში, სწორედ აქედან დაიწყო მისი სამხედრო კარიერის სტაჟის ათვლა, ხოლო დასასრულად კი 1917 წელი ავიღეთ. 1917 წლის თებერვალის რევოლუციამ იმპერიის

არსებობას ბოლო მოუღო, იმპერიული არმია ინერციით აგრძელებდა არსებობას დროებით მთავრობის პერიოდში, თუმცა ეს უკვე რეალურად დეზერტირებისგან და გაბოლშევიკებული ჯარისკაცებისაგან დაკომპლექტებული არმია იყო, რომელიც დღითი-დღე იშლებოდა და 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ დაუსვა წერტილი. გენერალი კვინიტაძე ამ პერიოდში კავკასიის ფრონტზე მსახურობდა და მისი სამსახური რუსულ არმიაში რეალურად სწორედ 1917 წლის ბოლოს დასრულდა. სტატიაში ყველა თარიღი მოცემულია იულიუსის კალენდრის მიხედვით, რომელიც გამოიყენებოდა იმ ქრონოლოგიურ ჩარჩოში, რომელსაც სტატიის შინაარსი მოიცავს.

მისი იმპერიულ არმიაში გატარებული წლების შესახებ ძირითადი წყაროა თავად გენერლის მიერ 1957 წელს შედგენილი მცირე ზომის ავტობიოგრაფიული ხასიათის ანკეტა, რომელიც ისტორიკოსმა გიორგი მამულიამ დაბეჭდა პარიზში გამომავალ ჟურნალ თანამემამულეში 2008 წელს.[1] გენერლის მოგონებების წიგნსა და ნოე ჟორდანიას წინააღმდეგ დაწერილ ბროშურაში „ჩემი პასუხი», მისი იმპერიულ არმიაში სამსახურის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობა არც არის, გარდა ერთი მცირე პასაჟისა მისი კადეტთა სასწავლებელში სწავლის პერიოდის შესახებ, როდესაც გზად მიმავალს ძეგველმა გლეხმა უთხრა - გახდები გენერალი, გაგვიძეხი და რუსებს გავყრითო. მომავალი გენერლის პასუხზე, რომ რუსები ბევრნი და ძლიერები არიან, გლეხმა ამაყად უპასუხა, რომ მისი სახრითაც ათ კაცს გადააბრუნებდა. გლეხის ამ სიტყვების შესაძლებლობა, სახლში დაბრუნებულს მამამ რუსული არმიის კავალერიის პოლკოვნიკმა ივანიკა კვინიტაძემაც დაუდასტურა ისტორიული მაგალითებით.[2] ამ ეპიზოდში ბუნებრივია, მისი სამხედრო კარიერის შესახებ არაფერი მნიშვნელოვანი არ არის ნათქვამი, მაგრამ აღსანიშნავია, რომ 15 წლის მოზარდის გონებაში და ამასთანავე აზროვნებაში გლეხის ეს სიტყვები მყარად ჩარჩა, რადაგანაც ამას გენერალი იხსენებდა 1954 წელსაც კი და ასევე მის სიკვდილამდე ორი წლით ადრე 1968 წელს 95 წლის ასაკში რადიო თავისუფლებისათვის მიცემულ ათ-წუთიან ინტერვიუში.[3]

რაც შეეხება გენერლის მიერ 1957 წელს შედგენილ ორგვერდიან ავტო-ბიოგრაფიას, იგი მოიცავს პერიოდს 1892 წლიდან 1921 წლამდე. დოკუმენტის მიხედვით გიორგი კვინიტაძემ 1892 წელს დაამთავრა თბილისის კადეტთა სასწავლებელი, 1894 წელს კი კონსტანტინეს სახელობის სამხედრო სასწავ-ლებელი, რომლის დასრულების შემდეგ პოდპორუჩიკის[4] წოდებით მიავლინეს ვლადიკავკაზში მდგარ 152-ე ქვეითი პოლკის მესანგრეთა ბატალიონში. 1895 წელს მიავლინეს ვარშავის ოლქის ქალაქ ბოპოლსკში მდგარ პოლკში. 1905

[1] გენერალი გიორგი კვინიტაძე. ავტობიოგრაფია სამსახურეობრივი სიის მიხედვით. გამოსცა გიორგი მამულიამ. ჟურნალი თანამემამულე. N4(30) პარიზი. 2008 გვ.20-21

[2] გენერალი გიორგი კვინიტაძე. ჩემი პასუხი. პარიზი 1954. გვ. 29-30

[3] ინტერვიუს მოსმენა შესაძლებელია ამ ლინკზე - https://www.youtube.com/watch?v=1Koh-U5O6Uc

[4] პოდპორუჩიკი იგივეა რაც უმცროსი ლეიტენანტი

წელს მიავლინეს მანჯურიაში რუსეთ-იაპონიის ომში და დანიშნეს მე-9 პოლკის ასეულის მეთაურად. ომის შემდეგ მეთაურობს ციმბირის მე-3 დივიზიის, მეტყვიამფრქვევეთა ასეულს, 1906 წელს ეს ასეული დაიშალა და ისევ მე-9 პოლკის ასმეთაური გახდა. 1906 წელს მონაწილეობა მიიღო ვლადივოსტოკის ამბოხებული გარნიზონის უბრძოლველად დაშოშმინებაში. რუსეთ-იაპონიის ომის დროს მიენიჭა წმინდა სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენი ხმლითა და ბაფთით, ხოლო წმინდა ანას მე-4 ხარისხის ორდენი და ამავდროულად კაპიტნის ჩინი. 1907 წელს ჩააბარა რუსეთის გენერალური შტაბის აკადემიაში. მისაღებ გამოცდებში მან შემდეგი ნიშნები მიიღო: ტაქტიკა (თეორია) - 8, ტაქტიკა (ამოცანა) - 8, რუსული - 8, ისტორია - 8, გეოგრაფია - 6. 1910 წელს დაასრულა აკადემია, ჩაირიცხა გენერალურ შტაბში და სტაჟირებაზე მიავლინეს მე-16 გრენადერთა პოლკში სადაც 1 წელი მეთაურობდა ასეულს. 1911 წელს დაინიშნა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში, 1914 წელს პირველ მსოფლიო ომის ომის დაწყებისთანავე დაინიშნა კავკასიის არმიის შტაბის ოფიცრად. სარიყამიშის ბრძოლის დროს 1914-1915 წლებში მსახურობდა გენერალ იზვოლსკითან მცხეთ-თბილისის გამაგრებული რაიონის შტაბის უფროსად. 1915 წელს დაინიშნა პლასტუნთა პირველი ბრიგადის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლად, იგეგმებოდა ბრიგადის დესანტირება სტამბულში, მაგრამ შავ ზღვაში თურქეთის დროშის ქვეშ მცურავი სახაზო კრეისერის «გებენის» მოქმედების გამო გეგმა ჩაიშალა, ბრიგადა დასავლეთის ფრონტზე გადაისროლეს, კვინიტაძე კი გენერალ იუდენიჩის დაჟინებული თხოვნით კავკასიის ფრონტის შტაბში დარჩა. ამის შემდეგ კვინიტაძე 1917 წლის რუსეთის რევოლუციამდე და იმპერიის აღსასრულამდე მსახურობდა კავკასიის ფრონტზე მე-4 მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსად. რევოლუციის შემდეგ კი დაინიშნა კავკასიის მე-15 მსროლელი პოლკის მეთაურად.[5]

გენერლის მიერ შედგენილი ავტობიოგრაფია, მისი რუსულ არმიაში სამსახურის შესახებ შეიცავს მხოლოდ საბაზისო ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციული სიმწირის შესავსებად გამოდგება საქართველოს ეროვნულ არქივში, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ფონდში დაცული 12 გვერდიანი საკმაოდ დეტალური დოკუმენტი გენერალ გიორგი კვინიტაძის სამხედრო კარიერის შესახებ, რომელიც შედგენილია რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებით 1919 წლის 3 თებერვალს სამხედრო სამინისტროს პირადი შემადგენლობის განყოფილების მიერ.[6] დოკუმენტში ბრძანების ნომრების მითითებით აღნუსხულია გენერალ გიორგი კვინიტაძის სამსახურის ადგილები და თანამდებობა, სამხედრო განათლება, მონაწილეობა სამხედრო მანევრებსა და ომებში, მიღებული ჯილდოები, მის მიერ აღებული შვებულებები და ოჯახური მდგომარეობა.

[5] გენერალი გიორგი კვინიტაძე. ავტობიოგრაფია სამსახურეობრივი სიის მიხედვით. გვ.20-21

[6] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სცსა). ფონდი 1969. აღწერა 1. საქმე 661. ფურც. 1-6

სამხედრო განათლება

1892-1894 წლებში სწავლობდა და დაამთავრა პეტერბურგის კონსტანტინეს სახელობის მეორე სამხედრო საარტილერიო სასწავლებელი პირველი თანრიგით. 1907-1910 წლებში სწავლობდა და დაამთავრა რუსეთის გენერალური შტაბის აკადემია ასევე პირველი თანრიგით და დამატებითი კურსი - „წარმატებით". მეცნიერებაში მიღწეული გამორჩეული წარმატებისთვის დააჯილდოვეს, მისი ჩინის სარგო ხელფასის ერთი წლის ოდენობით.[7]

სამხედრო წოდება

უნტერ ოფიცერი -1892 წლის 10 სექტემბერი
უმცროსი პორტუპეი-იუნკერი - 1892 წლის 11 დეკემბერი
პოდპორუჩიკი (უმცროსი ლეიტენანტი) — 1894 წლის 8 აგვისტო
პორუჩიკი (ლეიტენანტი) — 1897 წლის 7 აგვისტო
შტაბს-კაპიტანი - 1901 წლის 7 აგვისტო
კაპიტანი -1905 წლის 7 აგვისტო
პოდპოლკოვნიკი -1915 წლის 18 ივლისი
პოლკოვნიკი - 1916 წლის 6 დეკემბერი.[8]

კვინიტაძემ გენერალ-მაიორის წოდება ამიერკავკასიის რესპუბლიკის პერიოდში 1918 წლის 2 მაისს მიიღო.[9]

სამსახურის აღგილი და დაკავებული თანამდებობა

1894-1895 წლები კავკასიის მესანგრეთა (საპიორთა) ბატალიონი; 1895-1904 ვლადიკავკაზის 152-ე ქვეითი პოლკი - ბატალიონის მეთაურის ადიუტანტის მოვალეობის დრეობითი შემსრულებელი, პოლკის სხვადასხვა ქვეითი ასეულის მეთაური; 1904-1907 წლებში აღმოსავლეთ ციმბირის მე-3 მსროლელი დივიზია, აღმოსავლეთ ციმბირის მე-9 და მე-10 ქვეითი პოლკები - ქვეითი და შემდეგ მეტყვიამფრქვეველთა ასეულის მეთაური; 1910 წელი - გენერალური შტაბის აკადემიის დასრულების შემდეგ ჩაირიცხა იმპერიის გენერალურ შტაბში და სტაჟირებისთვის გაიგზავნა ვარშავის სამხედრო ოლქში მე-17 ქვეითი დივიზიის შტაბში, 1910-1911 გაიარა სტაჟირება მე-16 გრენადერების მეგრელთა პოლკში - ასეულის მეთაური; 1912 წლიდან გენერალური შტაბი კავკასიის სამხედრო ოლქის ობერ-ოფიცერი; 1914 წლიდან კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის შტაბის გენერალ-კვარტერმეისტერის დაქვემდებარებაში მყოფი შტაბ ოფიცერი; 1914-1915 წლებში თბილისის რაიონის ჯარების მეთაურისა და დროებითი კომენდანტის შტაბის უფროსი; 1915 წელს ყუბანის პლასტუნთა 1 ბრიგადის

[7] სცსა. ფონდი 1969. აღწერა1. საქმე 661. ფ.1-3
[8] სცსა. ფონდი 1969. აღწერა1. საქმე 661. ფ.1 4
[9] სცსა. ფონდი 1969. აღწერა1. საქმე 661. ფ.4

შტაბის უფროსი; 1915-1917 წლებში კავკასიის მე-4 მსროლელი ბრიგადის და ამ ბრიგადის გაშლის შედეგად ჩამოყალიბებული მე-4 დივიზიის შტაბის უფროსი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ 1917 წლის მეორე ნახევარში მეთაურობდა კავკასიის მე-15 მსროლელ პოლკს.[10]

მონაწილეობა მანევრებსა და საბრძოლო მოქმედებებში

გიორგი კვინიტაძემ მონაწილეობა მიიღო რუსეთ-იაპონიისა (1904-1905წწ) და პირველ მსოფლიო ომებში (1914-1918წწ.).

რუსეთ-იაპონიის ომი: გენერალი გიორგი კვინიტაძე, იბრძოდა რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომში კაპიტნის ჩინით და მეთაურობდა ასეულს. 1904 წლის 23 ოქტომბრიდან - 1905 წლის აგვისტოს ჩათვლით. იბრძოდა მანჯურიის საბრძოლო მოქმედებათა თეატრზე და მონაწილეობა მიიღო მუკდენის ბრძოლაში, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდე ლაიფციგის ბრძოლის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამხედრო დაპირისპირება იყო მსოფლიოს ისტორიაში. 1904 წლის 23 ოქტომბრიდან 1905 წლის 19 იანვრის ჩათვლით იმყოფებოდა გამაგრებულ პოზიციებზე მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ. 1905 წლის 20 იანვრიდან - 5 თებერვალმდე იმყოფებოდა მუკდენის სამხრეთ-აღმოსავლეთით შახეს პოზიციებზე. გეოტულინის უღელტეხილზე და სოფელ ცინხეჩენთან. იბრძოდა მუკდენის ბრძოლაში 5 თებერვლიდან - 27 თებერვლის ჩათვლით. მონაწილეობა მიიღო დალინის უღელტეხილზე 13 თებერვალს გამართულ ბრძოლაში, რა დროსაც მისი ასეული შედიოდა გენერალ-ლეიტენანტ კონსტანტინ ალექსეევის დაქვემდებარებაში მყოფ ცინხეჩენის რაზმში. 15-22 თებერვალს იბრძოდა მაძიადანის პოზიციებზე, ამჯერად გენერალ-ლეიტენანტ პავლე რენენკამფის დაქვემდებარებაში, რომელმაც დამარცხების შემდეგ შეცვალა გენერალი ალექსეევი. მაძიადანის პოზიციებზე განცდილი მარცხის შემდეგ, 23-24 თებერვლის უკანდახევის დროს მონაწილეობას იღებდა არიერგარდის შეტაკებებში მოწინააღმდეგესთან. იბრძოდა ქალაქ ტიელინისკენ უკანდახევისას 25-26 თებერვალს გამართულ ბრძოლებში. აქედან 25 თებერვალს იბრძოდა გენერალ-ლეიტენანტს ივანოვის დაქვემდებარებაში მყოფ მესამე კორპუსის შემადგენლობაში სოფელ კაპუკაისთან. 1905 წლის 9 მარტიდან ომის დასასრულამდე იმყოფებოდა საპინგაის პოზიციებზე, სადაც პერიოდულად მონაწილეობას იღებდა სადაზვერვო მისიებსა და ცალკეულ შეტაკებებში. რუსეთ-იაპონიის ომში არც დაჭრილა და არც კონტუზია არ მიუღია.[11]

პირველი მსოფლიო ომი: მსოფლიო ომში იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. ომის დასაწყისში იყო თბილისის გამაგებული რაიონის შტაბის უფროსი. 1915 წლის 13 ივლისიდან 8 აგვისტომდე შედიოდა დაიარის დამრტყმელ შენაერთში და მონაწილეობას იღებდა ალაშკერტის ოპერაციაში. მონაწილეობა მიიღო

[10] სცსა. ფონდი 1969. აღწერა1. საქმე 661. ფ.1-4
[11] სცსა. ფონდი 1969. აღწერა1. საქმე 661. ფ.5

კერპიკეისკის ოპერაციაში, 1915 წლის 28 დეკემბრიდან -1916 წლის 8 იანვრამდე, ამ ოპერაციის მიმდინარეობისას იყო სანომერის შენაერთის შტაბის უფროსი. მონაწილეობას იღებდა ერზერუმის ოპერაციაში. 1916 წლის 9-დან 28 იანვრამდე ირიცხებოდა კავკასიის პირველ საარმიო კორპუსში, ხოლო ოპერაციის დასკვნით ეტაპზე (29 იანვარი-3 თებერვალი) იყო დამოუკიდებლად მოქმედი დივიზიის შტაბის უფროსი. 1916 წლის 24 ივნისიდან 25 ივლისის ჩათვლით მონაწილეობდა ერზინჯან-ბაიბურთის ოპერაციაში, თურქესტანის მეორე საარმიო კორპუსის დაქვემდებარებაში. 1916 წლის ივლისის ბოლოდან ნოემბრის დასაწყისამდე მონაწილეობას იღებდა ოგნოტის ოპერაციაში. ოპერაციის მსვლელობისას 13 აგვისტოდან-11 სექტემბრამდე პერიოდში იყო, ოგნოტის რაზმის (ორი მსროლელი დივიზია და პლასტუნთა ბრიგადა) შტაბის უფროსი[12].

მანევრები და სპეციალური მივლინებები: 1897 წელს მივლინებული იქნა ბრესტ-გროდნოს გუბერნიაში, დაბალი ჩინის სათადარიგო ოფიცრების მისაღებად. 1898 წელს მიავლინეს მე-4 მესანგრეთა (საპიორთა) ბრიგადაში, მესანგრეთა საქმის გასაცნობად. 1904 წელს მივლენილი იქნება მწყობირს ოფიცრების საველე ლაშქრობაში. მონაწილეობას იღებდა 1910 წელს ვარშავის სამხედრო ოლქში ჩატარებულ მაშტაბურ მანევრებში. 1910-1914 წლებში ასრულებდა დავალებებს კავკასიის სამხედრო ოლქის ტერიტორიაზე. იქნებოდა ეს ადგილების რეკოგნისცირება, საიდუმლო დავალებები თუ საველე ლაშქრობები.[13]

მიღებული ჯილდოები. ორდენები, მედლები, სპეციალური პრიზები

ორდენები:[14] წმინდა გიორგის იარაღი და მე-4 ხარისხის ორდენი; წმინდა ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენი ბანტითა და ხმლით, ვლადიმირის მე- 3 ხარისხის ორდენი ხმლით; წმინდა ანას მე-4 ხარისხის ორდენი წარწერით სიმამაცისათვის, ასევე წმინდა ანას მე-3 და მე-2 ხარისხის ორდენები, აქედან მეორე ხარისხის ორდენი ხმლით; წმინდა სტანისლავის მე-3 და მე-2 ხარისხის ორდენი, აქედან პირველი ორდენი ხმლითა და ბანტით, ხოლო მეორე ორდენი მხოლოდ ხმლით. ჩამოთვლილთაგან პირველი ორდენი წმინდა სტანისლვის მე-3 ხარისხის ორდენი ხმლითა და ბანტით გიორგი კვინიტაძემ 1905 წლის მაისს მიიღო იაპონიასთან ომში სამხედრო წარჩინებისთვის, ამავე წლის 7 ნოემბერს იაპონელთა წინააღმდეგ ომში გაწეული წარჩინებული სამსახურის გამო გადაეცა

[12] სცსა. ფონდი 1969. აღწერა1. საქმე 661. ფ.6

[13] სცსა. ფონდი 1969. აღწერა1. საქმე 661. ფ.6

[14] რუსეთის იმპერიაში სხვა ორდენებს შორის არსებობდა 4 წმინდა სამხედრო ხასიათის ორდენი. თითოეულ ამ ორდენს ქონდა თავისი ხარისხი. მნიშვნელობით 4 სამხედრო ორდენს შორის პირველ ადგილზე იდგა წმინდა გიორგის ორდენი რომელსაც ოთხი ხარისხი ქონდა, ამის შემდეგ მოდიოდა წმინდა ვლადიმირის ორდენი ასევე ოთხი ხარისხით, შემდეგ მოდიოდა წმინდა ანას ორდენი ასევე ოთხი ხარისხით, ხოლო ყველაზე ნაკლებად პრესტიჟული იყო წმინდა სტანისლავის სამხედრო ორდენი. ამ უკანასკნელ ორდენს მხოლოდ სამი ხარისხი გააჩნდა.

წმინდა ანას მე-4 ხარისხის ორდენი წარწერით სიმამაცისათვის. 1912 წელს კვინიტაძეს დაჯილდოვდა წმინდა ანას მე-3 ხარისხის ორდენით. 1915 წლის დასაწყისში მიიღო წმინდა სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენი თბილისის რაიონის ჯარების მმართველობის რეფორმირებისათვის. მოგვიანებით 1916 წლის დეკემბერში მისი მეორე ხარისხის „სტანისლავი" ხმლით შეამკეს. 1915 წლის მაისში კვინიტაძემ მიიღო წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენი გამორჩეულად გულმოდგინე სამსახურისათვის და საბრძოლო მოქმედებების დროს გაწეული სამუშაოებისათვის. 1916 წლის ოთხ ივნისს კვინიტაძის წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენი ხლით შეამკეს. 1916 წლის ივლისში მიიღო წმინდა ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენი ბანტითა და ხმლით, ხოლო ერთი წლის შემდეგ 1917 წლის მარტში ამავე ორდენის მე- 3 ხარისხი ხმლით. 1917 წლის ივლისში მიიღო წმინდა გიორგის იარაღი, ხოლო 8 ოქტომბერს კი წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის ორდენი[15].

მედლები და სპეციალური პრიზები: 1896 წელს გადაეცა მკერდზე ჩამოსაკიდებელი ვერცხლის მედალი იმპერატორ ალექსანდრე მესამის მეფობის მოსაგონრად წმინდა ალექსანდრე ნეველის ლენტით. 1912 წელს გადაეცა მედალი, 1812 წლის ომისა 100 წლისთავის აღსანიშნავად, ხოლო 1913 წელს კიდევ ერთი მედალი რომანოვთა დინასტიის 300 წლისთავის აღსანიშნავად. 1915 წელს მიეცა უფლება ეტარებინა ღია-ბრინჯაოსფერი მედალი და თეთრი არწივის ლენტი ჯარის მობილიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისათვის. ასევე მას ჰქონდა იაპონიასთან ომში მონაწილეობისათვის მიღებული სამახსოვრო მედალი.კვინიტაძემ სხვადასხვა წლებში რამდენჯერმე მიიღო საპოლკო პრიზი იარაღით სროლაში.1904 წელს ვარმავის სამხედრო ფარიკაობის დარბაზში დაიმსახურა მეორე პრიზი რაპირებით ბრძოლაში[16].

მოკლე დასკვნითი მოსაზრებები

მიიღო კარგი და წარმატებული სამხედრო განათლება, თუმცა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე მისი დაკავებული თანამდებობები არ შეესაბამებოდა მის განათლებას. ყველაზე დიდი შენაერთი რომელსაც იგი პირველ მსოფლიო ომამდე მეთაურობდა იყო ასეული. იგი ასეულს მეთაურობდა 1895 წლიდან, ასეულს მეთაურობდა რუსეთ-იაპონიის ომშიც და ასეულს მეთაურობდა 1911 წელს გენერალური შტაბის აკადემიის წარმატებით დასრულების შემდეგაც. იგი ატარებდა კაპიტნის ჩინს 1905 წლიდან 1915 წლამდე, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში მან წარმატებით დაასრულა გენერალური შტაბის აკადემია. მისი სამხედრო ნიჭის წარმოჩენისა და კარიერული წინსვლისთვის ტრამპლინის როლი შეასრულა პირველმა მსოფლიო ომმა, სადაც მთელ რიგ დიდი ოპერაციებში თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა შტაბის ოფიცერმა და ომის დაწყებიდან

[15] სცსა. ფონდი 1969. აღწერა1. საქმე 661. ფ.1-4
[16] სცსა. ფონდი 1969. აღწერა1. საქმე 661. ფ.1-4

ორ წელიწადში უკვე პოლკოვნიკი გახდა. დამოუკიდებელი საქართველოს არმიაში სამსახურის დაწყებამდე მას უკვე ქონდა დიდი სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის გამოცდილება, როგორც ასეულის მეთაურის, ისე მაღალი საშტაბო თანამდებობის მქონე ოფიცრის რანგში. მონაწილეობა ჰქონდა მიღებული რუსეთ-იაპონიისა ომის ყველაზე გრანდიოზულ მუკდენის ბრძოლაში სადაც ორივე მხრიდან ნახევარ მილიონზე მეტი ჯარისკაცი იღებდა მონაწილეობას,[17] ეს ბრძოლა წარუმატებელი გამოდგა რუსული არმიისთვის და კვინიტაძემ თავის ასეულთან ერთად მარცხისა და უკანდახევის გამოცდილება მიიღო. მონაწილეობა მიიღო პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტის ხუთ წარმატებულ შეტევით და თავდაცვით ოპერაციაში (ალაშკერტის, კერპიკეისკის, ერზერუმის, ერზინჯანბეიბურთის და ოგნოტის) ამ ოპერაციების მასშტაბები მერყეობდა ორივე მხრიდან რამდენიმე ათეულ ათასი ჯარისკაცის მონაწილეობიდან, ასეულ ათასებამდე.[18] დიდი ხნის მანძილზე ასეულის მეთაურობამ მას გამოუმუშავა ჯარისკაცებთან უშუალო ურთიერთობის და მათ შორის ავტორიტეტის მოპოვების უნარი, გახადა კარგი მცოდნე ჯარისკაცთა ფსიქოლოგიისა. 1920 წელს სწორედ ამას აღნიშნავდა საბჭოთა რუსეთის დაზვერვა, რომ კვინიტაძე ჩინებული მცოდნე იყო ჯარისკაცთა ფსიქოლოგიისა, იყო ბრძოლაში სრულიად უშიში და შეეძლო მასების გამხნევება და მათი გატაცება.[19] უნდა ითქვას, რომ რეალურ საბრძოლო მოქმედებებში მას არ უმეთაურია ასეულზე დიდი შენაერთისათვის, მართალია იგი 1917 წელს პოლკს მეთაურობდა, მაგრამ იმ დროისათვის კავკასიის ფრონტზე საბრძოლო მოქმედებები შეჩერებული იყო, რაც შეეხება საშტაბო თანამდებობებს როგორც ზემოთ ვნახეთ პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას ის უკვე მაღალ საშტაბო თანამდებობებზე იყო. მთლიანობაში რუსულ არმიაში გენერალ კვინიტაძის სამსახური წარმატებულად უნდა შეფასდეს, მან მიიღო კარგი და წარმატებული სამხედრო განათლება, მიიღო კარგი გამოცდილება როგორც ასეულის მეთაურმა ისე მაღალი რანგის შტაბის ოფიცერმა, მიაღწია პოლკოვნიკის ჩინს და მიიღო მრავალი საბრძოლო ჯილდო. მისი ეს უნარები , განათლება და გამოცდილება რაც მან დააგროვა რუსულ არმიაში სამსახურის 25 წლის განმავლობაში, შემდეგში საკმაოდ წარმატებულად გამოიყენა ქართულ არმიაში სამსახურის პერიოდში 1918-1921 წლებში.

---

[17] ვრცლად მუკდენის ბრძოლის შესახებ იხ. - Русско- Японская Война 1904-1905Г. Г. Т. 5 Мукденское Сражение. Часть Первая. Работа Военно-Исторической Комиссии по описанию Руско-Японской Войни. С-Петербург 1910; Русско- Японская Война 1904-1905Г. Г. Т. 5 Мукденское Сражение. Часть Вторая. Работа Военно-Исторической Комиссии по описанию Руско-Японской Войни. С-Петербург 1910

[18] ვრცლად ამ ოპერაციების შესახებ იხ. - Николай Корсун. Первая Мировая Война на Кавказском Фронте. Москва 1946. Стр. 42-566,63-68, 71-77.

[19] რომან მკურნალი. მიზეზნი ჩვენი დამარცხებისა. გვ.350 - დაბეჭდილია წიგნში - გურამ შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ.6 თბ.2005

DIMITRI SILAKADZE
National Archives of Georgia

UNKNOWN DETAILS OF MILITARY SERVICE OF GENERAL GEORGE KVINIKADZE IN RUSSIAN ARMY

The last General Commander of the Army of the Democratic Republic of Georgia Giorgi Kvinitadze started his career in the Russian Empire Army in 1892. Yet so far we had little basic information about his service in Russian Army.

We got 12 pages of the detailed report of 1919, composed by the Military Ministry of Georgia, concerning his service, in the fonds N1969 of the Central Historical Archive of the National Archives of Georgia. The document holds detaile information on the General's milita education, awards, combat experienc participation in maneuvers and vacation This is a document showcasing mor about the General's career, before h service in Georgian Army. We can mak some conclusions about his education an combat experience received, before h started service in Georgian Army in 1918

მიხეილ ბახტაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს ოკუპაციის პირველი მცდელობა 1920 წელს (სამხედრო მოქმედებათა მიმოხილვა)

1920 წლის მაისში საბჭოთა რუსეთმა პირველად სცადა საქართველოს დაპყრობა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ეს მცდელობა მარცხით დასრულდა. მაშინ ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს მოწინააღმდეგის დამარცხება და რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვა. საბჭოთა რუსეთ-საქართველოს პირველი ომი დაახლოებით სამი კვირა გრძელდებოდა. საბრძოლო მოქმედებები საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე, ფოილოსა და განსაკუთრებით წითელი ხიდის მიმართულებებზე, მიმდინარეობდა. 1920 წლის 1-18 მაისის მოვლენებს აღწერენ ამ ომის მონაწილეები: შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი გიორგი კვინიკაძე[1], გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე[2], პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე[3], სახალხო გვარდიის შტაბის მეთაური და ფაქტობრივად გვარდიის ხელმძღვანელი ვალიკო ჯუღელი[4] და სხვ. ძალიან საინტერესო მასალები გამოქვეყნდა იმდროინდელ პრესაში: გვარდიელების, ჯარისკაცების, ფრონტზე გაგზავნილი კორესპონდენტებისა და სხვა თვითმხილველების წერილები. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს წერილები, ისევე როგორც ვ. ჯუღელის ჩანაწერები ბრძოლის დროს ან ბრძოლების დამთავრებიდან მალევე შეიქმნა. ამიტომ მათში აღწერილია ის პირველი ემოცია, განცდა, შეფასება, რომელიც ომის მონაწილეებს ჰქონდათ (განსხვავებით გვიან დაწერილი მოგონებებისგან, რომელშიც უფრო შეინიშნება წინასწარგანზრახვით დაწერილი ფრაგმენტები). ცხადია, მათში გასათვალისწინებელია სუბიექტური მომენტიც, ვითარების „შელამაზების" მცდელობა, ისევე როგორც გვიან შექმნილ მემუარებშიც. უმნიშვნელოვანესია არქივში დაცული მასალები, მაგრამ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის (სცსსა) სათანადო ფონდებში მეტად მწირი მასალები მოიპოვება 1920 წლის მაისში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, საბჭოთა ხელისუფლების არსებობისას მიზანმიმართულად მოხდა

[1] გ. კვინიტაძე. ჩემი მოგონებები, ტ.1, 1998.
[2] ა. ზაქარიაძე. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა", ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ.4, თბ., 2003.
[3] ა. ჩხეიძე. სამხედრო სკოლა, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ.4, თბ., 2003.
[4] В. Джугели, „Тяжолый Крест (записки народногогвардейца) 1920". Тф. 1920.

რუსეთ-საქართველოს 1920 წლის ომის ამსახველი მასალების განადგურება. სამწუხაროდ, მიუწვდომელია რუსეთის სამხედრო არქივში დაცული დოკუმენტები.

27 აპრილს, დილის 00 საათსა და 5 წუთზე, საბჭოთა რუსეთის XI არმიის ოთხი ჯავშანმატარებელი ბაქოს მიმართულებით დაიძრა. 27 აპრილსვე დილით დაიწყო ბოლშევიკთა გამოსვლები თავად ბაქოში. მათ დაიკავეს: რკინიგზის სადგური, ფოსტა-ტელეგრაფი, რადიოსადგური, მნიშვნელოვანი ნავთობსარეწები, საპოლიციო უბნები. ბაქოს გარნიზონი რევკომის მხარეს გადავიდა. რევკომს მხარს უჭერდა კასპიის ზღვის ფლოტილიაც[5]. იმ დროს აზერბაიჯანის ჯარის უდიდესი და საუკეთესო ნაწილი იდგა ყარაბაღში, სადაც მარტის ბოლოს სამხედრო მოქმედებები განახლდა.

შექმნილი ვითარების განსახილველად შეკრებილმა აზერბაიჯანის პოლიტიკურმა ელიტამ არ გაიზიარა წინადადება ბაქოს დატოვების, განჯაში გადასვლისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელების შესახებ. 23:00 საათზე აზერბაიჯანის პარლამენტმა (1 - წინააღმდეგი, 3 - თავი შეიკავა, 3 - მონაწილეობა არ მიიღო კენჭისყრაში) გადაწყვიტა (მიიღო გადაწყვეტილება) ხელისუფლება რევკომისთვის გადაეცა[6].

28 აპრილს, გამთენიის 4 საათზე, საბჭოთა ჯავშანმატარებლები უკვე ბაქოში იყვნენ.

მეორე დღეს, 29 აპრილს, საქართველოს მთავრობამ ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა.

1920 წლის 1 მაისს ჯავშანმატარებლები და XI არმიის 32-ე დივიზიის მეწინავე ნაწილები ქალაქ განჯაში შევიდნენ. ყველაზე სერიოზული წინააღმდეგობა აზერბაიჯანის სამხედრო ნაწილებმა სწორედ განჯასთან გაუწიეს მოწინააღმდეგეს, თუმცა ვერაფერს გახდნენ[7]. იმავე დღეს მოხდა პირველი მცირე შეტაკებები საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზეც.

საერთო ვითარების წარმოსადგენად აუცილებელად გასათვალისწინებელია, რომ საბჭოთა რუსეთი იმ დროს ბრძოლებს აწარმოებდა კიდევ ორი მიმართულებით: სერიოზული ფართომასშტაბიანი ომი ჰქონდა პოლონეთთან და ებრძოდა ბარონ ვრანგელს.

სწორედ ასეთ ფონზე მიმდინარეობდა საბრძოლო მოქმედებები საქართველოსა და საბჭოთა აზერბაიჯანის საზღვარზე მაისის დასაწყისში. რა თქმა უნდა, ქართული ჯარის რეალური მოწინააღმდეგე XI არმიის ქვედანაყოფები იყო, კერძოდ 32-ე დივიზიის 96-ე ბრიგადა.

საქართველოს გენერალური შტაბის პირველი ოფიციალური ცნობა აზერბაიჯანის საზღვარზე მიმდინარე ბრძოლების შესახებ 5 მაისს გამოქვეყნდა. მასში მიმოხილული იყო ზოგადი ვითარება რესპუბლიკის საზღვრებზე 27 აპრილიდან

[5] Азербайджанская демократическая республика (1918-1920). Баку, 1998. გვ. 120.
[6] Азербайджанская демократическая республика (1918-1920). Баку, 1998. გვ. 121.
[7] Азербайджанская демократическая республика (1918-1920). Баку ,1998. გვ. 123.

3 მაისამდე პერიოდში, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვართან დაკავშირებით ეწერა, რომ „აღმოსავლეთის საზღვარზე ჩვენმა რესპუბლიკის სანაპირო ჯარებმა დაიჭირეს პოილინის[8] ხიდი მტკვრის გადაღმა და წითელი ხიდი მდინარე მტკვართან. აქ 1-ელ მაისს შეიარაღებულ თათრებმა ძალა იხმარეს ჩვენ მცირერიცხოვან ჯარზე და დაიჭირეს ეს ხიდი. ჩვენი მხრით მიღებულია საჭირო ზომები ამ ხიდის უკან დაბრუნებისთვის"[9]. მეტად მწირი ინფორმაციაა, საიდანაც მხოლოდ ის ირკვევა, რომ 1 მაისს მოწინააღმდეგემ დაიკავა წითელი ხიდი, რომელსაც ჩვენი მცირერიცხოვანი ჯარი იცავდა. ჯარის სიმცირე წითელ ხიდთან სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს.

6 მაისს გამოქვეყნებულ ცნობაში უკვე შედარებით დაწვრილებით არის აღწერილი, თუ რა ხდება წითელი და ფოილოს ხიდების მიმართულებით. „წითელი ხიდის მიდამოებში სწარმოებს ბრძოლა ადერბაიჯანის რეგულარულ ჯართან. ფოილოს მიმართულებით 4 მაისს დაღამებისთანავე მტრის ძალა, რიცხვით ერთი გუნდი შემოცვივდნენ ჩვენ მოდარაჯეებს ფოილოს ხიდის ყურეში წინ, შთაბეჭდილებით თითქოს იერიში მოიტანეს ჩვენ დარაჯებზე, მხოლოდ უცეცხლოდ. ჩვენი დარაჯები ადგილიდან არ დაიძვრნენ, რომელთაც დახვევას ლამობდნენ ან მათ ხელში ჩაგდებას. 5 მაისს, დილით 3:30 საათზე, ხიდს მოადგა მტრის ჯავშნიანი მატარებელი, წინ ჰქონდა პლატფორმა, უკან მობმული ვაგონები ხალხისთვის და დაუწყეს ჩვენს მოდარაჯე გუნდს სროლა ზარბაზნების ტყვიისმფრქვევლებიდან. ჩვენმა წინა მოდარაჯეებმა, თანახმად ბრძანებისა, დაიხიეს უკან ხიდის ქვეშ გამართული ბოგირით და ჩვენებმა მეორე მხრიდან დაუშინეს ტყვიისმფრქვეველებით, არტილერიით და თოფებით. ამასთანავე ერთად იძულებული ვიყავით აგვეფეთქებინა ხიდი"[10]. ამ ინფორმაციიდან ისე ჩანს, თითქოს ფოილოს ხიდთანაც მეტად მცირე ძალები იდგა და ბრძოლას რეალურად კვლავ მხოლოდ მესაზღვრეები აწარმოებდნენ. ირკვევა, რომ უპირატესობა ბოლშევიკების მხარეს იყო და მათი შეჩერება მხოლოდ ხიდის აფეთქებით მოხერხდა. თუ რა ვითარება იყო წითელ ხიდთან მიმდინარე ბრძოლაში, არ წერია. საინტერესოა, რომ მოწინააღმდეგედ დასახელებულია საბჭოთა აზერბაიჯანი. შესაძლოა, ეს დიპლომატიური ნაბიჯი იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ დროს მოსკოვში მოლაპარაკებებს აწარმოებდა საქართველოს მთავრობის მიერ გაგზავნილი გრიგოლ ურატაძე.

მხოლოდ 11 მაისს გამოქვეყნდა უფრო ზუსტი ინფორმცია საბჭოთა აზერბაიჯანის საზღვარზე მიმდინარე ბრძოლების შესახებ. საინტერესოა, რომ სწორედ 11 მაისს საქართველოს შეიარაღებული ძალები იწყებს დიდ კონტრიერიშს მტრის წინააღმდეგ. მანამდე მთელი ათი დღის განმავლობაში ქართველი მებრძოლები ძირითადად მძიმე თავდაცვით ბრძოლებს აწარ-

[8] იგივე ფოილოს ხიდი

[9] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" 5/V 1920 №98

[10] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" 6/V 1920 №99

მოებდნენ. სავარაუდოდ საქართველოს ხელისუფლება არ მიიჩნევდა მიზანშეწონილად ზუსტი ინფორმაციის ოფიციალურ გამოქვეყნებას და მოსახლეობისთვის მიწოდებას (თუნდაც პანიკის თავიდან ასაცილებლად) ვითარების გაუმჯობესებამდე.

11 მაისს გამოქვეყნებული ინფორმაცია იუწყებოდა: „1 მაისს აზერბაიჯანის ჯარებმა გადმოლახეს უძლიერესი ძალებით ჩვენი საზღვარი, ჩვენი ტერიტორიით შემოუარეს მას და წითელ ხიდთან მყოფი ჩვენი მოსაზღვრე პოსტი შეავიწროვეს. 2-სა და 3 მაისს საზღვარზე სროლა იყო. 4 მაისს აზერბაიჯანის ჯარები ცდილობდნენ, რომ ფოილოს ხიდთან მყოფი ჩვენი მოწინავე ნაწილისთვის ალყა შემოერტყათ, მაგრამ იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ. 5 მაისს, გათენებისას, მტერი კიდევ ცდილობდა შემოტევას ამავე ხიდზე ორი ჯავშნიანი მატარებლის დახმარებით. რომ ჯავშნიანი მატარებლებისათვის არ მიგვეცა საშუალება ჩვენს ტერიტორიაზე შემოსვლისა, ამიტომ ავაფეთქეთ ხიდი და ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა უკან დაიხიეს. 5 მაისს წითელ ხიდთან ომი გაჩაღდა. მტერი, რომელსაც მნიშვნელოვანი დამხმარე ძალა მოუვიდა და რომელსაც არტილერია ეხმარებოდა, რამდენჯერმე შეტევაზე გადმოვიდა. საღამოს დავიჭირეთ ჩვენი პოზიციები. ამ ბრძოლაში ჩვენ მოგვიკლეს 6 გვარდიელი და დაგვიჭრეს 17. განსაკუთრებით გმირულად იბრძოდა ცხენოსანი ჯარი. იმავე დღეს ჩვენმა ჰაეროპლანებმა ჩამოყარეს ყუმბარები წითელ ხიდთან მყოფ მტრის პოზიციებში. 6 მაისს მტერი არტილერიით ესროდა ფოილოსთან მყოფ ჩვენს პოზიციებს"[11].

აქ უკვე აშკარად საუბარია იმაზე, რომ მაისის დასაწყისში წითელ ხიდთან მძიმე ბრძოლები წარმოებდა და მოწინააღმდეგემ შეძლო საქართველოს საზღვრებში შემოსვლა.

მთავარსარდალმა მართებულად განსაზღვრა, რომ წითელ და ფოილოს ხიდებს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ სასწრაფოდ გაგზავნა ფოილოს ხიდისკენ გვარდიის არამობილიზებული ბატალიონი პოლკოვნიკ კონჩუევის მეთაურობით[12]. ფოილოს ხიდთან ბრძოლაში თავი გამოიჩინა მაიორ მახარაძის საარტილერიო ბატარეამ. გენერალი კვინიტაძე იგონებდა: „მამაცი მაიორის მახარაძის ბატარეამ ჯავშანმატარებელს სერიოზული ზიანი მიაყენა, მათ შორის, მტრის ერთი ქვემეხი მწყობრიდან ამოაგდო"[13]. ფოილოს ხიდის აფეთქება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან არა მარტო მოწინააღმდეგის შეტევას ვაჩერებდით, არამედ „ამავე დროს, ხიდის აფეთქებით ჩვენ დროს ვიგებდით; სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობას ვეღარ მიიღებდა მოწინააღმდეგის ჯავშანმატარებლები; გაითიშა ბოლშევიკთა მოქმედება ზაქათალისა და წითელი ხიდის მიდამოებში; იძულებული ხდებოდნენ წითელი ხიდიდან შემოეტიათ, ანუ ჩვენთვის წინასწარ ცნობილი ხდებოდა მათი მოქმედება; მტერი იმ

[11] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" 11/V 1920 №103
[12] გ.კვინიტაძე, ჩემი მოგონებები ტ.1 გვ. 152
[13] გ.კვინიტაძე, ჩემი მოგონებები ტ.1 გვ. 161

მიმართულებით წამოვიდოდა, სადაც ჩვენ დიდი ძალების კონცენტრაცია შეგვეძლო"[13].

ძალების კონცენტრაცია წითელ ხიდთან კი ნელა მიმდინარეობდა. თავდაპირველად წითელი ხიდისკენ გაგზავნილი იყო გვარდიის კახეთის ბატალიონი, საარტილერიო ბატარეა და გვარდიისვე ცხენოსანი დივიზიონი[15], თუმცა ამ ძალებით ხიდის დაცვა ვერ მოხერხდა.

ბრძოლის პირველი დღეების განმავლობაში უპირატესობას აშკარად მოწინააღმდეგე ფლობდა. მან დაიკავა წითელი ხიდი და 5-6 ვერსის მანძილზე შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე. გენერალი კვინიტაძე წერდა: „წითელ ხიდთან მდგომმა გვარდიის ბატალიონმა უკან დაიხია. მოწინააღმდეგის შეჩერებას გვარდიის ცხენოსანი დივიზიონი ცდილობდა გიორგი (გოგი) ხიმშიაშვილის მეთაურობით" [16]. ვითარება რომ მძიმე იყო, ადასტურებს სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსის, ვალიკო ჯუღელის 7 მაისის ჩანაწერიც: „7 მაისი. თბილისი. დილა. გუშინ დილით ადრე წავედი სანდარაში[17], საიდანაც საგანგაშო ცნობები მოდიოდა. განგაში არ გამართლდა, თუმცა რაღაცეები არ იყო კარგად. ცოტა გვიმტყუნეს სიღნაღელებმა. გადამწყვეტ მომენტში, როდესაც მოწინააღმდეგემ რეზერვები და არტილერია ჩააბა ბრძოლაში, ბატალიონმა უკან დაიხია. საბედნიეროდ, ცხენოსანმა დივიზიონმა ხაზი გაასწორა. სანდარაში ვლადიმერმა განაიარაღა და დააპატიმრა ლაჩრები. გადაწყდა უფრო სერიოზულად მივხედოთ კახეთის მიმართულებას. იქ თავს ვუყრით დიდ ძალებს და ფრონტის უფროსად დაინიშნა ჯიჯიხია"[18]. აშკარაა, რომ უკანდახევასთან ერთად იყო პანიკაც და დეზერტირობაც.

პირველი დღეების წარმატებებმა ბოლშევიკების ნაწილი, როგორც ჩანს, ოპტიმისტურად განაწყო. 4 მაისს ს. ორჯონიკიძე მოსკოვში უპატაკებდა ლენინსა და სტალინს, რომ ყველაფერი კარგად მიდის და არა უგვიანეს 12 მაისისა ის უკვე თბილისში იქნება - „**События развертываются так, что не позже двенадцатого надеемся быть в Тифлисе, для этого все сделано. Пройдет блестяще**"[19]. 1 მაისს წითელ ხიდთან დაწყებული ბრძოლის პარალელურად იგეგმებოდა არეულობების დაწყება თბილისშიც. გაზეთი „ერთობა" იუწყებოდა: „უნდა აღინიშნოს, რომ მთელი კვირა ტფილისში ბოლშევიკების აგენტები ხმებს ავრცელებდნენ, რომ პირველ მაისს გამოსვლა მოხდებაო. ბევრ გულუბრყვილო მოქალაქეს მართლა ეგონა რაღაც მოხდებაო". 1 მაისს მართლაც 40-50 კაცი ორი მანქანით მიადგა მუშათა სასახელეს. მათ გაშალეს ტრანსპარანტები და

[13] გ.კვინიტაძე. ჩემი მოგონებები ტ.1 გვ. 161-162
[15] გ.კვინიტაძე. ჩემი მოგონებები ტ.1 გვ. 153; 163
[16] გ.კვინიტაძე. ჩემი მოგონებები ტ.1 გვ. 163
[17] სარკინიგზო სადგური მარნეულთან
[18] В.Джугели. „Тяжолый Крест (записки народногогвардейца) 1920". Тф. 1920 გვ. 210
[19] Счастье на штыках. Секретная борьба в большевистском руководстве по поводу «советизации» Закавказья. Исторический альманах „Лабиринти времени". http://www.hist.ru/kavbolsh.html

მანიფესტაციის დაწყება სცადეს, მაგარამ მოსახლეობა უარყოფითად შეხვად და დაიფანტნენ[20]. ამავე გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო 1-დან 2 მაისის ღამეს (?) თავდასხმა სამხედრო სკოლაზე.

საინტერესოა, რომ 4 მაისს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა კერზონმა ნოტა გაუგზავნა რსფსრ-ის საგარეო საქმეთა კომისარ ჩიჩერინს და ამ ნოტაში სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნული იყო შემდეგი: „Эти вопросы могут послужить предметом обсуждения между нами лишь после полного прекпащения враждебных действии как в криму, так и на границах кавказских государств, где ваши войска ведут борьбу с британскими войсками или же с друзьями Великобритании ... Единственным средством для успешного восстановления мира является гарантия отказа от дальнейших нападений"[21]. ერთადერთი კავკასიური სახელმწიფო, რომლის საზღვრებთანაც 1920 წლის 4 მაისს საბჭოთა რუსეთს ომი ჰქონდა, საქართველო იყო. ლორდი კერზონი ფაქტობრივად პირდაპირ მოითხოვდა მოსკოვისგან საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების შეწყვეტას. ჩიჩერინმა 5 მაისს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გაუგზავნა საპასუხო ნოტა, რომელშიც დაუფარავად ცრუობდა, როდესაც წერდა, რომ საბჭოთა რუსეთის სამხედრო ძალების მოქმედება კავკასიაში შეჩერებულია. იქვე აღნიშნული იყო, რომ მოსკოვმა მიმართა მეზობელ სახელმწიფოებს, რათა დაწყებულიყო სამშვიდობო მოლაპარაკებები. საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი იმასაც შენიშნავდა, რომ საბჭოთა მთავრობა მზად იყო გაეთვალისწინებინა ბრიტანეთის სპეციალური ინტერესები კავკასიაში, თუკი ბრიტანეთი მათ შესახებ განაცხადებდა[22].

იმ დროს კი მოსკოვში მოლაპარაკებებს აწარმოებდა გრიგოლ ურატაძე. საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობა მოლაპარაკებებს აშკარად აჭიანურებდა და მოვლენათა განვითარებას ელოდა. მართალია, საქართველოსთან მიმდინარე ბრძოლებში „წითლებს" გარკვეული წარმატებები ჰქონდათ, მაგრამ ეს რეალურად ჯერ არაფერს ნიშნავდა. არავინ იცოდა, რა მოხდებოდა მომავალ დღეებში და რამდენად იქნებოდა შესაძლებელი თბილისზე იერიში. მოსკოვში ალბათ ხვდებოდნენ, რომ თბილისის აღება რთული იქნებოდა. თბილისზე იერიში შესაძლოა საქართველოსთან ფართომასშტაბიან და გაჭიანურებულ ომში გადაზრდილიყო. აწყობდა კი ასეთი ომი საბჭოთა ხელმძღვანელობას იმ დროს, როდესაც საბჭოთა რუსეთს უმძიმესი ვითარება ჰქონდა დასავლეთის ფრონტზე? აშკარად არა! ამას ადასტურებს მოსკოვიდან გამოგზავნილი დეპეშაც.

5 მაისს მოსკოვიდან გაგზავნილი დეპეშით ორჯონიკიძეს უბრძანეს საქართველოს საზღვრიდან უკან დაეწია საბჭოთა ნაწილები, რადგან შესაძლებელი იყო საქართველოსთან ხელშეკრულების გაფორმება: „ЦК обязывает

[20] გაზეთი „ერთობა" 4/V 1920

[21] Документы внешней политики СССР. Т.2 М. 1958 გვ.504

[22] Документы внешней политики СССР. Т.2 М. 1958 გვ.503

Вас отвести части от пределов Грузии к границе и воздержаться от наступления на Грузию. После переговоров с Тифлисом ясно, что мир с Грузией не исключен...". მიღებულმა პასუხმა ორჯონიკიძე მეტად გააბრაზა: „Меня поражает, каким образом вы верите лживым заявлениям Гегечкори ... Мы все считаем спасение погибающего Грузинского меньшевистского правительства непоправимой ошибкой, но нечего говорить, что все ваши распоряжения будут выполняться нами очень точно и непреклонно ... По-моему, если международная обстановка навязывает нам эту комедию, то по крайней мере необходимо потребовать от них объявления Советской власти". სტალინი ცდილობდა დაემშვიდებინა ორჯონიკიძე: „Обстановка такая, что сейчас торопиться с Грузией в смысле превращения ее в советскую мы не должны, все равно через несколько месяцев, если коммунисты будут легализованы, она и так станет советской"[23].

8 და 9 მაისს ძირითადი ბრძოლები კვლავ წითელი ხიდის რაიონში მიმდინარეობდა. გენერალური შტაბის ოფიციალური ინფორმაცია იუწყებოდა: „ჩვენს პოზიციებზე 8 მაისს საღამოთი წითელი ხიდის რაიონში მტრის ცხენოსანი ჯარი ქვეითი ჯარის დახმარებით შეტევაზე გადმოვიდა, მაგრამ უკანვე ვაგდეთ. 9 მაისს საღამოთი სოფელ ტაკიალის რაიონში გამოჩნდა მტრის რაზმი, მაგრამ ჩვენი რაზმის გმირული შეტევით, რომელსაც ვახმისტრი შელია უძღოდა უკუვაქციეთ. მტერს მოუკალით 1 ოფიცერი და დაუჭერით 4 ჯარისკაცი. ჩვენ არავითარი ზარალი არ მოგვსვლია. 9 მაისს ლაგოდეხის აღმოსავლეთით მყოფ რაიონში ჩვენ მოსაზღვრე რაზმს თავს დაესხნენ შეიარაღებული ლეკები. სროლის დროს მოკლულ იქნა საყარაულოს უფროსი ლეიტენანტი ყიფიანი. ლეკები დიდი ზარალით უკუვაგდეთ. ამ ბანდების საბოლოოდ სალ(ო)იკვიდაციოდ ზომები მიღებულია"[24].

8 მაისს მოწინააღმდეგის მცდელობა - შეეტია ქართული შენაერთებისთვის - უკანასკნელი აღმოჩნდა. 9 მაისიდან ინიციატივას იღებს ქართული მხარე. (ეუფლება) საინტერესოა, რომ ოფიციალურ ინფორმაციაში საერთოდ არ არის ნახსენები ფოილოსხიდი. შესაძლოა ხიდის საფეთქებისა და მტკვრის გადმოლახვის უშედეგო მცდელობების შემდეგ საბჭოთა ნაწილებმა ამ მიმართულებით აქტივობა შეწყვიტეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არც შემდგომი დღეების განმავლობაში ჩნდება ინფორმაცია ფოილოს ხიდთან ბრძოლის შესახებ; მათ შორის არც იმ პერიოდში, როდესაც ქართული შენაერთები კონტრშტევაზე გადავიდნენ. იმ მიმართულებაზე პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობდა.

ძნელი სათქმელია, ლაგოდეხის რაიონში ლეკთა თავადასხმა ცალკე აღებული შემთხვევითი მოვლენა იყო, თუ იმ მიმართულებაზე XI არმიის ქვედანაყოფების შეტევის შემადგენელი ნაწილი. ალბათ უფრო პირველი მო-

[23] Счастье на штыках. Секретная борьба в большевистском руководстве по поводу «советизации» Закавказья. Исторический альманах „Лабиринти времени". http://www.hist.ru/kavbolsh.html

[24] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 11/V 1920, №103.

საზრებაა მისაღები, თუნდაც იმიტომ, რომ არ გვაქვს სხვა ინფორმაცია იმ მიმართულებით მეტ-ნაკლები ინტენსივობის საბრძოლო მოქმედებებზე.

წითელ ხიდთან მიმდინარე ბრძოლების რაიონში საქართველოს შეიარაღებული ძალების დამატებითი ძალების ჩამოსვლა 8 მაისის საღამოდან იწყება და შემდგომ დღეებშიც გრძელდება. ძირითადად ეს სახალხო გვარდიის ბატალიონები იყო. 9 მაისს ქართული მხარე იწყებს კონტრშეტევას, რომელიც წარმატებით გრძელდება მეორე დღესაც.

წითელი ხიდის გარდა, საბჭოთა რუსეთის ნაწილებს პოზიციები ჰქონდა დაკავებული ბობკაირისა (იგივე ბაბაკიარი/ბაბაკერი) და ტარსის სიმაღლეებზე, საიდანაც მათი განდევნა მეტად რთული ამოიცანა იყო.

ოფიციალური ცნობები ფრონტიდან მეტად სიტყვაძუნწი იყო: „ტფილისი 11 მაისი. გუშინ 10 მაისს წითელი ხიდის რაიონში ჩვენ ბრძოლით მტერი 4-5 ვერსით უკან დავწიეთ. ჯარების უფროსები ერთხმად ადასტურებენ ჩვენი ჯარისკაცების გმირობას. იმავე დღეს ჩვენი ჰაეროპლანები მტრის ზურგს ესროდა ყუმბარებს და ჰყრიდა პროკლამაციებს საქართველოს რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის ზავის შეკვრის შესახებ. 11 მაისს დილიდან წითელი ხიდის რაიონში ბრძოლა სწარმოებს. სხვა მიმართულებებზე სიწყნარეა"[25].

10 და 11 მაისს ბრძოლების დროს მოწინააღმდეგე უკან იხევდა, მაგრამ სამხედრო მოქმედებები ჯერ კიდევ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. საინტერესოა, რომ აეროპლანებიდან მოწინააღმდეგის თავზე ყრიდნენ პროკლამაციებს, რომლებშიც აღნიშნული იყო საბჭოთა რუსეთთან ზავის დადება. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს. რომ საქართველოს ხელისუფლება კარგად ხვდებოდა, თუ რეალურად ვისთან ჰქონდა ომი.

მთავარი ამოცანა იყო სტრატეგიულ სიმაღლეებზე (ბაბაკიარი და ტარსის მთა) გამაგრებული მოწინააღმდეგის განდევნა და წითელი ხიდს დაბრუნება. ეს შეტევის პირველი ეტაპი იყო.

12 მაისს განხორციელდა მძლავრი იერიში, რომლის შედეგადაც მოწინააღმდეგემ დატოვა საქართველოს საზღვრები. ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავა წითელი ხიდი და სტრატეგიული სიმაღლეები: ბაბკაირის ქედი და ტარსის მთა[26]. წითელი (იმავე ხრამის) ხიდის განთავისუფლება, რომ 12 მაისს დილის 5 საათზე მოხდა, ამას ვალიკო ჯუღლის ინფორმაციაც ადასტურებს[27].

უნდა აღინიშნოს, რომ გვარდიის ცხენოსანი დივიზიონი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო ქართული ქვედანაყოფი იყო, ძალიან აქტიურად მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში და მნიშვნელოვან როლსაც თამაშობდა. რაც შეეხება დივიზიონის მეთაურს, პოლკოვნიკ გოგი ხიმშიაშვილს, ის ერთ-ერთი საუკეთესო სამხედრო მეთაური იყო.

ქართული შენაერთების მიერ წარმატებული კონტრშეტევის დაწყებას

[25] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" 12/V 1920 №104

[26] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 12/V. 1920. №104.

[27] ვ. ჯუღელი, „მძიმე ჯვარი". ჟურნალი „სახალხო გვარდიელი". №6. 20/II. 1921.

საბჭოთა მკვლევარებიც არ უარყოფდნენ. XI არმიის ოპერატიულ ცნობებზე დაყრდნობით ა.კადიშევი აღნიშნავდა, რომ, 32-ე დივიზიის მეთაურის მოხსენების თანახმად, 11 მაისს, 16:00 საათზე, ქართველების ორმა აეროპლანმა ყუმბარები ჩამოყარა მოწინააღმდეგის პოზიციებზე. ამავე დროს ფოილოსა და წითელი ხიდის მიდამოებში ცეცხლი გახსნეს ქართველმა არტილერისტებმაც. ქართული მხარე აქტიურად იყენებდა ტყვიამფრქვევებსაც. 19:00 საათზე საქართველოს შეიარაღებული ძალები არტილერიის მხარდაჭერით შეტევაზე გადავიდა წითელი ხიდის მიმართულებით. ფოილოს ხიდის რაიონში ქართველებმა კვლავ საარტილერიო მხარდაჭერით ნავების საშუალებით მტკვრის გადალახვა სცადეს სოფელ სალახის პირდაპირ, მაგრამ უკუგდებულ იქნენ. საბჭოთა ნაწილები განიცდიან დანაკლისს, იმყოფებიან პასიურ დაცვაში, ამიტომ მოწინააღმდეგე კიდევ უფრო აქტიურობს. ქართველების მძიმე არტილერიის წინააღმდეგ გაიგზავნა ჰაუბიცების დივიზიონი[28]. 12 მაისს 15:00 საათზე ქართველთა ჯავშან-მატარებელმა დაცხრილა ფოილოს ხიდი. წითელ ხიდთან კი 3000 კაცით და 20 ზარბაზნით გადმოვიდა შეტევაზე. 287-ე პოლკმა უკან დაიხია სადგურ კაი-მახლუდან 2 კილომეტრში. საბჭოთა მკვლევარის წიგნში არსებული ინფორ-მაციით, ფოილოს ხიდთან საბჭოთა რუსეთის ქვედანაყოფებმა შეძლეს შეტევის მოგერიება[29].

სავარაუდოდ ასეც იყო ალბათ. ფოილოს ხიდის აფეთქების შემდეგ მდინარე მტკვრის გადალახვა, როდესაც მერე ნაპირზე მოწინააღმდეგე იდგა, მეტად რთული იქნებოდა. თანაც მთავარი დარტყმა წითელი ხიდის მიდამოებში განხორციელდა, რადგან სწორედ იქ იყო მტერი შემოჭრილი ჩვენს საზღვრებში და იქედან იქმნებოდა(მოდიოდა, ჩანდა) ყველაზე დიდი საფრთხე. აღსანიშნავია, რომ არც ქართული წყაროები იძლევა ინფორმაციას ფოილოს ხიდთან დიდი შეტევის შესახებ. როგორც (ერთხელ) აღვნიშნეთ, იქ მხოლოდ პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობდა. არაა გამორიცხული, რომ ფოილოს ხიდთან სა-ბრძოლო ოპერაციის დაწყების იმიტაცია, რაც საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ქართველთა დიდ შეტევად ჩათვალა, მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანას ითვალისწინებდა.

12 მაისს საღამოს სოფელ შიხილში შეიკრიბა სახალხო გვარდიის ხელმძღვანელობა: ვალიკო ჯუღელი, ალექსანდრე დგებუაძე, ხარაში და სხვ. ამ შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე ზ. დათიაშვილი წერდა: „მოვილაპარაკეთ საჩქარო კითხვებზე და შემდეგ დავსვით მთავარი – შემდეგი მოქმედების გეგმა. ერთხმად გადაწყდა, რომ წინსვლა ჯერჯერობით შევაჩეროთ. დავისვენოთ შიხალის ხაზზე, მივიღოთ სურსათი და ტყვიები და მოვუცადოთ რეზერვს და თუ ამ დროში მტერი ზავს არ მოითხოვს, წავიდეთ წინ. რეზერვისა და სხვა საქმეების მოსაწყობად ტფილისში წავიდნენ ლადო და ვალიკო, ხოლო მე და ალექსანდრე

[28] А.Б.Кадишев, Интервенция и гражданская война в закавказии 1960 г. М. გვ. 274.
[29] А.Б.Кадишев, Интервенция и гражданская война в закавказии, 1960 г. М. გვ. 292.

და ხარაში სარდლობასთან ერთად შევუდექით დღიურ საქმეების მოწესრიგებას. სხვათა შორის, ახალი პოზიციების გამაგრების საქმეს. ის იყო ღამდებოდა, რომ მთავარსარდლის დეპეშა მივიღეთ ტფილისიდან, სადაც გვატყობინებდა ზოგ ახალ ცნობებს კონტრდაზვერვიდან და ბრძანებდა დაუყოვნებლივ წინსვლას. ჩვენ ყველანი შეუძლებლად ვთვლიდით ამის ასრულებას, მაგრამ ბოლოს ვთქვით, რაკი ავირჩიეთ დავემორჩილო-თქო და დავიწყეთ მზადება"[30]. ძალიან საინტერესოა ფრაზა: „ჩვენ ყველანი შეუძლებლად ვთვლიდით ამის ასრულებას, მაგრამ ბოლოს ვთქვით, რაკი ავირჩიეთ, დავემორჩილო-თქო", რაც იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ გვარდიის ხელმძღვანელობას გარკვეული დისკუსიაც ჰქონია შემდგომ მოქმედებებთან დაკავშირებით და გადაწყვეტილებაც ამის შემდეგ მიუღია. ომის დროს მთავრსარდლის ბრძანებების შესრულება-შეუსრულებლობაზე დისკუსიის გამართვა შეცდომაა.

12 მაისსვე, თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, გამოცხადდა „საქართველოს ქვეშევრდომ ქვეითთა ჯარის ოფიცერთა მობილიზაცია".

13 მაისს დილით ქართულმა შენაერთებმა კვლავ ორ კოლონად - მარჯვენა და მარცხენა - განაგრძო შეტევა. სამხედრო მოქმედებები უკვე საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. ორივე კოლონას გენერალი ჯიჯიხია ხელმძღვანელობდა. როგორც მთავარსარდალი წერდა: „გენერალ ჯიჯიხიას რაზმი ომის გადამწყვეტი კი არ იყო, არამედ მხოლოდ მეწინავე ნაწილი, ანუ ავანგარდი ... მტრის ტერიტორიაზე მისი ღრმა შეჭრაც მაფიქრებდა, ამიტომ ამ რაზმს მხოლოდ მთისწინეთამდე მისვლა ვუბრძანე. ეს ზოლი ჩვენი საზღვრიდან 20-25 ვერსში იყო და ზოგიერთმა ნაწილმა საზღვრის გადალახვის შემდეგ 4-5 დღეში მიაღწია"[31].

მარცხენა კოლონას შეადგენდა: გვარდიის კახეთის ბატალიონები და თბილისის ბატალიონების ნაწილი. მარჯვენა კოლონაში კი იყვნენ გვარდიის: სამტრედიის და შორაპნის ბატალიონები და ასევე თბილისის ბატალიონების ნაწილი.

14 მაისს მიმდინარე ბრძოლების შედეგად ქართულმა შენაერთებმა შეძლეს აბეგის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქედის დაკავება[32]. სახალხო გვარდიელებმა ქედზე პოზიციების მოწყობა-გამაგრება დაიწყეს.

13-14 მაისის ბრძოლებმა აჩვენა, რომ გენერალ ჯიჯიხიას დაქვემდებარებაში მყოფი შენაერთები აშკარად დასვენებას საჭიროებდნენ. მეწინავე ნაწილებს ჩამორჩა აღალიც და ეს მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა. ოთხდღიანი შეუჩერებელი შეტევის შემდეგ ქართული ნაწილები საკმაოდ დაღლილი ჩანდა და აუცილებლად საჭიროებდა დასვენებას. ამიტომ 15 მაისს შეტევა აღარ გაგრძელებულა და ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. ფრონტზე თითქოს

[30] „წერილები ფრონტიდან". გაზეთი „ერთობა", 23/VI 1920 №139.
[31] გ. კვინიტაძე. „ჩემი მოგონებები". ტ. 2, გვ. 166.
[32] „წერილები ფრონტიდან". გაზეთი „ერთობა", 24/VI. 1920. №140.

სტაბილური ვითარება იყო, მოწინააღმდეგე არ აქტიურობდა, ამიტომ მთავარსარდლის შემდეგ ფრონტი სახალხო გვარდიის ხელმძღვანელობამაც დატოვა და დედაქალაქში დაბრუნდა.

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა 15-16 მაისის ღამეს. თუ რა მოხდა 15-16 მაისის ღამეს, დაწვრილებით არის აღწერილი იმდროინდელ პრესაში: „ერთი გვარდიელი მოვარდა და ხმამაღლა გვითხრა, რომ მარჯვენა მხარეზე გვარდია უკან იხევსო. კარგარეთელმა ამბის მომტანი დატუქსა, მაგრამ წასვლა და სინამდვილის გაგება საჭიროდ დაინახა. ჩვენ წავედით უკან ცხენებისკენ. ჯერ კიდევ ათი საჟენი არ ვიქნებოდით გაცილებული სანგრებს, რომ ჩვენი თანამგზავრი ოფიცერი წულეისკირი ქარიშხალისგან გადატეხილი ალვის ხესავით წაიქცა. მე იქვე ხის ქვეშ მდგარ გვარდიელს მივაძახე, მიეშველეთ, სანიტრებს დაუძახეთ-თქო და განვაგრძე გზა. ჩვენ დაუზოგავად გავახტუნეთ ცხენები, მაგრამ ავიარეთ თუ არა ერთი სერი, მაშინვე შევნიშნეთ, რომ მარჯვნივ სულ მაღალი ქედიდან, რომელიც ეჭირა სამტრედიის ბატალიონის ერთ ნაწილს, გვარდია მოხსნილიყო და გამწკრივებული მოდიოდა. თვით მაღლობზე უკვე მტერი იდგა ჯგუფად და ქართულ ენაზე რაღაცას მოსძახოდა ჩვენებს. მივაჭენეთ ცხენები, მაგრამ ვერავინ ვერ აგვიხსნა, საქმე რაში იყო. ცხადი იყო მხოლოდ ერთი, რომ მაღლობის ერთ კუთხეში სამტრედიელებს მტერი ამოპაროდათ და კუთხე მოულოდნელად ხელთ ეგდო. გუნდს მოჩვენებია, რომ მტერმა თავი მოუარა და გზას უჭრის, რის გამო მაღლობი დაუცლია. როგორ ამოეპარა მათ მტერი, ჯერაც გაურკვეველია, რადგან ქედზე იმ კუთხის მცველნი (20 კაცამდე) ტყვეთ დარჩნენ. ამბობენ მხოლოდ, რომ მტერი შემოეტყუა სომხებათო, რაც ჭკუასთან ახლო უნდა იყოს"[33]. სამტრედიელების უკან დახევამ, მოწინააღმდეგის მიერ ახლად დაკავებული სიმაღლიდან ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლის გახსნამ გვარდიის ბატალიონებში არეულობა გამოიწვია. წვიმიანი ღამე ვითარებას ართულებდა. კომუნიკაცია ფაქტობრივად არ იყო. მოწინააღმდეგემ ძლიერი ცეცხლი გახსნა მარცხენა ფლანგზე მყოფი კახეთის ბატალიონების მიმართულებითაც. აშკარა გახდა, რომ აუცილებლად დასაბრუნებელი იყო სამტრედიელთა მიერ დატოვებული სიმაღლე, თუმცა შექმნილ ვითარებაში ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. გადაწყდა უკან დახევა და ახალ პოზიციებზე გამაგრება, მაგრამ არავინ უწყოდა, თუ სად იყო ეს ახალი პოზიციები. „უბედურება იმაში იყო მხოლოდ, რომ ჩვენ არ ვიცოდით, სად დანიშნა სარდალმა ეს ახალი პოზიციები და არც მოდიოდა არავინ ამის სათქმელად. არ იცოდა ეს არც წასულმა ჯარმა და თურმე არც მათ შეხვედროდა ვინმე წინ ამის მთქმელი. მოხდა გაუგებრობა: თურმე ყველა ეს ტელეფონით უთხრეს კარგარეთელს, ხოლო მან სიტყვიერად გადასცა ბოლქვაძეს, სამტრედიის ბატალიონის უფროსს, რომელმაც ის ამბავი მოიტანა, რომ უნდა დავიხიოთ, ხოლო სად და რომელ ადგილზეო, ეს კი დაავიწყდა. ამის

[33] „წერილები ფრონტიდან". გაზეთი „ერთობა", 29/VI. 1920, №144.

გამო ჯარს უვლია შიხილოვამდე და თვით წითელ ხიდამდე"[34].

ამ მარცხს ვალიკო ჯუღელიც აღწერს თავის „მძიმე ჯვარში": „გუშინ დიდი მარცხი მოგვივიდა. გაძლიერებულმა მოწინააღმდეგემ ჩვენი მარჯვენა ფლანგი უკუაგდო. ეს იმანაც გაუადვილა, რომ ჩვენი მცირერიცხოვანი ნაწილები, 20 ვერსის მანძილზე რომ იკავებდნენ ფრონტს, ძალიან დაღლილი იყვნენ გაბმული მძიმე ბრძოლებით. ჩვენ ვიცოდით, რომ მოწინააღმდეგეს განჯიდან და ბაქოდან მოყავს დამატებითი ძალები. ჩვენ კი ახალი ბატალიონებიც არ გაგვიგზავნია და მებრძოლი ბატალიონებიც დაიღალნენ. და გადამწყვეტ მომენტში, როდესაც გაძლიერებულმა მოწინააღმდეგემ საერთო შეტევა დაიწყო ფრონტზე გვყავდა 1800 ხიშტი. ჩვენ ცოტა გავყოყოჩდით და არ შევაფასეთ მოწინააღმდეგის ძალა. მთავარი კი ისაა, რომ ჩვენმა სამხედრო ხელმძღვანელობამ არ იზრუნა დროზე გადაესროლა რეზერვები ფრონტზე. ჩვენ მოგვცეს ძალიან მცირე ძალები და დაგვისახეს ძალიან დიდი ამოცანა. ჩვენ სულ ვაფრთხილებდით, მაგრამ არ გვისმენდნენ. ამ მარცხში დამნაშავეა მთავარი შტაბი, ალექსანდრე, ვლადიმერი, ზაქარია და მეც. ჩვენ გაგვიტაცა ბრძოლამ. გავხდით რიგითი მებრძოლები და საკუთარი ნებით უარი ვთქვით გამოცდილ ძველ პრაქტიკაზე, უარი ვთქვით რეალურ ხელმძღვანელობაზე. ჩვენ მთელი გვარდია გადავეცით სარდლობის ხელში და ეხლა ვითვლით საკუთარ მძიმე დანაკარგებს. ვაჯამებთ მთავარსარდლობის კულტის სამწუხარო შედეგებს"[35].

ქართული ჯარის რაოდენობის დადგენა რთულია. ვალიკო ჯუღელის მიხედვით, მხოლოდ 1800-2000 ხიშტი იყო 20 ვერსზე გაჭიმულ ფრონტის ხაზზე. ა. კადიშევი წერდა, რომ წითელ ხიდს ქართველთ 3-ათასკაციანი შენაერთი უტევდა[36]. აშკარად გადამეტებულია აკაკი რამიშვილის ცნობა, რომ 40-ათასიანი ჯარი გვყავდა[37]. საქართველოს გენერალური შტაბის ინფორმაციით, 1920 წლის 25 აგვისტოსთვის მხოლოდ რეგულარ არმიაში სახეზე იყო დაახლოებით 26 ათასი კაცი[38], საბჭოთა რუსეთის სადაზვერვო მონაცემებით კი, იმავე პერიოდში გვარდიასა და არმიაში ერთად დაახლოებით 36 ათასი კაცი იყო[39]. ჩვენ მიერ ნანახი წყაროების მიხედვით ფრონტზე გვარდიის 8-10 ბატალიონი და ცხენოსანი დივიზიონი იბრძოდა. ფრონტზე იმყოფებოდნენ არმიის ცალკეული ქვედანაყოფებიც და მოხალისეებიც[40]. ძალიან ზოგადი დათვლით ფრონტზე დაახლოებით 4-5 ათასი მებრძოლი უნდა ყოფილიყო.

ქართული შენაერთების უკანდახევა წითელ ხიდამდე გაგრძელდა. აქ

---

[34] „წერილები ფრონტიდან", გაზეთი „ერთობა". 29/VI. 1920. №144.

[35] В.Джугели, „Тяжолый Крест (записки народногвардейца) 1920". Тф. 1920 გვ. 215

[36] А.Б.Кадишев, Интервенция и гражданская война в закавквзии 1960 г. М. გვ. 292

[37] ა.რამიშვილი, „ჩვენი შეცდომები 1918-1921" თბ. გვ. 63

[38] სსცა, ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 146, ფურცელი 3.

[39] სსცა, ფონდი 1969, ანაწერი 1, საქმე 670, ფურცელი 10.

[40] ერთ-ერთი მოხალისე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი სერგო ივანეს ძე თვარაძე დაიღუპა 11 მაისს წითელ ხიდთან.

ისინი შეჩერდნენ, კვლავ მოეწყვნენ საბრძოლო კოლონებად და 16 მაისს დღის მეორე ნახევარში წინსვლა დაიწყეს. მალე ისინი ისევ საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ.

ქართული მხარე დიდი შეტევისთვის ემზადებოდა. მთავარსარდალმა ძალები საიერიშოდ მოამზადა. გენერალი კვინიტაძე წერდა: „არმიელთა ნაწილებისგან საჯარისო ჯგუფი შევქმენი ... 1 - პოლკოვნიკ ჩხეიძის - სადახლოდან აღმოსავლეთით, კერპილთან; 2 - გენერალ ჯიჯიხიასი - წითელი ხიდის აღმოსავლეთით. ამ ჯგუფმა უბრძოლველად მიაღწია იმ ადგილს, რომელიც ავბედით ღამემდე ეკავა; 3 - გენერალ იოსებ გედევანიშვილის - სალ-ოღლისთან, ფოილოს ხიდის მიამრთულებით; 4 - გენერალ სუმბათაშვილის - ლაგოდეხთან. მთელი ამ ძალების 4/5 თავმოყრილი იყო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სადახლოს ზოლიდან წითელ ხიდამდე[41]".

წარმატების იმედს ისიც იძლეოდა, რომ „ჯარი მობილიზებული იყო, გვყავდა სამბატალიონიანი პოლკები. ჯარისკაცებს მშვენიერი განწყობა ჰქონდათ. ისინი სერიოზულად აღიქვამდნენ ვითარებას და მზად იყვნენ მოქმედებისთვის. ჩვენმა ნაწილებმა წარმატებას მიაღწიეს და მტრის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, რაც გამარჯვების იმედით ავსებდა. დისციპლინაც უკეთ იყო მოგვარებული, ვიდრე 1919 წელს ახალციხის ლაშქრობისას. სურსათითა და ტანსაცმლით მომარაგება დამაკმაყოფილებელი იყო. ტყვია-წამლის მხრივ კი მოვიკოჭლებდით ... ასე თუ ისე, საბრძოლო მარაგი სავსებით კმაროდა ბოლშევიკების ამიერკავკასიიდან გასარეკად[42]".

მთავარსარდალი იმასაც ითვალისწინებდა, რომ „ამ დროს ბოლშევიკები პოლონეთისა და ვრანგელის წინააღმდეგ მოქმედებაზე გადაერთნენ და ჩვენს ქვეყანას იმდენ ყურადღებას ვეღარ უთმობდნენ. ვითარება ჩვენს სასიკეთოდ შემოტრიალდა ... გადავწყვიტე აღმოსავლეთის ფრონტისთვის თვითონვე მეხელმძღვანელა, რადგან აქ მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი მოვლენები უნდა განვითარებულიყო. ფრონტზე გავეშურე[43]".

ა. ჩხეიძე იგონებდა: „16 მაისს მივიღე ბრძანება, რომ სკოლა დატვირთულიყო მატარებელზე და სადგურ სადახლოსკენ დაძრულიყო. სკოლაში ბრძანებას სიხარულით შეხვდნენ. 2 მაისის შემდეგ ყველას ხელები ექავებოდა. ბრძანება მოვიდა 17:00 საათზე, მაგრამ კვირა დღე იყო და სკოლის შეკრება მხოლოდ 22:00 საათზემოხერხდა. დავიტვირთეთსამგზავროდ. პატარას, მაგრამმაგარსაბრძოლო ერთეულს წარმოადგენდა სკოლის რაზმი. მშვენიერი ათასეული 4 გუნდიდან შემდგარი თავისი 8 ტყვიამფრქვევთა გუნდით, 2 სამთო და 2 საველეზარბაზნიანი ბატარეით და 25-კაციანი ცხენოსანი მწყობრით ... სადახლოში მე დავინიშნე მთელი საარმიო ჯგუფის უფროსად. ჩემს განკარგულებაში გადმოვიდა სამხედრო

[41] გ. კვინიტაძე, „ჩემი მოგონებები", ტ.2, გვ. 168.
[42] გ. კვინიტაძე, „ჩემი მოგონებები", ტ.2, გვ. 169.
[43] გ. კვინიტაძე, ჩემი მოგონებები", ტ.2, გვ. 170.

სკოლის გარდა: 1-ლი ქვეითი პოლკი, მე-7 პოლკი, მე-5 პოლკის ორი გუნდი და შემდეგ მთელი პოლკი, მაიორ მახარაძის ბატარეა, მაიორ იოსელიანის ბატარეა და ცხენოსანი პოლკის ორი ესკადრონი მაიორ დოლიძის უფროსობით. ძალა საგრძნობი შესდგა. მთელი არმიის სამი საუკეთესო ბატარეა 12 ზარბაზნით, ძალიან კარგი 1-ლი პოლკი, სამხედრო სკოლაზე ზედმეტია ლაპარაკი, მაგრამ ცოტა მოსუსტო და საეჭვო მე-7 პოლკი.

17 მაისს სადახლოში მივიღე საბრძოლველი ოპერაციული ბრძანება. მებრძანებოდა: დავძრულიყავი კერპილზე, აქ გამეთენებინა ღამე და 18 დილით გადავსულიყავი შეტევაზე ბოლშევიკების მარცხენა ფრთის შემოვლით.

15 საათზე გამოვედი სადახლოდან. უკვე ცხენზე ვიჯექი და ჩემს წინ გავატარე სამხედრო სკოლა, რომელიც წინამავალში იყო დანიშნული, რომ მოირბინა პოლკ. ნიკოლოზ გედევანიშვილმა და გადმომცა მთავარსარდლის ბრძანება, „განსაკუთრებულ ბრძანებამდე შესრულებული არ იქნეს საბრძოლველი ბრძანება".

ამ მომენტიდან ბოლშევიკები გადარჩენილი იყვნენ და საქართველო განწირული დასაღუპავად. ეს შეიძლება ისტორიულ დღედ ჩაითვალოს და მთავრობის განკარგულება შეცდომად. ბოლშევიკების ძალები იმ დროს სუსტნი იყვნენ როგორც რიცხობრივად, ისე ვარგისიანობითაც ... ჩემი რაზმის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ შემოვლით მოწინააღმდეგეს ფრთაზე მოქცეოდა და მტერი მტკვარზე მიეწნიხა. ვამბობ, რომ სამხედრო სკოლა ცხენოსანი დივიზიონით, როგორც გაზომილი მქონდა, უკვე 19 მაისს, გათენებისას, იქნებოდა მტრის ზურგში და არც ერთ კაცს არ გაუშვებდა ყაზახის ხიდზე[44]".

თავად მთავარსარდალმა გენერალმა კვინიკაძემ კი ბრძანება შეტევის შეჩერების შესახებ თბილისში მყოფი მთავრობის თავმჯდომარისგან მიიღო. „მე უკვე გაცემული მქონდა ბრძანება, რომლის თანახმად მეორე დღეს, 19 მაისს, ჯარები შეტევაზე უნდა გადასულიყვნენ. მე და სამხედრო მინისტრი სადახლოში 18 მაისს ვიყავით. ამ დღეს მთავრობის თავმჯდომარისგან მოკლე დეპეშა მივიღე, მიბრძანებდა სამხედრო მოქმედებანი შემეწყვიტა და მოწინააღმდეგესთან მშვიდობიანი მოლაპარაკება დამეწყო[45]".

იმ დროისთვის საბრძოლო მოქმედებების რაიონში ჩასული იყო რეგულარული არმიის ქვედანაყოფები. თუ აქამდე ბრძოლის მთელი სიმძიმე ძირითადად სახალხო გვარდიის ბატალიონებზე გადადიოდა, დაგეგმილ იერიშში უკვე არმიის შეანერთებიც მიიღებდნენ მონაწილეობას. სავარაუდოდ სწორედ ისინი უნდა ყოფილიყვნენ მთავარი ძალა ამ შეტევისას. ქართული მხარის სერიოზულ მიზნებზე ისიც მიუთითებს, რომ ფრონტის ხაზზე იმყოფებოდა სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძეც.

ქართული შეიარაღებული ძალების მიერ პოზიციების სწრაფ აღდგენასა

[44] ა. ჩხეიძე, „სამხედრო სკოლა", ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ.4, გვ. 392-393.
[45] გ. კვინიტაძე, „ჩემი მოგონებები", ტ.2, გვ. 171.

და შეტევისთვის სრულ მზადყოფნას ვალიკო ჯუღელიც ადასტურებს: „18 მაისი. წითელი ხიდი. დილის 5 საათი. ჩვენ სწრაფად აღვადგინეთ ჩვენი პოზიციები. მტკიცედ გვიკავია: ბაბაკიარი, ტარსი, კაკილი და მდინარე ინჯასუსკენ დავიძარით. 18 მაისი. წითელი ხიდი. დღე. ეხლა შემოვიარეთ პოზიციები. მოწინააღმდეგე არსად ჩანს. ჩვენ აქ საკმარისი ძალები გვყავს. მზად ვართ ახალი ბრძოლისთვის, ახალი შეტევისთვის. მაგრამ შეტევა არ შეგვიძლია, რადგან არ გვაქვს სათანადო ბრძანება ჩვენი მთავრობისგან"[46].

21 მაისს მოხდა საქართველოსა და საბჭოთა აზერბაიჯანის წარმომადგენელთა შეხვედრა. მოლაპარაკებების წინ ქართულ მხარეს გაცილებით მომგებიანი პოზიცია ჰქონდა. მისი შეიარაღებული ძალები მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე იყო შეჭრილი 15-20 ვერსით და ისინი შეტევისთვის სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყო.

პირველივე შეხვედრისას საბჭოთა აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა: სულთანოვმა, შვერინმა და ეპიფანე კვანტალიანმა მოითხოვეს, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს უკან დაეხია წითელ ხიდამდე, ანუ დაეტოვებინა საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორია. საქართველოს წარმომადგენლები: გენერალი არტემ ჯიჯიხია, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი, ვალიკო ჯუღელი, ხარაში ამაზე არ თანხმდებოდნენ. მოწინააღმდეგის მხრიდან ყველაზე შეუვალი კვანტალიანი იყო. ამის გამო მას ჯუღელმა უთხრა კიდეც, რომ ის უფრო დიდი პატრიოტია აზერბაიჯანის, ვიდრე თავად აზერბაიჯანელები[47]. ეს იყო სწორედ ის კვანტალიანი, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საგანგებო კომისიას (ЧК-ს) ხელმძღვანელობდა. 23 მაისს ორივე მხარის წარმომადგენელთა მეორე შეხვედრაზეც საბჭოთა აზერბაიჯანის დელეგაცია დაჟინებით ითხოვდა საქართველოს შეიარაღებული ძალების უკან დახევას. ქართულ ნაწილებს კი სტატეგიულად მეტად მომგებიანი პოზიციები ეკავა. ჩვენი მარცხენა ფლანგი სოფელ ასლანბეგთან იმყოფებოდა და მოწინააღმდეგის მარჯვენა ფრთის ზურგში იყო გასული[48].

მოლაპარაკების შედეგად 26 მაისს დროებით ზავს ხელი მოაწერა ქართულმა მხარემ და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ქართულმა ნაწილებმა საქართველო-საბჭოთა აზერბაიჯანის საზღვრისკენ დახევა[49].

[46] В.Джугели. „Тяжолый Крест (записки народногогвардейца) 1920". Тф. 1920 გვ. 217.
[47] В.Джугели. „Тяжолый Крест (записки народногогвардейца) 1920". Тф. 1920 გვ. 218.
[48] В.Джугели. „Тяжолый Крест (записки народногогвардейца) 1920". Тф. 1920 გვ. 218.
[49] В.Джугели. „Тяжолый Крест (записки народногогвардейца) 1920". Тф. 1920 გვ. 221.

MISHA BAKHTADZE
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

TWO DOCUMENTS ABOUT THE ESTABLISHMENT AND CONDITION OF THE GEORGIAN ARMY

Summary

There in the Central State Historical Archive of Georgia, In the Fund of the Military Ministry of the Democratic Republic of Georgia (1969) are kept two handwritten documents written in Constantinople on 3 February 1919. The author of these two documents is General Ilia Odishhelidze. These documents were written by Ilia Odishhelidze in Constantinople at the time when he stopped in this city on his way to Paris. General Odishhelidze was a military adviser to the Georgian delegation which was sent to the Paris conference and supposedly these two documents were created to be presented at this conference. In these documents are described the situation at the end of 1917 at World War I on the Caucasus front; Various difficulties arising in the formation of national army parts, different situation in the formation of Armenian and Georgian national units and the reasons for this. It is important that both documents have given quite interesting information about the establishment and condition of the Georgian Armed Forces.

ლელა საყაღიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

კონსტანტინოპოლში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა და 1924 წლის აჯანყება

1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია-ოკუპაციის გამო, საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა, ოსმალეთის გავლით ემიგრაციაში - საფრანგეთში - წასულიყო და იქიდან გაეგრძელებინა ბრძოლა დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად. ქართულ ისტორიოგრაფიაში მთავრობის საზღვარგარეთ წასვლასთან დაკავშირებით ერთიანი აზრი არ არსებობს. ზოგი მიიჩნევს, რომ სამშობლოს დატოვება ღალატის ტოლფასი იყო. ამასთან დაკავშირებით დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი წერდა: „...და თუ მიუხედავად ამ წესიერებისა, საქართველო დაეცა, ამის მიზეზი უფრო საგარეო ხასიათისაა, ვიდრე შინაურის. ჟორდანიას და მის პარტიას აზრად არ აქვთ თავის თავს ბოდიში მოუხადონ და პასუხისმგებლობიდან თავი დაიძვრინონ. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ისტორია მომრიგებელი მოსამართლე არაა, „აბლაკატური" ხრიკებით რომ გახვიდე ფონს. მოვა დრო, როცა თვითოეული ჩვენთაგანი, დიდი და პატარა, პასუხს აგებს თავისი მოღვაწეობისათვის, როგორც იქ, საქართველოში, თავისუფლების დროს, ისე აქაც ემიგრაციაში... საქართველოს ბედი არსებითად გადაწყდა არა 1921 წელს, არამედ მაშინ, როცა საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის გამო დაიბადა რუსეთ-ოსმალეთის კოორდინაციის პროექტი: ამ ორ სახელმწიფოთა გაერთიანებული ფრონტი კავკასიის ბარიერის მოშლას მოითხოვდა..." [გეგეჭკორი, 1938:5]. საქართველოს დევნილი მთავრობის მიზანი როგორც ემიგრაციაში, ისე გასაბჭოებულ საქართველოში პოლიტიკური ძალების კონცენტრაცია იყო, რათა ერთი მთავარი მიზნისთვის - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის - მიეღწია.

ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა კონსტანტინოპოლის მისიას, რომლისგანაც ინფორმაცია ოკუპირებულ საქართველოში არსებულ რეალურ სიტუაციაზე უშუალოდ პარიზის ლეგაციას მიეწოდებოდა. 1921

წლის 2 აპრილს კონსტანტინოპოლიდან პარიზში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაური ნოე ჟორდანია, საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, მისი მოადგილე კონსტანტინე საბახტარაშვილი ჩავიდნენ. 4 აპრილს მათ -კარლო ჩხეიძე, ხოლო 11 აპრილს შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი შეუერთდა (სეა, ფ. 1864, საქმე 610:2). მოლაპარაკებებს უცხოეთის მთავრობებთან და საზოგადოდ ოფიციალურ წრეებთან ევროპის ქვეყნებში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი აკაკი ჩხენკელი აწარმოებდა. მასთან მუდმივი კავშირი ჰქონდა მთავრობის ყველა მისიას.

1921-1925 წლებში კონსტანტინოპოლში საქართველოს ეროვნული მთავრობის წარმომადგენლად კონსტანტინე გვარჯალაძე დაინიშნა. ამ ხნის განმავლობაში მან მოლაპარაკება გამართა ოსმალეთში მყოფ 22 ქვეყნის ოფიციალურ პირთან. მას უფრო დიდი ნდობით უყურებდნენ თურქები, ვიდრე ოსმალეთში მყოფ ბოლშევიკების ელჩს, კარპე მოდებაძეს [სარალიძე, 2016:37-61]. კონსტანტინოპოლში არსებობდა ნოე ხომერიკის მეთაურობით პოლიტიკური კომისია, რომლის მიზანიც იყო მჭიდრო კავშირი ჰქონოდა გასაბჭოებულ საქართველოსთან.

საქართველოდან მიღებული ცნობების მიხედვით, ოსმალეთში მოღვაწე პოლიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ 1924 წლის აჯანყების მოწყობა ბოლშევიკებისთვის ხელსაყრელი იყო (ინტერესებში შედიოდა), რათა სამაგალითოდ დაესაჯათ არა მხოლოდ აჯანყების მონაწილეები, არამედ ის პირებიც, რომელთაც მასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდათ. 1921 წლის 29 აგვისტოს, კონსტანტინოპოლიდან პარიზში ნოე რამიშვილისთვის გაგზავნილ წერილში ნოე ხომერიკი წერდა: „ჩამოსული ხალხის პირადი გამოკითხვიდან ვრწმუნდები, რომ ბოლშევიკები შეგნებულად ეწევიან პროვოკაციას, რათა ხალხი ნაადრევად ააჯანყონ და შემდეგ კი სისხლში ჩაახშონ. ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ ქვეყნის და ხალხის ნივთიერი მდგომარეობა პირდაპირ საშინელია. თეთრი პური - გირვანქა 7000 მანეთი ღირს, შავი - 5000 მან, მჭადი - 2000. შიმშილობის ნიადაგზე გახშირდა თვითმკვლელობა. დღე არ გავა ისე, რომ რამოდენიმე კაცი მტკვარში არ გადავარდეს. ეცემიან შიმშილისგან და კვდებიან პაიოკის მისაღებად რიგში დგომის დროს“ [სეა, ფ. 2122, საქ. 26].

კონსტანტინოპოლიდან ყველა წამყვან სახელმწიფოს დაეგზავნა საპროტესტო ნოტა ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის, ასევე მოსკოვის ხელშეკრულების წინააღმდეგ, რომლის ძალითაც საბჭოთა მთავრობამ არტაანი, ოლთისი და ართვინი ოსმალეთის კუთვნილებად აღიარა. საქართველოს მთავრობის მისიებს ეცნობა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მთავარი გეზი - საქართველოს დამოუკიდებლობა რჩებოდა. პოლიტიკოსთა ნაწილი კონსტანტინოპოლში დარჩა.

რუსეთ-ოსმალეთის გარიგების გამო,კონსტანტინოპოლში მყოფ ქართველ პოლიტიკოსთა საქართველოსთან კავშირი გართულდა. ამასთან დაკავშირებით,

1923 წლის 23 მაისს კონსტანტინე გვარჯალაძე კონსტანტინოპოლიდან აკაკი ჩხენკელს წერდა: „...საქართველოდან კარგა ხანია არავითარი ინფორმაცია არ მოსულა. მიმოსვლა შეწყვეტილია ბათომთან. ძვირად თუ დადიან გემები. ისედაც საქართველოდან აქეთ არავის უშვებენ. ცნობებიც ცოტა გვაქვს. თურქების გემები არ შედიან ამ დროებით ბათომში. აქაც, კონსტანტინოპოლში, თურქები ძლიერ ადევნებენ თვალ-ყურს ბოლშევიკებს. გარეგნულად კი ვითომ მეგობრები არიან..." [სეა, ფ. 2114, საქმე 72, გვ.36]. 27 ივნისის წერილში (1923 წ.) კი შემდეგს: „...ცნობები კარგა ხანია არ გვქონია საქართველოდან. მიმოსვლა კვლავ შეწყვეტილია. არც აქედან მიდის ვინმე იქით და არც იქიდან ვინმე აქეთ. საქართველოში შესასვლელ ვიზას რუსები იძლევიან. მოსკოვის ნებართვაა საჭირო. გემები ძვირად დადიან. ახლა, როცა მიდის, სულ ცარიელი მიდის და მოდის... ამ მოკლე ხანში მაინც ველით ვრცელ ცნობებს ყველაფრის შესახებ. ოსმალეთის ევროპასთან კავშირის დაჭერით რუსეთი დიპლომატიურად მთლად გაირიყება" [სეა, ფ. 2114, საქმე 72:34]. დაშიფრული წერილებით მიმოწერა მაინც ხერხდებოდა, თუმცა საბჭოთა უშიშროებისთვის წერილების შინაარსი ცნობილი იყო. გასაბჭოებულ საქართველოში არსებულ სიტუაციასა და ხალხის განწყობაზე კონსტანტინე გვარჯალაძე კონსტანტინოპოლიდან სხვადასხვა ფსევდონიმით („ვახტანგი", „ფარნაოზი") წერდა წერილებს ნოე რამიშვილს („თადეოზს"). 1924 წლის 22 იანვარს კონსტანტინე გვარჯალაძე „ფარნავაზის" ფსევდონიმით კონსტანტინოპოლიდან გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: „...ჩვენამდე მოაღწიეს ხმებმა, რომ ბოლშევიკები იქ ხმებს ავრცელებენ ჟორდანიას, წერეთლის და გეგეჭკორის შესახებ. ამბობენ თურმე, რომ ესენი რუსოფილები არიანო. გადაჭრით და დანამდვილებით იცოდეთ: ეროვნული ფრონტის გამაგრება-განმტკიცებისთვის ისე დაჟინებით არასოდეს არ მიუთითებდნენ ჟორდანია, წერეთელი და გეგეჭკორი, როგორც ამას დღეს შვრებიან. ჩვენი ერის ბრწყინვალე მომავალს არც ერთი ზემოთ დასახელებული მოღვაწეთაგანი არ ხედავს, გარეშე ჩვენი ერის განთავისუფლების და მისი დამოუკიდებლობის აღდგენისა. ალბათ ბოლშევიკები ასეთ ხმებს ავრცელებენ სადემაგოგიო მოსაზრებებით. ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ასეთ რამეებს არავინ არავითარ სერიოზულ ყურადღებას არ მიაქცევს" [სეა, ფონდი2114, აღწ. 1, საქმე 21:4].

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ ოსმალეთში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსები 1924 წლის აჯანყების მომზადებაში აქტიურად იყვნენ ჩართული. აღსანიშნავია, რომ ემიგრაციაში მოღვაწე პოლიტიკოსების ერთი ნაწილი (კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, სპირიდონ კედია, სამსონ ფირცხალავა) საქართველოში ამბოხების მოწყობის წინააღმდეგი იყო. ისინი მიიჩნევდნენ, რომ აჯანყება მარცხისთვის იქნებოდა განწირული, ვინაიდან საზღვარგარეთის ქვეყნების მხარდაჭერის იმედი არ არსებობდა. 1924 წლის 2 მარტს ოსმალეთის ხელისუფლების მხარ-

დაჭერის მოპოვების მიზნით, კონსტანტინე გვარჯალაძე ქემალისტების ერთ-ერთ ლიდერს - მარშალ ფევზი ფაშას[1] - შეხვდა [Mamoulia, 2009:77]. იგი კარგად იყო ინფორმირებული კავკასიაში მიმდინარე პროცესებზე, ასევე სვანეთის აჯანყებაზე. ქართველი ემიგრანტები იმედოვნებდნენ, რომ მიუხედავად ბოლშევიკებთან გარიგებისა, ოსმალეთის მთავრობა ქართველი ხალხის ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოსვლის დროს ნეიტრალურ პოზიციას დაიკავებდა. კონსტანტინე გვარჯალაძე კონსტანტინოპოლში აკრედიტებულ ევროპის ქვეყნების ელჩებს ზუსტ ცნობებს აწვდიდა. ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსების ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლშევიკური ანტიქართული პროპაგანდის გასანეიტრალებლად.

საბჭოთა ხელისუფლებისთვის ცნობილი გახდა, რომ კონსტანტინოპოლში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ახალი ამბოხებისთვის ანტისაბჭოთა პარტიების და ორგანიზაციების მზადება აქტიურად მიმდინარეობდა, რასაც თავის მხრივ სასტიკი რეპრესიები დაუპირისპირა. 1923 წლის ნოემბერში საგანგებო კომისიამ („ჩეკა") ნოე ხომერიკი დააპატიმრა. მისი ადგილი გოგიტა ფაღავამ[2] დაიკავა. „სამხედრო კომისიამ" ცალკეულ მაზრებში შექმნა ქვეკომისიები, მთელი საქართველო დაყო სამოქმედო რაიონებად, რომელთაც სათავეში სარდლები ჩაუყენა. თავდაპირველად აჯანყების დაწყების დროდ „პარიტეტულმა კომიტეტმა" 1924 წლის თებერვალი განსაზღვრა. „სამხედრო კომისიის" წევრთა დაპატიმრების გამო დადგენილ დროს აჯანყება ვერ მოეწყო. დაპატიმრებულთა ადგილები ემიგრაციიდან ჩამოსულმა პოლიტიკოსებმა შეავსეს. 1924 წლის აპრილში აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის სარდალი ვალიკო ჯუღელი ბენია ჩხიკვიშვილთან, გრიგოლ ცინცაძესთან, ვასილ ნოდიასთან და ვიქტორ ცენტერაძესთან ერთად მარსელიდან კონსტანტინოპოლის გავლით სა-

[1] მუსტაფა ფევზი ჩაქმაქი - Mustafa Fevzi Çakmak (1876-1950) - ცნობილი თურქი სამხედრო მოღვაწე, პოლიტიკოსი, ოსმალეთის არმიის გენერალი და თურქეთის რესპუბლიკის მარშალი: მუსტაფა ქემალ ათათურქის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი; თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის პირველი უფროსი. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1918 წლის 24 დეკემბერს, ოსმალეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსად დაინიშნა, ხოლო 1919 წლის 30 აპრილს ოსმალეთის იმპერიის სამხედრო მინისტრი გახდა. 1920 წლიდან იგი ქემალისტებს მიემხრო. 1921 წლიდან ქემალისტთა დასავლეთის არმიის სარდალი და პარლამენტის წევრია. ბერძნების წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლების შემდეგ. 1922 წლის 31 აგვისტოს, დიდი ეროვნული კრების დადგენილებით, ქვეყნის უმაღლესი სამხედრო წოდება - მარშალი -მიენიჭა. 1921 წლის 24 იანვრიდან 1922 წლამდე ქემალისტთა დიდი ეროვნული კრების მთავრობის პრემიერ-მინისტრი იყო. თურქეთის მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1923 წლის 14 აგვისტოს, პარლამენტის წევრი გახდა კონსტანტინოპოლიდან. 1924 წლის 3 მარტს თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსად დაინიშნა. იმავე წელს დატოვა თანამდებობა, პარლამენტის დეპუტატის უფლებამოსილება მოიხსნა და აქტიური პოლიტიკური ცხოვრებიდან წავიდა. მ. ფევზი 1950 წლის 10 აპრილს სტამბულში გარდაიცვალა.

[2] საგანგებო კომისიის („ჩეკა") 1924 წლის 22 თებერვლის №14 ანგარიშის მიხედვით. გოგიტა ფაღავა 1924 წლის 15 თებერვალს დააპატიმრეს, ხოლო 18 თებერვალს „ნახალოკის" დასახლებაში საიდუმლო სტამბა აღმოაჩინეს (შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფ. 14, აღწ. 2, საქ. 94, ფურც. 14).

ქართველოში არალეგალურად დაბრუნდა. კონსტანტინოპოლში ვალიკო ჯუღელი კონსტანტინე გვარჯალაძეს შეხვდა და აჯანყების გეგმები განიხილეს. ვალიკო ჯუღელს სწამდა, რომ იგი თავის თანამოაზრეებთან ერთად საქართველოში ისტორიის შესაცვლელად მიდიოდა [ნაცვლიშვილი, 2014:10]. 1924 წლის ივლისის შუა რიცხვებში „პარიტეტული კომიტეტის" გაფართოებულ კრებაზე აჯანყების დღედ 1924 წლის 17 აგვისტო დასახელდა. აჯანყების მთავარსარდლად გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე დაინიშნა. მან საბრძოლო რაზმების მზადყოფნაზე ანგარიში ჩაიბარა და საკმარისად მიიჩნია არსებული სამხედრო ძალები. გეგმის მიხედვით, პირველად თბილისი უნდა აჯანყებულიყო. ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით თბილისიდან 20 კილომეტრში, სოფელ ნახშირგორასთან, დაბანაკდა. იმ დროს ვაზიანში რუსული არტილერია იყო თავმოყრილი. საჭირო გახდა მათი შეიარაღების ხელში ჩაგდება, რაც პოლკოვნიკ ი. ცაგურიას რაზმს უნდა გაეკეთებინა, რათა რუსებისთვის ჩამორთმეული ზარბაზნებით თბილისს ნავთლუღის მხრიდან მისდგომოდნენ. აჯანყების დაწყება უნდა ეცნობებინათ ჩრდილოკავკასიელებისთვის. აჯანყებამდე ერთი კვირით ადრე დამოუკიდებლობის კომიტეტისა და ამბოხებულთა გენერალური შტაბის წარმომადგენლები შიო მღვიმის მონასტერში შეიკრიბნენ. აჯანყების პრაქტიკული მომზადება დამოუკიდებლობის კომიტეტთან არსებულ ცენტრალურ სამხედრო კომისიას დაევალა. კომისიის მიერ შედგენილი გეგმით, აჯანყება ყოველ ქალაქსა და მაზრაში ერთდროულად უნდა დაწყებულიყო. ადგილებზე ხელისუფლების აღების შემდეგ თბილისზე საერთო შეტევა განხორციელდებოდა. მნიშვნელოვანი როლი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის რაზმს ენიჭებოდა.

გასაბჭოებულ საქართველოში აჯანყების მზადების მიმართ კავკასიელი ხალხის დამოკიდებულებას ქართველი პოლიტიკოსები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. 1924 წლის 6 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი გაგზავნილ წერილში კ. გვარჯალაძე წერდა: „...ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ აზერბაიჯანზე მეტი ცნობები გვქონდეს. ჩვენ ვიცით, რომ თურქები აზერბაიჯანლებს, ყოველ შემთხვევაში, აქაურ აზერბაიჯანლებს არ ახალისებენ – ჯერ კიდე მოიცადეთო. ძლიერ სასიამოვნოა, თუ აზერბაიჯანი ისე მომჯობინდა, რომ თავის თავის იმედი აქვს, თურქებს თვალებში წინანდებურად არ შეჰყურებს და ჩვენთან ერთად კი ამოქმედდება. ამის დაფასება, რასაკვირველია, თქვენ უფრო შეგიძლიათ. ჩვენ თურქები სიტყვით გვპირდებიან, რომ ნეიტრალური ვიქნებით და აგრესივობას არ გავწევთო... თურქების აგენტების წაქეზებით შეიძლება ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ცუდი რამეები დააპირონ. ცხადია, თქვენ სომხებიც გეყოლებათ სახეში მიღებული. ისინი ჩვენთან, რასაკვირველია, არ გამოვლენ. დიდი რამეა, თუ ნეიტრალობას დაიცავენ და მტერს აქტიურად არ დაეხმარებიან..." [არქივი, ფონდი 2114, აღწ. 1, საქმე 21, გვ.3]. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ბევრ მონაწილეს გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ საქართველოს

დამოუკიდებლობისთვის წამოწყებულ ბრძოლაში ოსმალეთის ხელისუფლება მხარს დაუჭერდა [ჯანელიძე, 2016:33]. ოსმალეთის მთავრობის „მხარდაჭერა" მხოლოდ იმით გამოიხატა, რომ აჯანყების დამარცხების შემდეგ მან აჯანყების მონაწილეები საკუთარ ტერიტორიაზე გაატარა და საფრანგეთისკენ გზა მისცა.

ანტისაბჭოთა აჯანყება 1924 წლის 28 აგვისტოს დაიწყო, რასაც აჯანყების დამარცხება და დაპატიმრებულთა დაუყოვნებლად დახვრეტა მოჰყვა. ბოლშევიკების აგენტურამ ყველაფერი გააკეთა აჯანყების ჩასაშლელად. აჯანყების დაწყებამდე, 6 აგვისტოს, „ჩეკამ" ვალიკო ჯუღელი დააპატიმრა და აიძულა, დამოუკიდებლობის კომიტეტისთვის (იგივე „პარიტეტული კომიტეტი") წინადადება მიეცა აჯანყების შეჩერებაზე. კომიტეტმა არ მოისმინა ჯუღელის რჩევა. საბჭოთა ხელისუფლებისთვის აჯანყების მზადების შესახებ ზუსტი ინფორმაცია ცნობილი იყო. საქართველოს რევკომმის ბრძანებით, სამხედრო წვრთნაზე მყოფი ჯარი სასწრაფოდ თბილისში დაბრუნდა და ქალაქში საგანგებო წესები გამოცხადდა. ოდნავ საეჭვო პირებს იჭერდნენ და ციხეში სვამდნენ. ბოლშევიკებმა რეპრესიები გაატარეს აჯანყების მეორე სავარაუდო ცენტრში - ბათუმში. ამის გამო აჯანყება 29 აგვისტოსთვის გადაიდო.

გაურკვეველი მიზეზების გამო აჯანყება ჭიათურაში ერთი დღით ადრე, 28 აგვისტოს, დაიწყო. ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად არია შეთქმულთა გეგმები და ხელისუფლებას აჯანყების ჩახშობა გაუადვილა. ჭიათურაში გამოსვლის შესახებ ინფორმაცია „პარიტეტულ კომიტეტსა" და აჯანყების ხელმძღვანელებს არ ჰქონდათ. საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლებამ ჭიათურაში ჯავშნოსანი მატარებლით დამსჯელი რაზმები გაგზავნა. ბოლშევიკებმა განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინეს სადგურ ყვირილასთან. საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ზესტაფონიდან 3-4 კილომეტრის მოშორებით, საჩხერეში, ჭიათურაში, შორაპანსა და ახლომდებარე სოფლებში დაპატიმრებული ეჭვმიტანილები ვაგონებით ჩაიყვანეს. არგვეთის ხიდთან, რკინიგზის სიახლოვეს, ორმოები წინასწარ იყო გათხრილი. ზესტაფონიდან გასული მატარებელი არგვეთის ხიდთან გაჩერდა. პირველი ვაგონიდან გადმოიყვანეს დაპატიმრებულები, გაამწკრივეს ორმოთა გასწვრივ და უკლებლივ ყველა ჩაცხრილეს. სასიკვდილოდ განწირულმა მომდევნო ნაწილმა უარი თქვა ვაგონებიდან ჩასვლაზე. ქუთაისის ჩეკას მეთაურმა ი. ტალახაძემ ყველა მათგანის ვაგონებში ჩაცხრილვა ბრძანა, რაც მაშინვე აღასრულეს. განაჩენის აღსრულების შემდეგ ვაგონების კარები გააღეს და დახოცილები ორმოში გადაყარეს. თხრილი საკმარისი არ აღმოჩნდა და ჩეკისტებმა ზემოდან უამრავი მიწა დააყარეს, რათა გვამები მთლიანად დაეფარათ. სულ არგვეთის ხიდთან 96 ადამიანი დახვრიტეს. მოგვიანებით მათ რიცხვს სხვებიც დაემატნენ. შორაპნის მაზრაში დახვრეტილთა რაოდენობამ 171-ს მიაღწია.

აჯანყების დამარცხების შემდეგ საქართველოში მიმდინარე ტერორსა და

რეპრესიებზე, ასევე ბოლშევიკების მხრიდან აჯანყებულთა დისკრედიტაციისთვის გავრცელებულ სიცრუეზე საუბრობს კ. გვარჯალაძე პარიზში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისთვის 1924 წლის 9 დეკემბერს გაგზავნილ წერილში. ის გულისტკივილით აღნიშნავდა: „...ჩვენმა მტრებმა რა ზომები არ მიიღეს, რომ საქართველო ევროპისაგან მოეწყვიტათ და არავითარი ამბავი იქიდან აქეთ არ გამოსულიყო. პირველი სექტემბრიდანვე დაიწყეს ყალბი დეპეშების გაგზავნა მათი სააგენტოს საშუალებით ევროპაში. წერდნენ, რომ მენშევიკებმა მოახდინეს ავანტიურა, ერთ პატარა ქალაქში – ჭიათურში, სადაც ორი-სამი საათით ჩაიგდეს ძალაუფლება ხელში. იყო ცდა აგრეთვე ზოგ სხვა ადგილებშიდაც მოეწყოთ გამოსვლა მენშევიკებს, მაგრამ ქართველმა გლეხობამ იარაღით ხელში იმწამსვე მოახდინა მათი ლიკვიდაცია. მენშევიკების ავანტიურას მხარს უჭერდნენ მხოლოდ თავადები, მეფის ოფიცრები, მღვდლები და კომერსანტები. მთელმა გლეხობამ, ქართველი ხალხის დიდმა უმეტესობამ, მენშევიკების ავანტიურა ზიზღით დაგმო და მათ იარაღით ხელში გაუსწორდაო... ბოლშევიკების ცინიზმს საზღვარი არ ჰქონდა. ამავე დროს, ჩვენც მოგვდიოდა თუ არასრული და ყოველმხრივ შემოწმებული ცნობები, ყოველ შემთხვევაში, მდგომარეობის ასე თუ ისე გამბუქებელი ამბები. ეს ამბები მთელ ევროპას და ამერიკას მოედო“ [არქივი, ფონდი 2114, საქმე 18, გვ. 22].

მიუხედავად მარცხისა, კ. გვარჯალაძე თვლიდა, რომ 1924 წლის აჯანყებამ თვალნათლივ დაანახა ევროპას ბოლშევიკების სისასტიკე. იგი წერდა: „... ვისაც ამ 6-7 წლის განმავლობაში უდევნებია თვალ-ყური ჩვენი საკითხისათვის ევროპაში, გადაჭრით და კატეგორიულად შეუძლია თქვას, რომ არასოდეს ჩვენდამი სიმპათია და ყურადღება არ ყოფილა ასე ღრმა და დიდი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქართველოში მომხდარი ამბების დროს. ერთი თვის განმავლობაში ჩვენს საკითხს მთელი ევროპის და ამერიკის პრესა სათანადოდ ხვდებოდა. ჩვენ ყველამ პირველჯერ ვიგრძენით და დავინახეთ ნათლად, რომ თუ ევროპა რეალურ დახმარებას ვერ გვაწვდიდა, მთელი თავისი სიმპატიით ჩვენს მხარეზე აღმოჩნდა... აი სწორედ ეს მეგობრები ერთხმად გვეუბნებიან ახლა: ჩვენ ვიცოდით, რომ თქვენ გსურდათ დამოუკიდებლობა, ეწეოდით საამისო სათანადო პროპაგანდას, მაგრამ, თუ მთელი ქართველი ხალხი ასე იყო განწყობილი და ასეთ გმირულ ნაბიჯზე წავიდოდა, ამას არ მოველოდითო. როცა დაინახეს, რომ მოძრაობა ვერ იმარჯვებდა, ყველა იმას ამბობდა: მოძრაობის დამარცხებამ თქვენ გული არ უნდა გაგიტეხოთ. ამ ფაქტმა მთელ ქვეყანას დაანახა ის, რომ თქვენი ხალხი არ ყოფილა შერიგებული რუსეთთან. მას მართლა სურვებია დამოუკიდებლობა. ბოლშევიკების მთელი წინანდელი ინფორმაცია თქვენს შესახებ ყოფილა სრულიად ყალბი და თაღლითური ხასიათისა. ახლა ყველა დავრწმუნდით, რომ თქვენი ერის მომავალი უზრუნველყოფილია და ყველაზე უფრო ეს თვით თქვენმა ერმა დაამტკიცაო... ჩვენი საკითხი პრაქტიკულ ნიადაგზე

მხოლოდ ახლა დგება. ამ მხრივ ჩვენ აქაურ მუშაობაში ახალი ხანა იწყება, კიდევ უფრო იმედის მომცემი და გამამხნევებელი... მოძრაობა დამარცხებულია. მსხვერპლი, როგორც ჩანს, კარგა ძალია, მაგრამ ჩვენ მაინც დიდი იმედი გვაქვს ჩვენი ხალხის და მისი მეთაურების, რომ სულიერ სიმაგრეს შეინარჩუნებენ. ბრძოლა ხომ აკაჟებს არა მხოლოდ პიროვნებებს, არამედ მთელ ხალხსაც" [არქივი, ფონდი 2114, საქმე 18, გვ.26].

კონსტანტინოპოლის მისია ყველაფერს აკეთებდა, რათა აჯანყების დღეებში საქართველოში არსებული რეალური სიტუაცია არა მარტო პარიზში მყოფი საქართველოს მთავრობისთვის, არამედ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ხელმძღვანელებისთვისაც მიეწოდებინა. ამასთან დაკავშირებით, კ. გვარჯალაძე თავის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნავდა: „... მართალია, აჯანყების დღეებში ჩვენი პარტიული ორგანიზაციები საქართველოში დიდად დაზიანდა და ჩვენი მებრძოლი ამხანაგების დიდი ნაწილი ან დახვრეტილი, ან დაჭერილი იქნა, მაგრამ მიუხედავად ბოლშევიკების მხეცური რეპრესიების და ტერორისა, ერთი დაშლილი და დანგრეული ორგანიზაციის მაგიერ მეორე ჩნდებოდა, აღადგენდა და აბამდა კავშირს საზღვარგარეთელ ამხანაგებთან და აწვდიდა მათ ცნობებს საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ. ევროპაში ბოლშევიკების მიერ გავრცელებულ ყალბ და გამოგონილ ინფორმაციას ჩვენ ჩვენი ნამდვილი ცნობები დაუპირდაპირეთ. აჯანყების დროს სტამბოლიდან[3] თითქმის ყოველდღე იგზავნებოდა საქართველოს ამბები პარიზში თუ ევროპის სხვა კუთხეებში, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჟენევას, სადაც იმ დროს ერთა ლიგის კრებები იყო და საქართველოში მომხდარი აჯანყების შესახებ სწორი ცნობების მიწოდებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა" [არქივი, ფ. 2114, ს. 48, გვ.31]. ამ ცნობების საფუძველზე 1924 წლის 25 სექტემბერს ერთა ლიგამ საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია გამოიტანა. მას შემდეგ, რაც 1924 წლის აჯანყება სისხლში ჩაახშეს, ერთა ლიგის მე-5 ყრილობაზე საქართველოს საკითხი დაისვა. ის შეისწავლა სათანადო კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ: იტალიის, ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიისა და კანადის წარმომადგენლები. მომხსენებელი რ. მაკდონალდი იყო. საქართველოს საკითხი მან აქტიურად დაიცვა თავის გამოსვლაში, რომელიც შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „ქართველი ხალხის ტანჯვა შეუწყნარებელია. ტერორი, რომელიც რუსეთში პერიოდულად ნელდება(?), არა მარტო არ ვრცელდება საქართველოზე, არამედ უფრო მეტი ძალმომრეობის ხასიათს იღებს. გადასახლებები, დატუსაღება, წამებანი ჩეკის სარდაფებში, დახვრეტები გაუსამართლებლად ყველა კლასების წარმომადგენელთა უფრო და უფრო მრავლდება. დაჭერილი პოლიტიკური მოღვაწეები გამოცხადებულნი არიან ბანდიტებად. ინტელიგენცია და მუშები

[3] იგულისხმება კონსტანტინოპოლი. თურქეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ქალაქს სტამბოლი 1930 წლის 28 მარტიდან ეწოდა.

მოკლებული არიან მუშაობის ყოველგვარ საშუალებებს. ვინაიდან ქართველები ხელისუფლების წინააღმდეგი არიან, აბრკოლებენ მათ მიღებას როგორც კერძო კომერციულ, ისე ინტერნაციონალურ წამოწყებებში და სახელმწიფო სამსახურში. სამღვდელოება დევნილია თავიანთი რელიგიური მოვალეობის შესრულების გამო... თვით საქართველოს პატრიარქს, ამბროსის, მიუსაჯეს რამდენიმე წლის ციხე. სადაც ის ამჟამად იმყოფება..." [მანველიშვილი, 1984:363]. ერთა ლიგის განხილვის საგნად საქართველო კვლავ აქტიურად რჩებოდა.

1925 წლის 29 იანვარს საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში პიერ რენოდელი გამოვიდა მოხსენებით: „საქართველოს დამოუკიდებლობა და ბოლშევიზმის საერთაშორისო პოლიტიკა", რომელშიც 1924 წლის აჯანყებაზე ვრცლად ისაუბრა. მიუხედავად საქართველოს მხარდაჭერისა, 1924 წლის 2 ოქტომბერს საფრანგეთის ხელისუფლებამ სსრკ-ის მთავრობა ოფიციალურად ცნო. საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციის გზით უკვე საბჭოთა კავშირის წევრი იყო.

ავთანდილ ურუშაძე, რომელიც საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ გურიაში აქტიურ პარტიზანულ საქმიანობას ეწეოდა და სერგო მათითაიშვილთან ერთად სათავეში ედგა საქართველოს დამოუკიდებლობის „პარიტეტული კომიტეტის" დაქვემდებარებაში მყოფ გურიის რაზმს, ხოლო 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში წინააღმდეგობას უწევდა წითელ არმიას, ასე აფასებს 1924 წლის აჯანყებას: „...დამარცხდა საქართველო, აღზრდილი სილიბისტრო ჯიბლაძისა, ისიდორე რამიშვილის, კარლო ჩხეიძის, ნოე ჟორდანიას და სხვების, ათასების. სისხლის გუბე დადგა ყველგან მთელ საქართველოში. რამოდენიმე ათასი კაცი გამოასალმეს წუთისოფელს. დამარცხდა კეთილი საქმე, გაიმარჯვა ბოროტებამ. ჩვენ ვერ ვქენით ის, რაც მტერმა ჩაიდინა. ჩვენ მორალზედ აღზრდილი ხალხი ვიყავით. ჩემი აზრით, ჩვენ ბევრი შეცდომა ჩავიდინეთ. ბოლშევიკები ვერ დავაფასეთ ისე, როგორც საჭირო იყო; ვერ მივიღეთ საჭირო ზომები მათ წინააღმდეგ... ომი და მორალი ერთად არ თავსდება. მგლის თავზედ სახარება არ იკითხება. ჩვენს პარტიას ჰყავდა იმდენი არსება ჯორჯიაშვილები, რომ იმათთვის საშუალება რომ მიგვეცა, თვით ბოლშევიკების პაპსაც აუტეხდა საღერღელს, მაგრამ დაიხოცნენ გულზედ ხელდაკრეფილები მხოლოდ იმის ძახილში: გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოსო და დაიხოცნენ მსგავსად ძველი დროის მოწამეებისა..." [ფუტკარაძე, 2017:855].

აგვისტოს აჯანყების დამარცხებას ქართული ემიგრაციული პრესა ასე გამოეხმაურა: „აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ამით არ მომკვდარა და არც მოკვდება ეროვნული იდეა, ქართველ ხალხს რომ სულს უდგამს და მომავლის იმედით ავსებს. ერი, რომელსაც სწყურია თავისუფლება და იცის მისთვის ბრძოლა, ძალუძს მისთვის მძიმე მსხვერპლის გაღება, ადრე თუ გვიან მოიპოვებს მას და თავს დაიხსნის უცხო უღლისგან. 1924 წლის აჯანყებით ქართველმა ხალხმა აუწყა მთელს კაცობრიობას, რომ იგი თანამედროვე ერია, მას შეცნობილი და

შესისხლხორცებული აქვს თავისი ეროვნული მეობა და არ მოისვენებს, ვიდრე არ დაიბრუნებს უცხო ტყვეობაში ჩავარდნილ თავის „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტ" სამშობლოს; ვიდრე არ აღიდგენს თავის ეროვნულ სუვერენობას და არ გახდება თავისუფალ ერთა ოჯახის სრულუფლებიანი წევრი თავის საკუთარი კულტურითა და თავისი საკუთარი ეროვნული სახით. ბრძოლა გრძელდება... დამპყრობელთა სიმკაცრე ვერ გასტეხს ქართველი ხალხის მტკიცე ნებისყოფას და ვერ ჩაკლავს მის მისწრაფებას ეროვნული თავისუფლებისადმი!..." [გაზეთი, №115:2].

1924 წლის აჯანყება ქართველი ერის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის კანონზომიერი შედეგი იყო. აჯანყებამ, რომელსაც მრავალი გმირის სიცოცხლე შეეწირა, ნათლად აჩვენა, რომ ქართველი ხალხი ვერ ეგუებოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას. დამარცხების მიუხედავად, 1924 წლის აჯანყებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიაში. იგი მომავალი თაობებისთვის სამშობლოს თავისუფლებისთვის თავდადებული ბრძოლის მაგალითი გახდა.

ლიტერატურა:

1. აგვისტოს აჯანყება.,1935, გაზეთი დამოუკიდებელი საქართველო, №115, პარიზი.
2. გეგეჭკორი ევგენი, 1938, აჯანყების მეორე დღეს (1924 წლის აჯანყების მოგონებიდან), გაზეთი „ბრძოლის ხმა", №5 (84), პარიზი.
3. მანველიშვილი ალექსანდრე, 1984, რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან ფრანცისკო.
4. ნაცვლიშვილი პაატა, 2014, ვალიკო ჯუღელის საიდუმლო მისიის 21 დღე 21 ფურცლად, კრებულში: ქართული ემიგრაცია, №2, რედაქტორი - ოთარ ჯანელიძე, (8-26), თბილისი.
5. სარალიძე ლელა, 2016, საქართველოს დიპლომატიური მისია კონსტანტინოპოლში და გიორგი მაჩაბელი; კრებულში: გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომათა კრებული, №12, 37-61, თბილისი.
6. ფუტკარაძე შუშანა, მალაყმაძე როინ, ლომთათიძე თამილა, ფუტკარაძე ელზა, ჩელებაძე ნაილა, ფუტკარაძე შორენა, 2017, წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, თბილისი.
7. ჯანელიძე ოთარ, 2015, ქართული ემიგრაციის თურქული ფურცლები; კრებულში: ქართული ემიგრაცია, №3 (6), 24-36. თბილისი.
8. Mamoulia Géorges. 2009. Les combats indépendantistes des Caucasiens entre URSS et puissances occidentales, Le cas de la Géorgie, 1921-1945. Paris: L'Harmattan.

წყაროები:

1. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 610.
2. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2122, აღწერა 1, საქმე 5.
3. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2114, აღწერა 1, საქმე 72.
4. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2114, აღწერა 1, საქმე 21.
5. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2114, აღწერა 1, საქმე 18.
6. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2114, აღწერა 1, საქმე 48.

LELA SARALIDZE
TSU Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

REPRESENTATIVES OF THE GOVERNMENT OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA IN CONSTANTINOPLE AND REVOLT OF 1924.

Summary

On the basis of an archival and a press materials, the activity of representatives of the Democratic Republic of Georgia in Constantinople, during the 1924 revolt, discussed in this article. The revolt of 1924 draws a special attention, because it is one of the components of the Georgian National- Liberation Movement, which was directed against the Bolshevik regime of Russia.

From the representations of the Democratic Republic of Georgia in emigration, the Constantinople mission was given special significance, from where the Parisian legacy of the Democratic Republic of Georgia, directly was informed about the actual situation of occupied Georgia. Konstantin Gvarjaladze - the representative of the Democratic Republic of Georgia in Constantinople, provided accurate information to ambassadors of European countries accredited in Constantinople about the Revolt of 1924. The struggle of Georgian politicians, was a great importance to neutralize Bolshevik anti-Georgian propaganda. Noe Khomeriki, the head of the Political Commission of Emigration Government of Georgia in Constantinople believes, that the Bolshevik Authorities of Russia supported the revolt in Georgia, in order to put down it in the blood. The revolt of 1924 showed, that Georgian people could not reconcile the Bolshevik regime. After defeating the revolt, K. Gvarjaladze provided information about the ongoing terror and repression in Georgia, as well as the lies spread by the Bolsheviks for discrediting the participants of this Revolt.

The Revolt of 1924 of the Georgian people, met with the sympathy from the representatives of European States. The European and American press expressed sympathy towards the participants of this Revolt. The Revolt of 1924 showed, that Georgian people could not reconcile the Bolshevik regime.

DESI PRATIWI
National Archives of Indonesia (Anri)

ARCHIVAL STUDIES IN SUPPORTING DEVELOPMENT INFORMATION SOCIETY IN INDONESIA[1]

Abstract

Currently, the archival development in Indonesia is required to be able to face the challenges of information society that began to grow and develop rapidly. Archival education based on the needs of organizatinal business, especially for government agencies, should be able to bridge the public's need for information. The management of records and information as well as the provision of public information originating from the records have been mandated in legislation such as the disclosure of public information, electronic information and transactions, public services, and archives. Management of public information is one of the efforts to develop information society. This change of civilization also affects the field of archival demanded, both the role of archives and archivists in the information society to provide leadership in the archives and records management through its knowledge and expertise. How is the readiness of archival study in supporting the development of information society in Indonesia?

Introduction

This paper is intended for the benefit of the National Archives of the Republic of Indonesia (ANRI) and also educational institutions responsible for the development of archival fields in Indonesia. Although I do not expect to be able to make a significant contribution to this meeting, however, I can at least provide insight and knowledge about archival development in Indonesia. This paper is based on a brief literature study and personal experience related to archival education.

Archival development

The archival history in Indonesia may be starting began in 1892 when Jacob Anne van der Chijs was appointed the first archivist of the Dutch East Indies by the colonial government. He was recommissioned in 1880 to create the archive's first collection catalog, contained 18,387 items, which was eventually published in two years later. Previously, the archives collection from the early period of Dutch in Indonesia held by the General Secretariat of the colonial government from 1819 until 1892. "During the interregnum period (1811-1816) arising from Napoleonic Wars, the British took over administration of the Dutch East Indies. Archives maintenance fell upon the hands of the librarian of the Royal Batavian Society of Arts and Sciences. Archive material received little attention during this period and was often unmaintained, resulting in accumulation of material and insect damage".[2]

"TheDutchEastIndianCompany(VOC)

[1]Presented in the International Conference "Archival and Source Studies-Trends and Challenges", 25-27 October 2017 in Tbilisi, Georgia.

[2] Wikipedia. (2016). National Archives of Indonesia, available at the website https://en.wikipedia.org/wiki/National_Archives_of_Indonesia. (*Balk, G. Louisa; van Dijk, Frans & Kortlang, Diederick J. (2007), The Archives of the Dutch East India Company (VOC) and the Local Institutions in Batavia (Jakarta), Leiden: Brill Publishers, ISBN 978-90-04-16365-2.*)

archives documentation was not continued by successors of van der Chijs until the collection was moved in 1925 to the former country estate of Governor-General Reynier de Klerck, where it remained undamaged during the period of Japanese occupation. In 1949, the collections were handed to the current National Archives after the Dutch left the country. They were finally moved to the new location of the National Archives in 1975. Indonesia holds the largest archive collection related to the Dutch East Indian Company in the world, with documents dating between 1612 and 1811. The collection encompasses almost half of the archives worldwide with a total of 15,000 entries on 1,800 meters of shelf space".[3]

The Dutch colonial probably did not have time to pass on their knowledge and skills in managing the archives to the Indonesian people, but after the independence some archivists from the National Archives of the Netherlands had helped ANRI's archivists to manage the archives of the Dutch East Indian Company and the Dutch East Indies government. Unfortunately, they did not provide much in-depth knowledge and skills, as they tend to do it on their own. So there were not many archivists who understand the archival theory and practice adequately. The other reality was that only a small proportion of employees were educated in archives and records management from the Netherlands and Britain. However, they were less suitable for each other to work together because they tended to compare the knowledge and skills acquired from both countries. Nevertheless, there is something inherited by the Dutch colonial in managing records is with the practice of registering records as a way to keep track of outgoing and incoming correpondence, to keep original records safe, and to provide quicker access to their contents.

The archival development began to appear since the issuance of the Archives Law no. 7 of 1971 which provides mandate and responsibility to the national archives to lead the records management for all government and private agencies as well as the archives management for local archives. Fostering the records management from creation to disposal in creating agencies and then from acquisition to providing access to archives in archival institutions became the main task of the national archives.

The implementation of this law has had not been sufficient, until the archives law have changed in 2009 in line with the changes by the global and national development as well as the development of information and communication technology. The government's efforts to achieve good governance and make fundamental innovation and changes to the system of governance, especially concerning aspects of institutional (organization), management and human resources apparatus, one of which is done through bureaucratic reform. Through bureaucratic reforms there is a structuring of the government's system of enforcement where money is not only effective and efficient, but also bureaucratic reform becomes the backbone in the changing life of nation and state.

The above innovation and changes became an important momentum for the national archives to play a role in archival development, and with the launching of a national movement for the importance of good recordkeeping by the Minister of Administrative and Bureaucratic Reform in 2016. The Indonesian government has sought to improve recodkeeping in e-government and open government programs, at a national development agenda called Nawa Cita, consisting of nine development priorities, then translated into the 2015-2019 National Mid-Term Development Plan. The agenda

[3] Ibid.

is developing clean, effective, trusted and democratic governance.

Archival education

Archival study in Indonesia was first implemented in 1982, with the establishment of Diploma Program 2 years at the University of Indonesia. The students who numbered about 30 people came from high school graduates, some of them were directly appointed as civil servants when they graduated from the college as they got scholarsip from ANRI. For students who were tied to scholarship from ANRI, they carry out an internship directly at ANRI while the other students are free to decide on interships at other government agencies.

Archival education in Indonesia was originally strongly emphasized the necessity of historical knowledge as an essential component of the archival profession. The model of early archival education curriculum in Indonesia divided into two parts: (1) **general courses** which cover: general knowledge including Pancasila (foundation theory of the Indonesian state), lingustic knowledge (Indonesian, English, Dutch, Javaneese, Malay Arabic), legal knowledge, historical knowledge (history of Indonesian culture, man and cultur of Indonesia), Indonesian geography knowledge, library knowledge (environment of information, reference services); and (2) **special courses** which cover: archival knowledge and archival field work.

Archival field has maintained close relationships with the government, culture and interests of the entire society since 1990s, thus the knowledge related to the categoriesidentifiedandgeneralsubsumed under the umbrella of management should bedrawnintoarchivaleducation.Thecurrent archival education model has changed in a direction that is closer to management knowledge. Although a somewhat different scheme education is conceived for some universities, they rely on management knowledge (public administraton) as the fundamentalelementofasoundpreparation forarchivalcareers.Inthiscase,fundamentals of management knowledge become the main basis for students to study archives andrecordsmanagement.Itisexpectedthat by understanding public administration, students will understand how to manage records to organizational success and accountability, as records is evidence of business activity. Therefore maybe this is the reason that the knowledge of languages was given in previous archival education (in 1980s)hasbeenreduced,leavingonlyEnglish in the current curriculum. It is interesting that from the beginning to the present day, the self-contained program of archival studies and archival schools (autonomous archival education)doesnotyetemergeinIndonesia.

Becausethisisanarchivaleducationthat is intended for students who are prepared to immediatelyworkinapracticalwayinsociety (industry), so that little or no archival theory or theory of archival knowledge with the philological that focus on the records. Most archival studies, which are then set up in universities at diploma level 3 or 4 years tend to focus on the users. Based on the needs of conducting business activity for creating agencies and managing archives in archival institutions (those are users), universities still are delivering the core archival theory and methods, frames them in the context of an information society, emphasizing content related to access and retrival systems. "In its best manifestations, this model educates in the management of archival institutions and programs, especially within business. The archivist identity is regarded as that of a facilitator, a mediator, at times an auditor, always a communicator. The archives role is seenasthatofinformationprovider".[4] During their studies, the primary focus is on 70

percent of archival practices and 30 percent of archival thinking.

In Indonesia, archival professions based on the archival law are aimed at civil servants who differentiate from managerial groups. They have certain requirements relating to archival education or experience in archival fields to be appointed as archivists. The archival profession is divided into two levels, namely archivists with skill-level and those with expert-level. The skill-level archivists are from graduates in archival diploma programs, while the skill-level archivists comes from graduate in various disciplines who get archival training for one month from ANRI. To improve the quality of archivists, ANRI in addition to providing archival education and training also provides certification to archivists who will increase the level of professional positions. ANRI also has a duty to make the formation of archivist needs nationally for the needs of government agencies, both central and local.

Information society

Today the people of Indonesia are in a transition phase from the industrial society to the information age society, although Indonesia's current position is still in position 108 with a value of 3.94 up one level from the year 2010, which at that time was in the position of 109 with a value of 3.11 in the ASEAN region based on a report on the development of information and communication technology from The International Institute of Telecommunication Union (ITU). In establishing ICT Development Index (IDI) rankings in the world, ITU considers factors such as fixed and mobile phone subscribers, internet bandwidth per user, percentage of computers per household, percentage of internet users, number of active mobile broadband subscribers to a fixed volume of Internet subscriptions 100 people.[5]

The increasing use of information technology in the life of the community is characterized by the various provisions of the needs of the people in Indonesia (especially those living in big cities) with the help of information technology tools. There are many public services that use information technology, as one of the characteristics that exist in the information society, such as in: banking (with ATM and online banking), health (online health insurance), permissions (making ID cards, passport, visa), transportation (online taxi, e-ticketing, online check-in), communication (email, social media), including in archival information services. One of the main challenges in transition of the information society is the need to improve the integrity, accountability effectiveness, and efficiency of bureaucracy in governance, development, and public services. The quality of governance in developing clean, effective, trusted and democratic governance is one of the efforts to build effective and efficient bureaucratic governance, and to eradicate corruption is expected to contribute optimally to support the success of development and enhancement of national competitiveness.

In the face of the transition to the information society, the Indonesian government has responded to this challenge by issuing some policies and not limited to:

The development of e-government, as mandated in the Presidential Instruction no. 3 of 2003 on Policy and National Strategy for Development of e-Government, is an effort to

[4] Duranti, Luciana. (2007). Models of Archival education: Four, Two, One, or Thousand? *Archives & Social Studies: A Journal of Interdisciplinary Research*, Vol. 1, no. 0 (March 2007), p.48.

[5] Suara Sektor ICT Indonesia. (2017). *Indonesia Urutan 108 di Ranking ICT Dunia*, available at the website http://mastel.id/indonesia-urutan-108-di-ranking-ict-dunia/.

develop an electronic-based government in order to improve the quality of public services effectivelly and effieciently and to enhance the acceleration of good government and to implement the principles of better public service and good governance.[6]

Globalization of information has placed Indonesia as part of the world's information community, therefore the making of regulation concerning organization of Electronic Information and transactions (no. 11 of 2008) at the national level is required in order that the development of information technology can be carried out in an optimal, distributive, and widespread manner throughout all levels of society to advance the intellectual life of the people.[7]

The government of Indonesia realizes that information is a basic individual need for the development of personal and social environment, and is an important part of national resilience. In addition, right to obtain information is a human right and public information openness is an essential characteristic of a democratic state that upholds sovereignty of the people to constitute good governance. The law of public Information openness (no. 14 of 2008) is an instrument in optimizing public control towards the governance of state and other public bodies and matters affecting public interest. Management of public information is one of the efforts to develop information society.[8]

Achives Law no. 43 of 2009 has been also anticipated the growth of information society, which is highly dependent on information and communication technology. The national records and archives administration, in consideration of the law, adapted to the development and needs of the life of the society, nation and state which are affected by the global and national global development challenges as well as the development of information and communication technology. The challenges of globalization and to support the establishment of the state administration in particular, a good and clean governance, as well as improving the quality of public services, archives and records management in state institutions, local governments, education institutions, companies, political organizations, social organizations, and individual shall be carried out under a national administration system for archives and records which is comprehensive and integrated.[9]

How is the readiness of archival studies in supporting to the development of the information society?

In general, the archival education curriculum currently is expected to provide students the ability to work in many areas of activity (relating to records management), including the needs of archival institutions. Archivists use their theoritical and methodological ideas in their work. They acquire archival knowledge, because they gain a systematic understanding of what documents were made, received, and kept; how and why this was done; and how and why these activities changed or did not change overtime, and then disseminate this knowledge. With the management knowledge, the archivist understands the importance of providing archival access to institutional managers for decision-making and provides records for the public interest. To equip with the knowledge and skills necessary to fulfill his/her responsibilities in the workplace,

[6] President of the Republic of Indonesia Instruction Number 3 of 2003 concerning *Policy and National Strategy for Development of e-Government*.

[7] Law of the Republic of Indonesia Number 11 of 2008 concerning *Electronic Information and Transactions*, "consideration" section no. b.

[8] Act of the Republic of Indonesia Number 14 of 2008 on *Public Information Openness*.

[9] Law of the Republic of Indonesia Number 43 of 2009 on *Archives*, "consideration" section no. b, c, and f.

ANRI also provides education and training and certification to archivists based on their levels.

Infact, therecordkeepingasabackbone inmanagingthestateadministrationandasa collectivememoryhasbeenre-energizedby the government with a national movement forthe importanceofgoodrecordkeepingin 2016. Thus the archival field can continue to supportthegovernmentagendatoimprove the integrity, accountability, effectiveness, andefficiencyofbureaucracyingovernance, development, and public services. The Indonesian government recognizes that "accountabilityisafundamentalrequirement of good governance in an information society. They should be able to follow and understand the decision-making process through transparency to see how and why a decision was made. Government should implement decisions and follow processes that make the best use of the available peopleresourcesandtimetoensurethebest possible results for their community".[10]

Critical issues

However, most of archivists have no knowledge of archival science in such away that the student is formed "as a professional and a scholar, a manager and a philologist, a scientist and a comunicator".[11] The need for archival education readiness that equips students with core knowledge of archival theory in supporting the information society is also based on the need to not only be an archivist. The abilities given in archival education today have not reached the full proficiency of the archival profession.

Thereisnomaster'sprograminarchival science, which has been focused on archival theory, methodology and practice, despite the addition of historical knowledge, information studies, law, management, and technology as they relate to archival work. In the future development of archival in Indonesia also should be dependent on improved opportunities for training, education, and research in archival science to meet the needs of the nation (the need to improve the integrity, accountability effectiveness, and efficiency of bureaucracy in governance, development, and public services).

There is another group of archivists who should also be seen "as the spesialist of the records in any phase of their lifecycle, as as a developer of systems for record making, recordkeeping and record preservation (where system is defined as a body of rules that control such activities and a series of tools that enable and result from them), and as a scientific researcher. The role of archives in this model is to serve administrative, legal and historical accountability as well as cultural purposes and the individual needs of any kind of user. However, there is more focus on the records than on the users, and on research than on practice".[12]

Conclusion

The government agenda in developing clean, effective, trusted and democratic governance is one of the efforts to build effective and efficient bureaucratic governance, and to eradicate corruption. The quality of governance is expected to contribute optimally to support the success of development and enhancement of national competitiveness. In this connection the main challenge is to improve the integrity, accountability

[10] Victorian Local Governance Association. (2016). What is Good Governance, *Good Governance Guide: Helping Local Governments Govern Better*, available at the website http://www.goodgovernance.org.au/about-good-governance/what-is-good-governance/.

[11] Duranti, Luciana. (2007). Models of Archival education: Four, Two, One, or Thousand? *Archives & Social Studies: A Journal of Interdisciplinary Research*, Vol. 1, no. 0 (March 2007), p 48-49.

[12] Ibid, p.51.

effectiveness, and efficiency of bureaucracy in governance, development, and public services. In order to build a clean, effective, democratic and trustworthy governance, the government sets out one of its priority agenda, that is building transparency and accountability for government performance. All of which necessarily need to be supported by the management of records that become the backbone of governmental management and development, without forgetting the management of archives that holds the nation's history as a collective memory and national identity.

Because the government agenda is very supportive of the realization of information society, then archival education in Indonesia needs to be enhanced by the competency level for its students, as archival work today not only to register an incoming and outgoing letter or to preserve archives safely (as a facilitator, mediator, auditor, and communicator)[13], but requires more expansive range of abilities and expertise (as a specialist of records in any phase of their lifecycle, a developer of systems for record making, recordkeeping and record preservation (where system is defined as a body of rules that control such activities and a series of tools that enable and result from them), and as a scientific researcher)[14].

"The future archivist is going to be that of trusted custodian of society's records. In an archival environment that is becoming predominantly digital, the archivist will be responsible for taking physical and legal custody of, and preserving (i.e., protecting and ensuring continuous access to) the creators' records as soon as they are no longer needed for the usual and ordinary course of activity. Whether an employee of an archival institution or a professional responsible for an in-house unit, the role of the archivist should be that of an officer who guarantees the authenticity of the record in his/her care".[15]

"As Duranti believes that, as there cannot be two standard models of archival education, there cannot be one that serves the needs of every country, and within each country, of every archival institution, program, or in-house unit".[16]

[13] Ibid, p.48.
[14] Ibid, p.51.
[15] Ibid, p.52.
[16] Ibid, p.59.

Archival Courses in Some Universities

SUBJECTS	UNIVERSITAS INDONESIA (1982-1990)	UNIVERSITAS DIPONEGORO (2017)	UNIVERSITAS GADJAH MADA (2017)
Core	Introduction to archives	Introduction to archives	Introduction to archives
	History of archives	Archival law and rules	Law and information security
		-	Archival history
	Organization and managemet of archives	Archival management organization	-
		Archival management and system	-
	Recordsmanagement	Active records management	-
	-	Record schedules	-
	-	-	Mail handling
	-	-	Official document-governance
	-	-	Filling management
	-	-	Records planning and evaluation program
	-	Programming	Archival information technology
	-	-	Electronic records management
	-	Management of university archives	Management of business records and university archives
	-	Records disposal	Recods appraisal disposal
	-	Special format vital records management	Vital records program and post-disaster records contigency
	-	Inactive records management	Management of records centre
	-	Managementofmedicalrecords	Medicalrecordsandhospital administration
	Maintenance and concervation	Archives maintenance and preservation	Archives preservation and conservation
		Archives management	-
	Arrangement and description	Archives arrangement and description	-
	Capita select of descriptionofarchives	-	Archives acquisition, accessioning, and administration
	-	-	Cartographic, architectural and drawing archives
	-	-	Audio visual archives management
	-	-	Management of oral history archives
	-	-	Arts, ephemera, and cultural heritage archives

SUBJECTS	UNIVERSITAS INDONESIA (1982-1990)	UNIVERSITAS DIPONEGORO (2017)	UNIVERSITAS GADJAH MADA (2017)
	-	-	Archives exhibition
	Research service of archives	Reference services and archives control	Archives reference and services
	-	-	Standard and code of ethic of archivist
Management	-	Administration science	Introduction to management
	-	Organizational structure	Organization and government administration
	-	History of the Indonesian state administration	-
	-	Office management	Secretary basic and office management
Library	Environment of information	Documentation science and practice	Documentation and publication
	Reference services	-	Processing of library materials
General	Indonesian	Indonesian	Indonesian
	English	English	English
	Dutch	Pancasila	Pancasila
	Javanese	Religions	Religions
	Pancasila	-	Citizenship
	Introduction to law	-	Creative and entrepreneurial ideas
	Geography of Indonesia	-	Etiquette and personality development
	History of Indonesian culture	-	Indonesian history
	Man and culture of Indonesia	-	Indonesian culture
		-	Comunication and presentation
	Principal of research method	-	Research methods and scientific writing
	Archival field work	Archival field work	Archival field work

გვანცა ყაყიშაშვილი
საქართველოს ეროვნული არქივი

„მუკი“ ანუ საბჭოთა ხელისუფლება რელიგიის წინააღმდეგ (მებრძოლ უღმერთოთა კავშირის მოღვაწეობა აჭარის ფერისფორიაზე)

მებრძოლ უღმერთოთა კავშირი საქართველოში ჩამოყალიბდა 1928 წელს. მის მოვალეობას წარმოადგენდა სისტემური ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ, პროპაგანდისა და აგიტაციის გზით. მას ქონდა თავისი ბეჭდითი ორგანო, გაზეთი „უღმერთო“ და შემდეგ ჟურნალი „მებრძოლი ათეისტი“. ცენტრალურ საბჭოსთან არსებობდა ანტირელიგიური გამომცემლობა. ამ ორგანიზაციის მიერ გამოშვებული იყო არაერთი წიგნი და ბროშურა.

1940-იან წლებამდე აერთიანებდა 15.000-მდე წევრს. მუკის ცენტრალურ საბჭოში შედიოდა აფხაზეთის, აჭარის, ე.წ “სამხრეთ ოსეთის” მუკის 60-მდე რაისაბჭო.

„კომუნიზმის დროს ადამიანის დამოკიდებულება ბუნებასთან და თვით ადამიანის ერთი მეორესთან დამოკიდებულება, ნათელი იქნება და აშკარაა, რომ რელიგია მოკვდება, მაგრამ თვით კომუნიზმის დროს ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ ერთი დღით არ გათავდება. არამედ, ეს ბრძოლა წარმოადგენს ხანგრძლივ და მტკივნეულ პროცესს და სწორედ რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა რამდენიმე დაკვრითი კამპანიით არ ამოიწურება, არამედ საჭიროა სისტემური და გეგმიანი მუშაობა“ – ეს მოწოდება წითელ ხაზად გასდევდა საბჭოთა ეპოქას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა სივრცეში.

ქართველი ხალხისათვის სარწმუნოება ყოველთვის წარმოდგენდა ბევრად უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ რელიგია. ქართველი ერი რწმენაში აიგივებდა მთელ თავის ეროვნულ ღირსებას. ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ, ქართველი ხალხისათვის იყო ბრძოლა ქართველობის წინააღმდეგ, რაც, ცხადია, თავიდანვე კრახისთვის იყო განწირული. კომუნისტური პარტიის მიერ ნაშენები „სოციალიზმი“ უფრო და უფრო ინგრეოდა, ანტირელიგიურ მოღვაწეობასთან ერთად. საინტერესო ისაა, რომ ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ გულისხმობდა ბრძოლას არა მხოლოდ მართლმადიდებლობის, არამედ ყველა ფუნდამენტური რელიგიის წინააღმდეგ. მათ ბრძოლა გამოუცხადეს, საქართველოში გავრცელებულ ყველა რელიგიურ აღმსარებლობას, მათ შორის, ისლამს.

ეროვნულ არქივში დაცული მასალებიდან ირკვევა, თუ როგორ ერთნაირი

მეთოდებით უსწორდებოდნენ მღვდლებსა და მოლებს. აჭარის ტერიტორიაზე ანტირელიგიური კამპანია თავისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს.

როგორც აღვნიშნეთ, მებრძოლ უღმერთოთა კავშირი 1928 წელს შეიქმნა. მაგრამ აქტიური მოღვაწეობა სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა დროს დაიწყო. აჭარის ტერიტორიაზე ანტირელიგიური მოღვაწეობა ყოველთვის უფრო დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. როგორც ერთ-ერთი მომხსენებლის გამოსვლიდან ჩანს, ამას სულ უჩიოდნენ იქ სამუშაოდ წარგზავნილი პირები: „აჭარისტანი წარმოადგენს მრავალ ერიან კუთხეს. მე სიამოვნებით დავთანხმდებოდი ზუგდიდში, სენაკში, კახეთში მუშაობას ვიდრე მემუშავა იქ აჭარისტანში. იქ არიან აჭარლები, ქურთები, ლაზები, იეზიდები, ებრაელები, ქართველები, სომხები, აფხაზები, რომელი ერი არ გინდათ რომ იქ არ იყოს, აჭარისტანი განსაკუთრებით ჩამორჩენილი კუთხეა. აჭარელ ახალგაზრდობის აღზრდისათვის ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აჭარისტანი გავბანეთ ყოველგვარი რელიგიური ნაშთებისგან. მოგეხსენებათ რომ ბათუმში აჭარისტანის რაიონებში, ქობულეთი, ქედა, ხულო ანტი რელიგიის შესახებ ბევრი რამ არ გაკეთებულა, თითქმის სოფლები იყო ხელუხლებელი, მაშინ როდესაც საჭირო არის აჭარელი გლეხი, აჭარელი ქალი, რომელიც ნახევრად ჩადრშია გახვეული არ დაგენახება, არ მოდის მოხსენებებზე იქ სადაც არის ბჭობა და სხვა. ძალიან ძნელია მათ შორის მუშაობა, რომ შევადაროთ, მლოცველთა-მორწმუნეთა შორის გვაქვს შემდეგი სურათი: 1921 წელში 100 % იყო მლოცველებისა და მორწმუნეებისა, 1924-1925 წლებში 60% მლოცველები, როგორც ვხედავთ ამა თუ იმ სოფლებში კლებულობს თანდათან და ეხლა კი მლოცველთა და მორწმუნეთა რიცხვი არის 15 %. თქვენ რომ გაიაროთ აჭარისტანის სოფლებში დაინახავთ რომ მხოლოდ სამი ოთხი კაცი არის, რომელიც უქმობს პარასკევს. ეს დღე მათი უქმე არის დანარჩენ შემთხვევაში, რომ ვთქვათ მორწმუნეებს 100 % ძირი გამომპალი აქვთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აჭარისტანში მორწმუნეები არ არის არ შეიძლება, არა იმიტომ რომ მათ აქვთ სახლი, მე ვლაპარაკობ კულტურულ აჭარელზე, უაღრესად კი პირველ რიგში ქალებზე, რომლების სულ მუდამ სახლში არიან“ [უიცა, ფ.1547. საქ.160. გვ.42].

მუკის წარმომადგენლები მუდმივად უჩიოდნენ ადგილობრივების მხრიდან წესის მკაცრ დაცვას. ძირითადად მოსახლეობა უარს ამბობდა დასწრებოდა ხელისუფლების მიერ გამართულ საჯარო ლექციებსა თუ სხვადასხვა ღონისძიებებზე. ისლამთან ბრძოლა კიდევ უფრო უჭირდათ, ვინაიდან არ ქონდათ საჭირო ლიტერატურა „თქვენ იცით, რომ არც ერთი წიგნი ისლამზე არ არის დაწერილი და ეს იცის მან ვისაც ამ ისლამის რწმენა აქვს და რასაკვირველია ვისაც ამის რწმენა აქვს, ნაკლებად ებრძვის ამ სარწმუნოებას და არ დაესწრება

ისე როგორც საჭიროა"- ვკითხულობთ მუკის წარმომადგენელთა მოხსენებებში.

1937 წლის 29 ოქტომბერს შედგა აჭარის მებრძოლ უღმერთოთა კავშირის პირველი რესპუბლიკური კონფერენცია. სადაც განიხილეს ანტირელიგიური მუშაობის ამოცანები აჭარაში. ამ პერიოდისათვის აჭარის მუკში მთელი რიგი ცვლილებები განხორციელდა. აჭარის მუკის ყოფილი თავმჯდომარე, ხალხის მტრად გამოაცხადეს, ის გარიცხეს კონფერენციის მუკის წევრობიდან და მოიხსნა თავმჯდომარეობიდან. „აჭარაში „მუკს" ხელმძღვანელობდა ამჟამად უკვე გამომუღავნებული ხალხის მტერი ქათამაძე და აბაშიძე, რომლებიც მუშაობის მაგივრად „მუკის" საზოგადოებას პირიქით ხელს უშლიდნენ. საქმეს ისე აწყობდნენ, რომ ურჩევდნენ ხალხს არ შესულიყვნენ „მუკის ორგანიზაციებში". თქვენ წარმოიდგინეთ 1937 წელს ბათუმის რაიონის ერთ-ერთ სოფელში შეაკეთა მეჩეთი და ამავე დროს დაიზეპირა ერთი მოხსენება, რომელიც გააკეთა 4 რაიონში, რომლისთვისაც მიიღო სათანადო გასამრჯელო. ამავე დროს საწევრო ანარიცხებს კრეფდნენ და არცერთ წევრისთვის წიგნი არ მიუციათ" (უიცა, ფ.1547 საქ.90. გვ.14). აჭარის მუკის თავმჯდომარის ხალხის მტრად გამოყვანის კიდევ არაერთი მიზეზი იყო დასახელებული: „ბათუმში ჩკალოვის ქუჩა №6 მოთავსებული მეჩეთი რომელსაც ხელმძღვანელობდა ბნელი ელემენტი, ხოჯა ისმაილ ეფენდი მიქელაძე მან წინასწარ დაიწყო სამზადისი ბაირამობის ჩატარებისათვის, რაზედაც შეაგროვა სოფლებში 3000 მანეთი და ამ მრევლს წინადადება მისცა 12 ნოემბერს გამოცხადებულიყო მეჩეთში, რომლებმაც დააკმაყოფილეს ხოჯას თხოვნა. მოსკოვის ქუჩაზე მცხოვრებ პეტრე ბურმანს სახლში მოწყობილი ქონდა რელიგიური კუთხე და ლოცვას ასწავლიდა თავის შვილიშვილს 9 წლის გოგონას, ასევე 9 მარტის ქუჩა №6 კერძო ბინაში მოწყობილი აქვს სინაგოგა, სადაც ლოცვისას იწვევს მეზობლებს და ლოცულობენ", ან კიდევ „ქობულეთის რაიონში სოფელ დაგვაში ჩამოვიდა ვიღაც დათიკო (ჟორა) მკითხავი, რომელიც დადიოდა ოჯახიდან ოჯახში და მკითხაობდა. მან კაკალაძის მეუღლე გახურებული შანთით დაშანთა კუდიანობისათვის. ქობულეთში მოხდა ნათლობა (წინა დაცვეთა) მოინათლა ხუთი ბავშვი/. ქედაში ისმაილ ბერიძემ (ექიმბაში) სოფელ ახოში სულეიმან ნაკაშიძეს ხელზე წამალი დაადო, რომელიც მოიწამლა და შემდეგ ლოცვებით მკურნალობდნენ, მაგრამ ამან ვერაფერი უშველა და ხელი გაუფუჭდა. ხულოს რაიონში სოფელ ბეღელში მასწავლებელმა ქალმა ჩადრი ჩაიცვა იმ მოტივით, რომ ავტორიტეტს ავიმაღლებ მასაშიო, ყველა ზემოთ ნაჩვენები ფაქტები მოწმობენ იმას რომ მორწმუნეები აჭარის ოლქში ჯერ კიდევ ბევრია და საჭიროა გაორკეცებული მუშაობა" (უიცა, ფ.1547. საქ.162. გვ.15).

ამ სირთულეებიდან გამომდინარე აჭარის მებრძოლ უღმერთოთა კავშირის რესპუბლიკურმა კონფერენციამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებები.

კონფერენცია ავალებდა ახლად არჩეულ საბჭოს, რომ აუცილებლად ჩატარებულიყო საუბრები მუსლიმური რელიგიის (როგორც ყველა რელიგიის)

„რეაქციულ-კლასობრივ" ხასიათზე, მუსლიმური რელიგიური კულტების მსახურთა - ხოჯების, მოლებისა და სხვათა ანტისაბჭოთა, ანტისოციალისტურ მოქმედებათა ხასიათზე, როგორც გასაბჭოებამდე, ისე განსაკუთრებით შემდეგ „როდესაც ხოჯები, მოლები და მისი აგენტები ყოველთვის ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური და სასულიერო წოდების ბატონობის აღდგენას, რომელიც სავსებით გამოაშკარავდა კონტრრევოლუციურ-დივერსიულ ცენტრის აჭარის პროცესებზე" (უიცა, ფ.1547. საქ.70, გვ.10).

კვალიფიციური ანტირელიგიური კადრების მომზადების მიზნით 1937-1938 წლებში უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო ანტირელიგიური დარგის მუშაკთა მივლინება საქართველოს მუკის ცენტრალურ საბჭოს რესპუბლიკურ (ქ. თბილისში) და საქართველოს მუკის ცენტრალურ საბჭოს (ქ. მოსკოვში) კურსებზე არანაკლებს 10 კაცისა.

უნდა მოწყობილიყო ყველა მუკის რაიონულ საბჭოსთან, ქალაქის საბჭოსთან და ცენტრალურ საბჭოსთან ანტირელიგიური კაბინეტები სათანადო ლიტერატურით, თვალსაჩინო ინვენტარით, ფოტოსერიით, დიაპოზიტივებითა და სხვა. აგრეთვე ბათუმის საქალაქო საბჭოსთან და ცენტრალურ საბჭოსთან ანტირელიგიური სემინარები, ანტირელიგიური პროპაგანდისტებისა, აგიტატორებისა და მომხსენებლებისადმი სამეცნიერო-მეთოდურ მოხსენებებისა და კონსულტაციების ჩატარების მიზნით, აჭარის პედაგოგიურ სასწავლებელში უნდა შემოეღოთ ანტირელიგიური აღზრდის საკითხების დამუშავების პროგრამა, ხოლო პედინსტიტუტში რელიგიისა და ათეიზმის ისტორიის კურსის სწავლება. აქტიურად უნდა გავრცელებულიყო ანტირელიგიური პრესა, („მებრძოლი ათეისტი" , „ბეზბოჟნიკი" და სხვა). 1937-1938 წლებში დაიგეგმა გამოცემა სხვადასხვა ანტირელიგიური ბროშურების, უმთავრესად საბუნებისმეტყველო-მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის, ხოლო პირველ რიგში მუსლიმური რელიგიის საკითხები ანტირელიგიური აქტივისა და პროპაგანდისტების მოსამზადებლად, კრებული, ისლამის წარმოშობისა და მის კლასობრივ არსების შესახებ. ფართოდ გავრცელდა აჭარის მოსახლეობაში ანტირელიგიური კინოსურათების ჩვენება, რისთვისაც საბჭომ 1938 წელს შეიძინა კინომოძრავი მანქანა.

ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან კარგად ჩანს, როგორ ღრმა ფესვებს იძენდა ანტირელიგიური მოღვაწეობა აჭარაში. 1939 წლისათვის ჩატარდა არაერთი ლექცია და ხმამაღალი კითხვა, სადაც აიძულებდნენ მოსახლეობას მისვლას: „1939 წლის იანვრიდან დღემდის ჩატარებულია ლექციები: ქედაში 93, ქობულეთში 78, ბათუმის რაიონში 79, ხულოში 85 და თვით ქალაქში 135 სულ 470. გარდა ლექციებისა ჩატარებულია 150 საუბარი და ხმამაღალი კითხვა, რის შედეგადაც ჩვენ შევძელით 96 კაცი მორწმუნე გავხადეთ ურწმუნო. ლექციების მსვლელობასთან დაკავშირებით მოვაწყვეთ მოძრავი გამოფენა 8 ნაწილად, რომელიც მიტანილი იქნა 21 ორგანიზაციაში და ლექტორები კონსულტაციის სახით უხსნიდნენ ფართო მასებს რელიგიის მავნებლობაზე, გამოფენა ინახულა 8 ათასმა კაცმა. ჩვენი მიზანია მოკლე ხანში გამოფენა გავაგზავნოთ რაიონებში

დამატებით" 9უიცა. ფ. 1547. საქ.162, გვ.15).

ცალკე ყურადღებას იმსახურებს ქალის ადგილი რელიგიაში. საინტერესო ისაა რომ ხშირ შემთხვევაში ქალის როლის წინ წამოწევას სწორედ ანტირელიგიური ფონის შექმნით ცდილობდნენ. საარქივო მასალებში ბევრია მსგავსი პათოსით გამსჭვალული მომხსენებლების გამოსვლები: „მორწმუნე მშრომელმა ქალმა არ იცის რომ რელიგია მისი ყველაზე დაუნდობელი მტერია, მორწმუნე მშრომელმა ქალმა არ იცის რომ მას ადამიანად არ სთვლის, რომ ქალი რელიგიის მიერ ნახევარ-ადამიანად და უფრო მეტიც, ბოროტ არსებად, ავ სულად, ეშმაკად, მზაკვრად და ყოველგვარი საშინელების მიზეზად არის გამოცხადებული. ჩვენში ანტირელიგიური მუშაობა ქალთა შორის ვერ სდგას კიდევ თავის სიმაღლეზე. ჩვენ კიდევ ვერ გარდავქმენით ჩვენი რელიგიური მუშაობა ისე, რომ დავუმტკიცოთ მორწმუნე ქალთა მასებს რომ რელიგია განსაკუთრებით მშრომელი ქალების საზიზღარი მტერია. ამის საბუთები აუარებელია ქრისტიანულ, მაჰმადიანურ, ებრაულ და სხვა რელიგიებში. ყველა ის ვინც ქალთა შორის ანტირელიგიურ პროპაგანდას ეწევა, პირველ ყოვლისა კარგად უნდა იცნობდეს რელიგიურ ორგანიზაციების აზრებს ქალის შესახებ. თითქმის ყველა რელიგიური ორგანიზაცია იძლევა მეტად ძვირფას მასალას ანტირელიგიურ პროპაგანდისათვის" (უიცა, ფ.1547, საქ. 21, გვ.15).

ლექციებსა თუ ხმამაღლა კითხვის დროს ისინი ხშირად იყენებდნენ ყურანს თვითნებურ გაგებასა და განმარტებას: „მაჰმადიანური რელიგიაც არ თვლის ქალს ადამიანად. ყურანი პირდაპირ ამბობს, რომ ქალი ადამიანი არ არისო. მაჰმადიანური რელიგიის მიხედვით, ქალი ქმრის მიერ ნაყიდი ნივთია და მეტი არაფერი. ამიტომაც არის რომ ეს რელიგია შეძლებულ მაჰმადიანს ნებას რთავს ოთხი ცოლი იყოლიოს. ყურანში არის ერთი მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ ერთ მოწმე მამაკაცის ნათქვამს იმდენი ძალა აქვს, რამდენიც ორ მოწმე ქალის ნათქვამსო. წერა-კითხვის ცოდნა ქალისათვის მაჰმადიანური რელიგიის მიხედვით ზედმეტი და მავნე ბარგია. ხოჯების და მულების ეს აზრი არცაა გასაკვირი. იმათ კარგად იციან რომ სიბნელე და უვიცობა როგორც რელიგიის განმტკიცების და შენარჩუნების, ისე ქალის დამონების საუკეთესო საშუალებაა. რელიგიური ორგანიზაციების /იქნება ეს ქრისტიანობა, იუდეველობა თუ მუსულმანობა/ საქმიანობა ერთი მიზნისკენ მიისწრაფვის – ჩაშალოს სოციალისტური მშენებლობა და გადაარჩინოს ექსპლუატატორულ-კულაკურ ელემენტების დაღუპვა" (უიცა, ფ.1547, საქ. 21, გვ.17).

ცხადია, ქალის ფაქტორს კარგად იყენებდნენ, აგიტაციის დროს, და როგორც მასალებიდან ირკვევა არც თუ წარუმატებლად: „სამი თვის განმავლობაში ერთხელ ვიქენი მივლინებული აჭარის ყველაზე შორეულ რაიონში, ხულოში. აქ ექვსი დღის განმავლობაში ამ ხაზით დიდი მუშაობა ჩატარდა. წაკითხული იქნა ლექციები 6 ადგილას სხვადასხვა თემებზე, განსაკუთრებით „ქალი და რელიგია" ანტირელიგიურ პროპაგანდის შედეგად ჩამოყალიბებული იქნა სამი უჯრედი სადაც გაერთიანდა 45 აჭარელი ქალი, გავრცელებული იქნა ლიტერატურა, ამავე

დროს გამოდიოდნენ ქალები კამათში, რომლთაც ჯერ კიდევ აქვთ ჩადრებით დაფარული სახე. ჩვენ ვიცით რომ რელიგია ბევრ უარყოფითს ლაპარაკობს განსაკუთრებით ქალებზე, ამისათვის როგორც ვთქვით მეტი პროპაგანდა და აგიტაციაა საჭირო, განსაკუთრებით ქალებში. აი იმ ნაწილი ქალებისა, სადაც ჯერ კიდევ ჩადრში არიან გახვეულნი და რომლებსაც ვერ წარმოუდგენიათ მამაკაცის გვერდით წინ გაიროს, არამედ ქმარს მიყვება უკან და რომლებსაც ჯერ ვერ წარმოუდგენიათ მათი სურვილით ქმარზე გაყოლა. ქალს უნდა ჩადრი მოიძროს და გადაგდოს ხმარებიდან მაგრამ ქმრის ეშინია. ანდა როდესაც ქმარი სამსახურშია ქალი ჩუმად ნათლავს ბავშვს სახლში. უნდა აღინიშნოს რომ განსაკუთრებით აჭარაში დღემდე უნდა ყოფილიყო ქალთა შორის მომუშავე რათა მეტი დრო რაიონებში ეწარმოებინა. მაგრამ სამი თვეა და ერთხელაც ძლივს მეღირსა რაიონში წასვლა უსახსრობის გამო. ჩვენი ნაკლი ანტირელიგიურ მუშობის არის ის რომ ადგილობრივი პრესა ნაკლებ ყურადღებას უთმობს ანტირელიგიურ პროპაგანდას" (უიცა, ფ.1547, საქ.90, გვ.136).

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მებრძოლ უღმერთოთა კავშირმა სულ არასრული 20 წელი იმუშავა (1928-1947 წწ.), შემდგომ მან არსებობა განაგრძო პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების სახით, რომელსაც გადაეცა მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ფუნქცია მატერიალისტური და მეცნიერული პროპაგანდის დარგში). მან უდიდესი ზიანი მიაყენა რელიგიურ აზროვნებას საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ბრძოლა რელიგიის წინაღმდეგ მხოლოდ ლიტერატურაზე დაყრდნობით ცივილური ხერხებით ხდებოდა, მასალებში მაინც ნათლად ჩანს ძალადობრივი ქმედებები: „რაიონული ინსტრუქტორების მივლინებები რაიონებში ხდება შემთხვევით, ქალაქში კი აღრიცხულია ორი მეჩეთი, ერთი მოქმედი, ერთი უმოქმედო, მოქმედი მეჩეთის ხოჯა მერჯან ეფენდი დაპატიმრებულია". ასევე არაერთი ფაქტი ფიქსირდება ხალხის მტრად გამოცხადების, მათი თანამდებობიდან გადაყენებისა და გასამართლების შესახებ. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა რელიგიური საფუძვლების შერყევით მოეხდინა ქართველის, როგორც ერის გაქრობა და ასიმილირება ერთიან „საბჭოთა ხალხში". ამ ქმედებებს შეეწირა უამრავი ტაძარი თუ მეჩეთი. დააპატიმრეს. გაასამართლეს და ანაფორა გახადეს უამრავ მღვდელს, ლოცვის ჩატარება აუკრძალეს არაერთ მოლას. მოსახლეობაში ჩანერგეს შიში სარწმუნოებისა. აიკრძალა ჯვრისწერები და ნათლობები. მთავარი იდეა, რომ რელიგიური რწმენა-წარმოდგენების მოშლით, მომხდარიყო ქართველობის საბჭოთა ხალხთან ასიმილირება თითქოს რეალური გახდა. კომუნიზმს უნდა ჩაენაცვლებინა ყველა სხვა რელიგია. საბჭოთა ხელისუფლების ქმედებების მთავარი არსი იმაში იყო, რომ შექმნილიყო ანტი კლასობრივი წყობილება, რომელშიც ხალხს აღარ ექნებოდა საკუთარი, ისტორიული რწმენა-წარმოდგენა და მთავარი კულტი იქნებოდა კომუნიზმი, რომელიც ჩაანაცვლებდა ყველა დანარჩენ რელიგიას. მაგრამ ქართველი ხალხის თვითმყოფადობა, ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული რელიგიასთან. მიუხედავად იმისა

რომ ისლამი მხოლოდ აჭარის ტერიტორიაზე იყო ასე ფართოდ გავრცელებული (რაც ისტორიულად მუსლიმთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის შედეგი იყო), აჭარის მოსახლეობისათვის ყოველთვის განუყოფელი იყო ქართველობის ცნებასთან, ისინი იცავდნენ საკუთარ რწმენას, ეს გულისხმობდა, რომ ისინი იცავდნენ ქართველობას. მათ მოახერხეს ეს, ისევე როგორც დანარჩენმა საქართველომ. ერთიანმა „საბჭოთა ხალხის" იდეამ კრახი განიცადა. მაგრამ ფაქტია, რომ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის მოღვაწეობამ და საერთოდ კომუნიზმის 70 წლიანმა არსებობამ დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს სახელმწიფოს, როგორც მატერიალური ისე ცნობიერების დაქვეითების თვალსაზრისით.

წყაროები:

1. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1547, ან.1, საქ. 3.
2. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1547, ან.1, საქ. 5
3. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1547, ან.1, საქ. 8
4. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1547, ან.1, საქ. 11.
5. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1547, ან.1, საქ. 19
6. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1547, ან.1, საქ. 21.
7. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1547, ან.1, საქ. 23
8. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1547, ან.1, საქ. 38
9. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1547, ან.1, საქ. 87.
10. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1547, ან.1, საქ. 100.
11. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1547, ან.1, საქ. 158.
12. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1547, ან.1, საქ. 160.
13. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1547, ან.1, საქ. 166.

GVANTSA KAKITASHVILI
National Archives of Georgia

"UGF", OR SOVIET GOVERNMENT AGAINST RELIGION (THE ACTIVITY OF THE UNION OF GODLESS FIGHTERS IN ADJARA)

Summary

The article deals with the anti -religious work of the Union of Godless Fighters in Georgia, particularly in Adjara, where Georgians different in confession-followers of Islam lived. The survey is mainly based on the materials kept in the archives of the latest history.

The beginning of the XX century is characterized by great changes to Georgia. In the 20s Georgia managed to gain independence from the Russian Empire, though not for a long time. The period of the first republic lasted for incomplete three years, followed by annexation by Russia in February 1921, and Georgia joined the Union of Soviet Socialist Republics.

Georgia continued to live together with 15 republics in one system. Of course, the changes were about not only the center but also the regions. At the end of the 20s, there was a number of "societies", the main idea of which was the formation of a united "Soviet people". One of the first steps of the government to implement was to fight against religion. Communist propaganda was widely spread. With the creation of UGF (Union of Godless Fighters), the government took the fight at the professional level not only with respect of Orthodoxy but with all other confessions in Georgia.

The methods were rather severe. There are a lot of information in the archival materials which clearly show the attitude of the Soviet authorities towards the main religion in Georgia - Orthodoxy, but our country has always been historically characterized by a great variety of ethnicity and confessions. That is why the research subject is the activity of UGF in the territory of Adjara.

The aim of the research is to demonstrate the vast scope of the persecution of confessions and anti-religious activity on the territory of Adjara at the initial stage of establishment of Soviet power.

DMITRI FROLOV
National Archives of Finland

DOCUMENTS RELEVANT TO THE FINNISH HISTORY IN THE ARCHIVES OF THE FORMER USSR.

The topic of my report is to present the questions dealt with the documents relevant to the Finnish History in the Archives of the Former USSR. This presentation is based on my own work experience in the archives of the former USSR as a Head of the project in the National archives of Finland, responsible for the microfilming of the documents about Finns, Finland or relevant to the Finnish History in the archives of the Former USSR.

Collaboration between the National Archives and Russia is part of an international research and development activity, the purpose of which is to acquire digital copies of Finland-related records preserved in the Russian archives and to promote wider research use of these records.

The collaboration of the National Archives and the Russian archives is based on the general agreement, signed for a five-year-period at a time, between the National Archives and the Rosarkhiv Archives in Russia. At the end of the year 2016, the National Archives had an agreement with 43 Russian archives based on the acquisition and/or change of records.

The cooperation with Soviet and Russian archives was always in the scope of interests of the National archives of Finland. In early 1990th Archives signed the mutual agreement with the Russian Archival Agency. This agreement made us possible to collaborate with local archives and copy records. Thereafter, archives have been actively working in different Russian repositories, coping documents dealt to the Finnish history and Finland. In the scope of our interest are political and cultural history, war and economical relation between Finland, Russian Empire, the USSR and contemporary Russia.

The files, we are looking for, can be divided at, at least, to 3 main topics – political history and economy, cultural history and military history. We try to cover all periods – Finland as a part on Swedish kingdom, period of Grand Dutch of Finland or the period Finnish autonomy 1809–1917, Period of Independence until 1944, post war period until the collapse of the USSR.

The sub-topics are different: from Church history to Finnish migration to Russian Empire in 1830-1900, post revolution period and Red Finns in the USSR at 1920-1930th, participation of the Canadian and American Finns in the Civil war in Spain, Winter and Continuation wars, Finnish Prisoners of war as well as post-war period of 1945 – 1960th.

To begin with and for better understanding, I'll give you the basic information about Russian archival system and Russian archives. It will give you a general picture of problems, the researcher will faced, working in Russian archives.

Federal Archival Agency of Russia (Rosarkhiv) is the administrative agency which in charge of 15 state archives throughout the Russian Federation: from St. Petersburg on the North West to Vladivostok on the Far East. Few years ago, there was a plan to establish new state archives, which will preserve the Second world swar documents' (or as it called in Russia "Great Patriotic war 1941-1945"). The archives have to be located in city of Podolsk, 42 km from Moscow on the base of the Central Military archives in 2015. But not all dreams come true. Central Military is still existed. The local, or Regional archives, are not under the official supervision of

Rosarkhiv. In other words, all Russian archives are divided on 3 main groups:

1. State Archives (Federalnie Arhivy)
2. Regional Archives (Regionalnie Arhivy)
3. Ministry's (or Authorities) Archives (Vedomstvennye arhivy).

Access to the archival repositories depending on the type of the archives. According to the Russian archival law all of the pre-revolutionary files of the archive are open to researchers without any restrictions. Most Soviet-period (1920th - 1950th) holdings are already declassified with only a few exceptions. For example, parts of the record groups or in Russian fond of the Council of People's Commissars for the wartime period, or the Partisans Stuff are still closed. On the other hand, more than a half of the records of the Soviet Military Administration in Germany (SMAG) have been declassified.

Most of the so-called special files (Osobye papki) from the CPSU/NKVD/MVD Secretariat (1944-1953) are now open to researchers, although most of the Beria and Stalin files have not been declassified.

Finland was always interested in collecting materials, dealt to the Finnish history. Collaboration between the National Archives and Russia is part of an international research and development activity, the purpose of which is to acquire digital copies of Finland-related records preserved in the Russian archives and to promote wider research use of these records.

The collaboration of the National Archives and the Russian archives is based on the general agreement, signed for a five-year-period at a time, between the National Archives and the Rosarkhiv in 2005. This document guarantees an institutional foundation for the cooperation of Russian archives at different levels. At the end of the year 2015, the National Archives had an agreement with 29 Russian archives based on the acquisition and/or change of records. In 2007 National archives of Finland got the financial support from the Ministry of Education and launch the project, responsible for the microfilming of the documents about Finns, Finland or relevant to the Finnish History in the archives of the Former USSR. Since that time we have been actively working in different Russian archives seeking, investigating, researching, coping, buying and transferring documents from Russia to Finland. Microfilmed or digitalized copies are open for researchers in National Archives of Finland For the last 9 years we've bought about 1 million copies.

One of the most important archive in Russia is the Archives of Social-Political History (RGASPI). In 2007 National archive of Finland signed an agreement with RGASPI. The National Archives copied out Finnish communist party's (FCP) documents. These files consist of records created by the FCP's various local units. Records also reflect intercourse between FCP and the USSR in general issues as well. Documents are also covered the activities of FCP and consist of the following records types: correspondence, personal files, circular and papers of the local FCP's organizations. For the last 9 years we got from them about 500000 copies: Finnish communist party, personal cards of Finnish communists and social-democrats, leaders of state including Juho Kusti Paasikivi Urho Kalevi Kekkonen, Sakari Tuomioja, etc.

The next step was dealt with the copying of so called "private collections". What more can National archives got from RGASPI? Documents of Finnish Communist leaders – Otto-Willi Kuusinen, Siirola, Antikainen, etc.

Moreover, few years I brought to Finland copies of documents closely relevant to Finish history: files about Canadian and

American Finns, which have been taking part in in Spanish Civil War in 1936 – 1939: personal information, including the forms, Finns had to fulfil for the War Commissariat of the International Brigades in Spain. Files are in Spanish, English and French languages. We had copied the lists of the North American Finnish volunteers for Spain also. This information can not only add our knowledge about Finns in Spain but also give some additional information on their fates.

Speaking about RGASPI, we have also bear in mind groups of documents, that are very important for researchers: Intelligence Services' Reports, CPSU Central Committee files, Propaganda Department, Foreign Department of NKVD, personal files of Vjacheslav Molotov or Andrei Zhdanov, Allied Control Commission in Finland 1944-1945, files of the Central Staff of the Partisan Movement (including Karelian Front), interrogation lists of the Finnish, etc. All these documents can produce additional information about history of Finland from the Soviet point of view.

One more block of files, concerning Finland, is very interesting and very important for the researchers. RGASPI's repositories keep also 54 boxes "Red Finns' files". Most of these records were originally created in Finland and despatched to the USSR after the fall of Red rebel in 1919-1920. The papers introduces various documentary materials on Finnish red refugees. Unfortunately, they are still classified.

Since year 2008 National Archives is also working in Russian State Military archives (RGVA) in Moscow. As we all remember, the Soviet Union and Finland waged two wars against each other, the Winter War and the Continuation War. For sure, the history of wars is not only battles and diplomatic relations, victories and losses, decisions of military leaders and heroic deeds. Permanent consequences of any war are prisoners of war. So, the first step was to copy out Finnish Prisoners of War registration cards. The Winter War was short, only 105 days of military action, and the number of Finnish war prisoners was rather small – only 883 in all (in comparison with about 5,6 thousand Soviets in Finnish custody). The situation did not change greatly during the Continuation War. At the moment, we can speak about 3 400 Finnish prisoners of war in Soviet custody. That means that the Finns were only the eleventh-largest group among all prisoners of war in Soviet custody.

The main problem for the researchers, who are studying the history of the Finns in the Soviet custody and their fates in the USSR, is precisely the exact number of Finnish prisoners of war during this campaign. Although all aspects of the registration of POWs in the Winter War had been recorded in detail in numerous rules and regulations, Main POWs Administration officials were not able to register POWs properly through the whole duration of World War II. This led to the confusion regarding the total number of Finnish POWs in the USSR, as well as the number of those deceased in the camps and hospitals. Due to these circumstances, some Finnish soldiers are still considered missing here in Finland.

Actually, the National archives of Finland got from Moscow about 830 personal cards of Winter war POW and 3500 personal cards for the Finnish POWs from Continuation war. By the way, thanks to our project, Finland, I hope, have the mostly full collection of the Finnish prisoners of war cards since 1944.

We are also bought the collection of files about the Winter war in RGVA. It is already copied about 400000 pages. And for sure, we

will continue our cooperation with GARF.

The State Archive of the Russian Federation (GARF) preserves official documents on history of the Russian Empire, files of the Russian Provisional Government, Soviet Russia, Soviet Union and Russian Federation. Collection of the pre-revolutionary documents are also covers personal materials including archives Romanov's imperial family and overviewed the activity of Russian police in Finland.

For the last two years our project is working in the Russian State archives of the contemporary history (RGANI). This archive contains documents from the former Politbyro. The access to the files is very difficult as most of them are still classified. But some documents are open to researchers without any restrictions. Most Soviet-period holdings are already classified with only a few exceptions. For the last several years we received from RGANI about 6 000 records. And we are waiting, as it was promised, about 4000 files to be declassified.

National archives of Finland have very good working contacts and agreements with Russian State archives of the ancient acts (RGADA) and Russian Historical archives of St. Peterburg (RGIA). We copied from these repositories files about Grand Duchy of Finland, Finnish General Governor, Russian rule in Finland etc. This year we signed an agreement with Hostorical Archives of Far East. The first 1 000 records about Finnish migrants already cioied there.

As you already understand, I focused only on the Federal archives. As you remember, Russians have also Regional Archives (Regionalnie Arhivy) and Ministry's Archives (Vedomstvennye arhivy).

Regional Archives (Regionalnie Arhivy).

In 2008-2016 National archives of Finland singed agreements on the mutual cooperation with several regional Archives – State Archives of the Murmansk Region and State archives of the Leningrad region (LOGAV). We are ready to sing the agreement with National Archives of Karelia. Some files concerning the partisan movement in Karelia, attacks on the Finnish villages, lists of the partisans, documents on the POW sare closed for the researchers. These documents can be interesting for the researchers: Karelian Committee of the Communist Party. More than 25 000 files. Civil war in Karelia. Lists of the Finnish communists in Karelia. The Winter war. Occupied territories of Finland. Kuusinen's Government. The Continuation war, etc.

Siberian and Ural archives. Since 2013.

Ministry's Archives (Vedomstvennye arhivy).

Access to the Ministry's Archives (Vedomstvennye arhivy) is restricted or even denied. Anyway, researchers have the possibilities to work with the files of these archives. Cooperation is rather difficult due to the federal, local and even archival regulations. The files of the Vedomstvennye arhivy are much more interesting and unique.

According to the local legislation Ministry's Archives have no possibility to work directly with the foreign partner. It means, foreign archives have to find possibilities to organize so called research groups or pay for the documents to the third side. But it is not possible for the National Archives of Finland.

One of the mostly interesting archives from the point of view of Political and Military History, The Winter and Continuation wars, History of the Prisoners of war and Interned Civilians, is Central Archives of the Defence Ministry.

Access for Russian citizens for

declassified documents requires a formal letter to the Chief of the archive. Access for foreign citizens requires a letter addressed to the First Deputy Chief of the General Staff of the Armed Forces from the researcher's sponsoring institution. The files, which rather interesting for us.

- Intelligence Department.
- Lists of the Finnish Prisoners of war.
- Lists of the Soviet prisoners of war in Finland
- Lists of the Finnish Prisoners of war in the USSR
- Interrogation lists etc.

Than in a short. I will only mention the archives, their field of research interest, topics interesting for us.

- Archives of the medical documentation of the Military Medical Museum of the Defence Ministry (St. Petersburg). Topic: medicine.
- Finnish prisoners of war medical cards. -Information about special hospitals for the Finnish prisoners of war.
- Central Naval Archive of the Defence Ministry (Gatchina, Lenigrad region). Topic: Naval History, military activities.
- Central Archive of the Federal Security Service (FSB) (Moscow). Rather difficult to get the information what files they have and how these files are relevant to Finland. According to my information, they have files about War criminals and crimes in 1939 – 1945; information about Finns, who crossed the border with the USSR in 1918 – 1932; Lists of the executed and punished American and Canadian Finns 1935-1939; information about the leaders of Finnish Communist party etc.
- Archive of the Administration of the Federal Security Service for St. Petersburg and Leningrad Region. The archive is not open for public research. According to my information, they have files about War criminals and crimes in 1939 – 1945; information about Finns, who crossed the border with the USSR in 1918 – 1932; Finnish prisoners of war, transferred to the NKVD jail in Leningrad; information about soldiers of Heimopataljoona.

National archives is also working not only in Russia but also in republics of the former USSR, now independent states, Georgia, Armenia, Belorussia. Few years ago we signed also an agreement on the cooperation with Ministry of Communications and Information of Kazahstan. I visited Astana and Karaganda and work in the local archives.

The National Archives of Kazakhstan, in Karaganda, contains many thousands of registration cards of POWs as well as interned and non-interned civilians sent back from the Russian Federation to Kazakhstan.

Karaganda in Kazakhstan formed part of the Gulag Archipelago – called "KarLAG" or the Karaganda camp – in the 1930s and 1940s. More than 65 000 prisoners and "special settlers" were imprisoned in this area. The first to arrive were the Koreans who came from the Far East. The next settlers came from the Baltic States, Ukraine and Byelorussia. Among them were Canadian and American Finns also. Other nationalities such as Germans, Chechens, Crimean Tartars, Karelians and Ingrian Finns were moved to Kazakhstan during the war and post-war period. (KUVAT 12 – 15)

Last year we got from Karaganda about 200 Finnish POWs registration cards. This year we are negotiating with the local authorities to get the access to the thousands registers of civilians. (Kuvat 16 – 18)

On the base of these cards we can follow the fates of the Canadian and Americans Finns in Kazahstan. For example, Heino (in Russian transcription Heimo) Rautiainen, from Canada, who came to the USSR in 1930th with his father Emil Rautiainen. May be, we are talking about Rautiainens, Emil, Heino & Sigrid from Iron River, MI. After the father's arrest Heimo was transferred to the orphan home. In 1942 he was arrested as a "foreigner" and sent to Karabas, Karlag filial.

And last but not least. About 10 years have passed after beginning of our project. About 1 million copies of Russian archival documents are at our disposal now. Nowadays, it is possible to piece together the fragments of Finnish history, make the unknown pages possible for the researchers, assists relatives to find out history of their families. But this is another story. And there is no doubt that archives are the bridge from the past to the future.

ეკატერინე ჯაფარიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მიხეილ მუსხელიშვილი – ევროინტეგრაციში შეჯანილი ქართული წვლილი

ნაშრომის მიზანია პარიზში მოღვაწე, ქართული ემიგრაციის პირველი ტალღის თვალსაჩინო წარმომადგენელის მიხეილ მუსხელიშვილის შემოქმედების, მისი მეცნიერული, პოლიტიკური და კულტურული მემკვიდრეობის შესწავალა-გაცნობა, სამეცნიერო წრეებში მიმოქცევა და მისი ფართო სამსჯავროზე გამოტანა.

მსოფლიოში ცნობილი პროფესორი, იურისტი, ადამიანის უფლებათა დამცველი, საერთაშორისო სამართლის დარგის სპეციალისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ევროპის ხალხთა კონგრესის პრეზიდენტი, „ფედერალური ევროპის მოძრაობის" ცენტრალური კომიტეტის წევრი, ევროპის ფორმირების ინტერნაციონალური ცენტრის ბიუროს ვიცე-პრეზიდენტი, ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის დამაარსებელი და გენერალური მდივანი, მთამსვლელი, მეცნიერი და „აკადემიური პალმის" ჯილდოს კავალერი მიხეილ მუსხელიშვილი დაიბადა 1903 წლის 8 (21) ივლისს თბილისში.

მიხეილ მუსხელიშვილის მშობლები კეთილშობილი და განთქმული ოჯახი ყოფილა ძველ თბილისში. მამა – ვახტანგ სოლომონის ძე მუსხელიშვილი, ცნობილი ოფთალმოლოგი და აკაკი წერეთლის პირადი ექიმი იყო. დედა – ნატალია მირზაშვილი მეტად კეთილი, სათნო და ლამაზი ქალი ყოფილა. ექიმის ოჯახში ოთხი ვაჟი იზრდებოდა. ოთხივემ უმაღლესი განათლება საზღვარგარეთ მიიღო: ლევან მუსხელიშილი ცნობილი ისტორიკოსი და არქეოლოგი იყო, აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის მამა. გიორგი მუსხელიშვილი ცნობილი ინჟინერი, რომელიც სამხრეთ აფრიკაში პროფესიული მუშაობისას დაიღუპა, ხოლო სოლომონ მუსხელიშვილი ცნობილი ექიმი გახდა. იგი 1934 წლამდე პარიზში მოღვაწეობდა.

ვახტანგ მუსხელიშვილის ოთხივე ვაჟი თბილისში, ლევანდოვსკის გიმნაზიაში, სწავლობდა და ოთხივემ წარჩინებით დაამთავრა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მიხეილ მუსხელიშვილი მიდის 1921 წლის ოქტომბრიდან (18 წლის) ჯერ გოტინგენისა და მიუნხენის, შემდგომ კი – პარიზის და ლიონის უნივერსიტეტებში სასწავლებლად, სადაც უმაღლეს იურიდიულ განათლებას იღებს. 1929 წელს დაასრულა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი საერთაშორისო

სამართლის სპეციალობით. სორბონის უნივერსიტეტშივე დაამთავრა ერთწლიანი „აგრეგასიონ" (საკანდიდატო გამოცდები) და მიიღო კანდიდატის ხარისხი; შემდეგ მუშაობა დაიწყო ამავე უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის პრივატ-დოცენტად, ხოლო პარალელურად 1932-33 წლებში ლექციებს კითხულობდა პარიზის უნივერსიტეტის საერთაშორისო გამოკვლევათა უმაღლეს ინსტიტუტში.

მიხეილ მუსხელიშვილის პირადი ოჯახის შესახებ ბევრი ცნობა არ მოგვეპოვება, ნეკროლოგებიდან მხოლოდ რამდენიმე ცნობას მოვუყარეთ თავი. მიხეილ მუსხელიშვილის მეუღლე ულამაზესი უკრაინელი ქალბატონი იყო - სახელად ნინა, რომელიც ბრწყინვალედ საუბრობდა რუსულად, მათთან ერთად ცხოვრობდა ნინას ასაკოვანი დედა ნატალია ლისენკო. მათ საკუთარი შვილი არ ჰყავდათ, თუმცა ჰყავდათ ფრანგი შვილობილი ნიკოლა სამბარი, რომელიც დაოჯახებული იყო (მ. მუსხელიშვილის გარდაცვალების შემდგომ სამძიმარს აცხადებდნენ გაზეთებში ქალბატონი ნინა მუსხელი, ქალბატონი ნატალია ლისენკო და ნიკოლა სამბარი მეუღლით).

როგორც აღვნიშნეთ, მ. მუსხელიშვილი ემიგრაციაში 1921 წელს წავიდა, როცა მოხდა საქართველოს ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ. იგი ვერ ეგუებოდა არსებულ მდგომარეობას და სრულიად დაუფარავად აკრიტიკებდა მას, საინტერესოა მისი იურიდიული შეფასება, რომელშიც მან 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატს საქართველოს დამოუკიდებლობის დასასრული უწოდა. ამან გამოიწვია მ. მუსხელიშვილის პოლიტიკური დევნა და მისი ისტორიოგრაფიის სრულად გაქრობა-ამოძირკვა საქართველოში ბოლშევიკთა მიერ. თუმცა მასზე ფრაგმენტულად მაინც მოიპოვება გარკვეული სახის ინფორმაციები ემიგრანტულ ჟურნალებში [1], რომლებშიც წერია, რომ მ. მუსხელიშვილი იყო მუდამ მგზნებარე, ფიცხი ტემპერამენტის კაცი, დაუღალავი მკვლევარი და მაძებარი, მჩხრეკავი, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი ვერ კმაყოფილდებოდა იურისპრუდენციით და აქტიურ მონაწილეობას იღებდა პოლიტიკურ საქმიანობაშიც.

გარდა ამისა, მ. მუსხელიშვილის პიროვნულ დახასიათებას ვხვდებით აგრეთვე ბატონ ილია ტაბაღუას ნაშრომში, რომელშიც მას დეტალურად აქვს აღწერილი მათი შეხვედრა პარიზში 1961 წლის მაისში პროფესორ მიხეილ მუსხელიშვილთან. იგი წერს, რომ [2] „მ. მუსხელიშვილი იყო მაღალი, ახოვანი, სიმპატიური და რაინდული შესახედაობის კაცი. მუსხელიშვილს პირადად ვიცნობდი, როდესაც 1961/62 სასწავლო წლებში საფრანგეთში, პარიზში მუშაობის დროს, არქივებსა და ბიბლიოთეკებში სტრასბურგში ჩავედი. ერთხელ საღამოს მის ბინაზე დავურეკე, მოვახსენე, ვინც ვიყავი და შეხვედრა ვთხოვე. პასუხი, რომელშიც დიდი სითბო იგრძნობოდა, იყო მოკლე, „თუ გნებავთ, ახლავე გელოდებით". მივედი, დამხვდა თვითონ და მისი მეუღლე. მიღება

იყო ძალიან გულთბილი, ვახშამი, საუბარი..., ბატონი მიხეილი აღმოჩნდა უაღრესად სასიამოვნო, მომხიბლავი პიროვნება, მრავალი ენის მცოდნე (ქართული, რუსული, ფრანგული, ინგლისური, გერმანული), საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო პოლიტიკის ნამდვილი დიდი სპეციალისტი, ღრმად ერუდირებული. დავესწარი მის ლექციებს სტრასბურგის უნივერსიტეტში ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ამ ენებზე ისე თავისუფლად, მჭევრმეტყველურად და ორატორულად კითხულობდა ლექციებს, რომ თითოეული ამ ენის ქვეყნის მკვიდრი გეგონებოდათ. ლექციებს ზეპირად ყოველგვარი ჩანაწერების გარეშე, ორატორულად სასაიამოვნო მანერით კითხულობდა. ჩვენი საუბრის დროს სულ დეტალებში მეკითხებოდა საქართველოს ამბებს. მას ყველაზე მეტად უფრო აინტერესებდა ქართველის (საბჭოთა მოქალაქის) უფლებრივი მდგომარეობა. ჩემში გაოცებამ გამოიწვია საბჭოთა კანონმდებლობის მისმა ღრმა ცოდნამ. ვისაც მ. მუსხელიშვილთან ურთიერთობა ჰქონდა ყველა მიუთითებდნენ მის მაღალ კულტურაზე, ელეგანტობაზე, გულწრფელობაზე, საქმისადმი ერთგულებაზე, მაღალ ერუდიციაზე, ადამიანებთან საერთო ენის გამონახვის იშვიათ თვისებაზე, კეთილშობილებასა და მის თბილ დამოკიდებულებაზე კოლეგებთან და სტუდენტებთან" [2,129].

მიხეილ მუსხელიშვილი 1935-48 წლებში მუშაობდა კაიროს სამართლის ფრანგული სკოლისა და კაიროს უნივერსიტეტის ჯერ ექსტრაორდინარულ, შემდგომ კი - ორდინარულ პროფესორად. 1946-48 წლამდე იყო ამავე უნივერსიტეტის სამართლის კათედრის გამგე და ასევე ეგვიპტის ხელისუფლების მრჩეველი საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკურ მეცნიერებების მიმართულებით. ამის შემდგომ მიხეილი ბრუნდება საფრანგეთში და 1948 წლიდან, სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე, იყო სტრასბურგის იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წამყვანი პროფესორი.

1948-1949 წლებში მან შექმნა სსრკ-ისა და აღმოსავლეთ ევროპის (ე.წ. სოციალისტური) შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელსაც 18 წელი სათავეში ედგა და რომელსაც შემდგომ „მუსხელის" [3] (საფრანგეთის რესპუბლიკის ოფიციალურ გაზეთშია ცნობა, რომელშიც წერია, რომ ქაიროს ფრანგული სკოლის პროფესორმა Michel Mouskhelishvili-მა მიმართა ქაიროში იუსტიციის სამინისტროს თავისი გვარის შეცვლის თაობაზე. უნივერსიტეტის პროფესორმა მიხეილ მუსხელიშვილმა შეიცვალა გვარი და ის იწოდება იმდღიდან მიშელ მუსხელად, Michel Mouskell) ცენტრი უწოდეს (ახლაც მუსხელის ცენტრი ჰქვია). „მუსხელის" ცენტრი წარმოადგენდა პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო სამართლის, სოვეტოლოგიის დარგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს საფრანგეთში, სადაც მუშავდებოდა ევროინტეგრაციის და ევროპული საზღვრების მოშლის იდეა. იგი იყო პირველი ქართველი და ერთ-ერთი პირველი პოლიტიკური მოღვაწე მსოფლიოში, რომელმაც ევროგაერთიანების

და ევროპული საზღვრების მოშლის იდეა წამოაყენა და დაიცვა. ამის პოლიტიკური და სამართლებრივი ხედვა ასახულია მის მონოგრაფიაში „ევროპის ფედერალიზმის სტრუქტურა". ამავე ცენტრში დააარსა საერთაშორისო სამეცნიერო კრებული, რომელშიც აქტიურად თანამშრომლობდნენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები: ჟორჟ კედელი, რობერ მოსსე, გუი ერო, ანრი შამბრი და მრავალი სხვა. პროფესორმა ამავე ცენტრში გამოსცა ორი კრებული, რომელთაც უძღვის მისი ვრცელი წინასიტყვაობა, ორივე ტომმა მალევე პოვა საერთაშორისო გამოხმაურება მსოფლიოს წამყვან მეცნიერთა წრეებში[4]. ამიტომაცაა, რომ მ. მუსხელიშვილი დღემდე რჩება პოლიტოლოგიის ფრანგული სკოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და წამყვან ლიდერად. ხოლო მუსხელის ცენტრში მისი რედაქციით და თანაავტორობით გამოცემული პოლიტოლოგია-სამართალმცოდნეობის დარგის ფუნდამენტური ორტომიანი მონოგრაფია დღესაც დასავლეთის პოლიტოლოგთა სამაგიდო წიგნად ითვლება.

საინტერესო მოსაზრებებია ასახული აგრეთვე ევროპული ფედერაციის მომავალი ფორმის და მის გაერთიანების შესახებ მუსხელიშვილის ნაშრომებში, რომლებიც ფრანგმა გამომცემლებმა ჟან ფრანსის ბიიონმა და ჟან ლუკ პრეველმა მოიძიეს, შეკრიბეს და ერთ წიგნად გამოსცეს. 1930-40-50-იან წლებში მუსხელიშვილის მიერ დაწერილი სტატიები კი საერთო სახელწოდებით „კონფედერაცია და ფედერაცია". წიგნის ანოტაცია ანოტაცია გვამცნობს 2012 წლის 20 ივლისის ნომერში [5] ფედერალიზმის რაობას: „ფედერაცია ეს არის სუვერენიტეტის ცნება, რომელიც ასაფუძვლებს განსხვავებას ფედერაციასა და კონფედერაციას შორის. კონფედერაცია ეფუძნება ხელშეკრულებას, ფედერაცია კი - კონსტიტუციას. კონფედერაცია ქვეყნების გაერთიანებაა, ფედერაცია კი ამასთან ერთად - ინდივიდების საზოგადოება. ფედერაციაში კანონი დომინირებს ძალაზე. ფედერაცია აღჭურვილია უფლებამოსილებით, რომლის განხორციელებაც აღარ ან არ არის მიზანშეწონილი ფედერირებულ სახელმწიფოსათვის (თავდაცვა, საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკური პოლიტიკა და ა.შ). უფლებამოსილებათა გადანაწილება ხდება სუფსიდიარულ პრინციპებზე: ფედერირებული სახელმწიფოები ფლობენ ყველანაირ უფლებამოსილებას, რომელიც არ იყო ფორმალურად მინიჭებული ფედერალური სახელმწიფოსათვის. ეს უფლებები განეკუთვნება ნაციონალურ, რეგიონალურ, კანტონალურ (შვეიცარია) საქმეებს, რომელთა განგებაც თვით მათ სრულყოფილად შეუძლიათ (განათლება, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა, საქველმოქმედო დაწესებულებები, საყოფაცხოვრებო მომსახურება და ა.შ.)". მუსხელიშვილი თავის ნაშრომში წერს, რომ ფედერალიზმში „ძალასა და თავისუფლებას შორის ნაციონალური ავტონომია მორიგებულია საზოგადო წესრიგის მორჩილებასთან. წევრ-სახელმწიფოების საკონსტიტუციო ავტონომიის, სამთავრობო დაწესებულებების, ზემდგომლობის, კავშირის სურვი-

ლების ფორმირებაში მონაწილეობის, კომპეტენციების გადანაწილების და არბიტრალური ხასიათის ფედერალური სასამართლოს დაწესების საშუალებით". მიშელ მუსხელი ასევე საუბრობს ფედერალურ კონსტიტუციაზე და აღნიშნავს, რომ იგი უნდა იყოს მოკლე და შემოგვათავაზოს „საერთო იდეალი". რა იქნება ეს იდეალი ევროკავშირისათვის?!

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თანამედროვე ევროკავშირის კონსტიტუცია დგას მიხეილ მუსხელიშვილის მიერ დაწერილი კონსტიტუციის ფუნდამენტურ პრინციპებზე. მ. მუსხელიშვილმა გასტონ სტეფანთან ერთად 1949 წელს დაწერა ევროპული კონსტიტუცია, რომელშიც გაწერილია პოლიტიკური და სოციალური დემოკრატიის პრინციპები, რაც ეფუძნება მშვიდობასა და სოციალურ სამართალს ფედერაციის ერთიანობაში და ფედერაციული სახელმწიფოების სხვადასხვაობაში (პირველ კორ-ში ეს წინ-ბა დაყოფილი მქონდა, ასე კი სტილურად გაუმართავია). მუსხელიშვილი განმარტავს, რომ თუ „კონსტიტუციამ მიიღო გარკვეული ეკონომიკური და სოციალური ლოგიკა, ის შემოიტანს ფედერაციაში განხეთქილების სხვადასხვა მოტივებს, რომელთაც შეეძლებათ ფატალური დისკუსიების პროვოცირება კავშირის შენარჩუნებაზე". მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, რომ ფედერაციის კონსტიტუცია იღებს გარკვეულ ეკონომიკურ და სოციალურ იდეოლოგიას წევრსახელმწიფოების მთავრობების დაპირისპირების რისკის ფასად, ევროპელი ხალხის დემოკრატიული კონტროლის ქვეშ მყოფ ფედერალურ მოძრაობაზეა დამოკიდებული ისეთი არჩევანის გაკეთება, რომელსაც შეეძლება შემდგომი არჩევნების მიმდინარეობის შერყევა. დღეს იმ სიძნელის ჭინაშე, რასაც ევროპის დონეზე გადაწყვეტილების მიღება ქვია, კავშირის კონფედერალური ბუნების გამო მთავრობები ცდილობენ გადაწყვეტილებათა კონსტიტუციონირებას, მაგალითად საბიუჯეტო ხელშეკრულების შემთხვევაში, რომელიც არ უნდა იყოს კონსტიტუციური ხასიათის. ჩვენ მოხარული ვიქნებით დავრჩეთ მაასტრიხტის შეთანხმების ფარგლებში. ეს მდგომარეობა ფაქტობრივად არის აღიარება უმწეობისა, რომელიც, პირველ ყოვლისა, გამოწვეულია კავშირის ცუდი მმართველობისაგან. დასასრულ იგი წერდა, რომ „უნდა გამოვიდეთ ევროპული რეალობებიდან და ფედერალიზმი შეუთავსოთ ამ რეალობებს. ევროპა კი არ უნდა დაექვემდებაროს ფედერალისტურ პრინციპებს, არამედ უფრო ფედერალისტური პრინციპები უნდა მოერგოს ევროპულ რეალობას"'. ეს არ ნიშნავს, რომ ევროპული ფედერალიზმის ფორმა კიდევ გამოსაგონებელია? ნაშრომის დასასრულს იგი ხაზგასმით აღნიშნავს ფედერაციული პრინციპის მოქნილობასა და სიმდიდრეს, რომელიც ითვალისწინებს ყველა რთულ და მგრძნობიარე დე ფაქტო სიტუაციებს. ეჭვგარეშეა, რომ ევროპული ფედერაცია არ მიიღებს ფორმას, ადაპტირებულს ძლიერ ინდივიდუალიზმთან და მისი შემქმნელი ნაციონალური სახელმწიფოების ხანგრძლივ ისტორიასთან. ამიტომ აპრიორი შეიძლება

ითქვას, რომ ევროპული ფედერაცია არ იქნება არც ერთი მანამდე არსებულ ფედერალურის სისტემის მსგავსი. ეს იქნება ფაქტობრივად ერთი სუვერენული სახელმწიფო სხვებს შორის, ერთი ეტაპი მსოფლიო ფედერაციისაკენ, რომელიც ერთადერთი საშუალება იქნება ფედერალიზმის სრული რეალიზაციისა ომის ლოგიკის უნივერსალური გადაჭრის გზით, რომელიც შედეგია სახელმწიფოების სუვერენიტეტისა, მისი უსასრულო მშვიდობის ლოგიკით შეცვლა და სამართლის გაბატონება ძალმომრეობაზე.

მიხეილ მუსხელიშვილი აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენცია-კონგრესებზე. იგი ყოველთვის საინტერესო და ვრცელი მოხსენებებით გამოდიოდა ევროინტეგრაციის და ერთიანი ევროპული საზღვრების მოშლის ინიციატივით, ევროპის საერთო ბაზრის შექმნის და ერთიანი ევროპული განათლების სისტემის მოდერნიზაციის იდეით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი მოხსენება და ისტორიული გამოსვლა 1950 წლის 6 აგვისტოს ევროკონფერენციაზე სტრასბურგში, რომელიც ჩატარდა მისი უშუალო ინიციატივით. ევროკონფერენციის გახსნის წინა დღეს ევროპის 8 ქვეყნის 300-ზე მეტმა სტუდენტმა ევროგაერთიანების მგზნებარე ინიციატორის მიხეილ მუსხელიშვილის და სამი სხვა მომხრე პროფესორის წინამძღოლობით მოშალა საფრანგეთ-გერმანიის სასაზღვრო ინფრასტრუქტურა და აღმართა ერთიანი ევროპის დროშა. „ჩვენ მხოლოდ პატარა კოცონი დავანთეთ, დიდი ცეცხლი ეხლა სტრასბურგში უნდა გაჩაღდეს, რომ ევროპული გულებიც აინთოს...“ - თქვა მაშინ მ. მუსხელიშვილმა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აგრეთვე მისი გამოსვლა და ინიციატივა საერთო ევროპული ბაზრის შექმნის შესახებ ბრიუსელში [6, 43-44]. 1958 წლის 23-27 აპრილს ბრიუსელში მსოფლიო გამოფენის CECA-ს პავილიონში შედგა ევროპელ პროფესორთა ასოციაციის მორიგი კონგრესი, რომლის მუშაობის დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: ევროპის საერთო ბაზარი და ევროპის საერთო დაწესებულებები. მოხსენებები ეხებოდა ევროპის ეკონომიკური მთლიანობის იურიდიულ ბუნებას და მის საერთო ასპექტს, მის ფსიქოლოგიურ მხარეს. მ. მუსხელიშვილმა კი ვრცელი მოხსენება წარადგინა ევროპის საერთო ბაზრის შექმნის, მისი ინტეგრაციის შესახებ და მის სამართლებრივ ასპექტებზე, რამაც დიდი გამოხმაურება პოვა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პრესა-პუბლიკაციებში. იგი მიიჩნევდა, რომ ევროპის გაერთიანების შედგომ უნდა მოხდეს ევროპის ბაზრის გაერთიანება, რაც გაადვილებდა სავაჭრო კავშირებს ქვეყნებს შორის და შექმნიდა ერთიან საბაზრო სისტემას ევროპის კონტინენტზე. ევროპის საერთო ბაზრის სისტემის შექმნა ხელს შეუწყობდა ევროპული ქვეყნების გაერთიანებას და გაერთიანების შემდგომ მის საერთო სიმტკიცის შენარჩუნებას.

1948-51 წლებში მ. მუსხელიშვილი საუნივერსიტეტთაშორისი ფედერაციის პრეზიდენტ-დამაარსებელია. 1952 წლიდან იგი იყო ევროპელ პროფესორთა

ასოციაციის გენერალური მდივანი. 1952 წლის 25 სექტემბერს პარიზში შეიქმნა სპეციალური კომისია [7], რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: მ. მუსხელიშვილი, მ. ორე, ს. ბერგსტონი, ა. ნიკურაძე, გ. მიშო, ალ. მარკი. რ. ნორთი და სხვები. ამ კომისიას უნდა შეემუშავებინა დებულება ევროპელ პროფესორთა ასოციაციის შესაქმნელად, ხოლო 1955 წლის სექტემბერში ქ. ტრიესტში მოიწვიეს კონგრესი, რომელშიც წარმოდგენილი იყო 18 ქვეყნის 120 წარმომადგენელი. აქ შეიქმნა ევროპელ პროფესორთა ასოციაცია, რომლის მიზანი იყო ევროპული ინტელექტუალური და კულტურული ერთიანობის ორგანიზაციის და განვითარების ხელშეწყობა. ტრიესტის კონგრესზე მთავარმა მომხსენებელმა მიშელ მუსხელმა თქვა, ახლა დადგა საკითხი ევროპელთა ინტელექტუალური და კულტურული ერთობის გაერთიანების შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ ტრიესტის კონგრესის მიზანი იყო ევროპის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების მეთოდების ჩამოყალიბება, ევროპის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა დაახლოება, გონივრული ურთიერთობების განვითარება. ეს იგივეა, რასაც დღეს ბოლონიის პროცესი გულისხმობს, რომლის მიზანია ევროპული ქვეყნების განათლების სისტემების დაახლოება და ჰარმონიზაცია, ერთიანი ევროპული სივრცის შექმნა უმაღლესი განათლებისათვის. ტრიესტის კონგრესზე შეიქმნა ევროპელ პროფესორთა ასოციაცია და განიხილეს საკითხების საფუძვლიანად შემუშავებისთვის კომისიები; ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს პროფესორი ვ. არანჯო-რუიზი-ლინჩი ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი იტალიიდან, ვიცე-პრეზიდენტად - პროფესორი ს. დემპფი-მიუნხენიდან, ასევე პროფესორთა საჭოს წევრი ალ. ნიკურაძე გერმანიიდან და გენერალურ მდივნად პროფესორი მ. მუსხელიშვილი საფრანგეთიდან.

მ. მუსხელიშვილი აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთში „ერთიანი ევროპის წარმომადგენელთა არჩევნებში, იყო ჟურნალ „ევროპის ფორმირების" რედაქციის კომიტეტის წევრი და ჟურნალ „სოციალისტური აზრის" დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი.

1953 წლის 10 აგვისტოს სტრასბუგში ოფიციალურად დაარსდა „ევროპული ქართული მოძრაობა", რომლის სულისჩამდგმელი და ინიციატორი ასევე მიხეილ მუსხელიშვილი იყო. „ქართულ-ევროპული მოძრაობის" საინიციატივო წრემ დააარსა სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: ალ. ჯინჭარაძე, კ. სალია, მ. ალშიბაია, ვ. ცხომელიძე. სამდივნო ხელმძღვანელობდა მოძრაობის მუშაობას ყრილობის მოწვევამდე. „ევროპული ქართული მოძრაობის" საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს პროფესორი მიხეილ წერეთელი, ხოლო საპატიო წევრად - გრიგოლ რობაქიძე. „ევროპულ ქართულ მოძრაობას" საფუძვლად დაედო 1953 წლის 7 აპრილს ქ. მიუნხენში შეკრებილი დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შემდეგი წესდება: 1) ქართველთა შორის

ევროპის სახელმწიფოთა კავშირის და მასში სუვერენული დემოკრატიული საქართველოს შესვლის აუცილებლობის იდეის გავრცელება. 2) გაცნობა უცხოელთათვის, რომ საქართველო მუდამ იყო სულიერად და კულტურულად ნაწილი ევროპის და სურს გახდეს მისი წევრი. ამ მიზანთა მისაღწევად იგი უკავშირდება კავკასიელ მეზობელთა და ევროპის სხვა ერთა ევროპულ მოძრაობებს. მოძრაობის წესდებაში ხაზგასმულია, რომ „ქართულ-ევროპული მოძრაობა" არ იყო კუთვნილება რომელიმე პარტიისა ან ჯგუფისა. მასში მონაწილეობის მიღება შეეძლო ნებისმიერ ქართველს, განურჩევლად რელიგიური მრწამსისა და პოლიტიკური შეხედულებებისა, ვინც აღიარებდა საქართველოს სუვერენობას და იზიარებდა ევროპის მთლიანობის იდეას [8, 30-31].

მიშელ მუსხელი 1954 წლიდან იყო ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის დამაარსებელი და ორჯერ არჩეული გენერალური მდივანი. ამავე წლებში პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო საზოგადოების დამაარსებელი „მეცნიერული პრესის საერთაშორისო კავშირის (ამ კავშირის ვიცე-პრეზიდენტი იყო კალისტრატე სალია) და სხვა უამრავი სამეცნიერო თუ საზოგადებრივი გაერთიანების წევრი.

ცნობილ მეცნიერს ხშირად იწვევდნენ ლექციების წასაკითხად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის ნორვეგიაში, იტალიაში, აშშ-ში, სკანდინავიის ქვეყნებში, ჰოლანდიაში, შვეიცარიაში და სხვა.

მ. მუსხელიშვილი 1954 წელს მიწვეული იყო The American Friends Service Committee–ს მიერ აშშ-ში ლექციების წასაკითხავად. პროფესორმა წაიკითხა მოხსენებები ჩრდილოეთ ამერიკის ყველა დიდ ქალაქსა და უნივერსიტეტში, პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებში, რელიგიურ საზოგადოებებში. მის ლექციებს ყველგან უამრავი ხალხი ესწრებოდა. ვაშინგტონში ერთ მის მოხსენებაზე მოვიდნენ მთელი დიპლომატიური წარმომადგენლობის კულტურულ სექციათა ხელმძღვანელები. იქიდან დაბრუნების შემდეგ იგი გაემგზავრა სკანდინავიაში ოსლოსა და უპსალას უნივერსიტეტების მიწვევით. მოხსენების თემა იყო ევროპის ცივილიზაციის კრიზისი და ევროპის კულტურის გაცოცხლების აუცილებლობა [9, 30].

მ. მუსხელიშვილის სტატიები და ნაშრომები იბეჭდებოდა ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ ენებზე „Monde Nouveau", Trvaux et Enquetes კრებულებში, ასევე ნინო და კალისტარტე სალიას პარიზში გამომავალ ქართულ ჟურნალში „ბედი ქართლისა", ესენია: „საქართველო და ევროპა", „ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის", „რუსეთი არ არის ევროპა", „დამონებულ ერთა წამომადგენლობისათვის", „სსრკ ანუ მითი ბედნიერ ერებზე", „პროლეტარიატის დიქტატურა სახელმწიფო ლევიათანში", „საბჭოთა ფედერალიზმი", „ეროვნებები და ლინგვისტიკა სსრკ-ში", „იურიდიული ბუნება საბჭოთა კავშირში" და მრავალი სხვა.

მიხეილ მუსხელიშვილის პირველი ყველაზე ცნობილი და პოპულარული

ნაშრომებიგამოცემულიაფრანგულენაზე.ესენია: 1)MichelMouskheli. L'equiteenDroit InternationalModern. Paris. 1933. 2)MichelMouskheli. Autonomie. 1934, 3)MichelMouskheli. Le Plebiscite de la Sarre. 1933 (პირველი სამი ნაშრომი გამოსვლისთანავე მიშელ მუსხელმა დიდი სიყვარულითა და ენთუზიაზმით 1933 წლის მაისში გამოუგზავნა თავის დედას წარწერით „ჩემ საყვარელ და ძვირფას დედიკოს სახსოვრად მისი საყვარელი შვილისაგან". ეს ნაშრომები დაცულია მუსხელიშვილების პირად არქივში). 4)MichelMouskheli. Latheoriejuidiquedel'Etatfederal: 60fr. (J.Pedone) 1931. (18 ივლისის №457 წელს „ახალ ლიტერატურაში", პარიზის სამეცნიერო ჟურნალში, ცნობაა, რომ გამოვიდა მუსხელის ნაშრომი „ფედერალური სახელმწიფოს იურიდიული თეორია"). 5)Michel Mouskhely, Gaston Stefani, „Draft of a European Federal Constitution" 1948.

მ. მუსხელიშვილი გატაცებული იყო ალპინიზმით, ის ხშირად დადიოდა სალაშქროდ. 1964 წლის 16 ივლისს ერთ-ერთი ასვლის დროს იტალიის ალპებში, აოსტას ხეობაში, მწვერვალ სევინის დაპყრობის შემდეგ დაშვებისას იგი კლდიდან ჩამოვარდა და ტრაგიკულად დაიღუპა. უფრო დეტალურადაა ფრანგულად აღწერილი გარდაცვალების მიზეზი ნეკროლოგში, რომლის თარგმანი ასეთია: მ. მუსხელი 1964 წლის ივლისის დასაწყიში გაემგზავრა სტრასბურგიდან ვალე დ'აოსტაში, იტალიაში, ევროპის ფედერალიზმის უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხავად. იგი ამას ყოველწლიურად აკეთებდა არდადეგების დროს. მან გადაწყვიტა, ჯერ ასულიყო იტალიის ალპებში, სერვენის მასივში „დიდი ტორნალინის მწვერვალზე (3.378 მ), ხოლო შემდეგ ჩასულიყო ქალაქ აოსტაში და ლექციები წაეკითხა. აოსტა მდებარეობს ჩრდილოეთ იტალიის ალპებში, საფრანგეთისა და შვეიცარიის საზღვართან. მას ახლდა სამი პიროვნება: თავისი ფრანგი შვილობილი ვაჟიშვილი, ჰოლანდიელი მეგობარი ჟან ვესტერნბროეკი, რომელიც ასევე ლექციებს კითხულობდა ქალაქ აოსტას უნივერსიტეტში და ერთი გერმანელი სტუდენტი. „1964 წლის 11 ივლისს, დილით, მ. მუსხელიშვილი ავიდა მწვერვალზე და უკან დაბრუნებისას ფეხი დაუსხლტა და გადაიჩეხა კლდეზე. ძალზედ საინტერესოა ამ უბედური შემთხვევის აღწერა ბატონი ჟან ვესტერნბროეკის მიერ, რომელიც დეტალურადაა ფრანგულ ნეკროლოგში გადმოცემული. სამშაბათს ჩვენ დილით დავტოვეთ ვალტურმანში. „დიდი ტორნალინის" მწვერვალზე ასვლის შემდგომ ვისაუზმეთ და სურათები გადავიღეთ. ამინდი ისეთი კარგი იყო, რომ, სამწუხაროდ, უკან დავბრუნდით მხოლოდ დღის სამ საათზე. როდესაც უკვე ყინულს დნობა დაეწყო. ჩვენ ვიყავით ნახევარ გზაზე, ტორნალინის დიდ და პატარა მწვერვალებს შორის, როდესაც გზაზე პროფესორი წაბორძიკდა და ფეხი დაუსხლტა. რამდენადაც ჩვენ თოკებით უკვე აღარ ვიყავით ერთმანეთთან გადაბმული, ჩვენ არაფრის გაკეთება აღარ შეგვეძლო, თუ არა მარტო გვეყვირა: „ბუჩქებს მოეჭიდეთ"! მან ვერაფერს მოსჭიდა ხელი და პირდაპირ გადაეშვა 150 მეტრიდან ციცაბო შიშველ კლდეზე".

პროფესორის მხლებელნი მაშინვე გაეშურნენ ვალტურმანშთან ახლოს მდებარე პატარა სოფელ შენეილისაკენ და უხმეს მაშველებს. მაშველების მობილიზებას და იქ მისვლას ათი საათი დასჭირდა, რა დროსაც პროფესორი უკვე გარდაცვლილი იპოვეს და მისი ცხედარი აოსტაში ჩამოასვენეს. ამ უბედური შემთხვევის გაგების შემდგომ მუსხელიშილის მეუღლე ქალბატონი ნინა ჩამოვიდა აოსტაში და მისი ცხედარი გადაასვენა სტრასბურგში, სადაც იგი დაკრძალეს 17 ივლისს, პარასკევს 16 საათზე, სტრასბურგ-რობერტსოს ჩრდილოეთ სასაფლაოზე. აღსანიშნავია ისიც, რომ მისი დასაფლავება მოხდა ორთოდოქსული წესით და ამ მესიას ხელმძღვანელობდა მამა ჟან არნუ. ვინაიდან მუსხელიშვილს საკუთარი შვილი არ ჰყავდა (თუ არ ჩავთვლით მის ფრანგ შვილობილს). ტრადიციისამებრ, მისი კუბო ჩაასვენა საფლავში მისმა ყოფილმა უახლოესმა ექვსმა სტუდენტმა.

მ. მუსხელისშვილის დაკრძალვას მთელი უნივერსიტეტი დაესწრო, სამგლოვიარო სიტყვა წარმოთქვა სტრასბურგის უნივერსიტეტის რექტორმა დ. ფ. ანჟელოსმა, პროფესორმა ა. ვიელმა და იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა პროფესორ რუაერმა, ასევე ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილემ პოლ მოდინმა. ორივე პროფესორმა განსაკუთრებით აღნიშნა მიშელ მუსხელის სიკეთე, სისადავე, სულიერი კეთილშობილება, ინტელიგენტობა, ცოცხალი ხასიათი და მგზნებარება, რაც ნამდვილად ახასიათებდა ამ ქართველ კაცს, რომელიც ვერ მოესწრო თავისი მშობლიური უნივერსიტეტი დაემშვენებინა [10, 184-186].

61 წლის მეცნიერის დაკარგვამ დიდი სინანული გამოიწვია მთელ ევროპაში. ეს ჩანს ფრანგული წამყვანი გაზეთების „მონდისა" და „ფიგაროს" ფურცლებიდან, რომლებშიც ვკითხულობთ... „პირადი ვაჟკაცობა და შემართება, გასაოცარი ენთუზიაზმი, ინტელექტუალური სიმდიდრე შეადგენდა ხასიათის სიძლიერესა და ნებისყოფის სიმტკიცესთან ერთად ამ შესანიშნავი პიროვნების თვისებებს. ევროპის უნივერსიტეტთა და ევროპულ მოძრაობათათვის ეს აუნაზღაურებელი დანაკლისია. მიშელის დაკრძალვამ გვიჩვენა, თუ რაოდენ დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა იგი კოლეგებსა და სტუდენტებში. მისი სახით ჩვენ დავკარგეთ ნათელი გზის და მაღალი კვალიფიკაციის პროფესორი, სულიერებით, კეთილშობილებითა და გონიერებით გამორჩეული...

ასევე ვკითხულობთ გაზეთი „ფიგაროში" [11]: ნიჭიერი პროფესორის სიყვარული და პატივისცემა იმდენად დიდი იყო, რომ მუსხელიშვილის გარდაცვალების წლისთავზე ორმა რომაელმა სტუდენტმა 23 წლის ჯანი რუტმა და 22 წლის კარლო გრაციანიმ მონბლანზე ერთიანი ევროპის დროშა აღმართა ერთიანი ევროპისთვის მხურვალე მებრძოლის სახელის უკვდავსაყოფად. მათ ეს დიადი ქცევის აქტი საყვარელი სტრასბურგელი პროფესორის ხსოვნისადმი მიუძღვნიათ.

მიხეილ მუსხელიშვილის შრომის შედეგი

ევროკავშირში გასაწევრიანებლად ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევა არსებობს, მაგრამ არცთუ ისე მიუღწევადია და საამისოდ ქმედითი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ევროპული ერების ოჯახს საქართველოც მალე შეუერთდება. მ. მუსხელიშვილის შემოქმედების მიზანი და ნატვრაც სწორედ ეს იყო, საქართველო ყოფილიყო დემოკრატიული და ევროპული ყაიდის ქვეყანა. მან საამისოდ პარიზსა და ბრიუსელში ჩაუყარა საფუძველი ევროპული იდეების დამუშავებას და ევროპული სამართლის საფუძვლებს (ევროკავშირის ფუნდამენტურ კონსტიტუციას) - ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. 1950 წლის 6 აგვისტოს სტრასბურგში, ევროკონფერენციის გახსნის წინა დღეს, ევროპის 8 ქვეყნის 300-ზე მეტმა სტუდენტმა ევროგაერთიანების მგზნებარე ინიციატორის მიხეილ მუსხელიშვილისა და სამი სხვა მომხრე პროფესორის წინამძღოლობით მოშალა საფრანგეთ-გერმანიის სასაზღვრო ინფრასტრუქტურა და აღმართა ერთიანი ევროპის დროშა. „ჩვენ მხოლოდ პატარა კოცონი დავანთეთ, დიდი ცეცხლი ეხლა სტრასბურგში უნდა გაჩაღდეს, რომ ევროპული გულებიც აინთოს,.... თქვა მაშინ მ. მუსხელიშვილმა.

დიახ, საქართველო ევროპულია თავისი კულტურით, ისტორიით, რელიგიითა და თავისუფალი მისწრაფებებით, ამიტომაცაა, რომ ევროკავშირის წევრი-ქვეყნების მიერ დროულად მოხდა ამის გაცნობიერება-აღიარება და საქართველოს ვიზალიბერალიზაციის იმპლემენტაცია. ვიზალიბერალიცაზია - ეს იყო ისტორიული მომენტი საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის.

2017 წლის 2 თებერვალს ევროპის პარლამენტმა საქართველოს მოქალაქეებისთვის 553 ხმით 66-ის წინააღმდეგ (28 დებუტატმა თავი შეიკავა ხმის მიცემისგან) მხარი დაუჭირა სავიზო რეჟიმის გაუქმებას. საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის შემოღება დაფუძნებულია ჩვენ მიერ ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP-Visa Liberalisation Action Plan) შესრულებაზე და გულისხმობს მოგზაურობას ყოველ 6 თვეში 3 თვე, ანუ 90 დღე, ევროკავშირის 22 წევრ, 4 არაწევრ (ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია) და შენგენის 4 კანდიდატ (ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი და ხორვატია) ქვეყანაში (გამონაკლისია ევროკავშირის ორი წევრი-ქვეყანა: დიდი ბრიტანეთი და ირლანდია). იგი ძალაში შევიდა 2017 წლის 28 მარტს; ძალაში შესვლისთანავე, 2017 წლის 28 მარტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი წარჩინებულ სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად სიმბოლური ვიზიტით პირველად უვიზოდ - ჯერ ათენში, შემდგომ კი ბრიუსელში გაემგზავრა. ამით კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა მის ისტორიულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე. ეს ნიშნავს ქართველი ხალხის დაბრუნებას თავის პირვანდელ სამშობლოში - ევროპაში, რომელიც სულ მუდამ ისწრაფოდა და იბრძოდა (ბრძოლობდა???) ამისათვის,

განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში პრემიერმა.

ვიზალიბერალიზაცია არ ნიშნავს ვეროკავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე ხანგრძლივი ცხოვრების ან მუშაობის უფლების მიღებას, ის გვაძლევს საშუალებას, ვიმოგზაუროთ 90 დღე ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში.

საქართველოსათვის ევროკავშირის ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლამ შესაძლოა მოიტანოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები. ორივე მათგანი, ბუნებივია, გამომდინარეობს ვიზალიბერალიზაციის რაობიდან, რომელიც ლოგიკურად შეიძლება ასე დავალაგოთ:

- ✔ ევროკავშირის ქვეყნებში თავისუფლად გადაადგილება, რაც გამოიწვევს ბიუროკრატიული წესების მოხსნას საზღვრის გადაკვეთისას;
- ✔ საქართველოს ევროპასთან ინტეგრაცია, რაც ხელს შეუწყობს და დააჩქარებს ევროინტეგრაციულ პროცესებს საქართველოს სასარგებლოდ;
- ✔ ეკონომიკური სარგებელი, რომელიც გულისხმობს ზოგადად საქართველოს ეკონომიკური ბაზრის მიერთებას ევროპის მსხვილ და კონკურენტულ ბაზართან;
- ✔ ოკუპირებულ ტერიტორიაზე აფხაზი და ოსი მოსახლეობისთვის საქართველოს პასპორტების შეთავაზება, რაც მოახდენს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის საქართველოსთან გამწვავებული ურთიერთობის საბოლოო დეესკალაციას;
- ✔ პოლიტიკური, კულტურული და სოციალური პირობების გაუმჯობესება და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება;

რაც შეეხება უარყოფით შედეგებს, შეიძლება შემდეგნაირად მისი მოკლედ ფორმულირება:

- ✔ დემოგრაფიული პრობლემა. საზღვრების გახსნამ მთელი ევროპის მასშტაბით შესაძლოა გამოიწვიოს ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის უფრო მეტი დოზით შემცირება საქართველოდან მიგრაციის ხარჯზე;
- ✔ მიგრაციული პროცესების გაზრდა. ვინაიდან მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დაუსაქმებელია და საარსებო მინიმუმის მოსაპოვებლად აქ თუ მთელი ერთი თვე მუხლჩაუხრელად მუშაობს, ევროპაში შესაძლოა უფრო მეტი ანაზღაურება ჰქონდეს „შავ მუშას", ვიდრე საქართველოში. შესაბამისად, მას გაცილებით უფრო გაუადვილდება იქ თავის გატანა;
- ✔ პროფესიონალი და ნიჭიერი კადრების გადინება უცხოეთში. ბუნებრივია, (კარგ?) პროფესიონალ და ნიჭიერ ადამიანს ევროპაში უფრო მეტი შესაძლებლობა და ანაზღაურება აქვს, ვიდრე საქართველოში ნებისმიერი მაღალი რანგის საჯარო მოსამსახურეს, შესაბამისად ყოველგვარი ბიუროკრატიული წესებისა და ზედმეტი შეზღუდვების გარეშე მოხდება პროფესიონალი ადამიანების უცხოეთში გადინება, რაც საქართველოსთვის დიდი დანაკარგი იქნება;

- ✔ უცხოელი ლტოლვილების მიღება. ისეთ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, რომელსაც ათასობით საკუთარი ლტოლვილი, ვფიქრობ, გაუჭირდება ვიზალიბერალიზაციით აღებული ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში გარკვეული რაოდენობის ლტოლვილების მიღებას სირიიდან და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან;

საქართველოს ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მთავარი აქტორი ევროკომისიაა, იგი უწევს კონტროლს და მონიტორინგს აღნიშნულ თანამშრომლობას. საქართველოში წარმატებით განხორციელებულ რეფორმათა ციკლი და ასოცირების ხელშეკრულება ვიზალიბერალიზაციის მიღების საწინდარი გახდა, რამაც კიდევ ერთხელ ერთი ორად გაზარდა საქართველოს თავის ევროპულ ოჯახში დაბრუნების შანსი. ქართველი მოსახლეობისთვის - ესაა საბოლოოდ დაახლოება ევროპულ ფასეულობებთან და ღირებულებებთან, რისკენაც საუკუნეების განმავლობაში მიისწრაფოდნენ. ამიტომ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთობლივი ძალისხმევა მოითხოვს კოორდინირებულად მუშაობას, რათა თავიდან იქნეს აცილებული შესაძლო მოსალოდნელი ექსცესის - „შეჩერების მექანიზმის" - ვიზალიბერალიზაციისთვის ამოქმედება. „შეჩერების მექანიზმი" ამოქმედდება იმ შემთხვევაში თუკი:

- ✔ მოხდა რეადმისია, ანუ ქვეყანაში 90-დღიანი ყოფნის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შენგენის ქვეყნის ტერიტორიაზე პირის ყოფნა ჩაითვლება არალეგალურად და ასეთი პირი მოძებნილი იქნება ორივე მხარის მიერ და პოვნის შემთხვევაში მოხდება მისი საქართველოში დაბრუნება. ამასთან ერთად, ასეთ შემთხვევაში მოქალაქეს შეეზღუდება შენგენის ტერიტორიაზე შესვლა 5 წლამდე ვადით, ხოლო ალტერნატივის სახით შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ადმინისტრაციული ჯარიმა 3000 ევრომდე ოდენობით;
- გადაუხდელობის შემთხვევაში კანონდამრღვევს აეკრძალება შესვლა შესაბამის ან ზოგადად შენგენის ტერიტორიაზე, ან უარეს შემთხვევაში მოხდება მისი გონივრული ვადით დეპორტაცია. ამიტომ საქართველოს თითეულმა მოქალაქემ უნდა გააცნობიეროს არსებული პასუხისმგებლობა, რათა ასეთ ქმედებებს არ მიეცეს მასობრივი ხასიათი, რაც საქართველოსა და ევროკავშირის ურთერთობებზე შეიძლება ნეგატიურად აისახოს მომავალში;
- ✔ გაიზარდა არალეგალურად დარჩენილთა რაოდენობა;
- ✔ საფრთხე შეუქმნეს მასპინძელი ქვეყნის საზოგადოებას, მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ნებისმიერი სახის ღონისძიებებში და გამოავლენენ კრიმინალურ ქმედებებს;
- ✔ შესამჩნევად გაიზრდება დეპორტირებული და უკან გამობრუნებული მოსახლეობის რაოდენობა;

ვიზალიბერალიზაცია წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირს შო-

რის აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში გათვალისწინებულ ურთიერთობათა საბოლოო შედეგს, რომლის შესაძლებლობები უკვე ამოწურულია და საბოლოო მიზანი მიღწეული. საქართველოს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა – ეს საქართველოს თავის ევროპულ ოჯახში საბოლოო ინტეგრაციის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. თუმცა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება აქტიურად ჯერ არ განიხილება, საქართველო მაინც მიმზიდველი რჩება ევროპისთვის (ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისთვის), მთავარია საქართველომ არ შეაჩეროს დინამიკური პოლიტიკა და პრაქტიკული წინადადებების განხილვა ორმხრივ ურთიერთობებში ევროკავშირში ასოცირების ან სრულ წევრობაზე გადასასვლელად. ამისთვის საქართველოს მთავრობამ ყურადღება უნდა გაამახვილოს ძირითადად სამ მთავარ ასპექტზე: ქვეყნის მდგრადი დემოკრატიულობის პროცესების შეუქცევადობასა და კანონის უზენაესობაზე, ეკონომიკურ ინტეგრაციასა და ქვეყნის სამხედრო და თავდაცვით საკითხებზე, რაც გულისხმობს: ქვეყანაში მდგრად დემოკრატიულ განვითარებას (უზრუნველყოფილი უნდა იყოს), რომლის გარეშეც ევროინტეგრაცია წარმოუდგენელია. საქართველოს მთავრობამ არ უნდა შეცვალოს პოლიტიკური კურსი, მაქსიმალურად ხელი შეუწყოს დემოკრატიულ პროცესებს ქვეყნის შიგნით და მოახდინოს საზოგადოების მობილიზება, რათა არ მოდუნდეს ყურადღება და მისწრაფება ევროკავშირში გასაწევრიანებლად.

ვიზალიბერალიზაცია თავისი შინაარსიდან გამომდინარე ამ ეტაპზე არ გულისხმობს ეკონომიკურ ინტეგრაციას, ევროპის ეკონომიკურ ზონაში ჩართვა დღესდღეობით საქართველოსთვის მომგებიანი ვერ იქნება, რადგან ჩვენი ქვეყანა საგარეო ვაჭრობის ლიბერალურ პოლიტიკას ატარებს. საქართველომ თავი უნდა შეიკავოს საგარეო ვაჭრობის შემზღუდველი ხელშეკრულებების ხელმოწერისა და მისი იმპლიმენტაციისგან (მაგ. ევროკავშირის საბაჟო კავშირი), ასევე შეეცადოს მოიძიოს ორმხრივი მოლაპარაკებების საფუძველზე სხვა ალტერნატიული გზები ეკონომიკური კავშირებისთვის, რათა მოხდეს დროული და მიზნობრივი ეკონომიკური ინტეგრაცია.

რაც შეეხება სამხედრო რესურსსა და უსაფრთხოებას, საქართველომ არ უნდა შეაჩეროს ნატოში ინტეგრაციის მისწრაფება, აქტიურად ითანამშრომლოს ევროპის თავდაცვით სააგენტოებთან და ყველა სამხედრო ინსტიტუციურ წარმომადგენლობასთან, რომლებიც კარს გაუღებს და დაეხმარება დინამიკური სამხედრო და თავდაცვითი პოლიტიკის გატარებაში.

ამრიგად, ნაშრომში შესწავლილია აქამდე ნაკლებად ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის მ. მუსხელიშვილის პოლიტიკური, კულტურული და სამეცნიერო მოღვაწეობის არქივი, მისი ღვაწლი და დამსახურება ევროპაში ქართულ-ევროპული ურთიერთობის გაღრმავებისა და ევროინტეგრაციის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჟურნალი „კავკასიონი", 1965 წ., ტ. X, პარიზი, გვ.166.
2. საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან. ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ტ. 1, „მეცნიერება", 1994, გვ. 115/118/129.
3. Journal Officiel de la Republique Francaise № 73. 1944 წლის 31 აგვისტო.
4. გაზეთი „ფიგარო", 2.III. 1965.
5. La Taurillon - ევრომოქალაქის ჟურნალი, მიშელ მუსხელი, კონფედერაცია და ფედერაცია: ანტითეზა, 2012წ. 20 ივნისი. სტატიის ავტორი ჯონათან ლევეგლი.
6. ჟურნალი „ბედი ქართლისა", №28-29 გვ. 43-44.
7. ჟურნალი „ბედი ქართლისა", №21-22, გვ. 27-29, 1-5, 7-8.
8. ჟურნალი „ბედი ქართლისა", №15, 1953 წლის სექტემბერი, გვ. 30/31.
9. ჟურნალი „ბედი ქართლისა", 1954 წლის №17, გვ. 30.
10. Revue de Kartvelologie. # 45/46. Paris. გვ.184/86
11. Figaro, 12.08.1965
12. Berdiev. Les sources et le sens du communism russe.
13. Preface au livre de G.Jorre, L'URSS,la terre et les homes.1946
14. Ils'agit de la terminologie de Sir Harold Mackinder, Democratic Ideals and Reality
15. ჟურნალი „ბედი ქართლისა", №18, 1954 პარიზი, მ. მუსხელიშვილი, გვ.15/16.
16. მ. მუსხელიშვილი, ქართულ-ევროპული მოძრაობის გამოცემა, 1952 წ., პარიზი., გვ. 10-16.
17. მ. მუსხელიშვილი, საქართველო და ევროპა, 1953 პარიზი.

EDISHER JAPHARIDZE
Georgian Technical University

MIKHEIL MOUSKHELISHVILI – CONTRIBUTION IN EUROPEAN INTEGRATION OF GEORGIA

Summary

Key words: European Integration, Georgian Imigration, Georgian Emigrants and European integration policy.

Georgia has always been the centuries long to aspire to Europe. Today Georgia is pursuing thoroughly the path of western orientation. From the beginning of European History, Georgia participated in the development of Humanity of spiritual, cultural, political and economic formations in forming, which it constituted the essence of European life. We became Europeans then, when we got Christianity and to became part of Hellenistic world and share of Roman and Greek Civilization. Georgia is giver of share in the European creative works. It is very important to designate Georgian emigrant professor merits in the development and forming of European Union. Muskhelishvili was the first Georgian European who preached about the idea of Creating European Union in his way and erasing frontiers among European countries. He formed the European Center of scientific research and study in Strasburg named "Muskheli" center (where it is operating with the name) which researched European integration issues. After the War he raised the idea of uniting Europe and its federation and protected it. To his opinion, European federalism is not only surviving necessity for European people but also a guarantee of peace and for general flourishing in Europe, freedom and integrity of human race..."he wrote in his work" "The structure of Europe's federalism".

Till Jean Monnet became founder of EU, for this time M. Muskhelishvili had publish many publications about European confederation and they found many scientific Center of EU for EU. While Robert Schuman and Jean Monnet talked about the idea of uniting Europe, M. Muskhelishvili were publishing articles on the same subject in the leading newspapers and magazines and actively participated in the processes of creating the European Union.

In Strasburg in August of 1950, Michel Mouskheli with him students and supporter of European Union was demolished France-German frontier infrastructure and he hoisted common European flag. He said that we had light a fire, the big one fire should be kindling in Strasburg now that European Heart will be relight.

M. Muskhelishvili talked also about European common market creating and European common educational system creating and harmonization which it meant bologna process today. We hardly can say that bologna process ideology is on the base of M. Muskhelishvili's law conceptions. The aim is getting close to European countries educational system and harmonization, and creating of European common educational system for high education

Georgia got EU visa liberalization in 2 February of 2017 (VLAP-Visa Liberalisation Action Plan). It was result of success reforms which it was realized by Georgian Democratic Government and we hope that it will be the beginning of integration process of Georgia to European Union.

At the present time Visa liberalization represents Michel Mouskheli's four main conception for the creating of European Union, which he fought for it. The conception meant at that time, European Countries Union (EU, Confederation), Creating of European common market, Demolish border between European countries and creating of European common educational system and harmonization. Georgia already participated in last two conception and another conceptions are also main provoke for Georgia too. We hope that Georgia will connect with success follow up reforms to European common market and finally Georgia will return own in European family.

Also, thus, it can be said that at the initial point of European Integration were standing the First in the world famous Georgian emigrant scientists M. Muskhelishvili, who are widely credited with forming and developing the European Union.

ეკატერინე ყელაურაძე
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული რუკებისა და ტექნიკური ნახაზების ფონდი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდებში რომ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი მასალებია დაცული, ამაზე დღეს არავინ დავობს. ისიც ცნობილია, რომ ამ მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე დიდი ხანია მოექცა ქართველ თუ უცხოელ მეცნიერთა კვლევის არეალში. მაგრამ ბევრმა ალბათ არ იცის, რომ ქუთაისის მუზეუმში დაცულია ასევე რუკებისა და ტექნიკური ნახაზების საკმაოდ მდიდარი ფონდი, რომელსაც, თუ ერთეულ შემთხვევებს არ ჩავთვლით, შეიძლება ითქვას, მკვლევრის ხელი ჯერ არ შეხებია. ფონდში ძირითადად წარმოდგენილია: სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების რუკები, კერძოდ: საგზაო, საფოსტო, ადმინისტრაციული, არქეოლოგიური, გეოდეზიური და სხვა, მათ შორის: სხვადასხვა ქვეყნის - საფრანგეთის, ყირგიზეთის, დაღესტნის, ჩერქეზეთის, სომხეთისა, თურქეთის ... რუკები და, რაც მთავარია, საქართველოსი. იქ დაცულია: ევროპის რუკა - საფოსტო, 1812 წ., საგზაო რუკა - კავკასიის მხარის, 1858 წ. კავკასიის ცალკეული გუბერნიების, ოლქების, მაზრების, საპოლიციო უბნების რუკები; ივანე ჯავახიშვილის მიერ ძველი წყაროების მიხედვით შედგენილი VII-XII სს-ის საქართველოს რუკა; ხმელთაშუა ზღვის რუკა, 1723წ. გარკვეულ ინტერესს იწვევს იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ამიერკავკასიის რუკა. ფონდში მრავლადაა ქუთაისის ძველი შენობა-ნაგებობების პროექტების ტექნიკური ნახაზები, რომელთა შორისაა: ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის, ქუთაისის მიხაილოვის სამიწათმოქმედო-სათავადაზნაურო ბანკის შენობისა და სხვა ნაგებობების ტექნიკური მონაცემები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ფონდში დაცული „ამიერკავკასიაში ციების გავრცელების" რუკა, რომელიც ექიმმა ტოროპოვმა შეადგინა 1864 წელს. იგი სრულიად ორიგინალურია და მასზე დატანილია (მოცემულია, ასახულია) მთელი კავკასია, სადაც მეტ-ნაკლებად გავრცელებული იყო ციება. მუქი მწვანე ფერით აღნიშნულია ის ადგილები, სადაც უფრო მეტად მძვინვარებდა ეს მძიმე სენი, ხოლო ღია მწვანე ფერით - რაიონები, სადაც ციება ნაკლებად იყო გავრცელებული. რუკის მიხედვით იმ პერიოდში საქართველოში ციება ყველაზე მეტად გავრცელებული ყოფილა გურია-სამეგრელოს ტერიტორიაზე, ხოლო იმერეთში - ნაკლებად. ციების რუკა გარკვეულ დახმარებას გაუწევს საქართველოს ტერიტორიაზე

სხვადასხვა დროს გავრცელებულ დაავადებათა მკვლევართ, ასევე საინტერესო უნდა იყოს დაავადებათა სტატისტიკით დაინტერესებულ პირთათვის. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვფიქრობდით, მიუხედავად იმისა, რომ რუკა ბეჭდურია, იშვიათობა იყო და მხოლოდ ჩვენს მუზეუმში ინახებოდა, მაგრამ გასულ წელს ეროვნულმა არქივმა გამოაქვეყნა თავის ფონდებში დაცული რუკების ციფრული ვარიანტები და ტექნიკური აღწერილობა, აღმოჩნდა - ციების რუკა ეროვნული არქივის ფონდშიც ყოფილა, მაგრამ ეს ფაქტი სრულიადაც არ აკნინებს მის მნიშვნელობას.

ფონდში ფართოდაა წარმოდგენილი ატლასები, კერძოდ, გეოგრაფიული: ევროპის სახელმწიფოთა, მ. ბლოკის, 1867 წლის; ატლასი, დიდი უნივერსალური ენციკლოპედიური ტიპის რუკების კოლექციის /40 რუკა/, ფრანგულ ენაზე; ატლასი ძველი აღმოსავლეთის ისტორიის /24 რუკით/ ფრანგულ ენაზე; ატლასი გეოგრაფიული /40 რუკით/ გერმანულ ენაზე; ატლასი - დიუბუა დე მონპერეს მოგზაურობა კავკასიაში, ფრანგულ ენაზე და სხვ.

რუკებისა და ტექნიკური ნახაზების ფონდში დაცული მასალებისგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დიუბუა დე მონპერეს მიერ შედგენილი ატლასი - „მოგზაურობა კავკასიის ირგვლივ" - 242 ჩანახატით, იგი ფრანგულ ენაზეა და თარიღდება 1843 წლით. შვეიცარიელი მოგზაური ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე დაიბადა 1798 წელს. იყო სიძველეთა მკვლევარი და გეოლოგი, ნევშატელის აკადემიის პროფესორი. 1831_1834 წლებში იმოგზაურა შავი ზღვის სანაპიროზე, ყირიმსა და ამიერკავკასიაში. შედეგები გამოაქვეყნა 1839-1845 წწ.-ში ექვსტომიან ნაშრომში /დიდი ატლასის დართვით/, რომელშიც თავმოყრილია ძვირფასი ფაქტობრივი მასალა ქვეყნის ბუნებისა და სიძველეთა შესახებ. დიუბუა დე მონპერე საქართველოს გეოლოგიის პირველი მკვლევარია. მან შენიშნა კავკასიონის კრისტალური სუბსტრატის გამოსავლები დარიალის ხეობასა და აფხაზეთში, აღნიშნა კავკასიონის ნაოჭა სისტემის ახალგაზრდა (გვიან მესამეული) ასაკი და სიმეტრიული აგებულება გარდიგარდმო ჭრილში. აღწერა საქართველოს დანალექი წყებების განმარხებული ფაუნა და შეადგინა საქართველოს პირველი გეოლოგიური რუკა [ვიკიპედია, თავისუფალი ქართულენოვანი ენციკლოპედია].

დიუბუა დე მონპერეს ქუთაისის მუზეუმში დაცული ალბომიდან ჩანს, რომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხალხთა ისტორიის საკითხებს, ქართულ და სომხურ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს. გამოთქვამდა მოსაზრებებს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების თავისებურებათა და ისტორიის შესახებ. მისი აზრით, ქართული ხუროთმოძღვრება ბიზანტიური და სომხური ხუროთმოძღვრების განშტოება ან ანარეკლი იყო. დიუბუა დე მონპერეს თეორიის სიმცდარე დაამტკიცეს ქართველმა ხელოვნებათმცოდნეებმა. მიუხედავად იმისა, რომ მისი კონცეფცია არასწორი იყო, ნაშრომები მნიშვნელოვანია, რადგან

მათში მოცემულია შემდგომში განადგურებული (დაღუპული) ან სახეცვლილი ძეგლების აღწერილობები და ჩანახატები, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის, როგორც იმ პერიოდის კავკასიაზე ზოგადად, ასევე საქართველოზე. ამ მიმართებით, ინტერესს იწვევს მის მიერ შესრულებული ჩანახატები: ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, ქალაქ ქუთაისის ხედი, გეგუთის ციხე-დარბაზი, ანანურის ციხე, რაჭის ხედები, სამეგრელო, გურია და საქართველოს სხვა კუთხეები. ყველა ეს ნახატი დიდი პასუხისმგებლობით არის შესრულებული და ნათლად ატყვია პროფესიონალის ხელი. თითოეული მათგანი მნიშვნელოვანი წყაროა და ინახავს ჩანახატის შექმნის მომენტისთვის ამა თუ იმ ძეგლის მდგომარეობაზე ინფორმაციას. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ის, რომ ახლახან მუზეუმის მკვლევართა, რომლებიც ჯრუჭის მონასტრის ისტორიას იკვლევენ, ინტერესის არეალში მოხვდა დიუბუა დე მონპერეს ერთი ჩანახატი – ჯრუჭის მონასტრის ქვის ფილაზე ამოკვეთილი წმინდა გიორგის ორი გამოსახულება.

ინტერესს იწვევს ფონდში დაცული, ფრანგულ ენაზე შედგენილი, დიდი უნივერსალური ენციკლოპედიური ტიპის რუკების კოლექცია, რომელიც 40 რუკისგან შედგება; ასევე ატლასი – ძველი აღმოსავლეთის ისტორიის, ფრანგულ ენაზე და გეოგრაფიული ატლასი – გერმანულ ენაზე.

2010 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტმა ქუთაისის მუზეუმს გადმოსცა ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ატლასი" და „საქართველოს გეოგრაფია", რომლებიც ამავე ინსტიტუტის მიერ მომზადდა გამოსაცემად და დაიბეჭდა 1997 წელს.

ცნობილია, რომ ვახუშტი ბატონიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული მეცნიერული გეოგრაფიის განვითარებაში, მან მოგვცა საქართველოს ტერიტორიის პირველი დეტალური აღწერა. ვახუშტისეული „საქართველოს გეოგრაფია" ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის სრული აღწერის პირველი ცდა და ქართული გეოგრაფიული მეცნიერების უძველესი, ყველაზე სრულყოფილი ენციკლოპედიური შინაარსის ორიგინალური გეოგრაფიული ნაწარმოებია. თხზულება დამყარებულია უმთავრესად ვახუშტისავე რუკებზე, საკუთარ დაკვირვებებსა და სხვადასხვა გზით მოპოვებულ ცნობებზე. ვახუშტის გეოგრაფიული კონცეფციები თავისი დროის მსოფლიო მეცნიერების სიმაღლეზე იდგა და ნაშრომმა დღემდე მთლიანად შეინარჩუნა არა მარტო თეორიულ-მეცნიერული, არამედ პრაქტიკული დანიშნულებაც [ვახუშტი ბაგრატიონი, „საქართველოს გეოგრაფია", 1997: 9]. ამ შრომაში ვახუშტის განსაკუთრებული ოსტატობით აქვს გადმოცემული საქართველოს გეოგრაფიის მდიდარი მასალა: საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება, მისი ბუნებრივი საწარმოო ძალები, მოსახლეობა, დასახლებული პუნქტები, სამეურნეო საქმიანობა და სხვ. „ძველ საქართველოს არ დაუტოვებია მეორე ასეთი წიგნი, სადაც მსგავსი სისრულითა და სიღრმით იყოს აღწერილი ჩვენი ქვეყანა. ამიტომ ეს შრომა,

როგორც საქართველოს სრული აღწერის პირველი ცდა, უდიდეს ისტორიულ განძს წარმოადგენს. ასევე ძვირფასია იგი, როგორც ქართული მეცნიერული გეოგრაფიის ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე უფრო სრულყოფილი ძეგლი. ცნობილია, რომ ვახუშტის შრომა, კერძოდ მისი რუკები, დიდი ხნის განმავლობაში ძირითად წყაროს და მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდა საქართველოს და საერთოდ კავკასიის გეოგრაფიული აღწერისა და რუკების შედგენისათვის როგორც რუსეთში, ასევე დასავლეთ ევროპაშიაც" [ვახუშტი ბაგრატიონი, „საქართველოს გეოგრაფია", 1997: 7].

ცნობილია ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიის" პირველი გამოცემები: ჯერ გამოსცა მარი ბროსემ 1842 წელს სანქტ-პეტერბურგში, შემდეგ მოსე ჯანაშვილმა - 1904 წელს, ბოლოს კი თამარ ლომოურმა და ნიკო ბერძენიშვილმა კი - 1941 წელს.

ქუთაისის მუზეუმის რუკებისა და ტექნიკური ნახაზების ფონდში ვრცლადაა წარმოდგენილი რუკები, რომლებიც გეოდეზიის სფეროს განეკუთვნება და გეოდეზიის მკვლევართათვის მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს. ესენია ყოფილი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს მიერ დამზადებული საქართველოს რეგიონების რუკები, რომლებიც მუზეუმის ფონდს გასული საუკუნის 90-იან წლებში გადმოეცა და მათი რაოდენობა 685 ერთეულია. ეს რუკები „გრიფით საიდუმლო" დოკუმენტებს განეკუთვნებოდა საბჭოთა კავშირის დროს და რა საიდუმლო ზრახვები ჰქონდათ მათ შემდგენლებს რუკების შედგენის მომენტში, დღეს ძნელია ამაზე მსჯელობა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მუზეუმში დაცული გეოდეზიური რუკების შედგენაზე უდიდესი დრო და ენერგია იქნებოდა დახარჯული მათი შემდგენლების მიერ. რუკებზე მოცემულია საქართველოს ამა თუ იმ რეგიონის უამრავი ობიექტი: გზები, დასახლებული პუნქტები, მდინარეები, ტყეები, ბუჩქნარი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და სხვა. ეს ობიექტები გამოსახულია მკაფიოდ და კონკრეტულად, გარკვევითა და სისრულით. ტოპოგრაფიულ რუკებზე ყოველი მათგანი - ყანა თუ ტყე, გზა თუ მდინარე და სხვა - საკუთარი პირობითი ნიშნითაა გამოსახული. პირობითი ნიშნების გარდა, გამოყენებულია აგრეთვე შემდეგი აღნიშვნები: ისრები - ჭაობების სიღრმისა და მდინარეების მიმართულების აღსანიშნავად; ჯვრები - უღელტეხილებზე, სწორი ხაზები - მდინარეების იმ ადგილებში, სადაც გაზომილია მათი სიგანე და სიღრმე. დასახლებული პუნქტების პირობითი ნიშნები თვალსაჩინოდ წარმოაჩენს დაგეგმარებას, ნაგებობათა სიმჭიდროვეს, საზღვრებსა და მწვანე ნარგავებს. მკაფიოდაა გამოყოფილი მთავარი ქუჩები და საორიენტაციო დანიშნულების ნაგებობები. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის მუზეუმში დაცულ გეოდეზიის რუკებს ჯერ მკვლევარის ხელი არ შეხებია.

2011 წელს ფონდს საინტერესო მასალები შეემატა ქალაქ ქუთაისის ისტორიული ცენტრის რეაბილიტაციის I ეტაპის არქიტექტურულ-გეგმარებითი

დავალებების პროექტის სახით. მასალები მუზეუმს გადმოსცა ქუთაისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურმა. მასში წარმოდგენილია ყველა იმ სახლის გეგმა-პროექტი, რომლებიც ქუთაისის ძველ უბანში იქნა რეაბილიტირებული. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტიც, რომ თავის მხრივ მუზეუმის რუკებისა და ტექნიკური ნახაზების ფონდში არსებულმა საპროექტო მასალებმა დიდი დახმარება გაუწია ქალაქის ძველი უბნის რეაბილიტაციის პროექტებზე მომუშავე არქიტექტორებს.

ჩემ მიერ წარმოდგენილი სტატია ინფორმაციული ხასიათისაა და მსურს ამ სფეროს მკვლევართ, გარკვეული წარმოდგენა შევუქმნა ქუთაისის მუზეუმის რუკებისა და ტექნიკური ნახაზების ფონდში დაცულ მასალებზე.

ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი ვახუშტი, 1997, საქართველოს ატლასი, თბილისი: „მეცნიერება“.
2. ბაგრატიონი ვახუშტი, 1997, საქართველოს გეოგრაფია, თბილისი: „მეცნიერება“.
3. ქუთაისის მუზეუმის რუკებისა და ტექნიკური ნახაზების ფონდი: M-11; 4; 5; 6; 10; 11; 12; 13; 15; 16; 19; 20; 21; 23; 27; 31; 34 ; 36; 38; 39; 40; 41; 42; 43; 44; 45; 622; 623 ; 624 ; 63; 65; 75; 77; 781; 782; 84; 85.
4. ვიკიპედია, თავისუფალი ქართულენოვანი ენციკლოპედია.

EKATERINE KELAURADZE
Kutaisi State Historical Muzeum

MAPS' AND TECHNICAL SKHETCHES' FUND OF KUTAISI MUSEUM

Summary

Kutaisi Museum Possess a rich fund of maps and technical sketches, which is not yet studied scientifically but some single ones. Basically the fund preserves the maps of different types and function, such as: Postal, Road, Archaeological, Administrative, Geodesic and etc. Among them are maps of various countries: France, Kyrgyzstan, Dagestan, Cherkess, Armenia, Turkey and finely Georgia. In the fund are kept: postal map of Europe – 1812y., Road map of Caucasia region – 1858y., map of separate Governors, Districts, Mazra, Police stations, map of VII-XII centuries Georgia compound by Iv Javakhishvili on the base of old sources, map of Mediterranean Ocean – 1723 y. It is somehow interesting the map of Caucasus compound by Iakob Gogebashvili.

Fond performs a great number of atlases, especially Geographic: Atlases of European countries of 1867y. edited by M. Block, great atlas of universal encyclopedic type maps' collection /40/ - in French; atlas of old oriental history /24 maps/ - in French; geographic atlas/40maps/-in German; atlas – Voyage of Dubua De Mon Pere through Caucasus in French and etc.

Interesting are also the Geodesic maps, which contain the important data about the regions of Georgia. There number is 685.

In the fund also are preserved technical skhetches containing projects of Kutaisi old buildings, such as: Kutaisi Nobles' Gymnasium, Kutaisi Mikhailov Noblemen-Agricultural bank building, and the technical data of other buildings.

In 2011 y. the fund was enriched with materials of project – I stage of Kutaisi old center rehabilitation, architectural-planning works.

СТАНИСЛАВ КОЛЛЕР
(Институт Национальной Памяти) Варшава

ОТНОШЕНИЕ СЛУЖБЫ БЕЗОПАСНОСТИ ПОЛЬСКОЙ НАРОДНОЙ РЕСПУБЛИКИ К СЛЕДСТВЕННЫМ ДЕЛАМ И ДЕЛАМ ОПЕРАТИВНОГО УЧЕТА НА ОСНОВЕ АНАЛИЗА НОМЕНКЛАТУРЫ ДЕЛ 1956-1990 ГГ.

Проблема квалификации архивных материалов Службы безопасности ПНР для уничтожения и процесс их физической ликвидации имеет много аспектов. Событием, в результате которого польское общество осознало важность этого вопроса, был процесс неконтролируемого и лавинообразного уничтожения *архивных материалов* СБ в 1989-1990 годах. Он спровоцировал общество, *антикоммунистическую оппозицию* и журналистские круги выразить громкий протест. Под *массовым давлением* прессы, 31 января 1990 года, министр внутренних дел генерал Чеслав Кищак, издал решение № 1, затем подписанные генералом Генриком Данковским, «О запрещении уничтожения документов в МВД», которым поручил приостановить уничтожение всех рабочих, оперативных и архивных документов[1].

Указанные события вызвали интерес к проблеме уничтожения материалов Службы безопасности и привели к появлению многих публикаций, посвященных теме уничтожения документов в отдельных ведомственных архивах. Они обсуждали: тип уничтоженных материалов, размера и последствия таких действий, ответственность лиц выдыющих приказы уничтожения, правовые аспекты выданных решений и т. д.[2] Между тем не следует забывать, что уничтожение материалов, созда-

[1] AIPN, 01100/22, Decyzja Ministra Spraw Wewnętrznych z dnia 31 I 1990 r. w sprawie zakazu niszczenia dokumentów w resorcie spraw wewnętrznych, k. 2.

[2] Проблематику уничтожения архивных документов бывшей Службы бесопосности ПНР обсуждали (в хронологическом порядке): R. Peterman, *Proces brakowania i niszczenia akt organów bezpieczeństwa państwa w latach 1954-1990 na przykładzie województwa łódzkiego* [in:] *Wokół teczek bezpieki, zagadnienia metodologiczno-źródłoznawcze*, ред. F. Musiał, Kraków 2006, c. 379-391; R. Peterman, *Rozkaz zniszczyć*, „Biuletyn IPN" 2006, № 1-2, c. 112-115; T. Balbus, K. Stróżyna, *„Ojczyznę wolną racz nam wrócić Panie..." Komunistyczna bezpieka wobec kardynała Henryka Gulbinowicza w latach 1970-1990*, Wrocław 2008, c. 133-151; E. Długajczyk, *Sprawa karna o niszczenie akt w Wojewódzkim Urzędzie Spraw Wewnętrznych w Katowicach w latach 1989-1990* [in:] *Archiwa i archiwalia górnośląskie*, t. 1, ред. E. Długajczyk, W. Gojniczek, B. Kalinowska-Wójcik, Katowice 2008, c. 156-169; S. Białek, *Brakowanie i niszczenie dokumentacji SB w województwie opolskim w latach 1987-1990. Ustalenia wstępne*, „Przegląd Archiwalny IPN" 2009, № 2, c. 53-107; S. Koller, *Brakowanie i niszczenie dokumentacji operacyjnej Służby Bezpieczeństwa w Ministerstwie Spraw Wewnętrznych (1956–1990)*, „Przegląd Archiwalny IPN", 2011, № 4, c. 179-234; K. Ostrowska, M. Żulawnik, *Niszczenie kartotek Biura „C" MSW w latach 1989-1990*, „Przegląd Archiwalny IPN", 2011, № 4, c. 235-250; M. Kruk, *Niszczenie materiałów archiwalnych w Wojewódzkim Urzędzie Spraw Wewnętrznych w Gdańsku w latach 1989-1990*, „Przegląd Archiwalny IPN", 2011, № 4, c. 251-270; R. Kościański, R. Leśkiewicz, *Brakowanie i niszczenie dokumentów Wojewódzkiego Urzędu Spraw Wewnętrznych w Poznaniu w latach 1989-1990. Wybrane zagadnienia*, „Przegląd Archiwalny IPN", 2011, № 3, c. 271-282; S. Koller, *Procedura brakowania materiałów Biura „W" w latach 1972-1989*, „Aparat Represji w Polsce Ludowej 1944-1989", 2011, № 1(8-9), c. 247-265; S. Koller, *Normatywne zasady brakowania i niszczenia materiałów Służby Bezpieczeństwa w Ministerstwie Spraw Wewnętrznych (1956–1990)*, „ Pamięć i Sprawiedliwość", 2012, № 2(20), c. 331-358; S. Koller, *Brakowanie i niszczenie akt pionu SB do walki z Kościołem – zarys problematyki*, „Zeszy-

нных органами безопасности, имело место в течение всего периода функционирования архивов Службы безопасности в ПНР. В то время оно имело внутренний характер, по существу определяемый соответствующими правилами и недоступный для общественности.

Уничтожение оперативных документов Службы безопасности в 1956-1990 годах было основано на трех группах правил, изданных руководством органов безопасности. Это были:

a/ перечни номенклатуры дел;
b / директивы директора Архива операционного учёта/Бюро «Ц» Министерства внутренних дел;
c / специальные приказы и директивы руководства Министерства внутренних дел.

Эта статья представляет синтетическим способом принципы уничтожения следственных дел и дел оперативного учета Службы безопасности на основе норм, содержащихся в перечни номенклатуры дел, которые одновременно показывают отношение руководства Службы безопасности ПНР к оперативным и следственным материалам.

Специфика оперативных и следственных материалов Службы безопасности носила политический характер. Поскольку уничтожение документов Службы безопасности зависело от нынешней политики коммунистических властей, именно с самого начала был представлен короткий генезис коммунизма в Польше, с указанием характерных периодов. Затем представлено органы безопасности, их архивы, оперативные документы и важнейшие архивные распоряжения.

Обсудив принципы исследовательского процесса и проанализировав собранную информацию, обсуждено результаты исследования. Из-за синтетического характера статьи литературу, которая расширяет и дополняет обсуждаемые вопросы, указано в ссылках.

Введение коммунизма в Польше

У основы введения коммунизма в Польше лежала империалистическая политика России. После проиграной с Польшой войны в 1920 г., выразилась она преследованием польского населения, оставшегося на территории Советской России, в том, в геноциде более 100 000 человек, в тн. „Польской операции" 1937-1938 гг. и агрессией против Польши 17 сентября 1939 г.[3]

ty Historyczne WiN-u", 2013, № 38, c. 227-258; S. Koller, *Bezpieczeństwo interesów totalitarnego państwa i jego funkcjonariuszy motywem brakowania i niszczenia dokumentacji operacyjnej Służby Bezpieczeństwa MSW (1956-1989)*, „Zeszyty Historyczne WiN-u", 2014, № 40, c. 155-182; S. Koller, *Znaczenie wykazu akt w procesie brakowania i niszczenia dokumentacji operacyjnej Służby Bezpieczeństwa w latach 1956-1989. Zarys problematyki*, „Przegląd Archiwalny IPN" 2015, № 8, c. 23-77; S. Koller, *Wykaz akt oraz zarządzenia, wytyczne i decyzje kierownictwa Ministerstwa Spraw Wewnętrznych w procesie brakowania i niszczenia akt operacyjnych Służby Bezpieczeństwa w latach 1956-1989. Analiza porównawcza* [in:] *Archiwa Polski i Europy: wspólne dziedzictwo – różne doświadczenia*, ред. A. Kulecka, Warszawa 2017, c. 137-194; S. Koller, *Służba Bezpieczeństwa Ministerstwa Spraw Wewnętrznych w świetle brakownia i niszczenia akt operacyjnych w latach 1956-1989* [in:] *Educare necesse est – ale jak i dlaczego? Przykłady dobrych praktyk edukacyjnych*, ред. V. Urbaniak, Warszawa 2017, c. 299-313.

[3] N. Davies, *Europa*, Kraków 1998, c. 992-995; H. Stroński, *Koniec eksperymentu. Rozwiązanie Marchlewszczyzny i deportacje ludności polskiej do Kazachstanu w latach 1935-1936 w świetle nowych dokumentów archiwalnych*, "Ucrainica Polonica" 2007 № 1, c. 201-220; Marek A. Koprowski, *Na gruzach Marchlewszczyzny*, Biały Dunajec–Ostróg 2014; M. Iwanow, *Pierwszy naród ukarany. Polacy w Związku Radzieckim 1921-1939*, Warszawa–Wrocław 1991; N. Pietrow, *Polska operacja NKWD*, „Karta" 1993, № 11, c. 24-45; Н.В. *Петров*, А.Б. *Рогинский*, «*Польская* операция» НКВД 1937-*1938 гг.*

В результате, в самом начале Второй мировой войны, Советская Россия вместе с Германией привела к четвертому разделу Речи Посполитой, кульминацией которого стал расстрел более 20 000 офицеров Войска Польского. На протяжении 20 месяцев советской оккупации потере населения составилось ок. 1 700 000 человек (расстрелы, ареста, лагры, депортация в Сибирь), в основным интелигенции[4].

В результате военных действий в 1941-1943 гг. и развития политической обстановки, Сталин – игнорируя позицию польского правительства в Лондоне – заставил США и Великую Британию на тегеранской конференции в 1943 г. создать коммунистическую Польшу, подчиненную Советской России, что было укреплено конференциями в Ялте и в Потсдаме в 1945 г.[5]

В 1944 г. Сталин создал в Москве тн. Польский комитет национального освобождения (PKWN/ ПКНО) который установил новым правительством. В походе на Берлин Красная Армия вводила на территории будущей Польши коммунистическую власть, ликвидируя одновременно структуры польского подпольного государства, Армию Крайову и всякое сопротивление общества. Десятки тысяч людей было расстреляных, арестованых или депортированых в трудовые лагеря СССР. В то же время, для укрепления власти, с помощию НКВД создавались польские органы безопасности. Новая власть вводила во все отрасли политической и общественной жизни советский строй – те. коммунистический режим[6].

Идеология коммунизма, навязанная полякам силой Советским Союзом, была полностью чужда польской нации, являлась варварской, нечестивой и преступной.

Способ осуществления коммунисического режима переходил медленную трансформацию, которая выразилась в четырех периодах:

- сталинский период (1944-1956);
- период Владислава Гомулки (1957-1970);
- период Эдварда Герека (1971-1980);
- период Войцеха Ярузельского (1981-1989).

Хотя методы правления изменялись, коммунисты постоянно управляли страной с помощю Службы безопасности, называемой обычно «безпекой».

Неофициальная, но реальная оккупация Польши Советами продолжалась 45 лет.

В 1989 г. наступило в Польше контролируемое Советами превращение политической системы из «коммунизма оккупационного» в «коммунизм гибридный». До тех пор неизвестно какой будет того окончательный результат.

Органы безопасности Польской Народной Республики

В истории Польской Народной Республики в гражданском и военном репрессивном аппарате было 12 учреждений:

Департамент общественной безопасности Польского комитета национального освобождения (1944 г.); Министерство общественной безопасности (1945-1954); Комитет по делам обще-

[in:] Репрессии против поляков и *польских* граждан, Москва 1997, с. 22-43; N. Iwanow, *Zapomniane ludobójstwo. Polacy w państwie Stalina. „Operacja polska" 1937-1938*, Kraków 2014; T. Sommer, *Operacja antypolska NKWD 1937-1938*, Warszawa 2014.

[4] Из-за отсутствия доступа к российским архивам потери, понесенные Польшей в результате агрессии со стороны СССР, до сих пор не были точно учтены. *Encyklopedia wojskowa*, Warszawa, 2007, t. 1, с. 405-406; N. Davies, *Europa*, Kraków 1998, с. 1058-1067; Główny Urząd Statystyczny, *Historia Polski w liczbach*, Warszawa 1993, с. 131-132, 195-196.

[5] A. Albert, *Najnowsza historia Polski*, Londyn, 1989, с. 407–408.

[6] N. Davies, *Europa*, Kraków 1998, с. 1103; A. Albert, *Najnowsza historia Polski*, Londyn, 1989, с. 390, 398-400.

ственной безопасности (1954-1956); Министерство внутренних дел (1954-1990) и Служба безопасности Министерства внутренних дел (1956-1990); Гражданская милиция (1944-1990); Главное управление информации Войска Польского (1943-1957); Военная внутренняя служба (1957-1990); Управление внутренной службы военных подразделений Министерства внутренних дел (1957-1990); Разведка Войск Охраны Пограничья (1945-1991); Второе управление Генерального Штаба Войска Польского (1945-1990); органы правосудия; тюрьмы и трудовые лагеря[7]. Все они сдавали свои документы в спецархива оганов безопасности.

Целью органов государственной безопасности, действующих в Польской Народной Реслублике в 1944-1990 гг. было в частности обеспечение внутренней безопасности страны.

Согласно доктрине коммунистических властей, безопасности государства угрожали все, которые вели антикоммунистическую деятельность или только придерживались взглядов иных, чем советская идеология.

Против таких лиц, неофициальных групп, религиозных объединений и легальных организаций подразделения Службы безопасности вели непрерывную оперативную работу. Эти действия носили всегда политический характер.

Архив следственных дел и дел оперативного учета органов безопасности и их специфика

Все архивные документы, произведенные органами государственной безопасности, в том числе оперативными подразделениями Службы безопасности, после использовантя были сданы в оперативные архива, которые имели секретный характер. Распоряжением от 18 ноября 1944 г. Станислава Радкевича, как место хранения оперативных документов, они были созданы в ячейках Департамента Ощественной Безопасности. С января 1945 г. в Минисерстве Общественной Безопасности это были – Второй департамент (польск. Departament II) и Вторые отделения (польск. Wydziały II) в воеводствах; с марта 1955 г. в Комитете

[7] Об истории органов бесопосности ПНР писали, среди прочего.: A. Paczkowski, *Aparat bezpieczeństwa w latach 1944-1956: taktyka, strategia, metody. Cz. 1. Lata 1945-1947*, Warszawa 1994; W. Tkaczew, *Powstanie i działalność organów Informacji Wojska Polskiego w latach 1943-1948. Kontrwywiad wojskowy*, Warszawa 1994; A. Paczkowski, *Aparat bezpieczeństwa w latach 1944-1956: taktyka, strategia, metody. Cz II. Lata 1948-1949*, Warszawa 1996; H. Dominiczak, *Organy Bezpieczeństwa PRL 1944-1990. Rozwój i działalność w świetle dokumentów MSW*, Warszawa 1997; *Aparat bezpieczeństwa w latach 1950-1952. Taktyka, strategia, metody*, oprac. A. Dudek, A. Paczkowski, Warszawa 2000; *Ludzie bezpieki w walce z narodem i Kościołem: Służba Bezpieczeństwa w Polskiej Rzeczypospolitej Ludowej w latach 1944-1978 – Centrala*, ред. M. Piotrowski, Lublin 2000 (перепечатка справочника Бюро «Ц» Министерства внутренних дел с 1978 г.); A. Bilińska-Gut, *Struktura i organizacja Ministerstwa Bezpieczeństwa Publicznego w latach 1944-1954*, „Zeszyty Historyczne WiN-u" № 15: 2001, с. 89-119; P. Piotrowski, *Struktury Służby Bezpieczeństwa MSW 1975-1990*, „Pamięć i Sprawiedliwość", 2003 № 1(3), с. 51-107; W. Frazik, B. Kopka, G. Majchrzak, *Dzieje aparatu represji w PRL (1944-1989). Stan badań*, Warszawa-Kraków 2004; *Aparat bezpieczeństwa w latach 1953-1954. Taktyka, strategia, metody*, разраб. G. Majchrzak, A. Paczkowski, Warszawa 2004; *Aparat bezpieczeństwa w Polsce. Kadra kierownicza, t. 1: 1944-1956*, ред. K. Szwagrzyk, Warszawa 2005; *Aparat bezpieczeństwa w Polsce. Kadra kierownicza, t. II: 1956-1975*, ред. P. Piotrowski, Warszawa 2006; R. Terlecki, *Tarcza i miecz. Historia aparatu bezpieczeństwa w Polsce, 1944-1990*, Kraków 2007; *Aparat bezpieczeństwa w Polsce. Kadra kierownicza, t. III: 1975-1990*, ред. P. Piotrowski, Warszawa 2008; *Aparat bezpieczeństwa w latach 1954-1956: taktyka, strategia, metody*, разраб. G. Majchrzak, A. Paczkowski, Warszawa 2011; *Historyczno-prawna analiza struktur organów bezpieczeństwa państwa w Polsce Ludowej (1944-1990). Zbiór studiów*, ред. A. Jusupović, R. Leśkiewicz, Warszawa 2013.

по делам Общественной Безопасности – Десятой департамент (польск. Departament X) и Десятые отделения (польск. Wydziały X) в воеводствах; с ноября 1956 г. в Министерстве Внутренних Дел – Бюро оперативного учета при МВД и Отделения оперативного учета в воеводствах; а с 1960 г. по май 1990 г. - Бюро «Ц» МВД и Отделения «Ц» в воеводствах[8].

Архивы органов безопасности имели сщвершенно секретный характер и были недоступны для посторонных лиц. Разрешение на доступ к документам, даже для внутренних целей и только в отношении определенных материалов и лиц, выдавал либо отказывал директор Бюро «Ц». При необходимости явных контактов Бюро «Ц» использовалось три названия: Центральный архив МВД, Центральное адресное бюро МВД и Бюро информации МВД[9].

Следственные дела и дела оперативного учета были одними из самых важных документов созданных органами безопасности. Они касались отдельных лиц, групп и общин, юридических и неформальных организаций, церквей и религиозных объединений и любой деятельности, которая могла бы поставить под угрозу строй и власть Польской Народной Республики. Собранные в них материалы обеспечивали оперативную работу, направленную на противодействие антигосударственным явлениям. Собранный всеми возможными способами оперативный материал (доносы, прослушки, наблюдение, перлюстрация корреспонденции) был таюке нестандартным, но богатым источником информации об обществе – особенно об опозиции. После использования, следственные дела и дела оперативного учета, сдавались в архивы Службы безопасности. Они приобретали архивную номенклатуру, то есть сроки хранения, после которых дела подвергались уничтожению.

В Польше, операционные материалы составляли очень разнообразную категорию документов. Их определение изменялось вместе с инструкциями по оперативной работе, которые в 1945-1990 гг. подлежали изменениям. С точки зрения проведения оперативной деятельности в оперативные материалы включались три группы оперативных дел:

а/ дела личных источников информации;

б/ оперативные дела (все разообразные виды);

в/ слелственные дела (дела расследования и контроля)[10].

а/ дела личных источников информации

Дела личных источников информации состояли из двух типов дел – личных дел (*досье* сотрудников) и рабочих папок (результаты их работы). В 1945-1960 гг. секретный и сознательный сотрудник органов бесопасности (все подразделения Минисерства общественной безопасности и Комитета по делам общественной безопасности) и Военной информации назывался информатором. В основном, он принадлежал к структурам, которые он разрабатывал. После 1956 г. стал популярным термин «тайный сотрудник» (польск. TW), хотя

[8] Больше см.: P. Milczanowski, *Specyfika struktury organizacyjnej Archiwum MSW* [in:] *Wokół teczek bezpieki, zagadnienia metodologiczno-źródłoznawcze*, ред. F. Musiał, Kraków 2006, c. 221-229; S. Koller, *Brakowanie i niszczenie dokumentacji operacyjnej Służby Bezpieczeństwa w Ministerstwie Spraw Wewnętrznych (1956-1990)*, „Przegląd Archiwalny IPN", 2011, № 4, c. 180-183; AIPN, 02079/1, Ewidencja Operacyjna Służby Bezpieczeństwa i Milicji Obywatelskiej 1944-1984, Warszawa, wrzesień 1984.

[9] S. Koller, *Normatywne zasady brakowania i niszczenia materiałów Służby Bezpieczeństwa w Ministerstwie Spraw Wewnętrznych (1956-1990)*, „ Pamięć i Sprawiedliwość", 2012, № 2(20), c. 332-333.

[10] Больше см.: F. Musiał, *Zamiast wprowadzenia: archiwalia komunistycznego aparatu represji* [in:] ред. F. Musiał, *Wokół teczek bezpieki, zagadnienia metodologiczno-źródłoznawcze*, Kraków 2006, c. 7-62.

он официально использовался лишь с 1960 г. и касался группы людей, тайно и сознательно сотрудничавших с органами безопасности, а также с Гражданской и Военной разведками ПНР, включая граждан иностранных государств или граждан ПНР постоянно проживающих за рубежом. В последующие годы термин «Личный источник информации» (польск. OZI) использовался для всех лиц, сотрудничающих с органами безопасности ПНР.

В зависимости от типа функции, выполняемой личными источниками информации - в 1945-1990 гг. выделялись:

– информационный контакт (польск. KIN) – он мог не знать, что так его используют;

– гражданский контакт – неофициальная и обычно незарегистрированная форма сотрудничества;

– конфиденциальный контакт (польск. KP) – зарегистрированная категория сотрудничества, аналогичная гражданскому контакту (в 1960-70-х гг. термин конфиденциальный контакт (KP) использовался взаимозаменяемо с категорией: гражданская помощь (польск. PO);

– деловой контакт (польск. KS) – неофициальная категория сотрудничества лица (введена в 1970 г.), поддерживающего контакты с сотрудником Министерства внутренних дел в связи с занимаемой должностью (обычно член коммунистической партии исполняющий руководительские функции);

– оперативный контакт (польск. KO) – одна из категорий секретного и сознательного сотрудничества с упрощенными процедурами, связанная с приобретением и использованием «источников» (в 1970-х и 1980-х годах, часто применяемая к членам коммунистической партии);

– неофициальный сотрудник (польск. NP) – зарегистрированная категория агентов Военной внутренней службы, обычно профессиональный унтер-офицер или офицер, который по поручению своего руководства поддерживал связь с агентами более низкой степени;

– агент, секретный сотрудник (польск. TW) – лицо, сознательно и тайно *сотрудничающее* с органами безопасности;

– оперативный контакт Департамента I Министерства внутренних дел (польск. KO Departamentu I) – основная категория секретного, сознательного сотрудничества между гражданами ПНР и Гражданской разведкой (похоже как секретный сотрудник – TW, в других Департаментах);

– содержатель контактного места (польск. LK) – лицо, сознательно разделяющее частную квартиру (полностью или частично, реже помещении учреждения) для оперативных нужд спецслужб;

– содержатель явочной квартиры (польск. MK) – помещение, принадлежащее Министерству внутренних дел, выполняющие аналогичные функции как вышеуказанный LK;

– содержатель передаточного пункта (польск. SK) – лицо, сознательно разделяющее место для предоставления информации;

– консультант (польск. K) – категория сознательного сотрудничества, основанная на использовании знаний сотрудничающего лица (например, подготовка экспертных заключений);

– резидент – до середины 50-х гг. одна из форм агентуры, состоящая в проведении работы с несколькими информаторами (в Первом департаменте – офицер, управляющий работой резидентуры)[11].

[11] Больше см.: F. Musial, *Zamiast wprowadzenia: archiwalia komunistycznego aparatu represji* [in:] ред. M. Musial, *Wokół teczek bezpieki – zagadnienia metodologiczno-źródłoznawcze*, Kraków 2006, c. 46-51; F. Musial, *Podręcznik bezpieki. Teoria pracy operacyjnej Służby Bezpieczeństwa w świetle wydawnictw resortowych Ministerstwa Spraw Wewnętrznych PRL (1970-*

На агентуру были заведены личные дела (досье). В них содержались персональные данные, подписанное обязательство о сотрудничестве и результаты работы агента.

Личные дела (досье) были также заведены на люди, которыми Служба безопасности была заинтересована в качестве кандидатов в секретные сотрудники. В них были собраны материалы для налаживания сотрудничества. Часто, после негативного рассмотрения вопроса, набор был отброшен без установления контакта с кандидатом.

Второй тип дел «личных источников информации» – это рабочие папки, которые были результатом их деятельности. В основном в них находились доносы, отчеты и т. д., которые могли принимать также форму заметок, сделанных ведущим офицером.

В Бюро «Ц» наряду с оперативными делами хранились также личные дела бывших функционеров Министерства безопасности. Интересно, что в статистических отчетах о состоянии и движении архивных документов Службы безопасности, ежегодно составляемых для министерства, они учитывались вместе с оперативными делами (по сути, офицерское досье всегда представляло оперативную ценность).

б/ оперативные дела

Оперативные дела изменялись в течение 1945-1990 гг., вместе с изменениями в инструкциях по оперативной работе. Они заводились для оперативной разработки, проверки ранее существовавшей информации или профилактики. Что касается категорий, они подлежали изменениям в течение четырех периодов:

✔ в 1945-1960 гг. это были:

– «дело агентурной проверки» – его целью было проверение достоверенности и объективности поступающих материалов;

– «агентурное дело на группу лиц» – касалось группы людей, связанных друг с другом общими враждебными взглядами, практикующих или подозреваемых в участии в организованной преступной деятельности;

– «агентурное дело на одно лицо» – заводилось на одного человека, совершающего или подозреваемого в совершении организованной преступной деятельности;

– «агентурно-следственное дело» – заводилось в связи с актами саботажа, терроризмом, распространением антигосударственных листовок, фактами исчезновения документов, составляющих государственную тайну, или в связи с другими совершенными актами, имеющими знаки сознательной враждебной деятельности, когда преступники не известны;

– «агентурно-розыскное дело» – заводилось на одно лицо, совершающие или подозреваемое в совершении враждебной деятельности, местонахождения которого неизвестно;

– «дела оперативной разработки» на т. н. «объекты», (польск. SO) – созданы с целью «оперативной разработки» учреждений, организаций или сред.

✔ в 1960-1970 гг. это были:

– «дело оперативной проверки» – заводилось, когда необходимо было установить достоверность и соответствие действительности информации и предварительных материалов о враждебных действиях или выяснить, произошло событие или явления в результате преступной деятельности;

– «дело оперативной разработки» – это планируемый, активный, скоординированный комплекс оперативных мероприятий, с *использованием оперативно-технических* средств, участием надежных секретных сотрудников, предпринятых против какого-либо лица, группы лиц или организаций, занимающихся деятельностью направленной

1989). Kraków 2007, c. 87-168; 292-204.

NATIONAL ARCHIVES OF GEORGIA

на подрыв безопасности, основные политические или экономические интересы государства или готовит их к принятию;

– «дела оперативной разработки» на т. н. «объекты» (польск. SO) – как и раньше. В 1960 г. *было уточнено*, что они заводились на определенне учреждения указанные в постановлениях Министерства внутренних дел, которых действия характеризовались враждебностью к ПНР. Это были: враждебные разведывательные центры, представительства капиталистических стран, институты Католической Церкви и т. д. Целью дел оперативной разработки на т. н. «объекты» была контроль этих учреждений, их деятельности, намерений и работающих в них лиц, особенно с точки зрения контактов с гражданами;

– «дела оперативного учета» для духовенства и приходов (на епископа – польск. TEOB, на священника – польск. TEOK и на приход – польск. TEOP);

– «дело оперативного наблюденя» (с 1963 г. именуемые «учетной папкой», а затем «регистрационным учетом») – оно заключалось в обеспечении притока информации о наблюдаемых лицах, чтобы следить и документировать их деятельность. Оно касалос людей, которые вели враждебную деятельность, подозревались в ней или могли ее вести из-за их враждебных взглядов или социального положения.

✔ в 1970-1989 гг. это были:

– «дело оперативной проверки» (польск. SOS) – как и раньше. В 1970 году *было уточнено*, что оно заводилось, когда была получена информация о подготовке или проведении враждебных действий данным лицом или группой людей и это требовало подтверждения;

– «дело оперативной разработки» (польск. SOR) – оно заводилось, когда: 1/ данное лицо или группа людей готовили или вели враждебную деятельность и необходимо было определить ей формы, методы, направление и сферу и получить доказательства этой деятельности; 2/ было совершено преступное деяние по враждебным мотивам, исполнители которого не были известны, и возникла необходимость уточнить обстоятельства этого факта и определить виновных;

– «дела оперативной разработки» на т. н. «объекты» (польск. SO) – как и раньше. В 1970 г. *было уточнено*, что «SO» заводились: 1/ против враждебных институтов и организаций, действующих против ПНР за рубежом, напр.: разведывательных центров, центров идеологической и политической подрывной деятельности, сионистских движений, центров новой эмиграции, заведений капиталистических стран в Польше и т. д.; 2/ против некоторых учреждений Католической Церкви и религиозных объединений, другим группам людей пытающихся использовать связь с юридическими организациями для проведения враждебных действий и т. д.; 3/ на учреждения и заводы *подверженные* проникновению разведки; 4/ для документирования оперативных операций и оперативного контроля за мероприятиями, организованными Католической церковью и религиозными объединениями, конгрессами и симпозиумами с участием граждан капиталистических стран и т. д.;

– «дела оперативного учета» для духовенства и приходов – как и раньше: на епископа – «TEOB», на священника – «TEOK» и на приход – «TEOP»;

– «регистрационный учет» (польск. KE) – ранее дело оперативного наблюденя, касалос следующих лиц: 1/ осужденных за враждебную деятельность; 2/ подозреваемых в организации враждебных проявлений, выступлений, неудовлетворенности и т. д.; 3/ по которых поведению и положению видно, что они могут предпринять такую деятельность; 4/ которые используя свои позиции в учреждениях открыто действуют против ПНР или социалистических стран. Утверждалось, что наблюдение может проводиться периодически или постоянно.

г/ в 1989-1990 гг. это были:

– «дело оперативной проверки» (польск. SOS) – как и раньше. Дополнительно *уточнено*, что оно заводилось в случае вероятности совершения преступления против политических, экономических или государственных интересов безопасности. Его целью было подтвердить эту вероятность или исключить ее;

– «дело оперативной разработки» (польск. SOR) – как и раньше. Дополнительно *уточнено*, что это есть: планируемый, активный, скоординированный набор оперативных действий, с *использованием оперативно-технических* средств и с участием надежных секретных сотрудников, предпринятых в отношении лица, группы лиц или организаций, осуществляющих деятельность, которая подрывает безопасность, политические или экономические интересы государства или готовит их к принятию;

– «проблемное дело» – оно заводилось в случае деятельности, угрожающей безопасности государства, деятельности разведывательных служб, терроризма, подрывной деятельности, саботажа, организованной преступности, действий подрывающих конституционный правовой порядок государства или его политические и экономические интересы;

–«делооперативнойпрофилактики» – оно заводилось в отношении лица, которое требовало постоянного или периодического контроля или защиты, чтобы предотвратить возможные действия, угрожающие политическим, *экономическим интересам страны* или безопасности государства[12].

в/ дела расследования и контроля (слелственные дела)

Если проведенное расследование закончилось судебным делом, то материалы следствия были прикреплены к оперативному делу и таким образом дело было преобразовано в дело расследования и контроля (называемые также делом досудебного производства). В ним были протоколы допросов, которые стали «тезисом обвинения» или указывали «*глухой тупик*» дела.

В документации были материалы, показывающие методы расследования (напр. указания – что обвиняемый должен ответить, планы *психологического* воздействия на допрашиваемого, иногда доказательства пыток) и доносы агентов.

Обвинение и судебные дела представляли официальную сторону дела в суде, контрольные и следственные документы (досудебное производство) указывали фактические способы ломания воли арестованных и влияния функционеров органов безопасности на ход расследования[13].

Архивные распоряжения содержащие архивную номенклатуру дел

Архивная номенклатура имела первостепенное значение для определения периода хранения документов в архивах. В 1956-1989 гг. было изданных пять министерских распоряжений, регулирующих порядок поведения со всей документацией, созданной оперативными подразделениями Службы безопасности – в том числе следственных дел и дел оперативного учета – в которых указано архивную номенклатуру документов. Кроме того директор Бюро «Ц» издал дополнительное распоряжение, которым изменил архивные номенклатуры. Это были:

1/ распоряжение № 00123/57 от

[12] F. Musial, *Zamiast wprowadzenia: archiwalia komunistycznego aparatu represji* [in:] ред. M. Musial, *Wokół teczek bezpieki – zagadnienia metodologiczno-źródloznawcze*, Kraków 2006, c. 40-45; F. Musial, *Podręcznik bezpieki. Teoria pracy operacyjnej Służby Bezpieczeństwa w świetle wydawnictw resortowych Ministerstwa Spraw Wewnętrznych PRL (1970–1989)*, Kraków 2007, c. 305-320.

[13] F. Musial, *Zamiast wprowadzenia: archiwalia komunistycznego aparatu represji* [in:] ред. M. Musial, *Wokół teczek bezpieki – zagadnienia metodologiczno-źródloznawcze*, Kraków 2006, c. 46.

1 июля 1957 г., заместителя министра внутренних дел Антонего Альстера, в котором 19 типов следственных дел и дел оперативного учета имело 22 вида архивных номенклатур;

2/ распоряжение № 0107/68 от 24 октября 1968 г., министра внутренних дел плк. Казимежа Сьвиталы, в котором 47 типов следственных дел и дел оперативного учета имело 57 видов архивных номенклатур;

3/ распоряжение № 08/71 от 15 декабря 1971 г., директора Бюро „Ц" МВД плк. Яна Забавского, добавило один тип дела и внесло изменения в сроках хранения документов. После изменений количество архивных номенклатур 48 типов следственных дел и дел оперативного учета составляло 64 вида;

4/ распоряжение № 034/74 от 10 мая 1974 г., министра внутренних дел ген. Станислава Ковальчика, в котором 49 типов следственных дел и дел оперативного учета имело 57 видов архивных номенклатур;

5/ распоряжение № 030/79 от 2 июля 1979 г., заместителя министра внутренних дел ген. Мирослава Милевского, в котором также само как прежне 49 типов следственных дел и дел оперативного учета имело 57 видов архивных номенклатур;

6/ распоряжение № 049/85 от 8 июля 1985 г., министра внутренних дел ген. Чеслава Кищака, в котором 53 типа следственных дел и дел оперативного учета имело 67 видов архивных номенклатур[14].

На иллюстрациях 1–3 указано перечни архивных номенклатур следственных дел и дел оперативного учета прилагаемых к савмым главным архивным распоряжениям: № 00123/57 с 1957 г.; № 030/79 с 1979 г. и № 049/85 с 1985 г.



WYKAZ

Иллюстрация **№ 1. Перечень архивных номенклатур следственных дел и дел оперативного учета прилагаемых к распоряжению № 00123/57 с 1957 г.**

Источник: AIPN, 0333/53, t. 1, Перечень архивных номенклатур следственных дел и дел оперативного учета прилагаемых к распоряжению № 00123/57 от 1 VII 1957 г., с. 49.

Распоряжение № 00123/57 от 1 VII 1957 г. было вообще первым архивным распоряжением в которым был указан перечень архивных номенклатур. Перечен содержал 14 тематических глав, в которых указано 47 типов документов, имеющих 54 вида архивных номенклатур – в том числе 19 типов следственных дел и дел оперативного учета имело 22 вида архивных номенклатур[15].

[14] Больше см.: S. Koller, *Znaczenie wykazu akt w procesie brakowania i niszczenia dokumentacji operacyjnej Służby Bezpieczeństwa w latach 1956-1989. Zarys problematyki*, „Przegląd Archiwalny IPN" 2015, № 8, с. 28-51.

[15] S. Koller, *Znaczenie wykazu akt w procesie brakowania i niszczenia dokumentacji operacyjnej Służby Bezpieczeństwa w latach 1956-1989. Zarys problematyki*, „Przegląd Archiwalny IPN" 2015, № 8, с. 28.



Иллюстрация № 2. Перечень архивных номенклатур следственных дел и дел оперативного учета прилагаемых к распоряжению № 030/79 с 1979 г.

Источник: AIPN, 0544/5, Перечень архивных номенклатур следственных дел и дел оперативного учета прилагаемых к распоряжению № 030/79 от 2 VII 1979 г., с. 52.

Распоряжение № 030/79 от 2 VII 1979 г. было окончательным в процессе определения архивных номенклатур документов органов бесапасности, который происходил в распоряжениях: № 0107/68 от 24 октября 1968 г, № 08/71 от 15 декабря 1971 г. и № 034/74 от 10 мая 1974 г. Перечен номенклатур распоряжения № 030/79 содержал 30 тематических глав, в которых указано 742 типов документов – в том числе было 49 типов следственных дел и дел оперативного учета, которые имели 57 видов архивных номенклатур[16].

Распоряжение № 049/85 от 8 VII 1985 г. было последним, в которым указано перечень архивных номенклатур документов органов бесапасности. Он содержал 32 тематические главы, в которых указано 865 типов документов – в том числе было 53 типа следственных дел и дел оперативного учета, которые имели 67 видов архивных номенклатур[17].

Презентация исследовательского процесса

Для изучения влияния номенклатуры на уничтожение следственных дел и дел оперативного учета были рассмотрены тенденции, которые произошли в 1956-1990 гг. в процессе изменения их срока хранения.

С этой целью все типы следственных дел и дела оперативного учета разделено на четыре группы:

1/ Группа А

– дела постаянного (пожизненного) срока хранения – в Польше они имеют архивную номенклатуру А;

2/ Группа Б

– дела долгосрочного хранения – архивная номенклатура с Б-20 по Б-50;

3/ Группа В

– дела с коротким сроком хранения – архивная номенклатура с Б-2 по Б-15;

4/ Группа Г

– дела с номенклатурой: „в зависимости от типа ведущего дела"[18].

В каждой группе суммировано количество дел и выражено их процентный показатель. Затем процентные

[16] S. Koller, *Znaczenie wykazu akt w procesie brakowania i niszczenia dokumentacji operacyjnej Służby Bezpieczeństwa w latach 1956-1989. Zarys problematyki*, „Przegląd Archiwalny IPN" 2015, № 8, c. 47.

[17] S. Koller, *Znaczenie wykazu akt w procesie brakowania i niszczenia dokumentacji operacyjnej Służby Bezpieczeństwa w latach 1956-1989. Zarys problematyki*, „Przegląd Archiwalny IPN" 2015, № 8, c. 48-49.

[18] S. Koller, *Znaczenie wykazu akt w procesie brakowania i niszczenia dokumentacji operacyjnej Służby Bezpieczeństwa w latach 1956-1989. Zarys problematyki*, „Przegląd Archiwalny IPN" 2015, № 8, c. 26-27.



Иллюстрация № 3. Перечень архивных номенклатур следственных дел и дел оперативного учета прилагаемых к распоряжению № 049/85 с 1985 г.

Источник: AIPN, 01290/4, Перечень архивных номенклатур следственных дел и дел оперативного учета прилагаемых к распоряжению № 049/85 от 8 VII 1985 г, с. 36-37.

показатели сравнено между собой.

Таким образом, можно было рассмотреть вопрос о том, как изменялось отношение руководства Службы безопасности к срокам хранения конкретной группы дел.

Четыре группы следственных дел и дел оперативного учета с постаянными, долгосрочными, короткими и «в зависимости от типа ведущего дела» сроками хранения в архивных распоряжениях (1956-1990 гг.) с указанным количеством архивных номенклатур и их процентные показатели в данной группе представляет табель № 1.

Табель № 1. Группы следственных дел и дел оперативного учета и их сроки хранения – в цифрах и процентах

№ по порядку	№ Распоряжения	Группы следственных дел и дел оперативного учета в зависимости от сроков хранения (номенклатур) в архивных распоряжениях (1956-1990)			
		Группа А дела постаянного –пожизненного срока хранения (архивная номенклатура „А")	Группа Б дела долгосрочного хранения – архивные номенклатуры с Б-20 по Б-50	Группа В дела с коротким сроком хранения архивные номенклатуры с Б-2 по Б-15	Группа Г дела с номенклатурой: „в зависимости от типа ведущего дела"
1.	00123/57	6 (27,3%)	7 (31,8%)	9 (40,9%)	–
2.	0107/68	13 (22,8%)	20 (35,1%)	21 (36,8%)	3 (5,3%)
3.	08/71	9 (14,1%)	17 (26,5%)	35 (54,7%)	3 (4,7%)
4.	034/74	10 (17,5%)	15 (26,3%)	29 (50,9%)	3 (5,3%)
5.	030/79	10 (17,5%)	15 (26,3%)	29 (50,9%)	3 (5,3%)
6.	049/85	5 (7,5%)	20 (29,8%)	41 (61,2%)	1 (1,5%)

Источник: S. Koller, Znaczenie wykazu akt w procesie brakowania i niszczenia dokumentacji operacyjnej Służby Bezpieczeństwa w latach 1956-1989. Zarys problematyki, „Przegląd Archiwalny IPN" 2015, № 8, с. 52.

В распоряжению № 00123/57 было: 6(27,3%) видов дел в группе постаянного (пожизненного) срока хранения; 7(31,8%) видов дел в группе долгосрочного хранения и 9(40,9%) видов дел в группе с коротким сроком хранения. Дел с номенклатурой: «в зависимости от типа ведущего дела» не было.

В распоряжению № 0107/68 находилось: 13(22,8%) видов дел в группе постаянного (пожизненного) срока хранения; 20(35,1%) видов дел в группе долгосрочного хранения; 21(36,8%) видов дел в группе с коротким сроком хранения и 3(5,3%) вида дел в группе с номенклатурой «в зависимости от типа ведущего дела».

В распоряжению № 08/71 было: 9(14,1%) видов дел в группе постаянного (пожизненного) срока хранения; 17(26,5%) видов дел в группе долгосрочного хранения; 35(54,7%) видов дел в группе с коротким сроком хранения и 3(4,7%) вида дел в группе с номенклатурой: «в зависимости от типа ведущего дела».

В распоряжению № 034/74 находилось: 10(17,5%) видов дел в группе постаянного (пожизненного) срока хранения; 15(26,3%) видов дел в группе долгосрочного хранения; 9(50,9%) видов дел в группе с коротким сроком

хранения и 3(5,3%) вида дел в группе с номенклатурой «в зависимости от типа ведущего дела».

В распоряжению № 030/79 было: 10(17,5%) видов дел в группе постаянного (пожизненного) срока хранения; 15(26,3%) видов дел в группе долгосрочного хранения; 29(50,9%) видов дел в группе с коротким сроком хранения и 3(5,3%) вида дел в группе с номенклатурой «в зависимости от типа ведущего дела».

В распоряжению № 049/85 находилось: 5(7,5%) видов дел в группе постаянного (пожизненного) срока хранения; 20(29,8%) видов дел в группе долгосрочного хранения; 41(61,2%) видов дел в группе с коротким сроком хранения и 1 вид дел (1,5%) в группе с номенклатурой «в зависимости от типа ведущего дела».

Отношение руководства Службы безопасности к следственным делам и делам оперативного учета

На основе вышеуказанного исследовательского процесса можно представит отношение руководства Службы безопасности к следственным делам и делам оперативного учета.

Главными целями хранения документов Службы безопасности были оперативные потребности, историческая ценность документов и их пригодность для обучения. С временем подход к хранению документов изменялся. И так, в 1956-1990 гг., во время изменения сроков хранения следственных дел и дел оперативного учета в архивах Службы безопасности, произошли четыре основных процесса:

1. Снижение количества следственных дел и дел оперативного учета со сроком постаянного (пожизненного) хранения - номенклатура «А» (Группа А).

В проверяемом периоде количество типов следственных дел и дел оперативного учета, хранящихся в архивах с **номенклатурой «А»** – постаянного (пожизненного) хранения, уменьшилось с 27,3% в 1957 году до 7, 5% в 1985 году.

Разница составила 19,8 %.

В этой группе осталис: только самые важные дела, т.н. Источники личной информации, документы подпольных организаций с периода немецкой оккупации и после 1945 г., 2 копии бюллетеня Секретный Осмотр Информации и отобранные документы объявляющие либо отменяющие поиск лиц указанных в бюллетене.

Это законное сокращение количества дел, хранящихся постаянно в архивах доказывает, что руководство Службы безопсности стремилось минимизировать количество дел, считающихся исключительно ценными.

2. Поддержание постоянного количества следственных дел и дел оперативного учета с длительным сроком хранения – с Б-20 по Б-50 (Группа Б).

В течении периода, подлежащего исследованию, почти одна третья часть следственных дел и дел оперативного учета соблюдила длительный срок хранения (номенклатуры с Б-20 по Б-50). Это было 31,8% в 1957 году и 29,8% в 1985 году.

Падение составило всего 2,0%.

Длительный срок хранения был прежде всего сохранен за счет реклассификации дел с номенклатурой «А» в группу дел с длительным сроком хранения.

3. Увеличение количества следственных дел и дел оперативного учета с коротким сроком хранения – с Б-2 по Б-15 (Группа В).

В проверяемом периоде количество типов следственных дел и дел оперативного учета, классифицированных как дела краткосрочного хранения, увеличилось с 40,9% в 1957 г. до 61,2% в 1985 г.

Это на 20,3% больше.

Увеличение было связано с реклассификацией части дел, имеющих длительный срок хранения в группу дел с коротким сроком хранения.

Такое увеличение свидетельствует о том, что в процессе вношения изменений в срок хранения дел руководство Службы безопсности квалифицировало

почти две трети видов следственных дел и дел оперативного учета для краткого хранения. Следовательно, это вело к быстрому уничтожению этих дел.

4. Почти постоянное число дел с номенклатурой – „в зависимости от типа ведущего дела" – (Группа Г). Количество дел оперативного учета имеющих номенклатуру „в зависимости от типа ведущего дела" немножко понижилось с 5,3% в 1968 г. до 1,5 % в 1985 г.

Разница составила 3,8%.

Кроме того, на протяжении рассматриваемого периода количество разнообразных типов следственных дел и дел оперативного учета изменялось и увеличилось: с 22 видов в 1957 г. до 67 видов в 1985 г.

Динамику изменений периодов хранения следственных дел и дел оперативного учета записаных в очередных архивных распоряжениях министра внутренних дел и директора Бюро „Ц" МВД в 1956-1990 гг. указывает график № 1[19].



График № 1. Динамика изменений периодов хранения следственных дел и дел оперативного учета в очередных архивных распоряжениях в 1956-1990 гг.

Источник: S. Koller, *Znaczenie wykazu akt w procesie brakowania i niszczenia dokumentacji operacyjnej Służby Bezpieczeństwa w latach 1956-1989. Zarys problematyki*, „Przegląd Archiwalny IPN" 2015, № 8, с. 53.

[19] S. Koller, *Znaczenie wykazu akt w procesie brakowania i niszczenia dokumentacji operacyjnej Służby Bezpieczeństwa w latach 1956-1989. Zarys problematyki*, „Przegląd Archiwalny IPN" 2015, № 8, с. 53.

График № 1 указывает четыре основных процесса: сокращение количества следственных дел и дел оперативного учета хранящихся в архивах постаянно (синяя линия); поддержание постоянного количества следственных дел и дел оперативного учета с длительным сроком хранения (красная линия); увеличение количества следственных дел и дел оперативного учета с коротким сроком хранения (зелёная линия); сохронение почти постоянного числа дел с номенклатурой – „в зависимости от типа ведущего дела" (фиолетовая лилия).

Выводы

Перечерь номенклатуры дел был основным нормативом, который устанавливал срок хранения в архивах всякого рода документов, в том числе следственных дел и дел оперативного учета, после которого они подлогагались уничтожению.

Изменения номенклатуры дел были продиктованы оперативными потребностями Службы бесопасности и изменениями, происходящими во внутренней политике коммунистических властей.

Изменения сроков хранения следственных дел и дел оперативного учета указывают, что руководство Службы безопосности минимизировало количество дел исключительно ценных а почти две трети видов вышеупомянутых дел квалифицировало для краткого хранения, что вело к быстрому уничтожению дел. Таким образом Служба безопсности сознательно стирала следы деятельности органов репрессии и подчинила правила хранения архивных документов безопасности своих агентов и сотрудников.

Уничтожение следственных дел и дел оперативного учета, которые были заведены на лиц, группы и организации выступающие против коммунистических властей, было не только стиранием следов преступной деятельности органов безопасности, но тоже уничтожением свидетельств героических дейст общества с одной стороны и доказательств его сотрудничества с режимом с другой.

Без этих документов наше знание об этом историческом периоде остается неполным.

Резюме статьи на английском языке:

After the Second World War, Poland was under Soviet occupation. The Soviets liquidated the opposition and forcefully led the communist system. In order to maintain power they created security organs which, as a result of their activity, created various kinds of documentation. The operational files that were created by the units of the Security Service were brought together in the dedicated archives of the Ministry of Internal Affairs. The procedure for the handling of all files coming out from the Ministry of Internal Affairs (operational files included) was defined in detail by archival regulations outlined by the Minister of Internal Affairs. The retention periods for files were written in the file registry that was attached to the archival instructions and regulations. In the years 1956-1989 the file registry was completely amended by regulations of the Minister of Interior Affairs five times and once by the regulation from the Ministry of Internal Affairs Archives' Director (Office "C"). Regulation number: 00123/57, 0107/68, 08/71, 034/74, 030/79, 049/85. The next amendments of the file registry decreased the number of operational files preserved permanently (category "A), from 27,3% of the total number of files in 1957 to 7,5% in 1985, increased the number of operational files of short-time preservation (category B-2 to B-15) from 40,9% in 1957 to 61,2% in 1985 and kept the same level of operational files in long term preservation (categories B-20 to B-50) – 31,8% of the total number of files in 1957 and 29,8% in 1985. The amendment to the lists of files containing the categories of archival operational files meant to limit the period of their storage in archives and then to complete liquidation.

ანი შეკოზია
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

საცავების მნიშვნელობა სამუზეუმო საქმიანობაში

კაცობრიობის ისტორიის შემეცნებასა და საზოგადოების განვითარებაში მუზეუმი ერთ-ერთ უმთავრეს როლს ასრულებს. რა არის მუზეუმი? მუზეუმი არის ინსტიტუცია,სადაცდაცულიანივთები,რომლებიცსაუკეთესოდახდენენადამიანის ბუნებისა და მოღვაწეობის ილუსტრაციას. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ფუნქციებთან ერთად მუზეუმის უმთავრესი დანიშნულება ექსპონატების მოპოვება და დაცვაა. რა არის ექსპონატი? ექსპონატი არის მატერიალური მასალა, რომელსაც გააჩნია ფუნქციური, ესთეტიკური, კულტურული, სიმბოლური და სამეცნიერო ფასეულობა, გამომდინარე მისი გარეგნული იერსახითა და/ან შინაარსით. დროის სვლასთან და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად სამუზეუმო კოლექციების დაცვასა და შენახვას დღესდღეობით უფრო მეტად ექცევა ყურადღება, ვიდრე წარსულში. თუმცა, სამწუხაროდ ამჟამადაც ხშირია შემთხვევები, როცა მუზეუმებს არ გააჩნიათ სათანადო დაცვისა და შენახვის სისტემები. ყოველივე ეს განპირობებულია სხვადასხვა მიზეზების გამო. კოლექციების არასათანადოდ შენახვის პრობლემების ძირითადი მიზეზები შეიძლება იყოს ფინანსური და ადამიანური რესურსების, საკმარისი ცოდნისა თუ სწორი პრიორიტეტების უქონლობა, ან ამ მიზეზთა ერთობლიობა. ბევრი მუზეუმი კოლექციების შესანახად საჭირო სახსრების ნაკლებობას განიცდის, ან არასწორად განკარგავს მას. ბევრ მათგანს არ გააჩნია ტექნიკური ცოდნა კონსერვაციის, შენახვის სისტემების, ან უსაფრთხოების შესახებ.

ნათელია ასევე განსხვავება განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მუზეუმებს შორის. ამიტომ აუცილებელია სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება მსხვილ და პატარა მუზეუმებს შორის, თანამშრომლობის, იდეებისა და ცოდნის გაცვლის გასაძლიერებლად. ასეთ შემთხვევაში არამხოლოდ განვითარების ეტაპზე მყოფი მუზეუმები იღებენ გამოცდილებას, არამედ ის მუზეუმებიც რომელთაც უკვე დიდი ხანია გააჩნიათ ექსპონატებთან მუშაობის, მათი დაცვის, შენახვისა და ზოგადად კოლექციების მართვის ტრადიცია.

ყველა მუზეუმი თავისი მიმართულებისა და კოლექციების ნაირფერობით უნიკალურია. აქედან გამომდინარე პრევენციული კონსერვაციის სისტემების შექმნასა და განხორციელებას ინდივიდუალური მიდგომა ესაჭიროება. რა

არის პრევენციული კონსერვაცია? პრევენციული კონსერვაცია სხვადასხვა ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომელიც მიმართულია კოლექციების სიცოცხლისუნარიანობის გასახანგრძლივებლად. ამ ღონისძიებათა განხორციელებით ნივთების მდგომარეობის გაუარესების პროცესი მნიშვნელოვნად მცირდება. ეს პროცესი კი მიმდინარეობს ყოველდღიურად და ხშირ შემთხვევაში კატასტროპულად აზიანებს ექსპონატებს. პრევენციული კონსერვაციის ერთიანი სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია საცავები. გამართული და სწორად ორგანიზებული საცავები კოლექციების დაცვის ერთ-ერთი მთავარი. როცა ნივთი საექსპოზიციო სივრცეში იფინება, ჩვეულებრივ იქმნება ისეთი პირობები, რომელიც აუცილებელია ნივთის არსებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად, რადგან ასეთ დროს იძულებულები ვართ გავითვალისწინოთ დამთვალიერებლების კომფორტიც. კოლექციების შენახვა კი სხვა საკითხია. ფონდსაცავში შესაძლებელია კოლექციების დასაცავად იდეალური პირობების მიღწევა. მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმების ფონდსაცავების სისტემები სხვადასხვაგვარია, ფაქტორები, რომლებიც ნივთების სათანადო შენახვისთვის უნდა განიხილებოდეს, ნებისმიერ შემთხვევაში რჩება იგივე. რაც გულისხმობს შემდეგს:

- აუცილებელია განისაზღვროს მუზეუმში არსებული კოლექციების ზუსტი რაოდენობა, მდგომარეობა და მთავარი მახასიათებლები.
- ზუსტად უნდა განისაზღვროს ფონდსაცავისთვის საჭირო სივრცეების მოცულობა, კოლექციების შემდგომში ზრდის პერსპექტივის გათვალისწინებით.
- ყურადღებით უნდა შეირჩეს ფონდსაცავისთვის საჭირო აღჭურვილობების ტიპები და რაოდენობა. ესენია: თაროები, კარადები, ყუთები, კონტეინერები და სხვა სათავსოები.
- უნდა შედგეს შერჩეული აღჭურვილობის განლაგების სწორი გეგმა, ისე რომ ადვილი იყოს ექსპონატებთან მუშაობისა და საჭიროების შემთხვევაში მათი გადაადგილების პროცესი.
- და ბოლოს, უნდა შემუშავდეს კოლექციების სწორი შენახვის მეთოდები.

მნიშვნელოვანია ფონდსაცავი უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ ექსპონატების შესანახად. რამდენადაც შესაძლებელია, საცავები უნდა განცალკევდეს ყველა სხვა სივრცისგან, იქნება ეს საოფისე ფართები, კვლევისა თუ სამუშაო ოთახები. ზოგადად, კოლექციების უსაფრთხოების ხარისხი მცირდება, როდესაც ფონდსაცავში ხშირია ვიზიტი და საქმიანობა. საცავში მომუშავე ადამიანები იმ ადგილებში სადაც ისინი მოძრაობენ ზრდიან ჰაერის ცვალებადობის სიხშირეს. ჰაერის ცვალებადობა კი თავისმხრივ ტემპერატურისა და ფარდობითი ტენიანობის ცვალებადობას იწვევს, რამაც შესაძლოა ფონდსაცავში დაცული ნივთები დააზიანოს. ადამიანების მოძრაობით ჰაერში იფანტება მტვერიც, რაც

შემდგომ ექსპონატებზე ილექება. ფონდსაცავის სივრცეები მუზეუმის კოლექციების კონკრეტული მახასიათებლებისა და რაოდენობის ადეკვატური უნდა იყოს. სივრცე პერსონალის, ექსპონატებისა და აღჭურვილობის დაუბრკოლებლად გაადგილების საშულაებასაც უნდა იძლეოდეს. აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს სწორად შერჩეულ აღჭურვილობას. სპეციალიზებული, ექსპონატების შესანახად განკუთვნილი აღჭურვილობის, ყუთების, კონტეინერებისა თუ სხვადასხვა შესაფუთი მასალის გამოყენებით კოლექციების დაცვა უკეთესადაა შესაძლებელი. ამასთან, ისინი ხელმისაწვდომობასა და სივრცის მოქნილ გამოყენებასაც ამარტივებს. ფონდსაცავის შესაფერისი აღჭურვილობა დამაზიანებელი აგენტებისგან გამოწვეული დაზიანებების პრევენციას უკეთესად ახდენს. აპრობირებული შესანახი კონტეინერები უზრუნველყოფენ დამცავ, ქიმიურად სტაბილურ და ნეიტრალურ მიკრო გარემოსა და ფიზიკურ უსაფრთხოებას. ფონდსაცავის დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იყოს კოლექციების სამომავლო მზარდობაც. მისი სწორი ორგანიზება საშუალებას იძლევა ეფექტურად გამოვიყენოთ სხვადასხვა აღჭურვილობა და ტექნიკა იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ სათანადო ხელმისაწვდომობა და კოლექციების ოპტიმალური დაცვა.

ჩვენ ვიცით, რომ არსებობს გარკვეული გარემოებები რაც დამაზიანებელ ზემოქმედებას ახდენს სამუზეუმო კოლექციებზე. ყველა მუზეუმს ექსპონატების დაზიანებასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემა გააჩნია გამომდინარე მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან თუ ადგილის კლიმატური პირობებიდან. მაგალითად, ზღვისპირა ქალაქებში მდებარე მუზეუმებში ტენიანობასთან ბრძოლა ყოველთვის მეტ ძალიასხმევასთანაა დაკავშირებული, ვიდრე მთიან რეგიონებში. სამუზეუმო კოლექციებზე ასევე არასასურველად მოქმედებს ტემპერატურის ხშირი და მკვეთრი ცვალებადობა, რაც სეზონური და დღე-ღამის ცვლითაა გამოწვეული. ეს პროცესი ერთგვარი სტრესია ნივთებისთვის, განსაკუთრებით კი ორგანული მასალების შემცველი ექსპონატებისთვის. კოლექციების დაცვისა და მოვლის პირობებზე დიდ ზეგავლენას ახდენს თავად მუზეუმის შენობაც, მისი კონსტრუქცია. საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც მუზეუმი ისტორიული მნიშვნელობის, ძველ შენობებშია განთავსებული. ეს ფაქტი არსებულ მდგომარეობას ერთი-ორად ართულებს, ვინაიდან ასეთი შენობები სავსებით არ პასუხობს იმ საერთაშორისო სტანდარტებს, რომელსაც თანამედროვეობა გვკარნახობს. ასეთ დროს მუზეუმი ორ მნიშვნელოვან საკითზეა პასუხისმგებელი. პირველი, რომ უზრუნველყოს შენობის ისტორიული და არქიტექტურული იერსახის უცვლელობა და მეორე, მუზეუმმა უნდა შეძლოს სრულფასოვანი ფუნქციონირება.

ჩვენ ვხედავთ, რომ კოლექციების დაცულობა, მათი სიცოცხლისუნარიანობა მრავალ საკითხზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, ხშირად ბოლომდე არ არის

გააზრებული არასწორმა გარემოპირობებმა რა სახის დაზიანებამდე შეიძლება მიგვიყვანოს. არასასურველი და ცვალებადი გარემოპირობები არაერთი სახის დაზიანების გამომწვევია. არსტაბილური ტემპერატურა და ფარდობითი ტენიანობა, შეუსაბამო განათება და დაბინძურებული ჰაერი სხვადასხვა მასალაზე განსხვავებულად ზემოქმედებს. დაზიანება შეიძლება გამოიხატოს ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური სახით, რაც გულისხმობს:

- ჰიგროსკოპიული მასალების დეფორმაციასა და ბზარების წარმოქმნას
- ლითონის კოროზიას
- საღებავებისა და ქაღალდის მასალის ფერის შეცვლას
- ობისა და სოკოს წარმოქმნას

კოლექციების მდგომარეობა სტაბილური იქნება თუ ფონდსაცავში უზრუნველყოფილია:

- საჭირო კლიმატური პირობები
- კოლექციების მასალებზე გათვლილი განათების სისტემები
- მტვრისა და მავნე აირებისგან თავისუფალი, სუფთა ჰაერი
- კოლექციებზე მორგებული, უსაფრთხო შენახვის სისტემები
- პარაზიტებისა და მავნებლებისგან თავისუფალი გარემო
- ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა ბუნებრივი თუ ხელოვნური საფრთხეების შემთხვევაში საჭირო დაცვითი და საევაკუაციო გეგმა
- ექსპონატებთან მუშაობის სწორად შერჩეული პრაქტიკა

პრევენციული კონსერვაციის სისტემის განხორციელების საწყისად შეიძლება მივიჩნიოთ ექსპონატებთან მუშაობის სწორი პრაქტიკა, რომელიც ერთიანი სისტემის ძირითადი საზომია და აუცილებელია ექსპონატების მოფრთხილებისა და დაცვისთვის. კოლექციებთან მუშაობის ტექნიკა ყოველთვის არ არის მარტივი და ნათელი. სამუზეუმო საქმიანობა მოითხოვს ნივთებთან სპეციალური მუშაობის ცოდნას. მაგალითად ლითონზე უხელთათმანო ხელით შეხებამ შეიძლება დააჩქაროს კოროზიის პროცესი. მხატვრობა შეიძლება დაიკაწროს, ან ჩაიხეს დატაკების ან არასწორი მოძრაობის დროს. ნებისმიერმა არასწორმა ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა სახის დაზიანება, როგორიცაა მინისა და კერამიკის დამტვრევა, ქაღალდის მასალის გახევა, ლითონის გაკაწვრა და სხვა. ყველას ვისაც აქვს სამუზეუმო ნივთთან შეხება უნდა იხელმძღვანელოს კოლექციებთან მუშაობის სპეციალური მითითებებით. ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა ფოტოგადაღება, დოკუმენტირება, შეფუთვა, ტრანსპორტირება, მოიხოვს ნივთებთან პირდაპირ კონტაქტს.

ზემოთ ჩამოთვლილი ზოგადი სტანდარტების გათვალისწინებასთან ერთად ფონდსაცავი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებსაც, როგორიცაა ხელმისაწვდომობა, მოქნილობა, გამართული საძიებო სისტემა. ფონდსაცავის დაგეგმვა არ შეიძლება განხორციელდეს მუზეუმის საერთო სისტემიდან

განცალკევებულად. საცავები არ უნდა განიხილებოდეს როგორც მუზეუმისგან ცალკე მდგომი, იზოლირებული ერთეული, რომელიც მუზეუმის სხვა საქმიანობებზე არავითარ გავლენას ახდენს. ამგვარი მიდგომა არ მოგვცემს სასურველ და შრომისუნარიან შედეგს. არსებობს ისეთი საქმიანობები, გამოფენები, საგანმანათლებლო და კვლევით პროექტები, რომელსაც კოლექციების დაცვის გარდა მუზეუმი ახორციელებს. სამუზეუმო კოლექციებიც პირველ რიგში სწორედ ამ სფეროებს უნდა ემსახურებოდეს და არა უბრალოდ არსებობდეს, როგორც თვითმიზანი.

ამრიგად, სწორად ორგანიზებული საცავები და პრევენციული კონსერვაციის ერთიანი სისტემის შექმნა უზრუნველყოფს როგორც კოლექციების სათანადო დაცვას, ისე მათ გონივრულ გამოყენებას. ამ ყველაფრის უმთავრესი მიზანი კი სამუზეუმო კოლექციების საზოგადოებისთვის მიწოდება და მომავალი თაობებისთვის შენარჩუნებაა.

ANI SHEROZIA
National Agency for Cultural Heritage
Preservation of Georgia

THE IMPORTANCE OF FUNDS IN MUSEUMS

Summary

All museums differ from each other in their collections and purpose, and therefore, there always needs to be an individual approach to the development of preservation mechanisms for their collections. The preservation of museum collections consists in a number of measures aimed at lengthening the exhibits' viability. One of the most important parts of this system are museum reserves. Because collections primarily serve the following purposes, the planning and management of museum reserves should always be done in accordance with the other missions of the museum: research, educational programs, and exhibitions. Proper and well-organized museum reserves are the most important factor for the preservation of exhibits, and together with this, they provide improved accessibility and enhanced search systems.

ირმა ღოღიძე
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო

კოლექციათა აზრიბუციის საკითხისათვის - ლიკანის სასახლე

XIX საუკუნის მიწურულს ლ. ბენუას პროექტით ლიკანში აგებული სასახლე ნიკოლოზ რომანოვის საზაფხულო რეზიდენცია იყო. XX საუკუნის განმავლობაში სასახლემ არაერთხელ შეიცვალა ფუნქცია (პრეზიდენტის რეზიდენცია, დასასვენებლი სახლი და ა.შ.), თუმცა ყოველთვის საზოგადოების მხოლოდ ვიწრო წრისთვის იყო განკუთვნილი. მიუხედავად იმისა, რომ ათწლეულების განმავლობაში თავდაპირველი ინტერიერის დამამშვენებელი გამოყენებითი ხელოვნების ათეულობით (ევროპული და აღმოსავლური ფაიფურის, ავეჯის, მცირე პლასტიკის და ა.შ.) ნიმუში შემორჩენილი იყო და დღემდე მოაღწია (ცხრა ათეულზე მეტი). მათგან 29-ს (52 ერთეული) მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსი. ლიკანის სასახლე არასდროს ყოფილა მუზეუმი. კომპლექსის ეს უმთავრესი არქიტექტურული ნაგებობა (კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული კატეგორიის ძეგლი) ფუნქციურად მხოლოდ ახლა შეიძენს სამუზეუმო შინაარსს და შესაბამისად - სტატუსს (2017 წელს დაიწყო ლიკანის სასახლის კომპლექსის რესტავრაციის პროექტზე მუშაობა). რეაბილიტაციის შემდეგ ლიკანის სასახლე ფართო საზოგადოებისათვის გაიხსნება როგორც ისტორიული, მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებით გამორჩეული ძეგლი-მუზეუმი, პირველსაწყისი გარემოს რეკონსტრუქციით, თავისი ეპოქისა და რუსეთის სამეფო ოჯახის, ბორჯომის საიმპერატორო მამულის მმართველის, მეცნიერის, ისტორიკოსის, ლეპიდეპტოროლოგის, სახვითი ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერის, იშვიათი, ხუთ ტომად შედგენილი, ილუსტრირებული კატალოგის - „XVIII-XIX საუკუნეების რუსული ფერწერა" - ავტორის, ბორჯომში არაერთი ნოვატორული პროექტის განმხორციელებლის, ნიკოლოზ რომანოვის, ღვაწლისა და ცხოვრების ამსახველი ექსპოზიციით.

ფორმულირება - ლიკანის სასახლის კოლექცია - არ არის შემთხვევითი და არ მოიცავს გამოყენებითი ხელოვნების მხოლოდ იმ ნიმუშებს, რომლებიც ამჟამადაა დაცული სასახლეში. ამ „ტერმინში" ჩვენ ვგულისხმობთ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების იმ ნიმუშებსაც, რომლებიც ლიკანის სასახლეს ეკუთვნოდა და სხვადასხვა დროს იქნა გატანილი. ეს არის XVII-XIX საუკუნეების



დასავლეთევროპული (ფრანგული, გერმანული, იტალიური, ჰოლანდიური, ინგლისური) და რუსული ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკებისა და გამოყენებითი ხელოვნების ათეულობით მაღალმხატვრული ნაწარმოები.

ლიკანის სასახლის კუთვნილი კოლექციები დღეს დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმსა და შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დასავლეთ ევროპისა და რუსული ხელოვნების ფონდებში.

ლიკანის სასახლის კოლექციის მოძიებისა და კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ აქ დაცულია 140 ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული ნამუშევარი. ისინი სხვადასხვა დროსაა ლიკანიდან წაღებული (1920 წ., 1921 წ., 1934 წ., 1956 წ., 1961 წ.). შესაბამისად, სხვადასხვა პერიოდის საარქივო მასალების (ოფიციალური მიმოწერა, ექსპონატთა გადაცემის აქტები, სიები და ა.შ) მოძიების, მუზეუმის სხვადასხვა ფონდის საინვენტარო წიგნებსა და სააღრიცხვო დოკუმენტაციასთან შედარება-შეჯერების საფუძველზე მივიღეთ შემდეგი სურათი:

ლიკანის სასახლის სახვითი ხელოვნების კოლექცია

დასავლეთ ევროპის ფერწერა (57 სურათი), XVIII – XIX სს. - კოლექცია წარმოდგენილია ფრანგული, გერმანული, ინგლისური დაზგური ფერწერის

ნიმუშებით. სხვადასხვა ჟანრის (ისტორიული, მითოლოგიური, პორტრეტი, პეიზაჟი) სურათებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ნაპოლეონის თემაზე შექმნილ ნამუშევრებს. ისინი ორიგინალებისა და ასლების სახითაა (მათ შორის ნაპოლეონის გენერალთა პორტრეტები, რომელთა ორიგინალები ვერსალისსასახლისმარშლებისდარბაზშიაექსპონირებული.ამტიპისექსპოზიცია XIX საუკუნეში ერმიტაჟშიც შეიქმნა - ე.წ. სამხედრო გალერეა („პორტრეტების გალერეა"). იგი 1836 წელს გაიხსნა და 1812 წლის ომის მონაწილეთა 332 პორტრეტს აერთიანებს. ნაპოლეონის მიმართ ნიკოლოზ რომანოვის, როგორც ისტორიკოსისა და მკვლევარის, ინტერესი განსაკუთრებული იყო. ის წლების განმავლობაში მუშაობდა რუსეთისა და საფრანგეთის არქივებში და არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი შექმნა ალექსანდრე I-ის და ნაპოლეონის ეპოქაზე. მათ დღესაც არ დაუკარგავთ სამეცნიერო ღირებულება. სწორედ ამით აიხსნება მის კოლექციაში დაცული ნაპოლეონის თემისადმი მიძღვნილი ათეულობით სურათის არსებობა. ასე მაგ.: ფრანსუა ჟერარის „ნაპოლეონის პორტრეტს" (ტ.ზ. 56X34 სმ), რომელიც ექსპონირებული იყო ეროვნულ გალერეაში 1920 წლის გამოფენაზე, აქვს წარწერა: „Выставка старые годы. Владелец В. К. Николай Михаилович, автор Жерар, сюжет Наполеон. Кабинет" (მითითებულია სურათის სასახლეში განთავსების ადგილიც).

- რუსული ფერწერა (41 სურათი) - კოლექცია წარმოდგენილია XVIII-XIX სს. საპარადო პორტრეტებით - იმპერატორების (ეკატერინე II, პავლე I, ელისაბედი, ნიკოლოზ I და სხვ.), გენერლების (ორიგინალები და ასლები) და ა.შ. მხატვრებს შორისაა XVIII ს. რუსული პორტრეტული სკოლის ცნობილი წარმომადგენლები: როკოტოვი, ანტროპოვი.

გრაფიკა (33 ნიმუში) - კოლექცია უმთავრესად ფრანგული სკოლის (28 სურათი) ნიმუშებს აერთიანებს. მათ შორისაა ჟაკ ლუი დავიდის, გროს, პრიუდონის ნამუშევრები. ფერწერის მსგავსად პრივალირებს ნაპოლეონის თემაზე შექმნილი სურათები (ისტორიული ჟანრი, პორტრეტი და ა.შ.).

ქანდაკება (9 ნიმუში) - კოლექცია ფრანგული, იტალიური და რუსული სკულპტურული სკოლებითაა წარმოდგენილი. პორტრეტებთან ერთად დიდი ადგილი ეთმობა მითოლოგიურ თემატიკას.

ლიკანის სასახლის კოლექციათა დადგენა-ატრიბუციისთვის ყურადსაღებია კოლექციათა გადაადგილებისა და ადგილმონაცვლეობის გარემოება. როგორც ცნობილია, ბორჯომისა და ლიკანის სასახლეთა კოლექციები საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ, როგორც ქვეყნის საგანძურის ნაწილი, 1921 წელს გაიტანეს საფრანგეთში, სადაც 34 წელი ინახებოდა სხვადასხვა საცავსა და ბანკში, ასევე სოფ. ლევილში, სადაც თავად ცხოვრობდა ეროვნული საგანძურის მცველი - ექვთიმე თაყაიშვილი (მისი ოთახის კედლები თითქმის სრულად იყო დაფარული ლიკანის სასახლიდან წაღებული სურათებით). 1945 წელს

საგანძური დაუბრუნდა საქართველოს. ლიკანის სასახლის სახვითი ხელოვნების კოლექცია გადაეცა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს. სამწუხაროდ, ლიკანის სასახლიდან წაღებული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც ექვთიმეს მიერ შეფასებული იყო როგორც „სამუზეუმო", 1920-იან წლებში საფრანგეთში გაიყიდა და მათ შესახებ მხოლოდ შემორჩენილი სიების მიხედვით თუ შეგვიძლია მსჯელობა.

ლიკანის სასახლიდან სახვითი ხელოვნების ნიმუშები რამდენჯერმე სხვადასხვა დროს და სხვადასხვა რაოდენობით გაიტანეს. კერძოდ:

1. 1920 წელს, როდესაც ახალდაარსებულ საქართველოს ეროვნულ გალერეაში გაიხსნა პირველი ექსპოზიცია, ლიკანის სასახლიდან წაიღეს 45 სურათი;

2. 1921 წელს, როდესაც მენშევიკურმა მთავრობამ საფრანგეთში გაიტანა სამუზეუმო ქონება (მათ შორის ბორჯომისა და ლიკანის სასახლეებიდან – ფერწერისა და გრაფიკის ნიმუშები, ქანდაკება, ბიბლიოთეკა, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ირმის რქები და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები); 1945 წელს საფრანგეთიდან საგანძურის დაბრუნების შემდეგ სახვითი ხელოვნების კოლექცია გადაეცა საქართველოს ისტორიის მუზეუმს, ბიბლიოთეკა - საქართველოს უნივერსიტეტს;

3. 1934 წლის აპრილში ლიკანის სასახლიდან ხელოვნების მუზეუმს გადაეცა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები;

4. 1956 წ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 12/IX №1122 პ განკარგულების თანახმად (აქტი 344. 30/IX 56 წ.), ლიკანის სასახლიდან ხელოვნების მუზეუმში გადაიტანეს სკულპტურული ნამუშევრები;

5. 1961 წლის 10 ივნისს - ქანდაკებისა და ფერწერის ნიმუშები.

ლიკანის სასახლიდან დაკარგულია 200 000 მანეთად შეფასებული მინიატურების უნიკალური კოლექცია (160 ერთეული) [ჟორდანია, 1983:.35]. 1900 წელს ლიკანის სასახლიდან თბილისში კავკასიის მუზეუმში, გადაიტანეს პეპლების კოლექციის ერთ-ერთი სეიფი. ამავე წელს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიურ მუზეუმს სანქტ-პეტერბურგში ნიკოლოზ რომანოვმა საჩუქრად გადასცა ლეპიდოპტოროლოგიური კვლევის საფუძველზე შექმნილი მთელი თავისი კოლექცია. XIX ს. 80-90-იან წლებში მან ცხრა ტომად გამოსცა ამ კვლევის შედეგები.

ამდენად, ლიკანის სასახლის სამუზეუმო, ამავდროულად მემორიალურ სივრცეში მნიშვნელოვანი იქნება ბიბლიოთეკის დაბრუნება და ექსპონირება, ისევე როგორც პეპლების კოლექციისა და მინიატურების (ამ უკანასკნელის კვალის მიგნება ჯერჯერობით ვერ ხერხდება). 1927 წლის აქტით, რომელიც ლიკანის სასახლიდან მენშევიკური მთავრობის მიერ 1921 წელს გატანილ ქონებას აღწერს, რომის პაპთა 240 (და არა 160) ჩარჩოში ჩასმული მინიატურაა აღნიშნული [Опись... ბმმ №11105].

1920 წელს ლიკანის სასახლიდან საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეისათვის გადაცემული ფერწერული ნიმუშების შესახებ

1920 წლის 2 ნოემბერს ლიკანის სასახლიდან ახალდაარსებულ საქართველოს ეროვნულ სამხატვრო გალერეაში მისი პირველი ექსპოზიციისთვის, რომელიც ამავე წლის დეკემბერში გაიმართა, გადაიტანეს სახვითი ხელოვნების ათეულობით ნიმუში.

ეროვნულმა გალერეამ გამოფენისთვის ექსპონატები რამდენიმე მუზეუმიდან (საქართველოს მუზეუმი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი, თავად ეროვნული გალერეა) და ლიკანის სასახლიდან შეარჩია. ხელოვნების მუზეუმში დაცულია გამოფენის მასალები ექსპონატთა სიებით, რომლებშიც მითითებულია „№№ 55-78 საკუთ. ლიკანის სასახლისა" (ანუ 24 ნამუშევარი). აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ სურათები დროებით, საგამოფენოდ იყო გალერეაში გადატანილი. გალერეის ადმინისტრაციის მიერ გამოფენაზე მოსაწვევისთვის მომზადებულ ტექსტში (სამუშაო ვერსია) ვკითხულობთ: „... უმორჩილესად გთხოვთ დაესწროთ ... „ძველი მხატვრობის სურათების გამოფენას", დასათვალიერებელია ეროვნული გალერეისთვის შეძენილი და შესაძენი სურათები." გამოფენის ექსპონატთა სიებში, საქართველოს ეროვნული გალერეის (№№1-28) და ლიკანის სასახლის კუთვნილი კოლექციების გარდა, ფიგურირებს ნამუშევრები წინანდლის სასახლიდან (№№34-35), ბორჯომის ძველი სასახლიდან (№№356-381) და კერძო კოლექციებიდან [Материалы... სემ/ხელოვნების მუზეუმი].

საინტერესო ინფორმაციას ვეცნობით გამოფენის შესახებ დ. შევარდნაძის განცხადებაში: „საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა აცხადებს, რომ კვირას, 12 დეკემბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ გალერეის შენობაში, რუსთაველის პრ., გაიხსნება „ძველი მხატვრობის სურათების გამოფენა". გამოფენილ იქმნება სურათები ძველი ქართული, სპარსული და ევროპიული მხატვრობისა დაწყებული 16 საუკუნიდან ვიდრე 19 საუკუნემდე. მხატვრულ და კულტურული საზოგადოებებისა და პრესის წარმომადგენლებისთვის შესვლა უფასოა. მოწვევის ბარათები არავის დაეგზავნება. დირექტორი გალერეისა დ. შევარდნაძე" [Материалы... სემ/ხელოვნების მუზეუმი].

საქართველოს ეროვნული გალერეისთვის ხელოვნების ნიმუშების მოგროვება არ იყო მხოლოდ ერთი გამოფენის გამართვაზე გათვლილი ერთჯერადი აქცია. „ამ ექსპოზიციის ბაზაზე საფუძველი ჩაეყარა გალერეის ფონდსაცავს, რომელმაც სწრაფად იწყო ზრდა. დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობამ რამდენჯერმე გამოყო ნამუშევრების შესაძენი თანხა" [საქართველოს ეროვნული გალერეა, კომპაქტდისკი]. აღსანიშნავია, რომ ლიკანის სასახლის კოლექციის დიდი ნაწილი ეროვნულ გალერეას უფასოდ გადაეცა (მუზეუმის საინვენტარო წიგნებში არაერთ სურათზე მითითებულია — „გადაცემული უფასოდ".

ამგვარად, ლიკანის სასახლიდან 1920 წელს ეროვნულ გალერეაში გადატანილია 18 დასავლეთ ევროპული ფერწერის და 22 გრაფიკული ნამუშევარი, გარდა ამისა, რუსული ხელოვნების კოლექციის ათამდე ნიმუში. სულ 50 ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოები, აგრეთვე ქანდაკება (მაგ. „ვოლტერის სკულპტურული თავი"). ამ ნიმუშებიდან საგამოფენოდ მხოლოდ ნაწილი - 24 სურათი – შეირჩა.

ქვემოთ მოყვანილი მასალა ამოღებულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დასავლეთევროპული ხელოვნების ფონდის საინვენტარო წიგნებიდან, რომლებიც შევსებულია 1957-1958 წლებში და XX ს.-ის 70-80-იან წლებში შედგენილი ექსპონატების სააღრიცხვო ბარათებიდან.

ფერწერა: ტალეირანის პორტრეტი. ტ.ზ. 25X16 (სხმ/დ-ე ფ.43, სხმ/დ-ე 395, ლიკანი, ბორჯომი. 3, ლიკანის სასახლიდან უფასოდ გადმოცემული 1920 წ. სეგ.77), პირველი კონსული ხევს ამიენის ტრაქტატს, ტ.ზ. 29,5X23 (სხმ/დ-ე ფ.48, სხმ/დ-ე 400, ლიკანი, ბორჯომი. 8/სეგ.78, გადმოცემული ლიკანის სასახლიდან 1920 წ),. აუდიენცია ნაპოლეონთან, ხე. მ. ზ. 38X30 (სხმ/დ-ე ფ.50, სხმ/დ-ე 402, ლიკანი, ბორჯომი. 10, გადმოცემულია ლიკანის სასახლიდან 1920 წ. სეგ.91), ნაპოლეონის საუბარი ავსტრიელ ტყვეებთან, ტ.ზ. 24,5X32 (სხმ/დ-ე ფ.51 სხმ/დ-ე 403, ლიკანი, ბორჯომი, 11, ლიკანის სასახლიდან გადმოცემული უფასოდ სეგ.72), ავსტრიის იმპერატორ ფრანც II-ის პორტრეტი, ტ.ზ. 69X47, 1815 წ. (სხმ/დ-ე ფ.62 სხმ/დ-ე 415 ლიკანი, ბორჯომი. 2243 სეგ 66), ბატალური სცენა - ნაპოლეონის ომებიდან, ზ. ტ. 54X76 (სხმ/დ-ე ფ.63, სხმ/დ-ე 416, ლიკანი, ბორჯომი, 1765, სეგ 68), ნაპოლეონის პორტრეტი, ტ.ზ. 56X34 (სხმ/დ-ე ფ.64, სხმ/დ-ე 417, ლიკანი, ბორჯომი. 2246, სეგ. 57), ჯარის ნაწილების მისალმება ნაპოლეონთან, ტ.ზ. 99 X 145, 1834 წ. (სხმ/დ-ე ფ.88, სხმ/დ-ე 441 ლიკანი, ბორჯომი, 2248, სეგ 67, 1920 წლის 2 ნოემბერი), პეიზაჟი ელისეის სახლის ხედით, მ.ზ. 33 X39 (სხმ/დ-ე ფ.100 სხმ/დ-ე 453 ლიკანი, 2267, სეგ 93), გრაფ ვიტგენშტეინის პორტრეტი, მ.ზ. 37 X28 (სხმ/დ-ე ფ.165, სხმ/დ-ე 518, ხმმ/მხ 2245, სეგ. 92, გადმოცემულია ლიკანის სასახლიდან), ბიჭის პორტრეტი (გასპარ გაუზერი), ხე. ზ. 34X24 (სხმ/დ-ე ფ.183, სხმ/დ-ე 536 , ლიკანი, ხმმ/მხ 2242, სეგ. 60, 1920 წლის 2 ნოემბერი), გენერალ ლა გოშის პორტრეტი, ტ.ზ. 82X65 (სხმ/დ-ე ფ.232 სხმ/დ-ე 585, ხმმ/მხ 2250, სეგ. 73, ლიკანი - 1920 წლის 2 ნოემბერი), პრუსიის დედოფლის ლუიზას პორტრეტი, ტ.ზ, 49X51 (სხმ/დ-ე ფ.239, სხმ/დ-ე 592 ხმმ/მხ 2251, სეგ. 62 ლიკანი), ნაპოლეონი ველზე ბრძოლის შემდეგ, ტ.ზ 56X73,5 1847 წ. (სხმ/დ-ე ფ.241 სხმ/დ-ე 585, ხმმ/მხ 2249, სეგ.65 ლიკანი, 1920 წლის 2 ნოემბერი), ნაპოლეონი მამლუქთან, ტ.ზ 50,5 X 42 (სხმ/დ-ე ფ.242 სხმ/დ-ე 596 ხმმ/მხ 2247, სეგ.63 ლიკანი, 1920 წლის 2 ნოემბერი), ავტოპორტრეტი, ტ.ზ 84X66 (სხმ/დ-ე ფ.243 სხმ/დ-ე 597, ხმმ/მხ 2240, სეგ.72, ლიკანი, 1920 წლის 2 ნოემბერი), მარშალ მასენას პორტრეტი, ტ.ზ. 63X52 (სხმ/დ-ე ფ.244 სხმ/დ-ე 598 ხმმ/მხ 2244, სეგ. 69 ლიკანი,

1920 წლის 2 ნოემბერი), პეიზაჟი, შუშა,ზ. 12,5X15,5 (სხმ/დ-ე ფ.267 სხმ/დ-ე 1115, ხმმ/მხ 2379, სეგ.58, ლიკანი), სამხედრო ბანაკი, ქ.ზ. დაკრულია მინაზე 38,5 X27 (სხმ/დ-ე ფ.276 სხმ/დ-ე 1448 ხმმ/მხ 2386მ სეგ.71, ლიკანი, 1920 წლის 2 ნოემბერი).

გრაფიკა: ჟოზეფინას პორტრეტი, ქ., ტუში, გუაში. 30X24 (სხმ/დ-ე გრ. 52 სხმ/დ-ე 410 შემოს. № ბორჯომი, ლიკანი 18, საფრანგეთიდან დაბრუნებული), სამხედრო პირის პორტრეტი, ქ., ფანქ., 22X18 (სხმ/დ-ე გრ.75 სხმ/დ-ე 632 ხმმ/მხ 2386, ლიკანი, სეგ. 91, 1920 წ. 2 ნოემბერი), მხატვარ დავიდის პორტრეტი, ქ., ფანქ., 37X28,5 (სხმ/დ-ე გრ. 78 სხმ/დ-ე 635, ხმმ/მხ 2387, ლიკანი სეგ.75, 1920 წ. 2/XI), მხატვარ გროს პორტრეტი, ქ., ფანქ., 25X20 (სხმ/დ-ე გრ.79 სხმ/დ-ე 636 შემოს.№ ლიკანი სეგ.74, 1920 წ. 2/XI), მხატვარ პრიუდონის პორტრეტი, ქ., ფანქ., 37,5X29,5. (სხმ/დ-ე გრ.80 სხმ/დ-ესხმ/დ-ე 637 შემოს.№ ლიკანი. სსსს. 417. სეგ.78, 1920 წ. 2/XI), გენერალ კლებერის პორტრეტი, ქ. ფანქ. 40X32. 25X19 (სხმ/დ-ე გრ.81. სხმ/დ-ე 638 შემოს. № ლიკანი, სეგ.89, 1920 წ. 2/XI), გენერალ მოროს პორტრეტი, ქ., ფანქ., 17X25 (სხმ/დ-ე გრ.82 სხმ/დ-ე 639 შემოს. № ლიკანი. სეგ.88 ხმმ/მხ 2401, 1920 წ. 2/XI), მარშალ მიურატის პორტრეტი, ქ. ფანქ., 24X18 (სხმ/დ-ე გრ.83 სხმ/დ-ე 640 შემოს.№ ლიკანი. სეგ.87 ხმმ/მხ 2402, 1920 წ. 2/XI), მარშალ მასენას პორტრეტი, ქ., ფანქ., 24,5X19. 40X32 (სხმ/დ-ე გრ.84 სხმ/დ-ე 641 შემოს.№ ლიკანი. სეგ.86 ხმმ/მხ 2403, 1920 წ. 2/XI), ბოკარნეს პორტრეტი, ქ., ფანქ., 25X19, 40X32 (სხმ/დ-ე გრ.85 სხმ/დ-ე 642, შემოს. № ლიკანი სეგ.76, ხმმ/მხ 2404, 1920 წ 2/XI), მარშალ სიუშეს პორტრეტი, ქ., ფანქ., 25X19 (სხმ/დ-ე გრ.86 სხმ/დ-ე 643 შემოს. № ლიკანი სეგ.90 ხმმ/მხ 2398, 1920 წ. 2/XI), მამაკაცის პორტრეტი, ქ., ფანქ., 23X15,5 (სხმ/დ-ე გრ.87 სხმ/დ-ე 644 შემოს.№ ლიკანი სეგ.77, ხმმ/მხ 2396, 1920 წ. 2/XI), მამაკაცის პორტრეტი, ქ., ფანქ., 29X21 (სხმ/დ-ე გრ.88 სხმ/დ-ე 645 შემოს.№ ლიკანი სეგ.79. ხმმ/მხ 2394, 1920/2/XI), ნაპოლეონი წმ. ელენეს კუნძულზე, ქ., ფანქ., 29X21, 1839 წ. (სხმ/დ-ე გრ.89 სხმ/დ-ე 646 შემოს.№ ლიკანი სეგ.83 ხმმ/მხ 2390, 1920 / 2/XI), ნაპოლეონი წმ. ელენეს კუნძულზე, ქ., ფანქ., 23.5X16 (სხმ/დ-ე გრ.90 სხმ/დ-ე 647 შემოს.№ ლიკანი სეგ.82, ხმმ/მხ 2391, 1920 წ. 2/XI), ნაპოლეონის პორტრეტი. ქ., ფანქ., 31 X22,5 (სხმ/დ-ე გრ.91 სხმ/დ-ე 648 შემოს.№ ლიკანი სეგ.81, ხმმ/მხ 2392, 1920/2/XI), ახალგაზრდა ნაპოლეონის პორტრეტი. ქ. ფანქ. 31X23 (სხმ/დ-ე გრ.92, სხმ/დ-ე 649 შემოს.№ ლიკანი სეგ.84, ხმმ/მხ 2388, 1920/2/XI), ნაპოლეონის პორტრეტი. ქ., ფანქ., 31X23 (სხმ/დ-ე გრ.93 სხმ/დ-ე 650, შემოს.№ ლიკანი სეგ.85, ხმმ/მხ 2389, 1920/2/XI), ნაპოლეონის პორტრეტი. ქ.. ფანქ. 31X23 (სხმ/დ-ე გრ.94 სხმ/დ-ე 651 შემოს. № ლიკანი სეგ.80 ხმმ/მხ 2393, 1920/2/XI), აპოთეოზი ნაპოლეონზე. ბ., სეპია, თეთრა, 18X25,31X39 (სხმ/დ-ე გრ.95 სხმ/დ-ე 652 შემოს.№ ლიკანი სეგ.94, 1920/2/XI), დაჭრილი მეომარი, გრავიურა, 9X10 (სხმ/დ-ე გრ.218 ხმმ/მხ 1114 შემოს.№ ლიკანი სეგ.57 (სეგ.57a 1), 1920/2/XI), ალექსანდრე I-ის ისტორიკოსი, გრავიურა, 27X19. 1826 წ. (სხმ/დ-ე გრ.153 სხმ/დ-ე 1020 ხმმ/მხ 2335 ლიკანი სეგ. 62a).

ქანდაკება: ვოლტერის თავი, პლასტელინი. 12X9 (სხმ/დ-ე ქ.17 სხმ/დ-ე 1045

სეგ. 58), ლიკანის სასახლიდან გადმოტანილი 1920 წლის 2 ნოემბერს).

რუსული ხელოვნების კოლექციიდან: თავად ა. ა. პროზოროვსკის პორტრეტი, ტ.ზ. 33X26,5. XVIII ს. (სხმ/რ 205, სხმ/რ ფ.120, ხმმ 1759, სეგ. 96, ლიკანის სასახლიდან უფასოდ 1920 წ. ნოემბერი), ეკატერინე II-ის პორტრეტი, ტ.ზ. 62X53. 1771 წ. (სხმ/რ 291 სხმ/რ ფ.188 ხმმ/მხ 1749 სეგ 55, გადმოტანილია ლიკანის სასახლიდან), ელისაბედ ალექსანდრეს ასულის პორტრეტი, ტ.ზ. 73X63, XVIII ს. (სხმ/რ 297 სხმ/რ ფ.194 ხმმ 1757 სეგ 86, ლიკანიდან 1920 წ. ნოემბერი.) ეკატერინე II-ის პორტრეტი, ტ.ზ. 83X63. (სხმ/რ 310 სხმ/რ ფ.206 ხმმ 1755 სეგ 59, ლიკანიდან 1920 წ. ნოემბერი), ლიტონია ალექსანდრე ნეველის ლავრაში, პეტერბურგში. ქ.მ. ტუში, აკვარელი, გუაში, 48X60 (სხმ/რ 1101 სხმ/მხ 1763 სეგ. 95 გრ. 62, გადმოცემულია ლიკანის სასახლიდან 1920 წ. 22/XI), თავად ფედმარშალ ვეტგენშტეინის პორტრეტი, ტ.ზ. 60X70 (სხმ/რ 386 სხმ/რ ფ280 სხმ/რ 9280).

ღიკანის სასახლიდან 1920 წლის 2 ნოემბერს ეროვნული გალერიისთვის გადაცემული სურათების შესახებ

ხელოვნების მუზეუმში დაცული დოკუმენტის [Материалы... სემ/ხმ] მიხედვით, რომელშიც ექსპონატების სიაა მოცემული, ეროვნული გალერეის გამოფენისთვის შეირჩა შემდეგი ნიმუშები: „55. ეკატერინე მე-2-ის პორტრეტი 56. დედოფალ ელისაბედ ალექსის ასულის პორტრეტი 57. ეკატერინე მე-2-ის პორტრეტი — როკოტოვისა ან ანტროპოვისა 58. ნაპოლეონი ავსტრიელ ტყვეებით—პრუდონისა, უფასოდ 59. ნაპოლეონი საკორონაციო სამოსელში — ესკიზი ჟერარისა 60. გრ. სტროგონოვის პორტრეტი 61. პრუსიის დედოფლის ლუიაზას პორტრეტი 62. ნაპოლეონის დაბრუნება კუნძულ ელბიდან, 1815 წ. — სურათი ბერანჟესი 63. დაჭრილი თავადი ბაგრატიონი - 64. ჟოზეფინა — აკვარელი (ფანქრით მიწერილი აქვს დავიდი (1748-1825 - ი.დ.) 65. მამაკაცის პორტრეტი — დავვიდისა (ფანქრით გადახაზულია სიტყვა „მამაკაცი" და ზევიდან დაწერილია - ტალეირანის, ასევე გადახაზულია დავიდი და რუსულად ჩასწორებულია „прюдон" - ი.დ.) 66. თავად ვოლკონსკის პორტრეტი 67. ფანქრით ნახატი — დავვიდისა 68. ნაპოლეონი კონსული — დავვიდისა 69. იმპერატორი ფრანც ავსტრიელი — კრაფტისა 70. ნაპოლეონი მამელიუკით 71. ნაპოლეონის აუდიენცია 72. პროზოროვსკის პორტრეტი 73. მხატვარ დაუს თვითპორტრეტი 74. გენერალ ოშის პორტრეტი 75. ვიტგენშტეინი 76. ელისეის სასახლე 77. ნაპოლეონი ბრძოლის დროს 78. გენერლის ? პორტრეტი №. №. 55 — 78 საკუთ. ლიკანის სასახლისა" [Материалы... სემ/ხმ].

1921 წელს მენშევიკური მთავრობის მიერ საფრანგეთში წაღებული სამეუზეუმო ქონების და მათ შორის ბორჯომისა და ღიკანის სასახლეებიდან გატანილი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებისა და ბიბლიოთეკის შესახებ

მარსელი, 1921 წლის 7 მაისის კომისია /ე.წ. მარსელური სია/

მენშევიკური მთავრობის მიერ 1921 წელს საქართველოდან საფრანგეთში გატანილი ქონება ქვეყნის სხვადასხვა მუზეუმისა და სასახლის საკუთრება იყო, კერძოდ: საქართველოს მუზეუმის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ქართლ-კახეთის სამღვდელოების საეკლესიო, საისტორიო-საეთნოგრაფიო და ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმების, ასევე ეროვნული გალერეის, ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების კუთვნილება.

საქართველოს განძის ზედამხედველობა საფრანგეთში დაეკისრა ექვთიმე თაყაიშვილს (დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგს). მასთან ერთად განძის მეთავლყურედ დანიშნეს იოსებ ელიგულაშვილი (ფინანსთა მინისტრის ამხანაგი), რომელსაც სახაზინო ქონების მოვლა-პატრონობა და ექვთიმესთვის სამუზეუმო განძეულობის მოვლაში დახმარება დაევალა. „ისეთი აჩქარებით მიმდინარეობდა ევაკუაცია, რომ თბილისის „...მუზეუმებმა ვერ მოაწრეს ვერც სიის გადმოცემა და ვერც გასაღებების. ევაკუაცია მოულოდნელი იყო", - წერს ექვთიმე 1935 წლის მაისში პარიზში დაწერილ სტატიაში „ერთი შეკითხვის გამო" [ჟორდანია, 1983:.39].

საგანძურის გადაზიდვის მარშრუტი იყო: ქუთაისი, ბათუმი (რკინიგზით), სტამბული და ბოლოს, მარსელი (გემით). მაგრამ ეს არ იყო ერთად თავმოყრილი განძეულის ერთდროული გადატანა. „3 მარტს საღამოთი მატარებელმა ბათუმს მიაღწია... ამ დროს, ბათუმში ჩასულა კიდევ რამდენიმე ვაგონი დატვირთული ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების ქონებით, მაგრამ ადგილის უქონლობის გამო ბორჯომიდან ჩატანილი ყველა ყუთი ექვთიმეს ვერ მოუთავსებია კრეისერზე. მას იქ მოუთავსებია ბორჯომის სასახლეების მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც 27 ყუთში ჩალაგებულ 2300-მდე ძვირფას წიგნს შეიცავდა (ეს დიდი მთავრისეული ბიბლიოთეკა ჩვენი მთავრობის სპეციალურმა კომისიამ 1927 წელს ორას ათას ოქროს მანეთად შეაფასა. ამჟამად ამ ბიბლიოთეკის მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშია დაცული. ესაა მეტად ძვირფასი წიგნები რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე" [ჟორდანია, 1983:.47]. წიგნებთან ერთად კრეისერზე მოათავსეს „...მინის, ბროლის, ფაიფურისა და ფაიანსის დიდძალი ჭურჭლით დატვირთული 11 ყუთი; კავკასიური, სპარსული, ევროპული 41 ნოხით დატვირთული 3 ყუთი; თითო ყუთი ფიტულებითა და ოთახის ქანდაკებით; ბრინჯაოს, სპილოს ძვლის, ბროლის, მარმარილოს, ფაიფურისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით (საათები, ვაზები,

სასანთლეები, საფერფლეები და სხვ.) დატვირთული 3 ყუთი. სულ გამოდის 25 ყუთი, ე.ი. კრეისერზე მოუთავსებიათ 52 ყუთი ბორჯომის სასახლეებისეული ნივთები" [ჟორდანია, 1983:.48].

მარსელში შედგა კომისია, რომელსაც უნდა გაემიჯნა „სამუზეუმო" და „რესპუბლიკის მთავრობის ქონება" და ცალ-ცალკე აღენუსხა. კომისიაში შევიდნენ ე. თაყაიშვილი, ი. ელიგულაშვილი და ზ. ავალიშვილი და ა. დეკანოზიშვილი (საქართველოს მენშევიკური მთავრობის პარიზული ლეგაციის წარმომადგენლები).

კომისიამ მოახდინა ნივთების კლასიფიკაცია კატეგორიებად. კერძოდ, A, B, C, E, S — კატეგორიებად და ხუთ „დარგად":

A კატეგორია - სამუზეუმო — თბილისის მუზეუმებისა და ეროვნული გალერეის განძეულობა - 13 ყუთი; B კატეგორია - ზუგდიდისა და თბილისის სასახლეები, ყოფილი რუსული პოლკების ქონება (37 ყუთი) — „სამუზეუმო"; 16 ყუთი - „სარეალიზაციო", 1 ყუთი (B 32) — „რომლის დანიშნულება გადაწყვეტილი არ არის"; C კატეგორია - რუსული ეკლესიების ქონება (6 ყუთი) — „საეკლესიო". E კატეგორია - გელათის, მარტვილის, ხობის საგანძური - „სამუზეუმო"; S კატეგორია — ბორჯომის და ლიკანის სასახლეების ქონება (61 ყუთი, აქედან 27 ყუთი წიგნები - საბიბლიოთეკო, 34 ყუთიდან ნაწილი — 20 ყუთი, „რომლის დანიშნულება გადაწყვეტილი არ არის" და ნაწილი — 14 ყუთი - „სამუზეუმო", სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.

ამას გარდა, საქართველოდან ჩატანილი ქონება (მთლიანად 123 ყუთი) კომისიამ ორ ჯგუფად გაყო:

1. ნაკლებ ძვირფასი ქონების შემცველი 68 ყუთი (B -32 / C 1-6 / S 1-61 (ბორჯომ-ლიკანი), რომლებიც 1921 წლის 7 მაისს კომისიამ მიაბარა „ქონების გადატანის ეროვნულ საზოგადოებას" მარსელში.

2. უფრო ძვირფასი ქონებით დატვირთული 55 ყუთი (A 1-13 / B 1-31, 33-37 /1-6) და ოქრო-ვერცხლისა და სხვა სავალუტო ქონების შემცველი 112 ყუთი, ე.ი. სულ 167 ყუთი, საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებას [ჟორდანია, 1983:.58-59].

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ექვთიმეს ხელნაწერი დოკუმენტი ე.წ. „პირი დოსიესი" (ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, №1127), რომელიც 1921 წლის მარსელური სია უნდა იყოს. ამ დოკუმენტის მე-5 ნაწილი („S" 54-115) ასახავს ბორჯომისა და ლიკანის სასახლეებიდან წაღებულ ქონებას, მას ხელს აწერს კომისიის ოთხივე წევრი: ე. თაყაიშვილი, ა. დეკანოზიშვილი, ზ. ავალიშვილი, ი. ელიგულაშვილი.

ხელნაწერის მე-12, მე-17-26-ე გვერდებზე (ე.წ. მე-5 ნაწილი) მოცემულია ქონების ნუსხა (ყუთებად, მცირე ანოტაციებით) — სულ 61 ყუთი. თავშივე მითითებულია „S" კატეგორია (54 -115). სიის ნუმერაცია წარმოდგენილია „S"-ით,

რიგითი ნომერი, ყუთის წარმომავლობა და ნომერი, იქ მოთავსებული ნივთების ჩამონათვალით ან აღნიშვნით. გვერდის მარცხენა ველზე შენიშვნებია: მუზეუმი ან სამუზეუმო (ზოგჯერ - ჭურჭელი, თეთრეული). ყუთების სახელები მოცემულია შემდეგი პრინციპით:

1. ძველი ბორჯომის №... / ბორჯომის №...
2. ძველი Лик. №... / ძველი ნომერი Лик. №...
3. ძველი ბორჯომის Лик. №...

ამ სიიდან გამოვყოფთ ჩვენთვის საინტერესო ცნობებს, რომლებიც უკავშირდება სახვითი ხელოვნების ნიმუშებს ლიკანის სასახლიდან:

„S- 4 ძველი ბორჯომის №30 - მუზ.

ხის ყუთი, სურათები ჩარჩოში

1. გენ. ტორმასოვის (?), 2. ალექსანდრე I, 3. გენ. რაევსკის, 4. ვიღაც გენერლის, 5. ქ-ნ რაინერის (?), 6. გენ. K Keynier -ის, 7. ... , 8. მარშლის, 9. B.K.H. ? 10. უცნობი ქალის სურათი, 11. გრავიურა ჟოზეფ ნაპოლეონისა".

„S-8 ძველი ნომერი Лик. №47 - ხის ყუთი, 4 სურათი საფრანგეთის გენერლების, დიდრონი, ზეთით ნახატი - სამუზ.".

„S-14 ძველი ბორჯომის Лик. №32 — სტატუა ნაპოლეონის, ბრინჯაოს ცხენზე (ცხენის ფეხები გატეხილია) - სამუზ.".

1924 წლის 17 აგვისტოს სიით — S-14 „ლიკვიდაცია შეიძლება თუ გაჭირდა საქმე, თუმცა ეს სასურველი არ არის" - ექვთიმეს მინაწერი [ჟორდანია, 1983:.66].

„S - 15 ძველი ბორჯომის № 4 — სამუზ.

სურათები: 1. პეიზაჟი, 2. ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, 3. წმ. ცეცილია, 4. ბაზარი კილო ... (?), 5. ფოტოგრაფია, 6. სურათი მადლენის (?) მარიამისა, 7. ქარავანი, 8. ძაღლის სურათი, 9. ფერადი გრავიურა".

„S-23 ძველი ბორჯომის ნომერი არ გააჩნია — ერთი დიდი სურათი - „მუზეუმი", ქვემოთ ფრანგულად მითითებულია ავტორის სახელი და წლები - 1781-1835. სახელისა და გვარის ამოკითხვა ვერ მოხერხდა".

„S- 28 ძველი ბორჯომის 108 — სამუზ. - დიდი სურათი ზეთით ნახატი".

„S-31 ძველი ბორჯომის Лик. №44 — მუზ. - 4 სურათი ჩარჩოიანი (ზეთის ფერადებით)".

„S- 37 ძველი ბორჯომის №36 Лик. — მუზ. - პორტრეტები ნაპოლეონის და სხვა".

ხელნაწერის ბოლო გვერდზე განსხვავებული ხელწერით მოცემულია შვიდპუნქტიანი ჩამონათვალი, რომელშიც ფიგურირებს №5 - სამხატვრო გალერეიდან წამოღებული 14 სურათი. ციფრი 14 გადაკეთებულია 16-ად. ამ სურათების ნაწილი წამოღებულია ლიკანის სასახლიდან.

სხვადასახვა ნიმუში

„S-36 ძველი ბორჯომის Лик. №35 — პეპელათა კოლექცია - მუზ.".

„S-10 ბორჯომის ნომერი არ აჩნდა — სამუზ. ხის ყუთი: პატარა რქები, „ჩუჩელოები." ჩარჩოში ჩასმული ხავერდი... S-13 ძველი ბორჯომის №2 — რქები ირმისა — სამუზ.".

1924 წლის 17 აგვისტოს სიით: S-10 და S-13 - „ლიკვიდაცია შეიძლება თუ გაჭირდა საქმე, თუმცა ეს სასურველი არ არის." - ექვთიმეს მინაწერი [ჯორდანია, 1983:.66].

საბიბლიოთეკო: „S-5 ძველი ნომერი 227 Лик. №29 - წიგნები სხვადასხვა... S-6 ძველი Лик. №21 - ხის ყუთი წიგნები სხვადასხვა... S-9 - ძველი ნომერი Лик. №9 - ხის ყუთი წიგნები სხვადასხვა... S-18 - ძველი ნომერი Лик. №10 — წიგნები... S-19 - ძველი ნომერი Лик. №20 — წიგნები... S-25 - ძველი Лик. №19 — წიგნები, S-26 - ძველი Лик. №13 — წიგნები... S-30 ძველი ბორჯომის Лик. №29 — წიგნები და სურათებიანი ალბომები... S-32 ძველი ბორჯომის Лик. №16 — წიგნები, S-33 ძველი ბორჯომის Лик. №2 — წიგნები... S-35 ძველი ბორჯომის Лик. №6 — წიგნები..." S-38-59, ძველი ბორჯომის №№5, 15,12,8,11,22,3,18,25,1,14,17,4,24,26 — წიგნები.

ამავე დოკუმენტში: S-22 (ძველი Вბორჯომი — ნოხები) და S-24 (ბორჯომის №1 — ნოხები) მარჯვნივ მინაწერი აქვს: გადაეცა ლევილის მამულს, 2 აგვისტო 1922 წ.

დოკუმენტის თანახმად, ლიკანს უნდა ეკუთვნოდეს სახვითი ხელოვნების 5 ყუთი (S — 8 , S — 14 S — 31, S — 36, S — 37) და წიგნების 11 ყუთი. ესენია:

„S-8 ძველი ნომერი Лик. №47 - ხის ყუთი, 4 სურათი საფრანგეთის გენერლების, დიდრონი, ზეთით ნახატი - სამუზ. S-14, ძველი ბორჯომის Лик. №32 — სტატუა ნაპოლეონის ბრონზის ცხენზე (ცხენის ფეხები გატეხილია) - სამუზ. S-31 ძველი ბორჯომის Лик. №44 — მუზ. - 4 სურათი ჩარჩოიანი (ზეთის ფერადებით), S-37 ძველი ბორჯომის №36 Лик. — მუზეუმი - პორტრეტები ნაპოლეონის და სხვა (რაოდენობა არ არის დაზუსტებული — ი.დ.), S-36 ძველი ბორჯომის Лик. №35 — პეპელათა კოლექცია" [ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, №1127].

ე.ი. საფრანგეთის გენერლების ამსახველი 4 სურათი, ზეთით შესრულებული 4 სურათი, ნაპოლეონის პორტრეტები და სხვ. სავარაუდოდ 10-ზე მეტი ნიმუშია (მაგრამ რამდენი? ამის დადგენა შესაძლებელია საფრანგეთიდან დაბრუნებული სურათების მუზეუმისთვის გადაცემის ამსახველ დოკუმენტაციასა და საინვენტარო წიგნებზე დაყრდნობით). ქანდაკება - ნაპოლეონი ცხენზე, ბრინჯაო, ასევე პეპლების კოლექცია.

ლევილი

1922 წლიდან ექვთიმე საცხოვრებლად გადავიდა პარიზიდან 26 კმ-ით დაცილებულ სოფ. ლევილში, მენშევიკების მიერ შეძენილ სახლსა და მამულში, რომელიც დევნილი მთავრობის საზაფხულო რეზიდენციად გადაიქცა. ლევილშია გადატანილი ბორჯომისა და ლიკანის სასახლეთა 41 ყუთი სამუზეუმო ფასეულობებით მათ შორის „27 ყუთი დატვირთული ბორჯომისა და ლიკანის

სასახლეების ბიბლიოთეკით, რომელიც მოითვლიდა 2.264 (ან ცოტა მეტ) წიგნს – რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე - გადაუტანიათ მარსელიდან, აღნიშნული საზოგადოების საწყობიდან, პარიზის მახლობლად ერთ-ერთი სოფლის საწყობში..." [ჟორდანია, 1983:.64].

ამგვარად, გ. ჟორდანიას მონაცემებისა და 1921 წ. მარსელური სიის შედარების შედეგად:

- 55 ყუთი საგანძური + 112 ოქრო-ვერცხლი – მარსელის ბანკშია. აქედან 128 ყუთი გაყიდეს. დარჩა 39 ყუთი, რომელიც ინახებოდა ბანკში 13 წელი.

- მარსელის საწყობში შენახული 68 ყუთიდან 61 ყუთი ბორჯომ-ლიკანისაა. ამ 6 ყუთიდან 2 (S 22/S 24 - ნოხების) 1922 წლის 2 აგვისტოს ლევილს გადასცეს, რასაც 1921 წლის მარსელური სიის მინაწერიდან ვიგებთ. 27 ყუთი წიგნებით გადაიტანეს პარიზთან ახლოს, ერთ-ერთი სოფლის საწყობში. ჟორდანია ფიქრობს, რომ ნოხების 2 ყუთთან ერთად დანარჩენი 39 ყუთიც მარსელის საწყობიდან გადაიტანეს ლევილში, ანუ სულ 41 ყუთი.

41 ყუთი შედგება: ბორჯომ-ლიკანის – 34 ყუთი „S" კატეგორია, რუსული ეკლესიის ქონება „C " კატეგორია, „ B" კატეგორიის ქონება – 1 ყუთ „S".

ლევილში ეს 41 ყუთი დაყვეს სამუზეუმო და არასამუზეუმო ფასეულობებად, ამიტომ მარსელურ სიაში ექვთიმემ ფანქრით მიუთითა „სამუზეუმო" იმ ყუთებს, რომელთა გაყიდვა საზიანო მიაჩნდა ქართული კულტურისთვის.

სამუზეუმო კატეგორია მითითებული აქვს: „S" კატეგორიის 14 ყუთს და „C" კატეგორიის 6 ყუთს (რუსული საეკლესიო ქონება).

დანარჩენი არასამუზეუმოა – 21 ყუთი, რომლებიც 1924 წლის აგვისტოსთვის უკვე სრულადაა გაყიდული.

ამდენად, ლევილში დარჩენილი არა სამუზეუმო ღირებულების 20 ყუთია („S" - 14 ყუთი – ბორჯომ-ლიკანი და „C"- რუს. საეკ. ქონება – 6 ყუთი). როგორც ჩანს, გაყიდვის საჭიროება კიდევ დამდგარა და ექვთიმეს „S" კატეგორიის 6 ყუთზე 1924 წლის აგვისტოს სიაში მიწერილი აქვს „ლიკვიდაცია შეიძლება, თუმცა სასურველი არ არის" და ჩამოთვლილია ეს 6 ყუთი: გამოყ. ხელ. - „S" 29 /42 /47, ბრინჯაოს ქანდაკება - „S" 14, ირმის და სხვა რქები - „S" 10/13.

აქედან გამომდინარე, ლევილში დარჩებოდა 8 ყუთი (ბორჯომ-ლიკანის) და 1 ყუთი (თუ ქანდაკება არ გაიყიდებოდა – ჟორდანია წერს, რომ ვერ გაიყიდებოდაო), ანუ 8 ან 9 ყუთი და 6 ყუთი „C" რუს. საეკლესიო ქონება.

ბორჯომ-ლიკანის 8 ან 9 ყუთიდან: 7 ყუთი – ფერწერაა (ჟორდანიას მონაცემებით, 91 სურათი); 1 ყუთი - პეპლები; 1 ყუთში ქანდაკება (მარსელური სიის მიხედვით, ამ 7 ყუთში – ბორჯომის 22 სურათია და ლიკანის 10-ზე მეტი, ანუ ჯამში ექვთიმეს ლევილში უნდა ჰქონოდა 32 სურათზე მეტი, მაგრამ ზუსტად რამდენი, არ ჩანს).

ხელოვნების მუზეუმის საინვენტარო წიგნებში საფრანგეთიდან დაბრუნებულ

ფასეულებებს. მათ შორის ლიკანის სასახლიდან 1921 წელს გატანილს არ აქვს საქართველოს ეროვნული გალერეის (სეგ) საინვენტარო ნომრები. ასეთია: ნაპოლეონის გენერლების პორტრეტები – 34 ც., დას. ევრ. გრაფიკა - 6 სურათი; რუსული ფერწერა – 34 და გრაფიკა 4 სურათი. ჯამში, 78 ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი.

„კ. მელაძე, რომელმაც ინახულა ექვთიმეს ბინა იქიდან წამოსვლის წინ, იხსენებს, რომ ექვთიმეს ბინა მუზეუმივით ყოფილა მოწყობილი... კედლებზე ეკიდა დიდი სურათები... სურათები ბლომად ყოფილა...“. მელაძეს ეს სურათები საკუთარი ხელით ჩამოუხსნია კედლიდან. კიდევ უფრო სრულად აღწერს ექვთიმეს ბინას მანანა მჭედლიშვილი, ანტიჰიტლერული მოძრაობის აქტიური მონაწილე ქართველი ქალი, რომელიც 1943 წლის დამლევიდან 6 თვე თავს აფარებდა ექვთიმეს ბინას... ორივე ოთახში კედლებზე ეკიდა სურათები შეოქრული ჩარჩოებით“, - წერს მანანა მჭედლიშვილი [ჟორდანია, 1983:.67].

ხელოვნების მუზეუმის დასავლეთევროპული და რუსული ხელოვნების ფონდები

ქვემოთ მოყვანილი მასალა წარმოადგენს საქართველოს ეროვნული მუზეუმის, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის დასავლეთევროპული და რუსული ხელოვნების ფონდების საინვენტარო წიგნებიდან (1957-1958 წწ.) და ექსპონატთა სააღრიცხვო ბარათებიდან (XX ს. 70-80-იანი წლები) ამოღებულ ინფორმაციას.

ფერწერა: მარშალ ლანის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ.8, სხმ/დ-ე 360, ლიკანი, ბორჯომი 72, მარშალ ლეფევრის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ.9, სხმ/დ-ე 361, ლიკანი, ბორჯომი 73), მარშალ სულტის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ.10, სხმ/დ-ე 362, ლიკანი, ბორჯომი 74), მიურატის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ.11, სხმ/დ-ე 363, ლიკანი, ბორჯომი 75), მარშალ სიუშეს პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ.12, სხმ/დ-ე 364, ლიკანი, ბორჯომი 76), მარშალ ჟიუნოს პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ.13, სხმ/დ-ე 365, ლიკანი, ბორჯომი 77), მარშალ ბელუნის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ.14, სხმ/დ-ე 366, ლიკანი, ბორჯომი 78), მარშალ ბოგარნეს პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ.15, სხმ/დ-ე 367, ლიკანი, ბორჯომი 79), მარშალ უდინის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ.16, სხმ/დ-ე 368, ლიკანი, ბორჯომი 80), მარშალ ბესიუარის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ.17, სხმ/დ-ე 369, ლიკანი, ბორჯომი 81), მარშალ სავრის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ.18, სხმ/დ-ე 370, ლიკანი, ბორჯომი 82), მარშალ მორტიეს პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ.19, სხმ/დ-ე 371, ლიკანი, ბორჯომი 83), მარშალ გუვიონის პორტრეტი. ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ.20, სხმ/დ-ე 372, ლიკანი, ბორჯომი 84), მარშალ გრუშის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ.21, სხმ/დ-ე 373, ლიკანი, ბორჯომი 85), მარშალ მასენას პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ. 22, სხმ/დ-ე 374, ლიკანი, ბორჯომი 87

(ბარათიდან გენერალ მასენას პ-ტი), მარშალ კლარკის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ.23, სხმ/დ-ე 375 ლიკანი, ბორჯომი 88), მარშალ დავუს პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ.24, სხმ/დ-ე 376, ლიკანი, ბორჯომი 89), ბერნადოტის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70. (სხმ/დ-ე ფ.25 სხმ/დ-ე 377, ლიკანი, ბორჯომი 90), მარშალ ბერტიეს პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ.26, სხმ/დ-ე 378, ლიკანი, ბორჯომი 91), მარშალ დიუროკის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ.27, სხმ/დ-ე 379, ლიკანი, ბორჯომი 92), მარშალ მაკდონალდის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ.28, სხმ/დ-ე 380, ლიკანი, ბორჯომი 94), პონიატოვსკის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ.29, სხმ/დ-ე 381, ლიკანი, ბორჯომი 95), ოჟეროს პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ.30, სხმ/დ-ე 382, ლიკანი, ბორჯომი 70), ტალეირანის პორტრეტი, ტ.ზ. 100X70 (სხმ/დ-ე ფ.31, სხმ/დ-ე 383, ლიკანი, ბორჯომი 71), ლორისტონის პორტრეტი, ტ.ზ. 93X74 (სხმ/დ-ე ფ.32, სხმ/დ-ე 384 ლიკანი, ბორჯომი 24), ფუშეს პორტრეტი, ტ.ზ. 37X32 (სხმ/დ-ე ფ.33, სხმ/დ-ე 385 ლიკანი, ბორჯომი 69), კოლენკურის პორტრეტი (ვინტგენშტეინი), ტ.ზ. 37X32,3 (სხმ/დ-ე ფ.34, სხმ/დ-ე 386, ლიკანი, ბორჯომი 33), გენერალ მარმონის პორტრეტი, ტ.ზ. 37X32 (სხმ/დ-ე ფ.35, სხმ/დ-ე 387, ლიკანი, ბორჯომი. 34), მარშალ ნანსუტის პორტრეტი, ტ.ზ. 37X32 (სხმ/დ-ე ფ.36, სხმ/დ-ე 388 ლიკანი, ბორჯომი. 35), გენერალ ჟუბერის პორტრეტი. ტ.ზ. 62X50, 1800 წ. (სხმ/დ-ე ფ.37, სხმ/დ-ე 389, ლიკანი, ბორჯომი. 50), მარეს პორტრეტი, ტ.ზ. 37X33 (სხმ/დ-ე ფ.38, სხმ/დ-ე 390 ლიკანი, ბორჯომი. 99), გენერალ გურჟანის პორტრეტი, ტ.ზ. 81X66 (სხმ/დ-ე ფ.39, სხმ/დ-ე 391, ლიკანი, ბორჯომი. 86), ნაპოლეონის გადადგომა, ხეზ., 83X110 (სხმ/დ-ე ფ.40, სხმ/დ-ე 392, ლიკანი, ბორჯომი. 19), ნაპოლეონი მარშლებთან. ტ.ზ. 130X175 (სხმ/დ-ე ფ.58, სხმ/დ-ე 441, ლიკანი, ბორჯომი, 61), ძაღლი, ტ.ზ. 38X50 (სხმ/დ-ე ფ.59, სხმ/დ-ე 412, ლიკანი, ბორჯომი. 56), პეიზაჟი, ტ.ზ. 48X65. (სხმ/დ-ე ფ.60, სხმ/დ-ე 413, ლიკანი, ბორჯომი. 59).

სამხედრო პირთა ზემოაღნიშნული პორტრეტები ვერსალის მარშლების დარბაზში გამოფენილი XIX საუკუნის პირველ ნახევარში შესრულებული სურათების ასლებია.

გრაფიკა: ნაპოლეონი კუბოში, ქ., ფანქ., 14,5X21,5 XIX ს. (სხმ/დ-ე გრ.100, სხმ/დ-ე 657, (საფრანგეთიდან დაბრუნებული), ძველი ადგილსამყოფელი - პარიზი), 1815 წ. ვენის კონგრესის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა პორტრეტები, ლითოგრაფია, 77X32 (სხმ/დ-ე გრ.226, სხმ/დ-ე 1128, საფრანგეთიდან დაბრუნებული სურათების სია №2), ვენის კონგრესის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა პორტრეტები, ლითოგრაფია, 72X28, XVIII ს. (სხმ/დ-ე გრ.406, სხმ/დ-ე 1311), 1815 წ. ვენის კონგრესის მონაწილენი, გრავიურა, 66X85 (სხმ/დ-ე გრ.405, შემოს. P.M. №908 სხმ/დ-ე 1310), „სამი კონსული. გრავიურა, 40X28, XVIII ს. (სხმ/დ-ე გრ. 407, სხმ/დ-ე 1312).

რუსული ხელოვნების ფონდი: გენერალ ოგიუსტ მარი ფრანსუა კოლბერის პორტრეტი, გრავიურა, 82X56, XVIII ს. (სხმ/დ-ე გრ. 408, სხმ/დ-ე 1313, შემოს. №

საფრანგეთიდან დაბრუნებული ნივთი №37), მოხელის პორტრეტი, ქაღ. ვატმანი მუყაოზე, აკვარელი, 56X77, XIX ს. II ნახ. (სხმ/რ 118, სხმ/რ გრ.1, სია. №68), უცნობი მეომრის პორტრეტი, ტ.ზ. 35X41 (სხმ/რ 369, სხმ/რ ფ263, 31 (სია C.P.K), უცნობი მოხელის პორტრეტი, ხე.ზ. 30X40 (სხმ/რ 370, სხმ/რ ფ264), XVIII ს. ბოლო – XIX ს. დასაწყისი, 27 (სია C.P.K), გენ. დიბიჩ-ზაბაიკალსკის პორტრეტი, XIX ს. (სხმ/რ 372, სხმ/რ ფ266, 48 (სია C.H.K), გენერალ ბარკლაი-დე-ტოლის პორტრეტი, ტ.ზ. 53X66 XIX ს. (სხმ/რ 373, სხმ/რ ფ267, 49 (სია C. .P.K), ა.ა. ტორსუკოვის პორტრეტი, ტ.ზ. 58X41 (სხმ/რ 374, სხმ/რ ფ268, 46 (სია C.H..K), გრაფ კლეინმიხელის პორტრეტი, ტ.ზ. 54X40, XX ს. ასლი (სხმ/რ 375 სხმ/რ ფ269, 47 (სია C. P.K), დ. მ. გოლიცინის პორტრეტი, ტ.ზ. 47X63 XVIII ს. (სხმ/რ 376 სხმ/რ ფ270, 54 (სია C. H.K), გენ. მ.ი. პლატოვის პორტრეტი, ტ.ზ. 32X39, XIX ს. I ნახ. (სხმ/რ 377, სხმ/რ ფ271, 32 (სია C.H.K), გენერალ რაევსკის პორტრეტი, ტ.ზ. 32X39, XIX ს. I ნახ. (სხმ/რ 378, სხმ/რ ფ272, 26 (სია C. H.K) ნიკოლოზ I-ის პორტრეტი, ტ.ზ.24 X32, XIX ს. დასაწყ.. (სხმ/რ 379, სხმ/რ ფ273, 26 (სია C. H.K), გორჩაკოვის პორტრეტი, ტ.ზ. 58X70 (სხმ/რ 380, სხმ/რ ფ274), XIX ს. დასაწყ. 42 (სია C.P.K) ფელდმარშალ მ. ი. კუტუზოვის პორტრეტი, ტ.ზ. 105X122, XIX ს. დასაწყ. (სხმ/რ 381, სხმ/რ ფ275 სხმ/რ 9276), 20 (სია CH.K), უცნობი მოხელის (გოლიცინის) პორტრეტი, ტ.ზ. 125X64, 1925 წ. ასლი. (სხმ/რ 383, სხმ/რ ფ277, სხმ/რ 9277, №41 (სია CH.K), დ. ვ. გოლიცინის პორტრეტი, ტ.ზ.. 60X68,5 (სხმ/რ 384, სხმ/რ ფ278, სხმ/რ 9278, №44 (სია CP.K), გოლიცინის პ-ტი, ტ.ზ. 60X69, XIX ს. I ნახ. (სხმ/რ 385, სხმ/რ ფ279, სხმ/რ 9279, №43 (სია CP.K), თავად ფელდმარშალ ვეტგენშტეინის პორტრეტი, ტ.ზ. 60X70 (სხმ/რ 386, სხმ/რ ფ280, სხმ/რ 9280, №45 (სია CP.K), გრაფ ტორმასოვის პორტრეტი, ტ.ზ. 48X60, XIX ს. I ნახ. (სხმ/რ 388, სხმ/რ ფ281, №43 (სია CP.K) ალექსანდრე I-ის პორტრეტი, ტ.ზ. 59X86 (სხმ/რ 389 სხმ/რ ფ282, .№22 (სია CP.K) უცნობი ადმირალის პორტრეტი, ტ.ზ. 25X31, XIX ს. I ნახ., (სხმ/რ 390, სხმ/რ ფ283), №29 (სია CP.K), მარიამ თევდორეს ასულის პორტრეტი, ტ.ზ. 64X51 (სხმ/რ 392, სხმ/რ ფ284), №60 (სია CP.K), პავლე I-ის პორტრეტი, ტ.ზ. 52X68, XVIII ს. (სხმ/რ 393, სხმ/რ ფ285, №65 (სია C.KP.), გრაფ ა. ა. არაკჩეევის პორტრეტი, ტ.ზ. 60X70 (სხმ/რ 394, სხმ/რ ფ286, №39 (სია C P K.), გრაფ მ.ა. მილორადოვიჩის პორტრეტი, ტ.ზ. 62X69 (სხმ/რ 395 სხმ/რ ფ287, №66 სია C.), ა.ფ. ორლოვის პორტრეტი, ტ.ზ. 57X67 (სხმ/რ 396, სხმ/რ ფ288, №67 სია C.), გენერლის პორტრეტი, ტ.ზ. 79X65 XVIII-XIX ს. დასაწყისი (სხმ/რ 397, სხმ/რ ფ289, №38 სია C.), ალექსანდრე I-ის პორტრეტი, ტ.ზ. 88,5 X 62 (სხმ/რ 398 სხმ/რ ფ290), №23 სია C.), მიტროპოლიტ ფოტის პორტრეტი, ტ.ზ. 60X75 (სხმ/რ 399, სხმ/რ ფ291, №37 სია C.), კაბინეტის შიდა ხედი, ტ.ზ. 44X67, XIX ს. I ნახ. (სხმ/რ 401, სხმ/რ ფ293, 58 სია C.), ა. შიშკოვის პორტრეტი, ტ.ზ. 115X92 (სხმ/რ 402, სხმ/რ ფ294), XIX ს. I ნახ. 21 სია C).K ალექსანდრე I-ის პორტრეტი. ტ.ზ. 41X28, XIX ს. I ნახ. (სხმ/რ 428, სხმ/რ ფ300, 30 სია C.), ალექსანდრე I-ის პორტრეტი. ტ.ზ. 47X38, XIX ს. I ნახ. (სხმ/რ 429, სხმ/რ ფ301, 36 სია C.), ბაგრატის ტაძარი ქუთაისში. ტ.ზ. (სხმ/რ 430 სხმ/რ ფ302), 55

სია C.), აქლემების ქარავნის გადასვლა მდინარეზე. ქ. აკვარელი. 31X48. (სხმ/რ 1326 სხმ/გრ. 260), კონსტანტინე ფილიპოვი (წიგნში მითითებულია: ასლი №30), თბილისი, ძველი თბილისის ერთ-ერთი კუთხე. ქ. აქვარელი. 36X50,5 (სხმ/რ 1327, სხმ/გრ. 261, ხემ/მხ 2326), კონსტანტინე ფილიპოვი, სია 57), ფილებში თათბირი, ტ.ზ. 150X104, ასლი (№110. Вфонди, სურათი დაბრუნებულია პარიზიდან №62), პეიზაჟი, ტბა ტყეში, ტ.ზ.108X160 (№113. ფონდი), დაბრუნებული საფრანგეთიდან, სია №63.

სამუზეუმო დოკუმენტაციაში (საინვენტარო წიგნები, ექსპონატის სააღრიცხვო ბარათები) ზემოაღნიშნულ ყველა სურათზე მითითებულია: საფრანგეთიდან დაბრუნებული, ძველი ადგილსამყოფელი - პარიზი

1934 წლის აპრილში ლიკანის სასახლიდან ხელოვნების მუზეუმს გადაეცა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები. მათ შორისაა:

1. იოაქიმე მიურატი. მარმარილო, 50 სმ. (სხმ/დ-ე ქ.65 შ.წ. 5201 სეგ. 1344 სხმ/დ-ე 1809), აქტი №764, 17.VI.61. ლიკანის სასახლიდან გადმოტანილი;

2. ფრანგული სკოლა. მარმარილო, 50 სმ. (სხმ/დ-ე ქ. 64 შ.წ. 5200, სხმ/დ-ე 1808 სეგ. 1375, ლიკანის სასახლიდან გადმოტანილი 1934 წლის 10 აპრილს);

ხელოვნების მუზეუმისთვის 1934 წლის აპრილში ლიკანის სასახლიდან გადაცემულ ექსპონატებს შორის გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებთან ერთად დასახელებულია ფილიპოვის ორი სურათი: ძველი თბილისის კუთხე. იარაღით მოვაჭრე თათარი. ქ.. აკვარელი, სეპია, 43X30,5 (სხმ/რ 1466, სხმ/რ გრ.399, ხმმ/მხ 1945, სეგ. 1344, ძირითად შემოსულობათა წიგნში - „იარაღით მოვაჭრე თათარი"). გადმოცემულია 1934 წ. 10/IV ბორჯომის სასახლეებიდან (ძირ. შემ. წიგ.) და (?) მოგზაურობა ურმით (путешествие на арбе) . ქ., აკვ. 25X35,5 (სხმ/რ 1467, სხმ/რ გრ. 400, ხმმ/მხ 1946, სეგ 1345), გადმოცემულია 1934 წ. 10/IV. ბორჯომის სასახლეებიდან (ძირ. შემ. წიგ.).

1956 წ. საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 12/IX №1122 პ განკარგულების თანახმად, ლიკანის სასახლიდან გადატანილია (აქტი 344. 30/IX 56 წ.) ქანდაკების შემდეგი ნიმუშები: ნაპოლეონის დის - პოლინა ბორგეზეს - ბიუსტი. მარმარილო, 69 სმ. (სხმ/დ-ექ.38 შ.წ. 2014 სხმ/დ-ე 1681), აქტი 344. 30/IX 56 წ. მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 12/IX №1122 პ განკარგულების თანახმად, ლიკანის სასახლიდან გადმოტანილი. 100 მან.), ჟოზეფინას ბიუსტი. მარმარილო, 57 სმ. (სხმ/დ-ექ.39 შ.წ. 2015 სხმ/დ-ე 1682), XIX ს. აქტი 344. 30/IX 56 წ. მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 12/IX №1122 პ განკარგულების თანახმად ლიკანის სასახლიდან გადმოტანილი. 100 მან.), ნაპოლეონ I-ის დედის, მარია ლეტიციას ბიუსტი. მარმარილო, 52 სმ. (სხმ/დ-ე ქ.40 შ.წ. 2016 სხმ/დ-ე 1683), აქტი 344. 30/IX 56 წ. მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 12/IX №1122 პ განკარგულების თანახმად, ლიკანის სასახლიდან გადმოტანილი. 100 მან.), იულიუს ცეზარის ბიუსტი. მარმარილო, 61 სმ. (სხმ/დ-ე ქ.41), აქტი 344, 30/IX.56 წ. მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 12/IX №1122 პ განკარგულების თანახმად, ლიკანის სასახლიდან გადმოტანილი. 100 მან.).

ლიკანის სასახლიდან 1961 წელს ხელოვნების მუზეუმში გადაიტანეს:

ალექსანდრე I-ის ბიუსტი. მარმარილო, XIX ს. (სხმ/რ ქ.31, სხმ/რ 1867), ლიკანიდან 1961 წ. 10/VI. აქტი 734). ნიკოლოზ I-ის მეუღლის, ალექსანდრა თევდორეს ასულის პორტრეტი (სხმ/რ ქ.32, სხმ/რ 1868, 1961 წ. 10/VI აქტი 734. ლიკანიდან).

ლიკანის სასახლიდან სხვადასხვა დროს წაღებული ნიმუშების რაოდენობრივ-სახეობრივი ატრიბუცია აღნიშნულ კოლექციათა შესწავლის მხოლოდ საწყისი ეტაპია, უმნიშვნელოვანესია მათი მხატვრულ-ისტორიული ღირებულების დადგენა და სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, რომლის საფუძველზეც შემუშავდება მუზეოგრაფიული კონცეფცია და ლიკანის სასახლის კუთვნილი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები ახალ სიცოცხლეს შეიძენენ ისტორიული სასახლის სამუზეუმო სივრცეში.

ლიტერატურა:

1. აბესაძე ირინა, ბაგრატიშვილი ქეთევან. 1998. დიმიტრი შევარდნაძე, თბილისი.
2. ამირანაშვილი შალვა. 1968. საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება, თბილისი.
3. ამირანაშვილი, შალვა. 1978. საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება, თბილისი.
4. დევდარიანი, გაიოზ. 1931. მენშევიკების ბატონობის დღენი საქართველოში, მასალები და დოკუმენტები, ტფილისი.
5. ჟორდანია, გივი. 1983. დაბრუნებული საუნჯე, თბილისი.
6. კილაძე. ცისია, ბეჟუაშვილი მაკა, საქართველოს ეროვნული გალერეა, კომპაქტდისკი, თბილისი: სანეტი.
7. ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, №1127 [კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი].
8. Материалы об открытии выставки картин старинной живописи в здании Национальной галереи Грузии, состоящейся из колекций национальной галереи Грузии, музея Грузии, Историко-этнографического обшество Грузии и Ликанского дворца (отношения, списки), 1920, от №2, научная часть. სემ/ხმ [საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი].
9. Опись грузинских музейных ценностей, вывезенных бывшим меншевистским правительством за границу в 1921 г. и возвращенных из Парижа в Грузию в 1945 г., составленная приемочной комиссией СНК. 1946. Редактор Джанашия С. Тбилиси: Госиздат Грузинской ССР.
10. Опись имушество вывезенного из Ликанского дворца меньшевицким провительством в первой половине февраля 1921 года. ბმმ [ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი] №11105.
11. Список экспонатов, переданных в государственный музей Грузии из Ликанского дворца [საქართველოს ეროვნული მუზეუმი / შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი].

IRMA DOLIDZE
National Agency for Cultural Heritage Preservation
of Georgia

ON THE ISSUE OF ATTRIBUTION OF THE COLLECTIONS – LIKANI PALACE

Summary

A palace designed by L. Benois in late 19th century was the summer mansion of Nikolai Romanov in Likani. During 20th century the functions of the palace have changed several times (the president's residence, recreation center, etc.) but it has always been intended for a very small circle of people. Though for many decades tens of samples of applied arts decorating the interior (European and oriental porcelain, furniture, small stucco work etc) were maintained up to present (over ninety items, 29 of them /52 items/ were awarded the status of movable monuments of cultural heritage), Likani Palace has never been the museum. This main structure of the complex (monument of the national cultural heritage category) will acquire the museum function and hence the status only now (in 2017 the work on the project of Likani Palace restoration has commenced). After restoration, Likani Palace will be opened for wide society as the monument-museum distinguished with its artistic-architectural value, reconstructing the original environment, with the exhibition depicting the merits and life of Grand Duke Nikolai Romanov, the manager of the Emperor's Borjomi estate, a scientist, historian, lepidopterist, collector of the items of fine art, author of the rare five-volume illustrated catalogue "Russian Painting of 18th - 19th Centuries", implementer of numerous innovative projects in Borjomi.

Formulation – Collection of Likani Palace is quite reasonable and it covers not only those pieces of arts that are currently preserved in the Palace. This "term" includes the pieces of fine and applied arts that belonged to Likani Palace and were taken away in different periods. These include tens of items of Western European (French, German, Italian, Dutch, English) and Russian paintings, graphics, sculptures and items of applied arts dated by 17th -19th centuries, most of which are highly artistic works.

Currently, the collections belonging to Likani Palace are preserved at the sections of Western European and Russian Arts of Sh. Amiranashvili State Museum of Arts under the National Museum of Georgia.

In the process of seeking and studying of Likani Palace collection it was found out that there are preserved 140 paintings, graphical and sculptural works. They were taken from Likani at various times (1920, 1921, 1934, 1956, 1961). Hence, based on the found archive materials of different periods (official correspondence, acts of transfer of the exhibits, lists etc.), comparison of the inventory books of various sections of the museum and records and their comparison, we have obtained the following picture:

Western European paintings (57 pictures) of 18th – 19th centuries: the collection is represented by the samples of French, German, English easel painting. Together with the pictures of different genres (historical, mythological, portraits, landscapes) there are significant works dealing with Napoleon issues. They are represented by both, the

original works and the copies (including the portraits of Napoleon's generals, the original paintings are exhibited in Galleries des Batailles of Versailles. The exhibitions of such type were created in Hermitage as well – so called military gallery ("portrait Gallery") opened in 1936 and containing 332 portraits of the participants of the war of 1812. Special interests of Nikolai Romanov, as the historian and researcher included Napoleon's epoch. For many years he worked in the archives of Russia and France and has written several fundamental works dealing with the epochs of Alexander I and Napoleon. These works are still of scientific significance even now. Perhaps this could explain tens of paintings dealing with the Napoleon's issues.

Russian paintings (41 pictures) are represented by the grand portraits of the emperors of 18th–19th centuries (Catherine II, Paul II, Elisabeth, Nikolai I etc.), generals (originals and copies) etc. Among the authors there are such outstanding representatives of Russian portrait school as Rokotov, Antropov.

Graphics (33 samples) – collection is mostly represented by the French school (28 pictures), including works by Jacques-Louis David, Gros, Prud'hon etc. Similar to paintings, the pictures dealing with Napoleon prevail (historical genre, portraits etc.). There are few works of Russian school as well (5 pictures).

Sculpture (9 samples) – collection is represented by French, Italian and Russian sculptural schools. Together with the portraits, the mythological themes are widely represented.

For identification and attribution of Likani Palace collection the circumstances of the displacement and movement should be taken into consideration. It is well known that the collections of Likani and Borjomi, as a part of the national treasure were moved to France in 1921 by the order of Menshevik government, For 34 years, due to dedication and heroic efforts of Ekvtime Takaishvili, they were preserved in difference warehouses and banks of France, as well as in village Leuville, where Ekvtime lived (the walls of his room were almost fully covered by the pictures taken from Likani Palace). In 1945 the treasure has returned to Georgia. Collection of fine arts of Likani Palace was transferred to the Musrum of Fine Arts of Georgia. Unfortunately, the samples of applied arts evaluated as the "museum" items were sold in 1920s in France and we can consider them based on the maintained inventory lists only.

The collection of fine arts was taken from Likani Palace several times and in different quantities. In particular:

1. In 1920, 45 pictures were taken from Likani Palace to the first exhibition arranged in the newly established Georgian National Gallery;

2. In 1921, when the Menshevik government has sent the museum properties to France (including the paintings and graphical works from Borjomi and Likani palaces, as well as sculptures, library, items of applied arts, antlers and other items); after returning of the treasure from France in 1945, the collection of fine arts was transferred to the Museum of History of Georgia and the library was transferred to the University of Georgia;

3. In April 1934, items of fine and applied arts were transferred to the Museum of Fine Arts from Likani Palace;

4. In 1956, by the Order No: 1122 P of 12.09.1955 of the Council of Ministers of Georgian SSR, (Act No: 344 of 30.09.1956) the sculptures were taken from Likani Palace;

5. On 10 June 1961, the sculptures and paintings were taken from Likani Palace.

"Flow out" of the collections from Likani Palace included not only the items of fine and applied arts. The richest library and miniatures (160) of Romanovs priced for 200.000 rubles were taken from Likani Palace. In 1900, from Likani Palace, one of the safes of the butterflies collection was taken from Likani to the

Museum of Caucasus, Tbilisi (in the same year, N. Romanov has donated his entire collection to the Museum of Zoology of the Academy of Science in St. Petersburg) created on the basis of Nikolai Romanov's lepidopterist researches. In 80s-90s of the 19th century he has published the results of these researches in nine volumes.

Thus, it would be significant to deliver and exhibit the library, as well as the collection of the butterflies and miniatures in the museum and at the same time, memorial space. The miniatures were not found yet. According to the act of 1927, describing the properties withdrawn from Likani Palace by the Menshevik government in 1921, there are specified 240 framed miniatures of the popes (and not 160).

Quantitative-typical attribution of the Likani Palace collections is the initial stage only, further, their art studies are of greatest significance, as well as establishing of their artistic and historical value and their presentation in the exhibition area of Likani Palace museum complex.

თინათინ მშვიდობაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ღია პროგრამული უზრუნველყოფა და მისი გავლენა ბიბლიოთეკასა და საინფორმაციო ცენტრებზე

შესავალი

21-ე საუკუნის დასაწყისში ინდუსტრიული საზოგადოებიდან ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლამ განაპირობა ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართო გამოყენების შესაძლებლობა.

ასეთ საზოგადოებაში ინფორმაცია ადამიანის მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი პროდუქტია, შესაბამისად ბიბლიოთეკებს თავიანთი საინფორმაციო პოტენციალით საინფორმაციო ინდუსტრიის განვითარების პროცესში შეუძლია შესვლა. ბიბლიოთეკაში არსებული ფონდების განახლება, ახალი პროდუქციის შექმნა, აბონენტთა მომსახურების ახალი ფორმების დანერგვა _ ყველაფერი ამის მიღწევა შეიძლება, თუკი ბიბლიოთეკები მოახდენს საკუთარი შიგა პროცესების სრულ ან ნაწილობრივ ავტომატიზაციას.

ციფრულ მონაცემთა ბაზების ეპოქაში უმრავლესი ბიბლიოთეკის მომსახურება დაფუძნებულია საინფორმაციო ტექნოლოგიებზე, ხოლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონულ ფორმატში. რესურსებისა და ინფორმაციის მართვისთვის

ბიბლიოთეკებს ესაჭიროება მაღალი ხარისხის ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფა, ძიების თანამედროვე ინსტრუმენტები. თუმცა ასეთი პროგრამული უზრუნველყოფის მაღალი ფასი ხელს უშლის ბიბლიოთეკების უმრავლესობას მათი გამოყენებისგან. ამ პრობლემის გადასაჭრელად მეცნიერებისა და ბიბლიოთეკების მომხმარებლისთვის, სხვადასხვა ორგანიზაციებისთვის შემუშავდა უფასო პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ცნობილია როგორც უფასო/ღია პროგრამული უზრუნველყოფა. ის ფართოდ ხელმისაწვდომია ინტერნეტში და მისი გადმოწერა, დამონტაჟება და განაწილება შეიძლება.

მოკლედ განვიხილავთ ზოგიერთ ღია პროგრამულ უზრუნველყოფას, რომლებიც სასარგებლოა ციფრული ბიბლიოთეკისა და ინსტიტუციური საცავების განვითარებისთვის, ესენია: KOHA, NewGenlib, Evergreen, PhpMyLibrary, OpenBiblio.

მონაცემთა ბაზის შექმნა – „ელექტრონული ბიბლიოთეკა"

თანამედროვე პირობებში ბიბლიოთეკებს უჭირთ ძირითადი ფუნქციების შესრულება: ახალი ფონდების შექმნა, ბიბლიოგრაფიული და სააბონენტო მომსახურება. ამ ყოველივეს მოგვარება შესაძლებელია ბიბლიოთეკებში კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვითა და იქ მიმდინარე პროცესების ავტომატიზებით.

მონაცემთა ავტომატიზებული დამუშავების მეშვეობით შესაძლებელია: ინფორმაციის საგნობრივი ძიების შესრულება აბონენტთა მოთხოვნების მიხედვით; პერიოდული და საინფორმაციო გამოცემების მონაცემთა ბაზის მომსახურება; ელექტრონული ცნობარების შექმნა; ძებნის სხვადასხვა ვარიანტის უზრუნველყოფა;

ჩამოთვლილი ამოცანების გადაწყვეტის მიზნით ჩამოყალიბდა და გაანალიზდა საგნობრივი არეს-ელექტრონული ბიბლიოთეკა.

„ელექტრონული ბიბლიოთეკა" – ეს არის მონაცემთა ბაზის შექმნა ბაზაში ძიების განსახორციელებლად, რისთვისაც შექმნილია მოთხოვნები: წიგნის ძებნა ავტორის მიხედვით; წიგნის ძებნა დასახელებით; აბონენტის ძებნა გვარის მიხედვით. აბონენტის შეკვეთა თავისი ნომრის მიხედვით; აბონენტს შეუძლია გამოიტანოს სრული ინფორმაცია სხვა აბონენტზე გაცემულ და დაბრუნებულ წიგნებზე /ქეთი, ეს წინ-ბა ნახოს ავტორმა, რადგან ჩემით შევასწორე/: ასევე იხილოს სრული ინფორმაცია ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგზე და სხვა [Courant, Griffiths (2006)].

ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის გამოსატანად დაიწერა მოთხოვნა SQL-ში:

```
SELECTwignebi.eleqtronuli_versia, wignebi.
ganyofilebis_kodi,wignebi.wignis_dasaxeleba,
wignebi.avtoris_gvari, wignebi.avtoris_saxeli,
wignebi.[el_versia_aris ?]
FROMganyofileba INNER JOINwignebi ON
ganyofileba.ganyofilebis_kodi =
wignebi.ganyofilebis_kodi
WHERE(((wignebi.[el_versia_aris?])=[SeitaneT Cifri'-1']));
```

„ელექტრონული ბიბლიოთკა" საშუალებას იძლევა ბიბლიოთეკაში შევქმნათ წიგნების, სხვა გამოცემებისა და აბონენტების აღრიცხვის მონაცემთა ბაზა და მისი მართვის ინტერფეისი.

მონაცემთა ბაზის მოცულობა, თუ არ აღემატება 2გბ-ს, მაშინ რეკომენდებულია ბაზის Ms Access-ში შექმნა, ხოლო სხვა შემთხვევაში SQL სერვერის ან სხვა სერვერული პროგრამების გამოყენება.

ღია პროგრამული უზრუნველყოფა (OSS)

„ღია პროგრამული (OSS) უზრუნველყოფა" ხელს უწყობს პროგრამულ საიმედოობას, ხარისხისა და კოდის სწრაფ ევოლუციას [Kamble, 2012: pp 388-392]. „ღია პროგრამული უზრუნველყოფა" კომპიუტერული პროგრამაა, რომლის კოდი ხელმისაწვდომია ლიცენზიით, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს გამოიყენოს, შეცვალოს და გააუმჯობესოს პროგრამული უზრუნველყოფა და გაანაწილოს იგი შეცვლილი ან შეუცვლელი ფორმით (http://en.wikipedia.org/wiki/Open_spurce_Software).

OSS-ის შეზღუდვები

ნებისმიერ გრადაციას /ცვლილება OSS-ს, ბიბლიოთეკაში სჭირდება მხარდაჭერა. ღია პროგრამული პროდუქტები, როგორც წესი, საჭიროებს ტექნიკურ ექსპერტიზას ოპერაციებისთვის და ტექნიკურ ხარჯებს. OSS-ის შემთხვევაში ამ პრობლემის მოსაგვარებლად ბიბლიოთეკამ ან უნდა აიყვანოს სპეციალისტი, ან უნდა გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება ნებისმიერ კომპანიასთან[1].

ბიბლიოთეკის მართვის პროგრამული უზრუნველყოფის შერჩევა

არსებობს უამრავი LMS, რომლებიც ძალიან პოპულარულია და გამოიყენება ბიბლიოთეკებისათვის. LMS-ის შერჩევისას უნდა გათვალისწინოთ შემდეგი:

- როგორ შეესაბამება ბიბლიოთეკის მოთხოვნებს;
- პროდუქტის ხარისხი, ფუნქციები და მახასიათებლები;
- თანამშრომელთა ტრენინგი და მომსახურების მხარდაჭერა;
- ოპერაციული სისტემა;
- აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის მოთხოვნები;
- მომხმარებლის ინტერფეისი: ნავიგაცია, შეტყობინებები შეცდომებზე;
- დიზაინი: მოქნილობა, გადართვა ერთი მოდულიდან სხვაზე, მრავალფუნქციური მოდულები, ყოველივე ეს ხელს უწყობს პროდუქტიულობას;
- შესაბამისი სტანდარტები: MARC, Z39.50, ISO-2709 და ა.შ.

ღია პროგრამული უზრუნველყოფის წარმატების მიზეზები

ღიაობა - ზოგადად ღიაა სამეცნიერო სამუშაობის საწარმოებლად, კვლევითი მონაცემების გასაცვლელად და ა.შ. აერთიანებს ბევრ ადამიანს, იყენებს საკომუნიკაციო არხებს და თანამშრომლობის სხვა მეთოდებს.

მოქნილობა - ბევრი OSS პროექტი აერთიანებს დიდი რაოდენობის დეველოპერს. ამავე დროს, გთავაზობთ პოტენციალს, განახორციელოთ საჭირო ცვლილებები.

[1] იგულისხმება პროვაიდერი კომპანიები.

სიჩქარე - სიჩქარე, რომლის დროსაც არსებობს რეაქცია პრობლემებზე, შეცდომებსა ან პროგრამული უზრუნველყოფის უსაფრთხოებაზე.

მოტივაცია - არსებობს სახელმწიფო დაფინანსების სტანდარტი პროექტების უზრუნველსაყოფად; პროგრამული უზრუნველყოფა უფასოა სხვებისთვის, რაც მხარს უჭერს მოტივაციას [http://www.unesco.org].

KOHA

KOHA არის მაღალი კლასისა და მრავალფეროვანი სერვისის მომცველი პროგრამა, მას შეუძლია დაამუშაოს 5 მილიონზე მეტი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი, ოპერატიულად შეატყობინოს მკითხველებს სიახლეები, დაეხმაროს ლიტერატურის შერჩევაში და სხვ. ეს სისტემა მუშაობს Web 2.0 სტანდარტში.

KOHA-ს აქვს პირველი ღია წყაროების ინტეგრირებული ბიბლიოთეკის მართვის სისტემა, რომელიც მოიცავს ყველა ძირითად ფუნქციას ბიბლიოთეკის მართვისათვის.

KOHA მხარს უჭერს Linux-პლატფორმას, ასევე აქვს ონლაინ ფორუმზე ციფრული ბიბლიოთეკებისა და ელექტრონული რესურსების მართვის უნარი.

მახასიათებლები

KOHA არის ინტერნეტის ინტეგრირებული ბიბლიოთეკის მართვა სისტემა (ILS) SQL მონაცემთა ბაზაში MARC-ში შენახული მონაცემების ხელმისაწვდომი საშუალებით Z39.50. ინტერფეისი ადვილად ადაპტირდება, იგი თარგმნილია მრავალ ენაზე. მისი მახასიათებლებია:

- მარტივი, ნათელი ინტერფეისი ბიბლიოთეკარებისა და წევრებისათვის;
- სხვადასხვა ვებ 2.0 ობიექტი, როგორებიცაა: tagging და RSS feeds;
- ძიების კონფიგურირება;
- პატარა ბიბლიოთეკის მარტივი შესყიდვების სისტემა;
- ჟურნალების ან გაზეთების სერიული სისტემა;
- მარტივი შტრიხკოდების ბეჭდვა და ა.შ.

NewGenlib

NewGenLib (New Generation Library) ინტეგრირებული ბიბლიოთეკის მართვის სისტემაა. ვერსია შემუშავებულია Pvt გადაწყვეტილებებით. აქვს საზოგადოებრივი ლიცენზია Versus Solutions. მისი უახლესი ვერსიაა NewGenlib 3.0.3 U2. ამჟამად მას იყენებს დაახლოებით 2,500 ბიბლიოთეკა და საინფორმაციო ცენტრები მთელ მსოფლიოში [Kumar, Santhosh, 2010: pp. 717-725].

მახასიათებლები

- ფუნქციური მოდულები მთლიანად ვებ დაფუძნებულია. იყენებს JavaScript ტექნოლოგიას;

- შეესაბამება საერთაშორისო მეტამონაცემებს და თავსებადობის სტანდარტებს: MARC-21, MARC-XML,Z39.50, SRU / W, OAI-PMH;
- სკალა მართვადი და ეფექტური;
- მონაცემთა შესვლის, შენახვის (?რა), მოძიება ნებისმიერ (Unicode 4.0) ენაზე;
- იერარქიული და განაწილებული ქსელები;
- მხარს უჭერს მრავალ მომხმარებელს და აქვს მრავალჯერადი უსაფრთხოების დონე;

Evergreen

Evergreen ღია ინტეგრირებული ბიბლიოთეკის სისტემაა (ILS), აქვს განაწილებული GNU General Public License-ლიცენზია. იყენებს SQL სერვერს რამდენიმე ოპტიმიზებული განყოფილებით JavaScript-თან ერთად XHTML, ხოლო კლიენტის ინტერფეისი დაწერილია Mozilla XUL (XML + JavaScript). აქვს მომხმარებელის ინტერფეისის ფუნქცია Dojo Toolkit JavaScript-ის ფარგლებში, ასევე Ruby-მხარდაჭერა.

მახასიათებლები

- ძიება / URL და Z39.50 სერვერების მეშვეობით;
- მოქნილი, ძლიერი სტატისტიკური მონაცემების მოძიება.
- Online Public Access Catalog (OPAC);
- კონკრეტული მომხმარებლის შესრულების სხვადასხვა მახასიათებლის მორგება.

PhpMyLibrary

PhpMyLibrary არის PHP / My SQL ვებბიბლიოთეკა. ავტომატიზაციის პროგრამა განკუთვნილია პატარა ბიბლიოთეკებისთვის. პროგრამულ უზრუნველყოფას აქვს მიმოქცევის და საკომუნიკაციო საშუალებების OPAC მოდული; ასევე აქვს იმპორტ-ექსპორტის ფუნქცია და ეფუძნება USMARC სტანდარტს.

ეს პროგრამა თავსებადია ბიბლიოთეკის მართვის სისტემასთან და აქვს ონლაინ რეჟიმში დაჯავშნის სისტემა. მხარს უჭერს იმპორტს ISIS-ის მონაცემთა ბაზის მეშვეობით ISIS2MARC პროგრამაში.

OpenBiblio

OpenBiblio არის მარტივი, ღია, ავტომატური PHP-ში დაწერილი ბიბლიოთეკის პროგრამული უზრუნველყოფა. განკუთვნილია სასკოლო, საუნივერსიტეტო, საეკლესიო, ასოციაციების, ორგანიზაციების ბიბლიოთეკებისთვის ან კერძო კოლექციებისთვის. მასში შესაძლებელია 60000-მდე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის გაკეთება და მართვა, რაც სავსებით საკმარისია სკოლებისა და უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებისთვის.

Openbiblio არის ელექტრონული საბიბლიოთეკო კატალოგის შესაქმნელი მოსახერხებელი პროგრამა [www.richchristiecomputer.com]. იგი „ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემაა" (Integrated Library System), მისი საშუალებით ხდება მთელი საბიბლიოთეკო პროცესის ავტომატიზაცია: ლიტერატურის ნებისმიერი სახეობის (წიგნები, დისკები, პერიოდული გამოცემები, რუკები თუ სხვა) ბიბლიოგრაფიული დამუშავება – ელექტრონულ კატალოგში შეტანა, მკითხველთა აღრიცხვა, მკითხველებზე ლიტერატურის გაცემის, დაკავშნის და უკან დაბრუნების ვადების აღრიცხვა, ადმინისტრაცია და სტატისტიკური ცნობების დაანგარიშება. ეს პროგრამა, ერთი მხრივ, საკმაოდ მარტივია, მეორე მხრივ კი _ გამართული და „ფუნქციური". მისი დანერგვით მოხდება წიგნის თუ სხვა სახის ფონდების სწრაფი კატალოგიზაცია, აბონემენტის მოდული გაუადვილებს ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ლიტერატურის მოძებნა-გაცემის პროცესს, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება საბიბლიოთეკო სერვისის მოწესრიგებასა და პროდუქტიულობაზე. პროგრამა არ მოითხოვს რაიმე განსაკუთრებულ სერვერს. მისი დაინსტალირება შეიძლება ნებისმიერი სიმძლავრის კომპიუტერზე, Windows ან Linux ოპერაციულ სისტემაში.

დასკვნა

ბიბლიოთეკურ პროგრამებში რევოლუცია დაიწყო ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო რესურსების მართვის სფეროში, ღია პროგრამული უზრუნველყოფა კი გახდა პოპულარული არჩევანი ბევრი ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო პროფესიონალებისთვის, მისი მრავალრიცხოვანი სასარგებლო თვისების გამო.

სტატიაში წარმოდგენილი პროგრამული პროდუქტი - „ელექტრონული ბიბლიოთკა" საშუალებას იძლევა შევქმნათ ბიბლიოთეკაში წიგნების, სხვა გამოცემებისა და აბონენტების აღრიცხვის მონაცემთა ბაზა და მისი მართვის ინტერფეისი.

მცირებიუჯეტიანი ბიბლიოთეკები ავტომატურად განიხილავენ ავტომატიზაციის ოპერაციებს, როგორც ფინანსურ ტვირთს კომერციული პროგრამული უზრუნველყოფის მაღალი ღირებულების გამო. თუმცა ღია პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება ეფექტიანია ბიბლიოთეკის ოპერაციების ავტომატიზებისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური ინვესტიციების გარეშე. ბიბლიოთეკები იღებენ ღია პროგრამულ უზრუნველყოფას, როგორც ძვირადღირებული კომერციული პროდუქციის ხარჯების შესამცირებელ საშუალებას.

ლიტერატურა:

1. Courant PN, Griffiths RJ (2006). Software and collaboration in higher education: A study of open source software. Organization for Open Source Software Study. Available at http:// www.ithaka.org/strategicservices/oss/OOSS_Report_FINAL.pdf.
2. KambleVT(2012).OpensourcelibrarymanagementandDigitallibrarysoftware.DESIDOC J. Lib. Inform. Technol. 32 (5): 388-392.
3. Dhamdhere S (2011). "ABCD, Open Source Software for Modern Libraries", Chinese Librarianship:anInternationalElectronicJournal32Availableat:http://www.iclc.us/cliej/cl32dhamdhere.pdf.
3. Greenstone Digital library Software UNESCO Portal Available at: http://www.unesco.org.
5. Kumar KT Santhosh (2010). Open Source Software for Libraries. Fifty Fifth ILA National Conference on Library and Information Science in the Digital Era pp.717-725.
6. Open Source Software Definitions. Available at: www.richchristiecomputer.com. Open sources software. Definitions. Available at: http://en.wikipedia.org/wiki/open_spurce_Software

TINATIN MSHVIDOBADZE
Gori State Teaching University

OPEN SOURCE SOFTWARE AND ITS IMPACT ON LIBRARY AND INFORMATION CENTERS

Summary

The purpose of the article is to review partial or complete automation readings of libraries. In the information era, the transition to information society has brought more challenges to libraries. The article discusses the open source programming of library management, its features, the criteria for selecting open source software management software, their advantages and limitations. The article briefly describes some open source software management functions such as: KOHA, NewGenlib, PhpMyLibrary, Evergreen, OpenBiblio, which are useful for digital library and institutional storage.

ლეილა გოცირიძე
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ლუქების კონსერვაცია-რესტავრაცია

საკონსერვაციო-სარესტავრაციო სფეროში, ხშირად ვხვდებით სხვადასხვა სახისა და მასალის ბეჭდით დამოწმებულ დოკუმენტებს. ქაღალდის, ეტრატისა და ტყავისგან განსხვავებით, ლუქები ცალკეულ და განსხვავებულ დამუშავებას საჭიროებს.

სფრაგისტიკა, იგივე სიგილოგრაფია, ისტორიის დამხმარე დისციპლინაა, რომელიც შეისწავლის ბეჭდებსა და საბეჭდავებს. საბეჭდავი წარმოადგენს სხვადასხვა მასალისგან გაკეთებულ შტამპს, ყალიბს. ხოლო, ბეჭედი ეწოდება მის ანაბეჭდს, მიღებულს დაწნევით პლასტიკურ მასალაზე, ან საღებავის საშუალებით ქაღალდზე და ეტრატზე. მასალა სხვადასხვა შეიძლება იყოს, მაგ: როგორიცაა თიხა, ცვილი, ტყვია, ძვალი, ოქრო ან ვერცხლი. ბეჭედი, როგორც საბუთის უტყუარობის ნიშანი, პირველად ჯერ კიდევ გაჩნდა ძვ. წ. IV ათასწლეულში, აღმოსავლეთის ქვეყნებში. ბეჭდებს, ფართო გამოყენება ჰქონდა ეგეოსის სამყაროში და უფრო გვიან ანტიკური საბერძნეთში [ქართული საბჭოთა ... 1985:620-621].

თავდაპირველად, სფრაგისტიკა, როგორც მეცნიერება, წარმოადგენდა დიპლომატიის ნაწილს. მას შემდეგ, რაც დაგროვდა მნიშვნელოვანი ისტორიული და არქეოლოგიური მასალა, სფრაგისტიკის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. ამ დროიდან იგი შეისწავლის ძველი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიას, სახელმწიფო აპარატის ცვლილებებს საბეჭდავების ქრონოლოგიური კლასიფიკაციის საფუძველზე. სწორედ ამიტომ. აუცილებელი გახდა დოკუმენტის ამ მნიშვნელოვანი დეტალის კონსერვაცია-რესტავრაცია. ყოველივე ამან განაპირობა 1959 წელს სფრაგისტის საერთაშორისო კომიტეტის მიერ ლუქების და ბეჭდების კონსერვაცია-რესტავრაციის ნორმების შემუშავება. სფრაგისტიკული მასალა მეტად მნიშვნელოვანი წყაროა, როგორც არქივების და დოკუმენტების, აგრეთვე მათი ისტორიული წარმოშობისა და მნიშვნელობის შესაწავლად.

საბეჭდავი, დოკუმენტის ზედაპირზე, პირუკუღმა ამობურცული წარწერის ან გამოსახულების აღსაბეჭდად გამოიყენებოდა, რომელიც საბუთის ნამდვილობა/უტყუარობას ან ამა თუ იმ საგნის ხელშეუხლებლობას უზრუნველყოფდა.

ხელნაწერებში, ძირითადად ვხვდებით მრგვალი ან ოვალური ფორმის ბეჭდებს, იშვიათ შემთხვევებში – სამკუთხედის ან ოთხკუთხედის ფორმის. შუა საუკუნეები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდია ბეჭდებისა და საბეჭდავების განვითარებაში. იმ პერიოდში ამზადებდნენ ჩვეულებრივ მატრიცებს[1] თითბერისგან, ბრინჯაოსგან ან ვერცხლისგან. ხანდახან გამოიყენებოდა სპილოს ძვალი ან ტყვია. მატრიცა შრიფტის ჩამოსასხმელი, სტრიქონჩამოსასხმელი ყალიბია. შტამპის ან ლითონის წნევით დამუშავებისას გამოყენებული სამუშაო იარაღის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი, რასაც აქვს ფორმით ან კონტურით დასამუშავებელი დეტალის შესაბამისი ჩაღრმავება [ქართული საბჭოთა ... 1985:495]. მატრიცებში შესაძლოა ჩართული ყოფილიყო ძვირფასი ქვები ინტალიოებით[2]. ანაბეჭდისთვის, ჩვეულებრივ გამოყენებული მასალა იყო ფუტკრის ცვილი (CELA ALBA) და ფისისგან დამზადებულ ლუქი, უმეტეს შემთხვევაში წითლად ან მწვანედ შეფერილი. ამჟამად გამოყენებული ცვილი, შელაქი, გავრცელდა XVII საუკუნეში. ლუქების ყალიბები არის როგორც ცალმხრივი, ასევე ორმხრივი. უფრო ძველი ტიპის ცალმხრივ მატრიცებს, აქვს თამასა ზურგის გასწვრივ და ბოლოვდება თვალით. ორმაგი ყალიბები, რომლებიც XI საუკუნიდან შემოდის, არის ბრტყელი ფორმის, ორი ან ოთხი დახვრეტილი საპროექციო ბუნიკით, რომლებშიც არსებული ვერტიკალური სამაგრები უზრუნველყოფენ ლუქების სისწორეს და სიმაგრეს. დატანებული და ჩამოკიდებული ლუქები, უფრო ხშირად ოფიციალურ დოკუმენტებზე გვხვდება, როგორც ავთენტიზაციის საშუალება. მისი სისათუთის გამო, რაც გულისხმობს მის მსხვრევადობა/მტვრევადობას, ხშირ შემთხვევაში, შემორჩენილია ორი ან მეტი ფრაგმენტის სახით. დაკიდებული ლუქები დოკუმენტეზე ძირითადად მიმაგრებულია აბრეშუმის ძაფით ან პერგამენტის თხელი ზოლით.

თანამედროვე პერიოდში, ბეჭდების მასალად ძირითადად გამოიყენება სურგუჩი, რომელიც სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც დასალუქი ცვილი. იგი საკამოდ მოქნილ და პლასტიკურ მასალად გარდაიქმნება გახურების შემთხვევაში. გაციების შემდეგ კი მყარ კონსისტენციასა და სტაბილურ ფორმას იბრუნებს. სურგუჩი, გახურების შემდეგ, საშუალებას გვაძლევს მივიღოთ სასურველი ბეჭდის ფორმა. მისი დარბილება ხდება 60-90 ცელსიუს გრადუსზე. სურგუჩის დამზადება საკამოდ დიდ სირთულეს წარმოადგენდა. იგი აღმოსავლეთიდან გავრცელდა. მაგელანის ექსპედიციაში შემავალი გემის „ვიქტორიას" მეზღვაურებმა, ჩინეთიდან ესპანეთში წებოვანი ნივთიერება ჩამოიტანეს, რომელიც ესპანური ცვილის სახელით გავრცელდა. ე. წ. „ესპანურ ცვილს" ამზადებდნე ნარევისგან, სადაც განსხვავებული პროპორციით ერეოდა

[1] ჩარჩო ან სტრუქტურა, რომელიც განაპირობებს ფორმას

[2] ძვირფას ქვაზე ნაკვეთი გამოსახულება

აბრეშუმი, ტერპენტინი, ბენზოიდური ფისი, ტოლუანის ბალზამი, კანიფოლი, ცარცი ან თაბაშირი. შეფერილობისთვის უმატებდნენ კონოვარას ან ტყვიის სურინჯს.

პირველ ხანებში სურგუჩი იშვიათ ნივთიერებას წარმოადგენდა და მისი დამუშავება/გამოყენება ცოტა ადამიანმა იცოდა. XVI საუკუნეში გერმანელმა ხელოსანმა სამოელ ციმერმანმა შექმნა წითელი სურგუჩი და იგი ფართოდ გავრცელდა დიპლომატიურ დოკუმენტებსა და საფოსტო გზავნილებში. იმ პერიოდში, ბეჭდის ფერს მნიშვნელობა ენიჭებოდა. სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტებზე, სხვადასხვა ფერის ბეჭედს სვამდნენ. ჩუქების საბუთებზე მწვანეს, ხოლო საერთაშორისო შეთანხმებებზე წითელ სურგუჩს იყენებდნენ. ნაკლებმნიშვნელოვან დოკუმენტებზე ყვითელ ბეჭდებს, ხოლო უმნიშვნელო წერილებს რუხი ფერით ამოწმებდნენ. შავი და წითელი ფერის სურგუჩის ბეჭდები XVII საუკუნის დასასრულს გაჩნდა.

ძველბერძნები ბეჭდების დასამზადებლად ცვილისა და თიხის ნარევს იყენებდნენ, რომელსაც მალტა ეწოდებოდა. XVII საუკუნეში მოხდა საწერი მასალისა და ლუქს შორის შემაკავშირებლის გაუმჯობესება. ცვილსა და ლუქის მატრიცას შორის, ხდებოდა დანესტიანებული (დანამული) ქაღალდის ნაჭრის დატანება. ასევე, მყარი ფისის დამატება, რომელიც ვენეციური სკიპიდარის სახელით არის ცნობილი, ლუქს ანიჭებდა დასრულებულ სახეს. იგი ემატებოდა, როგორც პლასტიფიქატორი (მოქნილობის მიმცემი კომპონენტი). ლუქის წითელი ან მწვანე ფერი, მიიღწეოდა გამდნარ ცვილში სინგურის ან სპილენძმწვანას შერევით.

წინამდებარე თემაში საუბარია ისტორიული ბეჭდებისა და ლუქების კონსერვაცია-რესტავრაციის საკითხებზე. მათი შემდგომი დამუშავების თავისებურებებზე. ქაღალდისა და ტყავისგან განსხვავებით, ლუქებსა და ბეჭდებზე ჩასატარებელი საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები მკვეთრად განსხვავებულია, თუმცა, ის მიდგომა, რომ იგი წარმოადგენს დოკუმენტის უმნიშვნელოვანეს ნაწილს და აუცილებელია მისი ავთენტურობის შენარჩუნება, რასაკვირველია, უცვლელია. სფრაგისტიკის საერთაშორისო კომიტეტისა და იუნესკოს მიერ მიღებული ნორმები და სტანდარტები, გულისხმობს ლუქებისა და ბეჭდების რელიეფის რესტავრაციის, ნაწილებად დაშლილი ლუქების გამაგრების, მისი გამყარების, აგრეთვე ნაკლული ადგილების რესტავრაცია-კონსერვაციისა და ანტისეპტირების საკითხებს.

აღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, გასათვალისწინებელია შემდეგი პრინციპები:

1. დაუშვებელია ლუქის რელიეფის რესტავრაცია.

2. იმ შემთხვევაში, თუ ლუქი დანაწევრებულია, მომძვრალია ზონარი და მასზე შერჩენილია ლუქის ფრაგმენტი, ან სუსტადაა დაკავშირებული ზონართან,

აუცილებელია ამ ნაწილების შეერთება და გამაგრება.

3. იმ შემთხვევაში, თუ ბეჭდის ფრაგმენტი დაკარგული და დარღვეულია ლუქის მთლიანობა, ნაკლული ადგილი უნდა შეივსოს შეძლებისდაგვარად იდენტური ფერის მასით.

4. თუ კი დოკუმენტზე, ბეჭდის ზონარი ან თასმა ისევ შენარჩუნებულია, თუმცა თავად ლუქი მოცილებულია ფურცლის ზედაპირს, ის აუცილებლად უნდა დამაგრდეს შესაბამისი წებოს გამოყენებით. და დამაგრების თარიღი უნდა მიეთითოს დოკუმენტის პასპორტში

5. თუკი ლუქი სრულიად მოცილებულია დოკუმენტს და ამასთან ძლიერ არის დანაწევრებული, მისი დოკუმენტზე დამაგრება დაუშვებელია. იგი უნდა მოთავსდეს ცალკე კოლოფში და თან დაერთოს დოკუმენტს.

6. ჩამოკიდებული ლუქების დაზიანების თავიდან ასაცილებლად მათ ინახავენ ჩანთებში, ქისებში ან მომცრო ზომის ხის კოლოფებში. დამატებითი დაცულობის მიღწევა შესაძლებელია კოლოფების ინერტული ქაფის, პლასტა-ზოტის, ამოფენით, რომელშიც შექმნილი იქნება ლუქის ფორმის შესაბამისი სიცარიელე. საცავში განთავსებისას, ლუქს უნდა ჰქონდეს საყრდენი, რადგან დაუშვებელია მისი თავისუფლად, ჩამოკიდებული სახით დატოვება.

7. დოკუმენტის ზედაპირზე დატანებული ლუქები, დაცული უნდა იქნეს ცელულოზის შიგთავსის მქონე საფენის მოთავსებით ლუქსა და ქაღალდის ზედაპირზე.

8. ტყვიის ლუქები მოთავსებული უნდა იქნეს პოლიესტერის პარკებში ან პლასტმასის კოლოფებში. უნდა განთავსდნენ ლითონის და არა ხის თაროებზე, რადგან ხეში არსებული ორგანული მჟავები, რეაქციაში შედიან ტყვიასთან და იწვევენ ლუქების დაზიანებას.

კონსერვაცია-რესტავრაციის პროცესში, ლუქების დამუშვებისას და გაწ-მენდა-ანტისეპტირებისას, გამოყენებულ უნდა იქნეს შესაბამისი ხსნარები, რომ-ლებიც გამხსნელის სახით არ იმოქმედებენ ლუქის ზედაპირზე.

ცვილისა და სურგუჩის ბეჭდების ზედაპირის გაწმენდა, ხდება ნეიტრალური საპნის ხსნარებით. ფუნჯი, რომლითაც სრულდება ეს პროცედურა, უნდა იყოს რბილი, რათა ბეჭდის რელიეფური ზედაპირი არ დაზიანდეს და სრულად იქნეს შენარჩუნებული. არ დაიკარგოს ნაკლული ადგილებიდან წვრილი ნაწილაკები. გაწმენდის შემდეგ, ხდება მისი დისტილირებული წყლით ჩარეცხვა და ექსიკატორში შრობა, რომლის ქვედა ნაწილში მოთავსებულია კალციუმის ქლო-რიდი. არ ხდება მისი ლუქთან უშუალო შეხება, შთანთქავს ტენს და ხელს უწყობს შრობის პროცესს. მისი ხანგრძლივობა მოიცავს დაახლოებით 24 საათს.

ცვილის ბეჭდის ანტისეპტირებას მივმართავთ იმ შემთხვევაში, თუკი მის ზედაპირზე აღმოვაჩენთ თეთრ ნადებს, რაც მისი დაზიანების მანიშნებელია. დამუშავება მიმდინარეობს ანტისეპტიკით გაჟღენთილი ბამბის ტამპონით.

პროცედურა სრულდება ორჯერ, ბეჭდის ზედაპირის სრული დამუშავებით ისე, რომ არ გამოვიწვიოთ მისი მექანიკური დაზიანება. ზოგიერთ შემთხვევაში, ანტისეპტიკის გამოყენების შედეგად, შესაძლოა ბეჭდის ზედაპირზე გაჩნდეს თეთრი ნალექი, რომლის მოშორებაც ორი-სამი საათის შემდეგ ხდება, სპირტიანი ბამბის ტამპონით. დაყოვნება იმისთვისაა საჭირო, რომ სრულად მოხდეს დაზიანების გამომწვევი ბაქტერიების განადგურება.

ანტისეპტიკებად გამოიყენება სხვადასხვა ნივთიერებების სპირტხსნარები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაუშვებელია სურგუჩის ბეჭდების ანტისეპტირება, რადგან აქტიური გამხსნელების მის ზედაპირთან შეხებამ, შეიძლება გამოიწვიოს ქიმიური რეაქცია და დააზიანოს ბეჭედი.

დაზიანებული ბეჭდების აღსადგენად გამოიყენება რამდენიმე სახეობის წებოს ხსნარები.

1. სურგუჩის ბეჭდებისათვის მზადდება კანიფოლის და მეთილის სპირტხსნარი. ასევე შესაძლებელია გამოყენებული იქნეს პოლივინილის აცეტატი.

2. ცვილის ბეჭდებისათვის მზადდება სოჭის ან კანადური ბალზამის ხსნარი გახსნილი ტოლუოლში.

წებოს ხსნარები ინახება კორპის ან კაუჩუკის თავსახურიან მინის ჭურჭელში. დაზიანებულ ზედაპირზე წებო დაიტანება რბილი ფუნჯით ორ ფენად. პირველი ფენის დადებიდან გარკვეული დროის შემდეგ, ედება მეორე ფენა, რომლის შრობის დროც განისაზღვრება კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე. თუმცა, იგი არ უნდა აღემატებოდეს ორ წუთს. წებოს დატანება უნდა მოხდეს დოზირებულად, ისე რომ მსუბუქი დაწნეხვის შედეგად, არ ამოვიდეს ბეჭდის ზედაპირზე და არ მოხდეს მისი განშლა ფურცელზე. წებოს ხსნარის ოდენობა უნდა იყოს იმდენი, რომ დოკუმენტის ზედაპირზე წარმოქმნას წებოს თხელი აფსკი. რაც უფრო თხელია იგი, მით უფრო მყარია მოჭიდება. დამლილი ბეჭდის შეწებება აუცილებლად უნდა დაიწყოს მსხვილი ფრაგმენტების დაფიქსირებით და შემდეგ ხდება უფრო მცირე ზომის ნაწილაკების შეერთება. იმ შემთხვევაში თუ ბეჭედი მრავლობით ფრაგმენტებადაა დამლილი, მისი დაფიქსირება იწყება ბეჭდის ცენტრიდან. დაწებებული ბეჭდის შრობის ხანგრძლივობა, მოიცავს 5-6 დღეს. ამ პერიოდში, არ უნდა მოხდეს მასზე მექანიკური ზემოქმედება.

წარმოდგენილი მეთოდებისა და სტანდარტების სრული დაცვით, სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ისტორიული დოკუმენტების საცავში დაცულ ხელნაწერს, შიფრით Sd2855-3037, „დიმიტრი ბაქრაძის საბუთების პირები".

ხელნაწერის ფურცლის ზედაპირზე დატანებულ, ლუქებს აღენიშნებოდა მრავლობითი დაზიანება. დაბზარული იყო მთლიანი ზედაპირი და აღენიშნებოდა ნაკლული უბნები. სურგუჩის ბეჭედს, საკმაოდ მყიფე საფუძველი ჰქონდა. დაფიქსირებული იყო მხოლოდ ბეჭდის მრგვალი კანტი, ხოლო შუა ნაწილი

ამობურცული იყო. არსებობდა მისი მთლიანად დაკარგვის საშიშროება. საკონსერვაციო-სარესტავრაციო პროცესის დაწყებამდე, ლუქი დამუშავდა მშრალი ტამპონით და მოცილდა ზედაპირული მტვერი. ვინაიდან ბეჭდის ზედაპირი დაბზარული იყო, საჭირო იყო მისი გამაგრება, პოლივინილის აცეტატის (PVA-ს) საშუალებით. იგი მჟავა-ნეიტრალური მასალაა და ქაღალდთან ურთიერთქმედებისას არ იწვევს უკურეაქციას და საფრთხეს არ უქმნის მის სტრუქტურას. ლუქის ზედაპირის ნაკლული ადგილების შესავსებად საჭირო გახდა შესაბამისი სარესტავრაციო პასტის რამდენიმე შრის დადება. სარესტავრაციო პასტას წარმოადგენს კალციუმის კარბონატისა და პოლივინილის აცეტატის ნაზავი. თითოეული შრის დატანების შემდეგ, ხდებოდა მისი კარგად შრობა და პერიოდულად ემატებოდა პასტის ახალი ფენა მანამ, ვიდრე მან არ მიაღწია ორიგინალი ლუქის ზედაპირის სიმაღლეს. საერთაშორისო ნორმების თანახმად, ლუქების რესტავრაციის შემდეგ შევსებული ნაკლული უბანი შეიფერა წითელი ფერით.

ხელნაწერის ერთ-ერთ ფურცელზე დატანილ ბეჭედს, წინა ლუქებისგან განსხვავებული დაზიანება აღენიშნებოდა. ლუქი საკმაოდ მორყეული იყო და მისი ნახევარი სრულად მოცილებული იყო ფურცლის ზედაპირს. მისი ფიქსაციისა და გამაგრებისთვის საჭირო გახდა გამოგვეყენებინა სახამებლის წებოსა და ქაღალდის ბოჭკოს შერევით მიღებული მასა. ლუქის მოცილებული ნაწილი გამაგრდა ფურცლის ზედაპირზე. გარკვეული დროის მანძილზე, მიმდინარეობდა მასზე დაკვირვება, თუ რამდენად მყარი იყო მისი მოჭიდება ქაღალდის ზედაპირზე.

შედარებით განსხვავებული მდგომარეობაა ხელნაწერზე გაკეთებული მურის ბეჭდების შემთხვევაში. ცვილის ლუქებისგან განსხვავებით, მათ არ გააჩნიათ ამობურცული ზედაპირი და ისინი პირდაპირ ფურცელზეა დატანილი. მურის ბეჭდების თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ იგი ზედმეტად მგრძნობიარეა სინათლესა და სითხესადმი. ამასთანავე, მათზე პირდაპირ გავლენას ახდენს ქაღალდში მომატებული მჟავიანობა, რის გამოც იქმნება მისი გაუფერულების, დაკარგვის და გაქრობის საშიშროება. ამდენად, მისი კონსერვაცია აუცილებელია. კონკრეტული ხელნაწერის შემთხვევაში, მურის ბეჭდის კონსერვაცია ჩატარდა მოვიოლის 2%-იანი ხსნარით.

კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა, მისი შენახვა და გადარჩენა, საკამოდ რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობაა, რომელიც მოითხოვს დიდ ყურადღებას და მაღალ პროფესიონალიზმს. სამუშაო მასალის საფუძვლიანი ცოდნა, ხელს უწყობს სარესტავრაციო-საკონსერვაციო პროცესის სწორად წარმართვას, რაც აუცილებელი პირობაა ისტორიული მასალის ხანგამძლეობისა და მისი შემდგომი შენახავა დაცვისათვის.

ლიტერატურა:

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 9, 1985 წ. თბილისი
2. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 6, 1985 წ. თბილისი
3. Привалов. В.Ф. 1987.Реставрация документов на бумажных носителях, Методическое пособие(I редакция) Москва
4. http://www.tvoyapechat.ru/articles1/surguch_ot_drevnosti История личных печатей, 2017
5. https://ria.ru/spravka/20100811/264157742.html, Сургуч: история появления в Европе и область применения, 2010
6. http://unesdoc.unesco.org/images/0008/000827/082732eo.pdf, SEALS Paris, 1988. page.69-75
7. http://www.bible-history.com/sketches/ancient/seals.html, Ancient Seals And Signets
8. https://www.calligraphy.co.uk/history-of-calligraphy/history-of-wax-seal/ History of Sealing Wax, 2014
9. https://www.britannica.com/topic/sigillography, Terence Croft Mitchell, 2017, Sigillography, Chicago

LEILA GOTSIRIDZE
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

CONSERVATION AND RESTORATION OF SEALS

Summary

In conservation-restoration praxis are often found documents certified with seals of various types and made from different materials. In contrast to paper and leather, wax seals and signets require individual processing. That's why it's very important to preserve and properly process these parts of the document. In this work is discussed Sphragistics, auxiliary science, which is studying seals and stamps, various materials used in making of them and moulds, various types of imprints, which are imaged on manuscripts and on printed objects, either using ink or in the form of moulds.

In the stated theme is representing issues concerning conservation-restoration and chemical processing-antisseptization of historical seals and signets. In composition thereof and processing specifications norms of International Sphragistics a.k.a.Sigillography Committee should be obeyed, that means issues concerning restoration of the surfaces of seals and signets, strengthening of the fragmented seals, fixing their base and restoration-conservation of the missing places. In the theme is presented description of the restoration-conservation works performed on the seals found on the documents kept in the book depositories at the K. Kekelidze National Centre of Manuscripts, also there are discussed in details the international norms of the International Sphragistics Committee regarding seals and signets as well as standards adopted by the UNESCO.

ლელა მიქაბერიძე
აპ. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელწიფო
სამხატვრო აკადემია

არქეოლოგიური წარმოშობის ლითონის დაზიანებების კვლევა

მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დაზიანებების კვლევა უდავოდ ყველაზე მნიშვნელოვანია იმ ეტაპთაგან, რომლებისგანაც სარესტავრაციო-საკონსერვაციოპროცესიშედგება.რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესის სწორად დაგეგმვა-განხორციელების საფუძველი, შესაძლოა, გახდეს მხოლოდ სწორად და ზუსტად ჩატარებული დიაგნოსტიკური კვლევა. ზუსტი დიაგნოსტიკა ამოსავალი წერტილია მათი შემდგომი კონსერვაციის პროცესში. თანამედროვე კონსერვაციაში, ვიზუალურ კვლევასთან ერთად, ფართოდაა მიღებული სხვა ტექნიკური არადესტრუქციული მეთოდები, რომლებიც ზუსტი დიაგნოზის დასმის შესაძლებლობას იძლევა. ზუსტი დიაგნოზი კი, თავის მხრივ, შესაძლოა წარმატებული საკონსერვაციო პროცესისა და იდეალური შედეგის გარანტი გახდეს.

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ინიციატივით და რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით განხორციელდა არქეოლოგიური წარმოშობის ლითონის ექსპონატების დაზიანებების კვლევა სხვადასხვა მეთოდით. იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა კლიმატურ პირობებში,სხვადასხვა მასალის,შედგენილობის,დამზადების ტექნოლოგიის ნივთები განსხვავებულად ზიანდება, გადავწყვიტეთ მიგვემართა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ორი მუზეუმისათვის. კერძოდ, საკვლევი ექსპონატები შევარჩიეთ ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელწიფო ისტორიულ მუზეუმსა და ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ორ მუზეუმში საკვლევად შეირჩა თორმეტი ექსპონატი რომლებსაც განსხვავებული ტიპისა და ხარისხის დაზიანებები აქვთ. მათი სრული დიაგნოსტიკისათვის კი მივმართეთ არადესტრუქციული კვლევის ოთხ განსხვავებულ მეთოდს - ვიზუალური კვლევა, სპექტრული ანალიზი, რენდგენოგრაფიული კვლევა და ელემენტარულ-მორფოლოგიური ანალიზი.

ვიზუალური შესწავლის საშუალებით განხორციელდა თითოეული ექსპონატის მდგომარეობის პირველადი შეფასება. დადგინდა ზედაპირის ხასიათი, მასზე წარმოდგენილი ნადების სავარაუდო შედგენილობა და ლითონური ღეროს

სავარაუდო მდგომარეობა. რკინის ნივთების კვლევამ აჩვენა შემდეგი:

ნივთების (ყუმბარა და ბორკილი) ზედაპირი არა ერთგვაროვანი, რელიეფური და ფოროვანია. მთლიანადაა დაფარული საკმაოდ მყარი და სქელი ფენით, რომელიც შედგება სხვადასხვა სახის ჩანართებისაგან. მიკროსკოპული დათვალიერების შედეგად შესაძლებელი გახდა ნიადაგის, კირქვის და ლიმონიტის (Fe_2O_3 nH_2O) ჩანართების გარჩევა. ზედაპირული ფენის ქვეშ, ანატკეჩ არეებში ჩანს საკმაოდ მყარი მოშავო-ყავისფერი მაგნეტიტის ფენა (Fe_3O_4 H_2O). განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობით ხასიათდება თოხის ფრაგმენტი (ქიმ. 5591 A-179, ქუთაისი, ცაცხვების ქუჩა), რომლის ზედაპირი დაფარულია ნიადაგის ძალიან სქელი, არა ერთგვაროვანი, ფოროვანი ფენით. ნიადაგის ფენის ქვეშ თითქმის არ იკითხება ცულის ფორმა. ზედაპირული ფენა შედგება ნიადაგისა და ლიმონიტის (Fe_2O_3 nH_2O) ჩანართებისაგან. გამოირჩევა არამდგრადობით, ადვილად ცვივა ნატეხებად. ექსპონატის უკანა მხარეს არის ნადების განსაკუთრებულად სქელი ფენა. ლითონური სტრუქტურა თითქმის არ იკითხება, ჩანს მხოლოდ მაგნეტიტის (Fe_3O_4 H_2O) ჩანართებისაგან.

ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელწიფო ისტორიული მუზეუმიდან წარმოდგენილი არქეოლოგიური წარმოშობის რკინის ექსპონატებისაგან განსხვავებით ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატები დაცულობის უკეთესი მაჩვენებლებით გამოირჩევა, რასაც ვიზუალური დიაგნოსტიის შედეგებიც მოწმობს.

წარმოდგენილი ცულები მექანიკურად დაზიანებულია არ არის. დაფარულია თხელი ფურცლოვანი კოროზიული ფენით, რომელიც წარმოდგენილია ლიმონიტით ($FeSO_4$ nH_2O) და გოგირდმჟავას მარილით ($FeSO_4$ nH_2O). ობიექტებს ლითონური სტრუქტურა შენარჩუნებული აქვს.

ბრინჯაოს ექსპონატების ვიზუალურმა კვლევამ შემდეგი სურათი მოგვცა:

ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელწიფო ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიური წარმოშობის ბრინჯაოს ექსპონატები წარმოდგენილია სამი ერთეულით: სამაჯურის ფრაგმენტი და ორი, ერთმანეთის მსგავსი დუგმა. დუგმების ზედაპირი დაფრულია მალაქიტის პატინით, რომელიც საკმაოდ სტაბილურია და მჭიდროდ ეკვრის ორიგინალ ზედაპირს. პატინა ხასიათდება ერთგვაროვანი, პრიალა ზედაპირით, თუმცა ზოგიერთ არეში მისი ერთიანობა დარღვეულია – გადაფხეკილ არეებში ჩანს ლითონის ორიგინალი ზედაპირი, რომელიც ლითონური ბზინვარებით და ნორმალური სტრუქტურული მდგომარეობით შეიძლება დახასიათდეს. თუმცა მიუხედავად პატინის ძირითადი ნაწილის სტაბილურობისა, ზოგიერთ ადგილას შეიმჩნევა მცირე ზომის ქლოროვანი კერები. მესამე ექსპონატის, სამაჯურის ფრაგმენტის მდგომარეობა განსაკუთრებული სიმძიმით გამოირჩევა. ზედაპირი დაფარულია არამდგრადი, ქლოროვანი მალაქიტის ფრაგმენტული ფენით. მონატეხის ბინოკულარის

დათვალიერების შემდეგ ამოირკვა, რომ ლითონური ღეროს მხოლოდ მცირე ნაწილია შენარჩუნებული, ნივთს აღენიშნება ბრინჯაოს დაავადება.

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან შემოსული ბრინჯაოს ნივთების ვიზუალური კვლევისას გამოვლინდა, რომ სატევარი, შუბისპირი და ორი ბრინჯაოს ღეროიანი საკინძის მდგომარეობა შესაძლებელია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად. სატევარის ზედაპირი დაფარულია საკმაოდ არაერთგვაროვანი და ფრაგმენტული მალაქიტის პატინით, რომელსაც გააჩნია ქლოროვანი ჩანართები. თუმცა ლითონური ღერო შენარჩუნებულია. შუბისპირის კოროზიული ნადები მეტესად წარმოდგენილია პრიალა მალაქიტის პატინით, თუმცა არის აზურიტისა და ქლოროვანი ჩანართებიც. კარბონატული ფენა ფრაგმენტულია, მექანიკური ზემოქმედების შედეგად გადაცლილი პატინს ქვეშ ჩანს საკმაოდ კარგად შმონახული ლითონური ღერო.

არქეოლოგიური ვერცხლის ექსპონატები წარმოდგენილია მხოლოდ ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან - ბრინჯაოს საკინძები, რომლებიც შემკულია ვერცხლის თავებით. საკინძის მტევნის ფორმის თავები ცვარას ტექნიკით არის შედგენილი ვერცხლის მცირე ზომის ბურთულებით. ბინოკულარული კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ ზედაპირზე მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი კირქვისა და მტვრის ნადები, ვერცხლის ზედაპირი ხასიათდება ლითონური ბზინვარებით, არ შეიმჩნევა მექანიკური დაზიანების კვალი, თუმცა, ზოგიერთი ბურთულა დაზიანებულია გამჭოლი კოროზიით.

თუ ვიზუალური კვლევის შედეგებს შევაჯამებთ, შესაძლებელია ითქვას, რომ ქუთაისის ისტორიული მუზეუმიდან შემოსული არქეოლოგიური წარმოშობის ექსპონატები ხასიათდება საკმაოდ მძიმე დაზიანებებით: მათი უმრავლესობა დაფარულია არამდგრადი პატინით, შეიმჩნევა ქლოროვანი კოროზიის კერები, სახეზეა ლითონური ღეროს საკმაოდ ძლიერი დაზიანება.

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატები ხასიათდება არამდგრადი კარბონათული ფენით, თუმცა ნაკლები რაოდენობითაა წარმოდგენილი ქლოროვანი კერები, ლითონური ღერო საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია, არ აღინიშნება მექანიკური დაზიანებები.

ლითონის ნივთების დაზიანებების გამომწვევ ფაქტორებს შორის ერთერთი მნიშვნელოვანი მათი ქიმიური შედგენილობაა. კაზმის თითოეული ელემენტი შესაძლოა განსხვავებულად რეაგირებდეს გარემო ფაქტორებზე და, შესაბამისად, განსხვავებული დაზიანების განვითარების მიზეზი გახდეს. ამიტომაც, შერჩეულ ექსპონატებს კვლევის შემდეგ ეტაპზე ჩაუტარდათ სპექტრული ანალიზი, რომელმაც საკმაოდ მრავალფეროვანი სურათი მოგვცა. რკინის ნივთებში კაზმი ხასიათდება მაღალი შემცველობის რკინით - 97,5-98,5%. ძირითადად მინარევების სახით წარმოდგენილია სპილენძი, მანგანუმი, დარიშხანი. ძალიან მცირე რაოდენობით არის პალადიუმი, ტიტანი, სტიბიუმი, ოქრო. ნიშანდობლივია,

რომ კაზმში შედარებით დიდი რაოდენობის მინარევები (დარიშხანი, მანგანუმი) აღმოჩნდა იმ ორ ექსპონატში (ყუმბარა და თოხის ფრაგმენტი), რომლებსაც ძლიერი კოროზიული დაზიანება აღენიშნებათ - 15-39%.

ბრინჯაოს ნივთებს შორის კაზმის მალეგირებელი ელემენტის, კალის წილი 14%-დან 21%-მდე მერყეობს. მინარევების სახით წარმოდგენილია რკინა, ტიტანი, პალადიუმი, ტყვია, ოქრო, დარიშხანი. მხოლოდ ერთი ნიმუში (სატევარი) აღმოჩნდა დარიშხანიანი ბრინჯაო, სადაც მალეგირებელი ელემენტის შემცველობა არის 6,8%. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მძიმე დაზიანებებით, ბრინჯაოს დაავადებით ხასიათდება სამაჯურის ფრაგმენტი ქუთაისის ისტორიული მუზეუმიდან, რომლის კაზმის 57% სპილენძია, 22%-ზე მეტი - კალა, 7%-ზე მეტი - ტყვია, ხოლო დანარჩენი ტიტანი და რკინაა. მალეგირებელი ელემენტისა და სხვა მინარევების ასეთი დიდი წილი სხვა ჩვენს მიერ გამოკვლეულ ბრინჯაოს ექსპონატებში არ გვხვდება.

ვერცხლის ნივთების კვლევამ აჩვენა, რომ კაზმი შედგება ვერცხლისა (82-83%) და სპილენძისაგან, მინარევის სახით წარმოდგენილია ოქრო და ტყვია.

სამუზეუმო ლითონის ექსპონატების დაზიანებების კვლევაში შემდგომი ეტაპი ლითონური ღეროს დიაგნოსტიკა იყო. გამოვიყენეთ რენტგენოგრაფიული კვლევის მეთოდი. კვლევა განხორციელდა სამ განზომილებიანი რენტგენის აპარატით, რამაც საშუალება მოგვცა ექსპონატების მდგომარეობა ზუსტად შეგვეფასებინა. აღმოჩნდა, რომ განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაში ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელწიფო ისტორიული მუზეუმის ექსპონატები იყო. რკინის ნივთების ლითონური ღერო ხასიათდებოდა მრავლობითი ბზარებით და სტრუქტურის დარღვევით. განსაკუთრებით აღსანიშნავია თოხის ფრაგმენტი, რომლის გარეგნული ფორმა და პარამეტრები სრულიად არ შეესაბამება რენტგენოგრაფიულ სურათს. შედარებით უკეთ იყო შემონახული ბრინჯაოს ნივთები, თუმცა ერთერთი მათგანის - სამაჯურის ფრაგმენტის მდგომარეობა შესაძლოა უმძიმესად შეფასდეს, ვინაიდან კვლევით დადგინდა, რომ ექსპონატს ლითონური ღერო თითქმის საერთოდ არ აქვს შენარჩუნებული.

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ნივთები უკეთესი მდგომარეობით გამოირჩევა. რენტგენოგრაფიული კვლევის შედეგად განსაკუთრებული დაზიანება არ გამოკვეთილა. კვლევამ აჩვენა, რომ ექსპონატების ლითონური ღეროს სტრუქტურა საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია.

სამუზეუმო ექსპონატების დაზიანებების კვლევისას, ძალზე მნიშვნელოვანია ზუსტად განსაზღვროს თითოეული ლითონის ექსპონატის კარბონატული ფენის შედგენილობა და სტრუქტურა. ამის გაკეთება გარკვეულწილად ვიზუალური კვლევის საფუძველზეც არის შესაძლებელი. თუმცა, ქიმიური შედგენილობის ზუსტად განსაზღვრისათვის მიღებულია სხვადასხვა სახის ტექნიკური კვლევა. მივმართეთ ელემენტარულ-მორფოლოგიურ ანალიზს. ჩატარებულმა კვლევამ

გვიჩვენა ლითონის კაზმისა და მისი კოროზიის შედეგად მიღებული პროდუქტების შედგენილობებს შორის განსხვავება. ასევე საშუალება მოგვცა დაგვენახა ის დამატებითი ელემენტები, რომლებიც გარემო ფაქტორების ზემოქმედების შედეგად მოხვდა ლითონის ზედაპირზე და იქ სხვადასხვა სახით დაილექა.

რკინის ნივთების კაზმის და კარბონატული ფენის ქიმიური შედგენილობის შედარებისას დადგინდა, რომ ძირითადი კომპონენტის - რკინის კონცენტრაცია გაცილებით დაბალია კოროზიულ ფენაში და შეიცავს მინარევების მრავალფეროვან სპექტრს. თუ კაზმში რკინის შემცველობა მერყეობდა 70.8%-დან 98.4%-მდე. კარბონატულ ენაში ეს მაჩვენებელი 31.1%-დან 63.2%-მდეა. ბრინჯაოს ნივთების ელემენტარულ-მორფოლოგიური კვლევისა და კაზმის სპექტრული ანალიზის შედარებამ აჩვენა შემდეგი: კაზმში ძირითადი ელემენტი სპილენძის კონცენტრაცია მერყეობს 57%-დან 85.9%-მდე, ხოლო კარბონატულ ფენაში - 27.7%-დან 61.6%-მდე. ვერცხლის შემცველობა კაზმში შეადგენს დაახლოებით 83%-ს, ზედაპირის კვლევამ 15-25% აჩვენა. გარდა იმისა, რომ ჩატარებულმა კვლევებმა შესაძლებლობა მოგვცა, დაგვენახა გარემო ფაქტორების ზემოქმედების შედეგად თითოეული ნივთის შედგენილობის ტრანსფორმაცია, ასევე საშუალება მოგვეცა ზუსტად განსაზღვრულიყო, ექსპონატების ზედაპირზე ყველაზე საშიში და აგრესიული რეაგენტის - ქლორის კონცენტრაცია. გამოირკვა, რომ ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ექსპონატების ზედაპირზე ქლორის შემცველობა 0.29%-დან 2,89%-მდე მერყეობს, ხოლო ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატებზე ეს მაჩვენებელი 0.09-1.99%-ს შეადგენს.

ეს ინფორმაცია საშუალებას იძლევა წინასწარ ვივარაუდოთ ექსონატების დაზიანებების განვითარების დინამიკა. ელემენტარულ-მორფოროგიური კვლევის საშუალებით ასევე დადგინდა ზედნადები ფენის აგებულება, სტრუქტურა, რაც მნიშვნელოვანია საკონსერვაციო მეთოდის შერჩევისას.

ჩატარებული კვლევა საშუალებას იძლევა ზუსტად შეფასდეს არქეოლოგიური წარმოშობის ლითონის ნივთების მდგომარეობა და ყველა თავისებურების გათვალისწინებით განხორციელდეს რესტავრაცია-კონსერვაციისა და შემდგომი პრევენციული ღონისძიებები. ამ კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაცია მომავალში მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება თითოეული ნივთის დაზიანების გამომწვევი მიზეზების კვლევაში.

აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ წარმოადგენს სარესტავრაციო-საკონსერვაციო პროცესის საფუძველს. ვინაიდან, ყველა თანხმდება იმაზე, რომ „მკურნალობის" პროცესი უნდა დაიგეგმოს კონკრეტული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ყველა თავისებურების გათვალისწინებით, რომ ყოველი ნივთისათვის რესტავრატორს უნდა ქონდეს ინდივიდუალური მიდგომა და, რომ არ არსებობს ფორმულა, რომელიც ყველა შემთხვევაში გამოგვადგება, ბუნებრივია მივდივართ დასკვნამდე: წარმატებული რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესის საწინდარი სწორი და ზუსტი დიაგნოსტიკაა.

LELA MIKABERIDZE
Ap.Kutateladze Tbilisi State Academy of Arts

STUDY OF ARCHAEOLOGICAL ORIGIN METAL DAMAGES

summary

Archaeological origin metal objects can be characterized by diverse and multiple damages. Research of damages is most important for planning of restoration-conservation works. For the selection of methods of conservation of iron, bronze and silver exhibits and for adequate planning of their further prevention measures it is urgent to study the form and grade of damage of each separate exhibit.

The Project "Conservation and Protection of Cultural Heritage" is implemented within the frames of the Shota Rustaveli National Science Foundation doctoral degree program grants. While the investigation of damages of archaeological origin metal exhibits by various methods was planned and implemented within the frames of the Project. Considering the fact that at various climatic conditions, objects of various material, composition and various technology undergo various kind damages, we decided to address two museums of East and West Georgia for exhibits. In particular we selected exhibits from Kutaisi N.Berdzenishvili State Museum of History and Khashuri Area Study Museum.

Twelve exhibits were selected by us in two museums, which had different type and grade damages. For their thorough diagnostics we addressed four different nondestructive methods - visual study, spectral analysis, X-ray study and elemental-morphological analysis.

Researches carried out by us showed that exhibits of Kutaisi N.Berdzenishvili State Museum of History were in especially grave state. Iron objects' body was characterized by multiple cracks and fracture of structure. Bronze objects were in a better state, but the state of a fragment of one of the exhibits – bracelet can be evaluated as the heaviest.

Objects from Khashuri Area Study Museum were in a better state. X-ray study didn't reveal any significant specific damage.

ასმათ გვაზავა
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ეზრაჲს რესტავრაციის ნიშნები შუა საუკუნეების უცხოენოვან ხელნაწერებში (შედარებითი ანალიზი)

კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაციის დარგში განსაკუთრებით რთულია ეტრატის საწერ მასალაზე შესრულებული ხელნაწერების კონსრევაცია-რესტავრაცია, რადგან მას ახასიათებს გამორჩეული ფიზიკური და ქიმიური თვისებები. პერგამენტს აქვს ნესტის ადვილად ათვისებისა და გაცემის უნარი, რაც მისთვის დამახასიათებელ დაზიანებებს იწვევს და მათი გამოვლენა ძირითადად ფურცლების დეფორმაციითა და მექანიკური დახვევებით ხდება. მიუხედავად მისი ასეთი თვისებებისა, ეტრატი სხვა საწერი მასალებისგან განსხვავებით უფრო მეტად გამძლეა დროისა და ტემპერატურა-ტენიანობის მიმართ. როგორც საწერი მასალა ის უძველესი დროიდან გამოიყენებოდა საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა სამწიგნობრო კერებში.

გასული წლების განმავლობაში ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენდა ეტრატზე შესრულებული ქართულენოვანი ხელნაწერების რესტავრაციის მეთოდები. შევისწავლეთ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წიგნთსაცავში დაცული ეტრატის ხელნაწერები, გამოვავლინეთ და აღვწერეთ საქართველოში წიგნის რესტავრაციის ჩამოყალიბებისა და მისი განვითარების ეტაპები, ხოლო მიღებული შედეგები ავსახეთ სტატიაში [მრავალთავი ... 2013:494]. ამ ეტაპზე, ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს უცხოენოვან ეტრატის ხელნაწერებში რესტავრაციის ადრეული ნიშნების გამოვლენა, მათი კლასიფიკაცია სარესტავრაციო მასალისა და მეთოდების გათვალისწინებით, ამიტომ შევისწავლეთ ცენტრის საცავებში დაცული ეტრატის მასალაზე შესრულებული ბერძნული, ლათინური, ეთიოპიური, გერმანული და სომხური ხელნაწერები. თუმცა სანამ უშუალოდ კვლევის შედეგების მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, მოკლედ უნდა ავღწეროთ ეტრატის დამზადების პროცესები. შუა საუკუნეებში საქართველოსა და საზღვარგარეთ ეტრატის რესტავრაციის მასალისა და მეთოდების კვლევაში სწორედ მისი დამზადების მთლიანი პროცესია მნიშვნელოვანი, ხოლო ამ პერიოდის პერგამენტის დაზიანება და შემდეგ უკვე აღდგენა სწორედ ეტრატის როგორც საწერ მასალად შექმნის დროიდან იღებს სათავეს.

ეტრატის დამზადების რთული და შრომატევადი პროცესის თანმიმდევრობა თითქმის ერთნაირი იყო როგორც საქართველოში და სომხეთში, აგრეთვე ევროპის ქვეყნებშიც. პერგამენტის დამზადების პროცესი რომ მარტივ ჭრილში წარმოვიდგინოთ ასეთი იქნებოდა: კარგად გარეცხილი ცხოველის ტყავის[1] დამუშავება ხდებოდა ნაცრით, ნაცრისა და კირის ნარევით, ან კირიანი წყლით. ამის შემდეგ კარგად დამბალ ტყავს აცილებდნენ ბეწვს, მატყლს და ხორცის ფენას. გასუფთავებულ ტყავს კი რეცხავდნენ და ჭიმავდნენ ხის სპეციალურ ჩარჩოზე ან მბრუნავ დოლზე. გაშრობის პარალელურად ტყავს ამუშავებდნენ მრგვალპირიანი დანითა და ფორებიანი ქვით (პემზა, ტუფი და ა.შ.) ერთგვაროვანი ზედაპირის მიღებამდე. ხოლო ეტრატის ზედაპირის საბოლოოდ დასამუშავებლად გამოიყენებოდა ცარცი, კირი, კვერცხის ცილა და სელის ზეთი[2] [Галфаян Х, 1975: 74].

ზემოთ ჩამოთვლითაგან ჩვენთვის მნიშვნელოვანია უკვე დამბალი და გასასუფთავებლად მომზადებული ტყავის ბასრი საგნით დამუშავების პროცესი, რაც ყველა ტიპის ეტრატის დამუშავების დროს გამოიყენებოდა როგორც ქართულ, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებში. და რადგან მეტწილად ტყავის დამუშავების ამ ეტაპზე იყო დამოკიდებული პერგამენტის მოქნილობა და ხარისხი, ოსტატები მრგვალპირიან ბლაგვ დანებთან ერთად ხშირად ბასრ საგნებსაც იყენებდნენ,

[1] საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში ძირითადად ხბოს, ცხვრის, კრავის და თხის ტყავი გამოიყენებოდა, ხოლო სომხურ რეცეპტურაში ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად ნახსენებია კურდღლის, ირემის, კვიცის, შვლის, თეთრი მელიის და ჩოჩორის ტყავი. აქვე აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი მხოლოდ სომხეთში გამოიყენებოდა, რადგან სხვა ქვეყნებში ჩოჩორის ტყავზე წმინდა ნერილის დაწერა ცოდვად ითვლებოდა.

[2] იმისათვის, რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს ეტრატის დამზადების ეს რთული ტექნოლოგია, მაგალითის სახით მოვიყვანთ სომეხი ოსტატების მიერ ეტრატის დამზადების მეთოდებიდან ერთ-ერთს: „აიღე შინაური ან გარეული ბატკნის, თხის, ირმის, კურდღლის, კვიცის, ჩოჩორის, ხბოს ან თეთრი მელას ტყავები. მოათავსე წყალში ორი სამი დღე, რათა დასველდეს და განცალკევდეს ყოველგვარი ჭუჭყისა და ნარჩენისაგან. შემდეგ ამოალაგე ტყავები, გარეცე ისინი, მოაშორე ჭუჭყი, გაწურე და მოაშორე წყალი. შემდეგ ყოველ ტყავზე აიღე თითო მუჭა კირი, ჩაყარე გეჯაში, რობში ან სათიში, ჩაასხი იმდენი წყალი, რამდენიც დასჭირდება ხსნარს, რომ მჟავე რძეს დაემსგავსოს. ტყავები მოათავსე ამ ხსნარში ექვსი შვიდი დღე და ყოველ დღე, ორჯერ დღეში მოურიე ჯოხით. შემდეგ ყურადღებით დააკვირდი, თავისუფლად სცილდება თუ არა ბეწვი, მაშინ ნყველა ტყავი ამოიღე კირის ხსნარიდან და მოათავსე სუფთა წყალში. გარეცხე ისინი (კირისგან). მოაშორე ბეწვი, გადაღვარე კირის ხსნარი, ის ხის ჭურჭელი რაშიც იყო, გარეცხე, მოამზადე ახალი ულუფა კირის ხსნარი ზემო აღნიშნული პროპორციით. ტყავები ხელახლა მოათავსე კირის ხსნარში და ყოველ დღე ორჯერ დღეში მოურიე. დატოვე ამ ხსნარში მანამ სანამ არ დაინახავ, რომ ისინი ხორცის მხრიდან გასუფთავდა, ეს ნიშნავს, რომ ისინი უკვე მზადაა. იცოდე, რომ თხელი, პატარა ტყავები მალე „მწიფდებიან". ისინი დროულად უნდა ამოიღო და გარეცხო. თუ ტყავები რქოსანი საქონლისაა, დიდია და მაგარი, აიღე მტრედის სკორე, მოამზადე ხსნარი, თხელი, როგორც ფაფა, მასში ჩაალაგე მაგარი და დიდი ტყავები. აურიე ისინი და დატოვე სამი დღე რათა დარბილდეს. ან აიღე გაწურული, განზავებული ხსნარი მჟავე რძისა და დაამზადე ისე, როგორც მზადდება სკორეს ხსნარი. შემდეგ გარეცხე ტყავები, გადაჭიმე მბრუნავ დოლზე და ხორცის მხარეს მოაშორე წყალი, შემდეგ ორჯერ გარეცხე სუფთა წყალში და მოაშორე წყალი ფხეკით ისე, რომ წყალი საერთოდ არ დარჩეს. თუ გინდა, რომ მიიღო უფრო რბილი ტყავი, მოხსენი ტყავი დოლიდან, სახის მხარეს დააყარე ქერის ფქვილი, დიდხანს აზილე ხელით, შემდეგ მიაბი მბრუნავ დოლს და ფხიკე იმდენი ხანი, სანამ ტყავი არ გაშრება და გათეთრდება. გაშრობის შემდეგ გახეხე ტყავი ფორებიანი ქვით. იმისთვის, რომ ტყავი იყოს სუფთა და გლუვი. ყოველივე ამის შემდეგ აუცილებელია მისი გადახეხვა ბასრი საგნით. [Галфаян Х, 1975: 74]

და უმეტესად სწორედ ეს საგნები იწვევდა ეტრატის როგორც საწერი მასალის დაზიანებას. თანამედროვე რესტავრატორთა ტერმინოლოგიით ამ მრგვალი, ოვალური და სიგრძივი ფორმის დაზიანებებს „მექანიკური დაზიანე" ეწოდება და ხელნაწერის ფურცლების ეტრატის შექმნის თანადროულად ითვლება. დღეს ეს დაზიანებები ხელნაწერის ისტორიას ქმნის და რესტავრაციის დროს ხდება მათი შენარჩუნება ისეთი სახით, როგორც არის ჩვენამდე მოღწეული. თუმცა, შუა საუკუნეებში ამ დაზიანებების აღდგენა ჯერ კიდევ სველი დერმის დამუშავების დროს ხდებოდა თავად ოსტატის მიერ.

ამრიგად, უკვე საუკუნეებ გამოვლილი ხელნაწერების (Arm-184; Arm-194; Arm-200; Arm-208; Arm-308; Arm-27; Var- 21; Var- 30; Var -29; Var-41; Var-50; ეთიოპიური-1; gr-28; gr-15; gr-16; gr-48; Hebr-3) ეტრატზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მსგავსად უცხოენოვანი ხელნაწერებისა, საქართველოშიც წიგნის რესტავრაცია ეტრატის საწერი მასალის შექმნასთან ერთად იღებს სათავეს. მათი რესტავრაციის დროს გამოიყენებოდა როგორც სველი დერმის ბამბის ძაფით ამოკერვის მეთოდი, აგრეთვე ნაკლული ადგილის თხელი ეტრატით შევსების მეთოდიც. კვლევა ძირითადად ვიზუალური მხარის შესწავლას გულისხმობდა, პროცესში გადავიღეთ მაკრო და მიკრო ფოტოები, გამჭვირვალე ფირზე სქემის სახით გადავიტანეთ დაზიანების ფორმები და ამოკერვის დროს ძაფის მიმართულებები (სურ.1), რათა უფრო მკაფიო სურათი დაგვენახა შესასწავლ ობიექტებს შორის მსგავსებებსა და განსხვავებებზე.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ: ამ პერიოდის ხელნაწერების რესტავრაციის დროს თითქმის ერთნაირი მეთოდი და მასალა გამოიყენებოდა, განსხვავება მხოლოდ მცირე დეტალებშია რაც ძირითადად ვიზუალურ მხარეს უფრო შეეხება ვიდრე ტექნიკას. მაგალითად ეთიოპიურ ხელნაწერში (ეთიოპიური-1), რომლის ფურცლების სისქე მერყეობს 2,5 მილიმეტრიდან 5 მილიმეტრამდე და ხელნაწერის ფურცლების ძირითადი ნაწილი უხეშად დამუშავებული ეტრატისგან შედგება, რომელის ზედაპირზე მუქი ფერის წერტილების სახით ჯერ კიდევ შეინიშნება ბეწვის კვალი და მრავლად გვხვდება ჭარბი ცხიმის ლაქები, ხშირია სველი დერმის დამუშავების დროს ბასრი საგნით მიყენებული დაზიანება (სურ.2). საინტერესოა ის ფაქტი რომ დაზიანებული ეტრატი ძირითადად ვერსო მხრიდან არის ამოკერილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეტრატი ტექსტის დაწერამდეა დაზიანებული და შემდეგ უკვე „რესტავრირებული". მსგავსად სხვა ხელნაწერებისა, რომელთა შესახებ ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრებთ, ამ ხელნაწერის ფურცლებზე (მიუხედავად იმისა რომ დაზიანებები ტექსტის სტრიქონებს შორისაც არის მოქცეული) დაზიანება ტექსტისაგან გამიჯნული არ არის არც დეკორით და არც კონტურებით (სურ.3). აქ, ამ კონკრეტულ ხელნაწერში ოსტატი რექტო-ვერსოს მიხედვით არეგულირებს იმას, რომ მკითხველისთვის უფრო ნაკლებად შესამჩნევი იყოს „რესტავრაციის" კვალი. რამდენიმე ფურცელზე დაზიანება იმდენად ძლიერია, რომ მისი შეკეთება არც უცდიათ, ხოლო იმ შემთხვევაშიც სადაც ოსტატი სველი დერმის შეკეთებას ცდილობს რესტავრაცია

საკმაოდ უხეშად გამოსდის, რასაც სავარაუდოდ ეტრატის სისქეც განსაზღვრავს, თუმცა კერვის დროს ნემსი დიაგონალურად მოძრაობს და ძაფისა და უკვე გამშრალი ტყავის ერთობლიობა თითქოს წნული გვირისტის სახეს იღებს (სურ.4).

ეთიოპიური წიგნისგან განსხვავებით, საინტერესო, თუმცა გაცილებით ნაკლები დაზიანებული უბნები გვხვდება Var-29 და Var-30 ხელნაწერებში. აქ ეტრატის ამოკერილი დეტალები ხელის სინაზითა და სისუფთავით არ გამოირჩევა, თუმცა საინტერესოა ის ფაქტი რომ დაზიანებული ტყავი გარშემო წითელი კონტურით არის შემოსაზღვრული (სურ.5-6), რიგ შემთხვევაში საზედაო ასო მხატრულად არის შემოვლებული დაზიანებულ უბანზე რაც ერთგვარ დეკორს ქმნის (სურ.7), ამ ხერხით ოსტატი ცდილობს ნაკლული ადგილებისა და ეტრატის ამოკერილი დეტალების გალამაზებას რათა უფრო ნაკლებად შესამჩნევი იყოს დეფექტი.

დაზიანებების სიმრავლით გამოირჩევა ლათინური ხელნაწერი Var 21, ამ ხელნაწერში მრავლად გვხვდება როგორც ოვალური და მრგვალი ფორმის დანაკლისები, აგრეთვე შეკერილი ტყავის ადგილები, თუმცა ძაფები შემორჩენილი არ არის, რის გამოც ნემსის ზუსტი მიმართულება რთული დასადგენია, მაგრამ კარგად სჩანს მცირე ზომის ხვრელები, რაც ადასტურებს, რომ მსგავსად ზემოთ ნახსენები ხელნაწერებისა თავის დროზე ოსტატს ეტრატის შეკეთება უცდია. მკრთალი და წვრილი, თუმცა კარგად შესამჩნევი კანტებით ამ ხელნაწერშიც ვხვდებით დაზიანებული უბნების შელამაზების მცდელობას.

შედარებით უფრო ოსტატურად არის რესტავრირებული ბერძნული ხელნაწერის ფურცლები (Gr28). სველი დერმა შეკერილია თხელი ძაფით ზამბარისებური ფორმით (სურ8), რაც სიბრტყეზე ერთგვარ გრეხილს ქმნის, ხოლო ნაკლული ადგილები თხელი ეტრატის ფრაგმენტებით არის შევსებული. საინტერესოა ისიც, რომ დაზიანებული დეტალები ტექსტისაგან გამიჯნული არ არის, პირიქით შევსებულ ეტრატზე რექტო მხრიდან ტექსტი ისეა გადაწერილი, რომ ფორმატის მთლიანობიდან მისი განსხვავება რთულია (სურ.9). როგორც სჩანს ბერძნულ ხელნაწერებში, ისევე როგორც ქართულ ხელნაწერებში, ნაკლული ადგილების ეტრატით რესტავრაცია მიღებული და გავრცელებული მეთოდი იყო, რადგან ასეთივე ფურცლები გვხვდება (Gr k15) ხელნაწერის შემთხვევაში. გადამწერის მიერ ტექსტის გადაწერის სტილიც მსგავსია ზემოთ ნახსენები ხელნაწერისა, რადგან ამ შემთხვევაშიც შევსებულ ეტრატზე ტქსტი ძირითადად რექტო მხრიდან არის შესრულებული, ხოლო ვერსო მხრიდან ეს მრგვალი და ოვალური ფორმის უბნები აუთვისებელია.

ცენტრში დაცულ ებრაულ ხელნაწერებში მსგავს დაზიანებებს არ ვხვდებით, ამ ხელნაწერებში ეტრატი თეთრი ფერის, თხელი, კარგად დამუშავებული და შენახულია. დაზიანებული ეტრატი და მითუმეტეს მათი შეკეთების კვალი თითქმის არ გვხვდება ცენტრში დაცულ სომხურენოვან ხელნაწერებშიც. ეს ფაქტი სავარაუდოდ იმით აიხსნება, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი ხელნაწერები სქელტანიანია თუმცა ფორმატის სიდიდით არ გამოირჩევა, რაც გვაფიქრებინებს,

რომ ტექსტის გადაწერამდეა შერჩეული ნაკლებად დაზიანებული ფურცლები. თუმცა რესტავრაციის განსხვავებულ მეთოდს ვხვდებით მატენადარანის საცავში დაცულ XI საუკუნის ხელნაწერში, სადაც რესტავრაცია როგორც ეტრატის ფრაგმენტებით ასევე შეკერვის მეთოდით არის შესრულებული, მაგრამ ნემსის დიაგონალური მიმართულების ნაცვლად ვერტიკალური მოძრაობით არის შეკერილი, ხოლო ფრაგმენტები უბრალოდ არის დამაგრებული ან ქაოსური, დაზიანების ფორმის შესაბამისი მიმართულებით არის ამოკერილი (სურ.10,11). დაკვირვება გვიჩვენებს, რომ რესტავრაცია ტყავის გაშრობის შემდეგ, მოგვიანებით არის შესრულებული თუმცა სარესტავრაციოდ გამოყენებულ ეტრატს თუ დავაკვირდებით შესაძლებელია ვიფიქროთ რომ ფორმატი ადრეულ პერიოდშია შეკეთებული.

მცენიერების სხვა დარგების მსგავსად დროის მსვლელობასთან ერთად ვითარდება და მკაფიო ცვლილებებს განიცდის რესტავრაციის მეთოდებიც. ისევე როგორც დღეს, შუა საუკუნეებშიც ამა თუ იმ პროცესის წარმართვა ხშირ შემთხვევაში დამოკიდებული იყო „რესტავრატორის" ცოდნაზე და მასალის ხელმისაწვდომობაზე. მოგვიანებით ეტრატის რესტავრაცის დროს შეიცვალა მასალა და ხშირ შემთხვევაში ქაღალდი გამოიყენებოდა, თუმცა ჩამოყალიბებული და დახვეწილი მეთოდით ჯერ კიდევ ვერ ახერხებდნენ ოსტატები ეტრატის ამ ფართოდ გავრცელებული მასალით შეკეთებას, რომლის თვალსაჩინო მაგალითია ბერძნული ხელნაწერი (Gr k15). ამ ხელნაწერის ბოლო დაახლოებით 10 ფურცელი რესტავრირებულია მოზრდილი და მცირე ზომის რამენიმე ფენად დაფიქსირებული ქაღალდის ფრაგმენტებით და ქაღალდზე დატანილი მაკავშირებელი დღესაც ადვილად შესამჩნევია (სურ.11,12). დღესდღეისობით ეტრატის ნაკლული ადგილების ქაღალდის ფორმატით ან ბოჭკოს მასით შევსება კვალავაც აქტუალურია, თუმცა მასალის თავსებადობაზე ხანგრძლივი დაკვირვებისა და სიღრმისეული შესწავლის საფუძველზე. ეს მეთოდი წლებია დანერგილია როგორც საზღვარგარეთის წამყვან სარესტავრაიო ლაბორატორიაებში, ასევე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კონსერვაცია-რესტავრაციის სამეცნიერო ლაბორატორიაში, რადგან ერთეულისთვის სპეციალურად შერჩეული სარესტავრაციო მასალა, წებო და რესტავრაციის მეთოდი ნაკლებად საზიანოა და ახანგრძლივებს ხელნაწერის შემდგომში შენახვის პროცესს.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი მაგალითებისა და მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ როგორც ეტრატის უცხოენოვანი, აგრეთვე ქართულენოვანი ხელნაწერების რესტავრაცია მისი შექმნიდან მოყოლებული დღემდე მასალისა და მეთოდების მცირე განსხვავებებით თუმცა უწყვეტად მიმდინარეობს და კვლავაც ვითარდება. ჩვენი სურვილია არსებული საკითხი მომავალში ლაბორატორიული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შევისწავლოთ, რათა მეტნაკლებად ზუსტად განვსაზღვროთ როგორც რესტავრაციის დროს გამოყენებული მასალა, აგრეთვე პერიოდი.

ლიტერატურა:

1. გვაზავა, ასმათ. 2015. ეტრატის რესტავრაციის ნიშნები შუა საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში (ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალების მიხედვით). მრავალთავი: 24. ალექსიძე ზაზა და სხვები (494-502) თბილისი.
2. ჯავახიშვილი, ივანე. 1926. ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. თბილისი: თბილისი.
3. Киреева, Вилена. 1998. Средневековый пергамент: сравнительный анализ технологий (по историческим и экспериментальным данным). Москва (დისერტაცია)
4. Галфаян Х.1975. Технология ИзгодотовлениЯ Пергаментам Армянских Мастеров. Художественное Наследие. Хранение, Иследование, Реставрация. 1(31). (74-80). Москва: ГОСНИИР.

ASMAT GVAZAVA
Korneli Kekelidze National Centre of Manuscript

MARKS OF RESTORATION OF ETRATE IN THE MEDIEVAL CENTURY FOREIGN MANUSCRIPT (COMPARATIVE ANALYSIS)

Summary

In the field of restoration cultural heritage, the most difficult is conservation-restoration of the manuscripts fulfilled on the writing material produced by parchment, as it is distinguished by its Physical and Chemical character. Oil-paper can easily take and distribute humidity that causes the damages that are typical and is shown by means of changed shapes of papers and mechanical windings of the paper. Despite this, parchment unlike other writing materials is more durable for time and temperature-humidity. As writing material it has been used since ancient times in Georgia and in many other schooling places.

The recent research was about the restoration method carried out on the Georgian Manuscripts fulfilled on the parchment. The parchment manuscripts kept in K. Kekelidze Georgian national center of manuscripts have been studied as well as their development stages and the outcomes were described in the article. This time the subject of our research is exposing the early signs of restoration in the foreign parchment manuscripts, their classification taking under consideration their restoration material and methods. That's why the old and new restoration methods have been compared and there were underlined the typical and different methods of restoration. The similarity of Georgian "restoration school" with the foreign "restoration schools" have been described and analyzed. The research process showed that like foreign manuscripts, the restoration of books in Georgia begins with the creating the parchment writing material, it developed together with the time and faces significant alternations. As it is today, in the medieval century as well, leading the process depended on the knowledge of restoration and on the availability of the material.

And in the conclusion, we will sum up the results from the above mentioned examples and on the bases of visual material will discuss the existing similarities. According to the graphic drawings there will be shown the restored details while sewing the damaged places by the needle and direction of wicker etc.

სურ. 1

სურ. 2



სურ. 3

სურ. 4

სურ. 7

სურ. 5

სურ. 6

სურ. 10



სურ. 8



სურ. 9



სურ. 11



სურ. 12



სურ. 13

შორენა თავაძე
კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი

ეზრაზე შესრულებული საბუთის სტრუქტურული ანალიზი და კონსერვაცია-რესტავრაცია

ხელნაწერთა რესტავრაცია, ერთი შეხედვით ტექნიკური საქმიანობაა. სინამდვილეში კი ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, ფართო მასშტაბის კვლევითი და პრაქტიკული სამუშაო, რომელიც გულისხმობს პალეოგრაფიის, კოდიკოლოგიის, ფილოლოგიისა და, საერთოდ, ხელნაწერთმცოდნეობის მეტნაკლებ ცოდნას. ამავე დროს საჭიროებს ფერწერის კონსერვაციის გამოცდილებასაც.

ხელნაწერთა რესტავრაციას თავისი ეტაპები აქვს, რომლებიც ხშირად სხვაობს ერთმანეთისაგან. ეს დამოკიდებულია იმაზე, რა მასალაზეა შესრულებული სარესტავრციო ერთეული - ეტრატსა თუ ქაღალდზე, დაზიანების რა ფორმები და სახეები გვაქვს. ამის გამო ყოველი ფურცელი მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. აქედან გამომდინარე, რესტავრატორი ზოგჯერ სრულიად ორიგინალურ, განსხვავებულ გადაწყვეტილებას იღებს, რომელსაც ვერ ჩავსვამთ კონკრეტულ ჩარჩოებში.

წერილობითი ძეგლის რესტავრაციას ყოველთვის წინ უსწრებს წინა სარესტავრაციო კვლევა. მეცნიერთა აზრით, რესტავრაციის საწყის ეტაპზე აუცილებელია ხელნაწერის შექმნის, და ეტრატის, როგორც საწერი მასალის, დამზადების ტექნიკური პროცესების შესწავლის საფუძველზე შემუშავდეს და განისაზღვროს შესაბამისი სარესტავრაციო-საკონსერვაციო მეთოდები. კოდიკოლოგიურ-სტრუქტურული კვლევის შედეგად დადგინდეს დაზიანების ხარისხი, გამომწვევი მიზეზები, დაიგეგმოს რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესი, შეირჩეს სარესტავრაციო მასალა და მეთოდი. ძეგლის სტრუქტურული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, ასევე სარესტავრაციო მეთოდებზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს, რა მიმართულებით წარიმართოს პროცესი: ჩატარდეს კონსერვაცია თუ კონსერვაცია-რესტავრაცია.

როგორც ცნობილია, ადრეულ პერიოდში ხელნაწერების რესტავრაციისას გამოიყენებოდა როგორც ეტრატი, ასევე ქაღალდი, რიგ შემთხვევებში კი სხვადასხვა ხელნაწერის ფრაგმენტები. მნიშვნელოვანი და აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ აღდგენა ხდება ეტრატით, მასალადაც იდენტური, მსგავსი სტრუქტურის ეტრატი იყოს შერჩეული.

კერძოდ, სარესტავრაციოდ ეტრატის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია გამოვიყენოთ იმ ცხოველის ტყავი, რომელზედაც არის შესრულებული საბუთი. დაზიანებული ადგილების სარესტავრაციოდ ეტრატის გამოყენების შემთხვევაში საჭიროა ტესტირების ჩატარება სირთულეებისა და პრობლემების თავიდან ასაცილებლად. რადგან, ახალი მასალა ორიგინალისგან განსხვავებულია, თუმცა ეს შეიძლება რეალურად იყოს იგივე მასალა, მაგრამ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის. ასევე გასათვალისწინებელია, ტყავის რა ნაწილია გამოყენებული ხელნაწერის შექმნის დროს. აუცილებელია მოხდეს ორიგინალისა და სარესტავრაციო მასალის თანხვედრა, შერწყმა, რომ რესტავრაციის შემდგომ პერიოდში არ გამოიწვიოს სხვადასხვა სახის დაზიანება(მაგ.დეფორმაცია).

პრაქტიკაში მიღებულია სარესტავრაციოდ შერჩეული ექსპონატის საწყისი ფიზიკური მდგომარეობის დეტალურად აღწერა და ხელნაწერის საბუთში ყველა ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების ეტაპების, კვლევის შედეგების, გამოყენებული მასალისა და წებოს სახეობის ჩაწერა. საბუთს უნდა დაერთოს ერთეულის ფოტო რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ-სარესტავრაციოდ შერჩეული ექსპონატის სრული ინფრმაცია.

ეტრატის რესტავრაციისას აუცილებელია სწორი გადაწყვეტილების მიღება - წებოს კონცენტრაციისა და შესაბამისი სარესტავრაციო მასალის სწორად შერჩევა. ასევე, ზოგადად, რესტავრაციის დროს აუცილებელია ყველა სტრუქტურული მახასიათებლისა და თავისებურების გათვალისწინება, მხოლოდ ამის შემდეგ არის კონსერვაცია-რესტავრაცია წარმატებული და სტაბილური.

ვინაიდან ყოველი ხელნაწერის დაზიანების გამომწვევი მიზეზებიც და ხარისხიც სხვადასხვანაირია, ეს მოითხოვს მდგომარეობის საგანგებო დიაგნოსტიკას, კვლევას და კონსერვაცია-რესტავრაციას. განვიხილავთ ეტრატზე შესრულებული ხანძარში მოხვედრილი დამწვარი, დაზიანებული საბუთის დიაგნოსტიკას, სტრუქტურის კვლევას რესტავრაცია-კონსერვაციის სრულყოფილად განხორციელების მიზნით.

საბუთი 70,5X60,5 (HxB) ზომის, ოთხკუთხედ ფორმატზეა შესრულებული. ეტრატის საბუთის სისქე გაიზომა რამდენიმე ადგილას - დაახლოებით 0,2სმ-ია. საბუთი ადრე არ ყოფილა რესტავრირებული, არ იყო შეფუთული დამცავ ქაღალდში.

საბუთი წარმოადგენს XVI საუკუნის დიდგვაროვანთა რამდენიმე თაობის კეთილშობილური წარმოშობის დამადასტურებელი მტკიცებულების, გენეალოგიის დამადასტურებელ დოკუმენტს. მასზე გრაფის წინაპრების გერბები წარმოდგენილია მხატვრულად გაფორმებული ორნამენტებითა და მორთულობებით: ხმლებით, არწივის თავითა და ფრთებით, ლომის გამოსახულებით,გამოყენებულიასხვადასხვადეკორატიული ელემენტი.დეკორატიულ ელემენტებად გამოყენებულია ფოთლოვანი ტოტები, რომლებითაც გერბები ერთმანეთთან არის დაკავშირებული. გერბები საბუთზე განაწილებულია 5 რიგად, პირველ რიგში ერთი გერბია, რომელიც ხის ფესვებზე დგას. მეორე რიგში - ორი

გერბია, მესამე რიგში -ოთხი, მეოთხე რიგში - რვა და მეხუთეში - თექვსმეტი. გერბებს ქვემოთ მინაწერები-გრაფების სახელები თანაბრადაა განაწილებული.

საბუთის v-ზე მითითებულია თარიღი და ბეჭედია დამაგრებული, თუმცა მინაწერი არ იკითხება, მისი დაზიანებიდან გამომდინარე.

საბუთის r-ზე ფიქსირდება სხვადასხვა ხელმოწერა, დამოწმებული წითელი ფერის ცვილის ბეჭდით, რომლის მხოლოდ კვალი შეიმჩნევა.

საბუთი შესრულებულია ცხოველის ტყავზე ხორცის მხრიდან. ამ საბუთის მიკროსკოპით დათვალიერების საფუძველზე ეტრატის ფაქტურის განსაზღვრისას სტრუქტურა და ბეწვის არხების მიმართულება ადასტურებს, რომ საბუთი ცხვრის ტყავზეა შესრულებული. ეტრატი კარგადაა დამუშავებული, მასზე დაკვირვების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ დოკუმენტის გადასაწერად გამოყენებულია ზურგის ნაწილი.

საბუთი რამდენიმეჯერ არის მოკეცილი. აღენიშნება მექანიკური დაზიანებები, ნაკლული ადგილები, ნაკეცები, ბზარები, სინესტის ლაქები, ზედაპირული ჭუჭყი, ძლიერ დაბინძურებულია. საბუთის შუა ნაწილი დამწვარი, გაუხეშებული და დეფორმირებულია. საბუთის მძიმე მდგომარეობის გამო შეუძლებელი იყო მისი გაშლა. დაკეცილი საბუთის ზედა მხარე, კუთხეები და კიდეები დაბინძურებულია. უკანა მხარე მთლიანად მუქია, ერთ ფერში, მაგრამ ეს არ ნიშნავს მის მთლიან დაბინძურებას. სავარაუდოდ, ბეწვის მხარეა და, როგორც ყოველთვის, უფრო მუქია.

ტექსტი ნაწერია საბუთის ქვედა ნაწილში ორივე მხარეს. საწერ მასალად გამოყენებულია რკინა-გალუს შემცველი მელანი.

ულტრაიისფერი (UV) შუქით დათვალიერებისას, საბუთის მარჯვენა მხარეს, გერბთან ხელმოწერაა "ანნა", ეს ადგილი მონიშნულია X-ით, რომელიც ვიზუალური დათვალიერებით არ შეიმჩნევა. ეტრატის ნაპირზე ასევე შეიმჩნევა მკრთალი ჩრდილი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ადგილი სინათლისგან იყო დაცული. სპექტროსკოპული კვლევა და ანალიზი ჩაატარა პროფ. დ.ოტოგრემ.

რესტავრაციამდელი დიაგნოსტიკის, მდგომარეობის აღწერისა და ფოტოფიქსირების შემდეგ საბუთს ჩაუტარდა პირველადი დამუშავება. პირველ რიგში, ეტრატი გაიწმინდა მშრალად, ლატექსის ჩვრით, მოხატული ადგილების გამოტოვებით, რათა თავიდან აგვეცილებინა საღებავი ფენების დაზიანება, ასევე გაიწმინდა მხოლოდ ტექსტისგან თავისუფალი ადგილები, მაგრამ ასეთი გაწმენდა საკმარისი არ აღმოჩნდა. ამიტომ ყველა დააბინძურებული ადგილი დამუშავდა სპეციალური აპარატის გამოყენებით, რომელიც ფორებში ჩამჯდარი ჭუჭყის გასაწმენდი საშუალებაა. Aამ ტიპის გაწმენდა ეფექტურია და ეტრატის სტრუქტურას არ აზიანებს.

ეტრატის დარბილებამდე შემოწმდა და ტესტირება ჩაუტარდა მელანს წყალში ხსნადობაზე, რათა თავიდან აგვეცილებინა მელნის შესაძლო დაზიანება დატენიანებისას. სპეციალურ დამატენიანებელ კამერაში დატენიანებისა და დარბილების შემდეგ საბუთი გასწორდა, დაიჭიმა და დამაგრდა დამჭერებით.

დატენიანების ხანგრძლივობა დამოკიდებულია ეტრატის სტრუქტურაზე, სისქე და სიმკვრივეზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მყიფე, მტვრევადი ეტრატის დარბილება არ ხდება დამატენიანებელ კამერაში, გამოიყენება ე.წ. „სენდვიჩის მეთოდი". დარბილების პროცესის მიმდინარეობისას აუცილებელია რეგულარულად შემოწმდეს დატენიანების ეფექტი. კონკრეტული პატარა ზომის დეფორმაციის აღმოსაფხვრელად დატენიანება ხდება ლოკალურად, მარტო იმ მონაკვეთის. გასწორება შეიძლება შესრულდეს სპეციალური დამჭერებით, წნეხში ან სპეციალურ მაგიდაზე. თითოეულ მეთოდს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ნებისმიერ შემთხვევაში, ყოველი ერთეულისთვის ინდივიდუალურად უნდა შეირჩეს გასწორებისა და დარბილების მეთოდი. საჭიროების შემთხვევაში, ეტრატის დეფორმაციიდან გამომდინარე, შეიძლება შეირჩეს ორი (ან მეტი) მეთოდის კომბინაცია. პროცედურა შესაძლებელია რამდენჯერმე გავიმეოროთ, სანამ სასურველ შედეგს არ მივიღებთ. აუცილებელია დავრწმუნდეთ, რამდენად კარგად გასწორდა ეტრატი არჩეული მეთოდით. რადგან გასათვალისწინებელია, რომ როგორც წესი, დროთა განმავლობაში გამოშრობის შედეგად ისევ დეფორმირდება და კვლავ დაიწყებს ფორმის (ან მოცულობის) შეცვლას.

კონსერვაცია-რესტავრაციის პროცესში, ბზარების ამოვსების დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ ეტრატის სისქე და დარბილების ხარისხი, ასევე მნიშვნელოვანია ამოვსებულ ბზარებს როგორი სიმძიმის ქვეშ მოვათავსებთ.

რიგ შემთხვევებში ყველა ბზარი და დაზიანება არ ამოივსება. დაიფარება(ივსება) მხოლოდ ის ბზარები, რომლებიც ობიექტის სტაბილურობისთვის არის აუცილებელი. ხშირად შეიმჩნევა უმნიშვნელო ბზარები, რომლებიც შესაძლებელია ხელშეუხებლად დარჩეს. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეფასდეს დაზიანების, ბზარის მდგომარეობა, რამდენად გაუძლებს მცირე ზომის ბზარი დამატებით წებოს და რამდენად სტაბილური და დაცული იქნება სიმძიმის მოხსნის შემდეგ და არ მივიღებთ რესტავრაციიდან მოკლე დროში დამატებით დაზიანებას ან დეფორმაციას.

მექანიკური დაზიანებების აღდგენა, შესაძლებელია ქაღალდის ან ეტრატის გამოყენებით. სარესტავრაციოდ ეტრატის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია გამოვიყენოთ იმ ცხოველის ტყავი, რომელზედაც არის შესრულებული საბუთი. დაზიანებული ადგილების სარესტავრაციოდ ეტრატის გამოყენების შემთხვევაში საჭიროა კვლევის ჩატარება სრულყოფილი შედეგის მისაღებად.

ეტრატის მდგომარეობიდან გამომდინარე, სარესტავრაციოდ ამ კონკრეტულ საბუთზე ფორმატის შესავსებად შევარჩიეთ შესაბამისი ტონალობის იაპონური სარესტავრაციო და საკონსერვაციო ქაღალდი, ხორბლის სახამებლის წებო, როგორც საუკეთესო საშუალება. მექანიკური დაზიანების აღსადგენად, ნაკლული ადგილებისა და კუთხეების შესავსებად საბუთის ორივე მხარეს გამოვიყენეთ იაპონური ქაღალდის (shinobi 29g/m) ორმაგი ფენა, რათა სისქე გათანაბრებულიყო

ორიგინალთან, ხოლო ბზარები გამაგრდა შესაბამისი შეფერილობის იაპონური საკონსერვაციო ქაღალდით (gampi12g/m). შედეგად, რესტავრაციის შემდეგ შერჩეული მასალები კარგად შეერწყა ეტრატის სტრუქტურას.

უნდა აღინიშნოს, საბუთის დაუზიანებელ ნაწილზე საღებავების ფენა კარგ მდგომარეობაშია და გამაგრება არ დასჭირდა.

საბოლოოდ საბუთის კონსერვაცია-აღდგენა წარმატებით განხორციელდა. რესტავირებული საბუთი წესისამებრ გამოსაშრობად და მდგომარეობის სტაბილიზაციისთვის მოთავსდა სიმძიმის ქვეშ. რესტავრირებული საბუთი გასწორებულ მდგომარეობაში მოთავსდა მისთვის დამზადებულ საქაღალდეში, რომელიც დაიცავს მტვრისაგან, კლიმატური ცვლილებებისა და სხვა გარე გავლენებისგან. რეკომენდებული და აუცილებელია რესტავრირებული პერგამენტი ინახებოდეს მდგრად (ტემპერატურა 16°C-20°C ტენიანობა 45%-55%.) კლიმატურ პირობებში. შესაბამისი პირობების შექმნით ის დიდხანს იქნება დაცული.

ამრიგად, ჩატარებულმა სამუშაომ ნათელყო, რომ კონკრეტული დაზიანებული ხელნაწერის შესწავლა, დიაგნოსტიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა მისი მოვლისა და დაცვის საქმეში, რომ მომავალ თაობებს შევუნახოთ კარგად შენარჩუნებული წერილობითი ნიმუში.

ლიტერატურა:

1. Giovannini Andrea. 2010. De Tutela Librorum, La conservation des livres et des documents d'archives, Baden.
2. Fuchs Robert. 2001. Kölner Beiträge zur Restaurierung und Konservierung von Kunst- und Kulturgut: Pergament, Geschichte-Material-Konservierung-Restaurierung. München.
3. MuelerHedwig.2002.DasPergament,HerstelungundGeschichteDerGanzpergamentband heute, Landau.
4. Jacek B. trockenen Reinigung, NRW, N13, Neus, 2012, s.51.
5 Юсупова М.В. 1978. Некоторые проблемы реставрации и консервации пергаменных рукописей и переплетов, сб. научных трудов. Москва.

SHORENA TAVADZE
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

STRUCTURAL ANALYSIS AND CONSERVATION-RESTORATION OF THE DOCUMENT PERFORMED ON PARCHMENT

Summary

Restoration of a written artifact is always preceded by research on previous restoration. According to researchers, it is necessary to study the process of manuscript preparation and parchment (as a writing material) and based on this information develop and define the appropriate restoration and conservation methods.

After the codicological-structural research, the conservation-restoration method is planned and the restoration material is selected. Based on structural research and analysis of the monument and restoration methods, the direction of the process must be defined: Which should be conducted: conservation or conservation-restoration?

During restoration it is necessary to take into consideration all the structural characteristics and peculiarities, after doing so, conservation-restoration can be considered successful and stable.

This article discusses the diagnosis and study of a damaged, burnt document that is performed on a parchment aimed at refining restoration and conservation.

The paper was initially processed using a special apparatus that is used to clean the dirt in the pores. Methods of softening and correction were individually selected. A special material was chosen for the conservation-restoration process which merged well with the structure of parchment.

The work that has been carried out showed that studying and diagnosing a damaged manuscript are some of the most important areas in its care and protection in order to keep well-preserved written samples for future generations.

ლია სიხარულიძე
საქართველოს ეროვნული არქივი

სვანეთის საგანძურის უნიკალური ხელნაწერების რესტავრაცია

ჩვენამდე მოღწეული ქართულ ხელნაწერთა შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი სვანეთის კოლექციას უჭირავს. სვანეთმა ძველი ქართული ხელოვნების დიდი საგანძური შემოგვინახა – კედლის მხატვრობა, ჭედური ხელოვნება, უძვირფასესი ხელნაწერები, მრავალი ფერწერული ხატი და სხვა.

უძველესი დროიდან წარმოიშვა წიგნის შექმნის ხელობა. რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე სულ უფრო და უფრო იხვეწებოდა და ვითარდებოდა. ხელნაწერი წიგნის შექმნა მაღალ ხელოვნებამდე ავიდა: ეტრატის დამზადება, მისაღები ფერის მელნით გადაწერა, შეკაზმვა, შემოსვა, ყდის მხატვრულად გაფორმება, მინიატიურების და კამარების მოხატვა, ყველაფერი ეს უკავშირდებოდა წიგნის სრულყოფილად შექმნას. ხელით ნაწერი რომ წიგნად ქცეულიყო, ამისათვის რთული ტექნოლოგიური პროცესები იყო შესასრულებელი.

ქართულ ხელნაწერებს ახასიათებს მდიდრული დეკორატიული გაფორმება: მინიატურები, ორნამენტული კამარები და ფილიგრანული ასომთავრულები.

განსაკუთრებით მდიდრულად და მხატვრულად ფორმდებოდა მეფეებისათვის განკუთვნილი ხელნაწერები, მდიდარი ეკლესიებისათვის და დიდგვაროვანთათვის.

საუბარი გვექნება მესტიის მხარეთმცოდნეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ სამ უნიკალურ ხელნაწერზე და ერთ ხელნაწერზე, რომელიც ინახება სვანეთის ერთ-ერთი სოფლის ეკლესიაში.

„მესტიის ოთხთავი"

1030 წლით დათარიღებული „მესტიის ოთხთავი" (27,2X22,8სმ) შეიცავს მაღალხარისხოვან 310 ეტრატის ფურცელს. ტექსტი დაწერილია ლამაზი ასომთავრულით ორ სვეტად.

ეტრატის პირველ ფურცელზე გამოსახულია წნული ჯვარი, რომელიც ოთხსაფეხურიან კვარცხლბეკზე დგას. შემდეგ მოდის 8 კანონი ნატიფი თაღოვანი კამარებით.

ხელნაწერი ჩასმულია შავი ტყავის ყდაში, ზედა და ქვედა ყდის ტყავზე ამოტვიფრულია ჯვარი. ამ ჯვარზე ზემოდან ჯვარისებურად ჩამაგრებულია ვერ-

ცხლის ღილაკები (453 ცალი). ჯვარს გარს ერტყმის ასეთივე ღილაკებით დაცვარული ჩარჩო. ამ კომპოზიციის შუაგულში სიმეტრიულად განლაგებულია უფრო მოზრდილი ვერცხლის ღილაკები, რაც მაღალ მხატვრულ ეფექტს ქმნის.

ხელნაწერის ყდის ოთხივე კუთხე მთლიანად ვერცხლის ფირფიტებით არის დაფარული (4X4სმ.), რომლებიც ირგვლივ ვერცხლის ღილაკებითაა შემოჭედილი. ყდის კუთხეების ამგვარი გაფორმება ორმაგი ფუნქციისაა: ამაგრებს, აგრეთვე იცავს კუთხეებს მოტეხვისა და გაცვეთისაგან, ამავე დროს დეკორატიულადაც ამშვენებს ყდას. ყდის კუთხეები მართლაც უნაკლოდ შემოინახა ათი საუკუნის განმავლობაში.

„მესტიის ოთხთავის" ყდის სისქე ჩვეულებრივზე მეტია (1,5 სმ), სხვა უფრო სქელ ხელნაწერებს შედარებით ბევრად თხელი ყდები ახლავთ, რაც იმით აიხსნება, რომ ლურსმისებური მრგვალი ვერცხლის ღილაკების ჩამაგრება და მათი შენარჩუნება მყარ და სქელ ყდას საჭიროებდა.

„მესტიის ოთხთავზე" ჩატარდა შემდეგი სახის სარესტავრაციო სამუშაოები: ეტრატის რვეულები ხელმეორედ აიკინძა „ჯაჭვური" მეთოდით, ეტრატის ყუაზე ჩახერხილი ღარების გამოყენებით.

ნაკლული და დაძენძილი კაპტალი, ძველი შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, აღდგენილ იქნა. საჭირო გახდა ყდაზე ყუასთან ტყავის ახსნა, რათა აკინძული ეტრატის რვეულები ზონარებით და კაპტალებით ჩამაგრებულიყო ხის ყდაში. ყუაზე ტყავის ახსნამ ვერცხლის ღილაკების ერთი ვერტიკალური მწკრივის დროებით მოხსნა მოითხოვა, რის შედეგადაც ნათლად გამოჩნდა ვერცხლის ღილაკების შიგნითა სტრუქტურა, სოკოსებური ფორმის ღილაკები საკმაოდ სქელი და მაგარი აღმოჩნდა. ამ ვერცხლის „ლურსმნებს" ნემსისებური ფორმის ღეროები ჰქონდათ, რომლებიც მყარად მაგრდებოდა სქელ ხის ყდაზე.



ყველაზე მეტად ტყავის ყუა იყო დაზიანებული. იგი გახეული, გამოფიტული, დამსკდარი და გაცვეთილი იყო. საჭირო გახდა მისი შეცვლა. შეირჩა ახალი, ძველის ანალოგიური ფერის და სისქის ტყავი.

ყდას გაუკეთდა ახალი ყუა და ვერცხლის ღილაკების ახსნილი მწკრივი ძველ ნასვრეტებშივე ჩამაგრდა.

ხელნაწერს ზედა ყდაში გვერდიდან ჩამაგრებული ჰქონდა მრგვალი ვერცხლის სქელი საკეტი, რომელიც კარგ მდგომარეობაში იყო.

რაც შეეხება ქვედა ყდის ტყავის შესაკრავ თასმას, იგი ძველი, დეფორმირებული და გამოსაყენებლად უვარგისი იყო, ამიტომ შეიცვალა ახალი, სქელი ტყავის ორმაგი თასმით.

რესტავრაციის პროცესში ნათლად გამოჩნდა, რომ ეტრატის რვეულები ყდიდან არ იყო მოხსნილი, რვეულების კერვის სტრუქტურა, ძაფის მიმართულება, მისი დამაგრება იმაზე მეტყველებდა, რომ ხელნაწერზე აღდგენითი სამუშაოები ადრე არ ჩატარებულა. ყდასაც ეტყობოდა, რომ იგი არ შეცვლილა, ეტრატის რვეულები ყდიდან არ იყო მოხსნილი, ყდის ხელმეორედ ჩამაგრების კვალი არ ეტყობოდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ იგი ხელნაწერის თანამედროვეა. სარესტავრაციო სამუშაოების დამთავრების შემდეგ ხელნაწერის ყდის ტყავი სპეციალური დასარბილებელი საცხით დამუშავდა.

„ღაბსყაღრის ოთხთავი"

ამ უნიკალურ ხელნაწერს XII-XIII საუკუნეებით ათარიღებს ექვთიმე თაყაიშვილი. ხელნაწერი შეიცავს 265 ეტრატის ფურცელს. ტექსტი ნაწერია ორ სვეტად ნუსხური დამწერლობით. ხელნაწერი შემკულია ნატიფი გემოვნებით შესრულებული კამარებით, თავსამკაულებით, საზედაო ასოებითა და მახარებელთა გამოსახულებებით.

ხელნაწერს ახლავს მინაწერი: „ქრისტე, შეიწყალე სული ჩემ ცოდვილისა სტეფანესი„ (78r). შესაძლოა, გადამწერი ამ მინაწერში მოხსენებული სტეფანე იყოს, მითუმეტეს, რომ ხელნაწერი თავიდან ბოლომდე ერთი ხელითაა ნაწერი.

ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოები: ხელნაწერი აიკინძა შუა საუკუნეების მეთოდით კაპტალზე და სამ თოკზე. ძველი ყდა საკმაოდ რთული აღსადგენი იყო, იგი შედგებოდა სხვადასხვა ზომის ვერცხლის ვიწრო დეტალებისაგან, რომლებიც მოჭედილი იყო ფილიგრანული ორნამენტით. ხელნაწერს

ახლდა ძლიერ შელახული ყუა, რომელიც შეიცვალა ახალი ანალოგიური ფერის ტყავით.

ხელნაწერის ყდის 7 შესაკრავი იშვიათობას წარმოადგენს (3 გადაშლის ადგილას, 2 თავსა და 2 ბოლოში). ზედა ყდის ფიცარში ჩამაგრებული იყო შვიდივე ვერცხლის საკეტი, ხოლო ქვედა ყდაზე ძველსავე ნასვრეტებში ჩამაგრდა ახალი ტყავის 7 თასმა, რომლებიც ყდის დახურვისას ჩამოეცმებოდა ვერცხლის მრგვალ საკეტებზე.

ხელნაწერის ზედა და ქვედა ყდა ზემოდან _ შუაგულში შემოსილი იყო სქელი და მჭიდრო „რიფსის" მსგავსი მომწვანო-რუხი ფერის ქსოვილით, რომელმაც XII საუკუნიდან ჩვენამდე მოაღწია. ქსოვილის ატკეცილი ადგილები ჩამაგრდა სპეციალური შემაკავშირებლით. ყველა ვერცხლის დეტალი დამაგრდა ქსოვილ გადაკრულ ყდაზე, რასაც დიდი ეფექტი ჰქონდა.

ხელნაწერის რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესი იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას ჩავიხედოთ ნებისმიერი ხელნაწერის „ორგანიზმში", გავეცნოთ მისი შექმნის ისტორიას, კერძოდ: ეტრატის დამუშავებას, ტექსტის გადაწერას, მის მხატვრულად გაფორმებას, აკინძვას შუა საუკუნეების მეთოდით, ფერადი კაპტალების დაწნა-დაგრეხას და აგრეთვე ყდის დამზადებას: ხის ფირფიტების შემზადება, შესამოსი ტყავის დამუშავება, მისი მხატვრულად მოტვიფრა, ტყავის შესაკრავი თასმების დამზადება თავისი ლითონის საკეტებით, ვერცხლის ბუდეების მოჭედვა და სხვ.

ქართული ხელნაწერი წიგნის სამკაულები გვიჩვენებს ქვეყნის მხატვრული კულტურისა და ხელოვნების მაღალ კულტურას, მის ეროვნულ სტრუქტურას და ამასთან ერთად ჩვენი ქვეყნის კულტურის მაღალ დონესაც.

„იენაშის სახარება"

XIII საუკუნის უნიკალური ხელნაწერი „იენაშის სახარება" შეიცავს მაღალი ხარისხის 252 ეტრატის ფურცელს, რომელზეც ტექსტი ორ სვეტად ლამაზი ნუსხურით არის გადაწერილი.



ხელნაწერის კამარები შემკულია არაჩვეულებრივი ორნამენტებით, მაღალი ოსტატობით და გემოვნებით არის შესრულებული საზედაო ასოები. მოხატული ასოების რაოდენობა 817-ია, მთელ ტექსტში მარტო „დონი" 173 ჯერ, ხოლო „მანი" 162-ჯერ არის მხატვრულად შესრულებული.

სამწუხაროდ, ხელნაწერში მახარებელთა გამოსახულება თითქმის გამქრალია, მათი სამოსიღაა დარჩენილი. ასეთივე ბედი ეწია კანონების მოხატულ ჩარჩოებს, რომელთა მხოლოდ კონტურები შემორჩა. მათი ფერადი შრე ჩაცვენილია და გამქრალი. რაც შეეხება კამარებს, თავსართებს და საზედაო ასოებს, შეუიარაღებელი თვალითაც კი ჩანს, რომ ისინი თხელი პიგმენტებით არის შესრულებული და საღებავების სქელი ფენა არ გააჩნიათ.

ხელნაწერების მინიატიურებში სახეებისა და ხელების გამოსახულებაში გამოყენებულია საკმაოდ სქელი საღებავების შრე, რაც იწვევს პირველ რიგში მათ ჩამოფშვნას.

ძველი შემორჩენილი კაპტალების ფრაგმენტების მიხედვით მოიქსოვა ახალი კაპტალი, რის შემდეგაც ეტრატის რვეულები აიკინძა ახალ კაპტალზე და ზონარებზე.

„მესტიის ოთხთავისა" და „იენაშის სახარების" კაპტალები ერთი მეთოდით იყო ჩაკერილი ძველი ყდის შიგნითა კუთხეებში, რომელსაც ტყავი ფარავდა. ჩანს, რომ ამ ორი ხელნაწერის კინძვის მეთოდი გამოიყენებოდა საუკუნეების მანძილზე. ხელნაწერები დაზიანებული იყო, მაგრამ მაინც შესაძლებელი გახდა კინძვის მეთოდებს დავკვირვებოდით და ამ თვალსაზრისით ეს ორი ხელნაწერი ერთმანეთისთვის შეგვედარებინა. აღმოჩნდა, რომ ისინი ერთი მეთოდით იყო აკინძული.

რაც შეეხება „იენაშის სახარების" ძველ ყდას, მას გადაკრული ჰქონდა მუქი ყავისფერი ტყავი, რომელსაც აღდგენა-რესტავრაცია ესაჭიროებოდა. ყდას ყუა საერთოდ არ მოჰყოლია - დაკარგული იყო.



რესტავრაციის პროცესში გადაწყდა, რომ ძველი ყდის ტყავი დაშლის გარეშე აღდგენილიყო. ყდის გაწმენდის და ფიცრების ნაკლული ადგილების შევსების შემდეგ ტყავი დავარბილე და ნაკლული ადგილები ანალოგიური ტყავით შევავსე.

ტყავგადაკრული ხელნაწერი შემოსილია ყდის ვერცხლის ბუდით, რომელსაც აქვს დანაკარგები. ყდის ტყავის სარესტავრაციოდ საჭირო გახდა ვერცხლის ფრაგმენტების მოხსნა, მანამდე კი ვერცხლის ფრაგმენტების განლაგება ფოტოანაბეჭდებზე დაფიქსირდა. ვერცხლის გაწმენდის შემდეგ ყველა დეტალი ჩამაგრდა ყდაზე თავისივე ადგილას.

ყდის ჭედურობის შემორჩენილი ფრაგმენტები შესრულებულია არაჩვეულებრივი ფილიგრანული ორნამენტით. ვერცხლის მასალა საკმაოდ თხელი და ფაქიზია, როგორც ჩანს, ამან გამოიწვია მისი იოლად დაშლა.

„ლახუშტის სახარება"

XI–XII ს.ს. ხელნაწერი წიგნი „ლახუშტის სახარება" გადაწერილია სხვადასხვა სისქის, უხეშ 110 ეტრატის ფურცელზე. წინა ფურცლები ნაკლულია. ტექსტი გადაწერილია ერთ სვეტად შავი მელნით მკვეთრი და ლამაზი ნუსხურით. სათაურები და აბზაცები შესრულებულია სინგურით. ეტრატის ზოგიერთ ფურცელს მკვეთრად ეტყობა, რომ ის პალიმფსესტია. თავსართი ასოების გადაბმა ძალიან ლამაზი და ორიგინალური მოხაზულობისაა. ეტრატის ფურცლებს ბევრ ადგილას აქვს ნასვრეტი, რომლებიც წარმოიშვა ეტრატის დამუშავების დროს

(53). ხელნაწერი დაშლილია, 39 ეტრატის ფურცელს ესაჭიროებოდა აღდგენა-რესტავრაცია. ძველი სქელი ყდის მასალა მუხაა, რომელიც კარგ მდგომარეობაში იყო: მკვრივი, დეფორმაციის და დანაკარგების გარეშე. ყდას ძველი ტყავი არ შემორჩა. ყდის ფიცრებს ეტყობოდა, რომ ხელნაწერს ახლდა ორი შესაკრავი. ეტრატი აკინძული იყო სამ თოკზე. ძველი კაპტალი დაკარგულია. დავგრიხე ახალი კაპტალი სხვადასხვა ფერადი ძაფებისაგან. ეტრატის ფურცლები აიკინძა ძველი ნასვრეტების გამოყენებით სამ თოკზე და ორ კაპტალზე.

ყდის შესამოსად. მუხის ძველ ფიცრებზე გადაკრულ იქნა ყავისფერი ტყავი, რის შემდეგაც აკინძული ეტრატის ფურცლები ჩაისვა განახლებულ ყდაში.



ქართულ ხელნაწერთა შორის. საბედნიეროდ ბევრია ისეთი ხელნაწერი, რომლებიც ნათლად გვიჩვენებენ ხელნაწერის შექმნის მთელ სტრუქტურას და მის მთელ ისტორიას.



P.S. „ლახუშტის სახარებაზე" ვმუშაობდი სვანეთში სოფელ ლახუშტში ზაფხულის პერიოდში. ხელნაწერის აღსადგენად წაღებული მქონდა ყველანაირი საჭირო მასალა და სამუშაო იარაღები. ხელნაწერი დაცული იყო სოფლის ეკლესიაში.

ლიტერატურა:

1. აბულაძე ი. „ქართული წერის ნიმუშები" პალეოგრაფიული ალბომი. გამომც. „მეცნიერება", თბ. 1973წ. გვ. 369.
2. Белая И. «Смягчение и реставрация кожаных переплётов книг» Москва, 1958, стр. 96-130.
3. Сихарулидзе Л. «О древнегрузинских рукописях и их переплётах», Художественное наследие №22. изд. «НосНИИР», Москва, 2005.
4. Шмерлинг Р. «Художественное оформление грузинской рукописной книги» IX-XI столетий «Мецниереба», Тб. 1979.
5. შმერლინგი რ., „ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები" (ჩუბინაშვილის რედაქციით), მეც აკად. გამომც., ტფილისი 1940, გვ 7.

რეზიუმე

ქართველი ერის მრავალრიცხოვანი სასულიერო და მატერიალური კულტურის ძეგლებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ისეთ ძველ ხელნაწერებს, როგორიცაა: ისტორიული, აგიოგრაფიული, ასტრონომიული, ფილოსოფიური ლექსიკონები და ა. შ.

ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები თარიღდება V საუკუნით. ქართული ხელნაწერების შექმნისას გამოყენებულ იქნა სამივე დამწერლობა: „ასომთავრული", „ნუსხური", „მხედრული".

ქართულ ხელნაწერებს ახასიათებს დეკორატიული გაფორმება: მინიატურები, ორნამენტული კამარები და ფილიგრანული ასომთავრულები.

LIA SIKHARULIDZE
National Archives of Georgia

RESTORATION OF THE UNIQUE MANUSCRIPTS FROM SVANETI TREASURY

Summary

Among the great number of spiritual and material monuments of Georgian culture, ancient writings (historical, astronomical, philosophical, dictionaries) occupy special place. The most ancient samples of Georgian writings are dated from the Vth century.

In Georgian writings three types of manuscripts have been used. They are: «Asomtavruli», «Nuskuri» and «Mkhedruli».

The Georgian hand-written books are issued using ornamental elements, miniature, arches, endings and filigree of capital Letters.

სოფიო ცერცვაძე
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ხელნაწერის ავთენტურობის შენარჩუნების მნიშვნელობა ტყავის ყდის რესტავრაციის პროცესში

ხელნაწერი წიგნის ყდაზე ჩატარებული საკონსერვაციო სამუშაოები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ფურცლების რესტავრაცია, ფერწერის კონსერვაცია და მელნის გამაგრება. რესტავრატორისთვის ხელნაწერის ყდაზე მუშაობისას ინტერესის სფეროს წარმოადგენს, ის მასალა, რომელზეც ხელნაწერია შესრულებული, იქნება ეს ტყავი, ტექსტილი, მუყაოზე გადაკრული ქაღალდი, ხე თუ ლითონი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ხელნაწერის „განახლება", „შემოსვა" ან „შეკაზმა"[1][კარანაძე, 2002:32] ძირითადად, დაზიანებული ყდის ახლით ჩანაცვლებას გულისხმობდა და იყო უფრო პრაქტიკული დანიშნულების ქმედება, ვიდრე ყდის ავთენტურობის შენარჩუნება.

გასული საუკუნის მიწურულს, საქართველოში ტყავის ყდის რესტავრაციის სხვადასხვა მეთოდი იყო მიღებული: ავთენტური ყდისა და ხის დაფების თანამედროვე მასალითა და მუყაოებით ჩანაცვლება, ორიგინალი ტყავის ახალ ტყავზე დუბლირება და დაზიანებული ტყავის რესტავრაცია. ასეთი მიდგომით სამუშაოების ჩატარების დროს რესტავრატორის მიერ ხდებოდა ტყავის ფერის შერჩევა ანუ ძველ ტყავთან შეხამება, და მუყაოების სისქის განსაზღვრა, საჭიროების შემთხვევაში ახალი ფორზაცების დაჭრა და კაპტალის[2] [საბიბლიოთეკო,1974:157] მოქსოვა, ხოლო დეფორმაციის თავიდან ასაცილებლად დაწებებული, ორმაგი მუყაოს ყდის დამზადება. დროთა განმავლობაში, როგორც ფურცლის რესტავრაციამ, ტყავის ყდის რესტავრაციამაც განიცადა ცვლილებები და განვითარდა როგორც ტექნიკური მხარე და დასამუშავებელი მასალა, აგრეთვე სარესტავრაციო მეთოდი და მიდგომები.

ჩვენი თემის მიზანია, წარმოვაჩინოთ ხელნაწერის ტყავის ყდის განსაკუთრებული მნიშვნელობა მისი რესტავრაციისა და კვლევის პროცესში. რად–

[1] ეს ტერმინები საკარაუდოდ სხვადასხვა მნიშვნელოის იყო. „შემოსვა"- ნიშნავდა ხელაწერის ყდაში ჩასმას, ხოლო ტერმინი „შეკაზმა" - რვეულების ან ფურცლების. შეკერვას, აკინძვას გულისხმობდა, რაზეც ის მინაწერებიც მიგვანიშნებს, რომლებიც ხელნაწერებში მრავლად გვხვდება

[2] კაპტალი - ფერადი ქსოვილის ან ზონარის ნაკერი, რომელიც დაწებებულია წიგნის ბლოკის ყუის ზემო და ქვემო კიდეზე ისე, რომ ოდნავ გამოშვერილია გარეთ. კრავს ფურცელთა ბოლოებს და ამკობს წიგნს.

გან ტყავის ყდის რესტავრაციის შემთხვევაში თითოეული მათგანისთვის ინდივიდუალური მიდგომის შერჩევაა აუცილებელი და თანამედროვე აღჭურვილობა და მასალები გასული საუკუნისგან განსხვავებით უკვე იძლევა ამის საშუალებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ რესტავრაციის პროცესში ხელნაწერის ისტორიული მთლიანობის შენარჩუნება დიდ სირთულეებთან და საპასუხისმგებლო სამუშაოებთან არის დაკავშირებული, რაც რიგ შემთვევში რესტავრატორის თავდაუზოგავი შრომის მიუხედავად შეიძლება მიუღწეველი აღმოჩნდეს. კონსერვაციისა და რესტავრაციის მიზანია როგორც ხელოვნების ნიმუშის, ასევე ისტორიული დოკუმენტის, ხელნაწერის მოვლა/შენარჩუნება და რესტავრატორის ყველა ქმედება მიმართული უნდა იყოს, რომ ნებისმიერი დეტალი შემოუნახოს ისტორიას და ხელი შეუწყოს მის გამოყენებას საზოგადოებრივი საჭიროებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს სასურველია, დაუშვებელია ამ მიზეზით მისი სტრუქტურის და გარეგნული იერსახის შეცვლა. რესტავრაციის მიზანს არ წარმოადგენს მხოლოდ ერთი სტილის დაცვა, ან ნებისმიერ ძეგლზე ერთი მეთოდის გამოყენება, რადგან გვხვდება შემთხვევები, როდესაც ძეგლი სახვადასხვა, ერთმანეთზე დადებული შრეებისგან შედგება. მსგავსი შემთხვევები ხელნაწერის ყდის რესტავრაციის პროცესშიც გვხვდება (სურ.1), როდესაც ყდაზე დაკრული ფორზაცის ქვეშ გამაგრების მიზნით რამდენიმე ფენად არის დაწებებული სხვადასხვა ხელაწერი ან ძველნაბეჭდი წიგნის ქაღალდი, რომელიც თავისთავად უკვე მნიშვნელოვანია. მათი გაწმენდა და დამალული ფენების გამოჩენა მხოლოდ მაშინაა მართებული, როდესაც მოშორებული შრე ნაკლებად ღირებულია, ან მისი დაკარგვის საშიშროება არ იქმნება, აღმოჩენილი კი განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული ან ესთეტიური მნიშვნელობის მატარებელია და მისი არსებული მდგომარეობა ამ მოქმედებას ამართლებს. თუმცა ასეთ დროს გადაწყვეტილების მიღება რესტავრატორების ჯგუფის და სხვა კომპეტენტური, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ უნდა იყოს მიღებული. სხვადასხვა ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონთან ერთად მ ნორმებს და სტანდარტებს არეგულირებს „ვენეციის ქარტია"[3], [ვენეციის...1964:1-1-16 პარაგრაფი] სადაც ჩამოთვლილია ყველა ის მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესში უმთავრესია.

ჩვენ წარმოდგენთ ტყავის ყდის რესტავრაციის დროს გამოყენებული მასალების, მიდგომების, მეთოდების ტექნიკურ მხარეს, თავსებადობას და როგორ აისახება ყოველივე ეს ხელნაწერის ხანგრძლივად შენახვაზე.

როგორც ავღნიშნეთ ხელნაწერის ყდას დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და შენახვის პროცესში. თითოეული

[3] -ვენეციის ქარტია" - საერთაშორისო ქარტია ძეგლებისა და ანსამბლების კონსერვაციის და რესტავრაციის შესახებ (1964წ)- წარმოადგენს ძეგლთან დაცვასთან დაკავშირებულ საერთაშორისოდ აღიარებულ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ადგენს კულტურურის მემკვიდრეობის ძეგლთა კონსერვაციისა და რესტავრაციის მთავარ ღირებულებებს და მეთოდებს

დეტალი რომლითაც შემკულია ტყავის ყდა იქნება ეს მასზე არსებული ტვიფრული ორნამენტები (სურ.2-3), საკეტები, კაპტალი თუ ლითონის შემკულობა დიდ სიფრთხილეს და მუდმივ ყურადღებას მოითხოვს რესტავრაციის პროცესში. კონსერვაციის დაწყებამდე რესტავრატორი ვალდებულია პირველ რიგში შეარჩიოს სპეციალური მეთოდოლოგია, რომლის საშუალებითაც წარმართავს რესტავრაციის პროცესს, დაადგინოს საჭირო მასალა, რომელიც არსებული ისტორიული ფრაგმენტების შემავსებელის - ამ შემთხვევაში შესაბამისი სისქის, ფაქტურის და ფერის ტყავის, საშუალებით აღდგენას ითვალისწინებს (სურ.4-5). ეს მაქსიმალურად უზრუნველყოფს ტყავის ყდის პირვანდელი იერსახის შენარჩუნებას.

ხელნაწერის ყდები განსხვავებულია, როგორც მასალის ასევე მისი შექმნის მეთოდით, ამიტომ როგორც აღვნიშნეთ, თითოეული მათგანი ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს რესტავრაციის დროს. დროთა განმავლობაში რესტავრაციის განვითარებასთან ერთად ტყავის ყდის რესტავრაციის რამდენიმე ხერხი შემუშავდა, ძირითადად ერთეულის დაზიანების ხარისხსზეა დამოკიდებული რესტავრაციის პროცესში რა სახის სამუშაოები ჩატარდება, იქნება ეს მინიმალური ჩარევა, ახალი ყდის დამზადება, ძველი ყდის შემორჩენილი ფრაგმენტების დუბლირება, თუ დაზიანებული ყდის რესტავრაცია. ტყავის ყდის რესტავრაციის დროს, დაზიანებული ადგილების შევსება ხდება, ახალი, ისეთივე ან მაქსიმალურად მსგავსი ფერის ტყავის მეშვეობით. მისი სპეციალური დანებით დამუშავების (სურ.6) და დედნის შესაფერის სისქემდე დაყვანის შემდეგ რესტავრატორი, მაქსიმალური სიფრთხილით ცდილობს შეავსოს დაზიანებული ადგილები, რათა სამომავლოდ თავიდან აიცილოს ორიგინალი ტყავის დაზიანების გაზრდა და თან შეინარჩუნოს ხელნაწერის იერსახე. უფრო მეტ სირთულეს ვხვდებით, როდესაც ტყავის ყდასთან ერთად დაზიანებულია ყდის ფიცრები, რადგან ხელნაწერის სამომავლო კვლევისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს როგორ არის დამუშავებული[1] ფიცრის თითოეული დეტალი, ასეთ შემთხვევაში რეტავრატორი ფიცრის გამაგრების რამდენიმე ხერხიდან ერთ-ერთს ირჩევს, იქნება ეს მისი დაკარგული ნაწილის ახლით შევსება (სურ.7) ან გატეხილი ფიცრის გადაბმა, ე. წ. „შეკერვა" (სურ.8). გვხვდება შემთხვევები, როდესაც ხელნაწერს საკეტები დაკარგული აქვს ან მხოლოდ ერთი ცალია ჩვენამდე მოღწეული და მუშაობის დროს რესტავრატორის მიერ ხდება მისი გამაგრება, ახალი საკეტის დამზადება ან კვლევის შედეგად იმ საკეტის ანალოგის შექმნა (სურ.9-10), რომელიც ჩვენამდეა მოღწეული, ასეთი შემთხვევები და ზოგადად ყველა სარესტავრაციო პროცესი ინფორმაციის სახით იწერება ხელნაწერის სარესტავრაციო პასპორტში, რომელიც ფოტო მასალასთან ერთად თან ერთვის რესტავრირებულ ერთეულს. ტყავის ყდების რესტავრაციაზე მუშაობისას მიღებული გამოცდილება გვაძლევს საბაბს რომ რესტავრაციის პროცესში

[1] ფიცრების დამუშავების მეთოდი ერთ-ერთ იმ მნიშვნელოვან საშუალებად ითვლება, რომელიც გვეხმარება დავადგინოთ რომელ ეპოქას და სამწერლობო სკოლას ეკუთვნოდა ესა თუ ის ხელნაწერი

ახალი ყდის დამზადება და მასზე ძველი დაზიანებული ტყავის დუბლირება[5] მინიმუმამდე იყოს შემცირებული. მოგეხსენებათ, დუბლირების პროცესში ისედაც დაზიანებული და გამომშრალი ორიგინალი ტყავის დათხელება, მასზე ამოტვიფრული ორნამენტების დაკარგვის, საშიშროებას ქმნის და როგორც აღვნიშნეთ სწორედ ეს დეტალები გვეხმარება ხელნაწერის ისტორიული მთლიანობისა და მხატვრული ღირებულების შენარჩუნებაში. თუმცა დუბლირება მისაღებად შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც ჩვენამდე მოღწეული ტყავის ყდა (სურ.10-11) იმდენად არის დაზიანებული, რომ შეუძლებელია შეასრულოს თავისი მოვალეობა ანუ დაიცვას ბლოკი დაზიანებისგან.

ვინაიდან დღესდღეობით წიგნის რესტავრაციის დროს პრიორიტეტად ყდის კონსერვაცია და მისი ავთენტურობის შენარჩუნებაა მიღებული, მუშაობის პროცესში უპირატესობა კონსერვაციას ან ზოგ შემთხვევაში რესტავრაციას ენიჭება, როდესაც ყდის დაზიანება გვაძლევს საშუალებას დაზიანებული ადგილების ახალი შესაბამისი ფერის ტყავით ან ტექსტილით შევსების შედეგად წიგნი მომავალში საფრთხისგან დავიცვათ. რაც შეეხება კონსერვაციას ამ დროს ორიგინალ ყდაზე მცირედი ჩარევით, ვინარჩუნებთ მის იმ მდგომარეობას, როგორც ჩვენამდეა მოღწეული. რიგ სარესტავრაციო ცენტრებში არსებობს მიდგომა რომ ხელნაწერის ავთენტურობის შენარჩუნებისთვის კონსერვაციას დროს რესტავრატორი ანხორციელებს მხოლოდ ხელნაწერის გამაგრებას, რომლის მიზანიც არის მისი როგორც კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის ასევე ისტორიული დოკუმენტის შენარჩუნება.

ამრიგად, ჩვენ წარმოგიდგინეთ ხელნაწერის ტყავის ყდის კონსერვაციის და ამავდროულად მისი იერსახის შენარჩუნების რთულ და საპასუხისმგებლო პროცესი, ის არა ერთი სარისკო და არასტანდარტული გადაწყვეტილება, რომლის წინაშეც რესტავრატორები მუდმივად დგანან რათა მღწეულ იქნას საერთო მიზანი - კულტურული მემკვიდრეობის ავთენტურობის მაქსიმალური შენარჩუნება და მისი გადარჩენა. ეს მიზეზები განაპირობებს რესტავრატორების მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით მუდმივ კვლევას, დისკუსიას და სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას.

ლიტერატურა:

1. ვენეციის ქარტია. 1964. საერთაშორისო ქარტია ძეგლების და ანსამბლების კონსერვაციის და რესტავრაციის შესახებ. ვენეცია
2. კარანაძე მაია. 2002. ქართული წიგნის ყდის ისტორია. თბილისი: თბილისი
3. გიორგი გიორგიძე, გურამ კარტოზია. 1974. საბიბლიოთეკო თერმინების ლექსიკონი. თბილისი: მეცნიერება

[5] როდესაც ხელნაწერის ტყავის ყდა იმდენად არის დაზიანებული, ვერ ახერხებს თავისი პირვანდელი დანიშნულების შესრულებას- ხელნაწერის ფურცლების დაცვას დაზიანებისაგან, მზადდება ახალი ყდა (რომელიც შეიძლება იყოს ხის ფიცრებზე ან ორმაგ მუყაოზე გადაკრული ტყავის ყდა) და მასზე ნებოს საშუალებით ეკვრება დაზიანებული ტყავის ფრაგმენტები

სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 5



სურ. 4

სურ. 6



სურ. 7

სურ. 8

სურ. 9



სურ. 10

სურ. 11

სურ. 12

SOPIO TSERTSVADZE
Korneli Kekelidze National Centre of Manuscript

IMPORTANCE OF PRESERVING THE AUTHENTICITY OF MANUSCRIPT IN THE PROCESS OF RESTORATION OF LEATHER COVER

Summary

Conservation works carried out on the manuscript book cover is as important as restoration of papers, painting conservation and ink consolidation. As you are aware, for restoration while working on the manuscript the object of interest is the material on which the manuscript was done – no matter whether it is leather, textile, paper covered on the cardboard, wood or metal. But it must be taken under consideration, that, in the medieval century Georgia, the "renovation" or "clothing" the manuscripts mostly means the replacement the damaged cover with the new and was more practical then preservation the cover authenticity.

In the end of the last century, there were several methods of restoration leather cover in Georgia: replacement the authentic cover and wood boards with the modern material and cardboard, duplication of the authentic leather on the new one and restoration of the damaged leather. While using this method, when restoring, restorer chose the color of the leather, or with the other words fitting with the new one, and defining the thickness of the cardboard, and for avoiding the deformation, it was necessary to prepare glued double cardboard. During some period, the leather cover restoration as well as paper restoration faced the alternation and developed technical side – tools and materials as well as restoration method and attitude.

The aim of our topic is to show the importance of manuscript on the leather cover in the process of restoration and research. As, while restoring the leather cover, it is necessary to choose the individual type and modern equipment and the material unlike the recent centuries give such opportunity. Material, attitude, methods, technical side of this methods, compatibility and the result of all these when keeping the manuscript for a long time will be presented by us.

Also there will be shown the difficult and responsible process of the conservation and keeping the appearance of the manuscript on the leather cover, the risky decisions which restoration process always faces and which provides the constant researches and different type of deeds to be carried out by restorers.